

აკაკი ბაქრაძე

ტომი II

კარდუ ანუ

გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი

მითოლოგიური ენგადი

დავიწყებული იდეა

აკაკი ბაქრაძის თხზულებათა მეორე ტომში მთავრდება ერთი რკალი მისი მონოგრაფიებისა — ბიოგრაფიული რომანის სტილში რომ შექმნილა და მოიცავს ერთსაუკუნოვან ისტორიულ მონაკვეთს, რომელსაც იწყებს ილია ჭავჭავაძე და ამთავრებს გრიგოლ რობაქიძე (ამ ციკლში, გარდა აკაკი წერეთელისა და ნიკო ნიკოლაძეზე შექმნილი მონოგრაფიებისა, ავტორს განზრახული ჰქონდა ვრცელი თხზულება გიორგი წერეთელზეც, რაც, სამწუხაროდ, აღუსრულებელი დარჩა).

„კარდუ“ დრამატული ბიოგრაფიის მწერლის ცხოვრებასაც წარმოსახავს და ზოგადქართულ ხასიათსაც უკვირდება, კარდუს სიმბოლოში მოქცეულს, იმ ისტორიულ ფესვებს ეძიებს, მითოსურ შრეებამდე რომ მივყავართ და ნასხლეტებად, შორეულ ექოდ შეიძლება გახმიანდეს საუკუნეთა შემდგომაც იმ მწერალთა შემოქმედებაში, ეროვნულ ძირებს ვინც არ მოწყვეტია და ცნობიერად თუ ინტუიციით მიელტვის ეროვნული ენერჯის სათავის შეცნობას.

კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და
ღვაწლი

დაბადების თარიღი

იმ ურიცხვ ანკეტაში, რომელიც გრიგოლ რობაქიძეს საკუთარი ხელით შეუვსია, თავის დაბადების თარიღად ჩაწერილი აქვს 1884 წლის პირველი ნოემბერი. და არა მარტო ანკეტებში, ავტობიოგრაფიაშიც. 1925 წელს ჩურრიცულუმ ვიტაე დაუწერია. აქაც დაბადების თარიღად მითითებული აქვს 1884 წლის პირველი ნოემბერი. მერე მწერლის ცხოვრებით დაინტერესებულმა მკვლევრებმა არქივში იპოვნეს მეტრიკული ჩანაწერი, სადაც გრიგოლ რობაქიძის დაბადების თარიღად დასახელებულია 1880 წელი.¹ სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში მწერალი თავადაც აღარ მალავდა, რომ დაბადებული იყო სოფელ სვირში 1880 წლის 28 ოქტომბერს. თავის საქციელს კი ნანობდა. კერძოდ, 1955 წლის 25 სექტემბერს იგი ნიურნბერგიდან წერდა გერმანელ მწერალს ჰანს ჰასო ფონ ველტჰაიმს, რომელთანაც ახლო მეგობრობა აკავშირებდა.

«ჩემო ძვირფასო ჰანს ჰასო!

მოკლე დროით მიუნხენში ჩამოვედი, ჩემი თანამემამულეების გარემოში ცოტათი რომ დამესვენა. ახლა ნიურნბერგში ვარ ორი დღით ჩემს მეგობარ რუდოლფ კარმანთან და ხვალ უკან ვბრუნდები მიუნხენში. სამწუხაროდ, არ შემიძლია გესტუმრო, რადგან ჩემი ფულადი სახსრები შეზღუდულია.

რამდენიმე თვეა მძიმე სულიერ დეპრესიაში ვიმყოფები. შენ იცი, რა მძიმე მდგომარეობაში ვცხოვრობ ჩემი ცოლის ავადმყოფობის შემდეგ. რამდენიმე თვის წინათ ძალებმა მიმტყუნეს. ნერვები მაწუხებენ. ყოველი გადაცდომა, რომელიც ოდესმე დამიშვია, მაშფოთებს. ორი შემთხვევა მოქმედებს ჩემზე განსაკუთრებით დამთრგუნველად.

პირველი შემთხვევა: ჩემი რომანი «მეგი», საქართველოში, 1929-1930 წლებში შეიქმნა. მაშინ უკვე მქონდა საიდუმლო განზრახვა გერმანიაში გაპარვისა. მინდოდა გერმანული ტექსტი ხელთ მქონოდა. ჩემი მეგობარი რაინჰოლდ ჩაკერტი, რომელიც ამ წიგნის მთარგმნელად არის დასახელებული, ქართულს არ ფლობდა. ორმაგი სამუშაო რომ თავიდან ამეცდინა, ჯერ ქართულად დამეწერა რომანი და მერე რუსულად მისთვის, «მეგის» ორიგინალური ტექსტი იმთავითვე რუსულად შეიქმნა. ჩემის აზრით, ამით რომანს არაფერი მოაკლდა, მით უფრო, რომ მასში ხაზს არ ვუსვამდი სიტყვიერ ხელოვნებას, არამედ სახეებს, ბედ-იღბალს, სურათებს, აგრეთვე იმას, რაც ყოველ ენაში ერთნაირად წარმოსადგენია. ამასთანავე ვფიქრობდი, ეს წიგნი მოგვიანებით ქართულად დამეწერა (რა თქმა უნდა, ეს არ იქნებოდა უბრალო თარგმანი, არამედ თავისთავადი ტექსტი), სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოვახერხე ეს. სხვადასხვა გარემოებამ დამაბრკოლა. ახლა თავად საქმეზე. 1934 წელს «მეგის» იტალიური თარგმანი გამოქვეყნდა. სატიტულო ფურცლის უკანა მხარეს გამომცემლის (შპერლინგ ე.კუპფერის გამომცემლობა, მილანი) შენიშვნა ზის: «ქართული ორიგინალი არასოდეს გამოცემულა». ამ შენიშვნას, რომლის წარმოშობაში თავს პასუხისმგებლად ვთვლი, მაშინ საკმაოდ დაუფიქრებლად მოვეკიდე. მე ვამბობდი: ქართული ორიგინალი ფესვადგმულია ჩემში. მჭირდება მხოლოდ

მისი ქალაქადზე გადატანა. ვერ დავინახე მე ეს აღრევა ორ განსხვავებულ სიბრტყეში? არ შემიმჩნევია, რომ ეს აღრევა შეიცავს მორალურ გადაცდომას? მას შემდეგ 21 წელიწადი გავიდა. ამ დროის მანძილზე ამის გამო განსაკუთრებული სინდისის ქენჯნა არ მიგრძენია. პირველად ამ თვეში, უცხად, ამოტივტივდა ჩემში სინდისის ქენჯნის მწვავე განცდა, რაც ჩემს დღევანდელ მდგომარეობაში ქანცს მაცლის. ისევ მწყობრში რომ ჩავდგე, ჯერ ღმერთის წინაშე უნდა მოვინანიო. ამას ჭეშმარიტად ვაკეთებ. შემდეგ უნდა, აგრეთვე, ეს თანამედროვეთა წინაშე როგორღაც ლიტერატურულად ვაღიარო¹.

მეორე შემთხვევა უფრო დამთრგუნველად მოქმედებს ჩემზე. მე ყოველთვის გამოვიყურებოდი უფრო ახალგაზრდად, ვიდრე ჩემი წლები მაძლევდნენ ამას. 1927 და 1931 წლებში ჩემს საზღვარგარეთულ პასპორტში ოთხი წლით ახალგაზრდად ჩავაწერინე თავი (ფაქტობრივად მე დავიბადე 15 ოქტომბერს ძველი სტილით, ანუ 28 ოქტომბერს ახალი სტილით 1880 წლისა). ამის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა არ მოუთხოვიათ და, საერთოდ, ცარისტული რეჟიმის გაუქმების შემდეგ, დაბადების ცნობას არავინ მთხოვდა. მაშინ ჩინოვნიკებს არ აინტერესებდათ ჩემი ასაკი. ეს მონაცემები ავტომატურად შევიდა ჩემს ემიგრანტულ პასპორტშიც. ეს ყალბი დაბადების თარიღი არის შეტანილი აგრეთვე სხვადასხვა ლექსიკონში. გულახდილად ვაღიარებ, დღემდე ამ საქმეზე არ ვზრუნავდი. ვამბობდი: ჩემი შინაგანი «ჰო» გაცილებით უფრო სრული რაღაც არის, ვიდრე კალენდარული. თუ კალენდარულის მიმართ თანამედროვეებს ინტერესი გაუჩნდებათ, შეეძლებათ გაიგონ ჩემი სიკვდილის შემდეგ. იყო თუ არა ეს თვითდამშვიდება?! ასე დაუფიქრებლად დავიკმაყოფილე ჩემი თვითმოტყუება. დღეს ვხედავ, პატივმოყვარეობის დემონს როგორ ადვილად გავეგე ფეხქვეშ. ეს იმდენად მღრღნის, რომ სიმშვიდეს ვერ ვპოულობ. რა გავაკეთო? შემთხვევა გავაობიექტიურო, რაც საჯაროდ აღიარებას ნიშნავს და ამით კომპლექსს თავი დავაღწიო. აბა, როგორ? რომელი სახით? ლექსიკონების ახალ გამოცემებში იოლია გასწორება. ამავდროულად ვფიქრობ შემთხვევა პოლიციას ვაცნობო, საპასპორტო განყოფილებაში. შეასწორებენ კი? როგორც შენიშვნას, ალბათ, მაინც მიიღებენ მხედველობაში.

შენ შეგიძლია წარმოიდგინო, როგორ დეპრესიაში ვიმყოფები ახლა მე.

ახლოვდება 15 ოქტომბერი, შენი დაბადების დღე. მე მინდა ახლავე მოგილოცო. მე ტანჯული გისურვებ შენ ტანჯულს – ღმერთის ლოცვა-კურთხევას და ჯანმრთელობას.

ძმური სიყვარულით გ. რობაქიძე¹.

ფაქტი ვიცით, მაგრამ ახსნა გვიჭირს – რა მიზნით შეცვალა გრიგოლ რობაქიძემ თავისი დაბადების თარიღი. ეს დამაფიქრებელია, თუნდაც იმიტომ, რომ ოქტომბრის თვეს იგი ყოველთვის სიყვარულით იხსენებდა. რომანის «მეგის» წინასიტყვაობაში ავტორი წერდა: «მე ოქტომბერში დავიბადე. თითქმის ყველაფერი, რაც ჩემთვისა და ჩემი ცხოვრებისათვის მართლა მნიშვნელოვანი იყო, ამ თვეში მოხდა». ანდერძადაც კი დატოვა: «როცა მე ამ სოფლად უკვე აღარ ვიქნები, მიდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს მცხეთას, მწი-

ფობის, ჩემი დაბადების თვეში, სანთელს ანთებდეს ამ პაწა სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს».

მწიფობისთვისე ოქტომბერია. და მაინც შეცვალა დაბადების თარიღი. ეს გრიგოლ რობაქიძის საიდუმლოა. ვეჭვობ ოდესმე ამოვიცნოთ იგი.

პორტრეტი

გრიგოლ რობაქიძის პორტრეტი დახატული აქვს ალექსანდრე ქუთათელს «პირისპირ» – რომანში. საერთოდ «პირისპირში» ბევრი რეალურ-ისტორიული პირია გამოყვანილი, ზოგიერთნი საკუთარი გვართა და სახელით და ზოგიერთნიც – შეცვლილით.¹ გრიგოლ რობაქიძეც არის ამ რომანის პროტაგონისტი პლატონ მოგველაძის სახელით. მართალია, პროზაიკოსის მიერ გრიგოლ რობაქიძის სახე გაშარჟებულია, მაგრამ მაინც გავახსენებ მკითხველს როგორ არის იგი აღწერილ-დახატული «პირისპირში».

«უცნაური კაცი იყო პლატონ მოგველაძე. იგი ყველას უნდობლად ეკიდებოდა. კაცისადმი უნდობელ დამოკიდებულებას თავისებურად ასაბუთებდა: «ისეთ ქვეყანაში, სადაც მოჰკლეს ილია, მე არავის არ ვენდობიო». მოგველაძე უმეგობრო კაცი იყო. მარტოობა უყვარდა და ამასაც თავისებურად ასაბუთებდა: «ქართველი კაცის პათოსი ინდივიდუალურ ყოფაში ცნაურდება და არა კოლექტიურში». იგი ძალზე ეჭვიანი, პატივმოყვარე, ეგოცენტრიზმით და განდიდების მანიით შეპყრობილი კაცი იყო. განათლება ევროპაში მიეღო. ფილოსოფიის და ხელოვნების დიდ მცოდნე კაცად მოჰქონდა თავი, მაგრამ ხშირად ელემენტარული საკითხების უცოდინარობას ამჟღავნებდა. იგი სოფლის დიაკვნის შვილი იყო, ინგლისელი ლორდის შვილობას მონატრებული. ინგლისელს რომ დამსგავსებოდა, ბაგეთა კუნთების დამაბვისა და დაჭინთვის საშუალებით, ნიკაპი ხელოვნურად გაეფართოებინა. და არა მარტო ნიკაპი, მისი სახის ყოველი ნაკვთი, ყოველი მისი მოძრაობა, ქცევა, სიტყვა და მოსაზრება, მთელი მისი არსება, ხელოვნურად იყო გაბერილი, დამაბული, დაჭინთული და შეკოწიწებული. იგი ხელოვნურად გაკეთებული კაცსა ჰგავდა. მსახიობური ნიღბის ტარებით ხშირად იღლებოდა და, როდესაც შინ მარტო დარჩენილი, სარკეში ნიღაბახდილ, ბუნებრივ თავის სახეს, გაქსუებულ ცხვირს და თხელ ნიკაპს დაინახავდა, – შეძრწუნდებოდა. თავისი სახით გულნატკენი «ზეკაცი», მაშინვე თვალის უპეთა ქვეშ მდებარე კუნთებს ასწევდა, თვალებს ხელოვნურად აღანთებდა, ბაგეს გასჭიმავდა, სახეს დამაბავდა და ქალაქში ისევ მსახიობის ყალბი ნიღბით გავიდოდა. თავზე დაკოსებული კატილოკით, ხელთათმანით, სტეკით, სახის მრისხანე გამომეტყველებით იგი გამზირზე ჩქარა გაივლიდა, იაქესავით მარტო, ბრაზმორეული, სამართებელივით ალესილი, თითქოს ქვეყანას ემდურის და ხმალში იწვევსო. საქართველოში იმჟამად ჩამოყალიბებულმა

ლიტერატურულმა ჯგუფმა იგი თავის ხელმძღვანელად გამოაცხადა და მოულოდნელად, ორმოცი წლის კაცმა, პოეტობა დაიწყო».

ეს სტრიქონები არ დაწერილა 30-იანი წლების განწყობილებით. აქ უფრო სხვა თაობის კაცისა (ალ. ქუთათელი 18 წლით უმცროსი იყო გ.რობაქიძეზე) და მწერლის დამოკიდებულებაა გამოვლენილი. მაგრამ როგორც ყოველ შარჟში აუცილებლად იცნობთ კარიკატურის ობიექტს, ასევე ალექსანდრე ქუთათელის აღწერილ პერსონაჟში, მიუხედავად უტრირებისა, დაინახავთ გრიგოლ რობაქიძეს.

გრიგოლ რობაქიძე მართლაც დიდად ზრუნავდა თავის გარეგნობასა და ჩაცმა-დახურვაზე. ამას დაკვირვებული თვალი იოლად შეამჩნევს მის ყველა შემორჩენილ ფოტოსურათზე. სხვაგანაც ამჟღავნებს იგი საკუთარი გარეგნობით დაინტერესებას. 1910-11 წლებში გრიგოლ რობაქიძეს ხშირი მიმოწერა ჰქონდა ქეთევან ამირეჯიბთან.¹ ერთ ღია ბარათზე, რომელზეც ცხენზე ამხედრებული ნაპოლეონ პირველია გამოხატული, გრიგოლ რობაქიძეს მიუწერია: Говарят, что здусь я похож на Н?аполеона, правда-ли это?! (ამბობენ, მე აქ ნაპოლეონს ვგავარ, ნუთუ მართლა?!). ძალიან გვიან, უკვე 82 წლის გრიგოლ რობაქიძე არმინ ზიგრისტს საკუთარ ფოტოსურათს აჩუქებს. სურათის უკანა მხარეს კი მიაწერს –Könnte man disen Mann “alt” nennen? (შეიძლება ამ კაცს «მოხუცი» დაარქვა?!). სურათზე მწერალი ნამდვილად მხნედ და ახალგაზრდულად გამოიყურება. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ გრიგოლ რობაქიძე ამქვეყნად აღარ იქნება².

გრიგოლ რობაქიძის გარეგნობა რომ ყურადღებას იპყრობდა, ამას ანდრეი ბელიც ადასტურებს.

1907 წლის 5 მარტს დიმიტრი მერეჟკოვსკის ლექცია წაუკითხავს პარიზში. Salle d’Orient-ში (აღმოსავლეთის დარბაზი) ამ ლექციას ათას კაცამდე მსმენელი ესწრებოდა თურმე. ანდრეი ბელიც ყოფილა იქ. იგი იხსენებს:

«ერთხელ მერეჟკოვსკის ლექციას ვისმენდი რუსულ კოლონიაში. ვიდაც მტკიცე შესახედაობის მამაკაცი, გულზე ჯვარედინად ხელებდაკრეფილი, მხრებით კედელს მიყრდნობილი, აწეული პროფილით, როგორც ძველი მარმარილოს ქანდაკი, გაქვავებული იდგა.

– ვინ არის ის? – გიპიუს, – ვკითხე ზინაიდა ნიკოლაევნას.

უცხო მამაკაცი არ წავიდა შესაკამათებლად. მკაფიო ხმით ადგილიდან იქუხა, მისი პროფილივით მტკიცედ გამოძერწილი სიტყვებით. დადუმდა და ისევ დაიკრიფა ჯვარედინად ხელები გულზე, მიეყრდნო კედელს და არ იძროდა ადგილიდან.

– ქართველია, რობაქიძე, ფილოსოფოსი. – მითხრა მოგვიანებით გიპიუსმა.

ამ გამოჩენილ მწერალს, სიმბოლოზმის კლასიკოსს, ქართველი პოეტების ჯგუფის ხელმძღვანელს, რომლის სახელი მოგვიანებით გერმანიაში გახმაურდა, ოცდასამი წლის შემდეგ შევხვდი თბილისში».1

60-იანი წლების დასაწყისში გრიგოლ რობაქიძეს კინორეჟისორი ივანე პერესტიანიც გაიხსენებს. 20-იანი წლების პირველ ნახევარში გრიგოლ რობაქიძე იყო სახალხო განათლების კომისარიატთან არსებული მთავარი სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. კინოხელოვნებაც და კინომრეწველობაც ამ უწყებაში შედიოდა. ამის გამო ივანე პერესტიანი ხშირად ხვდებოდა გრიგოლ რობაქიძეს.

«არ ვიცი რა ჰქონდა რობაქიძეს თავში, მაგრამ თავზე, როგორც ჭეშმარიტ ფილოსოფოსს შეეფერება ეს, ერთი ბეწვიც არ ეზრდებოდა. იგი ატარებდა აკურატულ პარიკს, იდეალურად შუაგაყოფილს. ეს პარიკი მელოტს ეწებებოდა რაღაც სალბუნით. იგი ცუდად იჭერდა პარიკს. ასე, რომ სხდომის დროს თავმჯდომარის გამომეტყველება ხშირად ღიმილს იწვევდა. კიდევ უფრო მეტად მაშინ, როცა რობაქიძე, დისკუსიის დროს, პარიკქვეშ ფანქარს შეყოფდა, მელოტი რომ მოეფხანა».²

მართალია, გრიგოლ რობაქიძე პარიკს ატარებდა, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ იგი პარიკქვეშ ფანქრით მელოტს იფხანდა. ეს მის ბუნება-თვისებას არ ეგუება. ალბათ, ივანე პერესტიანის ხანდაზმულობის გამო ბევრი რამ დაავიწყდა. უნებლიეთ ის გაიმეორა, რაც ბევრჯერ უნახავს თეატრსა და კინოში, პარიკებსა და გრიმებში დაბერებულ კაცს. კინორეჟისორის სიტყვები იმასაც მოწმობს, რა ნაირგვარად ამახსოვრდება სხვადასხვა ადამიანს ერთი და იგივე პიროვნება. ძნელად სანდოა მემუარისტი. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ უძმათოდ ჭირს წარსულის აღდგენა.

გერმანელმა დიპლომატმა და მწერალმა ნიკოლაუს ზომბარტმა გულთბილი სტრიქონები მიუძღვნა გრიგოლ რობაქიძეს (იხ. მისი „Jugend in Berlin“). 30-იან წლებში ზომბარტების ოჯახში ხშირად სტუმრობდნენ გერმანელი და უცხოელი მწერლები, საერთოდ კულტურის მოღვაწენი. მათ შორის ყოფილა გრიგოლ რობაქიძეც.

გრიგოლ რობაქიძეც ზომბარტების ოჯახის ახლობელი კაცი იყო. როცა ნიკოლაუს ზომბარტის მამა ვერნერ ზომბარტი, მთელ ევროპაში სახელგანთქმული ეკონომისტი, გარდაიცვალა 1941 წლის 22 მაისს, გრიგოლ რობაქიძემ გერმანელ მწერალს ბრუნო გოეტცს მისწერა: «ვერნერ ზომბარტი ამ დღეებში სამუდამოდ გამოგვეთხოვა. ძალიან მტკივნეულია. მისი ცხოვრება საკმაოდ ხანგრძლივი იყო. მაგრამ იგი ისევ სავსე იყო სულიერი და ხორციელი ძლიერებით. ჩვენ დავკარგეთ არა მარტო დიდი სწავლული, არამედ საოცარი ადამიანიც, რომელიც მოყვასს გოეთესეული გამოსხივებით ასაჩუქრებდა».

ნიკოლაუს ზომბარტის სიტყვით, გრიგოლ რობაქიძეს უძრავი, ფერმკრთალი სახე ჰქონია, მუქი შავი თვალებით. თვალების თეთრი გარსი არ უჩანდაო, რის გამოც ისინი ფრინველის თვალებს მოგაგონებდათო. პარიკი, რომელიც მელოტს მთლიანად ვერ უფარავდა, შავი აბრეშუმით ბრწყინავდა. წლიდან წლამდე იგი ატარებდა კარგად გამოჭრილი შავი ტვიდის ქურთუკს და ღია რუხი ფერის შარვალს. სხვა ტანსაცმელში მე იგი არც მინახავსო, – დასძენს გერმანელი მწერალი. აღმოსავლური ჩვეულების თანახმად, ხელში ქარვის

კრიალოსანი ეჭირა. მისი თლილი თითები დაუცხრომლად მარცვლავდნენ კრიალოსანს. ეს მკვირცხლი მოძრაობა ვერ უთავსდებოდა მის გაქვავებულ გამომეტყველებას. ანაზდად გულისშემძვრელად გადაიხარხარებდა. სიცილი ისევე უცხად წყდებოდა, როგორც მოულოდნელად წარმოიშვა. სიცილის დროს პირს ხახამდე ალებდა. მოჩანდა მისი ოქროს კბილების ბრწყინვა. პირს დამუწავდა თუ არა, იგი ისევ უძრავი, ფერმკრთალი ნიღაბი იყო, გაფაციცებული ფრინველის სახით.¹

ცხადად ჩანს, რომ გრიგოლ რობაქიძე არა მარტო თავის მსოფლმხედველობასა და მსოფლხატს აყალიბებდა, არამედ თავის გარეგნობასაც. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, 22 წლისამ, საგანგებო სტატია დასტამბა «კვალში» (1902წ., _20) – «რა არის მოდა?» წერილს საფუძვლად ედო, როგორც ამას თავად აღნიშნავდა, გეორგ ზიმელის სოციოლოგიური ეტიუდი – «მოდის ფსიქოლოგია».

«ჩვენი ზნეობა კმაყოფილდება ხან მაშინ, როცა ჩვენი «მე» დაახლოვებული და დამზგავსებულია სხვებთან, ესე იგი, როცა ის გაერთიანებულია საზოგადო წრეში; ხან კი, პირიქით, ჩვენი ზნეობრივი გრძნობა მაშინ კმაყოფილდება, როცა ჩვენი პიროვნება განსხვავებულია სხვებისაგან, გამოცალკევებულია საზოგადოებისაგან», – წერდა იგი.

გრიგოლ რობაქიძე, რა თქმა უნდა, ყოველთვის გრძნობდა თავს მთელი საზოგადოების განუყოფელ ნაწილად, მაგრამ, ამავე დროს, მძაფრი სურვილი ჰქონდა გამორჩეული ყოფილიყო სხვებში და არა მარტო მსოფლმხედველობით, მსოფლხატით, აზროვნებისა და წერის სტილითა და მანერით, არამედ გარეგნობითაც, ჩაცმა-დახურვითაც.

გრიგოლ რობაქიძეს თავისი პიროვნების ჩამოყალიბებაზე ზრუნვა არ შეუწყვეტია სიცოცხლის ბოლომდე. 1962 წლის 3 ნოემბერს თავის უკანასკნელ სიყვარულს გრაფინია გიტა ფონ შტრახვიტცს წერდა: «არ შემიძლია არ გავიმეორრო ის, რასაც გოეთე ამბობს ეკერმანთან საუბარში: «მე ჩემი თავი ჯერ კიდევ არ შემიქმნია».¹

უკვე ხანდაზმული კაცი, როცა დაწერილი აქვს უმთავრესი თხზულებანი, ახალ ფსევდონიმს ეძებს. რამდენიმე წერილსაც აქვეყნებს – ავალონ კარდუელის – ფსევდონიმით, მაგალითად, შვეიცარიულ გაზეთში «დი ტატ» (1952წ., 9 დეკემბერი) სტატიას «საჩვენებელი პროცესი» (რამდენიმე დღის შემდეგ, 14 დეკემბერს, ამ გაზეთს პოეტ გიორგი გამყრელიძეს გაუგზავნის და მისწერს – «Avallon Kardwell მე ვარ. თუ რას ნიშნავს ჩემთვის ეს ფსევდონიმი – ამის შესახებ სხვა დროს...»), ხოლო «შვაიცერ რუნდშაუში» (1953წ., ოქტომბერი, მეშვიდე რვეული) დასტამბავს ესეის «საბჭოთა ადამიანის ფსიქოლოგიისათვის».

1952 წლის 15 დეკემბერს ორ მეგობარს – ნინო სალიასა და არნიმ ზიგრისტს – ერთდროულად ბარათებით ატყობინებს (ორი დღის შემდეგ, 17 დეკემბერს, ბერძენ მწერალს ნიკოს კაზანძაკისსაც² იმასვე აცნობებს):

«ჩემთვის სახელი Avallon Cardwell ავირჩიე. მას აქვს ჩემთვის განსაკუთრებული აზრი. «ავალონ» არის მითოსურად გააზრებული «თეთრი კუნძული»

ჩრდილო-ატლანტური ტრადიციისა, საიდანაც გამომდინარეობს ჩემი სულიერი არსება. Cardwell ისევე ჟღერს როგორც «ქართველი», შემოკლებით «ქართველ». ცნობილი ამერიკელი ავტორის სახელი Cardwell დაბრკოლება არ არის: განსხვავებაა იქ «r», და აქ «l».

წინო სალიასაც ამას წერს: მე სოფელ სვირში ვარ დაბადებული. სვირი კი ძველქართულად «მცველს» ნიშნავს. თავად გრაალის მცველად მიაჩნდა თავი და ავალონიც ამიტომ იტაცებდა. ავალონი ხომ წმინდა გრაალის ლეგენდას უკავშირდება. ლექსიკონებში ვარაუდია: «ავალონ» ან ირლანდიური abal-იდან ან ვალიური afal-იდან უნდა წარმოსდგებოდეს. abal-იც და afal-იც «ვამლს» ნიშნავს. კელტურ-ბრიტანულ მითოლოგიაში ავალონი შორეულ დასავლეთში მდებარეობს და «ნეტართა კუნძულია». ამ კუნძულზე შუმის კომპეები და დარბაზებია. ხეები ჯადოქრულ ვამლებს ისხამენ, რომელნიც ადამიანს უკვდავებას ანიჭებენ. ამ ვამლებს ამ კუნძულზე მოსახლე უტურფესი ქალები არიგებენ. გადმოცემის თანახმად, კამლანთან ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრილი ბრიტების ლეგენდური მეფე არტური ამ კუნძულზე მოიყვანა ფერია მორგანამ. ის მეფე არტური, რომლის მრგვალი მაგიდის გარშემო თავს იყრიდნენ წმინდა გრაალის რაინდები.

გრიგოლ რობაქიძე რომანში «გრაალის მცველნი» გრაალის ლეგენდის საკუთარ, ქართულ ვარიანტს ქმნის. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ აკმაყოფილებდა. მას თავად უნდოდა გრაალის რაინდი ყოფილიყო. ამას ისიც ადასტურებს, რომ «გრაალის მცველნის» მთავარი პერსონაჟის ლევან ორბელის პროტოტიპი თავად ავტორია – გრიგოლ რობაქიძე. ზოგიერთ პირად ბარათს ხელს ასეც აწერდა – ავალონ=გრიგოლ რობაქიძე ანდა ავალონ ორბელი.

სწავლა

გრიგოლ რობაქიძის მშობლები, როგორც ჩანს, ნივთიერად ხელმოკლე ადამიანები იყვნენ.

მამა – ტიტე გიორგის ძე რობაქიძე – ჯერ მნათე იყო და მერე მედავითნე თერჯოლის ღვთისმშობლისა და ჩხარის წმ. გიორგის ეკლესიაში. ზოგიერთი ამბობს – ტიტე რობაქიძე მღვდელი იყო. მღვდლად არის იგი მოხსენიებული, მაგალითად, კრებულში «სიმართლე ჩემთვის ყველაფერია» (გვ. 9)¹. ეს არ არის მართალი. საქართველოს სახელმწიფო არქივში შენახულია ტიტე რობაქიძის ნამსახურეობის ნუსხა, რომელიც 1901 წელს არის შედგენილი და სადაც სრულიად მკაფიოდ წერია – «პონომარ» და «პრიჩეტნიკ».

დედა – ქეთევან მიხეილის ასული ბოჭორიშვილი – გლეხის ქალი იყო. მართალია, მასზეც ამბობენ – შეძლებული გლეხისო –, მაგრამ შეძლებულობა და სიმდიდრე საქართველოში პირობითი ცნებაა. აქაც ასე უნდა გავიგოთ. დასაშვებია, ბოჭორიშვილების ოჯახი ცოტათი უფრო წელმომდგარი იყო, ვიდრე რობაქიძეებისა, რაკი ქეთევანის მშობლებს ტიტეს ზედსიძედ შეყვანა მოუწა-

დინებიათ. ტიტე რობაქიძემ ეს იუკადრისა თურმე. ქეთევან ბოჭორიშვილი სვირიდან მაინც თერჯოლაში წაიყვანა.

მედავითნისა და გლეხის ქალისათვის ადვილი არ იქნებოდა ოთხი შვილის – გრიგოლის, ნინოს, აგრაფინას და ლიდას – მოვლა-პატრონობა-აღზრდა.

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, როგორ გაატარა გრიგოლ რობაქიძემ ბავშვობის წლები. ვიცით მხოლოდ ის, რომ 1895 წლის სექტემბერში შესულა იგი ქუთაისის სასულიერო სემინარიაში 15 წლისა, მაგრამ მანამდე? არაფრის თქმა შეგვიძლია. ამ სიცარიელეს ცოტათი ავსებს თავად გრიგოლ რობაქიძის ავტობიოგრაფიული ჩანაწერი.

«ჩუმი, ჩაკეტილი, მარტოსული, თითქმის მელანქოლიური – ასეთი ვიყავი ბავშვობაში. შეუცნობელ არსში ჩაძირულს მეჩვენებოდა თითქოს რაღაცას ვიხსენებდი. ვინმე რომ შემოჭრილიყო მაშინ ჩემს ბავშვურ ცნობიერებაში, ნამდვილად ერთ შეკვრა ანამნეზიას იპოვნიდა. სავსე ვიყავი ნისლით მოცული ხილვებით. გვიან, მოწიფულ ასაკში ისინი როგორც ხელშესახები სურათები გამომეცხადნენ.

ხუთი წლისას, მუხის ძირას, ჩახუთულ შუადღეს, ბიძაჩემის გვერდით მეძინა. გაღვიძებულმა უცხო ლაციცი ვიგრძენი, რაღაც დაცოცავდა მკერდზე. პერანგი გავიხსენი და ორი პატარა ხვლიკი დავინახე. ძალიან ლამაზები იყვნენ. დედასთან გავიქეცი ხვლიკებით ხელში. გადაირია კინალამ დედაჩემი. მას შემდეგ ჩემს ცნობიერებაში ხვლიკი, მუხა და მზე მითიურად მესახება. ბუნებასა და ცხოველებთან შინაგანი მეგობრობა მაკავშირებდა. გული მინდორველზე მიწევდა ცხენებისა და ხარებისაკენ. ზაფხულობით მთელ დღეებს მდინარესა და მის ნაპირზე ვატარებდი, ბავშვებთან და ცხოველებთან ერთად.

ნათესავებიდან ყველაზე მეტად ბებია, მამის დედა, მიზიდავდა. არც კითხვა შეეძლო, არც წერა, მაგრამ სიბრძნის პატრონი იყო, დედამიწის სიბრძნის. მისი დაკვირვებანი ახლა საოცრად ღრმად მეჩვენება. 85 წელს მიაღწია. გაბრაზებული არასოდეს უნახავს ვისმეს. არავის ახსოვდა მისი თანდასწრებით ვინმეს ეჩხუბოს. სიკეთესა და სიმშვიდეს ასხივებდა.

ექვსი წლის ქუთაისის სკოლაში მიმიყვანეს. იქ ტიფით მძიმედ დავსნეულდი. მამაჩემს ეშინოდა, ავადმყოფობას ვერ გადაიტანს, მოხელეები გვამის წაღების უფლებას არ დამრთავნო და მამამ და ბიძამ საავადმყოფოდან მომიტაცეს. მე ცხენის უნაგირზე გადამაწვინეს – ბიძაჩემს ვეჭირე მაგრად. ასე გავიქეცი. გონებამიხდილი ვიყავი. მაგრამ საოცრება – შვიდი კილომეტრიც არ გვექონდა ქალაქიდან გავლილი და გონს მოვეგე. მშობლიურ სახლს მივუახლოვდით – უკვე მიხაროდა. მშობლიური მიწის სუნთქვამ გამომაცოცხლა. მას შემდეგ მიწის გოროხი ჩემთვის სიჯანსაღის ნიშანია.

განსაკუთრებული მონდომების გარეშე ვსწავლობდი. სიზმრებისა და წინათგრძნობათა სამყაროში ჩაძირული დავრჩი სკოლაშიც. ამის ბრალი თუ იყო ყველასათვის თვალშისაცემი მუდმივი ყურადღებაგაფანტულობა. სწავლაში მხოლოდ ჩემი არაჩვეულებრივი მახსოვრობა მშველოდა. ვისმესათვის მოსმენაც კი არ შეეძლო».¹

ქუთაისის სასულიერო სემინარია გრიგოლ რობაქიძეს 1901 წლის ივნისში დაუმთავრებია. იმავე 1901 წელს გაზეთი «ივერია» (113) იუწყებოდა – ქუთაისის სასულიერო სემინარია 30 მოწაფემ დაასრულა. ამათგან ცამეტმა პირველი ხარისხის მოწმობით. იმ ცამეტში გრიგოლ რობაქიძეც არის მოხსენიებული.

დაამთავრა თუ არა სასულიერო სემინარია, გრიგოლ რობაქიძე იურიევში (ახლანდელი ტარტუ) გაემგზავრა, იქაურ უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად. იურიევ-ტარტუში გრიგოლ რობაქიძეს სამართლის მეცნიერების შესწავლა უნდოდა. ამიტომ იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა 1901 წლის აგვისტოში. გრიგოლს სასულიერო სემინარია ჰქონდა დამთავრებული და საეკლესიო ასპარეზზე არ უმუშავია. პირდაპირ საერო განათლების მიღება გადაწყვიტა. ამიტომ მაშინდელი კანონის თანახმად, მას შვიდასი მანეთი გადაახდევინეს იმ ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც ქუთაისის სემინარიამ მის აღსაზრდელად დახარჯა.

გრიგოლ რობაქიძე დიდხანს არ დარჩენილა იურიევ-ტარტუს უნივერსიტეტში. სულ ოთხიოდე თვე ისწავლა, 1901 წლის 23 აგვისტოდან 13 დეკემბრამდე. 1901 წლის დეკემბერში მან იურიევ-ტარტუ დატოვა და გერმანიაში წავიდა. ისიც უთქვამთ – გრიგოლ რობაქიძე იურიევის საიმპერეტორო უნივერსიტეტიდან გარიცხესო. მაგრამ არც ეს შეესაბამება სინამდვილეს. იურიევ-ტარტუს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ გაცემულ საბუთებში გრიგოლ რობაქიძე მოიხსენიება, როგორც უაღრესად მოწესრიგებული და ბეჯითი სტუდენტი. უბრალოდ მისი მაძიებელი ბუნება ერთ ადგილას ვერ ისვენებდა. ახალ-ახალ შთაბეჭდილებას ეძებდა. იურიევ-ტარტუს უნივერსიტეტის დატოვების მიზეზი შეიძლება იმ ბარათშიაც ვიპოვნოთ, რომელიც 1902 წლის 16 აგვისტოს გაუგზავნია გრიგოლ რობაქიძეს ეკატერინე გაბაშვილისათვის. ეკატერინეს ვაჟი რევაზიც ემზადებოდა უცხოეთში წასასვლელად. მასაც იქ უნდოდა სწავლა-განათლების მიღება.

«როგორც შევიტყვე, რეზიკო საზღვარგარეთ აპირებს წასვლას. ეს ძლიერ სასიამოვნოა და ჩემი მხრითაც ვურჩევ, მარტო იქ წავიდეს (ბელგიაში). *აქ, რუსეთში მომავალი წლიდან დიდი სისხლისღვრა იქნება.* ეს ნამდვილი წყაროებიდან გავიგე. ესეც არ იყოს, *იმისთანა ნიჭიერი ყმაწვილისათვის, როგორც რეზიკოა, რუსეთი მხოლოდ ჯოჯობეთი იქნება* (ჩაზი ჩემია – ა.ბ.). მე თუ მომიცდის, კარგი იქნება – ერთად წავალთ. დაბრკოლებით არ დაბრკოლდება, რადგან იქ (ყველგან) ნოემბერშია მიღება».¹

ეკატერინე გაბაშვილი დედური გულისხმიერებით ეპყრობოდა შვილის ამხანაგს. გრიგოლიც გულწრფელად უზიარებდა მას თავის ფიქრსა და ოცნებას. ეტყობა, იმხანად გრიგოლი დაბნეული იყო. ოცდაორი წლის ჭაბუკს არსებობის ავ-კარგი აწამებდა. 1902 წლის 20 იანვარს სოფლის სამდურავს შესჩივის იგი ეკატერინე გაბაშვილს.

«ცხოვრებისაგან აღელვებული ვერ ვჩერდები ერთსა და იმავე ალაგას; ხან აქ მინდა ყოფნა, ხან იქა, მაგრამ ამაოდ: ყველაფერი ეჭვის თვალით მეჩვენებოდა, ყველაფერს გარს უარდი თავის ასაცილებლად და აღშფოთებული სულის

დასამშვიდებლად სადღაც განმარტოებულ მინდორ-ველს გავდიოდი... გავდიოდი, მაგრამ იქ უფრო მედებოდა შავ-ფიქრთა გროვა და სულით ობოლს ამ ფიქრთა შორის წამდაუწუმ თვალწინ მესახებოდა ერთი ძლიერი კითხვა: **რა არის კაცის ცხოვრება?** (ხაზი გ.რობაქიძეს ეკუთვნის – ა.ბ.). რამდენად ვაკვირდებოდი და ვითვალისწინებდი ამ კითხვას, იმდენად უფრო საზიზღ-საშიშრად მეხატებოდა ჩვენი ცხოვრება...».

ალბათ, ამგვარმა სულიერმა განწყობილებამ უკარნახა მას დაეტოვებინა იურიევის უნივერსიტეტი და გერმანიაში წასულიყო სასწავლებლად. სხვათა შორის, 1902 წლის 20 იანვარს ბარათში გრიგოლ რობაქიძის ლექსიც არის. იგი უფრო იმედიანი განწყობილებით არის დაწერილი, ვიდრე წერილი.

*აი, ეს სენი¹ გესლიანი და უღმობელი
მღრღნის სიცოცხლეს და მის ძაფებს სასტიკად ღალავს;
სწუწნის ნელ-ნელა მჩქეფარე სისხლს სიყმაწვილისას,
მიკრეფს ძაღლონეს, რომ უდროვოდ ჩავეშვე საფლავს!
მოვკვდები ძალე წამებული, მაგრამ მერე რა?!
არ შეიძლება, რომ ის აზრი უცხად დავარდეს...
რომ ჩემი ლტოლვა იმ წარმტაცი მიზნებისაკენ
შეფერხდეს, შეწყდეს და თან ისიც თავზე დამაკვდეს!!
არა და არა... ის იძინებს მხოლოდ დროებით,
ვით მიძალული მყურდო ფერფლში ნაკვერცხალია,
და უსათუოდ გაიღვიძებს, იფეთქ-იღვენთებს
მომძეთა გულში იმ მძლე ლტოლვილისა ნაბერწკლათ.
ნაბერწკალი კი თვით ალადაც გადაიქცევა
და შეუდგება მტარვალებთა განადგურებას...
ბნელსა გაჰკაფავს სიყვარულით და დაამკვიდრებს
ჭეშმარიტებას, სიმართლეს და თავისუფლებას!!*

მართალია ამ ლექსში მომავალი გრიგოლ რობაქიძე არ ჩანს. უფრო იმდროინდელი ლიტერატურული მოდის შესაბამისი ყაიდით არის შეთხზული. მაგრამ, როგორც ფაქტი, მაინც აღნიშვნის ღირსია. მით უფრო, რომ დასამშვიდებია, იგი გრიგოლ რობაქიძის პირველი შაირი (როგორც თავად იტყოდა) აღმოჩნდეს.

გერმანიაში ჩასული გრიგოლ რობაქიძე ლაიპციგის უნივერსიტეტში ჩაირიცხა სტუდენტად ფილოსოფიის ფაკულტეტზე. ოთხი წელიწადი (1902-1906წ.წ.) სწავლობდა იგი ლაიპციგში. მაგრამ უნივერსიტეტის დამამთავრებელი გამოცდები არ ჩაუბარებია. 1907 წელს პარიზში გაემგზავრა. მგზავრობის დროს, წიგნებთან ერთად, დაუკარგავს სადისერტაციო შრომისათვის – „Das Problem des Historischen bei Hegel“ («ისტორიულის პრობლემა ჰეგელთან») – დამუშავებული დიდძალი მასალა. პარიზში გრიგოლ რობაქიძე სიტყვაკაზმული მწერლობის შესწავლამ გაიტაცა. თავად ამბობს: «ორი მწერლის გავლენის ქვეშ მოვექცევი – ბოდლერისა და რემბოსის. პროზაში ყველაზე მეტად ფლო-

ბერი და სტენდალი მატყვევებდნენ». წელიწადნახევარი დაჰყო საფრანგეთში გრიგოლ რობაქიძემ და მერე სამშობლოში დაბრუნდა.

ჩანს, გრიგოლ რობაქიძეს გულში დარდად ჰქონდა ჩაყოლილი, იურიევ-ტარტუს უნივერსიტეტში იურიდიული განათლება რომ ვერ მიიღო. უკვე ოცდაათი წლის კაცი, 1910 წლის ოთხ აგვისტოს თხოვნით მიმართავს იურიევის საიმპერატორო უნივერსიტეტის რექტორს – თქვენი ყოფილი სტუდენტი ისევ აღმადგინეთო იურიდიულ ფაკულტეტზე. მისი თხოვნა ყურად იღეს, დააკმაყოფილეს. ლაიპციგ-პარიზ მოვლილი კაცი ისევ სტუდენტის მერხს მიუჯდა. შვიდი სემესტრი მოისმინა მან იურიევ-ტარტუს უნივერსიტეტში. შვიდივე სემესტრის გამოცდები საუკეთესოდ ჩაუბარებია. 1913 წლის 23 დეკემბერს იურიევის საიმპერატორო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მიერ გაცემულ მოწმობაში ყველა ძირითად საგანში გრიგოლ რობაქიძეს უზის ნიშანი – *весьма удовлетворительно* (ფრიად დამაკმაყოფილებელი). ხოლო იმ საგნებში, რომლებშიც ნიშანს არ უწერდნენ, აღნიშნულია, რომ სრული კურსი აქვს მოსმენილი.

ისევ შეუჩნდა გრიგოლ რობაქიძეს ძველი ჭია. გადაწყვიტა – იურიევის უნივერსიტეტისათვის კიდევ ერთხელ დაენებებინა თავი და მერვე სემესტრი ყაზანის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ესწავლა. ამის გამო გრიგოლ რობაქიძე გიორგი მაიაშვილს წერდა:

«იურიევში მეტად ერთფეროვანია სიცოცხლე და თვალისმომჭრელი «ფერი» არ ახალისებს სიცოცხლის ყვავილნარს: ყოველს საგანს აქ მოწყენის რუხი ფერი აქვს... აქ გამოცდას არ ვაბარებ, ამის მიზეზი შემდეგია: აქ არის სისხლის სამართლის პროფესორი პუსტოროსლევი, რომელიც გამოსაცდელად თავის სახელმძღვანელოს გავლას თხოულობს, საშინელს და ზოგჯერ პირდაპირ უაზროს; გიგზავნით მაგალითისათვის ორ მის ფორმულას, წაიკითხეთ და გადაწყვიტეთ, შესაძლოა თუ არა ამ ფორმულების დასწავლა? (ზეპირად თხოულობს); ასეთი ფორმულებით არის სავსე მისი სახელმძღვანელო (ორი ტომი, სულ 900გვ.); სხვისი რა მოგახსენოთ და მე არ შემიძლია მათი დაზეპირება. მე მგონია ტვინს გააფუჭებს, გაალაყებს... რადგან იურიევს უნივერსიტეტის პროგრამა, გარდა სისხლის სამართლისა, ძალიან უახლოვდება ყაზანის უნივერსიტეტის პროგრამას, ამისათვის გადავწყვიტე სახელმწიფო გამოცდა ყაზანში «მივსცე»...¹

1913 წლის 16 დეკემბერს იურიევის უნივერსიტეტის რექტორს არზა მიართვა: ჩემი საბუთები ყაზანის უნივერსიტეტში გადაგზავნეთ და მიუხამდგომლეთ იქაურ რექტორთან ნება დამართოს მერვე სემესტრი ყაზანში მოვისმინო. თხოვნა 1914 წლის 7 მარტსაც გაიმეორა. გამეორება გამოიწვია ერთმა გარემოებამ: ყაზანის უნივერსიტეტში მიღებული არ ჰქონდათ ცნობა, რომ გრიგოლ რობაქიძემ შეისწავლა სამოქალაქო სამართლის სრული კურსი. 1914 წლის 24 მარტს ყაზანის უნივერსიტეტმა ყველა აუცილებელი ცნობა მიიღო იურიევის უნივერსიტეტისაგან. გრიგოლ რობაქიძე ამჯერად ყაზანის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. მაგრამ მერვე სემესტრის გასრულება ვერ მოასწრო. 1914

წლის აგვისტოში პირველი მსოფლიო ომი დაიწყო. იგი საქართველოში გამოემგზავრა.

ოჯახი

უცნაური ამბავია: კაცი ჩვენი თანამედროვე იყო, მის ნათესავეებსაც ბევრი ჩვენთაგანი პირადად იცნობდა და მაინც ჯერჯერობით ზუსტად ვერ დავადგინეთ, გრიგოლ რობაქიძეს ერთი შვილი ჰყავდა თუ ორი. ნათესავეები ირწმუნებიან, ორი ჰყავდაო.¹ მაგრამ რატომღაც გრიგოლ რობაქიძის პოეზიაში მხოლოდ ერთ შვილზე – ალლაზეა (ორი «ლ-ასით წერდა თავად შვილის სახელს) – ლაპარაკი. ლექსით – «გლოვა» – დაიტირა მამამ შვილი (ქვესათაურად ამ ლექსს უზის – «ჩემი ბავშვის ხსოვნას»).

*ბედის დატეხამ ბევრი გზები გადამატარა
მშვიდო მაცხოვარ, ერთხელც არის მაინც მომეშვი,
ველარ ვგულოვნობ ძველებურად, ჩემო პატარა,
არ დაივიწყო მამაშენი ამ ცუდ ღამეში.*

მეგობრებიც ალლას სიკვდილის გამო უთანაგრძნობდნენ.

*როდესაც ეძებ ახალ ლექსს
და შენს ბავშვს ალკას:
ჩვენის ტირილით განსვენებულს...
(პაოლო იაშვილი).*

*«პატარა ფრთებით მოფრინდება გრიგოლის ალკა
და უიმედოთ გვეკითხება ის მამის ბინას»
(ვალერიან გაფრინდაშვილი).*

კი მაგრამ მეორე ბავშვმა რაღა დააშავა, თუ ისიც ალლასთან ერთად გარდაიცვალა?

ალბათ, საკითხი მაშინ გაირკვევა და დაზუსტდება, როცა გრიგოლ რობაქიძის დაოჯახების ყველა დოკუმენტს მოვძებნით.

ალლას დედა, გრიგოლ რობაქიძის პირველი ცოლი, ნინო დომენსკაია ძალიან ლამაზი და ერთობ თავნება, ჯიუტი ქალი ყოფილა. თუ რაიმეს ამოიჩემებდა, აღარ გადათქვამდა. ასე ამოუჩემებია: ბაქოში უნდა წავიდე და მშობლები ვნახო. ბავშვის წაყვანაც გადაუწყვეტია.

ცუდი დრო იყო. ომი მძვინვარებდა. მისვლა-მოსვლა ჭირდა. საზრდელსაკვები აკლდა ქვეყანას. ნაირნაირი სენი მუსრავდა ხალხს. შარაგზაზე შეიარაღებული ბანდები დაძრწოდნენ. უმოწყალოდ მარცვავდნენ და ხოცავდნენ მგზავრებს. ბაქოშიც, მთელ ქალაქს ეპიდემია მოსდებოდა. არც საავადმყოფო-

ბი ყოფნიდათ, არც ექიმები. მიცვალებულთა დამარხვასაც კი ძლივს ახერხებდნენ.

– ნუ წახვალ და თუ წახვალ, ბავშვს მაინც ნუ წაიყვანო, – შეხვეწნია გრიგოლი ცოლს. ნინო დომენსკაიას თავისი არ დაუშლია: წასულა და ბავშვიც თან წაუყვანია. საბედისწერო აღმოჩნდა ეს მგზავრობა. ბაქოში ბავშვს უკურნებელი სენი შეეყარა. იმსხვერპლა კიდეც იგი ამ ავადმყოფობამ. ქმარმა ცოლს ეს უკვე ვეღარ აპატია. გრიგოლ რობაქიძე და ნინო დომენსკაია გაიყარნენ.

აღლას მეორე ლექსიც უძღვნა მამამ.

*ნელი შრიალით შეფოთლილი თუ ვინმე მოჰქრის,
ქღალი ბელურა თავს ევლება ტანსარო აღვას.
ის ვერ იხილავს ჩემს ეზოში პატარა აღლას –
მე ვეღარ ვეტყვი უცხო სტუმარს «ნიკარტი ოქროს».*

*თეთრი ღიმილი აგონდება გადახრილ ქორედს.
ობლობას იხდის დედოფალა ნაჭრიან ჩითით.
გულდათუთქული ცქერას მესვრის ცქერალა ჩიტი
და სამუდამოთ გაფრინდება ნაღვლიან შორეთს.
ვაშურებ ოთახს. დასრიალობს სიკვდილის კვალი,
ნინოს ხატის წინ დავიხოქებ სათუთი მწირი.
მოვიკუტები ჩუმი ლოცვით ნეკივით მცირე
და ვიშრობ ცრემლებს საცოდავი ვით ჭიქის თვალი.*

35 წლის შემდეგ, 1955 წლის 8 მაისს გრიგოლ რობაქიძეს თავისივე ხელით გადაწერილი ეს ლექსი, სხვა ლექსებთან ერთად, გიორგი გამყრელიძისათვის გაუგზავნია. ლექსის ქვეშ პატარა მინაწერიც გაუკეთებია: «ყველაზე უფრო «ლირიული» ჩემს შაირებში – ჩემი ფიქრით».

უფრო იღბლიანი მეორე ქორწინება გამოდგა. ჯერ იმას გავეცნოთ, რასაც წერს ელენე ფიალკინა, გრიგოლ რობაქიძის მეორე ცოლი, ავტობიოგრაფიაში.

«1900 წელს დავიბადე ორიოლში (რუსეთი). 1917 წელს დავასრულე სკოლა და სიმწიფის ატესტატი მივიღე. 1917-20 წლებში მოსკოვის უნივერსიტეტში მედიცინას ვსწავლობდი. მაგრამ სწავლა ვერ დავამთავრე საქართველოში ჩემი გამგზავრების გამო. 1922 წელს ქართველ მწერალს გრიგოლ რობაქიძეს გავყევი ცოლად. 1931 წლამდე თბილისში (საქართველო) ვცხოვრობდი. 1931 წელს ჩვენ გერმანიაში წავედით. მწერლობა უფრო ადრე დავიწყე და გერმანიაშიც გავაგრძელე. ვწერდი გერმანულად გერმანულ ქალთა ჟურნალებისათვის და ფილმებისათვის, როგორც სცენარისტი. ამას გარდა, ბერლინში რუსულს ვასწავლიდი დოქტორ რაკოვის კომერციულ და უცხო ენების სასწავლებელში. როგორც ცალკე წიგნი გერმანიაში გამოვეცი ჩემი რომანი «ნინა».

1943 წელს მოსალოდნელი დაბომბვის გამო ბერლინი დავტოვეთ და ბოდენზეეს იუბერლინგენში ვცხოვრობდით. 1945 წლის აპრილში შვეიცარიის

საზღვარს მკაცრად აკონტროლებდნენ და ჩვენ, ექვსწლიანი ომით ქანცგაწყვეტილებმა და შიმშილით დაოსებულებმა, გადავლახეთ იგი.

ჩემს ცხოვრებაში პოლიტიკური საქმიანობისათვის არ მიმიმართავს. არც, როგორც მწერალს, დამიწერია რაიმე, რაც პოლიტიკას ეხებოდა. 1938 წლამდე შევინარჩუნე სსრკ-ის მოქალაქეობა. ამ წელს გერმანელებმა საბჭოთა მოქალაქეებს მოსთხოვეს – ან საბჭოთა პასპორტებში უკანდასაბრუნებელი ვიზა ჩაეკრათ, ან დარჩენილიყვნენ მოქალაქეობის თვინიერ. მე უკანასკნელი ვამჯობინე. მას აქეთ არცერთი ქვეყნის მოქალაქე არა ვარ».

35 წლის მანძილზე ელენე ფიალკინა რობაქიძის ერთგული ცოლი, მეგობარი და თანამგზავრი იყო. მათ შვილი არ ჰყოლიათ. იშვილეს და გაზარდეს ელენე ფიალკინას ობოლი დისწული ელენე (ალია) პოგორელოვა.

გრიგოლ რობაქიძე დიდად აფასებდა ცოლის მხატვრულ შემოქმედებას. განსაკუთრებით მოსწონდა ელენეს მოთხრობა «ძიძა». «მშვენიერი ნოველისტი-აო» – წერდა გრიგოლ რობაქიძე ბერძენ მწერალს ნიკოს კაზანძაკისს. თუმცა, გულახდილად თუ ვიტყვით, არც ეს მოთხრობა და არც რომანი «ნინა» განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას არ ტოვებს.

ცხოვრების უკანასკნელი შვიდი წელი ელენე ფიალკინამ საშინელ ტანჯვაში გაატარა. მას დამბლა დაეცა და მოძრაობისა და მეტყველების უნარი დაკარგა.

«1950 წლის თებერვალში მძიმე განსაცდელი დამატყდა თავს პირად ცხოვრებაში. ჩემს მეუღლეს, მაშინ 50 წლისა იყო, ძლიერი დამბლა დაეცა» – ატყობინებდა გრიგოლ რობაქიძე ნიკოს კაზანძაკისს.

უმძიმესი ვითარება შეექმნა გრიგოლ რობაქიძეს ოჯახში. ყველაფერი თავად უნდა ეკეთებინა. არავინ ჰყავდა დამხმარე. ელენე პოგორელოვა იმხანად ფეხმძიმედ იყო. ვერ იცლიდა, ბიძას რომ შეშველებოდა. 1950 წლის სექტემბერში მას გოგო შეეძინა, თამარი დაარქვეს. ალიას ქმარი იტალიელი დიპლომატი იყო, გვარად კალლეა. ამის გამო ხშირი მოგზაურობაც უწევდა (ადრე, ნიურნბერგის პროცესზეც თარჯიმნობდა ალია. იგი პროფესიით მთარგმნელი იყო). გრიგოლი და ელენე უპატრონოდ იყვნენ დარჩენილი.

1950 წლის 26 ივნისს ძველ მეგობრებს თამარ და აკაკი პაპაევებს უზიარებდა თავის მძიმე ხვედრს.

«თქვენ იცით: ვამბობდი სიამაყით ყოველთვის: ადამის წყევა არ ვიცი მეთქი, ესე იგი: შრომა. ეხლა ეს წყევა თავს დამატყდა მთელი თავისი საშინელებით – სიამაყით ალბად ბედი «გავახელე». უნდა სანოვაგე ვიყიდო, უნდა გავამზადო: საუზმე, სადილი, სამხარი, ვახშამი. ეს კიდევ არაფერი. ალაგება ბინისა, ხვეტა-გვა, რეცხვაც ნაწილობრივ – ყველაფერი ეს მე მაქვს დაკისრებული. კიდევ მეტი. მიხდება ფუნქციების ასრულება: სათნოების დისა, მომვლელისა, დროდადრო მასაჟისტისაც. და აი ასე: დილის 9 საათიდან საღამოს 10 საათამდე. ნასადილევს თუ მაქვს მოსვენება: ერთი საათით. ჩემო აკაკი, შენ იცი: მე ჰიპერბოლა პოეზიაშიც არ მიყვარს – რასაც აქა ვწერ, ყველა სიტყვა პირწმინდა სინამდვილეა. გამიმწარდა ყოფა. თუ დავუმატებთ თქმულს იმასაც, რომ ეხლა

ნივთიერი შეიწროვებაც კარს მადგია ცივი სისასტიკით – მივიღებთ დასრულებულ სურათს ჩემი ყოფის სიმწრისა».¹

იმჟამად მართლაც ძალიან უჭირდა გრიგოლს ნივთიერად. მისი წიგნები აღარ გამოდიოდა. არც ჟურნალ-გაზეთები ბეჭდავდნენ მის სტატიებს (ძალიან იშვიათ გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით). აღარც ლექციებს აკითხებდნენ. ყველას ერთბაშად გაახსენდა, რომ ნარკვევები ჰქონდა დაწერილი ჰიტლერისა და მუსოლინის შესახებ. უმრავლესობამ ზურგი შეაქცია. ადამიანი ყველგან ადამიანია. სულერთია, სად ცხოვრობს იგი, შვეიცარიაში, გერმანიაში, საქართველოში თუ სხვაგან. აქაოდა «ჰიტლერისა» და «მუსოლინის» ავტორის თანაგრძნობა არ დამაბრალონო, ყველა სოროში შეძვრა და დაიმალა, ევროპელიც და ემიგრანტიც.

შვეიცარიაში ცოლ-ქმარი ელენე ფიალკინას შრომით ირჩენდა თავს. ქალს კარგი სამუშაო ჰქონდა. თვიურად ათას ფრანკამდე აძლევდნენ ხელფასს. მაგრამ ახლა რა უნდა ექნა – არც მოძრაობა შეეძლო და არც მეტყველება. გრიგოლიც უმუშევარი იყო. «ლტოლვილებისათვის გამოყოფილი დახმარებით თუ ვიცხოვრებთო», შესჩიოდა ნიკოს კაზანძაკისს.

ვიღაც შეჰპირებია – შენს წიგნებს აშშ-ში გამოსცემენო. მაგრამ წიგნების ინგლისურად თარგმნა იყო საჭირო. გრიგოლს უანგარიშია – რა ჰონორარს მოსთხოვდა მთარგმნელი. ექვსასი დოლარი გამოსულა. იქვე ქალაქში საცოდავად მიუწერია: სად მაქვს მე ექვსასი დოლარი?! 1953 წლის ოთხ იანვარს მეგობარი რობერტ ბისვანგერი მიიპატიჟა სტუმრად. მაგრამ მორიდებით შეუთვალა: სამგზავრო ფული 33 ფრანკი რომ გამოგიგზავნო, არ შემიძლიაო.

ასე გრძელდებოდა შვიდ წელიწადს ცოლ-ქმრის უზომო ტანჯვა-წამება.

1962 წლის ნოემბრის სუსხიან დღეს, როცა გრიგოლ რობაქიძის ცხედარი შვეიცარიის მიწაში ჩაუშვეს, ნინო ქურციკაშვილმა-სალიამ დაატირა:

«ასაწერი მაქვს აგრეთვე, შენი პიროვნების დასახასიათებლად, შენ მიერ შვიდი წლის განმავლობაში განვლილი ჯოჯოხეთი, დამბლა დაცემულ, უენო მეუღლის გვერდით და მის მოვლაში. ახლაც საშინელების გრძნობა მიპყრობს, როცა მოგიგონებ და თვალ წინ წარმომიდგები იმ მძიმე ავადმყოფის გვერდით, რომლის წარმოუდგენელ და აუწერელ კაპრიზებს შენ უსიტყვოდ, ბავშვივით ასრულებდი. ხშირად მოწმე ვყოფილვარ ამ შემზარავი სურათისა. მიკვირს, როგორ იტანდი და უძლებდი...».¹

ელენე ვლადიმერის ასული ფიალკინა-რობაქიძე (ფსევდონიმი – ელენა ორიოლ) 1957 წელს გარდაიცვალა.

გრიგოლი სულ მარტოდმარტო დარჩა. შვილობილი და გაზრდილი, დიპლომატ ქმართან ერთად, სხვადასხვა ქვეყანაში მსახურობდა. იშვიათად ნახულობდნენ ერთმანეთს. მეგობრებთან და თანამემამულეებთან ყოფნა ენატრებოდა. ჯერ კიდევ 1950 წლის 21 სექტემბერს წერდა აკაკი პაპავას: «შენ რომ აქ იყვე შენი სახლობით, ჩემი დღევანდელი ყოფა გამიმსუბუქდებოდა. აქ მხოლოდ ორიოდე ქართველია. ერთი-მეორეს ვერ ვნახულობთ. მიხეილ წერეთე-

ლი მაინც იყვეს აქ – მისთვისაც, ტანჯულისთვის, კარგია ჩემთან ახლოს ყოფნა – ასე მგონია». მაგრამ ეს მხოლოდ ნატვრა იყო, რომელსაც ასრულება არ ეწერა.

მოდის გილიოტინა

ერთხელ გრიგოლ რობაქიძეს ირაკლი (კაკი) წერეთელისათვის მოუსმენია. გრიგოლს ყოველთვის იტაცებდა ორატორული ხელოვნება. ირაკლი წერეთელის ლექციაზეც ამისათვის მისულა. თავად აღიარებს: «უნდა გამოვტყდე. პირადათ მე მისი ორატორული ჯადოსნობა მაინტერესებდა და ყურადღებაც პირველადვე მას მივაქციე».² მაგრამ იმედგაცრუებული დარჩენილა. «ირაკლი წერეთელი საშუალო ორატორზე ნაკლები აღმოჩნდა. ზემოჩამოთვლილებს (ჟორესს, ბებელს, ლედებურს, მაკლაკოვს, ლენინს, ბუნაკოვს, ტროცკის – ა.ბ.) იგი სრულებით ვერ შეედრება», – ასკვნის გრიგოლი. არადა, საქართველოში დღესაც ხმაა გავარდნილი – ირაკლი წერეთელი დიდებული ორატორი იყო. შეიძლება ეს გრიგოლ რობაქიძის მეტად სუბიექტური შთაბეჭდილებაა და მთლად სამართლიანი დასკვნა არ იყოს, მაგრამ განსჯა შეუძლებელია, რაკი ირაკლი წერეთლის სიტყვა არასოდეს მოგვისმენია. მოუსმენლად იმსჯელო ორატორზე იგივეა, რაც ლაპარაკი იმ კერძის გემოზე, რომელიც არასოდეს მიგირთმევია.

ბევრი ლაპარაკი იყო გრიგოლ რობაქიძეზეც, როგორც ორატორზე. ამას ყველა აღნიშნავს, ვისაც კი მისი ლექციები მოუსმენია. მან აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა სწორედ ლექციების კითხვით დაიწყო. მის ლექციებს არა მარტო საგანმანათლებლო მნიშვნელობა ჰქონდა, არამედ სახელოვნებოც, ორატორული კუთხით. გრიგოლ რობაქიძე, თურმე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ლექციის ფორმას. ძველ გაზეთებში საყვედურსაც საკმაოდ ხშირად წაიკითხავთ – ფორმას მეტ ყურადღებას უთმობსო, ვიდრე შინაარსს. საერთოდ, მისი ლექციები ცხარე სჯა-ბაასის საგანი ყოფილა. გაზეთმა «თემმა» აღნიშნა კიდევ: გრიგოლ რობაქიძეს «ხვდა ბედნიერი წილი – ქართული აუდიტორიის შექმნა».¹ თუკი ლექტორმა აუდიტორია შექმნა, ეს იმას ნიშნავს, რომ დასახული ამოცანა პირნათლად შეუსრულებია. იმას კი ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვის მოსწონდა გრიგოლ რობაქიძის ლექციები და ვის – არა. ამქვეყნად არავითარი საქმე არ არსებობს, რომელსაც ერთდროულად მაქებარი და დამწუნებელი არ ჰყავდეს. ბუნებრივია, გრიგოლ რობაქიძის ლექციებისადმი დამოკიდებულებაც ასეთივე იყო. ერთნი იწონებდნენ. მეორენი იწუნებდნენ. ეს მკაფიოდ ჩანს იმდროინდელ პრესაში. ჯერ იყო და გაიძახოდნენ, – ირონიულად შენიშნავს გაზეთი «თემი», –Робакидзе-Бог, ახლა კი ერთხმად გაჰყვირიანო –Робакидзе вышел из моды. თუმცა ამ სტატიის ავტორს სრულებით არ უკვირს დამოკიდებულება-განწყობილების ამგვარი ცვალებადობა. «ეს დამახასიათებელი თვისებაა საზოგადოებისა, რომელიც განსაზღვრულ კრიტერიუმს მოკლებულია და ყოველ ქარის დაბერვაზე მზათ არის მიმართულება

და სიმპატიები გამოიცვალოს», – დასძენს იგი. ამ სტატიას «გრიგოლ რობაქიძე და მისი ლექციები» ეწოდება და ხელმოწერილია ფსევდონიმით «მან წილ». ზუსტად არ ვიცი, ვისი ფსევდონიმია «მან წილი», მაგრამ სავარაუდებელია იგი მიხეილ წერეთელი იყოს. ინიციალები – მ. და წ. «მან წილი» გონიერი, საქმეში ჩახედული, ობიექტური კაცია. გრიგოლ რობაქიძესაც პირადად იცნობს და კარგადაც. გრიგოლის ყველა ლექციაც მოსმენილი აქვს საქართველოშიც და უცხოეთშიც.

«მახსოვს ლექციები (ლაპარაკია ლაიპციგში წაკითხულ ლექციებზე – ა.ბ.), რომელთაც პრინციპიალურად არას დროს არ ვეთანხმებოდი, მაგრამ რომელთა ლოღიკური დასკვნა, მთლიანობა, დამყარებული შესაფერ ერუდიციაზე და შესანიშნავ მეხსიერებაზე, კარგ შთაბეჭდილებას ახდენდნენ ჩემზე. და არა მარტო ჩემზე. ცოტათი თუ ბევრათ მიუდგომელი მსმენელი ყოველთვის დიდის ყურადღებით ისმენდა ხოლმე გრ.რობაქიძის ლექციებს, რისიც უტყუარი დამამტკიცებელი იყო მუდამ სავსე აუდიტორიები», – გვიამბობს «მან წილი». მაგრამ მას ნაკლებად მოსწონს ის, რომ გრიგოლ რობაქიძე «ცდილობს ყოველ ავტორს, რომელზედაც კითხულობს, სულში ჩაწვდეს. მისი «მე» თავის «მედ» გაიხადოს და ამიტომ მის კრიტიკას ობიექტურობა აკლია: როგორ შეიძლება მიუდგომლად თავისი თავის გარჩევა. მისი კრიტიკა არის სუბიექტური ხასიათისა... ეს არის ამა თუ იმ მწერლის, ან კიდევ ფილოსოფოსის *სულის* (ხაზი ავტორს ეკუთვნის – ა.ბ.) გადმოცემა, რამდენადაც ის მათ ნაწარმოებებში გამოიხატება. ამიტომ გრ. რობაქიძის ლექციებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ფსიხოლოგიური მხრით – თუ რამდენად წვდა «მე» «მე»-ს, თუ რამდენად მთლიანია, სრული და მართალი გადმოცემა ამა თუ იმ მწერლისა. ამ მხრით გამორჩეული ლექციები გრ. რობაქიძისა მართლა დიდ-მნიშვნელოვანი არიან, როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც».

უკვე «მან წილის» რამდენიმე ციტატას მოვუხმე, მაგრამ კიდევ უფრო ვრცელი უნდა მოვიშველიო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ პუბლიცისტის პიროვნება უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს და მეორეც იმიტომ, რომ ის პუბლიკუმი დავინახოთ ცხადად, რომელსაც გრიგოლ რობაქიძე ესაუბრებოდა.

«უღმობელია სინამდვილე: ის მომავალს გზას უკვლევს და უფსკრულში აგდებს წარმავალი ცხოვრების უვარგის მომენტებს. ამ ნიადაგზე ხდება საშინელი ბრძოლა ორ განვითარების პრინციპისა: მომავლის *შემოქმედების* და წარსულის *უარყოფისა*. აქ არის სიცოცხლე. აქ იჭედება კაცობრიობის ბედნიერება. აქ იბადება *აზრი* ადამიანისა. ბედნიერნი არიან ხალხნი, რომელთაც უკვე მიადწიეს ამ საფეხურს კულტურული განვითარებისას, უბედურნი – ვისაც არ უგემნია სიტკბოება *ადამიანობისათვის* ბრძოლისა (ხაზი ყველგან «მან წილს» ეკუთვნის – ა.ბ.). საკვირველი არ არის, რომ ნაცია, რომელსაც ჯერ ვერ მიუღწევია ამ წერტილამდის, არ იცოდეს, თუ რა უნდა მას, – როგორია მისი იდეალი, ან აქვს თუ არა მას საზოგადოთ რაიმე იდეალი, სულწარმტაცი მისწრაფება. ასეთი ავადმყოფი საჭიროებს თავგანწირულ მოვლას თავის შვილების მხრით, მაგრამ «ტარიელები» გადაშენდნენ და «მკლავაძეებთან» იქცნენ... დიახ,

ქართველი ხალხი ავით არის, რადგან მას ნიადაგი, რომელსაც შეეძლო მისი გამოფხიზლება და კეთილ გზაზე დაყენება ჯერჯერობით არა აქვს... ინტელიგენცია წარმომოხილელი ასეთი ხალხისაგან უგზო-უკვლოდ დაეხეტება, ხელთათმანებით იცვლის მიმართულებას. სხვის გულში ფათურს ანდომებს ასეთ საჭირო დროს და *უსაქმურობით დაქანცული გაზეთის გამოცემაში და შიგ ჭორიკანობაში ეძებს დამაკმაყოფილებელ საშუალებას* (ჩაზი ჩემია – ა.ბ.) ერთმანეთი გვძულს, გვეზიზღება, რადგან, ერთი პუბლიცისტის აზრის არ იყოს, «იმპრესიონისტები» ვართ ცხოვრებისა. ჩვენ შორის საჭირო ადამიანს დიოგენის ფარნით ვეძებთ. ისინი არიან, მაგრამ მათი ნახვა არ გვინდა. უკეთ რომ ვთქვათ, არ შეგვიძლია, რადგან კრიტიკულ მიუდგომლობას მოკლებული ვართ».

ნუ მისაყვედურებთ გრძელი ციტატისათვის. 1911 წელს დაბეჭდილი სტრიქონები ისე ჟღერს თითქოს დღეს დაიწერა. მისი მკითხველისათვის მიწოდება აუცილებლად მივიჩნე. ესეც წყევლაკრულვიანი კითხვაა – რა გვჭირს ისეთი, რომ ჩვენს თვისებაში არაფერი შეიცვალა? რატომ დარჩა ჩვენი ცხოვრება ერთ ადგილას გაყინული? მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის მანძილზე კაცობრიობის ისტორიაში ძირეული ცვლილება მოხდა. რა არ გადაიტანა მსოფლიომ და რა დასკვნა არ გააკეთა, მაგრამ ყველაფერმა ამან ჩვენს გვერდით ისე გაიარა, რომ არც კი შეგვიძინებია, თორემ სწავალა-გაგებას ვინდა ჩივის.

უგზო-უკვლოდ მოხეტიალე საზოგადოებამ აიყვანა, როგორც «მან წილი» ამბობს, მოდის გილიოტინაზე გრიგოლ რობაქიძე (ჯერ ხოტბა-დიდებით ეთაყვანებოდნენ და მერე ზურგი უჩვენეს). მოდის გილიოტინა ძალიან ტევადი და მოხდენილი ცნებაა. მისი მსხვერპლი არა ერთი და ორი მოღვაწე გამხდარა. გრიგოლ რობაქიძეს მომავალშიც ბევრჯერ მოუწევს გილიოტინაზე ასვლა როგორც საქართველოში, ისე გერმანიაში.

«მან წილის» სიტყვით, მოუმზადებელი პუბლიკუმი ვერ მიხვდა იმას, რომ «საზღვარგარეთიდან გრ. რობაქიძემ ჩამოიტანა თავის სამშობლოში გერმანელის შრომისმოყვარეობა და პრაქტიციზმი, ფრანგის სიფხიზლე და გამჭირახობა და, როგორც ეს საკვირველი არ უნდა იყოს, რუსი ინტელიგენტების მისტიციზმი».

ეს აზრი არსებითი მნიშვნელობის მქონეა არა მარტო გრიგოლ რობაქიძის სალექციო მოღვაწეობის დასახასიათებლად, არამედ მთელი მისი შემოქმედებისათვის.

მაშინ «მან წილის» გარდა, გრიგოლ რობაქიძის სალექციო მოღვაწეობას ბევრი გამოეხმაურა, მათ შორის არჩილ ჯორჯაძე, დიმიტრი უზნაძე და ლევან მეტრეველი. გრიგოლ რობაქიძის, ერთის მხრივ, და მეორე მხრივ, არჩილ ჯორჯაძის, დიმიტრი უზნაძის და ლევან მეტრეველის პოლემიკა-კამათი შესწავლილი აქვს ლალი ავალიანს. მასალებიც და ნარკვევებაც გამოქვეყნებული.¹

ზუსტი და უტყუარია ლალი ავალიანის დასკვნა: «სანიმუშო და სამაგალითო აღმოჩნდა მოპაექრეთა ეთიკა – პირუთვნელობისა და ობიექტურობასთან შეზავებული, ზრდილი, თავმეკავებული ტონი, უღრმესი პატივისცემა და მადლიერების გამჟღავნება ერთურთის მიმართ».

მართლაც, «მან წილის», არჩილ ჯორჯაძის, დიმიტრი უზნაძის, ლევან მეტრეველის, გრიგოლ რობაქიძის პაექრობა დისკუსიის ეთიკის გაკვეთილია.

მიუხედავად ნაირნაირი მითქმა-მოთქმისა, ვისაც ჭკუა ჰქონდა, ყველამ დაინახა ის სიახლე, ის გარდატეხა, რაც გრიგოლ რობაქიძის ლექციებს მოჰქონდა. ამას ადასტურებს იმ მოვლენათა მომსწრე და მოწმე დავით კლდიაშვილიც.

«ამ ხანებში იყო ქუთაისში პირველი გამოსვლები საჯარო ლექციებით გრიგოლ რობაქიძის. გრიგოლი ამ ლექციებს კითხულობდა რუსულ ენაზედ. ხალხი უზომო ესწრებოდა. დიდათ ვწუხდით, რომ ლექტორი ერიდებოდა ქართულად გამოსვლას და ვნატრობდით მოვსწრებოდით ქართულ ენაზედ წარმოთქმულ ლექციას. ბევრი ამართლებდა გრიგოლს, ქართულათ არ შეიძლება იმის ლექციების გადმოცემაო. ისე ეუცხოვებოდათ ამ ახლო წარსულშიაც ქართულათ სიტყვის წარმოთქმა. საჯაროთ ქართულათ მოლაპარაკე ათასში ერთი თუ გაბედავდა გამოსვლას; ჩვეულებათ იყო ხოლმე ბოდიშის მოხდა – ქართული არ მეხერხებო, ნება მიბოძეთ რუსულათ ვთქვა ჩემი სათქმელიო.

ამგვარი იყო მდგომარეობა, როცა გრიგოლ რობაქიძემ იწყო გამოსვლა საჯარო ლექციებით. როგორც ვთქვი, თავდაპირველში იგი ამ ლექციებს კითხულობდა რუსულ ენაზედ. ხალხი თბილისშიც და ქუთაისშიც აუარებელი ესწრებოდა. გული გვტკიოდა, რომ ამ ხალხს ქართველი ლექტორი ქართულ სიტყვას არ აგონებდა, ქართულ სიტყვას არიდებდა. გულდაწყვეტილებმა, ვარლამ ბურჯანაძის და გიორგი თუთბერიძის პირით (რომლებთან იდგა გრიგოლი) შეუთვალეთ – ლექციები ქართულათ ეკითხნა. მე მაშინ გრიგოლს არ ვიცნობდი პირადათ. გრიგოლმა შემოგვითვალა, რომ მალე ქართულათ ვიწყებ ლექციებსო, და მოკლე ხანში კიდევ აასრულა თავისი დანაპირები. მახსოვს პირველი მისი საჯარო ქართულათ წაკითხული ლექცია. ლექცია იყო ბარათაშვილზედ.

საზოგადოება განსხვავებულ აღტაცებაში მოიყვანა ამ ლექციამ. გაზეთებში დიდი ქებით იხსენებდნენ ლექციის შინაარსს, ლექტორის ცოდნას და განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ლექტორის საუცხოო ქართულს. ბარათაშვილზედ ლექციას მოყვა ლექცია ვაჟა-ფშაველას «გველის-მჭამელ»-ზედ, შემდეგ აკაკიზედ. საზოგადოების აღტაცება თან და თან მატულობდა, ლექტორის არაჩვეულებრივი ლამაზი ქართულის გამგონეთა მსურველთა რიცხვი შესამჩნევად იზრდებოდა. უსმენდნენ ლექტორს სულგანაბულნი და თავის ყურებს არ უჯერებდნენ, თუ ასეთი შნოიანი ქართულით შესაძლებელი იყო ლექციების კითხვა. ლექტორის საოცარი ლამაზი ქართული უსაზომოდ ხიბლავდა და იტაცებდა მსმენელს.

ქუთაისში ცხოვრობდა იმ დროს ცნობილი საზოგადო მოღვაწე პავლე თუმანიშვილი, კაცი დიდათ განვითარებული, ქართულის კარგი მცოდნე. მოხუცი უსაზღვრო აღტაცებით მელაპარაკებოდა და გადმომცემდა იმ შთაბეჭდილებას, რობაქიძის ლექციებმა მასზედ რომ მოახდინეს. მოხუცი კაცი პირდაპირ აფრენილი იყო სიხარულით:

– აი ჩვენი ლამაზი ქართული, რომელსაც ვივიწყებთ და ფასს არ ვსდებთ. გატაცებით ამბობდა მოხუცი.

ასეთ აღტაცებას განიცდიდა მთელი საზოგადოება.

– სად ისწავლა ამ ოჯახდაქცეულმა ასეთი ქართული – გაიძახოდა აღტაცებული კოტე ბაქრაძე, – ქუთაისში ცნობილი საზოგადო მოღვაწე. – გზიბლავს კაცს ამ შეჩვენებულის ენა. ვიძახით არ მეხერხება ქართული! – უხეირო რომ იქნები ვერაფერს ვერ მოახერხებ!.. ვაჟა-ფშაველაზედ კი, რაღაც მგონი გადააჭარბა!.. ნამეტანი მაღლა ასწია... თუმცა ესეცაა – არ ვიცნობთ არც ჩვენ ლიტერატურას, არც ენას, არც ჩვენ თავს! გადაგვარებაზედ ვართ მისული! ჩვენი თავის აღარაფერი გვჯერა! ამისთანა ახალგაზრდები თუ მომრავლდნენ, ეგებ გამოცოცხლდეს ხალხი!

თამამად ვამბობ, რომ გრიგოლ რობაქიძემ გამოაცოცხლა მაშინდელი ქართველობა თავის საჯარო ლექციებით. ნათლად დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ ქართული ენა შვენივით სავსეა, რომ მისით მშვენიერათ გამოითქმება ადამიანის ყველანაირი სულის კვეთება, გამოიხატება მისი აზროვნება. გრიგოლმა დაანახა ქართულ საზოგადოებას გადაგვარების გზაზედ შემდგარს ქართულის სიმშვენიერე, სიმძლავრე. დაანახვა და გაიტაცა. მან დიდათ დაავალა ქართველი საზოგადოება. მას ვერ დაუვიწყებს ქართველობა ამ დიდ ნამოღვაწარს».¹

მე-20 საუკუნის 10-იანი წლები ქართული მწერლობის განახლების წლებია. გრიგოლ რობაქიძე ამ განახლების აქტიური მონაწილეა.

ახალი ლიტერატურული ნაკადი ქუთაისიდან წამოვიდა. ქუთაისი კი, გრიგოლ რობაქიძის დახასიათებით, იყო «თავნება ქალაქი. იგი უთუოდ გენიალური გამოვლენაა მეტაფიზიკური «ობივატელშჩინისა» და თან მეტად თავისებური. ის, რაც ნიცშემ თქვა საშუალო ელინზე, მთლიანად მიესადაგება ქუთაისელ ობივატელს: «გენიალურობის თვისება გენიალურობის თვინიერ არსებითად სამშვინველისა და ხასიათის ერთობ სახიფათო თვისებაა». ქუთაისი «ეპიგონია» თავისი არსით. იყო რაღაც ნამდვილად მშვენიერი და დიდი, ახლა კი მხოლოდ ლამობს იყოს ასეთი. და რაკი არ გამოდის, ბრაზდება და ნიჰილისტური გაუფასურების ქეციან ეშმაკს უვარდება ხელში. მთელში არ არის არც სიმადლე და არც სიღრმე. არის მხოლოდ საშუალო და ბრტყელი. ამიტომ უმცირესი ქარაგმული გადაკვრაც კი «მანძილის პათოსზე» იწვევს ყრუ გაღიზიანებას. აქედან ტრაგიკული გზნება: გაუთავებელი «მრავალჟამიერი» – თავისებურად საშინელი გოდება რაღაცაზე და არა მზესხივოსანი სიმღერა. ჭეშმარიტად ტრაგიკულია ქუთაისი თავის «ობივატელშჩინაში» (შეიძლება ეს არის საზარელი სიმბოლო მთელი თანამედროვე საქართველოსი) და საჭირო სოლოგუბის ნიჭი, როზანოვის გენიალური ყოვლისგრძნობით, რომ უმოწყალო სიმართლით გადმოიცეს ამ «ობივატელშჩინის» მთელი კომშარი».¹

«ცისფერი ყანწების» პირველსავე ნომერში ტიცციან ტაბიძემ გრიგოლ რობაქიძე ახალი ლიტერატურული ორდენის თავკაცად გამოაცხადა.

«სიმბოლიზმი ჩვენში შემოიტანა გრ.რობაქიძემ... საფიქრალი იყო, რადგან სხვაგან ასეთი აღელვება გამოიწვია სიმბოლიზმმა, ჩვენშიც მონახავდნენ

ფიჩხებს ინკვიზიციის ცეცხლის დასანთებად, მაგრამ გრ.რობაქიძეს უთხრეს თავის დასტური არჩილ ჯორჯაძემ და კიტა აბაშიძემ. ამ ორი პიროვნებით იწურება ქართული ესტეტიკური კულტურა გრ.რობაქიძემდი... გრ.რობაქიძის ლექსები პირველი სიმბოლისტური ლექსებია».²

გრიგოლ რობაქიძემ კიდევ მიიღო და თან არც მიიღო ეს თავკაცობა.

«ახალგაზრდა პოეტებმა თავიანთი სახელები შეუერთეს ჩემს შემოქმედებით სახელს. ჩემი ლიტერატურული გზა აღინიშნა, – პოეტური სიტყვისა თუ ესტეტიკური ცდების სფეროში, – ევროპაში გაფორმებული და რუსეთში გართულელებული სიმბოლური მსოფლალქმის შემოქმედებითი შემოტანით ქართველი ხალხის მხატვრულ ცნობიერებაში. მე ყოველთვის იმ მსოფლშეგრძნებას ვიზიარებდი, რომ აღმოსავლეთი ევროპულ დასავლეთზე უფრო სიმბოლურია. იმთავითვე ვფიქრობდი, რომ საქართველო, როგორც აღმოსავლეთის რაღაც ნატეხი, შესაძლებელია ბოლომდე განისაზღვროს მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლიზმის ხაზებში. ამ აზრის საგრძნობ დადასტურებას ვპოულობდი რუსთაველის მხატვრულ ფენომენში, რომლის გენია ჭეშმარიტად არის ქართული მხატვრული სიტყვის ამოუწურავი პოტენცია. აქედან: წმინდად მხატვრული ხასიათის ამოცანა იყო, ევროპული სიმბოლიზმის ტექნიკით (თავისებური აზრით ვიღებ ამ სიტყვას) ქართული აღმოსავლეთის სიღრმეში წვდომის მხატვრული გაფორმება. თავისთავად იგულისხმება, რომ ვერც აქ განვსჯით და ვერც მე განვსჯი კითხვას – როგორ გადაწყდა დასმული ამოცანა. ფაქტი ოდენ ის არის, რომ ახალგაზრდა პოეტები მოვიდნენ ჩემთან, როგორც უფროს ძმასთან და მეც სიხარულით მივეცი მათ თავიანთი ჟურმალის პირველი ნომრისათვის ჩემი საყვარელი ლექსი «სირენას სიმღერა».¹

«ცისფერყანწელებთან» ურთიერთობას გრიგოლ რობაქიძე ცოტა მოგვიანებითაც შეეხება. 1919 წლის 9 ივნისს იგი ვალერიან გაფრინდაშვილს მისწერს:

«თქვენ კარგად იცით ჩემი აზრი: პოეზია არარიტმული სიტყვაა და მსოფლიოს მეტაფიზიკური ამოწურვა. ეს დასკვნა ბევრს რამეს თხოულობს წინასწარ. მე მწამს, რომ მსოფლიო ღვთის ქმნადა და ხელოვანი მისი თანაშემოქმედი. ეს არ არის ფიგურალი თქმა. თუ ეს მიღებული იქნა, მთელი დემონოლოგია ტიციანის უარყოფილ უნდა იქნას...²

თქვენ იცით, რომ მე თქვენთან ვარ როგორც ძმა და შემოქმედი. ძალზე ვგრძნობ თქვენი (სამის) სიყვარულს. ხოლო, შესაძლოა, თქვენ (პაოლო და თქვენ) ისე ფიქრობთ, როგორც ტიციანი და მართლაც გადაწყვეტილი გქონდესთ ახალი «გამოსვლა».

უნდა იცოდეთ, რომ ამ შემთხვევაში ვერ გამოგყვებით. სიყვარული ნამდვილი – სასტიკია. მე არ შემიძლია თავის თავის დალატი. თქვენთვისაც უფრო კარგი იქნება: უფრო თავისუფლად იმოქმედებთ».³

ასეა თუ ისე, არსებითი და მთავარი ის გახლავთ, რომ ახალმა თაობამ გრიგოლ რობაქიძე ცნო ლიტერატურულ რეფორმატორად.

მარტო მწერლობაში არ დგებოდა ახალი ხანა. რუსეთის მონარქიული იმპერია ინგრეოდა. გარედან პირველი მსოფლიო ომი აზანზარებდა, შიგნიდან – ამბოხებული ხალხი. იმპერიის მოსახლეობა სულმოუთქმელად მოელოდა ეროვნული და სოციალური თავისუფლების ეპოქის დადგომას. ეს დღეც დადგა. 1917 წლის თებერვალში რუსეთის მონარქია დაემხო. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. თვალუწვდენელ ქვეყანას ანარქია დაეუფლა. დაიწყო გაუგონარი განუკითხაობა, ურთიერთჟლეტა და ძარცვა-გლეჯა. რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ძალდი პატრონს ვერ ცნობდა. თავზარდაცემული მოქალაქენი კედელ-ყორეს აწყდებოდნენ. უმწეოდ ეძებდნენ გადარჩენის გზებს.

საქართველომაც ისარგებლა შექმნილი ვითარებით. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. ეს თავდაცვის ერთადერთი გზა იყო, აბოზოქრებული რევოლუციის მღვრიე ტალღას რომ არ წაეღეკა ჩვენი ქვეყანა. რაც მთავარია, დგებოდა დრო საქართველოს საუკუნოვანი ოცნება აესრულებინა: დაემკვიდრებინა თავისი დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა. «სახელმწიფოს გარეშე კი მხოლოდ ანგელოზებს და ცხოველებს შეეძლოთ ცხოვრება» – ამბობდა გრიგოლ რობაქიძე. იმასაც დასძენდა: «ჩვენ ჩვენი საკუთარი გზა გვაქვს და ვეცადოთ ყველა ძალების შემოკრებას, რომ რევოლუციაში შობილი ეროვნული განთავისუფლების გზა ანარქიით არ მოვისპოთ», რადგან «ვინც იმარჯვებს ანარქიით, იგი იმავე ანარქიით დაიღუპება».¹

იმ ხანებში არც საქართველოში იყო მშვიდობა (ომი თურქეთთან, სომხეთთან. ოსების აჯანყება შიდა ქართლში), მაგრამ, რუსეთთან შედარებით, მაინც უფრო წყნარად გამოიყურებოდა ცხოვრება. თბილისში ეძებდა თავშესაფარს რუსეთიდან ლტოლვილი ინტელიგენცია. აქ იყრიდნენ თავს მოსკოვ-პეტერბურგიდან გამოქცეული მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები. მოულოდნელად თბილისი გახდა რუსული ავანგარდიზმის ცენტრი. თბილისში გადმოინაცვლა პეტერბურგულმა „Бродячая собака“-მ. 1917 წლის 25 ნოემბერს პოეტური დეგენისა და მხატვრული საზოგადოების «Лольчуга»-ს, თაოსნობით თბილისში გაიხსნა ლიტერატურული კლუბი «Фантастический кобачок».

ვის არ ნახავდით «კობაჩოკში»: გრიგოლ რობაქიძეს და სერგეი გორდეცკის, ტიციან ტაბიძესა და ძმებს ზდანევიჩებს – ილიასა და კირილეს, პაოლო იაშვილსა და ალექსეი კრუჩონიხს, ლადო გუდიაშვილსა და ზიგმუნდ ვალიშევსკის, ალექსანდრე ბაჟბუქ-მელიქოვსა და დიმიტრი გორდეევს, სოფია მელნიკოვას და ნატალია გონჩაროვას, ალექსანდრე ყანჩელსა და სერგეი სუდეიკინს, ოსიპ მანდელშტამსა და ვასილ კატანიანს... ერთი სიტყვით ყველას, ვინც მწერლობა-ხელოვნების კერპს ემსახურებოდა. საზოგადოებასაც ანდამატივით იზიდავდა იგი.

«თბილისი შეიქნა ფანტასტური. ფანტასტურ ქალაქს ფანტასტური კუთხეც ეჭირვებოდა – და ერთ დღეს იმავე პოეტებმა და მხატვრებმა რუსთაველის პროსპექტზე, _12, შიგნით ეზოში, გახსნეს «Фантастический кобачок», პატარა ოთახი, სადაც შეიძლება 10-15 კაცი დატეულიყო, მაგრამ რაღაც განგებით 50-მდე ეტეოდა. აქაც: მსმენელი ქალი იყო მეტი, ვიდრე ვაჟი. ოთახის კედლები-

დან ფანტასმები იხედებოდნენ, ისე იყო ოთახი მოხატული (აქ მართლაც გამართლდა «41 გრადუსის» ლოზუნგი). ეს «კაბაჩოკი» თითქმის ყოველ-საღამო იყო ღია. კითხულობდნენ იგივე პოეტები და მხატვრები, ლექსებს თუ მოხსენებებს».

აღწერს «Фантастический кобачок»-ს გრიგოლ რობაქიძე «ფალესტრა» – რომანში.

ლიტერატურული ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. თანდათანობით მკაფიო ხდება, რომ აუცილებელი იყო საერთო სამწერლო ორგანიზაციის ჩამოყალიბება. ამ საქმის მეთაურები გახდნენ კოტე მაყაშვილი, შალვა დადიანი, დავით კოპალი (კოპალეიშვილი), ლევან (ლელი) ჯაფარიძე, გერონტი ქიქოძე, ტიცვიან ტაბიძე და გრიგოლ რობაქიძე. მათ შეადგინეს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის წესდება. მოამზადეს და ჩაატარეს სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობა. ყრილობამ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი შექმნილად გამოაცხადა. ამის განხორციელებას თითქმის ორი წელიწადი – 1919-20 – დასჭირდა.

შეგვიძლია დავასკვნათ: 10-იანი წლების მანძილზე გრიგოლ რობაქიძე ქართული კულტურის სამ დიდ პრაქტიკულ საქმეს ემსახურა.

ა) საგანმანათლებლო მიზნით და ახალი ფილოსოფიურ-ლიტერატურულ შეხედულებათა გაცნობა-გასავრცელებლად კითხულობდა საჯარო ლექციებს.

ბ) უწინამძღვრა ქართული ავანგარდიზმის შექმნას და ამით ხელი შეუწყო ქართული მწერლობის განახლებას.¹

გ) კოლეგებთან ერთად, ჩამოაყალიბა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი. და ამ საქმიანობის გვერდით, ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია წერა. იმდროინდელ პრესაში ქვეყნდებოდა მისი სტატია-წერილები ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ნაირნაირ საკითხებზე.

ომი და რევოლუცია

პირველი მსოფლიო ომი და რუსეთის რევოლუცია – ეს ორი მოვლენა ჰქმნის მე-20 საუკუნის 10-იანი წლების სახეს. ორივეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობის ბედ-იღბლისათვის. ყოველი მოაზროვნე ადამიანის ყურადღება მიჯაჭვული იყო ამ მოვლენებზე. მსჯელობდნენ, ანალიზებდნენ, ნაირნაირი დასკვნები გამოჰქონდათ. ყველას აინტერესებდა: რამ წარმოშვა ეს ჯერ არნახული და არგაგონილი ხოცვა-ჟლეტა? რომელ მხარეს დარჩებოდა გამარჯვება? რას მოუტანდა კაცობრიობას ომის შედეგი? ასწავლიდა ეს გაკვეთილი ჰკუას ადამიანს თუ იგი ისევ ისეთივე დარჩებოდა, როგორც იყო? იწერებოდა და იბეჭდებოდა წიგნები, ნარკვევები, სტატიები. კალმითა და სიტყვით ისეთივე სასტიკი ბრძოლა მიმდინარეობდა, როგორც თოფ-იარაღით. საქართველოც აქტიურად ერეოდა საქმეში. საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო. ბუნებრივია, ნაწილის მომავალი მთელის მომავალზე ეკიდა.

ჩვენში გულგრილი ვერ დარჩებოდნენ ევროპა-რუსეთში მომხდარი ამბებისადმი.

ამ ხანებში გრიგოლ რობაქიძე ენერგიულ ჟურნალისტურ მოღვაწეობას ეწევა. მისი წერილები ძირითადად ორ გაზეთში იბეჭდება: «საქართველოში» – ქართულად და «კავკაზში» – რუსულად. ქართულად ხელს აწერს ფსევდონიმით – გივი გოლენდი, რუსულად კი – გ.რობაქიძე-კავკასიელი. 1915 წლის მაის-ივნისში იგი «კავკაზში» წერილების ციკლს აქვეყნებს საერთო სახელწოდებით – «ომი და კულტურა». ამ სტატიებში გრიგოლ რობაქიძე მიმოიხილავს გეორგ ზიმელის, მორის მეტერლინკის, გეორგ ბრანდესის, ნიკოლოზ ბერდიაევის, სიმონ ფრანკის და სხვათა შეხედულებებს კულტურისა და ომის, გერმანიისა და რუსეთის რაობის პრობლემებზე. საკუთარ აზრს შედარებით იშვიათად გამოთქვამს. უფრო იმას ცდილობს სხვათა ნააზრევი გააცნოს ქართველ და, საერთოდ, კავკასიელ მკითხველს.

«რას წარმოადგენს კულტურული ადამიანი?» – სვამს კითხვას გრიგოლ რობაქიძე და აგრძელებს საუბარს: თუ ამ კითხვას მარტივად გვინდა ვუპასუხოთ, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ: იგი ცხოვრობს ერთერთ დიდ ევროპულ ქალაქში. აქვს საუკეთესო ხუროთმოძღვრული სტილის კასრაკი (окобняк). ბინა მორთულია ფასეული მხატვრული ქმნილებებით. აქვს მდიდარი ბიბლიოთეკა. იღებს ყველანაირ გამოცემებს. ატარებს მორგებულ-მოხდენილ ტანსაცმელს. დადის საუკეთესო თეატრებში. არ ტოვებს პრემიერებს. მგზავრობს მდიდრული ლანდოთი, ჩინებული ავტომობილით. ემსახურება თვითმფრინავი. წევრია რომელიმე კლუბის. ფლობს სალონურ მეტყველებას. სასურველი სტუმარია სალონების. მისი მანერები დახვეწილია, ზომიერია და მშვიდი. გაურბის ტრაგიკულს. ხანდახან ახსენდება ღმერთი და «წყეული საკითხები».

ამგვარ წარმოდგენას კულტურაზე გრიგოლ რობაქიძე ობივატელურ წარმოდგენად თვლის. იგი იზიარებს კულტურის იმგვარ განმარტებას, რასაც გეორგ ზიმელი, პეტრე სტრუვე და სიმონ ფრანკი იძლევიან.

მათ შეხედულებას მოკლედ ასე გადმოგვცემს გრიგოლ რობაქიძე (ნუ გაგაკვირვებთ წინწკლების სიმრავლე. მათ ძალიან ხშირად ხმარობს მწერალი): კულტურა სამშვინველის ზემთაგონებაა. მისი თავდაპირველი სახის ხორცშესხმაა. მაგრამ თუ სამშვინველი მხოლოდ «აღქმის კონაა», თუ პიროვნება ბიოლოგიური გუნდაა, ბუნების თამაშის შერმთხვევითი მოვლენა, თუ სამყარო მოკლებულია კოსმოსურ აზრს, ასეთ შემთხვევაში, ცხადია, ზედმეტია ლაპარაკი პიროვნების შემოქმედებაზე, მის შემოქმედებით თვითგამოვლენაზე. სულის ხორცშესხმა, მისი იდეალური ყოფიერების ესკიზის გახსნა ბუნებრივად გულისხმობს მსოფლიო ლოგოსის არსებობას. ლოგოსის გარეთ, ლოგოსის თვინიერ არ არსებობს «პიროვნების» შემოქმედება. მაშასადამე, არ არსებობს არც კულტურის მოვლენა. აქედან არის ღმერთკაცობრიობის იდეა, როგორც კულტურის ცენტრალური ცნება. სამყაროში ლოგოსის შემოქმედებითი გამოცხადება და მისი გამოცხადების აღქმა მსოფლიო სამშვინველის მიერ – აი, მსოფლიო ისტორიის ხორცშესხმის ორმხრივი პროცესი კულტურის მრავალფერო-

ვან ფასეულობებში. ამგვარად, კულტურა წარმოადგენს ფასეულობათა შემოქმედებას, რომელიც სავსეა კოსმოსური აზრით. ამ თვალსაზრისით კულტურაა პარტენონი და აკროპოლისი, შექსპირი და დანტე, კიოლნის ტაძარი და სიქსტეს მადონა, ვაგნერი და ბეთჰოვენი, პუშკინი და გოეთე. ეს არის ჭეშმარიტი კულტურა – სულიერი კულტურა, რადგან კულტურა სულის თვითშემოქმედებაა. ის, რასაც ნივთიერ კულტურას უწოდებენ (რკინიგზა, ტელეგრაფი და ტელეფონი, თვითმფრინავები, საერთოდ მთელი «ტექნიკა», ეგრეთწოდებული «კეთილმოწყობა») არის მხოლოდ პირობები სულიერი კულტურისათვის, ნივთიერი სფერო მსოფლიო ფასეულობათა განსახორციელებლად. აქედან დასკვნა: კულტურის ზრდა ემთხვევა «სულიერების ზრდას» (ვუნდტის ტერმინია). რამდენადაც მაღალია კულტურა, იმდენად მნიშვნელოვანია «სულიერება» კულტურულ გამოვლინებებში.

კულტურაში გვერდიგვერდ ცხოვრობს მკაფიო, სინათლისა და სიცოცხლის მფრქვეველი სხივებიც, წარმართული ვენუსიც, ქრისტიანული ღვთისმშობელიც. შიშველი სხეულის მშვენიერებაც და უსხეულო სიდიადეც ყოველგვარ ხორციელებაზე ამაღლებული სულისა. კულტურისათვის ერთნაირად ძვირფასია განმარტოებული აზრის პირქუში შრომაც და მოზეიმე ხორცის ვნებიანი სიმღერაც. კულტურას ეკუთვნის რელიგიური გზნება, რომელიც გრძნობს ღმერთს თავის გულის ფეთქვაში და ჭვრეტს მას ზეცაში. მაგრამ თანაბარი უფლებით შედის კულტურაში დაუმორჩილებელი, ყველაფერში დაეჭვებული, ყოვლის ძირგამომთხრელი ადამიანური აზრის უღმერთობაც. ყოველი აზრი, ოღონდ იგი იყოს ღრმა და თავისებური, ხელოვნების ყოველი ნაწარმოები, ოღონდ იგი იყოს მშვენიერი, ყოველი ზნეობრივი ძალისხმევა, ოღონდ იგი იყოს გულწრფელი და შემოქმედებითი, ჭეშმარიტების, სიმართლის, მშვენიერების ყოველი ძიება ქმნის კულტურას. კულტურაში, როგორც პანთეონში, ყველა ღმერთისათვის არის ადგილი. კულტურის ღმერთი კი არის ყველა ის, ვისზეც განისვენებს შემოქმედებითი ძალისა და მშვენიერების მაღლი.

როცა კულტურაზე ვსაუბრობთ დაჟინებული მზერა უნდა მივაპყროთ კულტურის შემოქმედის და კულტურის ქმნილების ურთიერთდამოკიდებულებას. მოაზროვნეები ძველი დროიდანვე მიუთითებდნენ, რომ შემოქმედებითი აქტის შემდეგ ქმნილება ხდება სრულიად დამოუკიდებელი შემქმნელისაგან. იძენს თავის საკუთარ ლოგიკას და ვითარდება მისი კანონების შესაბამისად. ამ მოვლენის ყველაზე მკაფიო დადასტურებას ვპოულობთ მხატვრული შემოქმედების საიდუმლოში. ჭეშმარიტი მხატვრული ქმნილება თავისი ინდივიდუალობით ყოველთვის მეტია იმაზე, რასაც ვარაუდობდა შემქმნელი. ჰამლეტი, როგორც მხატვრული ინდივიდუალობა მეტია იმ იდეალზე, რაც მასში ჩადო შექსპირმა. ასეა კულტურაშიც. აქაც ქმნილება მეტია შემქმნელზე და ამით ხდება მისგან დამოუკიდებელი. სხვანაირად: სუბიექტი ქმნის ობიექტს, მაგრამ შემდგომ ამ ობიექტს იღებს და აღიქვამს სხვა სუბიექტი. ამდენად შექმნილი შორდება შემქმნელს. გადადის სხვაში. ხდება სუბიექტურის ობიექტივაცია.

კულტურის ასეთი განმარტება მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით, ისტორიის სტიქიური მომენტის გასააზრებლად. კულტურა რომ თავისი საკუთარი გზით ვითარდება, ამისი უტყუარი დადასტურებაა დღევანდელი მსოფლიო ომი. ომამდე ვერავინ იფიქრებდა, რომ ევროპის კულტურაში დაიბადებოდა ეს შემზარავი ომი. მაგრამ ფაქტი თვალწინ გვაქვს. ჩანს, ევროპულ კულტურას თავისი ლოგიკა ჰქონდა.

კულტურის თვისება-ხასიათის ზოგადი მიმოხილვის შემდეგ გრიგოლ რობაქიძე კონკრეტულად მსჯელობს ცალკერძ რუსულ კულტურაზე, ცალკერძ – გერმანულზე.

რუსეთის კულტურაზე საუბრისას იგი ეყრდნობა ნიკოლოზ ბერდიაევის წიგნს «რუსეთის სამშვინველი». გადმოსცემს ამ წიგნში გამოთქმულ შეხედულებებს.

ნიკოლოზ ბერდიაევი რუსეთის სამშვინველში არსებულ სამ წინააღმდეგობას გამოჰყოფს.

პირველი გახლავთ ის, რომ რუსეთი ერთდროულად არის არასახელმწიფოებრივი ქვეყანაც და ყველაზე უფრო სახელმწიფოებრივიც და ბიუროკრატიულიც.

რუსეთმა მისცა მსოფლიოს ისეთი მასშტაბის ანარქისტები, როგორც იყვნენ მიხეილ ბაკუნინი, პეტრე კროპოტკინი, ლევ ტოლსტოი (მისი რელიგიური მოძღვრება ანარქიულია). «რუსის ხალხს თითქოს სახელმწიფოსაგან განთავისუფლება სურს, ვიდრე თავისუფალი სახელმწიფო», ასკვნის ნ.ბერდიაევი. ამის პარალელურად და ამასთან ერთად რუსეთი მძლავრი სახელმწიფოებრივი და ბიუროკრატიული ქვეყანაა. ივანე კალიტადან (გარდაიცვალა 1340წ.) მოყოლებული რუსეთი იპყრობდა სხვათა მიწა-წყალს და უსაშველოდ იზრდებოდა. მთელი ენერჯია რუსეთმა ამ უზარმაზარი სახელმწიფოს შექმნას შეაღია. ამ მიზანს დაუმორჩილა ყველაფერი.

მეორე გახლავთ ის, რომ რუსეთი ერთდროულად არის არანაციონალისტური ქვეყანაც და შოვინისტურიც.

თუ ევროპა ნაციონალისტურია, რუსეთი არ არის ასეთი. რუსი ხალხისათვის უცხოა აგრესიული ნაციონალიზმი. რუსეთის ინტელიგენცია ნაციონალიზმს უყურებს, როგორც უწმინდურობას. რუსი მწერლების ზერელე კოსმოპოლიტიზმში გამოსჭვივის საკაცობრიო სული. ლევ ტოლსტოი ცდილობდა რელიგიური თეორიით გადაეღებინა ნაციონალიზმის ჩარჩო. ასე იყვნენ სხვებიც. მაგრამ ამის გვერდით და ამასთან ერთად, რუსეთი ყველაზე შოვინისტური ქვეყანაა. რუსეთი უარყოფს ევროპას, როგორც სიდამპლესა და ჯოჯოხეთის ნაყოფს. მას მხოლოდ თავისთავი სწამს. მაშინაც კი, როცა რუსეთი ცოდვას სჩადის, თავისთავს «წმინდა რუსეთს» უწოდებს. მას სძულს ებრაელები, პოლონელები და სხვები. სძულს კათოლიციზმი. რუსეთი გაჟღენთილია ეკლესიური ნაციონალიზმით. დედამიწა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთია და ჭეშმარიტების მფლობელი მხოლოდ რუსული ეკლესიაა.

მესამე წინააღმდეგობა გახლავთ ის, რომ რუსეთი ერთდროულად არის სულის უსაზღვრო თავისუფლების ქვეყანაც და სერვილიზმის მორჩილი ქვეყანაც.

რუსი თავის ბუნებით ყარბია, მოგზაური, მოხეტიალე (страник). «სტრანნიკი» ყველაზე თავისუფალი არსებაა. იგი დახეტიალობს დედამიწაზე, მაგრამ არსად ფეხს არ იკიდებს. მან არ იცის, მიწის ახლობლობა, ჩაზრდა მასში. ყველა ეს რასკოლნიკოვები, მიშკინები, სტავროგინები, ვერსილოვები, ბეზუხოვები და სხვანი ყარბები, «სტრანნიკები» არიან. «სტრანნიკული» სულია თავად ლერმონტოვში, დოსტოევსკიში, ტოლსტოიში. რუსეთი ქვეყანაა სულიერი თრობის, ხლისტების, დუხაბორების, თვითდამწველების. ქვეყანაა სელივანოვის, რასპუტინის, თვითმარქვიების და «პუგაჩოვშჩინის». რუსულ სამშვიველში მარადიული ძიებაა კიტეჟ-ქალაქისა, ახალი სამეფოსი დედამიწაზე. ამიტომ არის, რომ რუსეთი შინაგანად თავისუფალია და «სტრანნიკულად» განწყობილი.

მაგრამ ამის პარალელურად და ერთად რუსეთი საშინელი სერვილიზმისა და ყურმოჭრილი მორჩილების ქვეყანაა. ვაჭრები, ჩარჩები, ჩინოვნიკები, სასულიერო წოდება, გლეხები, ინტელიგენცია – ყველა შინაგანად მორჩილია, მონაა და ჩაფლულია ნივთიერ ყოფიერებაში. ამის გამო რუსეთი გახდა ინერტული, ზარმაცი, მოუქნელი. სულ იმას ელის, რომ თავის გასაკეთებელს ვიღაც სხვა გაუკეთებს. რუსული რადიკალური ინტელიგენცია შეპყრობილია მექანიკური თანასწორობის იდეით და არა შინაგანი თავისუფლებისა. რუსეთი უსახური კოლექტივის ქვეყანაა.

ასეა ყველაფერში: რუსეთი ანტინომურია. მისი ყოფიერება წინააღმდეგობრივია.

ბერდიაევი რუსეთის ამგვარ მდგომარეობას იმით ხსნის, რომ რუსეთის არსი ქალურია. მასში არ არის ვაჟური. რუსეთი მუდამ ეძებს საქმროს. ვარიაგების მოწვევიდან დაწყებული დამთავრებული გერმანელების გაბატონებით რუსეთის მმართველ აპარატში.

«ვაჟური რუსეთი – ეს ან გერმანულია, ან ფრანგული, ან ბერძნული (ძველად). რუსეთის ცხოვრებას ჰფლობს ხან მარქსი, ხან შტაინერი, ხან კანტი, ხან კიდევ რომელიმე სხვა უცხო ვაჟი. აპოლოლო, ღმერთი ვაჟური გაფორმებისა, ჯერ არ შესულა დიონისურ რუსეთში. თვითონ დიონისიზმი რუსეთისა ბარბაროსულია და არა ჰელენური. ასეთია საშინელება რუსეთისა. აქედან მხოლოდ ერთი გასავალია: რუსეთის წიაღში უთუოდ უნდა მოინახოს ვაჟური ელემენტი. მისი მონახვა თანამედროვე ომშია შესაძლო. რუსეთი ამ ომში გმირულად არის დაჭიმული და ეს ალბათ ვაჟკაცობას წარმოშობს», – ასკვნის, ნიკოლოზ ბერდიაევთან ერთად, გრიგოლ რობაქიძე თავდაპირველად რუსულად გამოქვეყნებული წერილის ქართულ ვარიანტში («საქართველო», 1917წ., _232-3).

თუ ნიკოლოზ ბერდიაევი რუსეთის რაობას ეძებდა, სიმონ ფრანკი გერმანიის რაობის ამოხსნას ცდილობს. გრიგოლ რობაქიძე დაწვრილებით გადმოსცემს ს.ფრანკის ნარკვევის – «გერმანიის სულიერი არსის შესახებ» – შინაარსს.

გერმანელი ხალხის «ბოროტი ნების» გამოვლენას სიმონ ფრანკი ორი ფორმულის შეერთებაში ხედავს: Not kennt kein Gebot (თეობაღდ ბეთმან-ჰოლვეგი)¹ და Gebot kennt kein Not (ემანუილ კანტი)². საქმე გერმანელთა სიმკაცრე კი არ არის, არამედ, ამ სიმკაცრის გეგმაზომიერება და მოფიქრებულობა. გერმანელთა სახელმწიფო მანქანა სისტემატურად ადნობს ადამიანთა მასალას თავის ძლიერების რკინად და ცემენტად. ამ ძლიერებისათვის ადამიანი მიზანი კი არ არის, არამედ საშუალება. გერმანელი ხალხი ღრმად ერთგულია სახელმწიფოსი და ხელისუფლების. მაგრამ ეს ერთგულება მონობა კი არ არის, არამედ კერპთაყვანისმცემლობა. გერმანელებმა არ იციან მტრის დანდობა, მაგრამ არც თავისთავს ინდობენ. ისინი ამარცხებენ მტრებს დარაზმულობით, თავგანწირვით და კოლექტიური ენერგიით. ობიექტური მათი უზნეობა არ არის პირადი გარყვნილება (როგორც ეს გვხვდება უფრო დახვეწილ კულტურებში). პირიქით, იგი ერწყმის გარკვეულად ზნეობრივ სიჯანსაღეს. გერმანელი ხალხის სახელმწიფოებრივ ცნობიერებაში ცხოვრობს ზეპიროვნული ზნეობრივი ენერგია, რომელიც გამოიხატება ფორმულით: შენ ვალდებული ხარ, მაშასადამე შეგიძლია. ამრიგად, გერმანელის სულიერი აღე «ბარბაროსულია», ამ სიტყვის როგორც უარყოფითი, ისე დადებითი გაგებით. მაგრამ როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს გერმანელთა «ბარბაროსობა» და მათი მაღალი კულტურა? ასეთი შეთავსება ხომ უეჭველად არსებობს. მაგრამ შეთავსება ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. უნდა ვაჩვენოთ მათი თეორიული შეერთების შესაძლებლობა, რადგან «ბარბაროსობა» აღნიშნავს არა კულტურის დონეს, არამედ კულტურის განვითარების ტიპს. გამოხატავს სულიერი ტიპის თვისობრიობას და არა კულტურის განვითარების ხარისხს. ამ თვალსაზრისით, «ბარბაროსობისა» და კულტურის მორიგება შეიძლება.

უნდა ვაღიაროთ, რომ გერმანელის სახალხო ხასიათის განმსაზღვრელი მომენტი ქმედითობაა. ლაიბნიცმა შექმნა მოძღვრება მონადაზე, როგორც ქმედით ძალაზე. კანტმა პრაქტიკულ გონს უპირატესობა მიანიჭა თეორიულზე. ფიხტეს ფილოსოფია გმირული ნების მეტაფიზიკაა. ჰეგელის ფილოსოფია, მიუხედავად საზარელი ინტელექტუალიზმისა, გაჟღენთილია კოლექტიური შემოქმედების გრძნობით. გოეთემ, ფაუსტის პირით, იქადაგა – პირველად იყო საქმე. შილერის პოეზიას ახასიათებს გმირულ-ეპიკური ნება-განწყობილება, და საერთოდ, ლუთერით დაწყებული კანტ-ნიცშეთი დამთავრებული გერმანულ აზრში ისმის ერთი მოტივი – ზიგფრიდის მოტივი. გერმანელის ეროვნული თვისებაა ქმედითობა-საქმიანობა, სიფხიზლე, სიამაყე, ის ზნეობრივი კომპლექსი, რომელიც გამოიხატება უთარგმნელი გერმანული სიტყვით – Tüchtigkeit.

ასე უყურებს გერმანიის რაობას სიმონ ფრანკი და ასკვნის: «თანამედროვე გერმანია ახალი წარმართობაა. წარმართობის დამარცხება მხოლოდ «ქრის-

ტეს აღმოსავლეთით» (ვლადიმერ სოლოვიოვის ფორმულა) შეიძლება. რომ გავიმარჯვოთ, «ქრისტეს აღმოსავლეთის» ქვემარტი შვილები უნდა გავხედეთ».

ორ ძირითად საკითხში არ ეთანხმება გრიგოლ რობაქიძე სიმონ ფრანკს.

ჯერ ერთი, რამდენად სწორად ესმის სიმონ ფრანკს ვლადიმერ სოლოვიოვის ფორმულა – «ქრისტეს აღმოსავლეთი». გრიგოლ რობაქიძე თვლის, რომ ვ.სოლოვიოვისათვის ქრისტიანობა არ არის ქრისტეს მოძღვრება. იგი არის მოძღვრება ქრისტეზე. ქრისტეს ღმერთკაცობრიობა არის ცენტრალური მომენტი ქრისტიანობისა. ღმერთი ჩამოდის მსოფლიოში და მსოფლიოს სამშვინველი ადის ღმერთთან. ორმხრივი პროცესი ხდება: ღვთაების შემოქმედებითი განხორციელება და მსოფლიოს შემოქმედებითი ფერისცვალება. ამ ორი პროცესის შეხვედრის პირადი მომენტი და მათი კონკრეტული ურთიერთშედწევა არის ქრისტე (ლოგოსი). ასეთია ვ.სოლოვიოვის შეხედულება. იზიარებს ამას ს.ფრანკი, როცა იგი იყენებს ზემოხსენებულ ფორმულას? ძალიან საეჭვოა, რადგან არც განხილულ წერილში და არც სხვაგან იგი პირდაპირ პასუხს არ იძლევა. ს.ფრანკი უფრო კონკრეტული ჰუმანიტია. კონკრეტული ჰუმანიზმი კი დასკვნაა (არც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი) ქრისტიანობიდან გამომდინარე და არა მისი (ქრისტიანობის) ამოსავალი წერტილი.

მეორეც, გრიგოლ რობაქიძე არ იზიარებს ს.ფრანკის აზრს, რომ კულტურის «ბარბაროსული» ტიპი შეიძლება დაემთხვას კულტურული განვითარების მაღალ საფეხურს. ამ დებულებას გრიგოლ რობაქიძე ორი კუთხით იწუნებს. პირველია ის, რომ მსგავსი აზრი პირველად ნიკოლოზ მიხაილოვსკიმ გამოთქვა. ს.ფრანკი კი მას არ ასახელებს. ამასთანავე დებულება უკვე კარგახანია უარყოფილია. მეორეა ის, რომ ამ დებულების საბუთად არ გამოდგება გერმანული კულტურის ქმედითი ხასიათი. მერე რა, – კითხულობს გრიგოლ რობაქიძე, – რომ გოეთემ თქვა – პირველად იყო საქმე. ამისათვის იგი «ბარბაროსია»? მერე რა, რომ ლუთერი, კანტი, ჰეგელი თავიანთ მისწრაფებაში ენერგიული, ქმედითნი არიან. ამისათვის არიან «ბარბაროსები»? რა გამოდის – რამდენადაც ქმედითია კულტურა, იმდენად «ბარბაროსულია»? ქმედითობა საბუთად არ გამოდგება. თავად კულტურა ქმედითობაა, შემოქმედებითი ნების ტიტანური დამაბულობა და ძალისხმევა. სხვაგვარად კულტურა არ იქმნება.

გერმანიის რაობის შესახებ კიდევ ორი ევროპელი მწერლის – დანიელი გეორგ ბრანდესის და ბელგიელი მორის მეტერლინკის – შეხედულებას გვაცნობს გრიგოლ რობაქიძე.

გერმანული კულტურის შინაგანი ხაზი მაინტერესებსო, – გვიზიარებს თავის ძიების მიმართულებას გრიგოლ რობაქიძე. მაგრამ ამ ხაზის მიგნება ჭირს იმ ნარკვევებში, რომელიც ომის დროს იწერება. ომის დროს ადამიანი ემოციურად აღგზნებულია. არ შეუძლია თავდაჭერილი, ობიექტური მსჯელობა. იგი მიკერძოებულია. ვერ ახერხებს მშვიდად გამოიტანოს დასკვნა. ამიტომ გეორგ ბრანდესის იმ ნარკვევებს მივმართეო, რომელიც ომის დაწყებამდე ბევრად ადრე დაიწერა. კერძოდ, «ემიგრანტთა ლიტერატურას» და მის ერთ ნა-

წილს, რომელსაც «ქალბატონი სტალი» ეწოდება. გეორგ ბრანდესს კითხვა დაუსვამს – ვისი ხალხური სულია უფრო მეტად გაჟღენთილი ელინიზმით ფრანგული თუ გერმანული? იგი ერთმანეთს ადარებს გოეთეს იფიგენიას და რასინის იფიგენიას. დანიელი მწერალი იმედოვნებს: მოვა დრო და აღიარებენ, რომ გერმანელი იფიგენია იმდენადვე გაჟღენთილია გერმანული სულით, რამდენადაც ფრანგი იფიგენია – ფრანგულით. მაშინ უნდა ვუპასუხოთ კითხვას – რომელი უფრო ჰგავს ძველ ბერძენს.

დღევანდელ მკითხველს ნუ გააკვირვებს საკითხის ამგვარი დასმა. მე-19 საუკუნეში და მე-20 ასწლეულის დასაწყისში ევროპაში დიდად იყვნენ გატაცებული ანტიკური ბერძნული კულტურით. ძველბერძენთა ფილოსოფია, ლიტერატურა, მხატვრობა-ქანდაკება, ხუროთმოძღვრება ხიბლავდა ევროპელ საზოგადოებას. ძველი ბერძენი სულიერი და ხორციელი მშვენიერების ჰარმონიული შერწყმის ნიმუშად ჰყავდათ წარმოდგენილი. ძველბერძნულ კულტურაში იყო მზე, სიჯანსაღე, სიხარული, ზეიმი, არაფერი ჰქონდა ავადმყოფური, პათოლოგიური, დაკნინებული და დამცირებული, დაბადებული უნიჭობითა და ტვინისჭყლეტით. ამდენად, ბუნებრივია გოეთეს იფიგენიასა და რასინის იფიგენიას შედარება ძველი ბერძენის ტიპთან. ამ შედარების შედეგად ბრანდესი მისულა დასკვნამდე, რომ ფრანგები უფრო ჰგვანან ძველ ბერძნებს, ვიდრე გერმანელები. ფრანგული სული, ძველი ბერძნულის მსგავსად, მსუბუქია, ნატყფია, ფერადოვანია და ლალაია, მართალია, დანიელი მწერალი აღიარებს, რომ გერმანელებმა უფრო კარგად და ღრმად შეისწავლეს ანტიკური საბერძნეთი, უფრო ჩასწვდნენ და ამოიცნეს ამ კულტურის საიდუმლო, უფრო გაიგეს და აითვისეს იგი. მაგრამ ეს იმას არ ადასტურებს, რომ გერმანელები უფრო მეტად ჰგვანან ძველ ბერძნებს, ვიდრე ფრანგები. არსებითი ის გახლავთ, – გვეუბნება გეორგ ბრანდესი –, რომ გერმანელებმა იციან ზომიერება პრაქტიკულ წამოწყებაში, მაგრამ აზრებსა და ფანტაზიებში მათ უყვართ უსაზღვროება და უზომობა. ამ მიზეზის გამო ისინი იმარჯვებენ იქ, სადაც ქრება პლასტიკური ფორმა – მეტაფიზიკაში, ლირიკულ პოეზიაში, მუსიკაში. მაგრამ მათი მეცნიერება სავსეა ვარაუდებით. მათი ხელოვნება კი გამოირჩევა უფორმობით. კოლორიტი სუსტი მხარეა გერმანელთა ფერწერისა.

პლასტიკურობა სუფთა ძველბერძნული თვისებაა. აქ ფრანგები ძალიან ახლოს არიან ძველ ბერძნებთან.

გრიგოლ რობაქიძე ეთანხმება ბრანდესის დასკვნას და თავად დასძენს: «გერმანელთა შემოქმედება მართლაც მოკლებულია პლასტიკურ გენიას. გერმანიის ყველაზე უფრო პლასტიკური პოეტი გოეთე ფლობს უმაღლეს სინთეტიკურ ნიჭიერებას, მაგრამ პლასტიკური განხორციელების ძალაში ისიც უთმობს ადგილს ლათინურ რასას. ქანდაკების დარგში ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ამ საქმეში ფრანგთა პლასტიკური გენია ბევრად უფრო ძლიერია და მზიური, ვიდრე გერმანული. განა სახელგანთქმული მაქს კლინგერი შეიძლება შევადართოთ როდენს? გერმანელთა აზრიც არ არის პლასტიკური. ამ კუთხით გასაოცარია კანტი, ნამდვილი პირმზო გერმანული აზრის. მას შეიძლება ვუწოდოთ

ხვეულობის გენია (гения извилистости), მაშინ როდესაც მისი ანტიპოდი ელინი პლატონი არის პლასტიკური, გახსნილი აზრის გენიოსი». ამიტომ, – განაგრძობს გრიგოლ რობაქიძე –, ანტიკური საბერძნეთის მოტრფიალე გერმანელები, მაგალითად, ჰოლდერლინი და ნიცშე, შინაგანად ამბოხებული იყვნენო გერმანული სულის წინააღმდეგ.

რაკი გრიგოლ რობაქიძე მზიური კულტურის აპოლოგეტი იყო, დასაშვებია ვიფიქროთ, რომ ამ პერიოდში მისი სიმჰათია საფრანგეთისაკენ იხრებოდა. თუმცა მთლად მკაფიოდ ეს არ ჩანს.

მაგრამ კულტურის ხასიათისა და არსის ამოხსნით ვერ განსაზღვრავ ომის შედეგს. როგორც გრიგოლ რობაქიძე ამბობს, ომი ცოცხლობს არა ჰამლეტის ფიქრითა და განსჯით, არამედ ნაპოლეონის ნებით. ამ კუთხით ქართველი მწერლის ერთგვარ გაკვირვებას იწვევს ის, რაც მორის მეტერლინკს უთქვამს.

მორის მეტერლინკი მისტიკოსი იყო. იგი ამბობდა: არსებობს არა მხოლოდ ხილული და ხელშესახები სამყარო, არამედ სულიერი და უსხეულო სამყაროც, რომელიც უფრო ღრმაა და საიდუმლო, ვიდრე პირველი. ის, რაც ხდება ისტორიულ საზღვრებში, წინასწარ არის განსაზღვრული და განპირობებული საიდუმლო სამყაროს მისტიკურ გეგმებით. მისტიკური მოვლენები არც ისე იოლი ამოსაცნობია, რომ ადამიანური გონებით მისწვდე ყველაფერს და მთლიანად. მაგრამ რაღაცის აღქმა მის ჰიერატულ მონახაზში მაინც მოხერხდება. რას ვხედავთ? ერთი შეხედვით იხატება ახლანდელი ომის სუფთა გარეგანი საფუძველი: გერმანელი ხალხის მისწრაფება მსოფლიო ჰეგემონიისაკენ, სიხარბე და შური, ვილჰელმ მეორის განდიდების მანია და მისთანანი. მაგრამ ყველაფერი ეს მსოფლიო მოვლენების მისტიკური არსის შემთხვევითი გარსია. თანამედროვე გერმანიის სახით ნისლშია გახვეული მისტიკური გადაწყვეტილებანი. ამ გადაწყვეტილებების თანახმად, გერმანიამ უნდა გაიმარჯვოს. ეს იმიტომ, რომ ყოველ ხალხს წინასწარ აქვს განსაზღვრული მსოფლიო ჰეგემონია ისტორიული განვითარების გარკვეულ საფეხურზე. ფრანგებს ეს ჰეგემონია ასი წლის წინათ მიეცათ და იგი უკვე გაიარეს. შემდეგ ინგლისელებმა შექმნეს უზარმაზარი იმპერია. მაგრამ ახლა ინგლისელთა მსოფლიო ბატონობა თანდათანობით სუსტდება. იგი ირყევა. რუსეთის დრო ჯერ არ მოსულა. იგი უფრო გვიან დადგება. რჩება გერმანია. სხვები გამოირიცხნენ. ამიტომ ახლანდელ ომში ბედისწერა გერმანიის მხარეზეა. ეს კი ნიშნავს, რომ ბრძოლა გერმანიის წინააღმდეგ არის ბრძოლა ბედისწერის წინააღმდეგ. საშინელი კითხვა ბურღავს ტვინს – შეიძლება დამარცხდეს ბედისწერის სასტიკი და ბრმა ძალა? მეტერლინკის პასუხი დადებითია – შეიძლება. თუ დამარცხდება გერმანია, მასთან ერთად დამარცხდება ბედისწერის ბნელი ძალაც. ამით კაცობრიობის ისტორიის ახალი გზა გაიხსნება. ნაცვლად ბედისწერის სტიქიონისა, კაცობრიობის მართვა შეიძლება ადამიანის გონიერებას. ამისათვის ანტანტამ ყველაფერი უნდა იღონოს.

მეტერლინკის მსჯელობასა და დასკვნას გრიგოლ რობაქიძე ძალიან გაუკვირვებია. თუ აქამდე ბელგიელი მწერალი თავის თხზულებებში ამტკი-

ცებდაო, რომ ცხოვრებაში ყველაფერი წინასწარ არის გადაწყვეტილი ბედისწერის მიერ, ახლა მოულოდნელად ამხედრებულა მის წინააღმდეგ. ეს ძალიან საყურადღებო და ნიშანდობლივიაო.

მე აღარ შევუდგებო, – გვეუბნება გრიგოლ რობაქიძე, – ბედისწერის ფილოსოფიური აზრის ანალიზს. მაგრამ იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ ინერტული წინ ეღობება შემოქმედებითს, სტიქიური – ცნობიერს, უპიროვნო – პიროვნულს და ყველაფერი ეს ბედისწერის ბეჭედს ატარებს, მაშინ ბედისწერის ცნება ემთხვევა ქაოსის ცნებას. ამდენად, ქაოსის წინააღმდეგ ბრძოლა არის ბრძოლა ბედისწერის წინააღმდეგაც.

საბედისწერო შინაგანად ახასიათებს სიცოცხლეს. ამიტომ ბედისწერა წამდვილი ძალაა. მაგრამ შინაგანად სიცოცხლეს სხვაც ახასიათებს – ანტიბედისწერაც. ამიტომ სიცოცხლე გაუთავებელი ომია, გამოვლენილი უმოწყალო წინააღმდეგობებში. ამაშია ცხოვრების ტრაგედია. უბედისწეროდ არ არსებობს ტრაგიკული. აქ არის ცხოვრების შემოქმედება. საბედისწეროს თვინიერ არ არის შემოქმედება. საბედისწეროს დაძლევა ხდება ლოგოსის შემოქმედებითი ძალით. ამით წყდება ტრაგიკულის პრობლემა შემოქმედებაში, რომლის მიზანია სამყაროს ცნობიერების პიროვნული განმტკიცება.

თანამედროვე ომში იმდენია სტიქიური და ირაციონალური, რომ იგი ჰგავს პლანეტების ბრძოლას. ამიტომ საბედისწეროც არის. მაგრამ ისიც უეჭველია, რომ პლანეტების ბრძოლა გამოიწვევს ცხოვრების პლანეტურ ფერისცვალებასაც. თანამედროვე ადამიანის ფსიქიკა ომის ბრძმედში გაღრმავდება და გაფართოვდება. მაგრამ უნდა განვსაზღვროთ, რა მიმართულებით წავა ეს წინააღმდეგობა-დაპირისპირება. დიდი გადატრიალებისათვის დიდი შერყევია საჭირო, უმაღლესი ფერისცვალებისათვის – უმაღლესი დამაბულობა. თანამედროვე ომი უმაღლესი რყევია და დამაბულობა. ამიტომ შეუძლებელია მისმა შედეგმა არ მოიტანოს გადატრიალება ცხოვრებაში და ფერისცვალება სამშვიდველში. ეს გადატრიალება და ფერისცვალება უთუოდ გამოიხატება იმით, რომ კაცობრიობის შემოქმედებითი ძალისხმევა წარმართება ქაოსურის, ირაციონალურის, მაშასადამე, საბედისწეროს შესამცირებლად. უფრო მგრძობიარე შემოქმედებითი ადამიანები ამას უკვე ხვდებიან. მაგალითი მორის მეტერლინკია. ჭეშმარიტად, ოცნებით გატაცებული ჰვრეტის ფერმკრთალი უძლურება ადგილს უთმობს შემოქმედებითი ძალის ნებისყოფიან მისწრაფებას, – ამთავრებს სტატისას გრიგოლ რობაქიძე.

კალმოსანი ადამიანების ეს სჯა-ლაპარაკი, ანალიზი და დასკვნები გონებას აფხიზლებდა, ტვინს ჩარხავდა, თორემ ომის დინებაზე ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენდა. დაწერილი და დაბეჭდილი მოაზროვნე ადამიანების ვიწრო წრეში ტრიალებდა. ვინც ომს წარმართავდა და იბრძოდა, მათ ამ დაწერილ-დაბეჭდილის წაკითხვის არც სურვილი ჰქონდათ და არც დრო. მით უფრო დაფიქრებისა და გადაწყვეტილების გამოტანის. საბედისწერო სტიქიური და ირაციონალური ძალა თავისას აკეთებდა. აინუნშიაც არ მოსდიოდა გამარჯვება

ვის დარჩებოდა და რა ფასად, რა გადატრიალება და ფერისცვალება მოჰყვებოდა მას კაცობრიობის ცხოვრებაში.

არც ის უწყის ვინმემ, რას მოუტანს საქართველოს მსოფლიო ომში ამა თუ იმ მხარის გამარჯვება. რუსეთის დამარცხება მოასწავებს კი საქართველოს განთავისუფლებას თუ ის სხვა მტაცებელს ჩაუვარდება ხელში? რუსეთის გამარჯვება იქნება კი საქართველოს ყველა იმედის დასამარება? ერთხელ და სამუდამოდ გაიწირება გადაშენებისათვის? საქართველოში ზედმიწევნით ზუსტად იციან, რომ რუსეთში არავინ წუხს ჩვენი ქვეყნის მომავლით. ჯერ კიდევ 1911 წლის 11 იანვარს წერდა არჩილ ჯორჯაძეს გრიგოლ რობაქიძე: «საქართველოს ბედ-იღბალი მათ (რუს მწერლებს – ა.ბ.) ისე აინტერესებთ, როგორც მარსის მცხოვრებნი. სხვათა შორის, ახალგაზრდა ქართველის ტრაგედია ამაშიცაა». მართლაც ამბობდა. ტრაგედია იყო ის, რომ ისევ რუსის იმედად იყო ახალგაზრდა ქართველთა თაობა. ისევ რუსეთიდან მოელოდა შველას. ამას ისიც ადასტურებდა, რომ პოლიტიკით დაინტერესებული ქართველი ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა ისევ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ედგა გვერდით. მისი იდეალების განხორციელებაზე ოცნებობდა. ამასვე აკეთებდა ქართველი მწერლობის ახალი თაობის დიდი ნაწილიც. ისიც რუსეთს მისდევდა კუდში და ბევრჯერ დაუფიქრებლად იმეორებდა იმას, რასაც მოსკოვ-პეტერბურგში გაიგონებდა.

როცა 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ რუსეთის მონარქია დაამხო, თითქოს ის ასრულდა, რაც საქართველოში ენატრებოდათ. მაგრამ სულ მალე ახალი ხიფათის კონტურები ძალიან ნათლად გამოიკვეთა. უსუსური, უღონო და უძლური აღმოჩნდა რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია. ძალიან იოლად, არსებითად წვიპურტის გაკვრით სანაგვეში მოისროლა იგი ახალმა რევოლუციამ, ოქტომბრის ბოლშევიკურ-კომუნისტურმა რევოლუციამ. ამ ამბავმა ჩამოაღწია თუ არა საქართველოში, გრიგოლ რობაქიძემ მაშინვე ივარაუდა: «ადვილი შესაძლებელიაო ამ შეხლაში ბოლშევიზმი გამოვიდეს გამარჯვებული» («საქართველო», 1917წ., _237). ამის აღიარება მისთვის ადვილი არ უნდა ყოფილიყო. იგი ყოველთვის ეჭვის თვალით და უნდოდ უყურებდა მარქსიზმს. გერმანიაში რომ სწავლობდა, მაშინ ბევრჯერ გაუკრიტიკებია მარქსიზმის სოციოლოგიური სისტემა. სამშობლოში დაბრუნებულსაც არაერთგზის გამოუთქვამს თავისი აზრი მარქსიზმზე. განსაკუთრებით არ მოსწონდა კლასობრივი ბრძოლის თეორია.

«მარქსიზმი ამართავს «ეკონომიკას» ერთად ერთს პრინციპად სოციალურს ვითარებაში და სოციალურს ცხოვრებაში სცნობს მხოლოდ კლასიურ დაყოფას. ყველა სხვა დაყოფა – რასიული, ეროვნული, რელიგიური და სხვა – მარქსიზმისათვის ან სულ არ წარმოადგენს რაიმე მნიშვნელოვანს, ან თუ წარმოადგენს მხოლოდ იმდენად, რამდენად ამგვარი დაყოფა, მარქსიზმის აზრით, მხოლოდ უბრალო ვარიაციაა კლასიური დაყოფისა» («საქართველო», 1918წ., _37).

მარქსიზმის მიმდევარი ქართველი სოციალიტები დაპირისპირებაში – კლასობრივი თუ ეროვნული – უპირატესობას კლასობრივს ანიჭებდნენ. ეს ყოვლად მიუღებელი იყო გრიგოლ რობაქიძისათვის. იგი მოითხოვდა, რომ ეროვნულს მისცემოდა უპირატესობა, «რადგან მხოლოდ თავისუფალს ეროვნულს სხეულში შეიძლება კლასთა ბრძოლის გაღრმავება და მისი მართებული სოციალური გადაწყვეტა». ამ აზრის სიმართლის დასამტკიცებლად ორ ფაქტს იშველიებდა.

პირველი: მსოფლიო ომმა ცხადად აჩვენა, რომ საერთაშორისო პროლეტარიატი არ არსებობდა. სამშობლოს დასაცავად პროლეტარიატიც ისევე იბრძოდა, როგორც სხვა კლასები (არისტოკრატია, ბურჟუაზია). ლოზუნგი – «პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით» –, ომის დროს, შეიცვალა ახლით – «პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, იბრძოლეთ სამშობლოსათვის». ასეც მოიქცა პროლეტარიატი, როცა სამშობლოს მტერი დაემუქრა. «პროლეტარიატი ნამდვილ განსაცდელში აღმოჩნდა, რომ ეროვნული მომენტი მასში ბევრად უფრო ღრმა და რთული ყოფილა ვიდრე სოციალური მომენტი. სინამდვილეს ვერავინ უარყოფს: ერთი ქვეყნის პროლეტარიატი ებრძვის მეორე ქვეყნის პროლეტარიატს... ყველა ქვეყნის პროლეტარიატი იბრძვის შეგნებულად და ზოგის მათგანის ბრძოლას ერთგვარი აღფრთოვანების პათოსიც ახასიათებს».

მეორე: თუ კლასობრივ ბრძოლას გავყვებით, მაშინ ეროვნული სახელმწიფო იღუპება. «პროლეტარიატის მიერ წამოყენებული კლასთა ბრძოლა იმარჯვებს იმდენად, რამდენადაც იგი ეროვნულს ხელმწიფებაში ყალიბდება. ავიღოთ ფინლანდია და უკრაინა: პირველშია და მეორეშია უცილოდ გაღრმავებულია კლასთა ბრძოლა, მაგრამ უკანასკნელი დაქვემდებარებულია ეროვნულს მომენტს. იქ, სადაც წინააღმდეგი ხდება, მაგალითად, ველიკორუსიაში, იქ კლასთა ბრძოლა ეროვნულ სახელმწიფოსაც ღუპავს და თვითონ რევოლუციასაც» («საქართველო», 1918წ., _37).

საერთოდ, გრიგოლ რობაქიძე თავდაპირველად სოციალიზმის მოწინააღმდეგე არ ყოფილა. ეს ცხადად ჩანს მის დამოკიდებულებაში არჩილ ჯორჯაძისადმი. არჩილ ჯორჯაძეც სოციალისტი იყო. მაგრამ მას სოციალიზმი ეროვნული პრობლემის მოსაგვარებლად და გადასაჭრელად უნდოდა. ასეც წარმოიდგენდა გრიგოლ რობაქიძე არჩილის მოღვაწეობას.

«არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობის საგანი ეროვნებაა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, სამშობლო საქართველო, და ეს საგანი არ არის მისთვის განყენებული, თეორიული. პირიქით, იგი მისთვის საკუთარი ხორცსხმული სინამდვილეა. ეროვნების პრობლემა თვითონ მისი პიროვნების პრობლემაა. უზომო სიყვარული სამშობლოს ტანჯული სხეულისა და თეორიული ცდა მისი სხეულის გამოხსნისა – აი, მთავარი მომენტი ჩვენის ავტორის კალმისა». მაგრამ ერი კლასობრივი ბრძოლით კი არ ვლინდებოდა, არამედ კულტურის შემოქმედებით. «მისი აზრით, თუმცა ეს მას ღიათ არ აქვს გამოთქმული, ერი მხოლოდ მაშინ არის ერი, ამ სიტყვის მსოფლიო (და არა ზოოლოგიური) მნიშვნელობით, როცა იგი სუბიექტია კულტურისა. და იქცევა იგი კულტურის სუბიექტად მა-

შინ, როცა იგი თავის მქნე-სულს ხელოვნებაში ჩამოასხამს, რელიგიაში აცდობს (შიც. ალბათ უნდა იყოს – აწრობს – ა.ბ.) და ფილოსოფიურ აზროვნებაში განამტკიცებს» («კოლხიდა», 1911წ., _138).

არჩილ ჯორჯაძის სოციალიზმი გრიგოლ რობაქიძისათვის მისაღები და მხარდასაჭერი იყო, მაგრამ მარქსისტული სოციალიზმი, მისი კლასობრივი ბრძოლის თეორიით, მეტისმეტად საშიში და სახიფათო.

გრიგოლ რობაქიძე თავზარდაცემული აღმოჩნდა, როცა კლასობრივი ბრძოლის თეორიამ პრაქტიკული განხორციელება დაიწყო საქართველოში. კლასობრივი ბრძოლის თეორიით წაქეზებულმა ნაირნაირი ჯურის ავაზაკებმა 1918 წელს ქართლში ამოწყვიტეს ციციშვილები, მაღალაშვილები, ყარანგოზიშვილები, თურქესტანიშვილები. დაარბიეს და ააწიოკეს ამირეჯიბები, ბაგრატიონ-დავითაშვილები, ფალავანდიშვილები. გამარცხეს და ააოხრეს თამარაშენი, წერონისი, კნოლვეი და სხვა სოფლები. სასტიკად სცემეს კონსტანტინე ამირეჯიბს. გაოგნებულ-გაოცებულ გრიგოლ რობაქიძე კითხულობდა – «როგორ წავა შეგნებული გლეხი კონსტანტინე ამირეჯიბის წინააღმდეგ, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე სოფელს შესწირა. შეიტანა შიგ ევროპული ცოდნა და გამოცდილება და რამოდენიმე წლის განმავლობაში ავლევდა უმშვენიერეს კულტურულ სოფლად გადააქცია?!» მნიშვნელობა არაფერს ჰქონდა, არც ღვაწლს, არც დამსახურებას, არც ცოდნა-განათლებას, არც ასაკს. მხოლოდ ბრმა ბოღმა და გესლი წარმართავდა გონებადუხჭირ ბრბოს. მიედინებოდა სისხლი ღვარქავად.

«ყოველი ქართველი უნდა ცდილობდეს საქართველოს ფიზიკურად დაცვას. თუ სამოქალაქო ომში ჩვენ ერთი მეორეს დაუზღუფეთ ხოცვა, მაშინ რაღათ გვინდა ან ეროვნული თავისუფლება და ან რომელიმე სოციალური იდეალის განხორციელება? ერთი მეორის შინაგანს ბრძოლაში გაჟღეტილს ერს აღარც პირველი ესაჭიროება და აღარც მეორე. ამისათვის საჭიროა სოციალისტური ლოზუნგების მეტი სიფრთხილით ხალხში გადასროლა. ვინ იცის, რამდენ სიბოროტეს წარმოშობს ეხლა ასეთი სიტყვები: «გაყვლეფა», «სისხლის მწოველები», «გაბატონებულები» და სხვა. განსაკუთრებით უადგილოა ამ ჟამად სოციალისტური რევოლუციის ქადაგება. ერი, რომლის ბედი «ბეწვზე ჰკიდია», სოციალური საკითხების გადაჭრას ვერ მიუდგება. მან ჯერ თავის თავი უნდა დაამკვიდროს და განამტკიცოს და მხოლოდ შემდგომ ექნება მას შეძლება შემოქმედი ხელი მიჰყოს სოციალს რღვევასა და შენებას» («საქართველო», 1918., _29).

გაფრთხილებით კი აფრთხილებდა, მაგრამ ყურს არავინ უგდებდა.

ამ მძიმე ვითარებაში კიდევ ერთი საიდუმლოს ამოცნობა მოიწადინა გრიგოლ რობაქიძემ. რატომ იყვნენ უმთავრესად გურულები სოციალიზმის მომხრე და მქადაგებლები – მწერლები ეგნატე ნინოშვილი, პოლიო ირეთელი, ლალიონი, ჭოლა ლომთათიძე, პოლიტიკოსები – სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე ჟორდანიას, ფილიპე მახარაძე, რამიშვილები – ისიდორე და ნოე, ბენია ჩხიკვიშვილი, ნოე ხომერიკი და სხვანი მრავალნი? თითქოს გურიის ბუნება და გურუ-

ლის ხასიათი ეწინააღმდეგება სოციალიზმს, მის სიმტკიცეს და დაუნდობლობას.

«განსაცვიფრებელია გურიის ნელი სირბილე, – წერს გრიგოლ რობაქიძე («საქართველო», 1917წ., _299). იქ ვერ მონახავთ ვერც ერთს «მყვირალა» ფერს. იქ ვერ იხილავთ ვერც ერთს უხემ ხაზს. იქ ყოველი ნივთი რბილია, ნაზი, მჩატე, მსუბუქი, ნარნარი. თვითონ მთებიც კი გურიაში მკაცრი ნატეხობით კი არ არის ამართული, არამედ ხავერდოვანის სირბილით».

ბუნების სირბილეს შეესაბამება გურულის ხასიათიც. «გურიაში ძალზე არის განვითარებული გრძნობა თავის თავის ღირსების. «არისტოკრატიულობა», «რჩეულობა» გურულთა «რასის» მთავარი ნაკადია. ამ მხრივ თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ არსებობს...». ასევე თანაბრობაა გურიაში ნიჭიერების მხრითაც. «გურიაში თითქმის ყველა ნიჭიერია. აქ არ არის უფსკრული გათხრილი «პიროვნებასა» და «მასას» შორის». მართალია, გურიაში სიღარიბე საყოველთაოდ გავრცელებულია, მაგრამ «ძვირად თუ ვინმე სხვა ქართველი ისე ლამაზად ჩაცმული გამოვა, როგორც გურული».

გურულების ამგვარი დახასიათების შემდეგ, როგორ ავხსნათ სოციალიზმის ლიანგური სიყვარული და გავრცელება გურიაში? სოციალისტური მოძღვრება, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება არისტოკრატიული წარჩინებულობის მიდრეკილებას, როგორ შეუთავსდა გურულის «არისტოკრატიულობას», «წარჩინების პათოსს» ამ კითხვას, რომლითაც დიდად დაინტერესებულა გრიგოლ რობაქიძე, ასეთ პასუხს აძლევს:

«ისინი გამოვიდნენ სოციალისტებად, რადგან სულით უაღრესად აზნაურები არიან და ყოფით ღარიბნი. მათ სხვაზე უფრო ესაჭიროებათ მდიდარი მატერიალური ყოფა, ისტორიულ თანდათანობას ისინი ვერ შეურიგდებიან. ამისათვის მათ აკლიათ უკულტუროს თმენა და გემოს არცოდნა. «როდემდის ვიცადოთ?»... თანვე ისიც დაგუმატოთ, რომ მათ მიერ სოციალიზმის მიღებას ხელს უწყობდა უთუოდ ზემოაღნიშნული თვისება: ერთნაირად დაჯილდოება ნიჭით. ეს «ერთნაირობა» ფსიხოლოგიური პირობაა სოციალიზმის მიღებისათვის. და მიუხედავად იმისა, რომ გურულები სოციალისტური სამოსელით გვეჩვენებიან, მათი ფსიქიკა მაინც აზნაურულია. ყველაფერი შეიძლება ამომართოთ გურულში, მაგრამ «წარჩინებულობის», «რჩეულობის» გრძნობას მათში ვერავინ ამოშლის. გურულის სიამაყე – «პათოსია მანძილის» (იგულისხმება: «ჩემსა» და «სხვებს» შორის)».

არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით, რამდენად სწორად და საბუთიანად ამოხსნა გრიგოლ რობაქიძემ გურულების გატაცება სოციალიზმით, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ, როცა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ხელისუფლების სათავეში ქართული სოციალ-დემოკრატია მოკალათდა, რომელიც ღვიძლი ძმა იყო რუსული სოციალ-დემოკრატიისა.

გზაჯვარედინი

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ორი წელი და ცხრა თვე იარსება. 1921 წლის თებერვალ-მარტში იგი დამარცხდა და არსებობა შეწყვიტა. ჯერჯერობით ძალიან ცოტა ვიცით, რას აკეთებდა და როგორ ცხოვრობდა გრიგოლ რობაქიძე ამ პერიოდში. როცა ძირფესვიანად იქნება შესწავლილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივი, ალბათ, ბევრ რამეს მოეფინება ნათელი. ჯერჯერობით ის ვიცით, რომ იმჟამინდელი საქართველოს მთავრობის კანცელარიაში გრიგოლ რობაქიძეს სტილისტის პატარა თანამდებობა ეჭირა. «მაშინ მე მთავრობის საქმეთა სამართველოში ვმუშაობდი, როგორც ლიტერატურულად დამმუშავებელი მთავრობის დადგენილებათა».¹

1917-21 წლების თბილისში ბობოქარ ცხოვრებას ეწეოდა ლიტერატურაც და ხელოვნებაც. გრიგოლ რობაქიძეც მისი აქტიური მონაწილე იყო. ეს «ფალესტრა»-რომანშიც ცხადად ჩანს. ისიც აღსანიშნავია, რომ გრიგოლ რობაქიძის მეგობრების ერთ ჯგუფს დამფუძნებელი კრების არჩევნებშიაც მოუწადინებიათ მონაწილეობის მიღება. 1919 წლის თებერვალში «მეოცნებე ნიამორები» იუწყებოდნენ, რომ არჩევნებში მეთორმეტე ნომრით «პატრიოტების ესთეტიკური ლიგა» გამოდისო. ამ ლიგაში შედიოდნენ პაოლო იაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, პავლე ინგოროყვა, ტიციან ტაბიძე, ლადო გუდიაშვილი, ალი არსენიშვილი.

გრიგოლ რობაქიძე პოლიტიკურ მოღვაწეობას მაინცდამაინც სახარბიელო საქმედ არ თვლიდა. თუმცა პოლიტიკოსებზე წერა კი უყვარდა. ნოე ჟორდანიასაც ხოტბა ერთ-ერთმა პირველმა შეასხა.

«ქართველი პოეტისათვის საამაყოა პირდაპირ რომ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მწერალია ნამდვილი. თუ სტილი არა ჟორდანიას წერის მანერა უთუოდ აქვს. მის ნაწერში არ არის არც კორძიანი ხაზი და არც დაგრანული ხვეული. იქ ყოველი სიტყვა სადათ მოკვეთილია და ყოველი ფრაზა სხარტად გამოჭრილი. ჟორდანიას უფრო ლაპიდარული ფორმულებით ლაპარაკობს, ვიდრე დისკურსიული პერიოდებით. მის ფორმულებში მონუმენტალური პრიმატივის ქვებია... მას არ უყვარს სიბნელე და სძულს განყენება. მის სიტყვაში ჭირვალი სინათლეა და სხეულიანი კონკრეტობა. ამ აზრით იგი ფრანგებს უახლოვდება. საკვირველი არ არის, რომ ჟორდანიას პირველს შემოედო ფრანგული ჟურნალიზმი».

ნოე ჟორდანიას გარეგნობაც ძალიან მოსწონდა გრიგოლ რობაქიძეს: «ჟორდანიას პროფილი ძველი ღერბია სურნელოვან პერგამენტზე. მისი სახე თეთრი მედალიონია მოხუცი ბიბლიის. მასში მოსჩანს კეთილშობილი რასსა: ქალდეას ველებში გამოხურვებული და კავკასიონის კალთებით განელებული. ქურუმები ძველად ღმერთებს ალბათ ასეთი სახით ელაპარაკებოდნენ. არის ჟორდანიას პროფილში უცნაური სირბილე არა მარტო გურიის ველების, არამედ მთელი იბერიის მიწის. ჟორდანიას რასსიული ტიპია საქართველოსი.

მე მიყვარს ჟორდანიას აცეცხლება: მაგრამ მის ანთებაში ტემპერამენტია სათნოებისა და არა ცეცხლი სიავის».

გრიგოლ რობაქიძე, როგორც ემოციური ბუნების ადამიანი, იოლად ეგზონებოდა. ამ გზების გამო ზოგჯერ ადვილად ტყუვდებოდა. ეს მერეც, მოგვიანებითაც გამოვლინდა. გადაჭარბებული აღტაცებაც ამ გზების ბრალია. ტიცთან ტაბიძეს აღწერილი აქვს გრიგოლ რობაქიძის ერთი გამოსვლა ფუტურისტთა პაექრობაზე კაფე «იმედში». ვრცელი ამონაწერი უნდა მოვიტანო, რომ მკითხველმა ცხადად დაინახოს – როგორ ეგზონებოდა გრიგოლ რობაქიძე (სიტყვა «გზნებაც» ამიტომ უყვარდა).

«როცა ფუტურისტების ფრონტი მოიხსნა და ა.კრუჩიონიხი ჩხაოდა, როგორც მოგდებული კატა, სიტყვა აიღო გრიგოლ რობაქიძემ. ეს იყო ქარიშხლის მოვარდნა (ალბათ ეს ღამე დაამახსოვრდა ა.კრუჩიონიხს, როცა გრიგოლ რობაქიძეს დაარქვა специалист по Апокалипсису и безумию). არ ვიცი იმ ღამეს ვისთვის ლაპარაკობდა გრიგოლ რობაქიძე: ამართლებდა ფუტურისტებს, თუ ამართლებდა თავის თავს, რომელიც ბედმა გასწირა ამ ღვაწლისათვის («არღვმგ») – ამოევსო ყველა ხრამები ქართული კულტურის და ხანდისხან ამისათვის მორიდებოდა პირდაპირ გზას...

ის ლაპარაკობდა გაცოფებული და ერთათ ერთი სიტყვა იყო, როცა ის თავის წინ არავის ხედავდა. მას უღალატა ორატორის ზომიერებამ. ის ყვიროდა, როგორც დაჭრილი ვეფხვი...

ლადო გუდიაშვილი ამ ღამის შემდეგ ჩაიკეტა თავის სახლში და დახატა გრიგოლ რობაქიძის პორტრეტი. ეს არის უდიდესი, რაც შეუქმნია ლადო გუდიაშვილს. გრიგოლ რობაქიძე არწივის თავით, რომელსაც გადმოსდის ტვინი ბალღამივით და შუბლი შედრეკია ისე, თითქოს მაცხოვარს ჩასცეს ლახვარი. ამ ღამის სიმფონიის გადმოცემა არ შეიძლება...

ამ აპოკალიპსის ორკესტრიდან რამდენიმე ფრაზა დავიმახსოვრე. აქ იყო ლაპარაკი ნიცშეს ინსტიქტების ანარქიაზე, ედგარ პოეს მიწის ქვესკნელის გაჟრჟოლებზე, გეოლოგიურ კატასტროფებზე... დასკვნა ასეთი იყო: ფუტურისტები გამართლებული არიან ცხოვრებით. თქვენ ამტკიცებთ, რომ ისინი შეგნებულად ჯამბაზობენ. მაგრამ კარგი. თუ საუკეთესო ახალგაზრდობა საფრანგეთის, რუსეთის, საქართველოსი და შეიძლება მთელი ქვეყნისაც შეგნებულად ჯამბაზობს, მით უარესი თვითონ ქვეყნისათვისო.

ამ ღამეს გრიგოლ რობაქიძემ გახსნა თავის მასკა. ამ ღამეს ის არ იყო მთაწმინდელი, ღვაწლით შემოსილი. მასში დასძლია პოეტის უკიდურესობამ... შეიძლება ეს ღამე ყოფილიყო ქართული ფუტურიზმის დეკლარაცია, მაგრამ ეს იყო წმინდა ანტონის ცდუნება.

ეს ღამე მართლა იყო იერონიმუს ბოსხის ფანტასტიკიდან და ჩაბნელებული ესკურიალივით. ჩემთვის ის აქამდე დარჩა, როგორც ნიშანი. მხოლოდ უდიდესი სიყვარული, როგორც მეტრისადმი, მაბედიებს ვსთქვა, რომ იმ ღამეს გრიგოლ რობაქიძე დარჩენილიყო თავის თავის მიმდევარი, დადაიზმი უკვე ფაქტი იყო საქართველოში. ეს იყო დაგუბებული იარის გახსნა, ბალღამის დაწვეთება («მეოცნებე ნიამორები», 1923წ., _10)».

ტიციან ტაბიძის დახატულ სურათში მინდა მკითხველმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სამ ადგილს. ამიტომ გავიმეორებ მათ.

«ის ყვიროდა, როგორც დაჭრილი ვეფხვი».

«თუ საუკეთესო ახალგაზრდობა საფრანგეთის, რუსეთის, საქართველოსი და შეიძლება მთელი ქვეყნისაც შეგნებულად ჯამბაზობს, მით უარესი თვითონ ქვეყნისათვის...».

«ეს იყო დაგუბებული იარის გახსნა, ბალდამის დაწვეთება».

გრიგოლ რობაქიძე ფუტურიზმს არ იცავს, როგორც ლიტერატურულ მიმდევრობას. იგი იცავს განახლების იდეას. განახლებაა აუცილებელი არა მარტო ლიტერატურული ცხოვრება-საქმიანობისათვის, არამედ მთელი ყოფიერებისათვისაც. ლიტერატურული ჯამბაზობა მაშინ იბადება, როცა მწერალი სასოწარკვეთილია. სინამდვილეში ფასეულს ვერაფერს ხედავს. როცა თავად ადამიანმა დაკარგა ღირებულება და მწერალი (საერთოდ ხელოვანი) ამიშვლებს მას. დასცინის. კარიკატურულად დაკნინებულს წარმოადგენს. თუ ფუტურიზმის მიმდევარი ახალგაზრდობა ამ თვალსაზრისით ჯამბაზობს, მაშინ, მართლაც უარესი კაცობრიობისათვის. მაგრამ იქნებ ასე არ არის? იქნებ ეს განახლების ძიებაა?

განახლების გზების ძიება გრიგოლ რობაქიძის უმთავრესი მიზანია, უმთავრესი ტკივილია. დაგუბებული იარა გახსნილია. თავადაც არ არის იგი დარწმუნებული, რომ განახლებისათვის, რომელსაც ეძებს, გამოდგება თუ არა ფუტურიზმი. უფრო მეტიც: გამოდგება თუ არა ის, რევოლუცია, რომელიც მის თვალწინ მოხდა და ჯერ არავინ უწყის – საით წავა და რას მოიმოქმედებს. ან საქართველო რას იზამს, მოხვედრილი ამ ორომტრიალში.

იმისათვის რომ განახლების ოცნება საქმედ აქციო, დაჭრილი ვეფხვის ენერჯიაა საჭირო.

გრიგოლ რობაქიძის უმთავრესი თხზულებანი ჯერ დაწერილი არ არიან, მაგრამ ტიციან ტაბიძემ, პოეტის გუმანით, უკვე დაინახა მისი უფროსი მეგობრის შინასახე.

როცა გრიგოლ რობაქიძე კაფე «იმედში» სიტყვას ამბობდა, ქართული მწერლობაც და მთელი საქართველოც გზაჯვარედინზე იდგა. ან დაიწყებოდა განახლება ან ახალ ჩიხში მოექცეოდა ქართული მწერლობაც და საქართველოც. მაგრამ განახლებას, საერთოდ ქვეყნის განახლება იქნება იგი თუ, კერძოდ, მწერლობისა, სჭირდება ენერჯია როგორც მამაკაცური, ისე დედაკაცური. ვაჟი ვაჟს უნდა ჰგავდეს და ქალი – ქალს. განახლებას ვერ მოახერხებს გაქალაჩუნებული, გადედლებული, გათეიმურაზხევისთავებული საზოგადოება. ამიტომ **გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების ლაიტმოტივი მამაკაცურობის და დედაკაცურობის ნოსტალგიაა, ვაჟისა და ქალის მონატრებაა.** ეს თანდათანობით მკაფიოდ გამოჩნდება. ახლა მხოლოდ შეგახსენებთ: არჩიბალდ მეკეში, ანუ არჩილ მაყაშვილი, ვამეხ ლაშხი, ლევან ორბელი თუ სხვანი შუა საუკუნეების რაინდებს ჰგვანან (ირუბაქიძის გახსენება და მონატრება). მისი მეგი, კავალა, მზექალა თუ სხვანი – ამორძალებს (ამორძალების ხშირი ხსენებაც მის ნაწერებში).

ამას გრიგოლ რობაქიძე საგანგებოდ აკეთებს. მაგრამ ახლა თხრობის გეზს გადავუხვიეთ და ისევ ძირითად გზას გავყევით.

განახლების პრობლემა გზაჯვარედინზე მდგომმა დემოკრატიულმა საქართველომ ვერ გადაწყვიტა. მან ძალიან ცოტა ხანს იარსება. თუ დამოუკიდებლობის გამოცხადებამ დიდი იმედი დაბადა, მისმა დამარცხებამ სასოწარკვეთილება შვა. სოციალ-დემოკრატიის ერთმა ფრთამ – მენშევიკურმა – ვერაფერი მოახერხა. ქვეყანას ვერ უპატრონა. რას იზამდა სოციალ-დემოკრატიის მეორე ფრთა – ბოლშევიკურ-კომუნისტური? პასუხს ყველა გულისკანკალით მოელოდა. თუმცა მოლოდინი სრულებით არ იყო საჭირო. 1921 წლის 16 მარტს გაზეთში «პრავდა გრუზიი» სერგო ორჯონიკიძე იმუქრებოდა:

«მე მინდა გავაფრთხილო ქართველი ინტელიგენცია, რომ მან არ გაიმეოროს სამწუხარო გამოცდილება რუსეთის ინტელიგენციისა. მხოლოდ ხანგრძლივი საბოტაჟის შემდეგ, რომელსაც ახლდა მძიმე შედეგები ქვეყნისათვის, იგი დარწმუნდა, რომ საბჭოთა რუსეთის გარეთ არ არის ხსნა და მოვიდა საბჭოთა ხელისუფლებასთან სამუშაოდ. ქართველმა ინტელიგენციამ თავისთავს უნდა უთხრას: ძველი მენშევიკური საქართველო მოკვდა. გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ საქართველოს! ასეთი ინტელიგენციისათვის ყველა კარი ღიაა. თუ ინტელიგენცია წავა საბოტაჟის, საიდუმლო შეთქმულების და აჯანყების გზით, ჩვენ მისთვის არ გვექნება სხვა ენა, გარდა ტყვისა».

მკაფიოდ არის ნათქვამი – გარდა ტყვისა. მაგრამ ხალხი მაინც დაბნეულია.

დაბნეულია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ერთი დღის შემდეგ, 1921 წლის 17 მარტს იმავე გაზეთში მეორე ქართველი ბოლშევიკ-კომუნისტი ფილიპე მახარაძე სხვას ამბობს: «წითელი არმია თავისი ნათელი ამოცანის შესრულებისთანავე წავა საქართველოდან». მაგრამ, ეტყობა, ფილიპე მახარაძემ არ იცოდა ის, რაც ჩინებულად უწყოდა გენერალმა პავლე ციციანოვმა. «ნუ ოცნებობთ ტყუილად, ვითომ რუსები საქართველოში დროებით არიან და მალე წავლენო. რუსები, რაკი რომელსამე ქვეყანას თავის გუბერნიად დაჰსახავენ, ფეხს თავის დღეში აღარ მოიცვლიან»,¹ – აფრთხილებდა გარუსებული ქართველი გენერალი 1804 წლის მთიულეთის ამბოხების იმედად დარჩენილ ქართველ თავადაზნაურობას.

დაბნეულია ხალხი, მეორეც, იმიტომ რომ თავდაპირველად ქართველმა ბოლშევიკ-კომუნისტებმა თავი მოიკატუნეს. 26 მაისიც კი იდღესასწაულეს. დიდი ალღუმი გამართეს რუსთაველის გამზირზე დიდების ტაძრის (ახლანდელი სამხატვრო გალერეა) წინ. 1921 წლის 24 მაისს გაზეთ «პრავდა გრუზიის» ცნობით, ზეიმი ტარდებოდა ლოზუნგით – «გაუმარჯოს საქართველოს მუშებისა და გლეხების დამოუკიდებლობას!» 26 მაისიც უღიარებიათ დამოუკიდებლობის დღედ. «ინტერნაციონალთან» ერთად, ეროვნული ჰიმნი სამ-სამჯერ შესრულდა ტაშის გრიალში. ამ დღეს რუსთაველის ძეგლისთვისაც ჩაუყრიათ საფუძველი.

1921 წლის 26 მაისის ზეიმზე სიტყვებით გამოსულან ფილიპე მახარაძე, შალვა ელიავა, სერგეი კიროვი, გრიგოლ რობაქიძე.

28 მაისის «პრავდა გრუზიი» გრიგოლ რობაქიძის სიტყვის შინაარსს ასე გადმოგვცემს:

«ამხანაგებო და მოქალაქენო! დღეს, 26 მაისს, საძირკველი ეყრება შოთა რუსთაველის ძეგლს. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ დიდი რუსთაველის ძეგლის საძირკველის ჩაყრა, მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად, ემთხვევა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს.

საქართველო არ არის უბრალო «ეთნოგრაფიული» ცნება და არც მხოლოდ «გეოგრაფიული მოხაზულობა». საქართველო ავლენს მცირე აზიის მთელ სივრცეზე განფენილ მნიშვნელოვან კულტურას. ამ კულტურის გამოჩენილი გენიოსის შოთა რუსთაველის ძეგლის საძირკველის ჩაყრა იძენს უზარმაზარ აზრს. მუშათა და გლეხთა მასები განსაკუთრებული სიხარულითა და ნდობით შეეგებებიან ამ ძეგლის გახსნას. ხელოვნების განყოფილების სახელით ვაცხადებ, რომ საბჭოთა ხელისუფლების მხარდაჭერითა და მთელი ქართველი ხალხის ნებით, ეს ძეგლი აღიმართება საზეიმოდ და საზეიმოდვე გაიხსნება.

დე, ეს ძეგლი, სიმბოლო ქართული გენიის უნივერსალობისა, იყოს აღმოსავლეთის მთელი კულტურისა და მისი ხალხების დამოუკიდებლობის მონუმენტი. ეს ასე უნდა იყოს და ძეგლის გახსნის მომავალი დღესასწაული იქნება ზეიმი მცირე აზიის ყველა ხალხისათვის.

დიდება თავისუფალ საქართველოს! დიდება განთავისუფლების დღეს – 26 მაისს!

დიდება შოთა რუსთაველს!»

გრიგოლ რობაქიძეს სიტყვა იმიტომ ათქმევინეს, რომ მას უკვე ეჭირა პატარა თანამდებობა განათლების სახალხო კომისარიატში. 1921 წლის აპრილში იგი დანიშნეს განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული მთავარი სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარედ.

თავად გრიგოლ რობაქიძის სიტყვით, «ამ ორგანოს ჰქონდა ორი მიმართულება: იდეოლოგიური და ორგანიზაციული. პირველი მიმართება «განყოფილებას» მიახლოვებით ამ სახით ჰქონდა წარმოდგენილი. ხელოვნება იცვლება იმნაირადვე, როგორც ყოველი დარგი შემოქმედებისა. ყოველ ეპოქას აქვს თავისი რიტმი და თავისი სტილი. დიდი სოციალური რევოლუცია, რომელმაც ძირეულად შეარყია და შეცვალა ადამიანის ყოფა, ცხადია, ხელოვნებაშიაც უნდა შეჭრილიყო. იქმნება ახალი ეპოქა, მამასადამე, იშვება ახალი რიტმი და ახალი სტილი. მთავარ გრეხილად რევოლუციური თანადროულობისა უნდა ჩაითვალოს პსიხიკის კოლექტივიზაცია. შეცნობაში იზრდება და მაგრდება ყოვლადობა და ახლოობა კაცთა და ნივთთა. ვიწროპიროვნული ადგილს უთმობს ყოვლადკაცობრივს. ინტერნაციონალური მოტივები ხდებიან დომინანტად შემოქმედებაში. წმინდა ლირიკის ადგილზე ისახება სრულიად ახალი ეპოსი...

«განყოფილებას» არ შეეძლო დავიწყებისათვის მიეცა ხელოვნების «წარსული». მას ეს «წარსული» ესახებოდა (და ესახება), როგორც ჰაბიტუსი საერთო კულტურისა. არის ბევრი რამ წარსულში, რაც ორგანულ რკალად გადადის მომავალში. თუ «წარსულის» პირდაპირი დახმარება არა, მისი შენახვა და დაცვა აუცილებელ საქმეს შეადგენს. თავისთავად იგულისხმება: შენახვა და დაცვა იმდენად, რამდენადაც უწყებული «წარსული» არ ეწინააღმდეგება პირდაპირ რევოლუციურ თანადროულობას» («ხელოვნების დროშა», 1924წ., _1).

მაგრამ, ჩანს, ხელისუფლება რაღაცით მაინც უკმაყოფილო დარჩენილა გრიგოლ რობაქიძის საქმიანობით. 1925 წლის აგვისტოში იგი დააქვეითეს. მთავარი სახელოვანი კომიტეტის თავმჯდომარეობიდან თავმჯდომარის მოადგილედ გადაიყვანეს. კომიტეტის თავმჯდომარე კი გახდა თვითონ კომისარი სახალხო განათლებისა დავით კანდელაკი. დავით კანდელაკს გრიგოლ რობაქიძე მოგვიანებით ასე დაახასიათებს:

«კანდელაკი მოვიდა რუსეთითგან. ჯერ კიდევ ახალგაზრდა. სახით პირწავარდნილი მუსსოლინი იყო, მუსსოლინი ახალგაზრდობაში. ქართული არ ეხერხებოდა. მერე თანდათან მოიმარჯვა. არსებითად უფრო «მოკომმუნისტო» იყო, «ესესერების» ჯგუფიდან. დიდი ნიჭით იყო დაჯილდოვებული, ამასთანავე უშიშარი და, როგორც ასეთი, ყველაფრის თვითგადამწყვეტი. ქართულ საქმეს ექცეოდა, როგორც ნამდვილი მამულიშვილი. არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, უარეყოს მას რაიმე, ამ საქმისათვის სასარგებლო. პირიქით: გულით ეგებებოდა ყველაფერს სამამულიშვილოს. ახლა: დახმარება. მაშინ «ავანსების» ხანა იყო. რომელ ხელოვანს რომელიმე დარგისა არ მიუღია მისგან ავანსი? ავანსი ხშირად გაუნადღებელი რჩებოდა – ამას იგი ყურადღებასაც არ აქცევდა. მახსოვს: საკონტროლო კომისიამ მას ერთხელ აღმოუჩინა 900000 მანეთი მეტდახარჯული. ეს თანხა უთუოდ «ავანსებისათვის» იყო გაღებული. მოსალოდნელი იყო მოეხსნათ იგი როგორც კომისსარი. ვერ მოხსნეს. იყო საოცრად მოხერხებული. უყვარდა მწერალთაგან დოსტოევსკი. ეს მოწმობდა იმას, რომ იგი შინაგან ბოლშევიკი არ იყო. ბერლინში ყოფნის დროს – უკანასკნელ წლებში თავის სიცოცხლისა «სავაჭრო წარმომადგენლად» იყო იქ – მითხრა: «ჩელოვეკა ზაბილი». ამ თქმით წესი აუგო ბოლშევიზმს. შესაძლოა რაიმე ცუდი ჩაიდინა ბოლშევიკური ხაზით და სწორედ ბერლინში – არ ვიცი. მე ვამბობ მხოლოდ მას, რაც დანამდვილებით ვიცი».¹

ალბათ იმიტომაც აქვეითებენ, რომ ვითარება მეტისმეტად რთულია. ხალხი არ ენდობა ხელისუფლებას, ხელისუფლება – ხალხს. ხელისუფლებას უმჯობესად მიაჩნია სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარე გამოცდილი რევოლუციონერი ჰყავდეს, ვიდრე უპარტიო მწერალი. ამით იგი თავს უფრო მშვიდად იგრძნობს. მით უფრო, რომ ქართველი ხალხის წინააღმდეგობა არ წყდება. სერგო ორჯონიკიძის მუქარაც აქტიურად მოქმედებს. ვინც ურჩობას გაბედავს აპატიმრებენ, ასახლებენ, ხვრეტენ. აწიოკებენ, აოხრებენ ამა თუ იმ კუთხეს, სადაც ან უკვე მოხდა ამბოხება, ანდა მომავალშია მოსალოდნელი. ამ რთულსა და დამაბულ ვითარებაში იფეთქა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებამ.

გრიგოლ რობაქიძე იმათ შორის იყო, ვინც ფიქრობდა, რომ ინსურგენცია მარცხით დამთავრდებოდა. მოყვებოდა ზღვა სისხლი და მსხვერპლი. შედეგი კი კიდევ უფრო მეტად ჩააგდებდა ქართველ საზოგადოებას სასოწარკვეთილებაში.

«გრაალის მცველნი» ლევან ორბელს მფრინავი საღარა ატყობინებს, რომ მზადდება 1924 წლის აგვისტოს აჯანყება. მოახლოებული ამბოხებით აღტაცებული საღარა უყვება: ანტიბოლშევიკურ აჯანყებას საქართველოში მოჰყვება სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილო კავკასიის აჯანყებანიც. ევროპა დახმარებას გაგვიწევს. ერთ კვირაში მთელ კავკასიაში დაემხოება რუსეთის ბატონობა. უსმენს ლევანი ახალგაზრდა კაცის მღელვარე სიტყვებს. სასოწარკვეთილმა არ იცის რა ჰქნას. აჯანყებას ვერაფერი შეაჩერებს. მოხდება უზომო სისხლისღვრა. ქართველთა აჯანყებას არავითარი გამოძახილი არ მოჰყვება არც სომხეთში, არც აზერბაიჯანში, არც ჩრდილოეთ კავკასიაში. რუსი ბოლშევიკები თვალისდახამხამებაში მოაწყობენ ამბოხების ლოკალიზირებას. სისხლში ჩაახრჩობენ საქართველოს. ევროპა თითოსაც არ გაანძრევს ჩვენი ქვეყნის დასახმარებლად.

შეშლილობად, გონებასისუსტედ მიაჩნია ლევან ორბელს დაგეგმილი აჯანყება. მით უფრო სავალალოა მდგომარეობა იმით, რომ ამბოხებას ხელმძღვანელობს პარიტეტული კომიტეტი. კომიტეტში შემავალმა პარტიებმა ხომ პარტიული კინკლაობის მეტი არაფერი იციან. როგორ უმეთაურებენ ისინი ბრძოლის ველზე ხალხს, – დაბნეული ეკითხება იგი საღარას. ყმაწვილ კაცს არ სჯერა ლევანის. იგი დარწმუნებულია, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება. მაგრამ ლევანი მართალი აღმოჩნდა. აჯანყება გაანადგურეს. აჯანყების ზოგიერთმა მონაწილემ უცხოეთში მოასწრო გაქცევა. მოგვიანებით საფრანგეთში ჩავიდა თავადი გიორგის რძალი ნორინა. პარიზში იგი 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ორ მონაწილეს ყანსაგსა და ბასილას უყვება – ვის რა ბედი ეწია ამბოხების დამარცხების შემდგომ. მათ შორის, საღარასაც (თვითონ ავტორის განმარტებით, საღარას პროტოტიპი მფრინავი ამბაკო საღარაძეა).

თბილისთან ახლოს თვითმფრინავი ჩამოვარდა და დაიწვა. სამი დიდი ხელისუფალი დაიღუპა. ამ თვითმფრინავით სოხუმს უნდა გამგზავრებულიყო ს.ო.-ც (ამ ინიციალებით არის გამოყვანილი რომანში სერგო ორჯონიკიძე), მაგრამ იგი წინათრგმნობამ იხსნა. თხუთმეტი წუთით ადრე უარი თქვა გაფრენაზე. თვითმფრინავს საღარა პილოტობდა. ისიც დაიღუპა. კატასტროფის მიზეზების გამომკვლევმა კომისიამ ზუსტად დაადგინა, რომ თვითმფრინავი გამართული და მოწესრიგებული იყო. ხომ არ იძია შური საღარამ? – კითხვას სვამს ნორინა.

ეს კითხვა მართლაც დამაფიქრებელია.

ფაქტია: 1925 წლის 22 მარტს თბილისთან კატასტროფა განიცადა სოხუმს მიმავალმა «იუნკერსის» ტიპის თვითმფრინავმა. კატასტროფის მსხვერპლნი გახდნენ მამალი ბოლშევიკები ათარბეგოვი, მისანიკოვი და მოგილევსკი (ისინი დაკრძალულნი არიან რუსთაველის გამზირზე, სამხატვრო გალერიის წინ.

ამჟამად მემორიალური დაფა მოხსნილია), მფრინავები – ქართველი ამბაკო სალარაძე და გერმანელი შპილი.

იმ კომისიის დასკვნაში, რომელმაც კატასტროფის მიზეზები გამოიკვლია წერია: «ჰაეროპლანს არ წაკიდებია ცეცხლი მოტორის და მისი ნაწილების მოუწყობლობის გამო. მუშაობის მთელი სისტემა აღმოჩნდა კარგ მდგომარეობაში. ამის მიხედვით შეიძლება დასკვნა, რომ შეხლა-შემოხლა არ მომხდარა ავარიის დროს მმართველი ნაწილის გაფუჭების გამო. არ არის შემჩნეული აგრეთვე არავითარი ნაკლი ბენზინის სადენებში და იმ ადგილებში, სადაც ისინი უერთდებიან ბლოკებს.

კომისიის დასკვნა:

1. ჰაეროპლანის ცეცხლის წაკიდება მოხდა არა მოტორისაგან და არც დაზიანებისაგან ანდა მმართველი ორგანოების ნაკლულევეანებისაგან.

2. ვარაუდით ცეცხლი თვითმფრინავში გაჩნდა სამგზავრო კაბინის შიგნით, საიდანაც ცეცხლი შესაძლებელია მოხვედროდა 18-ლიტრიან რეზერვუარს, რომელიც აწვდის ბენზინს კარბურატორში» (გაზ. «კომუნისტი», 1925წ., 24 მარტი).

ნორინა მართალი უნდა იყოს. ეს დასკვნა მართლაც გვაფიქრებინებს, რომ თვითმფრინავი დაიღუპა ტერორისტული აქტის შედეგად. იმასაც თუ მივაქცევთ ყურადღებას, რაც ამბაკო სალარიძის ნეკროლოგშია ხაზგასმული, მაშინ მფრინავის თავგანწირვის აზრი გაგვიმტკიცდება. «უკანასკნელი გაფრენის დროს იგი განსაკუთრებული მხურვალე გრძნობით ემშვიდობებოდა თავის ნათესავებს». მართალია, კომუნისტური პრესა იგლოვს მუშისა და მუშის შვილის ამბაკო სალარიძის დაღუპვას, მაგრამ როგორც ჩანს, მას სამშობლიო მეტად უყვარდა, ვიდრე კომპარტია.

მიუხედავად ასაკით განსხვავებისა (როცა მფრინავი დაიღუპა, იგი 27 წლის იყო), გრიგოლ რობაქიძე და ამბაკო სალარაძე ახლობელი ადამიანები ყოფილან. რომანში ნათქვამია, სალარას ძალიან უყვარდაო ლევანი. (უკვე ვთქვი: ლევან ორბელის პროტოტიპი თვითონ გრიგოლ რობაქიძეა). რომანის გამოქვეყნებამდე არავინ ფიქრობდა, რომ თვითმფრინავის დაღუპვა ტერორისტული აქტი იყო. ჩანს გრიგოლ რობაქიძემ ეს საიდუმლო იცოდა.

ახალი გრაალი

1926 წლის სექტემბერ-ოქტომბრის «ქართულ მწერლობაში» ნიკოლო მიწიშვილის «ფიქრები საქართველოზე» გამოქვეყნდა. «ფიქრებმა» მაშინაც და მერეც ჩვენს საზოგადოებაში დიდი ფოციაკალი¹ გამოიწვია. ცხარე სჯა-ბასი გაჩაღდა. ავტორს ქართული ეროვნული ენერგიისადმი სკეპტიკურ დამოკიდებულებას საყვედურობდნენ. «ფიქრებს» მაშინაც და მერეც ჯეროვანი გულდასმით და გულისყურით არ მოვეკიდეთ. ნიკოლო მიწიშვილის «ფიქრებში» სასოწარკვეთილების ისეთივე ტკივილი და ყვირილი იყო, როგორც ილიას «ბედნიერ ერში» და მიხეილ ჯავახიშვილის «ჯაყოს ხიზნებში» (თუმცა ოციან წლებში ვინ დაიჯერებდა, რომ მწარედ ახდებოდა მიხეილ ჯავახიშვილის წინასწარმეტყველება – საქართველო თეიმურაზ ხევისთავად გადაიქცეოდა).

ოდონდ ილია ქართული სამყაროს უფსკრულს პოეზიის ენით ამხელს, მიხეილ ჯავახიშვილი – პროზისა და ნიკოლო მიწიშვილი – პუბლიცისტიკის. არც მარტო ყოფილა პოეტი. იმავე სევდით და გულისტკივილით იყვნენ მაშინ შეპყრობილი სერგი დანელიაც და კონსტანტინე კაპანელიც.

ქართველი საზოგადოება ნიკოლო მიწიშვილს აუმხედრდა. ასევე მიესიენ ილიასაც, როცა «კაცია-ადამიანი?!» დაიბეჭდა. მოკვლასაც კი უპირებდნენ. მიხეილ ჯავახიშვილსაც ქვა და გუნდა დაუშინეს «ჯაყოს ხიზნებისათვის». ამგვარი დამოკიდებულების მსხვერპლი გახდა ნიკოლო მიწიშვილის «ფიქრებიც». თორემ «ბედნიერი ერის», «ჯაყოს ხიზნების», «ფიქრების» არსს რომ ჩაწვდომოდით, საქართველოსა და ქართველი ხალხის ხვედრი დღეს სრულიად სხვა იქნებოდა.

«ფიქრების» გამო ატეხილ დავა-პაექრობაში გრიგოლ რობაქიძეც მონაწილეობდა. 1927 წლის «ქართული მწერლობის» პირველ ნომერში მისი «საქართველოს ხერხემალი» დაისტამბა. გრიგოლ რობაქიძემ უარყო გულგატეხილობა. ამტკიცებდა: ქართული ეროვნული ენერგია არაფრით ჩამოუვარდება სხვა ხალხებისას. პირიქით, ზოგჯერ სჯობნის კიდევ.

ნიკოლო მიწიშვილმა უპასუხა ოპონენტებს. როცა გრიგოლ რობაქიძეს ეპაექრებოდა, გაკვირვება გამოთქვა: ადრე ისიც ჩემებრ ფიქრობდა, ახლა აზრი შეუცვლიაო. გრიგოლ რობაქიძის ციტატაც მოიშველია.

«ჩვენ გვიყვარს «სემიტური გამოჩენა». მაგრამ ჩვენ არიული «გამორჩევაც» გვიყვარს. «ლაღაგადასმულობის»¹ დასაწყისს ჩვენს ბუნებაში ეომება პრინციპი «აზნაურობის». ჩვენ ხშირად გვძლევს ხოლმე წვრილმანობა. მაგრამ ხშირად გვაჯადოებს რაინდული «ხმალში გამოწვევა»; ჩვენ «მეწვრილმანებიცა» ვართ და «რაინდებიც». ქართველი კაცი «ლაქიაც» არის და «მეფეც», «ჟულიკიც» და «არისტოკრატიც». ქართული ყოფა ფუნქციონალურია. საქართველო არის და კიდევაც არ არის... მას არ სჯერა თავისი თავის და სურს სხვა იყოს. ქართველი გაურბის თავის-თავს (ცუდს), რომ ნახოს თავის-თავი (უკეთესი). ამიტომ ისმება საკითხი: ან თავის-თავის მონახვა, ან სრული დაღუპვა. გზა ხსნილი არ არის სხვა» («ბარრიკადი», _1).

ასე წერდა გრ. რობაქიძე 1920 წელში.

ძნელია ამ ფიქრების ოპტიმისტურად გამოჩენა. ყოველ შემთხვევაში ძნელია სწორედ იმ ისტორიული საქართველოს მიმართ, რომელსაც დღეს გრ. რობაქიძე ასეთის კმევით იხსენიებს.

საკვირველია, მხოლოდ, რომ 1920 წლის იჭვიანობა ჩვენი ისტორიისა და ქართული ბუნების მიმართ გრ. რობაქიძეს 1927 წელში გაქარწყლებია და მის ფიქრებს, ასეთივე უკუხვეულობით, 1927წ. ძველი საქართველოს აპოლოგიამდე მიუღწევია («ქართული მწერლობა», 1927წ., _1 გვ.81).

ნიკოლო მიწიშვილი მართალი იყო. თავდაპირველად გრიგოლ რობაქიძესაც აწამებდა ეჭვი ქართული ეროვნული ენერგიის მიმართ. «და მეშინია არა ვთქვა მაინც, რომ საქართველო არის მიქარვა» («ბარრიკადი», 1920წ. _3 ლექსი – «საკუთარი ტოსტი»).

უფრო ადრე 1913 წელს სტატიაში – «ერის სული და შემოქმედება» – იგი ამბობდა:

«საქართველო აღარ არის მთელი და, როგორც ცოცხალი არსი, იგი ქართველში არ არსებობს. სამაგიეროდ დარჩენილან ნაწილნი და ნაწილნი თვითონვე ცდილობენ მთელობას. საქართველო მე ვარ – აი ფსიხური განცდა ქართველისა. ეს საბედისწერო მოვლენა ჰქმნის იმ საშინელ ტრადიზმს, რომელიც შავი მოჩვენების სახით თანსდევს ყოველს ჩვენს გადადგმას: შური, მძულვარება, გაუტანლობა და ქუჩის, როგორც სიცოცხლის სიმბოლოს, გამეფება. დავკარგეთ მთელი ჩვენს არსებაში და მით თავზე ხელი ავიღეთ»...

საქართველოს, როგორც მთელის, შეუცნობლობას ხედავდა ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის შემოქმედებაშიაც.

«ყოველი მათგანი დიდი ნიჭის პატრონი იყო, მაგრამ ვერც ერთი მათგანი მსოფლიო გენიოსად ვერ იქცა. რისთვის? მისთვის, რომ არც ბარათაშვილი, არც ჭავჭავაძე, არც წერეთელი არ გრძნობდა შეუცნობელს სფეროში საქართველოს როგორც ერთ დიადს მთელს (ზაზი ჩემია – ა.ბ.). ისინი იტანჯებოდნენ მისი იდეალური სახისათვის და ხელოვნებით ცდილობდნენ შეექმნათ მისი სასურველი და შესაძლო სახე. ეს «ცდილობა» გამირობათ ჩაეთვლებათ ჩვენს მგოსანთ-მამულიშვილთ, მაგრამ იგივე «ცდილობა» ხელს უშლიდა მათი ფანტაზიის თავისუფალ ნავარდსა. ამით იხსნება ის გულისხმიერი მოვლენა, რომ მათს შემოქმედებაში ხანდახან ხორცშესხმული სიმბოლოს მაგიერ მხოლოდ უსხეულო ალეგორია იბადება» («სახალხო გაზეთი», 1913წ., _870).

როგორც ნიკოლოზ მიწიშვილს, ისე გრიგოლ რობაქიძესაც აფიქრებდა რუსთაველის განსაკუთრებულობა და გამორჩეულობა ქართულ სამყაროში. გრიგოლ რობაქიძე ივანე გომართელს ეკითხებოდა: «შოთა იმდენად ირჩევა ყოველი ქართველისაგან, რომ მის ქართველობაშიც ეჭვი გვეპარება, რით აიხსნება ასეთი საიდუმლოება?»¹ მაგრამ 1927 წელს იგი უკვე აღარ ფიქრობდა ასე. რუსთაველი ქართული კულტურის ურდმესი ფესვებიდან ამოზრდილ მოვლენად მიაჩნდა. «საქართველოს ხერხემალში» იგი იხსენებს «შუმანიკის წამებას», «გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას», ეფრემ მცირეს, დიდ მთაწმინდელებს და ასკვნის: «ამის შემდეგ, რასაკვირველია, რუსთაველი აღარ არის «გაუგებრობა».

გრიგოლ რობაქიძის შეხედულებათა განვითარება იოლად არ მომხდარა. იგი თანდათანობით ხდებოდა. მაგრამ უკვე 1920 წელს დასვა საკითხი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მისი შემოქმედებისათვის: თავისთავის მონახვა. საქართველო მაშინ დაილუპებოდა, თუ თავისთავს ვერ მონახავდა. თავისთავის მონახვა იყო უპირველესი და არსებითი.

გრიგოლ რობაქიძემ დიდი შრომა შეაღია თავისთავის, ანუ ქართველთა მსოფლხატის მოძებნას. მისმა ძიებამ ორი მიმართულებით ჰპოვა გამოხატულება – წმინდა გრაალის ახალი ლეგენდის შექმნით და კარდუს კერპის ჩამოყალიბებით.

ჯერ ახალი გრაალის შესახებ.

გრაალის თემა ევროპულ ლიტერატურაში განსაკუთრებით პოპულარული ჯვაროსანთა ლაშქრობის ეპოქაში ხდება. 1099 წელს ჯვაროსნებმა იერუსალიმი აიღეს. ოცი წლის შემდეგ კი, 1119 წელს ტაძრის რაინდთა, ანუ ტრამპლიერთა ორდენი შეიქმნა. ამ პერიოდს მოჰყვა ორი დიდი ევროპელი პოეტის გამოჩენა სალიტერატურო ასპარეზზე. ერთია ფრანგი კრეტიენ დე ტრუა (დაახლოებით 1150-1190წ.წ.) და მეორე – გერმანელი ვოლფრამ ფონ ეშენბახი (დაახლოებით 1170-1220წ.წ.) სწორედ მათი შემოქმედება უყრის მტკიცე საძირკველს გრაალის თემას. მას მერე ევროპულ ლიტერატურაში გრაალის თემისადმი ინტერესი აღარ განელეზულა.

გრაალის თემა უშუალოდ უკავშირდება ბრიტების ლეგენდური მეფის ართურისა და მრგვალი მაგიდის რაინდების ცხოვრება-საქმიანობას. გრაალის რაინდები პარციფალი (სხვანაირად, პერსევალი), ლანსელოტი, გავეინი, გალაჰადი, ბორსი და სხვანი ართურის მრგვალი მაგიდის რაინდებიც არიან. მეფე ართურის გარშემო არსებულ ცნობებში ერთმანეთში აირია და აითქვიფა ისტორია, მითი და ფოლკლორი. იმდენი მასალა დაგროვდა, რომ მედიევისტკაში საგანგებო დარგი შეიქმნა – ართუროლოგია. მე-12 საუკუნის ინგლისელი მემატიანე გალფრიდ მონმუტი «ბრიტების ისტორიაში» უმთავრეს ადგილს მეფე ართურს უთმობს, ხოლო მეორე მემატიანე გირალდ კამბრეი (დაახლოებით 1146-1220წ.წ.) იმასაც კი გვიამბობს – თავად როგორ დაესწრო მეფე ართურის საფლავის გახსნას გლასტონბერის სააბატოში. როგორ იხილა მეფის ფარი და ჯვარი. მე-10 საუკუნის «კამბრიის ანალებში» კი ისიც არის ნათქვამი, რომ ართური მოკლეს 537 წელს კამლანთან ბრძოლაში. და მაინც ზოგიერთი დღევანდელი ისტორიკოსი ფიქრობს, რომ ართური არ არის ისტორიული პირი. იგი ლეგენდის პერსონაჟია.

ლეგენდა ამა თუ იმ ადამიანის ისტორიულად არსებობას ხელს არ უშლის. ლეგენდის პერსონაჟი შეიძლება ისტორიული პირიც გახდეს. ამის უტყუარი მაგალითია ჩვენი თამარ-მეფე. თამარის გარშემოც უამრავი თქმულება და გადმოცემა არსებობს. ჩვენს ფოლკლორში იგი გაზღაპრებულია, მაგრამ არავის ეპარება ეჭვი, რომ იგი რეალურად არსებული ისტორიული პიროვნება იყო. ალბათ, ასე დაემართა ბრიტების მეფე ართურსაც. ბრიტების ისტორიაში მისი განსაკუთრებული როლის გამო რეალური ხელმწიფე ლეგენდად იქცა.

ჩვენ კი ლეგენდისა და მითის ართური უფრო გვენათხება, ვიდრე ისტორიისა. ლეგენდის ართურის სამეფოს არა აქვს არც დასაწყისი და არც დასასრული. იგი თითქოს მარადიულად არსებობს. მას არც გეოგრაფიული საზღვრები აქვს. ეს არ არის ბრიტანეთის სამეფო. იგი ერთიანი ქრისტიანული სამყაროა, სადაც რაინდები იესო ნაზარეტელის იდეალების გამარჯვებისათვის იბრძვიან. იგი უტოპიაა, რომელშიც უნდა განხორციელდეს კაცობრიობის უკეთესი ოცნება.

ფრიდრიხ შლეგელი (1772-1829წ.წ.) მეფე ართურის მრგვალ მაგიდას უკავშირებს იმ მაგიდას, საიდუმლო სერობის ღამეს ქრისტე და მისი მოწაფეები რომ უსხდნენ.

გერმანელი პოეტი და ფილოსოფოსი გვიამბობს: ერთხელ მერლინი მივიდაო მეფე უტერპენდრაგონთან და უთხრა (უტერპენდრაგონი მეფე ართურის მამაა, მერლინი კი ბრიტანული თქმულებების პროტაგონისტი, ჯადოქარი და გრმნეული) – როცა მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე, ჯვარს აცვეს, პალესტინაში ცხოვრობდა ღვთისმოსავი რაინდი იოსებ არიმათიელი. იგი პილატე პონტოელის სამსახურში იდგა, მაგრამ ფარულად ქრისტეს მიმდევარი იყო. იოსებ არიმათიელმა გამოისყიდა პილატესაგან ქრისტეს ცხედარი და დაკრძალა იგი. იესოს ერთგულებისა და სიყვარულისათვის ებრაელებს სძულდათ იოსები. სდევნიდნენ მას და უთვალავი ტკივილი მიაყენეს. ქრისტეს აღდგომის შემდგომ იოსებ არიმათიელი, მისი ოჯახის წევრების, მეზობლების, ნაცნობ-მეგობრების უმრავლესობა უდაბნოში წავიდა. ძალიან გაუჭირდათ იქ. ბევრი ტანჯვა-ვაება გადაიტანეს. ზოგიერთი შიმშილითაც კი მოკვდა. ხალხში დრტვინვა დაიწყო. იყვნენ ისეთებიც, იოსების მოკვლას რომ აპირებდნენ. რაინდი ხედავდა ხალხის ტანჯვას. დიდად წუხდა. ერთ დღეს იგი გულმხურვალედ ევედრა უფალს, ეხსნა ხალხი განსაცდელისაგან. მაშინ უფალმა უბრძანა იოსებ არიმათიელს: გააკეთე ზუსტად ისეთი მაგიდა, როგორც იყო ის, რომელზეც საიდუმლო სერობის დამეს მოციქულები ტრაპეზობდნენ. გადააფარე თეთრი სუფრა. გააწყვე ნუგბარი საზრდელით, დადგი მაგიდაზე ოქროს თასი. ამ თასს მე თვითონ გამოგიგზავნი. ამ ჭურჭელს თვალის ჩინივით გაუფრთხილდი და მოუარე.

ასრულა იოსებ არიმათიელმა უფლის განკარგულება. გააკეთა ყველაფერი ის, რაც დაავალეს.

ამ ამბის თხრობა რომ დაასრულა, მერლინმა უტერპენდრაგონს მიმართა: ხელმწიფევ, ახლა შენ მესამედ უნდა გააკეთო ასეთი მაგიდა და ღმრთის მაღლი დაიმსახურო.

უტერპენდრაგონს მოეწონა მერლინის რჩევა, ოღონდ ჯადოქარს უბრძანა: ამას მარტო მე ვერ შევძლებ. ჩემი სახელითა და დახმარებით უმეთაურე ამ საქმეს. წმ. სამების დღესასწაულზე კი სტუმრებს საქმის კეთილად გასრულება ვახაროთ.

რაც გადაწყვიტეს, გააკეთეს კიდევ. წმ. სამების დღესასწაულისათვის მრგვალი მაგიდა მზად იყო. მეფემ სამეფოს რჩეული რაინდები და სეფექალები მოიწვია. დიდი ზეიმი და ობა გაიმართა.

ეს მაგიდა მემკვიდრეობით გადაეცა უტერპენდრაგონის ძეს მეფე ართურს. მის გარშემო იკრიბებიან მისი რაინდები.

სხვა თქმულებაც არსებობს, რომელსაც ბენედიქტელი ბერი უილიამ მალმსბერი (1090-1143 წ.წ.) გვატყობინებს.

იერუსალიმის პირველ ეპისკოპოს ფილიპეს უბრძანებია იოსებ არიმათიელისათვის ბრიტანეთში გამგზავრებულიყო. იოსები ბრიტანეთში ჩასულა. თავად პირადად ჩაუტანია მრგვალი მაგიდაც, თასიც ზიარებისათვის და ის შუბიც, რომელიც რომაელმა ლეგიონერმა ლონგინუსმა მაცხოვარს ფერდში ჰკრა. იოსებ არიმათიელს, ბრიტანეთში, იმ ადგილას, სადაც მერე გლას-

ტონზერის მონასტერი იყო, პაწია ეკლესია აუშენებია. ქრისტიანობის გავრცელებისათვის საძირკველი ჩაუყრია.

სულ სხვას ამბობს ტომას მელორი (1408-1471 წ.წ.): «მრგვალი მაგიდა კი შექმნა მერლინმა ნიშნად იმისა, რომ მსოფლიოც მრგვალია. მრგვალი მაგიდის მნიშვნელობა ყველამ ასე უნდა გაიგოს, რადგან მთელი კაცობრიობა, საქრისტიანო თუ სამუსლიმანო, მრგვალ მაგიდას ესწრაფვის...».

ასე, რომ მრგვალ მაგიდაზე ნაირნაირი თქმულება და შეხედულება არსებობს.

მეფე ართურის რაინდებიდან მხოლოდ უვაჟკაცესნი, უკეთილშობილესნი, უწმინდესნი და უსპეტაკესნი ეძებენ და იცავენ გრაალს. ზოგიერთი მწერალი მათ რაოდენობასაც მიუთითებს – ორმოცდაათნი იყვნენო. მაგრამ სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში ყველას ისე ხშირად არ ახსენებენ, როგორც, ვთქვათ, პარციფალს, ლანსელოტს, გალაჰადს და კიდევ ზოგიერთ სხვას. ჩანს, მათ შორისაც იყვნენ კიდევ მეტად გამორჩეულნი.

თავად სიტყვა გრაალის მნიშვნელობა დღემდე გაურკვეველია, თუმცა მისი ეტიმოლოგიური გაშიფვრის ბევრი ცდა ყოფილა. ეს სიტყვა იმთავითვე ბუნდოვანი იყო, – გვარწმუნებს ფილოლოგი ფრანც კამპერსი (1866-1929 წ.წ.). ერთი კია, გრაალს ორი სახე აქვს. ერთი კრეტიენ დე ტრუასაგან მომდინარეობს, მეორე – ვოლფრამ ფონ ეშენბახისაგან.

ფრანგი პოეტის მიხედვით, გრაალი ოქროს თასია, კეთილშობილი, ძვირფასი ქვებით მოოჭვილი. მასში იოსებ არიმათიელმა ქრისტეს სისხლი დააგროვა. კრეტიენ დე ტრუას ტრადიციის გამგრძელებლებს მაცხოვრის სისხლის დაგროვება ორგვარად აქვთ წარმოდგენილი. ერთნი ამბობენ, რომ იოსებმა იესოს სისხლიანი კვართი გაწურა და ეს სისხლია თასში დაგროვებული. მეორენი კი ვარაუდობენ, რომ თასში ის სისხლია ჩასხმული, რომელიც ფერდიდან გამოუვიდა ქრისტეს, როცა რომაელმა ლეგიონერმა მას შუბი ჰკრა (უფრო მეტიც: არიან მწერლები, რომლებიც ფიქრობენ, რომ გრაალი მარტო თასი კი არ არის, არამედ ყველაფერი ერთად – თასიც, შუბიც და საიდუმლო სერობის მრგვალი მაგიდაც).

მოგვიანებით ქრისტეს სისხლით სავსე თასი იმ თასთან დაკავშირდა, რომელიც საიდუმლო სერობის დროს ეჭირა მაცხოვარს ხელში. გრაალით დაინტერესებული მკვლევრები და მწერლები უფრო შორსაც წავიდნენ. პოეტი იოჰან იოზეფ გოორესი (1776-1848 წ.წ.) თვლის, რომ გრაალში ჩაქსოვილია უძველესი იდეა ქურუმთა საიდუმლო სიბრძნისა. იგი პარალელს ავლებს ჰერკულესისა და ჰერმეს მეგვიპტელის თასებთან, იმ თასებთანაც, ბაკხუსის მისტერიების დროს რომ იყენებდნენ. არც სპარსეთის ლეგენდური მეფის ჯემშიდის თასი ავიწყდებათ. გოორესი ინდოეთშიაც გადადის და იქაურ თქმულებებშიაც ბევრ მსგავსებას პოულობს. მსგავსების ძიება უსაფუძვლო არ არის. მკვლევრები მრავალგვარი დამთხვევის მოწმენი ხდებიან. მაგალითად, სპარსეთის ლეგენდური მეფის ჯემშიდის თასში ჩასხმულ სითხეს სიბრძნისა და უკვდავების მინიჭების ძალა აქვს. მარადიული ახალგაზრდობის შენარჩუნებაც შეუძლია.

ეს თვისებები გრაალსაც აქვს. ჯემშიდი კი, გადმოცემის მიხედვით, 800 წლით ადრე ცხოვრობდა ქრისტეზე. პერსეპოლისიც ჯემშიდის აშენებულია. სპარსელებს მან ასწავლა მეცნიერება, ხელოვნება, მიწის დამუშავება, ზღვის წიაღში განძის ძიება. მანვე დაუწერა ხალხს კანონები.

ქართველი მკითხველის ყურადღებას, ალბათ, ისიც მიიპყრობს, რომ ჰერკულესს თასი მზის ღმერთმა ჰელიოსმა აჩუქა. ჰელიოსი კი კოლხეთის მითური მეფის აიეტის მამა იყო.

ასე ეჯაჭვებიან ერთმანეთს სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვა ხალხის თქმულებანი და ერთ მთლიან საკაცობრიო ოცნებას ქმნიან.

ვოლფრამ ფონ ეშენბახის გრაალი სხვანაირია. იგი თვლის, რომ გრაალი ძვირფასი ქვაა, კეთილშობილი თვალია, რომელიც იოსებ არიმათიელმა ქრისტეს იმ სისხლით გაჟღინთა, რომელი ლეგიონერის შუბიდან რომ მოწვეთავდა (საერთოდ ამ შუბს შეუწყვეტლივ, მარადიულად სდის სისხლი). იგი სამოთხიდან წარმომავლობს. ყოველ წელს, ვნების პარასკევს, მოაქვს იგი ზეციურ თეთრ მტრედს. მტრედი ქვას ობლატში ახვევს. არავის აქვს მისი ხილვის ძალა, უნარი და უფლება. მის თვალისმომჭრელ შორეულ ნათებას შეიძლება თვალი მოჰკრას მხოლოდ უბიწო, უმანკო რაინდმა, ვისაც არავითარი ცოდვა არ ჩაუდენია. ვინც მხოლოდ კეთილის დამკვიდრებისათვის იბრძოდა და იღწვოდა.

სხვადასხვაგვარად უყურებენ ვოლფრამ ფონ ეშენბახის გრაალის ქვის წარმომავლობას თანამედროვე გერმანელი ჟურნალისტი ჰელმუტ ბერნდტი და მწერალი ტანკრედ დორსტი.

იერუსალიმში, უფლის საფლავზე აგებულ ტაძარში დიდი კირქვის კლდეა. ჰელმუტ ბერნდტის ვარაუდით, ვოლფრამ ფონ ეშენბახის გრაალის ქვა სწორედ ის ქვაა, უფლის საფლავზე აგებულ ტაძარში კირქვის კლდეს რომ მოამტვრიეს ჯვაროსანმა რაინდებმა და ევროპაში ჩამოიტანეს.

ტანკრედ დორსტს კი მიაჩნია: გრაალის ქვაა ის კეთილშობილი თვალი, ლუციფერის გვირგვინს რომ მოძვრა, როცა ამპარტავნების გამო დაცემული ანგელოსი, ზესკნელიდან ქვესკნელში გადაისროლეს და ძირს დაენარცხა.

ასე ნაირნაირია გრაალზე შეხედულებანი. თუმცა ერთ საკითხში ყველა ერთსულოვანია. გრაალი გამოხატავს კაცობრიობის განუხორციელებელ ოცნებას. მის მისწრაფებას განახლების, აღორძინების, მშვენიერების, მარადიული ახალგაზრდობისა და კეთილისაკენ.

ფრანგი დიპლომატი და მწერალი გობინო (1816-1882 წ.წ.) ამბობდა: გრაალი არის კეთილშობილი ადამიანების რწმენა. იგი არის მუზარადი და მახვილი. იგი არის ხიბლი, რომელიც ზეპურ გულებს დაუღლეად აცოცხლებს. იგი არის ყველა აუხდენელი სურვილის თავმოყრა. გრაალი ღირსებაც არის, სიყვარულიც და თავისუფლებაც.

მე ვემბ ქრისტეს, რომ მასში სიკვდილი ვჰპოვო, – ამბობს გერმანელი ფილოსოფოსისა და პოეტის ფრიდრიხ ლინჰარდის (1865-1929 წ.წ.) მიერ დახატული მწირი. ამაზე რაინდი პარსიფალი უპასუხებს მწირს – მეც ვემბ ქრისტეს, რომ მასში გამარჯვება ვიხილო და გრაალის საძებნელად მიემურება.

გერჰარტ ჰაუპტმანის (1862-1946 წ.წ.) წარმოდგენით, გრაალის სამეფოში ისეთივე ჰარმონია სუფევს, როგორც, «ვეფხისტყაოსანის» სიტყვებით თუ ვიტყვით, ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის საბრძანებელში დამკვიდრდა.

*ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლაზაკნი არ ითხოვდეს,
ავთა მთქმელნი დააშინეს, კრავნი ცხვართა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთგან ძოვდეს.*

მოკლედ ასეთია გრაალის ამბავი.

გრაალის სულ სხვა ვარიანტს ქმნის გრიგოლ რობაქიძე. ქართველი მწერლის გრაალი არც კრეტიენ დე ტრუას გრაალს ჰგავს და არც ვოლფრამ ფონ ეშენბახისას.

«გრაალის მცველნის» პროტაგონისტი ლევან ორბელი კითხულობს ლექსს, რომელიც ახალ გრაალს გვიხატავს.

უფსკრულის პირას დგანან უკანასკნელი რაინდები. მტრის მორჩილებას ამჯობინებენ სიკვდილს. ისინი ატარებენ რელიქვიას – წმინდა ნინოს ჯვარს, ვაზისაგან გამოჭრილს და მისი თმებით შეკრულს. ის იყო საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს გადაშვებულებს ვნებამ, რომ პაწია, მტირალი გოგო შემთხვევით შეეხო ჯვარს. დაინახეს: გამხმარი ხე აყვავდა. ოქროსფერი მწიფე მტევნები მოისხა. აქამდე სასოწარკვეთილი რაინდები ზეადამიანური ძალით აღივსნენ. უძლეველნი გახდნენ.

რაინდებმა ჯადოსნური მტევნები დაწურეს. წვენი თასში დააგროვეს ისე, როგორც იოსებ არიმათიელმა დააგროვა გოლგოთაზე დაღვრილი სისხლი მაცხოვარისა. მათ თასი ფარულად შეინახეს. იცავდნენ, ვითარცა სიწმინდეს. თასის გარშემო, წმ. გრაალის მსგავსად, ჩამოყალიბდა საიდუმლო ორდენი. საუკუნეების მანძილზე თასი გადაეცემა მცველიდან მცველს. თასში დევს გული – საქართველოს მზე. გრაალის გუშაგები დარაჯობენ იდუმალ მიწას.

ვერც წმ. გრაალის რაინდებს შეხვდებით გრიგოლ რობაქიძის რომანში. არც ამფორტასი, არც ბორსი, არც ლოენგრინი, არც გავეინი, არც გალაჰადი, არც ლანსელოტი, არც პარციფალი და არც სხვა ვინმე კარგად ცნობილი რაინდებიდან არ ჩანან «გრაალის მცველნი». აქ სულ სხვა პერსონაჟები მოქმედებენ – ლევან ორბელი, ოდილიანი, ავალა, მამია ოდიშელი, მზისავარი, დათა, კოსტა, ჰიდდირ, საღარა, მარჯანი, უშანგ, ხორავ, ვასსა, ვანო, ს.ო., შავდია, ლეგი... ვინ არიან ესენი? კალისტრატე სალია იძლევა განმარტებას რომელი პერსონაჟი რომელ რეალურ ისტორიულ პირს გულისხმობდა. «გრაალის მცველნი» მოქმედი პირნი არიან ნამდვილნი და არა გამოგონილნი. გრიგოლს სურდა მათი ვინაობის გახსნა ერთერთ ნომერში ჩვენს ჟურნალისა სათანადო წერილის დართვით. მას ეს არ დასცალდა. ჩვენ ვასრულებთ მის სურვილს: (ჟურნ. «ბედი ქართლისა», პარიზი, 1964 წ. _47, გვ. 5).

ოდილიანი – პაოლო იაშვილია,

მამია ოდიშელი – შალვა დადიანი,
ავალა – ტიციან ტაბიძე,
მზისავარ – აპოლონ წულაძე,
დათა და კოსტა – ძმები ვლადიმერ და გრიგოლ ჯაფარიძეები,
ჰიდდირ – მამედ ბეგ აბაშიძე,
სალარა – მფრინავი სალარაძე,
მარჯანი – კოტე მარჯანიშვილი,
უშანგ – უშანგი ჩხეიძე,
ხორავ – აკაკი ხორავა,
ვასსა – აკაკი ვასაძე,
ვანო – იაკობ ნიკოლაძე,
ს.ო. – სერგო ორჯონიკიძე,
შავდია – ლავრენტი ბერია,
ლეგა – ლევან ლოღობერიძე.

თუ ლევან ორბელი თვით გ.რობაქიძეა, თავადი გიორგის პროტოტიპი ჯერ-ჯერობით უცნობი რჩება.

გრაალს იცავენ თავადი გიორგი (თასი მის ოჯახში ინახება), ლევან ორბელი, ოდილიანი, ავალა, მამია ოდიშელი, მზისავარ, ჰიდდირ, სალარა და სხვანი. თასის მტრები არიან ს.ო., შავდია, ლეგა და რუსი ჩეკისტი ველსკი (მისი პროტოტიპიც დაუდგენელია).

თუ ევროპულ ლიტერატურაში გრაალის გუმაგები რაინდები არიან, გრიგოლ რობაქიძის რომანში მას იცავენ მწერლობისა და ხელოვნების წარმომადგენლები. სულ თავდაპირველად გრაალს დარაჯობდნენო, – ამბობს პოეტი და მეცნიერი კარლ ზიმროკი (1802-1878 წ.წ.), – ის ანგელოსები, რომელნიც ნეიტრალური დარჩნენ ღმერთისა და ლუციფერის ბრძოლაში.

ანგელოსები – რაინდები – მწერლობისა და ხელოვნების წარმომადგენლები. ასეთი ცვლილება გ.რობაქიძესთან შემთხვევითი არ არის. იგი თვლის, რომ როგორც პიროვნების, ისე მთელი ერის გადარჩენისათვის აუცილებელია სულის მოვლა-პატრონობა. მისი შეუბღალავი შენახვა. თავადი გიორგი, ვის ოჯახშიც გრაალი ინახება, მხოლოდ სოციალურად კი არ არის არისტოკრატი, არამედ სულითაც. მისი ძალა ის არის, რომ იგი არასდროს ტყდება სულით. ჩეკისტი ველსკიც გაშმაგებული იმიტომ დაემებს გრაალს, რომ მის განადგურებით ქართველი ხალხის სულიერი გატეხვა უნდა. სულიერი დაბეჩავება სურს.

ველსკი უბრალო ჩეკისტი არ გახლავთ, ვისაც ადამიანთა დატუსაღება და ციხეში ჩაყრა ემარჯვება. იგი გაქნილი გაიძვერაა, სხარტი გონების პატრონი, ნაკითხი და განათლებული. ზედმიწევნით ზუსტად იცის, რას აკეთებს და რატომ. თავის ქმედებას ყოველთვის ასაბუთებს მზაკვრულად მოფიქრებული არგუმენტებით.

რომანის ორი პერსონაჟი (ლევან ორბელი და ველსკი) რომანის ორი იდეის – გრაალის დაცვისა და გრაალის ნგრევის – პერსონიფიკაციაა. თუ ლევან ორბელის აზრით, გრაალით გამოხატული იდეის დაცვა პიროვნებისა და ერის

გადარჩენას ნიშნავს, ველსკის რწმენით, გრაალის დანგრევა აუცილებელია პიროვნებისა და ერის დასამორჩილებლად. თუმცა ამ მორჩილება-დათრგუნვას იგი აბსოლუტური თავისუფლების სახელით ნათლავს. ველსკის შეხედულება ნათლად ვლინდება იმ საუბარში, რომელიც მიმდინარეობს მატარებლით მგზავრობის დროს. ველსკი გულახდილად გამოთქვამს მას ჯერ უცნობ თანამგზავრობის და შემდეგ ლევან ორბელთან მასლაათში.

ჩვენ (ე.ი. ბოლშევიკ-კომუნისტებს) გვინდა კაცობრიობას ტოტალური თავისუფლება მოვუტანოთ, – ეუბნება იგი ახალგაზრდა თანამგზავრობს. ამისათვის აუცილებელია ადამიანის რწმენიდან ღმერთის გაძევება, რადგან სადაც ღმერთია, იქ თავისუფლებისათვის ადგილი არ არის. ღმერთის რწმენა უსიტყვო მორჩილებას მოითხოვს. უსიტყვო მორჩილება კი მონობაა. თუ მონა ხარ, რა მნიშვნელობა აქვს იმას, ვისი მონა იქნები – ღმერთისა თუ ადამიანისა? ამიტომ ადამიანი ღმერთისაგან უნდა განთავისუფლდეს. მართალია, თქმულების მიხედვით, საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ღმერთების წინააღმდეგ მებრძოლი პრომეთე მიაჯაჭვეს, მაგრამ ღმერთის წინააღმდეგ ბრძოლა ყველაზე ძნელი საქართველოშია. აქ ყველაფერი საიდუმლოებით არის მოცული. საიდუმლოება კი ღმერთის თავშესაფარია. საჭიროა იდუმალების ფარდის ჩამოხსნა, გაშიშვლება. როცა ადამიანი დაინახავს, რომ საიდუმლოებაში არაფერი იმალება, რომ იქ სიცარიელეა, ადვილი იქნება მისი გულიდან ღმერთის ამოძირკვა. საიდუმლოება აუძლურებს ადამიანის ბრძოლას თავისუფლებისათვის.

შემდეგ ველსკი თანამოსაუბრეს უყვება:

როცა ნაპოლეონი იტალიაში ლაშქრობდაო, ფრანგებმა გენუა დაიკავეს. ისინი სან ლორენცოს ტაძარში შევიდნენ. ტაძრის ერთ სენაკში უბრალო ტყავის შალითა იპოვნეს. მასში იდო ოქროქსოვილში შეხვეული ლურჯი, მბრწყინავი, საფირონის შვიდკუთხიანი თასი. თქმულებისდა მიხედვით, იგი იყო ჩამოტანილი ანტიოქიიდან ჯვაროსანთა მიერ. თასი სან ლორენცოს ტაძარში ინახებოდა და წმ. გრაალად ითვლებოდა. წელიწადში ერთხელ მორწმუნეები მთელი იტალიიდან და მეზობელ ქვეყნებიდან სან ლორენცოს ტაძარში იკრიბებოდნენ წმ. გრაალის სანახავად.

ნაპოლეონმა თასი პარიზში გაგზავნა, რომ დაედგინათ მისი მიწიერი ღირებულება.

იმავედროულად, როცა ეს ამბავი გენუაში ხდებოდაო, – აგრძელებს თხრობას ველსკი, – ფრანგების ჯარი ესპანეთში, ბარსელონას ახლოს, მონტსერატის ციხეში მთასთან დაბანაკდა. ამ მთაზე ციხე-დარბაზი იდგა. მასაც ის სახელი ერქვა, რაც მთას. თქმულება ციხე-დარბაზს ლოენგრინსა და სხვა რაინდებს უკავშირებს. როცა ფრანგების ჯარი მთაზე აიჭრა, პირწმინდად დაანგრია ბენედიქტელთა მონასტერი. მონასტერში იყო ქრისტეს სასწაულმოქმედი ხატი. გადმოცემის თანახმად, მოციქულმა ლუკამ პირადად გამოჭრა იგი ხისაგან. ეს ხატიც დაილუპა. იმ წუთს, რა წუთშიაც ბენედიქტელთა მონასტერი ნაცარტუტად აქციეს, პარიზში გაიბზარა სან ლორენცოს ტაძრიდან ჩატანილი თასი. მე

მაინტერესებსო, – დასძენს ველსკი, – დაინახა თუ არა ნაპოლეონმა კავშირი, რომელიც ამ ორ მოვლენას შორის არსებობდაო.

მაგრამ ეს არ არის მთავარი, ამ გრძელ ამბავს ველსკი სხვა დასკვნისათვის ყვება: იგი ვინც ვაშინერსს არღვევს და უშიშარი რჩება, უფრო მეტია, ვიდრე უბრალო მკრეხელი.

შეშფოთებული უსმენს ამ საუბარს ლევან ორბელი. მისთვის გასაგებია, რა მიზნით დაედებს გრაალს ველსკი. რისთვის სურს მისი განადგურება. მას უნდა ქართველ ხალხს რწმენა წაართვას. თავად კი უფრო მეტი იყოს, ვიდრე უბრალო ათეისტი. ლევანი საუბარში ერევა. იგი ჯერ შეცდომებს უსწორებს ველსკის. თასი ანტიოქიდან კი არ ჩამოიტანესო, არამედ კესარეადან, სადაც ჰეროდეს ძველ ტაძარში ინახებოდა. ტაძარი არაბებს მეჩეთად ჰქონდათ გადაკეთებული. თასი საფირონისა კი არა სმარაგდისა იყოო. არც შვიდკუთხა ყოფილა. ექვსკუთხედი გახლდათო. ციხე-დარბაზსაც მონტსალვაჩი ერქვაო და არა მონტსერატი. მაგრამ ყველაფერი ეს წვრილმანია. ასეთი შეცდომების გასწორებით ლევანი კამათში ვერ დაჩაგრავს ველსკის. ჩეკისტის შეხედულებას ლევანმა უფრო მძაფრი აზრი უნდა დაუპირისპიროს. ლევან ორბელის რწმენით – ნამდვილი და მართალი ძალა იმას აქვს, ვისაც სიწმინდის დაცვა შეუძლია. გრაალის მცველი ისეთივე ძლიერია, როგორც გრაალის დამანგრეველი. პარციფალი ბევრჯერ უფრო ღონიერია, ვიდრე რომელიმე მკრეხელი, თუნდაც იგი ნაპოლეონი იყოს.

შეხედულებათა ეს დაპირისპირება მარტო თეორიულ ხასიათს არ ატარებს. იგი სისხლიანი ომითაც გამოიხატება. 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაც ამ კუთხით არის რომანში დანახული.

ლევან ორბელს ნათლად ესმის: ამბობება წინასწარ განწირულია. მისი დამარცხება გარდაუვალია. უმთავრესია და არსებითი რწმენა-იმედის, ანუ გრაალის გადარჩენა.

ველსკიმაც ჩინებულად იცის – აჯანყებას იოლად მოუღებენ ბოლოს. მაგრამ ქართველთა ეს დამარცხება არაფერს ნიშნავს, თუ გადარჩა გრაალი.

გრაალისათვის ბრძოლაში ლევან ორბელი და მისი ამხანაგები იმარჯვებენ. ველსკი და მისი ბოლშევიკ-კომუნისტები მარცხდებიან. «გრაალის მცველის» ალეგორიული შინაარსის ამოკითხვა ძნელი არ არის. ყველაზე მძიმე ვითარებაშიც კი ხალახმა უნდა შეინარჩუნოს რწმენა-იმედი, ანუ დაიცვას გრაალი. ამით გაუმკლავდება იგი მტერს, შინაური იქნება იგი თუ გარეშე.

ახალი კერპი

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაზე საუბარი ერთდროულად ადვილიც არის და ძნელიც. ადვილია იმდენად, რამდენადაც თავის თხზულებათა უმრავლესობას თავად აანალიზებს. ძნელია იმდენად, რამდენადაც ყოფიერების მეტაისტორიულ აზრს ეძებს. ამის მისაგნებად კი ადამიანმა მითოსის ჯურ-

დმულეებში უნდა იხეტიდლოს. გრიგოლ რობაქიძეც ასე აკეთებს. ქართულ მითოსსა და ქართულ ენაში სურს იპოვნოს ქართველთა მსოფლხატის თაურარსი.

«ვამბობ – «მითიური» ჩვენში «მითოსი», «თეორია» კი არაა, არამედ «დედიშობილა», არა «ნატვრა», არამედ «განცდა». «მითიური რეალიზმი» – აი ფორმულა, მხვედრი ჩემი შემოქმედებისა» («გულნადები»). სხვაგანაც იმეორებს ამ აზრს. «სიმბოლო», «მითოსი», «მარადი მყოფადი» – მარტო სახელოვნო ლაბორატორიაში კი არ მუშავდებიან ჩემსაში. ისინი «დედიშობილა» ჩემი. «ცეცხლია», რომლითაც ვცოცხლობ» («სათავენი ჩემი შემოქმედებისა»).

«პატარა ერი, რომელშიაც ცოცხლობს ტომურად, ერთსხეულად საერთო სული: აღმოსავლური საშო, სადაც მიწა «დედაა» წმინდა, ისტორია უძველესი, რომელიც თავის ათასწლებიან სიგრძეზე აგროვებს ქმედით ცოცხალ ხსოვნას (ანამნეზისს). აქაა საქართველოს არსი. ეს ცხადდება: ქართულ ხასიათში, ქართულ სიტყვაში, ქართულ სილაღეში, ქართულ ერქვანში, ქართულ ხმაღში, ქართულ სიმღერაში (რომელიც ღმერთკაცებისა)... და აი ამ «დედის», ამ «მიწის» ტრაგიული ხიღვა ძნელია... «/ზარათი აკაკი პაპავას).

«მითიური რეალობა არის უთუოდ მეტი და უფრო აზროვანი, ვიდრე ისტორიული» («კავკასიური ნოველების» წინათქმა).

«ენა აზროვნობს: აზროვნობს ბევრად უფრო ღრმად, ვიდრე ცალკეული პიროვნება» («მომართვა ქართველ ხალხს»).

თაურარსის ძიების კვალსა და შედეგებს ყველგან ნახავთ მის რომანებშიც, ესეებშიც, კერძო ბარათებშიც კი. ისეთი შთაბეჭდილებაა თითქოს ემინია – მკითხველს გაუჭირდება მისი შემოქმედების გაგება: «ვისაც «სიმბოლო» და «მითოსი» არ ესმის, იგი ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებს» («სათავენი ჩემი შემოქმედებისა»).

მართალია, მითოსის და ენის საშუალებით მიგნებული მისი დასკვნები გაბნეულია მის თხზულებებში, მაგრამ თავმოყრილი სახითაც არსებობს, უმეტეს წილად ნარკვევებში – «საქართველოს სათავენი» (ამ ესეის გერმანულ ვარიანტს ეწოდება – «Vom Weltbild der Georgier»), «უცნობი საქართველო», «სათავენი ჩემი შემოქმედებისა» და «კავკასია – სიღუეტები» (წერილების ციკლია, რომელსაც იგი ბეჭდავდა «ბრძუსსეღერ ცაიტუნგში» 1942 წლის 5 აგვისტოდან).

ქართული მსოფლხატის შუაგულში გრიგოლ რობაქიძე აყენებს კარდუს. ქართულ წარმართულ პანთეონში კერძს ამ სახელწოდებით ვერ შეხვდებით. იგი გრიგოლ რობაქიძის გამოგონილია. თავად გვიყვება, როგორ შექმნა ცნება და კერპი კარდუ. აულია ქართველთა ეთნარქის სახელი ქართლოს. მოუცილება ბერძნული დაბოლოება -ოს. მიულია ქართუ. მაგრამ მისი ჟღერადობა მეტად რბილად მოსჩვენებია. მერე კარდჰუ გაუკეთებია. ეს კი ხერხემალმაგარი გამოსულია. ამიტომ, წერისა და საუბრის დროს, ხან ამ ხერხემალმაგარ კარდჰუს იყენებს და ხან უფრო ზომიერ კარდუს.

«ჰო, კარდუ არის ჩვენი მისტიკური თაურმდგენი (ასე თარგმნის თვითონ გერმანულ Urheber-ს – ა.ბ.) და დგას ის მზის ნიშანში. იგი არის პიროვნება (პერსონა) და ამასთანავე არ არის პიროვნება» («გრალის მცველნი»).

გრიგოლ რობაქიძისათვის კარდუს სასარგებლოდ მეტყველებდა იმჟამად საისტორიო მეცნიერებაში გავრცელებული აზრიც.

«ისტორიკოსები ამბობენ – უძველესი სამშობლო ქართველებისა იყო ქალდეა... სვანთა ტომობრივ შეგნებაში დღესაც ცოცხლობს უძველესი სიტყვა «ქალდე». მდინარე ენგურის ხევის ერთს გვერდზე მდებარე ფერდობზეა კლდოვანი უბე, პატარა სოფელი, რომელიც ამ სახელს ატარებს» («კავკასიური ნოველების» წინათქმა).

მარტო სახელის დადგენა არ კმაროდა. კარდუს შინასახეც უნდა გამოეძერწა. ამაში გრიგოლ რობაქიძეს გოეთეს თაურფენომენის იდეა დაეხმარა (გერმანულ თავსართს ur-ს გ.რობაქიძე თარგმნის «თაურ-», «პირველ-»: die Urschau – თაურხილვა ან პირველხილვა; die urtat – თაურქმედება ან პირველქმედება). თავად ამბობდა – «გოეთეს მოძღვრება თაურფენომენის შესახებ ჩემთვისაც საგანთა შემეცნების საფუძვლად იქცა («ჩემი ცხოვრება»)). თაურფენომენის არსი კი ასე ესმოდა:

«კონკრეტული წარმოდგენისათვის მოთოსისა მე ყოველთვის ვიგონებ ხოლმე გოეტქეს სწავლას «ურფენომენ»-ზე (თაურმოვლენაზე), რომელიც უგენიალესი ცნაურებაა დასავლეთის კულტურაში გონისა («გონი»: Geist, Esprit, Дух). ორი სიტყვით იგი, მცენარე, ცხადდება განამდვილებით რომელიმე ხტილში თავისი ვითარებისა: ან მორჩობისას ან ცენებისას ან ყლორტობისას თუ ფოთლობისას. ასე ვთქვათ «წილობით» და არა «მთლად». გოეტქე იკვლევს მცენარეს ორმაგი ჭვრეტით: წინისკე – მორჩითგან ყლორტამდე თუ ფოთლამდე, უკანისკე – ყლორტითგან თუ ფოთლითგან მორჩამდე. ამჩნევს: ამ ვითარების ხაზზე მცენარის ყოველი ნაწილაკისაგან შესაძლოა წარმოიშვას მთელი მცენარე. აკვირდება ამ მოვლენას. თუ ეს ასეა, მაშასადამე, მცენარე მთელი ყოველ ხტილში მისი ვითარებისა ვირტუალურ იმყოფებოდეს. ჰგონებს ასე. და აი 1776 წელს ხედავს ვაიმარელი მესაიდუმლოე სიცილიაში წარმოსახვით «თაურმცენარეს» მცენარეში. ესე იგი: ხილავს მყოფად მცენარეს ანუ შინა-სახეს მცენარისა. «თაურმცენარე» იღებს სახელს «ურფენომენი». «შინა-სახე» იგივე «იდეაა» პლატონისა არსებითად. სხვაობა ნაირული: პლატონის «სახე» ყუდრობს ვითარ თესლი «მარადში». გოეტქეს «სახე» ვლინდება «მოვლენაში» ვითარ ცენება თესლისა. დასკვნა: «თაურმცენარე» მცენარისათვის მითოსია – ვითარ არასოდეს ხილული მყოფალი, ხოლო ყოველთვის გულვებული» («ვაჟას ენგადი»).

გრიგოლ რობაქიძე პირდაპირ კავშირს ხედავს გოეთეს იდეასა და ძველი რომაელი ისტორიკოსის გაიუს კრისპუს სალუსტიუსის ფორმულას შორის – «ეს არასოდეს ყოფილა, ოღონდ ყოველთვის არის. იგულისხმება: არ ყოფილა – ისტორიულად, არის – ზეისტორიულად» («ვაჟას ენგადი»). ამასვე იმეორებს ნარკვევში – «Vom Weltbild der Georgier». «ეს არ მომხდარა, მაგრამ იგი ყოველთვის არის. «ეს არ მომხდარა» ნიშნავს: ეს არ არის ისტორიული მოვლენა. «ეს არის ყოველთვის» გულისხმობს: ეს ყოველთვის ხდება მეტაისტორიულად».

ამავე აზრს კითხულობს გრიგოლ რობაქიძე ქართული ზღაპრების დასაწყისშიც: იყო და არა იყო რა...

სალუსტიუსის ფორმულა იმითაც იზიდავდა გრიგოლ რობაქიძეს, რომ «აქ წარსული და მომავალი ერთიდაიგივეა» («სათავენი ჩემი შემოქმედებისა»). მითმა არ იცის წარსული და მომავალი. იგი აბსოლუტური აწმყოა. თუ ასეა, მაშინ, ბუნებრივია, ის, რომ, რაც მითიურში არსებობს, არსებობს დღესაც. რა არსებობდა მითიურად, რომელიც დღესაც შეიძლება არსებობდეს? ამის ამოსაცნობად ქართულ ენას მიმართავს. თუ ქართული ენა ქართველი ხალხის შინასახის ამოცნობაში დაეხმარება, მაშინ კარდუს შინასახეც გამოვლენილი იქნება, რამეთუ «ქართული ენის ავტორი კარდჰუ არის, ქართველთა მითიური «თაურ-მდგენი» – არა ცალკეული, რომელიმე ქართველი» («გულნადები»).

ქართულ სიტყვას, გრიგოლ რობაქიძის ფიქრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. დავიწყოთ სიცოცხლით, ცეცხლით, ცხენით და ცოცხით. ამ სიტყვებს ერთი ფუძე აქვთ. ისინი ერთი დაფარული აზრის მატარებელნი არიან. ცეცხლი და ცხენი კარგად ცნობილი სიმბოლოებია. ორივე მზესთან არის დაკავშირებული. ცეცხლი გამოხატავს მზის ცხოველმყოფელ, გამანაყოფიერებელ, გამწმენდ ძალას. სიცოცხლის განახლებას, ენერგიას, ძლერებას, ცხენიც ამბივალენტური სიმბოლოა. მზის ძალასაც ავლენს და მთვარისასაც. თეთრ ან ოქროსფერ ცხენებშებმული საომარი ეტლით დაქრის მზის ღმერთი. შავი რაშით მოგზაურობს ოკეანის ღმერთი, ზღვისა და ქაოსის მბრძანებელი. ცხენი ისევეა სიცოცხლის სიმბოლო, როგორც სიკვდილის. სრულიად ბუნებრივია, რომ ქართულ ენაში სიცოცხლეს, ცეცხლს, ცხენს ერთიდაიგივე ფუძე აქვს. მაგრამ როგორ უკავშირდება მათ ცოცხი? აქ გრიგოლ რობაქიძე ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ცოცხით ჰგვიან, ხვეტენ, ანუ წმენდნენ. ცოცხიც გამწმენდი საშუალებაა. როგორც გამწმენდს მას უშუალო კავშირი აქვს ცეცხლთან. ცეცხლიც ხომ გაწმენდაა, გასუფთავებაა. სალხინებელს, განსაწმენდელს გერმანულად დას *das Fegefeuer* ეწოდება. თუ ამ სიტყვის ბოლო ნაწილი – *Feuer* – ცეცხლია, მისი პირველი ნაწილი ზმნა *Fegen* – იდან მომდინარეობს, რაც დახვეტას, გაწმენდას ნიშნავს. აქ გერმანული და ქართული ერთმანეთს ხვდება. ქართულისა და გერმანულის შეხვედრის სხვა შემთხვევასაც აღნიშნავს გრიგოლ რობაქიძე. «გრაალის მცველნიში» ლევან ორბელი შვედ ქალს ნორინას უხსნის – ქართული «ხე» გერმანულად *Baum*-ს ნიშნავს, მაგრამ ზოგიერთი მცენარის გერმანულ სახელში ქართული «ხე» ისმისო. მაგალითად, მუხის გერმანული სახელია *Eiche* (აი-ხე), წიფლისა – *Buche* (ბუ-ხე). ეს მას არ აკვირვებს, რადგან მუხა წმინდა ხეა, მზის სადგომი. მზის მცენარეული ჰიპოსტასია მუხა. რადგან ყველა ხალხის მითოლოგიურ წარმოდგენაში ასეა, ქართულისა და გერმანულის ამგვარი დამთხვევა მოულოდნელი არ ჩანსო.

რაც ითქვა, თავისთავად საინტერესოა, მაგრამ გრიგოლ რობაქიძისთვის არსებითი სხვა რამ არის: სიცოცხლის კავშირი სიწმინდესთან. სიწმინდეა სიცოცხლის უპირველესი ნიშანი. «სუფთა» და «წმინდა» იდენტურია. მოკლედ: «სიცოცხლე ცეცხლოვანია და ამასთანავე წმინდა» («გრაალის მცველნი»). მაგ-

რამ ქართველი ამით არ კმაყოფილდება. სიცოცხლე წმინდა უნდა იყოს, მაგრამ ამავე დროს მტკიცეც. ამასაც ქართული ენა გვეუბნება. ქართველი დიასახლისი ამბობს, – წერს გრიგოლ რობაქიძე, – «შვილო, ფქვილი გამტკიცე», ანუ ფქვილი გაწმინდე. სიმტკიცე და გაწმინდა ურთიერთკავშირში ყოფილა. «რაც განწმინდილია, «მაგარია» და რაც მაგარია «განწმინდილი» (კალე სალიას ინტერვიუ გრიგოლ რობაქიძესთან).

მითიური კუთხით, ცეცხლი, სიცოცხლე, სიწმინდე, სიმტკიცე უერთმანეთოდ არ არსებობს. ისინი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. რაკი ცეცხლი უთუოდ და უთუმცაოდ გულისხმობს წვას, მაშინ სიტყვა «მღვდელიც» მის გვერდით უნდა განვიხილოთ. მიხეილ წერეთლის გამოკვლევით (რასაც გრიგოლ რობაქიძეც იზიარებს) ძველქართულად «წვას» ერქვა «ლუდვა». «მღვდელიც» აქედან მომდინარეობს. მღვდელმსახურება წვის პროცესს ითვალისწინებს. გნებავთ წარმართული თვალსაზრისით შეხედეთ მას და გნებავთ – ქრისტიანულით.

«მღვდელი ანუ მწველი. იგულისხმება წვა არა მარტო გარეგანი წვა შესაწირავი ცხოველისა, არამედ შინაგანიც: მარჯს, გერმანული შესატყვისი «ჰაილ» (Heil), რაიცა ხელდასმამი გადადიოდა სხვაზე» («საკრალური წყობა»).

უფრო მეტიც: სულხან-საბას განმარტებით, «ღმერთი გადმოითარგმნების ხედვა და წვა». ეს საშუალებას აძლევს გრიგოლ რობაქიძეს თქვას:

«დიდი ბრძენის პლოტინის მსოფლხილვაში გვხვდება «თვალი მზიური». გოეტკემ მზიურობა თვალისა ერთ თავის შაირში შესანიშნავ ხტილად გამოკვეთა: «თუ არ იყოს თვალი მზიური, ვით შეეძლოს მას ხილვა მზისა?» მტევნის მწიფობის დროს ქართველი მევენახე ამბობს: «თვალი ჩასულა ვენახში». თვალით აქ ნაგულისხმებია მზე, პლოტინი, გოეტკე, ქართველი მევენახე, სამივე, დიდ საიდუმლოს აცნაურებენ, მხოლოდ ერთი განსხვავებით: პლოტინისათვის და გოეტკესათვის თვალი «მზიურია», ქართველი მევენახისათვის კი იგი მზეა თვითონ. ხატული «სახეობის» მხრით ქართველი მევენახის თქმას თვითონ გოეტკეც არგუნებდა პირველობას. თვალი მზეა, ფიქრობს ქართველი, რადგან იცის, რომ «მზე» და «მზერა» სადღაც ეთანხმებიან ერთიმეორეს. გავიხსენოთ საბა სულხან ორბელიანის განმარტება სიტყვისა «ღმერთი»: «წვა და ხედვა». ეს განმარტება მზეზეა თითქო გამოჭრილი. მზე იწვის და არ იფერფლება, იწვის და «მზერს», ანათებს. «თვალი ჩასულა მტევანში» – ეს ნამდვილი პოემაა... («მზის ხანა ქართველთა»).

ქართველისათვის მზე და ღმერთი რომ ერთი და იგივეა აშკარად ჩანს მაშინ, როცა იგი, იმის მაგიერ რომ თქვას, – შენმა ღმერთმა ან ჩემმა ღმერთმა – ამბობს – შენმა მზემ ან ჩემმა მზემ. რა თქმა უნდა, ეს თქმა წარმართობიდან მომდინარეობს, მაგრამ ქრისტიანულ ეპოქაშიც მტკიცედ ზის ქართველის ცნობიერებაში და ხილულ მზესა და უხილავ ღმერთს ათანაბრებს.

მტევანს თვალი, ანუ მზე ანუ ღმერთი ამწიფებს, ზრდასრულს ხდის. მაგრამ სიმწიფე მარტო ნაყოფს არ სჭირდება. სიმწიფე აუცილებელია ქვეყნისა და ხალხის მმართველისათვისაც. ამიტომ Kaiser-ს ქართულად ხელმწიფე შეესატყვისება. ხელმწიფე, მამასადაძამე, სრულყოფილი, სხვაგვარად, იგი ქვეყ-

ნის პატრონად ვერ გამოდგება. გრიგოლ რობაქიძის აზრით, ხელმწიფე მდიდარი უნდა იყოს, ჩუქება რომ შეეძლოს, ძლიერი უნდა იყოს, დაცვა რომ შეეძლოს, ნიჭიერი უნდა იყოს, დალოცვა რომ შეეძლოს («გრაალის მცველნი»).

ქართველისათვის ხელისუფლება საკრალურია. ხელმწიფე არა მარტო სიმწიფეს უკავშირდება, არამედ უფალსაც, ღმერთსაც – ხელისუფალი, ხელისუფლება, ძალაუფლება. ამ სიტყვებში ყველგან უფალი ანუ ღმერთი ისმის. აქ ბატონი კი არ არის ნაგულისხმევი, არამედ სწორედ უზენაესი.

«უფლება» ქართულში «ბატონისაგან» კი არ მოდის, არამედ უფლისაგან.

«რას ნიშნავს «მწიფე ხელი», თუ არა სიძლიერესა და მარჯს? მიხეილ წერეთლის აზრით, «მწიფე» ნიშნავს «მიწვდომასაც». მაშასადამე, «მწიფე ხელით» ნაგულისხმევა «მიწვდომელიც»: ესე იგი, ის, ვინც წვდება მას, რაც სხვისთვის მიუწვდომელია» («საკრალური წყობა»).

ხელმწიფე მმართველს, მმართველობს. მმართვე კი გრიგოლ რობაქიძეს ესმის, როგორც «დგინდება მართლისა» («დავით აღმაშენებელი»). ხელმწიფე იგი შეიძლება იყოს, ვინც მართალია, ვისაც სიმართლის დადგენა ძალუძს.

მართალი, წმინდა, უფალი არა მარტო საკრალურ წარმოდგენას ქმნის ხელისუფლებაზე, არამედ უშუალოდ უკავშირდება მეფე-მღვდლის (Priester-König) კონცეფციას. ეს კონცეფცია გავრცელებული იყო შუა საუკუნეების ევროპაში. მეფე-მღვდელი ერთ კაცში განასახიერებდა ქვეყნის სასულიერო და საერო მმართველს. მის ნიშნად კონკრეტულ პირსაც, ვინმე იოანე პრესვიტერსაც ასახელებდნენ. ზურაბ ავალიშვილი ვარაუდობდა, რომ იოანე პრესვიტერში ევროპელი მემატიაწიანი დავით აღმაშენებელს გულისხმობდნენ. გრიგოლ რობაქიძე ეთანხმებოდა ამას. «დასავლეთში (ინგლისის ერთს ქრონიკაში) ჩვენი უდიდესი ხელმწიფე მიიჩნის ლეგენდარულ იოანედ» («უცნობი საქართველო»). რასაც ზურაბ ავალიშვილი წერდა, იმას უცვლელად იმეორებდა «გრაალის მცველნი». ლევან ორბელი დაწვრილებით ყველა ევროპელი ბერის ანსელუსის თავგადასავალს და ქართველი მეფის ქვრივის მიერ ნაჩუქარი ჯვრის პარიზში ჩატანის ამბავს. ეს ჯვარი უწმინდესი რელიქვია იყო. იგი გააკეთეს იმ ხისაგან, რომელზეც ევნო მაცხოვარი. ჯვარი პატარა სამლოცველოში დაასვენეს. მოგვიანებით კი ამ სამლოცველოს ადგილას საყოველთაოდ ცნობილი პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი ააგეს. ამ ტაძარში განისვენებდა ქართველი ქვრივი დედოფლის ნაჩუქარი ჯვარი მანამ, სანამ, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს, არ დაიკარგა. მერე კი იგი ველარსად იპოვნეს.

გრიგოლ რობაქიძეს სჯეროდა, რომ ხელისუფლება საკრალური მოვლენა იყო. ვიგინდარების ყოფნა ხელისუფლებაში დაუშვებლად მიაჩნდა. თუ ქართველი დაყაბულდებოდა ვიგინდარების ხელისუფლებაში არსებობას, იგი უპირველესად თავისთავს უღალატებდა.

გრიგოლ რობაქიძე არ იზიარებდა შეხედულებას, რომლის თანახმად ქართველი ყოფიერებას ზერელედ და ლაზღანდარულად უყურებს. ქართველისათვის, ამტკიცებდა იგი, ყოფიერება ღებნაა, ზეიმი, ობაა.

«სიცოცხლე ხალისია, ხოლო წინააღმდეგობებით სავსე» («ლამარა». მოკლე ბიოგრაფია). საქართველო ვნებულ დიონისედ მიაჩნდა. ამის უფლებას ორი რამ აძლევდა.

პირველი ის, რომ ქართველი ცხოვრობს ფორმულით – «გაახარე-გაიხარე».

«ერთი სიტყვით რომ მოვხაზოთ ქართველთა ყოფა, ეს იქნება: «გაახარე-გაიხარე»... თვით «ზრდაც», ქართული შეგნებით, სიხარულია. ვამბობთ ხომ ხშირად ქართველნი: «მცენარე ხარობს» – მაგიერ მცენარე იზრდება» („წერილი ირაკლი აბაშიძეს“).

«ქართველს სწორედ ეს ახარებს, რომ არის, არის საერთოდ. ეს სიხარული ჩვენში ისეა გამჯდარი, რომ ჩვენ ხშირად ყვავილზე თუ საერთოდ მცენარეზე მაგიერ იმისა: «იზრდება», ვამბობთ: ხარობს..» («ქართული გენია, როკვით განფენილი»).

მეორეც ის, რომ ქართველისათვის არსებობა ფერადოვანია, ლამაზია. ეს მკაფიოდ მოჩანს სიტყვებში: ყველაფერი (alles), არაფერი (nichts), რაფერ გააკეთე (Wie hast du es gemacht). ყველგან ფერია, სილამაზეა. ეს ფერადოვნება ანიჭებს ყოველ საგანს სახიერებას. სახიერება გამოკვეთილობას, გამორჩეულობას ნიშნავს. ღმერთსაც ასე მიმართავს ქართველი – ო, სახიერო. Unter dem Antlitz versteht der Georgier das Strahlbild des Wesens (სახეს ქართველი იგებს როგორც არსების სხივოსან სურათს).

თუ ყოფიერება ქართველისათვის მზიურია, სხივმოსილია, მაშინ რაა იმისი საფუძველი, რომ ქართველი ყოველთვის დამარცხებულია, გათელილია, დამცირებულია? ეს საფუძველი, გრიგოლ რობაქიძის სიტყვით, პრომეთეული თავნებობაა.

«ქართველის საფრთხე პრომეთეული თავნებობაა. ხაზს ვუსვამ ხელმეორედ: «საფრთხე» და არა «თვისება». «ქართველი ხდება «თავნება», როცა იგი ვერ ჰპოულობს სხვაში გამოხმაურს: ასხივოსნებას. იგი ხდება ურჩი და უდრეკი» («რა უნდა აგონდებოდეს ქართველს»).

«საქართველოს ისტორიის პირველყოფილ ცოდოს სწორედ ეს «ქედფიც-ხელობა» და «გონება ურჩობა» შეადგენს» («თამარ»).

პრომეთე დასჯილია თავნებობისათვის. საქართველოც ისჯება თავნებობისათვის. ზევსმა დასასჯელად პრომეთეს არწივი მოუვლინა. იგი ღვიძლს უკორტნის ტიტანს. ღვიძლშიც საიდუმლო აზრია. ღვიძილი, ანუ სიფხიზლე ღვიძლისაგან წარმოსდგება. ყოველი თავნება არსი, მათ შორის, პრომეთეც, მუდამ მღვიძარე, ფხიზელი უნდა იყოს, რომ გაუმკლავდეს ტკივილს. არ დაივიწყოს თავნებობის დანაშაულებრივი თვისება. ქართველსაც სჭირდება სიფხიზლე, მუდმივი ღვიძილი, რომ თავნებობამ უფსკრულში არ გადაუძახოს. არ ემსხვერპლოს მას.

გრიგოლ რობაქიძე არ ხედავდა დაპირისპირებას ქართულ წარმართობასა და ქართულ ქრისტიანობას შორის. ჩვენში ქრისტიანობა წარმართობის უშუა-

ლო გაგრძელება-განვითარებად მიაჩნდა. ერთი მხრივ, ამას უდასტურებდა წმინდა ნინოს ჯვარი და, მეორე მხრივ, თეთრი გიორგის კულტი.

ვაზისაგან გამოჭრილ და ქალის თმით შეკრულ ჯვარს აღიქვამდა წარმართობისა და ქრისტიანობის კავშირად. თეთრი გიორგის დღესასწაული კი დიონისური ზეიმის ნაირსახეობად ესახებოდა.

თუ ყველაფერს ზემორე თქმულს თავს მოვუყრიდით, კარდუს შინასახეს დავინახავდით ისე, როგორც ეს გრიგოლ რობაქიძეს წარმოუდგენია.

ქართველისათვის არსებობა-ყოფიერება ლხენაა, ზეიმია, ხალისია. მისი დევიზია: გაახარე – გაიხარე. მისთვის მზე და ღმერთი ერთი და იგივეა. მზე კი სიცოცხლის, ბედნიერების, სიხარულის წყაროა. ყოფიერება გასხივოსნებულია და განათებული. მზეც და სიცოცხლაც მუდმივი წვაა, ოღონდ უფერფლო. ხალხის სულიერი მეთაურიც (მღვდელი) და საერო ხელმძღვანელიც (ხელმწიფე) მარად უნდა იწვოდეს, რომ თავადაც განიწმინდოს და ხალხიც გაწმინდოს. ხელმწიფობა სიმართლეს უნდა ეფუძნებოდეს. სხვაგვარად ვერც მმართველი იქნება მართალი და ვერც ხალხი. მართალი, წმინდა, ხალისიანი ხალხი თავნებობას არ უნდა ემორჩილებოდეს, თუ არ სურს დასჯილი იყოს. ამისათვის კი აუცილებელია მარადიული სიფხიზლე, ღვიძილი. მუდმივი წვა და ქმედება. ყოველი ადამიანის ამოცანაა –Überwindung des Unmöglichen (შეუძლებელის დაძლევა).

გრიგოლ რობაქიძე, ბავშვივით, გულწრფელად იკვებნიდა: «საუკუნეთა მანძილზე ერთადერთი ავტორი მე ვარ, რომელიც აცნაურებს ქართველთა «მსოფლხატს» (წერილი გიორგი გამყრელიძეს). ეს კვებნა თავმოწონებად არ მიაჩნდა. «ყალბი თავმდაბლობა სრულიად უცხოა ჩემთვის» (წერილი ირაკლი აბაშიძეს).

მაგრამ ეს მსოფლხატი იყო მითიური საქართველოს თაურარსი და არა ისტორიულის. რაკი მიაჩნდა, რომ მითიური უფრო ნამდვილია, ვიდრე ისტორიული, მის მხატვრულ ცნობიერებაში არსებობდა გამოგონილი საქართველო, როგორც გამოგონილი კერპი კარდუ. გამომჟღავნდებოდა, გამოვლინდებოდა თუ არა მითიური საქართველო ისტორიულში? ეს არავინ უწყოდა, მაგრამ გრიგოლ რობაქიძეს ამის დიდი სურვილი და წყურვილი ჰქონდა.

მარადიული დაბრუნება

მიხეილ ჯავახიშვილის «ჯაყოს ხიზნებმა» ყოველი მოაზროვნე ქართველი მწარედ დააფიქრა. ბუნებრივია, გრიგოლ რობაქიძეც. მიხეილ ჯავახიშვილსა და გრიგოლ რობაქიძეს ახლო მეგობრობა აკავშირებდათ. ამას ნათლად მოწმობს მათი მიმოწერაც («ლიტერატურული საქართველო», 1988წ. _34). უახლოეს ადამიანად თვლიდა. «ერთგული მეგობარი იყო ჩემი». მიხეილ ჯავახიშვილის ნიჭიერებასაც დიდად აფასებდა. «არც ერთი მწერლის ნიჭს არ ჰქონია საქართველოში ისეთი გასავალი, როგორც ჰქონდა ჯავახიშვილს. არც ერთი ქართველი მწერალი არ თარგმნილა იმდენ უცხო ენაზე, როგორც იგი».

მიხეილ ჯავახიშვილი მონაწილე იყო გენერალ კოტე აფხაზის მოწყობილი შეთქმულებისა და 1924 წლის აგვისტოს აჯანყების სამზადისისა. ასეთმა მებრძოლმა და შეუპოვარმა კაცმა დაწერა «ჯაყოს ხიზნები», სადაც, თეიმურაზ ხევისთავის სახით, თავზარდამცემად ცნაურდება საქართველოს უძღურება.

სამართლიანად აღიქვეს ჯაყო ბოლშევიზმის სახედ როგორც, აქ, საქართველოში, ისე უცხოეთში, ქართველ ემიგრანტთა წრეში. ეს გულს უკლავდა გრიგოლ რობაქიძეს.

«დავუშვათ ერთი წუთით: ჯაყო ტიპიური განსხეულებაა ბოლშევიკისა. რა სურათი გადაგვეშლება წინ? გავიხსენოთ სამკუთხედი: თეიმურაზ, მარგო, ჯაყო. ეს სამკუთხედი, ასე ვთქვათ, «კონტექსტია» სამივესათვის, გარეშე რომლისა არც ერთი მათგანი არ სუნთქავს რომანში. რას მივიღებთ? თუ ჯაყო ტიპიური განსხეულებაა ბოლშევიზმისა, მაშინ თეიმურაზ ამგვარივე განსხეულება ყოფილა ქართული მამულისა და მარგო ქართული დედულისა. სურათი შემზარავი! დანებდა ქართული დედული ბოლშევიზმს და სხეულის სიუხვით გადაეშალა მას? შეურიგდა ბედს ქართული მამული დაბეჩავებული? კითხვა თავისთავად იბადება თუ: თუ «იმ» აზრს გავიზიარებთ» («მიხეილ ჯავახიშვილი»).

გრიგოლ რობაქიძეს ამის დაჯერება არ უნდოდა. თუმცა ჯაყოს ცინიზმს მტკიცედ გაედგა ფესვი საქართველოში. ამის გამოძახილი «გრაალის მცველ-ნიშიც» ისმის. ავალა, კოსტა, ლევან ორბელი გრაალზე საუბრობენ. ლევანი წამოიძახებს – სადა ხარ, თასო? იქვე ბიჭ-ბუჭები დგანან. სიცილ-ხითხით მიაძახებენ ლევანს – პიტნავას დუქანში. ის, რაც ჯერ კიდევ დავით გურამიშვილს ზარავდა – «დადედლებულნი შიშთაგან აღარ ვარგოდნენ მამლადა» – რეალურ ხიფათად გადაქცეულიყო.

გადედლება, ვაჟურისა და ქალურის რღვევა მარტო ქართული პრობლემა აღარ იყო. სენი მთელ მსოფლიოს ედებოდა და ავადმყოფურის, პათოლოგიურის გამარჯვების ტენდენცია აშკარად ჩანდა. შეწუხებული გრიგოლ რობაქიძე, 1931 წლის 11 დეკემბერს გერმანიიდან, მიხეილ ჯავახიშვილს წერდა: «აქ დიდი კრიზისია: მდგომარეობა თანდათან უარესდება. განსაკუთრებით ლიტერატურულ ფრონტზე. ჯერ ერთი: ამერიკანიზმი სპობს ნამდვილ ლიტერატურას. პაუზა არ არის, რომ გულდასმით რაიმე იგზნო. გამეფდა მსუბუქი ლიტერატურა, დაძინების წინ წასაკითხი – ან და მოდუნებული სქესის გამაღიზიანებელი. კრიტიკა თანდათან ჰქრება, რჩება მხოლოდ რეკლამა... ნურავინ იფიქრებს, რომ ევროპის სარბიელზე გასვლა (ამჟამად) მწერლისათვის მაინცა და მაინც სახარბიელო იყოს. მშობელი მიწა და მისი თბილი წიაღი ყველაფერია. ჩვენში მიწას ჯერ კიდევ აქვს ჯიქანი. ჩვენში წიაღი უშრეტია».

ნამდვილი ვაჟურის, ნამდვილი ქალურის მონატრება ყველგან მძაფრად იგრძნობოდა. ევროპაში ამ ნატურის ნიადაგი ფრიდრიხ ნიცშეს მიერ დიდხანა შემზადებული იყო. გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაშიც ეს ნატურა დაინახეს. ალბათ, ამან განაპირობა მისი თხზულებებით დაინტერესება და გატაცება. უკვე 1933 წელს, ჟურნალის – «ეხო დერ ცაიტ» – , მეორე რვეულში გაკვირვებუ-

ლი წერდნენ – «ეს არ არის ჩვეულებრივი ამბავი: პოეტი, რომელსაც გერმანელი მკითხველი მხოლოდ ორი თხზულებით იცნობს, მაშინვე გენიად გამოცხადებინოთ».

თუმცა ეს მოულოდნელად არ მიაჩნდათ, რადგან «რობაქიძე კავკასიიდან წარმომავლობს. მისი მამა-პაპანი კავკასიელი გველისმგეშავნი იყვნენ. მისი წიგნების საგნობრივი შინაარსი კავკასიური სამყაროდან, ძველი კოლხური სამყაროდან მომდინარეობს. ამ წიგნებში (ლაპარაკია «გველის პერანგზე» და «მეგიზე» – ა. ბ.) აწმყო და წარსული ერთნაირი პერსპექტივით არის აღწერილი. დიდი პოეტის პერსპექტივით, რომელიც პირვანდელურამდე უნდა ამაღლდეს, რათა არსებითი შეიცნოს. შეუძლებელია ამ წიგნების სულიერი ღირებულება სიტყვით შემოსო. ისინი უნდა წაიკითხო, ავტორით მოჯადოვდე, მაგიური აღმოსავლეთის ზღაპრული სამყარო რომ იხილო.

ბაბილონის დაბოლოებებში, იმ დროს, როცა ბიბლია იქმნებოდა, დაიბადა მითიური ეპოსი, რომელმაც ათასწლეულებში განსაზღვრა აღმოსავლეთის ხალხების სულიერი ჰაბიტუსი. გილგამეშის ლეგენდა. ძველი ბაბილონელების მაგიური ჯადოქრული ფორმულაა მისი წარმომშობი. რობაქიძე აგრძელებს ამ ეპოსს. თანამედროვე ტალავერში წარმოდგება ჩვენს წინ გილგამეშის ადე, ადე ძველი სამყაროს მგეშავისა. რობაქიძე ფლობს პოეზიის უღრმეს საიდუმლოს – სიტყვის მაგიას. სიტყვას, ინტონაციას მასთან აქვს დაგეშვის ძალა. იგი არის გველის მგეშავი, რომელიც მყისვე ლიტერატურულად იწერს თავის საიდუმლო ჯადოსნურ ფორმულას. მისი წიგნების შინაგანი მისანი მკითხველს ისე ხიბლავს, როგორც ძველი მაგის ჯადოქრული ფორმულა აქვავებდა გველს».

თუ ფრიდრიხ ნიცშე ნამდვილად ქალურს, ნამდვილად ვაჟურს, მშვენიერსა და სრულყოფილს ანტიკურ ბერძნულ კულტურაში ხედავდა, გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში ამას ქართული, კავკასიური, წინააზიური მითოლოგიური სამყაროც მიემატა.

ორივე რომანში – «გველის პერანგსა» და «მეგიში» – მათთვის კარგად ცნობილი მარადიული დაბრუნების (სხვანაირად – მარადიული განმეორების) იდეა დაინახეს. გრიგოლ რობაქიძე ყოველთვის იყო გატაცებული ფრიდრიხ ნიცშეს შემოქმედებით. ახალგაზრდობაში იგი, უცხოეთიდან დაბრუნებული, როცა საჯარო ლექციებს კითხულობდა, დიდ ყურადღებას უთმობდა ნიცშეს შემოქმედებას. მისი ლექციების გამო ცხარე კამათიც კი გამართულა. დავით კასრაძე, ისიც ახალგაზრდა, ისიც უცხოეთში განათლებამიღებული, ეპაექრება გრიგოლ რობაქიძეს. არ იზიარებს მის შეხედულებებს. გრიგოლიც პასუხს აძლევს და საკმაოდ მკვახედაც.¹

შეიძლება ვცდები, მაგრამ ასე მგონია: ეს პაექრობა წვრილ-წვრილ საკითხებს ეხება. არსებითს ნიცშეს შემოქმედებაში გვერდს უვლის. უფრო ჩვეულებრივ ქართულ კინკლაობას წააგავს.

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაზე ფრიდრიხ ნიცშეს გავლენა არსებით ხასიათს ატარებს. თავადაც არ მალავდა ამას. «დიონისურმა ფენომენმა დამატყვევა – და კიდევ უფრო მეტად, – მარადიული დაბრუნების იდეამ» («ჩემი

ცხოვრება»). მაგრამ კმაყოფილი არ ყოფილა იმით, როგორც ხსნიდნენ და განმარტავდნენ ამ იდეას. დიდხანს უძებნია მისი არსი. 1916 წელს ირანში ყოფნისას მიუგნია იგი და თავისებურად გაუაზრებია.

«... ირანისა და გილგამეშის გავლენა კიდევ უფრო შორს წავიდა. ჰამადანში, მიდიელთა ეკბატანაში, მთვარიან ღამეს ერთ ქვის ლომზე მეძინა. უეცრად აზრი დამეუფლა: ყველაფერი, რაც ხდება, გვეჩვენება, თითქოს უკვე ერთხელ მოხდა. ისევ მარადიული დაბრუნების იდეა, რომელიც სულ ყოველთვის მაწამებდა. ახლა სხვანაირად იყო ნააზრევი: არა ერთეულის მარადიული დაბრუნება თავის თავისაკენ, არამედ ერთეულში მარადიულის დაბრუნება თავისთავისაკენ. შემდეგში ამ შეცნობამ ხორცშესხმა ჰპოვა ჩემს რომან «გველის პერანგში». ამ რომანში ვცდილობდი აღმოსავლეთის მსოფლშეგრძნება და სამყაროს ჭკვრეტა პლასტიურად განმეხორციელებინა. მერე დავწერე რომანი «მეგი». აქ შევეცადე დრამატული ფორმა მიმეცა სიცოცხლის პირველმაღლებისათვის» («ჩემი ცხოვრება»).

მარადიული დაბრუნების იდეა (die ewige Wiederkunft des Gleichen) ნიცშეს ერთი უმთავრესი იდეაა: იგი «ასე ამბობდა ზარატუსტრას» მესამე ნაწილის იმ თავშია გამოთქმული, რომელსაც «გამოჯანსაღებელი» ეწოდება.

«ყოველი მიდის, ყოველი ბრუნდება; მარად ბრუნავს ბორბალი ყოფისა. ყოველი კვდება, ყოველი კვლავ ჰყვავის, მარად რბის წელი ყოფისა».

«მარად უკუ მოიქცევა ის, ადამიანი, რომლით შენ მოიქანცე, პატარა ადამიანი».

«ჰე, ადამიანი მარად უკუ მოიქცევა! პატარა ადამიანი კვლავ მარად უკუ მოიქცევა!»

«რამეთუ შენ ცხოველთ იციან, ჰე ზარატუსტრა, ვინ ხარ და უნდა იქმნა: შეხედე, შენ ხარ მოძღვარი მარად უკუქცევისა – ესეა ბედი შენი!»

«ყოველნი საგანნი მარად უკუ იქცევიან და ჩვენც მათთან».

«მე თვით მარადი უკუბრუნვის მიზეზისა ვარ!»

«კვლავ მარად უკუ ვიქცევი ამა და ამავე ცხოვრებად, დიდით და მცირედით, რათა კვლავ ვასწავო ყველა საგანთა უკუქცევა» (ერეკლე ტატიშვილის თარგმანი).

მართალია, ეს ნიცშეს ერთ-ერთი უმთავრესი იდეაა, მაგრამ რთული და ბუნდოვანი. ამიტომ მარადიულ დაბრუნების იდეის ნაირნაირი ინტერპრეტაცია არსებობს. ერეკლე ტატიშვილის თარგმნით «ესე იტყოდა ზარატუსტრას» ბოლოსიტყვაობაში თამაზ ბუაჩიძე ასეთ განმარტებას აძლევს მას:

«... ყველაფერი, რაც შეიძლება მომხდარიყო, უკვე მოხდა! მოხდა მარადიულ, უსასრულო წარსულში. სწორედ იმიტომ, რომ იგი უსასრულოა, მოხდა ყველაფერი, რაც მოსახდენია. ეს კი ნიშნავს, რომ წარსული და მომავალი არ არიან დაპირისპირებული, როგორც ეს აქამდე ჩანდა. ყველაფერი უკვე მოხდა. ამიტომ მომავლისაკენ სვლა წარსულისაკენ სვლაა. დრო არის წრე. ყველაფერი მეორდება, ყველაფერი, რაც იყო, კვლავ ბრუნდება. წინსვლა უკან-

სვლაა. მომავალი ისაა, რაც იყო. წარსული ისაა, რაც იქნება. ის რაც ახლაა, მარად იყო და მარად განმეორდება».

ვფიქრობ, გრიგოლ რობაქიძე მარადიული დაბრუნების იდეას სწორედ იმ თვალსაზრისით იყენებს, რა კუთხითაც იგი განმარტა თამაზ ბუაჩიძემ.

გრიგოლ რობაქიძის აზრით, მითიურმა არ იცის დროს დინება. არ იცნობს წარსულს, აწმყოსა და მომავალს. მითიურში მარადიული აწმყოა. მაშასადამე, ის რაც მითიურში არსებობდა, არსებობს დღესაც.

მარადიული დაბრუნების კონცეფციით, ყველაფერი მეორდება. ყველაფერი, რაც იყო, კვლავ ბრუნდება. აქ მითიური და მარადიული დაბრუნება ერთმანეთს გადაეჯაჭვა. ერთიან აზრად ჩამოყალიბდა.

მარადიული დაბრუნების იდეა გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში კონკრეტულ სახეს იღებს. არჩიბალდ მეკეში, ანუ არჩილ მაყაშვილი ის არის, რაც დიდი თავადი ირუბაქ ირუბაქიძეა. დიდი თავადი ირუბაქ ირუბაქიძე ის არის, რაც არჩიბალდ მეკეში, ანუ არჩილ მაყაშვილია. («გველის პერანგი»). მეგი ის არის, რაც მედეაა. მედეა ის, რაც მეგია («მეგი – ქართველი ქალი»). ამას თავად ამბობს ყოველგვარი შენიღბის თვინიერ. «ჩემი რომანი «მეგი» ერთგვარი ცდაა რეალურ ქალწულში კოლხელი მითიური ქალის განცხოველებისა: მედეასი («ევგენი გეგეჭკორი»). ივლიტე ის არის, რაც დალია, დალი ის არის, რაც ივლიტეა («დალი»). კავალა ის არის, რაც ამორძალია. ამორძალი ის არის, რაც კავალაა («ფალესტრა»).

ბრუნდება არა მარტო «გემტალტი», არამედ ბუნება, ხასიათი, თვისება. არჩიბალდ მეკეშს, ვამეხ ლაშხს, მეგის, კავალას, ივლიტეს იგივე ბუნება, ხასიათი, თვისება აქვთ, რაც მათ მითიურ წინასახეებს.¹

მარადიული დაბრუნების იდეას თუ გავიზიარებთ, მაშინ ისიც უნდა ვიწამოთ, რომ ერსაც დაუბრუნდება ის რაინდული თვისება, რაც მას ჰქონდა. 1916 წელს წერილში – «რაინდული საქართველო» – გრიგოლ რობაქიძე წერდა:

«ქართული რასსა რაინდული სისხლით არის აცეცხლებული. ეს არ არი უბრალო სიტყვა და არც უბრალო თვისება. საქართველოს ისტორია რაინდობის პათოსით იმართებოდა ყოველთვის, რაინდობა ჩვენი ეროვნული პროფილის შნოიანი ხაზულია.

ჩვენ ვართ მზეთა შვილები და გვიყვარს მეტად მზეოსანი ლალებით მოთენთილობა. ჩვენი საშოს წყაროსთვალის მუქი ზურმუხტია და სიამით ვეფინებით მწვანელოვან მდელოს. მოტრფიალენი ვართ «უსაქმო» სილამაზის და გამუდმებით ვიწვით მშვენიერებისათვის. ვადმერთებთ სიცოცხლესა, როგორც ცეცხლის მოთაყვანე წარმართები და ყველაზე მეტად უდარდებლობას ვაფასებთ. გვიყვარს ლაგამახსნილი ქეიფი და გვათრობს ალესილი ხმლის სისხლიანი სიმღერა.

ჩვენ სიფიცხეს გვწამებენ და უთმენელობას. დიახ: ჩვენ ფიცხელნი ვართ და უთმენელობა ჩვენი რკინეული ნების შურისძიებაა მხოლოდ» («საქართველო», 1916წ., _52).

იქვე ასეთ ამბავს ყვება:

«ქართველს მოუკლეს ერთად ერთი მისი ვაჟი. მამას შურისძიების გესლი ემთავრება. მაგრამ არ იცის, ვინ არის მკვლელი ან სად არის იგი. მკვლელი იმალება, ხოლო სინდისი ჰქენჯნის. ვერ გაუძლო უკანასკნელს. ადგა და მოკლულის მამას მიაშურა. ზაფხულია. უკანასკნელი ყანას მარგლის. მეტი თმენა აღარ შეუძლია. შენი შვილი მე მოვკალი და რაც გინდა ის მიყავ, – ეუბნება მოხუცს მოსული. მოხუცი პირგამეხებული შესძახებს: დაემხე მიწას. მკვლელი დაემხოზა. მოხუცი ამართავს თოხს თავ-გასაპოხად, მაგრამ უცბად თოხი ხელიდან გაუვარდება. დაემხოზა თვითონ მიწაზე გართხმულს და ეტყვის ქვითინით: ადექი, შვილო! ამიერიდან შენა ხარ ჩემი ნამდვილი შვილი. როგორ? – ისმის გაოცებული ხმა. როცა თოხი დაგიმიზნე შენს სახეზედ ერთი ძარღვიც არ შერხეულა, – იყო ნელი პასუხი».

რვა წლის შემდეგ, როცა გრიგოლ რობაქიძე 1924 წელს «ლამარას» დაწერს ამ ამბავს სიტყვასიტყვით გაიმეორებს, ნიშნად რაინდულის დაბრუნებისა.

მინდიას ძმა თორღვა იჩოს შვილს მურთაზს მოკლავს. იჩო ანთებულია შურისძიების რისხვით. უნდა მოკლან თორღვა. ამას ითხოვს ადათი. მინდიას არ უნდა სისხლისღვრა და ხოცვა-ჟლეტა. ძმის მაგიერ იგი მიდის იჩოსთან და ეუბნება. – მე მოვკალიო მურთაზ. რისხვით აღვზნებული იჩო მინდიას მივარდება. ახლა გრიგოლ რობაქიძეს უსმინეთ: «ამართა ხმალი. ეს არის – უნდა მოუქნიოს. უეცრად მარჯვენა ცახცახს იწყებს. შემდეგ – მთელი ტანით მოსხლეტილი დაუვარდება თვითონ მინდიას. ქვითინებს. ბოლოს შუბლზე ჰკოცნის». რამ შეაცვლევინა იჩოს გადაწყვეტილება? იჩოს პასუხი: «როს ხმალს ვუმიზნებდი – მის სახეზე ერთი კუნთიც არ შერხეულა». დასკვნაც: «ამიერ შენა ხარ მურთაზ».

მარადიული დაბრუნების იდეა გრიგოლ რობაქიძისათვის იმედის წყარო იყო. დაბრუნდებოდა რაინდული, ნამდვილი ვაჟური და ნამდვილი ქალური. ვაჟურისა და ქალურის რღვევა როგორც ჩვენში, ისე სხვაგან, თეიმურაზ ხევისთავის ქალაჩუნობა და დედლობა, მარგოს დამცირება და გათელვა, ჯაყოს აღვირახსნილი პარპაში დროებითი მოვლენა იყო. ამ რწმენის დაკარგვა 20-იანი წლების ქართულ მწერლობას არ უნდოდა და უპირველესად კი მიხეილ ჯავახიშვილს. ტყუილად ხომ არ მიდიოდა ხევსურეთს «თეთრი საყელოს» ელიზბარი «გასაწიკლაურებლად», ანუ ვაჟურის, მამაკაცურის, ვაჟკაცურის დასაბრუნებლად. მიდიოდა იქ, სადაც ჯერ კიდევ «ვილოში და სიტყვაში ისმის ფოლადის ჟღარუნი, სისხლის თქრიალი, ბრძოლის კიჟინი და იარაღის ჩახუნნი». სადაც, მიამიტობისა თუ გულალალობის გამო, ჯერ კიდევ სჯერათ, რომ «მკვდრეთით აღდგების თამარ ნეფეი!»

არც ის ყოფილა შემთხვევითი, რომ ორივე მწერალი თანაბრად იყო დაინტერესებული სწორფრობის ჩვეულებით. ორივეს უნდოდა ამოეცნო, თუ რა იყო ეს უცნაური ჩვეულება, «სასტიკი, საამური მავნე სწორფრობა-წაწლობა – უზენაესი ძმური სიყვარულის მკაცრი ადათი, – დღესაც არ ვიცი, ველური თუ ზეკაცური, ღვთიური თუ სატანური» («თეთრი საყელო»). რასაც «თეთრი

საყელოს» ელიზბარი განიცდის. ზუსტად იმასვე განიცდის გრიგოლ რობაქიძის «ენგადის» გიორგი ვალუევი.

«მე ვეხვეოდი მას და ვკოცნიდი. იგი ტანს მეტმასნებოდა... მკერდი მკერდს ეხებოდა აგზნებული. ქალი იხევდა ტანით, თუმცა მხურვალე ტუჩებს არ მაცილებდა. სხეული მისი კლდე იყო თითქო, შეუცველი და ასევე შემცველი. კლდიდან წყარო ნაკადობდა: მისი ბაგე, რომლისგან კოცნას ვსვამდი მათრობელს. იგიც თვრებოდა ჩემი კოცნით. ხოლო ორივე თავს ვიკავებდით ამ მწველ სიტკბოში. საკრალურ გავლებული ზღვარი არ გადაგილახავს» («ენგადი»).

ალბათ, ასე წვრთნიდნენ ქალსაც და ვაჟსაც ნაირნაირ ჭირთა თმენისათვის. მათ გაკაჟებულ ბუნება-ხასიათს ძნელად თუ გატეხდა ჭირ-ვარამი, რარიგ მძიმეც უნდა ყოფილიყო იგი.

მსჯელობა შეიძლებოდა იმედიანი განწყობილებით დამთავრებულიყო, ერთი რამ რომ არ მაფიქრებდეს. 1913 წელს გრიგოლ რობაქიძემ ლეგენდა გამოაქვეყნა, სათაურით «Maia» («თემი», _119). ამ ლეგენდის მოტივი მან გაიმეორა მისტერიაში «ლონდა» (ოთარი უამბობს ხალხს) და რომანში «გველის პერანგი» (ბაბუა სარიდანი ყვება «ქვის ვაჟის» ამბავს).

მაია ვედურ მითოლოგიაში აღნიშნავს ღვთაებრივ არსებათა თვისებას – ფერისცვალებას, მეტამორფოზას, ილუზიას, მოჩვენებას. რატომ შემოჰყავს გრიგოლ რობაქიძეს მაიას მოტივი თავის თხზულებებში? ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ მას ბოლომდე ღრმად არ სჯეროდა მარადიული დაბრუნების იდეა? ხომ არ უნდოდა ილუზიით, მოჩვენებით თავის დამშვიდებაც და სხვების დაწყნარებაც? დამიჯერებთ თუ არა, მაინც უნდა ვთქვა – ჰო, ასე უნდოდა. მარადიული დაბრუნების იდეა და მაია, რწმენა და ეჭვი, ერთი და იმავე მედლის ორი სხვადასხვა მხარეა. გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში ორივე არსებობს.

მიერობანი

ათი წელიწადი მოუწია გრიგოლ რობაქიძეს საქართველოში ცხოვრება ბოლშევიკურ-კომუნისტური რეჟიმის დროს (1921-1931წ.წ.).

რთული და მძიმე წლებია. ყალიბდება იდეოკრატიული სახელმწიფო. ხორციელდება დევიზი: ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია. შუაში ყოფნა შეუძლებელია: ან მტერი ხარ ან – მოყვარე. ვინც მოახერხებს, უცხოეთს აფარებს თავს. ვინც სამშობლოში რჩება, ან წითელი ტერორის მსხვერპლი ხდება ან კომუნისტურ ხელისუფლებას ეგება ფეხქვეშ. უქმდება პარტიები. ერთადერთი პარტია რჩება – ბოლშევიკურ-კომუნისტური. იწყება ლიანგური გაწევრიანება კომპარტიაში. თუმცა ესეც არ არის შველა. დღეს რომ მამალი ბოლშევიკ-კომუნისტია, ხვალ ხალხის მტრად ცხადდება და თავი წარკვეთილი აქვს. დღეს რომ ხალხის მტრად არის მიჩნეული, ხვალ კომპარტია გულში იხუტებს და თავზე ბრინჯს აყრის. კომუნისტური წისქვილის დოლაბი თანაბრად

ფქვავს მტყუნსა და მართალს. ბეწვის ხიდზე უნდა იარო, საკუთარი მე რომ გადაარჩინო და არც ბოლშევიკ-კომუნისტები მოიმდურო.

მაგრამ როგორ გინდა მოახერხო ეს, როცა 77 წლის ეკატერინე გაბაშვილი თვალცრემლიანი შემოგჩივის – სახლ-კარი, მიწა-მამული, წამართვეს, ჩემი დიდი ოჯახი შვილებიან-შვილიშვილებიანად ქუჩაში გააგდეს, არსებობის სახსარი აღარ გვაქვს, დედაშვილობას გაფიცვით – მიშველეთ. რით უნდა უშველო? თავად ღარიბ-ღატაკი ხარ. მართალია, სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე გქვია, მაგრამ ხელფასი ასორმოცდაათი მანეთი გაქვს. ამით ხმელა პურს თუ იყიდის კაცი. არადა, უყურადღებოდ ვერ დატოვებ. თავი რომ დაანებო იმას, რომ იგი შენი ხანდაზმული კოლეგაა, დედაა შენი უგულითადესი მეგობრისა. ადრე თვითონ გეხმარებოდა, ხელს გიწყობდა, ახლა უსაშველოდ უჭირს და გულგრილი როგორ დარჩები? თანამდებობითაც რომ გევალება დახმარება?

რა უნდა ჰქნა, როცა პოეტი დიმიტრი თომაშვილი (ოყრემშიძე) გემუდარება – 31 წელი სახალხო მასწავლებლობას შევალიე. ვმწერლობ, ვთარგმნი, ხელფასი 58 მანეთი და ჰონორარი ვერაფერს მშველოდა. ოჯახს მიწის დამუშავებით ვარჩენდი. სოფელში, ჭოლევეში, 1200 კვ. საჟენი ეზო მაქვს. იგია ჩემი და ჩემი ხუთი შვილის არსებობის საფუძველი. ახლა ამ ეზოს კომუნისტები მართმევენ. მომეხმარეთ, არ წამართვან, თორემ ოჯახი შიმშილით ამომიწყდებაო.

პოეტ ვარლამ რუხაძეს ჩამოართვეს ყველაფერი თბილისშიაც და სოფელშიც. პროლეტარული რევოლუციის მომდერალი უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დატოვეს. გაუბედურებულ კაცს სხვა არაფერი დარჩენია, თხოვნა-ვედრების გარდა: მიშველეთ, დამეხმარეთ – დამიბრუნონ, რაც წამართვესო.

კოტე მაცაშვილის ოჯახი დიდ სიდუხჭირეშია ჩავარდნილი. მდგომარეობა რომ შეუმსუბუქონ, მწერლები ხელისუფლებას ეხვეწებიან მისი ოჯახი ბინის ქირის გადახდისაგან გაანთავისუფლონ. იმასაც ემუდარებიან: კ.მაცაშვილის ასულს, რომელიც კონსერვატორიაში სწავლობს, სწავლის ქირას ნუ გადაახდევინებთო. 1929 წლის 16 დეკემბრის მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს ეს საკითხი. ორმოციოდე დღით ადრე, 6 ნოემბერს, დასავლეთ საქართველოში დამშეულთა შველის გზებს ეძებდნენ მწერლები. როგორც ცალკეულ პიროვნებას, ისე მთელ ერს უსაშველოდ უჭირს. მაგრამ მწერლობა სიტყვიერად თუ გამოხატავს თანაგრძობას, თორემ ნივთიერად არაფერი ძალუმს. სადა აქვს მწერლობას ის ფინანსური სიძლიერე, მთელ ხალხს რომ გაუწოდოს დახმარების ხელი.

ხვეწნა-მუდარის, თხოვნა-ვედრების ზღვა დგას. რომელ ერთს უნდა უშველო, შეეხიდო, გადაარჩინო? სხვა რა გზაა, ბოლშევიკურ-კომუნისტურ მთავრობას უნდა მიაკითხო და შემწეობა ევედრო. მაგრამ იგი მაშინვე ცბიერი ღიმილით შეგეგებება – შენ რომ ჩემთვის რკო არ მოგიტანიაო, ანუ ბოლშევიკურ-კომუნისტური ხელისუფლებისათვის და მისი საქმიანობისათვის ქება არ შეგისხამსო? მაშინ უნდა დაწერო «ბაქო და ჰაიასტანი» (1931წ.). სხვა ჩარა არ არის. მართალია, უფრო ისტორიაზე, კულტურაზე, წარმართობაზე, ქრისტიანობაზე,

ისლამზე, პეიზაჟზე ილაპარაკებ, ვიდრე კომუნისტურ თანამედროვეობაზე, მაგრამ ძუნწად, თავშეკავებულად მაინც იტყვი:

«რევოლუციამ ძირითადად მოსპო ძველი ურთიერთობა.

«დელეცის» მაგიერ ბაქოში ეხლა მშრომელია. «შოვნის» მაგიერ – შრომა. სიმდიდრის მოპოვება მუშის ხელშია. იგია მისი გამგე. აქ არის ძირეული სხვაობა. ურთიერთობა შეიცვალა.

გამართულია ქალთა კლუბი. ეს არის უჯრედი შემოქმედი, სადაც იკვეთება აზერბაიჯანელ ქალთა განთავისუფლება» (გვ. 6-7).

არქიტექტორ თამანიანის გეგმა რომ განხორციელდება, ერევანი იქნება «ქალაქი-შედეგრი: აი რას გრძნობ, როცა დასცქერი ამ გეგმას» (გვ. 35).

«საბჭოთა ხელისუფლებას ხალხი გადაურჩენია ფიზიკურად. იგივე ხელისუფლება შეძლებას აძლევს ხალხს ფეხზე წამოდგეს და მუხლი მოიმაროს.

ეს ფაქტი აღიარებული უნდა იქნეს პირწმინდათ» (გვ. 31).

ნივთიერი გასაჭირი ყველას – მუშასა და გლეხს, სწავლულსა და ყურფიჩორა-მოხანდეს, ყოფილ არისტოკრატს თუ ბურჟუას – თავში უჩაჩქუნებს.

ფინანსურად წელგამართულმა რომ იცხოვრო არ კმარა არც სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარეობა, ანდა მისი მოადგილეობა. არც მწერალთა ფედერაციის თავმჯდომარეობა კმარა. მართალია, მოვალეობას პირნათლად ასრულებ, პრეზიდიუმის ყველა სხდომას ესწრები, ყველა ოქმს აწერ ხელს, მაგრამ გულმოდგინეობა არაფერს ნიშნავს. ამისათვის ერთ გროშსაც არავინ მოგიმატებს. ცოტა რომ შეეშველონ, თბილისის უნივერსიტეტში მოუწადინებიათ გრიგოლ რობაქიძის მიწვევა. 1925 წლის 14 ოქტომბერს გიორგი ახვლედიანი უნივერსიტეტის პედაგოგიურ საბჭოს მიმართავს: უნივერსიტეტში ბერძნული და ლათინური ლიტერატურის ისტორიას ვასწავლით, მაგრამ დასავლეთ ევროპული ლიტერატურისას არა. აუცილებელია მისი სწავლებაც. ამ მიზნით გრიგოლ რობაქიძე მოვიწვიოთო. ალბათ, ამ მიწვევის პასუხად არის დაწერილი მისი Curriculum vitae. ამ ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში აღნიშნული აქვს, რომ პედაგოგიურ საქმიანობას ადრეც ეწეოდა:

1915-18 წლებში ასწავლიდა თბილისის ქალთა უმაღლეს კურსებზე და ამიერკავკასიის უნივერსიტეტში.

1919-20 წლებში ბაქოს უნივერსიტეტში წაუკითხავს საგანგებო კურსი – გერმანული რომანტიზმი.

1920-21 წლებში კი თბილისის უნივერსიტეტში უსწავლებია ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია. ახალ მიწვევასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ჰპირდება – წავიკითხავო სპეციალურ კურსს «გერმანიის რომანტიზმი თანამედროვე ლიტერატურულ ძიებასთან შეფარდებით».

პედაგოგიური საქმიანობა საპატიო საქმიანობაა, მაგრამ მწერალს იგი დიდ დროს ართმევს. ძალაუნებურად ხელს უშლის. თუმცა პროფესიული

მწერლური მოღვაწეობით საქართველოში თავს ვერ ირჩენ. საქართველო არც ევროპაა და არც რუსეთი, სადაც ჰონორარით მწერალმა შეიძლება სიმდიდრეც კი მოიხვეჭოს. ჩვენში მწერალს ნივთიერად ყველა დროში უჭირდა. მით უმეტეს ახლა. წიგნის გამოცემა ჭირს. არ იშოვნება ქალაქი, სასტამბო ხელსაწყოები. რაც იბეჭდება, არ იყიდება. ვის რა შავქვად უნდა წიგნი, როცა შიმშილი ყელში უჭერს. მწერალთა ფედერაციის წიგნის მაღაზია გაკოტრდა. ვალი დაედო. მაღაზიის გამგეს ალექსანდრე არაბიძეს საციხოდ აქვს საქმე. იგი შეშინებული და გაოცებული საქართველოს მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმს მიმართავს 1929 წლის 2 ოქტომბერს:

«ფედერაციის წევრებმა იციან, რომ მე არა ვარ ყაჩაღი. 31 წელიწადი მე ვაწარმოებდი კულტურულ-საგამომცემლო მუშაობას და, გარდა ამისა, შემიძლია თამამად ვთქვა, მთელი ჩემი ძალ-ღონე და ქონება შევწირე არა მარტო კულტურულ მუშაობას, არამედ საზოგადო და რევოლუციურსაც. პეტერბურგში ცხოვრების დროს, სწორედ მაშინ, როდესაც მძვინვარებდა რეაქცია, ჩემი ბინა არა თუ იყო რევოლუციონერების თავშესაფარი, იქ იყო საწყობი არალეგალური ლიტერატურისა, და იყო ბუდე იატაკქვეშ მომუშავეთათვის. ნუთუ ეხლა, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემ მიერ ხელმოკიდებულ საქმემ იზარალა მე უნდა შევიქნე საგანი არა თუ საზოგადო სირცხვილისა, არამედ სისხლის სამართლის მილიციაში თრევისა?...».

ვინ დაგიდევს იმას, წარსულში რა ღვაწლი მიგიძღვის. მთავარია დღეს რა დააშავე, მოქმედებს უღმობელი პრინციპი: წარსულისთვის მადლობა, დღევანდელზე პასუხი აგე. საცოდავი ალექსანდრე არაბიძე რომ გადაარჩინოს, პაოლო იაშვილი მიმართავს განცხადებით მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმს:

«მე ათი წელიწადი ვმუშაობდი მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში სრულებით უსასყიდლოთ. უკანასკნელ წლებში უმუშევრობის მიზეზით, იძულებული ვიყავი მიმემართა ხოლმე კავშირის მაღაზიის გამგე არაბიძესთან სესხისათვის. და სამი წლის განმავლობაში დამედო 2.750 მან. ვალი. როდესაც ამ ვალს ვიღებდი იმედი მქონდა, რომ ნაწილს ჩამითვლიდა კავშირი ჩემი მუშაობის ანგარიშში, ხოლო ნაწილს დავფარავდი იმ ჰონორარით, რომელიც მერგება სახელგამის მიერ მიღებულ ჩემი ლექსების კრებულში. ფედერაციის პრეზიდიუმმა იცის, რომ ამ ვალიდან მე დიდი ნაწილი მიმიცია ჩვენს მწერლებისათვის, რომელნიც ჩემზე უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში იყვნენ.

ჩემთვის ეხლა აშკარაა, რომ პრეზიდიუმი მე ამ ვალიდან არაფერს არ მომიხსნის, და იმიტომ ვიღებ რა მხედველობაში, რომ მაღაზიამ იზარალა, და მაღაზიის გამგეს თავზე დაატყდა ვალი, – მე ვცნობ 2.750 მანეთს ვალს და ვდებ პირობას იგი გავისტუმრო ნაწილობრივ, სახელდობრ, 150 მან. თვეში. გარდა ამისა, მე გადავცემ პრეზიდიუმს ჩემი ჰონორარის აღების უფლებას სახელგამიდან, რაც შეადგენს დაახლოებით 800 მან. თუ პრეზიდიუმი მოისურვებს შემიძლია აგრეთვე მის განკარგულებაში გადავცე სომეხ პოეტების ქართულად ნათარგმნი ანტოლოგია რომლის ჰონორარი, ჩემის ფიქრით, შეადგენს რამდენიმე ას მანეთს.

ვალის გასტუმრების საგარანტიოდ ვთხოვ პრეზიდენტს აიღოს აღმასრულებელი ფურცელი ჩემის ბინის ავეჯზე, რომლის საფასური დაახლოებით დაჰფარავს 2.750 მანეთს».

ყველა ასეთ დღეშია: ან ციხე ან სრული სილატაკე.

წიგნების წერის მაგიერ, დრო ამგვარი საქმეების განხილვაში უნდა დაკარგო. განაჩენი გამოიტანო. ვიღაცას ბრალი დასდო, დანაშაული აჰკიდო. თან იცი: ადამიანები არაფერ შუაშია. ეპოქას, სისტემას, პოლიტიკურ-ეკონომიკურ წეს-წყობილებას მიუძღვის ბრალი. ძველი პირწმინდად მოიშალა. ახალი კი თავგზაარეული დაეძებს გამოსავალს. ამას ვერ იტყვი, ვერ ამხელ. იტყვი და შურისგებას სად გაექცევი. ქვესკნელში რომ ჩაძვრე, იქიდან ამოგიღებენ. ცაში რომ აფრინდე, იქიდან ჩამოგაგდებენ. ვერც თანამდებობას დატოვებ და გადადგები. კომპარტიასთან მუშაობა არ გინდა? – დაგისვამენ ვერაგულ კითხვას და შინ შევლასაც ვერ მოასწრებ, ისე გაემგზავრები კატორღაში. შეიძლება შეღავათიანი ვადით, შეიძლება სამუდამოდ. ერთადერთი შვება უცხოეთში წასვლაა ცოტა ხნით. 1927 წელს გრიგოლ რობაქიძეც მიდის სალიტერატურო საქმეების მოსაგვარებლად. «1925 წელს, უკვე მოწიფულ მწერალს, აღმემრა სურვილი გამოვჩენილიყავი ევროპულ ლიტერატურულ ასპარეზზე, – წერდა იგი 1950 წელს რომენ როლანის ქვრივს მარი როლანს. მე ვვარაუდობდი: ჩემი, როგორც მწერლის, გამოჩენა ევროპაში სამსახურს გაუწევდა ჩემს მშობლიურ ქართულ ლიტერატურას. მისი თხუთმეტსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე, ზოგიერთ ევროპულ ენაზე ნათარგმნი იყო ოდენ სხვადასხვა ავტორის რამდენიმე ლექსი, მე-12 საუკუნის პოეტის რუსთაველის «ვეფხისტყაოსნის» ნაწყვეტი და კიდევ მე-10 საუკუნის ერთი თხზულება, რომელიც ერთ-ერთი წმინდანის ცხოვრებას აღწერს (ეს უკანასკნელი ლათინურ ენაზე). მხოლოდ ეს. ვარაუდობდი აგრეთვე რომ ევროპისათვის არ იქნებოდა უინტერესო გასცნობოდნენ ჩემი ხალხის ლიტერატურას. ეს მით უფრო, რომ ჩემი ხალხის ენას თვლიან ერთერთ უძველეს ენად. ჟაკ დე მორგანს, მაგალითად, მიაჩნია, რომ ენები – ეტრუსკული, ხეთური, ბასკური, ქართული – პირველენებია, რომელნიც სრულად და მთლიანად გადმოგვცემენ წინარეისტორიული სამყაროს მითიურ სახეს.

მანამდე, სანამ მივმართავდი ევროპელ გამომცემლებს, გადავწყვიტე ჩემი შემოქმედების ნიმუშები მიმეწოდებინა ევროპის რომელიმე სახელოვანი მწერლისათვის გასასინჯად, რომ ამით გამეგო, რამდენად ესადაგება ისინი ევროპელი მკითხველის აღქმას. ჩემი არჩევანი რომენ როლანზე შეჩერდა» (ფრანგულიდან თარგმნა ნათელა ბაქრაძემ).

რომენ როლანისათვის გრიგოლ რობაქიძეს ორი პიესა – «მალშტრემი» და «ლონდა» გაუგზავნია. ფრანგულად ისინი ელისაბედ ორბელიანს უთარგმნია. როლანისათვის კი პიესები გადაუცია გრიგოლის მეგობარს, ბიოლოგ გიორგი ელიავას, რომელიც იმჟამად პარიზში, პასტერის ინსტიტუტში ცოდნას იღრმავებდა. მალე გრიგოლ რობაქიძეს გიორგი ელიავასაგან რომენ როლანის პასუხი მიუღია. ფრანგი მწერლის ბარათებს გრიგოლ რობაქიძისადმი ჯერჯერობით არ ვიცნობთ. ისინი ბერლინში დაუტოვებია გრიგოლს, როცა 1945 წელს გერმა-

ნიიდან შვეიცარიაში გაიხიზნა. მაგრამ მაღამ მარი როლანისადმი გაგზავნილ გრიგოლ რობაქიძის წერილში ჩანს, რომ «მალშტრემი» და «ლონდა» რომენ როლანს დიდად არ მოსწონებია. აშკარად ჩანდა, მიმოწერით საქმე კეთილად ვერ დაგვირგვინდებოდა. აუცილებელი იყო პირადი შეხვედრები. გრიგოლ რობაქიძეც გაემგზავრა საზღვარგარეთ. წასვლით კი წავიდა, მაგრამ ფინანსურად ძალიან ხელმოკლედ იყო. ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის გერმანე მგალობლიშვილისათვის 1927 წლის 21 აპრილს მწერალთა ფედერაციის მიერ მირთმეული თხოვნა ადასტურებს ამ მდგომარეობას. «გრიგოლ რობაქიძე გერმანიაში იმყოფება თავის ხარჯზე და საცხოვრებლად აქვს მხოლოდ ის მცირეოდენი ჰონორარი, რომელსაც აძლევს გაზეთი «ზარია ვოსტოკა» ფელეტონებისათვის და ჟურნალი «მნათობი» მხატვრული წერილებისათვის». 26 მაისს მწერალთა ფედერაცია ახალ არძას აგზავნის ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატში: პიესა «ლამარა» დასადგმელად მიღებულია რუსთაველის თეატრში. ამ ჰონორარის ხარჯზე მიეცეს გრიგოლ რობაქიძეს 300 მანეთი ვალუტით. იმასაც ემუდარებიან – ელენე ფიალკინას რომელიც გერმანიაში ქმართან მიდის, საზღვარგარეთის პასპორტის გადასახადს ნუ გამოართმევთო.

ასე მუხლმოდრეკილი იხვეწება ქართული მწერლობა, რომ მის წარმომადგენელს შიმშილით სული არ ამოხდეს უცხოეთში.

გრიგოლ რობაქიძის მგზავრობას საზღვარგარეთ უკვალოდ არ ჩაუვლია. «გველის პერანგის» გერმანული თარგმანი გამოიცა. თარგმანს შტეფან ცვაიგის წინათქმა ახლდა. ავსტრიელი მწერალი წერდა:

«ჩვენი ცნობისმოყვარეობის სულიერ სფეროში სრულიად ახალი და საოცრად მიმზიდველი სამყარო წარმოსდგა, რამეთუ მსოფლიოს რომელიმე ქვეყანა, რომელიმე ერი მხოლოდ მაშინ არსებობს ნამდვილად, როდესაც თავის აღწერას და თავისი თავის შესახებ მოყოლას იწყებს...

ძველი და ახალი სამყარო, მაგიური და რეალური სფეროები, უჩვეულოდ ჩვენთვის არაბუნებრივად ირევინან ერთმანეთში. და მხოლოდ მათ ასეთ შერწყმას ძალუძს ამ ეპიკური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი, ხშირად არაბუნებრივი პოეტურობის გამართლება. მაგრამ რაოდენ მხურვალე ცეცხლი იფრქვევა ამ აღწერებიდან: ხანდახან გწადია რომელიმე გვერდი ამოჭრა და ლექსად დაწერო, თუმცა ისინი უკვე ლექსებია. ზოგიერთი თავი კი გინდა იმ მეზღაპრემ წაიკითხოს, უკვე ცივილიზებული აღმოსავლეთის ბაზარზე (თუმცა ახლა იშვიათად) მაინც კიდევ რომ გვხვდება.

მე ამ წიგნმა მსოფლმხედველობა გამიფართოვა. ბედნიერად გამინათა ჰორიზონტი ეგზოტიკისაკენ და შემაგრძნობინა კიდევ ერთი უცხო სახეობა ეპიკური პოეზიისა...

ეს არის წიგნი, რომელიც ძლევამოსილად ამტკიცებს, რომ ჩვენს მატერიალიზებულ, სულ უფრო და უფრო განსწავლულ და მეცნიერულ სამყაროში მითოსის შემოქმედებითი არსებობა ისევ და ისევ გრძელდება» (ნათია მიქელაძის თარგმანი. «ლიტერატურული საქართველო», 1987 წ., _49).

«გველის პერანგის» გერმანული თარგმანის გამოსვლამ და შტეფან ცვაიგის წინასიტყვაობამ ერთი ვაი-უმშველებელი გამოიწვია საქართველოში პროლეტარულ მწერალთა წრეში. მათ დარაზმულად შეუტიეს გრიგოლ რობაქიძეს.

«ის რომ სტ. ცვაიგი თარგმნის¹ და აქებს რობაქიძეს... ყოველივე ამაში შერჩევის კანონი მოქმედებს. «სული სულს ცნობს» და არაფერია საკვირველი იმაში, რომ გრიგოლ რობაქიძე ბურჟუაზიული ევროპისათვის წერს. გრიგოლ რობაქიძე ბურჟუაზიული ევროპის მწერალი უფროა, ვიდრე ჩვენი რევოლუციური ქვეყნისა, და საკვირველიც არ იქნება, რომ ევროპამ იგი «სცნოს» (პლატონ ქიქოძე – «ლიტერატურული საქართველო», წიგნი მეორე, 1934 წ., გვ.110-111).

«გრიგოლ რობაქიძე მთლიანი და ჩამოყალიბებული სახის ბურჟუაზიული მწერალია. «გველის პერანგის» გამარჯვება ბურჟუაზიულ გერმანიაში შემთხვევითი მოვლენა არ არის. კლასიური კანონზომიერება მოქმედებს აქ უსათუოდ» (შალვა რადიანი – «თანამედროვე ქართული ლიტერატურა», 1931 წ., გვ. 56).

«მხედველობაში არ გვაქვს ცვაიგის აღტაცება ამ რომანით. უცხოელი მწერლის აღმოსავლური ეგზოტიკით «მოხიბლვა» ვერაფერს მატებს «გველის პერანგის» ღირებულებას და საბჭოთა საზოგადოებისათვის დამატებითი დამაჯერებელი საბუთი არ არის» (ბენიტო ბუაჩიძე – «თანამედროვე ქართული მწერლობის გზები», 1934 წ., გვ. 98).

რაკი ბურჟუაზიულ მწერლად ჩათვალეს, მის ყოველ ნაბიჯს აკრიტიკებენ. 1928 წელს ლევ ტოლსტოის იუბილეს რომ დაესწრო და შთაბეჭდილებანი გამოაქვეყნა,¹ კარიკატურებით აავსეს ჟურნალ-გაზეთები: თავისთავზე და შტეფან ცვაიგზე უფრო მეტს ლაპარაკობს, ვიდრე დიდ რუს მწერალზეო. არც «ფალესტრა» მოეწონათ. ისიც პროლეტარიატისათვის მიუღებელ რომანად მიიჩნიეს. სულის შემხუთველი გარემოება შეუქმნეს. ერთადერთი რამაც დიდი სიხარული მოუტანა, «ლამარას» გამარჯვებაა რუსთაველის თეატრში. ყველა, ვისაც ეს წარმოდგენა უნახავს, ერთხმად ადასტურებს, რომ ეს იყო ნამდვილი თეატრალური დღესასწაული. «ლამარას» მოტანილი სიხარული სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა გრიგოლ რობაქიძეს. 1962 წელს, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, მედიდურად იტყვის: «საქართველო ოდესმე იამაყებს მსოფლიოს წანაშე «ლამარათი» (წერილი გიორგი გამყრელიძეს).

«ლამარა» ემიგრაციაში წასასვლელადაც დაეხმარა გრიგოლ რობაქიძეს.

ეს არ იყო ჩვეულებრივი მოგზაურობა ევროპაში. იგი უცხოეთში სამუდამო დარჩენას აპირებდა. მოგვიანებით ნიკოს კაზანძაკისს გამოუტყდა: უკვე 1928 წელს «შინაგანად გადაწყვეტილი მქონდა დამეტოვებინა საბჭოთა კავშირი». გერმანიაში წასასვლელად ნებართვა დიდი ჯახირით მიუღია. «ორ წელიწადზე მეტხანს ვცდილობდი, გამომეგლიჯა თანხმობა გასამგზავრებლად». ამაში დიდად დახმარებია რუსთაველის თეატრის გასტროლები მოსკოვში 1930 წელს და მისი «ლამარას» გამარჯვება. ბერძენ მწერალს უყვება: «ერთხელ თეატრს ეწვია თვითონ «ის» – სტალინი. იგი მხოლოდ ბოლო მოქმედების დროს შემოვიდა. შეძრულმა წარმოდგენის ბოლოს გამოთქვა სურვილი, სპექტაკლი

თავიდან განმეორებულიყო. დაცარიელებული თეატრის დარბაზში ხელახლა, უფრო დიდი ენთუზიაზმით, განმეორდა წარმოდგენა». მაშინ საბჭოთა ხელისუფლებას მიზანშეწონილად მიუჩნევია რუსთაველის თეატრის ევროპა-ამერიკაში გაგზავნა (მერე ეს საქმე ჩაიშალა). გრიგოლ რობაქიძეს უცდია გამოეყენებინა ეს ვითარება. იმავე ნიკოს კაზანძაკისისადმი მიწერილი ბარათით შეგვიძლია შევიტყოთ:

«მე, რომელიც ამდენ ხანს საზღვარგარეთის პასპორტისათვის ვიბრძოდი, შევეცადე გამომეყენებინა ეს შემთხვევა. ამავე წლის (1930 – ა.ბ.) ნოემბერში მოსკოვს გავემგზავრე, სადაც ჯერ კიდევ არ მიმქრალიყო «ლამარას» გამოძახილი. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ მომიხერხდა კრემლში ენუქიძის ნახვა, რომელიც გავლენიანი პირი იყო კულტურული საქმიანობის დარგში. ის სტალინის ანტიპოდი გახლდათ. ბევრს დახმარებია გაჭირვებისას. 1937 წელს სიკვდილით დასაჯეს, როგორც «მოღალატე». მე მას ავუხსენი, რომ როგორც «ლამარას» ავტორს, შემემძლო უცხოეთში თეატრისათვის დახმარება გამეწია. მისი შემწეობით პასპორტი მივიღე».

1931 წლის 6 მარტს, გრიგოლ რობაქიძეს, მის ცოლს ელენე ფიალკინას და ცოლის დისწულს ხუთი წლის ალია პოგორელოვას საზღვარი გადაულახავთ და შვიდ მარტს უკვე ბერლინში ჩასულან.

ერთხანს საქართველოში დუმილია. გრიგოლ რობაქიძის წასვლას არავინ ეხმაურება, არც ავად, არც კარგად. ბოლშევიკურ-კომუნისტურმა ხელისუფლებამ, ჯერ არ იცის – რას იზამს გრიგოლ რობაქიძე. 1931 წლის 9 მაისს საქართველოს მწერალთა ფედერაციის წმენდა ჩაატარეს. 27 კაცი გარიცხეს სხვადასხვა მიზეზით. მათ შორის კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ იმედაშვილი, პავლე ინგოროყვა, გერონტი ქიქოძე, შალვა შარაშიძე (თაგუნა). მათ ბრალად დასდეს რეაქციონერობა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრული დამოკიდებულება. დანარჩენი კი გაირიცხნენ ორი მიზეზით: პირველი – შემთხვევით მოხვდნენ მწერალთა ფედერაციაში და მწერლობასთან კავშირი არა აქვთო (ერეკლე ტატიშვილი, დიმიტრი უზნაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, სიმონ ჯანაშია). მეორე – პასიური წევრები არიან, ზარმაცობენ და წლების მანძილზე არაფერს წერენო (ხარიტონ ვარდოშვილი, ნიკო კეცხოველი, მიხეილ მრევლიშვილი, ქრისტოფორე რაჭველიშვილი ლელი ჯაფარიძე და სხვანი). მაშინ გრიგოლ რობაქიძე გადარჩა. იგი არ გაურიცხავთ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე კაპიტალისტურ ევროპაშია. თუმცა დაუსჯელი არ დარჩენილა. რამდენიმე თვით ადრე, 1930 წლის 15 ნოემბერს, სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის საბჭოს მეოთხე პლენუმის დადგენილებით გრიგოლ რობაქიძე მოხსნეს ფედერაციის თავმჯდომარეობიდან. (იოსებ გრიშაშვილი კი პრეზიდენტის შემადგენლობიდან გაიყვანეს).

გადამწყვეტი ზომებისაგან ჯერჯერობით თავს იკავებენ. ხუმრობა ხომ არ არის «ლამარა» სტალინს მოეწონა. ასეთ მწერალს ადვილად ვერ შეებედავენ, სანამ უზენაესი ნებართვა არ იქნება. მაგრამ დუმილი დიდხანს არ გაგრძელდება. მალე ისეთი წვერთაგლეჯა ატყდება, რომ მტრისას. ხელისუფლებამ მზაკ-

ვრულ ხერხს მიმართა. არ იკმარა გრიგოლ მუშიშვილისა და კომუნისტური პარტიის სამსახურში ჩამდგარი სხვა ჟურნალისტების პამფლეტები. არ დაჯერდა იმას, რომ ბოლშევიკურ-კომუნისტურმა პრესამ გრიგოლ რობაქიძე უკვე მონათლა ფაშისტად, რასისტად, კაპიტალიზმის აპოლოგეტად.

«გველმა პერანგი გამოიცვალა. «გველმა თავისი თავი დატოვა: მოიხსნა და გადაავდო». გველი იცვლის პერანგს, მაგრამ არა საკუთარ არსებას – გველი გველად რჩება მაინც, უფრო საშიშ, გაახალგაზრდავებულ გველად.

მიხაკისფერი ყანწით – ფაშისტური დალით მკერდის შუაგულზე – სვამს გრიგოლ რობაქიძე გერმანული ფაშიზმის, მისი დამპალი კულტურის, რასიული იდეოლოგიის სადღეგრძელოს...». (გ.მუშიშვილი – «გველის პერანგოსანი», 1934 წ., გვ. 44).

კომუნისტური პარტია მარტო ლანძღვა-გინებით არ კმაყოფილდება. ადამიანთა შორის უნდა დათესოს სიძულვილი, მტრობა და შუღლი. გრიგოლ რობაქიძის გულითად მეგობრებს, ცისფერყანწელებს ვალერიან გაფრინდაშვილს, პაოლო იაშვილს, ნიკოლო მიწიშვილს, ტიცინან ტაბიძეს აიძულებს ხელისუფლება გამოვიდნენ გრიგოლ რობაქიძის წინააღმდეგ. და აი, 1935 წლის «მნათობის» მეოთხე წიგნში ქვეყნდება მათი მიმართვა სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმისადმი.

მიმართვაში ნათქვამია, რომ სსრკ-მა განსაცვიფრებელი გამარჯვება მოიპოვა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის ყველა დარგში. ეს აცოფებს კაპიტალისტური სამყაროს და კიდევ უფრო გაბოროტებით ებრძვის სოციალიზმს.

«ასეთ დროს ქართველი მწერლების რიგებს მოღალატურად სტოვებს და როზენბერგის ბანდებს ეკედლება ერთი ქართველი მწერალი, რომლის სახელი ამიერიდან ხდება სამარცხვინოდ ყოველ საბჭოთა მწერლისა და მოქალაქისათვის.

ეს მწერალი გრიგოლ რობაქიძეა.

ეს თვალთმაქცი ადამიანი, დღიდან საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებისა, ატყვილებდა რა ხელისუფლებას, მწერლობას და საბჭოთა საზოგადოებას, გულში ატარებდა მშრომელთა ქვეყნისა და საბჭოთა საქართველოს ღალატის მუხანათურ აზრებს.

და ეს ზრახვები დღეს გრიგოლ რობაქიძემ განახორციელა საბჭოთა საქართველოდან ქურდულად უცხოეთში წასვლით, ფაშიზმის ბანაკში აშკარად გადასვლით და იქ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ მოღალატური, გამცემლური მუშაობით.

მისი ღალატის გამომჟღავნების შემდეგ ჩვენთვის აშკარაა, რომ ქართული საბჭოთა მწერლისათვის ამ უჩვეულო საქციელს სარჩული წარსულში ჰქონდა. და ვინც გაიხსენებს რობაქიძის მუშაობას რუსულ შოვინისტურ პრესაში, მის ბულვარულ რომანს «ფალესტრას» და იდეალისტურ რასისტულ წიგნს «გველის პერანგს» და მთელ მის მხატვრულ პროდუქციას, გამსჭვალულს გადაგვარებულ კლასთა იდეურ სიდატაკით და დაკნინებულს მხატვრული ფორმით, –

რობაქიძეს ეს უმსგავსო და ბოროტი საქციელი გასაგები ხდება, როგორც ლო-
ლიკური დასკვნა ამ განდიდების სენით შეპყრობილ, გადაგვარებულ პიროვნე-
ბის მუშაობისა».

ამ «მიმართვაში» ცხადად და მკაფიოდ ჩანს ქართული მწერლობის უმძი-
მესი ტრაგიკული მდგომარეობა. უმწეობა, რომელიც ყოველი მწერლის საში-
ნელ სულიერ ტანჯვას გამოხატავს. თავისუფალი ნებით ამ «მიმართვას» არც
ვალერიან გაფრინდაშვილი მოაწერდა ხელს, არც პაოლო იაშვილი, არც ნიკო-
ლო მიწიშვილი და არც ტიცთან ტაბიძე. იგი ველური ძალდატანების შედეგია.
რა მაძლევს ამის თქმის უფლებას?

ჯერ ერთი ის, რომ მათ უახლოესი და გულწრფელი მეგობრობა
აკავშირებდა. არა ერთი და ორი საქებარი სტრიქონი მიუძღვნიათ ერთმანეთი-
სათვის. ერთხმად აღიარებდნენ გრიგოლ რობაქიძეს მათი ორდენის შთამაგო-
ნებლად და გზის გამკაფავად.

*მომართვა ჩემი, კარდინალო ჩვენი ორდენის,
იქნება მძიმე.*

*შენი შუბლი, უფრო მძიმეა
ყველა ლექსებზე, რაც მე და შენ დაგვიწერია...*

...

უწმინდეს გრიგოლს.

უნეტარესს გრიგოლს.

უსაყვარლეს გრიგოლს.

უსმენთ სინდისით, სიმკაცრით მდიდარს.

/პაოლო იაშვილი – «გრიგოლ რობაქიძეს»).

1919 წლის «მეოცნებე ნიამორების» თებერვლის წიგნი, რედაქტორს ვალე-
რიან გაფრინდაშვილს უჩუქებია წარწერით – «პოეტს და ოქროპირს გრიგოლ
რობაქიძეს..».

ნაპოლეონის მედიდური უცხო პროფილი.

შავი ცილინდრი. ყრუ ნაბიჯი. ხელთათმანები.

განდეგილის ხმა – ჩვენებათა ავი მზმანები...

...

თეთრ სიამაყეს აქანდაკებ შენი დიდებით

და სერაბიმი მარტოობის გდარაჯობს ხშირად,

რომ შენ, მზიური, დაიფერფლო ღამის ნახშირად.

/ვალერიან გაფრინდაშვილი – «გრიგოლ რობაქიძე»)

ტიციან ტაბიძის სტრიქონები, წარმოთქმული გრიგოლ რობაქიძის ქებად,
უკვე მოვიხმე ადრე, ახლა დავამატებ მხოლოდ: «გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება

და შემოქმედება არის ცხოვრება წმინდანის. ასეთ პიროვნებაზე იწერებოდა წინათ «ცხოვრება წმიდათა» (ტიციან ტაბიძე – «ლონდა»).

არც გრიგოლ რობაქიძე აკლებს მათ ხოტბის სიტყვას. ამის დასტურია სონეტები «ვალერიან გაფრინდაშვილს», «ტიციან ტაბიძეს». «სონეტი ლოცვისა» კი ასეთ ქვესათაურსაც ატარებს – «ახალ მხედართ: ვ.გაფრინდაშვილს, პ.იაშვილს, ტ.ტაბიძეს, გ.ტაბიძეს».

ამგვარი ურთიერთობის შემდეგ, ძალდატანებისა და დაშინების თვინიერ, არავინ დაწერს ან იტყვის, რომ გრიგოლ რობაქიძე იყო განდიდების მანიით შეპყრობილი, მისი «ფალესტრა» ბულვარული რომანია, «გველის პერანგი» და, საერთოდ, მისი შემოქმედება, აზრობრივად და მხატვრულად, კნინია და ლატაკი.

მეორეც ის, რომ ოთხი ხელმომწერიდან ორი – ნიკოლო მიწიშვილი და ტიციან ტაბიძე – დააპატიმრეს და დახვრიტეს. ერთმა – პაოლო იაშვილმა – თავი მოიკლა. მხოლოდ ერთი – ვალერიან გაფრინდაშვილი – გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით. მაგრამ მაინც საკითხავია: გარდაიცვალა კი ბუნებრივი სიკვდილით? თუ მას სხვაგვარი ხერხით შეუმოკლეს ცხოვრების დღენი? 1941 წელს, როცა 52 წლის ვალერიან გაფრინდაშვილი გარდაიცვალა, ეს სრულებით არ იყო გამორიცხული.

არც სულმოკლეობის გამო მოაწერდნენ ისინი ხელს «მიმართვას». ყოველმა მათგანმა წინასწარ იცოდა, რაც მოელოდათ. ტიციან ტაბიძემ და ნიკოლო მიწიშვილმა იწინასწარმეტყველეს ეს კიდეც.

ლექსში – «სერგეი ესენინს» – ტიციან ტაბიძე ამბობს:

*განა შენ დარჩი მარტო ცოცხალი,
რომ გადარჩენა არ გხარებია?...
ვინ დაითვალოს ცრემლის კურცხალი,
სირცხვილი, რაც გულს გაჰკარებია?...*

...

*შევსვამთ საწამლავს... ჩვენ როგორც მირონს –
პირველად შენ სთქვი ეს ალავერდი.*

...

*ამხანაგებო, თუ ღრმა ღელეში
ჩვენი თავებიც სადმე დაგორდეს,
ყველამ იცოდეს – სხვა პოეტებში
ესენინ ჰყავდა ძმად ცისფერ ორდენს!.....*

ნიკოლო მიწიშვილი 1922 წლის 11 დეკემბერს დღიურში წერს – «მე ოცდაექვსი წლის ვარ და ყველაფერი ისე ეწყობა, რომ ეხლა ვიწყებ თავიდან ცხოვრებას. ჩემის ანგარიშით მე კიდეც გავძლებ თხუთმეტ წელს და ღირს ამისათვის თავის ტეხა?» («ეპოპეა» 1929წ., გვ. 271-1). ზუსტად თხუთმეტი წლის შემდეგ, 1937 წელს, დააპატიმრებენ და მოკლავენ.

მესამეც ის, რომ გრიგოლ რობაქიძემ იცოდა «მნათობში» დაბეჭდილი მიმართვის არსებობა. მაგრამ წყენა გულში არ ჩარჩენია. მან ჩინებულად უწყობდა როგორი ტექნოლოგიით იქმნებოდა ამგვარი «მიმართვები», «მამხილებელი წერილები», «დასმენები». აღწერა კიდევ ეს ტექნოლოგია რომანში «ჩაკლული სული». საშინელი გულის ტკივილით განიცდიდა მეგობრების საბედისწერო ხვედრს. პირად ბარათებში უცხოელ მეგობრებს ხშირად შესჩივის მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის და სხვათა უბედურებას. 1937 წლის 13 ოქტომბერს, გაზეთ «ბერლინერ ზდორსენცაიტუნგის» დამატებაში – «ფოლკ უნდ კულტურ» – გრიგოლ რობაქიძე ნეკროლოგიით გამოეხმაურა პაოლო იაშვილის თვითმკვლელობას.

«ახლა ეს კაცი – ნიჭიერი პოეტი, ღმერთების საყვარელი, მეფე და მათხოვარი, მარადი ჭაბუკი, შვილი მზისა – ცოცხალი აღარ არის. როგორც ვარშავიდან შეგვატყობინეს, მას მყისვე მოუკლავს თავი, როცა მის დასაპატიმრებლად ГПУ-ს აგენტები მისულან. შეიძლებოდა კი, რომ იგი აღმდგარიყო ბოლშევიზმის წინააღმდეგ? თვითონ არ ყოფილა ბოლშევიკი, მაგრამ საბჭოების მიერ შექმნილი სინამდვილის ჩარჩოებში პატიოსნად მუშაობდა, განსაკუთრებით ბოლო წლებში დაწერილ ლექსში ცდილობს კიდევ საბჭოურ მიზნებს შეეგუოს. ამ ლექსებს აკლიათ რაღაც, რაც ყველა მის ადრინდელ ლექსებშია. ძნელი მისახვედრი არ არის – რატომ. იქნებოდა იგი ახლა რაიმე შეთქმულების მონაწილე? ფიქრიც კი არ შეიძლება ამაზე, კლასობრივი ბრძოლა და მისი მსგავსი რამ ძალიან შორს იყო პ.იაშვილის ნატიფი არსებისაგან.

1924 წელს, საქართველოში დიდი აჯანყების დროს, დახვრიტეს მისი უმცროსი ძმა. დედას დაუმალეს ეს გამანადგურებელი ამბავი. იაშვილმა ითავა დაერწმუნებინა დედა: მას შვილი ცოცხალი ჰყავს. ირანშია გადახვეწილი და იქ ცხოვრობს. წლების მანძილზე, დახვრეტილი ძმის სახელით, პ.იაშვილი წერილებს უგზავნიდა დედას. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ტანჯვა იმ კაცისა, რომელიც ცდილობს ძმის ხელწერას მიახლოვდეს თავისი, დედამ ტყუილში რომ არ დაიჭიროს.

თუ საწყალი მოხუცი ახლა ცოცხალია, გაიგებს, რომ მარტო ერთი შვილი არ დაუკარგავს.

ამ ადამიანის აღსასრული, რომელიც ეს-ეს იყო ორმოცს გადააბიჯა, შემამრწუნებელია. სიტყვა ვერ მიპოვნია ტკივილის გამოსახატავად».

ისიც გაიხსენეთ, რომ პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე გრაალის გუშაგებად გამოიყვანა გრიგოლ რობაქიძემ თავის, 1937 წელს გამოქვეყნებულ რომანში – «გრაალის მცველნი». ყველაფერი ეს ნათლად ადასტურებს იმას, რომ, მიუხედავად სიშორისა, მათი სულიერი ურთიერთკავშირი არ გაწყვეტილა. მათ მეგობრობას «მნათობში» დაბეჭდილი «მიმართვა» ვერ მოერია. რომელმა ჭკუათმყოფელმა ადამიანმა არ იცოდა – როგორ იყო შეთითხნილი იგი. როგორი «ოსტატობით» დგამდა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი სპექტაკლებს და ანაწილებდა როლებს, როგორც მთელ სსრკ-ში, ისე საქართველოში.

სპექტაკლი «მიმართვის» გამოქვეყნებით არ დამთავრებულა. 1935 წლის 19 აპრილს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომა მოეწყო. დიდხანს თათხავდნენ ამ სხდომაზე გრიგოლ რობაქიძეს. ბოლოს დადგენილება მიიღეს.

«სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა მოისმინა რა ფაშისტ გრიგოლ რობაქიძის გამცემლური მუშაობის შესახებ მწერალთა ერთი ჯგუფის – პ.იაშვილის, ტ.ტაბიძის, ვ.გაფრინდაშვილის, ნ.მიწიშვილის – განცხადება, რომელსაც ერთსულოვნად შეუერთდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მთელი კოლექტივი, დაადგინა: ეთხოვოს საქართველოს სსრ ცაკის პრეზიდიუმს, რათა გრიგოლ რობაქიძე, როგორც ამკარა მტერი ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხის, გადასული კონტრრევოლუციურ ფაშისტურ ბანაკში, გამოცხადებულ იქნას სოციალისტური სამშობლოს მოღალატედ და ჩამოერთვას მას საბჭოთა მოქალაქეობა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგების განხორციელებით».

გრიგოლ რობაქიძის სახელს მრავალი წლით ვაშინერსი, ანუ ტაბუ დაედო.

მზის ნარქენი

კრიტიკიუმი, რომლითაც უნდა განვიხილოთ გრიგოლ რობაქიძის პოეზია, თვითონ დაგვიტოვა. 1953 წლის 3 მარტს გიორგი გამყრელიძეს ბარათით უზიარებდა აზრს:

«ჩემთვის პირადად ყველაზე უფრო დიდი ლირიკოსი არის ჰელლენთა საფო, ყოველი სიტყვა მისი გვხვდება გულში: გვხვდება ისე, რომ გიტოკავს: გიტოკავს ისე, რომ ამოვარდნას აპირებს; აპირებს ამოვარდნას, რომ სხვა გულს გადაეხსნას. აი ლირიკოსი. სხვა საზომი მაქვს პოეტისათვის: რამდენად *ახალია* მის მიერ ხილული სამყარო, რამდენად *უნივერსალურია* ეს სიახლე და რამდენადაა იგი ჩამოსხმული *პლასტიურად*. ვთქვი საფოზე: «ყველაზე დიდი ლირიკოსი» – ეს არ ნიშნავს ყველაზე დიდი პოეტი».

გრიგოლ რობაქიძე ხშირად იხსენებს ათ ლექსს. ისინი ქართული ლირიკის შედეგებად მიაჩნია. იმასაც დასძენს: ჩემი თვალსაზრისითო. ამ თვალსაზრისის გაზიარებას არავის აძალეებს. ეს ათი ლექსია: ნიკოლოზ ბარათაშვილის «მერანი», აკაკი წერეთლის «მუშური», «სულიკო», «ჭიდაობა» (ქვესათაური: «კულა გლდანელი და ნესტორ ესებუა»), გალაკტიონ ტაბიძის «ქებათა ქება ნიკორწმინდას», პაოლო იაშვილის «არგვეთის ღამეები» და «წერილი დედას», კონსტანტინე ჭიჭინაძის «ორბი», ალექსანდრე აბაშელის «ტაძარში» და ილო მოსაშვილის «დოღში სწორებთან».

ეს ლექსები მის მეხსიერებაში ღრმად ჩარჩენილა. თუმცა ზოგჯერ არა თუ მთელი ლექსი, არამედ სათაურიც არ ახსოვს ზუსტად. მაგალითად, აკაკის «მუშური» მოხსენიებული აქვს სახელით «ყანაო...». ალექსანდრე აბაშელის «ტაძარში» მინდია ლაშაურის წიგნში – «ქართული სული» – წაუკითხავს. ჩანს არც

მინდია ლაშაურს ახსოვდა ეს ლექსი ზუსტად. სათაურიც შეცვლილია და სტრიქონთა რაოდენობაც შემცირებული. «ნოემბრის ქარში» არ ჰქვია ამ ლექსს. როგორც უკვე ვთქვი, მისი სახელია «ტამარში». უფრო მეტიც: ილო მოსაშვილის ლექსიდან მხოლოდ ერთი სტრიქონი ახსოვს – «უფსკრულებისკენ – გაფრენილი უზანგებიდან». მაგრამ იგი იმდენად მოსწონს, რომ გვარწმუნებს: ეს სტრიქონი «მთელს შაირს უდრის».

რაკი დღევანდელ მკითხველს ილო მოსაშვილის «დოდში სწორებთან» უთუოდ არ ეხსომება, მოსაგონებლად მას მთლიანად მოვიტან:

*ვარ კალმახვით გაჟანგული არაგვის ქვიშით,
დღეს ალაზანმა ცხელი მკერდი გადამილამა.
ბედი შემება და საქცევი ჩემი ილამა,
მაგრამ მთებისკენ მიმაქანებს ამაყი ჯიში.
შეუპოვარი მყავდა მამა, და, დედა, მწყემსი,
ეხლაც ბუხართან მეგონება ცოლი დევისა.
ბევრი მიზიდავს მეც ღრუბელი ლეკის მთებისა
და ღამე ნაბდის ნაგლეჯივით მგდებია მხრებზე.
ფშავსა და ქიზიყს ვაქორწინებ, როგორც ჯილაგებს,
როცა დოლიდან საქართველოს მოვუტან ბაღდადს,
ჩემი დროების სიხარული გულს გამილაღებს,
ამ გზას მივენდე, ვთქვი სიმღერა მზის ჰანგებიდან
და თუ მოვტყუვდი, ან გულისთქმა არ გამინალდდა,
უფსკრულისაკენ – გაფრენილი უზანგებიდან.*

უცნაურია, გაუგებარიც კი, გრიგოლ რობაქიძე რატომღაც ამ ათ ლექსში არ ასახელებს ვაჟა-ფშაველას ორ შაირს – «ფშაველი ჯარისკაცის წერილი» და «დაუსრულებელი კვნესა». ესენი ძალიან უყვარდა და მოსწონდა, განსაკუთრებით «დაუსრულებელი კვნესის» ის ნაწილი, სადაც ალზეა ლაპარაკი: «როცა-კი შემობინდდება, კისკისი ისმის ალისა, ამ მომხიბლავის, ცბიერის, ტურფა, თმახშირი ქალისა»... სადაც კი შემთხვევა მიეცემოდა, ზეპირად ამბობდა. გერმანულენოვან საზოგადოებაშიც კი, სადაც ქართული არაგვის ესმოდა. «ფშაველი ჯარისკაცის წერილს» და «დაუსრულებელ კვნესას» მაშინაც ხშირად იშველიებდა, როცა პოეზიაზე ლაპარაკობდა საერთოდ. და მაინც, იმ ათ შედეგში არ დაასახელა. ამ მაგალითებიდან თვალნათლივ ჩანს, როგორი პოეზიისაკენ მიუწევდა გული გრიგოლ რობაქიძეს.

სიახლეს, უნივერსალურობას და პლასტიკურობას უნდა დავუმატოთ გზნება, ცეცხლი, რიტმი. ამათაც დიდ ყურადღებას აქცევდა გრიგოლ რობაქიძე. არის კიდევ ლექსის ერთი თვისება, რომელსაც ვერაფრით ვერ ავუვლით გვერდს – აღნაგობა. როცა იგი ქართულ რენესანსზე ლაპარაკობდა (გულისხმობდა არა ძველ აღორძინებას, არამედ ახალს, რომელიც საქართველოს კო-

ლონიალიზმისაგან განთავისუფლებას უნდა მოჰყოლოდა), განსაკუთრებული ინტერესით მოეკიდა ივანე ჯავახიშვილის ერთ მიგნებას.

«ივ. ჯავახიშვილი ერთს თავის ლექციაში საბუთიანად ამტკიცებდა, რომ ქართულს არქიტექტურაში «აღნაგობას» (აგებულობას) ჰქონდა დაჭერილი უმთავრესი ადგილი, «სამკაულს» კი არააუცილებელი. არქიტექტურა გადმოგვცემს მთელი ხალხის ნებისყოფას. ამ მხრით მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ძველი ქართული ხუროთმოძღვარი განსაკუთრებულს ყურადღებას «აღნაგობას» აქცევდა და არა «სამკაულს». თუ ჩვენს დღევანდელ კულტურულ შემოქმედებას ავიღებთ, დავინახავთ სრულიად საწინააღმდეგოს: თანამედროვე ქართველისათვის პირველ ყოვლისა «სამკაული» არსებობს და შემდგომ «აღნაგობა». ავიღოთ ეხლანდელი ქართული ლექსი, ეს საუკეთესო გამომხატველი ქართული კულტურისა, იქ მრავალია «სამკაული» (რიტმა, სახე, ფერი, სხივი), ხოლო სრულიად არ არის «აღნაგობა» (ტანი ლექსის, სხეული, ფაქტურა). რომელია ჩვენი სულის საფარდო: პირველი თუ მეორე – ეს საკითხია. და სწორედ ქართველმა ხელოვანმა უნდა გამოხატოს საქართველოს ნამდვილი სტილი» («საქართველო», 1917 წ., _257).

ამრიგად, გრიგოლ რობაქიძისათვის პოეზიის (და არა მარტო მისი, საერთოდ მხატვრული შემოქმედების) საზომია სიახლე, უნივერსალურობა, პლასტიკურობა, გზნება, ცეცხლი, რიტმი, აღნაგობა. ამ კუთხიდან დაიწყო მან ზრუნვა ქართული პოეზიის განახლებაზე.

ქართული ლექსის განახლების აუცილებლობა საკუთარმა გამოცდილებამაც უკარნახა. როცა პირველი ლექსები გამოაქვეყნა, ისიც ტრადიციის გატკეპნილ გზას ადგა. ისიც ისე წერდა, როგორც ყველა მაშინ.

*მივალთ, მივალთ უცხო ტყეში,
ეკალია ლურჯა ტევრში;
ნელა, ნელა,
ადონელა,
ფრთხილად, წვეტი არ შეგეხოს,
გაკაწრული არა გნახოს,
ადონელა,
თმა-შაველა...
/»ადონელას«)*

*...
შფოთავს ღამე,
შფოთავს შავი,
ქშინავს ველი, გმინავს მთაცა;
ვამე, ვამე,
შენი თავი
ვინ მომტაცა, ვინ მომტაცა...
/»ღანდი«)*

*ვერის ხიდზე, მძიმე ღამით თმაგაშლილი ქარი მღერის.
ლანდი დასტვენს ვერის ხიდზე: ლანდი თოვლის და ნამქერის,
ვერის ხიდზე ქარი ზუის მწვანე ზღაპარს ანიავებს,
ვერის ხიდზე ქარი გიჟი დავლურს უვლის: სტვენს და ჰკივის
/»ვერის ხიდზე«)*

...

*ტანს მეხვევა ვაჟი ვიღაც, ლალი, შმაგი, უხვი ვრცელი
ტკბილი ვნებით იკეცება ჩვენი ქაფის სარეცელი
/»სირენას სიმღერა«)*

...

*ხედავ, ხედავ იმ მთის პირას
იწვის შეერი, იწვის შეერი, იწვის შეერი...
მთვარე მიხმობს მზესუმზირას
სქელფოთლოვან მუხის პირას,
რომ ავტებო ვნების ჩქერი, ჩემი ტანის თეთრი ჩქერი...
წამო, წამო, მზეო-ვაჟო!
იწვის შეერი, იწვის შეერი, იწვის შეერი...
არ გინდა რომ შე გიჟმაჟო
ჩემთან ერთად ირაჟრაჟო:
გადაგიშლი ვნების კოცონს – და ითვერი, და ითვერი,
და ითვერი...
/»კოცონი«)*

ამ ლექსებში ადვილად გაიგონებთ იოსებ გრიშაშვილის პოეზიის კილო-ინტონაციას. ამას «ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემის» ავტორი თვითონაც ადასტურებდა («სახალხო საქმე», 1920 წ., _919).

გრიგოლ რობაქიძემ ოსკარ უაილდის «სალომე» რომ თარგმნა («შვიდი მნათობი», 1919 წ., _2), იოსებ გრიშაშვილს მთარგმნელის ქართული არ მოეწონა.¹ პაწია შენიშვნა გააკეთა: «გრ. რობაქიძის თარგმანი «სალომე» იმით არის აღსანიშნავი, რომ უთვალავი ნაცვალ-სახელებია, რაც სრულად არ ეგუება ქართულ ენას» («ლეილა», 1920 წ., _2). გრიგოლმა ეს შენიშვნა იუკადრისა. მათ შორის პოლემიკა გაიმართა. პაექრობაში ურთიერთთავაზიანობა დაირღვა. ხმას აუწიეს. «მე ვამტკიცებ, რომ რობაქიძემ ქართული ენა და ქართული ენის ბუნება სრულებით არ იცის» – უფრო გაცხარდა იოსებ გრიშაშვილი («სახალხო საქმე», 1920 წ., _919). გრიგოლ რობაქიძეს შეიძლება ყოველგვარი საყვედური აეტანა, მაგრამ «ქართული ენის ბუნება არ იცისო», ამას ვერავის აპატიებდა. «რა გაეგება მას (ი.გრიშაშვილს – ა.ბ.) უაილდის სიტყვის ინსტრუმენტაციის, რომლითაც გამართულია «სალომე». ან რა გაეგება მას ჩემი რიტმული ქართულის, რომლითაც გავშალე ეს ჯადოსანი ქმნილება!» იმ გრიშაშვილს, «რომელმაც

წარყვანა ქართული სიტყვა ვულგარული ყარაჩოდულით...». («საქართველო», 1920 წ., _98).

რა თქმა უნდა, იოსებ გრიშაშვილის უწყინარი შენიშვნა ამგვარ გაცხარებად არ ღირდა, მაგრამ ქართველის ბუნება პაწაწინა კრიტიკასაც ვერ უძლებს. მაშინვე ფეთქდება. ადრე მათ წრფელი მეგობრობა აკავშირებდათ. მათი მიმოწერიდან ისიც ჩანს, რომ ორივე ერთ ქალს ეტრფიალებოდა. იოსებ გრიშაშვილს მისთვის დამახასიათებელი აკურატულობით აქვს თავმოყრილი და ერთად შეკრული გრიგოლ რობაქიძესთან მიმოწერა. ერთ-ერთ ბარათს უკან აწერია: «სონა კვეზერელი-კოპაძე მომწონდა, რადგან სონა ჩიჯავაძეს ჰგავდა». სოფიო კვეზერელი-კოპაძე არ ვიცი ვინ არის. სოფიო ჩიჯავაძე კი კარგად ცნობილია. იგი ერთი ულამაზესი ქართველი მანდილოსანი იყო. სპირიდონ კედიას ცოლი. ს. ჩიჯავაძემ დაგვიტოვა უმდიდრესი მოგონებანი, რომელიც სამწუხაროდ, ჯერჯერობით გამოცემული არ არის. ამ რაყიფობამაც ვერ დაარღვია მათი მეგობრობა, მაგრამ უბრალო შენიშვნამ ორივე გააბრაზა. მწარე სიტყვებით გაუმასპინძლდნენ ერთმანეთს.

პოლემიკამდე კი ერთმანეთისათვის ტკბილი სიტყვა არ ენანებოდათ. «გრიშაშვილი რომ ფრიად ნიჭიერია, ეს მგონი მისი მტრებისთვისაც არ უნდა იყოს უცნობი. ვინც რა უნდა თქვას, ერთი უცილობელია: გრიშაშვილს მუზა კეკლუცი ქალწულია, რომლის მზიური კისკისი ხალისიან რითმებად იფრქვევა...»

გრიშაშვილის პოეზიის მოტივი ფრთოვანი ეროსია და მის აღმურში შობილი კოცნა. და ამ მოტივის აფერადებაშიაც ნამდვილი შვილია იგი აღმოსავლეთისა. მისი მრავალი ლექსი თავისი მომხიბლავი კოლორიტით «ქებათა ქების» მშვენიერს ფურცლებს გვაგონებს», – აქებდა მეგობარს გრიგოლ რობაქიძე («სახალხო გაზეთი», 1913 წ., _1028).

მაშინაც გახარებული მიესალმა გრიგოლ რობაქიძე იოსებ გრიშაშვილს, როცა 1917 წელს აღმანახი «ლეილა» გამოვიდა.

«აღმოსავლეთის სილამაზეა ამ სახელით მოკვეთილი. კარგი უქნია ჩვენს მოკისკასე გრიშაშვილს, ეს ჟურნალი, რომ ამ სახელით მოუნათლავს.

საოცარია აღმოსავლეთი: მარტოდ მარტო ინდოეთი და სპარსეთი რად ღირს! უშრეტი გონი ინდოეთის ნათელის ნირვანაში გაალებული; თვალის მჭრელი ხალიჩა სპარსეთის სიზმრების საიდუმლო ჰამშით ზმანებული... საქართველოც ხომ ნატეხია აღმოსავლეთის! და ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი აკვანი. ძვირფასია დასავლეთი ევროპა, მაგრამ ევროპისათვის აღმოსავლეთს ვერ დავსთმობთ. უმჯობესი იქნება მათი ქორწილი ქართული ნადიმით გადავიხადოთ...».

არც იოსებ გრიშაშვილი რჩებოდა ვალში და ლექსით ეპასუხებოდა დოსტს.

*შენზე ამბობენ: კუმტიაო, ამპარტავანი
და გიწოდებენ – უკარებელს, თავკერძს და ტრაბახს;*

*მე კი მორცხვი ვარ! ვაქებ ტფილისს, სალაყბოს, ყაზახს
და მხიბლავს ნუში, აშპაშხანა, მკერდის მტევანი.
შენ თუ უაღდთან ღრუბლებში გაქვს ვარდის სევანი
და მზის მისამართს აწერ ხოლმე სიოს მუშაბახს,
მე ვეტრფი კინტოს – ატმით სავსე დატვირთულ თაბახს;
შენ სრულობა გსურს? მე მსურს მქონდეს ნაკლულევანი
ჩვენ ვერ გაგვიგეს! ვერ დაგვღალა ამგვარ ჯირითმა.
მაგრამ ჩვენს შემდგომ, – როს ჩვენ ორი დავიხოცებით,
მოიგონებენ ჩვენ სახელსა მზივ-გაოცებით...*

«სალომეს» თარგმნამდე ისინი სონეტის გამო კამათობდნენ. 1918 წელს გამოვიდა იოსებ გრიშაშვილის მონოგრაფია – «საიათნოვა». ავტორი ასკვნიდა: სონეტი საქართველოში მე-19 საუკუნეშიც იწერებოდაო. ნიკო ავალიშვილმა, როცა «დონ-კიხოტი» თარგმნა, მაშინ რომანში არსებული სონეტებიც თარგმნაო, ოღონდ არასწორად. «ზოგი დაწერილია თორმეტ სტრიქონად, ზოგი რვა კუპლეტად არის დაყოფილი და სხვა. მაშინ, როდესაც ნამდვილი სონეტი 14 სტრიქონს არ უნდა გასცდეს. რასაკვირველია, სონეტი ლექსის ფორმაა და არა «სონასათვის დაწერილი ლექსი», როგორც ეს ეგონა ერთ გაზეთს (იხ. «ხალხი», 1910 წ., _4). ჩვენში პირველად, 1909 წელს, სწორი სონეტი შემოიტანა პეტრარკას სონეტების ზეგავლენით პოეტმა კ.მაყაშვილმა». შემდეგ იოსებ გრიშაშვილი ჩამოთვლის პოეტებს, რომელთაც დაწერეს სონეტები – სანდრო შანშიაშვილს, ტიციან ტაბიძეს, გალაკტიონ ტაბიძეს, ალექსანდრე აბაშელს, კონსტანტინე გამსახურდიას და სხვებს. ამის მერე დასძენს: «უკანასკნელს დროს რუსის პოეტებში თავი იჩინა ეგრეთწოდებულმა სონეტის რითმის ბურთაობამ, ე.ი. მხოლოდ რითმის ცვლამ. თვით ლექსი კი 14 სტრიქონს არ გასცილებია და არც გასცდება. ეს «ცვლა» კი იმაში გამოიხატება რომ სონეტის პირველი ნახევრის რვა სტრიქონი ოთხი სახის რითმით კი არ არის შერითმული – როგორც ეს ძველად იყო – არამედ ორი სახის რითმით. ასე, რომ დღესდღეობით (შემდეგ ვინ იცის, როგორი სონეტი შემოვა მოდაში) ნამდვილ სონეტად ითვლება ის ლექსი, რომლის პირველი 8 სტრიქონი ორი სახის რითმაა და ტერცინები კი – ისევ ძველი დარჩა – ექვსი სტრიქონი სამ-სამ პწკარად გაყოფილი».

რასაც იოსებ გრიშაშვილი წერდა, იმას გრიგოლ რობაქიძე არ ეთანხმებოდა.

«ჩემთვის ყოველთვის ნათელი იყო, რომ გრიშაშვილმა არც ისტორია იცის სონეტისა და არც სონეტის ფორმა ემარჯვება პოეტური თქმისათვის... სონეტის ფორმის შესახებ მთელი გამოკვლევები არსებობს და, თუ უკანასკნელი გრიშაშვილისათვის რაიმე მიზეზის გამო მიუწვდომელია, ენციკლოპედიურ ლექსიკონის საშუალებით მაინც შეუძლია მას გაიგოს ერთხელ და სამუდამოდ ის ანბანური დებულება, რომ ძველად კლასიკური სონეტის რვა სტრიქონი იყო გარითმული ორფა რითმით და არა ოთხით, როგორც ეს ჩვენს მთხრობელს ჰგონია» («საქართველო», 1918 წ., _211).

საერთოდ, გრიგოლ რობაქიძე უარყოფდა ქართულ პოეზიაში სონეტის არსებობას მანამ, სანამ ცისფერყანწელები არ გამოვიდნენ სალიტერატურო ასპარეზზე.

«... ჩვენში მოდერნისტებამდე დაწერილი სონეტები არც გარე-მხრით და არც შინა-მხრით სონეტებს არ წარმოადგენენ». არც ი.გრიშაშვილის ჩემდამი მოძღვნილი ლექსიაო სონეტი («საქართველო», 1918 წ., _211).

ეს პრინციპული დავა იყო. გრიგოლ რობაქიძე თვლიდა, რომ ქართული პოეზია არ იყო ისე მდიდარი სალექსო ფორმებით, როგორც ევროპული. ბევრი სალექსო ფორმა აკლდა ქართულს. ეს ხარვეზი უნდა შევსებულიყო. ამას ითხოვდა განახლებაც ქართული პოეზიისა. გრიგოლ რობაქიძე წუხდა იმის გამო, რომ ჩვენში გავრცელებული იყო ლექსომანია. ყველა წერდა ლექსს, მაგრამ ნაკლებად ფიქრობდნენ იმაზე – რატომ, რისთვის, რა მიზნით, რა ფორმით.

«... ჩაღდება, არჩილ ჯორჯაძის სიტყვით, ნამდვილი სპორტი ლექსობის და იმლება საშინელი სურათი: სჩნდება მრავალი ვირტუოზი და არა ნამდვილი ხელოვანი, მრავლდება სხვა და სხვა აკრობატი და არა ნამდვილი მგოსანი.

ამას თან სდევს საშინელი სენი – «ლექსომანია», რომლითაც თითქმის ყოველი ქართველია შეპყრობილი. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ამ უბედურებას თან სდევს სხვა უბედურებაც – «ბეჭდობამანია», რომლითაც თითქმის ყოველი მოლექსეა დაავადებული. ჯერ სულშიაც არ ამწიფებს იგი მგოსნურ ხატს, არ განიცდის მხატვრულ «ორსულობას», არც აცლის მას მომწიფებას და წარმოშობს რა სრულიად უტკივრად ამ დღენაკლულს, რომელიც სრულიად ჭირნახული «ნამყოფი» არ არის, იმ წამსვე რედაქციაში მიაქვს იგი დასაბეჭდად. და ივსება გაზეთის ფურცლები დღენაკლულ ლექსებით. და ჭრელდება მწერლობა მოლექსე-აკრობატებით» («თემი», 1912 წ., _69).

უარყოფით მოვლენას, რომელსაც ქართულ პოეზიაში ჰქონდა ფეხი მოკიდებული, მარტო თეორიული სჯა-ბაასით ვერ მოერეოდი. აუცილებელი იყო პრაქტიკული შემოქმედებითი საქმიანობა. გრიგოლ რობაქიძე წერს კლასიკური ყაიდის სონეტებს – «ავტომედალიონი», «ამორძალი ლონდა», «აქლემი», «დიდი შუადლე», «ვასაკა» და სხვანი. უკვე 1919 წელს წერდა ვალერიან გაფრინდაშვილი: «გრიგოლ რობაქიძემ შექმნა ახალი ფორმა სონეტისა, რომელშიდაც ყოველი სტრიქონი წერტილით თავდება. ყოველი სტრიქონი სრულ ქანდაკებას წარმოადგენს და არსად კავშირი «და» სონეტში არ იხმარება. ამის გარდა, ქართული სონეტისათვის ის სავალდებულოდ ხდის თოთხმეტ მარცვლოვან ლექსს და ქალ-ვაჟური რითმების მორიგეობას» («მეოცნებე ნიამორები». 1919 წ., თებერვალი).

კლასიკური სონეტის დამკვიდრებას ქართულ პოეზიაში თავისთავად ჰქონდა სერიოზული მნიშვნელობა. მაგრამ მარტო ამით არ შემოფარგლულა გრიგოლ რობაქიძე. დაიწყო ქართული პოეზიის თემატიკური გამდიდრებაც, უკვე «ამორძალ ლონდაში» იკვეთება გზნების, გახელების, დაურვების პრობლემები. ეს პრობლემები გრიგოლ რობაქიძის ფიქრის საგანია მთელი შემოქმე-

დებიტი ცხოვრების მანძილზე. მათში იგი მზიური ენერჯის გამოვლენას ხედავს. ისინი მას დაძაბული რიტმის შექმნის საშუალებას აძლევენ.

ამორძალი ლონდა არღვევს ამორძალთა აღთქმას. მას შეუყვარდება ალექსანდრე მაკედონელი.

*მე მსურს შემირთოს ალექსანდრემ: თუ გინდ ერთი დღით:
მიხმოს თავად მან:
გესმით ქალებო: მინდა გავხდე მისგან ორსული.*

არა მარტო ლონდაა აღზნებული და ცეცხლმოკიდებული დიდი მხედართმთავრითა და დამპყრობლით, არამედ ალექსანდრეც – ამორძალით.

*სამი დღე არის: ამორძალთან მაკედონელი –
ვაზის ფოთლებში ლხინობს მეტის ველარ მდომელი:
და ეტყვის ლამაზს: მრავალი ხალხი დავიმონე:
მტრები ავხოცე:
მოვშილდე ბედი: გამოვკვეთე ძლევის კამარა, –
მაგრამ ღმერთობას მასმევს მხოლოდ შენი გიჟი ტანი
ავხორცი:
რაც მე პირველმან მას მოვხსენი ოქროს ქამარი.*

ვნებაატეხილი ამორძალის დაურვება-დამორჩილება ალექსანდრესათვის უფრო მნიშვნელოვანია, არსებითა, ვიდრე თვალუწვდენელი მიწა-წყლის დაპყრობა, ვიდრე მისი სამხედრო გამარჯვებანი. ვერავითარი მტრის დამარცხება ვერ მოუტანს მაკედონელს «ღმერთობის შეგრძნებას». მარტო ლონდას დამორჩილებას შეუძლია ეს. და ისიც მაშინ, როცა ქალის გული მამაკაცისათვის იშლება. «თუ ქალის გული არ გადაეხსნა ვაჟს, როგორც ყვავილის თასი მზის ტევრს, ისე ვაჟი ქალს ვერ მიწვდება», – იტყვის მერე გრიგოლ რობაქიძე «გველის პერანგში».

საერთოდ, თემატიკური გადაძახილი, თემატიკური უკუ¹ ხშირად ისმის გრიგოლ რობაქიძის ლექსებში, მისტერიებში, რომანებში. ამორძალი ლონდა განახლდება მისტერიაში «ლონდა». ვნებით თრობა და გზნება, რომელიც სონეტშია, თავისებურ გამოძახილს იპოვნის ლექსში «მზის ნარქენი», რომელიც დრამის – «კარდუს» – ნაწილად მიაჩნდა ავტორს.

*ყივჩაყეთს იყო.
ქალი მოვიტაცე.
ცხენზე შემოვიდე დედალი ავაზა.
ტანი დაყურსული გავშვართე უნაგირზე.
თეთრი თეძოების ვიხილე გახელება.
ხტოდნენ ატეხილი ავხორცი მუხლები.*

*და თვითონ ნადირი გავხდი მე ნადირი.
კოცნა კბენა იყო.
ალერსი – დანა.
მუცელი გაზნექილი
პირით გადავლადრე.
და მარჯვე ნაპრალიდან
ვესროლე მდინარეს.
ტუჩები სისხლიანი ფაფარზე ავიწმინდე.*

«მზის ნარქენში» აღწერილი ეს სურათი თავისებურად იმეორებს იმას, რასაც ტაციტუსი გვიამბობს.

სომხეთის ტახტზე იბერიის მეფის ფარსმანის ვაჟი ზის – რადამისტი. იგი მკაცრი, სასტიკი, შეუბრალებელი ხელმწიფეა. სომხებს მოთმინების ძაფი გაუწყდათ. აჯანყდნენ. ამბოხებულები მეფის სასახლეს გარს შემოერთყნენ. წვადნენ, ანადგურებდნენ, ანგრევდნენ ყველაფერს. სასახლის მცველები და მსახურ-ფარეშები გაწყვიტეს. თავის გადარჩენა მხოლოდ გაქცევით შეიძლება. რადამისტიც გარბის ცოლთან ერთად. ზენობია ფეხმძიმედ არის. უჭირს ცხენით მგზავრობა უგზოუკვლოდ, ტყე-ღრეში, ხრამებსა და ხევებში. ლტოლვილებს ფეხდაფეხ მისდევენ. თუ არ იჩქარეს, სადაც არის მღევარი წამოეწევათ. ცოლ-ქმარს სიკვდილი არ ასცდებათ. მაშინ ზენობია შეეხვეწება ქმარს: ტყვედ ჩავარდნას, დამცირებას, შეგინებულ აღსასრულს მიჯობს შენ მოძკლა. თვითონ კი თავს უშველო. სასოწარკვეთილი რადამისტი ორსულ ქალს აკინაკს ჩასცემს. მომაკვდავს მდინარე არაქსში ჩააგდებს. თავად კი იბერიისაკენ მოქუსლავს. მაგრამ აღმოჩნდა: ზენობია არ ყოფილა სასიკვდილოდ დაჭრილი. მას მწემსები ამოიყვანენ. ზენობიას გარეგნობით, ჩაცმა-დახურვით მწყემსები მიხვდებიან, რომ იგი ზეპური წრის ქალია. მას ტირიდატს მიგვრიან. ტირიდატმა იცნო ზენობია. ისე მიიღო, როგორც დედოფალს შეეფერებოდა.

ტირიდატი პართიელთა მეფის ვოლოგეზის ძმა იყო. რადამისტის ჩამოგდების შემდეგ, რომის იმპერატორმა ნერონმა სწორედ ტირიდატს დართო ნება სომხეთის ტახტი დაეკავებინა.

ეს თავგადასავალი ძალიან ხიბლავდა გრიგოლ რობაქიძეს. ამას ამკარად ამბობს იგი იმ განმარტებაში, რომელიც «მალშტრემისათვის» გააკეთა.

«ძვირად მოუხდენია ჩემზე სხვა რომელიმე ამბავს ასეთი დიდი შტაბეჭდილება. ქალში ვიხილე ნამდვილი «მიწა» ატეხილი მკერდებით და თავისგამეტების ნებით. კაცში ვიხილე ნამდვილი ზეკაცური არსი, რომელიც ცოცხლობს ბედის სიყვარულით (Amor fati). აქ არის რენესანსის ხერხემალი და ფრიდრიხ ნიცშეს სხეული ფატუმისა. ხოლო სიუჟეტი აქ წამსვე ითხოვს გართულებას: წინ უნებურად გესახება მათი ხელმეორე შეხვედრა. ეს შეხვედრაც ტრაგიული იქნება, მაგრამ კათარზისის დანელებით».

Amor fati-ც (ბედისწერის სიყვარული) ნიცშესაგან ნასესხები იდეაა. გრიგოლ რობაქიძე ბედსა და გაბედულებაში ერთსა და იმავე აზრს ჭკრეტდა. «ბე-

დიც მისია, ვინც გამბედავია» («იმამ შამილ»). რადამისტიცა და ზენობიაც გაბედულნი იყვნენ. ამდენად, საკუთარი ბედის მფლობელნიც.

გრიგოლ რობაქიძე უჭოჭმანოდ გაიმეორებს «მალშტრემში» რადამისტიცა და ზენობიას თავგადასავალს (სხვათა შორის, ევროპულ ლიტერატურაში პოპულარული პერსონაჟებია იბერიის მეფისწული და მისი ჩვილი).

განმეორებანი უყვარს გრიგოლ რობაქიძეს. მაგალითად, გრაალის ლეგენდის ვარიანტს, აღწერილს «გრაალის მცველნი», უფრო ადრე «გველის პერანგში» ნახავთ.

«გველის პერანგი»: მის (კარდუს – ა.ბ.) სამთავროში ესვენა ჯვარი ვაზის. მონღოლები მიადგნენ სამთავროს. კარდუ გაუმკლავდა. მონღოლების მეთაური კარდუს მხარეს გადავიდა. ამბობენ მოსწონებოდა ლალლა – წმ. ნინოსადმი შეწირული ქალწული. მონღოლები უფრო გამხეცდნენ. გახელდა მანგუ-ყაენ. დასჭრეს გადასული მეთაური. გიმმირ: კარდუს ვაჟი დაიკარგა. მოღალატემ გასცა საიდუმლო ტასის-კარის. კარდუ განრისხდა. აიხიზნა მთელი სამთავრო. მიდიან სადღაც. მოადგნენ უფსკრულს. კარდუ ჰკივის გახელებული. მის ცრემლს პატარა ბავშვი მოჰკრავს თვალს. გავარდება. მონახავს ვაზის ჯვარს. მოაქვს ლტოლვილებთან. გაოცება. ხედავენ: ჯვარს ლერწები აუყრია და ლერწებს მტევნები აუსხამთ. გადახვეწილნი ატორტმანდებიან ზექვეყნიური აღტაცებით».

«გრაალის მცველნი»: «უფსკრულის პირას უკანასკნელი რაინდები დგანან, რაზმთან ერთად. მტრის მორჩილებას ისინი ამჯობინებენ სიკვდილს. როგორც რელიქვიას, ატარებენ წმ. ნინოს ჯვარს, ვაზისაგან გამოჭრილს და ქალის თმებით შეკრულს. ვაჟებს გადაწყვეტილი აქვთ წკვარამში გადაცვივდნენ. ამ უკანასკნელ წუთს ანაზღადად ჯვარს შეეხება მტირალი პატარა გოგო. ხედავენ: ვაზის გამხმარი ლერწები აყვავდნენ. ოქროსფერი მტევნები მოისხეს. სასოწარკვეთილთ შეიპყრობს ზეაადამიანური ძალა, აღტაცება. ისინი უძლეველნი ხდებიან».

ეს გადაძახილი ლექსებიდან მისტერიებში, მისტერიებიდან რომანებში და პირუკუ გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებას წარმოადგენს როგორც ერთმთლიანს. მისი ცალკეული თხზულება აუცილებლად უნდა განვიხილოთ ამ ერთმთლიანობის კუთხით, თორემ შეიძლება შეცდომა მოგვივიდეს.

გრიგოლ რობაქიძის ერთმთლიანი შემოქმედების ცენტრში მდგარ კარდუს ორი ჰიპოსტასი აქვს – ქალური და ვაჟური. კარდუს ქალურ ჰიპოსტასს განასახიერებს წმინდა ნინო, ვაჟურს – ლაშარი, ანუ თეთრი გიორგი, ანუ წმინდა გიორგი. გრიგოლ რობაქიძისათვის ლაშარი-თეთრი გიორგი-წმინდა გიორგი არის წარმართულ-ქრისტიანული საქართველოს ერთიანობის ვაჟური სიმბოლო.

*შორიდან გიყურებს (წმ.ნინოს – ა.ბ.) აწ შენთვის ურვილი
მზე ვაჟი ლაშარი მაღალი საქმარო.
ის არის საქართველოს მცველი და მზვერავი*

და ჯვარსა ვაზისას წაართმევს ვერავინ»

/(«წმინდა ნინო»)

გრიგოლ რობაქიძეს თანაბრად ხიბლავდა წარმართობის ხორციელება და ქრისტიანობის სულიერება. მისთვის სასურველი ხორციელების და სულიერების ის ერთიანობა იყო, რომელიც რენესანსის ეპოქამ გამოავლინა. მისი აზრით, ქართული კულტურის მომავალი აღორძინება სწორედ ამ ერთიანობას უნდა დაყრდნობოდა.

როცა გრიგოლ რობაქიძე წმ. ნინოს სადიდებელ ჰიმნს წერს, ხატავს ქართველთა გამანათლებელი ქალის არა მარტო სულიერ მშვენიერებას, არამედ ხორციელსაც.

შენი ტანი ლხინის დამტევნელი

არც ერთი ქალწულის არ არის ნაცვალი.

ბუბუბავსილი ნეტა ვის ევნები.

გაივლი ზვარში და ჩაყურსულ მტევნების

მზის თესლით ივსება ყოველი მარცვალი.

ქალი უძლეველი. სასძლო სასურველი.

გრიგოლ რობაქიძე ისევეა მოხიბლული ჟანა დ'არკის სახით, როგორც წმ. ნინოს აღეთი. 1943 წელს გერმანულად დაწერილ ლექსიდან «ჟანა დ'არკ» – მკაფიოდ ჩანს, რომ გმირი ფრანგი ქალის პიროვნებაშიც გრიგოლ რობაქიძე ხედავდა სულიერი და ხორციელი მშვენიერების ერთიანობას.¹

როგორც წმ. ნინოს გავლით ივსება მტევნები მზით, ასევე ჟანა დ'არკის სიახლოვე მზით ავსებს ოქროს ვაშლს წყნარ ტოტზე.

როგორც წმ. ნინოს ეალერსება ვაზნარის ფურცლები, წყარო და ირემი, ასევე ეკვრის ქურციკი სიყვარულით ჟანა დ'არკის თეძოებს. ქალი ეფერება ცხოველს. მისი დაა.

როგორც წმ. ნინოს მოესმის ზევიდან ღვთისმშობლის ხმა, ასევე ესმის ჟანას ზარების ხმა ზევიდან.

როცა ჟანა დ'არკისადმი მიძღვნილი ლექსი გიორგი გამყრელიძეს გაუგზავნა მიაწერა კიდევ ქვეშ: «ჟანა ჩვენი ნინოს უმცროსი დაა. ჩემს სიტყვაში «ჯვარმა ვაზისა» გამოისხა ეს მტევნები». მართლაც, ლექსი ოთხ მტევნად არის დაყოფილი ისევე, როგორც ოთხ მონაკვეთად ლექსი «წმინდა ნინოს».

წმ. ნინო და ჟანა დ'არკი მას არა მარტო სულიერ და ხორციელ მშვენიერებად ესახება, არამედ ნების სიმტკიცედ და სიძლიერედაც. ეს თვისებები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა კლასიკურ ღირებულებათა რღვევის ეპოქაში. ამ პროცესს გრიგოლ რობაქიძე ცხადად ხედავდა, მაგრამ მის დინებას არ ემორჩილებოდა, არ მიჰყვებოდა.

ნაირნაირად შეიძლება დაინახო სამყარო.

ასეც: **ჩამორჩობილი ვიოლინო ორღობის სარზე**

*/ეპილეუსია, გადარევა და ბედისწერა).
მავნე თვალების აქ ცივდება სასტიკი მზერა.
ბოლო ეღება ყოველ ნდომას აქ მარტო მწარზე.
/»ორლობის ემაფოტი«)*

*ასეც: თავისიანებს თავიძულვით ჩამოწყვეტილი.
მუხისა წყლიან ფულუროში გადაბუდრული.
ქოსა. თვალკუსა. ლორწიანი. ცხვირდასუდრული
სოფლის ავიზნით ცხარე ტვინში ხშირად წყვეტილი.
/»ვასაკა«)*

*ასეც: აყუდებული. აყროყვილი. ორკუზიანი.
ცხუნე სივრცეთა კომმარების უგვანო ბუში.
...
მორცხვი. კეკელა. მოალერსე. მუსუსი. მრუში.
გახუნებული, მაგრამ მაინც მარად მზიანი.
/»აქლემი«)*

შეიძლება იმიტომ, რომ უთვალავფერიანია სამყარო. ეს ნაირფეროვნება, ამ კუთხით შემოტანილი ქართულ პოეზიაში, ახალია. გრიგოლ რობაქიძემდე იგი არ არსებობდა. ახალი სურათი იშლება თვალწინ. უცნაურ, უცნობ, თითქოს საშიშ სამყაროში შეყავხარ პოეტს. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ამ სამყაროს ხილვით გრიგოლ რობაქიძე ტკბება. იგი ღვთის ხელს ეძებს იქ.

*ხის სენაკითგან მალვით ზემო ამოცოცდები
და შეუდგები ღვთის დიდებას კვახე ყაყანით.
/»ვასაკა«)*

«თავიდათავი აქ ბოლოა». მიაწერს «ვასაკას», როცა ამ ლექსს გიორგი გამყრელიძეს გაუგზავნის. ეს ლექსის არსის ახსნაა. ღვთის დიდებაა სამყაროთი გაკვირვებაც და მისი ორივე სკნელის – ზესკნელისა და ქვესკნელის – წვდომის სურვილიც. სამყარო არც ზესკნელია მარტო და არც ქვესკნელი. იგი ორივეა ერთად, განუყოფელი და ერთიანი. ღვთის დიდებაა ისიც, როცა აქლემს მიმართავს – «და უშნო ცოხნით ოდეს ერთვი მელანქოლიას დორბლიან ტუჩზე გიობდება სამყაროს დარდი» (ამ სტრიქონებსაც გრიგოლ რობაქიძის ხელით მიწერილი აქვს – «თავადათავი აქ ბოლოა»). სამყაროს დარდიც ღვთაებრივი მოვლენაა. მასშიც ისევე უნდა ჩაიხედოს ხელოვანმა, როგორც სამყაროს სიხარულში. გრიგოლ რობაქიძეს ერთიც სურდა და მეორეც. დიონისეთი დაინტერესებაც ამითაა გამოწვეული.

ეს მარად კვდომადი და აღდგომადი ღმერთი სიხარულის მომტანიც იყო და სევდისაც. როცა ჰადესში მოგზაურობდა, ქვეყანას ზამთრის სიცივე, მოწყე-

ნილობა და სუსხი ეუფლებოდა. როცა ბრუნდებოდა გაზაფხულის სიხარული, სითბო და სინათლე მოჰქონდა.

გრიგოლ რობაქიძე ქართულ ყოფაში დიონისურ ლხენას ხედავდა.

*ღმერთმა მიაყარა მადლი საქართველოს.
მკერდი არ უშრება მიწას უთვალოსა.
უხვი მზე გამოდის ხალისით სართველოს:
ბულრაობს მწვანეზე და მართავს კალოსა.
მუხას გადაგრაგნილს და მაგარ წვივიანს
სურო ეგრიხება ლურჯი არტახებით.
გადათქვირებული რკოები ცვივიან
და ეშვებს ლესავენ ველური ტახები.*

...

*რკო მრუში. მტევანი. ტარო დაყურსული.
ალო ატეხილი და თესლი ხურვილი.
ვერვინ დაიურვოს ხარი გაღურსული
მთელ წყაროს ამოცლის რომ არი წყურვილი.*

...

*ჩვენც დასიცხულები მათთან დავნელდებით:
სასვენად გველიან ძელური კედლები.
ვაჟები. ქალები. შვილები. მამები.
დედავ: ჩაგებვევით უბეში კვართული.
და ძილში მალულად ფიქრი გვეამება:
რომ არ გაგვიმეტებს ჩვენ მიწა ქართული.
/»მიწის სჯული«)*

ქართული მიწა კარდუს მიწაა. კარდუს კი გულზე მზის ნიშანი აქვს («გველის პერანგი»).

მიწა ქალური საწყისია, მზე – ვაჟური. ისინი ანაყოფიერებენ ერთმანეთს. ნაყოფში, ჭირნახულში მზის თვალი ტრიალებს.

*შავი საწნახელი ვეშაპათ როფილი.
მტევნების ტევრები მთელი და სრესილი.
სურვილის ტბორით დამთვრალი პროფილი.
წვივები მწურავის წითურ შეგლესილი.*

...

*ფერები გარბიან სარზე სარიდან.
ვაჟები მღერიან ოდელა დილანოს.
გვიახლოვდები რომელი მხარიდან:
ევოფ დიანოს: ევოფ დიანოს.
/»რთველი«)*

შემახილი ევოდ, ევოდ ისმის ლექსშიც «ჰიმნი ორფეოსს». იგი გერმანულად არის დაწერილი 1949 წელს და ეძღვნება ავტორის მეგობრებს – ჰანს ჰასო ფონ ველტჰაიმს, ლეოპოლდ ციგლერს, ბრუნო გოეტცს. მართალია, ჰიმნი ორფეოსს ეკუთვნის, მაგრამ ამ შემახილით დიონისეც გვახსენდება. ბერძნული «ევოდ»-ს გვერდით, ქართულ მისამღერსაც – «ჰარალე, ჰარი ჰარალეს» და «ოდელია დელას» – იყენებს გრიგოლ რობაქიძე. ცხადია, მისებურად ოდნავ შეცვლილს – «Arraluu iiraal», «Odillar idallaa». ამით ერთმანეთს უკავშირებს ორ ძველ სამყაროს – ბერძნულს და ქართულს.

ორფეოსი მღერის. ყველაფერს ეფინება მისი სიმღერა. ყველა თვრება ამ სიმღერით. იგი სავსეა მზით. ყველაფერი მოძრაობს და ორფეოსთან ერთად გალობს. ლექსში ჩნდება გველი და არწივი (მარადიული დაბრუნების სიმბოლოები). არწივს მზისკენ მიაქვს ორფეოსის სიმღერა. უხსენებელი მისჩერებია მზეს. ტყე შრიალებს. წყარონი ჩუხჩუხებენ. სიმღერა ჩქეფს, ვით ცხელი სისხლი. სითბოთი ავსებს აჩრდილებს. ორფეოსი მღერის. ზეიმობს დაბადებას.

მაგრამ, ვაი! იგი კვდება. სიმღერა წყდება. ყველაფერი ქვაკდება. სევდა ისადგურებს. ამ დუმბილში არწივი იჭერს ორფეოსის სუნთქვას. ჩვენსკენ მოფრინავს უკან. გვატყობინებს მზის შემონათვალს: ორფეოსი მოდის. მოდის კიდევ ერთხელ.

დაბადება და სიკვდილი უწყვეტად ენაცვლებიან ერთმანეთს არსებობის მარადიულ წრებრუნვაში.

*უფალო, ოი, მშვიდო, ლალო, მაღალო, წყნარო,
ჩაეშვი ჩემი სულის თასში, ვით გრილი წყარო,
იხსნება შენთვის გული ჩემი, სათუთი ნელი. –
ვეწაფვი ფიცხი შენი სუნთქვის მათრობელ ალსა,
ნეტარობს შენით ჩემი კრთომის ყოველი წნელი,
გიცქერი მზე-გრძელს, ერთი წამით დავხუჭავ თვალსა.
/»სონეტი ლოცვას«)*

გრიგოლ რობაქიძის პოეზიაში არის სიცოცხლის სიხარულიც და სიკვდილის სევდაც. არის ტკივილიც, მოგვრილი ჭაობით, ხავსით, ბნელით, სპლინით, ჩამოხრჩობილი ვიოლინოს და ცხენის გამხმარი თავით, ლორწოთი, სიღამპლით, შმორით, ობობათი, უდაბნოს ხვატით, კომმარებით. არის ლხენა-ზეიმიც, გამოწვეული სიყვარულით, ტრფობით, ჭირნახულით, რთველით, შრომით, ვაჟურობით, ქალურობით, მზით, სითბოთი, ლოცვით, ფიქრით, აზრით, სიმღერით, ცეკვით, ვაზით, ღვინით. სხვაგვარად მას არ შეეძლო, რადგან ორივე მხარის ერთიანობაში წარმოდგენა არის მისი შემოქმედების მიზანი. სჯეროდა, რომ «ხალიბის სხეულს ნალად აჩნევია, ყოველი კუნთი რომ არის მზენაკრავი» («ირრუბაქიძე»).

გარდატეხა

1914 წელს «სახალხო გაზეთის» დამატებაში იოსებ გედევანიშვილის პიესა «სინათლე» დაიბეჭდა. გრიგოლ რობაქიძეს მაშინვე გასჩენია სურვილი დაეწერა კრიტიკული წერილი «სინათლეზე». უკითხავს კიდეც სამსონ ფირცხალავასათვის – დამიბეჭდავენ თუ არაო ასეთ სტატიას. სამსონი დაბეჭდვას შეჰპირებია. მაგრამ იმჟამად გრიგოლ რობაქიძე სახელმწიფო გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებოდა და წერილი ვეღარ დაუწერია. თუმცა განზრახვა არ დავიწყებია. მერე, როცა ქუთაისში ლექცია წაიკითხა – «გამარჯვება თუ დამარცხება» –, «სინათლეზე» კრიტიკულად ილაპარაკა. კრიტიკამ ავტორი იოსებ გედევანიშვილიც გააღიზიანა და სხვებიც. აღშფოთებული ია ეკალაძე მაშინვე გამოეხმაურა.

«დარბაზი ხალხით იყო სავსე და უმრავლესობა უკმაყოფილო დარჩა ბ-ნ რობაქიძის ლექციით...»

მოკლე წერილში ძნელია ბ-ნ რობაქიძის ლექციის გარჩევა, მით უფრო რომ ძნელია უცბათ გათვალისწინება – მოგონება ყველა იმისი, რაც იმან ილაპარაკა ჭრელ და უცნაურ სიტყვებით. ამიტომ ჩვენ კიდეც დავუბრუნდებით ამ ლექციას, ვინაიდან იგი დიდად საყურადღებოა არა როგორც ლექცია მარტო, არამედ, როგორც «განცდა» იმ ახალ მოდის ქართველ ფილოსოფოსებისა, რომელთაც საქართველო ჭაობი ჰგონიათ, რომელი ჭაობიც სურთ ამოაშრონ მხოლოდ თავისის ფილოსოფიით. ამათ ჰგონიათ, რომ მხოლოდ მათ შეიგნეს, შეისმინეს, შეითვისეს და განიცადეს ხელოვნება და ესთეტიკა, დანარჩენი ქართველები კი ველურები არიან!...

ვურჩევთ ახალგაზრდა ლექტორს მეტი პატივისცემით მოეპყრას ქართველ საზოგადოებასა და ქართველ მწერლებს და სიტყვების რახარუხის და პირად აღშფოთების გამოთქმის ნაცვლად მეცნიერულ კრიტიკით აღიჭურვოს ხოლმე. ამის ძალღონე შესწევს, თუმცა სცენაზე თავი ისე უჭირავს, როგორც არ შეეფერება კულტუროსან ახალგაზრდას».

იოსებ გედევანიშვილსაც დაუცავს თავი. ამ საზოგადოებრივი გაღიზიანების პასუხად გრიგოლ რობაქიძემ «საპასუხო ბარათში» თქვა: «ჩემის ფიქრით «სინათლე», როგორც ხელოვნური ქმნილება, გარჩევადაც არა ღირს და, თუ მაინცა და მაინც მის წინააღმდეგ ავმხედრდი, ეს მხოლოდ მისთვის, რომ «სინათლით» გატაცებაში ჩვენი ესთეტიური უკულტურობა დავინახე. ამ უკულტურობის გამომჟღავნება კი, ჩემის ფიქრით, საჭირო იყო და მეც ამ მიზნით, გავარჩიე «სინათლე».

დრამატურგიულ-თეატრალური საქმიანობა სწორედ ქართული ესთეტიკური უკულტურობის დაძლევის სურვილმა შთააგონა. გრიგოლ რობაქიძეს მყარად ჰქონდა ჩამოყალიბებული როგორი თეატრის შექმნა ეწადა. 1922 წლის 25 სექტემბერს კონსერვატორიის დარბაზში მან ლექცია წაიკითხა – «თეატრი როგორც რიტმი». მართალია, ამ ლექციის ტექსტს უშუალოდ არ ვიცნობთ, მაგ-

რამ გაზეთმა «ბახტრიონმა» (_14) ვრცლად გადმოგვცა მისი შინაარსი და დებულებანი.

«ბახტრიონის» მიხედვით, გრიგოლ რობაქიძე მრავალი კუთხით შეხებია თეატრს. ჯერ პასუხი გაუცია კითხვისათვის – «არის თეატრი სრულიად დამოუკიდებელი ხელოვნება, თუ იგი წარმოებითი ხელოვნებაა მხოლოდ?» თეატრი მას ყოველთვის დამოუკიდებელ ხელოვნებად მიაჩნდა. მას მაგიურ შემოქმედებას უწოდებდა. ხსენებულ ლექციაშიც ეს შეხედულება დაიცვა. უარყო ის აზრი, რომელიც თეატრს წარმოებით, ანუ შემოქმედების სხვადასხვა დარგის შემართებულ ხელოვნებად მიიჩნევდა. თეატრისათვის «სხვა ხელოვნებათა ყოველი ელემენტი მასალაა მხოლოდ ისევე, როგორც მხატვრობაში საღებავი არის მასალა».

თეატრის თავისთავადობაზე სიკვდილის წინაც იტყვის: «რომელ დრამას შეუძლია წარმოქმნას აკაკი ვასაძის გასაოცარი მიმიკა? თეატრი თავისთავადაა ხელოვნება» («წერილი ირაკლი აბაშიძეს»).

არც დრამის გავრცელებულ განმარტებას ეთანხმება გრიგოლ რობაქიძე. «ნიცშეს ფილოლოგიურმა გამოკვლევებმა უკანასკნელად ცხად ყვეს, რომ დრამა, ბერძნული სიტყვა (დორიული) ნიშნავს არა მოქმედებას, არამედ «ამბავს». სიტყვის ასეთი განმარტებით ძირეულად იცვლება თეატრის შინაარსიც». ყველა კრებითი ამბავი მას არ მიაჩნია თეატრალურ ხელოვნებად. თეატრალურ ხელოვნებად კრებითი ამბავი მაშინ ხდება, როცა იგი განცდილია ესთეტიკურად. ესთეტიკურ განცდად კი მიაჩნია ის განცდა, როცა სულითაც და ხორცილთაც პოულობ შევსას, იწვი, განიცდი სიყვარულს საგნისადმი. თუ არ არის ეროსი, წვა, მაშინ არ არის შემოქმედება. არ არის მშვენიერების განცდა, ანუ არ ხდება თავისთავის დაცლა და არ იქმნება საკუთარი თავი სხვაში. ამიტომ იბადება თეატრი დიონისურ მისტერიებში. დიონისეს კულტი ნიშნავს გამოსვლას თავისთავიდან და სხვადქცევას. ბაკხანტები, სიბილები, მენადები და სხვანი იგივე დიონისეა, ოღონდ სხვა სახით მოვლინებული. დიონისემ გადალახა პიროვნული ზღუდე და სხვად იქცა. სხვაში ნახა თავისთავი. ეს სხვადქცევის პროცესი მისტერიულ დღესასწაულში მიმდინარეობს სხვებთან ერთად და სხვების თანდასწრებით. ასე ხდება თეატრალურ სანახაობაში, სცენაზე მსახიობი განახორციელებს სხვადქცევის პროცესს. სხვაში პოულობს თავისთავს.

როცა მსახიობზე ლაპარაკობდა, ჰინდურ მოძღვრებას «უპადჰისაც» იშველიებდა. ამ მოძღვრების თანახმად, ყოველ ადამიანში იმთავითვე მოცემულია მეორე ადამიანის სახე. შეიძლება ეს მეორე ადამიანი საუკუნეების წინათაც კი ცხოვრობდა. იგი ნილაბი კი არ არის, არამედ ნამდვილი ადეა. ამიტომ ყოველ ადამიანს შეუძლია სხვად იქცეს. ამ შეხედულებას ეხმაურება დიონისეს კულტიც. ხდება გამოსვლა პიროვნული ფარგლებიდან და გადასვლა სხვაში – უპიროვნოში ან ზეპიროვნულში. გრიგოლ რობაქიძის აზრით, მსახიობისათვის ეს არის მთავარი: თავისთავიდან გამოსვლა და ექსტატიური ხილვით, თრობით სხვა სახედ ქცევა. აქტიორს უნდა ჰქონდეს პლასტიკური სული. შეეძლოს სხვისი სახის მიღება. მასში თავისი მეს გამლა. მაგრამ გრიგოლ რობაქიძეს საკ-

მარისად არ მიაჩნია მარტო რომელიმე სახის (ჰამლეტი, ოტელო, ოფელია და სხვანი) მოცემა. მისთვის მთავარია დიონისური გატაცება, თრობა. ამით აუდიტორიუმის მოჯადოება. მაგიური შთაგონების პათოსის შექმნა.

ამ ქმედებაში მსახიობს უნდა დახმარებოდა სიტყვაც, მუსიკაც, მხატვრობაც. ამიტომ, მისი აზრით, აუცილებლად სცენური ნაწარმოები მუსიკალური პრინციპით უნდა აგებულიყო. სიმფონიას უნდა დამსგავსებოდა. ამას ყოველთვის ხაზს უსვამდა. ამაცობდა რომენ როლანის შენიშვნით. «ეს პრინციპი (სიმფონიურობა – ა.ბ.) იგზნო ისეთმა დიდმა მწერალმა და თეატრის და მუსიკის მცოდნემ და მკვლევარმა, როგორც არის რომენ როლლან. იგი სწერს ერთ კერძო წერილში, რომ ჩემი დრამების «მუსიკალურმა არქიტექტონიკამ იგი გააოცა (поразил). «მუსიკალური» – ამ შემთხვევაში «სიმფონიურია». «ლონდას» ხელოვნების შესახებ იგი პირდაპირ ამბობს «l'envoûtement magique» (მაგიური ჯადოსნობა, магическое колдовство)» – წერდა გრიგოლ რობაქიძე 1930 წლის 11 აგვისტოს შალვა სოსლანს¹.

სცენური ნაწარმოების, ანუ, როგორც თავად იტყოდა, ნაქმნის სიმფონიურობა ხელს უწყობდა როგორც ეროვნული, ისე ეპოქის რიტმის გამოვლენას. სიმფონიურობის გვერდით, მეორე აუცილებელი ელემენტი თეატრალური წარმოდგენისა რიტმი იყო. მისი მტკიცებით, ყოველ ერს თავის რიტმი ჰქონდა, ყოველი ეპოქასაც – თავისი. ჩეხოვის პიესები ვერასოდეს ვერ დაიდგმებოდა ქართულ სცენაზე კარგად. სრულიად სხვადასხვაა რუსული რიტმი და ქართული რიტმი. ქართული რიტმით ჩეხოვის პიესების თამაში არ შეიძლება. მთლიანად დაიშლება ჩეხოვის სამყარო. ქართველი კი რუსული რიტმით ვერ ითამაშებს ჩეხოვს. უბრალოდ არ შეუძლია და იმიტომ. რიტმი რასის თვისებაა. ვერც რასას შეიცვლის ვინმე და ვერც თვისებას. რუსებიც იმიტომ ვერ დგამენ შექსპირს, რომ სხვადასხვაა რიტმი შექსპირისა, ანუ ინგლისური და რიტმი რუსული.

ასეთია ეპოქაც. მასაც საკუთარი რიტმი აქვს. ბუნებრივია, ტექნიკური ცივილიზაციის რიტმი ისეთი ვერ იქნება, როგორც იყო ანტიკური ან რენესანსის ეპოქის რიტმი. მწერალს აუცილებლად უნდა შეეძლოს ეპოქის რიტმის დაჭერა. თუ თეატრალური ნაქმნი ეპოქის რიტმიდან ამოვარდება, მას მაყურებელი არ მიიღებს. ვერ გაითავისებს. ამაში ხედავდა სპექტაკლების უმრავლესობის მარცხის მიზეზს.

ყველა ამ კომპონენტის თავმომყრელი და შემაკავშირებელი რეჟისორია. მისი ნების წყალობით უნდა გაერთიანდეს ყველა. ერთ სხეულად იქცეს. ამ ნების გამოსავლენად და განსახორცილებლად გრიგოლ რობაქიძე აუცილებლად მიიჩნევდა რეჟისორის მიერ ოკულტიზმის ცოდნას. ოკულტიზმი, მისი რწმენით, აწვითარებდა ადამიანში ნებას და მის საწყისს. ასეთი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებად მიიჩნევდა იგი კოტე მარჯანიშვილსაც და სანდრო ახმეტელსაც.

საერთოდ, ქართული კულტურის და კერძოდ თეატრის განახლების პრობლემა დიდი საზრუნავი იყო 20-იანი წლების დასაწყისში. ამ მიზნით ზო-

გიერთს მიზანშეწონილად მიაჩნდა საქართველოში დაებრუნებინათ რუსეთში მოღვაწე ქართველები. ზოგიერთი პირიქით: კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ ამისა. 1922 წელს «ლომისის» მეექვსე ნომერში გამოქვეყნდა კონსტანტინე გამსახურდიას სტატია – «ჩვენი კულტურ-პოლიტიკა». ავტორი უარყოფითად უყურებდა რუსეთში მოღვაწე ქართველების სამშობლოში დაბრუნებას. მათ გარუსებულად თვლიდა. ქართულ კულტურას ვერაფერს შესძენენ. ზიანი კი შეიძლება მოუტანონო. კ.გამსახურდიამ ცისფერყანწელებსაც გაჰკრა კბილი: მეტიმეტად ელაქუცებიანო რუსებს. არც გრიგოლ რობაქიძე დაინდო. დაუწუნა – ზოგჯერ რუსულად რომ წერდა და ლექციებს კითხულობდა.

გრიგოლ რობაქიძემ მაშინვე, 1922 წლის 9 ოქტომბერს, გაუგზავნა ბარათი კოტე მაცაშვილს, როგორც მწერალთა კავშირის თავკაცს. ამ წერილს მთლიანად გაგაცნობთ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იგი საზოგადოებისათვის უცნობია და მეორეც, იმიტომ, რომ თავად ავტორი მას «ისტორიულ დოკუმენტს» უწოდებს.

«ძვირფასო კოტე!

«ლომისის» მეექვსე ნომერში ჩემი სახელი ცუდათ არის ნახსენები. წერილის ავტორს მე არ ვუპასუხებ. მას არც ისეთი რამ დაუწერია ან უთქვამს საერთოდ, რაც «მეტად» მისაღებია ქართული შემოქმედების დარგში; და არც ისეთი რამ უთქვამს ან დაუწერია, რაიც იწვევდეს სასტიკ გალაშქრებას. არსად ლიტერატურაში მე მისი სახელი არ მიხსენებია: არც ავად, არც კარგად. თვითონ კი 1917 წლიდან მოკიდებული სიტყვას ისე ვერ იტყვის, რომ ჩემი სახელი არ ახსენოს და თანვე ცუდათ. თქვენი თანდასწრებით და აზაშელის მას მოვახსენე მისი ხასიათის ორგანიული დეფექტი. სანამ ამ დეფექტს არ დასძლევს, მანამდე მისი აპპერცეპციის პრიზმა მრუდე იქნება. თვითონ მისტიკოსს უწოდებს თავისთავს, და თუ მისტიურად ჩახედავს თავის ბუნებას, ამას უთუოდ შეიცნობს. მე ძვირად შემხვედრია ქართველი, რომელსაც მის ხსენებაზე ოდნავ დამცინავი იერით არ გაეღიმოს. მე ვაფასებ არა-»ჩემიანსაც« და თავდაჭერილად ვუცქერ ხოლმე მის ხსენებას. თვითონ კი პირადი რაღაც გრძნობა ლიტერატურაშიაც გადააქვს. როგორც ყოველთვის აქაც მისი პრიზმა გაბზარულია.

1. საკითხი სუმბათაშვილისა-მარჯანიშვილისა-მესხიშვილისა რთულია ძალზე. ამის შესახებ მე სხვა აზრისა ვარ ვიდრე ხსენებული ავტორი. საქართველოში სუმბათაშვილი პიროვნულად კოტე მესხიც ვერ იქნებოდა, მაგრამ საქართველო არც ისე უხვია ბიოლოგიურად, რომ სუმბათაშვილის სხვისთვის გამეტება შეეძლოს. ეს არის ერთი ტრაგიული კვანძთაგანი საქართველოს კულტურის. ვისაც ჰსურს ამის შესახებ რაიმეს თქმა, საკითხის ასეთს დაყენებას ვერ აუხვევს გვერდს. მაგრამ დავანებოთ ამას თავი. რა შუაშია რობაქიძე სუმბათაშვილთან? სუმბათაშვილი რუსეთის რეჟისორია და არტისტი და მწერალი. რობაქიძე კი ქართველი პოეტია და მოაზრე. გამოდის ხანდახან პარალელურად რუსულს ენაზე: წერით თუ თქმით. ესეც იმდენათ, რამდენადაც საჭიროა ეს მისი ქართული ხაზისათვის. შესაძლოა საქართველომ არ მიიღოს რობაქიძე, მაგრამ საქართველოს ისტორია უთუოდ აღნიშნავს, რომ იგი უღელტეხილი იყო (ლექსში, პროზაში, პრობლემების წამოყენებაში). ეს ფაქტია. ვსწერ ჩემს თავზე

როგორც მესამე პირი. მე მეტყვიან: ქართული ხაზისათვის არ არის საჭირო პარალელურად გამოსვლა (ხანდახანაც). მივუგებ: ვარშავაში განზე გადგომა შესაძლოა, საქართველოში – არა: მით უმეტეს ტფილისში, საცა უცხო ელემენტები მრავალია. საჭიროა ამ უცხო ელემენტებს თავი დაანახვო, რომ არა ხარ «პროვინციალი». ამას მნიშვნელობა აქვს. მე თუ ხანდახან «რუსულად» გამოვდივარ, მხოლოდ ამ აზრით. მე შემიძლია ათჯერ «რუსულად» გამოვიდე, მაგრამ თანვე ასჯერ «ქართულად» გამოვალ. ბოლოს და ბოლოს ეს შეძლების საქმეა და მისი დახარჯვა ჩემს ნებაშია. ანტიპატრიოტიზმზე ლაპარაკი ჩემს შესახებ ისეთი გაუგებრობაა, რომ არ ვიცი რა სახელით მოვნათლო ჩემდამი ასეთი მოქცევა.

2. «სემინარიული რუსული». ავტორს ყველაზე ნაკლებ შეუძლია რუსულზე ლაპარაკი. მე წიგნი მაქვს რუსული. გამოჩენილი რუსი მწერლები აღნიშნავენ ოდნავი გაკვირვებით, რომ არა-რუსი სწერს ასეთი სტილით. რაც შეეხება ჩემს რუსულად ლაპარაკს ესტრადაზე, ჰკითხეთ მერეჟკოვსკის, გიპპიუსს, ბერდიაევს, მინსკის და მრავალს სხვას და მოგიგებენ «სემინარიულია» იგი თუ არა. მე მაქვს აქცენტი როგორც არა-რუსს. ეს ასეც უნდა იყოს. მაგრამ როცა მე შთაგონებით ვმეტყველებ, მითხარით რუსი, რომელიც «ამჩნევდეს» ამ აქცენტს. და თავი და თავი: ჩემს გვერდით გამოვიდეს კარგი რუსი მეტყველი და მაშინ დაინახავთ ჩემს ძალას. მე მრავალ ქართველს ვუსურვებ ქართულად ისე ლაპარაკს, როგორც მე რუსულად ვმეტყველებ. ეს წვრილმანია. მაგრამ საოცარი ის არის, რომ ია ეკალადის (ბანალობის ცოცხალი ძეგლის) ფეხის ხმაურს აჰყვა ავტორი.

3. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ მე სახელოვნო კომიტეტის სახელით დებატები თეატრზე არ გამიმართავს. მისი სახელით მხოლოდ მჭედლიშვილის მოხსენება გავმართე: ისიც ქართველ ხელოვანთა სასახლეში და მთელი თქმები (გარდა მომხსენებლისა) ორივე სადამოზე ქართულად მიმდინარობდენ. რად დასჭირდა ავტორს ასეთი ტყუილი?!

ვათავებ. მე მოგმართავთ თქვენ როგორც გავლენიან მწერალს და როგორც კავშირის თავმჯდომარეს. «ლომისი» კავშირის ორგანოა და ყოველს სიტყვაზე პასუხს აგებს მთელი კავშირი. თქვენი მხრით საჭიროა, რომ რჩევა და დარიგება მისცეთ ავტორს. მერწმუნეთ: ბოლოს და ბოლოს ასეთი გამოსვლები მისთვის უარესია. ეს თქვენც იცით».

დიდი შეხლა-შემოხლა ყოფილა. მაგრამ მას ვერ შეუძლია ხელი ვერც კოტე მარჯანიშვილის საქართველოში დაბრუნებისათვის და ვერც ქართული თეატრის განახლებისათვის. განახლებაში გრიგოლ რობაქიძე აქტიურად მონაწილეობდა, ერთი მხრივ, როგორც დრამატურგი და, მეორე მხრივ, როგორც თეატრის თეორეტიკოსი.

როცა 1922 წელს «ცხვრის წყარო» დაიდგა, ყველამ ერთხმად აღიარა, რომ გარდატეხა მოხდა. განახლება დაიწყო. ეს გრიგოლ რობაქიძემ მაშინვე აღნიშნა: «ძველი თეატრი მოკვდა. დაიბადა ახალი. ქართული ხელოვნების არც ერთ

დარგში ასეთი გარდატეხა არ მომხდარა... ავტორი ამ საოცარი მოვლენის იყო რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი» («ქართული დრამა»).

«ცხვრის წყარომ» პასუხი გასცა იმათაც, ვინც ეწინააღმდეგებოდა კოტე მარჯანიშვილს, როგორც გარუსებული ქართველის, სამშობლოში დაბრუნებას. გრიგოლ რობაქიძე ამ საკითხსაც შეეხო.

«საქართველოში ძნელია მეტად ნოვატორობა... შესაძლო აქ ჩვენი სიპატარავე და სიცოტავე იყოს მიზეზი. პატარა ერში ძნელია დათრობა შთაგონებით. აქ კიდურის გადალახვა მაინცა და მაინც მიმზიდველი არ არის, რადგან კიდური ახლოა. აქ ყველა ერთიმეორესთან «ახლოა». აქ არის სიფხიზლე ჭინკის. აქ მეორდება კორსიკანელ გლეხის ამბავი, რომელიც ბონაპარტის იმპერატორობას სიცილით ხვდებოდა. მოკვდა ისე, რომ არ დაუჯერებია... არა გვგონია, რომ ალ.სუმბათაშვილი საქართველოში ის იქნებოდა, რაიც იგი რუსეთის ფონზეა. ფაქტი არ არის იდეა: აქედან ის დასკვნა არ გამოდის, თითქო ყოველი პიროვნება ძლიერი უნდა გაიქცეს საქართველოდან. საჭიროა ქართველის ნებისყოფა, რომ საქართველოშივე გახდეს ძლიერი და დიდი. საჭიროა ძლევა «ჭინკის სიფხიზლისა». საჭიროა გადალახვა პროვინციელი «ობივატელის» («ქართული დრამა»¹).

ამ კუთხითაც კოტე მარჯანიშვილის პიროვნება მას მეტად საყურადღებო მოვლენად მიაჩნდა. გრიგოლ რობაქიძე ცდილობდა ჩაწვდომოდა კოტე მარჯანიშვილის პიროვნებას. მისი სულიერი პორტრეტი დაეხატა.

«კოტე მარჯანიშვილი დაუბრუნდა საქართველოს. დაუბრუნდა უკვე ავტორიტეტობით მოსილი. მას აღარ სჭირდება პროვინციული მემჩანინების გადალახვა. ეს მოვლენა მას უადვილებს ნოვატორობას. რასაკვირველია, აღსანიშნავია მისი პერსონალობაც. კოტე მარჯანიშვილი ინტუიტივისტია: რეფლექსია არ არღვევს მის ფანტაზიას. მისი ტემპერამენტი საქართველოშიაც საკვირველია. თუმცა ძალზე იმპულსივია, მაგრამ, საბედნიეროდ, ეს მხოლოდ არტისტული ნერვია და არტისტულ კაპრიზს არ სცილდება. საკვირველია ისიც, რომ ცეცხლმა იცის გამწეობა და გამძლეობა. მუშაობა მას დღეღამეში ოცი საათი შეუძლია. გასაოცარია იგი რეპეტიციების დროს. ვისაც სურს ახსნას მისი რეჟისურული ჯადოქრობა, მან იგი ამ მუშაობის დროს უნდა იხილოს. აღმოკიდებულია თავიდან ბოლომდე. იწვის, მაგრამ, როგორც სალამანდრა, არ იფერფლებს. თანვე მრისხანეა და სასტიკი, როგორც ყოველი შემოქმედი» («ქართული დრამა»).

გრიგოლ რობაქიძის სამივე პიესა – «ლონდა», «მალშტრემი», «ლამარა»² – კოტე მარჯანიშვილმა დადგა რუსთაველის თეატრში. «ლამარა» სანდრო ახმეტელთან ერთად. ისიც უნდა ითქვას, რომ კოტე მარჯანიშვილსა და სანდრო ახმეტელს შორის კონფლიქტის პირველი მარცვალი «ლამარას» გამო ჩავარდნილა. სპექტაკლის დადგმის დროს კოტე ავად გამხდარა ბრმა ნაწლავის ანთებით. ოპერაციას გართულება მოჰყოლია. დიდხანს წოლილა საავადმყოფოში. წარმოდგენის დადგმა სანდრო ახმეტელს დაუმთავრებია. მართალია, კოტე მარჯანიშვილის შემუშავებული გეგმის მიხედვით, მაგრამ როცა კოტეს

სპექტაკლი უნახავს, რაღაცით უკმაყოფილო დარჩენილა. რით? არ ვიცი. «ლამარას» მოკლე ბიოგრაფიაში გრიგოლ რობაქიძე რეჟისორის უკმაყოფილების მიზეზზე არაფერს ამბობს. გრიგოლ რობაქიძე, თვითონაც, გულდაწყვეტილი ჩანს რაღაცით. ეს მართო ის არ არის, რომ რეჟისურამ (კ. მარჯანიშვილმა და ს.ახმეტელმა ერთად) მისტერიას მეოთხე აქტი მოაცილეს. წარმოდგენა უამაქტოდ თამაშდებოდა. უკმაყოფილების მიზეზი იყო რაღაც კიდევ სხვა. ამას იმიტომ ვვარაუდობ, რომ «გრაალის მცველნი» კოტე მარჯანიშვილი, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე გამოყვანილი არიან გრაალის მცველებად, სანდრო ახმეტელი კი – არა. თუმცა სანდრო ახმეტელს გრიგოლ რობაქიძე ყოველთვის აქებს და «ნიჭით უხვად დაჯილდოებულს» უწოდებს.

ვფიქრობ, რომ შეცდომა მოგვდის, როცა გრიგოლ რობაქიძის დრამატურ-გიულ ნაწერებს პიესას, დრამას ან სხვა ამგვარ სახელს ვუწოდებთ. ისინი მისტერებია. ტექსტებია მისტერიისათვის. მით უფრო, რომ მისტერებად იხსენიებენ მათ თვითონაც და ცისფერყანწელებიც.

ტიციან ტაბიძე გვიყვება, როგორ მოხდა «ლონდას» პირველი საჯარო გამოჩენა.

«მე მაშინ კახეთში ვიყავი, როცა წავიკითხე ქრონიკაში, რომ გიორგი მაჩაბლის სალონში ტფილისის საუკეთესო არტისტების და მწერლების წრეში წავითხულ იქნა ეს პიესა.

მთელი ტფილისი მაშინ ლაპარაკობდა ლონდაზე. 1921 წელს, დეკემბრის 10-ს, გრიგოლ რობაქიძემ ეს პიესა წაიკითხა «ცისფერყანწელებთან» «ბარრიკადის» რედაქციის ბინაზე, სასტუმრო «კავკაზში».

მე, როგორც დღეს, მახსოვს ეს შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ამ კითხვამ. პირველი დადგმა ამ მისტერიის მაშინ მოხდა «თეატრში – საკუთარი თავისთვის». პირველი დედანიც ამ პიესის, რომელიც დაწერილია ფანქრით აქამდე ჩემთან ინახება და მე ვაფასებ ამ ხელთნაწერს და სერგეი სუდეიკინის ავტოპორტრეტს, რომელიც მე მან მაჩუქა, როგორც არც ერთ საგანს, რომელიც მე ოდესმე მქონია.

ამ პიესაზე მე ვიცი – რომ გრიგოლ რობაქიძისათვის ის სანაცვლოა თავის ბავშვის ალკასი»¹.

გრიგოლ რობაქიძის მთელი შემოქმედებისა და კერძოდ მისტერიების ერთ-ერთი ძირითადი თემაა და პრობლემა გახელება, წვა, ვნებით აღმოდებული ადამიანი. მას ყოველთვის იტაცებდა უნაპირო, უსაზღვრო, უსამანო გახელების ცეცხლი. აქედან მომდინარეობს მისი სიყვარული ამორძალებისადმი, რადამისტისა და ზენობიას თავგადასავლისადმი, მედეასადმი, დიონისესადმი და ასე შემდგომ.

გრიგოლ რობაქიძეს პაწია ესეი აქვს – «გახელება». იგი გვიყვება ამორძალების ამბავს.

«თერმოდონტიდან ამორძალები ხომალდებით გაემართენ აქილლესის ტაძრის დასამხობად. მიადგენ კუნძულს. ჩაუშვეს ღუზა. უბრძანეს ჰელესპონტელ უცხოელებს მოეჭრათ ხეები, რომელთა რკალში ტაძარი იდგა. მაგრამ

წალღები ხეებს სცდებოდნენ და მჭრელებს თავში ხვდებოდათ. დაეცნენ მიწაზე მოკლულები. მაშინ მოახტნენ ცხენებს ამორძალები. თვითონ დაესხნენ ტაძარს. აქილლესი ჯერ პირგამეხებით უცქერდა მათ მოვარდნას. შემდეგ გადმოხტა საშინელი და მრისხანემ ცხენებს სიგიჟე მიუსია. დასწყვიტეს ცხენებმა ლაგმები და გავარდენ გახელებით. გადმოაგდეს ამორძალები. გასრისეს ტორებით ავი ქალები. ყურებაცქვეტილი და ფაფარაყრილნი დაესიენ ქალებს: ამოსჭამეს მუცლები და მკერდები. დათვრენ სისხლით და იწყეს კუნძულზე გიჟური ნავარდი. შემდეგ უეცრად შეჩერდენ. გადახედეს გაშლილ ზღვას. გაიფიქრეს – ფართო ველიაო და მოწყვეტილნი შიგ გადაეშვნენ. ზღვა აილეწა და დაილეწა ხომალდები. მათთან ერთად ცხენებიც შთაინთქენ».

ეს თქმულება ხიბლავდა გრიგოლ რობაქიძეს. სწორედ იმ გახელებას ხედავდა მასში, რაც მწერალს ესოდენ აჯადოებდა.

«აქ ყოველი ხაზი ცეცხლია თვითონ. ჯერ თვითონ ამორძალი: მასში არის სიავე. შემდეგ თავდასხმა აქილლესის ტაძარზე. აქილლესი ხომ ყოველი კუნთის გახელებაა. დაუმატეთ: ცხენებით გავარდნა. ცხენები სიგიჟეა თავისთავად. მათი გადარევა, მუცლების გამოფატვრა, ზღვაში გადავარდნა. ყოველი ხვეული ცეცხლმოკიდებული. თანვე: საშინელი დინამიურობა. ეს თქმულება გენიალ პოემას უდრის. რა ავი მასალაა (და რა მიმზიდველი) სიტყვის გაკენტავრებისათვის?»

ამგვარი გახელებაა მისტერიაში «ლონდა».

გვალვა, ხვატი, ალმური წვავს კოლხეთის მიწა-წყალს. გაბერწდა მიწა. აღარ იძლევა ნაყოფს. დაღუპვა ემუქრება ქვეყანას, ხალხს, ცხოველს და მცენარეს.

«ამ სიცხეში ყველაფერი ირევა ბრუდახვეული. ქალები ატყდებიან ჟინით დაუცხრომელით და ვაჟები აედევნებიან მათ ნდომით ნადირისა. იქნება წარყვნა აურაცხელი».

მთავარი თავზარდაცემულია. არ იცის – როგორ უშველოს ქვეყანას. ქურუმი რამდენიმე დღეა ჩაკეტილია. ლოცულობს. უფალს ევედრება. ელის ღმერთის პასუხს. სასოწარკვეთილი ხალხი უკანასკნელ იმედს ებლაუჭება. რას იტყვის ქურუმი. რა ამცნო მას ღმერთმა. როგორც იქნა, გამოვიდა ქურუმი სალოცავიდან. შემაზარავი ცნობა გამოიტანა: ადამიანს ითხოვს მსხვერპლად ღმერთი სადდასაი. ხალხი ბობოქრობს. ღელავს. მძვინვარებს. «– ადამიანის შეწირვა გადავარდა!... ადამიანი თვითონ არის ღმერთი!» – ყვირის ოთარ მოშიარე. არავინ უგდებს ყურს. ყველა ცნობისმოყვარეობას შეუპყრია. ვინ არის იგი, ვინც მსხვერპლად უნდა გაიღონ. ვინ უნდა შეწირონ სადდასაის. მსხვერპლად ქალია დასახელებული. ულამაზესი და უმშვენიერესი. ლონდაა ეს ქალი. მისი ხილვით ვაჟები ხელდებიან. დედებს და ცოლებს სძულთ და ეშინიათ მისი. ცოტა რამ იციან მისი წარმოშობის შესახებ. მოშიარე ოთარი ყვება:

*ზაფხულის ვნებაგამდნარ საღამოს
ზღვის პირას უნახავთ იგი ქვიშაზე მწოლარე.*

*ჯერ კიდევ ყმაწვილი სრულად ლონთქოში.
ზღვამ თუ გამოისროლა ნაპირზე
უცხო სირენასავით.
ტანი ქვასავით მაგარი ჰქონია და კვრივი
და სურნელება ველური ყლორტების.
ერთს დიდს ოჯახში აუყვანიათ
და იქ გაუზრდიათ.*

ეს ქალი უნდა შესწირონ მსხვერპლად. თამაზ ბატონიშვილს უყვარს იგი. იმუქრება: არავის დაანებებს ლონდას მსხვერპლად მიტანას. მაგრამ ქალი თავად მზად არის იყოს შეწირული ქვეყნისა და ხალხის გადასარჩენად.

*იყოს ბედი სასტიკი და ლამაზი!
მე არ ვიცი ვინ არის სადდასაჲ.
არც ის ვიცი თუ რა არის მისი განგება.
ვიცი მხოლოდ ყვავილები და სიყვარული.
მახარებენ მზის თესლები
ლონთქოშა ყლორტებში
და მახალისებს ატეხილი აშავერი
მიწის ავხორცი ტანის
მიყვარს ყოველი: ვეტრფი სიცოცხლეს.
მაგრამ მზადა ვარ მაინც.*

ავასრულო სიტყვა დიდი ქურუმის», – მიმართავს ხალხს ლონდა. ამაოა თამაზის მუდარა. ლონდა არ შეცვლის გადაწყვეტილებას. იგი შეეწირება მსხვერპლად. «სიკვდილში გადასულს სიყვარულს ღმერთებიც ვერ შეცვლიან», – არწმუნებს თამაზს ლონდა. მაშინ თამაზი გადაწყვეტს თავად აღასრულოს მსხვერპლთშეწირვის აქტი. თავად მიჰყავს ლონდა უფსკრულთან, ზღვაში რომ გადაისროლოს. ხელში აჰყავს ქალი, ჰკოცნის და ერთად გადაეშვებიან წვეკარამში.

*– რა იქნებოდა სოფელი
სიყვარული რომ არ ყოფილიყო?!
– უდაბნო და ნაცარი.
– სიყვარული ცდა არის საცნაური:
ვისთვის ამმალღებელი და
ვისთვის გამანადგურებელი.*

«ლონდაშიც» მარადიული დაბრუნების იდეაა. ღმერთი სადდასაი ითხოვს მსხვერპლად ლონდას. ვინ არის სადდასაი? თავად გრიგოლ რობაქიძე განმარტავს: დიონისეს კულტის თანახმად, «ადამიანი წარმოსდგება ორი ელე-

მენტისაგან – დიონისურისა და ტიტანურისაგან. დიონისური ელემენტი ისწრაფვის შეუერთდეს ახალს დიონისოს სადდასაიაში (დიადს ყოვლადობაში); ტიტანური ელემენტი იკავებს ადამიანს ინდივიდუაციის (განპიროვნების) რკალში»¹ დიონისე კვდომადი და აღდგომადი ღმერთია. იგი კვდება, მაგრამ კვლავ აღორძინდება. ადამიანის დიონისური ელემენტი უერთდება დიონისეს დიად ყოვლადობაში (სადდასაიაში). ეს პროცესი გახელების, აღზნების გზით ხორციელდება. «ამ პროცესში ერთგვარი «მანია» არის: აშლილობა, ლაგამახსნილობა, აღზნება ისეთი, რომ ამ მდგომარეობაში ადამიანი «სხვად» იქცევა. მიზანი ასეთი იყო: მხოლოდ ასეთი, აღზნებით შეიძლებოდა საპირადოს გადალახვა და თვითარსის გადასხმა ღვთაების უპიროვნო ჭურჭელში».

მამასადაამე, მსხვერპლთმეწირვის პროცესის გახელებით და გზნებით სადდასაიაში (დიად ყოვლადობაში) დიონისესთან შეერთებული ლონდა და თამაზი, ანუ სიყვარული და მშვენიერება კვლავ დაბრუნდება.

«ლონდაში» დიონისეს კულტით გატაცება სხვა მოტივითაც დასტურდება.

ქორო მღერის: მზე გველი არის დიდი:

წითელი გველი რქანაყარი.

უნდა შეჰკრიბო წითელი გველების პერანგები:

უთვალავი გველების წითელი პერანგები –

და შემოახვიოთ პერანგები გარს სალოცავს.

მზე უთუოდ დაცხრება მამინ.

ამ დროს საშინელი კივილი ატყდება. ცხრამუხაში დიდმა გველმა გაისრიალა. მაგრამ მისი მოკვლა არ შეიძლება. იგი წმინდა გველია. თუ მოკალი, კიდევ უფრო დიდი უბედურება დატრიალდება. რის ნიშანია ეს – ქვეყნის დაქცევის თუ გადარჩენის? ხალხი შეძრწუნებულია. პასუხი ვერ უპოვანია. ერთნი ერთს ამბობენ, მეორენი – მეორეს. მაგრამ გრიგოლ რობაქიძე ამ ქარაგმულ სურათს თავად აძლევს პასუხს. დიონისე მუხაში ცოცხლობს. გვირგვინები, რომელთაც დიონისიების დროს ატარებდნენ, დაწნული იყო მუხის, სუროს, დაფნის, ზეთისხილის რტოებისა და ფოთლებისაგან. გველი მზის სიმბოლოა. როცა გველი ცხრამუხას გადაევლო, ამით დიონისე გამოცხადდა. სიკვდილი დამთავრდა. ისევ სიცოცხლე დაბრუნდა. არსებობის წრებრუნვა გრძელდება. ამას მოწმობს მთავრის სიტყვებიც მიმართული თამაზისადმი.

ჩვენ გადავალთ და სხვები მოვლენ.

მაგრამ გადასულნიც და მოსულნიც

არიან ერთნი.

მამა შვილში არის. შვილი მამას აგრძელებს.

მამად ვერვინ გახდება ქვევით

თუ არ ეშველა უკანასკნელად

*მამას და მამებს ზევით.
მამული წიაღია შვილის ერთგულების.*

ყველა იმ მოტივს, რომელიც მსჭვალავს «ლონდას», გრიგოლ რობაქიძე ვრცლად გაიმეორებს «გველის პერანგშიც» და სხვა თხზულებებშიც შედარებით მოკლედ.

გრიგოლ რობაქიძის მისტერიები ხიბლავდა პუბლიკუმს თავისებურებით, მანამდე უცნობი, უცნაური მოტივებით, თემებით, სახეებით. ამასთანავე აღიზიანებდა. ძნელი იყო არსის წვდომა. როცა «მალშტრემი» თეატრში დაიდგა, 20-იანი წლების ქართული პრესა აივსო კარიკატურებით, სატირული სტრიქონებით. ვისაც არ ეზარებოდა, «მალშტრემით» ილესავდა ენას. ალბათ, ამან გამოიწვია ის, რომ გრიგოლ რობაქიძემ «მალშტრემის» ვრცელი განმარტება დაწერა.¹

მისტერიის სახელწოდება გერმანული სიტყვაა – «მალშტრომ» (Der Mahlstrom), რაც ძლიერ ნიაღვარს ნიშნავს. მისი მორევი ითრევს ადამიანს. თუ ჩაგითრია, თავის დაღწევა შეუძლებელია.

მისტერიის დაწერის აზრი ისევ ტაციტუსის ნაამბობ რადამისტისა და ზენობიას თავგადასავალს შთაუგონებია.

მორელლა და უცნობი გარბიან. მისდევენ. თუ მდევრები დაეწევიან, სიკვდილი არ ასცდებათ. მორელლა და უცნობი თავს წისქვილში შეაფარებენ. დიდხანს დაყოვნება არ შეიძლება. სადაც არის, მდევრებიც დაეწევიან. მაგრამ მორელლას უჭირს. ფეხმძიმედ არის. გზას ვეღარ გააგრძელებს. ემუდარება უცნობს – მომკალიო. უცნობი თავზარდაცემულია. არ ძალუმს ქალის მოკვლა. მორელლას მდევართა ხელში ჩავარდნას, სიკვდილი ურჩევნია. უცნობს სხვა გზა აღარ დარჩენია. იგი ხანჯალს ჩასცემს მორელლას. ქალს მდინარეში გადააგდებს. თავად კი გარბის.

მეწისქვილის შვილიშვილი მდინარეში გადაეშვება. მორელლას ამოიყვანს. იგი ცოცხალია. ამასობაში მდევარნიც მოვლენ. მორელლა მიჰყავთ.

მკითხველი ხედავს, რომ განმეორებულია რადამისტისა და ზენობიას თავგადასავალი.

რას გაექცნენ უცნობი და მორელლა? ტექნიკურ ცივილიზაციას, ქალაქს, ფულს, სიმდიდრით გახრწნილ საზოგადოებას. ამ საზოგადოებას განასახიერებენ როკფელერ, ფინკელშტეინ, პენუტე, გელფერიხ, აზეფულ. დააკვირდით: ამ გვარებში ყველა – გერმანელიც, ფრანგიც, ებრაელიც, ამერიკელიც. წარმოდგენილია ფულიანთა, მდიდართა ინტერნაციონალიზმი. აზეფულ კი გვახსენებს ცნობილ პროვოკატორს, ესერული პარტიის წევრს ევრო აზეფს. ცრუ რევოლუცია და კაპიტალი ერთად არიან. მათი წინააღმდეგობა მოჩვენებითია. მდიდართა ინტერნაციონალიზმს ნამდვილად, რეალურად ებრძვიან უბრალო ადამიანები – უცნობი, მორელლა, ბოშები, კეთროვანები – ისინი, ვინც ცხოვრების ტალღამ გარიყა.

ამ დაპირისპირებაში რა როლს ასრულებს რადამისტისა და ზენობიას თავგადასავალი? გრიგოლ რობაქიძე, როგორც თავად ამბობს, ზენობიაში ხედავდა ნამდვილ «მიწას» ატეხილი მკერდით და თავისგამეტების ნებას. რადამისტში კი – ნამდვილ ზეკაცურ არსს, რომელიც ცოცხლობს ბედის სიყვარულით. სხვადასხვაგვარად შეიძლება ამ ამბის განვითარება და გაშლა. გრიგოლ რობაქიძეს თავისი კუთხე მოუძებნია.

«აქ ისეთი სინოცივრეა «მიწის», რომ იგი უთუოდ უნდა შეჭრილიყო უმიწო ქალაქში. აქ ისეთი გადალახვაა «ფატუმის», რომ იგი უთუოდ უნდა შევარდნილიყო უბედო კულტურაში. «მიწა» აქ არ არის «სოფელი» და ბუკოლიკა. «მიწა» აქ სულია სამყაროსი: ინსტინქტი, განუკვეთელობა, რასსიული ხსოვნა, ცოცხალი ანამნეზის. «ფატუმი» არ არის აქ უბრალო «წერა». იგი შინაგანი აუცილებლობაა ყოფის» («მალშტრემის» განმარტებისათვის).

როკფელერების, ფინკელშტეინების, პენუტიების, გელფერიხების, აზეფულების სამყაროში მორელლას («მიწის» სურნელების) და უცნობის (ბედის სიმტკიცის) შემოვარდნა არყევს, ანგრევს ყველაფერს, ეფემერულს ხდის. ასეც უწოდებს მისტერიის პირველ ნაწილს გრიგოლ რობაქიძე – ეფემერა.

რამდენადაც პირველი ნაწილი მისტერიისა ეფემერაა, იმდენად მეორე ნაწილი «სისხლია და ძვალი. სხეულება მიწის იშლება მის პირვანდელ ქალწულობაში. მეწისქვილე, ქალი, ვაჟი. მეთევზენი – ხაზებია ამ სიქალწულისა. თქმულება ალზე, თქმულება მუხაზე, თქმულება მთვარეზე – შტოებია მითოსისა».

მე-20 საუკუნის დიდი კონფლიქტი შრომასა და კაპიტალს შორის, ტექნიკურ ცივილიზაციასა და ბუნების თაურსიწმინდეს შორის, გრიგოლ რობაქიძეს გადაჰყავს მითიურ სამყაროში.

ეს დაპირისპირება, წინააღმდეგობა, ბრძოლა ტრაგიკულ ელფერს ატარებს, მაგრამ ნამდვილად კი აბსურდად იქცევა. «უბიწო და უბედო კულტურაში ყველაფერი თავდება აბსურდით. ამ აბსურდის მასახიერებელნი დღევანდელ ევროპაში არიან დადაისტები. «რაციოს» ყოველი ხვეული აქ იღებს აბსურდულ მიმართებას. ქვეყანას აბითურებენ, მაგრამ თვითონვე ბითურდებიან. ირონიაა ყველგან, მაგრამ ირონია მობრუნებით ურტყამს ყველას».

«მალშტრემის» უფრო ზუსტი განმარტება შეუძლებელია. თავად ავტორმა ხელისგულზე დაგვიდო მისტერიის აზრობრივი შინაარსი.

ბუნების თაურსიწმინდესა და ტექნიკურ ცივილიზაციას შორის კონფლიქტი აბსურდულია. შეუძლებელია ბუნების თაურსიწმინდის დაბრუნება, ხოლო სად მიგვიყვანს ტექნიკური ცივილიზაცია არავინ უწყის. ბორბალში დამწყვდეულ ციყვივით ტრიალებს კაცობრიობა.

აბსურდულია შრომისა და კაპიტალის კონფლიქტი და ბრძოლაც. შრომა თითქოს ებრძვის ფულსა და სიმდიდრეს, ზნეობრივ გახრწნას. მაგრამ ამავე დროს იმავე ფულს და სიმდიდრეს ებღაუჭება. შრომა ვერ იქნება თვითმიზანი. მაშინ აბსურდის ხასიათს შეიძენს (შრომა შრომისათვის?). შრომას მიზანი სჭირდება. ეს მიზანი კი სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა ისევ ფული და

სიმდიდრე. აბსურდია: შრომა ებრძვის ფულსა და სიმდიდრეს იმისათვის, რომ ისევ ფული და სიმდიდრე დააგროვოს. ამ დაგროვებას ზნეობრივი გახრწნაც თან ახლავს. ისევ ბორბალში დამწყვდეული ციყვივით ტრიალებს კაცობრიობა.

ამ აბსურდულ კრიზისულ ვითარებაში რადამისტისა და ზენობიას თავგადასავალი იწვევს აღტაცებას მისი ქალურობით, მისი ვაჟურობით, ადამიანური ნების სიმტკიცით და, თუ გნებავთ, დაუნდობლობითაც. მას იმეორებს უცნობი და მორელა. ამ განმეორებაში იმედია. იმედია მარადიული დაბრუნების, თუგინდ იგი მითითურ სამყაროში არსებობდეს და არა რეალურში.

«მალშტრემივით» «ლამარას» განმარტებაც მოუწია გრიგოლ რობაქიძეს, თუმცა სხვა მიზნით. მაშინ, როცა გრიგოლ რობაქიძის სახელს ტაბუ ედო, «ლონდასა» და «მალშტრემისაგან» განსხვავებით, «ლამარას» ხშირად ახსენებდნენ. იძულებული იყვნენ და იმიტომ. შეუძლებელი იყო რუსთაველის თეატრის შემოქმედებაზე ლაპარაკი «ლამარას» მოუხსენიებლად. «ლამარას» კი ახსენებდნენ, მაგრამ მის ავტორზე დუმდნენ. ვერავინ ბედავდა ვაშინერსის დარღვევას. ამ ვითარებით გამოწვეულ უხერხულობას ყველა გრძნობდა. მერე უფრო უარეს დღეში ჩაიგდეს თავი. «ლამარა» ვაჟა-ფშაველას მიაწერეს. ერთნი ამბობდნენ – ვაჟას მოტივების მიხედვითო, მეორენი – პირდაპირ ვაჟას ასახელებდნენ ავტორად. ვინც ამას აკეთებდა, ყველამ ჩინებულად იცოდა, ვინც იყო ავტორი. მაგრამ მაინც ცრუობდნენ. თავს კი იმით იმართლებდნენ, რომ გრიგოლ რობაქიძის ხსენების უფლებას არავინ მოგვცემსო. ვერც «ლამარაზე» ვილაპარაკებთ. ტყუილით კი «ლამარაზე» საუბარს მაინც ვახერხებთო. ამრიგად, ნებით თუ უნებლიეთ, «ლამარა» წაერთვა გრიგოლ რობაქიძეს და ვაჟა-ფშაველას გადაეცა. ქართული მწერლობისა და თეატრის ისტორიაში უფრო კუროზული შემთხვევა არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკურ-კომუნისტური პერიოდის მწერლობისა და თეატრის ცხოვრება სავსეა სატირალ-სასაცილო შემთხვევებით.

ბუნებრივია, ამ ამბავმა გრიგოლ რობაქიძის ყურამდეც მიაღწია. მას გულიც ეტკინა და გაბრაზდა კიდევ. 1962 წლის აპრილში მან ბარათით მიმართა ირაკლი აბაშიძეს, როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს. ამ წერილით პროტესტი გამოთქვა. დაგმო ზოგიერთთა ყოვლად უღირსი საქციელი. საკუთარი მწერლური ღირსება დაიცვა.

როგორც ავტორს, «ლამარა» განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა. შეიძლება ეს გრძნობა იმანაც აღუძრა, რომ მისი წართმევა მოინდომეს. ასეა თუ ისე, ფაქტია ის, რომ «ლამარას» გამო ამ მისტერიის მოკლე ბიოგრაფიაც დაწერა და «ვაჟას ენგადშიც» დიდი ადგილი დაუთმო. ამ ნარკვევებიდან სამ ძირითად დასკვნას გამოვყოფ:

პირველი: «ლამარა» დაიწერა როგორც 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების პასუხი.

«წამებულმა ქართველმა ისეთი სიმძაფრით გაიღვიძა ჩემში, რომ ქვეშეცნეულ მოვინდომე: «ლამარა» უმაღლე მიმეხალა მტარვალთა მიმართ ვითარ ტრაგიული მარჯი დამარცხებულთა» («ლამარა». მოკლე ბიოგრაფია).

გრიგოლ რობაქიძე «მარჯს» ხშირად ხმარობს. ეს სიტყვა მან თავად გამოყო «გამარჯვებიდან». ამოღებულია ამ სიტყვის შუაგული – «მარჯ» ისევე, როგორც დამარცხებიდან ნაწარმოებია «მარცხი». მარჯს გრიგოლ რობაქიძე იყენებდა გერმანული Heil-ის შესატყვისადაც.

ავტორის სიტყვით, რეჟისორი სანდრო ახმეტელი «ლამარას» განსაზღვრავდა, როგორც რაინდულ რომანტიზმს. 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაც იყო რაინდული რომანტიზმის გამოვლენა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამბოხების რომელიმე მონაწილეს მართლა სჯეროდა გამარჯვებისა. მეტისმეტი მიამიტობა იქნებოდა ეს. ძალთა შეფარდება უსაზღვროდ უთანასწორო იყო. მონაწილეობდნენ იმდენად, რამდენადაც ამას რაინდული ბუნება ითხოვდა.

მეორე: მართალია, ამბით, მოქმედებით, პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულებით, ხასიათებით, კონფლიქტით, ჟანრით «გველის მჭამელსა» და «ლამარას» არაფერი აქვთ საერთო, მაგრამ «თაური ორივესი ერთია», როგორც თვითონ გრიგოლ რობაქიძე ამბობდა. «მინდია: არსი, რომელშიც მთლიან სახიერდება ორმაგი უნივერსალური იდეა. სიყვარული შეიქმნს შემეცნებას (მოციქული პავლე), შემეცნება შეიქმნს სიყვარულს (ლეონარდო და ვინჩი)». ეს აზრი «გველის მჭამელთან» დაკავშირებით ჯერ კიდევ მაშინ გამოთქვა, როცა 1911 წლის აგვისტოში «Русская мысль»-ში სტატია დაიბეჭდა «უახლესი ქართული პოეზიიდან. პოეტი ვაჟა-ფშაველა».

ვაჟა-ფშაველამ «შემოქმედებითი სინთეზით გააერთიანა ორი ერთი შეხედვით ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისი: შეცნობა ჰბადებს სიყვარულს (და ვინჩი) და სიყვარული ჰბადებს შეცნობას (პავლე მოციქული), ან უფრო სწორად, ინტუიციურად აღმოაჩინა, რომ შეცნობა და სიყვარული არსებითად ერთი და იგივეა, რომ შეცნობა ერთგვარი სიყვარულია, ხოლო სიყვარული – ერთგვარი შეცნობა» (თარგმანი დინარა კასრადისა).

ეს აზრი მესამედაც გაიმეორა, როცა «ლამარას» მოკლე ბიოგრაფია დაწერა. ჩანს, პავლე მოციქულისა და ლეონარდო და ვინჩის დებულებებს მისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. საერთოდ, ვაჟას წყალობით, მინდიას თქმულებამ დიდად მიიზიდა ქართული მწერლობა. «გველის მჭამელისა» და «ლამარას» შემდეგ მესამე თხზულებაც დაიწერა – კონსტანტინე გამსახურდიას «ხოგაის მინდია».

მესამე: გრიგოლ რობაქიძეს თვითმკვლელობა ტრაგედიად არ მიაჩნდა. ტრაგედიად იგი თვითშეწირვას თვლიდა. უკვირდა: რატომ იკლავდა თავს მინდია ვაჟას პოემაში. ახლა თავად მას მოვუსმინოთ.

«მრწამდა და მრწამს უღრმესად, რომ ისეთი არსი, როგორიცაა მინდია თავს არ მოიკლავს. უკეთ: ვერ მოიკლავს. მეორე მხრივ, მრწამდა და მრწამს უღრმესად, რომ ისეთი არსი, როგორიცაა ხალხი, არ ცდება არცერთ მუხლში თავის ქმედითი ცხადებისა. როცა «ლამარას» ვქმნიდი, ორ ცეცხლ შუა ვიყავი:

«მინდია ვერ მოიკლავს თავს», ვამბობდი. «მინდია თავს იკლავს», მეუბნებოდა ხალხი. გავბედე ბოლოს და – პირველად ჩემს სიცოცხლეში – შევასწორე ხალხის ნააზრევი. დიდ ხანს მაწვა ეს გულს სიმძიმედ, დიდ ხანს, დიდ ხანს.

რამოდენიმე თვის წინ წავიკითხე (პირველად) ვაჟას კრიტიკული წერილები. მათ შორის «კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი». ამ წერილში ვაჟა გვითხრობს, სხვათა შორის: თუ რაა ხალხური თქმულებითგან «გველის მჭამელში» და რა მისი საკუთარი. რა აღმოჩნდა? თურმე მინდია თავს იკლავს არა ხალხური თქმულებით, არამედ ვაჟას პიროვნული მითხზვით. მომეშვა წამსვე სიმძიმე, დავინახე რა, რომ ხალხის «გნება» არ შემიღახავს» («ვაჟას ენგადი»).

ეტყობა, ყოველთვის აინტერესებდა რა მიმართებოდა ხალხურ თქმულებას, «გველის მჭამელსა» და «ლამარას» შორის. 1930 წლის 7 ივლისს გრიგოლ რობაქიძე წერდა შალვა სოსლანს:

«საჭიროა იცოდენ მოსკოვშიაც: «ლამარა» არ არის «დრამატული განსცენიურება ხალხური თქმულებისა». უკანასკნელიდან (რომელიც ვაჟას «გველის მჭამელს» დაედო ფუძედ) «ლამარაში» დარჩა მხოლოდ მინდიას «მისნობა» – და ისიც გადაკეთებული: «გველის მჭამელში» მინდია იძენს მისნობას გველის შექმნით, «ლამარაში» კი გველი ყურში ჩაუთქვამს მინდიას უცხოურ გზნებას. აგრეთვე: «გველის მჭამელში» მინდია ჰკარგავს ცოდნას სიყვარულის შემოზღუდვის შემდგომ ცოლ-შვილის გარშემო. «ლამარაში» მინდია ჰკარგავს (არა მთლად) ამავე ცოდნას სიყვარულში გახელებით. კიდევ: მინდია თავს იკლავს «გველის მჭამელში», «ლამარაში» კი მინდიას თავის-თავი მსხვერპლად მიაქვს და მით იბრუნებს ნახევრად დაკარგულ მისნობას. ვიმეორებ: მისნობა დარჩა მხოლოდ «ლამარაში». დანარჩენი კი სრულებით არ მოიპოვება ხალხურ თქმულებაში. ამას სინამდვილის აღდგენისათვის აღვნიშნავ, თორემ «ისე» ჩემთვის საამაყოცაა, თუ ინდივიდუალქმნილს ხალხის ეპოსად ჰსახავენ (მაშასადამე ჩემ სიტყვას მიუღწევია «დიდი სტილისათვის», საცა ვიწრო-პიროვნული აღარც კი სჩანს)... მეორე შენიშვნა: დადგმაში გამოტოვებულია (არ ვიცი რად) თითქმის მთელი აქტი, საცა ვითარებულია ხასიათები: ლამარასი, თორღვაისი, მინდიასი, რაიბულისა. პირადათ ჩემთვის ეს გამონატოვი ყველაზე უფრო გულისხმიერია «ლამარაში»...

შემდგომაც ამისი გამეორება უფრო ვრცლად არაერთგზის მოუწევს – «ვაჟას ენგადში», «ლამარას» მოკლე ბიოგრაფიაში, ირაკლი აბაშიძისადმი წერილში.

ვითარება დღეს გარკვეულია. ამის თქმაც თამამად შეიძლება: გრიგოლ რობაქიძე, რეჟისორების – კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის – და «დურუჯის» პლეადის მსახიობების გვერდით, ქართული თეატრის განმაახლებელია. ის გარდატეხა, რაც 20-იანი წლების ქართულ თეატრში მოხდა, ისევე უკავშირდება გრიგოლ რობაქიძის სახელს, როგორც კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელისას.

„ჰუნგერჰაუგელ“

როცა გრიგოლ რობაქიძის გერმანიაში ცხოვრებას ეცნობა კაცი, ორნაირი შთაბეჭდილება რჩება. ერთის მხრივ, თითქოს მას არც შემოქმედებითად და არც ნივთიერად არ უნდა გასჭირვებოდა. იბეჭდებოდა მისი რომანები და ესეები. კითხულობდა ლექციებს. გამოდიოდა რადიოთი. ცოლსაც, ელენე ფიალკინასაც გამოუცია მოთხრობები და რომანი «ნინა». მეორეს მხრივ, ისიც ჩანს, რომ ძლიერ ფინანსურ ხელმოკლეობას განიცდიდა. 1935 წელს 11 ოქტომბერს, გერმანელ მწერალს, ახლო მეგობარს ბრუნო გოეტცს სწერს: «შენ, ალბათ იცი, რომ ამ დღეებში ციგლერის წიგნი «გადმოცემა» გამოჩნდა. იგი ძალიან მნიშვნელოვანი თხზულება უნდა იყოს. სამწუხაროდ, ღირს 15 მარკა და მე არ მაქვს შესაძლებლობა შევიძინო. შენ უეჭველად მიიღებ ამ წიგნს საჩუქრად და, როცა წაიკითხავ, შეგეძლება წასაკითხად გამომიგზავნო». ამ ხელმოკლეობის საფუძველი ის უნდა იყოს, რომ გრიგოლ რობაქიძე მაინცა და მაინც დიდ ჰონორარებს არ იღებდა. ეს ცხადად ჩანს ერთი დოკუმენტიდან. 1937 წლის იანვარში გრიგოლ რობაქიძეს, ტაუბინგენში, რაინერ ვუნდერლიხის გამომცემლობასთან ხელშეკრულება დაუდვია, «მეგის» დასასტამბავად. «მეგი» უნდა დაებეჭდათ, როგორც იაფფასიანი გამოცემა, სულ 4000 ეგზემპლარი. თითოეულ ეგზემპლარში გრიგოლ რობაქიძეს ეძლეოდა 0,25 მარკა. ძალიან მცირე თანხა გამოდის. ისიც თუ გავითვალისწინეთ, როგორ გადაუხდინენ ამ ფულს, ვითარების სურათი მთლად მკაფიო იქნება. 4000 ეგზემპლარიდან 30 ავტორს უფასოდ ეძლეოდა. 270 ცალს გამომცემლობა იტოვებდა იმისათვის, რომ სხვადასხვა პირთათვის გაეგზავნათ გამოხმაურების მიზნით. 1000 ეგზემპლარის ღირებულებას ავტორს წიგნის გამოსვლისთანავე აძლევდნენ. დანარჩენ ჰონორარს კი კვარტალში ერთხელ გადაუხდინენ იმის შესაბამისად, რამდენი წიგნიც გაიყიდებოდა.

მართალს თუ ვიტყვით, კაბალური პირობებია.

გრიგოლ რობაქიძისა და ელენე ფიალკინასათვის გარკვეულ შეღავათად შეიძლებოდა ის ჩაგვეთვალა, რომ ორივე რაიხსშრიფტტუმკამმერის წევრი იყო.

ნაციზმის დროს, გერმანიაში, რაკი იგი იდეოკრატიული სახელმწიფო იყო, კულტურის ყველა დარგის საქმიანობას წარმართავდა რაიხსკულტურკამმერი (კულტურის საიმპერიო პალატა). მას თავად რაიხსმინისტრი იოზეფ გობელსი ხელმძღვანელობდა. იგი შვიდი განყოფილებისაგან (მუსიკის, მწერლობის, მხატვრობის, თეატრის და ა.შ.) შედგებოდა. მწერლობის განყოფილებას რაიხსშრიფტტუმკამმერი (მწერლობის საიმპერიო პალატა) ერქვა. ვინც გერმანიაში ცხოვრობდა მაშინ და ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა, ყველა რაიხსშრიფტტუმკამმერის წევრი უნდა ყოფილიყო. თუ წევრი არ იყო, ვერ დაბეჭდავდა და ვერ გამოსცემდა წიგნს. თავის მხრივ კი, რაიხსშრიფტტუმკამმერი ვალდებული გახლდათ ეზრუნა და ნივთიერი დახმარება გაეწია თავის წევრებისათვის.

მარტო რაიხსშრიფტუმკამმერის წევრობა საქმეს არ შველოდა. იმის დამტკიცებაც აუცილებელი იყო, რომ რასობრივად ებრაელი არ იყავი. ამის საბუთს გრიგოლ რობაქიძესაც სთხოვენ.

1937 წლის 8 მაისს, ბერლინში ქართული კოლონიის (წინათ: ქართველ მოქალაქეთა საზოგადოება გერმანიაში) თავმჯდომარე ალექსანდრე აფხაზი გრიგოლ რობაქიძეს აძლევს მოწმობას.

«გერმანიაში მოღვაწე (როგორც მწერალი) ქართველი გრიგოლ რობაქიძე დაბადებულია 1884 წლის პირველ ნოემბერს, სვირში, ქუთაისის გუბერნიაში, საქართველოში.

მამამისი, სახელად ტიტე რობაქიძე, დაიბადა 1851, გარდაიცვალა 1901. დედამისი ქეთევანი, გათხოვებამდე ბოტიშვილი, დაბადებულია 1868. მამა გ.რობაქიძისა იყო მღვდელი.

პაპამისს გიორგი რობაქიძეს ცოლად ჰყავდა ზ. დაბადებით ნიბერიძე. ამის შესაბამისად, გრიგოლ რობაქიძე შეიძლება იყოს მხოლოდ არიული წარმომავლობისა».

ამ საბუთში ბევრი შეცდომაა.

აღნიშნული დაბადების ცრუ თარიღი. როგორც უკვე ვიცით, გრიგოლ რობაქიძე დაიბადა 1880 წლის 28 ოქტომბერს.

გრიგოლ რობაქიძის დედა იყო ბოჭორიშვილის ქალი და არა ბოტიშვილისა.

მწერლის დიდედა იყო, ალბათ, ნებიერიძე და არა ნიბერიძე, როგორც ეს საბუთში წერია.

ამ შეცდომებს გერმანიაში გრიგოლ რობაქიძისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარი ის იყო, რომ არიულ წარმომავლობას უდასტურებდნენ.

ვიდრე გრიგოლ რობაქიძეზე გავაგრძელებდე საუბარს, მოკლედ უნდა მოგახსენოთ – ვინ იყო ალექსანდრე აფხაზი.

ალექსანდრე აფხაზი გახლდათ თავად გიორგი აფხაზის მესამე ვაჟიშვილი. თუ გიორგი აფხაზის სახელი დღევანდელ მკითხველს არაფერს ეუბნება, სამაგიეროდ, კარგად ცნობილია მისი ძმა გენერალი კოტე აფხაზი, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მეზრძოლი, 1923 წელს ბოლშევიკ-კომუნისტების მიერ დახვრეტილი. ძმები გიორგი და კოტე აფხაზები იყვნენ დისწულნი ილია ჭავჭავაძისა. ალექსანდრე აფხაზი, მამის მხრით, ილია ჭავჭავაძის პირდაპირი ნათესავია.

ალექსანდრე აფხაზის დედა ალექსანდრა მურომცევა ბრანდერბურგელი ბენკერდორფების შთამომავალი ყოფილა. ბენკერდორფები მე-17 საუკუნეში ჩამოსახლებულან ბრანდერბურგიდან რიგაში. ისინი რუსეთის იმპერიის სამსახურში ჩამდგარან.

განათლებით და პროფესიით ალექსანდრე აფხაზი იყო იურისტი და არტილერისტი. დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტი და კონსტანტინოვოს (პეტერბურგის ახლოს) საარტილერიო სკოლა.

დემოკრატიულ საქართველოში (1918-21 წ.წ.) ალექსანდრე აფხაზი ოფიც-რად მსახურობდა ქართულ არტილერიაში. როცა დემოკრატიული საქართველო დამარცხდა, სხვებთან ერთად, ისიც ემიგრაციაში წავიდა.

გერმანიაში ალექსანდრე აფხაზი კინოსტატისტიკამ გაიტაცა. 1925 წელს წიგნიც გამოსცა – «ფილმი ციფრებსა და რიცხვებში». მას კინოხელოვნება უფრო როგორც მრეწველობა აინტერესებდა. სწორედ კინოს, როგორც მრეწველობას, ეძღვნება 1929-35 წლებში გამოქვეყნებული ოთხტომიანი ნაშრომი ალექსანდრე აფხაზისა – «კინომეურნეობის ცნობარი».

1934 წლიდან ალექსანდრე აფხაზი რაიხსშრიფტტუმკამმერის წევრი იყო. ახლა კი ისევ ძირითად გეზს დავუბრუნდეთ.

როგორც ჩანს, ალექსანდრე აფხაზისა და ქართული კოლონიის მოწმობა საკმარისი არ აღმოჩნდა. ოთხიოდე დღის შემდეგ, 1937 წლის 12 მაისს, დიდერიხსის გამომცემლობა რაიხსშრიფტტუმკამმერს წერილს უგზავნის, რითაც განმეორებით ადასტურებს გრიგოლ რობაქიძის არიულ წარმოშობას.

«უნდა შევნიშნოთ, რომ იგი წარმოსდგება უძველესი კავკასიური ტომის სვანებისაგან, რომელთა არიელობა უდაოა. მით უფრო, რომ იქ შერეული ქორწინებები არ ხდება.

...

ჩვენ დავიმოწმებთ იმასაც, რომ გრიგოლ რობაქიძე ცნობილი ავტორია ორი ღრმად ანტიბოლშევიკური წიგნისა – «ჩაკლული სული» და «დემონი და მითოსი». პირველი თხზულება მოითხოვა სახალხო განათლებისა და პროპაგანდის სამინისტრომ და ანტიბოლშევიკურ გამოფენაში ჩართო. ამ წიგნების გამო მწერალს ყოველგვარი ურთიერთობა რუსეთთან ჩაკეტილი აქვს».

დიდერიხსის გამომცემლობა იმედოვნებდა, რომ ყოველივე თქმულს რაიხსშრიფტტუმკამმერი გაითვალისწინებდა.

მიუხედავად ამისა, გრიგოლ რობაქიძის წარმომავლობის შესახებ ეჭვები მაინც არ გაფანტულა. 1938 წლის 28 ივნისს ბერლინ-ვილმერსდორფის პოლიციის 156-ე უბანი რაიხსშრიფტტუმკამმერისაგან ითხოვს ახალ საბუთს, რომელიც გრიგოლ რობაქიძისა და ელენე ფიალკინას რასობრივ კუთვნილებას უეჭველს გახდის.

მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ გრიგოლ რობაქიძესა და ელენე ფიალკინას სსრკ-ის მოქალაქეობა ჩამორთმეული ჰქონდათ. მაგრამ ისინი არ გამხდარან გერმანიის მოქალაქენი. გერმანიაში მცხოვრები უცხოელის პასპორტი რომ მიეღოთ, ამისათვის ისევ სსრკ-ის საკონსულოს დასტური იყო საჭირო. ამის იმედი კი ორივეს გადაწურული ჰქონდა. დიდერიხსის გამომცემლობა კვლავ ცდილობს დაეხმაროს გრიგოლ რობაქიძეს. 1938 წლის 1 აგვისტოს ახალ თხოვნას უგზავნის რაიხსშრიფტტუმკამმერის პრეზიდენტს.

«დიდად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

გრიგოლ რობაქიძე, ქართველი მწერალი, რომლის ანტიბოლშევიკური წიგნები გერმანიაში და მის საზღვრებს იქითაც ფართოდ ცნობილია, გვთხოვს შუამდგომლობას მისთვის ძალიან რთულ და ძნელ საქმეში. იგი გვწერს, რომ

უცხოელის პასპორტის მისაღებად ნებართვის მიცემა ახლა ძალიან გამწვანებულია, სანამ საბჭოთა პასპორტს რუსეთის საკონსულო არ გააგრძელებს. როგორც ქართველს, მას და მის ცოლს საბჭოთა პასპორტი აქვთ. მოცემულ ვითარებაში მათ უკან დაბრუნება არ სურთ. განსაკუთრებით მას მერე, რაც 1933 წელს, გრიგოლ რობაქიძემ მისი მეტად ანტიბოლშევიკური თხზულება «ჩაკლული სული» გამოაქვეყნა, სტალინზე დაწერილი სტატიითურთ. გრიგოლ რობაქიძის ნაწერები არ არის პოლემიკური ვიწრო აზრით. ისინი დიდი სულიერი პაექრობაა ბოლშევიზმის ტალღასთან, რაც მთელ მსოფლიოს მოედო. ბოლშევიზმში იგი ხედავს ხალხთა ცხოვრების საფუძვლებისა და მიწის სიწმინდის დემონურ გახრწნას. ამ გაგებით იგი ნაციონალ-სოციალისტური მსოფლმხედველობის ნიადაგზე იმყოფება. როგორც გერმანული, ისე უცხოური (ჰოლანდია, შვეიცარია და სხვა ქვეყნები) წარმომავლობის ბევრ დიდ თხზულებაში ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა. 1935 წლის აგვისტოს რვეულში «ნაციონალსოციალისტიკურ მონატსჰეფტემ» გრიგოლ რობაქიძეს დიდი სტატია უძღვნა. 1933 წლიდან იგი თვითონ რაიხსშრიფტტუმკამმერის წევრია. მისი წიგნი პროპაგანდის სამინისტრომ მოითხოვა ანტიბოლშევიკური წიგნების გამოფენისათვის. იგი ლექტორია გერმანული მწერლობის ხელშემწყობი ორგანიზაციისა. ბევრი ლექცია აქვს წაკითხული გერმანიაში. აგრეთვე ბერლინში ლესინგის სახელობის უმაღლეს სკოლაში და ჰარნაკის სახლში. მისი ცოლიც რაიხსშრიფტტუმკამმერის წევრია (_13961).

ჩვენ გთხოვთ, განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდოთ ამ საქმეს და დაეხმაროთ გრიგოლ რობაქიძესა და მის ცოლს, რომელიც პროპილეა-გამომცემლობის მწერალია, მისი და მისი ოჯახის დამცველი უცხოელის პასპორტის მიღებაში. გრიგოლ რობაქიძის ჩვენს გამომცემლობაში გამოქვეყნებულ წიგნების პროსპექტი თან ახლავს წერილს. ჩვენ მზად ვართ გაახლოთ წიგნებიც, თუ ამის სურვილი გექნებათ».

შუამდგომლობები იწერება, მაგრამ ხელისუფლება, ყველა დროში და ყველა ქვეყანაში, მათ ნაკლებ ყურადღებას აქცევს. ხელისუფლებას თავის მიზანი აქვს და იმის შესაბამისად იქცევა. მართალია, გრიგოლ რობაქიძე ანტიბოლშევიკურად განწყობილი კაცია, მაგრამ მაინც სსრკ-დან ჩასული ნაცისტურ გერმანიაში. სიფრთხილეს თავი არ სტკივა. უმჯობესია ეს უცხოელი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდეთ. მისი საქმიანობიდან არაფერი გამოეპაროთ. ამიტომ დარბილი მაინც დაუნიშნა გესტაპომ 1941 წლის ივლისიდან. გერმანიის დამარცხებისა და ნაცისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ კი დემოკრატიებმა დაუწყეს თვალთვალი – «ადოლფ ჰიტლერი» და «მუსოლინი» რატომ დაწერაო. ხელისუფლება ხელისუფლებაა, გინდ დიქტატორული იყოს იგი და გინდ დემოკრატიული. სხვის სულში თუ არ ჩაიხედა, სხვის საწოლში თუ არ შეიჭვრიტა, ვერ მოისვენებს, თავს მშვიდად ვერ იგრძნობს. გამარჯვებული «დემოკრატია» ისევე დასდევს ჩუმჩუმად თავის მოქალაქეებს და თვალს არ აცილებს, როგორც გამარჯვებული «დიქტატურა».

შემოქმედებითი კუთხით მეტად ნაყოფიერი იყო გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება გერმანიაში. 1931-45 წლებში გამოაქვეყნა მან გერმანულად «მეგი», «ჩაკლული სული», «ქალღმერთის ძახილი», «გრაალის მცველნი», «დემონი და მითოსი», «ადლოფ ჰიტლერი», «მუსოლინი», ბევრი საგაზეთო წერილი. დაწერა ლექსები – «ჟანა დ'არკ», «ჰიმნი ორფეოსს», «მწყემსთა ღმერთი», «მომაკვდავი არწივი», რომელთაც მწერლის შემოქმედებაში არსებითი ადგილი უჭირავთ. ლექციაც მრავლად წაუკითხავს და რადიოთიც ხშირად გამოსულა. გერმანულ ლიტერატურულ სალონებშიც საქმიანობდა, განსაკუთრებით «ჰუნგერჰაუსელში».

ლიტერატურული სალონი «ჰუნგერჰაუსელი» ბრუნო გოეტცის თაოსნობით შექმნილი მწერალთა წრე იყო. როგორც მემუარისტები წერენ ბრუნო გოეტცი იყო «ჰუნგერჰაუსელის» სული და გული, მოტორი და მენტორი. უამრავი ხალხი იყრიდა აქ თავს. იყო სჯა-ბაასი, პაექრობა, კამათი, ახალ თხზულებათა კითხვა. უსმენდნენ მუსიკას. ცეკვავდნენ. «ჰუნგერჰაუსელში» გატარებულ წლებს «ოქროს ოცი წელიწადი» უწოდა ამ სალონის ერთერთმა წევრმა ლოტე შაუნემან-კილიანმა. გრიგოლ რობაქიძეც ბევრჯერ ყოფილა ამ სალონში. თავის თხზულებანიც წაუკითხავს. სხვების მოუსმენია. დავა-კამათშიც ენერგიულად ჩაბმულა.

კეტე იუნგი იხსენებს:

ბრუნო და ლიზი ორ ოთახში ცხოვრობდნენ, პირველ სართულზე. ბრუნოს ოთახი გრძელზე გრძელი იყო, თუთუნის ბოლით გაჟღენთილი და ჩაბნელებული, მაგრამ საოცარი მყუდროებით სავსე. სადამოობით ვისხედით ამ ოთახში ფეხმორთმით იატაკზე, ბალიშებზე, ლეიბებზე. ბრუნოს კითხვას ვუსმენდით. მარტო საკუთარ თხზულებებს არ გვაცნობდა იგი. განსაკუთრებით ძვირფასი იყო ის, რომ სხვა სახელოვან მწერლებთან გვაახლოებდა. ჩვენ, მაშინ ახალგაზრდები, ან სულ არ ვიცნობდით მათ ან ზერელებდით თუ გაგვეგონა რამე. რეგულარულად ეწყობოდა ლეოპოლდ ციგლერის სადამოები, გრიგოლ რობაქიძის პოეტური ლექციები. გვიან ღამემდე ვრჩებოდით, ვწრუპავდით ჩაის, ვეწოდით სიგარეტს და ვკამათობდით დაუსრულებლად. ცოლ-ქმარი გოეტცები – ბრუნო და ლიზი – გვამღევდა იმას, რაც დღესაც ცოცხალია ჩვენში.¹

ლოტე შაუნემან-კილიანი გვიყვება:

სალონის უძველეს და მუდმივ წევრებს ეკუთვნოდა ქართველი გრიგოლ რობაქიძეც. იგი გაექცა კომუნიზმს და გერმანიაში იპოვნა მეორე სამშობლო. «ჩაკლულმა სულმა» იგი ერთი დარტყმით გახადა სახელგანთქმული. მის რომანებში – «მეგი», «გველის პერანგი», «ქალღმერთის ძახილი» – ცოცხლობს ჯადოსნური ქართული ლანდშაფტი და კულტურა. მას ხშირად ვხედავ მეგობრების ლეოპოლდ ციგლერის და ბრუნო გოეტცის წრეში. ვერ დაივიწყებთ მის ცეცხლოვან თვალებს. იგი მაგიურ ძალას ფლობდა. მისი სპილოსძვლისფერი სახე, კუპრივით შავი, ბრწყინავი პარიკი მაღავდა მის ასაკს. მარჯვენა ხელში ეჭირა ქარვის კრიალოსანი და შეუჩერებლად მარცვლავდა. ჩვენ ხშირად ერთად ვბრუნდებოდით სალონიდან. ავდიოდით ლუციენგასეს კიბეებით და ობ-

სერბრუნენთან ვემშვიდობებოდით ერთმანეთს. გამოთხოვებისას მეუბნებოდა – ნათლად იფიქრეთ ჩემზე («Denken Sie hell an mich»). მისი ნათქვამი hell (ნათელი) ჟღერდა, როგორც herll (დიდებული).

მანფრედ ბოში აჯამებდა:

თავისი ქართული სამშობლოს გასაბჭოებამ გრიგოლ რობაქიძე მგზნებარე ანტიბოლშევიკად აქცია. თავისი სიძულვილი წითელი მჩაგვრელების მიმართ მან უკვე 1931 წელს გამოხატა რომანში «ჩაკლული სული».

«შენ, ალბათ, გაზეთებიდან შეიტყობდი, – წერდა გრიგოლ რობაქიძე აღმფოთებული 1938 წელს ბერლინიდან ბრუნო გოეტცს, – რომ საქართველოში უკეთესი შემოქმედი ადამიანები სიკვდილით დასაჯეს – პროფესორი ელიავა, პოეტი ტ.ტაბიძე (ავალა!), რომანისტი ჯავახიშვილი, რეჟისორი ა.ახმეტელი (ჩემი «ლამარას» სცენაზე განმხორციელებელი) – ყველა ჩემი მეგობარი. მეც განაღდგურებდნენ. მოელემა ბოლო ამ სატანოკრატის?»

სატანოკრატის დამხობის იმედი გერმანიაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს მაშინ გაუჩნდათ, როცა გერმანია-სსრკ-ის ომი დაიწყო. ემიგრანტთა ერთი ჯგუფი სასტუმრო «ადლონში» შეკრებილა. საქართველოს გადარჩენისათვის მზრუნველი კომიტეტი ჩამოუყალიბებიათ. კომიტეტის თავმჯდომარედ სპირიდონ კეღია აურჩევიათ, მდივნად – რაფიელ ივანიცკი-ინგილო. მისი წევრები ყოფილან შალვა ამირეჯიბი, ზურაბ ავალიშვილი, ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანბატონი, გენერალი გიორგი კვინიტაძე, ლადო ახმეტელი, მიხეილ წერეთელი, ლეო კერესელიძე, დავით ვაჩნაძე, კიტა ჩხენკელი, ალექსანდრე ასათიანი, **გრიგოლ რობაქიძე**, შალვა მაღლაკელიძე.

«ადლონის» ჯგუფიც იზიარებდა იმხანად გავრცელებულ საერთო აზრს: გერმანია-სსრკ-ის ომის წლებში ქართველ ემიგრანტებს გულხელდაკრეფილი ჯდომის უფლება არ ჰქონდათ. ტყვედჩავარდნილი უამრავი ქართველი ზრუნვას ითხოვდა. ალაღბედზე მათ ვერ მიატოვებდი. უფრო რთული ამოცანაც იდგა: თუ გერმანელები კავკასიას დაიკავებდნენ, ქართველებს რა როლი ეკისრებოდათ? ყველას სწამდა, რომ საქართველოს ბედის გადაწყვეტაში მათი მონაწილეობა აუცილებელი იყო. ამისათვის ემზადებოდნენ.

გრიგოლ რობაქიძეც დადიოდა თურმე ქართველ ტყვეებთან. ეხმარებოდა. ამხნევებდა. მომავლის იმედს უნერგავდა. 1943 წლის 22 თებერვალს ბრუნო გოეტცისადმი მიწერილი ბარათი გვაუწყებს:

«ჩემო ძვირფასო ბრუნო!

OKW-ს (Oberkommando der Wehrmacht – ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდლობა – ა.ბ.) მიერ მიპატიჟებული ვარ ვესტუმრო ჩემს თანამემამულეებს, სამხედრო ტყვეებს, რომელნიც ლეგიონერებად ითვლებიან. ჩემი ლექციებისათვის დამტკიცებულია შემდეგი ადგილები და საღამოები:

დღურენი?რაინლანდი, შაბათი, 27 თებერვალი.

ფრაიბურგი?ზრაისგაუ, ოთხშაბათი, 3 მარტი.

ბადენი ვენასთან, შაბათი, 6 მარტი».

დრო მიდიოდა. გერმანიის გამარჯვების იმედი თანდათან ქრებოდა. ემიგრანტთა მდგომარეობაც უფრო დუხჭირი ხდებოდა. ომის დროს ყველას უჭირს. მით უმეტეს, ემიგრანტს. არც გრიგოლ რობაქიძე ყოფილა გამონაკლისი. ისეთი გასაჭირი დასდგომია, რომ იძულებული გამხდარა 1944 წლის 20 ოქტომბერს თხოვნით მიემართა, არც მეტი და არც ნაკლები, თვითონ ჰაინრიხ ჰიმლერისათვის.

«პატივცემულო რაიხსფიურერო და რაიხსმინისტრო!

არ ვიცი, ცნობილია თუ არა თქვენთვის ჩემი სახელი. ამიტომ ჩემს თხოვნას ცოტა რამ უნდა წავუმძღვარო, ჩემი პიროვნების შესახებ.

1931 წლის დასაწყისში ჩამოვედი, ჩემს ოჯახთან ერთად, საბჭოთა კავშირიდან გერმანიაში და უკან აღარ დავბრუნებულვარ. მას შემდგომ რაიხში ვცხოვრობ და ვაგრძელებ ჩემს მწერლურ და გონებრივ საქმიანობას. გერმანულ ენაზე ჩემი ცხრა წიგნი გამოიცა. ერთი მათგანი უკვე 1928 წელს. ახალი ხელნაწერი უკვე მზადაა. მე ვარ წევრი რაიხსშრიფტტუმკამმერისა და ასევე ევროპის მწერალთა გაერთიანებისა. ჩემი მწერლობის მამოძრავებელი ძალა, რომელსაც სხვადასხვა დროს შინდაბრუნება ფესვებისაკენ ეწოდა, გერმანულ არსთან ახლოა. ასე დავუნათესავდი სულიერად გერმანიას და მის მიწაზე მე დროებითი არა ვარ. ეს კავშირი შემდეგი ნაწერებით გამტკიცდა:

1. «ჩაკლული სული» (გამოიცა 1933 წ.)

აქ ლიტერატურულად პირველად მოხდა ცდა ბოლშევიკური კლიმატის გამოაშკარავებისა, რომელმაც ღვთიური ადამიანში თითქმის მოლეკულურ დონეზე გახრწნა. შემზარავი საჩვენებელი პროცესები, ეს საბოლოო სიმახინჯე იმ დაშლისა, ვფიქრობ ჩემს წიგნში ვიწინასწარმეტყველე და ამოვხსენი. ზოგი რამ ბოლშევიკებისაგან დათრგუნულ მასების ქცევაში, ომის დროს, რაც ევროპელებს მოულოდნელი და გამოუცნობი ეჩვენებათ, ასე მგონია, იმ შემეცნებით აიხსნება, რომელიც წიგნს საფუძვლად უდევს. წიგნს დიდი გამოხმაურება ჰქონდა. საბჭოებმა ამ წიგნის გამო ხალხის მტერი დამარქვეს.

2. «ადოლფ ჰიტლერი, უცხოელი პოეტის მიერ დანახული». დაწერილი 1938 წელს, გამოცემული 1939 წელს.

არა ჩვეულებრივი ბიოგრაფიული პორტრეტი, უფრო მეტად არსის ხატი, ნორდულ-გერმანულ სივრცეში დანახული. ეს ნარკვევი ნაციონალურ-სოციალისტურ ბიბლიოგრაფიაში არის შეტანილი. რაიხსშრიფტტუმკამმერის პრეზიდენტმა ჰანს იოსტმა, თავის დროზე, პატივი მიაგო ჩემს ნარკვევს «ფოლკიშერბეობახტერში» გამოქვეყნებული ჩემდამი მომართული წერილით, რომელსაც თან ვურთავ აქ პროსპექტის სახით. ეს ნარკვევი მოხსენიებულია ვერმახტის ჟურნალ «ზოლდატენბრიფეში», რეკომენდირებულ წიგნთა შორის და თანაც როგორც ერთადერთი ნაშრომი ფიურერზე. ბოლო გამოცემამ მიაღწია 79-112 ათასს.

3. «მუსოლინი». ეს წიგნი მსგავსი ხასიათისაა, როგორც წიგნი ფიურერზე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ წარმოდგენილი პირი ატლანტურ-ხმელთაშუაზღვისპირა სივრცეშია განხილული.

ეს ნაწერები კარგად გვიჩვენებენ, რომ მე, როგორც გონით შემოქმედი, რაიხის გიგანტური ბრძოლის შუაგულში ვდგავარ.

ამჟამად ვმუშაობ *ქართული საკავშირო შტაბის* დავალებით ქართული რაზმებისათვის. ესენი ჩემი თანამემამულეები არიან, ათასობით და ათიათასობით სამხედრო ტყვე, რომელნიც მოხალისეებად ჩაეწერნენ რაიხის მხარეზე, საბჭოებისა და დასავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ საბრძოლველად და რომელთაც სჭირდებათ ჩემი სიტყვა მათ ყოველკვირეულ გაზეთში საბრძოლო სულის გასამტკიცებლად მათთვის სრულიად უცხო ქვეყნებში.

ახლა კი ჩემი *თხოვნა*: გასულ შემოდგომაზე სათადარიგო საცხოვრებელ ადგილად ავირჩიე იუბერლინგენი, ბოდენზეეს პირად, რადგანაც, დრო და დრო, მე აქ სამუშაოდ ჩამოვდიოდი. აქაური ბიურგერმაისტერის დრ. შპრენგის დახმარებით შევძელი, ჩემ ოჯახთან ერთად, ფეხის მოკიდება. ასევე კარგად იყო ჩემდამი განწყობილი ლანდრატი დრ. მაიერი. მან მომცა ბინადრობის ნებართვა, რომელიც მე, როგორც საზღვარგარეთელს უცხოელის პასპორტით, ომის დროს, სასაზღვრო ზონაში მჭირდება, და რასაც ის, დრო და დრო, მიგრძელებდა. ბოლო ასეთი თანხმობა ნოემბრის ბოლოს თავდება. იმ რწმენით, რომ თქვენ, ძვირფასო რაიხსფიურერო და რაიხსმინისტრო, ჩემს შემთხვევას, როგორც გამონაკლისს მიუდგებით, მოგმართავთ თხოვნით, რომ მე და ჩემს ცოლს ელენას, დაბადებით ფიალკინას, რომელიც ასევე რაიხსშრიფტტუმკამერის წევრია, ასევე ჩვენს შვილობილს ელენა პოგორელოვას, ჩემი ცოლის დისწულს, რომელიც, მართალია, ვენაში სწავლობს, მაგრამ, დრო და დრო, ჩვენთან იმყოფება, დაგვერთოს ნება და მოგვეცეს ბინადრობის უფლება. მე რომ სხვა სათადარიგო საცხოვრებელი ადგილი მეპოვნა, მაგალითად, ვენაში, როგორც მინდოდა ან სულ მცირედი იმედი მაინც რომ მქონდეს მსგავსის ნახვისა ისეთ ადგილას, სადაც სასაზღვრო წესები არ მოქმედებენ, ან ჩემი ბერლინური ბინა არ იყოს ამასობაში დაკავებული, მაშინ არ შეგაწუხებდით თქვენთვის ამ პატარა საქმით ამ ძნელბედობის ჟამს.

ამ თხოვნას საჭიროების შემთხვევაში მხარს დაუჭერენ – ოიგენ დიდერიხსის გამომცემლობა იენაში, – ჩემი ძირითადი გამომცემლობა, შემდეგ ობერრეგირუნგსრატი დრ. ერკმანი (სახალხო განათლებისა და პროპაგანდის სამინისტრო, მწერლობის განყოფილება), კარლ ჰაინრიხ ჰედერიხი – საგამოცდო კომისია ნაციონალურ-სოციალისტური მწერლობის დასაცავად; პროფ. ალექსანდერ ლანგსდორფი, ამჟამად ბრძოლის ველზეა; დრ. კარლ როთე, ევროპის მწერალთა გაერთიანების გენერალური მდივანი; – როგორც ბევრი სხვა გამოჩენილი პირი რაიხიდან.

ყველა საჭირო საბუთი დევს იუბერლინგენში ლანდრატთან, რომელსაც თქვენს მხრივ საჭირო თანხმობა ჩემი ბინადრობის ნებართვაზე უნდა გამოეგზავნოს.

გთხოვთ მიიღოთ წინასწარ ჩემი თხოვნის სწრაფი შესრულებისათვის ჩემი უღრმესი მადლობა».

ალბათ, მარტო გრიგოლ რობაქიძის განაცხადება არ კმაროდა. სხვებსაც გაუწევიათ მისთვის შუამდგომლობა, კერძოდ ვილჰელმ შეფერს. იგი 1944 წლის 23 ოქტომბერს წერილს უგზავნის ჰანს იოსტს.

«ძვირფასო ჰანს იოსტ!

თქვენთვის, ვინც, თავის დროზე «ფოლკიშე ბეობახტერში» მშვენიერი წერილი გამოაქვეყნეთ რობაქიძის ნარკვევზე ადოლფ ჰიტლერის შესახებ, არ არის საჭირო გითხრათ, რამდენად მნიშვნელოვანი შენაძენია გერმანიის სულიერი ცხოვრებისათვის ქართველი მწერალი. ერთი წელია, რაც იგი ცხოვრობს იუბერლინგენში და, აქედან გამომდინარე, ჩემი მეზობელია. გუშინ მომიტანა აქვე თანდართული პირი მისი თხოვნისა სს-ის რაიხსფიურერის ჰიმლერისადმი. როგორც ხედავთ, აქ საუბარია მისი ბინადრობის უფლების გახანგრძლივების შესახებ, რომლის გაგრძელებაც რობაქიძისადმი კარგად განწყობილ დოქტორ მაიერს მისთვის, როგორც სასაზღვრო ზონაში მცხოვრები უცხოელისათვის, საკუთარი პასუხისმგებლობით, მეტი აღარ შეუძლია. ინებებთ ამ თხოვნას, რომელსაც უახლოეს დღეებში, სს-ის რაიხსფიურერ ჰიმლერს ერთი სანდო პირი პირდაპირ გადასცემს, თქვენი წონიანი სიტყვით მხარი დაუჭიროთ! ამისათვის დიდად მადლობელი დაგრჩებოდით».

ჯერჯერობით არ ვიცით, რა შედეგი მოჰყვა ამ თხოვნებს. ალბათ, მომავალში ამასაც შევიტყობთ. ახლა კი ქართველ მკითხველს მინდა ვუთხრა, რომ ვილჰელმ შეფერი (1868-1952 წ.წ.) იყო პროზაიკოსი და დრამატურგი. ფართოდ ცნობილია მისი 1930 წელს დაწერილი რომანი «კაპიტანი კაპიტანი». გერმანული ლიტერატურის ისტორიკოსები ამბობენ, რომ ნაციონალ-სოციალისტური ცხოვრების მოდელის შემუშავებაში გარკვეული წვლილი შეიტანა ვილჰელმ შეფერის ნაშრომმა – «გერმანული სულის ცამეტი წიგნი» („Die dreizehn Bücher der deutsche Seele“), რომელიც სავსეა გერმანული მესიანისტური იდეით. იგი გამოცემულია 1922 წელს.

კიდევ უფრო აქტიური მოღვაწე იყო, ნაციზმის პერიოდში, ჰანს იოსტი (1891-1978 წ.წ.). ახალგაზრდობაში, სანამ ექსპრესიონიზმის მიმდევარი იყო, ბრეტს მეგობრობდა. მერე მიმართულება შეიცვალა. 1929 წელს იგი პრეზიდენტი გახდა ორგანიზაციისა – «საბრძოლო კავშირი გერმანული კულტურისათვის» («Kampfbund für deutsche Kultur»). 1933 წელს გამოაქვეყნა ნაციონალ-სოციალისტური დრამა «შლაგეტერ», რომელიც ჰიტლერს ეძღვნებოდა, «სიყვარულით აღსავსე პატივისცემით და უცვლელი ერთგულებით». 1933 წელს გერმანული მწერლობის აკადემიის პრეზიდენტად აირჩიეს. 1935-45 წლებში კი იყო რაიხსშრიფტტუმკამმერის პრეზიდენტი. უამრავი პრემიითა და ორდენით იყო დაჯილდოებული. მწერლობაში იგი დაახლოებით იმავე როლს ასრულებდა, რასაც გობელსი საერთოდ იდეოლოგიაში.

გერმანია რომ დამარცხდა, ჰანს იოსტს ერთი კურიოზი შეემთხვა, რომელიც ძვირად დაუჯდა. მიუხედავად მისი ქმედებისა და თანამდებობისა, იგი არ ჩაუთვლიათ ნაცისტ დამნაშავედ. «მიტლოიფერად» მონათლეს და 500 მარკით დააჯარიმეს («მიტლოიფერი» იგია, ვინც უშუალოდ არ მონაწილეობდა ნა-

ცისტურ საქმიანობაში, მაგრამ უთანაგრძობდა, თანამგზავრობდა). ეს იოსტმა უსამართლობად ჩათვალა. სასამართლოში იჩივლა მტყუან-მართლის გასარჩევად. სასამართლომ განიხილა მისი საჩივარი და ... იოსტი მთავარ დამნაშავედ ცნო. სამნახევარი წლით შრომა-გასწორების ბანაკში გაგზავნეს. ნახევარი ქონება ჩამოართვეს. ათი წლით აუკრძალეს წიგნების ბეჭდვა-გამოცემა.

მნიშვნელობა უკვე აღარ ჰქონდა არც იმას, დააკმაყოფილებდნენ თუ არა გრიგოლ რობაქიძის თხოვნას, არც ვილჰელმ შეფერისა და ჰანს იოსტის შუამდგომლობას. დიდი ომი ევროპაში დასასრულს უახლოვდება. მესამე რაიხის დედაქალაქი ალყაშია. დაუნდობელი, დაუზოგავი, გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობს. ბერლინი ცეცხლში იწვის. ქვა ქვაზე დუღს. ტყვია-ყუმბარა სეტყვასავით ცვივა. სისხლი ნაკადულებად მიედინება. იხოცებიან ბავშვები, ქალები, მოხუცები. თავგამეტებული ბრძოლაა ყოველი ქუჩისათვის, ყოველი სახლისათვის, ყოველი ოთახისათვის, ყოველი კუთხე-კუნჭულისათვის. წინ გადადგმული ნაბიჯი უთვალავ მსხვერპლს ითხოვს. საბჭოთა არმია არ ზოგავს არც თავისთავს, არც მტერს. დასავლეთიდან მომავალ მოკავშირეთა არმიებს საბჭოთა ჯარმა უნდა მოასწროს ბერლინის აღება. ასეთია კრემლის ნება. და ტრიალებს მარსის მახვილი, შეუბრალებელი, უმოწყალო და შურისმგებელი.

გრიგოლ რობაქიძის გერმანიაში დარჩენა არაფრით არ შეიძლება. მას უეჭველი დაპატიმრება და დახვრეტა ელის. ვინ აპატიებს სსრკ-დან გაქცევას? ვინ შეარჩენს «ადოლფ ჰიტლერისა» და «მუსოლინის» დაწერას, სტალინისა და კომუნისტური პოლიტიკური სისტემის კრიტიკას «ჩაკლულ სულში»? მაგრამ თავისდაღწევა როგორ უნდა მოახერხო? ამ სიკვდილის დღესასწაულში, იუბერლინგენში, 1945 წლის 22 აპრილს, გრიგოლ რობაქიძის ოჯახში მივიდა ვილაც ქართველი. ამ კაცმა ომის ჯოჯოხეთიდან გაიყვანა სამი ადამიანი – გრიგოლ რობაქიძე, ელენე ფიალკინა და ელენე პოგორელოვა.

ვინ იყო ეს კაცი? არ ვიცით. გრიგოლ რობაქიძე უამრავ წერილში ახსენებს ვილაც ქართველს, რომელმაც იგი და მისი ოჯახი აშკარა სიკვდილს გადაარჩინა 1945 წლის აპრილში, მაგრამ არსად არ ამბობს მის სახელსა და გვარს. რატომ? არც ეს ვიცით. გრიგოლ რობაქიძე, რომელიც მისდამი გამოჩენილ ყოველ პაწია გულისხმიერებას უდიდესი მადლიერებით პასუხობდა, მალავს მისი გადამრჩენელის ვინაობას. ჩანს, ამ კაცის ვინაობის გამხელა ომის დამთავრების შემდეგაც სახიფათოა უფრო მეტად იმ უცნობისათვის, ვიდრე გრიგოლ რობაქიძისათვის.

ვის შეეძლო განეხორციელებინა ეს გაბედული გაქცევა? ცხადია, კაცს, რომელსაც ენდობოდა ნაცისტური ხელისუფლება, გესტაპო, ვერმახტი. ვინც დარწმუნებული იყო, რომ ვერავინ გადაეღობებოდა წინ, შეაჩერებდა და დააბრკოლებდა. ვისაც სჯეროდა, რომ მშვიდობიანად გაივლიდა სასაზღვრო ზოლს იმ დროს, როცა ძალლი პატრონს ვერ სცნობს, არ არის მტერ-მოყვრის გარჩევა და ხიფათი ყველა კუნჭულშია ჩასაფრებული. ვინც პატივს სცემდა მთელ ქართულ მწერლობას და პირადად გრიგოლ რობაქიძეს.

1945 წლის 23 აპრილს, გრიგოლ რობაქიძემ, ელენე ფიალკინამ, ელენე პოგორელოვამ და უცნობმა ქართველმა, ლუსტენაუსთან, არალეგალურად შვეიცარიის საზღვარი გადალახეს და სამშვიდობოს გავიდნენ. სამი კვირა ბჟულერში საკარანტინო ბანაკში გაატარეს. შემდეგ ერთი თვე მონტროიში იმყოფებოდნენ შემკრებ პუნქტში. 11 ივნისს გრიგოლ რობაქიძე და ელენე ფიალკინა ბაზელში გააგზავნეს ლტოლვილთა ბანაკში. ალია მონტროიში დატოვეს. 31 ივლისს გრიგოლი და ელენე ჟენევაში გაამგზავრეს. ალია კი ლუცერნში წაიყვანეს. ჟენევაში გრიგოლი და ელენე შემოქმედ ლტოლვილთა სახლში – Geneve-Frontenez-ში ცხოვრობდნენ, ორი წელიწადი. კმაყოფილია ამ სახლში ყოფნით გრიგოლ რობაქიძე. არსად ისე ნაყოფიერად არ მიმუშავია, როგორც იქო, – წერს იგი. მაგრამ 1948 წლის დასაწყისში ეს სახლი გაუუქმებინათ. ეს უკვე აღარ ამინებდათ. ამასობაში ელენე ფიალკინა სამუშაოდ მიუღიათ გაეროს ჟენევის განყოფილებაში. 1000 ფრანკი მიუციათ ხელფასად, გადასახადების დაუქვითავად. ალია პოგორელოვა შვეიცარიაში ჩასვლისთანავე უფასო პანსიონში მიიღეს. მერე ჟენევის უნივერსიტეტშიც უფასოდ სწავლობდა. ცხოვრება თითქოს თანდათან ეწყობოდა და კალაპოტში დგებოდა. მოულოდნელად ახალი უბედურება დაატყდა თავს გრიგოლ რობაქიძეს. 1950 წლის 21 თებერვალს ელენე ფიალკინას დამბლა დაეცა.

დაიწყო 70 წლის გრიგოლ რობაქიძის მარტოხელა ცხოვრება.

ცდუნება

იმის მერე, რაც მარქსმა და ენგელსმა «კომუნისტური პარტიის მანიფესტი» გამოაქვეყნეს 1848 წელს, სოციალიზმი ყველაზე გავრცელებული და პოპულარული სოციალ-პოლიტიკური მოძღვრება გახდა. თუ მანამდე იგი ერთერთი რიგითი მოძღვრება იყო, გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მთელ მსოფლიოს მოედო. ვერცერთი რელიგია ვერ შეედრებოდა მას გავრცელებულობითა და პოპულარობით. ინდოეთსა თუ ჩინეთში, აფრიკასა თუ ამერიკაში სოციალიზმით ისევე იყვნენ დაინტერესებულნი, როგორც ევროპაში.

მე-20 ასწლეულის პირველ ნახევარში სოციალიზმის თეორიამ სამი ურჩხული დაბადა – რუსული ბოლშევიზმი, იტალიური ფაშიზმი და გერმანული ნაციზმი. მართალია, მათ შორის სერიოზული სხვაობაა, მაგრამ სამივე სოციალიზმის შვილებია. ხასიათით და თვისებით განსხვავებულნი, მაგრამ მაინც შვილები. მუსოლინი ისევე იყო იტალიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, როგორც ლენინი და სტალინი იყვნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრები. სოციალ-დემოკრატი მუსოლინი ქართველ სოციალ-დემოკრატ ნოე ჟორდანიასაც კი დახმარებია ერთხელ. როცა პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, ნოე ჟორდანიას არ უნდოდა ჩარჩენილიყო საფრანგეთში. საქართველოში დაბრუნება გადაუწყვეტია. ეს ძნელი საქმე იყო. საზღვრები უკვე ჩაიკეტა. არც ტრანსპორტის შოვნა იყო იოლი. ნოეს გაუგია, რომ ვენეციიდან გემი გადის სტამბოლისაკენ. ისიც შეუტყვია: ყველა გემზე

ორი თვის მანძილზე ყველა ადგილი დაკავებულიაო. მაინც წასულა ნოე ჟორდანია იტალიაში იმედით – იტალიელი სოციალისტები დამეხმარებიანო. როცა ვერავინ უნახავს, მილანოში იტალიელი სოციალ-დემოკრატების გაზეთის «ავანტის» რედაქციაში მისულა. იქ გაზეთის რედაქტორი მუსოლინი დახვედრია. მეტად თავაზიანად მიუღია მუსოლინის ნოე ჟორდანია. მაშინ მუსოლინი დიდი ფრანკოფილი ყოფილა. იმედი ჰქონია: ანტანტა უთუოდ დაამარცხებო გერმანიას. როდესაც ნოე ჟორდანია ექვი გამოუთქვამს – ამ ომში რუსეთი ვერ გაიმარჯვებო. მუსოლინის ეს მეტად გაკვირვებია: ასოცი მილიონი რუსი გერმანიას ვერ დაამარცხებს? ეს დაუჯერებელია, დაუჯერებელიო – იმეორებდა თურმე. ნოეს გახარებია ბენიტოს ფრანკოფილობა. თვითონაც დიდი ფრანკოფილი იყო. მუსოლინი მაშინვე დახმარებია ნოე ჟორდანია. სარეკომენდაციო წერილი მიუცია. მეორე დღესვე ქართველი სოციალ-დემოკრატი ვენეციაში იყო, გემზე იჯდა და თურქეთისაკენ მიემგზავრებოდა (ნ. ჟორდანია – «ჩემი წარსული», 1990წ., გვ.66-68).

თუ ლენინი და სტალინი ინტერნაციონალურ სოციალიზმს ქადაგებდნენ და მისი გავრცელება ეწადათ მთელ მსოფლიოში, ჰიტლერი ნაციონალური სოციალიზმის მომხრე იყო და მისი გამარჯვებისათვის იბრძოდა.

სოციალიზმი სამი ურჩხულიდან ყველაზე სასტიკი, დაუნდობელი და სისხლიანი რუსული ბოლშევიზმი იყო. მას ვერც გერმანული ნაციზმი შეედრება და ვერც იტალიური ფაშიზმი, რომელიც ამ სამიდან ყველაზე სუსტი იყო.

არც გერმანულ ნაციზმს, არც იტალიურ ფაშიზმს რელიგია არ გაუუქმებია, ეკლესია-ტაძრები არ დაუნგრევია, სამღვდელოება არ ამოუხოცავს. რუსულმა ბოლშევიზმმა კი პირწმინდად მოსპო რელიგია, დაანგრია ეკლესია-ტაძრები, ამოწყვიტა სამღვდელოება.

კლასობრივი ბრძოლის სახელით, არც ფაშიზმს იტალიაში, არც ნაციზმს გერმანიაში არ გაუნადგურებია საკუთარი არისტოკრატია და ბურჟუაზია. მშრომელი, გამრჯე გლეხები არ მოუნათლავს კულაკებად და არ ამოუძირკვავს ძირფესვიანად. ბოლშევიზმმა კი სსრკ-ში მოსპო არისტოკრატია, ბურჟუაზიაც და ე.წ. «კულაკური» გლეხობაც.

მართალია, ნაციზმის დროს გერმანიაში ანტისემიტიზმი მძვინვარებდა, რასაც მილიონობით ადამიანი ემსხვერპლა, მაგრამ ვინ დათვალა რამდენი ებრაელი გაწყდა ბოლშევიკურ-კომუნისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში? ანდა სხვა ნაციონალობის ადამიანები, როცა მთელი ერების აყრა-გადასახლება მიმდინარეობდა?¹ მაგრამ ჩვენი აზროვნება ჯერ კიდევ კომუნისტური თარგების ტყვეა. ჯერ კიდევ ისე ვაზროვნებთ, როგორც კომუნისტებმა ჩაგვიჭედეს თავში. დიდი დრო დასჭირდება იმას, რომ ჩვენი გონება ბოლშევიზმისაგან განთავისუფლდეს და ლაღად ამოისუნთქოს. სოციალ-პოლიტიკურ-ეკონომიური სისტემის დანგრევა, გონების განთავისუფლებას არ ნიშნავს. სისტემა შეიძლება გაქრეს, მაგრამ გონება მაინც ძველებურად ინერციით მუშაობდეს. გონება რომ მართლა განთავისუფლდეს, ამისათვის თაობების შეცვლაა საჭირო. ამიტომ არის, რომ ფაშიზმის ხსენება დღესაც შიშის კანკალს გვგრის. ბოლშევიზმს კი

ლმობიერად ვეპყრობით. უფრო მეტიც: მისტირიან და იმაზე ოცნებობენ, როდის დაბრუნდებო. იმას კი ვერ მიმხვდარან, რომ სწორედ ბოლშევიზმმა შეაჩერა იმ ხალხების განვითარება, რომელნიც სსრკ-ში ცხოვრობდნენ. ახლა ეს ხალხები იძულებულნი არიან უკან დაუბრუნდნენ (რაც პირველად ხდება მსოფლიოს ისტორიაში) კაცობრიობის განვითარების ძირითად გზას. სწორედ ეს იძულებითი და აუცილებელი უკანდაბრუნებაა იმ სიდუხჭირე-სიღარიბის, ჩამორჩენილობისა და სიბეჩავის საფუძველი, რაც ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში სუფევს.

დროთა განმავლობაში ყველაფერი შეფასდება და გადაფასდება, მაგრამ იმას ვერავინ უარყოფს, რომ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში კაცობრიობის ისტორიას ბოლშევიზმი, ნაციზმი და ფაშიზმი წარმართავდა. რაგინდ დიდი უბედურებაც უნდა ყოფილიყო ეს მსოფლიოსათვის, სამწუხაროდ და სავალალოდ, ასე იყო. ამას ვერსად გავექცევით. ის ადამიანებიც, ვინც ბოლშევიზმს, ფაშიზმს, ნაციზმს სათავეში ედგნენ, კაცობრიობის დაჟინებული ყურადღების საგანნი იყვნენ. სძულდათ კიდეც ისინი და უყვარდათ კიდეც. თუ ერთნი (დიდი უმრავლესობა) ბრმა სიყვარულს შეეპყრო, მეორენი (დიდი უმცირესობა) მოვლენის ახსნას ცდილობდნენ. უნდოდათ ნათლად გარკვეულიყვნენ, რა მოხდა და რატომ.

ძიების პერიოდში ცდუნებაც იოლია და შეცდომაც. ისეთი გამჭრიახი და ირონიული გონების პატრონმა მწერლებმაც კი, როგორც იყვნენ ბერნარდ შოუ და ანატოლ ფრანსი, ვერ დაინახეს ბოლშევიზმის საფრთხე. მისგან კაცობრიობის ცხოვრების განახლებას ელოდნენ. ანრი ბარბიუსი ხომ სულ მოჯადოებულ იყო სტალინითა და ბოლშევიზმით. რომენ როლანიც და ანდრე ჟიდიც დაიბნენ. თუმცა სსრკ-ში მოგზაურობის შემდეგ ანდრე ჟიდს გონება გაუნათდა. შეცდომას მიხვდა. მათ არავინ ემუქრებოდა და არც ძალდატანებით დამართიანათ გონებრივი აბერაცია. ისინი გულწრფელი შეცდომის მსხვერპლნი იყვნენ. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. იგი ყველა დროში ხდება.

ასევე გულწრფელად მოსწონდა მუსოლინი ამერიკელ პოეტს ეზრა ფაუნდს. იგი იტალიელი დუჩესაგან არც რაიმე ჯილდოს მოელოდა და არც ეშინოდა მისი. უბრალოდ, საბუთიანად თუ უსაბუთოდ, აღტაცებული იყო ფაშისტების თავკაცით. არა ერთხელ და ორჯერ შეასხა ხოტბა. სტალინითაც იყო ეზრა ფაუნდი მოხიბლული. საგანგებოდ სწავლობდა ქართულს. უნდოდა იოსებ ჯუღაშვილს ქართულად დალაპარაკებოდა. ამით აპირებდა უფრო ღრმად ჩახედდა მისი გულისსკნელში. ამერიკელებმა არ აპატიეს ეზრა ფაუნდს მუსოლინით გატაცება. შეშლილად გამოაცხადეს და დიდი ხნით ჰყავდათ საგიჟეთში დამწყვდეული.

კნუტ ჰამსუნსაც არ შეარჩინეს ნორვეგიელებმა ჰიტლერით აღფრთოვანება. მანაც დაიმსახურა თანამემამულეთა რისხვა. მაგრამ დრო გავიდა. ნორვეგიელებსაც და სხვებსაც დაავიწყდათ კნუტ ჰამსუნის «ცოდვა». კნუტ ჰამსუნი ისევ კნუტ ჰამსუნია და ნორვეგიელები მისი ნიჭიერების შესაბამის პატივს მიაგებენ.

საერთოდ, ყველა დროში და ყველა ქვეყანაში არსებობდა სახოტბო ლიტერატურა. ასეა დღესაც. მეხოტბენი თავდაუზოგავად უმღერიან ძლიერთა ამა ქვეყნისათა: ზოგნი – გულწრფელი აღტაცებით, ზოგნი – ანგარებიანი გამორჩენის მიზნით.

მწერალი ემოციური არსებაა, მასზე ღრმად ზემოქმედებენ ძლიერი ადამიანები. როგორც სრულად უცნობი ლამაზი ქალი ააფორიაქებს მწერლის სულს და უმშვენიერეს ლექსებს დააწერინებს, ასევე იწვევს ძლიერი პიროვნება შემოქმედის აღზუნებას. უჩენს სურვილს ხოტბის შესხმის.

გრიგოლ რობაქიძეც აჰყვა ცდუნებას, როცა «ადოლფ ჰიტლერი» და «მუსოლინი» დაწერა. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ღირსეული თუ უღირსი ადამიანებით წარსულშიაც ხშირად აღტაცებულა მწერლობა. დღესაც ხდება ეს და მომავალშიც მოხდება. დამაფიქრებელი სხვა რამ არის. გრიგოლ რობაქიძემ იშვიათი შორსმჭვრეტელობით დაინახა ბოლშევიზმის არსი («ჩაკლული სული», «გრალის მცველნი»). ამოხსნა მისი მოქმედების მექანიზმი. მაგრამ ვერ მოახერხა ასეთივე ძალით ჩასწვდომოდა ფაშიზმსა და ნაციზმს. ეს მისდამი კეთილად განწყობილ ადამიანებს აკვირვებდა. ახსნას უძებნიდნენ. მაგალითად, ნიკოლაუს ზომბარტი ფიქრობდა, რომ ჰიტლერში გრიგოლ რობაქიძე რუსი ბოლშევიკ-კომუნისტებისაგან დამონებული საქართველოს ჰიპოთეტურ გამანთავისუფლებელს ხედავდა და ამან გამოიწვიაო ავადსახსენებელი ესეის დაწერა («Jugend in Berlin»). დასაშვებია ეს აზრი სიმართლის გარკვეულ დოზას შეიცავდეს. მაგრამ არის კიდევ რაღაც სხვა «ადოლფ ჰიტლერისა» და «მუსოლინის» დაწერის საფუძველი, რომლის გასაღებს თავად იძლევა.

პარიზში არჩიბალდ მეკეში, 1908 წელს, ლენინის საჯარო გამოსვლას უსმენს. იგი გატაცებულია ლენინის სიტყვით. თუმცა, რას ამბობს, არ ესმის. არა მარტო იმის გამო, რომ რუსულზე მწყრალად არის, არამედ იმიტომ, რომ არჩიბალდ მეკეშს «იპყრობდა თვითონ პიროვნება. გარეშე იმისა: თუ რას ამბობდა ან თუ რას ფიქრობდა. პიროვნება უშუალოდ: მის შუაგულში აღებული» («გველის პერანგი»).

ეს უნდა გავიმეოროთ გრიგოლ რობაქიძეზეც. ლენინშიც, სტალინიშიც, ჰიტლერშიც, მუსოლინიშიც მას იპყრობდა პიროვნება უშუალოდ, მის შუაგულში აღებული. ამ კუთხით ისინი მართლაც მეტად საინტერესონი არიან. ამიტომ ოთხივეს მიმართ გამოხატა გრიგოლ რობაქიძემ თავისი დამოკიდებულება.

ლენინის პიროვნებას რამდენჯერმე შეეხო, მეტნაკლებად ვრცლად: 1924 წელს, როცა ლენინი გარდაიცვალა (ჟურნ. «კავკასიონი», 1924 წ., _1-2), «გველის პერანგში» და «ჩაკლულ სულში». ჰიტლერსა და მუსოლინის საგანგებო ნარკვევები უძღვნა. სტალინიზე კი «ჩაკლულ სულში» ილაპარაკა (ეს რომანი ქართულად თარგმნა ალექსანდრე კარტოზიამ). მერე «ჩაკლული სულის» ის თავი, რომელსაც «სტალინის ჰოროსკოპი» ეწოდება, გრიგოლ რობაქიძემ შეიტანა კრებულში «დემონი და მითოსი». ოღონდ სათაური შეუცვალა. დაარქვა «სტალინი, როგორც აპრიმანული ძალა». ტექსტი არსებითად უცვლელია. სათაურ-

ში კი მკვეთრად არის გამოხატული გრიგოლ რობაქიძის უარყოფითი დამოკიდებულება სტალინისადმი. აპრიმანი ირანულ მითოლოგიაში ბოროტების ღმერთია. უპირისპირდება აპურამაზდას – კეთილის ღვთაებას. მათ შორის მარადიული ბრძოლაა. «ნესუსის პერანგშიც» საუბრობს თურმე მასზე. 1954 წლის 17 ივნისს გიორგი გამყრელიძეს წერს: « ... გამოგიგზავნი სილუეტს სტალინისა (ჩემი ახალი წიგნითგან «Das Nessus – Hemd») დაინახავ: თუ ვინაა (ვინ იყო) იგი». მაგრამ ეს თხზულება ჩვენთვის ჯერჯერობით ხელმიუწვდომელია. იგი არ დაბეჭდილა. ხელნაწერის სახით არსებობს და იმ არქივშია, რომელიც საქართველოს განკარგულებაში არ არის.

გრიგოლ რობაქიძის დახასიათებით, არც ლენინს, არც ჰიტლერს, არც მუსოლინის არ ჰქონდათ ადამიანის დამანგრეველი ის ძალა, რომელსაც სტალინი ფლობდა. სტალინი ადამიანებს არარაობად აქცევდა. ეს მკაფიოდ აღწერა გრიგოლ რობაქიძემ ბერზინის სახეში («ჩაკლული სული»).

ბერზინი წარმომავლობით ლატვიელი იყო, ძველი რევოლუციონერი და ბოლშევიკი. მტკიცე და შეუპოვარი ადამიანი არაფრის წინაშე უკან არ იხევდა. მის უდრეკ ბუნებას ყველა იცნობდა. მორიდებით ეპყრობოდნენ. როცა ნატამ ბერზინი გაიცნო, ქალს შეეშინდა ამ კაცის. ქალური გუმანითა და ალლოთი მიხვდა: თუ ბერზინი მის დამორჩილებას მოისურვებდა, წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. ბერზინს მართლაც უსაშველოდ მოსწონდა ნატა. სურდა ეს ქალი. როცა თამაზი დააპატიმრეს, ნატა დაიბნა. არ იცოდა, რით ეშველა მიჯნურისათვის, როგორ გადაერჩინა იგი. ისიც კი გადაწყვიტა: თუ ბერზინი თამაზს ციხიდან გამოუშვებდა, მზად იყო დანებებოდა მას. ბერზინმა ნატასთან სტუმრობას მოუხშირა. სასიხარულო ამბავიც მოუტანა – თამაზს მალე გაანთავისუფლებენო. მაღლიერი ქალი ბერზინის მორჩილი გახდა. მაგრამ კაცი არ ჩქარობდა. ბერზინმა ვნებით ანთებული და გავარვარებული ნატა, უკანასკნელ წამს, ორჯერ მშვიდად მიატოვა. არც კი შეხებია. ქალს შეურაცხყოფისა და დამცირების ბოღმა ახრჩობდა. მაგრამ ბერზინს ეს ნატას დასამცირებლად და შეურაცხყოფისათვის არ გაუკეთებია. იგი თავისთავს წვრთნიდა. მას უზომოდ უნდოდა ნატა, მაგრამ, როცა ვნებით გაბრუებულ ქალს ტოვებდა, ამით თავის ნებისყოფას ამოწმებდა. დიდად კმაყოფილი რჩებოდა. თავის ვნების მართვა შეეძლო. ის ქალიც კი ვერ აცდუნებდა, რომელიც ეგზომ ძლიერ უყვარდა. თუ ნატა მის ნებას ვერ გატეხდა, ვერც სხვა რამ მოერეოდა.

ბერზინი ტროცკისტი იყო და სტალინი სძულდა. სულ იმის ფიქრში იყო ბოლშევიკ-რევოლუციონერთა შორის უნდა აღმოჩნდეს ვიღაც, ვინც სტალინს მოკლავს. კოლექტიური შეთქმულების მოწყობა შეუძლებელია. ჩეკისტები ყველაფერს მაშინვე შეიტყობენ. ყველას თვალისდახამხამებაში მოგუდავენ. მხოლოდ ინდივიდუალური თავგანწირვით თუ მოხერხდება სტალინის მოკვლა. მოუთმენლად ელოდა ასეთ თავგანწირულ რევოლუციონერს. ამ ფიქრებით შეპყრობილს ერთხელ ესიზმრა: კრემლში იყო, ბოლშევიკების თავყრილობაზე. სტალინის გვერდით იჯდა. საუკეთესო ვითარება იყო გენერალური მდივნის მოსაკლავად. მოკალი, ჩასჩიჩინებდა ვიღაც, – იხსენი ტირანისაგან პარტია და

ქვეყანა. მაგრამ შიშმა ბერზინი მოხლედ აქცია. ნებისყოფა წაართვა. ვერაფერი გახდა. სტალინი ადგა. ბერზინს ენა გამოუყო და წავიდა.

ბერზინს გამოელვძიდა. შიშის ცივ ოფლში იყო გაწუწული. ადამიანად აღარ ვარგოდა. ცახცახებდა. თავზარდაცემული ლოგინიდან ძლივს წამოდგა.

მეორე დღეს, როცა ბერზინი ნატას ესტუმრა, ქალმა ვერც კი იცნო იგი. ნატას წინ ჩვარი იდო. ტაკიმასხარა იჯდა. უძლოური, უნებისყოფო ფიტული, სასაცილო ჩიტირეკია მისჩერებოდა ქალს. ნატას თავში გაუელვა – ამ არარაობის როგორ მეშინოდაო. ბერზინი ერთხანს უხმოდ იჯდა. მერე წამოდგა და სახლში წალასლასდა.

ერთხელ სიზმარში სტალინის ხილვამ ეს რკინისმკვნეტელი რევოლუციონერი კარებში დაგდებულ, ფეხსაწმენდ პინტს დაამსგავსა.

ეტყობა, გრიგოლ რობაქიძემ სტალინის თვისება-უნარი ზუსტად ამოიცნო, შემდგომ სინამდვილეშიც ასე მოხდება. ძველი, მრავალჭირვარამგამოვლილი, მედგარი ბოლშევიკ-რევოლუციონერები ბერზინივით არარაობად იქცევიან. ან სტალინის ყურმოჭრილი ყმები გახდებიან, ან დასაკლავი ცხვარივით მორჩილად წავლენ სასიკვდილოდ, – სტალინს გაუმარჯოსო – ბლავილით.

გრიგოლ რობაქიძეს სტალინი არაქართული ბუნების ადამიანად მიაჩნდა. «ნიშნულია, რომ ქართულ ლხინში, სადაც მუდამ დიონისეს ადიდებდნენ, როცა ყველა სხვა თვრებოდა, ის ერთადერთი, ფხიზელი რჩებოდა». ქართველი თრობის, გზნების, გატაცების ადამიანია. გრიგოლ რობაქიძეც ასეთი იყო. სტალინისათვის კი თრობა, გზნება, გატაცება მიუღებელი ჩანდა.

«სტალინის თავდაჭერა იოგებისას ჰგავდა».

«მან არ იცოდა გამარჯვების ბანგი».

«პოეტურ ზარხოშს არასოდეს აუჩქროლებია სტალინის გული».

«ის ცივისსხლიანი იყო».

გრიგოლ რობაქიძე მას პრეისტორიულ ხვლიკს ადარებს.

გრიგოლ რობაქიძისათვის ქართველის ტიპი უფრო ბუდუ მდივანია, ვიდრე სტალინი (ბუდუ მდივანი ინიციალებით ბ.მ. გამოყვანილია «გველის პერანგში»).

«ამ კაცის თვალგება: იქ რომ ნაკვერჩხლებს აფრქვევენ? ამ კაცის ხმაა ის ხმა – მეორედ მოსვლის საყვირს რომ მიაგავს? ხელი კათედრას იქ უროსავით ერტყმევა. პირს იქ სიტყვები მოხსნიან: თითქოს განკითხვის დღის ცეცხლები. მთელი ფიგურა იქ, დამსხვრევას უქადის ქვეყანას (უყვარს სიტყვა: «გავს-სრესსთ»)».

ასეთი ადგზნებული სტალინი არავის არასოდეს უნახავს.

ტემპერამენტის მხრივ ჰიტლერი და მუსოლინი უფრო გასაგები იყო გრიგოლ რობაქიძისათვის, ვიდრე სტალინი. ორივე – ჰიტლერიცა და მუსოლინიც – თრობის, გზნების, გატაცების ადამიანები იყვნენ. ეს იმ უთვალავ დოკუმენტურ ფილმებშიც კარგად ჩანს, სადაც ისინი არიან გადაღებული.

საერთოდ, პოლიტიკოსები ლიანგის დასამორჩილებლად და ასაყოლიებლად ორ ხერხს, ილეთს მიმართავენ – ან ბრბოს გზნება-ექსტაზში ჩაგდებას ან პირიქით – დუნდგოს მოდუნებას, ძილ-ბურანში ყოფნას.

ჰიტლერიცა და მუსოლინიც თავადაც ეგზნებოდნენ და ლიანგსაც აღაგზნებდნენ, ექსტაზში აგდებდნენ. ბიოგრაფების ცნობით, ამისათვის ისინი საგანგებოდ ვარჯიშობდნენ, საათობით ამუშავებდნენ ხმის ინტონაციას, ჟესტიკულაციას, მიმიკას. მუსოლინის მიმიკა ყველაზე დიდ მსახიობსაც შეშურდებოდა. სტალინი პირიქით იქცეოდა. ლაპარაკობდა დუნედ, ერთფეროვნად, მონოტონურად. მსმენელს ყურადღება ეფანტებოდა. ეყვინთებოდა. მისი დუნე, ერთფეროვანი ლაპარაკი ხერხი იყო, ილეთი. ამით სტალინი ლიანგს ადუნებდა, ენერგიას ართმევდა, მთვლემარე-გაბურსალებულს იოლად იმორჩილებდა. მოწინააღმდეგე კი მოთმინებიდან გამოჰყავდა, წონასწორობას აკარგვინებდა. გრიგოლ რობაქიძეს თავად აქვს აღწერილი «ჩაკლოულ სულში», სტალინის შემპარავმა სილინჯემ როგორ ააღელვა ტროცკი და სასაცილო მდგომარეობაში ჩააგდო.

ორატორული ხელოვნების თვალსაზრისით, სტალინი ძირეულად განსხვავდებოდა ლენინისგანაც, ჰიტლერისგანაც და მუსოლინისგანაც.

ლენინიც გზნება იყო, როცა ლაპარაკობდა, თუმცა ფერადოვნებით მისი მეტყველება არ გამოირჩეოდა.

«ლაპარაკობს. ხმა ერთფეროვანი: არც პაუზა და არც ინტონაცია. ფრაზა: დაგრაგნილი და დახერგილი. არავითარი პლასტიურობა. არავითარი «მჭევრმეტყველება». ფრაზა: უფრო «მოქმედება». სიტყვა – უფრო «ნება»... არა: არ ლაპარაკობს: ნებას სჭედავს ქმედებისათვის. თითქო გიხმობს ხანძრის ასანთებად და ჩასაქრობათ» («გველის პერანგი»).

აღგზნებული იყო ჰიტლერიც საჯარო გამოსვლის დროს. მისი გზნება გადაედებოდა მსმენელებს. აღტკინებულ დუნდგოს ნაკლებად ესმოდა, რას ამბობდა ფიურერი, მაგრამ მთლად ემორჩილებოდა ემოციას, საერთო განწყობილებას. იკარგებოდა პიროვნება. არსებობდა მხოლოდ უსახური ლიანგი.

«მისი გამოსვლა ყოველთვის განიცდება, როგორც განსაკუთრებული. ათასები ელიან მას უშუალოდ და მილიონები უცდიან მის გამოსვლას რადიოთი გადაცემულს. ტალღა ტალღაზე მოგორავს აცეცხლებული და აღტაცებით გათრობს. სულით კი გრძნობ: იგი მოდის, უკვე ახლოსაა. მომლოდინეთა ფესვების ყოველ ბგერას ეხება სინათლით შობილი. ტალღები უსაშველოდ ზვირთდება. აქ აღარავინ არის მარტო. «ყოველი მხარი ძმია და ყოველი სახე – და». ზვირთების მიერ ატაცებული მსმენელი ბედნიერი დაფრინავს: ნადავლი და მონადირე ერთდროულად. ფიურერი აქ არის. ხმათა ქარიშხალი იუწყება მის მოსვლას: «ჰაილ, ჰაილ, ჰაილ!» ზღვა ფართოდ იღვრება, ხმაურით ყუჩდება და ტალღები თანდათანობით მშვიდდება. ჩქამიც აღარ არის. სიჩუმე მოიცავს ყველას. მხოლოდ გული ცემს მძლავრად, მხურვალედ და მოლოდინით. გაისმის გულშიჩამწვდომი ხმა, მკაცრი და ალერსიანი. სუნთქვაშეკრულს გესმის ნაცნო-

ბი სიტყვები: «გერმანელო ვაჟებო და ქალებო!» კიდევ ორიოდე წინადადებაც და წმინდა გულაჩუყებულობით მთლიანად სავსე ორატორი გადადის საქმეზე.

მეც დაფიქრებული ვუგდებ ყურს ამ ხმას, როგორც მილიონობით სხვა. ხანდახან ზოგიერთ სიტყვას ვერ ვარჩევ. ვუსმენ მხოლოდ შინაგან ხმას. არ ძალმიძს მოვიშორო იშვიათი ხილვა. ორი მილიონი მკვდარი წევს დაქანცულ მიწაში. შვიდნახევარი მილიონი ჯერ კიდევ იცლება სისხლისაგან. დიდი გერმანული არმია იარაღს ჰყრის. მძიმე უმთვარო ღამეში მბრძანებლობს არამიწიერი სიწყნარე. ანაზღადად შორიდან ისმის ხმა, სავსე მწუხარებითა და, ამასთანავე, შეუპოვარი სიცოცხლის ძალით. უცნაურ დუმილში ისმის ეს ხმა – ხომ არ არის იგი ხმა აღმდგარი, მითადქცეული უცნობი ჯარისკაცისა? გამაოგნებლად ჟღერს იგი დუმილში, ამავე დროს, სულის სიღრმეში, ყველა გრძნობს მას, როგორც საკუთარ ხმას.

ადოლფ ჰიტლერის სიტყვებში ყოველთვის მესმის ამ ხმის უბუ. იგი ლაპარაკობს გატაცებით. იკარგება გრძნობა, რომ მარტო ერთი კაცის ხმა მოქმედებს. ჭეშმარიტად სახიერად ავლენს იგი გერმანულ მე-ს («ადოლფ ჰიტლერი»).

მუსოლინიც ფლობდა სიტყვის ძალას. გრიგოლ რობაქიძის დახასიათებით, იგი მჭედლის შვილი იყო და სიტყვას ქვისა და რკინისაგან ჭედდა. მისი სიტყვა რიტმიანი იყო. ლექსის შთაბეჭდილებას ახდენდა.

«1915 წლის 24 მაისს იგი აცხადებდა: «დღეიდან ხალხი დგება თოფქვეშ. დღეიდან იგი არის უფრო მეტად იტალიელი. იქ, სადაც ფოლადი ეჯახება ფოლადს, ჩვენი გულებიდან ამოვარდება ერთადერთი შემახილი – გაუმარჯოს იტალიას!».

ანდა, 1936 წლის 9 მაისს წარმოთქმული სიტყვიდან: «ოფიცრებო, უნტერ-ოფიცრებო, რიგითებო, სახელმწიფოს შეიარაღებულო ძალებო აფრიკასა და იტალიაში, რევოლუციის შავპერანგოსნებო, იტალიელო ვაჟებო და ქალებო სამშობლოსა და მსოფლიოში... ეთიოპიელთა ბედი გადაწყვეტილია დღეს, 9 მაისს, ფაშისტური ერას მეთოთხმეტე წელს... ლეგიონერებო, დროშები მაღლა! რკინებო და გულებო, რომის ბედის ბორცვიდან მივესალმით, ხუთმეტი საუკუნის შემდეგ, იმპერიის ხელახალ დაბადებას!..».

ასე ისროდა იგი გულებში სიტყვებს პალაცო ვენეციას აივნიდან («მუსოლინი»).

გრიგოლ რობაქიძე ახასიათებს ოთხივე ისტორიული პირის მოძრაობასაც. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა არა მარტო მეტყველების ტემპსა და ტემპერამენტს, არამედ მოძრაობასაც. მართალია, პირადად, გარდა ლენინისა, მას არავისთვის მოუსმენია, უსაუბრია, უნახავს. ლენინი ჰყავდა მოსმენილი, როცა რუსეთის რევოლუციის თავკაცი, რუსი ემიგრანტების წრეში, პარიზში, საჯარო მოხსენებებს კითხულობდა. გრიგოლ რობაქიძე მაშინაც კი არ ყოფილა მოსკოვში, თეატრში, როცა «ლამარას» სანახავად მოვიდა სტალინი, პოლიტბიუროს წევრებთან ერთად. არც ჰიტლერსა და მუსოლინის შეხვედრია ოდესმე პირადად. ასეთი «შეხვედრა» საქართველოში გავრცელებულ ზღაპრების რიგს

ეკუთვნის (საერთოდ, ქართველებს უყვართ ზღაპრები). არც მას პირადად და არც სხვას არსად აღუნიშნავთ გრიგოლ რობაქიძის შეხვედრის შესახებ არც გერმანელ ფიურერთან და არც იტალიელ დუჩესთან. არც რაიმე დოკუმენტი გვაქვს ხელთ ამის დამადასტურებელი. ეს არ მომხდარა იმის შემდეგაც, რაც გამოაქვეყნა ესეები – «ადოლფ ჰიტლერი» და «მუსოლინი». ასეთი ნარკვევები მაშინ უამრავი იწერებოდა. ცხადია, ყველას, თუნდაც გამონაკლისი სახით, ვერც ჰიტლერი შეხვდებოდა და ვერც მუსოლინი.

გრიგოლ რობაქიძეს ისინი მოუსმენია რადიოთი. უნახავს კინოქრონიკებში, დოკუმენტურ ფილმებში. როგორც დაკვირვებული კაცი, გამჭრიახი თვალის მქონე, მაინც ამჩნევს, და ხშირად კარგადაც, მათ თავისებურებებს. გრიგოლ რობაქიძე ოკულტური ცოდნით გატაცებული კაცი იყო. მისთვის ყველა წვრილმანს მნიშვნელობა ჰქონდა. ამ წვრილმანით შორეული ფესვების ამოცნობას ცდილობდა. ამიტომაც მიაპყრობს ჯიუტ მზერას თითოეული მათგანის მოძრაობას.

ლენინი:

«მარცხენა ხელის ცერით იჭერს ჟილეტის ჯიბეს (თუ «იგდებს» მაყურებელს). ხანდახან მარცხენა ხელი შარვლის ჯიბეს წვდება (თუ დასცინის მოკამათეს). მარჯვენა გრაფიულ ხაზებს კვეთავს აზრის ლოგიურ დინებისას. დრო და დრო მარჯვენას მარცხენა ეხმარება» («გველის პერანგი»).

სტალინი:

«სტალინი ნაბიჯებს კატასავით ნელა, რბილად ადგამდა, თითქოს სურდა რაღაცას დამალვოდა ან ვინმეს შეუმჩნევლად თავს დასხმოდა» («ჩაკლული სული»).

ჰიტლერი:

«მისი მოძრაობა ყურადღებას იქცევს განსაკუთრებულობით. ხანდახან იგი კიბეზე ჩამოდის. კიბის ბოლოს მკვეთრად ჩერდება. თავს ზევით წევს. შორს იმზირება საგნების წიაღ. თითქოს უცხად რაღაცას ხედავს. შემდეგ მკაცრად ხრის თავს. აგრძელებს გზას გაბედული, გრძელი, ძლიერი ნაბიჯებით. იქნევს ხელებს ფართოდ, ენერგიულად. ეს დახვეწილ, დაჯერებულ მსვლელობას ფრთებს ასხამს. აქ მისი ყოველი მოძრაობა პლასტიკურად სრულყოფილია» («ადოლფ ჰიტლერი»).

მუსოლინი:

«მის სიარულს ფრთიანი სიმსუბუქე აქვს. არავითარი კვალი ნახმანთა «მორღვეული სიმსუქნისა». სიხარულითა და სიცოცხლით სავსე ყოფიერება მოაქვს. იცნობს ვინმეს. მიესალმება გაბრწყინებული სახით. ნახევრად ხუჭავს თვალებს. წამწამებს შორის იყურება. ფართოდ იცინის, გამარჯვებული. ხელის ჩამორთმევა დასაჩუქრებას ჰგავს. მოძრაობს ჩქარა, შეუბოჭავად, ნახტომებით. ნაპერწკლებს აფრქვევს» («მუსოლინი»).

გრიგოლ რობაქიძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ადამიანის გარეგნობით მიღებულ შთაბეჭდილებას. ცდილობდა გარეგნობის უკან დაენახა სულიერი თვისებები. იგი გარეგნობას ყოველთვის დაწვრილებით აღწერს, სულერთია

რეალურ პიროვნებაზე ლაპარაკობს თუ გამოგონილ პერსონაჟზე. თუ უშუალოდ, პირადად ნანახი არ ჰყავდა ესა თუ ის ადამიანი, ფოტოსურათებს იყენებდა. მათ აკვირდებოდა. ფოტოების საშუალებით იქმნიდა წარმოდგენას მათზე. ბუნებრივია, ასე იქცევა მაშინაც, როცა ლენინსა და სტალინზე, ჰიტლერსა და მუსოლინიზე საუბრობს.

ლენინი:

«კათედრაზე დაბალი კაცი, ჩასკვნილი და დამორგვილი, მაგარი თავი. ტიტველი გრანიტი. მაღალი შუბლი და უტეხი კორძები შუბლის. თავის ქალა ოდნავ ჩაწეული ქოჩორთან (ნიშანი სიფიცხის?!). მაგარი კეფა მტკიცედ ამოკორძილი (ნიშანი თავშეკავების?!). თვალები მონგოლის: წვრილი. ერთი მოხუჭული ოდნავ: უნდობი და გამხვრეტი. მეორე – განზე მაცქერალი თითქო. თვალები თვალებში გეჭრებიან და თვალებს «იქით» იხედებიან. მთელი ფიგურა – უგლიმი» («გველის პერანგი»).

ეს პორტრეტი გრიგოლ რობაქიძეს აძლევს საშუალებას დაასკვნას: «ფიგურაში არის ძლევა და გამარჯვება... არავითარი იჭვი. არავითარი გაორება... არავითარი სისველე და არავითარი სილბილე».

სტალინი:

«ვიწრო, სუსტად განვითარებული შუბლი – პირდაპირ მისწრება საქმის კაცისათვის, განსაკუთრებით თუკი ზურგის ტვინი აქვს უღევადად, მაგრამ სტალინის ხერხემალი მოაზროვნესავით მაგარიც იყო. ამასთანავე – მას რეპტილიის მგრძნობელობაც ჰქონდა. ბავშვობაში ყვავილი მოეხადა და ამ სნეულების ძლივს შესამჩნევი კვალი კიდევ უფრო ამკვეთრებდა პრეისტორიულობას თავისას; ასევე ჭორფლი, რომელიც მისი სახის ფერს ციცარს ამსგავსებდა. უღვაშებში ირონია, დაცინვა ჩამალულიყო, თითქოს სურდა ეთქვა: მე ვხვდები, რისი დაფარვაც გინდა. ამ მდუმარე განცხადებას მაღლა აწეული მარცხენა წარბი აძლიერებდა. საოცარია: ლენინთან მარჯვენა წარბი იყო. მოწკურული პატარა, გაუმჭირვალი თვალები ჩასაფრებულის დაჟინებით იმზირებოდნენ» («ჩაკლული სული»).

დასკვნა კი ასეთია: «მთელს მის არსებაში უბედურების მომტანის ცივი სისხლი იგრძნობოდა, რომელიც მზაკვრობით ყველას აჯობებს. მისი მზერის წინაშე ყოველი ნება უკან იხევდა».

ჰიტლერი:

როგორც უკვე ითქვა, ჰიტლერს პირადად არასოდეს შეხვედრია. არც იმ უთვალავ მიტინგსა და კრებას დასწრებია, რომელზეც ფიურერი გამოდიოდა. გრიგოლ რობაქიძეს დასაკვირვებლად, ფოტოსურათების გარდა, არაფერი ჰქონდა. «ადოლფ ჰიტლერი» ასეც იწყება: «მე ვუმზერ მას უამრავ სურათზე, მაგრამ თითქმის ყოველ სურათზე იგი სხვადასხვაგვარად იყურება». სურათების ამარად დარჩენილი გრიგოლ რობაქიძე გვიზიარებს შთაბეჭდილებას.

ერთ სურათზე ერთად დგანან ჰიტლერი და ჰინდენბურგი. სახელგანთქმული მხედართმთავარი უკვე ოთხმოც წელს გადაცდა. მართალია, ისევ კლდესავით გამოიყურება, მაგრამ მასში უკვე აღარ არის საიდუმლო. იგი უბ-

რალოდ არსებობს. ჰიტლერი კი სულ სხვაა. იგი თავისთავშია ჩაკეტილი, ძლივს შესამჩნევ აურა- გარსში. უსასრულო შორეთში იზრდება. მისი სახე შეუწყვეტლად აფრქვევს სასიცოცხლო ძალას. მისი დაჭერა ფოტოაპარატს არ შეუძლია. დამალულის დანახვა არ შეიძლება. იგი უნდა იგრძნო.

მეორე სურათზე ჰიტლერი მადლობას უხდის ფონ რიბენტროპს. მაშინ რიბენტროპი გერმანიის ელჩი იყო ლონდონში. იმხანად საზღვაო ხელშეკრულება დაიდო გერმანიასა და დიდ ბრიტანეთს შორის. ჰიტლერი კმაყოფილი დარჩა ამ ხელშეკრულებით. გახარებული რიბენტროპს სახე უბრწყინავს. მაგრამ იგი ასხივებს, არა საკუთარ, არამედ ჰიტლერის შინაგან ნათელს. ასეა: ჰიტლერის სახე შეუმჩნეველია. საიდუმლოდ ირეკლება სხვაში, ვისთანაც საუბრობს.

როცა გენერალ-ფელდმარშალმა გდორინგმა იქორწინა, დოკუმენტური ფილმი გადაუღიათ. ამ ქორწილს ჰიტლერიც ესწრებოდა. ფილმში ასე ჩანს: იგი თითქოს ყველასათვის ახლობელია, განსაკუთრებით სიმე-პატარძლისათვის, მაგრამ ამავდროულად შორეულიც. ისეთი განცდაა, რომ არ შეიძლება მიუახლოვდე. თითქოს ქორწილში უცხო მოვიდა. ყველას დაუახლოვდა, მაგრამ მაინც უცხოდ დარჩა. ამ «დამორებულობას» ყველა გრძნობს, მაგრამ ვერ გადაულახავთ.

ვერცერთი მხატვარი ვერ დაიჭერს მის შინაგან ალეს. შეიძლება ეს მოეხერხებინა მოქანდაკეს, რომელიც ხისგან გამოკვეთავდა მას, მაგრამ რას უზამს ჰიტლერის ნათელ და მუქციფერ თვალებს? ისინი მალავენ თავისთავში ფიურერის არსს. ამ თვალების მკაცრი გამოხედვის წინაშე უნდა გაქრეს ყველაფერი ცრუ და ყალბი.

იმ სურათსაც მიუპყრია გრიგოლ რობაქიძის ყურადღება, რომელიც 1914 წელს, დიდი ომის დაწყების დღეს გადაუღიათ. მიტინგზე ზღვა ხალხს მოუყრია თავი. შეძრწუნებული ადამიანები გრძნობენ საშინელი გრიგალის მოახლოვებას. მათ შორის დგას ერთი კაცი. მის სახეზე გამოხატულია ძალა, ყველაფრის მძლეველი. იგი მთლიანად მზადყოფნაა. ამ წუთს გერმანიის ისტორიაში შემობრუნება ხდება. ამის განმახორციელებლად მას აირჩევს ბედი. მერე, გვიან, მკვლევარებმა დაადგინეს, რომ სურათზე გამოხატული უცნობი ადოლფ ჰიტლერი იყო.

უდაოა: როცა გრიგოლ რობაქიძე აკვირდება ჰიტლერის ფოტოებს, ხედავს არა იმას, რაც სურათებზეა, არამედ იმას, რისი დანახვაც უნდა. იტალიელ დუჩეზე რომ ფიქრობდა, მაშინაც ასე დაემართა.

აქაც სურათების საშუალებით მსჯელობს. გრიგოლ რობაქიძე, ათვალიერებს მუსოლინის ფოტოებს. ისინი გადაუღიათ იმის შემდეგ, რაც მუსოლინიმ ძალაუფლება ჩაიგდო ხელში.

ამ სურათების მიხედვით, ახალი იტალიის შემქმნელი (der Gestalter) მეტეორული წარმომავლობის ადამიანად ესახებოდა. მუსოლინიზე საუბრისას ხშირად ახსენებს ელვას. ხალიც კი მუსოლინის სახეზე ელვის ნიშნად მიაჩნდა. ეგონა, მუსოლინის მაგარ ყბებს რკინის დაღეჭვაც კი შეეძლო. მის მზერას კი

საგნების გაბურღვა. გაოცებული კითხვას სვამდა: ციდან ჩამოვარდნილი დემონია?

გრიგოლ რობაქიძისათვის ოთხივე – ლენინი, სტალინი, ჰიტლერი, მუსოლინი – უფრო მითოლოგიური პერსონაჟები იყვნენ, ვიდრე მე-20 საუკუნის რეალური ადამიანები.

«ადოლფ ჰიტლერში» მწერალი ერთი ახალგაზრდა გერმანელის ნათქვამს იშველიებს. ამ ყმაწვილისათვის უკითხავთ: როგორ გახდით ნაციონალ-სოციალისტი. მას მოკლედ უპასუხებია: როცა პირველად ვნახე ფიურერი, ჩემში გაიღვიძა გრძნობამ, რომ იგი უფრო მეტია, ვიდრე ადამიანი.

თვითონ გრიგოლ რობაქიძეს კი მიაჩნდა, რომ ჰიტლერი აყალიბებდა ხალხის ენერჯიას და ეს კვებავდა მის პიროვნულ არსს.

ჰიტლერზე საუბრისას ქართულ მოთხრობას კონდრატე თათარაშვილი – უიარაღოს «მამელუკს» იხსენებდა. გერმანულ მკითხველს მის დასასრულს უყვებოდა და ასკვნიდა: «ვისაც არ შეუძლია განიცადოს ეს ყვირილი, როგორც მისი სხეულის ნაწილი, იგი ვერასოდეს გაიგებს სიტყვას «სამშობლო» ისე, როგორც მას წარმოთქვამს ფიურერი. ჭეშმარიტად: ადოლფ ჰიტლერმა დაუბრუნა ამ ჯადოსნურ სიტყვას მისი თაურმნიშვნელობა. სამშობლო – ეს არის მისი ცეცხლის სასმელი».

სამშობლო მიწას უკავშირდებოდა. მიწის ცნება კი თავისთავში აერთიანებდა ისეთ საწყისებს, როგორც გახლავთ რასა, გვარტომი, სისხლი, ნიადაგი. ამაზე «გრაალის მცველნიშიც» ლაპარაკობს და «ადოლფ ჰიტლერშიაც». «რასას» გრიგოლ რობაქიძე ხმარობდა «ჯიშის» მნიშვნელობით. ჯიშს კი ქართველი სხვანაირი თვალთ უყურებდა. «ჯიში ჩვენში «თეორია» კი არაა, როგორც ევროპაში: იგი «სინამდვილეა» თვითონ. აბა დააკვირდით! ვაგინებთ ჩვენ ვისმე, ვიტყვით: «უჯიშო!» ვკრულავთ ჩვენ ვისმე, ვამბობთ: «მისი ჯიში ამოვარდა!» ისიც ვიცით თანვე, რომ «ჯიშის» დგენისათვის მარტო «სისხლი» არ კმარა: ვიცით, რომ მისთვის საჭიროა წვართი სულისა და გულისა და ხასიათისა» («მიხეილ წერეთელი»). ამ კუთხით, – ამბობს გრიგოლ რობაქიძე, – ჰიტლერმა რასის ანუ ჯიშის იდეას ახალი ძალა მიანიჭა, რაც ხალხადგახდომას, ხალხადჩამოყალიბებას (die Volkswerdung) უწყობდა ხელს. ამით გახდა ჰიტლერი მიწის ძალთა გამომღვიძებელი.

ამავე როლს ასრულებდა იტალიაში მუსოლინი. გრიგოლ რობაქიძე მას უწოდებს – Mann mit Dad (კაცი დად-ით). იულიუს ეოლას ვარაუდით, ამ სიტყვით (დად) ძველ გადმოცემებში აღნიშნულია ღვთაებრივი თვისება, რაც გულისხმობს სიმტკიცეს, ურყეობას, უცვლელობას. ამ საიდუმლო სიტყვას ხედავს გრიგოლ რობაქიძე ქართულ ფეოდალურ საგვარეულოში – დად-იანი. მუსოლინიც ფლობდა დადს.

დუჩეს ხელმწიფედაც მიიჩნევდა გრიგოლ რობაქიძე, იმ გაგებით, რა გაგებითაც მას ესმოდა ეს სიტყვა (ჩვენ ადრე უკვე ვისაუბრეთ ამაზე). «ბარაქ-საც» უკავშირებდა მუსოლინის. ამბობდა: რენე გენონი ებრაულ-არაბულ სიტყვას «ბარაქა» თარგმნისო, როგორც «influence spirituelle» – სულიერი გავლენა,

ზემოქმედება. ქართულ თქმაშიც «ბარაქიანი ხელი» ეს აზრი იგულისხმება. არა მარტო ნივთიერად უხვი, არამედ სულიერადაც უხვი, გავლენიანი, მძლავრი. მუსოლინი «ბარაქიანი ხელი» იყო.

გრიგოლ რობაქიძის აზრით, ორივე – ჰიტლერიც და მუსოლინიც – დაჯილდოებული იყო თვისებით, რომელსაც «მსხვერპლურ შინაგან თვითშეწირვას» უწოდებდა. ამ თვისებით ისინი თავთავიანთ ერებს ერწყმოდნენ. მათ გამოხატავდნენ. «ფოლკსვერდუნგის» პროცესს წარმართავდნენ.

თუ არ ვცდები, სწორედ «ფოლკსვერდუნგშია» ჰიტლერთა და მუსოლინით გრიგოლ რობაქიძის გატაცების საფუძველი. მართლაც, როგორც ერთმა ისე მეორემ თავთავიანთი ერების ენერგია და ძალა გააღვიძეს, ააღორძინეს. ეროვნული ღირსების გრძნობა ჩაუნერგეს. საყურადღებოა, რომ გრიგოლ რობაქიძის ნარკვევებში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი არც ნაციზმზე და არც ფაშიზმზე. ეს პოლიტიკური მოძღვრებანი ორივე ნარკვევში გვერდავლილია. საუბარია მხოლოდ ორი პიროვნების ძალასა და ენერგიაზე. რატომ იქცევა ასე გრიგოლ რობაქიძე? საფიქრებელია, მას ენატრებოდა საქართველოში იმ პიროვნებების ხილვა, რომელიც ქართველ ხალხს გააღვიძებდა, საკუთარი ძალის რწმენასა და იმედს ჩაუნერგავდა, როგორც ჰიტლერმა გააკეთა ეს გერმანიაში, მუსოლინიმ – იტალიაში. თავის დროზე, როცა ნოე ჟორდანია დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე გახდა, გრიგოლ რობაქიძემ მას აღტაცებული სტატია უძღვნა. მაგრამ, საუბედუროდ, ნოე ჟორდანია «ფოლკსვერდუნგი» საქართველოში ვერ განახორციელა. ამის ძალა არ იყო. ამის ძალა მეორე ქართველს ჰქონდა იოსებ ჯულაშვილს. მაგრამ იგი სხვა გზით წავიდა. «ძველ დროში ტომის ბელადში მთელი ტომის ძალა იყრიდა თავს. სტალინიში შეგროვდა პროლეტარული ენერგია». («ჩაკლული სული»). აქ იყო განსხვავება. თუ ჰიტლერმა და მუსოლინიმ თავთავიანთი ერების ძალას მოუყარეს თავი და შეაგროვეს, სტალინიმ პროლეტარიატის ძალა აკრიფა. პროლეტარიატი ინტერნაციონალური მოვლენა იყო. იგი ეროვნულობას უარყოფდა. ჰიტლერისა და მუსოლინისაგან განსხვავებით, სტალინი უნდა განდგომოდა თავის ხალხს. ეს ლენინსაც არ გაუკეთებია. ლენინი განსახიერება იყო რუსულ-მონღოლური ძალის («გველის პერანგი») და არა მხოლოდ პროლეტარიატის. ამან გამოიწვია ის, რომ «როცა რევოლუცია ძლევამოსილებად იქცა. ის (სტალინი – ა.ბ.) უკვე აღარ იყო ადამიანი. ის იყო არსება, სასტიკი და საშინელი» («ჩაკლული სული»).

აღბათ, რაკი სტალინი იყო არა ეროვნული, არამედ პროლეტარული ენერგიისა და ძალის შემკრები, ამან განაპირობა გრიგოლ რობაქიძის კრიტიკული დამოკიდებულება მისდამი. თორემ სხვა მხრივ, იგი სტალინს არ უყურებს გამკიცხავი თვალით.

«ის არ ყოფილა მკვლელი, არც ყაჩაღი, არც არანაირი დამნაშავე. პირიქით: საუკეთესო სურდა ადამიანებისათვის...

მიწიერი სიამოვნებანი – ქალი, ღვინო, აზარტული თამაში, ფული – არ არსებობდა მისთვის...

ის გულუხვი იყო, რამდენადაც კი შეეძლო ასეთი ყოფილიყო, და დახმარებისათვის მუდამ მზად იყო, ვითარცა სულიერი მოძღვარი» («ჩაკლული სული»).

და მაინც იოსებ ჯულაშვილი, ვინც ყმაწვილკაცობაში პატრიოტულ ლექსებს წერდა, აპრიმანულ ძალად იქცა. ეს მოხდა იმიტომ, რომ «სტალინი ბოლშევიკად იყო დაბადებული» და პროლეტარულ რევოლუციას განასახიერებდა. სანამ სტალინი იქნებოდა ცოცხალი ბოლშევიზმიცა და პროლეტარული რევოლუციაც ცოცხალი დარჩებოდა. მოკვდებოდა თუ არა, სტალინი ბოლშევიზმისა და პროლეტარული რევოლუციის კვდომაც დაიწყებოდა. მართლაც ასე მოხდა. ბოლშევიზმი და პროლეტარული რევოლუცია 80-იანი წლების ბოლოს კი არ მომკვდარა, არამედ იმ დღეს, რა დღესაც სტალინი გარდაიცვალა. მასში იყო შეკრებილი, თავმოყრილი ბოლშევიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ძალა. იმ ქვეყნად წავიდა და თან წაიღო. მისი სიკვდილის მერე ბოლშევიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ურემი ინერციით მიგორავდა. 80-იანი წლების ბოლოს ინერციის ძალა გამოილია. ბოლშევიზმმაც და პროლეტარულმა რევოლუციამაც სული დალია.

სტალინთან ერთად, ლენინის გვერდით, მეორე რევოლუციონერიც იდგა – ლევ ტროცკი. იგი ყველას ლენინის უეჭველ მემკვიდრედ მიაჩნდა. მაგრამ, გარდაიცვალა თუ არა ლენინი, სტალინმა პირწმინდად გაანადგურა ტროცკიც და სხვა მოწინააღმდეგეც. ერთპიროვნული მბრძანებელი გახდა. როგორც სსრკ-ში, ისე უცხოეთში უკვირდათ, როგორ მოახერხა ეს ღარიბ-ღატაკ, მშიერ-მწყურვალე ქართულ ოჯახში გაზრდილმა კაცმა? გრიგოლ რობაქიძის სიტყვით, სტალინში გაერთიანებული იყო რაციო და ინსტიქტი. უკეთესი ნაზავი კი წარმოუდგენელია რევოლუციონერისათვის. მეორე ფაქტორიც არსებობდა, რომელმაც სტალინის სასარგებლოდ გადაწყვიტა მოვლენათა მსვლელობა – ბედისა და ნახევარბედის ფაქტორი.

«თუ ლენინი ბედი იყო რევოლუციისა, ტროცკი რევოლუციას ნახევარბედად მოევლინა – ნახევარბედიც არსებობს... ცხოველური ინსტიქტით სტალინი მუდამ გრძნობდა, რომ ნახევარბედი ვერ გაუძღვებოდა რევოლუციას. ის მუდამ ალმაცერად უყურებდა ტროცკის: არ სჯეროდა მისი. ამ დროს შური კი არ ამოძრავებდა, არამედ ნალდი რევოლუციონერის ყნოსვა» («ჩაკლული სული»).

ნახევარბედი იმასაც ნიშნავდა, რომ ტროცკის საკუთარი ენერჯია კი არ ჰქონდა, არამედ სხვისი. იგი ლენინის ენერჯიით იკვებებოდა. ტროცკი მანამ იყო მტკიცე, სანამ «უკან ურყევ კლდესავით იდგა თვითონ ბედი – ლენინი. საკმარისი იყო, ლენინს სისხლი ჩაქცეოდა, რომ ტროცკის მყისვე დაეკარგა სიმამაცე», საკუთარი თავის რწმენა. «მან არ იცოდა, რომ ქართულ ენაში «ბედს», «გამბედაობას», «ბედნიერებას» ერთი ძირი აქვს. სტალინმა კი იცოდა... ორი დემონის ბრძოლაში, როგორც ყოველთვის, აპრიმანმა – სიძულვილის ნაშიერმა – დაამარცხა ლუციფერი» («ჩაკლული სული»).

«ამორ ფატის» (ბედის სიყვარული) მოტივი შემოდის აქ. «ამორ ფატი», გრიგოლ რობაქიძის აზრით, ოთხივე პოლიტიკოსის ცხოვრებაში არსებით

როლს ასრულებდა. «ადოლფ ჰიტლერში» გრიგოლ რობაქიძე ერთ ძველ თქმულებას გვიყვება:

არსებობდა ერთი ბებერი ხე. ვინც გაბედავდა მის დაწვას, იგი ცეცხლში დაინახავდა უკანასკნელ საიდუმლოს. მაგრამ ამ ხილვის ფასად ან მოკვდებოდა ან შეიშლებოდა. ერთმა კაცმა, რომელსაც ამ საიდუმლოს ხილვის სურვილი აწამებდა, გადაწყვიტა დაეწვა ხე. იგი ხშირად მიდიოდა ხესთან. მაგრამ ყოველთვის, როცა ხისთვის ცეცხლი უნდა წაეკიდებინა, რაღაც ძალა მის ხელებს აქვავებდა. ერთხელ დაქანცული ხის ქვეშ, ფოთლებზე წამოწვა. ჩიბუხს მოუკიდა. დაღლილს ჩაეძინა. ჩიბუხიდან ნაპერწკალი გადმოვარდა. ხმელ ფოთლებს ცეცხლი მოედო. წვის სუნმა გამოაღვიძა. საშინლად გაუხარდა: საიდუმლოს იხილავს. არც მოკვდება და არც ჭკუას დაკარგავს. ცეცხლი ხომ უნებლიეთ გაჩნდა. მას არ წაუკიდებია. მაგრამ მოულოდნელად უსაშველო შიშმა შეიპყრო. ცეცხლს მივარდა ჩასაქრობად. გამწარებული ებრძოდა მას. როგორც იქნა ჩააქრო იგი. შიშით გულგახეთქილმა იქიდან მოკურცხლა. გრიგოლ რობაქიძე ასკვნის: ვხედავთ, რომ მას არ ჰყოფნის გამბედაობა უკანასკნელი წამი გადაიტანოს, ანუ არ ჰყოფნის გამბედაობა არსებობისათვის. ამ გაბედულების თვინიერ კი ვერც იდუმალს იხილავ და ვერც ისტორიულ საქმეს გააკეთებ. დღევანდელი წინამძღოლებიც ამ ცეცხლის გენით არიან გაჟღენთილები. ეს ეხება ლენინსაც, სტალინსაც, ჰიტლერსაც და მუსოლინისაც. «ამორ ფატი» მთლიანად მოიცავს მათ.

კაიროსიც წყალობს მათ (ყოველ შემთხვევაში გარკვეულ პერიოდში მაინც). «კაიროსი» ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ხელსაყრელ წუთს, დროს, კარგ შემთხვევას. ხელსაყრელი დროისა და შემთხვევის ღმერთსაც ასე ერქვა – კაიროს. კაიროსის, ანუ ხელსაყრელი დროის ან შემთხვევის გამოყენების ნიჭს პოლიტიკოსის აუცილებელ ნიჭად თვლიდა გრიგოლ რობაქიძე. მისი აზრით, ჰიტლერი და მუსოლინი ოსტატურად ფლობდნენ კაიროსის გამოყენების ხერხს. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდაო, წერს გრიგოლ რობაქიძე, სუდეტის ოლქის გერმანიასთან შეერთებისას და აბისინიის ომის დროს.

ნაბიჯ-ნაბიჯ, ყველა ხელსაყრელი წუთის გამოყენებით დაეუფლა ჰიტლერი სუდეტის ოლქს. ასევე ყველა ხელსაყრელი შემთხვევის გამოყენებით იმარჯვებს მუსოლინი ეთიოპიაში, ანუ აბისინიაში.

რამდენადაც გამარჯვებებით იყო სავსე ჰიტლერისა და მუსოლინის საქმიანობა მეორე მსოფლიო ომამდე, იმდენად მარცხიანი აღმოჩნდა მათთვის მეორე მსოფლიო ომი. ერთიც დამარცხდა და მეორეც. მათ დამარცხებასთან ერთად დამარცხდა გრიგოლ რობაქიძის ჭვრეტა-ხილვაც. მართალია, სიკვდილის შემდეგ, მაგრამ დამარცხდნენ ლენინიც და სტალინიც. ბოლშევიზმმა, როგორც პოლიტიკურმა მიმდინარეობამ, არსებობა შეწყვიტა. სსრკ, როგორც ლენინისა და სტალინის პოლიტიკური შემოქმედების ნაყოფი, დაიშალა და დაინგრა. ის ადამიანები, რომელნიც მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში მსოფლიოს ბედ-იღბალს წარმართავდნენ, ამაოდ დაშვრნენ.

გრიგოლ რობაქიძეს «ადოლფ ჰიტლერისა» და «მუსოლინის» დაწერის გამო ბევრი წყენა შეხვდა. მისი საქციელი მით უფრო გაუგებარია, რომ იგი არ თვლიდა თავს პოლიტიკოსად. უფრო მეტიც: პოლიტიკა მწერლის საზიანო საქმედ მიაჩნდა.

«... პოლიტიკოსი არ ვყოფილვარ და არცა ვარ. არა ვარ, არა იმის გამო, ვითომ პოლიტიკის არა გამეგებოდეს რა. არა ვარ იმის გამო, რომ ღრმად და მკაფიოდ მაქვს შეგნებული: მწერალი, რომელიც პოლიტიკაში ერევა, პოლიტიკას ვერას არგებს, თავის თავს კი, როგორც ხელოვანს, ვნებასაც მიაყენებს» («მიხეილ წერეთელი»).

იცოდა ეს, მაგრამ ვნება მაინც მიაყენა თავისთავს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ამ წიგნების გამო, ევროპაში მას აღმაცერად უყურებდნენ. არც ძველ თხზულებებს უბეჭდავდნენ და არც ახალს. ემიგრანტული ქართული პრესა თუ გამოაქვეყნებდა ხანდახან მის წერილებს, თორემ დიდი გამომცემლობები მისთვის დაკეტილი იყო.

გრიგოლ რობაქიძისადმი გულგრილი დამოკიდებულება ვერ შეცვალა ვრცელმა «განმარტებამაც» კი. ეს «განმარტება» ევროპულმა პრესამ არ დაბეჭდა. თუმცა ავტორმა იგი თითქმის ყველა დიდ გამომცემლობას გაუგზავნა.

გრიგოლ რობაქიძე შეეცადა «განმარტება» არ ყოფილიყო თავისმართლება. მას უნდოდა უბრალოდ აეხსნა პუბლიკუმისათვის რა კუთხით, რა თვალსაზრისით წაეკითხათ მისი ყბადაღებული ნარკვევები. მწერალი «განმარტებაში» (და სხვა კერძო ბარათებშიც) ირწმუნებოდა, რომ პოლიტიკურად არ იდგა არც ბოლშევიზმისა და არც ფაშიზმ-ნაციზმის მხარეს. იგი მესამე ნაპირზე იმყოფებოდა. ასეთი ნაპირიც არსებობსო, – აჯერებდა მკითხველს. არ დაუჯერეს. მაგრამ ვერც იმათ გაამტყუნებ, ვინც ფიქრობდა, რომ ნაციზმსაც და ფაშიზმსაც შეეძლო პროპაგანდისტული კუთხით გამოეყენებინათ როგორც «ადოლფ ჰიტლერი», ისე «მუსოლინი». გამოიყენეს კიდევ, როცა «ადოლფ ჰიტლერი» რუსულად თარგმნეს და ფრონტზე გაავრცელეს საბჭოთა არმიის ჯარისკაცთა შორის.

ქართველი ემიგრანტების ერთი ნაწილი მხარში ამოუდგა გრიგოლ რობაქიძეს. ისინი ღვთისა და ერის წინაშე ფიცს დებდნენ, რომ გრიგოლ რობაქიძეს არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია არც ნაციზმისა და არც ფაშიზმის მესვეურებთან.¹ ვერც ამ ფიცმა გასჭრა. შეცდომა, მაინც შეცდომად დარჩა. მაგრამ ისიც სიმართლეა, რასაც თვითონვე ამბობს: «ვინც არ ცდება, იგი შემოქმედი არაა» («ყაზბეგის საკითხი»).

სიმართლე

გრიგოლ რობაქიძეს და გიორგი გამყრელიძეს თბილი და გულითადი ურთიერთობა ჰქონდათ. ბარათებსაც ხშირად სწერდნენ ერთმანეთს. ერთი შემთხვევის გამო მათი ურთიერთდამოკიდებულება გაცივებულა.

ერთხელ გრიგოლს აკაკი ბელიაშვილის მოთხრობა – «ბლაცყუჩიას დიალოგები» – წაუკითხავს. იგი დიდად აღუშფოთებია ბლაცყუჩიას სიტყვებს. მოთხრობაში ეს ბლაცყუჩია ერთი უქნარა, მაწანწალა და ლაზღანდარა ვინმეა. მთელი დღე ბაღში გდია, პირში ენას არ აჩერებს და ენაკვიმატობს. ერთი ასეთი ენატარტალის დროს ძმაკაცებს კითხვა დაუსვა – ვინ არის ყველაზე პატიოსანი? თანამოსაუბრენი დაფიქრებულან. პასუხი გაუჭირდათ. მხოლოდ გაქართველებულმა ბერძენმა სოკრატე პოპანდოპულომ მიუგო – ღმერთიო. ამ პასუხით უკმაყოფილო ბლაცყუჩიამ სოკრატეს მიახალა – «ვაი შენს პატრონს, უბედურს! ღმერთის პატიოსნება ვის გაუგონია. იმ უსვინდისომ, იოსებ დურგლის შვილი ჩემი გაკეთებულიაო, არც შერცხვა, ისე გაავრცელა ხმა. იმიტომ დაგილაგდათ ბერძნებს საქმე, რაც იმ ნაბიჭვარის ღმერთობა იწამეთ».¹

გრიგოლ რობაქიძე ღმერთის აუგად ხსენებას ვერ იტანდა. ვერც აკაკი ბელიაშვილს აპატია ზემოთ მოხმობილი სტრიქონები. «ვაჟას ენგადში» გამოხატა თავისი გულისწყრომა.

«სულ სხვა ყოფილა აკაკი ბელიაშვილი. «ბლაცყუჩიას» რომ ათქმევინა ისეთი საძაგელი რამ – ამის გამეორებაც არ შემიძლია აქ – რომლის მსგავსი საუკუნეთა მანძილზე «ძაღ?ლ?თაპირსაც» არ წასცდენია. და ეს უნდა თქმულიყო ქართულ მიწაზე, რომლის ისტორიული სუნთქვა ძე ღვთისა იყო! მით უფრო სამწუხაროა ეს, რომ ა.ბ. ფრიად ნიჭიერი რომანისტია» (გრიგოლ რობაქიძეს მოსწონდა აკაკი ბელიაშვილის რომანი «თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა» – ა.ბ.).

აკაკი ბელიაშვილის მიმართ გამოთქმული ეს საყვედური გიორგი გამყრელიძეს სწყენია. საქმე ის გახლავთ, რომ გიორგი გამყრელიძე აკაკი ბელიაშვილის ცოლისძმა იყო. როცა გრიგოლ რობაქიძის «ვაჟას ენგადი» იწერებოდა, აკაკი ბელიაშვილი ამ სოფლად უკვე აღარ იყო. 1961 წლის 14 დეკემბერს მცხეთიდან თბილისს მომავალი ცოლ-ქმარი თინათინ გამყრელიძე და აკაკი ბელიაშვილი ავტოავარიაში დაიღუპნენ. ტრაგიკულად გარდაცვლილ ადამიანზე ასე არ უნდა დაეწერაო, – გული სტკენია გიორგი გამყრელიძეს.

თავდაპირველად გრიგოლ რობაქიძე ვერ მიმხვდარა რისთვის დაემდურა მეგობარი. მერე გაუგია. ბარათიც მისწერა 1962 წლის 30 ივლისს:

«გავიდა ხანი, არა დიდი, გავიგე მიზეზი შენი დუმილისა. საყვედურით მომმართაო – მაცნობა კალემ¹. – «ვაჟას ენგადში» დაღუპულის აკაკი ბელიაშვილის ასე ხსენებისათვის. ვაცნობეთ: წერილი მზად იყო, როცა ჩვენ ეს ამბავი გავიგეთო. მე კალეს მივწერე: კიდევ რომ მცოდნოდა, ნათქვამს წერილითგან არ ამოვიღებდი-მეთქი?! გწერ ამას და თან ვუმატებ: დაღუპული ძმა რომ ყოფილიყო ჩემი – მე ერთი სიტყვითაც არ შევარბილებდი იქ თქმულს. ნათესაობა ერთია და სიმართლე (სიტყვა ხაზგასმულია გ.რობაქიძის მიერ – ა.ბ.) კიდევ სხვა: განუზომელ უფრო მეტი!»

სხვა ჩემი

გრიგოლ რობაქიძემ სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიაქცია ყურადღება ქართული პროზის პრობლემას. როგორც ბევრ სხვას, ისე მასაც აწუხებდა, რომ ქართველის შემოქმედებითი ნიჭი პოეზიაში უფრო იჩენდა თავს, ვიდრე პროზაში. «საქართველოში ლექსის კულტურა უფროა გამახვილებული, ვიდრე კულტურა პროზის» («ქართული პროზისათვის»). ეს ვითარება, მისი ფიქრით, გამოწვეული იყო საქართველოს მძიმე ისტორიული ცხოვრებით. თორემ ქართული მწერლობა დიდმა პროზაიკოსებმა დაიწყეს, – ამტკიცებდა. იაკობ ხუცესი და გიორგი მერჩულე პროზის დიდოსტატებად მიაჩნდა. სათანადოდაც ასაბუთებდა ამას.

იაკობ ხუცესის ოსტატობის დამადასტურებლად «შუმანიკის წამებიდან» ნიმუშები მოჰყავდა, კერძოდ ის ადგილი, სადაც ცურტავია აღწერილი.

«ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი იგი მხურვალეზაჲ მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომლისა მკვიდრნიცა მის ადგილოსანი სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი, დაწერტილნი და დამქნარნი¹ და დამღიერებულნი, ჩარადოვანნი, პირმსივანნი და დღემოკლედ ცხორებულნი...».

ციტირების მერე ამბობდა: «გამოთქმის ფორმა ძალოვანი. ხოლო აქ არის მარჯვე არქიტექტონიკული ხაზიც: ჯერ ორი სიტყვა: განსივებულნი და განყვითლებულნი». შემდეგ სამი: «დაწერტილნი და დამქნარნი და დამღიერებულნი». ბოლოს სიტყვის შემატებით ფრაზა უფრო გაძლიერებული: «ჩარადოვანნი, პირმსივანნი და დღემოკლედ ცხორებულნი». აქ უკვე ხელოვანი სჩანს («ქართული პროზისათვის»).

ასევე აღფრთოვანებული წერდა გიორგი მერჩულეზეც.

«სიტყვა სადა და შემცველი. თქმა სუფთა და დამტევნელი. ხაზი თითქმის მათემატიური. ფრაზა მოქნეული და მოზომილი. პერიოდი მარჯვეთ მოზმული. სახეობა ზომიერი. კოლორიტი სურნელით. თავიდათავი – «აღნაგობა», როგორც ქართულ არქიტექტურაში. «სამკაული» მხოლოდ როგორც დეტალი. რასსიული დახვეწილობა და სიწმინდე ფორმების. შიგადაშიგ არიული სინათლე და მზერა. ბოლოს და ბოლოს მომაჯადოვებელი» («ქართული პროზისათვის»).

მონღოლთა შემოსევამ არა მარტო ქართული სახელმწიფო დაანგრია, არამედ ქართული ცხოვრებაც დააკნინა, მწირი და ღატაკი გახადა. «სიტყვა დაავადდა. დაუძლურდა. სინტაქსი შეიცვალა ძირეულად: რასსიული სიწმინდის მაგიერ ათასნაირი «ნალეკი». აქედან სიტყვაში და თქმაში: მეტხორცი, მეჭეჭი, ხორკლი, ხიწვი, დაბორკება, დამძიმება, დამბლა. სიტყვამ დაჰკარგა თავისთავადობა: გაირღვა. აქედან «დუალიზმი» (დუალიზმი სიტყვის), ანუ სიტყვის გაბითურება» («ქართული პროზისათვის»). **ეს აზრი დღესაც უაღრესად მნიშვნელოვანია. დღესაც იგივე ხდება, რაც მონღოლთა შემოსევას მოჰყოლია – სიტყვის გაბითურება და ცნობიერების დაშლა.**

ქართული ცნობიერებისა და სიტყვის გასაჯანსაღებლად ბრძოლა არ შეწყვეტილა. საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა იგი. სულხან-საბა ორბე-

ლიანმა შესძლო ქართული სიტყვის პირვანდელი ძალით აღდგენა. მისი თხრობის ლაკონიზმი, ლაპიდარულობა, სინათლე და სიმარტივე გრიგოლ რობაქიძეს მიაჩნდა ახალ ეტაპად ქართული სიტყვის განვითარებაში. ამის მერე ქართული პროზა ახალ ხიზლს იძენს ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში.

«ილია ჭავჭავაძის სიტყვა მსუქანია და შედედებული. მას აქვს ჯიში, ჯილაგი, ჯავარი, ზავთი, ბარაქა, დოვლათი. ყველგან ხორცი, მაგრამ არა უძვლო. ხორცი მსუქანი, თითქმის ქონიანი. სტილი მისი არ არის პლასტიური. პლასტიკას მარილი უფრო უყვარს, ვიდრე «მიწა». იგი ხორციელების ნაყოფია. როგორც ასეთი, იგი მიხვეულ-მოხვეულია, ხანდახან მიკიბულ-მოკიბული, ყოველთვის დაგრაგნილი, ოღრო-ჩოდროიანი, ჯანდიანი, მაგრამ მუდამ ფესვგრძელი, მუხლმაგარი, ტანბრვე, ტოტებაყრილი. და თავიდათავი: მწიფე, თესლიანი, ოჯახიანი. ხშირად მასში ხორცმეტეცაა, მაგრამ საერთო სურათში იგი მოსჩანს როგორც დიდი ბალი და ან როგორც მაგარი კორძი» («ქართული პროზისათვის»).

ქართული პროზის უმნიშვნელოვანეს ხარვეზად ის მიაჩნდა, რომ არ არსებობდა რომანი, ამ სიტყვის ევროპული გაგებით («ქართული რომანი»). ამას ბევრი ჩიოდა, მათ შორის არჩილ ჯორჯაძეც. გრიგოლ რობაქიძის სიტყვით, ამ ვითარებას თავისი საფუძველი ჰქონდა. კერძოდ ის, რომ «არ არსებობდა ქართული ტიპი: რასსიულ-ფსიხოლოგიურად სინტეტური» («ქართული რომანი»). თავის მხრივ კი სინტეტური ქართული ტიპის არარსებობა გამოწვეული იყო საქართველოს მძიმე ისტორიული ხვედრით. საქართველო იყო კოლონია, სახელმწიფოს ნაცვლად პროვინცია. «მთელი» გაქრა და «ნაწილები» დარჩა. ამ ვითარებაში სინტეტური ტიპი ვერ ჩამოყალიბდებოდა. რომანისათვის კი ამგვარი ტიპის არსებობა აუცილებელი იყო.

«ეტნიური თესლები: იბერი, ქართი, მესხი, კოლხი – ერთს მთლიან ქართულ სხეულში ჯერ კიდევ არ გადადუღებულან უკანასკნელი ჩამოსხმით. ყოველი მათგანი არსებობს თითქო «თავისათვის». ცალკეულად მთელის გარეშე. იმერი და ამერი: ეს ყოფის კატეგორიებია უფრო ვიდრე გეოგრაფიული დაყოფა. ფსიხოლოგიური სხვაობა აქ უმძაფრესია» («ქართული რომანი»).

სინტეტური ქართული ტიპის ჩამოყალიბებაში თბილისს უნდა შეესრულებინა არსებითი და გადამწყვეტი როლი. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

«თბილისი უნდა ყოფილიყო ესთეტიური მსაჯული: როგორც საქართველოს დედაქალაქი და როგორც ქართლის (მთავარი ეტნიური ჯგუფის) შუაგული. მაგრამ იგი ასეთ მსაჯულად ვერ იქცა. პირიქით: აქ ქართულ ტიპში საშინელი შერევა მოხდა. ჯერ სპარსული ხაზი და შემდეგ იგივე ხაზი სომხური კილოთი ამეტყველებული. შეიქმნა ტიპი «მოქალაქისა» და «ყარაჩოღელის». ტფილისის აშუღობა ამ ხაზზეა აგებული... ზედმეტია იმის შესახებაც ლაპარაკი, რომ ქალაქის (ამ შემთხვევაში ტფილისის) ცხოვრება, რომელიც უმთავრესად სარომანო მასალაა, ქართველ რომანისტს არ გამოადგებოდა» («ქართული რომანი»).

გრიგოლ რობაქიძის ორი სტატიის – «ქართული პროზისათვის» და «ქართული რომანი» – მიხედვით შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა:

ქართული რომანის არარსებობა შედეგია ქართული სინთეტური ტიპის არარსებობისა.

ქართული სინთეტური ტიპი არ ჩამოყალიბდა იმიტომ, რომ საქართველო აღარ იყო სახელმწიფო. კოლონიასა და პროვინციაში სინთეტური ტიპის ჩამოყალიბება არ ხდება.

მაგრამ გრიგოლ რობაქიძეს იმედი აქვს, რომ, რაკი აღდგა ქართული სახელმწიფოებრიობა, საქართველო დამოუკიდებელია, ქართული სინთეტური ტიპიც ჩამოყალიბდება და ქართული რომანიც დაიწერება.

მართლაც, ქართული პროზის ძიება და ქმედება ამ მიმართულებით წარმართა. გრიგოლ რობაქიძემ და საერთოდ, მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ქართულმა პროზამ, გააფართოვა პერსონაჟთა მოქმედების სივრცე და არე (მთელი საქართველო, ევროპა, რუსეთი, ირანი). გააფართოვება ხდება არა მარტო ჰორიზონტალური სივრცის, არამედ – ვერტიკალურისაც: მითოლოგიური ფესვების კვლევა, ღმერთის ძიება, წარმართობის, ქრისტიანობის და ათეიზმის ურთიერთმიმართების რკვევა. განხორციელდა სინთეტური ქართული ტიპის დახატვის ცდა.

გრიგოლ რობაქიძე ამ პროცესის აქტიური მონაწილეც არის და წამომწყებიც. მართალია, მისი ძირითადი რომანები – «ჩაკლული სული», «მეგი – ქართველი ქალი» (ამ რომანს მეორე სახელიც აქვს – «მედეას ნაწნავები»), «ქალღმერთის ძახილი, ანუ დალი», «გრაალის მცველნი» – გერმანიაში გამოქვეყნდა გერმანულად, მაგრამ ისინი ქართული პროზის მკვიდრი, ორგანული და მოუცილებელი ნაწილები არიან. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას: გრიგოლ რობაქიძის გერმანულად დაწერილ რომანებში ქართული სამყაროს ტრაგედია უფრო ნათლად ჩანს, ვიდრე სხვა მწერალთა ქართულად დაწერილ და საქართველოში გამოქვეყნებულ თხზულებებში (არ ვგულისხმობ მხოლოდ მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებას, სადაც ნაწინასწარმეტყველებია ყველა უბედურება, რაც საქართველოს დაატყდებოდა თავს). ეს ზუსტად შეამჩნია ფილოსოფოსმა ლეოპოლდ ციგლერმა. მან 1942 წლის 2 დეკემბერს ბარათი მისწერა გრიგოლ რობაქიძეს. ურჩია: «გველის პერანგი», «ჩაკლული სული», «გრაალის მცველნი» ერთად გამოეცითო «ქართული ტრილოგიის» სახელით. თქვენ ერთადერთმა მოახერხეთ რევოლუციის, ანუ ბოლშევიზმის სულიერი დამარცხება. ეს ტრილოგია ამის საბუთი იქნებაო.

ლეოპოლდ ციგლერი, საფიქრებელია, იმითაც დაინტერესდებოდა, რომ სსრკ-ში მომხდარ მოვლენებს გრიგოლ რობაქიძე განცალკევებულად არ განიხილავდა. მათ იგი ანალიზებდა ევროპულ-ამერიკულ სამყაროში მიმდინარე პროცესებთან ურთიერთკავშირში.

ივანოვი ეუბნება თამაზს («ჩაკლული სული»):

«ყველაფერი რაც საბჭოეთში ხდება, ხდება ყველგან. ნუ გიკვირთ. მიწის-ქვეშა დინებები აიღეთ, ისინი ყველგან ერთნაირია: ჩვენთან, ევროპაში, ამერი-

კაში. ჩვენთან ღმერთის წინააღმდეგ იბრძვიან, მისი მოკვლა სურთ. ამერიკასა და ევროპაში რაღა ხდება? იქ არ კლავენ ღმერთს, იქ იგი თავისით კვდება. ღმერთი მუდმივი წვაა... როცა ჩვენთან ვინმეს კლავენ, ეს დანაშაულია, მაგრამ არა ცოდვა. მორალური კანონი ძირფესვიანად აღმოფხვრილია ევროპასა და ამერიკაში? იქ უკვე კარგა ხანია ამორალური სულისკვეთება სუფევს... ქალი ძველ დროში საიდუმლოს წარმოადგენდა. სქესის წინაშე რიდი მეფობდა. ამაში კოსმიური სუნთქვა ისმოდა. ახლა კი? ჩვენთან, ევროპასა და ამერიკაში ეს საიდუმლო ჩანასახშივე მოშთობილია. რიდი სრულიად გაქრა. იქაც და აქაც სიყვარული ფიზიოლოგიური ხდომილებაა, მეტი არაფერი...

თუ ერთი სიტყვით შევაჯამებთ ამ პროცესს, ეს იქნება ღმერთის განდევნა სამყაროდან. ეს მოქმედება რენესანსში იღებს სათავეს, დღეს მის ნაყოფს ვიმკით. ახალი ადამიანი იზადება უღმერთო. მისთვის არ არსებობს საიდუმლო. არავითარი რიდი, არავითარი მოწიწება, არავითარი მისტიკა. შიშველი ყოფიერება, ნივთიერი: არსად მეტაფიზიკური, ფესვებშიაც კი არა. ეს არის ჩვენი ახალი თაობა. შეადარეთ იგი ამერიკულს – მხოლოდ «მინუს» ნიშანი დაუსვით წინ გარეგნული მხარის მოსაწესრიგებლად – და ვერავითარ განსხვავებას ვერ ვპოვებთ მათ შორის. ორივენი ერთი წრიდან მოდიან. ღმერთის ამოძირკვა ყოფიერებიდან – ეს არის კულტურის ახალი მიჯნა».

აქ მოჩანს არა მარტო არსებული ვითარება, არამედ ყოფიერების განვითარების მიმართულებაც. კაცობრიობა სრული კრიზისისაკენ მიდიოდა. თავის დროზე ამ კრიზისს ფრიდრიხ ნიცშემ მკაფიო სახელი დაარქვა – ღმერთის სიკვდილი. მერე ეს შეხედულება მოდური გახდა. ყველას პირზე ეკერა და წამდაუწყუმ იმეორებდა. მაგალითად, ლევ შესტოვი წიგნში – «Умозрение и откровение» – ვასილი როზანოვის შეხედულებათა შესახებ წერდა:

« ... როზანოვისათვის ქრისტიანობის იდეა უკავშირდებოდა უღმერთობის იდეას.

მისთვის რაღაცნაირად ქრისტიანობა დაკავშირებული იყო ღმერთის სიკვდილის იდეასთან.

როზანოვისათვის იყო ქრისტიანი ნიშნავს უარი თქვა ღმერთზე.

მას სჯეროდა, რომ ღმერთი მოკვდა «ბუნებრივი სიკვდილით». უფრო მეტიც, ღმერთის ბუნებრივი მდგომარეობა სიკვდილია».

თუ ერთი მხრივ, გრიგოლ რობაქიძე განიცდიდა ნიცშეს გავლენას, მეორე მხრივ, იგი აღტაცებული იყო როზანოვითაც და საერთოდ, რუსული «ღმერთ-მაძიებლობის» ფილოსოფიით... მან საგანგებო ესეი უძღვნა რუს მწერალს.¹

«ჩაკლული სულის» პერსონაჟის ივანოვისათვის დიდი ხიფათის მომასწავებელია ის, რაც მისი აზრით სსრკ-ში უნდა დამკვიდრდეს – უღმერთო კულტურა. ივანოვის შიშს ადასტურებს «გრაალის მცველის» პერსონაჟი ბოლშევიკი და გპუ-ელი¹ ველსკი. ადრე უკვე ითქვა იმაზე, მაგრამ ახლაც უნდა გავიმეორო.

ველსკი უმტკიცებს უცნობ თანამგზავრსა და ლევან ორბელს: მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის მიხედვით, ღმერთის უარყოფა ადამია-

ნის სრულ განთავისუფლებას ნიშნავდა. თუ ყმა ხარ, რა მნიშვნელობა აქვს იმას, ვისი ყმა ხარ – ადამიანისა თუ ღმერთის? თუ გეშინია, რა მნიშვნელობა აქვს იმას, ვისი გეშინია – ღმერთისა თუ ადამიანის? არსებობის ამოცანა და მიზანი ის არის, რომ ყმა არ იყო არც ღმერთისა და არც ადამიანის. არ გეშინოდეს არც ღმერთისა და არც ადამიანის. მაშინ იქნები თავისუფალი. ვერავითარ თავისუფლებას ვერ მოიპოვებ, თუ გეშინია და ყმა ხარ ღმერთისა. ამიტომ, ჩვენ, ბოლშევიკები, ღმერთის უარყოფით ადამიანებს სრულ თავისუფლებას ვანიჭებთ.

უღმერთო ადამიანი, უღმერთო საზოგადოება, უღმერთო კულტურა. ამის ჩამოყალიბება-შექმნა უნდათ ბოლშევიკებს. მაგრამ, თუ ამ მიმართულებით სსრკ-ში ხალხი მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას მიჰყავს, ევროპა-ამერიკაში იმავეს აკეთებს ტექნიკური ცივილიზაცია. ტექნიკური ცივილიზაციაც უღმერთო ადამიანს, უღმერთო საზოგადოებას, უღმერთო კულტურას აყალიბებს.

ტექნიკური ცივილიზაცია და მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა თითქოს ერთმანეთის დაუძინებელ მტრებად მოჩანდნენ, მაგრამ მიზნის თვალსაზრისით, მოკავშირენი აღმოჩნდნენ. მარქსიზმ-ლენინიზმი და ტექნიკური ცივილიზაცია ერთ ამოცანას ემსახურებიან. ამის გამო შედეგი სსრკ-შიც და ევროპა-ამერიკაშიც ერთნაირია: ადამიანის სულის გახრწნა და დაშლა, ზნეობრივი დაცემა-დაკნინება.

თავადი გიორგიც («გრაალის მცველნი») რწმენის დაკარგვას უჩივის: «საუკუნეების მანძილზე მიწას ან პატივს არ ვცემდით, ან ვებრძოდით. უკეთეს შემთხვევაში ვითმენდით. ჩვენ უკანმოუხედავად, მკრეხელურად შევბილწეთ მაგნა მატერ (დიდი დედა) და უკვე ვიგემეთ მწარე ნაყოფი. ღმერთისძეობისათვის (die Gottessohnschaft) ჩლუნგი და უუნარო გავხდით. მილიონობით ჩვენთავანისათვის სეფისკვერი მხოლოდდა აბად გადაიქცა. სიტყვამ შეისხა ხორცი – ეს საიდუმლო ჩვენთვის ოდენ იგავია. ნიშნავს კი მიწა აქ ლოგოსის დედის წიაღს! მიწის წიაღზე ისე ვმსჯელობთ, როგორც მატერიაზე. ასე გაქრა ლოგოსის ძალა ადამიანში. სულმა დაკარგა დამბადებელი სიზრქე, იგი ასე ვთქვათ, გაშიშვლდა და რაციოდ გადაგვარდა. უძლური შეიქნა რწმენის დასაბადებლად».

მართალია, შეცნობის უნარი კიდევ შერჩა ადამიანს, მაგრამ შეცნობა ვერ შეცვლის რწმენას. «რწმენა მეტია, ვიდრე შეცნობა – განუმარტავს თავადი გიორგი ნორინას. შევიცანი მე საგანი, მაგრამ იგი მაინც რჩება ჩემთვის ნივთად. ვიწამე მე რაღაც, იგი უკვე აღარ არის ჩემთვის უცხო, სხვა. მიჯნურისათვის ნანდაური არ არის მოწინააღმდეგე, სხვა არსება. იგი არის განუმეორებელი სახე, რომელშიც მიჯნური თავისთავს ისევ პოულობს. არავის, მთელ დუნაიზე, არა აქვს უნარი გამოხატოს ის სინამდვილე, რომელიც შეყვარებულთა შორის იქმნება. არადა იგი ქმედითად არსებობს. სხვისთვის იგი არ არის, მაგრამ შინაგანად დანახული იგი ყველაზე ნამდვილ რეალობად მოჩანს. გაივლის სიყვარული. შეყვარებულთა შორის დაისადგურებს სიცარიელე. შემაშინებლად გა-

უცხოებულნი დგანან ისინი ერთმანეთის პირისპირ. ზუსტად ასე ქმნის მორ-
წმუნე სინამდვილეს თავისთვის.

– ალბათ, წარმოსახვის ძალით? – წამოიძახა გაოგნებულმა ნორინამ.

– დიახ, მაგრამ ღვთაებრივი წარმოსახვის აზრით. წარმოიდგენს ღმერთი
რადაცას, მაშინვე აღმოცენდება რაღაც. ქმნადობის ეს ძალაა რწმენის საიდუმ-
ლო. შეცნობა აქ უძლურია».

რწმენა მაშინ არსებობს, როცა არსებობს ქმნადობის ძალა (Kraft des
Bildens). თუ არ არის ქმნადობის ძალა, არ არის არც რწმენა.

ეკლესიაში სიარული, პირჯვრის დაწერა, ხატის წინ სანთლის ანთება,
წირვა-ლოცვის მოსმენა, სახარების კითხვა არ შობს ადამიანში ქმნადობის ძა-
ლას. ამას წარმოქმნის დაძლევა შინაგანი გაორებულობისა, რაც უძველესი
დროიდან დამახასიათებელია ადამიანის ბუნებისათვის. დაძლევისათვის თა-
ვად გიორგის ის მთლიანობა მიაჩნდა აუცილებლად, რაც ადამ-კადმონის თვი-
სება იყო.

იუდაისტური მისტიკური ტრადიციის თანახმად, ადამ-კადმონი (ებრაუ-
ლად – თავდაპირველი ადამიანი) არის სამყაროს სულიერი და ნივთიერი პირ-
ველადე, ადამიანის არსის აბსოლუტური სულიერი გამოვლენა. ბიბლიური
ტექსტების ზოგიერთი განმმარტებელი ერთმანეთისაგან განასხვავებს ადამი-
ანს შექმნილს ღვთის ხატად და ადამიანს გამოძერწილს თიხისაგან. მათ ნარ-
კვევებში ნათქვამია ისიც, რომ ადამიანი შექმნილია არა ხატად ღმრთისად,
არამედ სახედ ადამ-კადმონისად. ადამ-კადმონი მიჩნეულია ზეციურ პირვე-
ლადედ. აქ ნასესხები უნდა იყოს, პლატონის კონცეფცია-იდეა, როგორც ზედ-
როული წინასახე საგნისა. ეს საფუძველს იძლეოდა ადამ-კადმონში გაერთი-
ანებული სახით წარმოედგინათ ქალური და ვაჟური საწყისი (მითოლოგიური,
ტრადიციისათვის, საერთოდ უცხო არ არის ორსქესიანი ღვთაებები). ადამ-
კადმონის იდეა პოპულარული იდეა იყო რუსულ «ღვთისმადიებლურ» ფილო-
სოფიასა და მწერლობაში. იოლი იყო იქიდან მისი გადმოსახლება გრიგოლ რო-
ბაქიძის შემოქმედებაში.

თავადი გიორგი იზიარებს აზრს, რომ კაცობრიობას ხიფათი ემუქრება.
მისთვის სულერთია, რას დავარქმევთ ამ ხიფათს – ცოდვას, დანაშაულს, დაცე-
მას. მთავარია ის, რომ იგი არსებობს. თავადი გიორგის ფიქრით, ხიფათის სა-
ფუძველია ადამიანის შინაგანი გაორება, შინაგანი ორჭოფობა, მთლიანობის
უქონლობა. ადამიანის გაყოფა მაშინვე მოხდა, როცა იგი ცოდვით დაეცა. ამი-
ტომ ცნობადის ხე ერთდროულად იყო გაყოფის, გახლეჩის ხეც. ყოფიერებაში
კაცობრიობამ დაკარგა განუყოფელობა. დაცემამდე ადამისათვის გაუგებარი
იყო კითხვა, რომელიც საუკუნეების მანძილზე აწვალეებს მოაზროვნეებს – რო-
გორ შემიძლია შევიცნო რაღაც, რაც მე თვითონ არ ვარ. ადამი სხვებს აღიქვამ-
და, როგორც სხვაა ჩემი. Das Sonderselbst-ს გრიგოლ რობაქიძე იყენებს «სხვაა
ჩემის» ბადალ ცნებად. ადამ-კადმონში განუყოფელად ერთად იყო, მთლიანო-
ბას წარმოადგენდა «მეც» და «სხვაა ჩემიც». ადამ-კადმონისებურ მთლიანობას
და განუყოფელობას შეუძლია დასძლიოს საკაცობრიო ხიფათი, კრიზისი. უფ-

რო მეტიც: «ალბათ, ადამ-კადმონი ერთდროულად იყო ადამიანი და ცხოველი, განუყოფელი ღმერთის წიაღში, – უმტკიცებს თავადი გიორგი ლევან ორბელს. – ახლა ადამიანი ნატრულობს თავის დაკარგულ ნახევარს, ნატრულობს ცხოველს. გასაგებია მითიური ადამიანი რატომ მიიჩნევდა ცხოველს წმინდანად, როგორც თაურმდგენს, როგორც ტოტემს. ბაბილონსა და შუმერში, უშუალო თაურცოდნის შემნახველში. კოსმოსური ზოდიაქოს ნიშნებად ტყუილად არ არის არჩეული ცხოველები – კურო, ვერძი, თხის რქა, ლომი, ღრიანკალი – ყველა ეს ცხოველი ხორცს ასხამს ადამ-კადმონის სხვადასხვა თვისებას, ერთდროულად რეალურსა და წარმოსახვითს».

მართალია, ცხოველს არა აქვს «მე» (უ-მე-ოა, ichlos), მაგრამ სამაგიეროდ მთლიანია, განუყოფელია. ეს განუყოფელობა ენატრება ადამიანს.

«უცნაურია, – ეპასუხება ლევან ორბელი თავად გიორგის, – როცა მე ვქმნი, საგანს ვუყურებ როგორც ცხოველი, ე.ი. არა საგნობრივად.

დიახ, – უდასტურებს თავადი, – ოცნებასა და ნათელხილვაში ჩვენ ცხოველებს ვემსგავსებით და ქმნა-შეთხზვა, ჩვენებურ ქართულ გამოთქმას თუ გამოვიყენებთ, არის თვალდია სიზმარი. ჰო, ჩვენ უხიფათოდ ვართ თვალდია სიზმარში მაშინ, როცა ცხოველები – ცხადში».

გრიგოლ რობაქიძის ფიქრით, არა მარტო ადამიანია ადამიანის მიმართ სხვადა ჩემი, არამედ ცხოველიც.

ადამიანისა და ცხოველის უცნაურ და საიდუმლო ერთიანობის სურათს გრიგოლ რობაქიძის თითქმის ყველა რომანში შეხვდებით.

«მეგი – ქართველი ქალი»:

ნაუ ბარქაიას უყვარდა ცხენები. ამაში იგი ნამდვილი მეგრელი იყო. მეგრელები ცხენში ყოველნაირ განძს მოგცემენ. მაგრამ ნაუს ცხენისადმი გრძნობა შეიცავდა კიდევ რაღაც სხვას. იგი ცხენში ეთაყვანებოდა სიცოცხლის თავდაპირველ ღვთაებრივ ძალას. ტყუილად არ იყო ნაუ ძველი კოლხების შთამომავალი. ანტიკური მწერლების რწმენით, კოლხები ეგვიპტელებს ჰგავდნენ. ისინიც კოსმოსურ ძალას ცხოველებში ხორცშესხმულს ხედავდნენ.

ნაუც გარეგნობით ძველ ეგვიპტელ ქურუმს მოგაგონებდათ. გამხმარი, სუფთად თავგადაპარსული. გამოხედვა მხნე და გაქვავებული. იგი ასხივებდა თაურადამიანის სიცოცხლის ძალას. მის წინაშე შიში და ძრწოლა იპყრობდა კაცს.

ძველეგვიპტელებს ღვთაებრივი შიში ჰქონდათ ცხოველთა მიმართ. აქედან მოდის მათი ფანტასტიკური წარმოდგენები – სფინქსები, ფასკუნჯები (რომელთაც ტურის სხეული აქვთ, არწივის თავი, სვავის ფრთები), გველისთავიანი ვეფხვები და სხვა უცნაური გამოხატულებანი.

ასეთივე ღვთაებრივი თაყვანისცემა ეუფლებოდა ნაუ ბარქაიას, როცა იგი ცხენს უყურებდა. «ნაუ განიცდიდა ცხენს როგორც ტოტემს, როგორც ღვთაებრივის სიმბოლოს და იგავს».

«ქალღმერთის ძახილი, ანუ დალი»:

ივლიტე დღენაკლული დაიბადა. ჩვილი გაფატრული უშობლის ცხელ ფაშეში გაახვიეს. იქ დაასრულა ზრდა და სიცოცხლის ძალა შეიძინა. ივლიტე, როცა დაქალდა, ჩინებული მოჯირითე გახდა. დააქროლებდა თავის «ლურჯას» ჭალადიდის ველებში (მიაქციეთ ყურადღება: ნაუ ბარქაიაც ჭალადიდის ტყეებში ნადირობს). ქალი და ცხენი ერთარსებასავით არის.

უფრო შორსაც მიდის გრიგოლ რობაქიძე.

სიზმარში ივლიტეს ვაჟი ირმის სახით გამოეცხადა. ირემმა ქალთან თანაყოფა მოისურვა. დამფრთხალი ივლიტე ცაცხვად გადაიქცა. მაგრამ ირემი არ დამშვიდდა. იგი «აიმღვრა, ახელდა, აბორგდა. ეძგერა ხეს რქებით და იწყო მისი რქენა გამმაგებით. რქენა ბრაზიც იყო და ალერსიც. ქალწულისათვის შიში აღარ იყო. ალერსის სიტკბო ეხლა ხეში იღვრებოდა. იღვრებოდა მის ფესვებში, მის ტანში, მის ტოტებში, მის ფოთლებში...». როგორც ხედავთ, ვაჟისა და ქალის თანაყოფა სახიერდება ცხოველისა და ხის ურთიერთობაში.

«გველის პერანგი»:

დოგი «აღლანი» არჩიბალ მეკეშის საყვარელი ცხოველია. ძალი ყველგან თან ახლავს პატრონს. ესმის არჩიბალდის სურვილი. ზოგჯერ წინასწარ გრძნობს მოახლოებულ საფრთხეს. ყოველთვის შემართულია და ეხმარება პატრონს. ერთხელ სიკვდილსაც გადაარჩინა. სპარსეთში არჩიბალდ მეკეში და მისი თანამგზავრები ბანდას გადააწყდნენ. გაჩაღდა ბრძოლა. არჩიბალდმა ერთი კოლტი დასცალა. მეორე უნდა აიღოს. უცბად «მოვარდნა უზარმაზარ ქურთის გაშიშვლებული ხმლით. ერთი წამი და არჩიბალდ მეკეში უნდა დაეცეს მოკვეთილი. მაგრამ «აღლანის» შეტევა და ერთი ნახტომით ქურთის ხრამში გადაგდება».

აქაც ადამიანი და ძალი თითქოს ერთარსებაა.

გრიგოლ რობაქიძის შეხედულებით, ადამიანი სხვა ადამიანთან, ცხოველთან, მცენარესთან და საერთოდ მთელ სამყაროსთან საიდუმლო მისტიკური ძაფებით არის დაკავშირებული. ისინი ერთიანი არიან. ყველაფერი, რაც ადამიანის გარშემოა, არის მისი სხვა. გრიგოლ რობაქიძის «ჩემი სხვა» არსებითად იგივეა რაც «უპანიშადებში» გატარებული აზრი ყველა არსებულის ერთიანობისა: ტატ ტვამ ასი – შენ ხარ ის.

როცა პირველად «გველის პერანგი» დაიბეჭდა, პაწია კორექტურული შეცდომა გაიპარა. მერე ამ შეცდომას ყველა გამოცემა იმეორებს. ამ კორექტურამ ჰამადანში ქვაზე ამოჭრილი წარწერა ოდნავ ბუნდოვანი გახდა. ამჟამად დაბეჭდილია ასე: «ჩემი ძმა არყოფილი ვითარ მიყვარდეს უმეტეს მზისა და უმეტეს ხმალისა რამეთუ იყო იგი სხვა ჩემი». «ვითარ» ერთად კი არ უნდა იყოს დასტამბული, არამედ ცალცალკე – ვით არ (როგორ არ). გრიგოლ რობაქიძე დაეჭვებული კაცის კითხვას კი არ სვამს – როგორ (ვითარ) მიყვარდესო ჩემი ძმა მზესა და ხმალზე უმეტესად, არამედ რწმენით სავსე ადამიანის აზრს გამოხატავს – როგორ არ (ვით არ) მიყვარდესო მზესა და ხმალზე უმეტესად. ამიტომ მომავალში ასე უნდა დაისტამბოს: «ჩემი ძმა არყოფილი, ვით არ მიყვარდეს უმეტეს მზისა და უმეტეს ხმლისა, რამეთუ იყო იგი სხვა ჩემი». თუ ჰამა-

დანში ხვლიკისფერ ქვაზე წარწერილს ასე გავიგებთ, მაშინ არამარტო «უპანი-შადების» დებულების ამოკითხვა შეიძლება იქ, არამედ იმისაც, რაც იესომ უთხრა მწიგნობარს – მეორე მცნება გახლავსო, «შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი» (მარკოზ, X11, 31).¹

გრიგოლ რობაქიძე მთლიან, განუყოფელ ადამიანზე ოცნებობდა. იმ ადამიანზე, რომელიც შინაგანი ეჭვიანობით, ორჭოფობით დარღვეული და დაშლილი არ იყო. ასეთად არის დახატული არჩიბალდ მეკეში, ვამეხ ლაშხი, ლევან ორბელი, თავადი გიორგი... ამათი საპირისპიროა თამაზ ენგური, რომელსაც მთლიანობა-განუყოფელობის ძალა არ ეყო. დაიშალა და, უნებლიეთ, მეგობრის გამცემი გახდა.

გრიგოლ რობაქიძეს ნაკლებად აინტერესებდა შიშით, ეჭვით, ორჭოფობით შეპყრობილი ადამიანები, რომელნიც მუდამ გზაჯვარედინზე დგანან და ვერ გადაუწყვეტიათ საით წავიდნენ, რა მიმართულება აირჩიონ. პირიქით, იგი ყოველთვის ცდილობდა დაეხატა მთლიანი, ძლიერი, შეუპოვარი და უდრეკი ადამიანები, ვისთვისაც მიზანი ყოველთვის ნათელია. ვინც მიზნისაკენ მიმავალ გზას არ გადაუხვევს. ჰიტლერთა და მუსოლინით იმიტომაც მოიხიბლა, რომ მათში ამგვარი მთლიანობა და სიმტკიცე დაინახა. ჰიტლერზე ხაზგასმით აქვს ნათქვამი: იგი არ დაიხვევს შიშით უკან, საზარელიც რომ დაინახოს (er schrecke nicht zurück, sähe er das Unheimliche). ასევეა გამოგონილი პერსონაჟებიც არჩიბალდ მეკეში, ვამეხ ლაშხი, ლევან ორბელი, თავადი გიორგი, მეგი და სხვანი. თუ ადამიანში ცნობიერი «მე» და ქვეცნობიერი «მე» ერთმანეთს დაუპირისპირდა, მაშინ ადამიანი იშლება, კარგავს წინააღმდეგობის ძალას.

ეჭვით, ორჭოფობით, შიშით შეპყრობილი ადამიანი რწმენას, იმედს ვერ გადაარჩენს. ვერც ხალხს გაუძღვება წინ აღთქმული მიზნისაკენ. გრიგოლ რობაქიძეს კი სწორედ ასეთ მთლიან და მტკიცე ადამიანებს ეძებდა, თუ სინამდვილეში არა, მხატვრულ გამონაგონში მაინც.

თუ ადამიანის «მე» გაბზარულია ცნობიერად და ქვეცნობიერად, მაშინ ის პროცესი იწყება, რასაც თვითონ გრიგოლ რობაქიძე «სულის დაშლას» უწოდებდა. დაიშალა ბერზინის სული. თამაზ ენგურის სულიც დაიშალა («ჩაკლული სული»). მაგრამ არ დაიშალა არც თავადი გიორგის სული და არც ლევან ორბელის სული («გრაალის მცველნი»). ამა თუ იმ სახით, ოთხივეს ბოლშევიზმთან დაპირისპირება მოუწია. ორმა პიროვნებამ გაუძლო, ორმა – ვერა. თუ ამ მოვლენის ამოხსნას მოვიწადინებდით, შეიძლებოდა მარტივი პასუხის მოძებნა – ვისი «მეც» გაბზარულია, ის ძალადობას ვერ უძლებს. ვისი «მეც» მთლიანია, იგი უმკლავდება ყოველგვარ ძალმომრეობას. ეს მთლიანობა აპირობებს ადამიანის ბედს, რადგან «არსის ხვედრი არსშია თვითონ» («გველის პერანგი»). გარეგანი პირობები და ფაქტორები ერთობ მცირე როლს ასრულებენ.

გრიგოლ რობაქიძეს უნდოდა აპოკალიპსურ შიშს წინ აღდგომოდა დიონისური ლხენით, სიხარულით, დღესასწაულით და მოყვასის ქრისტიანული სიყვარულით. დიონისურ დღესასწაულს იგი «გაიხარე-გამახარეს» ფორმუ-

ლით გამოხატავდა, ხოლო მოყვასის ქრისტიანულ სიყვარულს – «სხვად ჩემით». მათი შერწყმა-შეერთებით ადამიანი იმ ძალას შეიძენდა, რომელიც დაამარცხებდა აპოკალიპსურ შიშს. აქედან გამომდინარე შეიძლებოდა გვეთქვა, რომ გრიგოლ რობაქიძის მსოფლმხედველობის სახელია დიონისური ქრისტიანობა.

იზოლაცია

შვეიცარიაში ჩვიდმეტ წელიწადს გაატარებს გრიგოლ რობაქიძე, 1945 წლის აპრილის ბოლოდან 1962 წლის 19 ნოემბრამდე. გარეგნულად მშვიდი და წყნარია ეს წლები. შინაგანად კი – მეტად დაძაბული და მტკივნეული. გრიგოლ რობაქიძე გარეა ევროპულმა კულტურულმა ცხოვრებამ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგდროინდელი ევროპული სინამდვილისათვის უცხო და მიუღებელია ქართველი მწერლის შემოქმედება. მისი სახელი თანდათანობით დავიწყებას ეძლევა. გრიგოლ რობაქიძე ამას ვერ ეგუება და ეთვისება. ცდილობს როგორმე გაარღვიოს ჩიხი, რომელშიც მოექცა. მეგობრებიც ცდილობენ დაეხმარონ, მაგრამ არაფერი გამოდის. ერთი ამგვარი დახმარების მცდელობა მკაფიოდ გვისურათებს გრიგოლ რობაქიძის გარშემო შექმნილ ვითარებას.

1948 წელს, შვეიცარიელი რელიგიური ფილოსოფოსისა და მითოლოგოსის დეკერისათვის გრიგოლის ძველ მეგობარს არნიმ ზიგრისტს ურჩევია – მოეწყოთ შეხვედრა ქართველ მწერალთან. ეს შეხვედრა უნდა მომხდარიყო ტიჩინოს კანტონში, ლოკარნოს ახლოს, ლაგო მაჯორეს პირას, დაბა ასკონაში. ზიგრისტმა ადრე სთხოვა შეხვედრაზე თანხმობა გრიგოლ რობაქიძეს. გრიგოლს ეს ძალიან გაუხარდა. მაშინვე, 1948 წლის 7 მაისს, წერილობით დაუდასტურა შეხვედრის თანხმობა.

«ძვირფასო ბატონო ზიგრისტ!

ეს-ეს არის მივიღე თქვენი გულითადი წერილი. თანახმა ვარ. მიხარია. უგულითადესად და უმორჩილესად თქვენი გრიგოლ რობაქიძე».

მაგრამ შვეიცარიელ შამფურა-მოქალაქე¹ დეკერს სიფრთხილე გამოუჩენია. რჩევა უთხოვნია დოქტორ მოეშლინისა და პროფესორ პაეზისათვის – საშიში ხომ არ იქნება გრიგოლ რობაქიძის დაპატიჟებაო. «საშიშროებას» დეკერისათვის ცხადია, ის ქმნიდა, რომ გრიგოლ რობაქიძეს ესეები ჰქონდა დაწერილი ჰიტლერსა და მუსოლინიზე.

«მე არ მოვითხოვ, რომ მომხსენებელი, თანაც ქართველი, მისი დემოკრატიული შეხედულების მიხედვით შემოწმდეს. ეგზოტისაგან გასაგებია, ნაცისტების ტყუილს რომ წამოეგო, მაგრამ სულის (გაისტის) აშკარა მოლატის დაპატიჟებაც ხომ არ შეგვიძლია», – თავს იმართლებს დამფრთხალი დეკერი.

შეხვედრა და მოხსენება ივლისში იყო დაგეგმილი. 14 ივლისს დეკერმა გრიგოლ რობაქიძეს აცნობა: გამოუგზავნიდნენ მესამე კლასის ბილეთს – ჟენევა-ასკონა და უკან. გრიგოლი მოხსენებას უპონორაროდ წაიკითხავდა. სამაგიერ-

როდ 10 დღე დარჩებოდა ასკონაში სტუმრად დეკერების ოჯახში. მაგრამ დეკერი შემპარავად ჰიტლერზე დაწერილ ესეისაც ითხოვს წასაკითხად. ეს იმიტომ უნდა, რომ «ჩვენ (ჩემმა ცოლმა და მე) შევძლოთ აზრი შევიქმნათ თქვენზე. თან კარგა ხანია ზაფხული დაიწყო. თქვენი მოხსენება სექტემბერში უნდა გადავიტანოთ. ივლისი და აგვისტო, სხვადასხვა მიზეზის გამო, არ არის გამოსადეგი. მანამდე კი შესაძლებელია მდგომარეობა კარგად გაირკვეს და, იმედია, სასიკეთოდ».

დეკერის კუდის ქიციანმა გრიგოლ რობაქიძე გააღიზიანა. 1948 წლის 25 ივლისს მან დეკერს მისწერა:

«დიდად პატივცემულო დოქტორო დეკერ!

მხოლოდ დღეს ვახერხებ თქვენი 14 ივლისის ბარათზე პასუხს. აქამდე შინაგანად ძალიან დაკავებული ვიყავი. 1. მე ვერ ვიტყვოდი, რომ ჩემი «ძლიერ სადაო» ნაწერის გამო შევიცარიის მხრიდან, «თავს დამესხნენ». ის, რომ აქ თითო-ოროლა ადამიანმა ზურგი შემაქცია, ხომ არ შეიძლება თავდასხმად ჩაითვალოს. 2. ჩემი «ახსნა-განმარტება» აქაური რამდენიმე კომპეტენტური უწყებისათვის ცნობილია. ვასახელებ მათ – ფედერალური პროკურატურა და კონფედერაციის თავშესაფრებისა და ბანკების ცენტრალური მმართველობა. 3. შევიცარიამ დიდსულოვნად შემიკედლა და მიმდინარე წლის მარტში, ქვეყანაში დიდი ხნით დარჩენის უფლება მომანიჭა. 4. ჩემთვის ცხადია, რომ თანამედროვეობა, რომელსაც აგრერიგად აწამებს დროსმიტმასნილი «ფსიქოლოგიზმები», ჩემს ახსნა-განმარტებაში გატარებულ აზრს ასე ადვილად ვერ დაეთანხმება. მე კი მტკიცედ მწამს, რომ ჩემი ახსნა-განმარტება, რომელიც ავადსახსენებელი ნაწარმოების შინაგანი *«განზრახვის სკნელში»* ჩაახედებს ნებისმიერ *მიუკერძოებელ პირს*, იძლევა საშუალებას ჩემი შემთხვევა სულ ცოტა *განსაკუთრებულ შემთხვევად* მაინც განიხილონ. 5. ამიტომ კიდევ უფრო გამაოგნებლად იმოქმედა ჩემზე თქვენმა სტრიქონებმა – თითქოს ჩემი თავდამცველი წერილი «ჰაერში დარტყმის» შთაბეჭდილებას ტოვებს მანამ, სანამ თავად ნაწარმოები არ იქნებაო წაკითხული. 6. სამწუხაროდ, მე არ მაქვს აქ არც ერთი ეგზემპლარი ამ ნაწარმოებისა, თორემ დიდი სიამოვნებით, თქვენი სურვილის შესაბამისად, გამოგიგზავნიდით. მაგრამ არა იმის იმედით, რომ საქმე გაირკვეს ისეთნაირად, როგორც თქვენ მიუთითებთ და თანაც «სასიკეთოდ». ვინც ზემოთ მითითებულ ჩემს თავდამცველ წერილზე მსჯელობს, იგი, ჩემი გრძნობით, ნაწარმოებთან მისასვლელ სწორ გზას თავად იპოვნის. თქვენ ლაპარაკობთ პატიოსნად და ღიად. ასევე ვლაპარაკობ მეც პატიოსნად და ღიად. 7. სურთ დღეს ჩემი სიტყვის წაკითხვა ან მოსმენა – ძალიან კარგი. არ უნდათ – პირადად მე არაფერს ვკარგავ, რადგან საუკუნეებს ველაპარაკები. 8. უნდა დავამატო ისიც, რომ ჩემთვის დიდ «საზოგადოებაში» მოხსენების წაკითხვა სასიამოვნო არ არის. უპირატესობას ვანიჭებ ვიწრო წრეში ინტიმურ საუბარს, პიროვნებისა პიროვნებასთან.

თქვენ და თქვენ ცოლს ყოველივე საუკეთესოსა და ნათელს ვუსურვებ.

ღრმა პატივისცემით გრიგოლ რობაქიძე» (წერილში ზოგიერთი სიტყვა ხაზგასმულია თავად ავტორის მიერ – ა.ბ).¹

არ ვიცი, ჩატარდა თუ არა ასკონაში გრიგოლ რობაქიძესთან შეხვედრა. უფრო ის უნდა ვიფიქროთ, რომ, ამ წერილის შემდეგ, იგი აღარ შედგებოდა.

ამკარაა: გრიგოლ რობაქიძის მიმართ დამოკიდებულება ძირეულად შეიცვალა. ისიც მთელი ძალღონით ცდილობს გაარღვიოს გულცივობის ალყა. არაფერი გამოდის. შიში – ნაციზმის თანაგრძნობა არ დამბრალდესო – იმდენად დიდია და თავზარდამცემი, რომ ყველა პირს არიდებს გრიგოლ რობაქიძეს. თუ 30-იან წლებში ნაციზმი უსწორდებოდა მტრებს დაუნდობლად, 40-იან და 50-იან წლებში კომუნისტური დიქტატურა და ევროპულ-ამერიკული დემოკრატია ავლებს მუსრს ნაციზმისადმი თანაგრძნობით გამსჭვალულებს. «სიცხე სწავს, ყინვა დააზრობს, წყლული ორჯერვე სტკივიან».

უშედეგო ბრძოლას მაინც აგრძელებს გრიგოლ რობაქიძე.

1950 წლის 17 ივლისს ბარათი გაუგზავნია ფრანგი მწერლის მარსელ ბრიონისათვის. ეს წერილი მრავალმხრივ არის საყურადღებო. ჯერ ერთი იმით, რომ გრიგოლ რობაქიძე ჩამოთვლის იმ თხზულებებს, რომელნიც უკანასკნელ ხანებში, შვეიცარიაში ცხოვრების დროს, დაუწერია. საერთოდ, იგი კმაყოფილია იმით, რომ მეტად ნაყოფიერად მუშაობდა შვეიცარიაში. მეორეც, ამავე ბარათში ისევ უბრუნდება საკითხს – რატომ დაწერა ესეები – «ადოლფ ჰიტლერი» და «მუსოლინი». ცდილობს ფრანგი მწერალი დაარწმუნოს, რომ არც «ადოლფ ჰიტლერია» ნაცისტური თხზულება და არც «მუსოლინი» – ფაშისტური.

ამ ბარათის მიხედვით, 1945-50 წლებში გრიგოლ რობაქიძეს დაუწერია წიგნები – «ისრაელი, როგორც საიდუმლო და ბედისწერა» და «ფრიდრიხ ნიცშე», ესეები – «იზისის წყაროსთან», «ვინსენტ ვან გოგი», «დაუბადებელი სიტყვა, როგორც პოეზიის პირველწყარო», «ატომის გახლეჩა», «ტექნე და მითოსი», «თომას მანის დოქტორ ფაუსტუსი». სამწუხაროდ, არცერთ ამ თხზულებას ჯერჯერობით ჩვენ არ ვიცნობთ. ისინი, ალბათ, მწერლის იმ არქივშია, რომლითაც ამჟამად სარგებლობა არ შეგვიძლია.

გრიგოლ რობაქიძე გახარებულია. 18 ივნისს მარსელ ბრიონს მისთვის მიუწერია: «მომლოდინე, ძალიან კმაყოფილი ვიქნები, თუკი წავიკითხავ წიგნებს, რომლებშიც თქვენი ლამაზი ტალანტია გამოვლენილი და ვნახავ მათ ფრანგულად თარგმნილს. მალე გავარკვევ, რაც კი შესაძლებელი იქნება ამისათვის». ამ სტრიქონების წაკითხვისას, სიხარულთან ერთად, პატარა შიშიც გასჩენია: როცა მარსელ ბრიონი შეიტყობს, რომ ჰიტლერსა და მუსოლინიზე წიგნები მაქვს დაწერილი, ვაითუ, აზრი შეიცვალოსო. ვიცი: ასე ბევრს მოუვიდა. მარსელ ბრიონსაც ასე რომ დამართოდა, 17 ივლისის ბარათშიაც იძულებულია განმარტოს – რას წარმოადგენს ეს ესეები.

კითხვებს თვითონვე სვამს და პასუხსაც თავად იძლევა. სანიმუშოდ ორიოდვე ადგილს მოვიტან.

«კითხვა: რა იყო ჰიტლერიზმში წიდისაგან გასაწმენდი? ყველაფერი მხოლოდ წიდა არ იყო?»

პასუხი: პრინციპები – ვგულისხმობ: რასა (ჯიში), სისხლი, მიწა, ხალხი – ჰიტლერიზმის მიერ თავისთავად სწორად იყო მიგნებული. ნუ შეგეშინდებათ. ოსკარ გოლდბერგის გენიალურ წიგნში – «ებრაელთა სინამდვილე» – ეს პრინციპები ისე შემადრწუნებლად ღრმად არის მოცემული და დადასტურებული, რომ, მასთან შედარებით, როზენბერგის მთელი «მე-20 საუკუნის მითი» ბავშვის თამაშით გამოიყურება. ხომ არ შეიძლება ავტორი, ებრაელი, ჰიტლერიზმში დავადანაშაულოთ? მაგრამ ისინი – რასა (ჯიში), სისხლი, მიწა, ხალხი – ჰიტლერულ მოძრაობაში უსუფთაოდ იყო წარმოჩენილი. უსუფთაოდ, რადგან არასწორად იყო გაგებული და ყოფიერებაში გადატანილი. არ იყო საჭირო ბავშვის გადაგდება აბაზანასთან ერთად»

გრიგოლ რობაქიძეს პრინციპები – რასა, სისხლი, მიწა, ხალხი – მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დროინდელი სინამდვილისათვის გადამწყვეტ ფაქტორებად მიაჩნდა. მისი აზრით, ყოველი ნამდვილი კულტურა ინდივიდუალურიც იყო და უნივერსალურიც ერთდროულად. კულტურა «საერთოდ» იყო კულტურა «ანონიმური». ინდივიდუალურობას კი შემოქმედებასა და კულტურას ჯიშის, სისხლის, მიწის, ხალხის სწორად გაგება ანიჭებდა. ალბათ შეიძლებაო, უმტკიცებდა იგი მარსელ ბრიონს, «ღვთაებრივი კომედია» ესპერანტოზე ითარგმნოს, მაგრამ ვერცერთი დანტე ვერ მოახერხებდა თავდაპირველად ეს პოემა ესპერანტოზე დაეწერა, რადგან მის შექმნაში, გარდა თავად პოეტ-შემოქმედისა, ენაც მონაწილეობდა, ამ შემთხვევაში იტალიური. აგრეთვე სულიც. ერთი რასა, ერთი ხალხი, ერთი ენა ქმნიდა. სწორედ აქ მუშაობდა და ვლინდებოდა ღვთაებრივი მრავალფეროვნება. მრავალფეროვნების, მრავალსახოვანების თვინიერ კულტურა უსახური ხდებოდა. უსახური კულტურა კი საერთოდ კულტურის სიკვდილს მოასწავებდა.

იმისაც ერიდებოდა: რასაც ბარათში ამბობდა, ვისმეს თავისმართლებად არ მოსჩვენებოდა. ამის გამო ასეთ კითხვასაც სვამდა – ვგრძნობ თავს სრულიად უდანაშაულოდ?

«პასუხი: «ჩემ განმარტებას» ვამთავრებ შემდეგი სიტყვებით: ყოველი მცდელობა შედგება ან არ შედგება. თუ შედგა, მაშინ მოგებული ვართ. თუ არ შედგა, მაშინ წაგებას ვიმკით. მეორე შემთხვევაში მცდელობას «ცდუნების» გემო დაჰკრავს. მაგრამ რაღაცას წაგებაშიც ვპოულობთ, სახელდობრ: გაგებას. ვფიქრობ და ვასკვნი: ჩემს მცდელობაში ჩემს ძალებს იმაზე მეტი დავაკისრე, რაც შეეძლოთ. ამაში ვხედავ ჩემს დანაშაულს, რაზეც სხვა *ადგილას* პასუხი უნდა ვაგო, რასაც ვაკეთებ» (ბარათში anderswo ხაზგასმულია. ალბათ, ღმერთის წინაშე პასუხისმგებლობას გულისხმობს – ა.ბ.).

ზოგადად სულის ძალას გრიგოლ რობაქიძე, გადამწყვეტ და არსებით მნიშვნელობას ანიჭებდა. მიაჩნდა, რომ «სიბნელის ძალა სულის უღონობაში იდო». სულის ძალა რომ არ დაეკარგა, განუწყვეტელ შემოქმედებით შრომას ეწეოდა. თუმცა მისი შემოქმედება აღარ აინტერესებდათ. გერმანულენოვან

სამყაროში იგი თანდათანობით ავიწყდებოდა პუბლიკუმს. ამის მიზეზი მარტო ის არ ყოფილა, რომ გრიგოლ რობაქიძე ავტორი იყო «ადოლფ ჰიტლერისა» და «მუსოლინის». უფრო რთული და არსებითი მიზეზიც არსებობდა. გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება ეკუთვნოდა სიტყვაკაზმული მწერლობის იმ სახეობას, რომელსაც გერმანელები უწოდებენ Blut-und Bodenliteratur-ს (მიწისა და სისხლის ლიტერატურა). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ სახეობის ლიტერატურა საერთოდ მიეცა დავიწყებას. მიწა, სისხლი, რასა, ჯიში მკითხველს ნაციზმსა და ფაშიზმს ახსენებდა. ყველას შიშით აცახცახებდა და მათი გაგონება აღარ უნდოდა. შეხედულებანი ნელნელა იცვლებოდნენ და კოსმოპოლიტურ ხასიათს იღებდნენ. როგორც ჩანს, გრიგოლ რობაქიძეს ეს პროცესი გამოეპარა. ამიტომ გაკვირვებული იყო იმ გულგრილობით, რასაც მის შემოქმედებისადმი იჩენდა ახალი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგდროინდელი, თაობა. ამ გულცივობას სხვაგვარად ხსნიდა მიხეილ წერეთელი:

«შენი წიგნები მკითხველთა «მასსისათვის» არ არის დაწერილი, არც საშუალო «განათლებული» მკითხველისათვის, – მათ უმეტეს ნაწილად კრიმინალური რომანები უფრო მოსწონთ, ან ტლანქი «რეალიზმი», – არამედ «არისტოს»-ებისათვის სულითა და გულითა. ასე სჯობდა, ძვირფასო გრიგოლ: ამათ დავიწყება არ იციან იმისა, რაც კეთილია და კეთილშობილი, რადგან თვით არიან კეთილნი და კეთილშობილნი და მათ არც შენ წიგნებში აღსახული საქართველო და ქართველი დაავიწყდებათ. ხოლო «მასსამ» მალე იცის დავიწყება: იგი «მოდის» მიმდევარია...» («ბედი ქართლისა», 1964 წ., _47, გვ. 14).

საზოგადოებრივი იზოლაცია და ოჯახური მარტოობა (განსაკუთრებით ელენე ფიალკინას გარდაცვალების შემდგომ) აუტანელი ხდებოდა. ელენე პოგორელოვა ავსტრალიაში ცხოვრობდა, ქმარ-შვილთან ერთად. ბარათებით თუ შეეხმიანებოდა ზოგჯერ ბიძასა და გამზრდელს. სულ მარტოობას მოხუცთა თავშესაფარში ყოფნა სჯობსო, – წერდა იგი გრიგოლ რობაქიძეს და ურჩევდა იქ გადასვლას. მაგრამ გრიგოლი ასე არ ფიქრობდა. მიუხედავად ასაკისა, არც სულიერი ენერჯია აკლდა და არც ხორციელი. ოღონდ უფრო ხშირად და ხშირად აწუხებდა სამშობლოზე ფიქრი. ენატრებოდა იგი.

«ვზივარ აივანზე და ვერთვი ნელნელ მდინარის ხმაურს, ჩაფიქრებული... «არვეს» უხმობენ. ხანდახან მგონია: რიონი თუა იგი ანდა მტკვარი. ხოლო ვამჩნევ, რომ მას აკლია ძალაყრილი რიხი პირველის და ძლევამჯერი სიმდოვრე მეორესი: მზე უხვად ეფინება ჩემს ბინაში. მაგრამ იგი არაა «ცხრათვალა», როგორც ჩვენში: მყუდრო თალარში აციალებული. ვიხილავ კვლავ შენს სამფლობელოს, დიდო კარდუ: საქართველოს ან «საკარდუელოს!»... გული კბენარა გზნებს და ტკივილი უხვად გადადის ფიქრებში... და ასე დღე-ყოველ: დედულსა და მამულს მოწყვეტილი, შევეჩვიე ბედს, «ბედზე მიგდებული»... «რამ შეგაურვა?» – მესმის შენი ხმა: სულმალხენარი, დანელებული, ხოლო თანვე მტკიცე და მაგარი. «განრიგებასა ღვთისა არა შეემართების რა...» («ბედი ქართლისა», 1964წ., _47. გვ.34).

მიეძინება ასე დრო. სადაც არის ოთხმოცი წელი მიუკაკუნებს გრიგოლს კარზე. არ იცის, რომ მისი სიცოცხლის უკანასკნელი ორი წელი სხვანაირი იქნება. ახალგაზრდა ქალი მოვა მის ცხოვრებაში – გრაფინია გიტა ფონ შტრაზვიტც. ორმოცდარვა წლით უფროსი იყო გრიგოლი გიტაზე (გიტა 1928 წელს დაიბადა). გრიგოლი იღებს ამ სიყვარულს, როგორც ღმერთის Wundergeschenk (სასწაულ საჩუქარს). როგორც უდაბნოში დაღლილ-დაქანცული ქარავანი შემთხვევით წააწყდება წყაროს და გამოცოცხლდება, ასე შემხვდი შენ, – წერს ქართველი მწერალი გერმანელ ქალს. ნაირნაირ საალერსო სახელს უწოდებს – ჩემო სამოთხისმიერო მეგობარო: ენგადი! ჩემო შეუდარებლო შეყვარებულო! ჩემო მისტიურო მეუღლე: ჰათორ! (ჰათორი ძველევგიპტურ მითოლოგიაში ცის ქალღმერთია. აგრეთვე სიყვარულის, მხიარულების, ცეკვა-სიმღერის უფალი. ძველი ბერძნები მას აფროდიტესთან აიგივებენ).

ქალი გრიგოლს დიონისეს უწოდებს. ამ სახელითაც გახარებულია კაცი. გიტა არწმუნებს: ჩემი მეორე სახელია ათანასია. ათანასია ბერძნულად უკვდავს ნიშნავს. შენც უკვდავი იქნებიო ჩემში.

მსოფლიო ლიტერატურაში არსად შემხვედრია ისეთი სიყვარული, როგორც ჩვენია, – ეპასუხება გრიგოლი. ალბათ, იგი ჰგავს ჩემი ნორინასა და ლევანის სიყვარულს («გრეალის მცველნი»). როგორც ნორინა, ზუსტად ისე დგახარ შენ «მზის გზაზე». მაგრამ იმათი სიყვარულისაგან განსხვავებით შენი დაბადებულიაო მისტიკური თაურწიალიდან.

გრიგოლი წერილების ბოლოს თითქმის ყოველთვის ქართულად აწერს – გფარვიდეს ლაშარი! ქალმა იცის, ვინ არის ლაშარი. საერთოდ უყვარს მითოლოგია. გიტა მხატვარია. კარგად იცნობს ანტიკურ მითოლოგიურ სამყაროს. მითოლოგია გრიგოლისათვის, დედა-თემაა. ამ გზით უნდა შემოიყვანოს ქართულ სამყაროში გიტა.

როცა სასიხარულო ამბავს შეიტყობს, კვებნას იწყებს. «გუმინ დიდი სიხარული განვიცადე, როგორც ქართველმა. კალათბურთში ევროპის თასზე თბილისის «დინამომ» მადრიდის «რეალს» მოუგო. ფანტასტიკურია! საქართველო ცოცხალია! გაუმარჯოს საქართველოს!» – უზიარებს აღტაცებას გიტას.

ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი რომ ნახა და «ქართული გენია როკვით განფენილი» დაწერა, სტატია გიტას გაუგზავნა: დავბეჭდოთ და საქართველოში როგორმე გავავრცელოთო. როცა ვენაში ექნებათ კონცერტი, ეს ანსამბლი აუცილებლად ნახეო. უყურე, სწორუპოვარ ქართველ გოგოებსა და ბიჭებს.

გრიგოლი ღელავს. ვერ ისვენებს. რაღაც აშინებს. ქალი ანუგემებს: ნუ გეშინია. ჩვენს სიყვარულს ავი თვალი ვერ მოერევა. ჩვენი საიდუმლო «შენ-მე» მიუწვდომელია ბოროტისათვის. Ich bin Dein – bin Eins mit Dir (მე შენი ვარ – ვარ ერთი შენთან) – წამდაუწუმ იმეორებს გიტა წერილებში. გიტა მითოლოგიური კუთხით უხსნის: ქალი ისეთივე უსაზღვროა, როგორც დიე შეე (ზღვა), მამაკაცი კი ისევე შეზღუდული, როგორც დერ შეე (ტბა)¹, გრიგოლს მოსწონს ეს აზრი.

ისინი დაქორწინებასაც აპირებენ. გრიგოლს ცოტათი აფრთხობს, როგორ დამოკიდებულებას გამოიჩენს ამ ამბისადმი შვილობილი და გაზრდილი. თუმცა იმედოვნებს კიდევ. ალია გონიერი ქალია. ყველაფერს გაიგებს. მართლაც, როცა გიტასა და გრიგოლის გადაწყვეტილება შეიტყო, ბიძას მისწერა: «სავერიო (ალიას ქმრის სახელია – ა.ბ.) და მე გისურვებთ ყოველივე კარგს თქვენი გადაწყვეტილებისათვის. დიდი იმედი მაქვს, რომ იგი (ქორწინება) იმას მოგიტანთ, რასაც მისგან მოელოთ».

გრიგოლი გიტას მამას გრაფ ფარალდ შტრახვიტცს ჰპირდება – ჩემთან გიტას თავი არ წამოსტკივდება, ბეწვი არ ჩამოუვარდებაო. ეს ჩემი რაინდული ფიციაო.

ორივე ჩქარობს. 1962 წლის 17 ნოემბერს გრიგოლი ბარათით გიტას უთვლის – მალე სულ ერთად ვიქნებითო. მაგრამ სიკვდილი კარებთან არის ჩასაფრებული. 19 ნოემბერს გრიგოლ რობაქიძე საიდუმლო ვითარებაში გარდაიცვალა. უკანასკნელ გზაზე იგი მხოლოდ რვა ადამიანმა გააცილა – ნინო დადიანმა, დიკა კედიამ, ნინო სალიამ, კალისტრატე სალიამ, სანდრო ფანჩულიძემ, ხარიტონ შავიშვილმა, კიტა ჩხენკელმა და ნიკოლოზ ჩხოტუა-მაცაშვილმა.

რამდენიმე თვის შემდეგ, 1963 წლის აპრილში არნიმ ზიგრისტს, გრიგოლის ძველ მეგობარს, გიტა ფონ შტრახვიტცი მისწერს: «რობაქიძე ფლობდა რაღაცას, რასაც დღეს იშვიათად იპოვნით – სიბრძნეს. სიბრძნე სიყვარულსა და წრფელ გულს გულისხმობს. ჩვენ, ალბათ, შეგვიძლია ვიპოვნოთ გრიგოლ რობაქიძის პიროვნებაში შეცდომები, მაგრამ მისი ჭეშმარიტი მე, მისი მშვინივერი და სულიერი მე იყო სასწაულებრივი».

მინაწერი: რუსთაველის თეატრში რომ ვმუშაობდი, ლიდა რობაქიძემ კალისტრატე სალიას ბარათის ქსეროპირი მომცა.

ძვირფასო ქალბატონო ლიდა!

გაცნობებთ, რომ გუშინ ნინომ და მე გადმოვასვენეთ გრიგოლი, თქვენი ძმა, და ორშაბათს დავასაფლავეთ ქართველების სასაფლაოში. დაგვჭირდა რაც დარჩენილი იყო დაგვეწვა კრემატორიუმში. თვითონაც არ იყო, ჩვენ ვიცით, ამის წინააღმდეგი. აგრეთვე გადმოვასვენეთ მიხეილ წერეთლის ურნა. იგიც დამარხვის დროს დავწვით, მისი ანდერძის თანახმად. ორივენი ერთმანეთის გვერდით იქნებიან ლევილის ქართველთა სასაფლაოში და აქ მოვლა არ დააკლდებათ. გრიგოლი მთლად მიტოვებული იყო და მისი საფლავი საშინელ მდგომარეობაში. მისი ცოლის დისშვილი ერთხელაც არ მისულა. იმედი გვაქვს ერთ დღეს ორივენი მიეზარებიან სამშობლო მიწას. სხვა არაფერი ცვლილება არ მომხდარა მემკვიდრეობის საკითხში. ყველაფერი შვეიცარიელებს აქვთ.

დაგვიდასტურეთ ამ წერილის მიღება. აქ მთელმა ქართველობამ დიდი მადლობა გამოგვიცხადა ამ ორი დიდი პიროვნების გადმოსვენებისათვის. არ იყო ადვილი საქმე. ყველა ხარჯები წინომ გაიღო. მას სურდა ამ ორი დიდი მეგობრის «დაბინავება», სანამ იმ ქვეყნად წავალთ.

დიდი მოკითხვა ორივესაგან. მარად თქვენი პატივისმცემელი

კალე სალია

პარიზი, 23.X.76 წ.

მითოლოგიური ენგადი

პირველთქმა

კუნძული უდაბური და უკაცრიელი იყო. ირგვლივ ყველაფერს ყინულის თეთრი სუდარა გადაჰფენოდა და სამარისებური სიჩუმე მეფობდა. ერთადერთი, რაც ამ თოვლის უდაბნოში ადამიანის არსებობას მოწმობდა, ძველი, ნახევრადდანგრეული ქოხი იყო. მეზღვაურები ქოხისაკენ გაემშრნენ და შიგ შევიდნენ. ქოხში მიხრწნილი ბერიკაცი კერას მისჯდომოდა და მბჟუტავ ცეცხლზე გამვალტყავებულ, აცახცახებულ ხელებს ითბობდა. მოხუცს მარჯვნივ უზარმაზარი, არწივის მსგავსი ფრინველი ედგა. იქვე ბებერი თხა კიკინებდა. მატროსები გაოცებული მისჩერებოდნენ უცნაურ ბერიკაცს. მათ შორის ბერძნებიც ერივნენ. ერთმა მათგანმა უთხრა მეორეს – ეს ბერიკაცი ან მოჩვენება ან ბოროტი სულიაო. ბერძნულის გაგონებამ მოხუცი გამოაცოცხლა. იგი ამაყად წამოდგა და დახვეწილი ძველი ბერძნულით თქვა: არც მოჩვენება ვარ და არც ბოროტი სული. მე მხოლოდ მრავალჭირნახული, უბედური არსება ვარო.

მეზღვაურები ხედავდნენ, რომ, მიუხედავად ღრმა სიბერისა, ბერიკაცს ზვიადი, დიდებული, მეფური ბუნება არ დაეკარგა. მან ბერძენ მეზღვაურებს სამშობლოს ამბავი გამოჰკითხა და ფრიად გაიხარა, როცა გაიგო, რომ საბერძნეთში ჯვრები ყველგან ჩამოეხსნათ, მაგრამ სრულიად არ ესიამოვნა, ჯვრების მაგიერ, თურქთა მიერ ნახევარმთვარეთა აღმართვა. ეტყობოდა, ბერიკაცი საბერძნეთს ზედმიწევნით იცნობდა, მაგრამ გეოგრაფიულ ადგილებს, რომელთაც იგი ასახელებდა, უკვე კარგა ხანია ძველი სახელები აღარ ერქვა და მეზღვაურებს უჭირდათ მიმხვდარიყვნენ, მაინც კონკრეტულად რომელ პუნქტებს გულისხმობდა მოხუცი. ბოლოს, როგორც იქნა, ერთი მეზღვაურთაგანი მიხვდა, რომ მოხუცი სწორედ იმ სოფელზე ლაპარაკობდა, სადაურიც თავად მატროსი იყო. ოდესღაც ამ სოფელში მართლაც ყოფილა ძველთაძველი ტაძარი. ოღონდ ახლა ნანგრევებიღა დარჩენილა. და უამბო მეზღვაურმა ბერიკაცს, რომ ის დიდებული ძველი ტაძარი ამჟამად იავარქმნილი, წამხდარი და წაბილწულია. წვიმას გადაურეცხავს ფრესკები და ფრინველთა სკორეს დაუთარავს ისი-

ნი. ტაძრის მიდამოებში საქონელს აძოვებენ სოფლის გოგო-ბიჭები და ავდარში ნანგრევებს თავს აფარებენ. სამსხვერპლო ვარცლები, რომელშიც ოდესღაც შეწირულთა სისხლი იღვრებოდა, ახლა საქონლის ბაგად არის გამოყენებული.

ამის გამგონე ბერიკაცმა სახეზე ხელები აიფარა და მწარედ აქვითინდა. არწივი შემზარავად აყივლდა და უზარმაზარი ნისკარტითა და კლანჭებით იმუქრებოდა. თხა საწყალობლად აპეტელდა და, თითქოს პატრონს აწყენარებო, ხელებს ულოკავდა.

შეწუხდნენ მეზღვაურები. მოხუცს ნუგეში ვერაფრით სცეს და ნირწამბდარნი იქაურობას გაეცალნენ.

გემზე რომ დაბრუნდნენ, ეს ამბავი ერთ თანამგზავს, ძველი ბერძნული ფილოსოფიის პროფესორს უამბეს. პროფესორი მაშინვე მიხვდა ვინ იყო ის ბერიკაცი და მეზღვაურებს შემდეგი უთხრა: მარტოხელა, დავიწყებული მოხუცი ძევსია. მის მარჯვნივ რომ ფრინველი იდგა, ის არწივია, რომელსაც საზარელ კლანჭებით ოდესღაც ელვა ეჭირა. ბებერი თხა კი ამაღლეთაა, კრეტაზე, ბალღობაში რძით რომ გამოკვება ძევსი და ალბათ ახლაც ისევ თავის რძით ინახავს ღმერთების უპატრონოდ დარჩენილ უფალს.

ამის შემდეგ არც კუნძული და არც ბერიკაცი აღარავის უნახავს.

ამ ამბავს ჰაინრიხ ჰაინეს მისი მეგობარი ნორვეგიელი ვემაპთმჭერი ნილს ანდერსენი მოუყვა. პოეტმა იგი აღწერა წერილში „გამევეებული ღმერთები“.¹

ასე ტრაგიკულად დაკარგეს ძველმა ღმერთებმა ფუნქცია და ძალაუფლება. მაგრამ მათ ისევ შერჩათ ლიტერატურული ხიბლი, ემზი და მიმზიდველობა. ძველი მითები, სადაც მათი თავგადასავალია ნაამბობი, ადამიანის ფრთაგაშლილი ფანტაზიისა და პოეტური აზროვნების უმშვენიერესი ნიმუშებია. ისინი ერთდროულად არიან ხელოვნების ნაწარმოებნიც და წყაროსთვალვით შემოქმედებისა. ამან ათქმევინა კ. გამსახურდიას – „კრიზისი? უმითოდ ყოფნაა. ჩვენთვის – არყოფნა... პირველთაგანვე იყო მითი. ამ ქვეყნად ყოველივე მითით შეიქმნა, რაც კი რამ შეიქმნა... მითი იყო უპირველესი განზრახვა ღმერთკაცისა და ხელოვნებისა. და როცა ყოველივე არარად იქმნება, დარჩება ალბათ მითი“.¹ შეიძლება დაეთანხმო ან არ დაეთანხმო მწერალს მითის ესოდენ პარადოქსულ შეფასებაში, მაგრამ ერთი რამ ცხადია: უძველესი დროიდან დღემდე მწერლობასა და ხელოვნებას მითოლოგია დაუღვეველ მასალას აწვდის მხატვრული აზროვნებისათვის. მითოსმა შექმნა და დაგვიტოვა მარადიული მხატვრული სახეები სიკეთისა და ბოროტების, მხიარულებისა და მწუხარების, სიყვარულისა და სიძულვილის, მამაცობისა და სილაჩრის, მშვენიერებისა და სიმახინჯის, ერთგულებისა და ორგულობის. მითოსში ასახულია ადამიანური საქციელის, ურთიერთობის და კონფლიქტის ყოველგვარი გამოვლენა. აღწერილია ადამიანის სულის მოძრაობა, განწყობილება, მდგომარეობა.

პოეტურ თქმულებებზე და მუშავებული მითები, ბუნებრივია, რომ ყოველ ეპოქაში იზიდავდა შემოქმედს და ისიც, ამა თუ იმ სახით, იყენებდა მათ.

ამიტომ ამბობდა კარლ მარქსი, მითოლოგია ლიტერატურის და ხელოვნების ნიადაგიც არის და არსენალიცო.

არც ქართული ლიტერატურა დარჩენილა გულგრილი მითოლოგიის მიმართ. ამის საბუთად მარტო ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაც კმარა. მითოლოგიის გამოყენების ტრადიციას დღევანდელი ქართული მწერლობაც ერთგულად აგრძელებს. მე მინდოდა, ორი თანამედროვე ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიასა და დემნა შენგელაიას შემოქმედების მოშველიებით, მეჩვენებინა – როგორ იყენებს დღევანდელი ქართული პროზა მითოლოგიას.

ეს წიგნი ამის ცდაა.

დიონისეს თვითმკვლელობა

კონსტანტინე გამსახურდიას რომანის „დიონისოს ღიმილის“ გმირი კონსტანტინე სავარსამიძე რომიდან ალბანოს მატარებლით მიმავალი ასეთ სურათს ნახავს: „მატარებლის ორი ფანარის ელექტროს ზოლებს შორის, ზედ ლიანდაგზე მირბის კურდღელი. აუჩქარა ვატმანმა. ყურებდაწურული, დაფეთებული ნადირი გარბის. აჰა, საცაა, უნდა დაეწიოს მატარებელი.

კურდღელი გასაოცარ სალტომორტალებს აკეთებს და ისევ გარბის. სინათლისაგან რეტი დასხმია, ვერ მიმხვდარა განზე გახტომას. ისევ აუჩქარა ვატმანმა. ელექტროს მატარებელი მიჰქრის. ვატმანი ხარხარებს. მანქანად გადაქცეულ ვატმანშიაც იღვიძებს პირველყოფილი აღტაცება ნადირთან შეხვედრისას რომ აღეძვრება ადამიანს.

ვაგონში ჩოჩქოლი ატყდა. ლიანდაგის მოსახვევთან რომ მივალწიეთ, კურდღელი სწორ გზას მიჰყვა და თავს უშველა. მგზავრები მოაწყდნენ ვაგონის მინებს.

„როგორ გააბრუა სინათლემ საცოდავი პირუტყვი!“ მეუბნება ვატმანი და იცინის.

„ასეა, დიდი სინათლე არეტიანებს როგორც ნადირებს, ისე ადამიანებს“, ვეუბნები¹.

ამ ამბავს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. სიმბოლო რომ სწორად ამოვიცნოთ, ორ მომენტს უნდა მივაქციოთ ყურადღება. ჯერ ერთი, კონსტანტინე სავარსამიძე თავისთავს სინათლისაგან რეტდასხმულ კურდღელს ეძახის (გვ. 776) და მეორეც, ბიანკას სიტყვით – ადამიანისათვის „ასეთივე ჰიპნოზია ღმერთი, როგორც იმ საცოდავი პირუტყვისთვის ელექტროს შუქი“ (გვ. 780).

კურდღელი და ელექტროშუქი.

ადამიანი და ღმერთი.

მართლაც, კონსტანტინე სავარსამიძე თავად აღიარებს, რომ მისი ცხოვრება უსახელო ღმერთის ძიება იყო: „მრავალი კერპი მდგარა იქ, მათ შორის ყველაზე დიდი და სასურველი: ღმერთი უსახელო. მე მის ძებნაში დავლიე ჩემი სიჭაბუკე. გავთელე გზა გაუთავებელი“ (გვ. 672).

ღვთის მაძიებელი აზნაური კონსტანტინე სავარსამიძე რთული და მრავალფეროვანი ბუნების ადამიანია. მკვებარა გუდამშიერი აზნაურის ნიღაბში იმალება ტრაგიკული სული.

კონსტანტინე სავარსამიძე გულზვიადი და ამაყი კაცია, რომელსაც არ ერიდება ღმერთთან თავის გატოლებაც კი. ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა ქრისტეს როლს ეპოტინებოდა: „მე ქრისტეს წარმოვადგენდი, ვითომ ქრისტე ვარ. ჩემი ძიძიშვილები ურიების როლს თამაშობდნენ. დაბალ ძეწნის ხეზე ჯამლეთმა ჯვარედინად მიაჭედა ფიცარი. მე გამიყვანეს და გამაკრეს“ (გვ. 665). ეს უბრალო ბავშვური თამაში არ არის. იგი კონსტანტინე სავარსამიძის შინაგანი სულიერი ლტოლვის სურათია. მისი ეს სულიერი მისწრაფება – ღმერთს ჰგავდეს და ღმერთს გაუტოლოს თავი – სხვა შემთხვევაშიაც ბევრჯერ დასტურდება. იგი ბიანკამაც ჯვარცმული დახატა: „ჩემი გალურჯებული სხეული შავი ძელის ჯვარზე გაკრული, წელზე უშველებელი გველი მარტყია“ (გვ. 796). ბიანკა მარტო სურათით არ დაკმაყოფილებულა. მან უთხრა კიდევ კონსტანტინე სავარსამიძეს: „რაც თქვენ ალბანოში მოხვედით, დოქორე, დღე-დღეზე ვრწმუნდებოდით, რომ თქვენ იყავით ახალი ქრისტე... ქრისტესაც დაძლეული ჰქონდა შიში. აკი თქვენ მიტომაც არ გეშინიათ გველების. როცა ადამიანი სიკვდილის შიშს დასძლევს, უკვე ღმერთია“ (გვ. 796-797). ამ მოტივს აგრძელებს და აძლიერებს პერუჯას გზაზე მომხდარი ამბავიც. აქ მორწმუნეთა მრავალრიცხოვან ბრბოში ერთი მათხოვარიც ერია, რომელიც ეტლში იჯდა და ცრუს თავი ქრისტედ მოჰქონდა. მათხოვარი ეტლიდან ჩამოვიდა და ბრბოში გაერია. როცა კონსტანტინე სავარსამიძემ ცარიელი ეტლი დაინახა, თვითონ ჩაჯდა შიგ. აღტკინებული ბრბო ეტლს გამოეკიდა ყვირილით – ჯესუ, ჯესუ, ჯესუ!.. ამის გამგონე კონსტანტინე სავარსამიძე აღიარებს – „მე წამიერად გამეხარდა, რომ, თუმცა მასხრობით, მაგრამ მაინც ქრისტეს სახელს რომ მიწოდებდნენ“ (გვ. 805). მერე ეტლის პატრონი მათხოვარი მოვიდა. გაბრაზებულმა სილა აჭამა სავარსამიძეს:

„– ვინ მოგცათ ნება ღმერთის ეტლში ჩამჯდარიყავით?

მეორე ყბა მივუშვირე და ვეუბნები:

– მე თვითონა ვარ ღმერთი“... (გვ. 805).

აქაც სულიერი წყურვილის გამოვლენაა, რაც თუ ნამდვილად არა, მოჩვენებითად მაინც აკმაყოფილებს კონსტანტინე სავარსამიძის პატივმოყვარეობას და უზენაესის მაძიებელ სულს. ღმერთთან კავშირი მას სიზმარშიაც არ აძლევს მოსვენებას. სავარსამიძემ ერთხელ სიზმრად ნიანგისტყავიანი კაცი და თევზისთვალიანი ქალი ნახა. ნიანგისტყავიანმა უთხრა თევზისთვალიანს: „ამ კაცს ღმერთივით სული ჰქონია, სამ წილად ღმერთია, ერთ წილად კაცი“ (გვ. 943).

როგორც ვხედავთ, კონსტანტინე სავარსამიძე თავისთავში ღმერთს ეძებს. მაგრამ საკითხავია – რომელ ღმერთს? აქ მისი პიროვნება ორად იყოფა. ერთი მხრივ, იგი ყოველთვის – როგორც ბავშვობაში ისე მოწიფულობაში – ქრისტეს უკავშირდება (ძიძიშვილებმა ჯვარზე გააკრეს, ბიანკამ ჯვარცმული დახატა და ა.შ.), თუმცა მას სძულს „ბინძურ პალესტინაში დაბადებული დურგლის ბუში“. ამ მძულვარების გამოხატვა იყო სავარსამიძის საქციელი ასიზის გზაზე. „მო-

ვუქნიე ჩემი ხელჯოხი ამ სმარაგდისფერ სამოთხეში აღმართულ უდაბნოს ღმერთს. დაინგრა ჯვარცმა. ნაფშვენებად იქცა გიჰსის ხატება, ფეხით გავთელე წაქცეული ჯვარი და უშვერი სიტყვებით ვგმე ქრისტე“ (გვ. 802). მეორე მხრივ ამ მტრული განწყობილების საპირისპიროდ, კონსტანტინე სავარსამიძე მთელი სულიერი არსებით მიელტვის და ეტრფიალება წარმართულ ღმერთს დიონისეს: „დარდითა და ვარამით სავსე იყო ჩემი სული, – შენ უდარდელი გამხადე. ექვებით დაღრღნილი იყო ჩემი გული, როგორც ჯინჯვლებსაგან გამოხრული გოლეული და – შენ აავსე იგი იმედითა და სიტკბოებით. მე თევზივით ენადაბმული ვიყავ, – შენ გამახსნევენიე დაუნჯებული ბაგე: ოქრონექტარი სიტყვები იფრქვევიან პირისა ჩემისაგან. თმახუჭუჭავ, ოქროსკულულებიანო, ჭაბუკო ღმერთო, შენი მონა და მეჯინგორე გამხადე, მე – ლაზისტანის ძველი აზნაური“ (გვ. 717).

ქრისტე თუ დიონისე?

მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინე სავარსამიძე უპირატესობას დიონისეს ანიჭებს, მათ შორის მაინც ვერც ერთს ვერ აირჩევს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იგი ბუნებით გაორებული კაცია: „მუდამ გზაჯვარედინებზე ვირყევი. როცა შორს მივდივარ, ვერ გადამიწყვეტია: ზღვით თუ ხმელეთით? სასყიდელში ორნაირი ნივთი მომეწონება. ერთსა და იმავე დროს ორ კაცს ვემეგობრები. მუდამ ორ ქალზე ვარ შეყვარებული. როცა რამეს ვწერ, ორი სათაური ამეკვიატება. ხშირად, როცა ძლიერი გრძნობის გამოთქმა მინდა, ერთი ცნებისათვის ორი სიტყვა მომადგება პირზე“ (გვ. 678). მეორეც, იმიტომ, რომ ორივე ღმერთს მის სულში მტკიცედ აქვს ფესვი გადგმული და ფაქტიურად ვერცერთს ვერ უარყოფს. თუ ბავშვობაში ტაია შეღია კონსტანტინე სავარსამიძის სულს წარმართული სამყაროს ლხენით, უშუალოებით და უბრალოებით ავსებდა, უკვე მოწიფულ კაცს ევროპული აღზრდა-განათლება ქრისტიანული რწმენით, შეხედულებითა და წარმოდგენებით ბოჭავდა. ქრისტიანულმა ცივილიზაციამ კონსტანტინე სავარსამიძე ისე შეიპყრო, როგორც ლაოკოონი და მისი ორი შვილი გველებმა. იგი არჩევანს ვერ გააკეთებს, მაგრამ ვერც ამ ორ ღმერთს შეარიგებს. ქრისტე და დიონისე მტრები არიან, ერთმანეთის უარყოფელი და გამომრიცხველი. ეს ორი ღვთაებრივი საწყისი ებრძვის ერთმანეთს კონსტანტინე სავარსამიძის სულში და ქმნის მის ტრაგედიას, რადგან „ბედნიერია მხოლოდ ის კაცი, ვინც ერთი ღმერთის მშვიდობიან კარავში შესძლებს ამ უდაბნოში გადაჩრდილებას“ (გვ. 793).

ქრისტესა და დიონისეს არსებობა და ბრძოლა სავარსამიძეში თევზის ალეგორიული სახითაც დასტურდება. როგორც ცნობილია, თევზი ქრისტეს სიმბოლური სახეც არის და დიონისეს ატრიბუტიც.¹ ალფრედ დე მიუსე პიესაში – „სიყვარულს არ ეხუმრებიან“ – ქრისტეს pecheur celeste უწოდებს („Theatre“, 1963 წ., გვ. 153).

ვ. ივანოვის სიტყვით, „по Гусихию, aspalos – рыба, aspalieus- рыбарь. «рыбарь» -одно из обрядовых именовании островного Диониса («Дионис и прадионисийство», “, 1923 ш., гв. 69).

იესო ქრისტე, ძე ღმრთისა, მაცხოვარი – ბერძნულად არის – Jesus Christos Theu Hyios Soter. თუ ბერძნული სიტყვების პირველ ასოებს ავიღებთ, გამოვა სიტყვა ჟცჰტჰყს – ითხუს, ანუ თევზი. აქედან თევზი გადაიქცა ქრისტეს სიმბოლოურ ნიშნად.) კონსტანტინე სავარსამიძე რამდენჯერმე ადარებს თავისთავს თევზს. ჯერ იგი ამბობს – „ჩემი საყვარელი ორეულია თევზი“... (გვ. 676), მერე უმატებს – „ახლა მე თვითონა ვარ თევზი“ (გვ. 716) და ბოლოს, სრულიად მკაფიოდ განმარტავს – „და ვინ არ იცის, რომ ჩვენ, პოეტები, თევზებს რომ ვგევართ, უფსკრულებს აბარია ჩვენი სულის ბნელი ხვაშიადი. ჩვენ ადამიანური ცხოვრებისთვის ზედმეტნი ვართ და ღმერთობისთვის საკმაოდ ადამიანნი“ (გვ. 926). არც ადამიანი და არც ღმერთი. რაღაც შუალედი არსება, რომელსაც მიწიერ არსებობაში შვება, თავისუფლება, მიზანი და აზრი ვერ უპოვნია. „არის ამ ქვეყნად მაღალი საკურთხეველი, როცა იქ მიაღწევ, შენი მიწიერი არსება ნათხოვარი ტანისამოსივით გაგეხდება და მას შემდეგ შეპყრობილივით უნდა იარო კიდით კიდემდე“ – ამბობს კონსტანტინე სავარსამიძე (გვ. 675).

მაგრამ რა გზით, არსებობის რა ფორმით უნდა მიაღწიო ამ მაღალ საკურთხეველს? კონსტანტინე სავარსამიძემ სცადა ცოდნისა და სიყვარულის გზა, მაგრამ არც ერთმა არ მიიყვანა იგი ღვთაების საკურთხეველამდე.

მრავლისმნახველი და მრავლისშემცნობი კონსტანტინე სავარსამიძე რწმუნდება, რომ აბსოლუტური ცოდნის შეძენა შეუძლებელია, ხოლო ნახევარცოდნა კი მძიმე ტვირთად აწევს მას. ნახევარცოდნას არ შეუძლია პასუხი გასცეს ყველა იმ კითხვას, რომელსაც ცხოვრება სვამს. იქმნება დახშული წრე – აბსოლუტური ცოდნა მიუღწეველია, ნახევარცოდნით კი ცხოვრების პრობლემებს ვერ გადაწყვეტ. ამის შეცნობა კონსტანტინე სავარსამიძეს უძლურებით აღავსებს და სკეპსისით მსჭვალავს. ბიანკას მზაკვრულ კითხვას – „განა შეუძლია ადამიანს რაიმეს ცოდნა, დოქორე?“ – იგი მეტად ორჭოფულ პასუხს აძლევს – „არა მგონია, სინიორა ბიანკა, რომ ადამიანს ჭეშმარიტების მიღწევა შეეძლოს“ (გვ. 780). ჭეშმარიტებაზე როგორღა უნდა ილაპარაკო, როცა ისიც ვერ აუხსნიათ „თუ რატომ უვლის სარს ლობიო მარჯვნიდან და არა მარცხნიდან“ (გვ. 909). ნახევარცოდნა ტანჯვის საფუძველია: „რაც უფრო მეტს გაიგებს ადამიანი, მით უარესია მისთვის“ (გვ. 793). ამიტომ ბუნებრივია, რომ კონსტანტინე სავარსამიძეს შურს მამისა და მორდუსი. არც ერთ მათგანს თავი არ უმტვრევია დიდი ცოდნის შესაძენად. კონსტანტინე სავარსამიძის მამას უყვარდა ვენახი, არასოდეს დაინტერესებულა მეტაფიზიკით და იცოდა, რომ „კარგია ქალი ლამაზი; ღვინო – კახური და საუცხოვოა ადევნო თვალი, თუ როგორ დაიკარგება ეთერში დაუგეშავი, ეჭვნებიანი მიმინო“ (გვ. 893). ელემენტარული ცოდნა ამ კაცის არსებობას სიმშვიდესა და სულიერ წონასწორობას ანიჭებდა. ასევე ლაღად, თავისუფლად და უდრტვინველად ცხოვრობს კონსტანტინე სავარსამიძის მორდუ, მეჯოგე ტაია შელია. იგი ბუნების შვილია. მან არ იცის, რამოდენაა ეს ქვეყანა, არ იცის, როგორ დაჰქრიან მიწისქვეშა ან მიწისზედა მატარებლები, გემები და თვითმფრინავები, არც მომწამვლელი გაზები გაუგონია და არც ელექტრობის სასწაულები. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ტაია შელიასათვის

ჰყოლოდა შვილები და შვილიშვილები, ჰქონოდა ძირმაგარი ოჯახი, დამტკბარყო მზისა და მთვარის, დღისა და ღამის სილამაზით, სიხარულით შეხვედროდა გაზაფხულის ყოველ გამოღვიძებას. ნახევარი ხმელეთის შემომვლელი, შვიდი ენისა და შვიდი ხალხის ყოფა-ცხოვრების მცოდნე კონსტანტინე სავარსამიძე შენატრის ტაია შელიას და გულამოსკვნით ემუდარება: „ტაია შელია, მე მარტო ვარ ამ უღრან ტყეში. შვიდი პროფესია გამოვიცვალე და ვერ ვიპოვნე ჩემი ადგილი ამ ცხოვრებაში. ტაია შელია! ჩემი ცხოვრების ნახევარ გზაზე შემომალამდა, ისევ შენ გიგონებ და გეძახი – გულთმისანო ჩემო გამზრდელიო! ეგებ შენ მასწავლო გზა. როგორ გავიდე ამ უღრან ტყიდან“ (გვ. 669).

მაგრამ კონსტანტინე სავარსამიძისა და ტაია შელიას ცხოვრების გზები სამუდამოდ დასცილდა ერთმანეთს. კონსტანტინე სავარსამიძე ვერასოდეს დაუბრუნდება ცხოვრების იმ ფორმას, რითაც ტაია შელია არსებობს. ნახევარცოდნა მას საშუალებას არ აძლევს უბრალო ადამიანურ ყოფას მიუბრუნდეს: „მაგრამ ვაჟ, რომ მე ისინიც (ტაია შელიას შვილები – ა.ბ.) ისე მექცევინ, როგორც შორეულს. წინად მე ამას არა ვგრძნობდი. წინად მე მათ თავიანთი ოჯახის წევრად მივაჩნდი და ახლა მე მათთვის „უცხო კაცი ვართ“, ნასტავლი კაცი“ (გვ. 907). უკან დასაბრუნებელი გზაც დაიკეტა და წინსვლაც შეუძლებელია, რადგან „ჩვენ ისე ცოტა ვიცით ჩვენი სულის სარბიელის შესახებ, რამდენიც შორეული პლანეტების ცვალებად ეტლების გამო“ (გვ. 780).

ცოდნის გზით ვერ მისწვდა ღმერთს კონსტანტინე სავარსამიძე. იქნებ სიყვარულის გზით შეიძლება მოხდეს ეს, რაკი „სიყვარული უფრო მაღალია, ვიდრე სიმდიდრე და ცოდნა“ და „სიყვარული ხიდია ღმერთსა და კაცს შორის“ (გვ. 778).

სიყვარულსა და ქალს დიდი ადგილი უჭირავს კონსტანტინე სავარსამიძის ცხოვრებაში. იგი ქალს უყურებს ერთდროულად, როგორც მამაკაცის ანტიპოდს და როგორც ხელოვნების საგანს. თუ, ერთი მხრივ, დედაკაცის დამორჩილება ამშვიდებს და აწყნარებს მის მამაკაცურ თავმოყვარეობასა და სიამაყეს, მეორე მხრივ, მის სულს ქალი ანიჭებს ესთეტიკურ ტკბობას. როგორც სქესობრივი ცხოვრებით, ისე ესთეტიკური ტკბობით უნდა სავარსამიძეს მისწვდეს ღმერთს. მართალია, აბსენ ტუნგი აფრთხილებს მას, როცა ადამიანი ბრაჰმას მოძღვრებას ეზიარება, სქესობრივ კავშირსა და ქალის შეხედვას უნდა ერიდოსო, მაგრამ სავარსამიძეს წარმართის სული ჰქონდა და უფრო დიონისური რელიგიისა სჯეროდა. დიონისე კი, ჯერ ერთი, ორსქესიანი ღმერთია (ვიაჩესლავ ივანოვის დასახელებული წიგნი, გვ. 127). და, მეორეც, მის ორგინალურ კულტში სქესობრივი ექსტაზი ღვთაებასთან კავშირის უპირველესი საშუალებაა. წარმართულ რელიგიაში სქესობრივ ძალას ხტონური ფესვები ჰქონდა, რადგან, მიწასთან ერთად, ისიც ნაყოფიერების დედა იყო. კონსტანტინე სავარსამიძეც თავდავიწყებით ეძლეოდა მისის ბლუტისა, ლუჩიასა თუ ინგებორის ალერსს, მაგრამ ქალი მისთვის, ნაყოფიერების მაგიერ, უნაყოფობის მიზეზი გამხდარიყო. კვალდაკვალ მისდევდა მას მამის წყევლა – „ჩემი შენდამი მოზარებული თესლი ისე მოგიშხამოს სუჯუნის წმ. გიორგიმ, რომ ვერც ერთმა დედაკაცმა ვერ

გაუძლოს შენი თესლის ნაყოფის შობას. „ყოველი ქალი, რომელსაც შენ გაეკარები, ისე უნაყოფო ქნას წმინდა გიორგიმ და მაცხოვარმა, როგორც ეწერის ჭაობში მდგარი თხმელა, ზამთარ-ზაფხულ შტოებშემხმარი ყვავილს რომ ვერ იხამს“ (გვ. 671). სუჯუნის წმინდა გიორგიმ აჯობა დიონისეს და კონსტანტინე სავარსამიძეს აუხდა მამის წყევლა: სიყვარულის გზითაც ვერ მისწვდა იგი ღმერთს.

კონსტანტინე სავარსამიძეს ერთადერთ იმედად ჯენეტის სიყვარული დარჩენოდა, მაგრამ ეს სიყვარულიც იმთავითვე დასაღუპავად არის განწირული. ჯენეტისა და კონსტანტინე სავარსამიძის სულებს ჰარმონიული ერთარსებობა არ შეუძლიათ. ისინი ორ სხვადასხვა ღმერთს ემსახურებიან და ამის გამო მათ შორის ქვეშეცნეული, ფარული მტრობაა, რაც მერე თანდათანობით იჩენს თავს.

ჯენეტი ქრისტეს ერთგულია. ქრისტიანული ღმერთის სიყვარულში ეს ქალი მტკიცეა და არავითარი გაორება მის სულს არ ემუქრება. ჯენეტი ქრისტეს სასძლოდ თვლის თავს და იმ დღეზე ოცნებობს, როცა მონაზვნად აღიკვეცება დიდედამისივით.

„ლექი აროდეს დაუწერია, ყველაზე დიდი პოეტი იყო. მახვილი ხელში არა სჭერია, იყო გამირებზე თვით უგმირესი. მიწა-მამული არა ჰქონია, – ყოველ თავადზე უთავადესი. თუმცა საცოლე არა ყოლია, ყოველს საქმროზე ულამაზესი. მეფეებს, მდიდრებს და მწიგნობრებს გადაუდგა, სულით გლახაკებს და მონებს მიემხრო. მეც ვტიროდი მისი შვენიერი ცხოვრებით, უფრო კი, ლამაზი სიკვდილით მოხიბლული და ჩემ აღთქმებს ვსდებდი: მეც დიდესავით მისთვის მარად მგლოვიარე სასძლო დავრჩენილიყავ, მუდამ შავი ფლასი, შავი მძივები მეტარებინა და ალოეს სურნელი მესუნთქა“ (გვ. 711).

ჯენეტი წმინდა გიორგის ემახის თავის რაინდსა და კავალერს. ქალს ამის საბუთიც აქვს. სასწაულებრივად იფარავდა წმ. გიორგის ხატი ჯენეტის ოჯახს. დიდედამისი თურქის ცოლი ყოფილა. მაჰმადიან ჰემედ ბეის ყველაფერი ქრისტიანული სძულდა. ჯენეტის დიდედა ჩუმად მაინც ლოცულობდა წმ. გიორგის. ერთხელ ქმარმა მიუსწრო ლოცვის დროს და დამბაჩა ესროლა. მაგრამ ტყვია ასცდა ქალს და ხატს მოხვდა. მერე ხატმა თავად ჯენეტი გადაარჩინა სიკვდილს. ჯენეტის მამა დესპოტი კაცი იყო და გლეხებს სძულდათ იგი. ერთხელ გლეხები თავს დაესხნენ მათ და ტყვიები დააყარეს. ჯენეტი და დედამისი წმ. გიორგის ხატის წინ ლოცულობდნენ და გადარჩენას ევედრებოდნენ. მართლაც, ტყვიამ ზუზუნით გადაუარა თავზე ჯენეტს და ხატს მოხვდა. ბუნებრივია, რომ მორწმუნე ჯენეტი სასოებით ინახავს წმინდა გიორგის ხატს. ამ ქალის სულში ქრისტიანული რელიგია ღრმად არის დაბუდებული.

სხვანაირია კონსტანტინე სავარსამიძის დამოკიდებულება ქრისტესადმი. მას არ უყვარს უდაბნოს ღმერთი, თუმცა მისი ზეგავლენისაგან სრულიად ვერ გათავისუფლებულა. სავარსამიძეს ქრისტე საქართველოს ეროვნული უბედურების მიზეზად მიაჩნია. იტალიელ გამომძიებელს იგი ეუბნება: „ჩვენ წელში გაგწყვიტა ქრისტეს ჯვრის ზიდვამ... ქრისტეს ჯვარს შეეწირა დიდი საქარ-

თველო... ქრისტეს ჯვრის დანახვაზე ჩემი განადგურებული ქვეყანა მომაგონდა. დავლენე ჯვარცმა და ვგმე ქრისტე, ჩვენი დამქცეველი“ (გვ. 819). ქრისტიანობის უარყოფელი კონსტანტინე სავარსამიძე დიონისურ რელიგიაში ეძებს შვებასა და საშველს, ჯენეტისათვის კი დიონისე არაფერს ნიშნავს. თუ ქალისათვის სულიერი ნავსაყუდელი ქრისტეა, კაცისათვის დიონისე ასრულებს ამ ფუნქციას. ასე არიან ისინი ერთმანეთს დაცილებულნი. ამ დაცილებაში საბედისწერო როლს თამაშობს სმარაგდის ბეჭედიც. სმარაგდი დიონისეს ფერია და სმარაგდის თვალებით ანათებს იგი. „მაგრამ დიონისო ქრისტეს მტერია, ამიტომაც ეშმაკ პირით დალორწილია სმარაგდი“ (გვ. 654). წინასწარმეტყველი იმასაც ამბობს, რომ „სმარაგდი სანამ ხელზე ექნება ქალს, – ქმრის ღალატი არ შეუძლია. სმარაგდი აფრთხობს მავნე სულელებს“ (გვ. 654). მაგრამ სიყვარულის ექსტაზმა დაავიწყა ჯენეტს გაფრთხილება: მან კონსტანტინე სავარსამიძეს აჩუქა სმარაგდის ბეჭედი და უღალატა ქმარს. ვერც საყვარელთან იპოვნის ბედნიერებას ჯენეტი. ორ მოქიშპე და დუშმან ღმერთს ვერ შეარიგებს მისი და სავარსამიძის სიყვარული. აკი უთხრა მარჩიელმა სავარსამიძეს: „თქვენთვის სხვა ნიჭი მოუცია, როგორც სჩანს, დიონისოს, ვისაც თქვენ გაეკარებით, ყველა მწუხარებით აივსება“ (გვ. 763).

ამრიგად, რომანში სმარაგდის ბეჭდის ალეგორიული სახით წინასწარ არის მინიშნებული ჯენეტისა და კონსტანტინე სავარსამიძის სიყვარულის დრამატული ხასიათი. არის სხვა ალეგორიებიც, რომელნიც მათი სიყვარულის ტრაგიკული დასასრულის მაუწყებელია.

ვენეციაში ჩამოსულნი კონსტანტინე სავარსამიძე და ჯენეტი გონდოლით სეირნობენ. ამ ნავს ხარონის ნავს უწოდებს სავარსამიძე. ხარონი ხომ მითოლოგიური მენავია, რომელსაც ჰადესში გადაჰყავდა მიცვალებულთა სულები. ვერგილიუსის წარმოდგენით, იგი ჭუჭყიანი, თეთრწვერა მოხუცი იყო, რომელსაც ანთებული თვალები ჰქონდა. სხვათა შორის, ის მეგონდოლევც, რომელმაც სავარსამიძე და ჯენეტი ასეირნა, თეთრწვერა მოხუცია, შავი იტალიური თვალები აქვს და ყურებიდან და ნესტოებიდან შავი თმა მოუჩანს (გვ. 758). ასე, რომ ეს გასეირნებაც სიკვდილისაკენ წასვლას ნიშნავს. ჯენეტისა და სავარსამიძის სიყვარული სიკვდილთან არის წილნაყარი და არა ბედნიერებასთან.

ალბანოში კონსტანტინე სავარსამიძე და ჯენეტი ერთი იტალიელი ბარონის სასახლეში ცხოვრობენ. სასახლის სამზარეულოში რომაული ოჯახის ღარების კულტის ნაშთებია კედელზე შემორჩენილი. იქვეა, პატარა ნიშები და საკურთხეველი. საკურთხეველქვეშ კედელზე ორი გველია დახატული. ისინი მარჯვნიდან და მარცხნიდან მოდიან საკურთხევლისაკენ. კონსტანტინე სავარსამიძეს აინტერესებს – რას ნიშნავს ყოველივე ეს, მაგრამ ერიდება იკითხოს. მერე ბიანკამ უამბო, რომ ღარების საკურთხეველში დახატული გველები ოჯახის უძველესი მფარველი სულებიაო. ამ სასახლის მფლობელი ბარონის მამამ იქ დედალი გველი მოჰკლა. ამის შემდეგ სასახლეში ოთხი ოთახი გაიქარჩხა. როცა ახალგაზრდა ბარონმა ცოლი შეირთო, ახალგაზრდაწერილების სანთილობაში შავი გველი შეიპარა. ბარონმა ხელი არ ახლო გველს, მაგრამ მას მერე

ცოლ-ქმარი ერთად ამ სასახლეში ღამეს აღარ ათევენ. ამ ამბიდან ბიანკას სიტყვით უმთავრესი ის არის, რომ მას შემდეგ, რაც მოხუცმა ბარონმა დედალი გველი მოჰკლა, ამ ოჯახში დედაკაცს შვილიერების უნარი წაერთვა. ბარონის ორი ძმა უშვილოდ გადაეგო, არც ბარონესას ეყოლა შვილი, ხოლო თავად ბიანკა აკუმია და მარადის ქალწული უნდა დარჩეს (გვ. 794-795).

ამ საშინელმა ამბავმა შეაძრწუნა კონსტანტინე სავარსამიძე. თუმცა მისდა სასიხარულოდ, იტალიელი ბარონის ოჯახის წყევლა მას არ უნდა ახდომოდა, რადგან ჯენეტი ამ გაქარჩხულ სასახლეშიც დაორსულდა. ნაადრევი გამოდგა სავარსამიძის სიხარული: ჯენეტს მუცელი მოეშალა და ბავშვი დაიღუპა.

ბარონის ოჯახის ისტორიასა და სავარსამიძისა და ჯენეტის ბავშვის დაღუპვის ამბავს მითოლოგიური პლანიც აქვს. ამ პლანის ამოსაცნობად აუცილებელია გავიხსენოთ, რომ დიონისური რელიგიის მიხედვით, ჩვილი და გველი დიონისეს ორი სხვადასხვა ჰიპოკრატისაა. არსებობს თქმულება, რომლის თანახმად, მამამ მგლებისაგან დასაცავად ქვევრში დამალა ჩვილი ბავშვი და ჭური მყუდრო, უშიშარ ადგილას შეინახა. მგელი ემუქრებოდა ბავშვს, მაგრამ გველი, რომელიც ქვევრს შემოეხვია, იცავს მას. ერთხელ ბავშვის სანახავად მივიდა მამა და რა დაინახა გველი შემოხვეოდა ქვევრს, შეშინებულმა შუბით განგმირა ქვეწარმავალი, მაგრამ, მასთან ერთად მოკლა ბავშვიც. შემდეგ მამას მწყემსებმა უამბეს, რომ უხსენებელი ბავშვის კეთილი მფარველი იყო. მაშინ მამამ ერთ სამსხვერპლო კოცონზე დაწვა შვილიცა და გველიც. ეს თქმულება დიონისურ ციკლს ეკუთვნის. ქვევრში დამალული ბავშვიც დიონისეა და მისი მფარველი გველიც დიონისეა (ღვთაება იცავს თავისთავს). ამიტომ როცა კვდება ერთი, კვდება მეორეც (ვიაჩესლავ ივანოვის დასახელებული წიგნი, გვ. 32).¹

ამდენად, ბარონის სახლში გველის მოკვლით მოკლეს ბავშვიც. ამიტომ აქვს ამ სახლში დედაკაცს გამრავლების უნარი წართმეული. რაკი გველი და ბავშვი დიონისეა, მათი მოკვლით, მოკლულია დიონისეც და იქ, სადაც დიონისე მოკლეს, კონსტანტინე სავარსამიძე ვერ გაიხარებს. სავარსამიძე დიონისეს მონად თვლის თავისთავს და იმის მაგიერ, რომ ამ ღმერთის სადიდებლად ტაძარში იაროს, ის ქალი უყვარს, ვინც დიონისეს გმობს და იმ სახლში ცხოვრობს, სადაც ეს ღმერთი მოკლეს. სწორედ ბარონის სასახლიდან იწყება სავარსამიძის უბედურებათა წყება: იგი დაიჭირეს, მისი შვილი დედის წიაღში მოკვდა, იტალიიდან გააძევეს და, რაც მთავარია, ჯენეტის სიყვარული გაუქრა. ამიერიდან ეს ქალი მისთვის აღარ არის ქაშუეთის ღვთისმშობლის მსგავსი. იგი თანდათან ემსგავსება ტაბაკონის როკაპს.

ასე, რომ არც სიყვარული აღმოჩნდა გზა ღმერთისაკენ. პირიქით, უბედურმა სიყვარულმა იგი კიდევ უფრო დააშორა ღმერთს.

დიონისური რელიგიის მკვლევართა აზრით, დიონისესთან ურთიერთობის აუცილებელი ელემენტთაგანი კათარსისი – განწმენდა იყო. კონსტანტინე სავარსამიძეს სურს განიწმინდოს, პირველყოფილ უშუალობასა და სიწმინდეს დაუბრუნდეს. ამ სურვილის გამოხატულებათა სავარსამიძის განსაკუთრებული სიყვარული ბუნებისადმი. ერთადერთი, რაც მას განუზომელ სიხარულს ანი-

ჭებს, ბუნებასთან ურთიერთობაა. აქ პოულობს შვებას, თავისუფლებას. ბუნებაში იწმინდება მისი სული ყოველგვარი ჭუჭყისაგან.

„მზეო,

მზეო,

მზეო,

მნათობთა დედუფალო, დედავ მოხუცებულო და ალერსიანო!

გაათბე ჩემი ჩრდილოეთში გათოშილი სხეული და მასწავლე მე შენი დიდი სიყვარული, შემაყვარე ჩვენი წილხვდომილი მიწის ნაჭერი. ისიც მასწავლე, როგორ უნდა ვიყო ბედნიერი და ცოტა ვიფიქრო ჩემი ბნელი სისხლისათვის“ (გვ. 895).

ევედრება მზეს კონსტანტინე სავარსამიძე.

„ჩუ, ხევში გრიალი გაისმა, ნუ გეშინია, საცოდავო ბოლოქანქარა, გულგახეთქილი რომ ავარდი წელან ხევიდან. ეს მე ავიღე უშველებელი ლოდი და ჭაბუკი ამირანივით შორს გადავტყორცნე.

ეს – მე ვარ ტყეში, ოჩოკოჩი, ნუ გეშინია!

მთვარეულივით დავხეტიალობ ტყეში.

დავიღალე. მოლზე ვისვენებ. მაღალი ბალახი!

რძია-რძია, სამყურა, ქრისტესთვალა, ობოლა, ოშოშია ახლოს არიან, ეალერსებიან ჩემს თვალს, ჩემს ლოყებს, ჩემს სახეს.

ისე მეფერებიან, როგორც ლაშქრობიდან დაბრუნებულ ძმას მოსიყვარულე დები“ (გვ. 897).

ასე ბედნიერად არსად არ გრძნობს თავს კონსტანტინე სავარსამიძე. ბუნების წიაღში ქრება მისი სევდა, მისი სკეპსისი და უბრუნდება სიჯანსაღე, სულის სიმტკიცე, სიხარული და ბედნიერება. მაგრამ ბუნებაში მისი ლაღობა დროებითია. წამიერი თავდავიწყების შემდეგ, მასში ისევ იღვიძებს მეორე კონსტანტინე სავარსამიძე, ღვიძლი შვილი ინდუსტრიული ცივილიზაციისა. ბუნების მოტრფიალე კონსტანტინე სავარსამიძე ვეღარ დაამარცხებს ინდუსტრიული ცივილიზაციის პროდუქტ კონსტანტინე სავარსამიძეს. „დიონისოს ღიმის“ გმირს აღარ შეუძლია ინდუსტრიული ცივილიზაციისაგან ხსნა და განკურნება. მისი ტვინი ისევეა დაავადებული ამ ცივილიზაციით, როგორც იოჰანეს ნოიშტეტისა. „იცი, რა ვნახე? – უამბობს იოჰანეს ნოიშტეტი კონსტანტინე სავარსამიძეს, – ჩემი ტვინის უჯრედები სულ გამოდრღნილი ყოფილა. ეს იყო დიდი ნათელხილვა და სასწაული. მთელი თავისქალა გამჭვარტლული იყო თუთუნის ნიკოტინით, დიდი ქალაქის ქარხნების ოხშივართა და მტვერით; აქ ყოფილან ნამცეცები ასფალტის, რკინის, ფოლადის, ბრინჯაოსი, საფირონისა, მარმარილოსი, ქაღალდებისა, გაზეთების, წიგნების, რელატივობის თეორიების, კანტის, აინშტაინის, აზიის, აფრიკის, მთელი ჩვენი უსულო ცივილიზაციის და პათეტიური კულტურისა“ (გვ. 823). ყველაფერი ეს კონსტანტინე სავარსამიძეს სულსა და ხორცში აქვს. რაკი თავისთავს კაცი ვერსად გაექცევა, სავარსამიძის ყოველივე ცდა – განემოროს ინდუსტრიულ ცივილიზაციას – ამაოა. სულ ტყუილად სცადა ინდოეთში გაქცევა. მეორე დღესვე პარიზს დაბრუნდა

და მოხუცი ბუკინისტის შარტრიეს ირონიული ღიმილი გამოიწვია. „პარიზი ტკბილი ჯოჯოხეთია! ყველა მას წყევლის, მაინც ყველა აქ ბრუნდება“ (გვ. 747) – უთხრა მოხუცმა სავარსამიძეს. უფრო მეტიც, თვითონ კონსტანტინე სავარსამიძე უყურებს დაცინვით ევროპულ ცივილიზაციის უარყოფელებს: „ამ სალონში ყველა აგინებდა იმ დროს ევროპის ცივილიზაციას, ყველა შპენგლერს ეთანხმებოდა, მაგრამ არცერთს თავში არ მოსვლია ამ „დასაღუპავ“ ევროპიდან გაქცევა“ (გვ. 839).

კონსტანტინე სავარსამიძემ კარგად იცის, რომ ინდუსტრიული ცივილიზაციის გარეგნული ბრწყინვალეების იქით იმალება შიმშილი, ჩაგვრა, უსამართლობა, პროსტიტუცია. ყველაფერი ეს სავარსამიძეს თავის თვალთ უნახავს და განუცდია.

„ქუჩის გადაღმა: გაზეთების კიოსკთან ჭადარა კაცი დგას. ხელში ყალიონი უკავია. პირიდან მწვანე კვამლს უშვებს... ვუყურებ: კაცი წაიქცა. ყალიონი გაგორდა ქვაფენილზე. გულცივი ბრბო ერთ წუთსაც არ შემდგარა. მე ჩემი გასაჭირი დამავიწყდა. გავჰქანდი. უშიშრად გავიარე ავტომობილების ჯოგი. ბრბო გავარღვია.

ავსწიე მაღლა ადამიანი.

ამ კაცს თვალები ჩასცვენოდა, ტუჩები მიწისფერი ჰქონდა.

„ამ ოხერმა მაროკოს თუთუნმა გული ამომწვა. ორი დღეა არაფერი მიჭამია“. შემომჩვილა უცნობმა“ (გვ. 685).

„... იუველირის ვიტრინებში ელექტროს მარაოზე ბრწყინავდნენ და კამკაშებდნენ ნუშისოდენა ბრილიანტები, და ბავშვები, ხელფეხ გათოშილი ბავშვები, მომსდევდნენ და საცოდავი ხმით მევედრებოდნენ:

„იყიდეთ ასანთები, შვედური ასანთები“ (გვ. 836).

გულცივი ინდუსტრიული ცივილიზაციის მსხვერპლნი არიან ინვალიდი ლუქსემბურგის პარკიდან, კბილებგაყიდული მოქალაქე, დოქტორი ვიტენზონი, კაცი, რომელმაც ცოლ-შვილი დახოცა, პატარა ქერა ერიკა და თვითონ სავარსამიძის უახლოესი მეგობარი იოჰანეს ნოიშტეტი.

ინდუსტრიულმა სინამდვილემ გადააქცია ნაზი, ფრანჩესკო ასიზელის პოეზიის მოტრფიალე ჰერბერტ შტუდერსი უხემ ჯარისკაცად, ვისაც არ ერცხვინება იტრაბახოს – როგორ ამოახრჩვეს გაზით სანგრებში ფრანგები ან ათასობით რუსი როგორ გაჟლიტეს ჭაობებში.

კონსტანტინე სავარსამიძის ბუნება ვერ ეგუება და ვერ ეთვისება ინდუსტრიულ სინამდვილეს. ფროილან ფრიდას სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი დაემსგავსა ტოლებს ჩამორჩენილ წეროს. ბრმა შემთხვევის წყალობით დაიბადა მე-20 საუკუნეში, თორემ სულით სხვა საუკუნეს ეკუთვნოდა. კონსტანტინე სავარსამიძე ვერ გაექცა დროს, ვერც თავის ღმერთს მიაგნო და ვერც სიყვარულში იპოვა შვება. ყველგან ხელმოცარულმა ქვეყნის დაქცევა ინატრა:

„... თურმე კამეჩი მიტომაც დინჯად დადის, რომ კამეჩი თუ გაიქცა, ეს ქვეყანა მაშინ დაიქცევა. ახ, ნეტამც გაიქცეოდეს კამეჩი!..“ (გვ. 874).

მაგრამ არც კამეჩი გაიქცა და არც ქვეყანა დაიქცა.

მაშინ კონსტანტინე სავარსამიძემ სიზმრების სამყაროს მიაშურა და იქ სცადა თავის არსებობის გადატანა. თუ ცხადი აუტანელი და მძიმე იყო, სიზმრების ფერულ სამყაროს ვინძლო სიმშვიდე მოეგვარა მისთვის. „მენატრება სიზმარი, რადგან მხოლოდ სიზმარში ვცხოვრობ“ – გულახდილად აღიარებს იგი (გვ. 812). მაგრამ, საუბედუროდ, სავარსამიძისათვის სიზმარი ცხადის პირველსახე გახდა: „სიზმარში ვხედავ მოსალოდნელ სიმძიმისა და სიხარულსაც“ (გვ. 780).

მართლაც, იგი სინამდვილეს გაურბოდა, მაგრამ იგივე სინამდვილე ეწვია სიზმრის სახით: „საღამოს ფანჯარასთან ვზივარ. კონსერვატორიის მოედანს გადავცქერი. ზღვა ხალხი მიგანგაშებს ქუჩაზე. წითელი, ყვითელი, მწვანე, იისფერი აფიშები, უცხო ფარშევანგებივით შემოსევია ქალაქს. ავტომობილების, ომნიბუსების, ტრამვაების, მოტოციკლეტების, ეტლების ქარავანი დგანდგარით, ზანზარით, ქშულით, რახრახით, ზმულით მიჰქრიან ლარივით გაჭიმულ ქუჩაზე. კოკოტები, მოსეირნობენ ცილინდრიანი, კეპიანი, უქუდო, უპალტო, ქურქიანი, მწვანე, წითელი, ლურჯი, მოლალურის ფერი ქალების ქუდეები, ეგზოტიური ფრთებით მიჰყვებიან ამ ნიაღვარივით გაქანებულ მდინარეებს“ (გვ. 733).

მართალია, გარეგნულად ეს ფერების სიმფონიაა, რომელსაც თვალისა და სულის დამშვიდება შეუძლია, მაგრამ შინაარსით იგივე სურათია, რასაც ყოველდღე უყურებდა კონსტანტინე სავარსამიძე.

ჯენეტისა და მისი სიყვარულის უბედური დასასრულიც სიზმარში ნახა სავარსამიძემ. „მეზმანა: მე და ჯენეტი ვწევართ ჩვენს ოთახში. უშველებელი, სავარცხლიანი გველი ამოდის ჩვენს საწოლზე. ჯენეტმა იკივლა, ლოგინიდან გადავარდა.

მე არ გავნძრეულვარ. ორი თითი ტუჩზე მივიტანე, შევულოცე. გაშეშდა. უშველებელი ფრთა გამოესხა, პირი იბრუნა, შრიალით გაფრინდა“ (გვ. 783). ზემოთ ითქვა, რომ გველი დიონისეს ერთ-ერთი ჰიპოსტასია. მაშასადამე, სიზმარში დიონისე მოვიდა სავარსამიძესთან, მაგრამ მან ვერ იცნო მისი სათაყვანებელი ღმერთი და გააგდო. გველის სახით საწოლზე მათი მომავალი შვილი ავიდა (დიონისეს ხომ გველისა და ჩვილის სახე აქვს!), მაგრამ ისიც დაკარგეს. სინამდვილეშიც ასე მოხდა: ბავშვი ჩაესახა ჯენეტს, მაგრამ ვეღარ დაიბადა.

ჰერბერტის სიკვდილიც ასევე წინასწარ სიზმარში იხილა კონსტანტინემ.

„ჰერბერტის მამის ვილაში ვართ. საღამოს ჟამია. მე, ჰერბერტის და იზოლდე და მისი დედ-მამა აივანზე ვზივართ. ველით ჰერბერტს დასავლეთის ფრონტიდან.

აივანზე თეთრი ლაქაშებისა და ნასარების გირლიანდები. გაიღო ეზოს კარი. შემოდის ძაბით შემოსილი ავტომობილი. კიბესთან ჰერბერტი გადმოხტა.

თავზე რაინდული ფოლადის მუზარადი, მოკლე ჯაჭვის კურტაკი აცვია. ძველებური ხელჯვარიანი ხმალი ჰკიდია, ფეხებზე – თითო ციდა დეზი აქვს. ფეხებს ძლივს ადგამს, ხელს გვიქნევს.

ჩვენს დანახვაზე სახე კუპრივით გაუშავდა, აივანზე არ ამოდის. წინ შევეგებე, ვეხვეწები: დარჩი კიდევ ჩვენთან, ჯერ მზეც არ ჩასულა, ადრეა შენი წასვლა.

ზურგი შემაქცია, ისევ გაალო ავტომობილის კარი. გაჰქრა“ (გვ. 880-881).

კონსტანტინე სავარსამიძეს სიზმარი ისევე ტანჯავს, როგორც ცხადი: „განა ჩვენი სინამდვილე თვით სიზმარზე უსიზმრესი არ არის?“ (გვ. 780) – კითხულობს იგი. მათ შორის განსხვავება არ არსებულა, სავარსამიძემ ძილისშორისში გადაიტანა თავისი ოცნებებიც. იგი სიზმარსა და სინამდვილეს ორძილს უწოდებს (გვ. 780). მაგრამ ამ სიტყვას ალეგორიული აზრიც აქვს (სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ორძილი აღორძინებას ნიშნავს). ამიტომ სავარსამიძე სიზმარზე დიდ იმედებს ამყარებს. იგი ფიქრობს, ის რაც ცხადშია შეუძლებელი, შესაძლებელია სიზმარში. ოცნება სიზმარში განხორციელდება. ხელმეორედ აღორძინდება თვითონ სავარსამიძეც და მისი სამშობლოც. მას ეყოლება ქართველი ცოლი და ცხრა შვილი. საქართველო აღარ ემსგავსება ცალტოტმხეულ ჩაბალახს. იგი ხახადაღებული ვეშაპი იქნება, რომელსაც ექნება 12 უნივერსიტეტი და 3500 ქარხანა, ქართული წიგნის ტირაჟი მილიონს მიაღწევს, ამოშრება მთელი ჭაობები, აშენდება აუარებელი ელსადგური, ხიდი, ელექტორი, ფაბრიკა და ა.შ. ასეთი სიზმარი მართლაც ნახა სავარსამიძემ (გვ. 737, 738, 739). სიზმარი მისთვის არა მარტო სინამდვილის მეორე სახეა, არამედ ოცნების რეალობად ქცევის საშუალებაც. მართალია, ეს ცრუ ნუგეშია, მაგრამ იმედის ნაპერწკალს მაინც აღვივებს. და კონსტანტინე სავარსამიძეს შინ, სამშობლოში დაბრუნების სურვილი აღედრა. მშობლიური მიწა შეუცვლის ღმერთს, სიყვარულს. მშობლიური მიწა განკურნავს, დაუბრუნებს ცხოვრების ხალისს.

„მზეო, მზეო, მზე! მე სამჯერ ხმამალლა ვახსენებ შენს უკვდავ სახელს, და მე ვგრძნობ, მე უძლეველი ვხდები და ნელ-ნელა ვიკურნები, დამაცხუნე, გამათბე, დამწვი, დამრუჯე და შემითვისე საქართველოს დროშავ, მაღალტანიანო, ლომისპირიანო. ამოაშრე ჩემს სახსრებში უცხოეთში შესუნთქული ნისლი და სინესტე“ (გვ. 895).

მიუხედავად ამ აღტკინებისა, კონსტანტინე სავარსამიძეს მაინც ეშინია შინ დაბრუნების. მის სულს ეჭვი ღრღნის.

„რა გავაკეთო, კიდევ რომ წავიდე? ჩვენი გზები რა ხანია გაყრილია. რაც ჟამი გადის, მით უფრო შორდებიან ისინი ერთმანეთს. მე მისი თესლის ნაშიერი. მე მისი იფქლის ყლორტი – მე მისთვის ასე მახლობელი და ასე შორეული! იგი მე არ მიცნობს. მას ჩემი არ ესმის. კიდევაც რომ დავბრუნდე უძლები შვილივით, მიმიღებს?“ (გვ. 681). მაინც დაბრუნდა. თუმცა კითხვა უქმად არ დაუსვამს. არ მიიღო კონსტანტინე სავარსამიძე მშობელმა მიწამ, რადგან მეტისმეტად უცხო და შორეული გამხდარიყო მისთვის.

„ტფილისში ყოფნისას ერთ-ორ საზოგადოებაში მუშაობა ვცადე. ჩემი სისხლი და ხორცი მევე მეუცხოვება. ამ ხალხის მე ვერაფერი გავიგე. არც მათ უნდათ ჩემი გაიგონ. ჯამბაზობის ნიჭი ჩემთვის ღმერთს არ მოუცია. ბოლოს და ბოლოს კურიოზული ადამიანის როლიც მოსაწყენია“ (გვ. 929).

კონსტანტინე სავარსამიძე მორღუ ტაია შელიასთანაც მივიდა და ძიძიმ-ვილებიც ნახა. ისინი აღფრთოვანებით შეხვდნენ მას, მაგრამ სავარსამიძე მიხვდა, რომ აქაც უცხო იყო. მათ შორისაც გამწყდარიყო ნათესაობის ძაფები. ისინიც სამუდამოდ დაშორებოდნენ ერთმანეთს. მათ შეხვედრაში იყო გარეგნული აღტაცება, მაგრამ აღარ იგრძნობოდა გულის სითბო, სიყვარული. კონსტანტინე სავარსამიძე ტაია შელიას შვილებისათვის აღარ იყო ძველი პატარა ჯიბუტა, რომელთანაც ბავშვობის დღენი და სიხარული აკავშირებდა.

სავარსამიძე საშინელი სინამდვილის პირისპირ აღმოჩნდა.

„ხომ აუტანელია: ქვეყანაზე საკუთარი „შინ“ არა გქონდეს, ცაში ღმერთი არ გეგულეობდეს და არც არავის უყვარდე ამ გაუხარელი ცხოვრების ბნელ ღამეში?!“ (გვ. 697).

კონსტანტინე სავარსამიძე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ „ადამიანი სიკვდილსა და გაჭირვებაში მარტოხელა ყოფილა“ (გვ. 872).

უღმერთოდ, უსიყვარულოდ და უსამშობლოდ დარჩენილმა კაცმა მალე თავისი სათაყვანებელი ღმერთის დიონისეს სიკვდილიც ნახა.

კონსტანტინე გამსახურდიას ეს სიკვდილი ალეგორიულად აქვს დახატუ-ლი.

დიონისეს სიკვდილს ის შინაარსი აქვს, რომ ახალ ცხოვრებაში ადგილი არ ჰქონდა დიონისეს და მითუმეტეს, მის მამიებელ ადამიანს. მათი არსებობის ერთადერთი ლოგიკური დასასრული სიკვდილია. კონსტანტინე სავარსამიძე პირველად დიონისეს სიკვდილის მოწმე მაშინ გახდა, როცა ტაია შელიას ჯოგში ღვინისფერი და წაბლისფერი ხარების ბრძოლა ნახა. ღვინამ წაბლა გამოშიგნა რქებით. ტაია შელიასათვის ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო: უფრო ღონიერი და ჯანსაღი მოერია შედარებით სუსტს. ეს ჯოგისათვის კარგიც იყო: გამარჯვებულ კუროს ჯიშისანი შთამომავლობა ეყოლებოდა. კონსტანტინე სავარსამიძისათვის კი ამას ალეგორიული მნიშვნელობა ჰქონდა: მის თვალწინ დიონისემ გაუსწორა ანგარიში თავისთავს. დიონისური რელიგიის თანახმად, დიონისე ამ ქვეყნად ხარის სახითაც დადის (ე.ი. დიონისეს ერთ-ერთი ჰიპოსტასი ხარიც არის) და, რაც მთავარია, იგი ხარის მკვლელი ხარია (ვ. ივანოვი, გვ. 139). მამასადამე, კონსტანტინე სავარსამიძისათვის ღვინისფერი ხარის მიერ წაბლისფერის მოკვლა დიონისეს თვითმკვლელობას ნიშნავდა. თავის მხრივ კი ეს ამბავი ქარაგმულად კონსტანტინე სავარსამიძეს ეუბნებოდა: შენც თვითმკვლელობით უნდა დაასრულო ცხოვრებაო.

ასევე დიონისეს თვითმკვლელობის ალეგორიული სურათია ფარვიზის სიკვდილიც. დავაკვირდეთ ამ ამბავს.

რომანს „დიონისოს ღიმილი“ ჰქვია. კონსტანტინე სავარსამიძემ დიონისეს უამრავი ქანდაკება ნახა, მაგრამ მომღიძარი დიონისე არსად შეხვედრია, თუმცა იგი თრობის, ლხენის და შვების ღმერთია. აქ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ დიონისე ხტონური ღვთაებაა, ე.ი. ქვესკნელის ბინადარია. იგი ღიადაა: ქვესკნელისაც იყო და ზესკნელისაც, ბალღიც იყო და ხარიც, მსხვერპლიც იყო და ქურუმიც (ვ. ივანოვი, გვ. 79). ამიტომ, საერთოდ, კონსტანტინე სავარსამი-

ძის მიერ დიონისეს ძიება არ არის მარტო შვება-ლხენის ძებნა, იგი პარალელურად სიკვდილის ძიებაც არის. ეს ერთი.

მეორე: კონსტანტინე სავარსამიძეს, რომელმაც ვერც ერთ სიყვარულს ვერ უერთგულა, საოცარი ერთგულებით უყვარს ფარვიზი. ფარვიზი ჯენეტის შვილია და შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ქალისადმი ტრფობა შვილზეც გავრცელდა. მაგრამ სავარსამიძეს მაშინაც თავდადებით უყვარს ფარვიზი, როცა ჯენეტისადმი მიჯნურობა გაუნელდა და გაუქრა. ეს იმიტომ, რომ ფარვიზი დიონისეა. რომანში ამას მკაფიოდ ადასტურებს ხალილ ბეის სურათი „დიონისოს მეორედ მოსვლა“. ამ სურათზე დიონისედ ფარვიზია გამოსახული. სხვაგანაც მრავალჯონის ადარებს სავარსამიძე ფარვიზს დიონისეს. ფარვიზისა და დიონისეს იგივეობა იმას მოწმობს, რომ კონსტანტინე სავარსამიძე ფარვიზის სახით დიონისეს ეტრფის. მერე სავარსამიძემ ფარვიზი გაუხედნავ ცხენზე შესვა და ცხენმა ყმაწვილი უფსკრულში გადაჩეხა. მითოლოგიაში ცხენი მრავალგვარი ფუნქციის შემსრულებელია. ერთ-ერთი ფუნქცია ისიც არის, რომ ხტონური ღვთაებების თანამგზავრია და მიცვალებულთა სულია.¹

დიონისეც ხტონური ღვთაებაა. ე.ი. ფარვიზი-დიონისე მისივე სულმა და თანამგზავრმა მოკლა, რაკი დიონისე ერთდროულად მსხვერპლიც არის და ქურუმიც.

ფარვიზის სიკვდილით კონსტანტინე სავარსამიძისათვის მოკვდა მეორედ მოსული ღმერთი დიონისე. ამის შემდეგ, მას უკვე აღარაფერი დარჩენოდა ამ ქვეყნად. სმარაგდის ბეჭედი უკან დააბრუნა და თავად ჯოჯოხეთს გაემგზავრა. მართალია, ჯოჯოხეთს გამგზავრება სავარსამიძემ სიზმრად იხილა, მაგრამ მისთვის სიზმარი და ცხადი ხომ ერთიდაიგივეა! ამასთანავე სავარსამიძის გრძელ სიზმარში ერთი ასეთი ეპიზოდიც არის: იგი ხალილ ბეის და ჰერბერტს შეხვდება. ხალილ ბეი თეთრ ცხენზე ზის, ჰერბერტი კი – შავზე. სავარსამიძე ენდროსფერ (ე.ი. წითელ) ულაყზე შეჯდება. აქ ცხენთა ფერები შესაბამისად აღნიშნავს ქართული მითოლოგიის ზესკნელს, ქვესკნელსა და შუასკნელს. ხალილ ბეი ცოცხალია და თეთრ ცხენზე ზის, ე.ი. ზესკნელშია. ჰერბერტი მკვდარია და შავ ცხენზე ზის, ე.ი. ქვესკნელშია. სავარსამიძე კი წითელ ულაყზე შეჯდა. წითელი ხომ შუასკნელის ფერია! შუასკნელით ადამიანის სული ქვესკნელს მიემგზავრება და სამუდამოდ მკვიდრდება ჰადესში.

„აღარც სიცილი შემიძლია, აღარც ტირილი...“

და ერთად ერთი ნატვრაა ჩემი: ყინულზე დავარდნილი ნაპერწკალივით გადნეს თუნდაც ჩემი სხეული.

.....

ტაია შელია!

ჩემი ცხოვრების ნახევარგზაზე შემომადამდა!..“

.....

ასე დაამთავრა სიცოცხლე მშობლიურ მიწას მოწყვეტილმა ადამიანმა. კონსტანტინე სავარსამიძემ ვერც ღმერთი იპოვა, ვერც სიყვარული და ვერც ცხოვრების აზრს მიაგნო.

„მთვარის მოტაცება“

ეპოქის სიკვდილი

კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“ აღწერილი ამბები ძირითადად ერთი წლის მანძილზე ხდება – 1931 წლის აპრილიდან 1932 წლის აპრილამდე. ზოგიერთი რეტროსპექციული უკანდახევა (მაგალითად, თარაშ ემხვარის დღიურში ნაამბობი) არ ცვლის დროის საკითხს. მართალია, ამ დროს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობა ათ წელს ითვლიდა, მაგრამ დამარცხებული ეპოქის სიკვდილი გრძელდებოდა. როგორც ვიცით, დამარცხება ჯერ კიდევ არ არის სიკვდილი. დამარცხებულს, თუკი მას სასიცოცხლო ენერგია კიდევ აქვს შენარჩუნებული, ისევ შეუძლია ძალა მოიკრიბოს და გამარჯვებულს ხელმეორედ შეეხას. ვინ იცის, ამ მეორედ შერკინების დროს, დამარცხებულმა გაიმარჯვოს და გამარჯვებული დამარცხდეს. მაგრამ 30-იან წლებში საქმე ასე საჭოჭმანოდ უკვე აღარ იყო: 1921 წლის თებერვალში დამარცხებული ეპოქა საბოლოოდ სულს დაფავდა, მეორედ შებრძოლების თავი და ენერგია მას უკვე აღარ ჰქონდა. ერთადერთი, რაც დამარცხებულ ეპოქას დარჩენოდა, სიკვდილი იყო და ისიც კვდებოდა.

მაგრამ ეპოქა განყენებული, ცარიელი ცნება არ არის. ეპოქა ადამიანებია, საგნებია, შეხედულებათა სისტემაა, ადამიანთა შორის კავშირია. და როცა ეპოქა კვდება, მასთან ერთად ირღვევა და კვდება ყველაფერი ეს. სიკვდილი კი ყოველთვის აღიქმება, როგორც ტრაგედია, რადგან არყოფნაში გადადის ის, რაც ცოცხალი იყო, რაც არსებობდა თავის ავითა და კარგით, რასთანაც დაკავშირებული იყო ადამიანთა ბედი. ეპოქის სიკვდილი ტრაგიკულია მით უმეტეს, რომ კვდება არა მარტო ის, რაც უვარგისი და მახინჯია, არამედ ხშირად ისიც, რაც ვარგისი და მშვენიერია.

ეპოქის სიკვდილი გრძელი, რთული და მრავალფეროვანი პროცესია. ამ პროცესის გადმოსაცემად „მთვარის მოტაცებაში“ მრავალი ადამიანის სიკვდილია აღწერილი. როგორც სხვადასხვაგვარი იყო მათი ცხოვრების ფორმები, ასევე სხვადასხვაგვარი იყო მათი სიკვდილიც.

გულმშვიდად, თავმოდრეკილი შეეგება სიკვდილს მაია ემხვარი. „მაია ოქტომბერში გაცივდა, შაბათ საღამოს ილოცა, ჩაწვა ლოგინში და მეორე დღეს მკვდარი იპოვნა ცირუნიათ იგი“.¹ „მივედი დილით, დიდხანს ვაღვიძე. ადექიმეთქი სულე, ხმა არ გაიღო, ნათელი დაადგა მის სულს, ისე სპეტაკად და კობტად ეძინა, როგორც მას სჩვეოდა, ნათელი დაადგა მის სულს“ (ტ. 3, გვ. 177).

მაია ემხვარს არც ძალა შესწევდა და არც სურვილი ჰქონდა თავისი კლასის გადარჩენისათვის ებრძოლა. მას უცხოეთში გადახვეწილი ქმრისა და შვილის ბედი აწუხებდა. თუკი მისი თარაში ბედნიერი იქნებოდა, იგი არას დაგიდევდათ ვარდანიძე-ემხვარების გვარის კლასობრივ ტრაგედიას. მისი არსება

შვილის სიყვარულით ცხოვრობდა და არაფერი აკავშირებდა – არც მტრობა, არც სიძულვილი, არც მოყვრობა და არც სიყვარული – იმ სოციალურ ძვრებთან, რაც 20-იან წლების საქართველოში მოხდა. იგი, დადიანის ასული და ემხვარის ცოლი, ლოპინარის წვენით ირჩენდა თავს, ოღონდ მისი თარაში კარგად ყოფილიყო და, როცა თარაშ ემხვარის სიცოცხლის გზა გაურკვეველად დაინისლა, მაია ემხვარის სული იმქვეყნად წაბრძანდა, რადგან მას ამ ქვეყანასთან აღარაფერი აკავშირებდა. მაიასებრ უდრტვინველად მიიცვალა ბიძია ქაიხოსროც: „ძია ქაიხოსრო ფერისცვალების დღეს მისულიყო მაიას სანახავად. ცირუნის ახლად ნაკურთხი ყურძენი მიერთმია, სადილობისას ქათმის ერთი ბარკალი შეუჭამია ბიძია ქაიხოსროს, ერთი ჭიქა ღვინო დაუღვია, ერთი მარცვალი უგემნია მწიფე ყურძნისა... მერმე ემანდ მუთაქაზე მიეძინა ბედშავს და სული ზედ არ აყოლია უხანოს“ (ტ. 2, გვ. 239). ეს ორი ადამიანი ლანდივით გაჰყვა თავის ეპოქას, რადგან სხვა ცხოვრებას მათთვის დანიშნულება და აზრი არ ჰქონდა.

ნოშრევან ფარჯანიანი დამარცხებას შეგუებოდა, რადგან დამარცხება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ღირსების ჩამორთმევას. ამასთანავე ღირსებას იგი მწარე იუმორითაც ინარჩუნებდა. ამით იგი უპირატესობის შეგნებას არ კარგავდა. მაგრამ მისთვის ყველაფერი გათავდა, როცა დაამცირეს, როცა მისი ქალი ანული უგვარო მანჯგალაძეს მისთხოვდა. დამარცხება და დამცირება ბერიკაცმა ერთად ველარ აიტანა და თავი მოიკლა, რადგან ბრძოლისათვის არავის მოუშალებია იგი და მასაც არასოდეს უფიქრია ამაზე. მისი სიკვდილი უძღურების პროტესტი იყო.

ასეთივე უძღურების მაჩვენებელია ქორა მახვშის სიკვდილიც. არამარტო თვისებები და ხასიათი ქორა მახვშისა, არამედ მისი გარეგნობაც გარკვეული ეპოქის გამომხატველია. „იგავ-მიუწვდენელი დიდებულება გამოკრთოდა მის პატრიარქალურ წვერებსა და მდეგურ გარეგნობაში. აღმოსავლეთში წარმოუდგენელია ამ ომახიანობის გარეშე რომელიმე ტომის, თემის, ან გვარის მეთაურობა. ღრმა მიხრწნილებაში გადასულ მოხუცს საოცრად მოვლილი თმაწვერი მოსავდა. ეს იყო წვერ-ულვაში ტუჩპირის გარშემო შეყვითლებოდა. დამწვარი ვერცხლით შემკული სატევარი ორი ხელის დადება იქნებოდა. ხოლო ქამარი, ქამარს ნულარ იკითხავთ. ზღვის კიმილებისდარი ვერცხლის ფიგურები მიჯრით მიწყობილად გარს ევლებოდა ქამარს და გვერდებში საქონეები, საწამლეები და სალეკურე ეკიდა. თავისფერი ჩოხა ეცვა მახვშს და ამავე ფერის პაჭიჭები სვანურ ჯაბრალეზამდის სწვდებოდა“ (ტ. 3, გვ. 37).

ქორა მახვში განუყრელად, როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად შერწყმია თავის დროს. ცხადია, როცა დრო გამოიცვლება, დაწყდება და მოკვდება ქორა მახვშის ყველა სასიცოცხლო ძარღვი. დროს გამოცვლა არ ნიშნავს სოციალიზმის სიტყვიერ აღიარებას. ამიტომ მახვში გულმშვიდად იტანს ორ კომკავშირელს – შვილიშვილ საურს და სტუმარ არზაყან ზვამბაიას. ამათი არსებობა ჯერჯერობით ნომინალურად ნიშნავს ახალ დროს. მაგრამ როცა მოვა გზა, მაშინ კი შეიცვლება დრო, რადგან გზას მოჰყვება სხვა რწმენა, სხვა საგნები, სხვა

ზნე-ჩვეულება, სხვა წესი ცხოვრებისა. ამას საოცარი გამჭრიახობით გრძნობს ბერიკაცი: „როდესაც გზა ჩემ კომპამდის მოვა, მე აღარ მინდა ვიცოცხლო“ (ტ. 3, გვ. 90). იგი ბიბლიური სიმშვიდით ელის სიკვდილს, რადგან მისთვის სიკვდილი შვებაა გარდაუვალის წინაშე. იგი მართლაც იმ დღეს მოკვდა, როცა გზის მშენებლებმა ლაღუმები ნაწისქვილართან ააფეთქეს და ლაფარიანების კოშკს მიადგნენ. ეს მოხდა არა იმიტომ, რომ ქორა მახვშს სურვილი და წინასწარმეტყველება აუხდა, არამედ იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, სიმბოლურად იმ დღესვე მოკვდა ძველი ეპოქა სვანეთში და მეორეც, ქორა მახვშში ადამიანი და დრო შერწყმულიყო და ერთარსებად ქცეულიყო. მათი გათიშვა შეუძლებელიყო.

ქორა მახვშის სიკვდილი ტრაგედიაა იმ კაცისა, ვისაც სიკვდილი დაუგვიანდა, რადგან თავის დროზე სიკვდილი ბედნიერების ერთ-ერთი სახეობა ყოფილა. ლაფარიანების მახვშმა მისთვის განკუთვნილი ეპოქის სამანს გადააბიჯა და სიცარიელეში აღმოჩნდა. ყველაფერი, რითაც თანამედროვე ადამიანი ცხოვრობს, რასაც შეჩვეულია იგი, იქნება ეს თვითმფრინავი, გემი თუ სხვა რამ, შიშის ზარს სცემს ბერიკაცს. მისი ცხოვრების უკანასკნელი წლები მარადიული შიშია მისთვის უცნაურის, მიუწვდომელის და შეუცნობელის წინაშე. ამ შიშში დალია მან სული. მიწა თავისას მოითხოვს და ქორა მახვშს დაუგვიანდა მიწისკენ მიბრუნება, რამაც განაპირობა მისი აღსასრულის ტრაგედია.

ეპოქის სიკვდილის მსხვერპლნი არიან ის ადამიანები, რომელნიც უკვე მოვიხსენიეთ (მაია, ქაიხოსრო, ნოშრევან ფარჯანიანი, ქორა მახვში). მათ აქტიური ბრძოლა არ გაუმართავთ არც ეპოქის დასაცავად, არც საკუთარი არსებობის შესანარჩუნებლად. ეს ბრძოლა აზრ და მიზანდაკარგული იყო. ქვეშეცნეულად მათ ეს გაიგეს და, ამდენად, ნებაყოფლობით ერგოთ ზვარაკის როლი. მათი ბედი ტრაგიკულია, როგორც, საერთოდ, ყოველი ზვარაკის ბედი. ერთი შეხედვით, მათი სიკვდილი არ მომხდარა ფიზიკური ძალდატანებით, მაგრამ არც ბუნებრივი, თავის დღით სიკვდილია მათი გარდაცვალება, რადგან მათი სულიერი სამყაროს შერყევა მოხდა ძალდატანებით. ძალა იხმარეს მათი სულის გარდაქმნისათვის, მათთვის ახლობელი და შეჩვეული ყოფის შესაცვლელად. ამ სულიერი ტკივილის გადატანა ვერ მოახერხეს და მას ემსხვერპლენ კიდევ, არც ერთ მათგანს რომანში დიდი როლი და ადგილი არ უჭირავს, მაგრამ ისინი ზუსტად ქმნიან ეპოქის ატმოსფეროს, საერთოდ ტრაგიკულ განწყობილებას, ფერსა და ცხოველმყოფელობას ანიჭებენ სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის ატეხილი ბრძოლის მარად ძველსა და მარად ახალ ამბავს.

პერსონაჟთა ამ რიგს ეკუთვნის ლომკაც ესვანჯიაც, თუმცა იგი ბევრად აქტიურია მათზე და თავისი პოზიციებიც ნებით, უბრძოლველად არ დაუთმია. ლომკაც ესვანჯია ღვიძლი შვილია სოციალურად თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული და რწმენით წარმართულ-ქრისტიანული საქართველოსი.

არავინ და არაფერი გააჩნდა ლომკაც ესვანჯიას: „არამც თუ ნათესავი, თანაკბილაც არ შერჩენოდა 120 წლის მოხუცს. თითქმის ასი წლის მანძილზე გიორგობის წინა დღეს ილორის ტაძარში ამწყვდევდნენ ლომკაც ესვანჯიას. მეორე დღეს დავარდებოდა და „ამცნობდა“ ხალხს წმინდანის ნებას. დიდმუხის

ქურუმიც ესვანჯია იყო, დარისა და ავდარის უშუალო მაცნე... ექიმბაშიც იგი იყო, ბალახებით მკურნალი, შესანიშნავი დოსტაქარი და შემლოცველი. თანაბრად ებრძოდნენ ლომკაც ესვანჯიას როგორც ძველი დროის ქრისტიანი მისიონერები, ისე ახალი დროის ექიმები, კომუნისტები და მასწავლებლები. საოცარი ის იყო, წმ. გიორგისა და მუხის კულტის დიდი ქურუმი ქრისტიანობაშიაც ეჯიბრებოდა ძველათაცა ყველაზე „მართლმადიდებელ“ დეკანოზებს და ეს სატევრიანი მოგვი ქრისტესა და წმ. გიორგის ნების მეურვედ სთვლიდა თავის თავს ამ „ცოდვილ მიწაზე“ (ტ. 3, გვ. 196).

ზოგჯერ ყველაზე გამჭრიახი, ჭკვიანი და კეთილგონიერი ადამიანიც კი ებღაუჭება არსებობის იმ ფორმას, რომელიც დრომ გასწირა. ეს ხდება არა იმიტომ, რომ ამ ადამიანს განწირვის პროცესი არ დაუნახავს ან ვერ შეუგნია, არამედ იმიტომ, რომ არსებობის იმ განწირულ ფორმასთან არის დაკავშირებული მთელი მისი შეგნებული ცხოვრება. ასეთ შემთხვევაში არსებობის განწირული ფორმის უარყოფა უდრის საკუთარ სიცოცხლეზე უარის თქმას, რადგან სხვა სიცოცხლე მას არ ჰქონია, მით უმეტეს, თუ ადამიანი ხანდაზმულიც არის, ხანდაზმულობაში ახალი ცხოვრების დაწყება შეუძლებელია. ამისათვის აღარც ფიზიკური ძალებია და აღარც სულიერი. აქედან გამომდინარე, ადამიანი ებღაუჭება მიჩვეულსა და ნაცნობს, თუმცა ამ მიჩვეულს და ნაცნობ ცხოვრებას მისთვის დიდი სიკეთე და ბედნიერება არ მოუტანია. ასეთ მდგომარეობაშია ლომკაც ესვანჯია. 120 წლის მოხუცს აღარ შეუძლია ახალი ცხოვრების დაწყება, თორემ კომუნისტებისაგან დასაცავი მას არაფერი აქვს. ქონება არ გააჩნია, ოჯახი არ ჰყავს და თანამდებობა არასოდეს ჰქონია. ერთადერთი, რითაც სულდგმულობდა, რწმენა იყო – ნახევრად წარმართული, ნახევრად ქრისტიანული რწმენა. მას ამ რწმენისათვის ძველ დროშიც ებრძოდნენ და ახალ დროშიც ებრძვიან. ასე, რომ განსხვავება აქ თითქმის არ არის. ამიტომ მთელი მისი ბრძოლა შეჩვეული უკუღმართობის დაცვაა. მაგრამ ბერიკაცს დიდხანს აღარ ეყო ძალა მის დასაცავად: იგი მიიცვალა ტვინში სისხლის ჩაქცევით.

ლომკაც ესვანჯიას ცხოვრება ტრაგედიაა იმ კაცისა, რომელიც იბრძვის იმის დასაცავად, რაც მას არსებითად არასოდეს ჰყვარებია, მაგრამ უმძიმს და ეჭირვება არსებობის შეჩვეული ფორმის დათმობა.

არიან ადამიანები, რომელთა მიმართ თანაბრად უსამართლონი არიან ღმერთი, ბუნება, სოციალური სინამდვილე და ადამიანები. მათ უარი ეთქვათ ამქვეყნიურ ყველა სიამაზე. მხოლოდ უსამართლობა, დამცირება, დაჩაგვრაა მათი ხვედრი. მიუხედავად ამისა, ისინი არიან ყველაზე ერთგულნი მოყვარულნი მჩაგვრელისა. მათ არასოდეს გაუვლიათ გულში მტრობა და სიძულვილი. ისინი წმინდანის მოთმინებით იტანენ მათზე დაკისრებულ კირთებას. ისინი მუდამ უარესის მოლოდინში არიან და უკეთესის იმედი სამუდამოდ წარკვეთილი აქვთ.

ასეთ ადამიანებს ეკუთვნის ლუკაია ლაბახუა.

გიორგობის დღეს მას ილორის ტაძრის კარებში დაამხოზდნენ, დიდი და მცირე გადაჯეგვავდა და ისე შედიოდნენ ტაძარში. მაგრამ ლუკაიამ სიკვდი-

ლის დღემდე შეინარჩუნა სიყვარული და ერთგულება ქრისტიანული ეკლესიის მიმართ.

ბუნებამ იგი მახინჯი გააჩინა: „ტანად გოჯა იყო ლუკაია. ძვალმსხვილა, გრძელწვერა, კისერმოკლე, დაწვმაღალი, გრძელხელა და მოკლეფეხება. მარჯვენა ფეხი მოქცეული ჰქონდა, მარცხენა მხარი ამოვარდნილი“ (ტ. I, გვ. 44). მაგრამ ლუკაიას არასოდეს უთქვამს საყვედური ბუნების მიმართ – ეგზომ მახინჯი რად გამაჩინეო. იგი სიგონჯესაც მოწამებრივი მოთმინებით იტანდა.

დედა გაუყიდეს ლუკაია ლაბახუას. თავად კი მასხრად და გასართობად გაუხდიათ ადამიანებს. არავინ არის მისი მომფერებელი, არავინ ეუბნება მას ტკბილ სიტყვას (ორად-ორ კაცს ეცოდება იგი – თამარ შარვაშიძესა და თარაშ ემხვარს), არავის აწუხებს მისი ბედი. მაგრამ ამასაც მოთმინებით იტანს და არც ამის გამო ამბობს საყვედურს.

მთელი სიცოცხლე ტარიელ შარვაშიძის ოჯახის სამსახურში გაატარა. მადლიერების მაგიერ ურტყამდა, სცემდა ნახუცარი, მაგრამ შარვაშიძეების ოჯახს არ ჰყოლია ლუკაიაზე უერთგულესი კაცი. მას არც შარვაშიძეების ოჯახის მიმართ დასცდენია რაიმე საყვედური.

ყველა ბოროტების მიმართ დამუნჯებულმა კაცმა ერთადერთხელ საკუთარი სიცოცხლე დასწყევლა მხოლოდ.

და ეს მოსდიოდა ლუკაია ლაბახუას არა იმის გამო, რომ იგი შლუ და ლენჩი იყო, არამედ ბედისწერისადმი უკიდურესი მორჩილების შედეგად, თორემ თავისი მდგომარეობა ლუკაია ლაბახუას ისე ნათლად და შეგნებით აქვს წარმოდგენილი, რომ იგი მისტიკურად ნათელმხილველი გეგონებათ. აბა, ვის შეეძლო, თუ არა ნათელმხილველს, ასე გამოეტირა თავისი ბედდამწვარი ცხოვრება?

„არ მოსულიყო ამ ქვეყნად სინათლე ნეტავი, სიცოცხლე ღამეს ჰყოლოდა უბეში...“

ასე ერჩივნა ლუკაია ლაბახუას.

ამიტომაც ბორგავდა.

როკავდა.

რეკავდა.

აქ გაიარა მისმა სიჭაბუკემ, ამ ცაცხვებისა და ჭადრების ჩრდილში.

ილორში ცხოვრება მოაგონდა, მოსაწყენი და გრძელი, როგორც თორმეტი სახარების კითხვა ვნების კვირაში.

ახლა ოქუმი...

დეკანოზის ჭირვეულობა...

გინება...

ლანძღვა და ფეხების ფხანა...

ოჰ, ცაო მაღალო,

ოჰ, მრუმე ღამევ,

წეულიმც იყავ,

ხანგრძლივო სიცოცხლევ!

და კრული სიბერე, სხვის სახლში სიბერე...

დაცინვა...

გვემა...

ნარჩენი ულუფა...

ოჰ, ცაო მაღალო,

ოჰ, მრუმე ღამევ,

წყეულიმც იყავ,

ხანგრძლივო სიცოცხლევ!

აენთო მის გულში შურისგების გრძნობა. მაგრამ ვისზე იდიოს მერმე მან შური?

ეს ქვეყანაო, – ფიქრობდა ლუკაია, – არ ღირებულაო ნივრის ნაქურცვენად.

ღმერთიო?

რა ღმერთი? დაცლილი ეჩვენება ეს უცნაური მიწაცა და ზღვისფერი ციონიც.

როკავდა, რეკავდა ლუკაია ლაბახუა, რადგანაც ლხენა გამოლეოდა ამ ქვეყნად. არც არავის უყვარდა, არც არავინ აფასებდა და მეწყერს წაელო მისი წილი მიწის ნაჭერი. ყველასათვის უცხო და მიუსაფარი, იდგა და რეკავდა სამრეკლოს ბნელ თაღს ქვეშ.

ოჰ, ცაო მაღალო,

ოჰ, მრუმე ღამევ,

წყეულიმც იყავ,

ხანგრძლივო სიცოცხლევ!“ (ტ. I, გვ. 248-249).

ლუკაია ლაბახუამ სიკვდილშიაც სიყვარულისა და ერთგულების წმინდა მაგალითი აჩვენა: მან იმ დღეს მოიკლა თავი, რა დღესაც თამარ შარვაშიძე მიიცვალა.

ლუკაია ლაბახუას ცხოვრება ტრაგედიაა კაცისა, ვისაც მხოლოდ ერთგულება და სიყვარული ასწავლა არსთაგამრიგემ, სამაგიეროდ კი არგუნა მარტობა, უსიყვარულობა, მიუსაფრობა და დამცირება. ეს არის ტრაგედია ქრისტეს ბუნების ადამიანისა: ყველა სულიერი ძალა და სითბო გაიღო სხვებისათვის და ამ სხვებმა იოტისოდენა მადლიერების გრძნობითაც კი არ გადაგიხადონ სამაგიერო.

მომაკვდავ ეპოქასთან არის გადაჯაჭვული თამარ შარვაშიძის ბედიც. მისი ქალობა, სილამაზე და სათნოება ორი მამაკაცის – თარაშ ემხვარისა და არზაყან ზვამბაიას – საცილობელი გამხდარა ორი ეპოქის მიჯნაზე. პირველთან მას აკავშირებდა გვარიშვილობა, აღზრდა, შეხედულებანი, ცხოვრების წესი, მეორესთან კი – ყოველივე ამის უარყოფა. ასეთი იყო ეპოქის მოთხოვნილება და არზაყან ზვამბაიას სურვილიც.

თამარ შარვაშიძე ქვეშეცნულად გრძნობდა, რომ არ შეიძლებოდა ძველის შენარჩუნება. იგი ფიქრობდა მისგან გათავისუფლებულიყო, მაგრამ არ იცოდა როგორ. ძველის უარყოფა ნიშნავდა ოჯახის – ცოცხალი მამისა და გარ-

დაცვლილი დედის – უარყოფას, ზნე-ჩვეულებათა, შეხედულებათა, საყვარელი საგნების დათმობას. ეს თამარის მხრიდან ამბოხებას მოითხოვდა. თამარის ადამიანური შინაარსი კი სათნოება იყო. სათნოებას ამბოხება არ შეუძლია. სათნოებისათვის უცხოა ძალდატანება და ამ გზით მიზნის მიღწევა. ამიტომ არზაყან ზვამბაიასაკენ მიმავალი გზა მისთვის მოკვეთილიყო. რაკი სათნოებას მხოლოდ თავისთავის მსხვერპლად მიტანა შეუძლია, თამარ შარვაშიძეც ემსხვერპლა თარაშ ემხვარის სიყვარულს.

თამარ შარვაშიძის ცხოვრება არის სათნოების ტრაგედია, რადგან ორი ეპოქის მკაცრი და დაუნდობელი ბრძოლის დროს არავის ეცალა მის (სათნოების) მოსაგლეჯად და საპატრონოდ. დროს სჭირდებოდა უხეში ძალა და სათნოებისათვის ადგილი არ დარჩენილიყო.

განსაკუთრებით მძაფრად ეპოქის წინააღმდეგობებმა თავი ზვამბაიების ოჯახში იჩინა. აქ მამა-შვილი შეეჯახა ერთმანეთს. რადიკალურად განსხვავებული პიროვნებები არიან კაც ზვამბაია და არზაყან ზვამბაია. არ არსებობს ცხოვრებისადმი დამოკიდებულების რაიმე ფორმა, რაშიაც მამა-შვილი ერთმანეთს ეთანხმებოდეს.

კაც ზვამბაიას იმდენად სძულდა კომუნისტები, რომ „არასოდეს ახსენებდა ბოლშევიკებს. თუ შვილს მიმართავდა „თქვენო“ ეტყოდა, თუ სხვას, მაშინ „ისინი-ს“ იტყოდა“ (ტ. I, გვ. 26). მას მტკიცედ სჯერა, რომ მისი ოჯახიცა და მთელი ქვეყანა კომუნისტებმა დაღუპეს.

არზაყან ზვამბაიას კი თავდავიწყებით უყვარს პარტია: „მისთვის პარტია თითქოს ზენარული რამ ერთარსება იყო მუდამ... პირდაპირ რელიგიური ფანტიზმით უყვარდა არზაყანს პარტია...“ (ტ. I, გვ. 112).

ვაჟკაცობის სიმბოლო იყო კაც ზვამბაიასათვის ცხენის ქურდობა. „ოდესღაც მთელი სააფხაზოს, სამურზაყანოს და ყაზარდოს ცხენის ქურდები კაც ზვამბაიას სახლში იყრიდნენ თავს. არც კაც ზვამბაია და არც მისი სტუმრები მარტოოდენ ანგარების გამო არ ეწეოდნენ ამ საქმეს. ცხენის ქურდობა იმ დროებში ვაჟკაცობის მაღალი მარკა იყო“ (ტ. I, გვ. 128).

არზაყანი კი პირიქით: „თავათ ილაშქრებს მამისა და სიყრმის მისის მეგობართა წინააღმდეგ“ (ტ. I, გვ. 128) და პოლიტსამმართველოს დავალებით ყაჩაღებს სდევნის.

შვილმა აქაც „გატეხა მამის ძვალი“.

მამის არც ერთ რჩევას არ ათხოვა არზაყანმა ყური: „კომკავშირში ნუ შეხვალ და მთელ სოფელში პირველი ჩაეწერა. ჩალმაზს – რაიკომის მდივანს ნუ აჰყვები და ლამისაა სულში ჩაიმგრინოს ჩალმაზი. აკვანში დანიშნული ქალი მიატოვა და თამარს გადაევიდა, შარვაშიძის ქალს“ (ტ. I, გვ. 9).

კაც ზვამბაიას ჭირის დღესავით სმაგს თბილისი: „გაზეთები და წიგნები იქიდან მოდისო, სოციალისტები, აჯანყება და ტიფი იქ იწყებაო პირველად.

ტფილისში არიანო უღმერთოები და „საკატორლო ხალხი“, სოციალისტები და „ქვეყნის დამქცევლები“, ყველა, ვინაც ძველი, ტკბილი დროის მყუდროება დაარღვია, მამა და შვილი ურთიერთს გადაჰკიდა, ვინც გაზრდილი მამამ-

მუქეს წაჰკიდა. ვინც ქალს სადავე დაუგრძელა და ვინც ოჯახის ფუძე შეარყია სამუდამამოდ“ (ტ. 2, გვ. 112).

პირიქით, არზაყანს უყვარს თბილისი, იქ ყოფნა და ცხოვრება ეოცნებება: „ტფილისი წარმოდგენილი აქვს არზაყანს როგორც განათლებისა და რევოლუციის ვეება კოცონი... და უკვე მოესმის მის წარმოდგენას ტფილისის ქარხნების ზუილი, ავტოების ზუზუნი, ზღავილი და ტრამვაების ნერვიული რეკვა“ (ტ. 2, გვ. 114).

მიუხედავად ამ შეურიგებელი წინააღმდეგობისა, მამას თავდავიწყებით უყვარს „ძვლის გამტეხი“ შვილი. ეს სიყვარული კიდევ უფრო ამძაფრებს მამა-შვილს შორის არსებულ ტრაგიკულ მტრობას, რადგან გამორიცხულია შვილის საქციელისადმი გულგრილი დამოკიდებულება. ასევე გამორიცხულია მათი მტრობის კომპრომისული გადაწყვეტა: არც მამა და არც შვილი დათმობაზე არ წავლენ. ორივეს უდრეკი და უჯიათი ხასიათი აქვს. მათი შუღლი მხოლოდ სიკვდილით შეიძლება მოგვარდეს. ასეც მოხდა. მამა-შვილს შორის მრავალგზისი შერკინება, ბოლოს მკვლელობით დამთავრდა: არზაყანმა მოკლა კაც. მერე მწერალმა კრიტიკის ძალდატანებით ეს ტრაგიკული სცენა შეცვალა: კაც ზვამბაია მოკლეს მისმა მოსისხლე ტარბებმა. ეს მოხდა არზაყანის სახის შეფერადების მიზნით, რადგან მამის მოკვლით მას წარუხოცელი ჩირქი ეცხებოდა. მაგრამ არსებითად ამას არაფერი შეუცვლია მკითხველის არზაყანისადმი დამოკიდებულებაში. ეს იმიტომ, რომ არზაყანმა ფაქტიურად მამა დიდი ხნით ადრე მოკლა. კაცის ფიზიკურად განადგურებამ მხოლოდ მკვლელობა დაასრულა.

ზემოთ ითქვა, რომ მამა-შვილს შორის შეურიგებელი მტრობა იყო, რადგან არზაყანი იმ ეპოქას ებრძოდა, რომლითაც მამამისი სულდგმულობდა. კაც ზვამბაიას ძველი ეპოქის გარეთ ცხოვრება არ შეეძლო. იგი გულის ფესვებით იყო მასთან შეზრდილი. ნებით იტყოდა უარს ძველ დროზე კაც ზვამბაია თუ ძალით, ეს სულერთია, იგი მაინც მოკვდებოდა ძველ ეპოქასთან ერთად. შვილს კი დათმობა არ შეეძლო. იგი ვერც მამას დაუთმობდა და ვერც ძველ ეპოქას. დათმობასა და უკანდახევას არზაყან ზვამბაია ვერც თვითონ აპატიებდა თავის თავს და არც სხვები აპატიებდნენ მას. ამ ტრაგიკული კოლიზიის გახსნა მხოლოდ სიკვდილს შეეძლო. კაც ზვამბაიას სიკვდილი მაშინ დაიწყო, როცა მან საკუთარი საქონელი ამოწყვიტა, რათა კოლექტივში არ შეეყვანა. ისეთი გლეხისათვის, როგორც კაც ზვამბაია იყო, ეს თვითმკვლელობას უდრიდა. და თუ იმ ღამეს ეს ფაქტიც არ მოხდა, ამის მიზეზი შემთხვევა იყო: არზაყანს მოსისხლე ტარბები დაესხნენ თავს და მამამ კიდევ ერთხელ გადაარჩინა მოლატე შვილი. ამის შემდეგ, კაც ზვამბაია მექანიკურად ცხოვრობს. ცხოვრების გაგრძელებაში ისევ ძველი ტრადიცია ეხმარება: მოსისხლეებს არ უნდა დაუთმოს. როცა მას ეს უკანასკნელი საარსებო ფაქტორიც უნდა მოსპობოდა (არზაყანი უარს ამბობდა სვანეთში დარჩენილიყო და თბილისში წასვლა მტკიცედ გადაეწყვიტა), მამა-შვილს შორის არსებული მოჩვენებითი წონასწორობა საბოლოოდ დაირღვა – ან მამა, ან შვილი უნდა დაცემულიყო მკვდარი. დაეცა მამა.

ამას სიმბოლური მნიშვნელობაც ჰქონდა: შვილი ახალი ეპოქა იყო, მამა – ძველი. ამ მკვლევლობით ახალი ეპოქა კიდევ ერთხელ უსწორებდა ანგარიშს ძველს. მართალია, ეს ბუნების საწინააღმდეგო სიხლიანი ტრაგედია იყო, მაგრამ ასეთი იყო დროის კარნახი და მოთხოვნილება. „... ტანჯვის ჯურღმულებში უნდა იაროს კაცობრიობამ, რათა რისხვისა დღეს ცად ამაღლდეს სული კაცისა! ჰოი, აფთარო, კაცის სისხლის უხვად მხვრეპელო“ (ტ. 2, გვ. 54).

კაც ზვამბაიას ცხოვრება ტრაგედიაა მუხისა, რომელსაც გრიგალის დროს ლერწმის თვისება არ აღმოაჩნდა. ეს არის ტრაგედია შეგუების უნარს მოკლებული ადამიანისა. კონფორმიზმი უცხო იყო კაც ზვამბაიასათვის მისი გლეხური ბუნების, მამაკაცური ხასიათისა და ადამიანური პატიოსნების გამო.

ასე დასრულდა იმ ადამიანთა სიცოცხლე, რომელთა ცხოვრება გაპირობებული იყო ძველი ეპოქით და პირიქით: რომელთა ცხოვრება იყო ძველი ეპოქის შინაარსი და სახე. მაგრამ ეპოქის კვდომის პროცესი მაინც გრძელდებოდა. ადამიანებთან ერთად კვდებოდნენ საგნებიც.

„საოცარიო, ამბობდა კაროლინა, ჩვენს ახლოს დიდხანს ყოფნის გამო საგნები ისე გვეთვისებიან, თითქოს სხეულის ჩვენის ნაწილი ხდებიანო. ლხენათა და მწუხარებათა ჩვენთა თანაზიარი“ (ტ. 2, გვ. 22).

ადამიანი საგნების გარემოცვაში ცხოვრობს და სრულიად ბუნებრივია, რომ მათ შორის ემოციური კავშირი მყარდება. საგნები იჟღინთება ადამიანური სულით: ადამიანი მათში აქსოვს ეპოქის გემოვნებას, მშვენიერებაზე წარმოდგენას, სოციალურ დამოკიდებულებათა შინაარსს. თავის მხრივ კი საგნები ადამიანს ანიჭებენ ტკბობასა და სიამოვნებას, იქცევიან აუცილებელი მოხმარების ნივთებად. და ბოლოს, ისინი არიან საშუალებანი ადამიანის სოციალური და ესთეტიკური განმტკიცებისა მოცემულ კონკრეტულ სინამდვილეში. ამიტომ ეპოქათა რყევისა და ბრძოლის დროს საგნები ადამიანთა ნაკლებ არ მონაწილეობენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

დააკვირდით „მთვარის მოტაცებაში“ აღწერილ ერთ ეპიზოდს: ტრაქტორი ჩაფლულიყო ტლაპოში. ხალხი დახვეოდა და ტრაქტორის ამოყვანას ცდილობდა. „... გვანჯ აფაქიძემ თარაშ ემხვარიც მოახედა: – „შეხე, რა ეშმაკებია მაგ გველისწიწილები!“ – ეუბნებოდა ემხვარს. – ეგერ რამდენი კამეჩი ყრია ტლაპოში, კამეჩები არ მოიშველიეს განზრახ, თავად დაქვეითდნენ და ისე ამოყავთ“.

„რაო მერე, კამეჩები რად არ მოიშველიეს, ძია გვანჯ?“

„იციან, ხალხი დასცინებს მაშინ ტრაქტორს“ (ტ. 1, გვ. 201).

როგორც ვხედავთ, ხალხის თვალში ტრაქტორისადმი დამოკიდებულება გაიგივებულია საბჭოთა ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებასთან. საგანი მთელი სოციალური სინამდვილის სიმბოლოდ არის გადაქცეული.

როცა საგნები ასეთ შინაარსსა და მნიშვნელობას იძენენ, ისინი საშიშნი ხდებიან. ამიტომაც შეაძრწუნა ხალხი ლუკაია ლაბახუას მიერ ილორის ზარების რეკვამ, ამიტომაც გაიცა განკარგულება – ჩამოხსენითო ზარები.

„და მერმე აცოცდნენ ახალგაზრდები სამრეკლოს ზეთავზე, ჯერ ილორის დიდ ზარს შემოაჭრეს თოკი.“

რახრახით, გრუხუნით წამოვიდა ეს უზარმაზარი მუზარადი. დაეცა სამრეკლოს ქვითკირის მგიდეზე, აღრიალდა (დაჭრილი მდევი) და მერმე ბუბუნით დაეცა მიწაზე.

შემდეგ მეორე ზარი დაუშვეს ძირს, მეორეს მესამე და მეოთხე მოჰყვა და დილამდის ისმოდა მთელ სოფელში, თუ როგორ ღმუოდნენ, ზმუოდნენ, ღრიალებდნენ ილორის ზარები. ისინი ბზრიალით მოჰქროდნენ ჯერ ჰაერში და მერმე შემკრთალი ბლავილით, ჟღრიალით ეცემოდნენ მიწაზე და კიდევ ცოტა ხანს ისმოდა მათი საწყალობელი ხმა, თითქოს ათასეული წლების დანარეკს ინანიებენო“ (ტ. 1, გვ. 249).

აქ ზარების სიკვდილის შინაგანი თრთოლვა და ტკივილი გადმოცემულია ისე, თითქოს ცოცხალი არსება ეთხოვებაო სიცოცხლეს. მართლაც ცოცხალი იყო ის ზარები, რადგან მათი ყოველი ხმა საუკუნეების მანძილზე ადამიანთა გულში პოულობდა გამოძახილს. ისინი რეკავდნენ და ადამიანთა ბედს იზიარებდნენ ჭირისა და ლხინის დროს, გამარჯვებისა და დამარცხების წუთებში, ქორწილისა თუ გარდაცვალების დღეს. ამასთანავე ზარები ეპოქის ფორმა და საშუალება იყო სიხარულისა და მწუხარების, დღესასწაულისა და გლოვის გამოსახატავად. ახალი ეპოქა სხვა ფორმასა და სხვა საშუალებებს ეძებდა. ძველის გამოყენება კი არ ინდომა. ამიტომ ილორის ზარების გლოვა ეპოქის სიკვდილის გამოტირებაც იყო.

ერთი შეხედვით, უბრალო ნივთი თავისთავში ატარებს მრავალგვარი ასოციაციის გამოწვევის თვისებას. მარულაზე თარაშ ემხვარმა ერთი მოხუცის ქამარ-ხანჯალი შეამჩნია: „სატევრის ქარქაშის ზედაპირზე გასაოცარის ოსტატობით ამოკვეთილი იყო ოდნავ შესამჩნევი მინიატიურების დარად ვაზის ფოთლების, კლერტოების, პწკალების ჩუქურთმები, ხოლო ქამრის ენებისა და საქონეების კიდურებზე ნახევარი მთვარე“ (ტ. 1, გვ. 157). ამ სატევარმა შეუძლებელია არ აღძრას ფიქრი არა მარტო მისი გამკვეთებლის ოსტატობაზე, არამედ ეპოქის გემოვნებაზე, საქმიანობის ხასიათსა და ფორმაზე, თავად ნივთის შინაარსსა და დანიშნულებაზე. თავის დროს ეს სატევარი „ცოცხალი“ საგანი იყო: იგი საქმისა და ბრძოლისათვის სჭირდებოდა ადამიანს. ახლა ფუნქცია დაუკარგავს და წელის დამამშვენებელ ნივთად ქცეულა. უფრო მეტიც: მალე იგი აღარც ფუფუნების საგანი იქნება, აღარც წელის დამამშვენებლად გამოდგება. სხვაა ეპოქა, სხვა ნივთები დაამშვენებენ ადამიანებს. სატევარი მკვდარია, როგორც ფუნქციონალური ნივთი და როგორც ესთეტიკურად ღირებული საგანი.

ესეც ეპოქის სიკვდილის ნიშანი იყო.

იმ სატევარივით მოუხმარებელი ნივთი იყო თამარ შარვაშიძის ოქროს ჯვარიც. მაგრამ მის დაკარგვას მეტად მტკივნეულად განიცდიდა ქალი. ამ ნივთით იგი დაკავშირებულია ისეთ ამბებთან, ურომლისოდაც მისი ცხოვრება წარმოუდგენელია. ეს არის დედაც, ბავშვობაც, რწმენაც, ჩვეულებაც. აღზრდამ ჯვართან დაკავშირა მისი სულიერი სიმშვიდე. ადამიანს წარსულის, მოგონების, ხსოვნის, სულიერი სიმშვიდის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. არზაყან

ზვამბაიას არ ჰყოფნის სულიერი სიმდიდრე ამას მიხვდეს. მისთვის ჯვარი მხოლოდ დამარცხებული და უარყოფილი ეპოქის განსახიერებაა. ამიტომ უკვირს, რად განიცდის თამარი ეგზომ მწვავედ ჯვრის დაკარგვას. თამარის წუხილს ვერც სულიერად ფაქიზი თარაშ ემხვარი მიხვდა. ამრიგად, თამარის დარდი ახლობელთათვის გაუგებარი გახდა. ჯვრის დაკარგვამ კი დააჩქარა თამარის შეგნებაში წარსულის დაღუპვის შეგრძნება. სანამ მას დედისეული ჯვარი ჰქონდა, წარსული რაღაცნაირად ისევ არსებობდა. დაიკარგა ჯვარი და საბოლოოდ გაწყდა წარსულთან დაკავშირებული ძაფები, აწმყოსთან მისასვლელი გზები კი თამარს ჯერ კიდევ გამოძებნილი არ ჰქონდა. იგი წარსულსა და აწმყოს შუა დარჩა. ამან გაამძაფრა მისი ტრაგედია. ასე თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში ნივთი (საგანი) საბედისწერო როლს. თამარის ცხოვრების მაგალითზე ჩანს, როგორ ებღაუჭება და თავისაკენ ეზიდება ადამიანს მომაკვდავი ეპოქა ნივთების საშუალებით. ეპოქასაც აქვს სული. მასაც ემინია მარტოხელა სიკვდილის.

თუ ძველ ეპოქას მარტოხელა სიკვდილი უჭირს, ახალს მარტოხელა არსებობა უძძიმს. ამიტომ მიერეკება, აძევებს ერთს და ამკვიდრებს მეორეს; „... მოდიოდნენ იერიშით მაღალი, დიდი, ნაცრისფერი სახლები. ხარაჩოების ტყეს იცვლიდნენ ისე სწრაფად, როგორც აბრეშუმის ჭია გამოიცვლის ხოლმე კანს, სახენაცვალი ასეთის სისწრაფით ამოდიოდნენ დიდი, ნაცრისფერი სახლები ბალავრებიდან ტფილისში და ისრისებოდნენ მათ შორის ძველებური პაწია სახლები, კოხტა, ქართული ხის აივნები და რიკულები...“ (ტ. 2, გვ. 158).

მიდიოდა ეპოქა და საგნებიც ეთხოვებოდნენ სიცოცხლეს. მიდიოდა ეპოქა და კვდებოდა ყოფაც. არა მარტო ცოცხლად დარჩენილთა ყოფას დასტყობოდა იავარქმნის ნიშანი, არამედ მიცვალებულთა სამყოფსაც. მათ მდგომარეობათა შორის წაშლილა განმასხვავებელი ზღვარი.

შეადარეთ ერთმანეთს თარაშ ემხვარის ოჯახის მდგომარეობის სურათი და ჯახანა შარვაშიძის სასაფლაოს პეიზაჟი.

თარაშ ემხვარის ოჯახი:

„ოქუმის სასახლე იავარქმნილ იყო სავსებით. ჩუქურთმიანი სვეტები შექანებული ეჩვენა თარაშ ემხვარს, თავკიდურები ფრინველებს წაებლწათ სკორეთი. ურთხელის რიკულები დაემროთ, კიბის ტერასზე გადმოსულ სახურავის ყავარი დაელპო წვიმას. კირი შემოსცლოდა თეთრ სასახლეს ამაყად გადმომდგარს ბექობზე.“

პაპისეული დიდი ცაცხვი მართლაც მოეჭრათ, ჭადრისა და მუხის ხეებს ხმობა შეპარვოდათ, მოხუცებულ მსხლის ხეებს ფითრი მორეოდათ, ბაღჩას მესრები მორღვეოდა, მაგნოლიები თოვლს ჩამოელეწა, გუნდის ხეები დაემსხვრია გასული ზამთრის ქარსა და თოვლს. ხულას, მარანს, სამზარეულოს, საბაზიეროს ისლი გადასცლოდა, განზე მოედრიჯა ჟამთა სიავეს ძველთაძველი წაბლის სახლები (ტ. 2, გვ. 233).

ჯახანა შარვაშიძის სასაფლაო:

„იავარქმნილ იყო მთელი სასაფლაო.“

გალავანი აეღოთ ჩრდილოეთისაკენ, უზარმაზარი ცაცხვი მოეჭრათ, ღორები ჩიჩქნიდნენ მიწას, ბატების სკორეთი წაბილწულიყო სამარის ლოდები. წამოექციათ ფრთაგაშლილი ანგელოსები, ისინი პირქვე დამხობილნი ეყარნენ მიწაზე, თითქოს მეორეთ მოსვლას შეგებებიანო. უწესრიგოდ ეყარა მიწაზე ლოდების ნამუსრევი, ქვის ჯვრების ნამსხვრევეები, „ინფანტერიის გენერლების“, „კოლეჟსკი ასესორების“, „კნიაზების“, ეპისკოპოსების, „მისი იმპერატორული უდიდებულესობის კონვოის ოფიცრების“ ტიტულებიანი წარწერები. მათი სახელი ფეხით გაეთელათ ღორებს, სკორეთი და კურკლით წაებილწათ და მოესვარათ“ (ტ. 3, გვ. 100).

არავითარი განსხვავება. მათ დასახასიათებლად მწერალს მხატვრული საშუალებანიც კი ერთნაირი აქვს გამოყენებული. და ეს სრულიად შეგნებულად, რადგან არსებითად ორივე მკვდარი სურათია. ცოცხალი, მოქმედი, აქტიური ადამიანი სჭირდება კაცთა როგორც ამქვეყნიურ, ისე იმქვეყნიურ სამყოფლოს მოვლა-პატრონობას.

ადამიანის ორივე საცხოვრისი თანაბრად ლაპარაკობს მათი პატრონის მდგომარეობაზე. მათი პატრონები კი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდნენ. რაკი აღარ იყო პატრონი, აღარ იყო ყოფაც. ძველი ეპოქის სახეც ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც თარაშ ემხვარის ეზო-კარი და ჯახანა შარვაშიძის სასაფლაო. ყოფაში არეკლილიყო ძველი ეპოქის სურათი.

ძველი ეპოქის კვდომის პროცესი ჩანდა ადამიანთა ცხოვრების კიდევ ერთ ასპექტში – ურთიერთდამოკიდებულებაში. ასრულებულიყო წინასწარმეტყველის სიტყვები: „და აჰა ესერა არიან უკანასკნელნი, რომელნიც იყვნენ პირველ და არიან პირველნი, რომელი იყვნენ უკანასკნელ“.

არაბიაზე ამხედრებულ გლეხ არზაყან ზვამბაიას ფეხით მისდევს ქოშინით გულამოვარდნილი ყოფილი თავადი გვანჯ აფაქიძე. ეს სიამით ავსებს არზაყანის გულს: მას კარგად ახსოვს თორმეტი წლისას როგორ უთავაზა მათრახის წვერი გაზულუქებულმა გვანჯ აფაქიძემ. ახლა კი ძუნძულით უკან ასდევნებია თავადი გლეხს და ეპოქათა ცვლილების სურათად ქცეულა ეს ფაქტი.

მაგრამ ამაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის სულში მომხდარ ცვლილებას, სულიერი მონობის დამღევას. სწორედ ამ სულიერი მონობის დამღევის გამოხატულებაა არზაყანის სიყვარული თამარისადმი. აქ, აზრობრივი თვალსაზრისით, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს თამარ შარვაშიძე შეიყვარებს თუ არა არზაყანს. მთავარი ის არის, რომ არზაყანს ღრმად სჯერა თავისი ადამიანური ღირსება და ისიც, რომ არავითარი ადამიანური უპირატესობა არა აქვს მასთან შედარებით თამარ შარვაშიძეს არისტოკრატიული წარმოშობის გამო. „ახლა ზვამბაიების დროა, ახლა ჩვენი დროა, ფიქრობდა არზაყან ზვამბაია, სახნავიც ჩვენია და სათესიც, ზღვაც და ცაც. ზღვისფერი თვალეზიც და ცისფერი სისხლიცო (ტ. 1, გვ. 111). ამიტომ არ ეპუება იგი თამარ შარვაშიძეს: „მან მხევალსავით წაავლო ხელი ამ ურჩსა და უდრეკელ თავადის ქალს. ისე, როგორც ათასგზის წაუვლიათ ხელი შარვაშიძეებს ზვამბაიას ქალებისათვის“ (ტ. 1, გვ. 171). არზაყან ზვამბაიას სულში უკვე მკვდარია ძველი ეპოქით

ნაკარნახევი მორჩილების გრძნობა, ყმური მოკრძალება. იგი თავისუფალი კაცია. მისი ადამიანური ღირსება არამარტო სოციალურად, არამედ სულიერადაც ამაღლებული და გაამაყებულია თანასწორობის შეგრძნებით.

არზაყანის სულში ეს გრძნობა დაბადა და განამტკიცა ძველი ეპოქის სიკვდილმა და ახლის გამარჯვებამ.

როგორც ცნობილია, ღვთისა და ბუნების წინაშე ყოველი ადამიანი თანასწორია. ოღონდ ამას შეგნება უნდა, ოღონდ ეს უნდა იწამო. საპირისპირო აზრი ჩაუნერგა ძველმა ეპოქამ გვანჯ აფაქიძეს. ამიტომაც „მას ურყევად სწამდა თავადის უპირატესობა გლეხის წინაშე“ (ტ. 1, გვ. 182). და ფიქრობდა – თარამ ემხვარი უთუოდ დაამარცხებო არზაყან ზვამბაიას მარულაში. მაგრამ არ გამართლდა. თავადი და გლეხი თანასწორი აღმოჩნდა: „ამასობაში გუნტერ და არაბია გაუსწორდნენ ურთიერთს. ისინი მეტეორებსავით მიჰქროდნენ უკვე გალურჯებულ ტრამალ ველზე. გუნტერი ცეცხლისფერი და რახსი არაბია ისე ავსებდნენ და ამშვენებდნენ ურთიერთს, როგორც აპოლონის ეტლის დიოსკურები“ (ტ. 1, გვ. 162-163).

გუნტერზე თარამ ემხვარი იჯდა, არაბიაზე – არზაყან ზვამბაია. ისინი აპოლონის (ე.ი. მშვენიერების) წინაშე ტყუპის ცალებივით თანასწორნი იყვნენ.

ეს თანასწორობაც ძველი ეპოქის სიკვდილის შედეგი იყო. ამ სიკვდილმა განაპირობა ისიც, რომ ნათავადარი გვანჯ აფაქიძე კომუნისტ არენბა არლანს მიათხოვებს თავის ქალს. ასე, რომ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების ყოველ სფეროში ახალი ეპოქის პრინციპები იმარჯვებს. რა თქმა უნდა, ამ პრინციპით სარგებლობას სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვა მიზნით ფიქრობდა, მაგრამ ეს ახლა არაფერს ნიშნავს: ანგარიშს უწევენ, ემორჩილებიან მხოლოდ იმას, რაც ცოცხალი და ძლიერია, რაც გამარჯვებულია.

გამარჯვებულმა ეპოქამ სამუდამოდ უარჰყო დამარცხებული ეპოქა თავისი ადამიანებით, საგნებით, ყოფით, რწმენით, ადამიანთა შორის ურთიერთობით. როცა ამ დამარცხების სურათს წარმოიდგენთ, არ შეიძლება არ გაგახსენდეთ ნაბუქოდონოსორის სიზმარი, რომელიც შარდინ ალშიბაიამ უამბო თანამეინახეებს ტარიელ შარვაშიძის ოჯახში. მით უმეტეს, რომ თავად მწერალი ამბობს – ამ სიზმრის „ახსნა ნათხრობის ჩემის გასაგებად უთუოდ საჭიროაო“ (ტ. 1, გვ. 67).

ნაბუქოდონოსორმა სიზმარში იხილა კერპი, რომელსაც ოქროს თავი ჰქონდა, ვერცხლის – მკლავნი, რვალის – მუცელი და თემო, რკინის – ბარკალნი და კეცის – ფეხნი. მერმე მთას მოსწყდა ლოდი და დაფშვნა ეს კერპი. დამსხვრეული კერპის ადგილი კი თავად დაიჭირა ლოდმა და აავსო ქვეყანა.

შემადგენელ ელემენტებიანად (კლასობრივი საზოგადოებრივი წყობა, ქრისტიანული რელიგია, ყოფა, ზნე-ჩვეულება, საგნები) მიღეწა რევოლუციის გრიგალმა ძველი ეპოქის კერპიც, როგორც ნაბუქოდონოსორის სიზმარში მთის ლოდმა ოქროს იდოლა. ძველი ეპოქის ადგილი რევოლუციურმა ეპოქამ დაიჭირა. მაგრამ ეპოქათა მიქცევისა და მოქცევის მიჯნაზე გრიგალმა ჩამობერტყა და განაბნია აგრეთვე „ფურცელნი შვენიერ და ნაყოფი მრავალ“, როგორც ეს მე-

ორედ ეზმანა ნაბუქოდონოსორს. ეს იყო რევოლუციის ტრაგიკული ხასიათი. ამ ტრაგიკულმა ხასიათმა განაპირობა „მთვარის მოტაცებაში“ კაც ზვამზაიას, თამარ შარვაშიძისა და თარაშ ემხვარის შემამრწუნებელი თავგადასავალი. რომანის ჟანრიც ამავე მიზეზით არის განსაზღვრული – ტრაგიკული ეპოპეა.

მდგომარეობას მოკლებული კაცის ტრაგედია

გვანჯ აფაქიძის ასულის ქორწილზე, ილორს ჩამოსული ლუკაია ლაბახუა თარაშ ემხვარს ერთ ასეთ იგავს უყვება:

„თორმეტი კაცი მდგარა თურმე ერთ მაღალ, ძლიერ მაღალ ხის ქვეშ. მათ შორის თერთმეტი ბრმა ყოფილაო. და ამ ერთმა თვალხილულმა შეამჩნია ამ ხის ზეთავზე ცისფერი ფრინველი იჯდა, ტურფა რამ ბუმბულით მოსილი. სახილველად საამური იყო ფრინველი იგი, მაგრამ დანარჩენნი ვეღარ ხედავდნენ მშვენებას მისას.

თვალხილული აღუტაცნია იმა ფრინველის შეპყრობის წადილს, მაგრამ ვაგლახად კოჭლი ყოფილა კაცი იგი დედის საშოდანვე.

ხე მაღალი იყო, ქაცვებიანი, არც თუ კიბე სჩანდა სადმე ზედმისადგომი. მაშინ უქადაგა კოჭლმა ბრმებს. დაიყოლია, კაცი კაცზე შემდგარიყო და მეთერთმეტეს თავად ზემოქცეოდა.

და როცა კაცი კაცზე შეაყენა თვალხილულმან, მეთერთმეტეს ფეხზე შეადგა ფეხი. სულ ქვევით მიწაზე მდგარმა, ზევიდან დათვლით კაცმა უკანასკნელმა, არ ინდომა თერთმეტივე სულისა ტვირთვა, წაიქცა მაშინ განგებისად კაცი იგი უკანასკნელი და ცოცხალი კიბეც ძირს დაენარცხა.

თვალხილულმა ხელი ააცდინა იმ საოცარ არსებას. ხის წვერზე შემომჯდარს და ხელშეუვლები გაფრინდა თურმე უცხო იგი ფრინველი“ (ტ. 1, გვ. 220).

თარაშ ემხვარის ცხოვრებაც ამ უცხო ფრინველის დაჭერის ოცნება იყო, მაგრამ სხვათა არ ისურვეს ცოცხალი კიბე ყოფილიყვნენ მისთვის და ხელმოცარული დარჩა იგი, რადგან „მარტოხელა კაცი თავის უდიდესი სიბრძნითაც შლეგის შთაბეჭდილებას ახდენს“. (ტ. 3, გვ. 219).

თარაშ ემხვარი ყოველივე სიკეთით შემკული კაცია – ლამაზი ვაჟკაცი, უგანათლებულესი პიროვნება, მაგრამ მაინც ტრაგიკული პერსონა, რომელსაც თავისი ადგილი ვერ უპოვია ამ ცხოვრებაში. ტრაგიკულობის საფუძველი კი მისი პიროვნების ბუნებაშია, რასაც თავადაც გრძნობს: „ვშიშობ, ვად თუ ჩემი უბედურების მიზეზი ჩემშივე იყოს“ (ტ. 2, გვ. 75). იგი ყოველთვის ამ ცხოვრებაში თავის გზას ეძებდა, არსებობის საკუთარი ფორმის პოვნა უნდოდა. იგი გაურბოდა გაემეორებინა მრავალთაგან უკვე გატკეპნილი გზა ცხოვრებისა.

„იცოდა წინასწარ: კაცი საშუალო სკოლას რომ გაივლის, მერმე უნივერსიტეტში შევა. უნივერსიტეტს გაათავებს ავად ან კარგად, მერმე სამსახური უნდა დაიწყოს, მერმე ცოლი შეირთოს, ბავშვები გაზარდოს, მერმე? და მერმე უთუოდ მოკვდება. ეს გზა ათასებს და ათიათასებს გაუვლიათ. ეს ამბავი გარეკანზე-

მოცვეთილ ბულვარულ რომანსა ჰგავს, ათას კაცს გადაუფურცლავს, გადაუკითხავს იგი, არავის არაფერი შეუნიშნავს, არც შეუმატნია მისთვის, ისე გადადის ეს წიგნი ხელიდან ხელზე“ (ტ. 3, გვ. 151).

ცხოვრების გზის ძებნაში თარაშ ემხვარის პიროვნება გაორდა. ამ კაცის სულიერ სამყაროში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი კულტურა. ერთია – ტრადიციით, ოჯახით მიღებული ქართული ფეოდალური კულტურა; მეორეა – განათლებით, ცხოვრების გზით შექმნილი ევროპული ბურჟუაზიული კულტურა. ამ ორი ელემენტის ბრძოლა, ამ ორი ელემენტისადმი დამოკიდებულება არის თარაშ ემხვარის მხატვრული სახის შინაარსის ერთ-ერთი ასპექტი, რომლისგანაც გამომდინარეობს გაორების სხვა ასპექტიც. როცა თარაშ ემხვარი არსებულ სინამდვილეს აღიქვამს ცივილიზაციის თვალსაზრისით, ყველგან და ყველგანაა ყოველთვის დაპირისპირებულ ძალებს ხედავს. ამიტომაც ორი კულტურის შეურიგებელი წინააღმდეგობა თარაშ ემხვარის სულში ზის და შიგნიდან ღრნის და შლის მას.

„ზის და შეჰყურებს თავის შავსა და ნესვისებრ ქუდს – სატევარზე მდებარეს.

ქართული სატევარი და ფრანგული მელონ!

ორი შეურიგებელი ცივილიზაციის პროდუქტია უთუოდ...“ (ტ. 2, გვ. 120).

სვანეთში ჩასული თარაშ ემხვარი 30-იან წლებში სვანურ სინამდვილესაც ორი კულტურის დაპირისპირების თვალსაზრისით უყურებს და აფასებს. აქაც ერთ მხარეს არის გრამაფონი და მეორე მხარეს ჩონგური, ბალალაიკა და საზანდარი, ბლუზა და ჩოხა, კეპი და სვანური ქუდი, ჭინტგანიერი ფეხსაცმელები და საცვეთები, ელექტროგაყვანილობა და ფიჭვის ჭალები და ა.შ. მას უხარია, რომ სვანეთში ჯერ არ იციან – რა არის ვენეროლოგი, კლინიკა, აბორტმახერი, აკუმორი, რომ სვანებს ევროპული ქარხნების მონობისათვის ჯერ არ შეუღევიათ ჯანი, გრამაფონის ჩხავილი და რადიოს ჯაჯღანი არ გაუგონიათ.

ორივე კულტურას ღრმად აქვს ფესვები გადგმული თარაშის პიროვნებაში. არც ერთი მათგანისაგან გათავისუფლება მას არ შეუძლია, მიუხედავად იმისა, რომ ერთი ინდივიდუუმის ორი „მე“ ებრძვის ერთმანეთს „როგორც ერთ შუშაში დამწყვდეული ორი მორიელი“ (ტ. 3, გვ. 114). ამ ბრძოლაში უნდა მოხდეს არჩევანი, მაგრამ ესეც შეუძლებელი გამხდარა, რადგან, როგორც თვითონ თარაშ ემხვარი ამბობს, „ის სამყარო, რომელიც მე განუზომლად მიყვარდა, ველარასოდეს აღსდგება აწი. ხუნდებიან ჩემი საყვარელი ფერები, კვდებიან ჩემი სანატრელი სიმღერები და ეს ლოფორთქინასავით სახეცვლილი ქვეყანა მე მეჩვენება როგორც უფერული ტრამალი“ (ტ. 3, გვ. 219). რაც შეეხება ევროპულ ბურჟუაზიულ კულტურას, იგი ემხვარს სძულს და ეზიზღება: „და როგორც ლოთი ნაბახუსევზე ნანობს ზომაზე მეტად შესმულ ღვინოს მეორე დღესვე, თავი სტკივა და გულისრევა უცრემლებს თვალებს, მერმე ეს კაცი თითს ჩაიყოფს თავათ ხახაში, ცდილობს ამგვარად წამოარწყიოს წინადღით ნასვამი, ასევე ვებრძვი მე ჩემსავე თავს და ეს მწყურია ამოვნერწყვო პირისაგან ჩემისა

სხვის ქვეყანაში მიღებული ზედმეტი საზრდო. ეგებ განილტვონ ჩემგან სხვისი აზრები, სქელი წიგნები, ფოლიანტები, რიცხვები, ციფრები, ომებისა და მეფეების წელთაღრიცხვანი, ფილოსოფიის და ალგებრის ფორმულების იწილბიწილო, თეორიები, იდეები, ჰიპოთეზები. ჩემი ხსოვნიდან წარიხოცონ უცხო და უცხო მოძღვრებანი სამარადჟამოდ...“ (ტ. 3, გვ. 87).

როგორც ვხედავთ, ამ ორი კულტურის შერიგება თარაშის სულში შეუძლებელია. მათ შორის არჩევანიც შეუძლებელია ისე, რომ თარაში წაგებული არ დარჩეს, რადგან ერთი ეპოქისათვის არის შეუფერებელი და მოძველებული; მეორე კი – თვითონ ემხვარს სძულს და ცდილობს მისგან გათავისუფლდეს.

ასეთი მდგომარეობა სრულიად არ ნიშნავს იმას, თითქოს თარაშ ემხვარი კულტურის უარმყოფელი იყოს საერთოდ და პირველყოფილობასა და პრიმიტიულობას ეტრფოდეს მხოლოდ. არა. თარაშ ემხვარს უყვარს ძველბერძნული კულტურა: „ბერძნულ კულტურაზე უფრო მაღალი და შთაგონებული ჯერ არავის შეუქმნია ამ ხმელის პირზე“ (ტ. 2, გვ. 68).

ამ სიყვარულს თავისი საფუძველი აქვს. თარაშ ემხვარს სძულს აშკარა წუწუნი და თავშეუკავებელი პესიმიზმის ქადაგება, რაც ეგზომ ჭარბად არის ბურჟუაზიულ კულტურაში. ბერძნები კი პირიქით: „ბერძნები უდიდესი პესიმისტები იყვნენ, მაგრამ ყოველი წამით ხარბად სტკბებოდნენ, ამიტომაც იმდენი მზე, იმდენი სინათლე, იმდენი ლხენა იყო მათ ყოფაცხოვრებასა, პოეზიასა და აზროვნებაში“ (ტ. 2, გვ. 90). როგორც თავად ატარებდა თარაშ ემხვარი უდარდელი და სპორტსმენი ვაჟკაცის ნიღაბს, ასევე ატარებდნენ, მისი აზრით, ძველი ბერძნები მზიანი ოპტიმიზმის ნიღაბს და ეს უდიდესი მისაბამი მაგალითია მისთვის. ბერძნული კულტურის ვაჟკაცობის ნიშანი თარაშ ემხვარისთვის მამაკაცის კულტიც იყო, რასაც პირველადი ადგილი ეკავა ძველ ელინებთან. ხოლო ბურჟუაზიული კულტურის გაქალაჩუნების ნიშნად მას მამაკაცის კულტის ქალის კულტით შეცვლა მიაჩნია. „ქალი იყო დღემდის ევროპული ხელოვნების თითქმის ერთადერთი უცვლელი მუზა, იგივე ითქმის მხატვრობის, მუსიკის და ხუროთმოძღვრების მიმართაც. და ყველაზე უფრო ქალურმა ნაციამ ევროპაში თავისუფლების ემზღებაც ქალის სახით აღმართა პარიზში. დღესაც მთელი დასავლეთური ცივილიზაცია გადაჭარბებულად ხაზს უსვამს ამ მარადჟამულ ქალურობას. თქვენ როგორ გგონიათ, განმამაკაცების ნიშანი ხომ არაა ეს? ძველი ბერძნული კულტურა გაცილებით ვაჟური იყო, ვაჟი აპოლონი ითვლებოდა სინათლისა და სილამაზის ღმერთად და ვაჟს უმღეროდა მთელი ბერძნული პოეზია და მხატვრობა“ (ტ. 3, გვ. 136). ბერძნული კულტურის მამაკაცურობა ხიბლავს თარაშ ემხვარს. ამიტომ ბუნებრივია, ზღვის მშფოთვარებისა და ღელვის დროს „ოდისეას“ კითხვა რომ უყვარს, განმარტობისა და სიმშვიდის წუთებში პლატონით რომ ტკბება.

ასე, რომ თარაშ ემხვარი სრულიად არ არის კულტურის მტერი და უარმყოფელი. იგი გამაჯანსაღებელ კულტურას ეძებს ბურჟუაზიული ავადმყოფური კულტურის საპირისპიროდ. ასეთად ძველბერძნული კულტურა მიაჩნია. ასეთსავე გამაჯანსაღებელ თვისებას ეძებს იგი ქართულ წარმართობაში. აქე-

დან არის სვანეთისადმი ტრფიალიც და იმედიც სულიერი განახლებისა. ასეთი იყო კულტურის მესამე სახეობა, რომელიც თავისთვის გამოძებნა ემხვარმა. მაგრამ მე-20 საუკუნის ოცდაათიანი წლების საქართველოში სხვა კულტურა იქმნებოდა, რომელიც თვისობრივად განსხვავდებოდა როგორც ქართული ფეოდალური კულტურისაგან, ისე ევროპული ბურჟუაზიული და ძველბერძნული კულტურებისაგან. ეს იყო სოციალისტური კულტურა. აქაც ნებით თუ უნებლიეთ თარაშ ემხვარი ორი კულტურის შუა აღმოჩნდა: ძველბერძნული კულტურა თუ სოციალისტური კულტურა? სოციალისტური კულტურის გზა ემხვარისათვის მიუღებელი იყო, რადგან სოციალიზმი სოციალურად და პოლიტიკურადაც უცხო იყო მისთვის, ამგვარად იგი მარტო დარჩა. ძველი კულტურა არ აღმოჩნდა საკმარისი ახალ დროში სულის საზრდოდ.

და იგი, ვინც მარტოხელა იყო და სულის საზრდოს არჩევანი საბოლოოდ ვერ მოახერხა, ცხადია ვერ მისწვდებოდა უცხო ფრინველს.

პოლიტიკის ასპარეზზეც ორი გზა იყო – გზა სოციალიზმისა და გზა ფაშიზმისა. ამ ორ გზას შორის თარაში ვერც ერთს ვერ აირჩევდა, რადგან ბურჟუაზია და ფაშიზმი ისევე უცხო და მიუღებელი იყო მისთვის, როგორც ევროპული ბურჟუაზიული კულტურა. ევროპაში ცხოვრებამ მშვენივრად გააგებინა თარაშ ემხვარს ბურჟუაზიის ბუნება და არსი. იგი ზიზღითა და ირონიით ხატავს მუსიო რიშეპენის პორტრეტს: „ეს თავმოტვლეპილი, ჯუჯა, ღიპიანი, მოკლეფეხება. თითები მუხლუხასავით მოკლე და დაბლაგვილი. ისინი არაფრით ჰგვანან მტაცებლის კლანჭებს. მაინც ეს ხელები აგებენ ქსელს სტამბოლიდან შუამდინარემდის. მცირე აზიის ხალხები ოფლს ღვრიან. ვინ იცის, რამდენი ტომის სისხლითა და ოფლითაა დაცვარული ის ბრილიანტის კოლიე, რომელიც ამას წინად გამოუგზავნა მუსიო რიშეპენმა ელლენ რონსერს? ეს მანიაკი ერთ პატარა სამთავროს იყიდის.

ქსელი გაბმულია სტამბულიდან შუამდინარემდის. ზის ახლა მუსიო რიშეპენ სადმე მოსულში ან ერზერუმში. ქსელი გაბმულია ყველგან და გაურანდავი, ბლაგვი თითები ვირტუოზულად აკეთებენ „გემეპტს“ (ტ. 2, გვ. 57). ეს სტრიქონები ნათლად უჩვენებენ მკითხველს, რომ რიშეპენების საზოგადოებაში არ იყო თარაშ ემხვარის ადგილი. მან ბოლომდე შესვა უსახლკარო და უპატრონო ახალგაზრდა კაცისათვის ბურჟუაზიულ სამყაროში გამზადებული სამსალა. „ჯერ კიდევ დედის ალერსი მენატრებოდა უძილო ღამეებში ღარიბ მანსარდებში მწოლარეს. მამას მეღანქოლია სჭირდა, ქალაქიდან ქალაქში დაწრიალებდა ავადმყოფი, ხშირად იაფფასიან ოტელში მიმაგდებდა მარტოხელას და მიუსაფარს. თვეობით ვუცდიდი მამის მოკითხვას, ან დედის წერილს, მშიერმწყურვალი.

ოჰ, ის ბნელი ღამეები იმ ბინძურ და საშინელ სასტუმროებში, სადაც დღისით ბიურგერული წესრიგი სუფევდა, მაგრამ მოაწევდა ნაშუალამევი, და ამ სასტუმროებში უკვე იღვიძებდნენ მეძავეები და მათი ალფონსები და ატყდებოდა ჟრიამული, საყვარლების, მუშტრების და სასტუმროს გამგეების ჩხუბი...

და როგორც ჩრდილოეთის ფიორდში დადგმულ ქართულ პალმას ქარბუქი ეკვეთოს, დასეტყვოს და დააზროს, ისე მომეჭრა ამ უშველებელი, უცხო ცივილიზაციის გრიგალი, მეძგერა, შემარყია და ამაფორიაქა“ (ტ. 2, გვ. 94).

თარაშ ემხვარის მდგომარეობის, განცდისა და ბურჟუაზიული სინამდვილისადმი დამოკიდებულების ნათელი სურათია აქ წარმოდგენილი. სრულიად აშკარაა, რომ თარაშ ემხვარი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ვერ იპოვნიდა სულის სიმშვიდეს. ამ სუბიექტურ განცდას ისიც ერთვის, რომ არც ქართველი ხალხისათვის იქნებოდა მისაღები და გასაგები პოლიტიკური ცხოვრების ის ფორმები, რომელთაც ბურჟუაზიული საზოგადოება წარმოშობდა. „ფაშიზმი ჩვენი ხალხისთვის ისევე შორეული ამბავია, როგორც გველფების და გიბელინების ბრძოლა. ეს მოძრაობა დიდმა ერებმა წარმოშვეს და როგორც ყოველგვარი ევროპული „იზმი“, იგიც უგულვებელყოფს ალბათ ჩვენი ხალხის ინტერესებს“ (ტ. 2, გვ. 77) – ეუბნება თარაშ ემხვარი ვახტანგ იამანიძეს. ასე, რომ ბურჟუაზიისაკენ მისაბრუნებელი გზა ერთხელ და სამუდამოდ მოკვეთილია თარაშისათვის.

ვერც სოციალიზმს აირჩევს ემხვარი, რადგან ეს გზაც მოჭრილია მისთვის: „ერთი იმიტომ, რომ თავადი ვარ და წინაპრების ჩემის ცოდვებს უთუოდ მომკითხავენ. მონანიებული აზნაურის ამბავი, ჩემის აზრით, ლიტერატორების ფანტაზიის ნაყოფია. ძერის ბახალამ რაც უნდა ინანიოს, მტრედის მართვე მაინც ვერ გახდება. ეს ასეა და გარდა ამისა, მე სულ სხვა კულტურაზე ვარ გაზრდილი და ძალიან საეჭვოა ბოლშევიკებმა ჩემი გულწრფელობა იწამონ“ (ტ. 2, გვ. 77). თუმცა სუბიექტურად თარაშ ემხვარი კომუნისტებს სიმპათიით უყურებს. მაგრამ რევოლუციების დრო პასუხისგების დროც არის: „რევოლუციის დროს რა უნდა ჰქმნას დიდგვაროვანმა ახალგაზრდამ?“ – ამბობდა თარაშ ემხვარ.

არასოდეს ისე სასტიკად არ განუკითხავთო ადამიანი წინაპართა თვისთა ცოდვების გამო, როგორც რევოლუციების დროს. რადგან ყოველ დიდ რევოლუციას ასე სჩვევიაო, სისხლს უხვად ხარჯავსო, მაგრამ ყოველ კაცს უხვადვე აზღვევინებსო სისხლისთვის და წარსულისათვის.

სისხლი სისხლის წილო...“ (ტ. 1, გვ. 73).

ამ მდგომარეობას, შეხედულებათა ამ წყებას ისიც ემატება, რომ თარაშ ემხვარი საერთოდ გაურბის პოლიტიკას და ცდილობს პოლიტიკური ცხოვრების გარეთ იდგეს. „მე საერთოდ პოლიტიკური მოღვაწე არ ვყოფილვარ და არც ვიქნები ოდესმე“ (ტ. 2, გვ. 77). თარაშ ემხვარი კი ისეთ ეპოქაში ცხოვრობდა, როცა პოლიტიკა ადამიანის ყოფიერებაში წარუშლელ კვალს ტოვებდა. ყოველი მოქალაქისაგან მოითხოვდა ერთხელ და საბოლოოდ განესაზღვრა თავისი პოლიტიკური მრწამსი. ეს არჩევანი თარაშმა თავისებურად მოახდინა – არც ფაშიზმი და არც სოციალიზმი. მაგრამ ასეთი გადაწყვეტილება სრულ აპოლიტიკურობას არ გულისხმობდა. ემხვარის სიმპათია ეკუთვნოდა საქართველოს წარსულს, მისი სულის რაღაც ნაწილი ვარდანძემე-ემხვარების დროით ცხოვრობდა.

„თარაშ ემხვარ სავსებით მოქანცული იჯდა ცხენზე თვალმილულული, მთვარის სინათლეზე თავის გვერდით მიმავალი ცხენოსნების ლასლასს ამჩნევდა მხოლოდ და ეზმანებოდა, თითქოს კოლხების იმ მოისარ ჯარებს ხლებოდა, პეტრას ციხესთან რომ შემუსრეს ირანელები“ (ტ. 1, გვ. 179).

„ეს მე ვიყავი, ამ საომარ ლოინზე მჯდარმა, რომ გადმოვლახე ასურეთი, შუამდინარე, უდაბურები, უკაცრიელი და გარუჯული ხვატით სტეპები. ეს მე ვიყავი ამ საომარ ლოინზე აღმხედრებულმა, რომ წარვუძეხი ცხენოსან ხალხს ჩრდილოეთისკენ. ზათქით და ბრძოლით გავიარეთ ჩვენ ორწოხები, მახვილით ვკვეთდით ჩვენ სიბნელეს და მტერს წინ დამხვდურს“ (ტ. 3, გვ. 88).

მაგრამ წარსულის ეს ტრფობაც ვერ მიაწიჭებს თარაშ ემხვარს ნუგეშს, რადგან დაწვევლილია ვარდანიძე-ემხვარების გვარი ფსალმუნის ასმერვე ლექსით. იმ ძველი ფეოდალური ეპოქის პოლიტიკური ცხოვრებიდანაც ამოშლილია მისი გვარი, ამრიგად, მოკვეთილია უკან მისაბრუნებელი გზაც. ამიტომ შეეცადა იგი გამოეძებნა უბრალო და თითქოს უმტკივნეულო გადაწყვეტილება: სვანეთში გადახვეწილი იქვე დარჩენილიყო და ეცხოვრა როგორც უბირ, უმეცარ და უპრეტენზიო მონადირეს. მაგრამ ესეც თავის მოტყუება იყო მხოლოდ, რადგან სვანეთშიც დიდი გზა მოთავდებდა თუ არა, მრეწველობა აღორძინდება, ფაბრიკებისა და ქარხნების ტყე ამოვა და კომპები საქარხნო მილების ტყეში სამუზეუმო ნივთებად იქცევიან.

აქაც მარტო აღმოჩნდა თარაშ ემხვარი. და ვერც იგი მისწვდება უცხო ფრინველს, ვისაც პოლიტიკაშიც ვერ აურჩევია თავისი გზა და განზე გადგომია ეპოქის ბრძოლას.

თარაშ ემხვარის ბედი ისე აეწყო, რომ რელიგიასა და სიყვარულშიც გზაჯვარედინზე შედგა. აქაც არჩევანი იყო მოსახდენი, აქაც რომელიმე გზას უნდა გაჰყოლოდა იგი. მართალია, მას ქრისტიანიზმი არ უყვარდა და მძულვარებით ეკიდებოდა, მაგრამ არც ათეისტი ყოფილა იგი.

როცა თარაშ ემხვარი ქრისტიანობაზე მსჯელობს, ყოველთვის ირონია და ზიზღია მის ნააზრევში.

„ბატონებო, ბნელა თქვენს ბიბლიაში, ბნელა იოჰანეს გამოცხადებაში, ისევე როგორც თქვენს ნოტრდამში. გოტიური ტაძარიც ხომ ცამდის ატყორცნილი ცათა ტრფიალია? მაგრამ გოტიურ ტაძარშიაც ბნელა“ (ტ. 2, გვ. 53).

„აჰ, ეს ქრისტეს ჯვარი!.. იცი, თამარ, როცა მე ევროპაში ვმგზავრობ და ამ უთვალავ ეკლესიებს და ტაძრებს შევსცქერი, დარდნელიდან ვიდრე შოტლანდიის ზღვამდე, მაკვირვებს კიდევაც, რა გახდა ეს ჯვარი! პატარა, ბინძურ პალესტინაში დაბადებულმა დურგლის ბუმმა ჯვრების ტყეები აღმართა მთელ ქვეყანაზე“ (ტ. 2, გვ. 92).

მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ქრისტიანული რელიგიისადმი ეს დამოკიდებულება თარაშ ემხვარის ათეისტობას არ ნიშნავს. იგი წარმართობას მიელტვის რელიგიისა და ათეიზმის ბრძოლის ეპოქაში. თამარ შარვაშიძეს ეუბნება თარაში: „მე უნდა გაგინელო ეს ჯვარის სიყვარული. ჩემს სულში წარმართული ლხენაა ჩაჭრილი, ხოლო შენი გული ილორის დამსხვრეულ ზარასავით

ქდარუნებს თამარ“ (ტ. 2, გვ. 92). ამ წარმართული ლხენის გამოა, რომ თვალეზ-გაბრწყინებული შესცქერის იგი ლუკაია ლაზახუას გაცხენების ბნელ მისტერი-ას, ამიტომ უსმენს საოცარი გულისყურით ზოსიმეას წარმართული რიტუალე-ბის ამბავს, სიყვარულით იგონებს მიზიტხუს დღესასწაულს და მუხის ფოთ-ლების გვირგვინით შუბლდამშვენებულ ლომკაც ესვანჯიას.

რელიგიაში არჩევანი ქრისტიანობასა და ათეიზმს შორის უნდა მომხდა-რიყო, მაგრამ თარაში მესამეს ესწრაფოდა, რაც ფაქტიურად აღარ არსებობდა, რაც მხოლოდ მოგონებად თუ გახსენებად ქცეულიყო. წარმართობის არჩევა ფიქტიური პროცესია, ოცნებაა მხოლოდ და ამდენად არარეალურია.

თარაშ ემხვარი აქაც მარტოა. და ვერც იგი მისწვდება უცხო ფრინველს, ვინც რელიგიაშიც ვერ მოახდინა არჩევანი.

მიუხედავად იმისა, რომ თარაშ ემხვარს მრავალი ქალის სხეულის სიტ-კბო ეგემნა, სიყვარულშიც ორი ქალი დადგა მისი ცხოვრების გზაზე – ელლენ რონსერი და თამარ შარვაშიძე. აკი თვითონვე ამბობს – „ყველაზე მეტად სერი-ოზული იყო ელლენ რონსერისა და თამარ შარვაშიძისადმი ტრფიალი“ (ტ. 3, გვ. 139). სიყვარული რომ გამარჯვებით დაგვირგვინებულიყო, არჩევანი ამ ორ ქალს შორის უნდა მომხდარიყო, მაგრამ ელლენ რონსერის ტრფობა, შეეწირა დედის სიყვარულსა და სამშობლოში დაბრუნების წყურვილს. თარაშ ემხვარი თუ ელლენს შეერთავდა, ევროპაში უნდა დარჩენილიყო სამუდამოდ, მაგრამ მან ეს არ ისურვა. თამარ შარვაშიძემ კი საბედისწერო ნაბიჯი გადადგა, როცა თარაშის სურვილის საწინააღმდეგოდ თმები შეიკრიჭა და ფოქსტროტიც იცეკ-ვა: „ტფილისმა გამიცევა თამარისადმი გული. იქ გამოირკვა, თუ როგორი უფ-სკრული ყოფილა ჩვენს შორის. მე იგი საოცნებო ქალად მიმაჩნდა და თანამედ-როვე ქალი შემრჩა ხელში. არაფერი ისე არ აჩენს კაცის ბუნებას, როგორც საგ-ნები. და ტფილისში ნახულმა საგნებმა გაგვყარეს ჩვენ“ (ტ. 3, გვ. 139). ასე, რომ არც თამარისადმი სიყვარული დაგვირგვინდა ბედნიერად.

ამ ორი ქალის სიყვარულს სხვა სარჩულიც აქვს, რაც არსებითად მნიშვნე-ლოვანია ემხვარის ბუნებისათვის: ელლენ რონსერი ევროპული ბურჟუაზიუ-ლი კულტურის ღვიძლი შვილია, თამარ შარვაშიძე კი – ქართული ფეოდალუ-რი კულტურისა. აქაც ამ ორ კულტურულ მოვლენათა შორის რყევა გამომჟღავ-ნდა ემხვარის მხრიდან. იგი ცდილობდა გათავისუფლებულიყო როგორც ევ-როპული ბურჟუაზიული კულტურისაგან, ისე ელლენ რონსერისაგან, მაგრამ ვერც ერთი მოახერხა და ვერც მეორე, თუმცა გაქცევით კი ორივეს გაექცა. ემ-ხვარისათვის საუბედუროდ, ორივეს მტკიცედ გაედგა მის სულში ფესვი. აღ-ბათ ამიტომ არის, რომ სვანეთიდან თარაშმა ელლენს ევროპაში უფრო თბილი და სიყვარულით სავსე წერილი მისწერა, ვიდრე თამარ შარვაშიძეს ზუგდიდ-ში. როგორც ევროპულისაგან გათავისუფლება არ გამოვიდა, ასევე ჩაიშალა ქართულისაკენ დაბრუნების ცდა. იგი ვერც ქართულ ფეოდალურ კულტურას მიუბრუნდა და ვერც თამარ შარვაშიძეს. ორივე უცხონი და უადგილონი გამ-ხდარიყვნენ მისთვის. როცა თარაშ ემხვარი ორი ასარჩევიდან ვერცერთს აირ-ჩევს, ყოველთვის ეძებს მესამეს. სიყვარულშიც მოძებნა მან მესამე – სვანის ქა-

ლი ლამარია. მაგრამ ემხვარი აქაც მოტყუვდა: ლამარიაც ისეთი ქალი აღმოჩნდა, როგორც მილიონობით სხვა ქალი. მას არაფერი ჰქონდა საერთო ემხვარის ცხოვრების ფილოსოფიასთან და ლამარიაც ისევე ეტრფოდა ცხოვრების სიამესა და სიტკბოს, როგორც ყოველი ქალი ემხვარისაგან ევროპის დიდ ქალაქებში უგულოდ და დაუნანებლად მიტოვებული. ემხვარისეული „მესამე გზა“ აქაც უგზოობა აღმოჩნდა. ისიც არსად მიდის.

სიყვარულშიაც მარტოხელა დარჩა თარაში. და ვერც იგი მისწვდება უცხო ფრინველს, ვინც სიყვარულშიც ვერ იპოვის გულის სწორს „და ვაჰ იმას, სიყვარული ვინც დაჰკარგა, ვისაც განგებამ მიუსაჯა მარტოდ დარჩენა“ (ტ. 3, გვ. 86).

როგორც დავინახეთ, არც დრომ, არც სოციალურმა სინამდვილემ, არც რელიგიამ, არც სიყვარულმა არ ისურვა ყოფილიყო თარაში ემხვარის საყრდენი ცხოვრების ფრინველის შესაპყრობად. ასე დარჩა იგი ხელმოცარული ყველაფერში. ეს მდგომარეობა, ერთი შეხედვით, უცნაური და არადაძაჯერებელია: ლამაზი, მამაცი, განათლებული და ნიჭიერი ვაჟკაცი და ყველაფერში ხელმოცარული. მაგრამ ამ ხელმოცარვას თავისი ღრმა საფუძველი აქვს, რაც თარაში ემხვარის სინამდვილისადმი დამოკიდებულების ფილოსოფიაშია საძებნი. როცა დაპირისპირებულ წყვილებსა და თარაში ემხვარის „მესამე გზას“ ვიხილავდით, დავინახეთ, რომ „მესამე გზა“ ყოველთვის ძველთან და წარსულთან იყო დაკავშირებული – ძველი ბერძნული კულტურა, წარმართობა, ძველი საქართველო (თარაში „ქართლის ცხოვრებას“ მხოლოდ თამარის სიკვდილამდე კითხულობს. ტ. 3, გვ. 176), ლამარია (როგორც პირველყოფილი სიწმინდის წარმოდგენა). მაგრამ ეს არ არის წარსულის, ძველის მხოლოდ სიყვარული, თუნდაც ფანატიკური. აქ უფრო რთულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. იგი წყურვილია, სურვილია წარსული აწმყოში ცხოვრობდეს, როგორც ცოცხალი სინამდვილე. თარაში წარსულს განიცდის არა როგორც გარდასულ ეპოქას, არამედ როგორც დროის ფორმას, რომლის არსებობა დღესაც შესაძლებელია.

„და მომავალი რაღაა? ჰმ, მომავალი! მომავალი ისევე ნაკლებად არსებობს, როგორც წარსული: ორივენი ჩვენი წარმოდგენის ფორმებია.

ეგებ აწმყოც...

ესაა: ვიდრე თავში გავლებულ აზრს ქალაღდზე გადაიტანდე, იგი უკვე წარსულად იქცევა“ (ტ. 2, გვ. 51).

ნათელი და გარკვეულია: დრო – წარსული, აწმყო და მომავალი – თარაშისათვის მხოლოდ უბრალო წარმოდგენის ფორმებია. რაკი ასეა, სრულიად ბუნებრივია, რომ მან თავის წარმოდგენაში შექმნა სინამდვილე, რომელიც ფანტაზიის ნაყოფი იყო და რეალურობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. თარაში ემხვარის წარმოდგენაში არსებული სინამდვილე და მე-20 საუკუნის 30-იან წლების საქართველოს რეალური სინამდვილე ორი შეურიგებელი რამ იყო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ პირველი მხოლოდ სუბიექტის წარმოდგენაში არსებობდა, მეორე კი – მთელი ერის ცხოვრების ყოველდღიურობა იყო. მეორეც, თარაში ემხვარს მის მიერვე წარმოდგენილ სინამდვილეში უნდოდა ეცხოვრა და არა იმ სინამდვილეში, რომელშიც ხალხი ცხოვრობდა. ამას ისიც განაპირო-

ბედა, რომ თარაში ფიქრობდა: „შორს უნდა დაუდგესო ამ ცხოვრებას ძე ხორციელი, ცხოვრებისთვის რომ შექმნასო თვითონ რაიმე“ (ტ. 3, გვ. 180). შორს განდგომის თეორიამ და საკუთარი წარმოდგენით შექმნილ სინამდვილეში ცხოვრების სურვილმა დაუკარგა თარაშს თანამედროვეობასთან მისვლის საშუალებანი. დაუკარგა თანამედროვეობაში მდგომარეობის შექმნის საშუალება. „მერმე ის იყო მისი ოცნება ოჩან ხარსავით განზე წავიდა და ცხოვრება მიჰყვა ისევ თავის გზას, ცხოვრება დარჩა მზღვარის გადაღმა. მან ვეღარ შესძლო ვერც სიკვდილი ამ ცხოვრებისათვის, ვეღარც ეპოქის მდინარების ალღოს აღება“ (ტ. 3, გვ. 180).

მდგომარეობას მოკლებული ადამიანი კი ფუნქციადაკარგული სუბიექტია, რომელიც ბიოლოგიურად არსებობს და არა საზოგადოებრივად.

„მაინც რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია მდგომარეობას?! უნიჭო ნერონი ათასჯერ უფრო პოპულარულია, ვიდრე ათთორმეტი გენიოსი“ (ტ. 2, გვ. 65).

„რა ცოტას ნიშნავს მარტოოდენ სახელი და გვარი?“

ამ ქალსაც თამარი რქმევია, იგიც თამარსავით ბაგრატიონი ყოფილა. მასაც თამარსავით მშვენიერი ხელები ჰქონია“... (ტ. 2, გვ. 162), მაგრამ მამიდა ფარჯანიანის სტუმარი თამარ ბაგრატიონი ისტორიის ტიკინაა და მეტი არაფერი, რადგან მას ადგილი და მდგომარეობა არა აქვს ახალ დროში.

თარაშ ემხვარი მდგომარეობა დაკარგული კაცია. აქედან მომდინარეობს მისი რეზინდაცია.

თარაშის რეზინდაციას მეორე საფუძველიც აქვს. ეს არის გადაგვარების შიში, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია ემხვარის პატრიოტიზმთან. თარაშ ემხვარი სულითა და ხორციით დაკავშირებულია თავის ხალხთან. „მეც სიტყვის სიყვარულმა, ჩემი პატარა ხალხის სიყვარულმა გადამრიაო. ფილოლოგიც ამიტომ გავხდიო“ (ტ. 1, გვ. 43). მაგრამ თანამედროვე ცივილიზაციის, ინდუსტრიის, მეცნიერების, ყოფის მდგომარეობამ და პროგრესმა შეაშინა თარაშ ემხვარი და მის წინაშე დაისვა კითხვა: „ახლა რა უნდა გააწყოს ჩვენისთანა პატარა ერმა?“ ამ კითხვას ემხვარმა პესიმისტური პასუხი გასცა: „მე მგონია დიდი ინდუსტრია მოსპობს მცირე ერების თავისებურებას. ავიაცია მთასა და ბარს გაათანაბრებს და მერმე მშვიდობით“ (ტ. 3, გვ. 20). ამ აზრმა თარაშ ემხვარში დაბადა შიში ყოველგვარი ცვლილებისადმი, ყოველგვარი პროგრესისადმი. ეს შიშიც ბურჟუაზიული ცივილიზაციის შეცნობისა და ჩაწვდომის შედეგი იყო: „თქვენ ევროპელები, – ეუბნება იგი კაროლინა შარვაშიძეს, – ეგოისტები ხართ. ჩვენგან ამას მოითხოვთ ჩვენ გარდავიქმნეთ, ე.ი. ჩვენ არ ვიქნეთ ისეთი, როგორც ჩვენ ვყოფილვართ, ან ვართ, ე. ი. თქვენ დაგემსგავსოთ. და თქვენ ეს მოგდით კეთილო ფრაუ არა ჩვენის სიყვარულით, არამედ იმისათვის, რომ თქვენთვის უფრო ხელმარჯვე იქნება, რომ ყველანი თქვენა გგავდეთ. თქვენ ბევრი ხართ, ჩვენ ცოტა, თქვენ გინდათ იმავე უფლებით ჩაგვყლაპოთ, როგორითაც ცვარს ყლაპავს ზღვა და ლიფსიტას ვეშაპი. მაშინ თქვენ აღარ დაგჭირდებათ ჩვენი ენების შესწავლა, ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული სახელების დამახსოვრება, ჩვენი თავისებური სახელისა და გვარის გამოთქმა, თქვენ ის გირჩევიათ

ჩვენ ყველას არზაყანის, კეგვას, თარაშის ნაცვლად ჯონი, ჟანი ან ჰანს გვერქვას“ (ტ. 1, გვ. 65).

თარაშ ემხვარის მთელი არსება ეროვნული მე-ს გადაგვარების შიშმა მოიცვა. ამან გააძლიერა მისი რეზინდაცია. იგი მარტოდმარტო იყო თავისი ფიქრისა და აზრის ამარა. „ხანდახან იცი, თამარ, ისე შემომენტება მარტოობის ცეცხლი, ასე მგონია სხვა პლანეტიდან პარაშუტით გადმომხტარვიყო“ (ტ. 2, გვ. 93). მარტოობის ასეთმა გრძნობამ თარაშ ემხვარი პასიური გახადა. იგი იქცა ფიქრის და არა მოქმედების კაცად. მაგრამ ამ ფიქრს არავინ გაიზიარებს, ამ ფიქრს გამგრძელებელი არ ეყოლება („მე ვგრძნობ წინასწარ, რომ ჩემი ნაგებობის ადამიანი აწი არ დაიბადება და არც ჩემს იდეებს გაჰყვება ვინმე“. ტ. 3, გვ. 124). ვერც თარაშ ემხვარის შრომა – „კოლხური ფეტიშიზმისათვის“ – იხილავს მკითხველს: იგი დაიწუნეს უნივერსიტეტში; მერე კი ავტორმა დაწვა. არც თარაშ ემხვარის შვილი დაიბადება. მას დედის საშოშივე უწერია სიკვდილი.

ასე, რომ თარაშ ემხვარი უნაყოფობის, უმოქმედობის, უსარგებლობის, არგანვითარების, უმემკვიდრეობის, გადაშენების მწარე ტრაგედიას ატარებს თავისთავში. ამ ტრაგედიის მსხვერპლია იგი.

უცნაური და სასტიკი ყოფილა ისტორიის სასჯელი. ისტორიამ და დრომ გაათანაბრა ლუკაია ლაბახუა და თარაშ ემხვარი.

მრავალი ქალის მხილველი და მეტრფე თარაშ ემხვარი ისევე უშვილძირო და უნაყოფოა, როგორც ყოველი ქალის სიყვარულს მოკლებული ლუკაია ლაბახუა.

მრავალი ენისა და კულტურის მცოდნე თარაშ ემხვარი ისევე უმეცარია, როგორც „ქრისტეს მიერ რეგვენი“ ლუკაია ლაბახუა.

„ვარდანიძის უკანასკნელ ნაშიერს შემოუვლია ხმელეთის პირი. იარა ჩრდილოეთისკენ, იარა დასავლეთისკენ, ცოტა იარა, თუ ბევრი იარა, გულმეცნიერებს და მოძღვართ-მოძღვრებს შეგირდათ მიეზარა, უსმინა ხანგრძლივად სიბრძნის ოსტატებს. შეიცნო თითქმის საიდუმლო ვარსკვლავეთისა, ძველ ეტრატებშიც ბნელი სიბრძნე ამოიკითხა, ქედმოდრეკილი დაჩოჩავდა ბიბლიოთეკებში, სემინარიებში და სალექციო აულებში იგი ხანგრძლივად, იგემა კიდევ უმაღლესი კულტურის რთველი, მაინც ის დარჩა თარაშ ემხვარ, ვედარ გაასწრო სამი წლის ბაღს – თარაშ ემხვარს, ბამბუკის ჯამზე დახატულ მამალს, შავ მამალს რომ უპირებდა ერთხელ შეპყრობას. ეს ასე იყო და მას შემდეგ არა შეცვლილა რა“ (ტ. 3, გვ. 179).

უბრწყინვალესი არისტოკრატი თარაშ ემხვარი ისევე ზედმეტია ახალი ეპოქის ცხოვრებისათვის, როგორც დეკლასირებული გლახაკი ლუკაია ლაბახუა.

უგანათლებულესი პიროვნების თარაშ ემხვარის ფიქრსა და აზრებს ისევე არ ეყოლება გამზიარებელი და გამგრძელებელი, როგორც „წარმართი ლენჩის“ ლუკაია ლაბახუას ბნელმეტყველებას.

უმამაცესი და ულამაზესი ვაჟკაცი თარაშ ემხვარი ისევე არ მიიღო სოციალისტურმა სინამდვილემ და საზოგადოებამ, როგორც გონჯი და მახინჯი ლუკაია ლაბახუა.

და სიკვდილის დღეს ვარდანიძე-ემხვარების დიდი გვარის ნაშიერს ისევე არ ჰყავდა ჭირისუფალი და დამტირებელი, როგორც ლუკაია ლაბახუას, რომლის არც ოჯახისშვილობა იცოდა ვინმემ სწორად და არც დაბადების დრო და ადგილი.

ასე იქცა ლუკაია ლაბახუა თარაშ ემხვარის მეორე მედ. „რადგან ის ვინც მაღლა, ყველაზე მაღლა მიიღტვის, ისე ვერ ასცდება სიბნელეს, როგორც ყველაზე უფრო დაბლა მდგარი. სიბნელესაც აქვს თავისი მიმზიდველობა, სიბნელეშიც არის თავისებური მისტიკა“ (ვ. გამსახურდია „ტრაგედიის წარმოშობა მისტიკის სულიდან“).

მაშ რაღა არის თარაშ ემხვარის გარეგნული ბრწყინვალება, ვაჟკაცობა, სილამაზე, განათლება? მხოლოდ ის სინათლე, რასაც მთვარე აშუქებს. მთვარეც ანათებს, მთვარეც ბრწყინავს, მაგრამ ნასესხებია ის სინათლე. მთვარის სინათლე არ იძლევა განაყოფიერების საშუალებას: ვერავის გაათბობს იგი, ვერავითარ ცეცხლს ვერ წარმოშობს, ვერავითარ თესლს ვერ გაახარებს დედამიწის გულში და ვერავითარ ნაყოფს ვერ დაამწიფებს. ცივია და მკვდარი მთვარის სინათლე. ცივია და მკვდარი თარაშ ემხვარის ცოდნაც, განათლებაც, ვაჟკაცობაც, სილამაზეც. აქედან არის ალბათ თარაშისა და მთვარის ანალოგიაც და რომანის სახელწოდებაც.

სიბნელისაგან თვალახელილი

რომანში თარაშ ემხვარის ანტიპოღია არზაყან ზვამბაია. ერთად, ერთი ქალის ძუძუთი გაზრდილი ეს ორი კაცი ყველაფერში უპირისპირდება ერთმანეთს. მაგრამ ეს არ არის კლასობრივი დაპირისპირება მიუხედავად იმისა, რომ ერთი თავადია და მეორე გლეხი. კლასობრივი განსხვავება არ გამხდარა მიზეზი მათი მეტოქეობისა. თავადი თარაშ ემხვარი არაფრად აგდებს თავის გვარიშვილობას, პირიქით, იგი „თავის დიდგვაროვნებას ისე განიცდიდა, როგორც წინაპრების მიერ დაკისრებულს, დაუმსახურებელ სასჯელსა და ცოდვას“ (ტ. 1, გვ. 183). არსად არავის მიმართ არ გამოუმჟღავნებია მას არისტოკრატიული წარსული, როგორც უპირატესობის ნიშანი. მით უმეტეს, არზაყანის მიმართ. თავის მხრივ, არც არზაყანი უყურებს მას როგორც დამარცხებული კლასის წარმომადგენელს, ანდა სოციალური მტრის ნაშიერს. თარაშ ემხვარი მისთვის ყრმობის მეგობარი და ძუძუსმეორე ძმია. მათ უყვართ ერთმანეთი. „ან ვინ იქნება ამ ქვეყნად იმაზე უტკბესი, ვისთვისაც დედის ხსენი გაგიზიარებია? ვინ იქნება ამ ქვეყნად იმაზე უძვირფასესი, ვისთანაც პირველი ნაბიჯის გადადგმა გისწავლია? ერთი და იმავე ჯამიდან რძე გისვამს ბაღლობისას, ბავშვობისას ბური გითამაშნია, ვისთანაც პირველი სიხარული გაერთებს და ამ ქვეყნად მოსვლის პირველი ლხენა?“ (ტ. 1, გვ. 102). მიუხედავად ამისა, ისინი

შეურიგებელი მტრები არიან. ამ მტრობის საფუძველი კი მათი ადამიანური ბუნებისა და სულიერი შინაარსის განსხვავებაა. ისიც მაინც დუშმანები იქნებოდნენ, ორივე გლეხი ან ორივე თავადი რომ ყოფილიყო, რადგან მათ შორის არსებული მოურიგებელი წინააღმდეგობა, ეს არის კონფლიქტი სკეპტიკური აზროვნებისა და ფანატიკური აზროვნების, სულიერი მრავალფეროვნებისა და სულიერი პრიმიტიულობის, კულტურის უარყოფის და უტილიტარული ცივილიზაციისა.

როგორც ცნობილია, ყოველ მოვლენას ორი მხარე აქვს – დადებითი და უარყოფითი. თარაშ ემხვარი ყოველ ცვლილებას, უკვე მომხდარს თუ აწი მოსახდენს, ეჭვის თვალთ უყურებს და უარყოფით მხარეს ყოველთვის გაზვიადებული სახით წარმოიდგენს. ელლენ რონსერს წერს იგი: „რომელიღაც გერმანელი მეცნიერი გულთმისნური აპარატის გამოგონებას აპირებს თურმე. ასე რომ მალე ჩვენ გვეცოდინება აქიდან ალმასკაში ღორჯოს რომ კაცი იჭერს, იგი რას ფიქრობს. ეს თუ მოხდა, მაშინ ყოველი კაცი თავის ცოლს გააგდება უეჭველად. არავინ არც ერთ ქალს არ შეიყვარებს, არავითარი ინტრიგა არ ექნება მომავალ რომანებს და შეყვარებულები ვარდის წყლის ნაცვლად ქეძაფს შეასხამენ სახეში ერთმანეთს. არ იქნება საიდუმლო, ყველას ყველაფერი ეცოდინება და სიყვარულის, მეგობრობის და გრძნობის გამო არავინ არაფერს დასწერს“ (ტ. 3, გვ. 73). ამაზე უკიდურესი სკეპტიციზმი წარმოუდგენელია. თარაშს სჯერა, რომ უბრალო ტექნიკური გამოგონება მოშლის ოჯახს, სიყვარულის მაგიერ დანერგავს სიძულვილს და მოსპობს ხელოვნებას. მას არც არსებულის სჯერა: თუ ოჯახი არსებობს, ქალ-ვაჟს ერთმანეთი უყვარს და ადამიანი რაიმეს ქმნის, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ საიდუმლოში ჩახედვა არ შეგვიძლია. თუ აპარატმა ჩაგვახედა, ილუზია მოიშლება და ილუზიაზე აშენებული სამყაროც დაინგრევა. ტექნიკური პროგრესისაგან გამოწვეული შიშით მარტო თარაშ ემხვარი არ არის დაავადებული. მოაზროვნე კაცობრიობას ეს შიში სენად ექცა მე-20 საუკუნეში. მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობის შემდგომი განვითარება დამოკიდებულია მის (კაცობრიობის) მორალურ სიმტკიცეზე და არა ტექნიკურ მიღწევათა დონეზე. მაგრამ თარაშ ემხვარის უბედურება ისიც არის, რომ მას არც კერძო ადამიანის სჯერა და არც მთელი კაცობრიობის მორალური სიმტკიცისა: „საერთოდ კაცობრიობა დესპოტების ჯოხსა და მახვილს უფრო მოკრძალებულად შესცქეროდა, ვიდრე გენიოსის კალამს, ან დიდი მხატვრის ყალამს. და ბნელ ინსტიქტებს გაცილებით ადრე შეუგდიათ ბურთი ლელოში, ვიდრე ხელის ხელ საგომანებელ ჭეშმარიტებებს“ (ტ. 3, გვ. 125). ამ მწარე სკეპსისის დადასტურებაა ემხვარის წერილიც, გაგზავნილი კაროლინა შარვაშიძისადმი ზუგდიდში: „მე არ ვეთანხმები ანატოლ ფრანსს, ყოველმა ადამიანმა რომ თავისი ცხოვრება აღწეროს, მსოფლიო ლიტერატურას მრავალი შედეგრი შეეძინებაო რომ ამბობდა. პირიქით, ეს დიდი უბედურება იქნებოდა. საცოდავ მოწაფეებს და სტუდენტებს თავსატეხი მასალა მოემატებოდა, ასოთამწყობები სულ დაიბრმავებდნენ თვალს და ბიბლიოთეკარებს მთლად დაახრჩობდა ბუასილი“ (ტ. 3, გვ. 75-76).

თუ თარაშ ემხვარის ფიქრით, ყველაფერი, რაც მოხდება, ბოროტს მოიტანს, არზაყან ზვამბაიას აზრით მხოლოდ სიკეთეს დათესავს, არსებულ ბოროტს შეცვლის და კეთილს დაამკვიდრებს. ამაში, არზაყანს ოდნავადაც არ ეპარება ეჭვი.

„ჰმ, ციება, ციება!.. გაიფიქრა არზაყანმა და გონების თვალი კოლხიდის ჭაობებისაკენ გაექცა. „ბოლშევიკები უთუოდ ამ მიუვალ ციხესაც ავიღებთ და სამარადჟამოდ მოისპობა მალარია – კოლხიდის ბავშვების მმუსვრელი“ (ტ. 1, გვ. 100).

არზაყანი სვანეთის განახლებაზე ოცნებობს: „სვანეთის დიდი გზა მოთავდება თუ არა, აქ მრეწველობა აღორძინდებაო, ფაბრიკების, ქარხნების ტყე ამოვაო იქ, სადაც ახლა ფეოდალური კომპეგია ალანძული და სისხლის მამიებელნი და სისხლის დამცველნი ჩასაფრებულან“... იგი იმ დროზე ოცნებობს, „როცა ელმავალები ხალხითა და საქარხნო საქონლით დატვირთულ მატარებლებს შემოიყვანენ ენგურის გაუვალ ხეობაში. კბილოვანი რკინის გზები და ფუნიკულორები ამ ამაყ მთებზე აცოცდებიან, ელექტრონი, ტელეფონი, რადიო შემოვა და ჰაეროპლანები კავკასიონს დაბალ ლობედ გადააქცევენ...“ (ტ. 3, გვ. 122).

არზაყანის აზროვნებას ოდნავადაც არ ემინია ტექნიკური ცივილიზაციის. პირიქით, სწორედ იგი მიაჩნია ადამიანის ცხოვრების კეთილდღეობის საფუძვლად.

თუ თარაშ ემხვარს სძაგს ადამიანი და რწმენა აქვს დაკარგული მისადმი, არზაყან ზვამბაია უნიღბო ადამიანის აღზრდას მოითხოვს. ადამიანისადმი ესოდენ განსხვავებული დამოკიდებულება, ცხადია ცხოვრებისადმიც განსხვავებულ დამოკიდებულებას წარმოშობს მათში.

არზაყანისათვის „ცხოვრება შრომისა და ბრძოლისთვისაა გაჩენილი“ (ტ. 3, გვ. 142). თარაშისათვის კი – ჭვრეტისა და ანალიზისათვის. შრომა და ბრძოლა ბადებს აქტიურ ოპტიმიზმს, ჭვრეტა და ანალიზი – სკეპსისს. ეს ორი შეხედულება, სინამდვილისადმი ეს ორგვარი დამოკიდებულება არ შერიგდება. არზაყანი და თარაშიც მარადიულ მტრებად დარჩებიან. ამ მტრობაში არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას – თავს გასწირავენ თუ არა ისინი ერთმანეთისათვის (თარაშმა იხსნა არზაყანი ჯამლეთ ტარბასაგან) ან სასიკვდილოდ მიუშვერენ თუ არა ერთმანეთს რევოლვერს (არზაყანს უნდოდა თარაშის მოკვლა თამარის ოთახში). ეს წინააღმდეგობანი შეიძლება მოგვარდეს, ეს ვნებანი შეიძლება დაცხრეს, მაგრამ ვერაფერი შეარიგებს აზროვნების ორი ფორმისა და ორი შინაარსის მტრობას, ვერაფერი დააცხრობს მათ შულღს.

ამ წინააღმდეგობის მოგვარებას შეუძლებელს ხდის თარაშისა და არზაყანის სულიერი აღნაგობის რადიკალური სხვაობაც.

მართალია, მწერალი ამბობს, რომ თარაშ ემხვარს, როგორც ყოველ ოდიშარსა და აფხაზს, მრავალი სახელი ერქვაო, მაგრამ ეს არ არის მარტო ჩვეულების ანარეკლი. არზაყანიც აფხაზია, მაგრამ მას არა აქვს მრავალი სახელი. თარაშის მრავალ სახელში ჩამალულია მისი პატრონის სულიერი მრავალგვარობა, რაც საფუძველია მისი სულიერი უწონასწორობისა. „ეს რამდენიმე სახელის

მატარებელი თარაშ ემხვარი გაორებას გრძნობს მრავალკეცს: თითქოს ერთი იყო თარაშ ემხვარ აქამდის და ახლა კი მრავალი ნილაბი იჭვრიტება ახლო წარსულზე ჩამოშვებული ბნელი ფარდიდან. და ეს ყოველივე ისე შორსაა და ისე ახლოს.

ნამდვილი იგი იყო: ერთი ვიღაცა,
მრავალი სახელის,
მრავალი ასაკის მატარებელი,
მრავალ აღნაგობით წარმოდგენილი“ (ტ. 2, გვ. 235).

ამ მრავალი სულიერი სახის მატარებელ თარაშ ემხვარს ველარ მიუგნია, რომელია მისი ნამდვილი სული. მას ყველა უყვარს და ყველა სძულს ერთდროულად. იგი ვერც ერთ სულიერ მოთხოვნილებას ვერ გაჰყოლია, რადგან არ უწყის, რომელია ჭეშმარიტების მქადაგებელი, თუ ყველა მხოლოდ სიცრუეს და მოტყუებას ემსახურება. სულიერმა სიმდიდრემ დაშალა მისი სულის სიმტკიცე. დანაწევრებულ სულს უჭირს არსებობა. ამასთანავე ამ მრავალი სულის მატარებელ კაცს ყველაფრის შეცნობა სურს. მისი სულის სხვადასხვა სახე სხვადასხვაგვარად შეიცნობს, სხვადასხვა ჭეშმარიტებას ეძებს და შეუძლებელი გამხდარა მათი შერიგება. აქედან არის გარდაუვალი ფიქრი და ძიება ნამდვილი საკუთარი სახისა, რაც სუბიექტურ პრობლემად იქცევა (ემიე თავი შენი!).

არზაყანს კი არ აწუხებს სულის მრავალფეროვნება. იგი მთლიანია სულიერად და ამდენადვე პრიმიტიულიც. მას ნათლად და გარკვეულად წარმოუდგენია, რას ეძებს მისი სული. „სინათლე მოენატრა არზაყანს. სუფთა საწოლი, სუფთა სამოსი, სუფთა ქალაქი, ელექტროს შუქი, წვერის გაპარსვა, რბილი ვაგონი, ასფალტმოსხმული ქუჩები, გაზეთები, წიგნები, კულტურა“ (ტ. 3, გვ. 163). ეს მინიმუმია, რაც შეიძლება ადამიანმა მოითხოვოს და ინატროს, მაგრამ იგი მტკიცე მოთხოვნილებაა და ყოველგვარ ორჭოფულ დამოკიდებულებას გამორიცხავს. თარაშისათვის ეს ღიმილის მომგვრელია, რადგან იცის, რომ ამაში ვერ იპოვის სულის შვებას. ასევე სასაცილოა მისთვის არზაყანის ბალღური ოცნება: „არზაყან ზვამბაია სახელგანთქმული მეცნიერია. მაღალი, თეთრი სახლის მარმარილოს კიბეზე ადის, მარჯვნივ და მარცხნივ ქუდს იხდის მოზიმ-ზიმე ახალგაზრდობა, კრძალვა და რიდი ეხატება არზაყანის ჭადარის შეხედვაზე. არზაყანი კათედრაზე ადის, ათასი ცნობის და ცოდნისმოყვარე თვალი შემოსცქერის, უცდიან რას იტყვის ახალს, უკვე ჭარმაგი მეცნიერი არზაყან ზვამბაია.

გაზეთებში ხატავენ მის სურათებს და მთავრობა სიგელებს უბოძებს არზაყანს. არზაყანს შრომის გმირის საპატიო სახელი შესთავაზეს კოლხიდის ციებასთან გმირული ბრძოლისათვის“ (ტ. 1, გვ. 115).

ამგვარი ოცნებები თარაშისათვის „ლოფორთქინას ამბავია, საცოდავი ლოფორთქინას სარბიელის ამბავი. ერთ ციდას გაივლის ლოფორთქინა, მერმე ვინმე ქონდრის კაცი გამოივლის და გასრისავს ტერფით. მშვიდობით მაშინ ლოფორთქინა და მისი ხუხულაც“ (ტ. 3, გვ. 124).

არზაყანის სულიერ მისწრაფებაში ყველაფერი კონკრეტულია – მეცნიერად გახდომა, ციების წინააღმდეგ ბრძოლა, გაზეთებში სურათების დახატვა, მთავრობის სიგელი, შრომის გმირის წოდება. არზაყანში არ არის არავითარი დაეჭვება, არავითარი გაორება. არჩევანი ნათელი და გარკვეულია. აქ თავისთავი უკვე ნაპოვნია და ძიება აღარ არის საჭირო. მიზნის მისაღწევად საჭიროა მხოლოდ შრომა. არზაყანს კი შრომა არც უჭირს და არც ეზარება. მართალია, მის ოცნებას პრიმიტიულობის დაღი აზის, მაგრამ ამ პრიმიტიულობას აქვს ერთი დიდი უპირატესობა: იგი მთლიანი და მტკიცეა.

ამ მთლიანობისა და სიმტკიცის შედეგია ის, რომ არზაყანს ოდნავადაც არ განუცდია ყაჩაღთა მეთაურის მოკვლა, თუმცა მოტყუებით გააკეთა მან ეს. არც ლომკაცია ტარბას მოკვლას შეუწუხებია იგი. მან იცის ელემენტარული ჭეშმარიტება – მტრის მოკვლა ნებადართულია. უფრო მეტიც, იგი არც მამის მკვლელობაზე დაფიქრებულა. მართალია, მამის დაღუპვით შეწუხდა როგორც შვილი, მაგრამ მოვლენის არსში ჩაწვდომა მას არ უცდია. პირიქით, ტყუილისაც კი არ რცხვენია: თარაშიც მოატყუა და ძაბულიც – ტარბებმა მოგვიკლესო მამა. არზაყანს არ უნდა არჩეული გზიდან გადაახვევინოს თუნდაც სულიერმა ტკივილმა ან სინდისის ყივილმა. თარაშ ემხვარი კი ტრაგიკულად განიცდის ჯამლეთ ტარბას მოკვლას, თუმცა ესეც მტერი იყო. ამის გამო მას თმაც გაუთეთრდა და შეძრწუნებული მოკლულ ფრინველშიც კი ჯამლეთ ტარბას სულის მიგრაციას ეძებს. ღამეც ხშირად აზოდებს და სისხლი არ დაღვაროთო, ყვირის.

თარაშ ემხვარის გაფაქიზებული და მრავალფეროვანი სული მარადიულ წუხილს განიცდის. არზაყან ზვამბაიას მთლიანი და პრიმიტიული სული კი მშვიდია და მტკიცედ მიაბიჯებს მიზნისაკენ. ბევრი მტკიცება არ უნდა იმას, რომ ვერც ეს განსხვავებული, სხვადასხვა ხასიათის სულები მოახერხებენ მორიგებას და მათ შორის მუდამ იქნება მტრობა.

თარაშ ემხვარი სულიერი კულტურის მწვერვალებს მისწვდა, შეიცნო და შეითვისა იგი. მაგრამ ამ უზარმაზარმა სინათლემ შეაშინა და დააბრმავა ის („მე ხომ თხუნელა ვარ, ბეცი თხუნელა“, ტ. 3, გვ. 134). ცივილიზაციის სენმა (თარაშის სიტყვებია) იგი ამაოებაზე დააფიქრა. „ადამიანი შოპენს რომ გაიგონებ, შოპენჰაუერისა და სვედენბორგის წიგნებს წაიკითხავ, ათინისა და პომპეის ნანგრევებს ნახავ, ან როგორ გაიხარებ. პირველად ჩემს სიცოცხლეში შოპენის მუსიკამ და შოპენჰაუერის კითხვამ მაფიქრებინა სიკვდილისთვის“ (ტ. 2, გვ. 89). მან თანამედროვე ავადმყოფური ცივილიზაციის (რითაც იყო დაავადებული) უარყოფა მოიწადინა და თავისთავში პირველყოფილი სიჯანსაღის აღდგენა მოინდომა.

არზაყანისათვის ყველაფერი ეს უცნობი და უცხოა. თუ ცივილიზაციის დიდმა სინათლემ თარაშს სიჯანსაღე და პრიმიტიულობა მოანატრა, უკულტურობის სიბნელეში დიდხანს ყოფნამ არზაყანში სინათლისაკენ დაუოკებელი მისწრაფება წარმოშვა. იგი განათლებას და ცოდნას მიელტვის, კულტურა ენატრება, მაგრამ ამ მისწრაფებას თავისი პოზიცია აქვს: არზაყანის საოცნებო ცივილიზაცია უტილიტარულ-პრაქტიკული შინაარსისა და ხასიათის არის.

არზაყანს არასოდეს უფიქრია არც შოპენზე და არც ვაგნერზე, არც პლატონსა და არც გოეთეზე. მას უნდა წინ წარუძღვეს ინჟინრების, შოფრების, პილოტების ლეგიონებს, ტრაქტორებს, მანქანებსა და ლოკომოტივებს, რათა ახალი სამყარო აშენდეს, ქვეყანა შეიცვალოს და ახალი ყოფა დამკვიდრდეს. არზაყანის პრაქტიკული თვალი კარგად ხედავს ეპოქის მოთხოვნილებას და შეუმცდარი ინსტიქტი სწორ გზას უჩვენებს.

ამ შემთხვევაშიც ორგვარი დამოკიდებულებაა გამომჟღავნებული და ორი საპირისპირო კრედოა გამოთქმული. მათი შერიგებაც შეუძლებელია. ამ ასპექტშიაც არზაყანი და თარაში დაუძინებელი მტრები არიან. ამ ორი განსხვავებული მრწამსის ადამიანს, ცხადია, ცხოვრების გზის დასასრულიც სხვადასხვაგვარი უნდა ჰქონდეს: ერთერთი აუცილებლად უნდა დაიღუპოს. ეს არა მარტო იმიტომ, რომ ერთ სინამდვილეში ორი შეურიგებელი მოვლენა ვერ იარსებებს, არა, ასეთი რამ დასაშვებია და ხდება კიდევ. დაიღუპება იმიტომ, რომ თარაში ემხვარის მრწამსი თავისავში შეიცავს მომაკვდინებელ დაავადებას და სასიცოცხლო აუცილებელი თვისებები არა აქვს. როგორი ავადმყოფური სენიც უნდა იყოს ცივილიზაცია, კაცობრიობა მასზე ხელს არ აიღებს. პირიქით, კიდევ უფრო ღრმად შეიწოვს და შეისისხლხორცებს მას. ამიტომ იყო თარაში ემხვართან კამათში მართალი კაროლინა შარვაშიძე, როცა სწერდა მას: „დიახ, ავადობაა კულტურა, ველურობა კი სიჯანსაღე! მერმე რა, ეს რომ ასეა? შექსპირი, ვაგნერი და შოპენი თუ ავადობაა, ეს არც ისე ცუდი სენი ყოფილა“ (ტ. 3, გვ. 205). ამიტომ უწოდა იმავე კაროლინამ არზაყანს ნათელი აზროვნებისა და პროგრესული აზრების კაცი (ტ. 1, გვ. 64). თუმცა კაროლინას ადამიანური სიმპათიები, სიყვარული და თანაგრძნობა ყოველთვის თარაშის მხარეს იყო და არა არზაყანის. ამ ქალის დამოკიდებულებაში ამ ორი კაცისადმი განზოგადდა მათდამი მკითხველის დამოკიდებულებაც. ცხოვრებაში პარადოქსული რამ ხდება – ემოციურად თანაუგრძნობ, გიყვარს და მოგწონს ადამიანი, მაგრამ მის იდეებს არ გაიზიარებ და არ გაჰყვები. ეს ხდება იმიტომ, რომ ეს იდეები, მიუხედავად მათი მიმზიდველობისა, მოხდენილობისა, პარადოქსული სიმახვილისა, უჩვეულობისა, არ შეიცავენ სასიცოცხლო პირობებს. ისინი რჩებიან სამკაულებად, რომელთა პრაქტიკული გამოყენება არავის მოუვა აზრად. ხოლო ადამიანი შეიძლება არ გიყვარდეს, არც თანაუგრძნობდე, მაგრამ მაინც უნებლიეთ მისი მოკავშირე გახდე, რადგან რასაც იგი აკეთებს და ამბობს, ცხოვრების ელემენტარული სიმართლე და კანონია. ცხოვრების ამ ელემენტარულ კანონებს კაცობრიობა მაქსიმალური ერთგულებით იცავს.

ასე მოხდა არზაყანის და თარაშისადმი მკითხველის დამოკიდებულებაშიც. მკითხველი ნათლად გრძნობს თარაშის უპირატესობას, მის სულიერ და გონებრივ სიღრმეს, უყვარს და მოსწონს იგი (საერთოდ შეუძლებელია ტრაგიკული არ გიყვარდეს), მაგრამ მისი აზრების თანაზიარი, ერთგული და მოკავშირე არ ხდება. ასევე ნათელია მკითხველისათვის არზაყანის პრიმიტიულობა, სულიერი და გონებრივი ჩვეულებრივობა. იგი არც სიყვარულსა და თანაგრძნობას იმსახურებს მაინცდამაინც, მაგრამ მისი სიმართლე რომ ცხოვრების

სიმართლეა, ესეც აშკარაა. ამ სიმართლის უარყოფა კი მკითხველს არც სურს და არც შეუძლია. მათდამი დამოკიდებულების საკითხში მწერალიც ამავე პოზიციაზე დგას. მას თარაში უფრო უყვარს, მაგრამ მაინც ორჯერ გაიმეტა სასიკვდილოდ: ერთხელ თავად ესროლა, მეორედ კი ენგურის აბობოქრებულ ტალღებში დაახრჩო. რადგან მწერალს არ შეეძლო გადაერჩინა ის კაცი და ის მრწამსი, რაც თავისთავში ატარებდა სიკვდილის აუცილებლობას. მიუხედავად არზაყანისადმი ცივი ობიექტური დამოკიდებულებისა (თუმცა კ. გამსახურდიას არ დაუშურებია თბილი საღებავები არზაყანის ხატვის დროს, მაგრამ მაინც მწერლის გულის სითბო ახალგაზრდა ზვამბაიას არ ერგო), იგი იმარჯვებს და მისი ცხოვრების გზა რომანში აპოთეოზით მთავრდება – „არზაყანი დააწინაურეს და ცენტრში დანიშნეს“ (ტ. 3, გვ. 232). ეს სინამდვილით გაპირობებული აუცილებლობა იყო.

თარაშ ემხვარისა და არზაყან ზვამბაიას დამოკიდებულებაში დასმულია ერთი ურთულესი პრობლემათაგანი – ცივილიზაციის უარყოფისა თუ შენარჩუნების აუცილებლობისა. თარაშისა და არზაყანის ცხოვრების გზების განვითარებასა და დასასრულს მივყავართ დასკვნამდე – ცივილიზაციის უარყოფის იდეა თავისთავში ატარებს სიკვდილს და განწირულია დასალუპავად, რადგან სიბნელით თვალახელილნი ყოველთვის იქნებიან სინათლის მამიებელნი, მათ ყოველთვის დასჭირდებათ იგი. ისინი კაცობრიობის უდიდესი უმრავლესობაა. კაცობრიობა კი ყოველთვის დადის უმრავლესობის მიერ არჩეული გზით.

მითი რომანში

მითოლოგიური ამბებისა და სიზმრების საშუალებით „მთვარის მოტაცებაში“ მოქმედება ხშირად ორ სიბრტყეში მიმდინარეობს – რეალურსა და ირრეალურში. ეს ორი სიბრტყე ერთმანეთს ავსებს და რომანის აზრობრივი შინაარსის ამოსაცნობად აუცილებელია მათი ცალ-ცალკე ანალიზი.

ჩემი დაკვირვებით, „მთვარის მოტაცებაში“ მითოლოგიურ ამბებს ორგვარი დანიშნულება აქვს.

პირველი: რომანში აღწერილ ყოფას აძლევს განუმეორებელ ეროვნულ კოლორიტსა და ხასიათს.

მეორე: ქმნის რომანის ალეგორიულ შინაარსს.

კაროლინას შარვაშიძეთა ოჯახში რძლად მოყვანის სცენები იქნება თუ თარაშ ემხვარის ბავშვობის გახსენება, ლუკაია ლაბახუას მისტერიები თუ ზოსიმეას ამბები, მალანურობა თუ სხვა რამ არა მარტო ყოფის კოლორიტულ სურათს გადმოგვცემს, არამედ ხალხის ცხოვრების ხასიათს, ბუნებასა და თვისებებს. წარმართულ-მითოლოგიური ზნე-ჩვეულებანი ხელოვნურად არ არის შემოტანილი რომანში. იგი ცოცხალი ნაწილია იმ სინამდვილისა, რომელშიც „მთვარის მოტაცების“ პერსონაჟები ცხოვრობენ. რომანში მოთხრობილი წარმართულ-მითოლოგიური ამბები ჩვენი ხალხის ყოფის ცოცხალი სინამდვილით ნაკარნახევი აუცილებლობაა. ამიტომ არის, რომ არა მარტო ლუკაია ლაბახუას, ზოსიმეას, ანდა ხათუნა ზვამბაიას სულში აქვს წარმართობას ღრმა

ფესვები გადგმული, არამედ ევროპული ცივილიზაციით მოქადულ თარაშ ემხვარშიაც. იგი ზვამბაიების ტრადიციულ ოჯახში გაიზარდა და, ხათუნა ზვამბაიას ძუძუს მადლთან ერთად, თავის ხალხის რწმენა, ზნე და ჩვეულებაც შეისისხლხორცა. ბავშვობაში ჩანერგილი რწმენა და პატივისცემა წარმართობის ხშირად განსაზღვრავს თარაშ ემხვარის ფიქრთა დენასა და ფილოსოფიურ დასკვნებს. მაგალითად, ერთგან თამარ შარვაშიძესთან საუბარში იგი ამბობს: „მინდა გავჯანსაღდე, მშობლიურ მიწის სურნელით განვიკურნო, მინდა უცხოური ჩვეულებანი უკუვაგდო და ჩემს ხალხს დავუბრუნდე“ (ტ. 2, გვ. 89-90). მაგრამ როგორ, რა გზით შეიძლება ადამიანმა სულიერ განახლებას, აღორძინებას მიაღწიოს? თუ თარაშ ემხვარის მრწამსს დავაკვირდებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს გზა სიკვდილზე გადის ანუ როგორც თავად თარაში განმარტავს – „ერთი სიკვდილით უნდა მოკვდე კაცი ამ ქვეყნად, რომ თავის საქმით კვლავ შესძლოსო მკვდრეთით აღდგომა“ (ტ. 3, გვ. 180). თარაშ ემხვარისათვის სიკვდილი განახლების გზაა. ეს დასტურდება მისი საუბრითაც კაროლინა შარვაშიძესთან (ტ. 2, გვ. 148-149. ეს საუბარი გერმანულად მიმდინარეობს):

„– თქვენ თავად გაეცით თქვენი გულის ნადები, როცა ამბობდით, ყოველივე სილამაზე შესამუსვრელად განწირულიაო.

– დიახ, შესამუსვრელად... რათა ხელმეორედ აღორძინდეს იგი. ეს არის სიცოცხლისა და სიკვდილის გარდაუვალი კანონი“.

სიკვდილით განახლება-აღორძინების რწმენა თარაშში დაბადებულია წარმართულ ნიადაგზე. ამის ახსნაში დაგვეხმარება ემხვართან დაკავშირებული მითოლოგიური პლანი რომანისა.

მიუხედავად გარეგნული მოლხენილობისა, თარაშ ემხვარი მუდამ სიკვდილზე ფიქრობს. ამ ფიქრისაგან გათავისუფლება არ შეუძლია. უფრო მეტიც, სიკვდილზე ფიქრი ერთგვარ ტკობასაც ანიჭებს. დააკვირდით სტრიქონებს: „ემხითა შენით მინდა ვიყვე მარადის მთვრალი, ეგ თეთრი მკლავი მქონდეს ყელზე შემოჭდობილი“ (ტ. 2, გვ. 67). ამ სიტყვებით იგი პერსეფონეს მიმართავს. პერსეფონე ხომ ქვესკნელის ღმერთია, მკვდართა მბრძანებელი და პატრონი! პერსეფონეზე ფიქრი სვანეთშიაც არ ასვენებს თარაშს. გულისტკივილით წერს იგი რომში ელლენ რონსერს: „ყოველდღე ნახავ ჩემ საყვარელ პერსეფონეს, თეთრმკლავებიანს“ (ტ. 3, გვ. 73). მაგრამ პერსეფონეზე (ქარაგმულად – სიკვდილზე) ფიქრს მეორე პლანიც აქვს: ამით თარაში განახლებაზე ოცნებობს, რადგან პერსეფონე ორსახიანი ღმერთია. იგი ნაყოფიერების ღვთაებაც არის და ბუნების აღორძინებაც მასზეა დამოკიდებული.

სიკვდილის გზით აღორძინების მოტივს აგრძელებს თარაშის სურვილი: „თუ თავის მოკვლა გადავწყვიტე, ჩემს საყვარელ სტიქიონს – წყალს უნდა მივაკითხოო“ (ტ. 2, გვ. 89). რაღა მაინცა და მაინც წყალს? თვითონ თარაში უბრალო და მკაფიო პასუხს იძლევა – „მე მდინარის პირად ვარ გაზრდილი. განუზომლად მიყვარდა წყალი“ (ტ. 2, გვ. 89). მართალია, მერე თარაშ ემხვარმა წყალში თვითმკვლელობაზე უარი თქვა და ამ აქტის შესასრულებლად რევოლვერი ამჯობინა, მაგრამ მაინც მისი თავდაპირველი „ოცნება“ ასრულდა:

იგი ენგურში დაიხრჩო. ე.ი. წყალში სიკვდილს ვერ გაექცა. ახლა თუ გავიხსენებთ,

რომ ქართულ მითოლოგიაში წყლის ღმერთი იგრი სიცოცხლის საწყისია, რომ მდინარე ენგურის სახელი ამ წარმართული ღმერთის სახელიდან არისო წარმოებული,¹

რომ იგრის სადიდებელი თვე იგრიკა, საბა ორბელიანის განმარტებით, აპრილია

და, რომ თარაშ ემხვარი ენგურში სწორედ აპრილში დაიხრჩო,

მაშინ უსაფუძვლო არ იქნება დასკვნა: აქაც სიკვდილის საშუალებით ხელმეორედ აღორძინება-განახლების აზრია გატარებული, რადგან თარაშის სიკვდილი იმ ღმერთის სახელთან არის დაკავშირებული, რომელსაც, მართალია, ხანდახან სიკვდილი მოჰქონდა (იგრის გამოჩენას წყალდიდობაც და ქარიშხალიც მოჰყვებოდა), მაგრამ მაინც სიცოცხლის საწყისი იყო. უიმისოდ ვერაფერი იხარებდა.

როგორც მკითხველს ახსოვს, რომანში თარაშ ემხვარის სიკვდილს წინ უსწრებს მესეფეთა მოსვლა. ლუკაია ლაბახუა მესეფეთა ვინაობას ასე განმარტავს: „ზღვაში ცხოვრობენ მესეფენი, შურიგე. ქვეწარმავლების ღმერთებია მესეფენი. გაზაფხულის წვიმები ამოყვებიან ზღვიდან მესეფეებს“ (ტ. 3, გვ. 206). აქ ყველაფერი მითის თანახმად არის განმარტებული, გარდა დროისა. მითის მიხედვით, მესეფენი შემოდგომის წვიმების მომყვანია. სამეგრელოში მესეფობას 28 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე დღესასწაულობდნენ.² რად დასჭირდა მწერალს შეეცვალა მესეფეთა მოსვლის დრო? საქმე ის არის, რომ მესეფენი რასაც შეჰამენ, მერე ისევ აცოცხლებენ.³ ე.ი. მესეფეთაგან მონიჭებული სიკვდილი თავისთავში განახლება-აღორძინებას შეიცავს. ამ მითოლოგიურ ამბავშიც იგივე მოტივია, რაც პერსეფონესა და იგრის თქმულებებში. აქაც სიკვდილით ხდება აღორძინება. რაკი მესეფენი წყალში ცხოვრობენ (ე.ი. იგრის მოციქულები არიან) და მათი მოსვლა თარაშის სიკვდილთან არის დაკავშირებული, საჭირო იყო მესეფეთა მჭიდრო დაახლოება პერსეფონე-იგრი-ენგურის კომპლექსთან. ამიტომ შეეცვალა მწერალმა მესეფეთა წყლიდან ამოსვლის დრო.

ძველ რომაელთა პერსეფონე, ქართველთა იგრი და მესეფე სიკვდილის გზით ანიჭებენ ადამიანს განახლება-აღორძინებას. თარაშ ემხვარსაც ასე სჯეროდა – მხოლოდ სიკვდილით შეიძლებაო მკვდრეთით აღდგომა. ამრიგად იგი საკუთარ რწმენას ეზიარა და ისე გადავიდა არყოფნაში. ხელმეორედ აღორძინების ლამაზი ოცნება კი მის სიკვდილს სიმშვიდესა და ჰარმონიას ანიჭებს. გარდა ამისა, ძნელია შეურიგდე სამუდამო გაქრობას იმისას, ვინც გიყვარს. ცრუ ნუგეშად იქმნებოდა და იქმნება მეორედ მოსვლის ლეგენდა. მკითხველისათვის მტკივნეულია თარაშ ემხვარის დაღუპვა და მეორედ მოსვლის მითი აქაც ტრაგიკული დასასრულის ნუგეშინია.

თუ, ერთი მხრივ, რომანში მითოლოგიური პლანის საშუალებით გაშუქებულია პიროვნების სულში სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლის სურათი, მეორე მხრივ, იმავე მითოლოგიური პლანით ნაჩვენებია არზაყან ზვამბაიას შერკინე-

ბაც ძველ დროსთან. ბედით არზაყან ზვამბაია არანაკლებ ტრაგიკულია თარაშ ემხვარზე. მისი გზა მამის სისხლით არის მორწყული, მიუხედავად იმისა, კაც ზვამბაიას არზაყანის გასროლილი ტყვია განგმირავს თუ არა. არზაყანს წილი უდევ ქორა მახვშისა და თამარის სიკვდილშიაც, თუმცა მას შეიძლება ეს შეგნებულიც არ ჰქონდა. თუ როგორ მიიღო არზაყანმა მონაწილეობა კაც ზვამბაიას, ქორა მახვშისა და თამარის სიკვდილში, ამას დავინახავთ ამ სამი პერსონაჟის გარდაცვალების მითოლოგიურ სიბრტყეში განხილვით.

როცა კაც ზვამბაია მოკვდა, ძველი კოლხური ჩვეულების თანახმად, მისი ცხედარი თარაშმა, არზაყანმა და საურმა ხეზე დაკიდეს. დამარხვის ეს წესი თარაშმა გაიხსენა. თითქოსდა ბუნებრივია ძველი კოლხური ფეტიშიზმის მკვლევარს გახსენებოდა მემატიაზეთა ცნობა მიცვალებულის ხეზე დამარხვისა. მაგრამ ამ უბრალო გახსენების საილუსტრაციოდ არ არის იგი აღწერილი რომანში.

როგორც ვ. ბარდაველიძემ გამოიკვლია, წამართ ქართველს სჯეროდა გარეშე სულის არსებობისა.¹ ადამიანის გარეშე სული გარე სამყაროს რომელიმე ობიექტში ცხოვრობდა, მაგალითად, მცენარეში ან ცხოველში. ეს ობიექტი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ადამიანის სიცოცხლესთან. თუ გარეშე სულის სადგური მცენარე ან ცხოველი დაიჭრებოდა და მოკვდებოდა, დაიჭრებოდა და მოკვდებოდა ის ადამიანიც, ვისი სულიც დაზიანებულ ობიექტში ცხოვრობდა. წარმართი ქართველის რწმენით, განსაკუთრებული კავშირი ადამიანის სიცოცხლეს ხის სიცოცხლესთან ჰქონდა. მოვიტანოთ ერთი მაგალითი ვ. ბარდაველიძის გამოკვლევებიდან: „ხალხური რწმენისა და გადმოცემის მიხედვით, რკონის წმ. ცაცხვის ხე საიდუმლო კავშირში იმყოფებოდა ჯავახიშვილების საგვარეულოსთან, ვინაიდან ამ ხის სინედლესა და სიმრთელესთან ჯავახიშვილების ჯანმრთელობა და სიცოცხლე იყო დაკავშირებული. ეს აშკარად ჩანს შემდეგი ჩვეულებებიდან, რომელიც ჯავახიშვილებში არსებულა. როცა ამ გვარეულობის რომელიმე წევრი ავად გახდებოდა, მივიდოდნენ ცაცხვთან და მას გულდასმით დაათვალიერებდნენ. თუ ცაცხვის ტოტები ყველა მთელი აღმოჩნდებოდა, მაშინ, მათი რწმენით, ავადმყოფი მალე მორჩებოდა, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში მას საფრთხე მოელოდა, სასიკვდილოდ იყო განწირული“.²

ახლა ზემო თქმულს თუ შევადარებთ, როგორ უყვარს თარაშ ემხვარს ხეები და, საერთოდ, რა მიმართებაა რომანში ადამიანსა და ხეებს შორის, ნათელი გახდება, რომ „მთვარის მოტაცებაში“ გარეშე სულის არსებობის მითოლოგიური რწმენაც არის არეკლილი.

რომანში არის მთელი თავი „ქადრების ქება“, რომელშიც თარაშის უსაზღვრო სიყვარულია ხეების მიმართ გამოთქმული. მერე, როცა თარაშმა გადაიკარგება, თამარი მიდის ამ ქადრებთან, რაც ასეა გადმოცემული: „აჰა, მისოუსტის საყვარელი ქადარი. აქ იჯდა ხშირად მისოუსტ და პლატონის ფედროს აქ უკითხავდა თამარს და კაროლინას. მოეჩვენა თამარს თითქოს ეს ქადარი მისოუსტის სულის თანაზიარი ყოფილიყო (ხაზი ჩემია – ა.ბ.). დაჯდა თავათ იმავე სკამზე. ხელი შეავლო ხეს ტანხატულას. როგორი უკურნებელი სევდით გავსილიყო მოხუცი ქადარი! გარინდებული იდგა, მწვერვალი მზისთვის შეემ-

ვირა, თითქოს მისგან მოელისო კიდეც სიტყვოს ნაგვიანებ შემოდგომისას. მწუხარედ ცვივოდა ჭადრის ფოთლები ხან აქ, ხან იქ და ეს ისე მოესმოდა თამარს ამ წუთში, როგორც უნუგეშო, გულისმომკვლელი საშემოდგომო რეკვიემ“ [ტ. 3, გვ. 62].

თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ამ ნაწყვეტში პირდაპირ არის ნათქვამი – ჭადარი მისოუსტის სულის თანაზიარი იყო, – განა ჭადრის პორტრეტი თარაშის პორტრეტს არა ჰგავს? თარაშიც უკურნებელი სევდით არის შეპყრობილი და ჭადარიც, თარაშიც უდროოდ გათეთრდა და ჭადარიც მოხუცია, თარაშიც უკანასკნელ დღეებს ითვლის და ჭადრის ფოთოლთცვენაც სიკვდილის მაცნეა.

პატარა თარაშიც ხომ მორდუსთან (კაც ზვამზაიასთან) ერთად ხესთან მიდიოდა და შესთხოვდა: „ხეო, შენი მადლი და სიკეთე მომანიჭე, ხიდან უვნებლად ჩამომიყვანე, ნედლზე შევდგე და გამიმაგრდეს, ხმელზე შევდგე – გამინედლდეს“ (ტ. 1, გვ. 86).

ასე, რომ „მთვარის მოტაცებაშიც“, ისე როგორც ქართულ მითოლოგიაში, ხე ადამიანის სულის თანაზიარია და ღვთაების ფუნქციაც აქვს. კაც ზვამზაიას სიკვდილის ყავლი დაუდგა არა მარტო იმიტომ, რომ იგი შვილმა გაიმეტა, არამედ იმიტომაც, რომ მის ეზოში ასწლოვანი ხეები მოჭრეს და რამის პლანტაციები მოაშენეს (ტ. 3, გვ. 222). „თარაშ ემზვარს გული ეტკინა ძველი, საყვარელი ხეები რომ აღარ დახვდა, მისი ბავშვობის ტკბილზე-ტკბილი საჩრდილობელი. ლედვის ხეები გადარჩენილიყვნენ, ბროწეულის რამდენიმე ხე გამხმარიყო, ორიოდე ყვაოდა მხოლოდ. ასწლიანი კოპიტები მოეჭრათ სასიმიინდეს გარემე-მო, „დემონებით“ დასახლებული ფულურო ხეები“. ამ ხეებში ცოცხლობდა კაც ზვამზაიას გარემე სული. უიმათოდ ცხოვრება მას არ შეეძლო და როცა ხეები აღარ იყო, აღარც კაც ზვამზაია არსებობდა. და წარმართული რწმენით შეპყრობილმა გაზრდილმა მისი ცხედარი ხეზე იმიტომ დაჰკიდა, რომ ამ გზით შესძლებოდა კაც ზვამზაიას მიახლოვებოდა და შერწყმოდა თავის გარემე სულს.

ხეები კი კაც ზვამზაიას ეზოში იმ კოლმეურნეობამ მოჭრა (ტ. 3, გვ. 222), რომლის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი არზაყანი იყო და რის გამოც იგი (არზაყანი) მთელმა სოფელმა შეიძულა (ტ. 2, გვ. 103).

ნებით თუ უნებლიეთ ამითაც შეუწყო არზაყანმა მამის სიკვდილს ხელი.

ასევე ითამაშა არზაყანმა საბედისწერო როლი ქორა მახვშის სიკვდილში მეზირის მოკვლით.

როგორც ქართულ, ისე საერთოდ მითოლოგიაში, გველი მიჩნეული ჰყავდათ ნაყოფიერების, ბარაქის, ახალგაზრდობის, ჯანმრთელობის ღვთაებად. გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ ძველბერძენთა ჯანმრთელობის ღმერთის ასკლეპიოსის სიმბოლური ნიშანი გველი იყო. ქართულ თქმულებებში ოჯახის მფარველი გველის სიკვდილი ყოველთვის იწვევს ოჯახის უფროსის სიკვდილს. ეს იმიტომ, რომ გველი იყო ოჯახის პატრონის გარემე სულის სადგომი. და როცა არზაყანმა მეზირი მოკლა, ამით მან ქორა მახვშის სიკვდილიც დააჩქარა. ქორა მახვშმა „მეზირის მოკვლა რომ გაიგო, ერთი წამოვარდა საწოლზე, ოთხით ზედ შედგა, დაიჩოქა, ხელები ცისკენ აღაპყრო, მერმე თავპირში დაიშინა: დაი-

ლუპაო ჩემი ოჯახი, დაიგმინა და მისი უზარმაზარი სხეული დაეცა ისევ საწოლზე.

მცირე ხანს ასე იწვა პირქვედამხოვილი. ყურები უწიოდა. მერმე წივილმა გაუარა, საშინელი ხმაური შეიციო. იწვა ქორა მახვში და მოესმოდა მთების უცნაური გრუხუნნი. გრუხუნებდნენ მთები, ილეწებოდნენ მის შემეცნებაში სვანეთის შეუვალი მყინვარები. სულ ხუთიოდე წუთის შემდეგ ამაოდ ეძებდა საური მაჯისცემას მის მარცხენაზე“ (ტ. 3, გვ. 156-157). აქ რეალური ყოფის სურათი და მითოლოგიური წარმოდგენა გაერთიანებულია და ძველი ცხოვრების წერტილის შთამბეჭქდავი ამბავია გადმოცემული.

გარეშე სულის გარდა, წარმართ ქართველს პარციალური სულის ანუ ადამიანის სხეულის ცალკეული ნაწილების სულის არსებობაც სჯეროდა. განსაკუთრებით ბევრი მასალა მოიპოვება თმის პარციალური სულის არსებობის შესახებ (იხილეთ ვ. ბარდაველიძის მოხსენიებული გამოკვლევა), მაგრამ ამ მასალას აქ არ მოვიტანთ. ოღონდ არ შეიძლება არ გავიხსენოთ თმით შეკრული ვაზის ჯვრის ამბავი. განა ღვთისმშობელმა არ მოჰკიდა ხელი „რტოსა ვაზისასა და მოჰკუეთა მისგან და შექმნა ჯუარი და მისცა ჯელთა ღირსსა ნინოს“? და ეს ჯვარი ხომ ქალის თმებით იყო შეკრული. ეს არ არის მხოლოდ პოეტური ამბავი. მასში წარმართული რწმენის ანარეკლია და ცდაა წარმართობის ქრისტიანობასთან ერთგვარი შერიგებისა. ხეში (აქ: ვაზში) ადამიანის გარეშე სული ცხოვრობდა, თმაში – პარციალური. ერთად ისინი ადამიანის სიცოცხლესთან იყვნენ დაკავშირებულნი. ამიტომაც არის, რომ ეგზომ მწვავედ განიცდის თამარი დედისეული ჯვრის დაკარგვას. მართალია, თამარის ჯვარი ვაზისა არ იყო, მაგრამ ოქროს ჯვარსაც სიმბოლოურად იგივე მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ არის, რომ ჯვრის დაკარგვა თამარისთვის დედის სიკვდილის ბადალია.

„... უკანასკნელად ხელში მოხვედრილი ნივთები ხელიდან გაუცვივდა. ზეწამოიჭრა, თვალეზზე ხელები აიფარა, მხრები აუტოკდა საბრალოდ, „ვად დედაო“, დაიკვნესა და გულამოსკვნილი ქვითინით დაეცა თავის საწოლზე.

შემცხადებულსავით იმახოდა: „დედა, დედაო“, თითქოს იმ წუთში შეიტყო, რომ აღარა ჰყავსო დედა“ (ტ. 2, გვ. 21).

თამარის შემეცნებაში დედა და ჯვარი გაიგივებულია. ამიტომაც სიზმრებში თამარს დედა ყოველთვის ჯვრით ეცხადება:

„... სასთუმალთან დადგება დედა, ხელში თამარის მიერ დაკარგული ჯვარი უჭირავს“... (ტ. 3, გვ. 186).

„... შემოვიდა დედა, თამარისათვის ნაჩუქარი ჯვარი ეჭირა“... (ტ. 3, გვ. 212).

რაკი ესოდენ მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან თამარის შეგნებაში ჯვარი და დედა, სრულიად ბუნებრივია, რომ იგი ჯვრის დაკარგვის „ამბავს განიცდიდა როგორც უდიდესი უბედურების პრელაუდიას“ (ტ. 2, გვ. 83). მართლაც, მალე თამარის სიყვარულიც და სიცოცხლეც ტრაგიკულად დამთავრდა.

და ვინ დააკარგვინა მერე ჯვარი თამარ შარვაშიძეს? არზაყან ზვამბაიამ. ასე, რომ თამარის უბედურებაში გარკვეული წვლილი არზაყანსაც მიუძღვის.

თამარისა და თარაშის სიყვარულის დანგრევაშიც მიუძღვის არზაყანს წვლილი. ეს მან შთააგონა თამარს თმების შეკრეჭა:

„... ავადმყოფმა თმა უნდა მოიჭრასო, ილორს შესწიროსო თავის ნაწნავე-ბი“ (ტ. 2, გვ. 44).

ეს იმიტომ გააკეთა არზაყანმა, რომ თარაშისათვის უნდოდა მიეყენებინა ტკივილი.

„... დეე იტანჯოს, დეე თმები შეიკრიჭოს, თარაშ ემხვარის ფიალაში ეს ხომ მცირედი გესლის წვეთი მაინც იქნება. თარაშ ემხვარს თმაშეკრეჭილი ქა-ლები სძაგს, დეე, დეე!!!“ (ტ. 2, გვ. 46).

ო, როგორ მწარედ განიცდიდა მერე თამარი თმების შეკრეჭას!

„... სწყევლის მარჩიელს (ე.ი. არზაყანს, რადგან იგი მივიდა ავადმყოფ თამართან ტანთგადაცმული, ვითარცა მარჩიელი) თმის შეკრეჭა რომ შთააგონა“ (ტ. 3, გვ. 63).

მხოლოდ პარციალური სულის მოშველიება დაგვეხმარება გავიგოთ რატომ განიცდიან ეგზომ მწვავედ თარაში და თამარი თმის შეკრეჭის ამბავს. მითოლოგიის თანახმად, ხალხს სჯეროდა: თუ ადამიანის თმა ხელთ იგდე, შეგიძლია ამ ადამიანზე უარყოფითი ზემოქმედება მოახდინო. ამიტომ, თავდაცვის მიზნით, აუცილებელი იყო ადამიანს თავისი თმა ბოროტი პირებისა და ავი სულების ხელში არ ჩაეგდო (იხილეთ, ვ. ბარდაველიძის მოხსენიებული შრომა). ეს რწმენა თარაშ ემხვარსაც შესისხლხორცებული ჰქონდა. ამიტომ მიიჩნია მან ავის მომასწავებლად თამარის მიერ თმების შეკრეჭა. არზაყანის გარდა, თმების შეკრეჭას თამარს ანული ფარჯანიანიც ურჩევდა. თარაშ ემხვარს არც თავის მამიდაშვილი ანული უყვარდა და არც მისი საქმრო მანჯგალამე. ისინი მხოლოდ ბოროტებისაკენ თუ უბიძგებდნენ კაცს. მათი რჩევით თმის მოჭრა, უკვე მათ მიერ არჩეული გზით სიარულს ნიშნავს. ეს კი თარაშის შეხედულებათა საწინააღმდეგო მიმართულება იყო – კონფორმიზმისა და შეგუება-შეთვისების მიმართულება. ამის ატანა ემხვარს არ შეეძლო. თმების შეჭრასთან ერთად თარაშისათვის მოკვდა თამარის პარციალური სული და ქალიც საბოლოოდ გაიწირა.

ახლა თუ თავს მოვუყრით რომანის მითოლოგიურ პლანში მომხდარ ამბებს, მივიღებთ შემდეგ სურათს:

ხეები კაც ზვამბაიას ეზოში არზაყანის ინიციატივით შექმნილმა კოლმეურნეობამ აჭრა, რის გამოც მოკვდა მოხუცი ზვამბაიას გარეშე სული.

მეზირი არზაყანმა მოკლა, ე.ი. არზაყანმავე მოკლა ქორა მახვშის გარეშე სული.

ჯვარიც არზაყანმა დაუკარგა თამარს და თმების შეჭრაც მან შთააგონა ქალს. ე.ი. არზაყანმავე გათიშა თამარი დედის სულთან და თარაშის სიყვარულთან.

ასე გამოვლინდა მითოლოგიურ პლანში არზაყანის ბრძოლა ძველ რწმენასთან, ზნე-ჩვეულებასა და ცხოვრების წესთან. ასევე გამოვლინდა არზაყანის შეურიგებელი დაპირისპირება მამასა, ძუძუმტესა და საყვარელ ქალთან. მათ შორის შემარიგებელი გზები საბოლოოდ მოშლილია. ამას ამბობს რომანის რეალური და ირრეალური პლანიც.

მართალია, ზემოთ ითქვა, რომ თამარის დალუპვაში მონაწილეობა არზაყან ზვამბაიამაც მიიღო, მაგრამ თამარის სიკვდილის მიზეზი მაინც თარაში იყო. ეს ფაქტი რომანის მითოლოგიურ პლანშიაც ჩანს.

როცა თამარი დაფეხმძიმდა და ავად გახდა, ტარიელ შარვაშიძემ გურიიდან თამარის ძიძა ჩამოაყვანინა. ძიძას არ უთხრეს თამარის ნამდვილი ავადმყოფობის სახელი. ბატონები სჭირსო, მოატყუეს თამარის დედამძუძე. ერთი შეხედვით, ამ ტყუილს გამართლება აქვს, რომ ტარიელ შარვაშიძე არ იჯერებდა შვილის გაბახებას და, ცხადია, არც ძიძისათვის უნდოდა ეთქვა სიმართლე. მაგრამ რაღა მაინცა და მაინც ბატონები მოიგონეს და არა სხვა რამ ავადმყოფობა? მოხუცი ბრმა ძიძა ხომ მაინც ვერ მიხვდებოდა, რით იყო დაავადებული მისი გაზრდილი? თუ მითოლოგიას მოვიშველიებთ, მაშინ ესეც გასაგები გახდება: ბატონები თარაშ ემხვარის ალეგორიული სახეა.

თედო სახოკია გვიამბობს, რომ ყოველგვარი ბატონები სამეგრელოში სულელებად ჰყავთ წარმოდგენილი, ხორცშესხმულ სულელებად. ბატონები ზღვის იქით ცხოვრობენ. ფიზიკურად ზოგი შავია (შავი ჭირი), ზოგი – თეთრი (ყვავილბატონები), ზოგიც – წითელი (წითელა). ავგულა ბატონები კი გრძელწვერიანები არიან, შავები და შავტანისამოსიანები. მეგრელის რწმენით, ბატონები ყველა ენაზე ლაპარაკობენ. ბატონები ქალის სახისაც შეიძლება იყოს და კაცის სახისაც.¹ თარაშ ემხვარიც ზღვის გადაღმიდან მოვიდა, მრავალ ენაზე ლაპარაკობდა, თამარის სიზმრებშიაც სულ შავი ჩოხა ეცვა და შავ წვერს ატარებდა. ისიც ავგულა მამაკაცი იყო ქალების მიმართ.

მერე მოვიდა თარაშ ემხვარი – ბატონები და იმქვეყნად წაიყვანა თამარი. აკი სიზმარშიაც სიკვდილის სახით გამოეცხადა თარაში თამარს.

სიკვდილის წინ თამარმა სიზმარში ის დოლი ნახა, რომელშიც თარაშ ემხვარმაც მიიღო მონაწილეობა. სიზმარში ეს მარულა ასე მთავრდება: „აჰა გადაასწრო მწვანე ცხენმა არაბიას, ჰელოსთან მოვიდა პირველი. მხედარს ჩაბალახის ბალთები აუფრიალა ქარმა და ხედავს თამარი: თარაშ ემხვარის ნაცვლად კბილებდაღრჭენილი ჩონჩხი შემჯდარა მწვანე ცხენზე, თარაშის შავჩოხა-ახალოხში გამოწყობილი.

„სახელი მისი სიკვდილი...“ (ტ. 3, გვ. 212).

საერთოდ, „მთვარის მოტაცებაში“ აღწერილი სიზმრები ქარაგმულად ყოველთვის იმას გვიამბობენ, რაც, ამა თუ იმ სახით, მერე მართლაც მოხდება. თამარის ამ სიზმარშიაც მთლიანად არის გადმოცემული თარაშ ემხვარის, თამარ შარვაშიძის და არზაყან ზვამბაიას დამოკიდებულება. არზაყან ზვამბაიასაც უყვარდა თამარი, მაგრამ თარაშმა დაასწრო. სიზმარშიც თარაშის ცხენმა მოასწრო ფინიშთან არზაყანის არაბიას. სინამდვილეში თარაშ ემხვარი გახდა თამარის

სიკვდილის მიზეზი. სიზმარშიაც ჩონჩხის, ე.ი. სიკვდილის, სახით გამოეცხადა იგი თამარს. მართლაც, ამ სიზმრის შემდეგ თამარი მოკვდა.

ასევე წინასწარ არის გაცხადებული სიზმარში კაც ზვამბაიას ბედიც.

აი რა ეზმანა კაც ზვამბაიას სიკვდილის წინ.

„ოქუშში მიბრუნდა კაც ზვამბაია. გვიან ღამეა. სახლი გამოკეტილია, და-
ლურსმულია წინა კარები. არზაყანის სამზადს მიაკითხა. შეაღო კარები და ხე-
დავს არზაყან გვერდით მისწოლია საკუთარ დედას...“

დედა და შვილი ორივე ხედავს ოჯახის მამა რომ შემოვიდა ქოხში, ხათუ-
ნა უსირცხვილოდ იცინის, არზაყანს ბრაზი წაეკიდა სახეზე, როგორ თუ მამამ
გაბედა და ხელი შემეშალაო. სიზმარია თუ ცხადი?...

ცხადად, ცხადად ხედავს ამ საშინელებას კაც ზვამბაია. გახევებული დგას
ცოლის საწოლის წინ. თმები ხმლებად გადაექცა კაც ზვამბაიას, ტანზე ეკლები
დააყარა. გაცოფებულმა გაივლო სატევარზე ხელი და ერთ წუთში არზაყანს წა-
აცალა თავი და ხედავს არზაყანის თავი აგდია კერასთან... კიდევ დახედა: თავი
არზაყანისაა. მაგრამ წვრილი, წვრილი თვალები ეცნაურა, თავგასრესილი
მეზირის თვალები შეიცნო და იქედნურად იცინიან კიდევ ეს თვალები... და ეს
თვალები კაც ზვამბაიას საკუთარ თვალებს მოაგონებს რატომღაც. აერია გონე-
ბა, აწრიალდა მოხუცი, ვისია ეს თვალები ნეტავი?“... (ტ. 3, გვ. 165).

ეს საზარელი სიზმარი მკითხველს ავი მოლოდინით ავსებს. მართლაც,
კაც ზვამბაიას გაღვიძებისთანავე დატრიალდება სისხლიანი ტრაგედია. მაგრამ
ჯერ სიზმრის რამდენიმე მინიშნებას მივაქციოთ ყურადღება:

არზაყანი ჩაიდენს დანაშაულს,

რითაც მას თავი მოეჭრება,

მოხდება მკვლელობა,

მოკლულს კაც ზვამბაიას თვალები ექნება.

სიზმრის სამივე მინიშნება სულის გამყინავ სინამდვილედ იქცა: არზაყან-
მა მოკლა მამა. ამ მკვლელობით მას სამუდამოდ მოეჭრა თავი (სიზმრის დანა-
შაული, მკვლელობა და მოჭრილი თავი). შუბლგახვრეტილი კაც ზვამბაიას
„უპიდან ამოვარდნილი თვალი ისეთი გამხვრეტი მზერით შესცქეროდა მამის
მკვლელს, თითქოს სულში უპირებსო ჩამვრომას“ (ტ. 3, გვ. 166). სიზმარშიაც
ხომ კაც ზვამბაიას თვალები ჰქონდა მოჭრილ თავს! ასე იქცა სიზმარი სინამ-
დვილედ.

თუ თამარისა და კაც ზვამბაიას სიზმრებში ალეგორიები პირდაპირ და
უშუალოდ გამოხატავენ სინამდვილეს, თარაშ ემხვარის ზმანებაში ალეგორიუ-
ლი აზრი უფრო ღრმად არის ჩამარხული, თუმცა აქაც ძილისშორისი და სინამ-
დვილე მტკიცედ არის ერთმანეთთან გადაჯაჭვული.

თარაშის სიზმარში (ტ. 3, გვ. 215-217) ინგრევა ის სამყარო, რომელიც მის
წარმოსახვაში არსებობდა და რითაც იგი სულდგმულობდა. ამ სიზმრის შემ-
დეგ გადაწყვეტს ემხვარი თავის მოკვლას, რადგან საარსებოდ აღარ აქვს არც
რეალური და არც წარმოსახვით შექმნილი სინამდვილე. ამავე სიზმარშია აღწე-
რილი თვითმკვლელობის სურათი გაცისა და გაიმის ბრძოლის სახით. ეს ერ-

თარსების ორი ნაწილის ბრძოლაა, რადგან გაცი და გაიმი ღვთაების ორი ჰიპოსტასი იყო. სიზმარში თარაში გასაშვებლად მიაშურებს მათ, მაგრამ დაავიანდება: ორივე თავი წაკვეთილი დაგორდება ძირს. როგორც გაცისა და გაიმის სახით ერთი ღვთაების ორი ჰიპოსტასი ებრძოდა ერთმანეთს, ისე ებრძვის ურთიერთს ერთი კაცის ორი სული – თარაშ ემხვარი კოსტუმიანი და თარაშ ემხვარი ჩოხიანი (ტ. 3, გვ. 114). როგორც ოქროსა და ვერცხლის („ქართლის ცხოვრების“ თანახმად, გაცი ოქროსი იყო, გაიმი – ვერცხლისა) ბრძოლა დამთავრდა სიკვდილით, ისე დამთავრდება სიკვდილით უწვერულისა და წვერიანის შუღლი (ტ. 3, გვ. 114). თარაშ ემხვარის სიცოცხლის თვითმკვლევლობით დასრულებას კი, მხოლოდ შემთხვევამ შეუშალა ხელი: სწორედ იმ დროს, როცა საბედისწერო გასროლა უნდა მომხდარიყო, ლუკაია ლაბახუამ ამბავი მოიტანა – თამარი კვდებაო. თვითმკვლევლობა გადაიდო, რადგან თარაში შარვაშიძის ქალის სანახავად გაემურა, მაგრამ გარდაუვალი სიკვდილი ენგურის სახით დახვდა წინ ემხვარს: იგი დაიხრჩო. ამ დარხჩობასაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, თავისი ალეგორიული შინაარსი ჰქონდა.

ასე ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს „მთვარის მოტაცების“ რეალურ პლანს ირრეალურ-მითოლოგიური პლანი, ანიჭებს მას პოეტურობასა და მომხიბვლევლობას.

„ხოგაის მინდია“ და „ტაბუ“

„ხოგაის მინდიაში“ ორი სიუჟეტური ამბავია: ერთი – მინდიას ტყვეობისა ქისტებთან, მეორე – მინდიას მოგზაურობისა გუგულების ქვეყანაში. პირველი სათავგადასავლო თქმულებათა ჟანრს ეკუთვნის, მეორე – მითოლოგიურ-ფილოსოფიურს. ისინი ერთმანეთს ავსებენ და ერთად ქმნიან მოთხრობის აზრობრივ შინაარსს.

თავდაპირველად მინდია არაფრით გამოირჩეოდა თვისტომთაგან. იგიც მონაწილეობდა ქისტების წინააღმდეგ ლაშქრობაში, იგიც ასრულებდა თემის ადათს. შემდეგ ტყვედ ჩავარდა მინდია და შვიდ წელიწადს ელოდა ხსნასა და თავისუფლებას. ტყვე მინდიას ქისტი ალდიძის ქალი ხადიშათი შეუყვარდა. იმ დღეს, როცა ხევსურებმა ქისტეთი დალაშქრეს და მინდიაც გაათავისუფლეს, სასიკვდილოდ დაიჭრა და დაიღუპა ხოგაი, მამა მინდიასი. წესისამებრ იგლოვებს არხოტიონებმა ხოგაი და მიწას მიაბარეს. მოუსვენრად აბორგდა ხოგაის ხმალი: შურისძიებას ითხოვდა იგი, სისხლს მოითხოვდა მისი პატრონის დაღვრილი სისხლის წილ. მაგრამ მის შვილებს შორის არ იყო მამის ბადალი ვაჟკაცი. მინდიას კი ტყვეობაში უცნაური სენი შეეყოდა: მკბენარი ესეოდა ერთთავად საცოდავს. თან უკურნებელ სევდას შეეპყრო იგი: მზისფერი ხადიშათის სიყვარული ემახდა მინდიას ქისტეთში. ხედავდნენ ხევსურნი: აღარ ვარგოდა მინდია შურისმგებლად.

თითქოს არაფერი არღვევს ამბის ჩვეულებრივ მდინარებას. მაგრამ კონსტანტინე გამსახურდია მოულოდნელად გამოყოფს ერთ დეტალს – „საოცარი

სენი შეჰყროდა ხოგაის მინდიას: ტილი ესეოდა დღენიადაგ ტანზე და ვერა წამლით ვერ ეკურნათ მისთვის“.¹ ეს უკვე სცილდება ყოფითი რეალიზმის საზღვრებს და ამბავი მითოლოგიურ პლანში გადადის. თუ მიწიერი წამალი არ შველის მინდიას, მაშინ სად უნდა ეძიოს განკურნება? ბუნებრივია, მინდიას ზეციერმა ძალამ უნდა უშველოს. მართლაც, ერთ დღეს, სანადიროდ წასულ მინდიასა და მის ძმისწულ საღირას მონადირის ქვაბში ნადირთ ღმერთი ოჩოპინტრე ეწვია.

ოჩოპინტრე ნადირთ მფარველი ღვთაება რომ არის, ეს ნათლად დასტურდება არა მარტო ხევსურული, არამედ საერთო ქართული თქმულებებითაც.² ამიტომ ოჩოპინტრეს ვინაობაზე საუბარს არ გავაგრძელებ.

სიზმარში ნახა ხოგაის მინდიამ ოჩოპინტრე. ნადირთა უფალი ორი ხარჯიხვისა და ერთი შუნის მოკვლას დაჰპირდა მინდიას, ოღონდ ხოგაის ძეს უსიტყვოდ უნდა აღესრულებინა ოჩოპინტრეს სურვილი. მორჩილების ფიცი მისცა მინდიამ ჯიხვის რქებიან და ჭლიკებიან უფალს. ოჩოპინტრემ გუგულეზის ქვეყანაში წაიყვანა მინდია.

გუგულეზის ქვეყანა უკვე მითოლოგიური სამყაროა. სხვათა შორის, არის ერთი ასეთი ქართული თქმულება: სადღაც ინდოეთში ყოფილა ქონდრის კაცებით დასახლებული ქვეყანა. ამ ქვეყანაში შემთხვევით ერთი ქართველი მოხვედრილა. უჭირდა ქართველს ქონდრის კაცების მიწა-წყალზე ცხოვრება: ცოტას ჭამდნენ და ცოტას სვამდნენ ისინი. ერთი მჭადი და ნახევარი თუნგი ღვინო ჰყოფნიდათ მთელ კვირას. შიმშილი აწუხებდა ქართველს და სამშობლო ენატრებოდა. სამი ზამთარი გაუტარებია ქონდრის კაცების ქვეყანაში ქართველს. ჩამომხმარა იგი დარდით და შიმშილით. მაშინ უთქვამს ერთ ქონდრის კაცს: წაგიყვანო სამშობლოში და გამომგზავრებულან საქართველოსაკენ. ჯუჯა ადამიანების ქვეყნის საზღვარს რომ მიაღწიეს, გამოუტყდა ქართველს თანამგზავრი: გადავცდები თუ არა ჩემი ქვეყნის საზღვარს, გუგულად გადავიქცევო. ფრენა-ფრენით გაგიძღვები წინ და ისე მიგიყვან საქართველოშიო. მართლაც, გადმოულახავთ საზღვარი თუ არა, ქონდრის კაცი გუგულად გადაქცეულა, შეშინებული ქართველი პირდაღებული მისჩერებოდა ამ უცნაურ სანახაობას. ბოლოს, ფრთის შეხებით დაუბრუნებია გუგულს გაოგნებული ქართველი ამქვეყნად. როგორც იქნა, მაისის ბოლოს ჩამოსულან ისინი საქართველოში. გახარებული ქართველი ეხვეწა და ემუდარა თურმე გუგულს სტუმრად დარჩი ჩემ სახლშიო, მაგრამ კატების შინებიანთა საშინლად გუგულად გადაქცეულ ქონდრის კაცებს და ამიტომ სტუმრობაზე მტკიცე უარი უთქვამს. ისევ თავის ქვეყანაში გაბრუნებულია გუგული.¹

კ. გამსახურდია იყენებს ამ თქმულებას. „ხოგაის მინდიაშიც“ ასე წერია: „ასეთი წესია თურმე გუგულეზის ქვეყანაში: „ვინც გაღმიდან გამოღმა გამოდის, მან კაცის სხეული უნდა დაჰყაროს და ფრინველის გვამში გადასახლდეს და იძახოდეს მერმე ქვეყნად – გუგულ-გუგულოო“.² მაგრამ „ხოგაის მინდიაში“ გუგულეზის ქვეყანას სუფთა მითოლოგიური სახე აქვს მიღებული. იგი, ერთი მხრივ, ოჩოპინტრეს უკავშირდება და, მეორე მხრივ, თეთრ გველებს. ორივე,

ოჩოპინტრე და გველი მითოლოგიური თქმულებების უცვლელი პერსონაჟებია. თუ გუგულების ქვეყანაში ოჩოპინტრემ ჩაიყვანა მინდია, თეთრი გველების ჭამით განკურნეს გუგულებმა ხოგაის ძე ტილებისაგან. ამასთანავე, გველების ჭამის შედეგად დაჰკარგა მინდიამ საკუთარი ლანდი და შეიძინა ყოველი სულდგმულისა თუ უსულოს ენის გაგების უნარი.

გველის საშუალებით სიბრძნის შეძენის მოტივი სხვადასხვა ვარიაციით ხშირად მეორდება ქართულ ზღაპარში.

თ. რაზიკაშვილს კახეთში ჩაუწერია ზღაპარი „მეცხვარე და გველი“. გზად მიმავალ მეცხვარეს გველი შეხვედრია. მეცხვარეს უფიქრია ეს გველი გზაზე ვინმემ არ მოკლასო, აუყვანია უხსენებელი და ბუჩქებში გადაუსვამს. მადლიერების ნიშნად გველს უთქვამს მწყემსისათვის – „ჩაგბერავ და არ შეშინდეო. ჩაჰბერა ვაჟს და გახდა გულთმისანი მწყემსი. ყველაფრის ლაპარაკსა და ხმას გაიგებდა: ცხვრისას, ძროხისას, კამეჩისას, ბალახისას, წყლისას და სხვა“.¹

თუ აქ გველის ჩაბერვით გახდა კაცი ბუნების ენის მცოდნე, „გველის ძმობილის“ ზღაპარში სიბრძნე ადამიანს გველის ენის წვერის დადებით ეძლევა. ამ ზღაპარშიაც ყმაწვილი მწყემსი გზაზე გველს იპოვნის. აიყვანს, გზიდან გადასვამს, არავინ მოჰკლასო და თან პურითა და ყველით გაუმასპინძლდება. მადლობის ნიშნად გველი ბიჭს ეუბნება – „რაკი ეგრე მადლიანი ხარ, ენა გამოყავი და ჩემი ენის წვერს დაადეო“. ბიჭი ასეც მოიქცა. იმ წუთიდან ყმაწვილს თავისუფლად ესმოდა ცხოველთა, მცენარეთა და ფრინველთა ენა.²

„გველისა და კაცის“ ზღაპარშიაც სიკეთისათვის ადამიანს გველი ჯადოსნური ცოდნით აჯილდოვებს. გზად მიმავალი ცოლ-ქმარი გველის წიწილებს წააწყდება. კაცი იფიქრებს, ესენი აქ არავინ დახოცოსო და გველის წიწილებს სოროში შერეკავს. მადლიერი დედა გველი კაცს ეტყვის – ენა გამოყავი, უნდა გაკოცო. გველის კოცნით კაცი მცენარეთა, ცხოველთა და ფრინველთა ენას ისწავლის.³

ერთი სიტყვით, ქართულ ზღაპარში გველი და სიბრძნე მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს (არაფერს ვამბობ ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელზე“). იგივე მოტივი მეორდება „ხოგაის მინდიაშიც“.

ახლა გავხსნათ მითოლოგიური ქარაგმა და მივიღებთ შემდეგ სურათს: ხორციელმა კაცმა მინდიამ ღმერთთან კავშირი შეკრა (თუ ქრისტიანული წარმოდგენით ოჩოპინტრე ეშმაკის სულია, წარმართული გაგებით – ღმერთია). ღვთაებამ იგი სულეთში (გუგულების ქვეყანაში) წაიყვანა, მიწიერი ცოდვებისაგან (ტილებისაგან) გაწმინდა და ღვთაებრივი ცოდნა მიაღებინა (გველი აჭამა).

სიყვარულით განიმსჭვალა ხოგაის მინდია ყოველი სულიერისა და უსულოსადმი.

მშვიდობა თქვენდა, ხევსურთა ციხეებო და ქვიტკირებო, მშვიდობა თქვენდა, ქისტების მიზგითებო და ციხეკოშკებო!

მშვიდობა თქვენდა, ჯიხვებო და ორბებო, კუებო და არჩვებო, ლურჯო იებო და თეთრო დევისპირებო, ბაბაჭუებო და ჭიანჭველებო.

მზეგრძელ იყავით ყვავილებო, დებო და ძმებო!¹

ძე ხორციელმა მიწიერი ვნებანი უარჰყო და ზეციური ვნებანი იტვირთა. მაგრამ უღმობელი აღმოჩნდა ადამიანურისა და ღვთაებრივის ბრძოლა. ხოგაის მინდიას წინ აღუდგა მტერი და მოყვარე, ახლობელი და შორეული. მთელმა ქვეყანამ დაიჯერა: ხოგაის მინდია მაცილ-ეშმაკებმა შეშალესო.

აღმოჩნდა, რომ ბრძოლით ცხოვრობს არა მარტო ადამიანთა საზოგადოება, არამედ ბუნებაც, ბუნების ყოველი შვილი.

„... ატყდა სკებთან უცნაური ზუზუნი. ახლადნაყარი ფუტკარი დასხმოდა სკებს... გაცხარებული იბრძოდნენ ფუტკრები. შხამიანი ისრით განგმირულები თოვლის ფანტელივით სცვიოდნენ ბანზე...“

უთურგვამ სიტყვის დაძვრაც აღარ აცალა მინდიას. ერთი გადახედა და ხოცილ ფუტკრებს, შემდეგ მდუმარე ძმებისაკენ გადაიტანა მზერა და ეუბნება:

„აი ეესრ არ ეს, მინდიავ, წუთი სოფლის წეს“...²

უფრო მეტიც, თურმე ღვთაებასაც სისხლი სწყურია. უცოდველი თიკანი უნდა შესწირო ღვთაებას, წყალობის თვალთ რომ გადმოგხედოს. მაგრამ ხოგაის მინდიას ყოვლისშემწყალე გულმა ვერ გაიმეტა ტარიგი ღვთაებისათვის და მან თეთრი თიკანი მოჰპარა მწევრის საფლავის ხატს.

ხევსურული მითოლოგიური თქმულებების თანახმად, მწევარი ანთროპომორფული არსებაა. იგი თემის ღვთაების თანმხლებია, თავად ნახევარღმერთი. მწევარი ყოველთვის დაუყოვნებლივ ეხმარება და შველის გაჭირვებაში ჩავარდნილ კაცს. მწევარი იმ ომებშიაც მონაწილეობს, რომელსაც თემი მტრულადგანწყობილ მეზობლების წინააღმდეგ ეწევა. იგი თავგამეტებული ებრძვის თემის მტრებს, კბილებითა და ბრჭყალებით გლეჯს მათ.¹

ამდენად, თიკნის მოპარვით, ხოგაის მინდიამ დანაშაული ჩაიდინა ღვთაებისა და თემის წინაშე. იგი ერთნაირად აუშხედრდა ადამიანურსა და ღვთაებრივს, დაიბნა და წონასწორობა დაკარგა. ამით დაიწყო და ჯიხვის მოკვლით დამთავრდა მისი დაცემა. ღვთაებრივი საწყისი გაეცალა მას და მისი სული ისევ შეიმოსა ხორციით. ხორცს კი ისევ გაუჩნდა ლანდი. ეს კი იმის მიმანიშნებელი იყო, რომ საჭირო დროს მინდიას სიკვდილი შეეძლო. მართლაც, როცა ქისტებთან ომში ვაჟადგადაცმული ხადიშათ აღდიმე შემოაკვდა, ხოგაის მინდიამ თავი მოიკლა. სიყვარულის სიკვდილის შემდეგ, მისთვის აღარც ადამიანურ და აღარც ღვთაებრივ ცხოვრებას აზრი აღარ ჰქონდა.

აქ უნებლიეთ მახსენდება უბრწყინვალესი ბერძნული მითი კენტავრ ხირონისა.

ხირონი იტანჯებოდა უკურნებელი ჭრილობით. იგი გამოქვაბულში განმარტოვდა, უნდოდა მომკვდარიყო. მაგრამ რაკი უკვდავი იყო, სიკვდილი არ შეეძლო. მაშინ ხირონმა პრომეთეოსის მაგიერ შესთავაზა თავისთავი ძვესს. ღმერთების უფალმა მიიღო ეს წინადადება. კენტავრს უკვდავება ელოდა, მაგრამ მარადიულ ტანჯვას სიკვდილი ამჯობინა.

ასე იპოვა ხირონმა შვევა, განკურნება და თავისუფლება.

ხოგაის მინდიამაც სიკვდილში ნახა ხსნა, რადგან მის ღვთაებრივ იდეალებს არ ეწერა განხორციელება.

* * *

თუ „ხოგაის მინდიაში“ ღმერთთან კავშირია ადამიანის ტრაგედიის მიზეზი, „ტაბუში“ სატანასთან ურთიერთობა ღუპავს მას.

შეურიგალი და დაუნდობელი იყო ბისკაიების და ხარბედიების მტრობა. ბისკაიები აზნაურები იყვნენ, ხარბედიები – გლეხები. აუტანელი იყო ბისკაიების ბატონობა, მაგრამ უხმოდ და მორჩილად ემსახურებოდნენ ხარბედიები მათ.

შავად გათენდა ლომკაცია ბისკაიას ქორწილის დღე. ტყეში ნადირობისას ვიღაც წითური შავჩოხიანი შემოეყარა ბისკაიას სტუმრებს. ერთი შეხედა წითურმა ბისკაიას მიმინოს და „მეყვსეულად გადავარდა მიმინო ლომკაციას ხელიდან, ფრთა გაისწორა, გაფრინდა ეყვნის ჟღარუნით და გაუჩინარდა“. შავჩოხიანი წითური ხარბედიად შეიცნო ლომკაცია ბისკაიამ და მრისხანედ დაემუქრა ხარბედიებს: ან მიმინო იპოვნეთ ან შავჩოხიანი მომგვარეთ, თუ არა – დედაბუდიანად აიყარეთ და გადასახლდითო. კიდევ უფრო გამძაფრდა ისედაც უზომო მტრობა. სადაც იყო გაწყდებოდა ხარბედიების მოთმინების ძაფი. სატანამ ისარგებლა მათი მტრობით და ერთ დღეს შავ ჩოხაში გამოწყობილი გამოეცხადა ხარბედიებს:

„გინდათ, მე ვიძიებ შურს თქვენს მაგიერ, ხარბედიებო, და ეს შურისძიება უწყალო იქნება.

ქვა-ქვაზე არ დარჩება ბისკაიების დიდი სასახლიდან. ქვიტკირის სასახლის ქვები ისევე გაიბნევა ბალავერზე, როგორც მანამდის, ვიდრე თქვენის ზურგით მოგაზიდვინებდნენ ამ ქვებს რიყიდან. მე მათ საქონელს თურქულას შევუჩენ, მე მათ ორსულებს მუცელს მოვწყვეტ და ეს უფრო საშინელი იქნება, ვიდრე სიკვდილი. მე მათ მოხუცებს ქარებით დავხუთავ და მათ ვაჟკაცებს ისე გავთვალავ – ლომკაცია ბისკაიას მიმინოსავით სცვივოდნენ თავიანთი ბედაურებიდან“.¹

მაგრამ მძიმე და სასტიკი იყო შურისგების საფასური: ყოველწლიურად თითო უნათლავ ბავშვს მოითხოვდა სატანა. თავზარი დაეცა ხარბედიებს, თავიანთ ოჯახებში ჩაიკეტნენ ისინი, მტერ-მოყვარის დანახვაზე გული უსკდებოდათ. ქალაბიჭა ხვარამზემ ვერ აიტანა ხარბედიების ესოდენ დაგლახაკება და დედაკაცმა შეარცხვინა ვაჟკაცები:

„თქვენ მამაკაცები კი არ ყოფილხართ, არამედ დიაცები. მაღალი ფაფახები რაღაც გინდათ?! თქვენივე ცოლების ნიფხვები უნდა გეხუროთ თავზე“.²

მაგრამ ხვარამზეს მოწოდებამ ვერ დაძლია ხარბედიების შიში. მაშინ თავად გადაიცვა ქმრის ჩოხა-ახალუხი ქალმა, შეკაზმა ცხენი და ნათურქალის ტყეში გაეშურა მიმინოსა და შავჩოხიანის საძებრად.

ისედაც მზაკვრის სახელი ჰქონდა გავარდნილი ხვარამზეს. ამბობდნენ, ჭეჭეთობა ღამეს ტაბაკონაზე მიდისო: „სატურიას სერზე არაერთხელ უნახავთ ხვარამზე ჭეჭეთობა ღამეს, მგელს რომ მიაჭენებდა ტაბაკონასაკენ“.

ჭეჭეთობა მზაკვრების დღესასწაულია. ჩვეულებრივ ჭეჭეთობა ილიაობის, 20 ივლისის წინაღამით იმართება (თუმცა ზოგიერთ სოფელში მარიამობის, 15 აგვისტოს, წინაღამით იცინა).¹ ამ ღამეს ტაბაკონის მთაზე ყოველ კუთხიდან შეიკრიბებიან მზაკვრები და ადამიანის ბედზე მსჯელობენ. ამიტომ იმ ღამეს წკირუა (კაკუნი) თუ გაიგონეს რომელიმე ოჯახში, მაშინ იქ უთუოდ მამაკაცი მოკვდება. წკირუა სხვადასხვანაირია: თუ კაკუნი ხშირი და ხმამაღალია (მალასი-წკირუა), მაშინ ახალგაზრდა კაცი მიიცვლება, ხოლო ხმადაბალი და არახშირი კაკუნის – წყნარი წკირუას – დროს კი მოხუცი გაემგზავრება იმქვეყნად. ჩხვარუა (ღომის ცეხვის ხმა) ქალის სიკვდილს ნიშნავდა. ამგვარი უბედურება რომ თავიდან აეცდინათ, ცვილის სანთელს ან ჯვარს დაამზადებდნენ და ჭეჭეთობა ღამეს თმებზე მიიწებებდნენ. სანთელს ცხოველებსაც აკრავდნენ. გარდა ამისა, ხის ჯვრებს აკეთებდნენ. ჯვრებს კვრინჩხსა და კენჭებს მიაკრავდნენ. მერე აიღებდნენ ამ ჯვრებს და სახლის წინ და ყანაში დადგამდნენ.²

ასეთ ბნელ საქმეებში იყო გახვეული ხვარამზე. სატანასთან შეხვედრამდეც კაცის სიკვდილის მაცნე იყო იგი სოფელში. მაგრამ გაუგონარი უბედურება დაატრიალა ნაჭყვედში ხვარამზეს სატანასთან ურთიერთობამ.

„შენ არც ქალი ხარ და არც ვაჟი, ხვარამზე მზეთუნახავო, და ჯერ დედის მუცლიდან არ შობილა ჩემს მეტი სხვა მამაკაცი, შენ ჯოჯოხეთურ სიტკბოებას რომ გაგრძნობინებს და დაგიოკებს.“

შენ არც ქალი ხარ და არც კაცი და თუ გვერდს მომიწვენ, შენი შვილი შურს იძიებს ბისკაიებზე. ხარბედიების სირცხვილს ის გამოისყიდის. და როცა იგი დაიბადება, შენ გაიგონებ ფოცხვერების კივილს ბისკაიების ნასახლარზე, კაჭაჭი და მრავალძარღვა ამოვა ქვითკირის სასახლის ბალავერზე“.¹

ვერ გაუძლო დიაცმა სატანის ტკბილ სიტყვას, გვერდით მიუწვა ეშმაკის სულს და მუცლად იღო. მორიელი შვა ფეხმძიმე ხვარამზემ. დიდსა და პატარას პირზე ეკერა ეს საშინელი ამბავი, მიუხედავად იმისა, რომ ტაბუ ედო მორიელის სახელს. მისი ხსენება არ შეიძლებოდა, რადგან „სიტყვა ბევრ რამეს იწვევს, სიტყვა სულს იწვევს და სულიერს“.² ეს არის, ფრეზერის სიტყვებით რომ ვთქვათ, უარყოფითი მაგიის ფორმულა, რომელიც გულისხმობს კანონს – ნუ გააკეთებ ამასა და ამას, თორემ მოხდება ესა და ეს.³ ე.ი. ნუ ახსენებ მორიელს, თორემ მოვა ის და დაგგესლავს. მაგრამ შიშმა ეს ვაშინერსი დაავიწყა ხალხს. მაინც ახსენებდნენ მორიელს და „სადაც უხსენებელს ახსენებდნენ, მორიელიც იქ გაჩნდებოდა“. ზედიზედ იღუპებოდნენ მორიელისაგან დაშხამული ბისკაიები და ხარბედიები. მაშინ შეკრიბა თანასოფლელები მოხუცმა ხარბედიამ და სუჯუნას წაასხა ისინი. წმ. გიორგის საყდარში ჩაიკეტა ხახუ ხარბედია. გამოეცხადა წმინდანი მავედრებელს და რჩევაც მისცა. წმ. გიორგის ნებითა და ბრძანებით, სამგზის დადაღეს და მორევში დაახრჩვეს ეშმაკის თანაზიარი ხვარამზე.

ადამიანმა ადამიანურის სამანს არ უნდა გადააბიჯოს, თორემ უბედურება არ ასცილდება. აქ სულერთია, იქნება იგი ღვთაებრივთან წილნაყარი თუ ემ-მაკის თანაზიარი.

„სანავარდო“

დემნა შენგელაიას „სანავარდოში“ აღწერილი დრო ქრონოლოგიურად მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებს მოიცავს. ბონდოს მამა ყარამან ჭილაძე შამილის წინააღმდეგ გამართული ომის მონაწილეა. როცა ილია ორბელიანი ტყვედ ჩავარდნილა, იგი ბეწვზე გადარჩენილა. ე.ი. ამბები იწყება მე-19 საუკუნის ორმოციანი წლებიდან (ილია ორბელიანი ტყვედ ჩავარდა 1842 წლის 20 მარტს) და მოდის 1865-71 წლებამდე, როცა ფოთი-თბილისის „რკინიგზა გაჰყავდათ და უნდა დაღუპულიყო მამაპაპური ხელშეუხებლობა“¹ (გვ. 51).

ეს დრო ჭილაძეთა დიდი გვარის სრული დაცემის მოწმეა. ჭილაძეთა ოჯახს აღარაფერი შერჩა წინაპართაგან დატოვებული.

სოციალურად მას 1861-64 წლები დაემუქრა, როცა ბატონყმობა გაუქმდა და „გლეხები კერიას დაუბრუნდნენ. დარჩა ყარამანის ოჯახი მარტო. მხოლოდ მახინჯი, უპატრონო ლიზიკია არ მოშორებია. აწეწილი ოჯახისა და მამულის საქმეები კიდევ უფრო აიწეწა. მამულებს ღობეები შემოაღპა. თხრილები მიწით ამოივსო, ეზოს ჯიჯლაყა მოედო. რიონიდან გადმოსულ წყლებს გასავალი არ ჰქონდა და ჭაობებით აივსო სანავარდოს მიდამოები“ (გვ. 18).

ფუძემორღვეულ ოჯახს ეკონომიკურად სუჯუნელი ვაჭარი ცხაკუნია მიხალეშვილი ანადგურებდა. მოდიოდა ახალი კლასი და თავის ბატონობას ამტკიცებდა. ცხაკუნიას ოქროების წკრიალში ოხრდებოდა, იყიდებოდა, იფლანგებოდა ჭილაძეთა მამაპაპეული სიამაყე.

ჭილაძე თუ მიხალეშვილი? დროს ზურგი შეუქცევია ჭილაძეთათვის და ფიანდაზები გაუშლია მიხალეშვილებისათვის. ერთადერთი გზა მოთმინება და შეგუებაა და მორჩილად ითმენს ყველაფერს სანავარდოს, საჭილაოს, მარანის, ორპირის და ქორეისუბნის ყოფილი პატრონიც.

პოლიტიკურადაც არეულია ჭილაძეთა ოჯახში საქმე. ამ გვარის შვილები ყოველთვის ერთგულად ემსახურებოდნენ რუსთა იმპერატორებს. ახლა კი ყველაფერი შეცვლილა და ჭილაძეთა უკანასკნელი ნაშიერი მეფის მოკვლასაც კი აპირებდა. ერთხელ ბონდოსთან სამი კაცი მოვიდა – გარუსებული ქართველი, ებრაელი და პოლონელი. ყარამანი „მიხვდა, რომ ამ ხალხს რუსხელმწიფის მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი“ (გვ. 159). ამას თვითონ ბონდოც აღიარებს: „იცი, მამაჩემო, მე მინდოდა ერთხელ ქვეყნის დახსნა. ამისათვის საჭირო იყო რუსხელმწიფის მოკვლა, მაგრამ შემეშინდა“ (გვ. 90). ამ დიდი სურვილის შესასრულებლად ბონდო ჭილაძეს არც სულიერი ძალა შესწევდა და არც ფიზიკური. იგი ავადმყოფი იყო: „ავი ზნე ხირხნიდა ტვინს. ეპილეპსიამ დალორწა ხერხემალი“ (გვ. 165). ამასთან ერთად, ბონდო ჭილაძე საშინელ მამაკაცურ ტრაგედიას განიცდის: იგი ცვედანია და მის ჯიშს ბიოლოგიური გადაშენება

მოელის. მისი ვნება და სქესობრივი ენერგია მხოლოდ სკოპეცის ქალს თუ ეყოფა, თორემ კნიაჟნა ტრუბანოვას ვერ დაათრობს სიყვარულით. ბონდოს უყვარდა ეს ქალი და ღამით სიზმრებში კნიაჟნას ეცხადებოდა, როგორც ქართული ზღაპრების თეთრი თავადი. მაგრამ თეთრი ბატონიშვილი უვნებო აღმოჩნდა და ფრეილინა ტრუბანოვამ ცხელი მზის ნაცვლად სიცივე იგრძნო. პეტერბურგის ყინვით გათოშილი მისი სხეული ვერ გაათბო სანავარდოს ციებით გაჟღენთილმა თეთრმა თავადმა და ტრუბანოვამ მიატოვა ბონდო. იგი გაჰყვა გრაფ ვილიე დე გრიფენს. ფრეილენა ტრუბანოვა „ახლა გრაფს აჩუქებს ბახჩისარაის ბეისაგან ძღვნად გამოგზავნილ თურაშაულს“ (გვ. 165).

თურაშაული ხომ ვაშლია და ვაშლი კი ნაყოფიერებისა და შვილიერების ალეგორიული სახეა ქართულ ზღაპრებში.¹ ეს დეტალი იმის მიმანიშნებელია, რომ ამაო იყო ბონდოს ოცნება. მისი შთამომავლობა არ გაგრძელდება. ტრუბანოვა ვილიე დე გრიფენს აჩუქებს შვილებს.

ასე ორგანულად და ბუნებრივად შემოდის რომანში ფოლკლორულ-მითოლოგიური პლანი. იხსნება ნაწარმოების ერთ-ერთი თემა – ტრაგედია კაცისა, ვისაც შვილიერება, მოდგმის გაგრძელება, ნაყოფიერება ოცნებად გადაჰქცევია. ვისთვისაც ეს ოცნება განუზომელ სულიერ ტანჯვად გამხდარა.

ბონდო ჭილაძე არაფრად აგდებს არც სოციალურ დაკნინებას, არც ეკონომიკურ გაღატაკებას, არც პოლიტიკურ უუფლებობას. მხოლოდ უნაყოფობაა მისი სულიერი გვემის საგანი. ერთადერთი ოცნება ჯიშის, მოდგმის გადარჩენაა. „– რა ვქნა, მამაჩემო, რა ვქნა!“ – ეკითხება იგი ყარამანს და მამას ნუგეშის სიტყვა არ მოეპოვება. ხსნა არსად არის და ბონდო ჭილაძე ავადმყოფი გონების ზმანებაში აგრძელებს სიცოცხლეს.

ჯერ კიდევ ბავშვი იყო ბონდო, როცა მზეთუნახავზე ოცნებობდა და მზეთუნახავი ენატრებოდა.

„... მზეთუნახავი გადასწევდა ოქსინოს რიდეებს და შავი თვალები შეანათებდა ბონდოს სულში... სურნელებით დამთვრალი ბონდო წააძრობდა მზეთუნახავს ოქროს პატარა ქოშებს და დაეკონებოდა მის ფეხებს.

დილაძის იცოცხლებდნენ ისინი ნოხში და, როდესაც პირველი მამალი იყივლებდა, მზეთუნახავი დატოვებდა ბონდოს სარეცელს და ტრფობით დაღლილი, ლურჯი იებივით მადლიერი თვალებით აკოცებდა გაცრეცილ ტუჩებში და წყნარად გავიდოდა ზურმუხტის ბირკვილებიან აივანზე.

გაფრინდებოდა მზეთუნახავი ტახტრევანდით“ (გვ. 21-22).

ნოხზე დახატული მზეთუნახავი ბავშვისათვის რეალობად იქცა. ბონდო ოცნების სამყაროში დასახლდა. ის ჭირვეულად და ჟინიანად მიელტვოდა ზღაპრულ არსებას. ბავშვის წარმოდგენაში გაერთიანდა ოცნება და სინამდვილე. ამიტომაც ემუდარება დედას, მზეთუნახავთან მინდაო. ციციხოს არ შეეძლო ნახატი სინამდვილედ ექცია. ბონდოს ოცნება და ვნება დაუკმაყოფილებელი რჩებოდა. გამოხდა ხანი. ბონდოს წარმოდგენაში ნოხზე დახატული მზეთუნახავი და პატარა ხათუნა გაერთიანდა. ხათუნა ბონდოს ოჯახში ვიდაც შავებიანმა ქალმა მოიყვანა. შემდეგ პატარა ხათუნა დედამ წაიყვანა და ბონდომ

იტირა. მაგრამ ხათუნა ნოხზე დახატული მზეთუნახავი იყო და იმ ღამეს ბონდოსთან მოვიდა. მერე დავაჟკაცებულმა ბონდომ ქალაქში გაიგო, რომ პატარა ხათუნა ყვავილით მომკვდარიყო. მაგრამ იგი მაინც წარუშლელად დარჩა ბონდოს წარმოდგენაში, როგორც მზეთუნახავი. ამ ზმანებისაგან ბონდო ვერ გათავისუფლდა.

„... უეცრად ხედავს, რომ კანტის „წმინდა გონების კრიტიკა“ რაღაც უცნაურად იფურცლება თავისით და შუა წიგნიდან გადმოხტა უზარმაზარი ლირწი გომბეშო...

– ვინ არის ეს?.. ხათუნა თუ ლიზიკია: – ეკითხება ის თავისთავს და გრძნობს, რომ მის მკერდს ხათუნა მიეყუდა, ეალერსება მის თმებს და ამ ალერსმა რატომღაც დედის ალერსი მოაგონა.

... ბონდომ შეხედა – ხათუნა იყო. ბაყაყის ტყავი შრიალით გადიკეცა ქალის ზურგზე“ (გვ. 175-177).

მზეთუნახავი და ბაყაყის ტყავში გახვეული ქალი ქართული ზღაპრებიდან ნასესხები სახეა.¹ მაგრამ რა არის მზეთუნახავი? ან რატომ არის იგი ბაყაყის ტყავში გახვეული? მზეთუნახავი ნაყოფიერების ქალღმერთია და ბაყაყის ტყავი იმიტომ აცვია, რომ წყალში ცხოვრობს. როგორც თავად დემნა შენგელიამ გამოიკვლია, მზეთუნახავი ბაბილონური ქალღმერთის იშთარის ქართული ვარიანტია.¹ იშთარი კი, ნიკო მარის სიტყვით, წყალი, წვიმა და ნაყოფიერებაა.² ამას თუ დავუმატებთ ბ. ტურაევის განმარტებასაც, რომ იშთარი იყო სიყვარულისა და დედაკაცური ნაყოფიერების ქალღმერთი, დედობის მფარველი, მშობიარეს ქომაგი და ადამიანთა არსებობის შემქმნელი,³ მაშინ სრულიად ნათელი იქნება, რომ მზეთუნახავი – იშთარის სიყვარულში ბონდოს ჩაქსოვილი აქვს ოცნება ნაყოფიერებაზე, სურვილი შთამომავლობის გაგრძელებისა, ხსნა გადაგვარებისაგან.

ეს მოტივები რომანში მკაფიოდ არის გამოხატული დოდო ბაყაყის ზღაპრით (გვ. 36-40) და თამუზის მამებარი იშთარის მითით (გვ. 170-174).

იქდა ჭაობში გომბეშოთა დედოფალი დოდო ბაყაყი და ენატრებოდა სიყვარული, ელოდა საქმროს. მოდიოდნენ მთხოვნელები, მაგრამ არავინ მოსწონდა დოდო ბაყაყს. ავი და ბოროტი იყო იგი, ვერავინ უძლებდა მისი თვალების ვნებიან შემოხედვას და ჭაობში იღუპებოდნენ მისი მხილველნი. ერთ დღეს, ნანატრ საქმროზე მეოცნებეს ფეხის ხმა მოესმა და დაინახა თეთრი თავადი, ვნებით ანთებული თვალებით მიაშტერდა დოდო ბაყაყი ბატონიშვილს. სუსტი იყო ბატონიშვილის ვნება და ვერ გაუძლო მან ატეხილ ჟინის ძახილს. იგი ცხენიდან გადმოვარდა და ჭაობში დაიხრჩო.

თეთრმა თავადმა ვნებას ვნებით ვერ უპასუხა და დაიღუპა. ვერც ბონდომ უპასუხა ვნებით კნიაჟნა ტრუბანოვას სიყვარულს და გულგატეხილმა ქალმა ალერსის დროს შენიშნა, რომ თავად ჭილაძეს ღილი აკლდა საყელოზე. ბონდოსაც უნდოდა დამხრჩვალყო, მაგრამ იგი მეწისქვილემ გადაარჩინა შემთხვევით.

ხალხური ზღაპრის თეთრი თავადი და ბონდო ჭილაძე ერთი და იმავე მხატვრული სახის ორი ჰიპოსტასია.

იშთარს სწყურია თამუზის სიყვარული, მაგრამ ეამ მოწამლა თამუზი და იგი ქვესკნელში გადასახლდა. სიყვარულს მოწყურებული იშთარი დაეძებს საყვარელს და ამ ძებნაში გაიარა მან ქვესკნელის შვიდი კარი. გამარცხვეს იშთარი ქვესკნელის მავნეებმა, უამრავი სენი შეჰყარეს მას, მაგრამ ქალი მაინც დაეძებს ვაჟს. მიბობდავს ქვესკნელში იშთარ და უკან ტოვებს დამპალ ხორცს, სისხლსა და ბალღამს, მაგრამ მაინც ეძახის სატროფოს – თამუზ, თამუზ, თამუზ!.. მაშინ პაპუსკალმა მიმართა ეას: ურ-კაშდიმში დაჰკნა სიცოცხლე, ცოლს ცალკე სძინავს თავის საწოლში და ქმარს ცალკე. პაპუსკალმა უშველა და იშთარმა იპოვა თამუზი. მაგრამ ვაჟი ტიგროსის ჭაობის უჟმურით იყო შეპყრობილი. იშთარი დარჩა უნაყოფოდ და შინაბერად დაჰკნა მისი ვნებიანი სხეული.

როგორც იშთარი თამუზს, ისე დაეძებდა თურმე პატარა ხათუნა იმ ქვეყნად ბონდოს, მაგრამ ამაოდ. „მე წაველ ქვესკნელში შენ საძებნელად, გეძებე, გეძებე და ვერ გიპოვნე!.. ბონდო!.. ბონდო!.. გეძახდი მე და შენ თურმე რიონის ჭაობებში იყავ!.. (გვ. 176). თამუზი დალორწა და დააჰკნო ტიგროსის ჭაობებმა, ბონდო კი – რიონისამ.

„იშთარს სწყურია ვაჟის ცეცხლი. თამუზს მხოლოდ პლაზმოდები აბადია.

ბონდოც ასეა: დალორწილია მისი სისხლი უჟმურითა და ავი ზნით“ (გვ. 174).

თამუზი – თეთრი თავადი – ბონდო, ერთნაირი ტრაგედიის მსხვერპლია სამივე. მაგრამ ბონდო მაინც უფრო ტრაგიკული პიროვნებაა. მოწამლულია არა მარტო მისი ცხოვრება, არამედ მისი ოცნებაც. როგორც კი იგი მზეთუნახავზე დაიწყებს ფიქრს, მისი ვნება გომბიო ლიზიკიას წააწყდება. ასე იყო ბავშვობაში, ასევე დარჩა მოწიფულობაში.

„... პატარა ბონდო ლიზიკიას თმებში ჩააფრინდა და საოცარი გამწარებით, ტკბობით და თითქოს ჟინითაც სწეწდა“ (გვ. 14).

„მზეთუნახავი დგას ოცნებასავით თეთრი და ნაზი მოგრძო ნუშის თვალებით...“

ბონდომ გაშალა ხელები და უახლოვდება ქალს ფეხაკრეფით.

კედელზე მიკრულ ნოხს მიყრდნობილი მზეთუნახავი ელის ბონდოს მადლიერი თვალებით...

– ღმერთო, შენ მიშველე! წმინდაო გიორგი, შენ მომეხმარე! – ლოცულობს.

– ჩემო სიცოცხლე!.. ჩემო სიცოცხლე!..

მიდის ნოხისკენ ხელებგაწვდილი.

– რას შობი, ბატონო!? – დაიძახა ლიზიკიამ.

ბონდო გამოერკვა.

მზეთუნახავის მაგიერ ლიზიკია დგას კედელს ატმასნული, უშნო და ბინძური“ (გვ. 89-90).

გასულა დრო. იშთარი ტიგროსიდან რიონის ნაპირებთან მოსულა და მზეთუნახავად გადაქცეულა. კიდევ გასულა დრო და იშთარ-მზეთუნახავს ლიზიკიას სახე მიუღია. და ახლა იშთარსა და მზეთუნახავზე მეოცნებე ბონდო იძულებულია ლიზიკიათი დაკმაყოფილდეს, მაგრამ ვაი, რომ ლიზიკიასაც არ უნდა იგი. ბონდო ჭილაძის დადლილი და დაშრეტილი სისხლი ლიზიკიას ვერ აგრძნობინებს სიყვარულის ნეტარებას და ქალს გადარეული გუჯუ ლაბახუას პირველყოფილი ვნება ურჩევნია.

„ბოსტანში ისევ ისე ბორგავს თაკარა სიცხე და სუნელის მოსაკრეფად ჩასული ლიზიკია ჰგრძნობს, რომ გვალვამ დაჰკრა თავში.

– ვინა ხარ შენ? – შეეკითხა იგი მთვრალი, მიზნედილი და სიღრმეებიდან მოესმა ჭიხვინი ანთებული და სიახლოვე წმინდა ფალოსისა.

მუხლებში მოსხლეტილი და მორჩილი მძიმე სუნთქვით წაწვა იქვე.

უსაზღვრო მოლოდინით გაშალა ხელები, გაშალა ფეხები და მან გუჯუ ლაბახუა იგრძნო მკლავებში...

– მოდი, გუჯუ, მოდი, ჩემო სასურველო!.. ბუტბუტებს ლიზიკია და წევს მწიფე კიტრებში სუნთქვაშეკრული“... (გვ. 139).

ბონდო ჭილაძე თუ გუჯუ ლაბახუა? რა არის მათ შორის საერთო? არაფერი, მიუხედავად იმისა, რომ გუჯუ ბონდოს ნახევარძმაა. იგი უკანონოდ შეეძინა ყარამანს მაკრინესაგან. ბონდოს ეშინია წარსულისაც და მომავლისაც. გუჯუ ლაბახუას არა აქვს წარსული. მომავლისათვის კი აქვს ველური ენერგია და პირველყოფილი ვნება. ბონდოს გაურბიან ქალები, მაგრამ ისინი ნატრობენ გუჯუს ღონიერ მკლავებს. ბონდო ჭილაძის სისხლი დადლილია საუკუნეთა ტვირთით და წინაპართა ცოდვებით. „ჩემი სისხლი დალორწილია უყმურით“ (გვ. 113) – ამბობს იგი ერთ ადგილას და შემდეგ მამასთან საუბარში უმატებს – „ოო, მამაჩემო, როგორ მეშინია მე ამ საუკუნეების!.. ჩვენ დაგვაბერა ამ საუკუნეებმა და ბებერი სისხლი ვერ უძლებს ციებასთან ბრძოლას!“ (გვ. 184). გუჯუ ლაბახუას კი არ ეშინია საუკუნეებისა და დადლილი სისხლის. „მოდის გუჯუ ლაბახუა და სისხლი მაჭარივით სდულს ძარღვებში. მოდის ლაბახუა, რომლის მოდგმა ბახუსით და ღვინით არის დატვირთული“ (გვ. 122).

ბონდო ჭილაძისა და გუჯუ ლაბახუას ბრძოლა ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა. ეს კარგად აქვს ბონდოს შეგნებული და აღიარებს კიდევ ამას: „გუჯუ ლაბახუა მოიტანს შუმ ვნებას!.. გუჯუ ლაბახუამ უნდა გვიხსნას, თორემ არაა ჩვენი საშველი!“ (გვ. 94). ამ შეგნებამ აიძულა იგი ციცინოს დასაფლავების დღეს ფეხქვეშ ჩავარდნოდა გუჯუს და შევედრებოდა როგორც ღმერთს.

ბონდო „მოსწყდა, გაიქცა და მუხლებში ჩაუვარდა გუჯუს.

– გუჯუ!.. გუჯუ!.. გუჯუ!.. შენ შეგვეწიე, შენ დაგვიფარე! – ბლაოდა იგი ხელაპყრობილი და ფეხებს უკოცნიდა, თაყვანს სცემდა გუჯუ ლაბახუას“ (გვ. 155).

საერთოდ, გუჯუ ლაბახუას მხატვრული სახე ფალოსის კულტს უკავშირდება. ამას პირდაპირ უთითებს მწერალი ჯერ იქ, სადაც ბონდომ სკოპეცის ქა-

ლი აცდუნა (გვ. 118 და 122: დიდება ლაბახუას, დიდება ფალოს!..) და მეორედ – ლიზიკიასა და გუჯუს ურთიერთობის ეპიზოდში (გვ. 139: ლიზიკიამ იგრძნო „სიახლოვე წმინდა ფალოსისა“).

თუ დრომ იშთარი და მზეთუნახავი ლიზიკიად აქცია, ისევე დრომ თამუზი და თეთრი თავადი გუჯუ ლაბახუად გახადა. ასეთ პირობებში ბონდო ჭილაძეს უნაყოფოდ გადაშენების გარდა სხვა არა დარჩენოდა რა და ისიც თავმოდრეკილი დაადგა არარსებობის გზას. „ჩვენ შეგვიძლია წავიდეთ, მამაჩემო!.. ახლა სხვები მოვლენ ჩვენ ადგილას დაზიდული მარღვებითა და ახალი სისხლით, უგვარო ხალხი!.. ჩვენ წავიდეთ, მამაჩემო, და ძველი დიდებით შევიქციოთ თავი!..“ (გვ. 91).

ჭაობითა და ციებით დამპალ სანავარდოს კი, რომელიც დაბერწდა, საშო და ძუძუ გაუშრა, უშველის მარღვმაგარი და ცხელსისხლიანი ხალხი. „დგება ახალი რიჟრაჟი. რიჟრაჟი დანთებული ცეცხლითა და ყიჟინით. მოფრინდება ახალი წმინდანინი ცეცხლის ფრთებით და დასწვავს ღამეს“ (გვ. 52). მაშინ მოვა ალი ფაინა, რომელმაც უარი უთხრა ბონდოს და დაწვება გლეხთან. ოქროს თმებში გახვევს იგი გლეხს. გამდიდრდება გლეხი და აივსება ოქროთი და ვერცხლით (გვ. 92).

ესევე ქართული მითია, მაგრამ ოქროსთმებიანი ალი და წმინდანინი ვიღაა? ოქროსთმებიანი ალი დალია, დალი წმინდანია და წმინდანინი კი იშთარია.¹ იშთარი კი ნაყოფიერებაა, აღორძინებაა, განახლებაა.

ყველაფერი ეს ბონდოსათვის აუხდენელ ოცნებად გამხდარა. ხოლო განუხორციელებელი ოცნება, თავის მხრივ, განაპირობებს ბონდო ჭილაძის ფსიქოლოგიურ ტრაგედიას. ამ ტრაგედიის სრული სურათის წარმოდგენისათვის დემნა შენგელაიამ „სანავარდოში“ ერთ მხატვრულ ქსოვილად გააერთიანა რეალური სინამდვილე და მითოლოგია.

მაგრამ „სანავარდოში“ მითოლოგიას ერთი განსაკუთრებული ამოცანაც აქვს. იგი უპირველესად მწერალს სჭირდება იმისათვის, რომ ხაზი გაუსვას, რელიეფურად გამოკვეთოს მშობლიურ მიწასა და ხალხთან კავშირი. ამ შემთხვევაში მითოლოგია ერის, ხალხის სულიერი სამყაროს უკუფენაა. ბონდო ჭილაძეც მითოლოგიურ სამყაროში იმიტომ დაბორიალებს, რომ როგორმე თავის ხალხთან დაბრუნების გზა იპოვოს, როგორმე ის ძაფები მონახოს, რომელიც მშობლიურ მიწასა და ერთან დააკავშირებს. მაგრამ ეს წყალწაღებულისა და ხავსის ისტორიას ჰგავდა. ბონდო ჭილაძეს მითოლოგია ისევე ვერ დააკავშირებდა თავის მიწასა და ხალხთან, როგორც წყალწაღებულს ვერ უშველიდა ხავსი.

„გურამ ბარამანდია“

1925 წლის აღმანახში „დარიალი“ დაიბეჭდა დემნა შენგელაიას მოთხრობა „გურამ ბარამანდია“.²

გურამ ბარამანდია უძველესი არისტოკრატიული ოჯახის შვილია. დიდი და თვალუწვდენელი იყო ბარამანდიების მამული, ძველი და ძლიერი – მათი

გვარი. მაგრამ ბაგრატ დიდის ერისთავის ბარამ ქველის შთამომავალი მარტო-ხელა და სკეპსისით შეპყრობილი კაცია, შინაგანად გამოფიტული და უნაყოფო.

გურამ ბარამანდია „სოფელში მარტო დადიოდა, არავის ეკარებოდა“ (გვ. 90).

დავაჟკაცებული გურამი თან ახლდა ძიძიშვილებს. გულჩახვეული, დაფიქრებული მივიდოდა სახლში, ტანისამოსს გამოიცვლიდა, მაუდის ტოტებამომვებულ რუსულ შარვალსა და კადეტურ წითელპაგონებიან შავ კურტკას ჩაცვამდა და იჯდა კარჩაკეტილ ოთახში, გარეთ არ გამოდიოდა (გვ. 95).

„იყო მოწყენილი და მარტო.

...

არავის ეკარებოდა“ (გვ. 107).

რა იყო გურამ ბარამანდიას მარტოობის, სევდისა და დარდის მიზეზი? გურამის მამას, ოტია ბარამანდიას ეგონა, რომ მისი ვაჟიშვილი მორდუმ კოჩა ივარდავამ გადაარჯულა. ოტია მთლად არ ცდებოდა. კოჩა ივარდავამ აღუძრა გურამს კერის სიყვარული, მშობელი მიწის ტრფობა და პატარა ბარამანდიამ გააიგივა მამამძუმე და მამული.

კოჩა ივარდავას მიმართ გურამის ფანატიკურ სიყვარულს ორი მხარე აქვს: ერთია, კოჩა ივარდავას პიროვნების განუმეორებელი თავისებურება და ამით გამოწვეული ინტერესი; მეორეა, კოჩა ივარდავას სახის სიმბოლური შინაარსი.

კოჩა ივარდავა იშვიათი პიროვნებაა.

„ტანმორჩილი, მაღალი შუბლი, კეხიანი ცხვირი, წითელ თმაში ოდნავ ჭალარა შეჰპარვოდა, ჟღალი თვალები, შემოხედვა წკვარამი და წელში გამლუნავი.

ხან ამაყი, შეუპოვარი, ენა კვინწარი, ხან მორჩილი, სათნო და გველივით ბრძენი.

ხანდახან უცნაურად ჩაიცინებდა: ეს იქ ვიღაცას უცინოდა;

მისი სიცილი სისხლს ჰყინავდა მარღვებში.

– შენ გეიცინე ქვესკნელში... იწყევლებოდნენ სოფლის დედაკაცები, მაგრამ პირში წყევლას ვერავინ უბედავდა.

კატასავით მოქნილი, მარდი და ონავარი.

თაყვანს სცემდა უჟმურთა უჟმურს, თხის ჭურს, გველთა ბატონს უჩა ღართამს, ადგილის დედას ნერჩი პატენის, რომელსაც ოდესღაც მისი წინაპრები კერიანზე ბავშვებს უკლავდნენ საღმთოდ.

...

ჰქონდა: თვალი აღმასის, ენა სატევარივით, ჭკუა გველის, მოსაზრება და გრძნეულება მზაკვრის და საქმეში იყო ჯორივით უნაყოფო.

ერთი შეხედვით წიწილებს დააწყობდა, ხარს წელში გალუნავდა, ვაჟკაცს კაცობას დაუკარგავდა, დედაკაცს დააბერწებდა და ორსულ ქალს მუცელს მოუშლიდა“ (გვ. 110-111).

„შუადღის მზე ცივდებოდა მის თვალებში, ხეს ახმობდა მისი შემოხედვა და ქვას ხეთქავდა.

გველნაკბენს ის მოარჩენდა, წელკავს ის აუშვებდა, გათვალულს ის გამო-
ულოცავდა, მშობიარეს შობას უმსუბუქებდა და ცვედანს ის აძლევდა თესლსა
და ნაყოფიერებას“ (გვ. 114-115).

როგორც ვხედავთ, ნახევრად კაცისა და ნახევრად ღმერთის პორტრეტია დახატული. კოჩა ივარდავას მხატვრული სახის ღვთაებრივ ჰიპოსტასს მწერა-
ლი წარმართულ რელიგიასთან აკავშირებს: კოჩა ნერჩი პატენისა და უჩაღარ-
თამის ქურუმი იყო. აქ აუცილებელია გავიხსენოთ რა არის ნერჩი პატენი და
უჩაღართამი.

ნერჩი ეწოდებოდა მიწის იმ ნაჭერს, იმ ადგილს, რომელზეც სახლი იდგა
(თუ სახლი ბოკონებზე იდგა და მიწის იატაკი – სოხანე – არ ჰქონდა ოჯუმამ-
ხურის ანუ ნერჩის სადიდებელი ლოცვის შესრულება არ შეიძლებოდა). ნერჩი
პატენის ოჯახის ბედნიერებას, სიკეთესა და ბარაქას შესთხოვდნენ და ემუდა-
რებოდნენ. ამრიგად, ნერჩი ფუძის ანგელოსი ან მიწის ღვთაება უნდა ყოფილი-
ყო,¹ ალბათ, ბერძენთა გეას ბადალი. გარდა ფუძის, სახლის, ოჯახის მფარვე-
ლობისა, ძველი მეგრელი ნერჩის ნაყოფიერების მონიჭებასაც ევედრებოდა. ეს
იმის მიმანიშნებელია, რომ იგი კტიისის (დედაკაცის სქესობრივი ასოს) კულ-
ტის ქართული ვარიანტიც უნდა ყოფილიყო.²

გამოდის, რომ, ერთი მხრივ, ნერჩი პატენი უშუალოდ უკავშირდება კე-
რას და, მეორე მხრივ, კი – ქალს, როგორც ოჯახის ბურჯს.

უჩაღართამი, ე.ი. შავროხოსანი, მეგრულად გველს ერქვა. გველი კი მთელ
საქართველოში ნაყოფიერების, ბარაქისა და დოვლათის მომნიჭებელ ღვთაე-
ბად ითვლებოდა. ისიც ოჯახსა და კერას ივარავდა. მის სახელს „ვაშინერსი“
ედო და მისი ეზოში მოკვლა არასგზით არ შეიძლებოდა.¹ უჩაღართამი „გურამ
ბარამანდიაშიც“ ნაყოფიერების ღვთაებას წარმოადგენს: „გველთა მეფემ იქ უხ-
სოვარ დროებში კოჩა ივარდავას გვარის უფროსს გველთა ქურუმს აჩუქა თვა-
ლის მომთხრელი ძვირფასი ხვითო და მას მერე მოგორავდა ეს ბედნიერების
თვალი მოდგმიდან მოდგმაში გამტან თესლივით და ივარდავების შვილიერე-
ბა ზღაპრული იყო“ (გვ. 114).

ნერჩი პატენი და უჩაღართამი წარმართულ-მითოლოგიური ღვთაებაა
და, ქრისტიანული ღმერთისაგან განსხვავებით, „ეროვნული“, ქართული ბუნე-
ბის, სულისა და შინაარსის მატარებელია. ამიტომ ნერჩი პატენის და უჩაღარ-
თამის ერთგულება და სიყვარული მშობლიური კერისა და მიწის ერთგულება-
სა და სიყვარულს ნიშნავს. ამ სიყვარულის სახელით ასრულებს კოჩა ივარდავა
სიმბოლურ მსხვერპლთშეწირვას მაშინ, როცა გურამი შინ, ბარამანდიების
ოჯახში უნდა დააბრუნოს.

„ძიძამ კერიაში ნაკვერჩხალი გამოქექა და დაბალფეხიანი სუფრა შიგ ჩად-
გა.

სუფრაზე იდო შავტარიანი დანა, წყლით სავსე ჭიქა და ნახშირი. იქვე ება კისერზე აბრეშუმის ძაფშემოხვეული მოზვერი, რომელსაც გურამის ცოდვები თავს უნდა ედო და თან წაელო.

– მოი, ბაბა... დაუძახა კოჩამ გურამს და ხელში შავტარიანი დანა აიღო.

გურამმა რაღაც უცნაური ძრწოლა იგრძნო ამ დანისადმი, ამ კერიისადმი, მოზვერს საცოდავად შეხედა და აცახცახებული ზვარაკივით მიუახლოვდა ლოცვად დამდგარ მორდუს.

კოჩამ გაზრდილი ხელში კრავივით აიყვანა და კერიასთან დააწვინა.

მერე მოზვერი თავზე სამჯერ შემოავლო და ისევ დააბა. და ასე, ადგილის დედის ნერჩი პატენის ქურუმი კოჩა ივარდავა დადგა ლოცვად“ (გვ. 117-118).

კოჩა ივარდავამ სიმბოლურად გურამ ბარამანდია მამულს, მშობლიურ მიწას შესწირა. სამშობლოსადმი სამსახურის ძალასა და ენერგიას მას წარმართული ღვთაება ნერჩი პატენი მიანიჭებდა. სანამ გურამ ბარამანდია ნერჩი პატენის ერთგულებას არ უღალატებდა, მანამდე იგი უძლეველი იქნებოდა. ქალღმერთ ნერჩის ერთგულების ნიშნად გურამს კოჩა ივარდავას ორი ანდერძი უნდა შეესრულებინა – უცხო ქალი არ შეერთო და კერა არ გაეცივებინა.

უცხო ქალი უცხო კერიასა და მიწის სამსახურს მოითხოვდა. უცხო ნერჩი პატენის ვერ შეიყვარებდა, რადგან ნერჩიც ქალი იყო და ორის ქალისათვის ერთდროულად არ არის ადგილი ერთი მამაკაცის გულში. ამიტომაც დაიღუპა აფხაზთა ბატონი ემუხვარი და წითლად შეღება მარუხის მწვერვალი. მისმა გულმა ვერ გაუძლო ორი ქალის სიყვარულს. ემუხვარის ისტორია წინასწარმინიშნებაა, წინასწარმეტყველებაა გურამის ბედისა. გურამ ბარამანდია ვერ შესძლებს ნერჩი პატენის სიყვარულსა და უცხო ქალის ტრფიალს (ე.ი. არ შეიძლება გაორება, არ შეიძლება ორი ღმერთის სამსახური). ამიტომ მორდუ კოჩა ივარდავა იძულებულია დაჟინებით გააფრთხილოს და ურჩიოს გაზრდილს:

„არ ენდო, ბაბა, ქალს, არ ითხოვო გადამთიელი ქალი, თვარა რჯულზე ხელს აგაღებინებს, ენას ამოგაგლეჯს პირში“ (გვ. 83-84).

„ასე, ბაბა, კერიას ნუ ჩააქრობ... კერიას ჩაქრობა დიდი ცოდვაა, ბაბა... უცხო ქალი კერიაზე და უღვაშზე... ცეცხლს ჩაგიქრობს და ვაჟკაცობას შეგიცხვენს“ (გვ. 87-88).

მაგრამ გურამ ბარამანდიამ ვერ შეასრულა მორდუს ანდერძი. ეს მხოლოდ მისი უნებისყოფობის ბრალი არ იყო. კოჩა ივარდავას სულიერ ზეგავლენას ბევრი მოწინააღმდეგე აღმოუჩნდა. ჯერ გურამის მამა ოტია ბარამანდია, რომელიც უკადრისობდა გლეხის მამამშუპეობას:

„– რა თავადიშვილის საქმეა ვინცხა ივარდავების შვილობილობა... წამიხდინა აი ბაღანა იმ სულწაწყმედილმა ყამახმა... – სჩიოდა ოტია“ (გვ. 109). ოტია ბარამანდია ქართული არისტოკრატის იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელიც „უქმად დარჩენილი ხმლებით გზის პირებზე ამოსულ ანწლებს ებრძოდა და მამულიშვილურ ჟინს იკლავდა...“ (გვ. 106).

ოტია ბარამანდიას არ ესმის, ვერ იგებს გურამის გულისტკივილს, ლტოლვას.

„ოტია უყვავებდა შვილს, ეფერებოდა, მაგრამ ბავშვი ეხვეწებოდა მამას სახლში წაეყვანა, სტიროდა, ხელეხს უკოცნიდა, ემუდარებოდა:

– მე კოჩა მინდა, მამა კოჩა...

მაგრამ მამამ ის არ წაიყვანა სახლში. ერთ საღამოთი წავიდა იგი და არ მოსულა.

ერთი კვირის შემდეგ მამისაგან წერილი მიიღო, რომ ჭკუით ყოფილიყო და კარგად ესწავლა.

ასე გაეპარა მამა და მაშინ პირველად იგრძნო ადამიანების სისასტიკე და მოვალეობის შესრულების აუცილებლობა“ (გვ. 108-109).

ოტია ყრუ აღმოჩნდა გურამის ძახილის გასაგონად, ოტია ბრმა აღმოჩნდა გურამის ტანჯვის დასანახად და უპატრონო ყმაწვილი სამხედრო სასწავლებლის სულისგამყინავ რეჟიმს ეტაკა. მაგრამ რუსეთის უზარმაზარი იმპერიის სამხედრო დერჟიმორდული წესრიგის წინაშე გურამ ბარამანდია უძლური და უღონო აღმოჩნდა.

„ბლაოდა იგი ჯერ კიდევ პატარა და ჯიუტი, დარბოდა კორპუსის დერეფნებში და თავს კედელს ურტყამდა.

კორპუსის დირექციამ იგი ამისათვის რამდენიმეჯერ კარცერით დასაჯა და ამის შემდეგ გურამი თითქოს მოტყდა, დადიოდა მორჩილი, დატყვევებულ ნადირივით დამფრთხალი და ონავარი. თავს საბნის ქვეშ შეჰყოფდა და იღრჩობოდა თავშეკავებული ტირილით“ (გვ. 108).

მარტოხელა და დაჩაგრულ ყმაწვილთან მივიდა უცხო ქალი ოქსანა ზნამენსკაია და გურამი საბოლოოდ მოსწყვიტა მშობელ მიწას. ოქსანას ამთქნარებდა, როცა გურამი მორდუზე უყვებოდა და შანას აჩვენებდა. ბუნებრივად იყო: ქალი ცხოვრობდა წითელი კვერცხებით, ბლინებით, მარხილებით, შობის ხეებით, თხილამურებით, ვაჟი კი – ჩიჩილაკებით, ხაციცით, აგუნათი, ცეცხლოვანი ფასკუნჯებით, წმინდა გიორგის თეთრი რაშით. მათი შერიგება და შეერთება არ შეიძლებოდა. ან ერთს უნდა ეჯობნა ან მეორეს და ოქსანა ზნამენსკაიამ აჯობა კოჩა ივარდავას: გურამმა „ულალატა მორდუს ანდერძს, მიატოვა კერია და დედაენაც დაავიწყდა“ (გვ. 88).

ამრიგად, ოჯახმა, საზოგადოებრივმა ატმოსფერომ და სიყვარულმა გურამ ბარამანდია მოსწყვიტა მშობელ მიწასა და ხალხს. ბარამანდია ბონდარჩუკად გადაიქცა და უაზროდ, უმიზნოდ დალია ცხოვრების დღენი.

ურალზე დეზინტერით მოუკვდა რვა თვის შვილი, ცოლი გაულოთდა და ოდესღაც მშვენიერი ქალი პირუტყვეს დაემსგავსა. არც თავად მას დასდგომია კარგი დღე: „ხელები მისი იყო ხესავით, უღვაშები ღორის ჯაგარივით და სახე ჯარისკაცის გამხმარ ბინძურ ფეხსახვევივით მშრალი და დაჭმუჭვნილი“ (გვ. 130).

ეს გადაგვარებული კაცი ციმბირში ებრძვის რევოლუციას და არც კი იცის – რატომ და რისთვის. უსახლკარო და უნათესავო ბარამანდია-ბონდარჩუკი ჟლეტს უდანაშაულო ადამიანებს. დაქანცული და სისხლში ამოსვრილი იგი ოცნებობს მშობლიურ მიწაზე:

„ჩვენ ძალღებვიტ ვართ, ჟერდუმკა, ძალღებვიტ... მე უნდა დავღუპულიყავ თოვლიან უღელტეხილზე და ციმბირში, სოპკებში ვიღუპები... შენ არ გაგიგონია, ჟერდუმკა, მარუხი... თუ არ გაგიგონია, სთქვი რომ გაგიგონია, მომატყუე, მომატყუე ჟერდუმკა, მომატყუე... გამიხარდება... მეამება... მომატყუე...“ (გვ. 137).

„რა ვქნა მე ახლა, ჟერდუმკა, რა ვქნა მე ახლა... გამიგონეთ... იქ კავკასიის მთებს გადაღმა ჩემი სამშობლოა, მუდამ მწვანე, მუდამ მშვენიერი, ღვინო იღვრება საწნახელებიდან, მთვრალი დიონისო ჭიხვინობს და რქებს ურტყამს ქვევრებს. სდულს მაჭარი და ცხოვრობს იქ ხალხი პურადი, გულადი... მე თავადი ბარამანდია ვარ, ბაგრატ დიდის ერისთავის ბარამ ქველის შთამომავალი და რა მინდა მე ციმბირში... რა მინდა მე ციმბირში... მე მიწა მეძახის, ჟერდუმკა, მე მინდა გავცურო ჩემ სამშობლოში, მაგრამ რელმაა და ქარიშხალი... რა ვქნა მე ახლა, რა ვქნა...“ (გვ. 138).

ერთადერთი ხსნა სიკვდილი იყო. სიცოცხლისათვის ნერჩი პატენი უკვე დიდი ხანია აღარ აწვდიდა ძალას გურამ ბარამანდიას. იგი მიწას მოწყვეტილი, ჰაერში იყო გამოკიდებული და სიცოცხლის ბოლო წუთებს ითვლიდა. პარტიზანის ხმლით თავგაჩეხილმა უკანასკნელად „– დედია... დედია...“ – დაიკვნესა და სისხლთან ერთად სულიც ამოარწყია. დააკვირდით, როგორ ჰგავს ეს ფინალი „მამელუკის“ დასასრულს!.. ყოველ დროში ერთნაირი ყოფილა უსამშობლო კაცის სიკვდილი.

ანთეოსის ტრაგედია

ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ზღვის ღმერთს პოსეიდონსა და მიწის ღმერთს გეას ჰყავდათ შვილი ანთეოსი. იგი უძლეველი იყო სანამ მიწაზე იდგა და დედას ფეხებით ეხებოდა: ქალღმერთი გეა აწვდიდა მას ახალ-ახალ ძალებს, ღონითა და ჯანით ავსებდა. ანთეოსის დამარცხება მხოლოდ ჰერკულესმა შესძლო. იგი მიუხვდა ანთეოსს საიდუმლოს: ჰერკულესმა გეას ძე მიწას მოსწყვიტა, ამით დააუძლურა იგი და ჰაერში დაახრჩო.

ძველ მითში ძველი სიბრძნეა. მშობლიურ მიწას, ხალხს მოწყვეტილი ადამიანი კარგავს ძალმოსილებას, პოზიტივურ ენერგიას, უძლური და უნაყოფო ხდება.

ეს მითი იმიტომ გავიხსენე, რომ ანთეოსის კომპლექსით შეპყრობილ ადამიანთა ბედს ქართულმა მწერლობამაც მიაქცია ყურადღება. კერძოდ ამ კატეგორიის პერსონაჟთა რიგს ეკუთვნიან, ჩემი აზრით, დემნა შენგელაიას „სანავარდოსა“ და „გურამ ბარამანდიას“ პროტაგონისტები ბონდო ჭილაძე და გურამ ბარამანდია. ამათი მშობლიური მიწისაგან მოწყვეტის, უნაყოფობისა და გადაშენების მიზეზი მრავალგვარი იყო – სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ბიოლოგიური და ფსიქიკური. ყველაფერი ეს გაერთიანდა და შეერთებული ძალით წინ აღუდგა ბონდო ჭილაძისა და გურამ ბარამანდიას არსე-

ბობას. ამ გაერთიანებულ ძალთა დაძლევა უკვე შეუძლებელიყო და ამიტომაც დასრულდა მარცხით მათი ბრძოლა არსებობისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ბონდო ჭილაძე და გურამ ბარამანდია განსხვავებული ბედის, ხასიათის, თვისებების, მდგომარეობისა და შეხედულებების ადამიანები არიან, მათ მაინც მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთთან ერთი ნიშანი – ანთეოსის კომპლექსი.

ორივე ლიტერატურული გმირის თავგადასავლის ურთიერთშეპირისპირება კი საშუალებას იძლევა დავადგინოთ ის თვისებები, რაც ანთეოსის კომპლექსით დაავადებულ პერსონაჟებს ახასიათებს დემნა შენგელაიას შემოქმედებაში.

განვიხილოთ სათითაოდ ეს ნიშნები:

პირველი: ორივე პროტაგონისტი – ბონდო ჭილაძე და გურამ ბარამანდია – დაბადებულია ქართულ ტრადიციულად არისტოკრატიულ ოჯახში. მათი აღზრდა დაიწყო ქართული ფეოდალური კულტურის საფუძველზე. მერე აღზრდის ეს გზა ხელოვნურად შეწყდა და თითოეულმა მიიღო ბურჟუაზიული განათლება, რუსული სასწავლებლების საშუალებით. ე.ი. მათი სულიერი სამყაროს ფორმირება დაიწყო ქართული კულტურით, მაგრამ დასრულდა უცხოურით. ამ ორი კულტურის დაპირისპირებას უკვალოდ არ ჩაუვლია: ისინი მოსწყდნენ მშობლიურ ნიადაგს, მაგრამ არც იმდენად, რომ უცხოური კულტურის ნიადაგში გაედგათ ფესვები და ნაყოფი მოეცათ. ფაქტიურად აღმოჩნდა, რომ მათი განათლების მიუხედავად, მოკლებულნი იყვნენ მკვიდრ და მყარ საფუძველს, ურომლისოდაც შემოქმედებითი შრომა შეუძლებელია. აქედან არის მათი უნაყოფობაც: ბონდო ჭილაძე აპირებდა რუსეთის ხელმწიფის მოკვლას (ე.ი. რევოლუციის სამსახურზე ფიქრობდა), მაგრამ ეს ფუჭი ოცნება აღმოჩნდა და მეტი არაფერი. გურამ ბარამანდიას ბავშვობაში ნაპოლეონს ემახდნენ, მაგრამ ცხოვრება გზადაკარგული, იდეალმოკლებული, გამხეცებული ბანდის მეთაურობით დაასრულა (აქ არის ირონიული დაპირისპირება მიზნიანი ადამიანის ცხოვრებასა და უაზრო არსებობას შორის). ასე, რომ ორივე მათგანის მისწრაფება პოზიტივური შრომისაკენ მარცხით მთავრდება.

მეორე: მათი შემოქმედებითი უნაყოფობა ფიზიკურ უნაყოფობადაც იქცა: არცერთ მათგანს მემკვიდრე არ რჩება.

ბონდო ჭილაძე ცვედანი და მოკლებულია შთამომავლობის გაგრძელების უნარს. გურამ ბარამანდიას რვა თვის ბავშვი დეზინტერიით მოკვდა. ამრიგად ისინი სრული ფიზიკური გადაშენების მსხვერპლნი არიან.

მესამე: თითოეული მათგანის ოჯახი გაპარტახების პირას არის მისული. საშველი და სახიდებელი კი არსაით არის.

ბონდო ჭილაძის მამული:

„გულუხვი სანავარდო რამდენიმე წელიწადში დაბერწდა და არ იყო ის მოსავალი, ოდესღაც სასიმინდეებში და ბელლებში რომ ვერ ატევდნენ.

დაიკარგა ხვავი და ბარაქა.

დედამიწას ძუძუ გაუშრა.

გვალვამ დახეთქა იგი.

...

აწეწილი ოჯახისა და მამულის საქმეები კიდევ უფრო აიწეწა...

მამულებს ღობეები შემოაღება, თხრილები მიწით ამოივსო, ეზოს ჯიჯლა-ყა მოედო. რიონიდან გადმოსულ წყლებს გასავალი არ ჰქონდა და ჭაობებით აივსო სანავარდოს მიდამოები.

...

ოდას ყავარი შემოაღება და წვეთავდა“.¹

თითქოს ოდნავ უკეთესი მდგომარეობა აქვს ბარამანდიების ოჯახს. მართალია, „ოტია ჰყიდდა მიწებს, ზომავდა ქვევებს, ფულს შვილებს უგზავნიდა და ასე ნიავდებოდა, პარტახდებოდა ბარამანდიების გვარის დიდება“,² მაგრამ ჯერ კიდევ ბოგინობდნენ, ძველი პეწი და ემხი საბოლოოდ არ დაეკარგათ, თუმცა მომავალი მათაც უკიდურეს დაცემას უქადდა ჭილაძეების ოჯახის დარად.

მეოთხე: ბონდო ჭილაძეც და გურამ ბარამანდიაც მშობლიური მიწისა და ხალხისაკენ მიისწრაფიან, მაგრამ მისასვლელი გზები ვერ უპოვიათ. ერისა და მათი გზები მომავლისაკენ გაიყარა. ისინი არასოდეს შეერთდებიან.

„მე მიწა მეძახის, ჟერდუმკა, მე მინდა გავცურო ჩემ სამშობლოში“... – მოთქვამს გურამ ბარამანდია, მაგრამ სურვილის აღსრულების საშუალება არა აქვს: ყველა გზა სამშობლოსაკენ მოჭრილია. გაბავშვებული და საქციელწამხდარი თავის მოტყუებით ცდილობს დამშვიდდეს და წამიერად დაივიწყოს გარს მომდგარი კომმარი: „მოდი, ჟერდუმკა წერილი მომწერე... ვითომ სამშობლოდანა... ვითამაშოთ წერილობანა...“³ მაგრამ განწირულის შველა აღარ შეიძლება. სულ რამდენიმე წუთის შემდეგ, სიკვდილი სამუდამოდ დაავიწყებს გურამ ბარამანდიას სამშობლოს და მამულს. თუ გურამ ბარამანდია შორს ციმბირში იღუპებოდა და მშობელი ქვეყნისაკენ ლტოლვა მდგომარეობითაც იყო გამართლებული, ბონდო ჭილაძე საკუთარი ქვეყნის მიწაზე იდგა და მაინც ასევე მწვავედ განიცდიდა გაუცხოებასა და სამშობლოდან მოწყვეტას. აქ პრობლემა მარტო სამშობლოდან ფიზიკურ მოშორებას არ გულისხმობს. აქ ტრაგედიის საფუძველია სულიერი გაუცხოება, სულიერი კავშირის გაწყვეტა მშობელ ერთან. ამიტომ მშობელი მიწისაკენ ლტოლვის პრობლემა არანაკლებ მტანჯველია სანავარდოში მყოფისათვის, ვიდრე ციმბირში გადახვეწილისათვის.

მამაპაპეულ სახლში ზის ბონდო ჭილაძე, მამაპაპეულ მამულში დადის, ყოველდღე მეზობლებს ხედავს. შეუძლია ესაუბროს, მათთან იშრომოს და მათთან ილხინოს, მაგრამ ეს მოჩვენებითი კავშირია გარე სამყაროსთან, საზოგადოებასთან. ბონდოს უნდა ადამიანებთან ჩვეულებრივი ურთიერთობა იქონიოს, მაგრამ სულიერად და ფიზიკურად ისეა დაუძღვრებული და გამოფიტული, რომ სხვებთან ურთიერთობის ყოველგვარი ფორმა გამორიცხებულია. ოცნებათა განმახორციელებელი ენერჯია სავსებით ამოწურულია. აი ამ სრული სულიერი იზოლაციის ბრალია, რომ ხალხსაც ემინია მისი და მასაც ემინია

ხალხის. სოფელმა მას „ბონდოიე გადარეული“ შეარქვა და ამ სახელმა სამუდამო მარტოობისათვის გაწირა ბონდო ჭილაძე.

მეხუთე: ბონდო ჭილაძე და გურამ ბარამანდია მოსწყდნენ დროსაც. მიწასთან დაბრუნება კი აუცილებლად მოითხოვს დროსთან კავშირის აღდგენას. მათი ტრაგედია იმითაც ძლიერდება, რომ შეგნებული აქვთ დროსთან კავშირის გაწყვეტა და ისიც იციან, რომ მისი აღდგენაც გამორიცხებულია. „ახალ ქვეყანას ახალი ხალხი ქმნის... მე კი დაჩივებული ვარ... ჩვენ შეგვიძლია წავიდეთ, მამაჩემო!.. ახლა რკინიგზა მოდის და ჩვენ უნდა დავხუროთ მატთან!.. ახლა სხვები მოვლენ ჩვენ ადგილას, დაზიდული ძარღვებითა და ახალი სისხლით, – ახალი ხალხი!.. ჩვენ წავიდეთ, მამაჩემო, და ძველი დიდებით შევიქცვიოთ თავი...“¹ – ჩივის ბონდო ჭილაძე.

ბონდო ჭილაძისათვის ყველაფერი დამთავრებულია და იგი გულხელდაკრეფილი მოელის სიკვდილს, არსებობის ფიზიკურ დასასრულს. გურამ ბარამანდია კი უფრო აქტიურია. იგი ხმალშემართული ებრძვის დროს, თუმცა გარკვეული არა აქვს, რისთვის აკეთებს ამას. ქვეშეცნეულად ინსტიქტით იცავს იმას, რითაც გაიზარდა, რითაც იყო გაჟღენთილი მისი შეგნება და ვერ მიმხვდარა, რომ მიმავალი დროის დაბრუნება აღარაფერს შეუძლია. უნდა თუ არ უნდა გურამ ბარამანდიას, მომავალი რევოლუციას ეკუთვნის და ისტორიის ჩარხს პიროვნება უკან ვერ დააბრუნებს. ვინც ისტორიას წინ აღუდგება, მას დრო გზიდან ჩამოიცილებს. ზოგჯერ ტრაგიკულად მტკივნეულია ეს ჩამოცილება, ზოგჯერ კი სატირულად სასაცილო. გურამ ბარამანდია იღუპება და დროსთან მისი ურთიერთობის საკითხი ტრაგიკულად წყდება.

ახლა ხუთივე ნიშანს თუ თავს მოვუყრით, შეიძლება ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ: ბონდო ჭილაძესა და გურამ ბარამანდიას ანათესავებს სოციალური წარმოშობა, სულიერი რეზინდაცია, ფიზიკური და შემოქმედებითი უნაყოფობა, დარდი და ლტოლვა მშობელი მიწისაკენ განკურნების მიზნით, დროსთან კავშირის გაწყვეტა და სრული უპერსპექტივობა.

ასეთია ანთეოსის კომპლექსით დაავადებულ ადამიანთა დამახასიათებელი ნიშნები დ. შენგელაიას შემოქმედებაში.

სიბრძნე სიცილისა

„ბათა ქექია“ ქართველი გლეხის აღსარებაა.

გულწრფელ და პატიოსან ბათა ქექიას არც თავისი ავი დაუმაღლავს და, ცრუ მოკრძალების ნიშნად, არც თავისი კარგი მიუჩქმაღლავს. ორივე, ავიცა და კარგიც, მზის გულზე გამოუტანია და ერის სამსჯავროსათვის უშიშრად გადაუცია. ბათა ქექიას საკუთარი ღირსებისა სჯეროდა და ამიტომ თავისი ცხოვრების შესაღამაზებლად ფერუდარული არ უხმარია. პირუთვნელი ყოფილა როგორც თავისთავის, ისე სხვების მიმართ. პირშიმთქმელ კაცს კი ვინ იცის, რა ხიფათი არ უდარაჯებს ცხოვრების გზაზე. მაგრამ ბათა ქექიას უყვარდა ეს ყველა მიმართულებით გაფანტული გზები. „სად არ მიდიან ისინი – წყლებზე,

ღრეებზე, ტრამალებზე, უდაბნოებზე, მინდორ-ველებზე, სერავს უსიერ ტყეებს, ლახავს მთებსა, ღარდებს, ყინულებს, ზღვებსა და ჰაერს. ეს ცხოვრება სიარულია, მოძრაობაა და თუ მოძრაობაა, გზაც არის და შენ მიდიხარ ამ გზაზე. მიდიხარ ცხენით, ურმით, აქლემით, მატარებლით, გემით და მიიმღერი შენთვის, იმიტომ რომ როგორც ხორცს სჭირია საჭმელი, ისევე სულსაც უნდა საზრდო. სიმღერა სულის საჭმელია და ამიტომ მიყვარს სიმღერა, სიცილი, ოხუნჯობა და მძულს უშნოდ მოღნაშული ხალხი“.¹ ამ უამრავ გზაზე გამარჯვებულმა რომ იარო, ხან მუხასავით უდრეკი და მტკიცე უნდა იყო, ხან კი – ლერწამით მოქნილი და რბილი, ხან მზესავით მცხუნვარე და ხან ყინულივით ცივი, ხან ლომივით გაბედული და პირდაპირი, ხან მელასავით ქვეშქვეშა და ეშმაკი, ხან წმინდანი უნდა იყო, ხან კი – ცოდვილი და ქრისტეს ფეხის მკვნეტელი. ბათა ქექიაც ცდილობდა ყველგან სათანადოდ მოქცეულიყო და პირმომღიმარს გაევილო ცხოვრების დაბურდული გზები. იგი იცინოდა, ხალისობდა, შრომობდა, იბრძოდა და მიჰყვებოდა ცხოვრებას მხარდამხარ.

ჩვენც მიყვებით ბათა ქექიას. მასთან ერთად ვიცინოთ, ვიხალისოთ, ყური დავუგდოთ მის სიბრძნეს და მტერი და დუშმანი გულზე გავხეთქოთ.

ბათა ქექია ერთ ასეთ არაკს ყვება:

„ტყეში ხმა ამოვიდა:

– დარბაზი დაინგრა და ხალხი დაიტანაო.

მუხამ გადმოიხედა და იკითხა:

– ჩვენი ბიჭი ხომ არ ერიო?

– არა, დარბაზი წიფლისა იყოო.

– კიდევაც მაგიტომ დანგრეულაო, – მიუგო მუხამ.

ეს მუხა მე ვარ, – ამაყად აგრძელებს ბათა ქექია, – და თუ მე ვიქნები, დარბაზი არ დაინგრევა. მე ბებერი ვარ, გამტანი, მე ცხრატოტიანი მუხა ვარ. ტოტები ცად გამიდგამს, ფესვები მიწაში გამიყრია, ვნება ვენახივით მეპარება შტოებში და ასე, მიწის წვენიტ დამთვრალი, ვშრიალებ...“²

რა თქმა უნდა, ბათა ქექია თავისთავს მუხას უპირველესად იმიტომ ადარებს, რომ ქართული ჯიშის უძლეველობასა და სიმაგრეზე ილაპარაკოს, მაგრამ ამ შედარების მხოლოდ ასეთი გაგება უთუოდ გაადარიბებს ორივე სახეს: ბათაც დაკარგავს მეორეულ შინაარსს და მუხაც. ამასთანავე მარტო ჯილაგის უკვდავების საჩვენებლად დოლოკეტთან შედარებაც კმაროდა: „ჩვენ გლერტა ბალახივით ვართ, სამ წელიწადს რომ ყვავის ბუდედ იყო, მერე ძირს დავარდა, ფესვი მიწას მოსდო და აღმოხდა: – ეეხ, კინალამ არ მოვკვდიო!“³

მუხისა და ბათა ქექიას შედარებით უფრო მეტია ნათქვამი, რადგან ქართული კაცისათვის მუხა მარტო ხე არ არის. იგი წმინდანია და მზის ღვთაების სადგომი მცენარე.¹ თუ ამ გარემოებას არ მივაქციეთ ყურადღება, მაშინ რომანის აზრობრივი შინაარსის სრულიად გახსნა არ მოხერხდება. ამიტომ მუხასა და „ბათა ქექიაში“ ხშირად მოხსენიებულ აგუნაზე გამოწვლილვით უნდა ვილაპარაკოთ. ჯერ ერთი, საყურადღებოა ის, რომ მუხის გარდა, ბათა ქექია თავს

აგუნასაც ადარებს და, მეორეც, აგუნა და მუხა განუყრელად უკავშირდებიან ერთმანეთს.

ბათა ქექია აღტაცებული გაჰყვირის: „... ეს ჩაგუნა მე ვარ, მე ვარ ეს ხატი აგუნა, ეს მე ვარ. ის მართლაც ღორის თავი, ახალწელიწად ღამეს ავს რომ საწნახელს ურახუნებს და, თუ არ გჯერათ, აბა ერთი ამ ჩიჩილაგით წვერებს შეხედეთ და მაშინ დაიჯერებთ“.² იგი ამით არ კმაყოფილდება და პატარა ბიჭსაც აგუნას ადარებს: „მთლად ღვინის ხატის აგუნას ლეკვს ჰგავს“...³ თუ სადმე დროს მოიხელთებს ბათა, უეჭველად აგუნას სადღეგრძელოს სვამს: „ბოლოს მინდა ჭინკა ღმერთის, ღვინის ხატის აგუნას სახსენებელიც დავლიოთ“.⁴

მერე და ვინ არის ეს აგუნა? რატომ უყვარს იგი ეგზომ ბათა ქექიას ან მუხასთან რა ურთიერთობა აქვს მას?

ქართული მითოლოგიის თანახმად, აგუნა მზის ღვთაებისადმი, ე.ი. წმინდა მუხისადმი (მუხა ხომ მზის სადგომია!), შეწირული ცხოველია.⁵ იგი წმინდა ღორია და მუხის რკოებითაც ამიტომ იკვებება. გურულ-მეგრულ მითოლოგიურ თქმულებებთან ერთად ამას სვანური გადმოცემებიც ადასტურებს. ნიკო მარი წერდა, რომ ენგურსქვედა სვანეთში ღორი რაღაც ღვთაებრივ ძალას განასახიერებსო და სვანურ თქმას – ღერთემ ყერღო – ასე თარგმნიდა: ღმერთის წმინდა ღორს გეფიცებო. ნ. მარი იმასაც ფიქრობდა, რომ სვანურ ჯგირაგ-ში და მეგრულ ჯგეგე (-ჯეგე)-ში წმინდა მუხა იგულისხმებოდა. ამის საბუთად, მისი აზრით, გამოდგება მუხის სვანური სახელი ჯიჰრა და რომელიღაც ღვთაების მეგრული სახელი ჯგერაგუნა.¹

აგუნა ნაყოფიერების, ჭირნახულის, ბარაქის ღვთაება იყო. გურულები ასეთ ჰიმნს უგალობდნენ აგუნას:

*„აგუნა, აგუნა, გამეიარეო,
ბახვი, ასკანა გადმეიარეო.
ჩემს მამულში ყურძენიო,
მტრის მამულში ფურცელიო.
ჩვენს მამულში გოდრიტაო,
მტრის მამულში გიდლიტაო.
აგუნა, აგუნა, ვიიიო.
ჩვენს ქალებს ყაჭი და აბრეშუმი,
მტრის ქალებს.....“²*

/აქ ისეთ სიტყვას ამბობდნენ, რაც ქრისტიანული ეთიკით საჯაროდ არ ითქმოდა, ხოლო წარმართს მისი თქმა არ ერცხვინებოდა, რადგან ისიც ნაყოფიერების ღვთაებასთან იყო დაკავშირებული).

აგუნა ღვინისა და თრობის ღმერთიც ყოფილა.³ აგუნა ბაკხუსის ქართული სახელი უნდა ყოფილიყო. ხოლო ქართველები ბაკხუსს რომ თაყვანს სცემდნენ, ამას, ღვინის მომეტებული პატივისცემის გარდა, ძველი ბერძენი ავტორებიც ადასტურებენ. დიონისიოს პერიეგეტი წერს, რომ კამარიტების დიდმა

ტომმა წმინდა ფერხული გამართა, სარტყლები გაიკეთა, შვლის ტყავები გადაიფარა და ღვინისა და თრობის ღმერთის პატივსაცემად „ევოა ბაკხუსს“ გაიმახოდაო.⁴ მართალია, დიონისიოს პერიეგეტის სიტყვით, კამარიტები იბერებს იქით ცხოვრობდნენ, მაგრამ რომაელი მწერალი ამიანე მარცელინუსი ამტკიცებდა – კამარიტების ადგილსამყოფელი „არის ფაზისის მიდამოებში კოლხთა და ტიბარენ – მოსინიკ – მაკრონთა შორისო“.¹ კამარიტები კოლხეთში ცხოვრობდნენ თუ იბერიაში, ახლა ამას არსებითი მნიშვნელობა ჩვენთვის არა აქვს, რადგან ერთიც და მეორეც საქართველოა. მთავარი ის არის, რომ უძველეს ქართველ ტომებს ბაკხუსი ფრიად ჰყვარებიათ და მისი დღესასწაულების გამართვაც სცოდნიათ.

თავად დემნა შენგელაია კი აგუნას, ერთი მხრივ, თემუბთან აკავშირებს, ხოლო, მეორე მხრივ, ინდურ ღვთაება აგნისთან.

ბარაქის ღვთაებას, – წერს დ. შენგელაია, – „ღორიც განასახიერებდა და იგი მჭიდრო ურთიერთობაში იყო ძველადმოსავლური პანთეონის თეუმბასთან. აღსანიშნავია, რომ საკალანდო ღორის თავს სვანურად ვებშაჲ (ვეშაჲ), გურულ-მეგრულად აგუნა, ხოლო ჩერქეზულად აგინი ანუ აღინი ეწოდება, რაც ჩვენ ინდური მზის ღვთაების აგნის სახელს ძალზე მოგვაგონებს. ღორის თავს საწნახელზე იმიტომ სცემენ, რომ ეს ცხოველი დიონისური საწყისის ბარაქის ღვთაებას ჰგავდა“.²

ასე, რომ მუხაცა და აგუნაც ღვთაებაა. ორივე კი თავის მხრივ მზესთან არის დაკავშირებული. ბათა ქექია კი მუხასა და აგუნას პატივს სცემს, უყვარს ისინი, თავისთავსაც მათთან უშუალოდ აიგივებს. მზე, მუხა, აგუნა სიცოცხლის, სიჯანსაღის და სიხარულის საწყისია. რაკი ბათა ქექია მზე – მუხა – აგუნასთან არის გაიგივებული, ბუნებრივია, რომ ისიც – სიცოცხლე, სიჯანსაღე და სიხალისეა. „ეს ცა მე ვარ, ეს მიწა ჩემი ბეხრეკი ცოლი. მე მთესველი ვარ და ვანაყოფიერებ მიწას, ისიც მეკვრის ცხელი, გაუმაძღარი და ჩვენ სულ მუდამ განუყრელნი ვართ, ერთად მივდივართ, მივიმღერებართ“.³

ბათა ქექიას ცხოვრების გრძელ გზაზე მარტოხელას არ უვლია. მოყვარეც ბევრი ჰყავდა და მტერიც. მათ შორის ბათა ქექიას ღირსეული მეტოქე მხოლოდ ხუცესი საბა-სტრატილატე იყო.

არც საბა იყო ბათაზე ნაკლები ენაკვიმატი, ლხენისმოყვარე, ეშმაკი და მელაძუა. მაგრამ საბა-სტრატილატე მაინც უსიხარულო, უნაყოფო და უმომავლოა. იგი ბათას საპირისპირო საწყისია, მიუხედავად იმისა, რომ თითქოსდა მათი ადამიანური ბუნება ერთნაირი და თანმხვედრია. მათი გაუთავებელი დავა-ხუმრობა და ერთმანეთის გაბერიკება ბალღობიდან ერთად გაზრდილი ორი კაცის უბრალო ქილიკობა კი არ არის, არამედ ორი სხვადასხვა საწყისის სიცილის ნიღაბაფარებული ბრძოლაა. ამ ბრძოლას ხელს არ უშლის ის, რომ მათ ერთმანეთი უყვართ და ერთმანეთის მოყვასნი არიან. აკი ბათა ქექია თავად ამბობს, რომ „სიყვარული დედაა სიძულვილისა, სიყვარული ის ძირია და ფესვი, სიძულვილს რომ ასაზრდოებს და წვენს აწვდის“.¹ ხოლო „მოყვასი მუ-

დამ სასტიკია და დაუნდობელი“.² ეს რომ მართლაც ასეა, კარგად ჩანს ბათა ქექიასა და საბა-სტრატილატეს ურთიერთობაში.

ხუცესი დიდი კრიჟანგი და წუწურაქი ვინმე გახლდათ. ბათა ქექიამ ეს კარგად იცოდა და ყოველთვის განსაკუთრებული სიამოვნებით მიირთმევდა საბას პურ-მარილს. მღვდელი ისეთი მამა აბრამის ბატკანი არ იყო, ბათას ხვაშიადი არ გამოეცნო და ყოველნაირად ცდილობდა იგი პირში ჩალაგამოვლებული გაეშვა შინ. ამისათვის საბა ხუცესი დიდი ოსტატობით იყენებდა ქადაგებათა ერთ წიგნს, რომელიც მას ერთმა ეპისკოპოსმა აჩუქა. როცა მღვდელს ბათას წამება და გაცუცურაკება მოუნდებოდა, აიღებდა ამ წიგნს და მანამდე უკითხავდა საცოდავ ბათას, სანამ ქექიას მოთმინების ძაფი არ გაუწყდებოდა და შინ უკანმოუხედავად არ გაიქცეოდა. ბათა ქექია ამ წიგნის დაუძინებელი მტერი იყო და ყოველგვარად ცდილობდა როგორმე წაერთმია იგი ძალთაპირ ხუცესისათვის. ერთხელ ბათამ დიდი ამბით თავი მოიავადმყოფა და საბას ბავში გაუგზავნა, ქადაგებათა წიგნი მათხოვეო, სიკვდილის წინ წმინდა წიგნის კითხვამ იქნებ ცოდვები შემიმსუბუქოს და იმქვეყნად პირნათლად წარვდგეო. წვერცამეტა ხუცესი მოტყუვდა და ბათას ქადაგებათა წიგნი გაუგზავნა. იცოცხლეთ, ბათა ქექიამ იყარა ჯავრი: წიგნი სულ ფურცელ-ფურცელ დახია და მტერ-მოყვარეს თუთუნის გასახვევ ქალაქად დაურიგა. ბევრი იყვირა მღვდელმა, თავში ხელი იცა, ბათას წყევლით ცა და ქვეყანა შეაჯერა, მაგრამ წიგნს ვერაფერი უშველა და მწარე სინამდვილეს შეურიგდა. თუმცა, სამაგიეროს გადახდის სურვილიც გულში ჩუმად შეინახა. ერთ დღეს, ჩვეულებრივ გამასხარავება-გაქილიკების შემდეგ, მღვდელმა ბათა ქექიასა და მეზობლებს ლხინი გაუმართა. ბათამ და მისმა ძმაკაცებმა იჯერეს გული ჭამა-სმით. ცეკვით ხუცესის სახლის იატაკი გაანგრის და სიმღერით ჭერი ახადეს. მაგრამ ამ ქეიფის გვირგვინი შემწვარი თხის ხორცი იყო. მეინახეებს პირში ადნებოდათ მსუქანი თხის ხორცი და თითების ლოკვით დაოსდა ხალხი. ბათა ქექიას პირი გაუმრა და ენა მოტყდა ხუცესის დილღვამიანი ოჯახის ხოტბით. განსაკუთრებით საცოდავ ბეკეკას აქებდა ბათა. უკვირდა – სად და როგორ გაზარდა ხუცესმა ასეთი მსუქანი და გემრიელი თხა. საბა წვერებში ქირქილებდა და სტუმრებს ფიანდაზად ეშლებოდა, ღვინოს აძალებდა, სხვასაც ალხენდა და თვითონაც ილხენდა. პირზე კოცნით და დიდი მადლობით დატოვა ღვინით გამტყვრალმა და გაბრუებულმა ბათა ქექიამ ხუცესის ოჯახი. შინდაბრუნებულმა გაიგო, რომ თხა დაჰკარგოდა. ბათა ეშმაკის ფეხი იყო და მაშინვე მიხვდა: სულწაწყმედილ ხუცესს მისი ნაპატიები და ნალოლიავები თხა მოუპარავს. ნაქურდალი ხორციტ გამასპინძლებია სტუმრებს. ასე გადაუხადა სამაგიერო საბა-სტრატილატემ ბათა ქექიას ქადაგებათა წიგნის დახვეისათვის.

ერთი შეხედვით, ეს ორი კვიმატი და ხუმარა კაცის უზრუნველი ოინებია, მაგრამ ამ ხუმრობის ზოგიერთ ელემენტს თუ გავითვალისწინებთ, მაშინ აღმოჩნდება, რომ მას ალეგორიული შინაარსიც აქვს. აღმოჩნდება, რომ აქ მარტო ორი კაცი არ ოხუნჯობს, არამედ ორი რწმენაც ებრძვის ერთმანეთს. საქმე ის არის, რომ ბათა ქექიამ ქადაგებათა წიგნი ორი მიზეზით დახია: ჯერ ერთი, ამ

წიგნის კითხვით მღვდელი ტვინს ულაყებდა ბათას და მეორეც, ის ეპისკოპოსი, რომელმაც წიგნი აჩუქა საბა ხუცესს, ბათა ქექიას ჭირის დღესავით სძულდა. და რატომ სძაგდა მერე ეგზომ ძალიან ბათა ქექიას მისი უწმინდესობა ეპისკოპოსი? ამის პასუხად ბათას სიტყვები მოვისმინოთ: „მე ჭირივით მძულდა ის ეპისკოპოსი. მან დაარტყა პირველად ნაჯახი წყევლითა და კრულვით იმ წმინდა მუხას, ჩვენი სოფლის სიამაყე რომ იყო. მე არ ვიცი, რაა ცრემლი, და ამხელა ყაძახმა ვიტირე მაშინ. შემეცოდა ის ათასი წლის მუხა, ისე ამაყად რომ გადაეშალა შტოები, ირგვლივ ყაჭის ფთილა ეხვია და მთლად ბასკა ლურსმნებით იყო მოჭედული. ვერ გავუძეღ მის ცქერას, ტყეში გავვარდი, ვტიროდი გულამდულდრებული და როცა წაქცეული ხის გუგუნი შემომესმა, მომეჩვენა, თითქოს ამ ეპისკოპოსმა გული ამომთხარა ფესვიანად“.¹ ეს იმიტომ მოეჩვენა ბათას, რომ იგი წარმართია და მუხა მისი ღვთაება, მისი მზის სადგომი სახლია. მუხის მოჭრით ეპისკოპოსი ბათა ქექიას და მის ჯილაგს სიხარულისა და სიჯანსაღის ფესვებს ჰკვეთდა ქრისტიანული სულის გვემისა და ხორცის დამჭლევების სახელით. მუხის მოჭრით ეპისკოპოსი ბათა ქექიას და მისი ჯილაგის ხალისს ჰკლავდა ქრისტიანული მისტიკის სახელით. და როცა ბათა ქექია ეპისკოპოსის ქადაგებათა წიგნს ხევდა და ფურცელ-ფურცელ ქარს ატანდა, ეს წარმართი უხდიდა სამაგიეროს ქრისტიანს მიყენებული ტკივილისათვის.

ბათა ქექიას წარმართული სული, სხვათა შორის, კარგად გამოსჭვივის ანდრია მოციქულისადმი დამოკიდებულებაშიც.

„მოციქული ხელებს ბაირალივით შლიდა ჰაერში და გრგვინავდა:

– არა კაც ჰკლა! – და ჩვენ, პირიქვე დამხობილნი, ვგმინავდით გულზე ცეცხლშემონთებულნი.

– არა იმრუშო! – და ჩვენ გველის წიწილივით თავს ვცემდით მიწას, ვეფიცებოდით, აღთქმას ვდებდით, რომ სხვის ცოლზე თვალი არ შეგვრჩებოდა, იმიტომ, რომ თვალნათლივ ვხედავდით, როგორ აბჩენდა ხახას ჯოჯოხეთი ჩვენს ჩასანთქმელად.

– არა იპარო! – და ჩვენ ამ სიტყვებზე, მიწაზე გასნატულნი, მივფორთხავდით გოდებით, ვაებით, მოციქულს ფეხებში ვუვარდებოდით, კალთას ვუკოცნიდით და, – ფუი, დასწყევლა ეშმაკმა! – როცა მის წმინდა კვართს კალთას ვუკოცნიდით, ვხედავთ, იმ დალოცვილს ფეხზე ისეთი ახალთახალი ლაზური ქალამნები აცვია და ხელში ვერცხლის ჯავარიანი ყავარჯენი უჭირავს, რომ თვალს მოსჭრის ადამიანიშვილს.

– ქადაგების შემდეგ მოციქულმა ქალამნები გაიხადა და იმ ხეზე მიაკიდა, სადაც ის ოხერი ყავარჯენი იყო მიყუდებული, მერე დაღლილ-დაქანცული მიწვა და დაიძინა. ახლა თქვენ თვითონ მითხარით, გულზე ხელი დაიდეთ და ისე მიბრძანეთ, როცა კაცი ნივთს გლახად დებს, ვინ არის დამნაშავე – ის, ვინც ამ ნივთს ვერ მოუარა, თუ ის, ვინც ეს ნივთი წაიღო და უფრო კარგად შეინახა? ჩვენც სხვის წაწყმედას ისევ ჩვენი სულის წაწყმედა ვარჩიეთ, თავი გადავდეთ და ეს ლაზური ქალამნები და ყავარჯენი შორს არ გავატანეთ. წავიღეთ და უკეთ შევინახეთ.

მერე რა ვუყოთ, რომ მის დაუკითხავად ჩავიდინეთ ეს!

მაშინ მოციქულმა დასწყევლა ბანძა, მთელი ოდიში და გაგულისებულნი აფხაზეთს გადავარდა.

საწყალი აფხაზები! ისე გაწმენდილი ჩაუვიდათ მოციქული, რომ სულის წასაწყმედი გზები ყოვლის მხრით ჩაეკეტათ. ასე ვიხსენით ჯოჯობეთის გენისაგან აფხაზები და მათ მაგიერ ჩვენ შევყავით შიგ თავი. მაგრამ ამას არც თუ ისე ვჩიოდით, არც ბედს ვემდუროდით. ფეხები მოციქულის ქალამნებში თბილად გვქონდა შეკრული, ეს ყავარჯენიც ცოდვებით გაღუნულ წელს საიმედოდ გვიმაგრებდა, წმინდა ნივთების დანახვაზე ჭინკები და ეშმაკები შლივინით გარბოდნენ აქეთ-იქით და ახლოს ვერ გვეკარებოდნენ“.¹

ასე აშკარა ირონიით, დამცინავი კილოთი ბათა ქექია არასოდეს ლაპარაკობს არც აგუნაზე და არც წმინდა მუხაზე. უფრო მეტიც, იგი ყოველთვის საოცარი სიყვარულით ახსენებს აგუნა – ბაკხუსის თანამგზავრ თხებსაც. თხები-სადმი უფრო მეტ პატივისცემას ამჟღავნებს, ვიდრე ანდრია მოციქულის ან ეპისკოპოსის მიმართ. ქრისტეს სასძლოს მონაზონ კესარიას ხომ პირდაპირ და შეუნიღბავად დასცინის, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალი შემზარავი ტრაგიკული სიკვდილით დაიღუპა. მაგრამ ბათას მკრეხელობა ამით არ ამოიწურება. იგი ქრისტიანულ ღმერთსაც შინაურულად ელაპარაკება და ავკაცობაში მოურიდელებლად ამხელს.

„ტყუილია, თითქოს შენ სამპიროვანი იყო; მარტო სამი პირი რომ გქონდეს, რა გვიჭირდა! მაშინ რამენაირად კიდევ ამოგივსებდით ამ პირებს, ჩვენს შესაჭმელად რომ დადებულა, მაგრამ შენ ხომ ბევრზე ბევრი პირი გაქვს და იმდენზეა დაბჩენილი ეს პირები და ისე უძირო, რომ საქმე ასე დგას: ან შენ უნდა იყო ამ ქვეყანაზე ან ჩვენ. ამიტომ ასე ვამჯობინე, თუ ყოფნაა, ისევ მე ვიყო და არა შენ! მაპატიე, ღმერთო, ნუ მიწყენ, თუ შენს თავს ჩემი თავი ვამჯობინო. რას იზამ, ანგარიში ასეთია და ანგარიშს სად წაუხვალ?“¹

ქრისტიანული ღმერთი არ არის ბათას ღმერთი. ბათას ხასიათი და ბუნება ვერ შეეგუება ქრისტიანული თვითგვემის იდეას. იგი ვერ შეეწყობა და შეეთვისება ამქვეყნიური სიამის უარყოფას იმქვეყნიური სასუფეველის სახელით. „არ მინდა თქვენი სამოთხე! თქვენ თვითონ წადით იქ, თუ კარგია, და მე აქ დამაყენეთ. გთხოვთ, გემუდარებით, დამაყენეთ ამ მიწაზე და გამაძლეთ თქვენი ცქერით, თქვენი სიყვარულით, მომეცით ნება, რომ მიყვარდეთ, – არ მინდა თქვენი ცხოვნება! მაჭამეთ ეს ხვავი, მასვით ეს წყალი, მაცოცხლეთ თქვენი სიყვარულით და სხვას არაფერს გთხოვთ ქვეყანაზე. ეს ცხოვრება მე ისე მყოფნის, როგორც ერთი ბათმანი ქერი მუტრუკს. მაჭამეთ დღევანდელი კვერცხი და ხვალინდელი ქათამი თქვენთვის დამითმია“.² ბათა ქექიას ეს ხილული ქვეყანა უყვარს. ბათას ღმერთი აგუნაა. ეს წარმართული ღვთაებაც ბათასებრ ღვინისა და ქალის ტრფიალია, ხალისიანია და ლხენას გადაყოლილი. ჭაჭით პირმემურული და მტევნებით თავდამშვენებული ვენახ-ვენახ დაბორიალებს, ქალებს კალთაში უგორდება, ბარაქასა და ნაყოფიერებას უხვად აფრქვევს და ღვინით დარეტყანებული, პირამდე სავსე საწნახლებს თავს ურახუნებს. მერე

და როგორ არ შეიყვაროს ბათამ აგუნა, როცა მასში საკუთარი სულის ხატს ხედავს? არამც თუ უყვარს, თავისთავსაც აიგივებს ბათა ქექია აგუნასთან. აბა, ასეთი კაცისათვის რით შეიძლებოდა გადაეხადა სამაგიერო ხუცესს? იმ საბასტრატილატეს, რომელიც „მართლმადიდებელი ეკლესიის ყურმოჭრილი მონა“ იყო?³ ცხადია, თხის მოპარვით და დაკვლით, რადგან თხა აგუნას ცხოველია, მისი თანამგზავრი და თავაშვებული ვაკხანალიების უცვლელი მონაწილე. ამდენად, თხა ბათა ქექიასათვის წმინდა პირუტყვია.

„... ერთი მითხარით, როგორ არ დავთვრეთ, როცა ეს წვერებცანცარა თხა, სანამ ცოცხალია – ვენახის ბარდს ჭამს, მკვდარია და – ღვინით იბერება? როცა ცოცხალს აგუნა ჰქვია და მკვდარს ტიკჭორა?“⁴

„... და ეს რთველის შესაწირავი თხაც, მარანთან, თხილნარში რომ მყავს დასაკლავად დაბმული, ბლავის, კიკინებს და ეძებს, ეძახის იმ თავის სასიქადულო ოქროს წინაპარს, ტირის გულადუღებული და მისი კიკინი რომ მესმის, გული მიკვდება, თაღში ცრემლი მერევა და მზად ვარ მივიდე, მუხლებზე დავეცე, ყელზე შემოვებვიო, ცანცარა წვერი დავუკოცნო, რქებზე თაფლის სანთლები ავუნთო და მივმართო:

– არა, ჩემო ბეკეკავ, არა, ჩემო წვერებცანცარავ! ნუ ტირი, ოჯო, რა დროს ტირილია, როცა აგუნა ირევა დობილოში და ჭიხვინებს ვნებით გადარეული?“¹

თხა აგუნას ზვარაკიც არის. მას თხაჭურობის დღესასწაულზე ქვევრის თავზე დაკლავენ ღვინის ღმერთის პატივსაცემად. ასეთი სამსხვერპლო თხა იყო ის თხაც, საბა ხუცესმა რომ მოჰპარა ბათას, დაკლა და მეზობლები აქეიფა. ამ აქტით უკვე ქრისტიანი უსწორებდა ანგარიშს წარმართს, სამაგიეროს უხდიდა და ვალში არ რჩებოდა. ასე, რომ ორი თანაბარი ძალა ებრძვის ერთმანეთს. ეშმაკი და ღმერთი პაექრობენ და, ბათა ქექიას თქმისა არ იყოს, „ვინ იცის, რომელი უფრო ძლიერია?“² თუმცა ბათა ქექიას და საბა-სტრატილატეს ცხოვრებას თუ თვალს გადავავლებთ, შევამჩნევთ, რომ საერთო გამარჯვების სასწორი მაინც გლეხის სასარგებლოდ იხრება.

ბათა ქექია ცხრა შვილის მამაა. ცხრავე საღსალამათი და ერთმანეთზე უკეთესია. საბა ხუცესს კი ერთი შვილი ჰყავს, ისიც ლენჩი და გამოთაყვანებული. ბათა ქექიას უამრავი შთამომავლობა ესევა და მის გვარს მარადიული სიცოცხლე უწერია. საბა-სტრატილატეს კი აღარავინ რჩება, რადგან მისი ერთადერთი ვაჟიშვილი უშვილძირია.

მართალია, ბათა ქექიასაც და საბა ხუცესსაც ბარაქიანი და დოვლათიანი ოჯახები აქვთ, მაგრამ ისინი მაინც არსებითად განსხვავდებიან. ბათა ქექიას ბაღ-ვენახში მზის თვალი ტრიალებს და სიცოცხლე დუღს, საბას ყანებში კი უმოქმედობა და სიცოცხლილი დგას. ამის საილუსტრაციოდ ერთმანეთს შევადაროთ რთველი ბათა ქექიას ოჯახში და ბობიას მუშაობა ხუცესის ყანაში.

ბათა ქექიას ოჯახის რთველი:

„ხეებიდან ხეებზე გასულ ვენახის ლერწებსა და ცანდებს რომ გავცქერ, მიხარია, ცქერით თვალი ვერ ძღება. ამ საქანელასავით გაკიდებულ ცანდებზე გასათხოვარი გოგოები ირწევნიან და სოფელში გაისმის მათი მხიარული ტკარ-

ცალი, ჟრამული, სიმღერა და ეს გოგოები მტევნის მოსაკრეფად ხელს მაღლა რომ ასწევენ, შემოდგომის მზე თამაშობს მათ ფრჩხილებში...

ხეებზე ღაღვით გადმოკიდებულ გიდელ-კალათებში ცვივა ყურძენი, მაჭრის სმით გაბანდალებული ბიჭები ეხუტებიან ხის ძირებს და ვნებით გამოლენჩებული თვალებით ხეებზე გასულ გოგოებს თვალს არ აშორებენ. გოგოები წიკვინებენ, კივიან და სწყევლიან მათ კი არა, საერთოდ, ბიჭის რჯულსა და მასაფს...

და მოდის ძირს ეს დოვლათით სავსე კალათები, ვყრით გოდრებში. პირამდე რომ ავავსებთ, ზურგზე შევიგდებთ და მივაქანებთ მარანში, სადაც ნაკურთხი წყლით ფეხდაბანილი ბიჭები გვიცდიან პირგაროფილ საწნახელში კისრამდე ჩამალულნი. ყურძენს რომ ჩავყრით, ეს ბიჭები ფეხით დგებიან ზედ, სრესენ, მღერაინ რთვლის სიმღერებს და ამ დახვავებულ სიმღერებთან ერთად მიდის სიმღერასავით ლალისფერი მღვრია ტკბილი ღარებით და, რაც ქვევრებში არ ეტევა, მიღურღურებს ჩაფებში, როფებში, საარყე და ტყემლის სახარშ ქვაბებში დუღდება, ირევა, ქაფდება.

... მიხარია, რომ ეს ამოდენა დოვლათი ჩემი მოწეულია, ეს სიმინდით დაძეპგილი ნალია, ეს ხვავით სავსე ხულა და სხვენი, ეს ყურძნით სავსე საწნახელი, ეს ცოლი და შვილი, კეთილი და მეზობელი, ეს ოხრად დასარჩენი ჩემი თავიც, – ყველა ჩემი ნაცოდვილარია, ნაჯახირევი“...¹

ბობიას მუშაობა ხუცესის ყანაში:

„– რაა, მეზობლებო, რას მიჩერებიხართ იმ თაღარაში? – ვეკითხები გავვირვებულნი.

– რაღა რას მივჩერებივართ, კაცო! – დაიწყო ყარამანამ. – ეგერ იმ ხუცის ყანას ხომ ცნობ?

– რავა არ ვცნობ, შე კაცო?

– ყანაში ჯირკი რომ დგას, იმასაც ხომ ხედავ?

– ვხედავ!

– იახა დო, ამ კაცს დაუჩემებია, გინდა თუ არა, კაციაო. ვერაფრით დავაჯერე. აგერ ერთი საათი იქნება, რაც ამ ნაპირს მივყოფით, ანკესები ჩამოვიარეთ, ვუყურებთ და ერთი არ განძრეულა. კაცი რომ იყოს, ერთი რავა არ გაინძრეოდა. ანდა ადამიანიშვილს ამ გაგანია სიცხეში მზის ქვეშ ამდენ ხანს რა გააჩერებდა?

უცებ მივხვდი, თუ რა ჯირკი იყო, და ხუცესს ღიმილით მოვხედე, მაგრამ მას ღვინო მოჰკიდებოდა და კისერმოწყვეტილს ეძინა. მერე ისევ ყანას გავხედე, კარგა დავაკვირდი და დასწყევლა ეშმაკმა, მე თვითონ შევეჭვიდი, მართლა ჯირკი იყო თუ ადამიანიშვილი? ხელით მზე მოვიჩრდილე და ვხედავ, მართლა ჯირკია ნავარი, ყანაც ნამდვილად ხუცესის იყო. რას შემეშლებოდა? თვითონ ბევრჯერ მინახავს, მითოხნია. მართალია, რამდენიმე წელიწადია, რაც თოხით გაღმა არ გავსულვარ, მაგრამ ამხელა ჯირკი მის ყანაში მაინც არ მახსოვდა. ის გამოტვინებული ბობია მაინც სად ჯანდაბაში დაიკარგა? კიდევ და-

ვაკვირდი, დავაკვირდი და ვიცან, როგორც იქნა, სიხარულით გულს მომეშვა, – ეს ჯირკი ბობია იყო, პირი ცადა აეპყრო და ღმერთს ემუსაიფებოდა“.¹

ამ ორ ეპიზოდში არა მარტო ორი სხვადასხვა სურათია დახატული, არამედ განსხვავებული ატმოსფეროცა და განწყობილებაც. ამბის თხრობის მანერაცა და ტემპერამენტიც სხვადასხვაგვარია. თუ ბათას რთველი ნაამბობია მაქარივით ფუცხუნა ტემპით და დინამიკით, ხუცესის ყანის ამბავი მოყოლილია მდორედ, ნელად და თითქოს უხალისოდ. თუ ბათას რთველში ხალხმრავლობა, სიცილ-ხორხოცი, ხმაური და სიყვარულის ალხია, ხუცესის ყანაში – მარტობა, გარინდება, სიჩუმე და სიცარიელეა. ეს სხვაობა ბათასა და საბას ურთიერთობის მეორე პლანით უფრო აიხსნება, ვიდრე მათი ადამიანური ბუნების დაპირისპირებით. მათი ადამიანური ბუნება მსგავსია: ერთიც ხუმარა და ენაკვინწარია და მეორეც, ერთიც ღვთისპირიდან გადავარდნილი ეშმაკია და მეორეც, ერთმაც იცის ცხოვრების მაღლი და ეშხი და მეორემაც. და თუ მაინც სხვადასხვანი არიან, ეს იმიტომ, რომ ორ სხვადასხვა ღმერთს ემსახურებიან, ორი სხვადასხვა რწმენით უყურებენ ამ სინამდვილეს. ბათას თავის ღმერთი ცხოვრების ხალისს, სიჯანსაღეს, ნაყოფიერებას, ხორცისა და სულის ტკბობას ანიჭებს. საბას თავის ღმერთი ამქვეყნიური ცხოვრების გმობას, საიქიოს პატივისცემას, ხორცის დაჭკნობით სულის გახარებას უქადაგებს. თუ ბათას ხუმრობაში სიკეთე და უდარდელობაა, ხუცესის ქილიკობაში – სევდა და სიავეა. როცა 1905 წლის ამბების შემდეგ ბათა ქექია სოფელს დაუბრუნდა, გზად ძველი მეგობარი საბა-სტრატიატე ხუცესი შემოეყარა. მათ შორის ისეთი დიალოგი გაიმართა, როგორც სულხან-საბა ორბელიანმა აღწერა მეფისა და ავსიტყვას იგავში.

„– მშვიდობაა, მშვიდობა, ჩემო ბათაია, მარა შენ რომ კაი ძალლი გყავდა, ის აღარაა, ისე იგულე, ვითომ არ გყოლია.

– რავა, შეკაცო, ძალღს რა დაემართა?

– რავა და მძორი ექამა ოხერს, ნამეტანი მოსვლოდა და მგონია იმან მოკლა.

– ამდენი მძორი სად იყო მერე? – შევეკითხე გაოცებული.

– შენ რომ ქურანა ცხენი გყავდა, მოკვდა და იმას დააძღა.

– ჩემ ცხენს რაღა დაემართა? – შევცბი კიდევ უფრო.

– სენაკში ყავდათ, იქიდან ჭენებით მოიყვანეს, თავლა არ იყო, ნაოფლარზე გაცივდა და სული გავარდა.

– თავლა რავა არ იყო, კაცო?

– არ იყო და ამიტომ, შენი თავლა და ფაცხა ზეკუციად ჩამოყენებულმა ყაზახებმა დაწვეს“.¹ და ასე გრძელდება ეს დიალოგი, ვიდრე საბა ხუცესი შვილის დაპატიმრების, ცოლის სიკვდილის და ოჯახის დაქცევის ამბავს ბოლომდე არ ეტყვის ბათას. მართალია, ხუცესი წუხს ამის გამო, მაგრამ გულის სიღრმეში უხარია კიდეც (ამას დიალოგის კილო და ხასიათიც მოწმობს), რადგან გრძნობს, რომ ცხოვრების უკუღმართ ბუნებას ბათა ქექიას დაჩაგვრაც შესძლებია. მაგრამ საბა-სტრატიატე მაინც სცდება: ბათა ქექიას დაჩაგვრა შეიძლება,

წახდენა კი – არა. „რა ვუყოთ, ხანდახან თუ წავიქცეოდი. წვივმაგარი ვიყავ და მაინც ფეხზე ვდგებოდი, წელში ვიმართებოდი, ღონეს ვიკრებდი და ახალი შეტაკებისათვის ვემზადებოდი“.²

სხვანაირად არც შეიძლება: ბათა ქექია ამ მიწისა და ცის ნაწილი იყო. „მე ხე ვარ, მე მიწა ვარ, მე ცა ვარ, რა ვიცი, რა არა ვარ მე...“³

და როგორც მიწას სთხოვენ ხვავსა და ბარაქას, ისე თხოვდა ბათა ქექიას სარჩო-საბადებელს ხელმწიფე, ბატონი და ეკლესია. ისიც ყველას აძლევდა და მაინც, როგორც მიწას არ გამოეღევა თავის შვილებისათვის საზრდო, ისე არ თავდებოდა ბათა ქექიას დოვლათი. ან რა გამოეღევა?

„მთელი დილა ვეზიდებოდი ამ გლეხებს რიონგალმა და მივდიოდით, მივეშურებოდით თოხებით ყანებში... ჩვენ კი არ მივდიოდით, – ისინი მოდიოდნენ ჩვენთან – ჩვენ ყანები, წყლები, ტყეები, ეწერები, მერეები და სამოვრები. მოეშურებოდნენ ეს ლორთქო სიმინდები და ნებიერი ბავშვებით გვიქნევდნენ ფუნჩულა ხელებს, შრიალებდნენ ლურჯად აბიბინებულნი და ამ შრიალით გვემუდარებოდნენ, რომ მივშველებოდით, თოხებით ძირი მოგვეფხვიერებინა, მიწა მიგვეყარა და ბალახ-ბულახი გამოგვეხილა... და თოხის ხმაურში აგუგუნებული „ოდოია“ ეშვება ძირს ალხივით, მიწაზე იშხვართება, ქვესკნელში წვენივით იპარება და სიმინდები სწოვენ ამ ბარაქიან წვენს, ივსებიან ხვავითა და დოვლათით... იზრდება ჩუმად ეს სიმინდი ამ სიმღერით დამთვრალი და გაბრუნებული... დაახვავდა თავზე ბარაქად ამ ყანებს ეს მზე, ეს „ოდოია“, ეს მიწა, ეს ალხი და იზრდება, იზრდება კურთხეული“.¹

ბათა ქექიასა და მისი მეზობლების ყანებში ღვთის თვალი ტრიალებდა. ოდი მიწის, მოსავლისა და ჭირნახულის ღვთაება იყო. ოდიში კი – მისი საპატრონებელი ქვეყანა და ისიც პატრონობდა. მეგრელი „ოდოიათი“ უგალობდა მას, კახელი კი – ოდურით.² მაღლიერი ღმერთის გულუხვი კალთა ეფარა ერთგულ სამწყსოს და მიწის ნაყოფიერებაც ზღაპრული იყო.

და როგორც ხეს სთხოვენ ნაყოფიერებას, ისე თხოვენ ბათა ქექიას სიყვარულს. ისიც მსხმოიარე ხეხილივით იყო დახუნძლული შვილებითა და ბადიშებით. მთელ სოფელს უყვარდა იგი და სოფელი სავსე იყო მისი ბავშვებით. „... ვინ იყო, ერთი მითხარით, რომელი ქალი იქნებოდა, რომ სიყვარულზე უარს მეტყოდა? – რას შობი, ბათურია? მოიცა შე სასიკვდილე!.. მაცა, ვინმე არ წამოგვესწროს!.. შენ არ მოკვდი, ბათურია... შენ არ მომიკვდი!.. – ჩურჩულებდა ვნებით სულშეტაცებული ქალი და გახურებული ნალივით ცხელი ტანით, ტუჩებით, მკერდით მეკვროდა... მათ მე ვწყურვიარ და ეს ამოდენა ბალები, ჩემი დავაჟკაცების შემდეგ სოფელი რომ აივსო, რა იცით ვისია?! ეს დედაკაცები ჩემია, მე კმაყოფილი ვარ მათი და ისინი – ჩემით... აბა, რომელ სოფელში გინახავთ თქვენ ამდენი ხალისიანი, ამდენი მხიარული, მკვირცხლონებიანი და კვიმატი ახალგაზრდობა? ეს ჩემი სისხლია, რომ იცინის, ეს ჩემი თესლია, რომ მხიარულობს...“¹

და როგორც ცას სთხოვენ წვიმასა და ტაროსს, ისე თხოვდნენ ბათა ქექიას სიცილსა და ხალისს. ისიც ილხენდა და სხვასაც ალხენდა, ისიც ხარობდა და

სხვასაც ახარებდა. სიცილით ებრძოდა წუთისოფელს და „სიცოცხლის ყურ-
მოჭრილი ყმა ქედმაღალი ბატონი“ იყო.² ამიტომ ალიონზე ამდგარი და გარეთ
გამოსული, ეძახდა ფრინველებს, პირუტყვებს მთელ ქვეყანას – გძლიე!..
გძლიე!.. გძლიეო!..³ ესეც წარმართული ჩვეულება იყო. ძველ ქართველს დაბე-
ჯითებით სჯეროდა, რომ მერცხალს თუ ვერ სძლევდი, მთელი ზაფხული ცი-
ებ-ცხელებით იქნებოდი ავად. ამიტომ მერცხალმა რომ არ გძლიოს, მის დანახ-
ვამდე დილით ერთი ყლუპი ღვინო მაინც უნდა გქონდეს დალეული. გუგული
რომ დასძლიო კაფე-თესეს გაგონებამდე უნდა გქონდეს შეჭმული პურის ნაჭე-
რი. ბატები დილით აუცილებლად ფეხჩაცმულმა უნდა ნახო, თორემ ისინი
გძლევენ და ფეხის ტკივილი არ აგცდება. იხვებს კი უეჭველად თმადავარცხნი-
ლი უნდა შეხვდე, თორემ ნაჯობნი დარჩები და თავის ტკივილით გაწამდები.
კაცმა მეხსაც უნდა სძლიო და ელვასაც, თორემ ზურგისა და კბილის ტკივილი
არ მოგვასვენებს. ამიტომ გაზაფხულზე მეხის გაგონებისთანავე ქვას უნდა სტა-
ცო ხელი. თუ ქვა არსად არის, ზურგში ხელის ცემით უნდა იყვირო – ზურგი
მაგარი, ზურგი მაგარიო!.. ელვის დანახვისას კი უთუოდ რკინა ან ფოლადი
უნდა გეჭიროს პირში და ეს დაგიფარავს კბილის ტკივილისაგან.⁴

მერე რა, რომ ეს მართლა ასე არ არის? სამაგიეროდ ლამაზი და პოეტუ-
რია. „მე ხომ პირუტყვი არა ვარ, – ამბობს ბათა ქექია, – ასე ჰაერზე ვიცხოვრო?
მე ადამიანი ვარ და რაღაც ხომ უნდა მქონდეს სახელმძღვანელოდ? ცრუ იყოს
ეს, ტყუილი იყოს, უკეთესი მე არა მაქვს და ჯერჯერობით ამას ვჯერდები“.¹

და ბათა ქექიაც ცხოვრობდა სილამაზითა და სიჯანსაღით, სიხარულითა
და ტკივილით, სიძულვილითა და სიყვარულით, სიმართლითა და ტყუილით.
ამით იყო იგი უძლეველი.

იდგა ბათა ქექია ცხოვრების შუაგულში და ცხოვრება მიდიოდა დატრია-
ლებულ წისქვილივით. მიწას ხვნი უნდოდა და ბათაც ხნავდა, სიმინდს – თოხ-
ნა და ბათაც თოხნიდა, ტყეს – ჭრა და ბათაც ჭრიდა, ცოლს – ჩხუბი და წოლა
და ბათაც ეჩხუბებოდა და უწვებოდა, შვილებს – პატრონობა და ბათაც პატრო-
ნობდა, მტერ-მოყვარეს – შესაფერი დახვედრა და ბათაც უხვდებოდა, ცხოვრე-
ბა მიდიოდა ჯახირს და წვალემაში, ბათაც ჯახირობდა და წვალობდა. ცხოვრე-
ბის ყოველ შემოტევას სიცილის იარაღით უმკლავდებოდა. არსებობის ფუძე
სიცილის სიბრძნე ყოფილა. ამ სიბრძნით შეიარაღებული ბერიკა ბათა ქექია გა-
მარჯვებული დაბერდა. ცხოვრების ოინებს მხოლოდ ერთხელ ვერ უპასუხა ბა-
თა ქექიამ სიცილით, როცა ბაზრობაზე მისი სიჭაბუკისა და ვაჟკაცობის ოცნება,
სიყვარული და სილამაზე სიდუ დანელიხე ნახა დაბერებული. დროს მოეკლა
ამ ქალის მშვენება. უკბილო, დამჭკნარი, მიხრწნილი დედაბრის პირით ცხოვ-
რებამ გაიცინა და ბათა ქექიას უკანასკნელი თამაში მოუგო. სიცილის ოსტატი
ისევ სიცილით დამარცხდა. ასეთი ყოფილა ცხოვრების კანონი. მისი დარღვევა
არავის შესძლება. ვერც ბათა ქექიამ მოახერხა ეს.

ბოლოთქმა

რაკი ასე თუ ისე სრულად გავეცანით კონსტანტინე გამსახურდიას და დემნა შენგელაიას იმ ნაწარმოებებს, რომლებშიც მითოლოგიური ამბებია გამოყენებული, შეგვიძლია უკვე ზოგადი დასკვნაც გამოვიტანოთ.

ჩემი დაკვირვებით, ორივე მწერალი მითოლოგიას ძირითადად ოთხი ასპექტით იყენებს: ეროვნული კოლორიტისა და ატმოსფეროს შესაქმნელად, ხასიათის დასახატად, სიუჟეტური პერიპეტეიების ასაგებად და ალეგორიული შინაარსის გადმოსაცემად.

მითი – ეროვნული კოლორიტისა და ატმოსფეროს შექმნის საშუალება.

„მთვარის მოტაცების“ თითქმის პირველი სტრიქონიდანვე, როცა მწერალი ერგეაშვას აღწერას იწყებს, მკითხველი მითოლოგიურ სამყაროში გადადის. საკმარისია ერგეაშვას ხსენება, რომ ასოციაციით თედო სახოკიას ნაამბობი გაიხსენოთ. სამურზაყანოში მწყემსების რწმენით, წერს იგი, ერგე ღვთაებაა, რომელსაც ცის მნათობნი მორჩილებენ. უიმისოდ მზე დილის ნამს მარგალიტებად ვერ ააბრჭყვიალებს, მთვარე ვერ ამობრძანდება და ამინდი ვერ შეიცვლება. ელვაც, ჭექა-ქუხილიც და წვიმაც ერგეს ექვემდებარება. როცა კოკისპირულად წვიმს, მწყემსები ცეცხლს შემოუსხდებიან და ერგეაშვას დააგუგუნებენ. თ. სახოკიას განმარტებით ერგე ღმეთის სახელია, აშვა – კი აფხაზურად სიმღერას ნიშნავს.¹ თუ „მთვარის მოტაცებაში“ ერგეაშვა მხოლოდ სიმღერაა, რომელსაც „მოგზაურთა, გზამოჭრილთა და წყალში გაჭირვებულთა გასაგონად“ მღერიან, „ტაბუში“ ერგე და ერგეაშვა თითქმის თ.სახოკიასებრ არის ახსნილ-განმარტებული: „დაუღალავი მზის სახელს ვფიცულობდით, ერგე იყო ჩვენი მფარველი, მას ექვემდებარებოდნენ ცის მნათობები, ტაროსი და ავდარი. ტყეში რომ წვიმა მოგვისწრებდა, დიდ ცეცხლს დავანთებდით – „ერგეაშვას“ შემოვძახებდით“² ერგეაშვას სიმღერით მწერალს საოცარ ქვეყანაში შევყავართ. ამ ქვეყანაში ტაბუიზმის გადმონაშთი დარჩენილა და ვაშინერსი ისევ ბატონობს. ამიტომ აქ მგელი, ტურა, დათვი სახელუშინუ არის (ე.ი. მათი სახელის ხსენება არ შეიძლება). აქ დათვს უწუნდური ან ბურდლინა ეწოდება, მელას – მოძვანძვალე ან უჭუ-უხაშუმ-მაჭკომალი, ტურას – კვალიჭყერი, თაგვს – კიბირმოჭკადული, ჭიანჭველას – პუხმეტახილი, გველს – უჩაღართამი, ქორს – ჟინმალუ, ყვავს – დუდურა.³ „მავნეს სახელს არასოდეს დავუძახებდით, გვეშინოდა ხსენებას სული არ გამოეწვია. დათვს „უწმინდურს“ ვეძახოდით, ტურას – „კვალდაწყველილს“, თაგვს – „კბილებმოჭედილს“, ჭიანჭველას – „კუზიანს“, ქორს – „ზემავალს“, ყვავს – „დუდურას“, გველს – „შავჩოხიანს“, მავნეს – „უსახელოს“ („ტაბუ“).¹

სხვათა შორის, ვინ იცის და დასავლეთ საქართველოს სამეფოს ძველის სახელი – ეგრისი – ერგესთან იყოს დაკავშირებული და ეთნონიმშიც – მეგრელი – იმ ოდინდელი ღვთაების სახელი ისმოდეს. ასეა თუ არა, ერთი რამ მაინც ცხადია: ერგეს ქვეყანაში წარმართული ჩვევებით სული ზეიმობს და ადამიანის ბუნება ილხენს. „ზაფხულზე კაც ზვამბაიას მიჰყავს ბავშვები მთაში, ტყეების უფალის – „მიზიტხუს“ პირველ ყვავილების სადღესასწაულოდ: შინ დარჩენილები სახლებსა და ფაცხებს ყვავილებით და მწვანით მორთავენ“.² ჩერქეზულ-

აფხაზური ღვთაება მიზითჰუ ტყეებისა და მონადირეთა პატრონი ყოფილა. იგი ოქროსჯაგრიან ტახზე იჯდა და ტყე-ტყე დაჰქროდა. მას ნადირობაში ხელის გამართვას ევედრებოდნენ მონადირეები. მიზითჰუს თითის განძრევაც საკმარისი იყო, რომ ირმები და შვლები ველად შეგროვილიყვნენ. მერე კი უტურფესი ღვთაებრივი ქალწულები წველიდნენ ფურებს.³ ყვავილებითა და ხის ფოთლებით შუბლდამშვენებული ხალხი ტყეში და მინდორ-ველად ოთხყურა ბალახს ეძებდა. ოთხყურა მიზითჰუს ბალახი იყო და ბედნიერების ნიშნად ჰქონდათ მიჩნეული. იპოვიდნენ თუ არა, ეგ სულერთი იყო: შინ მაინც ჰიძინებინ სიმღერით ბრუნდებოდნენ. ტყეების უფალს მწუხარება არ უყვარდა. თუ ტყე ადამიანის მეგობარი იყო, სამაგიეროდ ჭაობი მტრობდა მას. „მიცვალებულის თვალებივით გამოციებული და მოწყენილი, უჟმური და ციება ბინადრობდნენ ამ ჭაობებში. აქ მიწის კაცი შემხვედრია შებინდულებზე, პირადმა მწოლარე ცას რომ უშვერდა თავის წითელ, ხორკლიან მუცელს („ტაბუ“).⁴ დიხაშკოჩი პატარა, ჯუჯა კაცია. იგი მიწაზე ძლივს დალოდავს. ეზო-ეზო იმალება, რომ ადამიანს მოულოდნელად გადაეყაროს. რაკი სირბილი არ შეუძლია, მსხვერპლს ვერ გამოედევნება და ადამიანიც იოლად გაექცევა. ამიტომ ცდილობს ადამიანს მიეპაროს, ფეხებში შეუძვრეს და გააშემოს. მაშინ კი ჰკუაზე შეშლა არ ასცდება კაცს. ქვეითებს გარდა, ცხენოსნებსაც მტრობს. მხედარს აღვირში უტაცებს ხელს და ცხენს მოუნუსხავს. მონუსხული ცხოველი კი ადგილიდან ვეღარ იძვრის.¹ ასეთი ეშმაკი და ღვთისპირიდან გავარდნილი ვინმეა დიხაშკოჩი ანუ მიწის კაცი. არც მთვარეა მაინცდამაინც მთლად კეთილი სული. მეგრელს ისე ღმერთის არ ეშინია, როგორც მთვარისო – გვიამბობს არაქანჯელო ლამბერტი. წარმართი ქართველის რწმენით, მთვარეზე ყოფილა დამოკიდებული ადამიანის ბედი და უბედობა, სწეულებანი და სიკვდილიც კი. მთვარის განრისხება არასგზით არ შეიძლება, თორემ უბედურებას ვერ ასცდება კაცი. ორშაბათობით დიდი გულმოდგინებით ეთაყვანებოდნენ მთვარეს, ამ დღეს მთვარის დღე – თუთაშხა ჰქვია. თუთაშხობით მგზავრად წასვლა არ შეიძლება, რაც უნდა დიდი საქმე ჰქონდეს კაცს. წყურვილით რომ კვდებოდე, წყალს ვერ დალევ, რადგან ორშაბათობით მთვარე ძალას იჩენს და გველებით, ჯოჯოებით და სხვა შხამიანი ხვითქებით წამლავს მდინარესა თუ წყაროს წყალს. არც სახლიდან რაიმეს გაცემა შეიძლება – არც სანათხოვროდ, არც საჩუქრად, არც გასაყიდად, თორემ მთვარე განრისხდება და ბარაქა, დოვლათი, სიმდიდრე დაეკარგება სახლს. დარჩები ღარიბ-ღატაკი და უბედური. ახალი მთვარე რომ გამოჩნდება, აუცილებლად ხელი უნდა გაიშვირო მისკენ, ან ხმალი ან დანა უნდა უჩვენო, ქუდი უნდა მოიხადო და თაყვანი სცე.² ასეთია წესი. ასე სჯეროდა წარმართ ქართველს, ასე სჯერათ კაც ზვამზაიას და მის ცოლს ხათუნას. „ამოვა ახალი მთვარე. კაც ზვამზაია ხელს წამოავლებს არზაყანს და თარაშს, ჯერ მთვარეს უჩვენებს, მერმე სატევარს იძრობს და გაოცებული ბაღლები მისჩერებიან გაშიშვლებულ სატევარს, მთვარის შუქზე მოვარვარეს. მთვარის ეშინიათ რატომღაც ძიძასაც და მორდუსაც. ამიტომაც მთვარის დღეს – ორშაბათს, მორდუ სამგზავროდ არ წავა, ძიძა თავს არ დაიბანს, არც არავინ

სვამს ოქუმის წყალს ამ დღეს, რადგან მთვარე ამ დღეს გაკაპასებულია, ვემაპებს, გველებს, ჯოჯოებს და ხვლიკებს მოაწამლვინებს წყლებს“.³ ეს ცხოვრების წესია, ზნე და ჩვეულებაა ხალხისა. ამ წარმართულ ჩვევებს ერი პატივს სცემს, როგორც ცხოვრების საუკუნეებით შესისხლხორცებულ კანონს. სხვათა შორის, ამის დამადასტურებელ ფაქტად გამოდგება ე. შამბას ნაამბობიც. თურმე, როცა აფხაზი „კიარაზში“ (აფხაზ წითელგვარდიელთა მებრძოლი რაზმი) შედიოდა და სოციალისტურ რევოლუციას ერთგულების ფიცს აძლევდა, ამბობდა – „უკანასკნელ სისხლის წვეთამდე შევებრძოლები რევოლუციის მტრებს, აზნაურებს და თავადებს, რაც საზეიმოდ აღუთქვი აჟირასა და ხალხს. და თუ უკან დავიხევ, დე დამსაჯოს ხალხმა და აჟირამ“.¹ რა უნდა იყოს უფრო უცნაური და, ერთი შეხედვით, შეუსაბამო, ვიდრე სოციალისტური რევოლუციის ჯარისკაცის ფიცია სამქედლოების წარმართული კულტის – აჟირას – წინაშე? მაგრამ ეს ხალხის ისტორიული ცხოვრებით გაპირობებული მდგომარეობაა. ვერც ქრისტიანობას და ვერც მაჰმადიანობას ვერ ამოუწვავს აფხაზის სულში წარმართული ღმერთების პატივისცემა. უფრო მეტიც, როგორც დავინახეთ, მას წარმართული ღმერთი მოკავშირედ მიაჩნდა სოციალიზმისათვის ბრძოლაში. ამდენად, წარმართულ ზნე-ჩვეულებებში ყველაფერი ბუნებრივია, ჩვეულებრივი და ახლობელი. ამიტომ მკითხველსაც არაფერი ეჩვენება უცნაურად.

მითოლოგიურ-წარმართული სამყარო და რეალური ყოფა ერთი სინამდვილის სხვადასხვა მხარე გამხდარა. მათი გათიშვა აღარ შეიძლება. სინამდვილის მხატვრული უკუფენის დროს ორივე მხარეს თანაბარი ჩვენება უნდა, თორემ იგი (სინამდვილე) შეიძლება ცალმხრივად და გაღარიბებულად აისახოს, დააკლდეს ფერი, საღებავი და ეშხი. ეს რომ არ მოხდეს კ. გამსახურდიასა და დ. შენგელაიას უხვად შემოაქვთ თავიანთ ნაწარმოებებში, ერთი მხრივ, წარმართული მისტერიები და, მეორე მხრივ, მითოლოგიურ სამყაროსთან ურთიერთობის ენა – მაგიური ტექსტები. მიუხედავად ამ სიუხვისა, ზომიერების საზღვარი არ ირღვევა. ლუკაია ლაბახუას გაცხენება („მთვარის მოტაცება“) იქნება თუ კოჩა ივარდავას მისტერიები („გურამ ბარამანდია“) ორივე ფაქტიურად ყოფის სურათებია და არა მხოლოდ იდუმალებითმოსილი რელიგიური პროცესიები.

მაგიური ტექსტებიც აღიქმება როგორც წინაპართაგან დატოვებული ყოფის ნაწილი. მაგიურ ტექსტებში საუკუნეების სიღრმეში ჩაკარგული ქართული სინამდვილის ხმა ისმის. მართალია, ამ ხმას ხშირად ინსტიქტით უფრო სწვდები, ვიდრე გონებით, მაგრამ ადამიანი მარტო გონებით ხომ არ ცხოვრობს? მას ინსტიქტიც შველის არსებობაში.

*„მეფეო დედაო,
დედაო უღვთო!..
უქმური, ან-ბან, დადგომილი დადგა, –
მომავალი მოვა!..
ჰეიზე, ჰოიზე!..*

*ებეჭე, საბეჭე!..
გახილე კიდობანი, –
ქალი და შვილი დადგა!
/„სანავარდო“),¹*

*„აზალაგანი: ზაზალაგანი:
ასრნი: პასრნი: პასრაგანი:
სერუსტემ: ხურუსტემ:
იკართი: მიკართი:
ალასმერთი: არალმერთი:
არაწმიდა: მერე შენ ამას:
აისთა და მისთა:
და სულისა წმიდისათა, ამინ“.
/„დიონისოს ღიმილი“).²*

ესეც ქართული სინამდვილეა. მისი ელფერი, პეწი და კოლორიტი.

ერთი სიტყვით, ყველაფერი – თხაჭურობა თუ ლამარიობა, მალანურობა თუ აგუნები, თერდობა თუ წმინდა მუხის დღესასწაული, მესეფობა თუ აჟირა – გადმოგვცემს ხალხის ცხოვრების ხასიათს, ბუნებასა და თვისებებს. ყველაფერში მჟღავნდება საუკუნეებით განმტკიცებული და გამომუშავებული ზნე, ჩვევა, რწმენა. იგი განპირობებული და დადასტურებულია ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრებით. ამიტომ ანიჭებს მითოლოგიური ამბები კ. გამსახურდიასა და დ. შენგელაიას რომანებსა და მოთხრობებში აღწერილ ყოფას განუმეორებელ ეროვნულ სურნელსა და ელფერს.

გარდა ზემოთქმულისა, მითი პერსონაჟთა ხასიათსა და თვისებებსაც აპირობებს. კ. გამსახურდია „დიონისოს ღიმილის“ ბოლოსიტყვაობაში წერს, რომ „... ქართული ქრისტიანული ეკლესია არასოდეს ისეთი ძლიერი არ ყოფილა, როგორც თუნდაც კათოლიკური და ორტოდოქსალური რუსული. სწორედ, ამიტომაც გლეხური მასები საქართველოს მოსახლეობისა სათანადოდ ვერ მოთრგუნა ქართულმა ეკლესიამ. და ამასთანავე ამ უკანასკნელს ძალაც არ ეყო ქრისტიანობამდის არსებული რელიგიების ფესვები ამოეთხარა ქართული სინამდვილიდან. ტაია შელიას სახით მე წარვუდგინე ქართველ მკითხველს ქრისტიანობისგან დაუთრგუნველი, მაგრამ მაინც ცრუმორწმუნე (ისეთი, როგორც იყო არსებითად ქართველი გლეხი), ნახევრად წარმართი“.¹ არა მარტო გლეხობა, არამედ საზოგადოების სხვა ფენების წარმომადგენელნიც დიდად განიცდიან წარმართობის გავლენას. მართლმადიდებელი მღვდელი ტარიელ შარვაშიძე, აღდგომა დღეს, ისეთ ჰიმნს გალობს, რომელშიც აღრეულია ქრისტიანული და წარმართული რწმენის ელემენტები. წმინდა მუხის ქურუმი ლომკაც ესვანჯია ეკლესიის მსახურებს ეჯიბრება ქრისტიანული რელიგიის წესების აღსრულებაში. ნათავადარი თარაშ ემხვარი თვალეზგაბრწყინებული მისჩერებია ლუკაია ლაბახუას გაცხენების მისტერიას. ასე, რომ, შეგნებულად

თუ შეუგნებლად, წარმართული რწმენის პატივისცემა საერთო ქართული მოვლენა იყო და მეტნაკლებად ამას საზოგადოების ყველა ფენა ამჟღავნებდა.

კ. გამსახურდიასა და დ. შენგელაიას ზოგიერთ პერსონაჟს მითოლოგიურ-წარმართული სამყაროს გავლენა იდუმალებით მოსავს და არამიწიერ თვისებებს მიაწერს. ასეთია არამარტო უჩადართამისა და ნერჩი პატენის ქურუმი კოჩა ივარდავა („გურამ ბარამანდია“), არამედ ტაია შელიაც („დიონისოს ღიმილი“) და თამშულ დანელიაც („ბათა ქექია“). რაღაცით ისინი ჰგვანან კიდეც ერთმანეთს. ალბათ, უმთავრესად იმით, რომ სამივე გულის ფესვებით უკავშირდება წარმართობას. ქრისტიანული რელიგიის დოგმატები ვერ მორევია მათ. ისინი ინარჩუნებენ პირველყოფილ ადამიანურ სილადეს, ენერგიას, ცხოვრებით ტკბობის უნარს და თავისუფლებას. ეს თვისებები განსაკუთრებული ინტერესით მოსავს მათ მკითხველის თვალში. უფრო მეტიც, თავად ავტორებიც ტენდენციური თანაგრძნობით ექცევიან ტაია შელიას, კოჩა ივარდავასა და თამშულ დანელიას. ვერ დაუმაღლავთ ფარული აღტაცება, რასაც სამივე პერსონაჟი იწვევს. ეს აშკარად იგრძნობა თითოეული მათგანის ხატვასა და აღწერაში.

მოვიტანოთ ტაია შელიას ავტორისეული დახასიათება:

„თევზაობისა და ნადირობის დროს გველი თუ შეგვეფეთებოდა, შეჩერდებოდა. ნებანებას მიუშვებდა. ორ თითს ტუჩზე მიიდებდა. შეულოცავდა. უნდა გენახათ წელმოტეხილი ქვემძრომი უმწეო სხმარტალს რომ დაიწყებდა. დაიხრებოდა. კისერში ხელს წაავლებდა. თოკივით დახეშავდა და ახალუხის ჯიბეში ჩაიდებდა.

ჯარობისა და ხატობის დროს, როცა ჩვენი სოფლის გლეხები ეკლესიის მოედანზე ღრეობდნენ, ჯირითობდნენ და ცეკვავდნენ, ტაია შეუმჩნევლად ბრბოში გაერეოდა (ტაიას არასოდეს უცეკვნია ქალთან), გაშლიდა ხელებს, ერთს ჩაუვლიდა. ცხვირსახოცის ნაცვლად გველს დააგდებდა მიწაზე და ისე დაუვლიდა, როგორც შეპყრობილი სუჯუნის წმ. გიორგის მონა. ვინ ანდობდა მას ან რძალს, ან სასძლოს!

...

ავცია. მეოცნებე. გაქსუებული. სახნისის, ნაჯახის და თოხის ხელის შევლება ეზარებოდა. არც კოჟრები უნახავს ვინმეს ტაიას ხელზე. მეთევზე და მეჯოგე. უბადლო მოჯირითე. შეუდარებელი მსროლელი.

ხელში ან თოფი ეჭირა, ან სასროლი ბადე და ანკესი. მთელი ღამეები ნოთეზე დავყავდი. დღისით დუქნის წინ იჯდა. ლოთობდა, ან ნარდს თამაშობდა, ოხუნჯობდა. ქორწილებში პირველი თამადა, ქელეხებში მოზარეთ-უხუცესი. ხანდახან ისეთ მიცვალებულს დაიტირებდა, სიცოცხლეში რომ თვალით არ ენახა. შორეულ სოფლებში მიჰყავდათ ტაია შემცხადებისა და ზარის მოსაწყობად.

მისივე ხელობა იყო: ხატზე გადაცემა, თავზე შემოვლება.

როცა ტაიას ვინმეს დააწყევლინებდნენ, ხარის უღელს მიაჰქედავდა წმინდა გიორგის ეკლესიის ცაცხვზე.

„საქმე მორჩომილია“, ამბობდნენ გლეხები. მთელ სოფელს ემინოდა მისი“.¹

კოჩა ივარდავასაც ასეთივე თვისებები აქვს, ოღონდ უფრო დიდი დოზით.

„ტანმორჩილი, მაღალი შუბლი, კეხიანი ცხვირი, წითელ თმაში ოდნავ ჭადარა შეჰპარვოდა, ჟღალი თვალები, შემოხედვა წკვარამი და წელში გამღუნავი.

ხან ამაყი, შეუპოვარი, ენა კვინწარი, ხან მორჩილი, სათნო და გველივით ბრძენი.

...

კატასავით მოქნილი, მარდი და ონავარი.

...

ერთი შეხედვით წიწილებს დააწყობდა, ხარს წელში გაღუნავდა, ვაჟკაცს კაცობას დაუკარგავდა, დედკაცს დააბერწებდა და ორსულ ქალს მუცელს მოუშლიდა.

...

მისი ცხენოსნობა მთელ ოდიშში იყო განთქმული.

როცა ის კაფანდარა, მოხდენილი და პატარა, ცხენს კატასავით მოახტებოდა, იყო: ეშმაკი, მავნე“.²

არც თამშულ დანელია („ბათა ქექია“) ჩამოუვარდება კოჩა ივარდავას. ისიც საოცარი კაცია.

„ტანად კაფანდარა და ყავარივით გამხდარი, იჯდა – მუჭის ოდენად იყო მოკუმშული, წამოდგომას რომ დაიწყებდა – იზრდებოდა, იზრდებოდა და ასე გრძელდებოდა კუდის რიკზე შემართული გველივით. წელში რომ გაიმართებოდა, იმსიმაღლე იყო, თვალს ვერ შეუწვდენდი და მაღლა, სადღაც დასაკარგავში, ეკიდა მისი კიტრივით წაგრძელებული თავი“.

თამშულ დანელია ცალთვალა იყო, მაგრამ „მისი სკვარამი შემოხედვა ქვას ხეთქდა შუაში, კამეჩს ღუნავდა წელში და საცოდავს შავ დღეზე დაბადებულებით აბღავლებდა“.

თამშულ დანელია ცხენის ქურდი და სწორუპოვარი მოჯირითე იყო. „უნაგირს რომ მოახტებოდა და ერთს ჯიქურად რაღაც უცნაურს დასჰყივლებდა, ცხენი მკვდარიც რომ ყოფილიყო, ქარად იქცეოდა და ორივე, ლაფშა და კაცი, ერთ არსებად იყვნენ ჩამოქნილნი“.¹

ორივე, კოჩა ივარდავაც და თამშულ დანელიაც, უსამველოდ ზარმაცი და მცონარეა. თუ კოჩა ივარდავას „მუშაობა ჭირივით ეზარებოდა და თოხი იშვიათად ეჭირა ხელში“, თამშულ დანელია „ჩხირის თლასა და მცონარეობაში ატარებდა უძილო ღამეებს“.

სამივე პერსონაჟის დახასიათებას თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება შემდეგი საერთო დასკვნა გავაკეთოთ: სამივე იგავმიუწვდენელი ცხენოსანი და მოჯირითეა, სამივე უქნარა და იოლი ცხოვრების მოყვარულია, სამივეს არამიწიერი თვისებები აქვს: შეხედვით გველსა და კამეჩს გატეხენ წელში, ქალს მონუსხავენ, ფეხმძიმეს მუცელს მოუშლიან, ვაჟკაცს წაახდენენ და კაცობას წაარ-

თმევენ. მერე და რით შეიძლება აიხსნას მათი ეს თვისებები? უთუოდ წარმართული ჩვევებით. ისინი მითოლოგიურ-წარმართული ღმერთების მოგვებს ჰგვანან. თუმცა არავითარ რელიგიურ სექტას არ ეკუთვნიან. პირიქით, მათი ლაღი და თავისუფალი ბუნება მორჩილებას ვერ იტანს. რელიგიური ფანატიზმიც უცხოა მათთვის. მაგრამ თუ მაინც ქურუმებს გვაგონებენ, ეს იმიტომ, რომ წარმართულ ზნე-ჩვეულებას სათუთად უვლიან და მოწიწებით ექცევიან. ეს მათი სულის მოთხოვნილებაა და არა ძალდატანებით ასრულება რიტუალისა. მართალია, სამივე გულის ფესვებით უკავშირდება წარმართობას, მაგრამ ამ დამოკიდებულების ხასიათი მაინც სხვადასხვაგვარია. ყველაზე ღრმად კოჩა ივარდავას („გურამ ბარამანდია“) უდგას ფეხი წარმართობასა და მითოლოგიურ სამყაროში. მისი წინაპრები წარმართულ ღვთაებათა ქურუმები იყვნენ და „უკანასკნელი ნაშიერი ამ დიდი ქურუმთა მოდგმისა იყო კოჩა ივარდავა“. იგი „თაყვანსა სცემდა უჟმურთა უჟმურს, თხის ჭურს, გველთა ბატონს უჩაღართამს, ადგილის დედას ნერჩი პატენის“...² თუ კოჩა ივარდავა ჭეშმარიტი მოგვია წარმართობისა, ტაია შელია („დიონისოს ღიმილი“) ნახევრად ქურუმია. ეს მკაფიოდ ჩანს როგორც მის დახასიათებაში, ისე საქციელში. ჯერ ერთი, ტაია შელია ნახევარსულიანი იყო, ამბობს კონსტანტინე სავარსამიძე: „იგი მუდამ ამღვრეულია, ადამიანის თვალი მის უფსკრულებს ვეღარა სწვდება, ყველას მეჩხერი ჰგონია. ასეთი ნახევარსულიანი სხვას თავისებურს რომ შეჰხვდება, დიდი და საოცარი ნათელი უნდა ადგეს მაშინ მიწიდან. ასეთი ნახევარსულიანი იყო ტაია შელიაც“.¹ მეორეც, ტაია შელია გულთმისანი და გველების მგეშავია. „ტაია შელიას ისლის სახლსაც ჰყავს თავისი მფარველი გენია. ის გველი ჩემი გამზრდელის ლოგინის ქვეშ იწვა დღენიდაც“.² მესამეც, როცა ბავშვობაში კონსტანტინე სავარსამიძე ავად გახდა, მორდუ ტაია შელიამ წარმართული რიტუალი შეასრულა და ბალღს მოზვერი შემოავლო თავს: „მეორე დღეს ძიძამ ჩემი ლოგინი შუა ცეცხლთან დადგა, ფაცხის კარი გააღო. მორდუს მოზვერისთვის რქაში წაეწლო ხელი, ფაცხაში შემოჰყავდა... მორდუმ სამჯერ შემოატარა მოზვერი ჩემი ლოგინის გარშემო. რაღაცეებს ბუტბუტებდა. მალ-მალე ახსენებდა წმ. გიორგის. ძიძამ შავტარიანი დანა მოუტანა. მორდუმ კარის ზღურბლამდის მიიყვანა მოზვერი. ცალი ყურის წვერი ულმობლად წაათალა. გააგდო“.³

თამშულ დანელიას („ბათა ქექია“) მოგვობისა და ქურუმობის პრეტენზია არ ჰქონდა, მაგრამ არც ის იყო სხვაზე ნაკლებ „სასწაულმოქმედი“. „ქრისტიანი იყო წყეული და ხატი და ეკლესია არ დაენახებოდა“.⁴ გაუგებარს, ბნელსა და უცნაურს ლოცულობდა. არავის ესმოდა მისი ლოცვის აზრი. გაცინებული არავის უნახავს. იყო ერთი აჯამი და სკვარამი. ერთადერთხელ ცხენის ქურდმა ბასაია ჩანბამ ნახა გაცინებული და იმ დღიდან საცოდავი ჩანბა დასწეულდა, სანთელივით დადნა და ჩხირივით გახმა. სიკვდილის წინ გამოტყდა თურმე ბასაია ჩანბა: თამშულ დანელია დაკაცებულ ცხენად გამომეცხადა, ცხენის სულივით აიმართა ჩემწინ აჭიხვინებული და წამახდინაო კაციშვილი.⁵ რით არ არის ეს მითოლოგიური ღმერთის საქციელი? ასეთი მეტამორფოზები ხომ ჩვეულებრივი ამბავია მითოლოგიურ თქმულებებში! დ. შენგელაია იყენებს მითოლო-

გიურ ელემენტებს, რომ ხაზი გაუსვას, განსაკუთრებით გამოყოს პერსონაჟის უცნაური, იდუმალეობით მოსილი თვისებები.

ნიკა აგიაშვილმა გაიხსენა, რომ ერთხელ გალაქტიონ ტაბიძეს უთქვამს – უნდა გქონდეს საკუთარი სამყარო, რომელიც არაფრით ჰგავდეს სინამდვილეს, მაგრამ რეალური კი იყოსო. ერთი შეხედვით, ტაია შელია, კოჩა ივარდავა, თამ-შულ დანელია არ ჰგავდნენ ნამდვილს, მაგრამ რეალურნი კი არიან. იმიტომ, რომ, ერთი მხრივ, საკუთრივ ქართული სამყაროს ღვიძლი შვილები არიან, ხოლო, მეორე მხრივ, – კ. გამსახურდიასა და დ. შენგელაიას ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფი. ორივე მწერლის შემოქმედება მტკიცედ ემყარება ქართულ მითოლოგიურ სამყაროს. ეს საშუალებას აძლევს მათ, ღრმა ეროვნულ კოლორიტთან ერთად, პერსონაჟებს მიანიჭონ ტრანსცედენტული თრთოლვა, ხიბლი და იდუმალეობა.

როცა ერთბაშად თვალს გადავავლებთ ამ წიგნში განხილულ ნაწარმოებებს, დავინახავთ, რომ მითი სიუჟეტური პერიპეტიების შესაქმნელადაც გამოიყენება.

იმ წვიმიან და უკუნეთ ღამეს, როცა კოჩა ივარდავამ გურამი შინ წაიყვანა („გურამ ბარამანდია“), წმინდა გიორგი ებრძოდა გველეშაპს. ამ ბრძოლაში კოჩა ივარდავაც მონაწილეობდა (აკი ამბობს თავად გურამი – წმ. გიორგისთან ბრძოლაში დაიღუპაო ჩემი მორდუ!).

„... გაისმა შემზარავი ქუხილი, თითქოს ცა ჩამოსკდა და იქვე მეხდაცემულ ჭანდარს ცეცხლი გაუჩნდა, ცეცხლიდან თოვლივით თეთრ რაშზე ამხედრებული წმინდა გიორგი ავარდა ზევით და მოისმა ჭექა:

*– სად მიხვალ შენ, წყეულო კაცო!
არ გაგიშობ მე, წმინდა გიორგი,
კაცთა ავთაგანს!..
თვალთა ლახვარი,
ვაი და ვუი,
ქვაი და კუი,
ასკილისა კილი
წმინდა გიორგისა ლახვარ-ბოძალი
კაცთა ავთაგანს!..*

და წმინდა გიორგი ელვა-ჭექით შემოსილი ყალყზე ამდგარი რაშით, ეკლესიის ქვითკირის გალავანს გადმოეცვლო და ლახვარმომარჯვებული გამოექანა ცხენოსნებისაკენ.

მორდუ შეტორტმანდა, ელვის სინათლეზე თვალეები აჰკვესა, ხელი აიქნია და დაიკვილა:

*– მეფეო დედაო,
დედაო უღვთო,
მომეხმარე!..*

ტყემ დაიღმუვლა, ადგა უზარმაზარი გველეშაპივით და როყინით, ყეფით წმინდა გიორგის დაეტაკა.

ტყე იქნევდა ასწლოვან მუხებს, ხეები იმსხვრეოდა, ღმუოდა დათვივით, მაგრამ წმინდა გიორგიმ დაჰკრა ლახვარი, ინათა ელვამ, ტყემ დაიღმუვლა და ავარდა ცეცხლი“.¹

შეიძლება ვიფიქროთ, რომ „გურამ ბარამანდიაში“ აღწერილი ამ ჯოჯოხეთური ღამის სურათში მოცემულია წარმართული და ქრისტიანული საწყისების ბრძოლის ქარაგმული ამბავი. რა თქმა უნდა, დ. შენგელაიას ეს ბრძოლა არ აინტერესებს როგორც ისტორიული ფაქტი. აქ თავისუფალი (კერძოდ, კოჩა ივარდავას) სულის დათრგუნვის ამბავია არეკლილი. ამ ბრძოლაში ერთ მხარეს არის გველეშაპი, მუხების ტყე და კოჩა ივარდავა, მეორე მხარეს – წმინდა გიორგი. წარმართულია გველეშაპი, მუხების ტყე (წმინდა მუხაზე უკვე გვქონდა ლაპარაკი) და მათი ქურუმი კოჩა ივარდავა; ქრისტიანულია წმ. გიორგი. წარმართობის დაგვიანებულმა ქურუმმა კოჩა ივარდავამ ბრძოლა წააგო: კოჩამ გურამი შინ მიიყვანა, აივანზე აიყვანა, იატაკზე დასვა, „შუბლზე ხელი გადაისვა, თვალები უცნაურად აახამხამა და სულგავარდნილი მოსხლეტით დაეცა“...²

წმ. გიორგიმ დასაჯა ხვარამზეც („ტაბუ“). სატანა მიუდგა ხვარამზეს და ქალმა შვა მორიელი. მორიელმა მუსრი გაავლო ხარბედიათა და ბისკაიების ოჯახებს. მაშინ დავარდა ქადაგად მოხუცი ხახუ ხარბედია. 23 აპრილს სუჯუნას საქონელი წაასხეს ნაჭყვედელებმა. სულზე ცხრა ხარი დაუკლეს წმინდანს და უმაგალითო ღამისთევა გაუმართეს. ხახუ ხარბედია საყდარში ჩაკეტეს და დილით აუწყა მლოცველებს ქადაგმა წმ. გიორგის ნება. „მლოცველები ნაჭყვედში დაბრუნდნენ. ხელფები შეუკრეს ხვარამზეს და მორევში გადააგდეს. წყალმა არ მიიღო ეშმაკის თანაზიარი. ხვარამზე სამგზის დადაღეს. დაანგრის ხვარამზეს სახლი. ბალავერში მორგვის ოდენა შავი მორიელი იპოვნეს. სუჯუნის გიორგის ბოძალზე ააგეს მორიელი და ეკლესიის ცაცხვზე ლურსმანით მიაჭედეს სამგზის“.¹

ასე დაისაჯა ტაბუს დამრღვევი. და ეს ამბავიც მითოლოგიური ქარგით არის გადმოცემული.

„მთვარის მოტაცებაშიც“ ტარბების თავდასხმა არზაყან ზვამბაიაზე მალანურობის რიტუალით არის გარემოსილი. მართალია, მალანურობას 30-იანი წლებისათვის მითოლოგიური შინაარსი უკვე დაკარგული ჰქონდა. იგი მხოლოდ იმერეთის მეფისა და დადიანის „ბრძოლის“ კარნავალურ სურათადღა დარჩენილიყო. მაგრამ მალანურობა თავის დროზე უთუოდ წარმართულ რელიგიურ რიტუალს წარმოადგენდა. ამას ადასტურებს თავად სიტყვა „მალანური“, რომლის დამაჯერებელი ეტიმოლოგიური ახსნა ჯერ ვერ მოხერხდა. რა კავშირი უნდა ჰქონდეს ამ უცნაურ სიტყვას შინაფეოდალურ ბრძოლასთან? ჩემი აზრით, არავითარი. მალანურობის წარმართობასთან კავშირს მოწმობს აგრეთვე ამ ჩვეულების მეგრული სახელიც – კაკვი-ღალა („ჭოკის ტარება“ ანუ „ჭოკის ტვირთვა“, შეადარე „ჯვრის ტვირთვას“). სახელწოდება კაკვი-ღალაც

ნაკლებ უკავშირდება შინაფეოდალურ კინკლაობის მომენტებს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მალანურობა მარიამობის კვირამდღაში იმართებოდა და წინ უსწრებდა ქრისტიანულ რელიგიურ დღესასწაულს. ყველაფერი ეს [და სხვა ნიშნებიც] გვაფიქრებინებს, რომ მალანურობა რაღაც წარმართული სახალხო ზეიმი იყო, რომლის ნამდვილი შინაარსის დადგენა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. მაგრამ ამას ახლა არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ის არის, რომ ეს ხალხური ჩვეულება რომანში გამოყენებულია სიუჟეტური პერიპეტეიის გასართულებლად. ძმებმა ტარბებმა მალანურებად გადაიცივეს, სხვებთან ერთად კარნავალი გაითამაშეს და მერე, ჩვეულების თანახმად, სოფელ-სოფელ სიარული დაიწყეს. გარდა ადათის, წესის ასრულებისა, ამ შემოვლის მიზანი კაც ზვამბაიას ეზოში შეპარვა იყო. მოსისხლეების შიშით კაც ზვამბაიას მუხის ჭიშკარი მტკიცედ ჰქონდა ჩარაზული და მის ეზოსაც მგელმაღლები დარაჯობდნენ. „სამათხოვროდ“ მოსულ მალანურს კი მასპინძელი უსიტყვოდ უღებდა კარს. ტარბებიც ძველი წესით ისარგებლებდნენ, ზვამბაიების ეზოში შევიდოდნენ და მერე ძმების ვაჟკაცობამ იცოდა, როგორც გაუსწორდებოდნენ არზაყანს. შესვლით კი იოლად შევიდნენ მალანური ტარბები კაც ზვამბაიას ეზოში, მაგრამ შური ვერ იძიეს – მოხუცმა ზვამბაიამ და თარამ ემხვარმა ღირსეულად დაიცივეს თავისი გვარი და სისხლი.

ასეა ჩაქსოვილი ერთმანეთში ძველი სანახაობა და ზვამბაიებისა და ტარბების კონფლიქტი.

ქრისტეს ფეხის მკვნეტელი და ენადგაკრეფილი ბათა ქექია კი კაშინას ამბის მოყოლით ცდილობს მომავალ სასიძამროს თამშულ დანელიას ქარაგმულად უთხრას – შენი სიდუ მიყვარს და მომათხოვეო. ბათას ეშინია თამშულის უარისა და იძულებულია იცრუოს.

სხედან კერის პირას მომავალი სიმე-სიმამრი და ყვება ბათა ქექია, როგორ გადაეყარა კაშინას ნოღელასთან და როგორ უთხრა უარი კაციშვილმა ოქროსთმიან ქალღმერთს.

ბათამ იცის: თუ შეიყვარე კაშინა, ხომ დასახლდი კაცი ცივ ქვაზე! აგავსებს დოვლათით: ცხენი და კამეჩი, თხა და ძროხა, ოთხფეხი თუ ფრინველი უთვალავი გეყოლება. მამაკაცურ ძალას მოგცემს და სიყვარულის ცეცხლით დაგწვავს. თუ არ შეიყვარე და უარჰყავ ქალღმერთის ტრფობა, მაშინ ულმობელია ვნებააშლილი კაშინას შურისძიება: ამქვეყნად ყველაფერზე გული აგივარდება, გაფუჭდები და წახდები კაციშვილი. დიდი ვაჟკაცობა გინდა მთლად არ გამოწყდე ცხოვრებაში. მიუხედავად ამისა, ბათა ქექიამ მაინც გასწირა თავი, მაინც უარი უთხრა ქალღმერთს სიყვარულზე, რადგან ბავშვობიდან უყვარს ერთი ქალი, უიმისოდ არსებობა არ შეუძლია.

ზის ბერიკაცი და ქირქილებს გულში. კარგად ესმის ბათას ქარაგმის აზრი. მაგრამ მაინც სულგანაბული უგდებს ყურს ნამდვილზე უფრო ლამაზსა და მშვენიერ ამბავს, რადგან „სულ მართალი მტერმა ილაპარაკა! ხანდახან უნდა იცრუო კიდევ. ენა იმიტომ კი არ გვაბია, რომ მუდამ მართალი იტიტინოს, ხანდახან მართალიც უნდა დამალოს და ზედ ზღუდესავით აეფაროს. ენამ ხში-

რად სინათლეს ჩრდილიც უნდა მიაყენოს, დააბნელოს, იმიტომ რომ ბნელში ძილი უკეთესია და ხანდახან ჭკუასაც ისევე უნდა დაძინება, როგორც ადამიანიშვილს“.¹ მართალია, ნება-ნება მიჰყვა თამშულ დანელია ბათას ნამბობს, თითქოს ჭკუაც მიაძინა, მაგრამ ქექიას გაცუცურაკება მაინც შესძლო: უმცროსი ქალის სიდუს მაგიერ უფროსი სალომე შეატყუა.

მითოლოგიური პერსონაჟია კაშინა და მისი ამბავი ყოფითი სიუჟეტური ქარაგმის ახსნას ემსახურება. ასე და ამგვარად აქსოვს კ. გამსახურდია და დ. შენგელაია მითოლოგიურ ამბებს სიუჟეტურ რკალში.

როცა კონკრეტულ თხზულებებს ვაანალიზებდი, იქნებოდა ეს „დიონისოს ღიმილი“ თუ „მთვარის მოტაცება“, „გურამ ბარამანდია“ თუ „ბათა ქექია“, ყოველთვის ვცდილობდი მეჩვენებინა და ამეხსნა მითით გამოთქმული ალეგორიული შინაარსი. ამიტომ უკვე თქმულის გამეორებით მკითხველს თავს აღარ შევაწყენ. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მეორეული შინაარსი, როგორც წესი, ყოველთვის მითოლოგიური პლანით არის გადმოცემული. რეალურ და ირრეალურ პლანებს თითქმის თანაბარი მნიშვნელობა და ფუნქცია აქვს. ისინი ერთ განუყოფელ მთლიანობად არიან წარმოდგენილი და ასევე აღიქმებიან. ორივე პლანი ერთმანეთს ამდიდრებს და ავსებს როგორც აზრობრივად, ასევე მხატვრულად.

ასეთია, ჩემი აზრით, მითოლოგიის როლი კონსტანტინე გამსახურდიასა და დემნა შენგელიას შემოქმედებაში.

დ ა მ ა ტ ე ბ ა

ვაჟა-ფშაველა და მითოსი

1. „გველის მჭამელი“

ვაჟა-ფშაველა წერილში – „კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი“ – წერს, რომ „გველის მჭამელის“ არაკი, რაც მე გავიგონე და რაზედაც ავაშენე მთელი პოემა, შემდეგია: ხევსური მინდია ჩაუვარდება ტყვედ ქაჯებს. მათ შორის ცხოვრებამ იქამდის დააღონა მინდია, თავის მოკვლამდე მიიყვანა. თავის მოსაკვლელად გველის ხორცი სჭამა, რომლითაც ქაჯები იკვებებოდნენ. გველის ჭამამ სრულიად სხვა ნაყოფი გამოიღო: მინდია ბრძენ კაცად გადაიქცა. მისი სიბრძნე, ხალხური თქმულებით, სჩანს მცენარეების ცნობაში, თუ რომელი მცენარე რა სატკივარის წამალია, რადგან ყველა მცენარე თავად იმახის რის წამალიც არის და მინდიამაც იმ მცენარეთა ენა კარგად იცის. შედეგი ამ ცოდნისა არის მინდიას გაექიმება. მისი წამალი უებარია. ხალხური თქმულება ამას იქით არ გადის, მაშასადამე, მინდიას დაცოლშვილება, ცოლთან ბაასი, ხორცის უჭმელობა, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, მხედართმთავრული ნიჭი გველის მჭამელისა, ჩიტების ენის ცოდნა, – ხალხურ თქმულებას არ ეკუთვნის. ამბავი მინდიას სულის არავითარ დრამატიულს განცდას არ წარმოგვიდგენს ხალხის თქმით“.

მაგრამ ვაჟას ეს განცხადება იმას არ ნიშნავს, რომ ის, რაც პოემაში კონკრეტულ ხალხურ თქმულებას დაემატა, არ იკვებებოდა ქართველი ხალხის მდიდარი ფოლკლორითა და მითოლოგიით, რადგან ვაჟა-ფშაველა „ამოდის ქართული მითოლოგიის უღრმესი ფესვებიდან“ (აკაკი გაწერელია).

„გველისმჭამელის“ ორმოციოდე სტრიქონის წაკითხვასაც კი ვერ მოასწრებს მკითხველი, რომ ვაჟას იგი უკვე გადაჰყავს მითოლოგიურ სამყაროში:

*„ამ მინდიაზე ამბობენ
დაუჯერებელს ამბებსა:
მინდია ტყვედა ჰყოლია
თორმეტ წელს თურმე ქაჯებსა“.*

ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ ბუნებრივად დაისმის კითხვა – ვინ არიან ქაჯნი და სად იყო ტყვედ მინდია? წამოჭრილ კითხვას რომ პასუხი გავცეთ, უთუოდ ქართული ზღაპრები და თქმულებები უნდა მოვიშველიოთ.

ქართული ზღაპრების ერთი ნაწილის მიხედვით, ქაჯნი ანთროპომორფული არსებანი არიან, ოღონდ ჯადოსნურ თვისებათა მატარებელნი. მაგალითად, ზღაპარში „ბოლოლა“ ქაჯი უშვილო ხელმწიფეს სასწაულმოქმედ წამალს მისცემს და მეფეს სამი შვილი გაუჩნდება. მაგრამ, მათ შორის დადებული პირობის თანახმად, სამი შვილიდან ერთი ქაჯმა უნდა წაიყვანოს. როცა წაყვანის დრო მოვა, ხელმწიფე შვილებს დაუძახებს და ეტყვის – „ამ კაცმა ისეთი წამალი მომცა, რომ სამ წელიწადში სამი შვილი მომეცაო“ და ახლა კი ერთ-ერთი თქვენთაგანი უნდა წაიყვანოსო. უფროსი შვილები მამას არ დათანხმდებიან, უმცროსი კი მამას ანუგეშებს – „რა უშავს, მამა, ეგეც ადამიანია და თქვენც, გავყვებიო“. ამ ზღაპარში ქაჯი ადამიანად და კაცად არის მოხსენიებული, მიუხედავად იმისა, რომ ხელმწიფის უმცროსი შვილი შესაჭმელად წაიყვანა. მეორე ზღაპარში – „სამი და“ – ქაჯების ხელმწიფე გველეშაპის სახით დადის, მაგრამ როგორც კი გველეშაპის ტყავს გადაიძრობს, მშვენიერ ვაჟკაცად გამოეცხადება ცოლს. „თვალჩიტაშიაც“ ყველაფერი ადამიანური აქვს ქაჯს – გარეგნობაც და საქციელიც, ოღონდ სასწაულმოქმედი წითელი ვაშლი აქვს და ჯადოსანი ცხენები ჰყავს.

ხევსურული თქმულებებიც ასევე ანთროპომორფული სახით წარმოგვიდგენენ ქაჯებს. „მაგ ქაჯთ კაი ადამიანის სერ ფერ აქვ სადამ“.¹ ქაჯეთიდან ანუ, როგორც ხევსურები ამბობენ, ქაჯავეთიდან ქალების წამოყვანაც კი შეიძლება: „ქალები სამძიმარი, აშექალი, მზექალი ქაჯავეთით წამოუყვანიან ღვთისშვილთ“.² ქაჯის ქალმა შეიძლება ხორციელ ადამიანს მცურავი ჯაჭვიც კი აჩუქოს, რომელიც კაცს სიკვდილისაგან დაიფარავს. „ჯაჭვი რა უყავ, თორღვაო, ქაჯების ნაჩუქარიო“... – ამბობს ხევსურული ლექსი.¹ საქმიანობითაც ქაჯები ადამიანებს ჰგვანან: მჭედლობენ და საქონელს უვლიან. მაგრამ, თქმულებების თანახმად, უმთავრესი მათი ხელობა მაინც მჭედლობაა.

1. „სინას შქედს ქაჯთა მჭედელი, მოვასწრევ წურვაზედაო“...

.....
„ქაჯთა მქედელმა ხელ-კვერი ცხენს მიცა ბეჭებზედაო“...

2. „აი ის გრდემიც მაშინ მოღებულ ას, წმინდა გიორგის მოუღავ ი ქაჯების სამქედლოდან“.²

3. ქაჯეთში „მემრავ სამქედლოებს ჩავავლითავ თვალით, ვერცხლსავ, სხვასავ“.³

ხევსურული გადმოცემების მიხედვით, არც ქაჯეთში, ანუ ქაჯავეთში ლაშქრობაა არაჩვეულებრივი რამ. მაგრამ ეს ლაშქრობა ჩვეულებრივია ღვთისშვილებისათვის, ე.ი. წარმართული ღვთაებებისათვის და არა ხორციელი ადამიანისათვის. თუმცა ყოფილა შემთხვევა, როცა ღვთისშვილებს ქაჯეთში ხორციელი კაციც წაუყვანიათ. ეს ხორციელი კაცი გახუა ჭორმეშიონი ყოფილა. ამ გახუა ჭორმეშიონზე არსებული გადმოცემანი გვეუბნება, რომ ქაჯეთში ლაშქრობა ხორციელი ადამიანის მხოლოდ სულს შეუძლია, სხეული კი სააქაოში რჩებაო. ოღონდ, როგორც კი ქაჯეთიდან დაბრუნდება ხორციელი ადამიანის სული, ღვთისშვილების დახმარებით, ისევ თავის სხეულში დაისადგურებს.

1. „გახუა ყოფილა წამებულ კაცი, ხთის ნათლული. ამას ამოურიდებიან სულნი, ისე დამავალას პეპელაის აღით. ხატს ამურიდებავის იმისად სულნი. მემრ წასულან. ყოფილან ხახმატური, გუდანის ჯვარიდ სხვა ანგელოზნი. წასულან და მისულან ქაჯების სოფელში.

როსაც დაბრუნვილან, ერთ ხე მდგარ, იმასთან მისულან ე სულნ თუ ამაარიდეს გახუასად გვამ ი ხეს მიხყუდეს. მესამე დღეს მასულან. გვამსავ სულ აუვიდაოდ ვედარ ჩასულ სული. მემრ უთქომ ანგელოზებს – ჩამვერივ მეპურყველე გახუაო შიგავ“.

2. „ერთ მთა ადგილსავ კლდის ძირჩი ეხჩი დამაწვინესავ, სულ ამამძვრინესავ მეც ანგელოზებთან ვიარევ. შავიდესავ ჯვარნიოდ, მეც იქ შამიყვანესავ ქაჯეთის ციხეშიავ.

მემრ წამავედითავ იქითავ. მივედითავ საცა ჩემ გვამ იყავ, – მეპურყველეს გახუასავ მატლ აშჩენისავ – თქვესავ. ჩავხნევ, სრუ მატლ იყვავ. გაღბერნესავ, გამაღბერნესავ, ჩამამძვრინესაოდ აისეთაივ კაც ვიქენივ“.

3. „წასულ იქ და გაუყოლებავ ერთ კაც, ხორციელ მთაზე სადამ კლდეჩი სულელებ ამოურიდებავ და თან გაუყოლებავ ქაჯავეთში“.

4. „სულ ამოურიდებავ იმისად. ქაჯავეთ წაუყვანავ ხახმატურს“.

5. „ხახმატის ჯვარი ქალის აღით ას. სულნ ამაუცლიან, გვამ დაუგდავ მთაზე. სულნ იქ წაუყვანან ქაჯავეთ.

ორმო ქნილ აიმაჩი ჩაუყუდებავის აი გვამი. რო მასულან, ჩაუდგმიან იქავ სულნი“.¹

მარტო გახუა ჭორმეშიონის სულს არ უმოგზაურია ქაჯეთში. არსებობს თქმულება, რომლის თანახმად, მინდიასთვისაც ამოუცლიათ სული და ასე ულაშქრია ხოგაის ძესაც ქაჯეთში.²

კი მაგრამ რატომ არ შეეძლო ხორციელ კაცს ქაჯეთში ლაშქრობა და რატომ იყო აუცილებელი სული სხეულს გასცლოდა, რათა ქაჯთა ქვეყანაში წასვლა შესძლებოდა? იქნებ ეს მდგომარეობა იმას მიგვანიშნებს, რომ უძველეს ქართულ მითოლოგიურ პანთეონში ქაჯეთი საიქიოს, შავეთს, სულეთს, ქვესკნელს გულისხმობდა, ხოლო ქაჯები ქვესკნელის ღვთაებებად ჰყავდათ წარმოდგენილი? ამ კითხვას დადებითად უნდა ვუპასუხო, რადგან, როგორც ცნობილია, კლასიკურ მითოლოგიაში დემონები, ე.ი. ავი სულები ღმერთებისაგან უმთავრესად იმით განსხვავდებიან, რომ მათ ანთროპომორფულ არსებებად არ წარმოდგენდნენ. ქაჯიც თუ ავი სული იყო, მაშინ რატომ თვლის მას ქართული ზღაპრებისა და თქმულებების დიდი ნაწილი ანთროპომორფულ, ადამიანისმსგავს არსებად? თუ თავდაპირველ ქართულ მითოლოგიურ პანთეონში ქაჯი ღმერთი არ იყო, მაშინ რატომ ჰქონდა მას ერთადერთს ბოროტ სულთა შორის უფლება, სხვა რიგით ღმერთებთან ერთად, ღვთის კარზე გამოცხადებულიყო უმაღლესი ღვთაების მორიგე ღმერთის წინაშე?!. რა დამსახურებისათვის უნდა მიენიჭებინათ ქაჯისათვის ღვთაების უფლება? ალბათ იმიტომ, რომ თავდაპირველად იგიც ღვთაება იყო და თუ შემდეგ ბოროტ სულად იქცა, ეს უკვე ქრისტიანული რელიგიის ზეგავლენით უნდა მომხდარიყო. აქ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ხევსურთა დაჟინებული რწმენით ქაჯი უებრო მჭედელია. რაკი რკინას მიწის წიაღთან ჰქონდა კავშირი, ცხადია, ამ წიაღის პატრონი სწორუპოვარი მჭედელიც უნდა ყოფილიყო და ამიტომაც ჰქონდა ჯადოსნური თვისება ქაჯის ქალის ნაჩუქარ თორ-მუზარადს, რაც თორღვაის ლექსშია მოხსენიებული.

ქვესკნელის, ქაჯეთისა და ქაჯის ურთიერთმიმართება ჩანს ზღაპარში „ბოჟმის ყვავილი“. მაგრამ ვიდრე ამ ზღაპარს გავიხსენებდეთ, მოვიგონოთ რომ ქართული მითოლოგიური წარმოდგენის თანახმად, ქვესკნელის ფერი შავი იყო, ზესკნელისა – თეთრი, ხოლო შუასკნელისა – წითელი, ხანდახან ჭრელიც.² ახლა ისევ „ბოჟმის ყვავილს“ მივუბრუნდეთ. ჯადოსნური ბოჟმის ყვავილის სამებნელად წასულ ვაჟს ერთი კლდე მიასწავლეს, რომელსაც თავი თეთრი ჰქონდა, შუაგული – წითელი და ძირი – შავი. ამ კლდეზე ქაჯის ქალი დაჯდებოდა და თავის თმებს გადმოჰფენდა, რომელზეც ბოჟმის ყვავილები ესხა. ბოჟმის ყვავილებიანი თმები კლდის ძირს დაეფინებოდა და ვინც ამ კლდის ძირში დაიმალებოდა, ის იშოვიდა ბოჟმის ყვავილს. კლდის ძირი ხომ შავი იყო და ამ სიშავის გამო იგი სწორედ ქვესკნელს განასახიერებდა, თორემ სხვანაირად რას უნდა ნიშნავდეს კლდის სამფერად დაყოფა? ან ქაჯის ქალი სასწაულმოქმედ ყვავილებს რატომ მაინცდამაინც კლდის შავ ძირში მალავდა? ეს იმიტომ, რომ ქართული ზღაპრის ეს კლდე სამ სკნელს განასახიერებდა, ხოლო ვისაც ჯადოსნური ყვავილის შოვნა უნდოდა, იგი ქვესკნელს უნდა გამგზავრებულიყო (ვაჟიც ხომ იმიტომ გაგზავნეს ბოჟმის ყვავილის მოსატანად, რომ იქიდან არასოდეს დაბრუნებულიყო!) და იქიდან მოეტანა. ბოჟმის ყვავილის პატრონი ქაჯი ქალი კი თმებს შავეთში იმიტომ მალავს, რომ ქვესკნელი მისი საპატრონოა და თავს აქ უფრო უვნებლად გრძნობს.

სამი სკნელის სამ ფერთან არის დაკავშირებული, თ. ნაზორაულის ნაამ-ბობის¹ მიხედვით, ხოგაის მინდიას ქაჯეთს გამგზავრებაც. ამ თქმულების თა-ნახმად, არხოტს ჟამნი მოსულან. მათ სამი ვირი ჰყოლიათ – შავი, წითელი და თეთრი. შავ ვირს შავთბია (შავფრთიანი) ისარი ეკიდა, წითელს – წითელთბია, თეთრს კი – თეთრთბია ისარი. ვისაც შავთბია ისარი მოხვდებოდა, მაშინვე კვდებოდა, ვისაც – წითელთბია, ნახევრად მოკვდებოდა, ხოლო თეთრთბია ისარი სულ არ კლავდა. ამ გადმოცემაში ფერები ქართული მითოლოგიის სამი სკნელის შესაბამისად არის განაწილებული და სიკვდილ-სიცოცხლის საკით-ხიც ამ ფერთა შესაბამისად წყდება. სწორედ ამ შავი, წითელი და თეთრი ვირე-ბის, შავი, წითელი და თეთრი ისრების პატრონმა ჟამებმა წაიყვანეს ხოგაის მინდია ქაჯეთს და იქ დატოვეს. აქ პირდაპირ არის მითითებული მინდიას ქვესკნელში გამგზავრებაზე. სამი სკნელის სამივე ფერიც იმიტომ არის მოხსე-ნიებული, რომ „აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები ახლაც სამი ფერის სამ კეცი სკლატით სუდრავენ თავის მიცვალებულებს: შავით, თეთრით და ჭრე-ლით, რადგან მათ სამივე სკნელი უნდა განვლონ“.²

ყველაფერი ზემოთ თქმული გვაფიქრებინებს, რომ ვაჟას მინდიას ქაჯეთ-ში ტყვეობაც სწორედ გველისმქამელის ქვესკნელში ყოფნას გულისხმობს.

ამას ისიც ამტკიცებს, რომ ქაჯეთში შეიძინა მინდიამ ღვთაებრივი ცოდნა. მინდიას ცოდნა რომ ღვთაებისაგან არის მონიჭებული, ეს მრავალგზის დას-ტურდება პოემაში.

*1. „უფლისგან მომადლებული
დიდი ცოდნა და ძალია
დავკარგე შენის აყოლით“...*

*2. „ან აქ რა პირით ვიცოცხლო?
თავს რით ვიმართლებ ღმერთთანა?“*

*3. „ჩვენა გვწამ, შენაც ხომ იცი,
რომ ჰლაპარაკობ ღმერთთანა“...*

*4. „თქვენგან მჭირს ჭირი უწამლო,
უფალს თქვენგანა ვცოდი“...*

ღვთაებრივი უმაღლესი ცოდნის შეძენა კი, როგორც ცნობილია, კლასი-კურ მითოლოგიაში დაკავშირებულია ჰადესში ჩასვლასთან და ალბათ ასე იყო ქართულ მითოლოგიაშიც. არც ის არის შემთხვევითი, რომ უმაღლესი ღვთაებ-რივი ცოდნა მინდიამ გველის ჭამით შეიძინა. მითოლოგიის თანახმად, „გველი ქვესკნელის სულთა და მეუფეთა სიმბოლოა“¹ და ქვესკნელის ღვთაებათა ზოო-მორფიული სახე. აქ „აღსანიშნავია, რომ გველს მეგრულად უჩადართამი, ე.ი. შავჩოხოსანი ანუ შავღართიანი ეწოდება. რატომ მაინცდამაინც შავჩოხოსანი?

იმიტომ, რომ იგი ქვესკნელის ბატონი იყო“...² ამიტომ ნიშნავს ვაჟას პოემაში გველის ჭამა ღვთაებრივი სიბრძნის შეძენას.

*„შეიგნო, ჭამა გველისა
ქაჯთაგან იყო ზმანება.
სიბრძნე აჩვენეს გველად
რომ ჰზიზღებოდა საჭმელად“.*

გველის საშუალებით სიბრძნის შეძენის მოტივი სხვადასხვა ვარიაციით ხშირად მეორდება ქართულ ზღაპარში.

თ. რაზიკაშვილს კახეთში ჩაუწერია ზღაპარი „მეცხვარე და გველი“. გზად მიმავალ მეცხვარეს გველი შეხვედრია. მეცხვარეს უფიქრია ეს გველი გზად ვინმემ არ მოკლასო. აუყვანია უხსენებელი და ბუჩქებში გადაუსვამს. მადლიერების ნიშნად გველს უთქვამს მწყემსისათვის „– ჩაგბერავ და არ შეშინდეო. ჩაჰბერა ვაჟს და გახდა გულთმისანი მწყემსი. ყველაფრის ლაპარაკსა და ხმას გაიგებდა: ცხვრისას, ძროხისას, კამეჩისას, ბალახისას, წყლისას და სხვ.“.

თუ აქ გველის ჩაბერვით გახდა კაცი ბუნების ენის მცოდნე, მეორე ზღაპარში – „გველის ძმობილი“ – სიბრძნე ადამიანს გველის ენის წვერის დადებით ეძლევა. ამ ზღაპარშიაც ყმაწვილი მწყემსი გზაზე გველს იპოვის. აიყვანს, გზიდან გადასვამს. არვინ მოკლასო და თან პურითა და ყველით გაუმასპინძლდება. მადლობის აღსანიშნავად გველი ბიჭს ეუბნება – „რაკი ეგრე მადლიანი ხარ, ენა გამოყავი და ჩემი ენის წვერს დაადეო“. ბიჭი ასეც მოიქცევა. იმ წუთიდან ყმაწვილს თავისუფლად ესმის ცხოველთა, მცენარეთა და ფრინველთა ენა.

მესამე ზღაპარშიაც – „გველი და კაცი“ – სიკეთისათვის ადამიანს გველი ჯადოსნური ცოდნით აჯილდოვებს. გზად მიმავალი ცოლ-ქმარი გველის წიწილებს წააწყდება. კაცი იფიქრებს, ესენი აქ არავინ დახოცოსო და გველის წიწილებს სოროში შერეკავს. მადლიერი დედა გველი კაცს ეტყვის – ენა გამოყავი, უნდა გაკოცოო. გველის კოცნით კაცი მცენარეთა, ცხოველთა და ფრინველთა ენას ისწავლის.

ქართულ ზღაპარში ჯადოსნური ცოდნის მინიჭება გველის გარდა თევზსაც და წყალსაც შეუძლია.

ზღაპარში – „ავი დედაკაცი“ – მოხუცი მეზადური თევზს დაიჭერს. ძალიან ეპატარაება, იფიქრებს საჭმელად მაინც არ გამომადგებაო, და ისევ წყალში გაუშვებს. თევზი შემობრუნდება და კაცს ეტყვის – „რახან სიცოცხლე მაჩუქე, დამილოცნიხარ, ამიერიდან ყოველი ფრინველისა და ცხოველის ენა გეცოდინებაო“. ხოლო ზღაპარი „საკვირველისა“ კი გვიყვება წყლის ჯადოსნურ ძალაზე: „დალია წყაროს წყალი, დალია და მოესმა ლაპარაკი ყველაფრისა, რაც რამ კი ქვეყნად გაჩენილა“. ასე რომ ქართულ ზღაპარში ერთი და იმავე თვისების მატარებელი და ფუნქციის შემსრულებელია გველი, თევზი და წყალი. ამ სამეულის ერთად მოხსენიება სრულიად არ არის შემთხვევითი. მითოლოგიაში სამივე ქვესკნელთან და ცოდნასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ბაბი-

ლონური მითოლოგიის თანახმად, ადამიანებს წერა-კითხვა ასწავლა, მეცნიერებასა და ხელოვნებას აზიარა თევზის მსგავსმა არსებამ ოანმა, რომელიც ზღვიდან ამოვიდა.¹ ხოლო იმავე ბაბილონელთა ღმერთი ეა ერთდროულად იყო მიწისქვეშა წყლებისა და სიბრძნის უფალი. იგი თევზის ან ვეშაპის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. წყალი და სიბრძნე წარმართი ქართველის შეგნებაშიაც ერთმანეთთან ყოფილა დაკავშირებული. ამ მხრივ საინტერესოა სულხან-საბა ორბელიანის იგავი „ანჩხლი ცოლის პატრონი“. საბა წერს: „ერთი კაცი იყო საბრალო და მართალი. ერთი ანჩხლი ცოლი ჰყვა. ეს კაცი, რა პურს აიღებდის ჭამად, მდინარის პირს დაჯდის, ზოგი თვით სჭამის და ზოგი მდინარეში ჩაჰყრის.

გამოხდა ხანი, მდინარიდამ ერთი კაცი გამოვიდა და უთხრა: ესოდენი ხანია, რომ შენი საზრდოთი მზრდი, აწ პირში ენას გამოგავლებ და ყოვლის სულიერის ენას ისწავლიო, ამას შემოგზღავ და თუცა ეტყვი ვისმე, მაშინვე მოკვდები უცილოდო.

გამოავლო ენა და ისევ მდინარეში ჩავიდა და წავიდა“. ამ კაცმა მართლაც ისწავლა ჩიტის, ცხენის, მამლის და სხვათა ენა.

როგორც ვხედავთ, აქაც ადამიანს ყოველი სულიერის ენა წყლის კაცმა ასწავლა.

ცოდნისა და წყლის ასოცირების დამადასტურებელია ქართველი მოწაფის კვეხნაც – გაკვეთილი წყალივით ვიციო, რაც ზედმიწევნით კარგად ცოდნას გულისხმობს. როგორც ჩანს, გამოთქმა – წყალივით ვიციო – იმ უძველესი რწმენის გადმონაშთია დღევანდელ ქართულში. ეს რწმენა თუ შეგნება მე-19 საუკუნეშიაც ცოცხალი ყოფილა, თორემ სხვანაირად რატომ წაიყვანდა შვიდი წლის ეგნატე ნინოშვილს მამიდა მდინარეზე, ჩაადგმევინებდა ფეხს წყალში და დააწყებინებდა ანბანის კითხვას?²

მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო ის არის, რომ წყალს ქაჯიც უკავშირდება. ზღაპარი „თვალჩიტა“ იცნობს ზღვის ქაჯს, ხოლო მეორე ზღაპარში „სამი და“ ქაჯების ხელმწიფე გველეშაპის სახით დადის. როგორც ცნობილია, „ვეშაპები კი ერთ დროს წყლის მცველებად ითვლებოდნენ“.¹

ისიც საგულისხმოა, რომ ქაჯის ქალის ნაჩუქარი თორ-მუზარადი თორღვამ აბანოში დაკარგა.

*„ჯაჭვი რა უყავ, თორღვაო.
ქაჯების ნაჩუქარიო,
გავწირე აბანოშია,
გაქანდა როგორც წყალიო“.*

კიდევ უფრო მჭიდრო კავშირზე წყალსა და ქაჯს შორის მეტყველებენ აფხაზური თქმულებები. „ალ-ქაჯები, რასაკვირველია, აფხაზებსაც სწამთ, მეტადრე წყლის ალ-ქაჯები, რომელთაც „წყლის დედას“, „ამითოუს“ ანუ წყალში

მფლობელს. „ძიძლანს“ ანუ წყლის ალს და „მაჰკვაჟვს“ (მა, წყალი+ჰკვაჟვ, ქა-ჯი), ანუ წყლის ქაჯს ეძახიან.²

წყლისა და ქაჯის ურთიერთობა იმიტომ გვაინტერესებს, რომ ორივე ხახმატის ჯვართან არის დაკავშირებული, ხოლო ხახმატის ხატი კი თავის მხრივ პირდაპირ უკავშირდება ვაჟას პოემაში გველისმჭამელ მინდიას. გავიხსენოთ, როგორ ემუდარება ხახმატს მინდია ცოდნა დამიბრუნეო.

*„ცოტა რამ მკრთალი ნათელი
ხახმატის ხატში ჩნდებოდა,
სანთლები ენთო ყორეზე
ალი იფნებსა ჰხვდებოდა...“*

.....

*ლოცულობს თვალცრემლიანი,
აზრი არ ისმის ლოცვისა.
ასე მხურვალედ მლოცველი
ვერ ნახა ვერა როდისა
წინად ბერდიამ, – ეს უკვირს:
უფრო ტანჯვას გლოვისა,
ვიდრე გულდაწყნარებული
წყალობის გამოთხოვისა.
ცრემლი სდის, ჩუმი ქვითინი
აბჯრის ჟღერაში ერევა,
ლოცულობს დაჩოქილია,
ხანიც მრავალი ელევა.
„უსმინე, ხახმატის ჯვარო!“
თვითაც, უმატებს იგია:
„ნუ გაუქარწყლებ ვედრებას,
კეთილზე დაარიგია“.*

რატომ მაინცდამაინც ხახმატის ჯვარს მიმართა მინდიამ შეწყალებისათვის? ამ კითხვას რომ პასუხი გავცეთ, აუცილებელია ხახმატის ჯვრის ბუნება გავიხსენოთ. ხახმატის ხატი ორ ღვთისშვილს აერთიანებდა და ორი სახელი ჰქონდა – გიორგი ნაღვარმშვენიერი და სამძიმარი ხელი-ყელდილიანი.¹ ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად ხახმატის ჯვარი ორსქესიანი წარმართული ღვთაება იყო. იგი კაციც (გიორგი ნაღვარმშვენიერი) იყო და ქალიც (სამძიმარი ხელიყელდილიანი). ორსქესიანობა სრულიად არ არის უცხო არც კლასიკური აღმოსავლეთის და არც კლასიკური დასავლეთის მითოლოგიისათვის. არც ქართული ზღაპრისათვის არის ორსქესიანი არსებანი უცხო, რასაც ადასტურებს თედო რაზიკაშვილის მიერ შეკრებილი ზღაპრები „ქალაბიჭასი და გაქვავებული ქალაქისა“ და „ხელმწიფისა, იმისი სამი ქალისა და გაქვავებული ქალაქისა“.

ხახმატის ჯვრის მამაკაცურ ჰიპოსტასს ნაღვარმშენიერი იმიტომ ერქვა, რომ, ჯერ ერთი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა საერთოდ აკავშირებდა ადგილობრივ ღმერთებს წყალთან² და, მეორეც, ხახმატის ხატი თავად უშუალოდ იყო წყალთან დაკავშირებული, რის გამოც ერთი ხევსურული ლექსი ამბობს – „მოვიდა თავის ნაღვარსა, გაანთა დიდი ალიო“.³ თუ ხახმატის ჯვრის მამაკაცური ჰიპოსტასი უწყლოდ არ წარმოიდგინება, იმავე ღვთაების დედაკაცური ჰიპოსტასი სამძიმარი ხელი-ყელდილიანი ქაჯური წარმოშობის ქალია. ხევსური ხ. წიკლაურის თქმით, „სამძიმარი ხთის ნასახი, გიორგის დაი არის,¹ ხოლო მეორე ხევსურის ხ. ალადაურის განმარტებით, „სამძიმარ ქაჯთ ხელმწიფის ქალ ყოფილ“.² ამასთანავე ცნობილია, რომ, ხევსურთა წარმოდგენით, ხახმატის ჯვარს ხუთი დობილი ქალღმერთი ჰყავდა – სამძიმარი, აშექალი, მზექალი, სიმენქალი, მეხუთის სახელი კი დავიწყებულია,³ ხოლო სამძიმარი, აშექალი და მზექალი ქაჯეთიდან ჰყავდათ მოყვანილი ღვთისშვილთ.⁴ თინათინ ოჩიაურის სიტყვით, ხახმატის ჯვრის ქალური ნახევრის ქაჯად „გამოცხადება გიორგის კულტის სიძლიერის გასამტკიცებლად უნდა მომხდარიყო გვიან ხანაში“.⁵ კი მაგრამ ღვთაებას რად სჭირდებოდა სიძლიერისათვის ავი სულის ძალის მიმატება? არა, სამძიმარი გვიან ხანაში კი არ გახდა ქაჯის ქალი, არამედ უძველესი დროიდანვე იყო იგი ქაჯური წარმოშობისა. ამას ისიც ადასტურებს, რომ ქაჯეთში იგი „გველემპა ყოფილ“ („სამი დის“ ზღაპარშიაც ხომ ქაჯების ხელმწიფე გველემპის სახით დადის!). ვეშაპები კი, როგორც ვიცით, წყლის მფარველი ღვთაებები იყვნენ. რაკი სამძიმარი გველემპი იყო, მაშინ იგი წყლის მფარველიც იქნებოდა და ამიტომ არის გიორგი ნაღვარმშენიერი, ე.ი. წყალმშენიერი, ე.ი. დამშენიერი.

სამძიმარი ხევსურებისათვის ნაყოფიერებისა და ბარაქიანობის ღვთაებაა.⁶ წყალიც ხომ ბარაქიანობისა და ნაყოფიერების სახეა!⁷ ხახმატის ჯვარში, ნაყოფიერების თვალსაზრისით, სამძიმარის ფუნქცია გიორგისაც აქვს გაზიარებული. მაგრამ გიორგი ლაშქრობის უფალიც არის: ქაჯავეთში ლაშქრობას, როგორც წესი, იგი მეთაურობს (მინდიას მხედართმთავრული ნიჭიც გიორგი ნაღვარმშენიერისაგან მოდის). თუმცა ქაჯეთში ლაშქრობის დროს გიორგი ილძულეებულია მტრედის (ხანდახან ბუზის) ნიღბით იაროს, რადგან ქაჯები იცნობენ. ქაჯები კი გიორგის ეგზომ კარგად იმიტომ იცნობენ, რომ მისი დედაკაცური ნახევარი ქაჯის ქალია.

ამრიგად, ხახმატის ჯვარი წყალთანაც არის დაკავშირებული, ვეშაპთან (გველთან) და ქაჯთანაც. ხოლო თავის მხრივ, წყალი, გველი და ქაჯი – ცოდნასიბრძნესთან. ამიტომ სრულიად ნათელი და გასაგებია, რატომ ემუდარება ვაჟას მინდია ხახმატის ჯვარს შეიწყალოს და ცოდნა დაუბრუნოს. მაგრამ მინდიას შეწირულმა ათმა კურატმა ვერ მოაღბო ხახმატის ჯვრის გული და მინდიას არ მოურჩინა წყლულები. ამასაც თავის საფუძველი ჰქონდა. როგორც გვახსოვს, ღვთაებრივი ცოდნის დაკარგვით გამოწვეული უბედურება მინდიამ ცოლს დააბრალა:

*„ის დღე გაშვდეს, რა დღესაც
მე შენ დაგისვი ცოლადა.
მანამდე კაცი არ მაჩნდა
მიწაზე თავის ტოლადა.
სულ შენგან გავხდი, წყეულო,
უგერგილოდ და ყროლადა“.*

მინდამ ცოლს ბრალი იმიტომ დასდო, რომ ქაჯეთში, ანუ ქაჯავეთში ნამყოფ კაცს ხორციელ ქალთან სქესობრივ ურთიერთობას უკრძალავს ხახმატის ჯვრის დედაკაცური ჰიპოსტასი – სამძიმარი ხელი-ყელლილიანი. ხევსურული თქმულებების თანახმად, ქაჯეთს ნამყოფ გახუა ჭორმეშიონსაც აკრძალული ჰქონდა ცოლთან ურთიერთობა:

1. „გახუასაც ცოლთან მისვლის ნება არ ხქონდ“.
2. „მეგრელაურ გასდგომივ ცოლ-შვილობას“.¹

საერთოდ სამძიმარი ხელი-ყელლილიანი ფრიად ავხორცი დედაკაცი ყოფილა. იგი ამორჩეულ მამაკაცებს ხორციელი ქალის სახით ეცხადებოდა და მათთან სქესობრივ კავშირს ამყარებდა (როგორ ჰგავს ეს კლასიკური მითოლოგიის ღმერთების საქციელს!). ხევსურულ ტექსტებში ტრაბახობს კიდევ სამძიმარი ამ საქციელით:

*1. „ამაში მქონდა შაძლებაიო,
ქაჯავეთ ვიარებოდიო,
აბულეთაურთ ხოლიგასაო
საცოლედ ვეწონებოდიდიო
ჯუათ ელენა ვეგონიდიო“.*

*2. „ამაში მქონდა შაძლებაიო,
ქაჯავეთ ვიარებოდიო,
მემრა ქალადა მავიქციდიო,
საცერსა, ვარცლსა, ჩაუჯდიდიო,
ფერაულიძესა ფშაველასაო
საცოლედ ვეწონებოდიდიო“...*

*3. „აბულეთაურ საღირასაო
ქალი საცოლედ მავსწონდიდიო,
ჩავეხვეოდიდი, ჩაუწვიდიო,
ძუძუ-მკერდს გამავიხვივდიდიო.
ქაჯავეთ ვიარებოდიდიო,
ნახირს აიქით ვადენდიდიო“...¹*

ცხადია, მამაკაცების ესოდენ მოტრფიალე ქალღმერთი მინდიას არ აპატიებდა ცოლ-შვილის მოკიდებას და არც აპატია. დასაჯა იმით, რომ ღვთაებრივი ცოდნა წაართვა. რაკი სამძიმარი ხელი-ყელლილიანი ნაყოფიერების ღვთაებაც იყო, მაშასადამე, ბუნებაც მას ემორჩილებოდა. მინდია კი სამძიმარის რჩეული იყო და ნორმალურია, რომ ამ ქალღმერთის საბრძანისში თავს შინაურ კაცად გრძნობდა. მაგრამ როგორც კი სამძიმარი შემოსწყრა, მინდიამაც ბუნებასთან ურთიერთობის საშუალება დაკარგა. შურისმაძიებელმა ქალღმერთმა გველისმჭამელი თვითმკვლელობამდე მიიყვანა.

*„ქუდს იხდის... სიტყვა ველარ სთქვა,
ხმლის ტარს შეეხო ცერითა,
ამოიწვავდა ქარქაშით,
გულს მიიბჯინა წვერითა.
მკერდიდან სისხლი, ვით წყარო,
გადმოუვიდა ჩქერითა,
მთვარემაც გადმოაშუქა
საჯიხვეების სერითა
და დააშტერდა თავისმკვლელს
მოზარე ქალის ფერითა...
ნიავეც მიდ-მოდიოდა
უდარდოდ, ნელის მღერითა...
ფრთა გაჰკრის წვერსა ხმლისასა
ამოღერებულს ენითა,
შაღებილს ჭიაფერადა
კაცის გულ-მკერდის წვენიითა,
და გათამაშდის მწვანეზე
ლაღად, მოლხენით, სტვენითა“.*

როგორც პოემის ამ ნაწყვეტიდან ჩანს, მინდია მხოლოდ მთვარემ („და დააშტერდა თავისმკვლელს მოზარე ქალის ფერითა“...) გამოიგლოვა. არც ეს იყო შემთხვევითი. როგორც ცნობილია, ქართული წარმართული პანთეონის მთვარის კულტი მერე ქრისტიანობის ზეგავლენით წმინდა გიორგის კულტით შეიცვალა.¹ გიორგი ნაღვარმშვენიერიც მთვარესთან დაკავშირებული ღვთაება იყო და ვაჟას მოზარე ქალის სახიანი მთვარე, იგივე გიორგი ნაღვარმშვენიერია, რომელმაც უხმოდ გამოიგლოვა მისი ავხორცი დის მსხვერპლი გველისმჭამელი მინდია.

ასეთია, ჩემი აზრით, ვაჟას პოემისა და მითოსის ურთიერთმიმართება. რა თქმა უნდა, ვაჟას სპეციალურად არ დაუწერია მითოლოგიური პოემა. მაგრამ მას ისე ჰქონდა შესისხლხორცებული ფოლკლორი და მითოლოგია, რომ სრულიად ბუნებრივად მოხდა „გველისმჭამელში“ მითოლოგიური წარმოდგენების პოეტური ემანაცია.

2. „ბახტრიონი“

„ბახტრიონის“ ფინალში გაუგონარი რამ ხდება: გველი ჰკურნავს სასიკვდილოდ დაჭრილ ადამიანს. ამ სურათის ალეგორიული შინაარსი ნათელია: ამას ერთი უსწავლელი ფშაველიც მიმხვდარა. ვაჟა გვიამბობს: ფშაველი „მეხვეწებოდა, მეკითხებოდა: „ვაჟავ, თუ ღმერთი გწამ, ნუ დამიმაღავ, სწორედა თქვი, საქართველოს თავისუფლებას არა გულისხმობ „ბახტრიონში“, რომ ამბობ „ედირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომაო?“ ვაჟას არ უარუყვია ფშაველის მიგნება. იქნება ვგულისხმობდეთ, უპასუხებია პოეტს.

დიდი პოეტისა და უბირი მკითხველის აზრი დაემთხვა ერთმანეთს. ზუსტად გააზრებული ალეგორია ზუსტადვე იქნა წაკითხული. მაგრამ მაინც საინტერესოა ამ ალეგორიულ სურათში დახატული სახეების – ლუხუმის, გველის, ლაშარის გორის – კონკრეტული შინაარსი. ლუხუმი საქართველოა. ეს უდავოა. მაგრამ გველი რაღაა? მაინცდამაინც უნასმა უმკურნალა ლუხუმს? ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ „ადამის ტომის მტერი“, „ბევრის ცოდვის მოქმედი“ ლუხუმის ვაჟკაცობით მოიხიბლა და „მისი გველური ბუნება“ სიბრალულით აივსო? ასე უბრალოდ არ უნდა იყოს საქმე. აქ სხვა აზრიცა და შინაარსიც უნდა იმალებოდეს.

მივაქციოთ ყურადღება ერთ გარემოებას: ლუხუმს (ე.ი. საქართველოს) გველი მფარველობს, მტრის წინააღმდეგ ამხედრებულ ქართველთა ლაშქარს – ლაშარის ჯვარი, ე.ი. წმინდა გიორგი. ლაშარის წმინდა გიორგი ქართველთა ლაშქარს მარტო „ბახტრიონში“ არ მფარველობს. იგი ყველგან და ყოველთვის იცავს ქართველთა მხედრობას. „ფშაველი ჯარისკაცის წერილში“ ნათქვამია:

*„ერთი რამ უნდა გაუწყო,
გავკვირვებულვარ ამითა:
როცა ომი გვაქვს, ქართველის ჯარს,
ნათელი გვიძღვის ღამითა,
კაცი რამ ლურჯცხენიანი,
ამოდებულის ხმალითა,
მალლიდან თავზე დაგვბრუნავს
ტურფა იერით, ტანიითა.
სახე აქვს შავად მოცული
მას დიდის კაეშანიითა.
ეს ჩვენი ჩუმი მფარველი
ლაშარის ჯვარად ვსცანიითა“.*

ფშაველი ჯარისკაცის ამ ხილვას უცნაურად ეხმიანება მემატიანის ერთი ცნობა: „რამეთუ პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა, რამეთუ ქელი მალლისა შეეწეოდა, და ძალი ზეგარდმო ფარვიდა მას, და წმიდა მოწამე გიორგი განცხადებულად ყოველთა სახილველად წინაუძლოდა მას და მკლავი-

თა თუისითა მოსრვიდა ზედამოწევნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თუით იგი უსჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგუით-ხრობდეს სასწაულსა ამას მთავარ-მოწამისა გიორგისსა“. როგორც ვხედავთ, დიდგორის ომში დავით აღმაშენებელს იფარავდა და წინ უძღოდა წმინდა გიორგი. „ბახტრიონშიც“ ხომ ასევე გამოეცხადება ლაშქარს ლაშარის წმინდა გიორგი!

*„შადექით“, ჰყვირის ლუხუმი,
სამკლავიანის ხელითა:
„ვერა ჰნახეთა, ბატონი
წინ მიგვიძღვება ცხენითა?!“
ვნახე, ცის ტატნად დავატყვე,
მთა გადალახა სწრაფადა,
გარს ევლო შუქი ბრწყინვალე,
ციდამ მოსული ძაფადა.
ლურჯს ცხენზე იჯდა, ლამაზი
სხივი თავს ედგა ღვთიური,
რო ვნახე, გულში ჩამიდგა
სიამოვნება ციური“...*

და ასე შემდეგ, ერთი სიტყვით, ქართველი კაცის წარმოდგენით, წმ. გიორგის ძლევამოსილი მარჯვენა იფარავს ქართლოსის მოდგმას და სადაც წმ. გიორგია, იქ ქართველიც გამარჯვებულია. თუ ასეა, მაშინ დაჭრილი და მომაკვდავი ლუხუმი რატომღა მიატოვა ამ მზრუნველმა პატრონმა? რატომ დაივიწყა გასაჭირში ყმა ლაშარმა? იქნებ არც მიატოვა, არც დაივიწყა: სურიელის სახით გამოეცხადა, უმკურნალა და უშველა. „შაადლებინა სნეულსა ფეხზე დადგომა“. ვფიქრობ ასეა: „ბახტრიონის“ ფინალში გველი ლაშარის წმინდა გიორგის ხტონური ჰიპოსტასია.

შევეცდები დავასაბუთო ეს.

წარმართული რელიგიისა და მითოლოგიისათვის ღვთაებათა ორპირიანობა ჩვეულებრივი მოვლენაა. როგორც ჩანს, წმ. გიორგიც (სამწუხაროდ, ვიცით ამ ღვთაების მხოლოდ ქრისტიანიზირებული სახელი. არ ვიცით რა ერქვა მას წარმართულ პანთეონში) ორი ჰიპოსტასის მატარებელი უნდა ყოფილიყო. ქართული ფოლკლორი იცნობს როგორც თეთრი გიორგის (მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილი აწყურის თეთრი გიორგი. ამას ოსურ ფოლკლორში არსებული უას-გერგიც, ნათელი, თეთრი გიორგიც, დავუმატოთ), ისე ჯოჯოხეთის წმ. გიორგისა და უმზეურ გიორგის. ღვთაებათა ორპირიანობის გამოვლენა უნდა იყოსო, ამბობს ვახტანგ კოტეტიშვილი, ჩვენი წმ. გიორგი უმზეური, როგორც თეთრი გიორგის ქვესკნელური სახე ან ე.წ. ჯოჯოხეთის წმ. გიორგი, რომლის კვალიც ატენის ხეობაში აღმოჩნდაო.

მამასადაამე, ერთი მხრივ, ყოფილა თეთრი გიორგი, ანუ ზესკნელის გიორგი, ხოლო, მეორე მხრივ, მის საპირისპიროდ – უმზეური, ჯოჯოხეთის გიორგი, ე.ი. ქვესკნელის გიორგი.

ქართულ მითოლოგიაში ქვესკნელის გიორგის არსებობას ისიც ადასტურებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში წმ. გიორგის თიკუნია ნღვარმშვენიერი, წყაროსთაული, ე.ი. წმ. გიორგი წყალს უკავშირდება. წყალი კი მითოლოგიაში ქვესკნელის ატრიბუტია.

სხვათა შორის, შეიძლება გვეფიქრა, რომ ლაშა-გიორგიც თეთრ გიორგის ნიშნავს. სიტყვა „ლაშა“ საბას „ქვეყნის მანათობლად“ აქვს განმარტებული. ამასვე ამბობს „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორიც: ლაშა „განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა“. განმანათლებელი, ნათელი, თეთრი ამ შემთხვევაში სინონიმებია. ე.ი. ლაშა-გიორგიც თეთრი გიორგია. თუ ეს ასეა და ლაშარი სიტყვა „ლაშას“ (ნათელს) უკავშირდება, მაშინ ხომ არ ნიშნავს ლაშარის გიორგი თეთრ გიორგის, ზესკნელის გიორგის? მეტი საბუთია საჭირო. ჯერჯერობით ეს მხოლოდ ვარაუდია.

ქართველთა წარმოდგენით, წმ. გიორგი უნივერსალური ღვთაებაა. ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ „წმ. გიორგი ყოვლადკეთილი და ძლიერი ღვთაებაა, უმთავრესი ადგილი უკავია და თვით ღმერთებსაც კი აღემატება“. ივანე ჯავახიშვილი იმასაც ამბობს, რომ „ხალხში გავრცელებულია რწმენა, რომ საქართველოში იმდენი წმ. გიორგის ეკლესიაა და იმდენი წმინდა გიორგია, რამდენიც წელიწადში დღეებია“. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა ერთი სალოცავის სიტყვები, რომელშიც ნათქვამია – ცხრა ოც და სამო წმ. გიორგივ!.. ცხრაჯერ ოცი ასოთხმოცია. ამას სამსაც თუ მივუმატებთ, გამოვა ასოთხმოცდასამი. მივუმატოთ ასოთხმოცდასამს ასოთხმოცდასამი და მივიღებთ სამას სამოცდაექვსს, ე.ი. იმდენს, რამდენიც დღე-ღამეა წელიწადში. აქაც დასტურდება ხალხის რწმენა – იმდენი წმინდა გიორგია, რამდენი დღე-ღამეც წელიწადშია. თუ ასეა, მაშინ რატომ არ მიმართავს მლოცველი სამას სამოცდაექვსს გიორგის (თუმცა ასეთი ლოცვაც არის: სამას სამოცდაექვსი გიორგი შეგვეწიოსო) და ევედრება ცხრა ოც და სამ გიორგის? საქმე ის არის, რომ აქაც წმ. გიორგის ორი ჰიპოსტასია გამოვლენილი – თეთრი, ანუ დღე და შავი, ანუ ღამე. მლოცველი მიმართავს წმ. გიორგის ერთ-ერთ სახეს. ერთ-ერთ ნახევარს და ამბობს: ცხრა ოც და სამო გიორგივ!

რაკი ორი გიორგია ზესკნელისა და ქვესკნელისა, როგორი სახით ვლინდება მითოლოგიაში თითოეული მათგანი? ზესკნელის გიორგის სახეა ხარი და ხე, ქვესკნელის გიორგისა კი – გველი.

სადაც კი წმ. გიორგის ლოცულობენ, ყველგან სამსხვერპლოდ ხარი მიჰყავთ. ეგ სულ ერთია, ქრისტიანულად ხდება წესის აღსრულება თუ ნახევრად წარმართულად. ასეა ილორობის დღესასწაულზე ილორში, ასეა თეთრგიორგობას აწყურში, ასეა ხევში გარბანის წმ. გიორგის ხატობისას... ერთი სიტყვით, ჩვენში ყველგან და ყოველთვის წმ. გიორგის სახელი ხარს უკავშირდება. ეს სა-

ერთოდ, კონკრეტულად, ლაშარის ჯვარიც ხარს ითხოვს მსხვერპლად ზორვისას.

***„თქვენ დამაცალეთ, ფშავლებო, მალოცეთ ხატის კარიო,
სამსხვერპლოდ მომიყვანია თეთრი ორბაი ხარიო“...***

ნათქვამია ლექსში „ლაშარს მოვიდა თილისძე, გულდიდად დაჯდა ხარიო“... მეორე ლექსში კი ფშაველი გმირი იკვეხნის, – „ლაშარის მიხოცავ ქისტის ხარები რქიანი“.

ლაშარის წმ. გიორგის სადგომი კი მუხაა: ერთ ფშაურ ლოცვაში წმ. გიორგი მუხის ანგელოზად იწოდება: „დიდება შენთვის, გიორგი მუხის ანგელოზო“. იქვე სქოლიოში თავად ვაჟა განმარტავს, გიორგი მუხის ანგელოზი ლაშარის ჯვარიაო. ხოლო თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ხალხურ ლექსში ლაშარის ჯვარი ამბობს:

***„ბერი გიორგი მეც ვიყავ, ცას ვები ოქროს შიბითა,
გორაზე მედგა ბერმუხა, ზედ ავდიოდი კიბითა“.***

თედო რაზიკაშვილის სიტყვით, ბერი გიორგიც ლაშარის ჯვარია. მუხისა და ლაშარის ჯვრის ურთიერთობის ამბავი სხვა ლექსშიც აღინიშნება:

***„დილობდა ლაშარის ჯვარი, – ცასა ვკიდივარ შიბითა,
ხმელ გორზე მედგა ბერმუხა, ვერვინ დამწონა შიშითა“.***

ერთი გადმოცემის თანახმად, ეს მუხა ზურაბ ერისთავმა მოაჭრევინა თურმე მზაკვრობითა და ვერაგობით.

აქ აღსანიშნავია თინათინ ოჩიაურის შენიშვნა: ლაშარის ბერმუხის ამბებს „საგანგებო განხილვა ესაჭიროება, ვინაიდან მათში მხოლოდ ღვთაების სადგურად კი არ გვევლინება ხე, არამედ იგი სიცოცხლის ხის მოტივსაც უნდა უკავშირდებოდეს“. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ამ ხეების ძირში ყოველთვის წყარო დის. ეს წყაროებიც უკვდავების წყალი უნდა იყოს. „ანმც ვინ ვეშა წყარო გვექნა, გუდან ბელის კარს გვადინა“. გუდანაც წმინდა გიორგის სალოცავია, ვეშა წყარო კი უკვდავების წყაროა.

როგორც ზემოთ ითქვა, ხარი და ხე წმინდა გიორგის მოუცილებელი ატრიბუტებია. მაგრამ რა აკავშირებს ხარს უხსენებელთან? ბერძნული მითოლოგიის კლასიკური ფორმულა ამბობს: გველის მშობელი ხარია და ხარისა – გველიო. ეს ფორმულა ყველა მითოლოგიისათვის კანონი ყოფილა, რამეთუ ღვთაების ხტონური სახე გველია, ხოლო ზეციური – ხარი. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ თინათინ ოჩიაურის გამოკვლევის თანახმად, სურიელი „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიაში წარმოდგენილია ღვთისშვილთა

დამხმარე პერსონაჟის სახით“. „ბაქტერიონშიც“ გველი ეხმარება ლაშარს გადა-
არჩინოს სასიკვდილოდ განწირული ლუხუმი.

საერთოდ მითოლოგიაში გველი ყოველთვის უკავშირდება მკურნალო-
ბას. საკმარისია გავიხსენოთ, რომ მკურნალობის ძველბერძნული ღვთაება ას-
კლეპიოსი უნასის ჰიპოსტასს ატარებდა (დღესაც ხომ მედიცინის ემბლემა გვე-
ლია!). ასკლეპიოსი არა მარტო სწორუპოვარი მკურნალი იყო, არამედ მკვდრე-
თით აღდგინებაც შეეძლო. განა მომაკვდავი ლუხუმის განკურნებაში იგივე მი-
თოლოგიური მოტივი არ ჟღერს? აქ უთუოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საერ-
თოდ სიკვდილს ლაშარისა ემინია.

*„სიკვდილმა თქვა: „ზღვა-ზღვა წამოვედ, ზღვა ჩქეფით
შამოვიარე,
შეგვაზმე ლურჯი აქლემი, ხმელეთი შამოვიარე.
ფშავისკე გადავიხედე, – ყიოდნენ ვარდნი, იანი.
ჩავეღირე და ვერ ჩავედ: ხატი ხყოლიყო ძრიალი,
წვერის ძირს შამამეგება გიორგი პირ-ოფლიანი,
ფშავისკე აღარ გამიშვა, ყოფილა დავლათიანი“.*

გიორგი პიროფლიანი ლაშარის ჯვარია. დავლათიანი კი ეტლიანს, ილ-
ბლიანს, ბედიანს ნიშნავს. ვის მხარეს ლაშარი – გიორგი პიროფლიანია, მას ბე-
დისწერა, ეტლი სწყალობს. ამიტომ გადაურჩა ფშავი სიკვდილს. მელექსესაც
ამიტომ უკვირს ქავთარის სიკვდილი. ქავთარის ხომ ლაშარის ჯვრის ნაჩუქარი
შიბი ჰქონდა!

*„ნეტარ, ქავთარსა რა მოხკლავდა?
შიბი ცხრა-კეცი ედვა ყელსა
ლაშარის ჯვარის ჩადებული“.*

გიორგი თილისძესაც აძლევს სურიელ წამალს:

*„ჩილოს ძირ დაგძინებოცა,
მაშვრალო, გრილსა ქვა ზედა,
ყელს გველი გადმაგზვევიცა,
თავი დაედვა თავზედა.
მე რომ არ მოვსულიყავი,
წამალს გაყრიდა ტანზედა“.*

ამ ლექსების მიხედვით, ლაშარიც მკურნალია და გველიც. ორივე ერთსა
და იმავე ფუნქციას ატარებს, რადგან ერთი და იგივე ღვთაებაა, ოღონდ სხვა-
დასხვა ჰიპოსტასით გამოვლენილი.

სხვათა შორის, ხალხურ ლექსშიც ლუხუმს გველი მკურნალობს:

*„სიმშლით დაღონებულმა ქუჩი მოძოვა მთისაო,
წყურვილით დაღონებულმა ცვარი ალოკა ცისაო.
ლოხუმს გველ შამეჩვია, მუხლს ულოკს, უკურნისაო.
ორი კვირა რო წავიდა, ლოხუმს მუხლ ექნა მგლისაო“.*

მართალია, არ ვიცით ეს ლექსი როდის შეიქმნა – ვაჟას პოემისდაწერამდე თუ შემდეგ – მაგრამ მაინც საყურადღებოა იგი. აქაც მშველელი და მკურნალი გველია, თუმცა ეს ლოხუმი სრულიად არ ჰგავს ვაჟას ლოხუმს. ხალხური ლექსის ლოხუმი ლეკებსა და თუმებს ებრძვის. დაიჭრება (მუხლი მოტყდება), მტრები დაჯაბნიან – ხირიმსა და ფრანგულს წაართმევენ. მტრები წესსაც და არღვევენ: დაჭრილ ლოხუმს მარჯვენას მოაჭრიან (ცოცხალს არ შეიძლება, რომ მკლავი მოჰკვეთონ). ამის შემდეგ უშველის გველი ლოხუმს. მართალია, ვაჟა ამბობს, რომ „გმირები პოემისა – ლოხუმი, ხოშარეული, სუმელჯი, კვირია, სანათა, გარდა ზეზვასი, ხალხურ ლექსებში ერთიც არ არის ნაჩვენები, რომ იმათ მიეღოს რაიმე მონაწილეობა ბახტრიონის ბრძოლებში“, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვაჟა ხალხური პოეზიიდან არ იცნობდა გველის მიერ ლოხუმის განკურნების მოტივს. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: ვაჟასთანაც და ხალხურ ლექსშიც მკურნალი გველი მითოლოგიური სახეა. ამ მითოლოგიურ სახეს ედუარდ შიურე ასე განმარტავს: რა მნიშვნელობას ანიჭებდა გველს ძველი ტაძრები? ინდური, ეგვიპტური და ბერძნული მისტერიები ერთხმად გვპასუხობს: რგოლად დახვეული გველი ნიშნავს მსოფლიო სიცოცხლეს, რომლის მაგიური ძალაა ასტრალური სინათლე. უფრო ღრმა აზრით Nahash (გველი) აღნიშნავს იმ ძალას, რომელიც ამოდრავებს სიცოცხლეს. „ბახტრიონშიც“ გველი სიცოცხლეა. ვაჟა მხატვრულად ასახავს იმას, რასაც მეცნიერულად განმარტავს ედუარდ შიურე. ეს რომ ასეა, ამას შემდეგი კომპონენტები გვიმტკიცებს:

ედუარდ შიურე ამბობს (გავიმეოროთ): გველი სიცოცხლეა. მისი მაგიური ძალაა ასტრალური სინათლე.

საერთოდ წმ. გიორგი და კერძოდ ლაშარის წმ. გიორგი სინათლეს უკავშირდება. ჯერ ერთი, გიორგის ეპითეტია თეთრი (ოსურ ფოლკლორში – „უას“ – „ნათელი“). გიორგის ხტონური ჰიპოსტასის თიკუნია „უმზეური“, ე.ი. არანათელი. მეორეც, ლაშა და ლაშარი, მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი ეტიმოლოგიური ახსნა არ მოგვეპოვება, უთუოდ დაკავშირებულია ერთმანეთთან (ამას ხალხური ლექსებიც ადასტურებს). ლაშა კი მანათობელია, გამანათებელია, ე.ი. სინათლეა. ლაშარის წმ. გიორგი რომ ასტრალური სინათლეა, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ლაშარის ზეციური, ანუ მზიური ჰიპოსტასი ხარია, ხოლო ლაშარის სადგომი – მუხა. მითოლოგიის თანახმად, მუხა მზის ბინაა. ერთი სიტყვით, ყოველი მხრით, ლაშარი ასტრალურ სინათლეს უკავშირდება.

„ბახტრიონშიც“ ლაშარი ნათელმოსილი სახით წარმოდგება.

1. „ბეღლის კარს მოდგა მ ზ ე ბ უ რ ა“...

*2. „გარს ევლო შუქი ბრწყინვალე,
ციდამ მოსული ძაფადა“...*

*3. „მე ტრედისფერად მეჩვენა,
სხივი მისდევდა მზიური“...*

*4. „ლაშარის ჯვარის ცხენისა
ნატერფალია ელვარე“...*

*5. „ლურჯს ცხენზე იჯდა, ლამაზი
სხივი თავს ედგა ღვთიური“.*

„ბახტრიონის“ ავტორის მიერ დახატული ლაშარიც ასტრალური სინათლეა (აქ ვაჟა ზუსტად იმეორებს ლაშარის ხალხურ წარმოდგენას). რაკი ასტრალური სინათლე სიცოცხლის მაგიური ძალაა, ბუნებრივია, რომ ლუხუმს ლაშარი უბრუნებს სიცოცხლეს. ისიც ბუნებრივია, რომ ლაშარი ლუხუმს გველის სახით გამოეცხადება. გველი ხომ ასტრალური სინათლის ხტონური ჰიპოსტასია, რომელიც სიცოცხლეს განასახიერებს. შემთხვევით არ არის ნათქვამი „ბახტრიონში“ – „ერთ დღესა გველი, ვით ნისლი, გაწოლილიყო ხეზედა“... ნისლი ლაშარის ფერია („ლაშარის ჯვარო, მიშველე, მიბომე ნისლის ფერია!“ „ლაშარის ჯვარის ლურჯასა ფაფარ ასხავის გიშლისა. ნახანის გემართება, კოტორ გაჰყვება ნისლისა“. „გადაჯდა ნისლის ფერზედა, არ ჩამაილო თავია“), ხოლო ხე – მისი საცხოვრისი. მამასადაძე, ნისლიფერი ლაშარი ცხოვრობდა გველის სახით ხეზე და, რა იხილა მომაკვდავი ლუხუმი, უშველა მას.

წმ. გიორგი ზოგადქართული, საერთოქართული ღმერთია. როგორც ვიცით, მან ქრისტიანულ პანთეონში წარმართული მთვარე შეცვალა (ივანე ჯავახიშვილი). ამის გახსენება იმიტომ დამჭირდა, რომ ახსნას მოითხოვს „ბახტრიონის“ სტრიქონები:

*„გადმოდგა ბორბალაზედა
თავისუფლების მთვარეა“.*

საქმე ის არის, რომ ეს სტრიქონები თითქოსდა ლოგიკურად არ უკავშირდება წინა სტრიქონებს.

*„ხუთშაბათ დილა გათენდა,
სისხლისა ნიაღვარია,
ბახტრიონს თათრის შვილებსა
დღე გაუთენდათ მწარია.
გადმოდგა ბორბალაზედა
თავისუფლების მთვარეა“.*

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ „თავისუფლების მთვარის“ მაგიერ უფრო უპრიანი იქნებოდა „თავისუფლების მზე“. ვაჟა ის პოეტი არ არის, რითმის გულისათვის სიტყვა უაზროდ იხმაროს. მაშ რა მოხდა? აქ აუცილებელია გახსენება იმისა, რომ „ასტრალური კონცეფციიდანვე მომდინარეობენ სიტყვები ბორ-ცუი (ბურცვა), როგორც ბინა ამ ღვთაებისა (მასისის ბორცვი) და ბურ-თი, ბორბალი, როგორც გახსენება მზის სიმრგვალისა. აღსანიშნავია, რომ „ცის განსახიერებას ბორბალი ანუ თვალი წარმოადგენდა“... (დემნა შენგელაია). მთა ბორბალაც (ბორბალიდან წარმომავალია) ქართულ მითოლოგიურ ციკლში უნდა შედიოდეს და იგი ისევე იყო მზის ღვთაების ბინა, როგორც ოლიმპო ზევსის საცხოვრისი. მერედა განა უაზრობა არ არის მზის მთაზე მთვარის გადმოდგომა? მაგრამ აკი ითქვა, რომ წმ. გიორგი სამას სამოცდაექვსიაო!.. ასოთხმოცდასამი დღეა და ასოთხმოცდასამი ღამეა. ე.ი. წმ. გიორგი ნახევარი მზეა და ნახევარი მთვარეა. ახლა ლოგიკურია, რომ იგი ბორბალაზე გადმოდგა და თავისუფალ სამწყსოს დახედა.

წმ. გიორგი მთელი საქართველოს მფარველია. ლაშარის ჯვარიც არ არის მარტო ფშავის ღვთაება. იგიც მთელი საქართველოს დამრიგებელია: „დიდო ხელმწიფე, ლაშარის ჯვარო, საქართველოს დამრიგებელო“ – ილოცავს ფშაველი. და ეს დამრიგებელი და პატრონი საქართველოსი ეხმარება დაჭრილ ლუხუმს (=საქართველოს). მისი წყალობით შეიძლება იგი აღორძინებას (შედგება ლაშარის გორაზე). აქ ალეგორიულად იგივეა ნათქვამი, რასაც ვაჟა პირდაპირ და აშკარად ამბობდა წერილში „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი“: „როგორ გგონიათ? არ მაქვს მე წარმოდგენილი მომავალი ჩემის ქვეყნისა ბრწყინვალედ? ნუთუ ეს არა სჩანს ჩემი ნაწერებიდან? რომ ეს არა მწამდეს, თქვენ გგონიათ მე კალამს ავიღებდი ხელში?!.. ურწმუნოთა შრომა ამოა, შეუძლებელიც“...

ამ რწმენას პოეტი „ბახტრიონში“ მითოლოგიური პლანით გამოხატავს.

მარაგითზრახვა¹

საუკუნეების მანძილზე იდგა ქართველი კაცი ტაძარში და გალობდა –

*იაკობ კიბედ გიხილა, ხოლო მოსე –
მაყვლად, დანიელ – მთად, გედეონ – საწმისად,
ანგელოზისა მოსვლითა შეცვრულთა
ცეცხლსა მას შინა ქადაგეს ყრმათა, რაჟამს
ხატი ოქროისა გინებითა კდემულ-ყვეს!*

მაშინ იოანე შავთელის ეს ჰიმნი ყველასათვის ნათელი და მკაფიო იყო. დღევანდელ მკითხველს კი ვერ გაუგია, რატომ იხილეს ღმრთისმშობელი კიბედ, მაყვლად, მთად, საწმისად. არადა, ეს სახეები ჰიმნიდან ჰიმნში მეორდება. რა თქმა უნდა, განმეორება ბუნებრივია, რამეთუ კანონიკურია ტექსტი. უკვე შექმნილია, ჩამოყალიბებულია გარკვეული მოდელი და ავტორს ეკრძალება მისი დარღვევა. მართალია, მოდელირება მხატვრულ მრავალფეროვნებას უკარგავს სასულიერო პოეზიას, მაგრამ ნიჭიერი ჰიმნოგრაფოსები მაინც ახერხებდნენ ისე წერას, რომ დღესაც კი ვიხიბლებით. ეს იმიტომ, რომ შეუძლებელია ტემპერამენტის მოდელირება და სხვადასხვაგვარია საგალობელთა ტემპერამენტი. ასევე შეუძლებელია ვნების მოდელირება და მკითხველიც ამკარად გრძნობს ვნებათა ნაირფეროვნებას ჰიმნებში. არც განწყობილების მოდელირება შეიძლება და ყოველ ავტორს საკუთარი განწყობილება შემოაქვს ლექსში. ემოციაც არ მორჩილდება მოდელირებას და სხვადასხვაგვარი ემოციით არის დატვირთული ძველი საგალობლებიც.

სასულიერო ჰიმნების სიმბოლიკის ამოსაცნობად აუცილებელია გავიხსენოთ ზოგადი რელიგიური კონცეფცია: ღმერთი ყველგან და ყველგან არის, მაგრამ მისი ხილვა არავის ძალუძს. თუმცა თავად მას აქვს უნარი როცა მოისურვებს ადამიანებს ეჩვენოს. ე.ი. უხილავი ხილული გახდეს. ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, უხილავმა ღმერთმა წმ. მარიამის წიაღში შეისხა ხორცი და, ქრისტეს სახით, ადამიანმა დაინახა უფალი. „რომელმან სიტყვად განაზრქე (გაასქელე) დაკრვითა ხორცთა მიწისადთა“, მიმართავს დავით აღმაშენებელი ღმრთისმშობელს. რაკი ღმრთისმშობლის მემვეობით გახდა უხილავი ღმერთი ხილული, ამიტომ ძველი აღთქმის ყველა სიმბოლო, რომელიც ადამიანის წინაშე ღმერთის გამოცხადებას გვაუწყებს, გულისხმობს წმ. მარიამს. მისი ალეგორიაა.

ახლა კონკრეტულ სახეებს მივაქციოთ ყურადღება. ჰიმნებში ღმრთისმშობელი იხსენიება მაყვლად – „მაყული მოტყინარეი“.

*„მაყული მგ ზნებარეი ცეცხლითაჲ,
რომელი არა შეიწუებოდა და აწ
გევედრებით:
დაშრიტე, ღმრთისმშობელო,
ალი ცოდვათაჲ, რაჲთა გადიდებდეთ“
/ძლისპირი).*

ანდა

*„და არა შეიწვა, ვითარ მაყული“...
/იოანე მტბევარი).*

ცეცხლმოდებული მაყვალი, რომელიც არ იწვოდა, გვახსენებს ძველი აღ-
თქმის გამოსვლათა წიგნში (თავი 3, მუხლი 1-22) ნაამბობს.

როცა მოსე თავის სიმამრს იოთორს ემსახურებოდა, ცხვარი წაიყვანა სა-
ძოვრად. მივიდა იგი „მთასა მას ღვთისასა ქორებად“ და დაინახა ცეცხლწაკი-
დებული მაყვლის ბუჩქი. მოსე განცვიფრდა. ბუჩქს ცეცხლი ეკიდა, მაგრამ არ
იწვოდა. მოსე დაინტერესდა, უნდოდა გაეგო, რა ხდებოდა. იგი ბუჩქისაკენ წა-
ვიდა. როცა ღმერთმა დაინახა, რომ მოსე მისკენ მიდიოდა, დაუძახა: მოსე! მო-
სე! არ მოხვიდე აქ. გაიხადე ხამლი ფეხთაგან, რამეთუ ადგილი, რომელზეც
დგახარ, წმინდა არის. მე ვარ შენი ღმერთი, ღმერთი აბრაამისა, ისაკისა, იაკო-
ბისა. მოსემ ხელები აიფარა სახეზე. მას ეწინოდა, შეეხედა უფლისათვის. მაშინ
ღმერთმა უთხრა: მე ვნახე ჩემი ხალხის ტანჯვა ეგვიპტეში. გავიგონე მისი ლა-
ლადისი. ვიცი მისი სევდა. მოვედი, რომ ვიხსნა იგი ეგვიპტელთა ტყვეობიდან.
წაიყვანო აღთქმულ ქვეყანაში, სადაც რძე და თაფლი დის. მერე მოსეს დაავა-
ლა ებრაელთა ეგვიპტიდან გამოყვანა. მოსემ ჰკითხა ღმერთს, როცა ებრაელები
მკითხავენ, რა არისო მისი სახელი, რა ვუპასუხო. ამაზე ღმერთმა მიუგო: „მე
ვარ, რომელი ვარ; რომელი არს, მან მომავლინა მე თქვენდა“. შემდეგ აუხსნა
მოსეს როგორ მოქცეულიყო. ებრაელთა თავკაცებთან ერთად წახვალ ეგვიპტის
მეფესთან და ეტყვი: ებრაელთა ღმერთმა მოგვიწოდა ჩვენ. გავვიშვი უდაბნო-
ში სამი დღით, რათა მსხვერპლი შევწიროთ მას. მართალია, ეგვიპტელთა მეფე
უარს გეტყვით, მაგრამ მე განვაცვიფრებ მას სასწაულით და მეფე იძულებული
გახდება გაგიშვას.

ძველი აღთქმის ამ მითის მიხედვით მოდელი ასეთია: ღმერთი → მაყ-
ვლის ბუჩქი → ცეცხლი.

ახალი აღთქმის მოდელი კი შემდეგნაირია: ღმერთი → ღმრთისმშობე-
ლი → ქრისტე.

როცა ამ მოდელებს ერთმანეთს შევადარებთ, მკაფიოდ დავინახავთ, რომ
მაყვლოვანი ღმრთისმშობლის სიმბოლოა, ხოლო ცეცხლი – ქრისტესი. ამიტომ
არის, რომ ღმრთისმშობელს ჰიმნოგრაფოსები ხშირად მიმართავენ – „ცეც-
ხლმან ღმრთეებისამან არა შეწუა საშობ შენი, უქორწინებლო დედაო ძისა
ღმრთისაო“... ხოლო ქრისტეს უგალობენ – „შენ, რომელი გამოშჩნდი ცეცხლად
მაყულოვანსა შინა“...

თავად ღმრთის მაყვლოვანში გამოცხადება კი ერის ხსნას (ებრაელთა ეგ-
ვიპტის ტყვეობიდან გამოყვანა) გულისხმობს.

ღმრთისმშობელი კიბედაც იხსენიება საგალობლებში.

„... კიბეო ცად აწევნულო, ღმრთისმშობელო მარიამ“ (ძლისპირი).

„კიბედ იაკობისად იწოდე შენ, რომელსა გარდამოხდა დამზადებელი
მხსნელად ჩუენდა...“ (ძლისპირი).

„კიბეო, რომელსა ზედა გარდამოხდა ღმერთი...“ (იოანე მტბევარი).

ახლა უნდა გავიხსენოთ ძველი აღთქმის დაბადების ანუ შესაქმეს წიგნი
(თავი 28. მუხლი 1-22).

ისაკმა მოუხმო შვილს იაკობს და უთხრა: არ შეირთო ცოლად ქანანის ქალთაგან არავინ. წადი შუამდინარეთში, ბათოილის, დედაშენის მამის, სახლში და ცოლად მოიყვანე ლაბანის, დედაშენის ძმის, ასულთაგან ერთ-ერთი. ღმერთი დაგლოცავს შენ და მრავალი ხალხი წარმოიშობა შენგან.

იაკობმა ყურად ილო მამის ნათქვამი და შუამდინარეთში გაემგზავრა. გზად დაღლილი ერთ ადგილას შეჩერდა და ღამის გათევა გადაწყვიტა. აილო ქვა, დაიდო სასთუმლად და დაიძინა. ესიზმრა იაკობს: დგას კიბე მიწაზე. წვერი მისი ეხება ცას. ღმრთის ანგელოსები ადიან და ჩამოდიან კიბეზე. ღმერთიც კიბეზე იდგა და ამბობდა: მე მოგცემ შენ და შენს შთამომავლობას იმ მიწას, რომელზეც დგახარ. შენი შთამომავლობა იქნება ქვიშასავით მრავალი. დალოცვილი იქნება შენში და შენს თესლში ყველა ტომი მიწისა. მე შენთან ვარ და დაგიფარავ ყველგან, სადაც უნდა წახვიდე და დაგაბრუნებ ამ მიწაზე. არ მიგატოვებ მანამ, სანამ არ შეასრულებ იმას, რაც გითხარი.

იაკობს გაელვიდა. შეშინდა და თქვა: ეს ადგილი არის სახლი ღმრთისა და ბჭე ზეცისა. აილო ქვა, თავქვეშ რომ ედვა, დადგა ძეგლად და ზეთი აპკურა. ადგილს კი უწოდა სახლი ღმრთისა. დადო იაკობმა აღთქმა: თუ ღმერთი იქნება ჩემთან, დამიფარავს ამ გზაზე, რომელსაც ვადგავარ, მომცემს პურს საზრდელად და ტალავერს სამოსლად, მაშინ მშვიდობით დავბრუნდები შინ, მამიჩემის სახლში და „იყოს უფალი ჩემდა ღმერთად“. ეგოს ეს ქვაც, რომელიც ძეგლად დავდგი, ღმრთის სახლად და რასაც იგი მაჩუქებს, იმის მეათედ წილს მასვე შევწირავ.

ამ მითში კიბე ღმერთის გამოცხადების, მისი ხილვის საშუალებაა. რადგან ასეა, ბუნებრივია, რომ კიბე ღმრთისმშობლის სიმბოლოა.

„წინასწარმეტყუელნი გამოგსახვიდეს... კიბედ ზეცისად აღმართებულად“ (ძლისპირი).

შედარებით იშვიათად, მაგრამ ღმრთისმშობელი საწმისადაც იხსენიება: „გიხაროდეს საწმისო ცუარისა საღმრთოდსაო“ (ძლისპირი).

საწმისის სიმბოლური აზრის ამოსახსნელად უნდა გავიხსენოთ ძველი აღთქმის მსაჯულთა წიგნი (თავი 6, მუხლი 1-40).

ისრაელის ძენი ისევ ბოროტის ქმნას შეუდგნენ. დასაჯა ისინი ღმერთმა და შვიდი წლით მადიამების ხელში ჩააგდო. მთელი სარჩო-საბადებელი მადიამებსა და ამაღეკებს მიჰქონდათ. ისინი, როგორც მუმლი, მოედებოდნენ ყველაფერს და ანადგურებდნენ. ამ მძიმე მდგომარეობაში იყვნენ ებრაელები, როცა გედეონს იოასის ძეს, ეფთრათესთან, მუხის ქვეშ, გამოეცხადა უფლის ანგელოსი. ამ დროს გედეონი, მადიამებისგან მალულად, იფქლს ლეწავდა კალოზე და უთხრა მას უფლის ანგელოსმა – ღმერთი შენთან არისო. თუ ღმერთი ჩვენთან არის, რატომ ჩავვარდით მაშინ ამ უბედურ დღეში? – გაკვირვებით იკითხა გედეონმა. შემდეგ განაგრძო: ღმერთი იყო ჩვენთან. მან გვიხსნა ტყვეობისაგან, მაგრამ ახლა მიგვატოვა და მადიამებს მიგვცა სატანჯველად. ანგელოსმა ანუგემა გედეონი: წადი და იხსენი ისრაელი. ღმერთი გაგზავნის ამ საქმისათვის. გედეონი განცვიფრდა: როგორ გადავარჩენ ისრაელს. მანასეს შთამომავლობაში

ჩემი ტომი ყველაზე ღარიბია და მეც მამიჩემის სახლში – ყველაზე უმცროსი. ღმერთი იქნება შენთან და შენ დაამარცხებ მადიამებს, როგორც ერთ კაცს – ბრძანა ანგელოსმა. მაშინ შეღადადა უფალს გედეონმა: თუ მაღლი მოვისხი შენს თვალში, მოახდინე სასწაული იმის დასტურად, რომ მართლა მელაპარაკებოდი. არ წახვიდე მანამ, სანამ არ შემოგწირავ მსხვერპლს.

უფლის ანგელოსი დარჩა, გედეონი წავიდა, შეამზადა თიკანი და უცომო ფქვილი ერთი საწყაული. დადო ხორცი ლაკანზე, ჩაასხა წვენი ქოთანში და მიართვა მუხის ქვეშ ანგელოსს. უთხრა ანგელოსმა გედეონს: ყველაფერი დააწყვე კლდეზე და წვენიც ახლოს დაასხი. გედეონი მოიქცა ისე, როგორც უბრძანეს. მერე ანგელოსი კვერთხით შეეხო სამსხვერპლოდ მოტანილს. გამოვიდა იქიდან ცეცხლი და შთანთქა ყველაფერი. ანგელოსი კი გაქრა. მოაწყო გედეონმა იქ ღმერთის საკურთხეველი და უწოდა მშვიდობა უფლისა – იეჰოვა შალომ.

იმ ღამით ღმერთმა დაავალა გედეონს: აიყვანე ზვარაკი ერთი მამაშენის ჯოგიდან და მეორე ზვარაკი შვიდი წლისა. დაანგრე ბაალის საკურთხეველი და მოკაფე სერტყები, რომელიც მის გარშემოა. დადგი ღმერთის საკურთხეველი მთის თხემზე, შესწირე მეორე ზვარაკი მსხვერპლად და დაწვი მოკაფული სერტყებისაგან დამზადებული შეშით. გედეონი ბრძანებისამებრ მოიქცა.

მეორე დილით მოქალაქეებმა ნახეს დანგრეული საკურთხეველი. ყველა მიხვდა, რომ ეს საქმე გედეონმა ჩაიდინა. უბრძანეს იოასს, მამას გედეონისას – გამოიყვანე შენი შვილი. ამ მკრეხელობისათვის უნდა მოკვდეს იგი. მაშინ მათ უპასუხა იოასმა, მამამ გედეონისამ: თუ ბაალი ღმერთია, თავად დაიცვას თავი. იგი კი, ვინც მის გამოქომაგებას დააპირებს, ამ დილითვე მოკვდება. ხალხი შეშინდა, გაჩუმდა და ხმა აღარ ამოუღია.

ამასობაში მადიამები და ამალეკები შეიკრიბნენ, მდინარე იორდანე გადმოლახეს და იეზრაელის ღელესთან დაბანაკდნენ.

ღმერთის სულმა გააძლიერა გედეონი და შეკრიბა მან აბიეზერის ტომი. კაცები აფრინა და მოუხმო მანასეს, ასერს, ზაბულონს და ნეფთალმეს. ისინიც დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ თავიანთი სპით. მაშინ გედეონმა მიმართა უფალს: თუ შენ ჭეშმარიტად გასურს იხსნა ისრაელი ჩემი ხელით, როგორც შემპირდი, მოახდინე სასწაული. კალოზე დავდებ საწმისს. დილით ირგვლივ მიწა იყოს მშრალი, ხოლო საწმისი – დაცვარული. თუ ასე მოხდება, მაშინ დარწმუნებული ვიქნები, რომ შენ გასურს იხსნა ისრაელი ჩემი ხელით. მეორე დღეს ადრე ადგა გედეონი. გაწურა საწმისი და ფილი აივსო ცვრის წყლით. მიწა კი მშრალი იყო. არ იკმარა ეს გედეონმა და ისევ მიმართა ღმერთს: ნუ გამირისხდები, თუ კიდევ ერთი გამოცდის ჩატარებას მოვინდომებ, გააკეთე ისე, რომ მიწაზე ყველგან იყოს ცვარი, ხოლო საწმისი დარჩეს მშრალი. ეს თხოვნაც შეუსრულა უფალმა გედეონს. იგი დარწმუნდა, რომ ღმერთი ისრაელის მხარეს იყო და მან დაამარცხა მადიამი და ამალეკი.

ამ მითშიც სქემა ტრადიციულია: ღმერთი→საწმისი→ცვარი. როცა ისევ გავიხსენებთ ქრისტიანული რელიგიის მოდელს→ღმერთი-ღმერთისმშობელი→ქრისტე, მაშინვე გასაგები გახდება, რომ საწმისი წმ. მარიამის სიმბოლოა,

ხოლო ცვარი – ქრისტესი. ასეც გადადის ეს სიმბოლოები ჰიმნებში, სადაც ცვარი ლოგოსია ანუ ღმრთის სიტყვა, საწმისი კი მისი ხილვის საშუალება, ანუ ღმრთისმშობელი.

მაგრამ ამ არაკს სხვა სიბრძნეც უღევს შინაარსად. თუ სიტყვა საქმით არ დასტურდება, ღმერთსაც არ უნდა ენდოს კაცი. გედეონიც ამიტომ არ ენდობა დაპირებულს. გედეონმა მხოლოდ მაშინ ირწმუნა უფლის სიტყვა, როცა საქმით დაინახა იგი დასაბუთებული. გედეონი ისრაელის, ანუ ხალხის ხსნას ვერ მოახერხებდა მარტო დაპირებით (ცარიელი სიტყვით). ამას აუცილებლად სჭირდებოდა საქმე. როცა ჰიმნოგრაფოსი ძველი აღთქმის ამ იგავს იხსენებს საგალობელში, იგი ამით უპირველესად სიტყვისა და საქმის ერთიანობისაკენ მოუწოდებს. მხოლოდ ამგვარი ერთიანობით შეუძლია ადამიანს ეზიაროს უზენაესს, რამეთუ, „სარწმუნოებად თენიერ საქმეთა მკუდარ არს“ (იაკობის ეპისტოლე, თავი 2, მუხლი 20).

მაყვლის, კიბის და საწმისის გვერდით ჰიმნებში მკითხველს ხშირად შეხვდება მთა, კლდე.

*„ხოლო კლდე იგი იყო სახეი შენდა ქრისტე“
(ძლისპირი).*

*„ლოდი საკიდური უხელოდ გამოეკუთა შენგან მთაო“
(ძლისპირი).*

*„კლდისაგან გამოუკვეთელსა გამოხუედ, ქრისტე,
რომელი არს დედაი ქალწული უქორწინებლისა...“
(ძლისპირი).*

მთისა და კლდის სიმბოლიკის გასაგებად ძველი აღთქმის წიგნში დანიელის წინასწარმეტყველება (თავი 2, მუხლი 2-49) მოგვეხმარება.

ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორმა სიზმარი ნახა. იგი ფრიად შეწუხდა და ძილისშორისის ასახსნელად მოუხმო მსახვრალთა მოგვებს, მეწამლეთ და ქალდეველებს. მეფემ ბრძანა: ჯერ ის უნდა გამოიცნოთ რა მესიზმრა და მერე ამიხსნათო, რას ნიშნავს ჩემი სიზმარი. გაკვირვებულმა ქალდეველებმა უპასუხეს: ამას ვერავინ შესძლებს. შენ უნდა გვითხრა, რა გესიზმრა და მერე ჩვენ აგიხსნითო ძილისშორისის აზრს. ამგვარმა პასუხმა უსაშველოდ გააბრაზა ნაბუქოდონოსორი და განკარგულება გასცა, როგორც უმეცარნი, გაეწყვიტათ ყველა ბაბილონელი ბრძენი. ჯარისკაცები ქალაქს მოედვნენ. ეძებდნენ დანიელ წინასწარმეტყველსა და მის ამხანაგებსაც, რომ სხვებთან ერთად, ისინიც დაეხოცათ. მეფის ქონდაქარის არიოქისაგან დანიელმა ყველაფერი შეიტყო და ამხანაგებს – ანანიას, მისაილს და აზარიას – სთხოვა: ვევედროთ ღმერთს დაგვეხმაროსო ამ საქმეში. უფალმა ისმინა მათი და გაუმხილა სიზმრის საიდუმლო. დანიელი ეახლა არიოქს და უთხრა – ნუ გაჟუჟავ ბაბილონელ ბრძენთ. მი-

მიყვანე ხელმწიფესთან და მე ავუხსნი სიზმარს. დანიელი ნაბუქოდონოსორს მიჰგვარეს და მოახსენა წინასწარმეტყველმა მეფეს:

„არს ღმერთი ცისა შორის გამომცხადებელი საიდუმლოდსა“ და მისი წყალობით შევიტყვე, რაც გესიზმრა. ჩვენება, რომელიც შენ ნახე, იყო უზარმაზარი ხატი (კერპი), მას ჰქონდა თავი ოქროსი, მკერდი, ხელები და მკლავნი – ვერცხლისა, მუცელი და თეძოები – რვალისა, ბარკალნი – რკინისა, ხოლო ფეხები, ერთი – რკინისა, მეორე კი – კეცისა (თიხისა). შენ მანამდე ხედავდი მას, სანამ მთას, ხელის დაუხმარებლად, არ მოწყდა ლოდი. დაეცა იგი ხატს. დაფშვნა კეცი (თიხა), რკინა, რვალი, ვერცხლი და ოქროი. ყველაფერი მტვრად იქცა. ქარმა გაფანტა იგი და აღარაფერი დარჩა მისგან. ლოდი, რომელმაც დაფშვნა ხატი, გადიდდა, გადიდდა და იქცა უზარმაზარ მთად, რომელმაც აავსო ქვეყანა.

ეს იყო სიზმარი. იგი ნიშნავდა:

ხატის (კერპის) ოქროს თავი თავად ნაბუქოდონოსორი იყო, რამეთუ ღმერთმა მიანიჭა მას ხელისუფლება, ძალა და დიდება.

ნაბუქოდონოსორის შემდეგ იქნებოდნენ სხვა სამეფონი, უფრო დაბალ ხარისხოვანნი – ვერცხლისა, რვალისა, რკინისა. მეხუთე სამეფო გაიყოფოდა ორად – რკინად და თიხად. ამიტომ, ერთი იქნებოდა მაგარი, ვითარცა რკინა, მეორე კი – მტვრევადი და ფშვნადი, როგორც თიხა.

ღმერთი გაანადგურებს რკინიან და თიხიან სამეფოს და, რაც მის მერე შეიქმნება, იგი არასოდეს დაინგრევა, რამეთუ იგი გახდება ღმერთის სასუფეველი.

„დღეთა შინა მათ მეფესათასა აღადგინოს ღმერთმან ცისამან მეფობა რომელი საუკუნეთადმი არა გახრწნას და მეფობა მისი ერსა და სხუასა არა დაუშთეს და დააწულინეს და განფილწლნეს მეფობანი ყოველნი და იგი აღდგეს საუკუნეთადმი“.

მოეწონა მეფეს დანიელის პასუხი და იგი დანიშნეს ბაბილონელ ბრძენთა თავკაცად.

დანიელის წინასწარმეტყველების სიმბოლიკა ჯერ კიდევ პავლე მოციქულმა განმარტა პირველ ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ (თავი 10, მუხლი 4); „ხოლო კოლდე იგი იყო ქრისტე“. თუ ქრისტე ლოდია, მაშინ მთა, რომელსაც ეს ლოდი გამოეკვეთა, წმ. მარიამია. ამიტომ მიმართავს ღმრთისმშობელს ჰიმნოგრაფოსი – „წინაჲ თვე გქადაგებდეს, უბიწოო, წინასწარმეტყუელნი გამოგსახვიდეს... მთად გამოუკუეთელად...“ საგალობელში ამ სიმბოლოების მოშველიება მიგვანიშნებს აღთქმას, რომელიც კაცობრიობას ჰპირდება მარადიულ და სამართლიან ღმრთის სამეფოს დაარსება-შექმნას.

ვინც იცნობს ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს, თუნდაც ზერელედ, მან უთუოდ იცის, როგორც ადამიანის ცოდვით დაცემის (ადამი და ევა), ისე ღმერთის ჯვარცმის (ქრისტე გოლგოთაზე) ამბავი. საგალობლებში ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ამის გამო ძალიან ხშირად წაიკითხავთ

ამგვარ მიმართვებს, ერთი მხრივ, ქრისტესა და, მეორე მხრივ, ღმრთისმშობლისადმი:

*„ურჩებისათვის ადამისისა მოჰკვედ
მეორე ადამ, ქრისტე, ღმრთისა სიტყვაო“
(მიქაელ მოდრეკილი).*

*„რამეთუ დაჰხსნიდა პირველი იგი წყევა.
დედისა ჩვენისა ევასი შენ მიერ
მუცლად ღებითა კრავისა მის ღმრთისადათა“
(იოანე მინჩხი).*

*„რომელმან ეგე ევას მიუზღე ვალი...“
(ზორენა დედოფალი).*

*„შენ, რომელი დედა იქმენ ახლისა ადამისა“
(ძლისპირი).*

„გარდაიცვალა ცთომად და მოკუდა გუელი იგი, მაცთური ადამისა შენ მიერ, მარიამ“ (ძლისპირი).

როგორც ვიცით, ძველი აღთქმის დაბადების ანუ შესაქმის წიგნში (თავი 2 და 3) ნაამბობია, როგორ შექმნა ღმერთმა ადამი და ევა და დაასახლა ისინი სამოთხეში. პირველი ადამიანი უცოდველი, წმინდა და უმწიკვლო იყო. იგი ბედნიერად ცხოვრობდა ედემში, რომელიც ღმერთმა უბოძა. ერთადერთი რამ ეკრძალებოდა მას: არ უნდა ეჭამა ცნობადის ხის ნაყოფი. მაგრამ გველმა აცდუნა ევა და ქალმა შეჭამა აკრძალული ნაყოფი. მერე ქმარსაც აჭამა იგი. ამით მათ დაარღვიეს ღმრთისადმი მიცემული აღთქმა, რის გამოც სამოთხიდან იქნენ გამოძევებული. ამიერიდან ადამს ოფლით მოპოვებული პური უნდა ეჭამა სიკვდილამდე, ხოლო ევა ტირილითა და სალმობით შობდა შვილებს. აკრძალული ნაყოფის ჭამით მათ შეიძინეს გონი (რუასი) და შეიცნეს რა არის კეთილი და რა არის ბოროტი. ცოდნით ადამიანი ემსგავსა ღმერთს.

ამ მითის კითხვისას არ უნდა შევცდეთ და ვიფიქროთ, რომ შესაქმის ავტორი გვიყვება დედაკაცის მიერ მამაკაცის ცთუნების ამბავს. ასეთი დასკვნის გაკეთება არ იქნებოდა მართალი. მითის აზრობრივი შინაარსის ამოსაცნობად უნდა გავიხსენოთ, რომ ქალის სახელი „ევა“ ძველებრაულად ნიშნავს „ცხოვრებას“. სხვათა შორის, სახელი „ცხოვრება“ წინათ საქართველოშიც იყო გავრცელებული. ამას მატიანეც მოწმობს და გვარებიც – ცხოვრებაძე და ცხოვრებაშვილი. ხოლო მამაკაცის სახელი „ადამ“ ქართულად ნიშნავს „კაცს“. „კაც“ – ეს სახელიც პოპულარული იყო ძველად ჩვენში (გავიხსენოთ თუნდაც კ. გამსახურდიას პერსონაჟი კაც ზვამზაია). როცა ამას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ მკა-

ფიო და გასაგები გახდება, რომ, შესაქმეს მითის თანახმად, ადამიანს აცდუნებს არა ქალი, არამედ ცხოვრება.

„ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველებაში“ ვიქტორ ნოზაძე გვაუწყებს: გერმანიაში, ვორმის ტაძარში არის ქანდაკება, რომელსაც ეწოდება „ქალი-ქვეყანა“. იგი მე-14 საუკუნეშია გაკეთებული. თუ ამ ქანდაკებას წინა მხრიდან შეხედავ, იხილავ უტურფეს ასულს, ხოლო თუ ზურგის მხრიდან დაათვალიერებ, წარმოგიდგება შემზარავი სურათი: თხემიდან ტერფამდე იგი დაფარულია გველებით, ჯოჯოებით, მრავალგვარი ქვეწარმავლით. ამ ქანდაკების არსს გამოხატავს ერთი ხალხური ლექსი: მომაკვდავ რაინდს გამოეცხადა ქალი, რომლის სიტურფე აღემატებოდა ყოველი მდედრის სილამაზეს. მას ეცვა უმშვენიერესი სამოსელი და ეხურა ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ოქროს გვირგვინი. – ვინ ხარ შენ? – ჰკითხა რაინდმა. – მე ვარ ქვეყანა, – მიუგო ქალმა. – ზურგიდან უნდა შემომხედო და მიხვდები, რა გასამრჯელოც მომაქვს შენთვის. შეძრწუნდა მამაკაცი, როცა მან ქალის ზურგი იხილა, უხორცო, სავსე მატლებით და ჭია-ლუით. და ჰყარდა იგი, ვითარცა მძორი ძაღლისა. იტირა თურმე, მაშინ რაინდმა და თქვა – ვაი მე, რომელი გემსახურები შენ!

ამ ქანდაკებით და ლექსით სრულად არის განმარტებული ევას მიერ ადამის ცდუნების პარაბოლური შინაარსი.

ცხოვრებაში ორივე არსებობს – კეთილიც და ბოროტიც. ბოროტი (დაბადების მიხედვით, გველი) ყოველთვის მოწადინებულია და ცდილობს ადამიანი ააცდინოს კეთილ გზას. როცა კაცს ნებისყოფა და გონიერება არ ყოფნის, ბუნებრივად ხდება იგი ცდუნების მსხვერპლი.

ევას და ადამის ცდუნება სამუდამო დაღად დაესვა კაცობრიობის ცხოვრებას. ქრისტიანული რელიგიის თანახმად, იმ პირველი ცოდვით დაცემის შემდეგ ყოველი ადამიანი ცოდვილია საერთოდ. აი, ამ საერთო ცოდვისა და დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით მოავლინა ღმერთმა ძე თვისი, ქრისტე. კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში (თავი XV, მუხლი 22) პავლე მოციქული განმარტავს „და ვითარცა იგი ადამის გამო მოწყდებიან, ეგრეთაცა ქრისტეს მიერ ყოველნი ცხოველ იქმნენ“.

მამასადამე, წმ. მარიამმა ევას იმიტომ მიუზღო ვალი, რომ შვა ქრისტე, ვინაც ადამის ცოდვა იტვირთა და გამოისყიდა. ქალის შეცდომა ქალმავე გამოასწორა.

ქრისტე იმიტომ არის მეორე ადამი, რომ ისეთივე წმინდა, უცოდველი და უმანკოა, როგორც იყო ადამი ცოდვით დაცემამდე. ორივე ღმერთის შვილია, სანამ უმწიკვლო და უცოდველია. თუ იგი ცდუნებას აყვება და ცოდვას ჩაიდენს, უნდა გამოისყიდოს დანაშაული, თუნდაც ამისათვის ჯვარს ეცვას.

ადამის მაცდუნებელი გველი (ბოროტება) იმიტომ მოკვდა, რომ ცოდვის გამოსყიდვის აქტი ქრისტემ პირნათლად შეასრულა. იგი ვერაფერმა ააცდინა კეთილ გზას და ბოროტების დასასჯელად ჯვარს ეცვა. ჯვარიც ხისა იმიტომ არის, რომ იგი ნაირსახეა ცნობადის ხისა, რომლის ნაყოფმაც ადამი და ევა ცოდვილი გახადა. ქრისტეს ჯვარცმით ცოდვა უბრუნდება იმ ხეს, საიდანაც იგი გა-

მოვიდა. „კაცება, პირველი ხისაგან დაცემული, აწ აღდგა ძელისა მის აღმართე-
ბითა, რომელსა ზედა ივნო მხსნელმან ხორციოთა“ – ამბობს იოანე მინჩხი.

* * *

მკითხველს შემჩნეული ექნება, რომ ხშირად წარმართობის და ქრისტიანობის სიმბოლოები ერთმანეთს ემთხვევა. ჩვეულებრივ ამას იმით ხსნიან, რომ ქრისტიანობა დაესესხა წარმართობას ზოგიერთ სიმბოლოს, გაითავისა იგი და ახალი შინაარსი მისცა. ალბათ ზოგჯერ ასეც მოხდა, მაგრამ უმთავრესი გახლავთ მაინც პოლითეისტური და მონოთეისტური რელიგიების მსგავსება-განსხვავება. როცა ამას გავითვალისწინებთ, დავინახავთ, რომ ქრისტიანობას უსესხებლადაც შეეძლო ესა თუ ის საგანი გაეხადა ღმრთის სიმბოლოდ.

კარგად ცნობილია, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ: თუ პოლითეისტური რელიგიის თანახმად, ყოველ საგანს, სულიერს თუ უსულოს, თავისი ღმერთი ჰყავს, მონოთეისტური რელიგიის მიხედვით, ღმერთი ერთია. ყველაფერი, მთელი სამყარო, მისი შექმნილია. მართალია, თავად გარეთ არის, მაგრამ ამავე დროს ყოველ ნივთშია განფენილი. უფრო ზუსტად და უკეთ ამბობს არეოპაგიტული წიგნების ავტორი – „ყოველთა შორის იცნობების ღმერთი...“ ანდა „ყოველთავე არსთა მიზეზ არს, ხოლო თვით არცა ერთი მათგანი“.

სხვათა შორის, ღმერთის ყველაფერში განფენილობის მონოთეისტური იდეა კლასიკური სიცხადით აქვს გადმოცემული აკაკი წერეთელს „სულიკოში“.

მართალია, ჩვენში არ იპოვება მეორე ლექსი, რომელიც ისე პოპულარული იყოს, როგორც „სულიკო“, მაგრამ, სამწუხაროდ, სათანადო ყურადღება არ მიგვიქცევია, რატომ არის საყვარლის საფლავი ვარდში, ბულბულში, ვარსკვლავში? რატომ დამშვიდდა პოეტი, როცა შეიტყო, სად იყო საყვარლის ადგილ-სამყოფელი?

ამ კითხვის პასუხი იოლია, თუ გავიხსენებთ, რომ საყვარელი ქრისტეს ეპითეტია („საყვარელი ქრისტეს ჰქვიანო“ – ბრძანებს ვახტანგ მეექვსე „ვეფხისტყაოსნის“ განმარტებებში), ხოლო საყვარლის საფლავის მიება ლექსში ვერტიკალური ხაზით მიემართება, ქვევიდან ზევით, მიწიდან ზეცისაკენ: ვარდი→ბულბული→ვარსკვლავი. საყვარელი (ანუ ღმერთი) პოეტმა ყველაფერში (ვარდში, ბულბულში, ვარსკვლავში) ჰპოვა. ამან სიმშვიდე მოჰგვარა და იმედით შეხედა ამქვეყნიურ სინამდვილეს.

აკაკის „სულიკოს“ ამგვარი გაგება რომ მართალია, ამის საბუთად მოვიშველიებ გოეთეს ერთ უსათაურო ლექსს, რომელიც იწყება სიტყვებით: „In tausend Formen magst du dich verstecken...“ ეს ლექსი „დასავლურ-აღმოსავლური დივანის“ ზულეიკას წიგნის ციკლში შედის. როგორც ცნობილია, „ზულეიკანამეჰ“ გოეთემ მარიანე ფონ ვილემერის სიყვარულს მიუძღვნა. მართალია, ზემორეხსენებულ ლექსში პოეტი ამ კონკრეტულ მიჯნურს მიმართავს, მაგრამ წამლილია მიწიერი და ზეციერი სიყვარულის ზღვარი. ძნელი ამოსაცნობია, სად

თავდება ერთი და იწყება მეორე. თუ არ ვცდები, ეს ლექსი ქართულად არ არის თარგმნილი. ამიტომ პროზით გადმოგცემთ მის შინაარსს.

შენ, უმღერის პოეტი ნანდაურს, ათასი ფორმით, სახით შეგიძლია დაიმალო, მაგრამ ყველგან შეგიცნობ – ჯადოსნურ ნისლშიც, ნორჩი კიპარისის რტოშიც, ნაკადულის ტალღებშიც, ღრუბლებშიც, წყლის მოციმციმე წვეთშიც, მინდვრის ნაირფერად მოჩითულ ხალიჩაშიც, ხეზე მოხვეულ სუროშიც, მთებზე ანთებულ დილაშიც და ჩემ თავზე დამხობილ ცარგვალშიც.

განსაკუთრებით საყურადღებოა ლექსის ბოლო ორი სტრიქონი:

**Und wenn ich Allahs Namenhundert nenne,
Mit jedem Klingt ein Name nach fur dich.**

(როცა ალაჰს ასს სახელს ვუწოდებ, ყოველ მათგანში ჟღერს სახელი შენთვის). მართლაც, პოეტი ისეთი ეპითეტებით ამკობს საყვარელს, როგორითაც მართლმორწმუნე განადიდებს ღმერთს. ამ ლექსში მიჯნურს ეწოდება *allerliebste, allgegenwartige, allmannigfaltige, allbuntbestennte, allerheiternde...* და ასე შემდეგ (თან ყველა ეპითეტს გოეთე ასომთავრულით წერს). მკაფიოდ ჩანს, რომ მიწიერი ტრფობა ამაღლებულია ზეციერ სიყვარულამდე. სიყვარული (ანუ ღმერთი) განფენილია ყველგან და ყველაფერში.

ღმერთის ყველაფერში განფენილობის მონოთეისტური იდეა უფლებას აძლევს ქრისტიანობას ყოველი ნივთი, ყოველი საგანი გამოიყენოს სიმბოლოდ. თან ერთი და იმავე ღმერთის აღმნიშვნელი სიმბოლო მრავალნაირი შეიძლება იყოს. ხომ ამბობს გოეთე ალაჰს ასს სახელს ვუწოდებო. ასს სახელს შეიძლება ასივე სიმბოლო შეესატყვისებოდეს. მაგრამ პოლითეისტურ რელიგიაში ასე არ არის. რაკი ყოველ საგანს თავისი ღმერთი ჰყავს, ყოველ ღმერთს თავისი კონკრეტული სიმბოლო აქვს. მზის ღმერთის ჰელიოსის სიმბოლო არ შეიძლება იყოს მთვარე. მთვარე მხოლოდ სელენეს (მთვარის ღმერთის) სიმბოლოა. ქრისტიანობაში კი შეიძლება ქრისტეს სიმბოლო მზეც იყოს, მთვარეც და ვარსკვლავებიც. მაგრამ რა თქმა უნდა თავთავისი შინაარსით. ცნობილია, რომ მზე და მთვარე ქრისტიანულ რელიგიაში ქრისტეს ორბუნებოვანებას აღნიშნავს: მზე – ღვთაებრივს, მთვარე – კაცებრივს (იხ. ნოზამის „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“). ყველას უნახავს ეკლესიის გუმბათზე აღმართული ჯვარი, რომელიც ნახევარ მთვარეს ეყრდნობა. ეს სიმბოლო გვეუბნება, რომ ქრისტეს კაცებრივი ბუნება (მთვარე) მოკვდა ჯვარზე, ხოლო ღვთაებრივი ბუნება ამაღლდა მამაღმერთის წიაღში.

პოლითეისტურ და მონოთეისტურ რელიგიათა კონცეფციების სხვაობა ხელშესახებად ნათლად ჩანს იტალიაში. ეს ბუნებრივია, რამეთუ იქ წარმართობაც კლასიკური ფორმით არის გამოვლენილი და ქრისტიანობაც.

il fiore იტალიურად ყვავილს ნიშნავს და არსებობს სანტა მარია დელ ფიორეს (ყვავილების წმ. მარიამის) ეკლესია.

Il orto ბაღჩას და ხეხილის ბაღს ნიშნავს და არსებობს სანტა მარია დელ ორტოს (ბაღჩის, ბაღის წმ. მარიამის) ეკლესია.

Il miracolo სასწაულს ნიშნავს და არსებობს სანტა მარია დელ მირაკოლის (სასწაულების წმ. მარიამის) ეკლესია.

La grazia, როგორც რელიგიური ცნება, მადლს, კურთხევას ნიშნავს და არსებობს სანტა მარია დელლე გრაციეს (მადლის, კურთხევის წმ. მარიამის) ეკლესია.

თქვენ წარმოიდგინეთ ციხეების მადონას (მადონა დელლე კარჩერის) ეკლესიაც არსებობს.

მაგალითების გამრავლება შეიძლებოდა, მაგრამ საჭირო არ არის. ისედაც ცხადია ყველაფერი. თუ წარმართობის თვალსაზრისით, ყველას (ყვავილს, ბაღს, სასწაულს, მადლს და ა.შ.) თავისი საკუთარი ღმერთი ეყოლებოდა, ქრისტიანობის შეხედულებით, ყველაფერში (იმავე ყვავილში, ბაღში, სასწაულსა და მადლში) ერთი, მონოთეისტური ღმერთია განფენილი. ამიტომ ღმრთისმშობელი ყველგან შეიძლება იყოს.

ვატყობ გრძელი საუბარი გამომივიდა, მაგრამ აუცილებელია იგი. აუცილებელია, რადგან ზოგჯერ, გარეგნული მსგავსების გამო, ქრისტიანული მნიშვნელობის ამა თუ იმ სიმბოლოს წარმართულად მიიჩნევენ და ცდილობენ ამ თვალსაზრისით წაიკითხონ ის.

სანიმუშოდ გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსნის“ საყოველთაოდ ცნობილი სტროფი:

*მზე უშენოდ ვერ იქნების, რადგან შენ ხარ მისი წილი,
განაღამცა მას ეახელ მისი ეტლი, არ თუ წბილი!
მუნა გნახო, მადვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი,
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი.*

მეცნიერებაში გამოთქმულია აზრი: ნესტანი „ლომ“ ტარიელს იმიტომ მიმართავს – „მზე უშენოდ ვერ იქნების, რადგან შენ ხარ მისი წილი“ – რომ წარმართული კონცეფციით „მზეს ამქვეყნად თავისი სწორფერნი ჰყავდა. ნადირთა შორის „მისი“ წილი ანუ ხვედრი იყო „ლომი“. ეს არ არის მართალი. აბა, დააკვირდით, რას ამბობს ნესტანი – ვის ეახელო, სად გნახავო, რატომ მექნებაო სიკვდილი ტკბილი? ამ სტროფის აზრს ვერ გავიგებთ, ვერც ამ კითხვას ვუპასუხებთ, თუ მზეს წარმართული თვალსაზრისით შევხედავთ და მასში ქრისტიანულ ღმერთს არ ვიგულისხმებთ.

ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, ადამიანი ღმერთის ნაწილია და სიკვდილის შემდეგ კაცი უზენაესის წიაღში ბრუნდება, როცა ამას გავითვალისწინებთ, „ვეფხისტყაოსნის“ ციტირებული სტროფის აზრი ასე წაიკითხება: ღმერთი უშენოდ ჩემთვის არ არსებობს, რამეთუ შენ მისი ნაწილი ხარ. როცა მას ეახლები (ე.ი. მოკვდები), მე მის წიაღში შეგხვდები და დაჩაგრული გული გამინათლდება. სიცოცხლე მწარე მქონდა, რაკი შენთან ყოფნა არ მეღირსა. სიკვდილი ტკბილი მექნება, რადგან ღმერთის სასუფეველში მარადიულად შენთან ვიქნები.

„ვეფხისტყაოსნის“ ზემორეციტირებულ ტექსტში მზე ქრისტიანული ღმერთის სიმბოლოა.

ქრისტიანული რელიგიის სიმბოლიკაში, სხვა და სხვა კონკრეტულ შემთხვევაში, მზე შეიძლება იყოს მამადღმერთის, სულიწმინდის, ძეღმერთის ანუ ქრისტეს და მთლიანად სამების სიმბოლო. ყური დაუგდეთ დავით აღმაშენებელს – „მარტივო, სრულო სამ მზეო და ერთო ცისკროვნებო“ („გალობანი სინანულისანი“). გასაგებია და ნათელი, რომ სამი მზე უდრის სამებას, ერთცისკროვნება – ერთარსებას.

ფსალმუნში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ღმერთი მზეა და ფარი (რუსულ ბიბლიაში ამ ფსალმუნის ნომერია 83, გერმანულში – 84. მუხლი 12. საოცარია, ეს სიტყვები ყველა ბიბლიაშია, რატომღაც ქართულშია გამოტოვებული).

„შენ (ღმერთისმშობელს მიმართავენ – ა.ბ.), რომელმან მზედ სიმართლისად იტართე“ (ძლისპირი).

*მის თანა გამობრწყინდა
საშოდსაგან ქალწულისა,
მზედ იგი სიმართლისად
მსხდომარეთათმის ბნელსა და აჩრდილთა
/ძლისპირი).*

*შენ, სანატრელო,
გამოგაჩნდი ჩუენ,
რომელმან გაშევ მზედ სიმართლისად,
მხსნელი სოფლისად
/იოანე-ზოსიმე საბაწმინდელი-სინელი).*

ნათელია, რომ „მზედ სიმართლისად“ ქრისტეს ეპითეტია. მზე რომ ქრისტიანული ღმერთის მატარებელ სახედ არის მიჩნეული, ეს სიტყვები დასტურდება ფრანჩესკო ასიზელის ჰიმნითაც „ქება ძმა მზისა“.

საერთოდ ძველ ქართულ მწერლობაში კარგად არის ასახული მზის სიმბოლოს ქრისტიანული მნიშვნელობა.

„აბოს წამება“: „მზე სიმართლისა ეწოდა, რამეთუ თქუა წინამწარმეტყველმან „და გამოგობრწყინდეს თქუენ, მოშიშთა სახელითა მისისათა, მზედ იგი სიმართლისად, რომელი აქუს კურნებად ქუეშე ფრთეთა მისთა“, რამეთუ იგი არის რომელი ჰფარავს და განატვობს და არარად არს, რომელი დაეფაროს სიცხესა მისსა“.

იოანე მტბევარი: „დიდება პირველ მზისა შობილსა ძესა...“

მიქაელ მოდრეკილი: „გამობრწყინდა დღეს თვით-მნათობი ნათელი, შეუხებელი ქრისტე, მზე სიმართლისა...“

დავით გურამიშვილი:

*სახით სიტყვა შევნიერო,
სხიო მზეთა, მზის სახეო,
ვებეზე და შენი მსგავსი მე აქ ვერცადა ვნახეო...*

მზის ამგვარი წარმოდგენა უშუალოდ ახალ აღთქმას უკავშირდება.

წაიყვანა ქრისტემ მოწაფეები მთაზე და „იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად და გაბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქნა სპეტაკ ვითარცა ნათელი“ (მათე, XVII, 2).

ქართული თქმა – ვენახში მზის თვალი, ანუ ღმრთის თვალი დგასო – არა მგონია წარმართული რწმენიდან მომდინარე იყოს. თუმცა ამის სრული გამოვლინება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. ოღონდ დამაქვია ლუდვიგ ტიკის „რუნენბერგმა“, „ის-ის იყო გალობა დამთავრდა, – ვკითხულობთ ამ მოთხრობაში, – რომ მღვდელმა ქადაგება დაიწყო. იგი განმარტავდა, ჭირნახულში როგორ არის გამოვლენილი ღმრთის ქველმოქმედება; კეთილით როგორ კვებავს იგი ყველას, რაც ცხოვრობს; ხორბალში როგორ გამოიხატება უფლის ზრუნვა ადამიანთა მოდგმის შესანარჩუნებლად; პურში როგორ ნაწილდება ღმრთის უსასრულო სიყვარული...“

ტიკის ამ სიტყვებმა შეუძლებელია არ გაგახსენოთ, ციური მანანით როგორ იხსნა ღმერთმა სინას უდაბნოში ებრაელები შიმშილისაგან. მაგრამ ჯერ ძლისპირს მივაპყროთ სმენა:

*წინასწარ მოასწავა
საიდუმლოდ შენი, ქალწულო,
პირველ კიდობანმა შჯულისამან,
შემწყნარებელმან საღმრთოთა წერილთამან,
და ტაკუკმან ოქროდსამან,
სამკვდრებელმან მანანადსამან და
კუერთხმან.*

ჩვენ გვაინტერესებს, რატომ იყო შჯულის კიდობანი, ოქროს ტაკუკი და კვერთხი ღმრთისმშობლის საიდუმლოს მომასწავებელი?

გამოსლვათა წიგნში (თავი 25) ღმერთი მოსეს ავალებს – ებრაელებმა ამიგონო საკურთხეველი, მომართვანო შესაწირავი. მაშინ მათ შორის ვიცხოვრებო. ხოლო როგორი უნდა იყოს კარავი და ჭურჭელი, ამის ნიმუშებს თავად გიჩვენებთო.

მოსე ისე მოიქცა, როგორც დაავალეს.

პავლე მოციქულის სიტყვით (ეპისტოლე ებრაელთა მიმართ, IX, 4), ამ კარავს „ოქროდსა, აქუნდა სასაკუმეველე და კიდობანი იგი სჯულისაჲ, შემოსილი გარეთ და შინადთ ოქროდთა, რომელსა შინა იყო ტაკუკი იგი ოქროდსა, სავსე მა-

ნანადთა და კუერთხი იგი აპრონისი, რომელი განედლდა, და ფიცარნი იგი სჯულისანი“...

როცა ეგვიპტის ტყვეობიდან მოსეს ებრაელები გამოჰყავდა, ფარაონმა მათ ჯარი დაადევნა. მეწამულ ზღვასთან წამოეწია ებრაელებს ეგვიპტელთა არმია. წინ ზღვა იყო, უკან – მტერი. გამოსავალი არსაით ჩანდა. მაშინ აწუწუნდნენ ებრაელები და ამუნათებდნენ მოსეს – ნუთუ ცოტა იყო ეგვიპტეში კუბოები, რად მოგვიყვანე სასიკვდილოდ უდაბნოში, რა გვიყავ ეს? უკეთესი იყო დავრჩენილიყავით მონებად ეგვიპტეში, ვიდრე აქ უდაბნოში დავიხოცოთ.

მოსემ დაამშვიდა ისინი: ღმერთი გვიხსნისო ჩვენ. მაშინ უფალმა ასწავლა მოსეს – აღმართე კუერთხი შენი, გაიშვირე წინ, ზღვა გაიპოზა ორად და გაივლიანო ხმელეთით ძენი ისრაელისანი. ჰქმნა მოსემ ის, რაც უბრძანეს და მართლაც გამოჩნდა ზღვის ფსკერი. მშვიდობიანად გააღწია გაღმა ებრაელობამ. გაღმა ნაპირს გასული მოსე შემობრუნდა და იხილა: ზღვის ფსკერზე კვალდაკვალ მოსდევდა ფარაონის ლაშქარი. კვლავ აღმართა მან კუერთხი და ზღვამ ისევ შეიკრა პირი, შთანთქა მთლიანად ეგვიპტელთა მხედრობა.

ეს ის კუერთხია, რომლითაც ფარაონის წინაშე ცხადდებოდნენ ადრე მოსე და აპრონი და ებრაელთა ტყვეობიდან განთავისუფლებას ევედრებოდნენ. ეს ის კუერთხია, რომელიც ღმერთის შთაგონებით, ხან გველად იქცევა, ხან ვეშაპად, ხან წყალს სისხლად გარდაქმნის, ხან მყვარებით დაჰფარავს ეგვიპტეს (გამოსლვათა წიგნი, IV, 3; VII, 10; VII, 20; VIII, 6-7) და ასე შემდეგ.

ამ კუერთხით მეწამულ ზღვაში მოსემ ჯვარი გამოსახა, რასაც გვაუწყებენ ძლისპირნი.

*ეტლთა მფლობელი ფარაო
დაანთქა საკვრველთ-მოქმედმან
კუერთხმან
მოსედმან, რომელმან
გამოსახა, სახედ ჯუარისად
და განაპო ზღუად მეწამული
და ისრაელი იქსნა განმავალი...*

მართალია, ფარაონის დადევნებულ ლაშქარს თავი დააღწიეს, მაგრამ ებრაელობას ახალი განსაცდელი ელოდა – შიმშილი (გამოსლვათა წიგნი, თავი 16). სინას უდაბნოში მყოფნი ისინი მოთქვამდნენ – უმჯობესი იყო უფალს ეგვიპტის მიწაზე გავეჟუჟეთ, სადაც ხორციც საკმარისი გვქონდა და პურიც, ვიდრე ამ უდაბნოში შიმშილით დავხოცილიყავითო. კვლავ ანუგეშა მოსემ თვისტომნი – ღმერთი მოგვივლენსო საზრდელს. მართლაც გამოუგზავნა მათ უფალმა ჭამადი, რომელსაც სახელად მანანა უწოდეს. ორმოცი წელიწადი იკვებებოდა ებრაელთა ერი მანანით, ვიდრე მან ქანაანის მიწას არ მიაღწია.

ეგვიპტიდან გამოსვლის სამი თვე გავიდა და ებრაელები სინას უდაბნოში შეჩერდნენ. სინას მთაზე ჩამობრძანდა ღმერთი და მოსე მიიხმო. ეახლა ღმერთისმეტყველი უფალს. ისინი საუბრობდნენ, მაგრამ მოსე ვერ ხედავდა

უზენაესს. აქ მიიღო მოსემ ღმრთისაგან ყველასათვის კარგად ცნობილი ათი მცნება (გამოსლვათა წიგნი, თავი 19 და 20).

რაკი ღმერთის ხილვა არ შეძილება, ლოგოსი (ღმრთის სიტყვა), ანუ ქრისტე ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლის დროს ადამიანს ეცხადება ხან კვერთხის, ხან მანანის, ხან რჯულის წიგნის სახით. ხოლო, რადგან ერთხელ ლოგოსმა ანუ ქრისტემ წმ. მარიამის წიაღში ხორცი შეისხა და კაცებრივი სახით მოევლინა დედამიწას, ბუნებრივია, რომ ლოგოსის ადრინდელი გამოვლენები (კერძოდ, მანანა და მისი სამკვიდრებელი ოქროს ტაკუკი, საღმრთო წერილის შემწყნარებელი შჯულის კიდობანი, კვერთხი) არიან ღმრთისმშობლის საიდუმლოს (ქრისტეს შობის) წინასწარ მომასწავებელნი. ეს ძლისპირით ასეა გამოთქმული:

*ძუელი შჯული შენთას
/ქრისტესათვის – ა.ბ.) ქდაგებდა:
კარავი საწამებელი,
და კიდობანი შჯულისაჲ,
ტაკუკი და კუერთხი...*

იოანე მინჩხი კი მარიამის ქებაში ღმრთისმშობელს მანანას სადგურს უწოდებს.

ვაზიც, ვენახიც ქრისტეს (ხან ღმრთისმშობლის) სადგურია.

მართალია, უძველესი დროიდან ვაზი იყო ნაყოფიერების, ახალგაზრდობის, მარადიული სიცოცხლის სიმბოლო (F. E. Cirlot – A dictionary of symbols), მაგრამ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებშიაც წამდაუწუმ იხსენიება იგი. ეს გასაგებიც არის. ქრისტიანობა, როგორც რელიგია, გაჩნდა და განვითარდა ვაზის და ღვინის კლასიკურ ქვეყნებში – იუდეა – გალილეაში, საბერძნეთსა და იტალიაში.

იოანეს სახარებაში (XV, 1, 5) ქრისტე ამბობს:

„მე ვარ ვენახი ჭემმარიტი, და მამაჲ ჩემი მოქმედი არს“

.....

მე ვარ ვენახი და თქუნ რტონი, რომელი დაადგინეს ჩემ თანა, და მე მის თანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი; რამეთუ თუინიერ ჩემსა არარაჲ ძალ-გიც ყოვად არცა ერთი“.

ამის პერიფრაზია მეფე დემეტრე პირველის ღმრთისმშობლისადმი მიმართული ჰიმნის სიტყვები: „შენ ხარ ვენახი ახლად აყვავებული...“ იოანე მინჩხისათვის კი წმ. მარიამი „ვენახი გონიერია“.

რაკი ვაზი, ვენახი ქრისტეს სიმბოლოა, სრულიად კანონზომიერი და ბუნებრივია, რომ სიზმარში წმ. ნინოს ღმრთისმშობელმა ვაზისაგან გაკეთებული ჯვარი მისცა. ამით ქრისტეს შეწევნა და მფარველობა აღუთქვა. ამიტომ მიმართავს ჰიმნოგრაფოსი წმ. ნინოსა და ქართველებს:

*ახალ-ნაყოფნო,
ახლის ვენაჯისანო,
ჰოი მკედრნო ქართლისანო,
და ვდღესასწულობდეთ ღმერთსა...*

ცხადია, ეს არის იმის საფუძველი, რომ საეკლესიო ხუროთმოძღვრება ფართოდ იყენებს ვაზს, მის მტევანსა და ფოთოლს ორნამენტად. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველგან და ყოველთვის ვაზი და მტევანია გამოხატული. მაგალითად, სვეტიცხოვლის კედლებზე ამოკვეთილია არა ვაზი და მტევანი, არამედ ლიბანის ნაძვი და მისი გირჩები. თუმცა ზოგჯერ, ჟურნალისტებს რომ თავი დავანებოთ, სპეციალისტებიც კი გვარწმუნებენ, ვაზი და მისი მტევნებია გამოხატული.

ჯერ ერთი, საერთოდ ქრისტიანობა „სიცოცხლის ხის“ სიმბოლოდ ლიბანის ნაძვს მიიჩნევს.

მეორეც, როგორც „ნინოს ცხოვრება“ გვაუწყებს, ელიოზ მცხეთელმა ქრისტეს კვართი საქართველოს ძველ დედაქალაქში ჩამოიტანა. ელიოზის დამკვართი გულში ჩაიკრა და სიხარულის ელდანაცემი გარდაიცვალა. ელიოზმა დაი და უფლის კვართი ერთად დამარხა. დიდი დრო გავიდა ამის მერე. საქართველოში ნინო ჩამოვიდა. იცოდნენ, რომ ქრისტეს კვართი მცხეთაში იყო დაკრძალული, ოღონდ სად – აღარავის ახსოვდა. მისი მიგნება შეიძლებოდა მხოლოდ იმ ნიშნით, რომ „არს ადგილი იგი ნაძუსა მას ლიბანით (ხაზი ჩემია – ა.ბ.) მოსრულსა და მცხეთას დანგრეულსა“ („შატბერდის კრებული“, გვ. 339). ისინი კონცეფციურად არიან დაკავშირებულნი: ქრისტე მარადიული სიცოცხლის მომნიჭებელია, ხოლო ლიბანის ნაძვი – „სიცოცხლის ხის“ სიმბოლო.

მერე რაც იმ ნაძვს თავს გადახდა, ყველამ იცის, ვისაც „ნინოს ცხოვრება“ წაუკითხავს, მაგრამ მაინც გაგახსენებთ.

მეფე მირიანმა ეკლესიის აგება გადაწყვიტა. ასაშენებლად ის ადგილი შეარჩიეს, სადაც კვართი იყო დაფლული და ლიბანის ნაძვი ამოსული. ნაძვი მოკვეთეს, მაგრამ მისგან გამოთლილი სვეტი ვერაფრით აღმართეს. საგონებელში ჩავარდა ხალხი. ბოლოს ნინოს ჭაბუკი (ე.ი. ქრისტე) ეზმანა. ჭაბუკმა მოჰკიდა ხელი სვეტს და მალა, ცაში წაიღო. მერე ძირს დაუშვა სვეტი და სწორედ იმ ძირს დაადგა, საიდანაც მოჭრეს.

მცხეთის კათედრალური ტაძარი „სიცოცხლის ხის“ ტაძარია და სვეტიცხოველიც ამიტომ ეწოდება. მისი კედლებიდანაც ლიბანის ნაძვი და მისი გირჩები გვიყურებს.

ჰიმნოგრაფოსი კი სვეტის აღმართვას ასე უგალობს: „... ძელი იგი ცხოვრების მომცემელი დედაკაცისა ლოცვით მყის აღიმართების“...

ფრიად საყურადღებოა ის, რომ საგალობლებში ერთმანეთს უკავშირდება მოსეს კვერთხი და სვეტი ცხოველი.

„გიხაროდენ სუეტო თანამზრახველო და მესაიდუმლეო დიდისა ღმრთისმეტყუელისა მოსესო. გიხაროდენ წინამძღუარო და თანამოგზაურო ისრაელთაო“ (ნიკოლოზ გულაბერიძე – გალობანი სუეტისა ცხოველისანი).

„ეჰა სუეტო ყოვლად წმიდაო, რომელი ნათობ საუფლოსა, კვართსა ზედა, რამეთუ შენ პირველ ისრაელთა წინამძღვარ ექმენ უდაბნოს...“ (ბესარიონ ორბელიშვილი).

უკვე ითქვა, რომ მოსეს კვერთხიც და სვეტი ცხოველიც ლოგოსის ანუ ქრისტეს სიმბოლოა. ეგვიპტის ტყვეობიდან გამოსულ ებრაელებსაც მოსეს კვერთხით და ქართველებსაც სვეტიცხოვლით წინ მიუძღვებათ ლოგოსი ანუ ქრისტე.

ღმრთის სიტყვა ანუ ქრისტე კი, ქრისტიანული რელიგიის კონცეფციით, ყოველთვის არსებობს – მანამდეც, სანამ წმ. მარიამის წიაღში ხორცს შეისხამდა და კაცებრივი სახით გამოგვეცხადებოდა და მას მერეც, რაც ჯვარს აცვეს და უკან მამაღმერთთან ამაღლდა, საიდანაც მოგვევლინა. ამიტომ, ქრისტიანული რელიგიის არსში ჩაუხედავ მკითხველს ნუ გაუკვირდება, თუ ქრისტე სუფევს შობამდეც (მოსესთან) შობისა და ჯვარცმის შემდეგაც (ნინოსთან).

* * *

ღმერთმა დაავალა წინასწარმეტყველ იონას ნინევიაში წასვლა და ქადაგება ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ („წინასწარმეტყველ იონას წიგნი“, თავი I და II). არ უნდოდა იონას ამ დავალების შესრულება. გადაწყვიტა უფალს დამალვოდა, გემზე ავიდა და ფარსისში გაიპარა. ქარბორბალა და ღელვა მოუვლინა გემს განრისხებულმა ღმერთმა. ყველას დალუპვა ემუქრებოდა. მაშინ იონა გამოუტყდა გემის კაპიტანს, რომ ღელვა და ქარიშხალი ატეხილია მის გამო, თუ იონას ზღვაში გადააგდებდნენ, დაწყნარდებოდა იგი. გემი მშვიდობიანად მიაღწევდა ნაპირს. ჯერ მეზღვაურებს არ უნდოდათ იონას ზღვაში გადაგდება, მთელი ძალ-ღონით სცადეს სამშვიდობოს გასვლა. არაფერი გამოუვიდათ. ზღვა ბოხოქრობდა. საშველი არსაიდან ჩანდა. მაშინ კი აიყვანეს იონა და ზღვაში ისროლეს. მაშინვე დაწყნარდა ზღვა. მეზღვაურებმა ღმერთს მადლობა გადაუხადეს და მსხვერპლიც შესწირეს. ღმრთის ბრძანებით ვეშაპმა გადაყლაპა იონა. სამი დღედაღამე იყო იგი ვეშაპის წიაღში, გულმხურვალედ ილოცვიდა, ევედრებოდა უფალს, ეხსნა მისი სამშვიდობელი ჯოჯოხეთისაგან.

ისმინა იონას ვედრება უზენაესმა. ვეშაპმა ამონერწყვა იონა ხმელეთზე.

იონა ნინევიაში გაეშურა ღმრთის დავალების შესასრულებლად.

იონაც და ვეშაპიც მრავალმნიშვნელოვანი სიმბოლოებია.

ვეშაპის მიერ იონას შთანთქმა აღნიშნავს ადამიანის ჩავარდნას ცოდვის მორევში. მაგრამ რწმენასა და ღმერთს ძალუმს ადამიანის გათავისუფლება ცოდვისაგან.

ღაღადებასა

*მონათა შენთასა ნუ უგულებელსჳყოფ, უფალო,
არამედ ვითარცა იხსენ იონა
მუცლისაგან ვეშაპისა,
მიხსენ მეც ვეშაპისა მისგან
უხილავისა
და მტრისაგან ბოროტისა...
(ძლისპირი).*

*ბრალთა ჩემთა სიღრმესა
დანთქმული
მიხსენ მე, კაცთ-მოყუარე,
მსგავსად იონაძსა აღმოიყვანე
ცხორებაჲ ჩემი
გევედრები, სახიერ
და მაცხოვრე, მრავალ-მოწყალე...
(ძლისპირი).*

ვეშაპის წიაღიდან იონას ამოსვლა ადამიანის მეორედ დაბადების ალეგორიაც არის.

*წინაღსწარმეტყუელმან
მუცლისა სიმხურვალე
ზღუისა მხეცისაჲ
სამ დღე თავს-იდვა
და მოასწავა მეორედ შობაჲ
კაცთაჲ...
(ძლისპირი);*

კაცის მეორედ შობის აზრი უშუალოდ უკავშირდება ქრისტიანობის ერთ-ერთ ძირითად იდეას – აღდგომას. მისი კონცეფციით, ადამიანის უსაშინლესი მტერი სიკვდილია. ადამიანის უპირველესი მიზანი მისი დათრგუნვაა, მისი მორევაა. ამას ადამიანი მხოლოდ ღმერთის თანადგომით, დახმარებით შეიძლება.

კვდომადი და აღდგომადი ღმერთის პარაბოლა უძველესია. იგი, ბუნებრივია, ქრისტიანულ რელიგიაშიც არსებობს. ქრისტეს ჯვარცმა და მერე აღდგომა სწორედ მეორედ დაბადებას ანუ მკვდრეთით აღდგომას მიუთითებს. იქმნება სიკვდილით (ჯვარცმით) სიკვდილის დამთრგუნველი (აღდგომით) ღმერთის იდეა. ძველ აღთქმაში ვეშაპის მიერ იონას ჩაყლაპვა ალეგორიულად მიმანიშნებელია სიკვდილისა, ხოლო სამი დღელამის მერე იონას უხრწნელი დაბრუნება მიწაზე მაუწყებელია აღდგომისა. ქრისტეც სამი დღე-ღამის შემდეგ აღდგა კლდეში გამოკვეთილი საფლავიდან.

*შენვე ბრძანებით შენითა
დაიცევ
იონა წინადაწარმეტყუელი
მხეცისა მძუინვარისა მუცელსა
გაუბრწნელად,
რომელმან
მოგუასწავა, სამისა დღისა
აღდგომაჲ შენი
მკუდრეთით მაცხოვარო ჩუენო
/ძლისპირი).*

*მოაკვდინე შენ სიკვდილი სიკვდილითა,
ღმრთისა სიტყვაო, და საუკუნითგანნი
მკვდარნი იონას სახედ იხსენ სახიერ
მხეცისა მისგან სულთა წარწყმედილისა
და აღადგინეს აღდგომითა შენითა
/მიქაელ მოდრეკილი).*

მკვდრეთით აღდგომით, მეორე დაბადების იდეით გამოხატავს ქრისტიანობა ოპტიმიზმს. ამით ებრძვის იგი ამაოების, სამარადჟამოდ გაქრობის აზრს. არსებობის ძირითადი შინაარსი მარადიული განახლებაა. ბუნების არსიც მარადიული განახლებაა. ამის მოწმენი ვართ ჩვენ ყოველ შემოდგომას (სიკვდილი, ძილი) და გაზაფხულს (აღორძინება). ბუნების ამ მუდმივი კვდომა-განახლების პროცესის ნაწილია ადამიანის ცხოვრებაც. ქრისტიანობის რწმენით, სიკვდილი გაქრობის, არყოფნის მომასწავებელი კი არ არის, არამედ პირიქით – განახლების, ხელმეორედ აღორძინების, მეორედ მოსვლის. ამიტომ, ვეშაპის წიაღში ყოფნით (ე.ი. სიკვდილით) და აქედან უვნებლად გამოსვლით (ე.ი. აღდგომით) წინასწარმეტყველმა იონამ მოასწავა სიკვდილით სიკვდილის დამთრგუნველი ღმერთკაცის (ანუ ქრისტეს) მოვლინება. ამ ორი პარაბოლის ასეთი კავშირის გამო ვეშაპის მუცელს კიდევ ერთი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. იგი უდრის წმინდა მარიამის მუცელსაც.

*ორთა მუცელთა,
ბუნებანი შეცვალნეს
ვეშაპისა და ქალწულისამან
დღეს, რამეთუ პირველ
უბრწნელად დაჰმარხა მუცელმან
ნაყოფი,
ხოლო აქა დღეს ნაყოფმან დაიცვა
მუცელი*

იგი...

/ძლისპირი).

შეიძლება ვინმე დაეჭვდეს – რა აქვთ საერთო ცოდვის მორევს (ბოროტს) და ღმრთისმშობლის წიაღს (კეთილს) და როგორ არის ორივეს სიმბოლო ვეშაპის მუცელი? ხომ არ არის აქ წინააღმდეგობა, რომლის თეორიული ახსნა დამაჯერებელი არ იქნება?

ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდე, უნდა გავიხსენოთ კიდევ ერთი პარაბოლა, რომლის სიმბოლოები გარეგნულად ასევე წინააღმდეგობრივია და, პირველი შეხედვით, შეუთავსებელიც.

ყველამ, თუნდაც ყურმოკვრით, იცის გველის მიერ ევას და მერე ადამის ცდუნებისა და აკრძალული ნაყოფის ჭამის ამბავი (დაბადება, თავი II და III). ცნობილია ისიც, რომ ქრისტე მეორე ადამია. „ურჩებისათვის ადამისასა მოჰკვედ მეორე ადამ, ქრისტე, ღმრთის სიტყვაო...“ (მიქაელ მოდრეკილი). მაგრამ დასაშვებია, ყველამ არ უწყოდეს, რომ ცნობადის ხე, რომლის ნაყოფიც ადამმა და ევამ შეჭამეს, აგრეთვე ქრისტეს სიმბოლოა. „მოვედით, გემო ვიხილოთ ხის ცნობადისა, რომელ არს ქრისტე, საღმრთო იგი ყვავილი“ (იოანე მტბევარი).

თუ ადამი ქრისტეს ჰიპოსტასია და ცნობადის ხეც, მაშინ ცდუნების პარაბოლა როგორ გავიგოთ? რაა თვით ცდუნების აქტი? თავად ადამიანშია კეთილიცა და ბოროტიც? მათ შორის ბრძოლა კაცის სამშვინველში მიმდინარეობს? გარემომ შეიძლება ბიძგი მისცეს (გველი) ადამიანშივე არსებულ ბოროტს?

კითხვების ჯარი დაგვტრიალებს თავს. პასუხი რომ მოვძებნოთ, ჯერ უმთავრესი კითხვა უნდა დავსვათ – რა არის არსებობა (სიცოცხლე), კეთილი თუ ბოროტი? ამ კითხვას პავლე მოციქული აყენებს კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში (XV, 29-30). თუ მკვდრები არ აღდგებიანო – ეკითხება პავლე კორინთელებს, – მაშინ რატომღა ვისახავთ პირჯვარს? მაშინ ყოველ წუთს რატომღა გვემუქრება უბედურება და ვებრძვით მას? მართლაც, თუ ადამიანის არსებობა სიკვდილით (არარსებობით) დამთავრდება, მაშინ რაღა საჭიროა ათასგვარი ჭირ-ვარამი, რომელიც უსაფრდებდა ადამიანს მისი სიცოცხლის მანძილზე? ნუთუ საკმარისი არ არის ერთი უმთავრესი და ძირითადი უბედურება, რომელიც საბოლოოდ აქრობს ადამიანს? რაღა საჭიროა გზადაგზა, სხვა უბედურებანი – სნეულებანი, სიღატაკე, სიგონჯე, ჩაგვრა და სხვა ამგვარნი? ჩამოუთვლელადაც თვალწინ უდგანან ისინი ადამიანებს. ნუთუ იმისათვის, რომ მოკვდეს, გაქრეს, არაფრად იქცეს, ტანჯვა-ვაების გზა უნდა გაიაროს ადამიანმა? თუ ასეა, მაშინ გამოდის, რომ არსებობა ბოროტება ყოფილა. სხვაგვარი დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. მაგრამ ასეთი დასკვნის დაშვებაც კი არ შეუძლია ქრისტიანულ მოძღვრებას. მისი თვალსაზრისით, სამყაროც და ადამიანიც შექმნილია ღმერთის მიერ, რომელიც განასახიერებს უნივერსალურ კეთილსა და გონიერებას. მერედა, უნივერსალურმა კეთილმა და გონიერებამ ყველაფერი იმისათვის შექმნა, რომ ერთ უბედურ დღეს ადამიანი მოკვდეს, გაქრეს, არაფრად იქცეს? ეს კიდევ არაფერი. უფრო რთულია ის, რომ თუ ადამიანი გაქ-

რობადია, მაშინ მთელი სამყაროც გაქრობადია. ისინი ერთი შემოქმედის ერთნაირი პრინციპით არის შექმნილი და სხვადასხვა შედეგის დაშვება გამორიცხულია. არ შეიძლება სამყარო მარადიული იყოს, ხოლო ადამიანი წარმავალი. ამგვარი განსხვავება ეწინააღმდეგება შესაქმნის აზრს. დროებითობა, წარმავლობა, სამუდამო გაქრობა, არაფრად ქცევა ღმერთის შემოქმედებას აბსურდად და უაზრო პროცესად ხდის. უფრო მეტიც, ბოროტი პროცესის ხასიათს იღებს. ღირდა კი ამისათვის შესაქმნის ჩატარება? ცხადია, ქრისტიანობა შესაქმნეს, არსებობას აბსურდად და უაზროდ ვერ მიიჩნევდა.

სიკვდილი როგორც ყოფიერების ფაქტი, როგორც ყოფიერების რეალური ელემენტი არ არსებობსო, ამის მტკიცებას ვერცერთი ჰკუთამყოფელი ვერ დაიწყებდა. მაშინ რა არის სიკვდილი, რა აზრი და მნიშვნელობა აქვს მას? სამწუხაროდ, ამ თავსატეხი კითხვების უეჭველი პასუხი ვერცერთმა რელიგიურმა მოძღვრებამ ვერ გამოძებნა. როგორც უკვე ითქვა, რაკი არსებობა ქრისტიანობისათვის კეთილის გამოვლენა იყო, ცხადია, სიკვდილიც მის ნაწილად უნდა მიეჩნია. ამიტომ გარდაცვალება ჩათვალა განახლების, აღდგომის წყაროდ, ხელახალი აღორძინების საშუალებად.

მაგრამ აღმდგარი ადამიანი არავის უხილავს. მაშინ, როგორ უნდა ირწმუნო აღდგომის იდეა? რა ლოგიკით უნდა დაიჯერო ეს? მართალია, რწმენას საბუთი არ სჭირდება. რწმენა იმიტომ არის რწმენა, რომ იგი უსაბუთოდ უნდა გწამდეს. მაგრამ ამით ადამიანი არ კმაყოფილდება და მაინც ეძებს საბუთს. საბუთის ნაცვლად, რელიგია ქმნის იმედის პარაბოლას.

ქრისტიანულ მოძღვრებაში ამ პარაბოლის ლოგიკური მსვლელობა ასეთია: თავდაპირველად ღმერთს ადამიანი არ შეუქმნია მოკვდავად. თუ ადამი ღმერთისადმი მიცემულ აღთქმას არ დაარღვევდა, მარადიულად იცოცხლებდა. მაგრამ ადამი აცდუნეს და აკრძალული ნაყოფი აჭამეს, რითაც მოკვდავი გახდა. პავლე მოციქულის განმარტების თანახმად, რაკი ერთი ადამის ცოდვა მთელი კაცობრიობის ცოდვაა, სიკვდილიც ყოველი ადამიანის სასჯელია (ეპისტოლე რომაელთა მიმართ, V, 12). მაგრამ უფალი ღმობიერია და ადამიანს მონანიების საშუალებას აძლევს. ამასთანავე, კაცობრიობის ცოდვის გამოსყიდვის მიზნით, მან მოავლინა მიწაზე ქრისტე. თუ ერთი ადამის ცდუნებით მთელი კაცობრიობა გახდა ცოდვილი, ერთი ქრისტეს ჯვარცმით მთელი კაცობრიობის ხსნა მოხდა (პავლე მოციქულის ეპისტოლე რომაელთა მიმართ, V, 17-21). „დაფლვითა მით სამ დღე საფლავსა შინა მოიკლა უკუნისამდე კაცთა მაცთური“ (იოანე მინჩხი).

თუ ადამი არის ურჩობა, განკითხვა, სიკვდილი, ქრისტეა მორჩილება, გამართლება, ცხოვრება. ცოდვილით (ადამით) მოდის სიკვდილი, როგორც სასჯელი. უცოდველით (ქრისტეთი) მოდის აღდგომა, როგორც მაღლი და გამართლება.

გამოკვეთილია ორი სრულიად სხვადასხვა ფუნქციის არე და მაინც ვამბობთ, ვეშაპის მუცელი წმინდა მარიამის წიაღის წინასწარმეტყველებააო, ცნობადის ხე ქრისტეს სიმბოლოაო. თითქოს პარადოქსული დასკვნაა, მაგრამ ეს

გარეგნული შთაბეჭდილებაა. შინაგანი შენიღბული შინაარსი სხვას გვეუბნება. სხვას გვეუბნება იმიტომ, რომ ქრისტიანული მოძღვრებით, არსებობა ბოროტი-დან კეთილისაკენ მიმავალი პროცესია. მისი ფორმულაა – დაბადება – სიკვდილი – აღდგომა. თუკი ბოროტების ისეთი გამოვლენაც, როგორცაა სიკვდილი, განახლების ანუ აღდგომის საფუძველია, ცხადია, რომ არსებობა საერთოდ, ბოროტის კეთილად ქცევის პროცესია, ოღონდ იგი მიმდინარეობს უფლის დახმარებით, მისი განგებით. გაიხსენეთ ამის დამადასტურებელი ჰიმნიც და ძველი აღთქმის ის პარაბოლაც, რომელსაც საგალობელი იმეორებს.

*გიცანით ხორციტა მოსრული მხსნელად ჩვენდა
სიკვდილისაგან, ვითარცა სამნი ყრმანი
სახვიმილისგან, რამეთუ გვასხურე ჩვენ
ცვრისა მის წილ სისხლი საღმრთო და წყალი
და მით დაშრიტე ცეცხლი უღმრთოვებისა.
(მიქაელ მოდრეკილი).*

ეს ის სამი ყრმაა, რომელნიც ნაბუქოდონოსორ მეფემ გავარვარებულ ბრძმედში ჩაყარა, რადგან მათ ხელმწიფის მიერ აღმართულ ოქროს კერპს თაყვანი არ სცეს. მაგრამ მათ ცეცხლი არ მოეკიდათ და სრულიად უვნებელნი დარჩნენ. გაკვირვებულმა მეფემ ბრძმედში შეიხედა და იქ ვიღაც მეოთხეც დაინახა. ნაბუქოდონოსორმა ის მეოთხეც ღმრთის პედ შეიცნო. მეფემ სამივე ყრმა სახუმილავიდან გამოიყვანა და მათი ღმერთი ილოცა (დანიელ წინასწარმეტყველის წიგნი, თავი III).

დიდი დრო გავა და იესო ეტყვის განრღვევულს: „მე, ოდეს ნაბუქოდონოს მეფემან შესთხივნა სამი იგი ყრმანი სახუმილსა შინა, მაშინ მე ცუარითა ვაგრილებდი“ („კითხვა-მიგებაჲ იესუდსი და გარლუეულისაჲ“).

ასე იცავს და იფარავს ღმერთი ადამიანს ყოველგვარ უბედურებასა და გასაჭირში.

ეს ურთიერთმიმართებანი უფლებას გვაძლევენ პარაბოლათა შინაარსი დავალაგოთ, როგორც ლოგიკური დებულებანი.

ვეშაპი, ღმრთის განგებით, მარადიული სიცოცხლისაკენ აბრუნებს ადამიანს (იონას).

წმ. მარიამის წიალიდან, სულიწმინდის მოვლინებით, იშვა მარადიული სიცოცხლე – ქრისტე.

ამდენად, ვეშაპის მუცელი ალეგორიული მინიშნებაა წმ. მარიამის მუცლისა.

თანაც პროცესი ბოროტის კეთილად ქცევისაკენ არის მიმართული: ვეშაპი (ბოროტი) იონას (ადამიანის) მიწაზე დაბრუნებით კეთილის მოქმედი ხდება. იმიტომ იგი უკვე აღარ არის ბოროტება და ველარ დაუპირისპირდება წმ. მარიამის წიაღს, როგორც კეთილის წყაროს.

ცნობადის ხე ღვთაებრივი გონის სიმბოლოა. როცა ადამმა მისი ნაყოფი შეჭამა, იგი ღვთაებრივ რუასს ეზიარა. (მოგეხსენებათ, ღვთაებრივი ცოდნის შეძენა, როგორც ადამიანის ტრაგედია, საკაცობრიო მწერლობის დიდი თემაა).

ქრისტე კი ღმრთის სიტყვაა (იოანე მტბევარი: „ქრისტე, ღმრთისა სიტყვაო!..“).

თუ ცნობადის ხე ღვთაებრივი გონის გამოხატულებაა, ხოლო ქრისტე ღმრთის სიტყვაა, მაშასადამე, მოულოდნელი არ ყოფილა ჰიმნოგრაფოსის მიერ მათი გაიგივება, ცნობადის ხე და ქრისტე უფლის ორი ამქვეყნიური ჰიპოსტასია. მათი შეპირისპირებით მკაფიო შინაარსს ვიღებთ: როცა ადამმა (ქრისტეს პირველსახემ) ცნობადის ხის (ქრისტეს სიმბოლოს) ნაყოფი ჭამა (გონი შეიძინა), ადამიანმა თვითშემეცნების პროცესი დაიწყო, შეიძინა კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარი, ისწავლა თავისთავში ბოროტის დათრგუნვა და კეთილისათვის ბრძოლა.

ეს ხატოვნად გამოისახა ქრისტეს მიწიერი შობით, გოლგოთაზე ასვლით და ჯვარცმით. ასე განვითარდა ადამის ალემი ჩამარხული აზრი.

*მამისაგან შობილი პირველ უდედოდ (-ადამი)
დღეს იშვა შენგან, ქალწულო, სულისგან (-ქრისტე)...
/იოანე მტბევარი)*

*კაცება, პირველ ხისაგან დაცემული,
აწ აღდგა ძელისა მის აღმართებით...*

*...
შეიწირე დღეს ჩვენ უღირსთა გალობა,
მონათა შენთა, რომელნი მაცხოვრენ ჩვენ
ჯვარსა ცმითა და დაფლვითა და აღდგომითა...
/იოანე მინჩხი).*

ამრიგად, ზნეობრივი თვალსაზრისით, ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან სასულიერო პოეზიაში ორი ძირითადი კონცეფციის სრული უკუფენა მოხდა.

პირველი: საერთოდ, არსებობა კეთილის ქმნაა.

მეორე: კერძოდ, პიროვნების არსებობა თავისთავში ბოროტების დათრგუნვა და კეთილის აღორძინებაა.

და ვ ი წ ყ ე ბ უ ლ ი ი დ ე ა

აწმყო, შობილი წარსულისაგან*

(პროსპექტი)

მე-4 საუკუნის 30-იან წლებში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა საქართველოში. აქედან იწყება ქართული მწიგნობრობის ისტორიაც. მართალია, „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, რომ ქართული დამწერლობა ძველი წელთაღრიცხვით მე-3 ასწლეულში შეიქმნაო, მაგრამ ჯერჯერობით ამის უშუალოდ დამადასტურებელი დოკუმენტი არ აღმოჩენილა. ვნახოთ, რა მოხდება მომავალში, ახლა კი იმას მივხედოთ, რაც არსებობს და რაც ხელთ გვაქვს.

რაკი ქართული მწერლობის წარმოქმნა ქრისტიანობის წყალობით მოხდა, ბუნებრივია, რომ პირველი ლიტერატურული თხზულებანი ჰაგიოგრაფიის ჟანრს ეკუთვნის. თითქმის ექვსი საუკუნის მანძილზე ქართული მწერლობა სუფთა საეკლესიო ხასიათს ატარებს. მწერლები ორი – ჰაგიოგრაფიით და ჰიმნოგრაფიით – არიან გატაცებული. ერთი მხრივ, იწერება ქრისტიან წმიდანთა და წამებულთა ცხოვრება, და, მეორე მხრივ, ქრისტესა და ღმრთისმშობლის სადიდებელი საგალობლები.

ამ პერიოდში შეიქმნა იაკობ ცურტაველის „შუმანიკის წამება“ – პირველი ქართული მოთხრობა, რომლითაც იწყება ჩვენი სიტყვაკაზმული ლიტერატურის ისტორია, ანონიმის „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“, იოანე საბანისძის „აბოს წამება“, ბასილ ზარზმელის „სერაპიონის ცხოვრება და მოქალაქეობა“, გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და სხვანი მრავალნი.

ამ პერიოდშივე მოღვაწეობდნენ ჰიმნოგრაფოსებიც: იოანე მინჩხი, იოანე მტბევარი, მიქაელ მოდრეკილი და სხვანი, დიდნი თუ მცირენი, რომელთაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს ქართულ სალექსო კულტურას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდში ქართული კულტურის ცენტრები ჩნდება უცხოეთშიც, კერძოდ, პალესტინაში, სინას მთასა და საბერძნეთში, ათონზე. მიმდინარეობს აქტიური მთარგმნელობითი საქმიანობა. თუ, ერთი მხრით, ქართული მწერლობა მდიდრდება ბერძენი, არაბი, ასური, სომეხი მოღვაწეების ნააზრევით, მეორე მხრით, ქართულ აზრს ეცნობიან უცხოელები.

საერთო ქრისტიანული მოძღვრების საფუძველზე ქართულ სასულიერო მწერლობაში მუშავდება წარმოდგენა ადამიანზე და მის დანიშნულებაზე. ამქვეყნიური არსებობა, წუთისოფელში ყოფნა მომზადებაა იმქვეყნიური არსებობისათვის, ზესთასოფელში ცხოვრებისათვის. ეს აზრი ყველაზე მკაფიოდ გამოთქმულია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, სადაც უდიდეს ადამიანურ სიქველედ მიჩნეულია შრომა და არა განყენებული ჭვრეტა ღმერთისა. ღმერთმა ჩანერგა ადამიანში შემოქმედის სული. იგი კაცმა შრომით უნდა გამოხატოს, უდაბნოს სამოთხედ ქცევით უნდა გამოავლინოს.

მე-12 საუკუნეში, სასულიერო მწერლობის გვერდით, თანდათანობით ჩნდება საერო მწერლობაც. ამ ორი სახის მწერლობის გარდამავალ თუ შემაერთებელ ხიდად ისახება დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“. ეს ჰიმნი საძირკველს უყრის ქართულ ჰუმანიზმს. „გალობანი სინანულისანი“ ადამიანი გარკვეული იდეის გამომხატველი სქემა არ არის. იგი სისხლითა და

ხორციით სავსე არსებაა. არც ცოდვაა მისთვის უცხო და არც – მაღლი. ჰიმნში ადამიანის არსებას წარმართავს მიწიერი ტკივილი და ზეციური ლტოლვა.

ქართული საერო მწერლობის უმაღლესი გამოვლენა „ვეფხისტყაოსანია“. ამ რთული და მრავალპლანიანი ნაწარმოების სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას იძლევიან მკვლევარები. მაგრამ უპირატესად უნდა მივუთითო იმას, რომ „ვეფხისტყაოსანით“ ქართულ მწერლობაში შემოვიდა სრულიად ახალი ტიპის ადამიანი – ავთანდილი. იგი ახერხებს თავის არსებაში თანაბრად და უკონფლიქტოდ შეათავსოს სულიერება და ხორციელება. სულიერება არ ართმევს მას ქმედების უნარს, არ ხდის მხოლოდ მჭვრეტელად, ხოლო ხორციელება ერთი წუთითაც არ ავიწყებს ადამიანის ზნეობრივ დანიშნულებას – სიყვარულით განახორციელოს ამ ქვეყნად კეთილის სუფევა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსანმა“ ქართული სახარების მნიშვნელობა შეიძინა, ხოლო მისი ავტორი – შოთა რუსთაველი – ქართველთათვის იმავე როლს ასრულებს, რასაც დანტე იტალიელებისათვის ან სერვანტესი – ესპანელებისათვის.

მწერლობის ამგვარი აღორძინების შემდეგ სავალალო მდგომარეობა იქმნება. მე-13 საუკუნეში მონღოლთა შემოსევის შედეგად ემხოზა საქართველოს სამეფო. პოლიტიკურ-სამხედრო კრახს კულტურული მარცხიც მოჰყვა. თითქმის ოთხი საუკუნის მანძილზე, მე-13-დან მე-17-მდე, ჩვენში არაფერი დაწერილა. ყოველ შემთხვევაში, მწერლობის ერთი ფურცელიც არ მოგვეპოვება. ეს ქართული მწერლობის შავი ხანაა. ამგვარი კულტურული კატასტროფის ახსნა არ შეიძლება მხოლოდ ომებითა და შემოსევებით, თუნდაც ისეთი სასტიკით, როგორც იყო თემურლენგის ლაშქრობანი. მისაგნებია და მოსაძებნი უფრო ღრმა შინაგანი მიზეზი.

მე-17 საუკუნეში ხელახლა ცოცხლდება ქართული მწერლობა, რის გამოც აღორძინების, განახლების ხანად მონათლეს.

მე-17-18 საუკუნეების მწერლობიდან განსაკუთრებულ ყურადღებას სამი კაცი იპყრობს – სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი და ალექსანდრე ამილახვარი.

ს.ს.ორბელიანი, მწერლობის გვერდით, დიპლომატიურ საქმიანობასაც ეწეოდა. ვახტანგ VI დავალებით იგი ევროპაში მოგზაურობს. ეძებს მოკავშირესა და დამხმარეს თურქული და სპარსული აგრესიის წინააღმდეგ. სამწუხაროდ, მისმა მისიამ უშედეგოდ ჩაიარა. ევროპამ გულგრილად და უგულისყურად შეხედა საქართველოს ბედს. მაგრამ ამ მოგზაურობამ, კულტურის თვალსაზრისით, კეთილი ნაყოფი გამოიღო. ს.ს.ორბელიანმა განმანათლებლობის ეპოქის იდეები შემოიტანა საქართველოში.

ჩვენში განმანათლებლობის ტიპიური წარმომადგენელი დ.გურამიშვილია. მის შემოქმედებაში განათლების კულტი სუფევს. მაგრამ არის ძირეული განსხვავებაც. თუ ევროპული განმანათლებლობა რელიგიას სკეპტიკურად უყურებდა და ათეიზმს ეტრფოდა, დ.გურამიშვილი რელიგიურობას ათავსებს განმანათლებლობასთან. მისთვის რწმენა ხელს არ უშლის ცოდნას.

განსაკუთრებით მძლავრად ევროპეიზმის გავლენა იგრძნობა ალ.ამილახვარის შემოქმედებაში. მისი „ბრძენი აღმოსავლეთისა“ დაწერილია მონტესკიეს „კანონთა სულის“ გავლენით.

დ.გურამიშვილისა და ალ.ამილახვარის შემოქმედება (აგრეთვე ი.ბატონიშვილის „კალმასობა“) მოწმობს იმას, რომ მაჰმადიანურ ჩიხში მოქცეული ქართული აზროვნება თავს აღწევს იზოლაციას და თავისუფლდება. ამის წყალობაა ის, რომ მე-19 საუკუნის მწერლობა, განსაკუთრებით პოეზია (ალ.ჭავჭავაძე, გრ.ორბელიანი, ვ.ორბელიანი, ნ.ბარათაშვილი), არსებითად თავისუფალია აღმოსავლური მოტივებისაგან.

ჩვეულებრივ მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის პოეტებს იმ ლიტერატურულ მიმართულებას მიაკუთვნებენ, რომელსაც რომანტიზმს უწოდებენ. მართლაც, მათი პოეზიის ფიქრის საგანია პიროვნების თავისუფლება, ბუნების ტრფობა, სიყვარული. ემატება აგრეთვე ეროვნულ თავისუფლებაზე ჩივილი, რამეთუ საქართველო იმ დროს კოლონიური ქვეყანაა. მაგრამ ქართველ რომანტიკოსებს არ ახასიათებთ ირონიულობა, რაც, საერთოდ, ნიშანდობლივი იყო ამ მიმართულების მწერლებისათვის (მაგალითად, გერმანელი რომანტიკოსებისათვის). საერთოდ უნდა ითქვას, რომ ირონიულობა ქართულ პოეზიაში გვიან, მე-20 საუკუნეში გაჩნდება (ჯერ ქართველი სიმბოლისტები, დღეს კი – ტ.ჭანტურია, ვ.ჯავახაძე და სხვა). მიუხედავად იმისა, რომ მეთვრამეტე საუკუნეშიაც და მეცხრამეტეშიც არსებობდა მძაფრი სატირული პოეზია (ბესიკი, ილ.ჭავჭავაძე, აკ.წერეთელი).

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მწერლობა – ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი და სხვანი – ძირითადად ერთი პრობლემის – თავისუფლების – გარშემო მსჯელობს. მაგრამ თავისუფლება განიხილება კომპლექსურად – პიროვნული, ეროვნული, სოციალური თვალსაზრისით. შეუძლებელია პიროვნული თავისუფლება, თუ ადამიანი არ არის თავისუფალი ეროვნულად და სოციალურად.

არ იქნებოდა სიმართლე, თუ არ ვიტყვით იმასაც, რომ უკვე მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ილია ჭავჭავაძემ შემოაქვს როგორც სოციალური („ოთარაანთ ქვრივი“), ისე ფსიქოლოგიური გაუცხოების („სახრჩობელაზე“) საკითხები. ამით იგი გზას უკაფავს მე-19 საუკუნის ბოლო და მე-20 ასწლეულის პირველი მეოთხედის მწერლობას.

სოციალური გაუცხოების პრობლემა ფართოდ და ღრმად დაისმის ჯერ დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში, შემდეგ კი – ნიკო ლორთქიფანიძის („დანგრეული ბუდეები“), მიხეილ ჯავახიშვილის („ჯაყოს ხიზნები“), კონსტანტინე გამსახურდიას („მთვარის მოტაცება“) პროზაულ თხზულებებში.

ფსიქოლოგიური გაუცხოების ფართო პანორამას გვიხატავს ვაჟა-ფშაველა თავის პოემებში. ვაჟას პროტაგონისტი მოქცეულია ორ სიმართლეს შორის – პიროვნების სიმართლესა და საზოგადოების სიმართლეს შორის. ეს ორი სიმართლე არ თანხვდება ერთმანეთს, ვერ ეთვისება ერთმანეთს, რის გამოც პიროვნება მოკვეთილია საზოგადოებისაგან. იგი მარტოა. მარტობაა მისი ხორ-

ციელი დალუპვის მიზეზი, მაგრამ, ამავე დროს, იგია (მარტოობა) მისი ძალაც და სულიერი გამარჯვების საფუძველიც. ვაჟასთან პიროვნება ყოველთვის მართალია, რამეთუ იგია შემოქმედებითი საწყისის მატარებელი, ხოლო მტყუანია საზოგადოება, რადგან იგი ცხოვრებისეული რუტინის დამცველია.

ქართულ მწერლობაში ვაჟას შემოქმედებას მოაქვს ინდივიდუალიზმის პრობლემაც.

მე-20 საუკუნის ათიანი წლების ბოლოს სალიტერატურო ასპარეზზე გამოდის ქართული სიმბოლიზმი ანუ „ცისფერი ყანწები“ (გრ.რობაქიძე, ტ.ტაბიძე, პ.იაშვილი და სხვა) და, ცოტა უფრო გვიან, ქართული ფუტურიზმი ანუ „მე-მარცხენეობა“ (ს.ჩიქოვანი და სხვა). მართალია, მათი გამოჩენა ჩვენს ლიტერატურაში დაგვიანებით მოხდა, მაგრამ გარკვეული კვალი მაინც დააჩნის ქართულ მწერლობას. კერძოდ, მათ დიდი ყურადღება მიაქციეს ხმას, ფერს, სიტყვის მრავალფეროვან მნიშვნელობას, სიმბოლოებს და, საერთოდ, ახალ სალექსო ფორმებს.

სიმბოლიზმისა და ფუტურიზმის განვითარება ძალდატანებით შეწყდა. 20-იან წლებში ამ ლიტერატურულ მიმართულებებს (და საერთოდ, კლასიკურ მწერლობას) სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა სოციალური დაკვეთის ლიტერატურამ ანუ პროლეტარულმა მწერლობამ. პროლეტმწერლობამ დიდი საფრთხე შეუქმნა სიტყვაკაზმული ლიტერატურის განვითარებას. იგი იყო უაღრესად პრიმიტიული შინაარსითა და ფორმით, მაგრამ, სამაგიეროდ, მეტად აგრესიული საკუთარი ინტერესების დაცვის დროს. მიუხედავად ამისა, საბოლოოდ პროლეტარული მწერლობა მაინც დამარცხდა. ქართული ლიტერატურის განვითარება, მართალია, დროებით შეფერხდა, მაგრამ მაინც დაუბრუნდა ბუნებრივ გზას.

პროლეტმწერლობამ სცადა გაეწყვიტა დროთა კავშირი. უარყო წარსული როგორც ისტორიული, ისე ლიტერატურული თვალსაზრისით. ეს კატასტროფით ემუქრებოდა ქართულ კულტურას, რამეთუ დროთა კავშირის გაწყვეტა ნიშნავდა თაობათა კავშირის მოშლას და გენეტიკური ფესვის მოკვეთას. ამ კატასტროფისაგან ქართული კულტურა და, კერძოდ, მწერლობა იხსნა გალაკტიონ ტაბიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, გიორგი ლეონიძის, ნიკო ლორთქიფანიძის, ალექსანდრე აბაშელის, ლეო ქიაჩელის, კონსტანტინე გამსახურდიას და სხვათა შემოქმედებამ. მათი შემოქმედება მიმდინარეობდა პრინციპით – აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა. დროთა და თაობათა მთლიანობა—უწყვეტელობის გაგებამ მოგვცა ძველი პრობლემების ახლებური გაშუქება. მაგალითად, რელიგია არა როგორც რწმენა ღმერთისა, არამედ როგორც ადამიანის ზნეობრივი საქციელი-ქმედება კეთილის გასამარჯვებლად და ბოროტის დასამარცხებლად. ამ თვალსაზრისით შეადარეთ რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე და დღევანდელი ქართული მწერლობის ცალკეული მოტივი, ვთქვათ, ანა კალანდაძესთან ან ნოდარ დუმბაძესთან – კომუნისტს ესიზმრება ქრისტე, როგორც მშველელი.

ანდა თავისუფლების გაგება, როგორც მოვალეობისადმი ერთგულება და სამსახური. აქ კი შეიძლება შეგვედარებინა იმავე რუსთაველის ავთანდილი, ილია ჭავჭავაძის ოთარაანთ გიორგი და ჭაბუა ამირეჯიბის მუშნი ზარანდია.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ 60 და 70-იანი წლების მწერლობა და-ინტერესდა პრობლემით, რომელსაც, მარინა ცვეტაევას თუ დავესესხებით, შე-იძლება ვუწოდოთ – ლიტერატურა და ხელოვნება ნამუსის შუქზე. წარსულისა (ოთ.ჭელიძე, რ.ჯაფარიძე და სხვა) თუ აწმყოს (მ.ღებანიძე, მ.მაჭავარიანი, ბ.ხა-რანაული და სხვა) ყოველი ისტორიული თუ სოციალური მოვლენების დაფა-სება ხდება ზნეობრიობის საფუძველზე. კითხვა – რაა მთავარი, ადამიანი თუ ამა თუ იმ პროფესიის მოქალაქე? – აქტიურად აწუხებს მწერლობას, რადგან, თუ გაქრა ადამიანი, დაგვრჩება იდეის მექანიკურად ამსრულებელი. ეს კი და-ღუპვით ემუქრება კაცობრიობას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში.

საბოლოოდ როგორ დაამუშავებს და რა პასუხს გასცემს ზემორემოხსენი-ებულ პრობლემას ქართული მწერლობა, ამას მომავალი გვიჩვენებს.

1983 წ. იანვარი.

ქება და დიდება

1883 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ალექსანდრე ცა-გარელმა აღმოსავლეთის წმიდა ადგილები მოინახულა. ეს მოგზაურობა მან აღწერა წიგნში „Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае“. ეს შრომა გამოქვეყნდა 1888 წელს „православный Палестинский сборник“-ის მე-ოთხე ტომის პირველ გამოშვებაში. ამ წიგნით გააცნო პირველად ალექსანდრე ცაგარელმა ქართველ საზოგადოებას ჰიმნი, რომელიც დღეს ცნობილია სახე-ლით „ქება და დიდება ქართულისა ენისა“.

ამის მერე „ქებას“ ტექსტი რამდენჯერმე დაიბეჭდა. 1959 წელს კი, აკაკი შანიძის რედაქციით, უძველესი თარიღიანი (864 წელი) ქართული ხელნაწერი „სინური მრავალთავი“ გამოიცა. აქ დასტამბულია „ქებაც“. ჰიმნის განხილვი-სას სწორედ ამ ტექსტით ვისარგებლებ. საჭიროებისდა მიხედვით კი სხვა გამო-ცემებსა და ხელნაწერებსაც მოვიშველიებ.

ამ მცირე წინათქმის შემდეგ დადგა ჟამი „ქებას“ შინაარსის გახსენებისა.

„დამარხულ არს ენა ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწა-მებლად. რადთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა. და ესე ენა მძინარე არს დღესამომდე. და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვან. და ახალმან ნინო მოაქცია და ჰმლენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვი-თარცა მარიამ და მართაჲ. და მეგობრობა ამისთვის თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლოდ ამას ენასა შინა დამარხულ არს. და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინადაწამეტყუელმან, რამეთუ: წელი ათასი ვითარცა ერთი დღე და სახარებასა შინა ქართულსა თავსა, ხოლო მათჴსა წილი ზის, რომელ ასოდ არს და იტყვს ყოვლად ოთხ ათასსა მარაგსა. და ესე არს ოთხი

დღეც და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთვის მის თანავე დაფლული სიკუდილითა ნათლის-ღებისა მისისადათა.

და ესე ენაჲ, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისადათა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა. და სასწაულად ესე აქუს: ოთხმოც და ათოთხმეტი წელი უმეტესს სხუათა ენათა ქრისტეს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგიბხარ, ასი ესე წილი ანბანისაჲ.

ლოცვა-ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, ლოცვა-ყავთ!

ქრისტე, შეიწყალე მჩხრეკალი ამისი იოვანე. ამენ“

როგორც მკითხველი ხედავს, სიმბოლიკით სავსე ბუნდოვანი ტექსტია. თუმცა ახლავე უნდა ითქვას, რომ ნისლოვანია ჰიმნის კონკრეტული მხატვრული სახეები, თორემ მისი საერთო შინაარსი და მიზანდასახულობა ნათელია: ქართული ენა უფლის ენაა, სხვა ენებზე აღმატებული და უკეთესი, განკითხვის დღეს მესია ქართულად იმეტყველებს. ეს იმთავითვე ასე განმარტეს ალექსანდრე ცაგარელმა, კორნელი კეკელიძემ და პავლე ინგოროყვამ¹ და დიდი ხანია ცნობილია. ამდენად, ამჟამინდელი ამოცანა თითოეული სიმბოლოს შინაარსის ნათელყოფაა.

„ქებაჲს“ სიმბოლიკა ორგვარია. ერთია ქრისტიანულ მწერლობაში მოხსენიებული პერსონაჟები – ლაზარე, ნინო, ელენე, მარიამ, მართა, დავით და მათე. მეორეა რიცხვები, რომელთაც საკრალური მნიშვნელობა აქვთ მინიჭებული – ოთხი, ერთი, ათასი, ოთხი ათასი, ოთხმოცდაათოთხმეტი და ასი.

თითოეული სიმბოლო შემდეგნაირად იხსენიება ტექსტში:

1. ლაზარე: „და სახარებასა შინა ამას ენას ლაზარე ჰრქვან“

ნინო

2. ელენე ————— „და ახალმან ნინო მოაქცია და მარტამი ჰწლენე დედოფალმან. ესე არიან მართა ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართაჲ“.

3. დავით: „და ოთხისა დღისა მკუდარი ამისათვის თქუა დავით წინაღმარმეტყუელმან, რამეთუ: წელი ათასი, ვითარცა ერთი დღე“.

4. მათე: „და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათესა წილი ზის...“

ოთხი

ერთი ————— „და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინაღმარმეტყუელმან, რამეთუ“

წელი ათასი, ვითარცა ერთი დღე“

„და ესე არს ოთხი დღეჲ და ოთხისა დღისა მკუდარი...“

6. ოთხი ათასი: „და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათჴსა წილი ზის, რომელი ასოდ არს და იტყვს ყოვლად ოთხ ათასსა მარაგსა“.

7. ოთხმოცდაათოთხმეტი: „და სასწაულად ესე აქუს: ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი უმეტჴს სხუათა ენათა ქრისტჴს მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე“.

8. ასი: „და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ, ასი ესე წილი ანბანისაჲ“.

როგორც უკვე აღინიშნა, ჰიმნის დედააზრი მკაფიოა: ქართული ენა ქრისტეს ენაა. ამდენად, „ქებაჲს“ ყველა მხატვრული სახე ამ ძირითადი დებულების ილუსტრირებას ემსახურება.

„ქებაჲს“ პირველი სტრიქონი აზრობრივად ნათელია. ამდენად არც კომენტარებს საჭიროებს.

„დამარხულ არს (=დაცულია) ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად (=დასადასტურებლად), რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“.

ამ სტრიქონებში სიტყვა „მისისა“ პავლე ინგოროყვამ შეცვალა სიტყვით „მესისა“². პავლე ინგოროყვას რედაქციით ზემორე ციტირებული სტრიქონები ასე იკითხება:

**„დამარხულ არს ენაჲ ქართული
დღემდე მეორედ მოსვლისა მესისა საწამებლად.
რათა ყოველსა ენასა
ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“.**

მართალია, „მისისა“ გულისხმობს მესიას, მაგრამ შეცვლა მაინც არ ეგებოდა. ჯერ ერთი, ხელნაწერებში (Sin. 38, Sin. 6, Sin.32 (57) სრულიად გარკვევით წერია – „მისისა“. მეორეც, ეს კონიექტურა პირწმინდად ფორმალურ ხასიათს ატარებს, რაკი სიტყვების შეცვლა აზრს არ ცვლის. ორივე – „მისისაც“ და „მესიაც“ – ქრისტეს მიაწინებებს.

უფრო რთულად არის საქმე მომდევნო სტრიქონში:

„და ესე ენაჲ მიძინარე არს დღესამომდე (=დღემდე), და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვნ“.

რატომ ჰქვია ქართულ ენას სახარებაში ლაზარე? არც ალექსანდრე ცაგარელს და არც კორნელი კეკელიძეს ამ საკითხის გამო არაფერი უთქვამთ. პავ-

ლე ინგოროყვამ კი იგი ასე გაიგო: „ქართული ენა – ეს არის ახალი ლაზარე ენათა შორის, რომელიც მკვდრეთით აღდგება მეოთხე დღეს“.³

ვინ იყო ლაზარე?

იოანეს სახარების მეთერთმეტე თავი გვიამბობს: იერუსალიმის მახლობლად, თხუთმეტი უტევანით დაცილებული, იყო დაბა ბეთანია. ბეთანიაში ცხოვრობდნენ ლაზარე და დანი მისნი მარიამ და მართა. ქრისტეს უყვარდა ისინი. მარიამი იყო იგი, ვინც ნელსაცხებელი სცხო უფალს და თმებით შეუწმინდა იესოს ფეხები. დებმა შეატყობინეს ქრისტეს: ვინც გიყვარდა, იგი ავად არისო. მაშინ ინება უფალმა ჰურთასტანად წაბრძანება. მოწაფეებმა გააფრთხილეს იესო: დიდი ხანი არ არის, რაც ებრაელები ჩაქოლვით გემუქრობდნენ და კიდევ იქ მიხვალთო?! მაშინ მოწაფეებს ეს უთხრა მოძღვარმა: ვინც დღე დადის, ფეხს არ წაიკრავს. დღის სინათლე უნათებს გზას. წაიფორხილებს იგი, ვინც ღამით დადის, რამეთუ ბნელა ღამით, გარდა ამისაო, დასძინა მოძღვარმა, ლაზარემ, მეგობარმა ჩემმა, დაიძინა და უნდა გავაღვიძოო. მოწაფეებმა ვერ გაიგეს ქრისტეს ქარამა და უპასუხეს: თუ დაიძინა, გამოჯანსაღდებაო. იესომ მკაფიოდ აუხსნა: ლაზარე მოკვდაო. მაშინ, ქრისტე მოწაფეებითურთ წავიდა ბეთანიას. ლაზარეს სახლში ებრაელები შეკრებილიყვნენ, რათა ნუგეში ეცათ მიცვალებულის დებისთვის. როცა მართამ ქრისტეს მობრძანება შეიტყო, გამოეგება სტუმარს და შესჩივლა: უფალო, აქ რომ ყოფილიყავ, ჩემი ძმა არ მოკვდებოდაო. ქრისტემ ანუგეშა მართა: აღდგებაო შენი ძმა. იესომ აასრულა დანაპირები. იგი მიიყვანეს ლაზარეს საფლავთან. საფლავს ლოდი ააცალეს და ბრძანა ქრისტემ: ლაზარე, გამოდი გარეთ. მკვდარი ადგა და გამოვიდა. ლაზარეს ხელები შეკრული ჰქონდა, ხოლო პირი – სუდარით შებურვილი. მოაცილეთ ესენი, თქვა უფალმა, მიეცით გზა, იაროს. ასე აღადგინა ლაზარე იესო ქრისტემ.

ასეთია ლაზარეს ამბავი. რატომ გაგახსენეთ იგი ეგზომ ვრცლად? ამ იგავის არსი გაცხადებულია მართასა და ქრისტეს დიალოგში.

იესო: აღდგეს ძმაჲ შენი.

მართა: უწყი, რამეთუ აღდგეს აღდგომასა მას უკანაჲსკნელსა დღესა.

იესო: მე ვარ აღდგომაჲ და ცხოვრებაჲ. რომელსა ჰრწმენეს ჩემი, მოლა-თუ-კუდეს, ცხონდესვე. და ყოველი რომელი ცოცხალ არს და ჰრწმენეს ჩემი, არა მოკუდეს იგი უკუნისამდე. გრწამსა ესე?

მართა: ჰე, უფალო, მრწამს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, მე ღმრთისაჲ მომავალი სოფლად.

ე.ი. ქრისტე აღდგომა და ცხოვრებაა. ვინც იწამებს მას, მკვდარიც რომ იყოს, გაცოცხლდება, ხოლო ცოცხალი არასოდეს მოკვდება. ამდენად, „ქებაჲს“ ავტორი ქართული ენის ლაზარესთან გაიგივებით ამბობს: თუკი მიცვალებული ლაზარე მკვდრეთით აღდგა იმიტომ, რომ სწამდა ქრისტე, როგორც სამყაროს მომავალი, ცხოვრება და აღდგომა, დაჩაგრული და დაწუნებული ქართული ენაც აღდგება-გაცოცხლდება და მარადიულად იარსებებს. რამეთუ ქართული ენაც აღიარებს ქრისტეს მოძღვრებას. ამას ადასტურებს ჰიმნის ეს სიტყვებიც: „ამისთვის მის თანავე დაფლული სიკუდილითა ნათლის-ღებისა მისისაჲ-

თა“. რომაელთა მიმართ გაგზავნილ წერილში პავლე მოციქული ასე განმარტავს ნათლისღების საიდუმლოს:

„ანუ არა უწყითა, რამეთუ რომელთა – ესე ნათელ-ვიღეთ ქრისტე იესოს მიერ, სიკუდილისა მისისა მიმართ ნათელ-ვიღეთ?

და თანა-დავეფლენით მას ნათლის-ღებითა მით სიკუდილსა მისსა, რად-თა, ვითარცა-იგი აღდგა ქრისტე მკუდრეთით დიდებითა მამისადათა, ეგრეთცა ჩვენ განახლებითა ცხოვრებისადათა ვიდოდით.

რამეთუ უკუეთუ თანა-ნერგ ვექმნენით მსგავსებასა მას სიკუდილისა მისისასა, ეგრეთცა აღდგომასა მას მისსა ვიყვნეთ.

უკუეთუ მოვკუდეთ ქრისტეს თანა, გურწამს, რამეთუ მის თანაცა ვცხოვ-ნდეთ.

ესე უწყით, რამეთუ ქრისტე აღდგა მკუდრეთით, არღარა მოკუდეს, და სიკუდილი მის ზედა არღარა უფლობდეს“. (რომაელთა მიმართ ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა პავლესი, თავი 6, მუხლები 3, 4, 5, 8, 9).

მაშასადამე, ვინც ქრისტეს მიერ ნათელილო, უფლის ბედის თანაზიარი გახდა: უფალთან ერთად მოკვდება, უფალთან ერთად აღდგება, უფალთან ერთად იცოცხლებს მარადიულად, რაკი მკვდრეთით აღორძინებული ქრისტე არასდროს მოკვდება. ლაზარემ (ე.ი.ქართულმა ენამ) ქრისტეს ცხოვრების გზა გაიმეორა: ცოცხლობდა, მოკვდა, აღდგა. ეს აღდგომა კი მარადიული არსებობის საწინდარია.

თუ ლაზარე ორი ქალის მარიამისა და მართას საშუალებით უკავშირდება ქრისტეს, ქართული ენაც ორი ქალის ელენესა და ნინოს მეოხებით ამყარებს ურთიერთობას ქრისტესთან.

„და ახალმან ნინო მოაქცია და ჰქლენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა“.

ამ სტრიქონებს კორნელი კეკელიძე ამრიგად განმარტავდა: ქართული ენა „ისეთივე „მეგობარი“ ან თანასწორია ბერძნულისა, როგორი მეგობრებიც იყვნენ ნინო და ელენე, რომელთაგან ერთმა უქადაგა სახარება ქართველებს, ხოლო მეორემ – ბერძნებს; ისინი „დებია“, როგორც მართა და მარიამი“.4

1924 წელს ჰიმნის ეს სტრიქონები პავლე ინგოროყვას არ აუხსნია. უბრალოდ დღევანდელი ქართულით გაიმეორა ისინი. „ქართველნი ქრისტეს სარწმუნოებაზე მოაქცია ორმა ქალმა – ნინომ და ელენე დედოფალმა – და ესენი არიან ორნი დანი ვითარცა მარიამ და მართა“.5 მერე, მოგვიანებით კი დაწერა: „აღსანიშნავია, რომ მწერალი ქართულ ენასა და ბერძნულ ენას ერთ სიმაღლეზე აყენებს, აღნიშნავს, რომ ეს ორი ენა მეგობრებია, რომ ამ ორ ენას მფარველობს ორი დედა – ნინო, ქართველთა განმანათლებელი და ელენე დედოფალი, განმანათლებელი ბერძენთა; მწერლის სიტყვით, ნინო და ელენე არიან ორნი მოყვარულნი დანი, ისეთივე როგორც სახარებაში მოხსენიებული მარიამი და მართა“.6

ასე არ უნდა იყოს. უნდა ცდებოდეს როგორც კორნელი კეკელიძე, ისე პავლე ინგოროყვა. ჯერ ერთი, ბერძნული ენა არსად ჰიმნში არ იხსენიება. მეო-

რეც, ქართული ენა „ქებაჲს“ ავტორს უფლის ენად მიაჩნია, ე.ი. მწერალს უზომო პრეტენზია აქვს. რაკი ასეა, ბერძნულს ვერ შეადარებს ქართულს, რამეთუ არსად თქმულა, ბერძნულიც უფლის ენააო. ავტორის აზრით, ქართული ყველა სხვა ენაზე უკეთესია და, ცხადია, მათ შორის, ბერძნულზეც. მესამეც, ელენე იყო დედა იმპერატორ კონსტანტინე პირველისა და დედოფალი არა მარტო ბიზანტიისა, არამედ მთელი რომის იმპერიისა. ელენეს დროს რომის იმპერია ჯერ კიდევ მთლიანი იყო და ორად – აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად – არ გაეყოთ. ელენეს დედოფლობისას ქრისტიანობა ოფიციალურად გამოცხადდა რომის იმპერიაში სახელმწიფო რელიგიად. ამდენად, ელენე დედოფალი გახლდათ რომის იმპერიაში შემავალი ყველა ხალხის განმანათლებელი და არა მარტო ბერძნებისა. მაშ, რა მოხდა, რატომ იხსენიება ჰიმნში დედოფალი ელენე? საქმე ის არის, რომ ქართველთა ქრისტეს რწმენად მოქცევის მონაწილეა ელენე დედოფალი. ამას ერთხმად აღნიშნავს ბიზანტიური და ქართული წყაროები.

სვიდას ლექსიკონში წერია: **„ელენე, დედოფალი, დედა კონსტანტინე დიდისა... კონსტანტინე დიდის დროს მოინათლნენ შინაგანი ინდები, იბერიები, არმენიელები“**.⁷

ამასვე ამბობს გიორგი ამარტოლიც: **„ამ ნეტარ კონსტანტინეს დროს წმინდა ნათლისღება მიიღეს აგრეთვე შინაგანმა ინდებმა და იბერიელებმა“**.⁸

ქართულ წყაროებში უფრო ვრცლად აისახა ელენე დედოფლისა და ნინოს ურთიერთობა.

მას მერე, რაც კონსტანტინე კეისარმა ქრისტიანობა მიიღო, ელენე დედოფალი იერუსალიმს გაემგზავრა უფლის ჯვრის ძებნად. როგორც **„გამოჩინებაჲ ჯვარისაჲ“** გვიამბობს,⁹ ელენემ მართლაც იპოვნა ის ჯვარი, რომელზეც ქრისტე აცვეს და გახდა პატიოსანი ჯვრის მფლობელი. სწორედ ამ ამბების დროს შეხვდნენ ერთმანეთს ნინო და ელენე. დედოფალს მოეწონა ტყვე ქალი. შეიყვარა იგი და საქართველოში გამოაგზავნა ქრისტიანობის საქადაგებლად. ნინომ პირნათლად შეასრულა ეს მისია. როცა ნინომ მეფე მირიანი და დედოფალი ნანა დაარწმუნა, ქრისტიანობა უნდა იწამოთო, ეკლესიები ააშენა, ელენე დედოფალსა და იმპერატორ კონსტანტინეს წერილი აახლა და მღვდლები ითხოვა. საქართველოს გაქრისტიანება ფრიად გაუხარდათ ელენესა და კონსტანტინეს. საქართველოში მღვდლებიც გამოაგზავნეს და ელენე დედოფალმა მათ ორი წერილიც გამოატანა. ამ წერილებში იმპერატორისამ „სანატრელ უწოდა დედოფალსა ნანას, ხოლო ნეტარსა ნინოს ელენე სურვილით უწოდა დედოფლად და თმსსა სწორად და სწორად წმიდათა მოციქულთა“.¹⁰

ასე უკავშირდება ელენე დედოფალი ნინო განმანათლებელსა და ქართულ ქრისტიანობას. ჰიმნის ავტორი აღტაცებულია, რომ ქართული ქრისტიანობის ერთ-ერთი მოთავე უფლის ჯვრის მფლობელი დედოფალია. ეს პიროვნება კი ნინოს თვის სწორს და მოციქულთა სწორს უწოდებს. ამიტომ არიან ნინო და ელენე დები.

ამრიგად, მარიამ-მართასა და ელენე-ნინოს ანალოგია ასეთ სახეს იღებს: ქრისტე მეგობარია ლაზარესი: „ამის შემდგომად ჰრქუა მათ: ლაზარე, მეგობარმან ჩემმან, დაიძინა“. ქრისტე ქართული ენის მეგობარიც არის: „და მეგობრობაჲ ამისთვის თქუა“... ლაზარეს ორი დაჲ ჰყავს. ქართულ ენასაც ორი დაჲ ჰყავს. ეს საერთო ნიშნები ჰიმნის ავტორს უფლებას აძლევს ქართულ ენას ლაზარე უწოდოს.

ქართული ენის განდიდებას „ქებაჲში“ მარტო პანეგირიკული შინაარსი არა აქვს. იგი ემსახურება რწმენის, სიმტკიცის, მომავლის იმედის აღდგენას. როგორც ჩანს, ჰიმნი ეროვნული და პოლიტიკური კრიზისის ეპოქაში იწერებოდა. ჰიმნს ერთგვარი კამათის, პაექრობის ელფერიც დაჰკრავს. ერთი შეხედვით, ეს უცნაური და უსაბუთო აზრია, მაგრამ იგი მაფიქრებინა სტრიქონებმა:

„და მეგობრობაჲ ამისთვის თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს, და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინასწარმეტყველმან, რამეთუ: წელი ათასი ვითარცა ერთი დღე“.

აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ დავით წინასწარმეტყველის სიტყვები არაზუსტად არის ციტირებული. 89-ე ფსალმუნში ასეა ნათქვამი: **„რამეთუ ათასი წელი წინაშე თუალთა შენთა, უფალო, ვითარცა გუშინდელი დღე, რომელი წარვდა და ვითარცა საუკმილავი ერთი ღამესა შინა“.**¹¹ რა, თვითნებურად დაამახინჯა ჰიმნის ავტორმა დავით წინასწარმეტყველის სიტყვები თუ რაღაც მიზეზი აქვს ამას? „ქებაჲს“ ავტორი იმეორებს ფსალმუნის ლექსის პეტრა მოციქულისეულ პერიფრაზს: **„ერთიმცა ესე ნუ დაგავიწყდების, საყუარელნო, რამეთუ ერთი დღე უფლისა მიერ ვითარცა ათასი წელი და ათასი წელი ვითარცა ერთი დღე“** (კათოლიკე ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა პეტრესი მეორე, თავი მესამე, მუხლი მერვე).

სად და რა პირობებში გაიხსენა პეტრე მოციქულმა დავით წინასწარმეტყველის სიტყვები?

მეორე კათოლიკე ეპისტოლეით პეტრე მოციქული აფრთხილებს მორწმუნეებს, ყური არ უგდოთო ურწმუნოთ. გაჩენილან მეკიცხევარნი, რომელნიც გულისთქმას აყოლილნი ცინიკურად აცხადებენო, სად არის აღთქმული მეორედ მოსვლა? შექმნის დღიდან დღემდე ხომ ყველაფერი უცვლელად არსებობსო. **„და იტყოდიან, სადა არს აღთქუმაჲ იგი მოსვლისა მისისაჲ? რამეთუ ვინაჲთგან მამათა შეისუენეს, ყოველივე ესრეთ ჰგიეს დასაბამითგან დაბადებულსაჲთ“.** აი, ამ ურწმუნოებასა და მოუთმენართ ეუბნება პეტრე, უფლის ერთი დღე ათას წელს უდრისო. ამიტომ მოთმინება იქონიეთ და დადგება უფლის დღეცო. აღთქმის აღსრულებას არ აყოვნებს ღმერთი, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონიაო. იგი იცდისო თქვენსავე სასიკეთოდ, რამეთუ არ სურს არავის წარწყმედა. უნდა ყველამ მოინანიოს და მიეცეთო საშუალება სასუფევლის დამკვიდრებისა. „არა ყოვნის უფალმან აღთქუმისა მისგან, ვითარ-იგი ვიეთმე დაყოვნებად შეურაცხიეს, არამედ სულგრძელ არს თქუენტმს, რამეთუ არავისი ჰნებაჲს წარწყმედაჲ, არამედ ყოველთა სინანულად მოსვლაჲ“.

პეტრე მოციქულის დარად, დავით წინასწარმეტყველის სიტყვების გახსენებით, „ქებას“ ავტორიც მოუწოდებს ქართველ ურწმუნოებს: ქართული ენის აღორძინების დღეც დადგება, ოღონდ მოთმინებით უნდა ველოდოთ ამ დროს და არ უნდა დავივიწყოთ, რომ ღმერთისათვის (ე.ი. მარადისობისათვის) ათასი წელი ერთი დღეა.

ქართველი ავტორი ამით არ კმაყოფილდება და დავით წინასწარმეტყველისეული ღვთაებრივი წელთაღრიცხვის განმარტებას სხვა მიზნითაც იხსენებს.

„და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათჳსა წილი ზის, რომელ ასოდ არს და იტყმს ყოვლად ოთხ ათასსა მარაგსა. და ესე არს ოთხი დღჳ და ოთხისა დღისა მკუდარი“...

მათეს სახარება მართლაც ასე იწყება: „წიგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი“. მაგრამ ამ სტრიქონებს არაფერი აქვს საერთო „ქებას“ შინაარსთან. წილის ფარულ აზრს პავლე ინგოროყვამ მიაქცია ყურადღება და აღნიშნა, რომ „ავტორი ასეთსავე მისტიურ ჩვენებას ჰხედავს ქართული სახარების დასაწყისში; მხოლოდ ქართული სახარების თავშია წარწერილი ასო წ („წილი“); „წ“ როგორც რიცხვი ნიშნავს ოთხი ათასს. და რადგან საღმრთო წერილის სიტყვით – „წელი ათასი ვითარცა ერთი დღე“, მაშასადამე ასო „წ“ (ე.ი. ოთხი ათასი) აქ ნიშნავს ოთხ დღეს; აქ არის ფარული აზრი: იგი აღნიშნავს ლაზარეს, ოთხ დღეს მძინარეს საფლავში და „ოთხისა დღისა მკვდარს“...¹² პავლე ინგოროყვა მართალია: „ქებას“ ავტორი წილით ისევ ლაზარეს გვახსენებს. მაგრამ რა აზრი აქვს ოთხს და რაღა მაინცდამაინც მეოთხე დღეს აღდგა ლაზარე? საქმე ის გახლავთ, რომ მესამე დღე ქრისტეს აღდგომის დღეა, ხოლო მეოთხე დღე იმათი, ვინც ნათლისღებით უფალთან არის დაფლული. ყური დაუგდეთ, რას ამბობს თავად ქრისტე: „და მოკლან იგი (იესო – ა.ბ.), და მესამე დღესა აღდგეს“ (მათეს სახარება, თავი 17. მუხლი 23). მესამე დღეს აღორძინებული ღმერთი მეოთხე დღეს აღადგენს მართალთა და მორწმუნეთა, „რამეთუ საგზალი ცოდვისაჲ სიკუდილ არს, ხოლო ნიჭი ღმრთისაჲ – ცხოვრება საუკუნო ქრისტეს იესომს მიერ უფლისა ჩვენისა“ (რომაელთა მიმართ ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა პავლესი, თავი 6, მუხლი 23).

აქამდე, ავად თუ კარგად, გავიგე ჰიმნის სახეების ქვეტექსტი. მაგრამ ახლა მივადექი სტრიქონს, რომლის შინაარსი შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი საიდუმლო აღმოჩნდა ჩემთვის.

„და ესე ენაჲ, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა. და სასწაულად (=ნიშნად) ესე აქუს: ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი უმეტჳს სხუათა ენათა ქრისტჳს მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე“.

რა ეშმაკია ეს 94? რატომ არის იგი ქართული ენის უპირატესობის ნიშანი?

ჩემი დაკვირვებით, ჰიმნში რიცხვები ქარაგმულად აღნიშნავს სახარების ამა თუ იმ იგავს. ოთხი გვახსენებს ლაზარეს ამბავს, ერთი და ათასი – პეტრე მოციქულის ქადაგებას ურწმუნოთა და უნდოთა წინააღმდეგ, ოთხი ათასი

ისევ ლაზარესთან გვაბრუნებს და ასე შემდეგ. რას უთითებს 94? კითხვა კითხვადვე რჩება.

ალექსანდრე ცაგარელმა მაშინვე ეჭვის თვალთ შეხედა ოთხმოცდაათობმეტს და გვერდით გაკვირვების ნიშანი მიუსვა. «Преимущество грузинского языка перед прочими языками писец видит в том что грузинское летосчисление проеолжительнее летосчисления других няродов (греков) на 94» (sic)...**13** ამით დაკმაყოფილდა ალექსანდრე ცაგარელი და მისი ახსნა-განმარტება აღარ უცდია. კორნელი კეკელიძე არ შეეხო ოთხმოცდაათობმეტის საკითხს. პავლე ინგოროყვა 1924 წელს არ დაუეჭვებია ოთხმოცდაათობმეტს: „დასასრულ მისტიურ ჩვენებას ქართული ენის უპირატესობის შესახებ ავტორი ჰხედავს აგრეთვე იმაში, რომ ქართული წელთ-აღრიცხვა წინ უსწრებს ბერძნულს ოთხმოცდაათობმეტი წლით“, წერდა იგი.**14**

მაგრამ საქმე ასე არ არის. ჯერ ერთი, ჰიმნში ლაპარაკია სხვა ენებზე („უმეტეს სხუათა ენათა) და არა მარტო ბერძნულზე; მეორეც, არცერთ ოფიციალურ წელთაღრიცხვას ქართული წინ არ უსწრებს ოთხმოცდაათობმეტით. ევსევი კესარიელის წელთაღრიცხვას ქართული აღემატება 406 წლით (5604-5198=406), პანდორე ალექსანდრიელისას – 112 წლით (5604-5492=112), ანთანე ალექსანდრიელისა და იულიუს აფრიკელისას – 104 წლით (5604-5500=104), ბიზანტიურს – 96 წლით (5604-5508=96); მესამეც: ჰიმნში ლაპარაკია წელთაღრიცხვაზე არა ქვეყნის დასაბამითგან, არამედ ქრისტეს მოსვლითგან („ოთხმეოც და ათობმეტი წელი უმეტეს სხუათა ენათა ქრისტეს მოსვლითგან ვიდრე დღესამოდე“).

დავუშვათ, რომ ქართული წელთაღრიცხვა მართლაც აღემატება რომელიმე წელთაღრიცხვას 94 წლით, მერე რა – რას ნიშნავს ეს, რატომ არის იგი ქართული ენის უპირატესობის ნიშანი, ქარაგმულად რას გვეუბნება ეს ფაქტი? პასუხი არ ჩანს. ალბათ ამან დააფიქრა პავლე ინგოროყვა და „ქებაჲს“ ახალ გამოცემაში 94 შეცვალა 104-ით. ე.ი. იმ რიცხვით, რითაც სხვაობს ქართული და ანთანე ალექსანდრიელისა და იულიუს აფრიკელის წელთაღრიცხვანი.

„და სასწაულად ესე აქუს:

ას-ოთხი წელი

უმეტეს სხუათა ენათა

ქრისტეს მოსვლითგან ვიდრე დღესამოდე“. **15**

პავლე ინგოროყვამ ეს ახსნა იმით, რომ თითქოს ხელნაწერებში ეს ადგილი დაზიანებულია და ამდენად არსებობს სხვადასხვაგვარი წაკითხვის საშუალება.**16** მაგრამ ხელნაწერებში ხომ ასო-ასო გარკვეულად წერია 94 (Sin.38? Sin.6? Sin.32/57)! ამდენად საეჭვოა შესწორების ამგვარი ახსნა. თუმცა საერთოდ შეცდომა გამორიცხული არ არის, რადგან მჩხრეკალი იოანე-ზოსიმე ვერ ყოფილა ჩინებული მოქართულე. კორნელი კეკელიძე წერს: „არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ამასთანავე ისიც, რომ იოანე არ ყოფილა მაინცდამაინც ღრმად

მცოდნე მისგან შექმნილი ქართული ენისა: კლასიკური ნორმები ძველი ქართულისა ენისა მის მიერ გადაწერილ ძეგლებში საკმაოდ შერყვნილია; ტექსტი სავსეა სხვადასხვაგვარი ვულგარიზმებით და სიტყვები ხშირად დამახინჯებულია; უკანასკნელი, შეიძლება, მისი თვალების სისუსტითაც აიხსნებოდეს; ალბათ, გადაწერისას ის კარგად ვერ არჩევდა ტექსტს და ერთი სიტყვის ან ასოს მაგიერ მეორესა წერდა“.17

მართალია, ხელნაწერები არ იძლევა უფლებას შევცვალოთ ოთხმოცდა-ოთხმეტი ასოთხით, მაგრამ შეიძლება პავლე ინგოროყვა მაინც მართალი იყოს. არის შემთხვევები, როცა ინტუიცია სჯობნის ფაქტს. ისიც ხდება: ინტუიციით მიგნებულს ლოგიკურად ვერ დაასაბუთებ, მაგრამ ამის გამო ინტუიციით ნაპოვნი ღირებულებას არ კარგავს. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ 104-ს დიდი მაცდუნებელი ძალა აქვს. იგი მიგვანიშნებს მათეს სახარების ერთ იგავზე. მათეს სახარების მე-20 თავი გვიამბობს: ცის სასუფეველი ჰგავს სახლის პატრონს, სისხამ დილით რომ გამოვიდა მუშების დასაქირავებლად. მოელაპარაკა მუშებს, დღეში ერთ დრაჰკანს მოგცემთო და ვენახში გაგზავნა სამუშაოდ. სამ საათზეც გამოვიდა იგი და უქმად მდგარი ადამიანები დაინახა. მათაც უთხრა, წადით, იმუშავეთ ჩემ ვენახში და რაც სამართლიანად გერგებათ, მიიღებთო. ასე მოიქცა სახლის პატრონი ექვს, ცხრა და თერთმეტ საათზე. ვინც უსაქმოდ ნახა, ყველა თავის ვენახში გაგზავნა სამუშაოდ და შესაფერის ქირას შეპირდა. როცა დაღამდა, ვენახის პატრონმა დაუძახა ეზოს მომღვარს და უთხრა: მოუხმე მუშებს და ყველას მიეცი ქირის ფული, ოღონდ უკანასკნელით დაიწყე და პირველით დაამთავრეო. 11 საათზე მოსულმა დრაჰკანი მიიღო. აისზე მოსულთ ეგონათ, რაკი ადრე მოვედით, მეტ ფულს მივიღებთო, მაგრამ მათაც თითო დრაჰკანი ერგოთ. იწყინეს ეს პირველებმა და ვენახის პატრონს შესჩივლეს: უკანასკნელ მოსულნი სულ ერთ საათს მუშაობდნენ და ისინი ჩვენ გაგვითანაბრე, ვინც მთელი დღე ვიმუშავეთ, სიცხე და ჯაფა გადავიტანეთო. ვენახის პატრონმა მიუგო ერთ-ერთ მათგანს: მე არ მიწყენინებია შენთვის, მე ხომ მხოლოდ ერთი დრაჰკანი შეგპირდი! მიიღე შენი და წადი. მე მსურს ამ უკანასკნელსაც ის მივცე, რაც შენ. ნუთუ ჩემი ვენახის ბატონ-პატრონი არა ვარ? თუ შენ შურით აღივსე ჩემი სიკეთის გამო? იცოდე, „ესრეთ იყვნენ წინანი უკანა და უკანანი წინა, რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ“.

მათეს სახარების ამ იგავს IV საუკუნის საეკლესიო მოღვაწე ჰილარიუს პიკტავიელი ასე განმარტავდა: კაცობრიობას იმდენჯერ მისცა ღმერთმა აღთქმა, რამდენჯერაც ვენახის პატრონი გამოვიდა მუშების დასაქირავებლად. პირველი საათი ნიშნავს ნოესადმი მიცემულ აღთქმას, მესამე – აბრაამისადმი, მეექვსე – მოსესადმი, მეცხრე – დავითისა და წინასწარმეტყველებისადმი, მეთერთმეტე კი გვაუწყებს ქრისტეს მოვლინებას. ჰილარიუს პიკტავიელის აზრით, სამყაროს არსებობის დრო უნდა დაიყოს 12 ნაწილად, შესაბამისად დღის 12 საათისა. თითოეული ნაწილი კი 500 წელს შეესაბამება. ამრიგად, სამყაროს არსებობა ამ წელთაღრიცხვით ითვლის 6000 წელს (500x12=6000),¹⁸ რაკი სახარების იგავში მეთერთმეტე საათი აღნიშნავს ქრისტეს მოვლინებას, მაშინ, ჰი-

ლარიუსის თანახმად, იესო დაბადებულია 5500 წელს ($500b11=5500$). ქართული წელთაღრიცხვით კი ქრისტემდე სამყარო არსებობდა 5604 წელიწადს. 5604 კი სწორედ 104-ით აღემატება ჰილარიუსის გამოანგარიშებულ თარიღს ($5604-5500=104$). თუ ასეა, მაშინ ასოთხი ქარაგმულად გულისხმობს ვენახის პატრონის იგავს. იგავი კი დამცირებულთა და უკანასკნელთა აღზევებას გვპირდება. უკანასკნელნი პირველნი იქნებიანო, გვანუგეშებს იგი. „ქებაჲს“ ავტორიც ხომ ამას ამბობს: მართალია, დამცირებული და დავიწყებულია ქართული ენა, მაგრამ პირველი იქნება. მეორედ მოსვლის ჟამს ღმერთი ამ ენით იმეტყველებს. ე.ი. ქართულიც უკანასკნელიდან პირველი გახდება. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ჰილარიუსის აზრით, იგავში მოხსენიებული უკანასკნელი, რომელიც პირველი შეიქმნება, ქრისტეა. ჰიმნის თანახმად კი დაწუნებული ქართული პირველი იმიტომ გახდება, რომ იგი (ქართული) ქრისტეს ენაა.

შეიძლება ყველაფერი ეს ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ თავი შემიძლია იმით დავიმშვიდო, რომ ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი ასი გზიდან ერთი უვარგისი აღმოჩნდა. ესეც საქმეა, რაკი სხვები ამ მცდარი გზით არ ივლიან და ოთხმოცდაათოთხმეტის საიდუმლოს ამოსახსნელად უფრო უტყუარ გასაღებს მოძებნიან.

მაშინდელი საქართველოს მესვეურებს ეროვნული და პოლიტიკური აღორძინების აუცილებელ ფაქტორად ქართული ენა მიაჩნდათ. ამას უთუოდ და უთუმცაოდ ადასტურებს გიორგი მერჩულეს ფორმულა – „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“. ქართულმა ენამ საქართველოს ეროვნული ერთიანობის ბურჯის როლი რომ წარმატებით შეასრულოს, უნდა იწამო მისი ღვთაებრივი ბუნება. ამ იდეით გამსჭვალულია არა მარტო „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისა“, არამედ სხვა ნაწარმოებებიც. კერძოდ, ამ აზრის ანარეკლია „შიოსა და ევარეს ცხოვრებაშიც“ და „იოანეს და ექვთიმეს ცხოვრებაშიც“.

როგორც ცნობილია, საქართველოს მოქცევის ორასი წლის გასვლის მერე, ზეგარდმო ბრძანებით, ჩვენში 13 ასურელი მამა ჩამოვიდა. ეს ღვთისმშობელმა უბრძანა იოანეს, 12 კაცი შეკრიბე და საქართველოში წადიო. იოანემ უთხრა მოწაფეებს, ყველა თქვენგანის სახელს ქალაღზე დავწერ, ტრაპეზზე დავდებ, ღამე ვედრებაში გავათიოთ და დილით, რასაც ღმერთი გვირჩევს, ისე მოვიქცეთო. სამი დღე-ღამე ილოცეს, მესამე დღეს უსისხლო მსხვერპლი შესწირეს ღვთაებას, ჟამის წირვა აასრულეს, წმიდა საიდუმლოს ეზიარნენ და კირიელეისონი თქვეს. მაშინ ღვთის ანგელოსმა აიღო საკურთხეველიდან 12 ქალაღი და იოანეს მისცა. ქალაღზე ეწერა სახელები: შიო, დავით, იოსებ, ანტონი, თეოდოსიოს, თათა, პიროს, ელია, პიმენ, ნათან, აბიბოს, იოანე. ეს ასურელი მამები საქართველოში გამოემგზავრნენ. როცა საქართველოს საზღვრებს მოაღწიეს, კათალიკოს ევლავიოსს ღამით უფლის ანგელოსი ეჩვენა და უთხრა: ღვთის მონა იოანე მოწაფეებითურთ მოდის, შეეგებე და შეიწყნარეო. კათალიკოსი ევლავიოს ასურელ მამებს შეეგება. ევლავიოსი იოანეს ქედზე მოეხვია და კეთილად

მოზრძანება უსურვა. სტუმარი მასპინძლის ფერხთით დაეცა და ღმერთს მადლობა შეწირა, კათალიკოსის თაყვანისცემის ღირსი რომ გახდა. იოანესა და ევლავიოსს შორის საუბარი ქართულად მიმდინარეობდა. ამის გამო „ცხოვრების“ ავტორი გაკვირვებული ამბობს: „**ვითარ მოეცა იოანეს ენა ქართულად მეტყუელი ყოვლად დაუბრკოლებელი**“. თავადვე იძლევა პასუხს: „**ეჰა, საკვრველებასა შენსა, ქრისტე ღმერთო, ვითარ ადიდებ მადიდებელთა შენთა**“.¹⁹

ქრისტეს შთაგონებით, ქართულად ამეტყველდა კაცი, რომელსაც ქართული „არცა ოდეს ასმიოდა, არ თუ ესწავა“.

ასევე, ღვთის შთაგონებით, ალაპარაკდა ქართულად ექვთიმეც. მართალია, იგი ქართველი იყო, მაგრამ საბერძნეთში ხანგრძლივად ყოფნის გამო თითქმის გადავიწყებული ჰქონდა მშობლიური ენა და უჭირდა ქართულად საუბარი („ძნიად უბნობნ ქართულად...“) ერთხელ ექვთიმე მძიმედ ავად იყო. ავადმყოფს ღვთისმშობელი ეჩვენა და ჰკითხა: რა გტკივა, ექვთიმე? ავადმყოფმა უპასუხა: ვკვდები, დედოფალო. მაშინ ღვთისმშობელმა ანუგეშა: „**არარაჲ არს ვნებაჲ შენ თანა, აღდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად ვსნილად უბნობდი**“. ამ სიტყვების მერე ექვთიმე არა მარტო სრულიად განიკურნა, არამედ დიდებული ქართულითაც ამეტყველდა: „**მიერთგან დაუყენებლად, ვითარცა წყაროჲ აღმოდინ უწმინდეს ყოველთა ქართველთასა**“.²⁰

ასე მუშავდება არაბობის შემდეგ, ერთობლივ საქართველოს აღდგენის პერიოდში, ერთიანი და საერთო აზრი ქართული ენის ღვთაებრივი ბუნების შესახებ. ეს იდეა კი ყველაზე სრულად გამოხატულია ჰიმნით „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“.

1981 წ.

დამოწმებული ლიტერატურა

1. Православный Палестинский сборник, т.IV вып. I, 1888 г. ст. 203-204.
- კ.კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1941 წ., გვ.147-148.
- პ.ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. I I I, 1965., გვ.594.
2. პ.ინგოროყვა, დასახელებული წიგნი, გვ.211.
3. „კავკასიონი“, 1924 წ., _1-2, გვ.268.
4. კ.კეკელიძე, დასახელებული წიგნი, გვ.147.
5. „კავკასიონი“, 1924 წ., _1-2, გვ.268.
6. პ.ინგოროყვა, დასახელებული წიგნი, გვ.594.
7. „გეორგიკა“, ტ.IV, ნაკვ. I I, 1952 წ., გვ.317.
8. იქვე, გვ.311.
9. „სინური მრავალთავი“, 1959 წ.
10. „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, წიგნი I, 1964 წ., გვ. 83-85.

11. ფსალმუნნი, მ.შანიძის გამოცემა, 1960 წ.
12. „კავკასიონი“, 1924 წ., _1-2, გვ.268.
13. Православный Палестинский сборник, т.IV вып. I, 1888 г. ст. 203-204.
14. „კავკასიონი“, 1924 წ., _1-2, გვ. 268.
15. პ.ინგოროყვა, დასახელებული წიგნი, გვ. 212.
16. იქვე, გვ. 213, 214.
17. კ.კეკელიძე, დასახელებული წიგნი, გვ.148.
18. „Ищгославские труды“, 1968., _4 პროფ.ი.პოპოვის წერილი ჰილარიუს პიკტავიელის შესახებ.
19. „ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები“, 1955 წ., გვ.82.
20. „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, წიგნი II, 1967 წ., გვ.61.

ყოველი საიდუმლო

რასაც ამ წერილში ვიტყვი, მართალია, მხოლოდ ვარაუდია, მაგრამ, ჩემი აზრით, მას არსებობის უფლება აქვს. მისი მკითხველისათვის გაზიარების სურვილი დაბადა ორმა სტატიამ. ერთი რამაზ პატარიძეს ეკუთვნის (გამოქვეყნდა „მნათობში“, 1981 წ., _11) და მეორე – ზურაბ კიკნაძეს (დაიბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში“, 1982 წ., 25 ივნისი). ორივე წერილი ეხება ჰიმნს – „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ – და ორივე ავტორი ცდილობს განმარტოს სტრიქონი „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ რ.პატარიძის ნარკვევი ვრცელია და იხილავს სხვა საყურადღებო საკითხებსაც – ჰიმნის დაწერის თარიღი, ავტორის ვინაობა, ტექსტის დაზუსტება. მაგრამ ამჯერად მსჯელობის საგანია „ყოველი საიდუმლო“. გულახდილად რომ გითხრათ, „ყოველი საიდუმლო“ უტყუარი ამოცნობა მანამ შეუძლებლად მიმაჩნია, სანამ ზუსტად არ გაგვიგია, რას ნიშნავს სტრიქონები – „სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათესა წილი ზის“ და „სასწაულად ესე აქუს: ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი უმეტეს სხუთა ენათა ქრისტეს მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე“. ამ სტრიქონების ეჭვმიუტანელი განმარტება ჯერხანობით ვერავინ მოახერა და მათ შორის, ცხადია, მეც, თუმცა დიდად ვეცადე მათი აზრის მიგნებას (იხ. ჩემი „კრიტიკული გულანი“). მიუხედავად ამგვარი უიმედო განცხადებისა, „ყოველი საიდუმლო“ შინაარსის ძიება იმ გზით, რა მიმართულებითაც ამას რ.პატარიძე და ზ.კიკნაძე იკვლევენ, სწორად მიმაჩნია.

ჰიმნის „ყოველი საიდუმლო“ რ.პატარიძე ქართულ ანბანთან აკავშირებს.

„... ვფიქრობ, არის რაღაც უხილავი კავშირი ერთის მხრივ ქართული ასომთავრული ანბანის საიდუმლოსა და მეორეს მხრივ თხზულების იმ „ყოველ საიდუმლოს“ შორის, რომელიც ქართულ „ენასა შინა დამარხულს არს“.

ზ.კიკნაძე კი ამტკიცებს, რომ ჰიმნის „ყოველი საიდუმლო“ გულისხმობს აღდგომის საიდუმლოს. ავტორი ამბობს – „ლაზარეში დამარხულია აღდგომის საიდუმლო“. ჰიმნის მიხედვით, „სახარებასა შინა ამას ენასა (ქართულ ენას – ა.ბ.) ლაზარე ჰრქუიან“. მაშასადამე, „ცოცხალ ლაზარეში დამარხული იყო მეორედ მოსვლის გინა აღდგომის საიდუმლო და იგი, საიდუმლოს დამმარხველი, დუმდა, რადგან მეგობარი საიდუმლოს დამარხვის საიმედო ჭურჭელია. ასე უკავშირდება ერთმანეთს „ქებას“ კონტექსტში – საიდუმლო, დუმილი, მეგობრობა“.

პირველი შეხედვით, ორი სხვადასხვა დასკვნაა. თითქოს გამორიცხავენ კიდევ ისინი ერთმანეთს. ასეც მიაჩნია თავად ზ.კიკნაძესაც, რადგან მის სტატისას რ.პატარიძესთან პაექრობის ინტონაცია ახლავს. „და ბოლოს, რამდენად მართებულია ავტორისეული „ყოველი საიდუმლოს“ დაყვანა ანუ დამცრობა ერთ რომელიმე კერძო, ამასთანავე არასარწმუნოებრივ საიდუმლომდე (თუკი არსებობდა ასეთი საიდუმლო „ქებას“ ავტორის შეგნებაში).

თუ ასეა, როგორღა ვთვლი ორივე მიმართულებას სწორად? სად არის მათი გაერთიანების შესაძლებლობა? ვეცდები მოგახსენოთ ეს.

ჯერ დავიწყოთ საყოველთაო თანასწორობის იდეით. ვინც, ცოტად თუ ბევრად, ქრისტიანულ მოძღვრებას იცნობს, კარგად იცის, რომ ქრისტიანობის ერთ-ერთი ძირითადი იდეა საყოველთაო თანასწორობის იდეაა. პავლე მოციქული გალატელთა მიმართ ეპისტოლეში განმარტავს: „არა არს ჰურიანება, არცა წარმართება; არა არს მონება, არცა აზნაურება; არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქუენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესოს მიერ“ (III, 28).

დღესავით ნათელი ტექსტია, მაგრამ მაინც გავიმეორებ დღევანდელი ქართულით: ქრისტეს მიერ ყველანი თანასწორნი ხართ, არავითარი სხვაობა არ არის ებრაელსა და წარმართს, მონასა და აზნაურს, დედაკაცსა და მამაკაცს შორის. ე.ი. აღიარებულია ეროვნული, რელიგიური, სოციალურ-კლასობრივი და სქესთა თანასწორობა.

საყოველთაო თანასწორობის ეს იდეა ქართულმა მწერლობამ (როგორც სხვა ქრისტიანულმა ლიტერატურამ) გაიზიარა და „ვეფხისტყაოსნის“ ენით პოეტურად გამოთქვა.

„არა არს ჰურიანება, არცა წარმართება“. არაბი ავთანდილი, ჰინდო ტარიელი, მულღაზანზარელი ფრიდონი – სხვა და სხვა ერისა და სარწმუნოების ადამიანები თანასწორნი და თანაბარნი არიან, შეკავშირებულნი მოყვასის სიყვარულით“.

„არა არს მონება, არცა აზნაურება“. სოციალური კიბის სხვა და სხვა საფეხურზე მდგომნი როსტევანი, ავთანდილი და შერმადინი სულიერად თანასწორნი და თანაბარნი არიან. მათ შორის სრული ჰარმონიაა, რასაც საფუძვლად

ისევ მოყვასის სიყვარული უდევს. ასეთივე ურთიერთობაა ჯერ ასმათსა და ნესტანს და მერე ასმათსა და ტარიელს შორის.

„არა არს რჩევა მამაკაცსა, არცა დედაკაცისა“. „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“ – გვეუბნება რუსთაველი და, მართლაც, თინათინი და ავთანდილი, ნესტანი და ტარიელი თანაბარნი და თანასწორნი არიან.

სხვაგვარად არც შეიძლება, რადგან ვერ აღსრულდება იდეალი, რომელიც ჰარმონიულ და თანასწორუფლებიან საზოგადოების შექმნას ითვალისწინებს. ამიტომ არის, რომ ტარიელისა და ავთანდილის „საბრძანისთა შიგან თხა და მგელი ერთგან მოვდეს“.

„ქებად“ ქართული ქრისტიანული მწერლობის ძეგლია და თანასწორობის იდეა ამ ჰიმნის დედააზრიც არის. მით უმეტეს, რომ ქრისტიანული საყოველთაო თანასწორობის იდეა ენათა თანასწორობას პირდაპირ და უშუალოდ გულისხმობს.

ყური დაუგდეთ, რას გვიამბობს მოციქულთა საქმის მეორე თავი.

მეერგასისე (ორმოცდამეათე) დღეს მოციქულები ერთ სახლში იყვნენ თავშეყრილნი. უცებ, თითქოს ქარმა დაუბერაო, ხმაური მოისმა და მოციქულებს ენები გამოეცხადნენ. თითოეულს ცალ-ცალკე დაეფინა ესა თუ ის ენა. ყველა სულიწმიდით აღივსო და დაიწყეს უცხო ენით ისე მეტყველება, როგორც სული უბრძანებდა. ამ დროს იერუსალიმში ყველა ხალხის წარმომადგენლები იყვნენ. როცა ხმაური გაისმა, ისინი შეძრწუნდნენ, რადგან ყოველ მათგანს მშობლიურ ენაზე ესმოდა ლაპარაკი. პართიელები, მიდიელები, მესოპოტამიელები, უჟიკნი, ელამიტელები, კაპადუკიელები, პონტოელები, ფრიგიელები, პამფილიელები, ეგვიპტელები, რომაელები, კრიტელები, არაბები და სხვანი გაოგნებულნი კითხულობდნენ – რა ხდება, როგორ მეტყველებენ მოციქულნი სხვა და სხვა ენაზე და რანაირად გვესმის ჩვენ მშობლიური ენით ღმრთის სადიდებელი?

მაშინ წარუდგა ხალხს მოციქული პეტრე და აუწყა: თქვენ ჯვარს აცვით იესო, მოვლინებული უფლის მიერ. მაგრამ დაწყვიტა მან სიკვდილის ჯაჭვები და ამაღლდა. ღმერთმა აღადგინა იგი. მამაღმერთისაგან მან მიიღო აღთქმა, რომელიც მოჰფინა. ახლა თქვენ მას ხედავთ და იგი გესმით. თუ გინდათ ცოდვები გეპატიოთ, სულიწმიდის ნიჭი (საჩუქარი) მიიღოთ, უნდა მოინანიოთ და ნათელილოთ.

დაიწყო ხალხის ლიანგური ნათლისღება.

როგორც ხედავთ, სულიწმიდის მოფენა მოხდა. იესო ქრისტე ყველა ხალხს თავთავის ენაზე დაელაპარაკა. ღმრთისათვის ყველა ხალხის ენა თანასწორ და თანაბარუფლებიანი აღმოჩნდა. სხვანაირად შეუძლებელიც იყო. პავლე მოციქული კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში გვეუბნება – „ვითარმედ უცხოთა ენითა და ბაგითა უცხოთა ვეტყოდი ერსა ამას, და არცაღა ესრეთ ისმინონ ჩემი, იტყუის უფალი“ (XIV, 21). ამას დავუმატოთ ამავე ეპისტოლეს მეთოთხმეტე მუხლში ნათქვამი – *Ибо. Когда я молюся на незнакомом языке, то хотя дух мой и молится, но ум мой остаётся без плода.* ციტატი რუსუ-

ლად იმიტომ მოვიტანე, რომ ქართულ ტექსტში სიტყვა „უცხოეთა“ რატომღაც გამოტოვებულია (ალბათ კორექტურული შეცდომაა): რამეთუ უკეთუ ვილოცვიდე (? – ა.ბ.) ენითა, სული ჩემი ილოცავს, ხოლო გონებაჲ ჩემი უნაყოფო არს“.

მამასადადამე, ღმერთს მაშინ ესმის ადამიანისა (და პირიქით: ადამიანს – ღმერთისა), როცა მშობლიური ენით ელაპარაკება კაცი უფალს (და პირიქით: უფალი – კაცს).

ჰიმნში ამ აზრით არის ქართული ქრისტეს ენა და ამიტომ „ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“.

ახლა დავსვათ კითხვა: გვაქვს კი ნება ენათა ზოგად, საერთო თანაბარუფლებიანობის იდეაში კონკრეტულად ქართული ენის ბედიც დავინახოთ? ჩემი რწმენით, გვაქვს.

ჯერ ერთი, ქრისტიანობა ყველა ზოგად, საერთო იდეას კონკრეტული გამოვლენით გამოხატავს. იოანე მოციქული პირველ ეპისტოლეში ამბობს: თუ არ გიყვარს ძმაი შენი, რომელსაც იცნობ, როგორ შეიყვარებ ღმერთს, რომელიც არ გინახავს? (I, 20). გამოდის, რომ ძმის, მოყვასის სიყვარულით (ე.ი. კონკრეტულით) მჟღავნდება ღმრთის სიყვარული (ე.ი. ზოგადი).

ამ დებულების პერიფრაზით შეგვიძლია ვთქვათ: როგორ იწამებ ენათა თანასწორუფლებიანობის საერთო იდეას, თუ არ გჯერა მშობლიური ენის თანასწორუფლებიანობა?

მეორეც, ჰიმნში საკმაოდ მკაფიოდ ჩანს ქართული ენის თავგადასავალი.

ლეონტი მროველის პირით, „ქართლის ცხოვრება“ გვატყობინებს, რომ ფარნავაზმა „განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თუინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

ამ ცნობას ზოგიერთი ექვის თვალთ უყურებს. არ სჯერა მისი. თუმცა არავითარი საფუძველი არ გაგვაჩნია არ ვენდოთ ლეონტი მროველს. მას ვერავინ დასწამებს თავგადამკვდარ ქართულ ორიენტაციას. უფრო პირიქით შეიძლება ითქვას. მაშინ რა საბუთით უყურებს ზოგიერთი ექვის თვალთ ლეონტის ცნობას? ცხადია, მას რაღაც მტკიცე საბუთი ჰქონდა, რაკი წერს – ფარნავაზმა შექმნაო მწიგნობრობა ქართული და განავრცო ენა ქართული.

ვინც ლეონტის ცნობას უნდოდ ეკიდება, როგორც წესი, კითხვას სვამს – რატომ დღემდე არ აღმოჩნდაო წინაქრისტიანული ხანის ქართული დამწერლობის ნიმუში. სულწასულობა ნუ დაგვძლევს. არქეოლოგიას ჯერ ისე გამოწველილვით არ შეუსწავლია ქართული მიწა-წყალი, რომ აღმოჩენის იმედი გადავიწუროთ. თანდათანობით არქეოლოგიას სულ ახალი და ახალი ცნობები გამოაქვს სამზეოზე. ერთ მშვენიერ დღეს წინაქრისტიანული ქართული დამწერლობის ნიმუშიც შეიძლება ვიხილოთ.

ვისაც ლეონტი მროველის სჯერა, იგი წინაქრისტიანული ქართული დამწერლობის უქონლობას ქრისტიანობას აბრალებს. თითქოს ქრისტიანობამ მოსპო იგი. ეს კი მტკნარი სიცრუეა. ცამდე მართალია გერონტი ქიქოძე, როცა ამბობს – „არსად დედამიწის ზურგზე ეს ქრისტიანობას არ ჩაუდენია, ძნელი დასაჯერებელია, რომ მარტო იბერიაში ჩაიდენდა... ძნელი წარმოსადგენია, რომ

მებრძოლ ქრისტიანულ ეკლესიას ყველა წარმართული შინაარსის პაპირუსი და პერგამენტი გაენადგურებინოს; მით უმეტეს წარმოუდგენელია, რომ ის აკლდამებში შეჭრილიყოს და იქ ყველა წარმართული დროის ქართული წარწერა მოესპოს, ხოლო ბერძნული, არამეული, ებრაული წარწერები ხელუხლებლად დაეტოვებინოს“.

მაშინ მაინც რისი მიზეზით არ ჩანს აქამომდე წინაქრისტიანული ხანის ქართული დამწერლობის ნიმუშები?

აქ შეიძლება და შემდეგი რამ გვეთქვა:

ჯერ ერთი, ადრე, ქრისტიანობამდე, ენათა თანასწორუფლებიანობის იდეა არ არსებობდა. ანტიკურ ეპოქაში ტრილინგვისტური თეორია ბატონობდა. ამის თანახმად, წერა-კითხვა და განათლების მიღება სამ ენაზე შეიძლებოდა – ბერძნულად, ლათინურად და ებრაულად. ეს სამი ენა იყო კულტურისა და სახელმწიფოებრივი მართველობის ენა. სხვა რომელიმე ენას ამის უფლება არ გააჩნდა.

მეორეც, ელინიზმის დროს სრულიად მკაფიოდ გამოკვეთილი ტენდენცია არსებობდა – ბერძნული ენის ათვისების გზით, ბარბაროსების ანუ არაბერძენი ხალხების გაბერძნების ტენდენცია. ინგლისელი ისტორიკოსი რობინ ჯორჯ კლინგუდი ამბობს:

„იმ დროს ჩვეულებრივი გახდა ბარბაროსთა ელინად მოქცევა. ბარბაროსთა გრეციზაცია ბერძნულად იწოდება ელინიზმად (სიტყვა „ელენიძენი“ ნიშნავს ბერძნულად ლაპარაკს, უფრო ფართო აზრით, ბერძნული ზნე-ჩვეულების მიღებას), ხოლო ელინური პერიოდი არის პერიოდი, როცა ბარბაროსებმა აითვისეს ბერძნული ზნე-ჩვეულება. ასე რომ, ბერძნული ისტორიული შეგნება, თუ ადრე ჰეროდოტესათვის უირველესად იყო ბერძნებისა და ბარბაროსთა შორის მტრობის შეგნება (ომები სპარსეთში), ახლა იგი ყალიბდება ბერძნებსა და ბარბაროსთა შორის თანამშრომლობის შეგნებად, მაგრამ თანამშრომლობის ისეთ შეგნებად, როცა ბერძნები ხელმძღვანელობენ, ბარბაროსები კი ემორჩილებიან მათ ხელმძღვანელობას, ხდებიან ბერძნები, ბერძნული კულტურის მემკვიდრეები და ამით ბერძნული ისტორიული შეგნების მემკვიდრეებიც“ („ისტორიის იდეა“, 1980 წ., გვ.33).

რაოდენ ძლიერი იყო ელინიზმის კულტურული ექსპანსია კარგად ჩანს პართიის მაგალითით. „პართიელებმა ისწავლეს ბერძნული მეტყველება, თავიანთი მეფეების კარზე დგამდნენ ევრიპიდეს ტრაგედიებს, ელინი ხუროთმოძღვრების გეგმების მიხედვით ამაგრებდნენ ქალაქებს და ალამაზებდნენ მათ ათენური და მილეთური ქანდაკებების მსგავსი ნახელავით...“/ლ.ნ.გუმბილდოვი – „ეთნოგენეზი და დედამიწის ბიოსფერო“, ლენინგრადი, 1979 წ., გვ. 238).

პართია კი არც პატარა ყოფილა, არც უძლური და არც მცირერიცხოვანი.

ამგვარ რთულ გარემოებაში ქმნის ფარნავაზი ქართულ დამწერლობას და ავრცელებს ქართულ ენას. იგი უპირისპირდება და ებრძვის ტრილინგვისტურ თეორიასაც და გაბერძნების ტენდენციასაც. მაგრამ, როგორც ჩანს, ფარნავაზის სიკვდილის შემდეგ, მისი დაწყებული საქმე მარცხდება. აქ არაფერია მოუ-

ლოდნელი. თუ, ერთი მხრივ, გარედან ფარნავაზის წამოწყების განხორციელებას მტრობს და ბორკავს ტრილინგვისტური თეორიის ბატონობა და გაბერძნების ტენდენცია, მეორე მხრივ, შიგნიდან ხელს უშლის შინაარეულობა. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით ფარნავაზის ძეს საურმაგს ქვეშევრდომები აჯანყებია. მეფეს ძალა-უფლება უცხოთა (სპარსელების) დახმარებით დაუბრუნებია. ამას ისიც დამატებია, რომ საურმაგს ვაჟი არ ჰყოლია. იძულებული გამხდარა სამეფოს პატრონად და მემკვიდრედ ცოლის ნათესავი, სპარსი ნებროთის შვილი, მირვანი მოეყვანა. ალბათ მირვანის შთამომავლებს ქართული ენის ღირსების დასაცავად იმ თავგამეტებით აღარ უბრძოლიათ, რომლითაც ფარნავაზი ომობდა.

დასაშვებია, რომ ამ სიტუაციის წყალობით, ქართული ენა და ქართული დამწერლობა ისევ დაკნინებულია, დაჩაგრულია და დაცემულია. მით უმეტეს, რომ ირანში სასანდითა დინასტიის გაბატონების (ახალი წელთაღრიცხვით 220-იანი წლები) მერე საქართველო ახალი ეროვნული ყოყობის წინაშე აღმოჩნდება. იმდროინდელი საარსებლები თავიანთ თავს „კეთილშობილს“ (კომდორონ) ეძახდნენ და სხვა ხალხებს ამის ღირსად არ თვლიდნენ (ლ.ნ.გუმბილიძის დასახელებული წიგნი, გვ. 77).

აქ ენისა და დამწერლობის ბედს ვერ გავყოფთ. ანბანის, დამწერლობის გზით ხდება, ენა კულტურის, განათლების, მწიგნობრობის, მმართველობის იარაღი. დამწერლობის, ანბანის უქონლობა იძლევა სწორედ ენის დაკნინება-დაჩაგრვის უტყუარ სურათს. ამიტომ განსაზღვრავს დამწერლობის, ანბანის ბედი ენის ყისმათს. თორემ სხვანაირად, რა თქმა უნდა, ენა არსებობს და ასრულებს კიდევ თავის ფუნქციას. ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ხალხური ზეპირსიტყვიერება იმ დღიდან არსებობს რა დღიდანაც ენა. ამ თვალსაზრისით ქართული მწერლობა ქართული ენის გაჩენიდანვე არსებობდა (ისევე, როგორც ყველა ენა და ლიტერატურა). ოღონდ მას ფიქსირებული სახე არა აქვს, რაკი ანბანი არ არსებობს და მხოლოდ ფოლკლორით არის წარმოდგენილი. ენა ასრულებს თავის ფუნქციას, როგორც მმართველობის საშუალებაც. ქართველი მამასახლისი, მთავარი თუ მეფე, ცხადია, ქართულად ესაუბრება ქვეშევრდომებს, განკარგულებებს იძლევა, აწესრიგებს საზოგადოებას. თავდაპირველად ქრისტიანობის მოქადაგენი საქართველოში, იქნება იგი ანდრია პირველწოდებული, სიმონ კანანელი თუ სხვა ვინმე, ქართულ მოსახლეობას ქრისტიანობის იდეას იმ პირთა საშუალებით გადასცემენ, რომელნიც მათ თარჯიმნობას უწევს. სხვაგვარად ხომ წარმოუდგენელია ეს პროცესი! მაშასადამე, ზეპირსიტყვიერების გზით ქართული დახვეწილი ენაა როგორც ლიტერატურისათვის, ისე მმართველობისათვის, ქადაგებისათვის. მაგრამ მაინც დაჩაგრულად და დაკნინებულად მიიჩნევა იგი, რაკი საკუთარი ანბანი, დამწერლობა არ ანიჭებს მაღალკულტურული ენის სტატუსს. რაკი ქართული დამწერლობა ჯერ იმ უფლებით არ არის აღჭურვილი, რითაც ბერძნული ან ლათინური.

განა ქართული ენის ეს მდგომარეობა პირდაპირ არ ისახება „ქებაში“? მას ხომ, უდიდესი გულისტკივილით, მდაბალსა და დაწუნებულს უწოდებს ჰიმ-

ნის ავტორი! მაგრამ იმედს არ კარგავს და რწმენით აცხადებს – აღდგომა მოე-
ლისო. ამ გინცის საფუძველია ის, რომ ქართული ენა შემკული და კურთხეუ-
ლია უფლის მიერ.

ახლა ისევ მატყანეს მივმართოთ.

კარგად ცნობილია, რომ საქართველოს პირველი ქრისტიანი მეფე მირია-
ნია. ლეონტი მროველის ცნობით, არც ის არის ქართველი, სპარსია, მაგრამ
სხვანაირია მისი დამოკიდებულება ქართული სამყაროს მიმართ. კმაყოფილი
გვიამბობს მემატყანე: „აღიზარდა მირიან მსახურებასა მას შინა შუიდთა მათ
კერპთასა და ცეცხლისასა. ხოლო შეიყვარნა ქართველნი, და დაივიწყა ენა
სპარსული და ისწავა ენა ქართული“. რის გამოც „შეიყვარეს იგი ყოველთა ქარ-
თველთა უმეტეს ყოველთა მეფეთასა“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 65). ამას
ახლავს უადრესად საყურადღებო ცნობა: „შეამკო საფლავი ფარნავაზისი“. მი-
რიანი უბრალო პატივისცემის გამო არ ამკობს ფარნავაზის საფლავს. იგი ფარ-
ნავაზის იდეას აგრძელებს. მირიანის დროს ხელსაყრელი პირობებია ქართლო-
სიანთა დინასტიის მიერ დაწყებული საქმის აღდგენა-გაგრძელებისა. წმ.ნინო
ქრისტიანობას ქადაგებს. ეს მოძღვრება ეროვნულ ენასა და მწიგნობრობას იყე-
ნებს გავრცელების იარაღად. ქრისტიანობა ანადგურებს როგორც ტრილინგვი-
ნისტურ თეორიას, ასევე ყოველგვარი დაჩაგვრისა და დისკრიმინაციის მოთ-
ხოვნას. მირიანი უკვე ფლობს იდეოლოგიურ ინსტრუმენტს, რომლის საშუა-
ლებითაც მას ძალუმს ააღორძინოს ეროვნული მწიგნობრობა. აღჭურვოს ქარ-
თული მწიგნობრობის, კულტურის, განათლების და სახელმწიფო ენის ფუნ-
ქციით. ეს ფარნავაზის საქმის საბოლოო გამარჯვებაა. ამიერიდან აღარასოდეს
შეფერხდება და დაკნინდება ქართული“.

„ქებაში“ კარგად ჩანს, რომ დაკნინებული ქართული ენა ქრისტიანობამ
ააღორძინა.

ამიტომ მიმაჩნია დამაჯერებლად რ.პატარიძის დასკვნა: „ქრისტემ იგი
(ქართული ენა – ა.ბ.) მკვდრეთით აღადგინა, ქრისტეს მცნებას აზიარა. უფლის
სახელით შეამკო და აკურთხა და მით უკვდავება მოიპოვა“.

რაკი ჰიმნში ქართულ ენას ლაზარე ეწოდება, ეს მკაფიოდ გვეუბნება,
რომ, როგორც მკვდარი ლაზარეს აღდგინება გულისხმობს აღდგომის საერთო
იდეას, ასევე ითვალისწინებს „მდაბალი და დაწუნებული“ ქართული ენის
აღორძინება აღდგომის საერთო იდეას.

ქრისტიანული რელიგია ოპტიმისტური რელიგიაა. ამის უმთავრესი და
ძირითადი საბუთი სწორედ აღდგომის იდეაა. იგი შეიცავს კეთილის, თანასწო-
რუფლებიანობისა და სამართლიანობის გამარჯვების რწმენას. ადამიანმა, ერმა,
კაცობრიობამ შეიძლება ტანჯვა-ვაების გზით იაროს (ქრისტეს ვნებანი), მაგრამ
აღდგომის ძალით იგი ღმრთის წიაღში მოხვდება (ქრისტეს აღდგომა-ამაღლე-
ბა). იქ მხოლოდ კეთილი სუფევს. იქ აღარ არის ბოროტი. აღარ არსებობს მდა-
ბალი და დაწუნებული – არც ადამიანი, არც ერი, არც ენა. მით უმეტეს, რომ,
როგორც უკვე ითქვა, ქრისტიანობის თანახმად, ყველა ენა თანასწორი და თანა-
ბარუფლებიანია. ყოველ ადამიანს ღმერთი მშობლიურ ენაზე ელაპარაკება.

და ბოლოს, ჩემი დასკვნა ის არის, რომ ერთმა ავტორმა (რ.პატარიძემ) „ყოველი საიდუმლოდ“ კონკრეტული აზრი ამოიკითხა, მეორემ (ზ.კიკნაძემ) – საერთო, ზოგადი ქრისტიანული იდეა. ამდენად, მათ შორის წინააღმდეგობას ვერ ვხედავ, რამეთუ საერთო კონკრეტულსაც მოიცავს.

რაკი მკაფიოდ ჩანს „ქებას“ ორი ძირითადი აზრი – აღდგომის იდეა და ქართული ენის მესიანისტური იდეა, ბუნებრივად ჩნდება კითხვა – როდის დაიწერა ეს ჰიმნი?

ადრე იგი მეათე საუკუნის ლიტერატურულ ძეგლად ითვლებოდა. მერე პ.ინგოროყვამ და რ.პატარიძემ მეცხრე საუკუნის დამდეგის თხზულებად მიიჩნიეს. თავის დროზე „ქებას“ საერთო ინტონაციამ მათქმევინა – „როგორც ჩანს, ჰიმნი ეროვნული და პოლიტიკური კრიზისის ეპოქაში იწერებოდა“. მაგრამ რომელია მაინც ეს ეპოქა, ქართული ენის დისკრიმინაციის თვალსაზრისით? ამ დისკრიმინაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რამეთუ სწორედ ამას უჩივის ჰიმნის ავტორი. თუ კონკრეტულ ისტორიულ პირობებს გავითვალისწინებთ, არ გვექნება იმის უფლება, რომ დავიწუწუნოთ – მე-9 ან მე-10 საუკუნეებში ქართული ენა დამცირებული და დაკნინებულიაო. პირიქით, ყველა ჩვენთვის ცნობილი ფაქტი ქართულის აღორძინებას მეტყველებს. მარტო ის რად ღირს, რომ სწორედ მეათე საუკუნეში დაიწერა ფორმულა – „ქართლად ფრიადი ქვეყანად აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულებს...“ თითქოს ამ ეპოქაში ავტორს არა აქვს საფუძველი ივალალოს ქართული ენის ბედზე. თითქოს არ უნდა ამბობდეს – „ესე ენა მძინარე არს დღესამომდე“. თითქოს ამის საბუთი არ გააჩნია. თუ ასეა, მაშინ როდის შეიძლება დაეწერათ „ქება“?

ამ საკითხის გადასაწყვეტად, ჩემი აზრით, სამ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება: პირველი, მესიანისტური იდეის გაჩენას, მეორე, აღდგომის იდეას და მესამე, მირიანის მეფობის დროს შექმნილ პირობებს.

ყოველ ერში არსებობს მესიანისტური იდეა. იგი აქვთ სომხებს, რუსებს, პოლონელებს და სხვებს. ბუნებრივია, რომ ქართველმა მოაზროვნეებმაც გამოიმუშავეს, ჩამოაყალიბეს იგი. ეს იდეა ერის თვითგამტკიცებას, თვითრწმენას, ძლიერებას უწყობს ხელს. ამა თუ იმ ისტორიულ სიტუაციაში ეროვნული ოპტიმიზმის საფუძველია და ებრძვის ეროვნულ სასოწარკვეთილებას.

ძნელია და დიდძალ მასალას მოითხოვს ქართული მესიანისტური იდეის შეპირისპირება სხვა ხალხების ამგვარსავე იდეასთან, მაგრამ სომხურ მესიანისტურ იდეასთან შედარება კი აუცილებელიც არის და საყურადღებოც.

სომხური მესიანისტური იდეა ეფუძნება წარღვნის მითს. როგორც კარგად ცნობილია, დაბადების წიგნის თანახმად, წარღვნის შემდეგ, ნოეს კიდობანი არარატის მთაზე გაჩერდა. აქ გამოვიდა გარეთ ნოე და მისი სახლობა. აქიდან დაიწყო კაცობრიობის ხელმეორე აღორძინება. ძველ სომხურ მწერლობას მიაჩნია, რომ ბიბლიის არარატი სომხეთის არარატია. წარღვნის შემდეგ ნოემ მთელი ცხოვრება (ბიბლიის მიხედვით კი მან 350 წელიწადი იცოცხლა) სომხეთში გაატარა, იცოდა სომხური ენაც და დასაფლავებულიც ნახჭევანშია. მაშა-

სადამე, სომხური მწერლობის აზრით, სომხეთი კაცობრიობის რეგენერაციის აკვანია (იხ. ალ. აბდალაძე – „ქართლის ცხოვრება“ და) საქართველო-სომხეთის ურთიერთობა“, 1982 წ., გვ. 101, 102, 108, 144-45. ქრისტიან ხალხებში ბიბლიის ავტორიტეტი საფუძველს აძლევდა ზოგიერთ სომეხ მემკვიდრეს ემტკიცებინა – ყველა ხალხი სომხებისაგან წარმოიშვა და ყველა ენის მშობელი სომხურიაო. ნურავინ მიიჩნევს ამას უბრალო მიაშიტობად. იგი სომხური მესიანისტური იდეაა და მძიმე ისტორიული კატაკლიზმების ეპოქაში ეხმარებოდა და იმედით ასაზრდოებდა სომეხი ხალხის სიმტკიცეს, მხნეობას, ვაჟკაცობას. ამ იდეამ არსებითი როლი შეასრულა სომეხი ხალხის გადარჩენაში. სხვათა შორის, სომხური მესიანისტური იდეის გავლენა იმდენად დიდი ყოფილა, რომ რუსეთშიც არარატის მთებიდან, სომხეთიდან მოელოდნენ მესიას. ასე ფიქრობდნენ მანამ, სანამ 1701 წელს სომეხ მოღვაწეს ისრაელ ორის წერილი არ გაუგზავნია პეტრე პირველისათვის და არ უცნობებია – მოსკოვიდან მოევლინებაო ქვეყნიერებას მესია (ალ. აბდალაძის დასახელებული წიგნი, გვ. 107).

უპირველესად მესიანისტური იდეა სომხეთს სჭირდებოდა ბიზანტიის მესიანისტური იდეის წინააღმდეგ, მასთან დასაპირისპირებლად. ასევე სჭირდებოდა მესიანისტური იდეა ქართველ ერსაც, ერთი მხრივ, ბიზანტიის პოლიტიკური და რელიგიური აგრესიის წინააღმდეგ და, მეორე მხრივ, სომხური ეკლესიის იდეოლოგიური პრეტენზიის შესაკავებლად.

ამისათვის აუცილებელია ქართულის განსაკუთრებულობა. ეს განსაკუთრებულობა კი იმით გამოიხატება, რომ ქართული, არც მეტი, არც ნაკლები, ქრისტეს ენაა. „ქებაჲს“ ავტორი ბრძანებს – მეორედ მოსვლის ჟამს „ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამითა ენითა“. ამის მერე, ცხადია, ლოგიკურია, რომ მე-6 საუკუნეში, როცა ასურელი მამები ჩამობრძანდნენ საქართველოში, კათალიკოს ევლავიოსს ქართულად დაელაპარაკა მათი თავკაცი იოანე, თუმცა მას ქართული „არცა ოდეს ასმიოდა, არ თუ ესწავა“. მაგრამ ეს სასწაული ქრისტეს წყალობით მოხდა. ასევე ლოგიკურია იმის რწმენა, რომ ავადმყოფ ექვთიმე მთაწმინდელს სიზმარში ქართულად ესაუბრებოდა ღმრთისმშობელი.

მესიანისტური ფორმულა შექმნილია: ქართული ქრისტეს ენაა. ამით შესაძლებელია დაუპირისპირდე, წინააღმდეგობა გაუწიო ყველა მესიანისტურ იდეას.

როგორც სომხური, ისე ქართული მესიანისტური იდეა უდავოა ყალიბდება ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებისა და გავრცელების ეპოქაში. ეს აუცილებელი იყო ორი თვალსაზრისით: ერთი, ქრისტიანობა მოდის რომიდან და უკან მოჰყვება რომის პოლიტიკური და სამხედრო ძლიერება. თუ გინდა გაუძლო და გაუმკლავდე რომს (იმპერიის გაყოფის მერე ბიზანტიას), ქრისტიანობა, რაკი იგი საყოველთაო თანასწორობის იდეას აღიარებს, უნდა გამოიყენო თავდაცვის იარაღად და არ მისცე უფლება მტერს მოიხმაროს იგი დამონება-დამორჩილების ინსტრუმენტად. მეორე, ქრისტიანობის მიერ ნაქადაგები აღდგომის იდეა რწმენას, იმედს, ოპტიმიზმს უნერგავს რომის იმპერიის დაჩაგრულ ხალხებს და განახლებული ისტორიული ცხოვრების

გინცს¹ აძლევს. მართლაც, მეხუთე-მეექვსე საუკუნეების ძეგლებში აღდგომის იდეა ფრიად პოპულარული და აქტუალურია. მართალია, აღდგომის იდეა ქრისტიანულ მწერლობაში, ამა თუ იმ დოზით, ყოველ ეპოქაში არსებობს, მაგრამ მეხუთე-მეექვსე ასწლეულში იგი განსაკუთრებული ყურადღების საგანია. გავიხსენოთ თუნდაც წრეში ჩახატული ჯვრის ორნამენტი, ანდა „აყვავებული ჯვარი“. როგორც კარგად ცნობილია, წრეში ჩახატული ჯვარი სიმბოლოა აღდგომისა, მარადიული სიცოცხლისა. ასევე აღორძინებას, მარადიულ სიცოცხლეს გამოხატავს „აყვავებული ჯვარი“. როგორც ერთი, ისე მეორე მეტად გავრცელებულია V-VII საუკუნეების ხელოვნებაში (იხ.ჯუანშერ ამირანაშვილი – „ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები“).

ყურადღება უნდა მივაპყროთ იმასაც, რომ „შუშანიკის წამების“ ძირითადი აზრი აღდგომის იდეაა. განსაკუთრებით ერთი ადგილია მნიშვნელოვანი. გახსოვთ ალბათ, როცა შუშანიკის სიკვდილის დღე მოახლოვდა, მოუწოდა დედოფალმა აფოცსა და სხვებს და უთხრა – „უკეთუ ღირს რამე ვარ უკანასკნელი ესე მეათერთმეტე მოქმედი ვენახისაჲ, იყვნით ყოველნი კურთხეულ უკუნისამდე ჟამთა...“ როგორც ხედავთ, შუშანიკი თავისთავს უწოდებს ვენახის მეათერთმეტე მოქმედს. ეს სიტყვები გახლავთ მათეს სახარების მეოცე თავიდან, სადაც ნაამბობია სახლის პატრონზე, ვინც მუშები დაიქირავა ვენახის დასამუშავებლად. სახლის პატრონმა ყველაზე ადრე მოსულ მიწისმოქმედს იმდენი დრაჰკანი მისცა, რამდენიც ბოლოს მოსულს. ეს პირველმა იწყინა, მაგრამ დამქირავებლისგან პასუხად მიიღო: მე მსურს უკანასკნელსაც ის მივცე, რაც შენ, რამეთუ „იყვნენ წინანი უკანა და უკანანი წინ“. მათეს სახარების ეს პარაბოლა გულისხმობს დამცირებულთა აღზევებას, დაჩაგრულთა აღდგომას, უკანასკნელის პირველად გახდომას. ამ იმედით კვდება შუშანიკი. ეს გინცია გამოთქმული „ქებაშიც“.

ამდენად, აღდგომის იდეის თვალსაზრისით, უშუალო კავშირი არსებობს „შუშანიკის წამებას“, V-VII საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლების აზრობრივ მოტივებსა და „ქებას“ შორის.

„ქებაში“ საკმაოდ მკაფიოდ იხატება მირიანისა და მომდევნო ეპოქის საქართველოში შექმნილი სიტუაცია. ერთი მხრივ, ანტიკური ეპოქის ენობრივი ტრადიცია ებრძვის ქართული ენის აღორძინებას და, მეორე მხრივ, ახლადშემოსული ქრისტიანობა ცდილობს ქართულის გაბატონებას. პირველი ტენდენცია ავტორს ახსენებს ძველ მდგომარეობას, როცა ქართული დაჩაგრულ-დაკნინებული იყო, ხოლო

მეორე ტენდენცია მისი აღდგომა-განახლების იმედს უნერგავს. ამიტომ მოელის მდაბალი და დაწუნებული ქართული უფლის მეორედ მოსვლას, როცა ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრდება თანასწორობა და თავისუფლების სუფევა.

რაც ზემოთ ვთქვი, ის მაფიქრებინებს, რომ „ქებად“ ქართული ქრისტიანული მწერლობის ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებია. იოანე-ზოსიმე კი არის მჩხრეკალი, გადამწერი მისი და არა ავტორი.

1982 წ. 5?VII

ისევ „ქებად“ გამო

ამ ბოლო დროს განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა ჰიმნი „ქებად და დიდებად ქართულისა ენისა“. თითქმის ზედიზედ გამოქვეყნდა წერილები (ნ.პაპუაშვილის, რ.პატარიძის, ზ.კიკნაძის, თ.ჩხენკელის), რომელთა მიზანია „ქებად“ სიმბოლოების ამოხსნა და დედააზრის დადგენა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თუ „ქებად“ ცალკეული სახე-სიმბოლოები ბუნდოვანი და რთული გასაგები იყო, საერთო შინაარსი ყველას მკაფიოდ ესმოდა. იოანე-ზოსიმეს სახელით ცნობილი ჰიმნი ქართულ მესიანისტურ იდეას ატარებდა: ქართული ქრისტეს ენაა და მეორედ მოსვლის ჟამს ამ ენით გაასამართლებს უფალი კაცობრიობას, დღეს ამგვარი აზრი შეიძლება მეტისმეტად პრეტენზიულად მოეჩვენოს მკითხველს, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველ ქრისტიანს ერს აქვს მესიანისტური იდეა, მაშინ მოულოდნელი არაფერი იქნება. მესიანისტური იდეა ერის თვითგამტკიცებას, თვითრწმენას, ძლიერებას უწყობს ხელს. ამა თუ იმ ისტორიულ სიტუაციაში ოპტიმიზმის საფუძველია და ებრძვის ეროვნულ სასოწარკვეთილებას. ბუნებრივია, რომ ძველმა ქართველმა მოაზროვნეებმაც გაითვალისწინეს ეს და გამოიმუშავეს და ჩამოაყალიბეს კიდევ ქართული მესიანისტური იდეა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ თვალსაზრისით „ქებად“ მარტო არ არის. ძველქართულ აზროვნებას მესიანისტური იდეა წითელ ხაზად მიჰყვება.

რა თქმა უნდა, უაღრესად საინტერესოა პარალელის გავლება ქართულ მესიანისტურ იდეასა და სხვა ხალხების (მაგალითად, რუსების, პოლონელების, სომხების) მესიანისტურ იდეას შორის, მაგრამ ეს დიდძალი მასალის ცოდნას მოითხოვს და მეტად რთულიც არის. ოღონდ სომხურ მესიანისტურ იდეასთან შედარება კი აუცილებელია. ეს დაგვეხმარება ზოგიერთი საკითხის გარკვევაში.

სომხური მესიანისტური იდეა ეფუძნება წარღვნის ამბავს. როგორც კარგად ცნობილია, წარღვნის შემდეგ ნოეს კიდობანი არარატის მთაზე გაჩერდა. აქ გამოვიდა გარეთ ნოე და მისი სახლობა. აქედან დაიწყო კაცობრიობის ხელმეორე აღორძინება. ამის თანახმად, ზოგიერთ ძველ სომეხ მემატიანეს მიაჩნია, რომ, წარღვნის შემდეგ, ნოემ მთელი ცხოვრება (მან კი, ბიბლიის მიხედვით, 350 წელიწადი იცოცხლა) სომხეთში გაატარა, იცოდა სომხური ენა და დასაფლავებულია ნახჭევანში. ამიტომ სომხეთი კაცობრიობის რეგენერაციის აკვანია. ეს აძლევდა საფუძველს ზოგიერთ სომეხ მემატიანეს ემტკიცებინა – ყველა ხალხი სომხებისგან წარმოიშვა და ყველა ენის მშობელი სომხურიაო (იხ.აღ.აბ-

დალაძის – „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა“, 1982 წ., გვ.101, 102, 107, 108, 144-45).

ნურვინ მიიჩნევს ამას უბრალო მიაშიტობად. იგი სომხური მესიანისტური იდეაა. მძიმე ისტორიული კატაკლიზმების ეპოქაში ეხმარებოდა ეს აზრი სომეხ ხალხს და იმედით ასაზრდოებდა მის სიმტკიცეს, მხნეობას, ვაჟკაცობას. ამ იდეამ არსებითი როლი შეასრულა სომეხი ხალხის გადარჩენაში. სხვათა შორის, სომხური მესიანისტური იდეის გავლენა იმდენად დიდი ყოფილა, რომ რუსეთშიც არარატის მთებიდან, სომხეთიდან მოელოდნენ მესიას, მხსნელს. ასე ფიქრობდნენ მანამ, სანამ 1701 წელს სომეხ მოღვაწეს ისრაელ ორის წერილი არ გაუგზავნია პეტრე პირველისათვის და არ უცნობებია – მოსკოვიდან მოველინებაო ქვეყნიერებას მესია.

მესიანისტური იდეა სომხეთს უპირველესად სჭირდებოდა ბიზანტიის მესიანისტური იდეის წინააღმდეგ, მასთან დასაპირისპირებლად. ასეა საქართველოშიც: მესიანისტური იდეით, ერთი მხრივ, ქართველობა თავს იცავს ბიზანტიის პოლიტიკური და რელიგიური აგრესისაგან, მეორე მხრივ, გრიგორიანული ეკლესიის პრეტენზიისაგან.

ქართული მესიანისტური იდეა გაცხადებულია „ქართლის მოქცევაშიც“. როგორც ცნობილია, ეს თხზულება გვაცნობებს, რომ მცხეთელი ებრაელი ელიოზი იერუსალიმში წავიდა, ქრისტეს კვართი მიიღო და იგი მცხეთაში ჩამოიტანა („მატბერდის კრებული“, 1979 წ., გვ. 339). მაშასადამე, ქართული სამყაროს ცენტრი მცხეთა ქრისტეს კვართის მფლობელია. მაგრამ ამით არ კმაყოფილდება ძველი ქართული მწერლობა და კიდევ უფრო აღრმავებს ქრისტესთან კავშირს.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობას იმეორებს კიდევ ორი ქართული თხზულება „ქართლის ცხოვრება“ და „ცხოვრება და მოქალაქეობა ნინოისი“. მაგრამ თუ „ქართლის ცხოვრება“ არაფერს ამატებს „ქართლის მოქცევაში“ ნათქვამს, „ცხოვრება და მოქალაქეობა ნინოისი“ ცალკეული დეტალებით ავსებს მას. კერძოდ, შემდეგით:

იოანეს სახარება გვიამბობს (XII, 20-23), რომ ქრისტეს იერუსალიმში შესვლის დღესასწაულის სანახავად წარმართებიც ჩასულან მშვიდობის ქალაქში. ისინი ფილიპესთან მისულან და უთხოვნიათ – იესოს ნახვა გვინდაო, ფილიპემ წარმართთა ეს სურვილი ანდრიას გაანდო, ხოლო ორივემ ქრისტეს მოახსენა. პასუხად მიიღეს: მოიწია ჟამი, რაჲთა იდიდოს ძე კაცისაჲ.

„ნინოს ცხოვრება და მოქალაქეობა“ გვარწმუნებს – იმ წარმართთა შორის, რომელთაც ქრისტეს ნახვა ეწადათ, ელიოზ მცხეთელიც ერიაო. „იყვნეს ვინმე წარმართთაგანნიცა აღმოსრულთა მათგანნი, რათა თაყვანისცენ დღესასწაულსა მას. ესენი მივიდეს ფილიპესა, რომელი იყო ბეთსაიდაით გალილეისაით, და ეტყოდეს მას: „უფალო, გვნებავს იესუსი ხილვა“, მივიდა ფილიპე და ჰრქვა ანდრიას: მივიდეს ანდრია და ფილიპე და ჰრქვეს იესუს. ესენი იყვნეს ელიოზ და მისთანანი წარმართთაგანი მოსრულნი“ („ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები“, 1978 წ., გვ.376).

არც „მოქცევაჲ ქართლისაჲთ“ და არც „ქართლის ცხოვრებას“ არ უთქვამს, ქრისტეს სანახავად მისულ წარმართებს შორის ელიოზ მცხეთელიც იყო. ასე მხოლოდ „ნინოს ცხოვრება და მოქალაქეობა“ აზუსტებს. ეს არ არის არც შემთხვევით და არც უბრალოდ ნათქვამი. იდეოლოგიურად ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, ელიოზ მცხეთელის იერუსალიმში მგზავრობა და ქრისტეს კვართის მიღება გამაგრებულია იოანე მახარებლის ავტორიტეტით და მეორეც, უფრო საყურადღებო, სამივე ქართული თხზულების თანახმად, ელიოზ მცხეთელმა არ მიიღო ქრისტეს წამებაში მონაწილეობა.

როცა ელიოზი მცხეთიდან გაემგზავრა, დედამ დააბარა:

„წარვედ, შვილო, წოდებასა მეფისასა და წესსა შჯულისასა, ხოლო რომელსა იგინი განიზრახავენ, ნუ შეერთვინ ცნობაჲ შენი მას ყოვლადვე, ნუ, შვილო, ჩემო, რამეთუ სიტყუად არს წინაიწარმეტყველთაჲ და იგავი ბრძენთაჲ, საიდუმლოდ არს დაფარული ჰურიათაგან, ხოლო წარმართთა ნათელ და ცხოვრება საუკუნო“.

ამასვე იმეორებენ „ქართლის ცხოვრებაც“ და „ცხოვრება და მოქალაქეობა ნინოსის“. უაღრესად საყურადღებოა ქართველ ავტორთა დამოკიდებულება. მათ თანახმად, მცხეთელი ებრაელი ქალი იმას მიხვდა, რასაც ვერ ჩაწვდა მთელი პალესტინა. მცხეთაში უკვე იციან ის, რაც ჯერ არავინ უწყის: ქრისტეა საუკუნო ცხოვრება და არ შეიძლება მიიღო მონაწილეობა მაცხოვრის მკვლელობაში. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ელიოზის დედამ მცხეთაში, წინასწარ იგრძნო ქრისტეს კაცებრივი აღეს სიკვდილი. სამივე ქართველი ავტორი წერს, როცა იერუსალიმში ჯვარზე გაკრულ ქრისტეს სამსჭვალს ჯალათმა კვერი დასცა, მცხეთაში ელიოზის დედამ იკვილაო:

„მშვიდობით, მეფობაო ჰურიათაო, რამეთუ მოჰკალით თავისა მაცხოვარი და მხსნელი და იქმნენით ამიერითგან მტერ შემოქმედისა. ვაჲ თავსა ჩემსა, რომელ არა წინარე მოკუედ, რომელმცა ესე არღარა მხენილ იყო, და არცა კნინ უკანაჲს-რე დავრჩი, რომელმცა მეხილვა ნათელი გამობრწყინებული წარმართთა ზედა და დიდებაჲ ერისა ისრაელისაჲ“.

ქრისტეს წინაშე ჩადენილი დანაშაულის მნიშვნელობას მცხეთაში მაშინვე მიხვდნენ.

ცხადია, ყველაფერი ეს ტყუილ-უბრალოდ არ იწერება. გატარებულია სრულიად მკაფიო აზრი: მცხეთა ქრისტეს კვართის მფლობელია, მაშასადამე, იგი განსაკუთრებული ქალაქია. თითქმის უთანაბრდება იერუსალიმს. კვართის პატრონიც კანონიერად და სამართლიანად არის. იგი ქართველთა სატახტოში ჩამოიტანა ებრაელმა კაცმა, ვინც არ მიიღო მონაწილეობა ქრისტეს წამებაში და რომლის დედამაც წინასწარ შეიცნო, ვინ იყო იესო და რა დანაშაულიც მოხდა მისი ჯვარცმით.

ასეთია ქართული მესიანისტური იდეის ერთი ნიშანი.

მეორე გახლავთ ის, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანაა.

იოანეს სახარება (XIX, 26-27) გვიამბობს, რომ გოლგოთაზე, ჯვარცმის წინ, „იესო ვითარცა იხილა დედად თვისი და მოწაფე იგი, რომელი უყვარდა, წინაშე მდგომარენი, ჰრქუა დედასა თუისსა: დედაკაცო, აჰა, ძე შენი! და მერმე მოწაფესა მას ჰრქუა: აჰა, დედად შენ! და მიერთგან წარიყვანა იგი მოწაფემან მან თუისთა თანა“.

ძველი თუ ახალი კომენტატორების აზრით, „მოწაფე რომელი უყვარდა“ ქრისტეს და ვისაც წმ.მარიაზე ზრუნვა დაავალა, არის იოანე მოციქული.

„ნინოს ცხოვრება და მოქალაქეობის“ ავტორი თავისებურად იზიარებს სახარების ამ ეპიზოდს და გვიყვება: ყველა მოციქული ქრისტიანობის საქადაგებლად თავთავიანთ წილხვდომილ ქვეყანაში გაემგზავრა. მხოლოდ იოანე არ წასულა ეფესოსში. იგი მიზეზად იშველიებდა იმას, რომ არ შეეძლო ღვთისმშობლის უპატრონოდ დატოვება. შეწუხებულმა მარიამმა მაშინ იოანეს უთხრა, რომ არ იქნება სათნო უფლისათვის შენი უქმად ყოფნა და მხოლოდ ჩემზე ზრუნვა. წადი შენ იმ ქვეყანას, რომელიც წილად გერგო. მეც თან გამოგყვები. ორივე დავალება შესრულდება: ქრისტიანობასაც იქადაგებ და მეც შენთან ვიქნებიო განუმორებლად.

ასეც მოიქცნენ. იოანე მოციქული, წმ.მარიამი, მარიამ მაგდალინელი და სხვა მენელსაცხებლენი საქადაგებლად გაემურნენ. სამი დღის შემდეგ ქრისტე გამოეცხადათ. იესომ ბრძანა ქადაგებად წასულიყვნენ იოანე და მენელსაცხებლენი, ხოლო წმ.მარიამი შინ დაბრუნებულიყო. „რამეთუ ნაწილ შენდა არიან ადვილ მოსაქცეველნი ერნი წარმართნი და ქვეყანა მათი“. ღვთისმშობელი მორჩილად მობრუნდა უკან და დაისადგურა იოანეს სახლში სიონად.

„ხოლო განვიდა რა სოფლისა ამისგან დიდებულითა მით მიცვალებითა და ალვიდა სუფევად ძისა მისისა თანა. ამის შემდგომად წელთა მრავალთა შორის გარდასლვისა მოხედვა-ყო ზეცით წყალობით ყოვლად-სახიერმან დედოფალმან და მოიხსენა უფლისა მიერ და ძისა თვისისა წილხვდომილი იგი მისდა ქვეყანა და ნათესავი ჩვენი. რამეთუ ნაწილ მისა ჩვენ ვართ, ნათესავი ქართველთანი, და ნეტარ ვართ ჩვენ და სამ ნეტარ, რამეთუ ნაწილ მისა ვიწოდენით და იგი არს შემდგომად ღმრთისა მხსნელი და განმათავისუფლებელი ჩვენი მწარისა მისგან მონებისა და სრულიადისა ტყვეობისა მთავრისა მის ბნელისა“ („ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები“, 1978 წ., გვ. 360).

თუკი საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილია, ბუნებრივი და ლოგიკურია ქართულად მეტყველი წმ.მარიამის წარმოდგენაც. ბავშვობაში მძიმედ სწეულმა ექვთიმე მთაწმინდელმა იხილა ქართულად მოუბარი დედაღვთისა. „წარმომიდგა ვინმე დიდებული დედოფალი და მრქვა ქართულითა ენითა: – რაა არს, რაა გელმის, ექვთიმე?...“ („ძველი ქართული მოთხრობა“, 1979 წ., გვ.342).

ასეთია ქართული მესიანისტური იდეის მეორე ნიშანი.

მესამეს გვაუწყებს ბაგრატიონთა საგვარეულო ლეგენდა. ამის მიხედვით, ეს სამეფო დინასტია ქრისტეს ნათესავია. სუმბატ დავითის ძე თავის ქრონიკას „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ ქრისტეს მიწიერი წინაპრების ჩამოთ-

ვლით იწყებს, ადამით მოყოლებული წმ.მარიამის ქმრით იოსებით დამთავრებული. შემდეგ გვატყობინებს, რომ იოსებს ჰყავდაო ძმა კლეოპა. ბაგრატიონები ამ კლეოპას უშუალო შთამომავლად არიან მიჩნეული.

სასულიერო ლიტერატურაში ქრისტეს კაცობრივი წარმომავლობის მისანიშნებლად ხშირად შეხვდებით გამოთქმებს – ძირი იესესი, ძე დავითისი, შტო სოლომონისი. ბაგრატიონებიც დოკუმენტებში ასევე იხსენიებენ თავიანთთავს: იესიან-დავითიან-სოლომონიანი...

ამგვარი ნათესაობის იდეამ მისცა უფლება „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორს თამარის მიმართ ეთქვა:

„აქა კულა სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ, მისწორებული და აღმატებული“ („ქართლის ცხოვრება“, ტ.II, გვ. 25).

თამარმა „ტაბახმელისა ბეთლემ-მყოფელმან მუნ შვა ძე, სწორი ძისა ღმრთისა...“ (გვ.56).

ქრისტიანული დოგმატის თვალსაზრისით¹, გაუგონარი მკრეხელობაა როგორც თამარის სამების (მამა-ღმერთი – სულიწმინდა – ქრისტე) მეოთხე წევრად გამოცხადება, ისე ლაშა-გიორგის ღმრთის ძესთან (ქრისტესთან) გათანაბრება. მაგრამ ეს აუცილებელია ქართული მესიანისტური იდეის გასამაგრებლად და მემკვიდრე აღარ ერიდება ერესსაც.

ქართული მესიანისტური იდეის ეს სამი ნიშანი მაინც არ კმაროდა ბიზანტიის იმპერიასთან საბრძოლველად. ბიზანტიელებიც ქრისტიანები იყვნენ და ქართველებიც. თან ორივენი ერთი და იმავე დოგმის – დიოფიზიტურის – აღმსარებელნი, რელიგიური თვალსაზრისით, ეს ბიზანტიელებს უფლებას აძლევდა ქართველისათვის „აღმოსავლელი ბერძენი“ ეწოდებინა. ამ მხრივ სომხებს უკეთ ჰქონდათ საქმე. მართალია, ისინიც ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ განსხვავებული დოგმის – მონოფიზიტურის – აღმსარებელნი. ამდენად სომხეთი ბიზანტიას ორი იარაღით უპირისპირდებოდა – ენით და მონოფიზიტური ქრისტიანობით. ცხადია, ბიზანტიელებს სომეხთა მონოფიზიტობა არ მოსწონდათ და ყოველ საშუალებას იყენებდნენ ისინიც დიოფიზიტები გაეხადათ, მაგრამ მაინც იძულებული იყვნენ წითელი კვერცხი ეგორებინათ სომხური ეკლესიისათვის. აშკარა და დაუნდობელი ბრძოლა არ შეეფერებოდა ქრისტიანული ძმობისა და ერთიანობის პროპაგანდას.

ამ მდგომარეობით სომხეთი ოსტატურად სარგებლობდა და თავისთავადობას ინარჩუნებდა. ქართული ეკლესიის დიოფიზიტურობის გამო საქართველოს ამის საშუალება არ ჰქონდა. აუცილებელი იყო სხვა ფაქტორი, რომელიც გადაულახავ კედელს აღმართავდა ბიზანტიასა და საქართველოს შორის. ეს ფაქტორი იყო ენა. ამას ხაზგასმით, აღნიშნავს აკად. ნ.ბერძენიშვილი („საქართველოს ისტორიის საკითხები“, ტ.IX, გვ. 19). ამიტომ ქართულმა ლიტერატურულმა და პოლიტიკურმა აზრმა ქართული ენა ღვთაებრივი შარავანდედით შემოსა.

ქართული ქრისტეს ენაა და მეორედ მოსვლის ჟამს უფალი ქართულად განიკითხავს კაცობრიობას („ქება და დიდება ქართულისა ენისა“).

ღვთისმშობელი ქართულად მეტყველებს (გიორგი მთაწმინდელი – „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“).

საქართველოა ყველგან, სადაც წირვა-ლოცვა ქართულად სრულდება (გიორგი მერჩულე – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“).

ასე ყალიბდება ქართული მესიანისტური იდეა: საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილია, იგი ქრისტეს კვართის მფლობელია, ქართული ქრისტეს ენაა, ბაგრატიონები ქრისტეს ნათესავები არიან.

ეს აზრია ერთერთი ძირითადი მოტივი როგორც ქართული სასულიერო მწერლობისა, ისე მატიანისა. და ეს გრძელდება მანამ, სანამ ქართველი მეფე და პოეტი არ იტყვის:

„არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა.

არ გიკვირს, რომ დაივიწყეს შემოქმედი მისგან ქმნულთა?!“

„ქებად“ ქართული მესიანისტური იდეის შემქმნელი ლიტერატურის ერთერთი ძირითადი თხზულებაა.

როცა ამ იდეაზე ვმსჯელობთ, შეუძლებელია ყურადღება არ მივაქციოთ ერთ გარემოებას – მემატიანეთა გამორჩეულ დამოკიდებულებას ფარნავაზისადმი.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ წინაქრისტიანული პერიოდის – აზოდან მირიანამდე – ოცდაშვიდ მეფეს ჩამოთვლის. მერე კი ნათქვამია, ოცდარვა წარმართი მეფე იყო. როგორც ჩანს, ჩამოთვლისას გადამწერს გამორჩა ერთი, მაგრამ ახლა ამას არა აქვს რაიმე არსებითი მნიშვნელობა. მთავარია ის, რომ ქრისტიანი მემატიანისათვის განსაკუთრებული მოკრძალებისა და პატივისცემის სუბიექტია წარმართი ფარნავაზი. რა თქმა უნდა, ამას თავისი კონკრეტული საფუძველი აქვს.

თუ გახსოვთ, აზოსგან შეშინებულმა ფარნავაზმა მამულის დატოვება და დედულეთს წასვლა გადაწყვიტა. მაშინ მან სიზმარი ნახა. „... იყო იგი სახლსა შინა უკაცურსა, და ეგულვებოდა განსვლა და ვერ განვიდა. მაშინ შემოვიდა სარკუმელსა მისსა შუქი მზისა და მოერტყა წელთა მისთა, და განიზიდა და განიყვანა სარკუმელსა მას. და ვითარ განვიდა ველად, იხილა მზე ქუე-მდაბლად, მიჰყო ხელი მისი, მოჰხოცა ცუარი პირსა მზისასა და იცხო პირსა მისსა. განიღვიძა ფარნავაზ და განუკუირდა, და თქუა: „სიზმარი იგი ესე არს, მე წარვალ ასპანს, და მუნ კეთილსა მივეცემი“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 21).

ცხადია, ამას მემატიანე უმიზნოდ არ წერს. ისიც ზედმიწევნით იცის – რას წერს და რატომ წერს. ჩვენი ვალია როგორღაც ამოვხსნათ იგი.

თუ ამ სიზმარს მითოსური კუთხით განვიხილავთ, ყველაფერი ნათელი გახდება. აქ აღწერილია ღმერთის გამოცხადება.

ღმერთის გამოცხადება არც წარმართობისათვის არის უცხო და არც ქრისტიანობისათვის. ამის საბუთად უამრავი მაგალითის მოხმობა შეიძლება ბერძნულ-რომაული მითოლოგიიდან თუ ბიბლიიდან, მაგრამ ეს იმდენად ცნობილია, რომ ნიმუშის მოშველიება აუცილებლობას არ წარმოადგენს. ოღონდ ამ

ორ გამოცხადებას შორის ერთი ძირეული და არსებითი განსხვავებაა. თუ წარმართობის აზრით, შესაძლებელია ღმერთი საკუთარი სახითაც ეჩვენოს ადამიანს, ბიბლიის კონცეფციით, ეს ყოვლად დაუშვებელია. ღმერთის ხილვა ადამიანს არ ძალუძს. ადამიანს ხელეწიფება მხოლოდ ღმერთის ნივთიერი სიმბოლოს დანახვა. ამიტომ იხილა მოსემ ღმერთი ცეცხლმოდებულ მაცვლის ბუჩქად, იაკობმა – კიბედ, დანიელმა – მთად, გედეონმა – საწმისად და ა.შ. ფარნავაზს კი ღმერთი მზედ ეზმანა. საყოველთაოდ ცნობილია ისიც, რომ მზე როგორც მამა-ღმერთის, ისე ქრისტეს სიმბოლოა.

ცვარიც, მზეს რომ მოწმინდა ფარნავაზმა და საკუთარ სახეზე წაიცხო, ღმერთის გამოცხადების დასტურია. ცვარით დაუდასტურა უფალმა გედეონსაც მიცემული აღთქმა (მსაჯულთა წიგნი, VI, 36-40). გედეონს ისრაელის გადარჩენა ეკისრებოდა, ფარნავაზს – ქართველობის. ფარნავაზი შეასრულებს კიდეც ამ მისიას, რამეთუ უფალი მისცემს ამის გეზსა და საშუალებას.

სიზმრით გამხნეებული ფარნავაზი სანადიროდ წავიდა. დევნა უყო ირემთა და დასჭრა კიდეც ერთი. „მცირედ წარვლო ირემმან და დაეცა ძირსა კლდისასა. მივიდა ფარნავაზ ირემსა ზედა; და დღე იგი, მწუხრი, გარდახდა და დაჯდა ირემსა მის თანა, რათამცა დაყო მუნ ღამე და დილეულმცა წარვიდა.“

ხოლო კლდისა მის ძირსა ქუაბი იყო, რომლისა კარი აღმოქმნულ იყო ქუითა ძუელად, და სიძუელითა შეჰქმნოდა დარღვევა შენებულსა მას. მაშინ დაასხა წუიმა მძაფრი. ხოლო ფარნავაზ აღმოიღო ჩუგლუგი და გამოარღვია კარი ქუაბისა მის, რათამცა მუნ შიგა დაიმშრალა წუიმისა მისგან, და შევიდა ქუაბსა მას. და იხილა მუნ-შინა განძი მიუწვდომელი, ოქრო და ვერცხლი და სამსახურებული ოქროსა და ვერცხლისა მიუწვდომელი“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 21-22).

ამ განძით იხსნის სამეფოს ფარნავაზი.

არც ეს არის ნადირობის ყოფითი სურათი. ესეც ალეგორიული ტექსტია. ირემი ქრისტეს სიმბოლოა. ყური დაუგდეთ, რას ამბობს ბასილი კესარიელი:

„სახიბეტყუელმან თქუა ირემისად, ვითარმედ ჯეკმა (=ძლიერ) მტერ არს გუელისა, და რაჟამს იხილის და ივლტინ გუელი და შთახდის ხურელად, მივიდის ირემი იგი და აღივსნის ფერდნი თუისნი წყლითა წყაროდსა და მივიდის ხურელად, სადა-იგი გუელი დამალულ არნ და დაასხის წყალი იგი და აღავსის ხურელი იგი, ვიდრემდე გამოხდის გუელი იგი და დათრგუნის ფერხითა და მოიკლის.“

ეგრეცა მაცხოვარმან ჩუენმან იესუ ქრისტემან მოკლა დიდი იგი ვეშაპი ეშაპი წყლითა ცისადათა, რომელი აქუნდა ღმრთებისა სიბრძნისაგან, რომელსა წყალსა ვერ დაუდგნეს ვეშაპთა ეშაპთა“ („შატბერდის კრებული“, 1979 წ., გვ. 190).

მითოლოგიური სიმბოლოების ამგვარი ამოხსნა უფლებას გვაძლევს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი ასე წავიკითხოთ: ფარნავაზს გამოეცხადა ქრისტე (მზე და ირემი), იხსნა იგი ტყვეობისაგან (კარდახშულში იყო და სარკმლიდან

გაიყვანა) და დაავალა ქართული სამეფოს გადარჩენა (მზისგან მოწმენდილი ცვარის წაცხება სახეზე). ამისათვის უბოძა მტერთა ძლევის ნიჭი და ძალა (განძი).

ქრისტიანულ მოძღვრებაში ჩაუხედავ მკითხველს ნუ მოეჩვენება ეს გაუგებრობად. ქრისტიანული კონცეფციის თანახმად, იესო ანუ მესია არსებობს ხორციელ მოვლინებამდეც და, რა თქმა უნდა, მის შემდეგაც. „... უფალი ღმერთი, რომელი იყო და რომელი არს და რომელი მომავალ არს“. ამიტომ მას შველა ყოველთვის შეუძლია. ასეც არის გააზრებული ძველ აღთქმაში აღწერილი წინაქრისტიანულ ხანაში მომხდარი ამბები. ლეონტი მროველიც ზუსტად ძველი აღთქმის მოდელის შესაბამისად აღწერს ფარნავაზის თავგადასავალს.

ძველი აღთქმის მოდელის გამოყენება, ჩემი აზრით, მტკიცე საბუთია იმისა, რომ მართალია ის, რაც ფარნავაზის გაკეთებულად მიაჩნია მემპტიანეს. კერძოდ: ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ქართული ენის გავრცელება და ანბანის შექმნა. ესენი რომ წარმართი მეფის გაკეთებული არ იყოს, მაშინ ლეონტის არ დასჭირდებოდა ძველი აღთქმის მოდელის გამოყენება. ისიც ნიშანდობლივია, რომ ოცდარვა წარმართი მეფიდან ძველი აღთქმის მოდელი მხოლოდ ფარნავაზის მიმართ არის გამოყენებული. რატომ? იმიტომ, რომ ფარნავაზია შემოქმედი იმისა, რაც ქრისტიანულმა იდეოლოგიამ მიიღო და გაითავისა. ამ გათავისების ურყევი საფუძველი რომ არსებობდეს, აუცილებელია ფარნავაზის ქმედება ქრისტეს მიერ იყოს შთაგონებული. ასეც აქვს გააზრებული ლეონტი მროველს.

არის თუ არა „ქებაში“ ქარაგმული მითითება ამისა? ვფიქრობ, რომ არის. „ქებას“ ავტორი გვეუბნება: „და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ ესე წილი ანბანისა“. მართალია, ამ სტრიქონის სხვადასხვაგვარი წაკითხვა არსებობს,² მაგრამ, ჩემი აზრით, სწორი და მართალი ეს არის. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართულში „წილს“ აქვს „ხვედრის“ მნიშვნელობაც, მაშინ ციტირებული სტრიქონი წაიკითხება – „და ესე ყოველი, რომელიც წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ ესე ხვედრი ანბანისა“. ხოლო რა ხვედრზეა ლაპარაკი, როგორც წარსულის, ისე მომავლის თვალსაზრისით, ეს ნათლად წერია ჰიმნში.

საერთოდ „წილს“ „ქებაში“ მრავალგვარი მნიშვნელობა აქვს. იგი მათეს სახარების დასაწყისსაც მიუთითებს. „საბარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათესა წილი ზის...“ მართლაც მათეს სახარება იწყება ასე – „წიგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი“. როგორც ვხედავთ, აქ წილი ქრისტეს ცხოვრების წიგნს მიუთითებს. და თუ ისევ ვიკითხავთ – რატომ? – უნდა ვუპასუხოთ იმიტომ, რომ „ქებას“ ავტორის აზრით, საიდუმლო, რომელიც დამარხებულია (დაცულია) ქართულ ენაში, არის ქრისტეს ცხოვრების საიდუმლო. ამ საიდუმლოს არსი კი ჩამოყალიბებულია იოანეს გამოცხადებაში.

იოანემ იხილა საყდარზე მჯდომარე. ამ ცაში მდგომარე საყდრის გარშემო ოცდაოთხი მღვდელი იჯდა. ოქროს გვირგვინი ეხურა მათ და თეთრი სამოსი ეცვათ. შვიდი ლამპარი ენთო, რომელიც ღმრთის შვიდი სულია. საყდრის

გარშემო ოთხი ცხოველი იდგა. ისინი გალობდნენ – „წმიდა არს უფალი ღმერთი, ყოვლისა მპყრობელი, რომელი იყო, და რომელი არს და რომელი მომავალ არს“. საყდარზე მჯდომარეს მარჯვენა ხელით წიგნი ეპყრა, შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი. ანგელოსი ქადაგებდა: ვინ არის ღირსი ამ წიგნის გაღებისა და შვიდი ბეჭდის ახსნისა? იოანე ტიროდა, რამეთუ არვინ ჩანდა წიგნის გამღები. მაშინ ერთერთმა მღვდელთაგანმა ანუგეშა იოანე: ნუ ტირი, აი, ლომი, თესლი იუდასი, ძირი დავითისი. იგი გააღებს წიგნს და ახსნის ბეჭდებს. მაშინ იოანემ დაინახა მღვდელთა და ცხოველთა შორის კრავი. იგი მივიდა და წიგნი გამოართვა მჯდომარეს. მღვდელნი დაემხნენ კრავის წინაშე და ილაღადეს – წიგნის მიღების და ბეჭედთა გახსნის ღირსი ხარ შენ, რადგან შენ დაიკალ და შენი სისხლით გამოგვისყიდე ჩვენ – ყველა თესლის, ენის, ერისა და ტომის კაცნი (იოანეს გამოცხადება, თავნი 4-5).

როცა ქრისტეს ცხოვრების წიგნში დაწერილი აღსრულდება, მაშინ ახალი იერუსალიმი აშენდება, უფალი ხალხთან ერთად იცხოვრებს, იგი მოწმენდს ყველას ცრემლს. აღარ იქნება აღარც სიკვდილი, აღარც კვნესა, აღარც ტირილი, აღარც სნეულება. ახალი იერუსალიმის (=მშვიდობის ქალაქის) ნათელში ივლიან გადარჩენილი ერები. აღარ დაიკეტება მისი კარები. აღარ იქნება ღამე. და ვერავინ, უწმინდური, ბოროტისა და ტყუილის მოქმედი, ვერ შევა შიგ (იოანეს გამოცხადება, თავი 21).

ეს არის მეორედ მოსვლის ანუ აღდგომის საიდუმლო და იგი, „ქებაჲს“ ავტორის აზრით გაცხადდება ქართული ენით.

ამ რწმენას ემყარება ყველა ხალხის მესიანისტური იდეა. და კიდევ იმას, რომ საიდუმლოს ცხადად ქცევის საქმეში ყოველ ერს განსაკუთრებული როლი ეკისრება. ამ როლს მიუთითებს გარკვეული ნიშნები. ქართული მესიანისტური იდეისათვის ისინი უკვე აღინიშნა ზემოთ. ამ შუქით არის განათებული ჩვენი ლიტერატურის და ისტორიის ბევრი მოვლენა: იქნება იგი ფარნავაზისათვის მზის გამოცხადება თუ მირიანისათვის ნათელის დაბნელება, ქართული ენის ლაზარედ მიჩნევა თუ თამარის სამების მეოთხე წევრად დასმა, „გალობანი სინანულისანი“ თუ ქართველ მეფეთა თიკუნი – მესიის მახვილი, დავით გურამიშვილის მიერ ღმერთის ძიება თუ გალაკტიონის „და არ მშორდება ღვთისმშობლის მზერა, სავსე ქართული პატიოსნებით“.

1983 წ.

1983 წლის 20 მარტის მინაწერი:

საქართველოში ლიტერატურული ინტერესიც კი მოდაა. მოდის მსხვერპლი გახდა „ქებაჲც“. დახვავდა ნაირნაირი ვარაუდების გროვა. უმთავრესი კი, სამწუხაროდ, დაივიწყეს. „ქებაჲსადმი“ შეიძლება არსებობდეს ორგვარი მიდგომა – მეცნიერული და იდეოლოგიური.

თუ „ქებას“ მეცნიერულად მივუდგებით, მაშინ აშკარად უნდა ვალია-როთ, რომ, გარდა ვარაუდებისა, რაიმეს სერიოზული მტკიცება შეუძლებელია. ჩვენ არაფერი გვაქვს ხელთ, რომ მეცნიერული საბუთიანობით დავამტკიცოთ – როდის დაიწერა ჰიმნი, ვინ არის მისი ავტორი, ზუსტად ამოვიცნოთ ზოგიერთი სახე-სიმბოლო (თუნდაც 94). ამ კითხვებს, თუ დამატებით ახალი მასალა არ აღმოჩნდება, ვერ გავცემთ მეცნიერულ, დასაბუთებულ პასუხს. ახალი მასალა კი ჯერჯერობით არსად ჩანს. ღმერთმა ჰქნას რომ ოდესმე გამოვლინდეს.

თუ იდეოლოგიური თვალსაზრისით შევხედავთ, მაშინ „ქება“ დღესაც იარაღია ქართველთა ხელში. იმიტომ, რომ მე-4 საუკუნე, ქრისტიანობის დამკვიდრების ხანა, და მე-20 საუკუნე, სოციალიზმის გაბატონების დრო, საქართველოსათვის ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

ქრისტიანობა და სოციალიზმი, ორივე საერთაშორისო, საკაცობრიო მოძღვრებაა. ქართველებს არც პირველის შექმნაში მიუღია მონაწილეობა და არც – მეორის. ერთიცა და მეორეც სხვებმა შექმნეს და ჩვენ გავიზიარეთ. უკრიტიკოდ მივიღეთ და სხვებს ავეტორღილაეთ. როგორც ცნობილია, ქრისტიანობაც და სოციალიზმიც დიდმა იმპერიებმა მოიტანეს ჩვენში: ქრისტიანობა რომმა (რაც მერე ბიზანტიამ გააგრძელა) და სოციალიზმი რუსეთმა. ბუნებრივია, რომ ქრისტიანობას თან ახლდა რომის (ბიზანტიის) ეროვნულ-პოლიტიკური ინტერესები და სოციალიზმს – რუსეთისა. ქრისტიანობის გავრცელებისას საქართველოსადმი უანგარო დამოკიდებულებას რომი (ბიზანტია) ვერ გამოიჩენდა ისევე, როგორც რუსეთი სოციალიზმის დანერგვის დროს. როგორც ძველი, ისე ახალი იმპერია ქრისტიანობასაც და სოციალიზმსაც თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ.

თეორიულად ქრისტიანობაც და სოციალიზმიც ერთა თანასწორუფლებიანობას აღიარებს. ეს მიმზიდველი და მომხიბვლელი იდეაა. სუსტი და პატარა სახელმწიფოები მას ებღაუჭებიან. თანასწორუფლებიანობის უტოპიას აყლილნი ილუზიებით იტყუებენ თავს. ამას კარგად ხედავენ დიდი სახელმწიფოები და, პრაქტიკულად, ერთა თანასწორუფლებიანობის იდეით ახალ კაბალურ უღელში აზამენ პატარა ქვეყნებს. ასე იქცეოდა რომი მე-4 საუკუნეში. ასე იქცევა რუსეთი მე-20 საუკუნეში.

„ქებას“ ავტორი გამჭრიახი პოლიტიკოსი ჩანს. იგი მაშინვე მიხვდა, როგორ გამოიყენებდა რომის (ბიზანტიის) იმპერია ქრისტიანობას ქართველთა წინააღმდეგ. ამ მზაკვრულ გეგმას იგი დაუპირისპირდა ქართული ენის მესიანისტური იდეით.

ეს დიდი გაკვეთილია დღეს ჩვენთვის.

ჯერჯერობით ქართველობას არ გააჩნია ქართული ენის გარდა, სხვა იარაღი, სხვა საშუალება რუსეთის გამარუსებელი პოლიტიკის საპირისპიროდ. ერთადერთი ჩვენი ხსნა ქართული ენაა. ამიტომ „ქებაში“ ჩამოყალიბებული აზრი – ქართული ღმრთის ენაა და მეორედ მოსვლის ჟამს უფალი ამ ენით განიკითხავს კაცობრიობას – დღევანდელი ქართველისათვის ისევე სარწმუნო და წმიდათაწმიდა უნდა იყოს, როგორც ძველი ქართველისათვის. ვიმეორებ, მხო-

ლოდ ამ რწმენას შეუძლია გადაგვარჩინოს ჩვენ. სხვაგვარად განწირული ვართ. ამიტომ არის „ქება“ დღესაც ცოცხალი და მოქმედი ჰიმნი.

თუ ეს არ გავითვალისწინებთ და „ქება“ მეცნიერული ჩხირკედელაობის საგნად ვაქციებთ, ხელთ არაფერი შეგვრჩება, გარდა უნაყოფო ვარაუდების იწილობიწილოსი.

სამწუხაროდ, ჯერხანობით „ქებას“ იდეოლოგიური მნიშვნელობის შეგნებას სჯობნის მეცნიერული ჩხირკედელაობა. ჯერ ერთი, ეს უაღრესად საშიშია, რამეთუ ვარაუდების ზღვაში ჩავძირავთ „ქებას“ და მნიშვნელობას დავუკარგავთ და, მეორეც, ეს ნათლად მოწმობს რაოდენ არ გვესმის და არ განვიცდით ქართველთა დღევანდელ მდგომარეობას.

დღევანდელი სიტუაციის გაუცნობიერებულობა კარგ დღეს არ დაგვაყრის. თუ კიდევ შეგვრჩენია უნარი, უნდა გამოვფხიზლდეთ და შავ სინამდვილეს თვალი გავუსწოროთ. სწორედ ამას გვასწავლის „ქება და დიდება ქართულისა ენისა“.

1983 წლის 18 მაისის მინაწერი:

მას მერე, რაც წინამდებარე სტატია გამოქვეყნდა „ქებათ და დიდებათ“ ძალიან დაინტერესდა საზოგადოება. ბევრი ნარკვევი გამოქვეყნდა სხვადასხვა ავტორთა. თუ, ერთი მხრივ, ამგვარი ნიაზი კარგია, მეორე მხრივ, იქმნება საშიშროება – ნაირნაირი ჰიპოტეზებით მთლად დავაბნელოთ ისედაც ბუნდოვანი პრობლემა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ „ქებასადმი“ შეიძლება არსებობდეს ორგვარი მიდგომა – მეცნიერული და იდეოლოგიური.

თუ „ქებას“ მეცნიერული კუთხით მივუდგებით, მაშინ უნდა ვალიაოთ, რომ, გარდა მეტნაკლებად დასაბუთებული ვარაუდებისა, რაიმეს უტყუარი არგუმენტირებული მტკიცება შეუძლებელია. ჩვენ არაფერი გვაქვს ხელთ ისეთი, რაიც საშუალებას მოგვცემს უდავოდ დავადგინოთ – როდის დაიწერა ჰიმნი, ვინ არის მისი ავტორი, ზუსტად ამოვიცნოთ ზოგიერთი სახე-სიმბოლოს შინაარსი (თუნდაც ვთქვათ 94-ის). ამ კითხვებს მაშინ მოვუძებნით დამაჯერებელ პასუხს, როცა ახალი, დამატებითი მასალა აღმოჩნდება. მანამდე ვარაუდების ფარგლებში დავრჩებით. ამიტომ მეცნიერული კვლევისას დიდი სიფრთხილეა საჭირო.

თუ იდეოლოგიური თვალსაზრისით შევხედავთ, მაშინ „ქებას“ აზრი ნათელია: ქართული ღმერთის ენაა და მეორედ მოსვლის ჟამს უფალი ამ ენით განიკითხავს კაცობრიობას. ლაზარეს დარად უფალმა აღადგინა ქართული ენაც. იგი უკვე უზენაესის სახელით შემკული და კურთხეულია. მაგრამ მისი სრული აღორძინება მოხდება მესიის ხელახლა მოსვლის ჟამს, როცა ენათა თანასწორობა და თავისუფლება დამყარდება. ამით ქართველმა ავტორმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ მესიანისტურ იდეას.

ქართული მესიანისტური იდეა შეიძლება გაჩენილიყო საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებასთან ერთად, ე.ი. მე-4 საუკუნეში. მაშინ გაქრისტიანებული საქართველო უპირისპირდება რომის (მერე ბიზანტიის) იმპერიას, ცდილობს დამოუკიდებლობის მყარად დამკვიდრებას და სრული თავისუფლების მიღწევას. ამისათვის ქართველ ხალხს იდეოლოგიური საყრდენი სჭირდება. და ეძებს კიდევ ქართული ენისა და ქრისტიანობის სახით. ამდენად, იდეოლოგიური თვალსაზრისით, დასაშვებია „ქება“ მე-4 საუკუნეში იყოს დაწერილი. მაგრამ, ამავე კუთხით, ისიც შესაძლებელია, რომ ჰიმნი არაბთა ბატონობის დასასრულის ჟამს დაიწერა, როცა ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა-თავისუფლების აღდგენა ხდებოდა. მესიანისტური იდეა საჭირო იყო მე-4 საუკუნეშიც და არაბთა უღლის დამხობის დროსაც (უფრო მეტიც, საჭიროა დღესაც).

უყურადღებოდ არ უნდა დაგვრჩეს ისიც, რომ „ქება“ მხატვრული ნაწარმოებია. რაკი ასეა, ბუნებრივია, რომ არსებობს მასში მხატვრული სახეები. უპირველესი მხატვრული სახეა ლაზარე, აღებული სახარებიდან (თუმცა ვარაუდების კორიანტელში ისიც კი ითქვა – ჰიმნში ლაზარე ინტერპოლიტორის ჩამატებულიაო. თუ ლაზარე ჩამატებულია „ქებადან“ რაღა რჩება?). როგორც მხატვრულ სახეს, ლაზარეს თავისი კომპონენტები აქვს. ესენია: 1. ლაზარე ქრისტეს მეგობარია, 2. ლაზარე ოთხი დღის მკვდარია, 3. ლაზარეს ორი დაი ჰყავს – მარიამი და მართა, 4. ლაზარე ქრისტემ მკვდრეთით აღადგინა.

ჰიმნის ავტორი მის პარალელურად ჰიმნის მეორე მხატვრულ სახეს. ეს გახლავთ ქართული ენის ხატი. ამასაც, ბუნებრივია, თავისი კომპონენტები აქვს: 1. ქართული ქრისტეს ენაა, 2. ქართული ენაც მკვდარი იყო, 3. ქართულ ენასაც ორი დაი ჰყავს – ნინო და ელენა (თუმცა ეჭვი აქაც გამოითქვა: „ახალი ნინო“ არ უნდა გულისხმობდესო ნინო გამანათლებელს. (ეს სრულიად უსაბუთო ეჭვია), 4. ქართული ენა მკვდრეთით ქრისტემ აღადგინა.

როგორც ხედავთ, ჰიმნში ორი სრულიად იდენტური მხატვრული სახეა და აქ, თუ კაცს პაექრობის საღერღელი არა აქვს აშლილი, სადავო არაფერია. მაგრამ რატომ გააკეთა ეს ავტორმა? რატომ სჭირდება ეს? ამის პასუხი კი, რა თქმა უნდა, შეიძლება სხვადასხვაგვარი არსებობდეს.

„ქება“ ინტელექტის თამაში

ერთხელ, ერთ ყმაწვილ კაცს ჰერმან ჰესესათვის შევიტხვით მიუმართავს – მიაჩნია თუ არა კავკას „პროცესი“, „კოშკი“, „კანონი“ რელიგიურ სიმბოლოებად? ჰესეს ამგვარი პასუხი მიუცია:

„კავკას მოთხრობები რელიგიური, მეტაფიზიკური ან მორალური პრობლემებისადმი მიძღვნილი ნარკვევები კი არ არის, არამედ მწერლობაა. ის, ვისაც ძალუძს მართლა წაიკითხოს მწერალი, – ანუ წაიკითხოს კითხვების გარეშე, ინტელექტუალური და მორალური რეზულტატების მოლოდინის გარეშე, ვინც მზად არის უბრალოდ მიიღოს, რასაც მწერალი იძლევა, ამ ნაწარმოების

ენაზე ნებისმიერ სასურველ პასუხს იპოვნის. კაფკას პირით არც თეოლოგი გვესაუბრება და არც ფილოსოფოსი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მწერალი, მისი დიდებული მწერლობა რომ მოდად იქცა დღეს, მას რომ უნიჭო ადამიანები კითხულობენ, რომლებსაც მწერლობის აღქმის სურვილი არ გააჩნიათ, ამაში კაფკას ბრალი არ მიუძღვის.

ჩემთვის, ვინც, კაფკას ადრეულ თხზულებებიდან დაწყებული, მის მკითხველებს ვეკუთვნი, თქვენი არც ერთი კითხვა არაფერს ნიშნავს. კაფკა არ იძლევა პასუხს მათზე. ის გვიჩვენებს სიზმრებსა და ჩვენებებს თავისი მარტოსული, მძიმე ცხოვრებისა, თავისი განცდების, ჭმუნვისა და სიხარულის პარაბოლებს; და მხოლოდ ეს სიზმრები და ჩვენებებია, რაც შეიძლება ვეძიოთ მასთან, მივიღოთ მისგან, და არა „ახსნები“, რომლებიც მახვილგონიერმა ინტერპრეტატორებმა შეიძლება მიუსადაგონ

მის ნაწარმოებებს. ეს „ახსნა“ ინტელექტის თამაშია, ხშირად ძალზე ლამაზი თამაშიც. ის იზიდავს ჭკვიან, მაგრამ ხელოვნებასთან მწყრალად მყოფ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ წერონ და იკითხონ წიგნები ზანგურ პლასტიკასა და დოდეკაფონურ მუსიკაზე, მაგრამ ვერასოდეს პოულობენ ხელოვნების ნაწარმოების გულისაკენ მისასვლელ გზას, რადგან ჭიმკართან დგანან, ასობით გასაღებს არგებენ და ვერ ხედავენ კი, რომ ჭიმკარი ღიაა“ („ლიტერატურული საქართველო“, 1984. 13.)

მკაცრად არის ნათქვამი. იგი მეც მეხება, რამეთუ მეც ინტელექტის თამაშის მონაწილე ვარ. ამიტომ არ მოვერიდე მის მოშველიებას, რაკილა ჰესეს სიტყვები გამომიყენებია, არ აღიქმებოდა მხოლოდ სხვათა მიმართ ნათქვამ საყვედურად. ოღონდ ყოველ თამაშს (ცხადია, ინტელექტისაც) თავის წესი აქვს და თავის ჩარჩო. თუ ეს წესი და ჩარჩო დავარღვიეთ, ყველაფერი დაიშლება და თამაშიც დაირღვევა. მივიღებთ არეულობას, სადაც ძალიან პატრონს ვეღარ იპოვნის. რაღაც ამგვარი ხდება „ქებას“ გარშემო და ამიტომ სამართლიანია დ.ფიროსმანიშვილის განცხადება – „ქებას“ გაუფასურება ემუქრებაო. ეს კი ჭიმკარიტად შენიშნა, მაგრამ, სამწუხაროდ, მერე გაუფასურების კედლის ასაგებად ერთი აგური თავადაც დადო, როცა განაცხადა „ახალი ნინო“ ნანა დედოფალიაო.

1984 წ.

დავიწყებული იდეა

როცა „ქართლის ცხოვრებას“ კითხულობთ, არ შეიძლება მაშინვე თვალში არ გეცეთ ერთი გარემოება: ძირეულად განსხვავებულია თამარის ისტორიკოსებისა და ჟამთააღმწერლის თხრობის განწყობილება. შეიძლება მკითხველმა მითხრას კიდეც – რა არის საკვირველი? თამარის ისტორიკოსები გვიამბობენ გამარჯვებული საქართველოს თავგადასავალს, ჟამთააღმწერელი კი ჩვენი ქვეყნის დამარცხებას იგლოვსო. ცხადია, ეს მართალია, მაგრამ ისიც უნდა მო-

გახსენოთ, რომ ამგვარი ვითარებით გამოწვეულ სხვაობას არ ვგულისხმობ, ვგულისხმობ საქართველოს ისტორიული მისიის გაგების დავიწყებას, თუ საერთოდ დაკარგვას.

ვატყობ, რაც ახლა ვთქვი, მთლად მკაფიო არ უნდა იყოს. ამიტომ უფრო დაწვრილებით ჩამოვაცალიებ ჩემს აზრს.

ვისაც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ დაკვირვებით წაუკითხავს, იგი უთუოდ მიაქცევდა ყურადღებას მემატიანის თუნდაც ორ ფრაზას.

პირველი: „აქა კულა სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ, მისწორებული და აღმატებული“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. II, 1959 წ., გვ. 25). როგორც ხედავთ, თამარი გამოცხადებულია ქრისტიანული სამების – მამა-ღმერთი, ძე-ღმერთი, სული წმიდა – მეოთხე წევრად.

მეორე: „მიუდგა თამარი განწმედილითა გონებითა და ტაძრისა ღმერთისა აღმსჭუალულისა სანთლითა სხეულისათა, მხურვალითა გულითა და განათლებულითა სულითა ტაბახმელისა ბეთლემ-მყოფელმან მუნ შვა ძე, სწორი ძისა ღმრთისა...“ (იქვე, გვ. 56). აქ კი თამარი გათანაბრებულია ღმრთისმშობელთან, ლაშა-გიორგი კი – იესო ქრისტესთან...

ორთოდოქსული ქრისტიანული შეხედულებით, მემატიანის როგორც პირველი, ისე მეორე განცხადება უსაშველო მკრეხელობაა, მაგრამ რატომღაც „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორს ამისი არ ეშინია. გაბედულად და ამკარად ამბობს იმას, რაც, წესის თანახმად, მართლმორწმუნე ქრისტიანმა ფიქრადაც არ უნდა გაივლოს. რა თქმა უნდა, ჟამთააღმწერელთან ამგვარ მკრეხელობას ვერ შეხვდებით. იმას კი ნახავთ, თამარის ისტორიკოსის მიერ იესო ქრისტესთან მისწორებული ლაშა-გიორგი რა სიტყვებით არის დამცირებული და დაკნინებული – თავხედი, თვითბუნება, სახიობისმოყვარე, ღვინისმოყვარე, გემოთმოყვარე. ამას მოჰყვა ის, რასაც „წინასწარმეტყუელიცა იტყვის: ჭამა იაკობ, განძღა, განსხვა, განსუქნა. და დაუტევა ღმერთი შემოქმედი თვისი, და განუდგა ღმერთსა მაცხოვარსა თვისსა. ეგრეთვე იქმნა ნათესავსაცა ამას შინა ქართველთასა, რამეთუ განძღეს და იშუებდეს და უწესოებად მიდრკეს სიძვათა შინა და მთვრალობათა უგუნურნი კაცნი, მეფის კარსა ზედა არა-ყოფნისა ღირსნი და აწ კარსა ზედა მყოფნი“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. II, 1959 წ., გვ. 156-157).

კარგად რომ გავიგოთ, საქართველოს ისტორიული მისიისადმი დამოკიდებულების ამგვარი შეცვლა რას მოასწავებს, ჯერ ვნახოთ, რას ნიშნავს თამარის ისტორიკოსის სიტყვები და მერე იმას მივაქციოთ ყურადღება, რითი ცვლის, რა იდეით ჟამთააღმწერელი „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორის აზრს.

თამარის სამების მეოთხე წევრად გამოცხადება და ჩვილი ლაშა-გიორგის იესო ქრისტესთან მისწორება ნაწილია ქართული მესიანისტური იდეისა.

ყოველ ერში არსებობს მესიანისტური იდეა. იგი აქვთ გერმანელებს, რუსებს, სომხებს, პოლონელებს და სხვებს. ეს იდეა ერის თვითგამტკიცებას, თვითრწმენას, ძლიერებას უწყობს ხელს. ამა თუ იმ ისტორიულ ვითარებაში ეროვნული იმედის საფუძველია და ებრძვის ეროვნულ სასოწარკვეთილებას.

ბუნებრივია, რომ მესიანისტური იდეა ქართველმა მოაზროვნეებმაც გამოიმუშავეს და ჩამოაყალიბეს.

შეიძლება აუცილებელი არ იყოს ქართული მესიანისტური იდეის სხვა ხალხების მესიანისტურ იდეასთან შედარება, მაგრამ სომხურ მესიანისტურ იდეას კი უთუოდ უნდა შევუპირისპირო: ეს ნათლად დაგვანახვებს, როგორ იბრძვიან ქართველები და სომხები ეროვნული თავისთავადობის შესანარჩუნებლად.

სომხური მესიანისტური იდეა ეფუძნება წარღვნის მითს, როგორც კარგად ცნობილია, დაბადების წიგნის თანახმად, წარღვნის შემდეგ ნოეს კიდობანი არარატის მთაზე გაჩერდა. აქ გამოვიდა გარეთ ნოე და მისი სახლობა. აქედან დაიწყო კაცობრიობის ხელმეორე აღორძინება. ძველ სომხურ მწერლობას მიაჩნია, რომ ბიბლიის არარატი სომხეთის არარატია. წარღვნის შემდეგ ნოემ მთელი ცხოვრება (ბიბლიის მიხედვით კი მან 350 წელიწადი იცოცხლა) სომხეთში გაატარა, იცოდა სომხური ენაც და დასაფლავებულიც ნახჭევანშია. მამასადამე, სომხური მწერლობის აზრით, სომხეთი კაცობრიობის რეგენერაციის აკვანია. ქრისტიან ხალხებში ბიბლიის ავტორიტეტი საფუძველს აძლევდა ზოგიერთ სომეხ მემკვიდრეს ემტკიცებინა: ყველა ხალხი სომხებისაგან წარმოიშვა და ყველა ენის მშობელი სომხურიაო. ნურავინ მიიჩნევს ამას უბრალო მიაშიტობად. ეს იდეა მძიმე ისტორიული კატაკლიზმების ეპოქაში ეხმარებოდა სომეხ ხალხს, იმედით ასაზრდოვებდა მის სიმტკიცეს, მხნეობასა და ვაჟკაცობას. სხვათა შორის, სომხური მესიანისტური იდეის გავლენა იმდენად დიდი ყოფილა, რომ რუსეთშიც არარატის მთებიდან, ე.ი. სომხეთიდან, მოელოდნენ მესიას (მხსნელს). ასე ფიქრობდნენ მანამ, სანამ 1701 წელს სომეხ მოღვაწეს ისრაელ ორის წერილი არ გაუგზავნია პეტრე პირველისათვის და არ უცნობებია – მოსკოვიდან მოევლინებაო ქვეყნიერებას მესია (იხ. ალ. აბდალამის „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა“, 1982 წ., გვ., 101, 102, 107, 108, 144, 145).

უპირველესად მესიანისტური იდეა სომხეთს სჭირდებოდა ბიზანტიის მესიანისტური იდეის წინააღმდეგ, მასთან საბრძოლველად.

ასევე სჭირდებოდა მესიანისტური იდეა ქართველ ერსაც: ერთი მხრივ, ბიზანტიის პოლიტიკური და რელიგიური აგრესიისაგან თავდასაცავად და, მეორე მხრივ, სომხური ეკლესიის იდეოლოგიური პრეტენზიის შესაკავებლად. სჭირდებოდა, აგრეთვე კავკასიაში საქართველოს ჰეგემონობის გასამტკიცებლად.

რა ნიშნები აქვს ქართულ მესიანისტურ იდეას?

პირველი: ცნობილი ჰიმნით – „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ – ქართული ენა გამოცხადებულია ქრისტეს ენად. მეორედ მოსვლის ჟამს უფალი ამ ენით დაელაპარაკება კაცობრიობას. ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, როცა ძველ ქართულ მწერლობაში ქართული ენა განსაკუთრებულად არის წარმოდგენილი. „შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ, როცა 13 ასურელი მამა საქართველოს საზღვარს მოადგა, კათალიკოს ევლავიოსს ღამით უფ-

ლის ანგელოსი ეჩვენა და უთხრა: ღვთის მონა იოანე მოწაფეებითურთ მოდის, შეეგებე და შეიწყნარეო. კათალიკოსი ევლავიოსი ასურელ მამებს შეეგება. იოანეს ქედზე მოეხვია და კეთილად მობრძანება უსურვა. სტუმარი მასპინძლის ფერხთით დაეცა და ღმერთს მადლობა შესწირა, კათალიკოსის თაყვანისცემის ღირსი რომ გახდა. იოანესა და ევლავიოსს შორის საუბარი ქართულად მიმდინარეობდა. ამის გამო „ცხოვრების“ ავტორი გაკვირვებული ამბობს: „ვითარ მოეცა იოანეს ენა ქართულად მეტყველი ყოვლად დაუბრკოლებელი?“ პასუხს ასე იძლევა: „ეჰა, საკვირველებასა შენსა, ქრისტე ღმერთო, ვითარ ადიდებ მადიდებელთა შენთა“.

როგორც ხედავთ, ქრისტეს შთაგონებით, ქართულად ამეტყველდა კაცი, რომელსაც ქართული „არცა ოდეს ასმოიდა, არ თუ ესწავა“.

ასევე ღვთის შთაგონებით ალაპარაკდა ქართულად ექვთიმეც. მართალია, იგი ქართველი იყო, მაგრამ გადავიწყებული ჰქონდა მშობლიური ენა. უჭირდა ქართულად საუბარი („იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“). ერთხელ ექვთიმე მძიმედ იყო ავად. ავადმყოფს ღვთისმშობელი ეჩვენა და ჰკითხა: რა გტკივა, ექვთიმე? სწულმა უპასუხა: ვკვდები, დედოფალო. ღვთისმშობელმა ანუგეშა იგი: „არარად არს, ვნებაჲ შენ თანა, აღდეგ. ნუ გეშინინ და ქართულად ხსნილად უბნობდი“. ამ სიტყვების მერე ექვთიმე არა მარტო სრულიად განიკურნა, არამედ დიდებული ქართულითაც ამეტყველდა: „მიერთგან დაუყენებლად, ვითარცა წყაროდ აღმოდინ უწმინდეს ყოველთა ქართველთასა“.

ასე მჭიდროდ უკავშირდება, ჩვენი მწერლობის აზრით, ქართული ენა და იესო ქრისტე ერთმანეთს.

მეორე: ქრისტეს კვართი საქართველოში, მცხეთაშია დასაფლავებული. დაკრძალვის ადგილს აგებულა სვეტიცხოველი. მათიანე გვიამბობს, რომ ორი კაცი, ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი, საქართველოდან იერუსალიმს გაემგზავრა. ისინი მაშინ ჩავიდნენ იერუსალიმში, როცა იქ იესო ქრისტე ჯვარს აცვეს. უფლის კვართი, თურმე, მცხეთელ მოქალაქეებს ხვდათ წილად. „ხოლო კვართი იგი უფლისა წილით ხუდა მცხეთელთა: წარმოიღო ელიოზ და მოიღო მცხეთას“ („ქართლის ცხოვრება“, ტ.1, 1955 წ., გვ. 98-99).

მესამე: საქართველო ღმრთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა.

მეოთხე: ბაგრატიონთა სამეფო დინასტია არის იესიან-დავითიან-სოლომონიანი. მოგეხსენებათ, ქართველ მეფეთა ბრძანება-განკარგულებანი, წესისამებრ, იწყება ასე: „ჩვენ იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრატიონმან მეფეთ მეფემან...“ ამრიგად, ქართველი ბაგრატიონები ებრაელ მეფეთა შთამომავლად თვლიდნენ თავს. რატომ? იმიტომ, რომ იესეც, მეც მისი დავით, სოლომონიც მე დავითისი სახარებაში მოხსენიებული არიან ქრისტეს წინაპართა შორის. მაშასადამე, ქართველი ბაგრატიონები და ქრისტე ნათესავები არიან. ეს კი ქართული სამეფო დინასტიის განსაკუთრებულობას მოწმობდა.

ამასთან ერთად, გარკვეულ პერიოდში ქართველი მეფეები „მესიის მახვილად“ იწოდებიან. ისინი დამცველიც არიან და გამავრცელებელიც ქრისტეს მოძღვრებისა.

ქართულ მესიანისტურ იდეას აყალიბებს ქართული საეკლესიო მწერლობა. მისი აზრი მკაფიოა: თუკი საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანაა, ქართული ენა ქრისტეს ენაა, რომლითაც უნდა ელაპარაკოს უფალი კაცობრიობას მეორედ მოსვლის ჟამს, ბაგრატიონები კი ქრისტეს ნათესავები არიან, ცხადია, ქართველი ხალხი საგანგებო, განსაკუთრებული მისიის მატარებელია. იგი მოვალეა ეს მისია აღასრულოს. ქართული ეკლესია, ისტორიის ასპარეზზე, ამ იდეით წარმართავს და ამოქმედებს ქართველ ხალხს.

იბრძოდნენ თუ არა ქართული სამეფო კარი და ქართველი პოლიტიკოსები ამ იდეის პრაქტიკული განხორციელებისათვის? თუ აზრი მხოლოდ აზრად დარჩა და ამით დამთავრდა ყველაფერი? რა თქმა უნდა, იბრძოდნენ. ქართული მატთანე, ქართული მწერლობა ამას გვიდასტურებს.

ჯერ ერთი, როცა დადგა წუთი განესაზღვრათ, რას ეწოდებოდა საქართველო, იგი ქართული ენის საფუძველზე განმარტეს. „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების, ხოლო კუირიელედსონი ბრძულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: „უფალო წყალობა ყავ“, გინა თუ „უფალო შეგუიწყალებ“ (გიორგი მერჩულე – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“). ამ ფორმულაში ისიც მკაფიოა, რას ეწოდება საქართველო და ისიც, რომ ქართული სამყარო ბერძნულ სამყაროსთან დაკავშირებულია მტკიცედ, რაკი „კუირიელედსონ“ ბერძნულად ითქმის.

მეორეც, ყალიბდება ტერმინი „საქართველო“. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში წააწყდებით ჩივილს, რომ ცნება „საქართველო“ შედარებით გვიან გაჩნდა, მაშასადამე, ჩვენი ერთიანი ეროვნული ცნობიერებაც გვიან ჩამოყალიბდა. ეს ჩივილი უსაფუძვლოა. ცნება „საქართველო“ არ გულისხმობს ქართველთა ეროვნულ სახელმწიფოს, იგი მოიცავს იმას, რაც ქართველებს ეკუთვნით, რაც ქართველთა სამფლობელოა, მიუხედავად იმისა, ცხოვრობს თუ არა იქ ნათესავით (ანუ დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, ეროვნულად) ქართველი. მწერალი ამბობს: ყველგან ქართლია, სადაც წირვა-ლოცვა ქართულად მიმდინარეობსო. ამ პერიოდში ქართულად წირვა-ლოცვა მარტო იქ არ ხდება, სადაც ქართველები ცხოვრობენ. ქართულ ეკლესიას უკვე გარღვეული აქვს ეთნიკური საზღვარი. იქაც საქმიანობს, სადაც არაქართველები ცხოვრობენ (სულერთია, რა მიმართულებით იქნება ეს – აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით თუ სამხრეთით). აი, ამ გაფართოებულ, ეთნიკურსაზღვრებგადალახულ ქვეყანას, სადაც ქართულმა ეკლესიამ ქართული წირვა-ლოცვა დაამკვიდრა, ეწოდება საქართველო. ამიტომ „საქართველო“ მარტო ქართული ეროვნული სახელმწიფოს სახელი კი არ არის, არამედ ყველაფერი იმისა, რასაც უკვე ქართველები ფლობენ, ან მომავალში დაეპატრონებიან.

ამ შემთხვევაში „საქართველო“ რელიგიური ტერმინიც არის, რადგან ამ ეპოქაში ეროვნულობა და სარწმუნოება გაიგივებულია. „ქართველი“ მარტო ეროვნებით ქართველს არ ნიშნავს, არამედ ქართული ქრისტიანობის (ანუ დიოფიზიტობის) აღმსარებელსაც, ისევე, როგორც „სომეხი“ არ გამოხატავს მარტო

ეროვნებით სომეხს, არამედ გრიგორიანული ქრისტიანობის (ანუ მონოფიზიტობის) მიმდევარსაც. ამდენად, „საქართველო“ ეწოდება ტერიტორიას, სადაც ცხოვრობენ ადამიანები, რომელთაც სწამთ დიოფიზიტური, ანუ ქართული, ქრისტიანობა.

ტერმინი „საქართველო“ მაშინ ჩნდება, როცა ქართველები იწყებენ ეროვნული ტერიტორიიდან გასვლას და სხვა მიწა-წყლის ათვისებას.

სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, ქართული ქრისტიანობის გავრცელების მნიშვნელობას მოწმობს სომეხი მემატიანის კირაკოს განმარტების ცნობაც. როცა საქართველოს სამეფოს მესვეურებმა ტკბილი სიტყვით და დამაქრული ენით ვერ მოახერხეს სომეხთა ცდუნება და მათი ქართულად მოქცევა, ლაშა-გიორგიმ და ივანე მხარგრძელმა გადაწყვიტესო, – გვიამბობს კირაკოსი, – მათი ძალაუფლების ქვეშ მყოფი ყველა სომხის ქართულ რწმენაზე გადაყვანა, ხოლო იმათი ხმლით მოსპობა, ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა (რუსული თარგმანით: «Обратить в грузинскую веру всех армян, бывших под их властью, а сопротивляющихся истребить мечом».იხ. «История монголов по армянским источникам» вып. II, 1874г. Стр.6-7).

კირაკოს განმარტების ცნობა ტენდენციურად რომ იყოს, მაინც ადასტურებს იმას, რომ ქართული ქრისტიანობის გასავრცელებლად არ ერიდებოდნენ დანაშაულსაც (ხალხის გაჟუჟვასაც) კი.

მესამეც, არჩეული მიზნის განხორციელების გზაზე საქართველო მივა იქამდე, რომ ქართველი მეფის ტიტული იქნება: მეფე აბხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა. ამ ტიტულში უკვე გაერთიანებულია მთელი ამიერკავკასია. ცოტა უფრო მეტიც: შარვანშა გულისხმობს თითქმის დღევანდელ აზერბაიჯანის პატრონობას, ხოლო შაჰანშა იმ სომეხურ ტერიტორიას, რომელსაც მაჰმადიანები ფლობდნენ სამხრეთში (ცოტა ხანს თხრობა უნდა შევწყვიტო და მკითხველს გავახსენო, რომ 1918-21 წლებში საქართველოს ეროვნულ გერბზე. წმ.გიორგისთან ერთად, გამოხატული იყო მზე, მთვარე, და ხუთი ვარსკვლავი. ლეონტი მროველის ცნობის შესაბამისად: წარმართი ქართველები „იქნესო მსახურ მზისა და მთოვარისა და ვარსკულავთა ხუთთა...“ გერბზე შვიდი მნათობი რომ დაინახეს, სომეხ ისტორიკოსებს ეგონათ, საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ქართველ მეფეთა ტიტული გაიხსენა და მთელ ამიერკავკასიაზე აცხადებდნენ პრეტენზიას. ტიტულშიაც ხომ შვიდი სამთავროა მოხსენიებული. ამის გამო მათ პროტესტი განაცხადეს. არ გაითვალისწინეს, რომ იმ გერბზე გამოხატული მნათობნი ლეონტი მროველის ცნობას იხსენებდნენ და არა ქართველ მეფეთა უკვე დავიწყებულ ტიტულს). მერე ამ ტიტულს დაემატება – ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმპყრობელი. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ ქართული სახელმწიფო აზრი მიდის ორთავიანი არწივის იდეამდე. ბიზანტიის იმპერიის გერბი იმიტომ იყო ორთავიანი არწივი, რომ იგი (ბიზანტია) აცხადებდა პრეტენზიას როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მფლობელობაზე. ამავე იდეით და პრეტენზი-

ით წამოიღებენ ბიზანტიიდან მოგვიანებით რუსებიც ორთავიან არწივს საკუთარ გერბად.

თეორიული აზრი და პრაქტიკული საქმიანობა გაერთიანდა. ფორმულაც ჩამოყალიბდა: ერთიანი კავკასია საქართველოს მეთაურობით. ამ იდეის თავკაცებად და პრაქტიკულ განმხორციელებლად ქართველ მემატიანეებს მიაჩნიათ ვახტანგ გორგასალი და დავით აღმაშენებელი. ამიტომ ისინი ხდებიან ქართული პოლიტიკური აზრის სიმბოლოებად: ტახტი ვახტანგეთი, საყდარი დავითიანი, დროშა გორგასლიანი და დროშა დავითიანი. თუმცა, ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა ამ იდეისათვის გვეწოდებინა **დავითიზმი**, რადგან დავით აღმაშენებელის მეფობა და საქმიანობა ყველაზე უკეთ გამოხატავს მის არსს.

ქართული პოლიტიკური იდეა რომ სრულად განხორციელდეს, აუცილებელია ბიზანტიის გავლენისაგან თავდაღწევა, მართალია, ვახტანგ გორგასალი ანდერძად ტოვებს, – „სიყვარულსა ბერძენთასა ნუ დაუტევეთ“, – მაგრამ ქართველი მოღვაწეები ნათლად და გარკვევით ხედავენ, რომ ბიზანტია თანდათან სუსტდება, კნინდება და უძლურდება. თუ საქართველოს საკუთარი ეროვნული ენერჯის გამოვლენა უნდოდა, იგი უნდა განთავისუფლებულიყო ბიზანტიის მეურვეობისაგან. ბიზანტიის უარყოფა აბეზარი მეურვის მოცილებასაც ნიშნავდა და უმოკავშიროდ დარჩენასაც. არადა, ჯერ მოკავშირე აუცილებელი იყო. ქრისტიანული ქვეყნისათვის ასეთი მოკავშირე მხოლოდ კათოლიკური დასავლეთი შეიძლებოდა ყოფილიყო. ეს არჩევანი მით უკეთესი იქნებოდა, თუ დადასტურდებოდა, რომ იქ მართლაც ქართველთა ნათესავი სახლობდა. და იოანე მთაწმიდელი დააპირებს ნიადაგის მოსინჯვას. განზრახვა ვერ განხორციელდა. იოანე არ გაუშვეს ესპანეთად. განშორების მწუხარებას ვერ გადავიტანთო, შეწუხებულან იმპერატორები ბასილი და კონსტანტინე („იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება“). პოლიტიკისათვის უცხო და შეუფერებელი მიამიტობა და გულჩვილობაა გამოვლენილი. თუმცა ორივე მხარემ კარგად იცის, რას აკეთებს და რატომ. გასხიპული დიპლომატიური თავაზიანობით მალავენ გულის ფიქრს. საქართველო ევროპისაკენ გაპარვას ცდილობდა. ბიზანტია უკეტავდა კარს.

თუ მამად იოანე მორიდებულ ნაბიჯს დგამს, გიორგი მთაწმიდელი აშკარად და დაუფარავად მოქმედებს. იგი იმპერატორ კონსტანტინე მეათე დუკას ეუბნება – ბერძნები მრავალგზის განდგომიან ქრისტიანობას, ხოლო ჩვენ, რაკილა ერთხელ ვირწმუნეთ იგი, არასოდეს გვიღალატიაო („გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“). გიორგი ქართული ეკლესიის უპირატესობის ქადაგებით არ კმაყოფილდება. კათოლიციზმის უკეთესობასაც იქვე იღიარებს: „ხოლო ჰრომთა, ვინაათგან ერთგვის იცნეს ღმერთი, არღარა ოდეს მიდრევილ არიან და არცა ოდეს წვალებაჲ შემოსრულ არს მათ შორის“. როგორ, გიორგი მთაწმიდელმა არ იცოდა, რომ კათოლიკურ ეკლესიასაც ისევე აწამებდა ერესი, როგორც მართლმადიდებლობას? რა თქმა უნდა, იცოდა, მაგრამ ახლა, პოლიტიკურ-რელიგიურ თვალსაზრისით, საქართველოსათვის ასეა საჭირო. აუცილებელია კათოლიკური ეკლესიის გულისმოგება და არც გიორგი იშურებს ქების სიტყვას.

მართლაც, კმაყოფილებით სავსე რომაელები მაშინვე შეჰპირდნენ ქართველ ბერს – „წარგიყვანთო წინაშე წმიდისა პაპასა“.

ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც დიდმა მთაწმიდელებმა დაიწყეს, თამარის დროს დასრულდება. ამას მარტო ქართველთა გავლენის ქვეშ მყოფი ტრაპიზონის იმპერიის შექმნა კი არ მოწმობს, არამედ სხვა ფაქტებიც.

თუ თამარამდე ქართული სამოხელეო ტერმინები ქართულ-ბერძნული წარმომავლობის არის, თამარი ახალ მაღალ თანამდებობას ქმნის და მას თურქულ სახელს დაარქმევს – ათაბაგი. რატომ? თამარი „დასავლეთის და აღმოსავლეთისა თვითმპყრობელია“ და ეს სამყარო ბუნებრივად უნდა შემოვიდეს ქართულ ცნობიერებაში.

თუ მეთერთმეტე საუკუნემდე არსებითად მხოლოდ ბერძნულენოვანი სამყაროდან ითარგმნება წიგნები ქართულად, უცბათ (ყომელ შემთხვევაში დღეს არსებული მასალების მიხედვით) იწყება გაცხარებული ლიტერატურული საქმიანობა სპარსულენოვანი მწერლობის სათარგმნელად (საბუთად თუნდაც „ვისრამიანი“ დავასახელოთ). ისიც, „ვეფხისტყაოსანში“ რომ აღმოსავლური სამყაროა დახატული, ჩემი ფიქრით, იმას გულისხმობს, რასაც აღმოსავლეთის შეცნობა-გაშინაურება შეიძლება ვუწოდოთ. ქართულმა ორთავიანმა არწივმა თანაბრად უნდა მოავლოს თვალი დასავლეთსა და აღმოსავლეთს. სხვაწაირად ტიტული – „დასავლეთისა და აღმოსავლეთის თვითმპყრობელი“ ცარიელი სიტყვა იქნება.

ქართული პოლიტიკა მარტო დასავლეთისა და აღმოსავლეთისაკენ არ იყურება. რაკი ამიერკავკასია გაერთიანებულია, ქართულმა სახელმწიფომ კავკასიონის ჩრდილოეთითაც უნდა გადაიხედოს. ჩრდილოეთი არის ქვეყანა, რომელსაც ისეთივე პრეტენზია აქვს ბიზანტიის მემკვიდრეობისა, როგორც საქართველოს. თუ ბიზანტიის მემკვიდრეობის ორი მაძიებელი შეერთდება. მაშინ უთუოდ და უთუმცაოდ შეიქმნება უძლეველი ქრისტიანული სახელმწიფო. ქართველი პოლიტიკოსები გადასწყვეტენ თამარის ქმრად რუსი უფლისწული მოიწვიონ. ქორწინება მოხდა, მაგრამ იური ბოგოლუბსკი, ანუ გიორგი რუსი, ის კაცი არ გამოდგა, ვისაც ქართული სამეფო კარი ეძებდა. მას უფრო მეტი სურვილი და ნდომა აღმოაჩნდა, ვიდრე მისთვის იყო გათვალისწინებული. გიორგი რუსი გააძევეს, მაგრამ ორიენტაცია არ შეცვლილა. მეორე ქმარიც ჩრდილოეთიდან მოიყვანეს. ამჯერად ქართველთა ნათესავი, ოსი უფლისწული დავით სოსლანი. ქართული ეკლესია ჩრდილოეთში უკვე ფეხმოდგმულია. თამარის და დავითის ქორწინებით ამიერ და იმიერ კავკასიის პოლიტიკურ შეერთებასაც ეყრება საფუძველი.

თავის ძეს თამარი თიკუნად „ლაშას“ უწოდებს. „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორი გვეუბნება – ლაშა, აფსართა ენითა, განმანათებლად სოფლისა ითარგმნებაო. ესეც პოლიტიკურ-რელიგიური აქტია: იმიერკავკასიის მოსახლეობის გულისმოსაგებად მომავალ ხელმწიფეს ორი სახელი ჰქვია – ქართველთა სადიდებელი წმიდანისა და იმიერკავკასიელთა წარმართული ღვთა-

ების: ლაშა-გიორგი, ანუ ნათელი გიორგი, რაც თეთრი გიორგის ასოციაციას იწვევს.

ასე რომ, იდეა უკვე არსებითად საქმედ არის ქცეული. მაშინ გაბედავს ქართველი მწერალი და იტყვის: „აქა კულა სამებისა თანა იხილვების ოთხე-ბად თამარ, მისწორებული და აღმატებული“.

ქართული მწერლობის პირით იქნა გაცხადებული ქართული პოლიტიკური იდეალი ისევე, როგორც ძალიან გვიან, მე-19 საუკუნეში, თედორე ტიუტჩევის კალმით იქნება გამოხატული რუსეთის პოლიტიკური მისწრაფება.

Москва и град Петров и Котснантинов
Вот царства русского заветные столицы...
Но где предел ему? И где его границы –
На север, на восток, на юг и на закат?
Грядущим временам судьбы их обличат!...
Семь внутренних морей и семь великих рек...
От Нила до Невы, от Эльбы до Китая,
От Волги по Евфрат, от Ганга до Дуная...
Вот царство русское... и не прейдет вовек,
Как то провидел Дух и Даниил предрек

რა თქმა უნდა, დანიელის წინასწარმეტყველებაში არავითარ რუსეთზე არ არის ლაპარაკი. იქ საუბარია ღმერთის მიერ შექმნილ მარადიულ სამეფოზე. „და მათი მეფობის დღეთა შინა ცის ღმერთი აღადგენს სამეფოს, რომელიც არ დაინგრევა არასოდეს, და სამეფო იგი არ მიეცემა სხვა ერს, და დაამხოვს და დააქცევს იგი ყველა სხვა სამეფოს, თავად კი იარსებებს სამარადისოდ“ (დანიელი, 11, 44). რუსული მესიანისტური იდეა რუსეთს აკავშირებდა ამ მარადიულ სამეფოსთან, რომელიც ღმერთის მიერ იყო შექმნილი. მესიანისტურ იდეას საბუთი არ სჭირდება. იგი ემყარება განსაკუთრებულობის რწმენას.

ისტორიული ბედუკუღმართობის გამო საქართველომ ვერ მოახერხა პოლიტიკური ოცნების განხორციელება. მონღოლთა შემოსევამ იავარჰყო არა მარტო ქართული სახელმწიფო, არამედ მოსპო ქართული მესიანისტური იდეაც. ამით იყო ყველაზე ტრაგიკული მონღოლთა ბატონობის შედეგი ჩვენში. როცა ჟამთააღმწერელი განაქიქებს ლაშა-გიორგის, აკნინებს და ამცირებს მას, ეს მარტო ერთი ხელისუფლის, თუნდაც დამნაშავეის, კრიტიკა და მხილება არ არის. იგი დავიწყებაა იმ იდეალისა, რომელთანაც დაკავშირებულია ლაშა-გიორგი, საფუძვლიანად თუ უსაფუძვლოდ. ძამთააღმწერელი უარჰყოფს ქართულ მესიანისტურ იდეას. შემოაქვს ახალი – ცოდვისა და გამოსყიდვის იდეა. მისი აზრით, ქართველობა იმიტომ დამარცხდა, რომ მათ ქრისტიანული სათნოება უარჰყვეს, გადიდგულდნენ და გაყოყოჩდნენ. ერთიანად მიეცნენ ცოდვას. ღმერთმაც სასჯელად მონღოლთა ბატონობა მოუვლინა. ცოდვილ ხალხს ისღა დარჩენია, იფიქროს და იზრუნოს ცოდვის გამოსყიდვაზე. რად უნდა იმას

მტკიცება, რომ ცოდვილი ველარ გაბედავდა ოცნებას მაღალი მისიის შესრულებაზე, ველარ ჩათვლიდა თავს განსაკუთრებულად და ველარც სხვის წინამძღოლობას იკისრებდა.

მართალია, ბაგრატიონები ისევ თვლიან თავს იესიან-დავითიან-სოლომონიანად, მაგრამ ველარავინ ბედავს „მესიის მახვილად“ იწოდებოდეს.

თამარი ბოლომდე დარჩება შარავანდედით მოსილი, მაგრამ არავინ გაიხსენებს, რომ იგი სამეხის მეოთხე წევრია. ასეთი მკრეხელობის გაბედავა უკვე აღარ ძალუბთ.

რელიგიურ-პოლიტიკური ცნება „საქართველო“ იმდენად შეიკუმშება და დაპატარავდება, რომ ერთი პროვინციის სახელს – ქართლს – გაუთანაბრდება. ვახტანგ VI რუსეთს წავიდა და „ბევრი ვინმე წარყვინ საქართველოსი და კახეთის დარბაისელნი...“ ამის დამწერს უკვე არავითარი წარმოდგენა არა აქვს – რას ნიშნავს „საქართველო“. ეს არ არის ცალკეული შემთხვევა. ასე წერენ წამდაუწუმ. თუმცა თითო-ოროლას ესმის ცნება – საქართველოს – აზრი და მნიშვნელობა, მაგალითად, ვახუშტი ბატონიშვილს. ამას მოწმობს მისი წიგნიც და მისი რუკაც.

ჰიმნი „ქებად და დიდებად ქართულისა ენისად“ ისე დაიკარგება, რომ მას მხოლოდ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში აღმოაჩინენ (ხომ ვითომ შემთხვევითობაა ეს, მაგრამ თუ დავფიქრდებით, ღრმა კანონზომიერებას დავინახავთ. როცა ქართულმა ეროვნულმა აზრმა აღორძინება დაიწყო, ის ჰიმნიც იპოვეს, რომელიც სწორედ ეროვნული თვითშეგნების მქადაგებელი იყო). მისი თემა კი მონღოლთა შემდეგდროინდელ ქართულ ჰიმნოგრაფიაში არ შეგხვდებათ.

მართალია, არ დავიწყებიათ, რომ საქართველო ღმრთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანაა, მაგრამ ამას ქართველთა უპირატესობის დასამტკიცებლად აღარ იყენებენ. დედაღვთისას ოდენ შველისა და დახმარებისათვის მიმართავენ.

თუ გიორგი მთაწმინდელი ამაყად ეუბნება ანტიოქიის პატრიარქს – „წმიდაო მეუფეო, შუენის ესრეთ, რადთა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერარს, რადთა დაემორჩილოს მწოდებელსა თუისსა და მმასა ანდრეას და რადთა თქუნენ ჩუნენ დაგვემორჩილნეთ“,¹ – მე-18 საუკუნის ქართულ ეკლესიაში „გამტკიცებული იყო რუსოფილური მიმართულება და გატაცება. ჩვენში ცდილობდნენ უცვლელად გადმოენერგათ რუსული საღვთისმსახურო წესები და ტრადიციები“ (კ.კეკელიძე – ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.1. 1941 წ., გვ. 328).

არც პირენეის იბერიისადმი ინტერესი დაკარგულა მონღოლების შემდეგდროინდელ საქართველოში, მაგრამ, თუ იოანე მთაწმინდელი თავად აპირებდა წასვლას ესპანეთში, საკუთარი თვალით ხილვას და ჭეშმარიტების შეტყობას, მე-18 საუკუნის მოღვაწე ტიმოთე გაბაშვილი ბერძენ ბერს ევგენიოსს ეკითხება – „ვითარ და რისთვის ქართველთა შპანია ეწოდების და შპანიელთა ქართველი?“ აღბათ, ბერძენი ბერისაგან მოსმენილმა პასუხსმა დააკმაყოფილა ტი-

მოთე, რაკილა მერე ამ საკითხზე აღარაფერს ამბობს. არც რაიმე ეჭვს გამოთქვამს.

ევგენიოსმა კი ეს უთხრა ქართველ მიტროპოლიტს:

„...ჟამსა ალექსანდრე მაკედონელისასა შპანიელი მრავალნი მისრულან ქართლად, და კვალად ჟამთა ოხრებასა ქართლისასა. ქართველნი მეფე და დიდებულნი წასულან შპანიად, და მათნი მეფენი და მთავარნი ნათესავნი არიან ქართველთა, და მდინარესაცა მათსა ქართველეთი ეწოდება. ხოლო მე მსმენოდეს ქართლით, ვითარმედ ალექსანდრე მაკედონელმან აღიღო ქართლიო და მცველნი ფრანგნი განაწესაო ქართლად, და აწ აზნაურნი დანაშთომნი, მუნიტგან არიანო...“ (ტ.გაბაშვილი – მიმოსვლა, 1956 წ., გვ. 50).

აქ უკომენტაროდაც ნათელია, რაოდენ ოცობედა პასუხია ეს და ამიტომ არას მოგახსენებთ. უფრო საინტერესოა ბერძნის პასუხისადმი მიტროპოლიტი მოთეს დამოკიდებულების ფსიქოლოგიური მომენტი. იოანე მთაწმიდელს შემოწმება სურს, ე.ი. სურს ნამდვილი ცოდნა (საკუთარი თვალით და ყურით შემოწმებაა ნამდვილი ცოდნის საფუძველი). ტიმოთეს მოსმენილი პასუხი აკმაყოფილებს. ე.ი. ბერძნის ავტორიტეტი უთანაბრდება შემოწმებას. ავტორიტეტის შეუმოწმებლად დაჯერება კი ცრუ ცოდნის საძირკველია. აქვე ვლინდება ბერძნის მიმართ ძველი მოკრძალებისა და თავდახრის მავნე ტენდენცია, რის წინააღმდეგაც იბრძოდნენ მთაწმიდელები. როგორც ჩანს, მთაწმიდელთა მოღვაწეობამ ბერძენთა უპირატესობის გრძნობის სრული ამოძირკვა ვერ მოახერხა. ქართველთა გულის სიღრმეში იგი მაინც დარჩენილა და, დრო და დრო, ისევ იჩენდა თავს.

რა თქმა უნდა, ისევ სჯეროდათ, რომ ქრისტეს კვართი ქართულ მიწაში განისვენებს, მაგრამ ეს აღარ ხდება ქართული მწერლობის ფართო განსჯის საგანი.

ამასთან დაკავშირებით, ერთ უცნაურსა და აუხსნელ საკითხს მინდა ყურადღება მიაქციოს მკითხველმა. ქრისტეს კვართი და გრალი განუყრელია. იოსებ არიმათიელმა კვართიდან გამოწურული სისხლი უფლისა დააგროვა თასში. ქრისტეს სისხლით სავსე ამ თასს ეწოდა გრალი. XI-XV საუკუნეების ევროპული ლიტერატურა გრალის თემით არის სავსე. ქართულ მწერლობაში კი გრალის თემა მე-20 საუკუნეში გამოჩნდება: გალაკტიონის „მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა, ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები, იგი ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით, ფრთებით დაიფარე – ამას გევედრები“ და გრიგოლ რობაქიძის „გრალის მცველნი“. ეს უკავშირდება XIX-XX საუკუნეების ევროპულ ლიტერატურაში გრალის თემის ხელახალ აღორძინებას. ნუთუ მართლა არ არსებობს ძველ ქართულ მწერლობაში გრალის თემა, თუ სათანადოდ არ შეგვისწავლია? გერმანელი მეცნიერი ჰერმან ფონ სკერსტი წიგნში – „გრალის ტაძრები კავკასიაში. თაურქრისტიანობა სომხეთსა და საქართველოში“ („Der Gralstempel im Kaukasus. Urchristentum in Armenien und Georgien“) – ამტკიცებს გრალის ტაძრების არსებობას ამიერკავკასიაში. კერძოდ, როცა იგი სვეტიცხოვლის ტაძრის აშენების ლეგენდას ანალიზებს, გვეუბნება, რომ ამ

გადმოცემის შინაარსი ანთროპოსოფიის მოშველიებით უნდა ამოვიცნოთ. როდესაც გოლგოთაზე მაცხოვრის ჭრილობებიდან სისხლი მოწვეთავდაო, – დასძენს იგი, – მოხდა ქრისტეს მისტიკური დაკავშირება დედამიწასთან. იესო ნაზარეტელის ეთერული სხეულის, ასტრალური სხეულის და მე-ს ხატი მრავალმხრივ და მრავალნაირად არსებობს სულიერ სამყაროში. ქრისტეს ეთერული, ასტრალური სხეულებისა და მე-ს პირები (კოპია) არის წმ.ავგუსტინეში, თომა აქვინელში, ფრანჩესკო ასიზელში და სხვებში. სკერსტს მიაჩნია, რომ ასევე წმ.ნინოში გადმოსულია, ქრისტეს ეთერული, ასტრალური სხეულებისა და მე-ს ხატი. სვეტიცხოვლის ტაძარიც გრალის ტაძარია, რაკი იგი, წმ.ნინოს მითითებით, იმ ადგილას არის აშენებული, სადაც ქრისტეს კვართი დაიმარხა. თუ ჩვენ ამ შეხედულებას გავიზიარებდით, მაშინ შეიძლებოდა გვეთქვა, რომ წმ. გრალის პოეტებია, რუსთველი, დ.გურამიშვილი, ნ.ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი და ზოგიერთი სხვაც [შემთხვევითი არ არის, რომ გ.რობაქიძის რომანში – „გრალის მცველი“ – სულიერი ფასეულობის მცველთა შორის გამოყვანილი ჰყავს (ცხადია, შეცვლილი სახელებით) პაოლო იაშვილი, ტიცინი ტაბიძე, კოტე მარჯანიშვილი, შალვა დადიანი და სხვანი. სხვათა შორის, სკერსტის წიგნში მოტანილია ციტატი გ.რობაქიძის ამ რომანიდან]. თუ ამ თვალსაზრისით შევისწავლით ქართულ მწერლობას, მაშინ გამოდის, რომ გრალიც გამჭოლი თემაა ჩვენი ლიტერატურისა. მართალია, გრალის თემა ქრისტიანული იდეალების დაცვას, მოვლა-პატრონობას ითვალისწინებდა, ამ იდეალისთვის რაინდულ თავდადებას გულისხმობდა, მაგრამ, სკერსტის სიტყვით, იგი წინარექრისტიანულ ხანაშიც არსებობდა. მის კვალს ეძებს არგონავტებისა და პრომეთეს (ამირანის) მითში. კავშირს ეძებს ოქროს საწმისსა და გრალს შორის. შეიძლება გაკვირვებულმა მკითხველმა წამოიძახოს – საიდან სადაო. როგორ, რატომ? მაგრამ ვიდრე რაიმეს უარვყოფდეთ, მანამდე სჯობს შევისწავლოთ პრობლემა. მეც ამ მიზნით დავსვი ეს საკითხი. მით უმეტეს, რომ ოქროს საწმისის მოტაცების სრულიად თავისებურ ინტერპრეტაციას იძლევა რუდოლფ შტაინერი.

ოქროს საწმისი უზენაესის ამაღლებულის სიმბოლოა. ადამიანი (ე.ი. იაზონი) ისწრაფვის უზენაესისაკენ (ე.ი. ოქროს საწმისისაკენ). უზენაესისა და ამაღლებულის წვდომა კი ადამიანს შეუძლია მხოლოდ სიბრძნით, გონიერებით. იაზონმა ოქროს საწმისი მედეას დახმარებით მოიპოვა. მაშასადამე, მედეა სიბრძნეა, გონია, ლოგოსია. მაგრამ უზენაესთან ზიარება უმსხვერპლოდ არ შეიძლება, მიზანს სიბრძნის, გონიერების ნაწილი უნდა შეეწიროს. ეს მსხვერპლია მედეას ძმა აფსირტე (ე.ი.ლოგოსის ნაწილი). თუ გავიზიარებთ მედეას ამგვარ გააზრებას, მაშინ სრულიად ბუნებრივია ქალის კულტი ჩვენში. ქართული აზრით, რაც კი დიადია, ქალს უკავშირდება. საქართველო ქალის წილხვედრია – მარიამ ღვთისმშობლისა, ქართველთა გამანათლებელი და ქრისტიანობად მომქცევი ქალია – ნინო, დიდი საქართველოს შემქმნელი დავით აღმაშენებელია, მაგრამ მისი სიმბოლო და ხატი ქალია – თამარ მეფე. ერისა და

ქვეყნისათვის თავგანწირვის და წამების უდიადესი მაგალითი ქალმა გვიჩვენა – ქეთევან დედოფალმა.

თუ ყოველივე ამას ღრმად ჩავუკვირდებით, შევისწავლით (რაც მომავლის საქმეა), მაშინ, შეიძლება სხვა სურათი წარმოგვიდგეს თვალწინ და არც ძალიან გაგვიკვირდეს ჰერმან ფონ სკერსტის შეხედულება; ოქროს საწმისი და გრალი ერთმანეთს უკავშირდება.

მართალია, წინარექრისტიანული ხანის ქართულ კულტურას ცუდად ვიცნობთ (რატომღაც არგონავტების მითში არ გვინდა დავინახოთ ქართული კულტურის გამონათება), მაგრამ ის კი კარგად ვიცით, რომ, გაქრისტიანების შემდეგ, ჩვენი ხალხი პირნათლად ემსახურებოდა ჯვარცმული ღმერთის იდეალებს. ასე იყო მონღოლთა შემოსევამდე და მის შემდეგაც.

მონღოლთა შემოსევის შემდეგდროინდელი ისტორია ქართველი ხალხისა სწორედ ერთიანი, განუწყვეტელი ბრძოლაა ქრისტიანული იდეალების შესანარჩუნებლად და დასაცავად. იბრძვიან არა მარტო ხმლით, არამედ კალმითაც. ქრისტიანული კონცეფციით არის გაჟღენთილი არა მარტო ორიგინალური თხზულებანი, არამედ სპარსულიდან ნათარგმნიც, ანდა მიბადვით დაწერილი. თუ მეფე არჩილი „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებაში“ ღმერთს მიმართავს – „სამგვამოვანო ღვთაებავ, ერთმანეთს არ შემდგომისო, მამავ მშობელო ძისაო, გამომვლენელო სულისო, ერთხელმწიფეზავ, ერთნებავ, სამხატო, ერთ-ღვთაებისო...“ – თეიმურაზ პირველი უზენაესს „ლეილმაჯუნთანში“ ევედრება – „ღმერთო..., არსისა არაარსისა სიტყვით დამბადე მქნელობით...“ როგორი აღტაცებულიც უნდა იყვნენ სპარსული ენითა და ლიტერატურით („სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი“, – როგორც აღიარებდა თეიმურაზ პირველი), მაინც ერთგულად, რწმენით და თავდადებით ემსახურებიან სიტყვა-ღმერთს, სამპიროვან ერთარსებას. ასეთ ვითარებაში გრალის თემას არსებითი მნიშვნელობა შეიძლებოდა ჰქონოდა. მომდევნო ხანაში ამას გვერდი ავუარეთ? თუ, რაკი ქართული მესიანისტური იდეა დავივიწყეთ, გრალის თემამაც აღარ დაგვაინტერესა? კითხვებს, ალბათ, მომავალში გავცემთ პასუხს.

აღორძინების ხანის მწერლობა დიდ ყურადღებას მიაქცევს ისტორიას. შეიქმნება გალექსილი მატრიანები. არჩილ მეფე იქნება თუ დავით გურამიშვილი, იოსებ ტფილელი თუ იესე ტლაშაძე, ფემანგი თუ სხვანი, გვიამბობენ როგორც მთელი ქვეყნის, ისე ცალკეულ ისტორიულ პირთა თავგადასავალს. მათ ნაამბობს ახლავს ერთი, საერთო დამოკიდებულება ქართველთა ისტორიული ცხოვრებისადმი. ეს ის დამოკიდებულებაა, რომელიც ჟამთააღმწერელმა გამოავლინა: ჩადენილია ცოდვა და და ყველა შემოსევა-დარბევა სასჯელია ღვთით მოვლენილი.

*„მათ ღმერთსა სცოდეს, ღმერთმან მათ
პასუხი უყო ცოდვისა,
ცა რისხვით შუვა განიპის,
ქვეყანა შეიძროდისა...“*

/დ. გურამიშვილი)

მერე დახატულია თითქმის აპოკალიპსური სურათი ჩვენი ყოფისა (იმდენად დიდია ჩადენილი ცოდვის შიში, რომ მე-20 საუკუნის პოეტსაც კი წამოცდება: „ასეთი ცოდვა რა ჩაიდინე, ჩემო სამშობლოვ, მინდა ვიცოდე, რომ ამოდენა ცეცხლი დაგჭირდა და მეც ამ ცეცხლით უნდა ვიწოდე, რომ განთხევინეს ამდენი სისხლი, არ შეგიბრალეს, არ შეგიცოდეს?!“ კ.ნადირაძე).

ამ ვითარებაში ვისღა გაახსენდება საქართველოს ისტორიული მისია? ჯვარცმული ღმერთის ხატის პარალელურად ჩვენს მწერლობაში ჩნდება ჯვარცმული პიროვნების, ჯვარცმული ქვეყნის სურათი. ყველა მწერალს – იქნება თეიმურაზ პირველი თუ არჩილი, სულხან-საბა თუ დავით გურამიშვილი, ვახტანგ მეექვსე თუ თეიმურაზ მეორე, ბესიკი თუ ალექსანდრე ამილახვარი – ტრაგიკული ბედი აქვს. რა ჰქნას ადამიანმა, თუკი ღმერთკაციც ჩივის: „ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა აღმიმართეს საკვდად ჯვარი?“ (ვახტანგ VI). რომც არ გინდოდეს, მაინც შემოგეპარება სასოწარკვეთილება. თითოეული ადამიანის ბედში აისახება ქვეყნის ბედიც. ქვეყანაც, ხალხიც უმძიმეს მდგომარეობაშია. ქართველი ხალხის თავზე ცეცხლის კვერი ტრიალებს. ამ ურთულეს ვითარებაში ქართული მწერლობა „ვეფხისტყაოსნისაკენ“ მიბრუნდება.

*„როდესაც ბრძენმა რიტორმან
შოთამ რგო იგავთ ხეო და,
ფესვ ღრმა-ჰყო, შრტონი უჩინა,
ზედ ხილი მოიწოდა.
ორგ ზითვე ნაყოფს მისცემდა,
ვისგანაც მოირხეოდა...“*

/დ.გურამიშვილი)

ქართული მწერლობის განახლების ეპოქა რუსთაველს საგანგებო გულისყურით ეპყრობა. სულერთია, „ვეფხისტყაოსნის“ გამგრძელებლები იქნებიან ისინი, თუ უაღრესად თავისთავადი შემოქმედნი. წამდაუწუმ ახსენებენ, იმოწმებენ, აქებენ (ნოდარ ციციშვილი: „მისის ლექსების მკითხველსა სხვა რადმცა მოეწონება?“), ებაასებიან, ეპაექრებიან, ზოგჯერ გიობასაც აკადრებენ („უყურე ბრიყვსა მესხსა და ამაცსა, შეუპოვარსა, რაღას გელაყბო ჯავახსა, ღარიბსა, შეუპოვარსა...“), მაგრამ რუსთაველის განსაკუთრებულობა ყველასათვის უდავოა, რა თქმა უნდა, რუსთაველის მიმართ ინტერესი გამოწვეულია იმით, რომ გენიალური პოეტი მათ ბუნებრივად აჯადოებს და იზიდავს. მაგრამ ამ თავყანისცემაში არის რაღაც სხვაც. კერძოდ ის, რომ რუსთაველი იმედია ეპოქაში, როცა მწერლობა სავსეა სოფლის სამდღურავით. ჰო, მართალია, „ვეფხისტყაოსანშიც“ არის სოფლის სამდღურავი. თუნდაც ესენი:

„იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია“...

*„ვა სოფელმან სოფელს მყოფი ყოვლი დასვა ცრემლთა
დენად!“...*

*„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა?“*

მაგრამ, ამის გვერდით, „ვეფხისტყაოსანში“ არსებობს მტკიცე რწმენა: „მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა“. სოფლის უსამართლობას ღმერთი შეცვლის სამართლიანობით. სოფლის ბოროტი შეიცვლება ღმერთის კეთილით. რუსთაველისათვის ბოროტში ღმერთის ხელი არ ურევია („რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკბილად მხედსა? ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?“). თეიმურაზ პირველისათვის კი სხვაგვარად არის საქმე. მეფის მუნათი მარტო სოფელს არ ეკუთვნის, ღმერთსაც. ადამიანის დაცემა თვინიერ ღმრთისა არ ხდება

*„ღმერთო, ცისა და ქვეყნისა, საბრუნავითა მაქცეო,
ზე ამართულთა ყოველთა დამცემო, გარდამაქცეო,
ზოგჯერ ჭირს ლხინად, ლხინს ჭირად შემცვლელო,
გარდამაქცეო...“*

მე რა შუაში ვარო, თავს იმართლებს სოფელი არჩილ მეფის „კაცისა და სოფლის გაბაასებაში“. ორივე ღმერთის შექმნილი ვართ და მის განკარგულებას ვემორჩილებითო.

*„მიკვირს, კაცო, ცუდს სიტყვასა რისთვინ ზრახავ, გონიერო,
პირმეტყველო არ პირუტყვო, მსგავსო ღვთისა, შვენიერო,
ერთისაგან შემოქმედის ორნივ ქმნილვართ, მიწიერო,
შენ უფალი, მე ვარ მონა, ბრძანებაა მის მიერო...“*

რაკი ადამიანიცა და სოფელიც ღმერთის შექმნილია, ბუნებრივად გამოდის, რომ ამქვეყნად არსებული ბოროტი უზენაესის თვინიერ ვერ იქნებოდა.

თეიმურაზ მეორის „დღისა და ღამის გაბაასებაშიც“ მკაფიოდ ვერ გამოიკვეთა, რა სჯობს – ბნელი თუ ნათელი, ღამემ არსებითად იმდენივე ქველობა დაასახელა თავის სასარგებლოდ, რამდენიც – დღემ. მართალია, კამათი იმით დასრულდა, რომ დღემ ბრძანა:

*„ოდეს იქმნეს აღსასრული განსჯად ქრისტე გარდმოხდების,
მის წინაშე სამართალი ყველა დღისით გარიგდების,
თუ არ მარტო ჯოჯოხეთში, ბნელი ყველგან განქარდების,
ღამე სრულად უჩინოა, ღვთის მადლითა განათლდების“.*

მაგრამ ქრისტე-ღმერთიც, ღამის განცხადებით, „გარდამოხდა სიტყვა ღვთისა: „მისგან განხორციელდების!“ ღამით იყო ეს ხარება, შობაც ღამით გამოჩნდების“, ანდა „ბეთლემს შუალამეს იშვა მეუფე და ღმერთი ჩვილად“.

სკეპსისისა და მერყეობის ხანაში რუსთაველი ურყევი საყრდენია. კეთილის რწმენა, „ვეფხისტყაოსანში“ ნათელყოფილი, ბოროტის არასუბსტანციურობა, ის იმედია, რომელზეც უნდა აშენდეს როგორც კერძო პიროვნების, ისე მთელი ერის მომავალი ბედ-იღბალი, თუ მეტი არა, ყოველმა კაცმა ის მაინც უნდა შესძლოს, რომ „სახელის ხე საჩრდილობლად წყლისა პირსა სამე დარგოს“ (ვახტანგ მეექვსე).

XVII-XVIII საუკუნეებში „ვეფხისტყაოსანმა“ განუზომელი და აუწონელი როლი შეასრულა ქართული სულის აღორძინებაში. სრულიად არ იყო შემთხვევითი ამ ეპოქის მწერლების რუსთაველის გარშემო ტრიალი, მის ირგვლივ პაექრობა, მისი პოემის გაგრძელებების წერა. როცა დაწვრილებით, დეტალ-დეტალ იქნება შესწავლილი „ვეფხისტყაოსანი“ და XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს სულიერი ცხოვრება, ყველა, ყოველივე ეჭვის თვინიერ, დავინახავთ, რაც გააკეთა რუსთაველის პოემამ.

მართლაც, ნელ-ნელა თავს აღწევენ უიმედობას. ეროვნული ენერგია ახალ ძალას იკრებს. ბრძოლა უშედეგოდ არ რჩება. როცა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარს თვალს გადავავლებთ, მკაფიოდ ვხედავთ სამ მოვლენას.

პირველი: საქართველომ საკუთარი ძალ-ღონით დააღწია თავი ისლამურ ჩიხს. ეს არის ერეკლე მეორისა და სოლომონ პირველის უპირველესი და უდიდესი ღვაწლი ჩვენს ისტორიაში. მე-18 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში სპარსულ-თურქული აგრესია საბედისწერო უკვე აღარ იყო. მათ კიდევ შეეძლოთ, ცხადია, საქართველოსათვის ზიანის მიყენება, მაგრამ სპარსეთ-თურქეთი აღარ იყო მოურეველი ყისმათი. საქართველოს უკვე ვეღარ ემუქრებოდა წალეკვით ისლამური სამყარო.

მეორე: ჩვენმა ხალხმა დაიცვა და შეინარჩუნა ქართული კულტურის ქრისტიანული ხასიათი. არ დაიშალა ჩვენი პოლიტიკურ-სოციალური და კულტურული ისტორიის მთლიანობა-ერთიანობა. ამის შედეგად ისევ აღორძინდა ერთობილი ეროვნული შეგნება, რაც გამოიხატა 1790 წლის დოკუმენტით – „ტრახტატი, ივერიელთა მეფეთაგან და მთავართაგან დამტკიცებული“.

მესამე: აღორძინდა და ფართო, საერთო ხასიათი შეიძინა სწავლა-განათლებამ; მარტო ანტონ პირველის საგანმანათლებლო მოღვაწეობაც და მისი სკოლაც კი კმარა საბუთად.

ეს საქართველომ საკუთარი ძალ-ღონით გააკეთა. სხვების დაუხმარებლად. მაშინ რატომღა დამთავრდა მე-18 საუკუნე ქართული სახელმწიფოს მარცხით? მართალია, საქართველომ ისლამურ ჩიხს თავი დააღწია, მაგრამ მან ვერ მოიცილა ძველი, შინაგანი სენი, რომელსაც ბიზანტინიზმის ერთგულება ეწოდება. როგორც მონღოლთა შემოსევის წინ არ იყო საქართველო განკურნებული ბიზანტიზმისაგან, ასევე ცოცხალი იყო იგი ჩვენს ეროვნულ სხეულში მე-18 საუკუნეშიც. მის წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობდა. ამას ჩვენში კათოლიკე

მისიონერთა მოღვაწეობაც მოწმობს, სულხან-საბა ორბელიანის გაკათოლიკე-ბაც და ანტონ პირველის თავდაპირველი სიმპატიებიც კათოლიციზმისადმი, რაც მას ძალიან ძვირად დაუჯდა. რაოდენ ძლიერი იყო ჩვენში ბიზანტინიზმი, ამას ადასტურებს ზაქარია გაბაშვილისა და ანტონ პირველის ბრძოლა. კარის უბრალო მღვდელმა კათალიკოსის დამარცხება შეძლო. შეიძლება ვთქვათ, რომ ზაქარიას მხარს უჭერდა მეფე თეიმურაზ მეორე და ანტონ პირველის მარცხი ამან განაპირობაო, მაგრამ ესეც ხომ ბიზანტინიზმის ძლიერების საბუთია!

სულხან-საბა ორბელიანს და ანტონ პირველს იმ გეზის აღდგენა და გაგრძელება უნდოდათ, გიორგი მთაწმიდელმა რომ დაიწყო, მაგრამ ვერ მოახერხეს. რა თქმა უნდა, აქ აქტიურ როლს რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის აგენტურაც ასრულებდა. იგი ყოველნაირ საშუალებას ხმარობდა, როგორმე შეენარჩუნებინა ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. არ მიეცა მისთვის საშუალება კათოლიციზმის წიაღში გადასვლისა. ესეც იყო ზაქარია გაბაშვილის ძალა. სამწუხაროდ, ჯერ არ შეგვისწავლია რუსული ეკლესიის როლი და ადგილი იმ ბრძოლაში, რომელიც საქართველოში მიმდინარეობდა, საერთოდ, მართლმადიდებლობასა და კათოლიკობას და, კერძოდ, ანტონ პირველსა და ზაქარია გაბაშვილს შორის. ამის შესწავლას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რამეთუ ქართული პოლიტიკურ-რელიგიური რუსიზმი უშუალო გაგრძელება იყო ქართული პოლიტიკურ-რელიგიური ბიზანტინიზმისა.

საქართველო რუსეთისაკენ იმიტომაც მიილტვოდა, რომ ქართველთა შეგნებაში რუსეთი ახალ ბიზანტიას წარმოადგენდა. ამ შეგნების შედეგია ქართული კულტურული ცენტრების შექმნა რუსეთში (ისე, როგორც ადრე ბიზანტიაში იყო. ვახტანგ მეექვსეც რუსეთში იმ რწმენით მიდიოდა, რა რწმენითაც, თორნიკე ერისთავი ან სხვები ათონზე), რუსულიდან წიგნების თარგმნა, ქართული ბიბლიის შესწორება რუსულის მიხედვით, საერთოდ საეკლესიო ცხოვრების მოწყობა რუსული ეკლესიის წაბაძვით და სხვანი.

კარგად ცნობილია, რომ საუკუნეების მანძილზე რუსეთი ბიზანტიის მემკვიდრეობას იჩემებდა. ყველაფერს აკეთებდა ამ მისწრაფების ფაქტად ქცევისათვის. მოახერხა კიდევ ეს: ბიზანტიის დაცემის მერე მართლმადიდებლური ქრისტიანული სამყაროს ცენტრი რუსეთი გახდა. ეს შეიძლო რუსეთმა იმით, რომ რუსულმა ეკლესიამ და პოლიტიკურმა აზრმა ბიზანტიის მემკვიდრეობა საერთო სახალხო რუსულ შეგნებად აქცია. ამის დასადასტურებლად დოკუმენტები არ არის საჭირო, კმარა ანდრეი ბელის სიტყვებიც: „პირველსატახტო ქალაქი მოსკოვი და დედა რუსული ქალაქებისა – კიევი, პეტერბურგი, ანუ სანკტ-პეტერბურგი, ანუ პიტერი (რაც ერთი და იგივეა) ჭეშმარიტად ეკუთვნის რუსეთის იმპერიას. ცარგრადი, კონსტანტინეს ქალაქი (ანუ, როგორც ამბობენ, კონსტანტინოპოლი) ეკუთვნის მემკვიდრეობის უფლებით“ („პეტერბურგი“).

რუსეთს „მემკვიდრეობით“ მართო კონსტანტინოპოლი კი არ „ეკუთვნოდა“, არამედ – საქართველოც. ამ „მემკვიდრეობის“ თვალთ უყურებდა ამიერკავკასიას რუსეთი, ამიტომაც მოილტვოდა დაჟინებით სამხრეთში. ამიტომაც ჩნდება რუსეთის მეფეთა ტიტულატურაში царь иверский ბევრად ადრე, რუსე-

თის საქართველოში დამკვიდრებამდე: ივანე მეოთხეც, რომელიც ჯერ ძალიან შორს არის საქართველოდან, თავს იბერიელთა მეფესაც უწოდებს.

საქართველო ისწრაფოდა ძველი პატრონის მემკვიდრესთან დასაბრუნებლად, ხოლო მემკვიდრე – წინაპრის ნაქონების მისაღებად. ამ შეგნების შედეგი იყო ის, რაც მე-18 საუკუნის ბოლოს მოხდა საქართველოში.

ჩვენ დიდსა და სერიოზულ ყურადღებას ვაქცევთ ბიზანტიური კულტურის მნიშვნელობას საქართველოს ისტორიულ ცხოვრებაში, მაგრამ ნაკლებად ვითვალისწინებთ მის საბედისწერო შედეგს.

რომის იმპერიის დასავლეთი ნაწილის დაქცევის შემდეგ (410 წელს დაანგრია ალარიხმა რომი), ათასი წელიწადი იარსება ბიზანტიამ (1453 წელს აიღო კონსტანტინეპოლი სულთანმა მუჰამედ მეორემ). მაგრამ ამ ხნის მანძილზე ბიზანტია ნელ-ნელა კვდებოდა. მისი კულტურის გარეგნული ბრწყინვალეობა შინაგანად ატარებდა ხრწნადი სხეულის მომაკვდინებელ ოხშივარს. ჩვენს ისტორიაში ბიზანტიური სენის საშიშროებას ძველად გიორგი მთაწმინდელი და დავით აღმაშენებელი ხედავენ, უფრო გვიან – სულხან-საბა ორბელიანი და ახალგაზრდა ანტონ კათალიკოსი, მეცხრამეტე საუკუნეში – ნიკო ნიკოლაძე. ის, რასაც ნ.ნიკოლაძე ამბობდა, სულ ტყუილად და უმართებულოდ დავივიწყეთ. 1894 წელს იგი ჟურნალ „მოამბეში“ (6) წერდა:

„... სულ ბიზანტიის გავლენის ბრალია იმ ხალხების და სამეფოების ჩამოქვეითება, თუ ათასი წლით უკან ჩამორჩენა, რომელთაც ბიზანტიის მიბადვამ ან შესწავლამ ნება აღარ მისცა ევროპული მეცნიერება და წყობილება შემოედოთ. ბიზანტიის სახელმწიფო წეს-წყობილებას საძირკვლად აღმოსავლური თვითმნებლობა ედო და არა ერის ან წოდების უფლება, სიმართლე, კანონი. სამეფოს ასეთი კანონიერი წყობილება და შეურყეველი წესი არასოდეს არ ჰქონია, რომ მთელს ხალხს ან წარჩინებულ მის წოდებას ნიადაგ შესძლებოდა გზის და საშველის პოვნა, თვით იმ გარემოებაშიც, როცა ბიზანტიის ტახტზე უღირსი მეფე ადიოდა. საქმე ისე მიდიოდა ხოლმე, როგორც ბრმა ბედს სურდა. როცა უცაბედად ტახტზე მხნე და გონიერი მეფე ადიოდა, მეფობაც დამშვენებული იყო და ხალხიც გამარჯვებული. საუბედუროდ, ეს მეტად იშვიათად მოხდებოდა ხოლმე, უფრო ხშირად ბიზანტიის ტახტზე სრულიად ძაბუნსა და უმნიშვნელო ადამიანებს ჰხედავს ისტორია. უეჭვოა, ევროპულ სახელმწიფოების ტახტებზედაც გენიოსებზე უფრო ხშირად უნიჭოები ადიოდნენ. ამ მხრით ევროპასა და აზიას შუა განსხვავება როდია. განსხვავება ამ ორ წესს შუა იმაში მდგომარეობს, რომ აზიაში მთელი სახელმწიფოს ცხოვრება და ტრიალი მარტო მეფის ან დესპოტის სურვილზე, ნებაზე და შეხედულებაზე იყო დამყარებული მაშინ, როცა ევროპაში დაარსდა სხვადასხვა გვარი სიმართლე, კანონი, ტრადიცია, სისტემა და ბოლოს მეცნიერებაც. მათი შემწეობით სუსტი მეფეც რომ მჯდარიყო ევროპაში ტახტზე, ეს გარემოება თითქმის არც კი დაეტყობოდა ქვეყნის საქმეებს. ისტორია, ისტორიული პროგრესი, მაინც თავისებურად, აუჩქარებლად, მაგრამ დაუხევლადაც წინ მიდიოდა“. (გვ. 181-2).

ნ.ნიკოლაძის სიტყვების გახსენება დღეს იმიტომ გვჭირდება, რომ დაუ-
ექვებლად მივხვდეთ და შევიგნოთ: ევროპისაკენ მიმავალი გზა საქართველოს
ისლამმა კი არ გადაუკეტა, არამედ ბიზანტიამ. ისლამმა უბრალოდ ის გააგრძე-
ლა, რაც უკვე კარგა ხნის წინ ჩაიდინა ბიზანტიამ. მესიანისტური იდეა საქარ-
თველოს ბიზანტიისაგან თავდასაღწევად სჭირდებოდა. თავისდაღწევა რომ
თავის დროზე მომხდარიყო, არც მონღოლთა და არც მისი მომდევნო შემოსევე-
ბი იქნებოდა ესოდენ მძიმე შედეგიანი საქართველოსათვის. მაგრამ კარგად
დაწყებული საქმე ასევე კარგად ვერ დაგვირგვინდა, ვერ მოესწრო. მერე კი მე-
სიანისტური იდეის დაკარგვა ნიშნავდა იმას, რომ საქართველო ისევ ბიზანტი-
ნიზმის იდეის გავლენის ქვეშ ექცეოდა. თავს ისევ ჩამორჩენილობისათვის სწი-
რავდა. ამას გუმანით ხვდებიან აღორძინების ხანის მწერლები. ეს რუსთაველი-
სადმი მათ დიდ მიდრეკილებაშიც ჩანს. რუსთაველი ბიზანტინიზმისაგან თავ-
ვისუფალი აზროვნებაა. როცა ავთანდილის სიმღერას უსმენ „ინდო-არაბ-სა-
ბერძნეთით, მაშრიყით და მალრიბელნი, რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მის-
რეთით მეგვიპტელნი“ (გვიანდელი ჩანართია თუ არა ეს სტრიქონები, ამას არ-
სებითი მნიშვნელობა არა აქვს), ეს ჩვენი ოცნებაა საქართველოს ხმა გაეგონა კა-
ცობრიობას, ბიზანტიის გავლენის თვინიერ. მიზნის მისაღწევად საჭიროა სა-
კუთარი მესიანისტური იდეა და ბრძოლა მის განსახორციელებლად. მართა-
ლია, მონღოლთა ბატონობის შემდეგდროინდელმა მწერლობამ იგი დაივიწყა,
მაგრამ იმის რწმენა კი ურყევად დაგვიტოვა, რომ ქართულ ეროვნულ ენერჯიას
ყოველგვარ პირობებში ძალუძს აღორძინება და საკუთარი ძალღონით თავ-
დახსნა. ამას დავუმატოთ „ვეფხისტყაოსნის“ მრწამსი: ცალკეული პიროვნებისა
თუ მთელი ერის ცვალებად ბედ-იღბალში, ბედნიერება-უბედურების მონაც-
ვლეობაში ნათლად ჩანს ბოროტების დამარცხებისა და კეთილის გამარჯვების
ერთიანი, მთლიანი, მტკიცე კანონზომიერება. ორივე აზრობრივი ხაზის გამ-
თლიანება და ერთად წარმოდგენა საშუალებას მოგვცემს გავიგოთ – რა მემ-
კვიდრეობას, წინაპართა რა ანდერძს უნდა მოვუაროთ, განვაკითვაროთ ახალი
დროისა და პირობების შესაბამისად, რომ ერთხელ და სამუდამოდ ჩამორჩენი-
ლობას თავი დავაღწიოთ და საკაცობრიო ასპარეზზე ყავარჯნის მოუშველებ-
ლად ვიაროთ.

1987 წ.

დავითის ისტორიკოსი

მისი ვინაობა არ ვიცი. მრავალგვარი მოსაზრება გამოუთქვამთ მკვლევ-
რებს, მაგრამ ამაოდ: მემატეიანის ვინაობის დადგენა არ მოხერხდა. ვარაუდები
რჩება ვარაუდებად, საიდუმლო – საიდუმლოდ. და რაც ვიცი, ვიცი მხო-
ლოდ მისსივე თხზულების წყალობით.

ყოფილა დავითის თანამედროვე და პირადად იცნობდა მეფეს: „... თუა-ლითა ჩუენითა ვიხილეთ“, „... ვითარცა გვხილავს ჩუენ“, „...მრავალგზის გვხი-ლავს იგი“...

ყოფილა ფრიად განათლებული პიროვნება. კარგად იცნობდა ბერძნულ ლიტერატურას, როგორც ანტიკურს, ისე ქრისტიანულს, სპარსულ მწერლობას და, ბუნებრივია, ბიბლიას. ახსენებს ჰომეროსს, არისტოტელეს, იოსებ ფლავი-ოსს, ბიბლიურ წინასწარმეტყველებს, სპარსულ ლიტერატურის პერსონაჟებს. განათლების მიხედვით ძნელი დასადგენია, ერის კაცი იყო თუ სამღვდელი. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ იყო სასულიერო პირი. შესაძლე-ბელია, მეფის პირადი მოძღვარიც. ოღონდ ესეც მხოლოდ ვარაუდია.

არ ჰყვარებია ტყუილი, „ვინათგან წარსწყმედს უფალი ყოველნი რომელ-ნი იტყდან სიცრუევსა“. სიმართლის თქმა პრინციპია მისი შემოქმედებისა. სა-ფუძველია მისი ობიექტურობისა. ფხიზელი გონებით და საღი თვალით უყუ-რებს მოვლენებს. მტრობა და სიძულვილი არ აბრმავებს. აღშფოთებული აღ-წერს, თურქ-სელჯუკთაგან საქართველოს იავარქმნას და წახდენას, მაგრამ სულტან მალიქ-შაჰის პირად ღირსებებს არ ჩქმალავს: „იყო კაცი იგი მალიქშა... სახითა სიტკბოებისათა და სახიერებითა აღმატებულ ყოველთა კაცთასა, რომ-ლისანი მრავალ არიან და სხუანიცა ურიცხუნი საცნაურებანი, მართლმსაჯუ-ლობანი, მოწყალებანი, ქრისტიანეთა სიყუარულნი და რათა არა განვაგრძოთ სიტყუა, ყოვლად უბოროტო რამე გონება ყოვლით-კერძო აქუნდა“. ასევე სა-მართლიანად ექცევა იგი კვირიკე მეოთხეს. მემატთანე არ მალავს მის კეთილ თვისებებს. იყო „კაცი მეფობისავე თანა მეფე-ქმნილი ვნებათა ზედა და ჭემმარ-იტი ქრისტიანე“. თუმცა კვირიკე ერთობილ საქართველოს განუდგა და ამით ღალატი ჩაიდინა. ეს ღმობიერება და სამართლიანობა არ არის შედეგი უნების-ყოფობისა და ხასიათის სისუსტისა, პირიქით, მტკიცე პიროვნების ობიექტუ-რობის. თორემ, როცა საჭიროა, ისტორიკოსი დაურიდებელია: „მოკუდა რატი, ძე ლიპარიტისი, კაცი ორგული და ნანდღლვე ნაშობი იქდენესი“ (=შხამიანი გველისა).

კარგად იცნობს ისტორიას. მოკრძალებით და პატივისცემით იხსენიებს ალექსანდრე მაკედონელს. მაკედონელი მისთვის ჭემმარიტი მხედართმთავ-რისა და ხელმწიფის საზომი და ნიმუშია. ხშირად ადარებს დავით აღმაშენე-ბელს მას და „ახალ ალექსანდრეს“, „მეორე ალექსანდრეს“ უწოდებს ქართველ-თა მეფეს. უფრო მეტიც, დავითის საქმეებით გაამაყებულს მიაჩნია, რომ ქარ-თველი ხელმწიფე უფრო დიდია, ვიდრე ელინთა მხედართმთავარი. „არა საქ-მითაცა, არცა განზრახვითა, არცა სიმძნითა უმცირე და თფთ მათ საქმეთა შინა, რომელთა მძლედ ითქმის ალექსანდრე, არა უმდაბლე, არამედ მრავლითა უმაღლეს მგონიეს ესე“. და თუ დავით აღმაშენებელმა ვერ შესძლო ის, რაც ალექსანდრე მაკედონელმა, ეს ქართველთა მცირერიცხოვნების ბრალიაო. „თუ არა ქართველთა ოდენ სპითა ვერცარას ალექსანდრე იქმოდა კარგსა. და თუმცა დავითს სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინმცა გენახნეს ნაქმნარი მისნი“...

ამიტომ მრავალგვარი ღირსებით შემკული ისტორიკოსი უკმაყოფილოა თავისთავით. თვლის, რომ შესაფერისად ვერ შეამკო დავითის ღვაწლი. გულ-დაწყვეტილი მემატთანე იმეორებს ალექსანდრე მაკედონელის სინანულით ნათქვამს: „არა დიდ იყავ აქილევსი, არამედ დიდსა მიემთხდე მაქებელსა უმიროსს“.

ცხადია, დავითის ისტორიკოსი ჰომეროსს ვერ შეედრება, მაგრამ არც ასე საბოდიშოდ აქვს საქმე. მის თხზულებას აქვს არა მარტო ისტორიული ღირებულება, არამედ მხატვრულიც. იგი ისტორიულ ფაქტებსაც გვიამბობს და დავითის პიროვნებასაც ხატავს.

მემატთანე დავით მეფის არცერთ ადამიანურ თვისებას არ ტოვებს უყურადღებოდ და მკითხველს აცნობს.

იყო ლმობიერი და მოწყალე. როცა ქსენონი ააშენა, სხვადასხვა სენით შეპყრობილ ავადმყოფებს პირადად ნახულობდა, უვლიდა და პატრონობდა. „თვთ მივიდის და მოიხილნის, მოიკითხნის და ამბორს უყვის თვთოეულსა, აფუფუნებდის მამებრ, სწყალობდის და ნატრიდის, განამზნობდის მოთმინებისა მიმართ, მონახის თვსითა ხელითა ცხედრები (=საწოლები), სამოსლები და საგებელი მათი, პინაკი (=ჯამი) და ყოველი სახმარი მათი, მისცის თვთოეულსა ოქრო საყოფინი“... „მრავალგზის მზხილავს იგი დამალტობელად დაწუთა თმსთა ცრემლითა ხილვასა ზედა თვთოსახეთა (=სხვადასხვა) სენთა მიერ განცდილთასა (=შეპყრობილთა) და ხილვად სამნაურთა, რომელნი შეემთხუევიან მოუნდობელთა ამათ და უბადრუკთა ხორცთა, რომელთა ზრდის სხუათა უმეტეს ქუეყანა ქუთათისისა“. მამაზეციერიც ვერ აღრიცხავს, რაც საჩუქარი, ფული და განძი გაუცია. „...იყო მისა კისაკი (=საფულე) მცირე: აღავსის დრაკნითა რა დღე სარწმუნოთა თმსთა ხელითა, და სამწუხაროდ ცალიერი მოაქუნდის იგი მხიარულსა სულითა და პირითა“. ერთხელ მოძღვარ იოვანესათვის 24 ათასი დრაკკანი მიუცია გლახაკთათვის დასარიგებლად.

იყო სამართლიანი და განგებიანი. დღე და ღამე, ზამთარ-ზაფხულ ცხენზე იჯდა და იბრძოდა. ძნელი იყო მისი ხილვა მომჩივანთაგან, სამართლის მაძიებელთაგან. ამიტომ სადაც მიდიოდა, რჯულის კაცებიც თან ახლდა „ამისთვის დაედგინნეს კაცნი მართლად მცნობელნი და განმკითხავარნი მომჩივართანი, რომელთა მიერ მიიღებდეს კურნებასა“. ვერ იტანდა უსამართლობას, უძლურთა და უპოვართა ჩაგვრას. „არა სადათ მიდრკებოდა წამი სასწორისა“. დავით მეფის სამართალი პირუთვნელი და ზუსტი იყო. „ვითარცა ღმერთი მართალ სჯიდა სამწყსოთა თმსთა“...

იყო ქველი, წესრიგისმოყვარე და მკაცრი. ერისა და ქვეყნის სამსახურში არ იცოდა მოსვენება. ყველა და ყველაფერი შეუწირავს სამშობლოსათვის. „არა სცა ძილი თუალთა, არცა ჰრული წამთა, არცა განსუენება ხორცთა თვსთა: არა მიდრკა გემოვნებათა მიმართ, არცა ნებასა ხორცთასა; არა სასმელ-საჭმელთა, არცა სიმღერა-სილოდათა“... რასაც თავად აკეთებდა მოითხოვდა სხვისგანაც. ერთი კაცი, თუნდაც თვითმპყრობელი ხელმწიფე, ვერას გახდება, თუ მთელმა ერმა არ ისურვა ქვეყნის მოვლა-პატრონობა. ამიტომ ჯერ არმიაში დაამყარა

წესრიგი. „საემპაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და გინება ღმრთისა საძულველი, და ყოველი უწესობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა“... ხოლო მერე ეს წესრიგი გაავრცელა მთელ ქვეყანაში. „ვერცა მსოფლიო ვინმე და ვერცა მოქალაქე, ვერ მხედარი და ვერ რომელი პატივი და ასაკი იკადრებდა განდრეკილად სლვად: რამეთუ ყოველთა კაცთა იყო წესიერება, ყოველთა კანონ, ყოველთა პატიოსნება, და თით მათ მეძავთაცა ყოველთა კრძალულება, ყოველთა შიშ და მმართველ გზათა საღმრთოთა და მშდღობისათა“.

იყო ცოდნისა და წიგნისმოყვარე. საქართველოს ისტორიამ არ იცის უფრო განათლებული ხელისუფალი. ფრიად საგულისხმო ამბავს გვიყვება მემატთანე. ქალკედონიტური და ანტიქალკედონიტური ეკლესიების შესარიგებლად მეფეს პაექრობა მოუწყვია. სიტყვისგებაში მონაწილეობის მისაღებად სომეხი მოძღვარნი ჩამოსულან. ქართველთაგან კამათში კათალიკოსი იოანე და არსენ იყალთოელიც მონაწილეობდნენ. დიდხანს უდავიათ მოწინააღმდეგებს, მაგრამ ამაოდ. ვერასგზით ვერ შეთანხმებულან. მაშინ მეფეს უთხოვია სიტყვა. ჯერ ბოდიში მოუხდია, როგორც მხედარი საეკლესიო საქმეებში გაწაფული არა ვარო, მერე კი ისეთი სიტყვა უთქვამს, რომ ანტიქალკედონიტები „ზარგახდილ (=შეშინებულ) ჰყვნა და ყოვლად უღონო, რომელთა აღიარეს ცხადად ძლეულება თდისი“. სამწუხაროდ, მემატთანეს არ ჩაუწერია მეფის სიტყვა და არ ვიცით, რა შინაარსის იყო იგი. მაგრამ ისტორიკოსი გვიამბობს, რა უთხრა დავითს სომეხთა წინამდგომმა: „ჩვენ, მეფეო, მოწაფე გუეგონე ამათ მოძღუართა თქუენტა, გარნა, ვითარ ვხედავთ, შენ სამე ხარ მოძღუარი მოძღუართა, რომლისა ბრჭალსა ვერ მიმწუთარ არიან ეგე მოძღუარ საგონებელნი თქუენნი“.

ნადირობდა თუ ომობდა წიგნს თან დაატარებდა. „დღე და ღამე მიმოსლვათა შინა მიმდემთა (=მუდმივთა), ლაშქრობათა მოუწყენელთა, შრომათა განუსუენებელთა წიგნები ეტდრთა სიმრავლესა ჯორთა და აქლემთასა; და სადა გარდა დის ჰუნესა, პირველ ყოვლისა წიგნი მოაქუნდიან ხელითა, და არა დაცადის კითხვა, ვიდრე არა დაშურის“. წიგნი „იყვნეს მისსა საზრდელ, ყოველთა გემოან, და სასმელ ტკბილ და საწადელ; იგინი – შუება, განცხრომა საწურთელ და სარგებელ“. ხოლო წიგნი სამოციქულო ოცდაოთხჯერ წაუკითხავს ერთ წელიწადში. ამდენად, სრულიად ბუნებრივია, რომ დავითი ავტორია ჰიმნისა „გალობანი სინანულისანი“, საიდანაც, პოეტური ნიჭიერებასთან ერთად, გამოსჭვივის ღრმა განსწავლულობაც.

ჰქონდა უდრეკი ნებისყოფა და ულევნი ენერგია. ამას ადასტურებს არა მარტო მის მიერ გადახდილი ომები, არამედ სხვა საქმეებიც. 1121 წლის მარტში ბიჭვინტაში იყო და იქაურ საქმეებს აგვარებდა. მაშინ ყოფილა ზამთარი ძნელი და თოვლი ფრიად. თურქებს უფიქრიათ, მეფე შორს არისო და გულდადებით დაუწყიათ მტკვრისპირის აოხრება. როგორც კი თურქი მარბიელის მოსვლა შეუტყვია მეფეს, სასწრაფოდ წამოსულა საშინელ თოვლში. „გარდაათხრევინა მთა ლიხისა, სადა გარდანაკუეთსა თოვლისასა აქუნდა სიმადლემ არი სამი“ და ხუნანს თავს დაესხა მოსეულ მტერს. მოსრა თურქნი „პირითა მახვლისათა,

რომელ არა დაუშთა მთხრობი ამბავისა“. იმავე წლის ივნისში თურქები ბარდავს შესევინან. წყალდიდობა ყოფილა და მტკვარი ძნელად გადასალახავი გამხდარა. ამის იმედი ჰქონიათ თურქებს. ყოვალთა თანხლებით დილაუთენია გადაუცურავს მეფეს დაუზრავი (=ყინულნარევი) მტკვარი და ბარდავი დაუხსნია. ნუ დაივიწყებთ, რომ ამ დროს დავითი 49-50 წლის კაცი იყო. ერთხელ ნადირობისას მუხნარში ცხენი წაქცევია. ისე ცუდად დაცემულა, რომ სამი დღე უძრავად იდო თურმე. მხოლოდ სუნთქვით-და ეტყობოდაო, რომ ცოცხალი იყო. მეოთხე დღეს შედედებული სისხლი ამოუნთხევია და ჯანმრთელი წამომდგარა ფეხზე. „მრავალგზის მრავალთა მიზეზთა და განსაცდელთა სიკვდილისათა შთავარდა იგი“, მაგრამ უდრეკი ნებისყოფის წყალობით მაინც გადარჩენილა. თუმცაო, უმატებს მემატთანე, „ხელი იგი ზეგარდმო ფარვიდა“.

ასე წარმოგვიდგენს ისტორიკოსი დავით მეფის პერსონას. ხატავს როგორც კონკრეტულ პიროვნებას, ისე იდეალურ ხელისუფალს. აყალიბებს იმ სახეს, რაც ერთობილი საქართველოს პატრონს უნდა ჰქონდეს. დავითი იქცევა უკვე ზოგად ნიმუშად, საზომად. არ არის შემთხვევითი, რომ რუსთველის მიერ როსტევეანის დახასიათება არსებითად იმეორებს იმას, რაც დავითის მიმართ უთქვამს უსახელო მემატთანეს.

*„...მეფე ღმრთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი“.*

ამრიგად, დავითი არა მარტო დიდი საქართველოს სამეფოს ქმნის, არამედ თავად განასახიერებს ხელმწიფის იდეალს. ამიტომ არის იგი „მტერთაგანცა საწადელ და საყვარელ“. ამიტომ არის, რომ „სიტკბოებისა, სახიერებისა მისისა ხილვად წყურვილნი კიდით ქუეყანისათა შემოკრებოდეს წინაშე მისსა“. მემატთანის შეგნებაში თანდათან კარგავს დავითი რეალური პიროვნების სახეს და უახლოვდება ღვთაებრივს.

მეფის ხორციელი და სულიერი ბუნება ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. საბოლოო სახით დავით აღმაშენებლის პორტრეტს ასე გვიხატავს ისტორიკოსი: იყო „შუენიერ ხატითა, უმშვენიერეს მორთულობითა გუამისათა, შეწყობილ ანაგებითა და ახოვან ტანითა, ძლიერ ძალითა, უძლიერეს სიმახდილითა, საწადელ ღიმილითა, უსაწადლეს მჭმუნვარებითა, მადლიერ ხედვითა, საზარელ ლომებრ მკრთომელობითა, ბრძენ ცნობითა, უბრძნეს გამორჩევითა, მარტივ სახითა, მრავალსახე მართებითა, შემრისხველ მყუდროებითა, მაქებელ მსწავლელობითა, და არცა ერთსა კეთილთაგანსა შემამთობელ უზომოებითა. მაღალ უმაღლესთათმს და მდაბალ უმდაბლესთათმს...“

მას მერე, რაც დავითის პიროვნება დახატა და ხელისუფლის საკუთარი იდეალიც გაგვაცნო, მემატთანე გვაუწყებს, რა მოეთხოვება მეფეს და საერთოდ ქვეყნის პატრონს.

„...ვითარ ვინ აღრიცხნეს რაოდენნი საქმენი ეთხოვებიან მეფობასა, რაოდენნი მართებანი და განსაგებელნი, კიდეთა პყრობანი, ნაპირთა ჭირვანი, გან-

ხეთქილობათა კრძალვანი, სამეფოსა წყნარებისა ღონენი, ლაშქრობათა მეცადინობანი, მთავართა ზაკვისა ცნობანი, მხედართა განწესებანი, საერონი შიშნი, სახელოთა და საბჭოთა სჯანი, საჭურჭლეთა შემოსავალნი, მოციქულთა შემთხუევანი და პასუხნი, მეძღუნთა ჯეროვანნი მისაგებელნი, შემცოდეთა წყალობანი წურთანი, მსახურებელთა ნიჭ-მრავლობანი, მოჩივართა მართალი გამოძიებანი, მოსაკითხავთა შესატყმსნი მოკითხვანი, სპათა დაწყობანი, და ღონიერნი მიმართებანი და რაოდენნი ვინ აღმოწყურნეს სიტყმთა უფსკრულისაგან სამეფოთა საქმეთასა“...

ეს პროგრამაა, რომელიც უნდა განახორციელოს ხელისუფალმა. მაშინ არის შესაძლებელი ქვეყნის აღორძინება. ამის გაკეთება კი შეუძლია სწორედ ისეთ კაცს, როგორც დავითი იყო. პიროვნება სრულად შეესაბამება ამოცანას. პიროვნებისა და ამოცანის ჰარმონიული შესატყვისობა იძლევა იმ შედეგს, რაც დავითის მეფობას მოჰყვა.

საქართველო გაათავისუფლა თურქ-სელჯუკთა ბატონობისაგან. აღადგინა ეროვნული ერთიანობა. რუის-ურბნისის კრებით მოაგვარა საეკლესიო საქმიანობა. უღირსნი გააძევა და ღირსეულთ მისცა საყდარნი. შექმნა უძლეველი ეროვნული არმია. ამიერ და იმიერ კავკასიას შორის „შექმნა გზა მშვიდობისა“. ააშენა გელათი და მონასტერი სინას მთაზე. გარდა ამისა, ვინ უწყის, „რაოდენნი ეკლესიანი აღაშენა, რაოდენნი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი საწყინოდ სავალნი, ქვა-ფენილ ყვნა, რაოდენნი ეკლესიანი, წარმართთაგან შეგინებულნი, განწმინდა სახლად ღმრთისად, რაოდენნი ნათესავნი წარმართთანი შვილად წმიდისა ემბაზისად მოიყვანნა და შეაწყნარნა ქრისტესა“...

მეფური და ადამიანური ვალი მოუხდია დავითს. ღვთისა და ერის წინაშე პირნათელი ყოფილა იგი. მაგრამ ორგულნი, უმადურნი და მაბრალობელნი მაინც არ ისვენებდნენ თურმე. ხან სიტყვით, ხან საქმით მეფის საწინააღმდეგოს იქმოდნენ. სულმოკლენი, გულბოროტნი და მშიშარნი ენით წამლავდნენ გარემოს: „არც მშაღდი თავს იდებსო გარდაცმულობას (=საბელის დაჭიმვას) და არც ძალი (=სიმი) ორღანოსა მარადის განსხირპულობასო (=დაძაბვას „... გასჭირვებით დავითის გამუდმებული ომებისა და ლაშქრობების ატანა, მხართემოზე წოლა და ღვინი ერჩიათ საქვეყნო საქმეს. ღობე-ყორე ჩურჩულით აღიზიანებდნენ ხალხს. უფრო გაბედულნი მეფის მოკვლასაც კი აპირებდნენ თურმე. ერთხელ სამეფო კარვის წინ პერანგის ამარა მდგარა დავითი. ვიღაცას მეფისათვის ისარი უსროლია. გარნა ნატყორცნი ისარი მთავარანგელოზის გულსაკიდ ხატს მოხვედრია და მეფე გადარჩენილა. ყივჩაღებიც კი წაუქეზებიათ სალაღატოდ. მაგრამ ყველა განსაცდელისაგან მეფეს თავი მშვიდობით დაუღწევია.

ქვეყნისა და ერისათვის თავდადებული ხელმწიფე და ასეთი მზაკვრობა და ორგულობა? მემატიაწე სრულიად პირუთვნელ და მოურიდებელ პასუხს იძლევა: „...ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველთაგანვე თმსთა უფალთა. რამეთუ, რაჟამს, განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ და განსუ-

ენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა“. ეს, წერს ისტორიკოსი, მშვენივრად იცოდნაო მეფემ. ამიტომ დავითს მსტოვართა ქსელი შეუქმნია: „...უწყოდა ყოველმან კაცმან, რომელ პირით აღმოსლვასვე თანა სიტყმასა საცნაურ ქმნილ არს უეჭუელად წინაშე მეფისა“. ამით შიშის ზარი დასცემია ყველას. „შიში და ზარი მისი განითქუა კიდეთა ქუეყანისათა და განკრთეს ყოველნი მკდრნი ქუეყანისანი“. ამით, გვიმტკიცებს მემატთანე „დიდნი საქმენი, ღმრთისაგან ოდენ შესაძლებენი, ესრეთ ადვილად წარმართნაო“.

მაშასადამე, მტკიცე სამეფო ხელისუფლების საფუძვლად დავითს შიში გაუხდია. აქ მეორედ ეხმიანება უსახელო ისტორიკოსი რუსთველს. „შიში შეიქმს სიყვარულსაო“, ადასტურებს პოეტიც.

ამრიგად, დავითის ისტორიკოსი მკაფიოდ ხატავს კონკრეტულ ისტორიულ პიროვნებას. ამის საშუალებით საერთოდ იდეალურ ხელისუფალს. ნათლად აყალიბებს სამეფო პროგრამას და უჩვენებს მეთოდსაც, რითაც შეიძლება ხელმწიფური განზრახვათა განხორციელება.

ამ ამბებს ისტორიკოსი გვიყვება სხარტად და ლაღად. ხშირად მიმართავს ხატოვან სიტყვა-თქმებს. მისი თხრობის მანერა უბრალო და უპრეტენზიოა. დასტურად რამდენიმე ნიმუშს მოვიშველიებ.

თითქმის საუკუნე ებრძოდა ბაგრატიონებს ბაღვივაშთა ძლიერი ფეოდალური გვარი. ამ სახლის შვილებს სამეფო ტახტის ხელში ჩაგდება და გახელმწიფება უნდოდათ. გარდამავალი წარმატებით მიმდინარეობდა ეს შინაფეოდალური ქიშპი. ხან ბაღვივაშები იმარჯვებდნენ და ხან ბაგრატიონები. თუმცა უმთავრესი მიზანი მიუღწეველი რჩებოდათ ბაღვივაშებს: ტახტს მაინც ბაგრატიონები ფლობდნენ. უკანასკნელი ბრძოლა დავითის დროს მოხდა. ასე ეგონა ლიპარიტ ივანეს ძე ბაღვივაშს: ქვეყანა დაქცეულია, თურქ-სელჯუკთა სათარეშოა საქართველო, ნინველი მეფე ვერ გაუძლებს შინაგაცემას და იოლად ვეწვევითო საწადელს. გამუდმებით ორგულობდა ლიპარიტი დავითს. ჯერ ერთგულების ფიცი ჩამოართვა მეფემ ბაღვივაშს. არაფერმა გასჭრა. თრიალეთისა და კლდე-კარნის პატრონი მაინც არ ისვენებდა. დავითს მოთმინების ფიალა აევსო და რა იხილა „კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხები მართლად ვალს“, შეიპყრო ლიპარიტ ივანეს ძე. ორი წელი ტყვედ ყავდა და მერე საბერძნეთს გააძევა: იქ გარდაიცვალა ლიპარიტ ბაღვივაში.

ლიპარიტის ძაღლის კუდთან და კიბორჩხალთან შედარება რელიგიურად და ხელშესახებად ხატავს ბაღვივაშის ბუნებას.

თბილისი ჯერ კიდევ გათავისუფლებული არ ყოფილა. მეფე ავჭალის დეღებში მდგარა. გადაუწყვეტია, ლოჭინის ხევში მამოვარი თურქთა ნახირი გაეტაცა. წაუყვანია თხუთმეტი მონა-სპა და ნახირის გამოსარეკად წასულა მეფე. ლოჭინის ხევს მისდგომიან. ქვევით მონები ჩასულან და გამოუტაციათ ნახირი. თურქებს შეუტყვიათ ეს და ასი მხედარი დასდევნებია ქართველებს. მეფეს ყვირილი და ხმაური შემოესმა. მხედრების მოსახმობად დრო აღარ იყო. ამასობაში თურქები ერთიანად გაჟუჟავდნენ ქართველებს. თავად გადაეშვა თურმე მაშინ მეფე მონების დასახმარებლად. დავითს თურქები გაუწყვეტია. გადარჩე-

ნილებს თბილისისაკენ მოუკურცხლავთ „გზანი სავსენი იყვნეს მძორითა მათითა (თურქების – ა.ბ.) და ფრიადის ცემისაგან ხრმალიანცა (დავითისა – ა.ბ.) დაღვარჭნილმან უარყო ქარქაში თვისი“.

ქარქაშის უარყოფელი დაღვარჭნილი ხმალი სახეა მეფის გამირობისა.

დავითი ყოველთვის ჯარის მხარდამხარ იბრძოდა. „ხოლო თმთ მეფე არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თმსთა, ანუ შორითა უზახებდა, ვითარცა ერთი მთავართაგანი ვინმე, არამედ უპირატეს ყოველთასა თმთ წინა უვიდოდა“... ასე იყო ერწუხის ომშიც. იმ დღეს მეფისათვის სამი ცხენი მოუკლავთ და მეოთხეზე მჯდომს დაუმთავრებია ომი. როცა გამარჯვებული მეფე ცხენიდან ჩამომხტარა და სარტყელი შემოუხსნია, სამეფო კაბიდან სისხლი გადმონთხეულა. დამსწრეებს ჯერ მეფე დაჭრილი ჰგონებიათ, მერე გამორკვეულა: თურმე ხმლიდან უკუმდინარე სისხლი დავითს სახელოში ჩასდიოდა და ტანსაცმლის უბეში გროვდებოდა. სარტყლის შეხსნის შემდეგ კი დაგროვილი სისხლი ერთბაშად გადმოღვრილა.

მემატიანე თავადაც მონაწილეობდა ერწუხის ომში. ასე რომ მას ბევრი სხვა რამც შეეძლო ეამბნა, მაგრამ ხილულიდან სწორედ ის სურათი აარჩია, რაც თავისებურად იქნებოდა, განუმეორებელიც და ნათლად მეტყველიც.

ასეთი ადგილების აღწერისას დავითის ისტორიკოსი ჭეშმარიტი მხატვარი-პროზაიკოსია. ამიტომ დავითის ისტორიკოსის თხზულება თანაბრად ეკუთვნის როგორც ისტორიულ მეცნიერებას, ისე სიტყვაკაზმულ მწერლობას.

ფერი-დარეჯან

სახელით – ვარდისფერი – მას მარტო იტალიელი ბერი დონ ქრისტოფორე დე კასტელი იხსენიებს. ქართული მათიანეები და დოკუმენტები ნესტან-დარეჯანს ან უბრალოდ დარეჯანს უწოდებენ. ეტყობა, ვარდისფერი საშინაო, საალერსო სახელი იყო. დედოფალს ოფიციალური საბუთები ვერ უბედავენ ვარდისფერობით ხსენებას.

დარეჯან-ვარდისფერი შვილი იყო ქართლის მეფის ლუარსაბ მეორე წამებულის დის ხორეშანისა (დოკუმენტებში წერია – ხვარაშან) და კახეთის მეფის თეიმურაზ პირველისა.

1612 წელს შეურთავს ხორეშანი თეიმურაზს. ეს ქალი კახეთის მეფის მეორე ცოლი იყო. პირველი ცოლი ანა გურიელი ყოფილა. მემატიანე ფარსადან გორგიჯანიძე დიდად აქებს გურიის მთავრის ასულს.

„ნამეტნავად მღრთის მოშიშარი ყოფილა, მლოცავი, სამართლიანი და გლახაკთა და ქვრივ-ობოლთ მიცემით შემწყნარებელი და მერჯულეთა და თავად-აზნაურთა პატივისმცემელი. ტანად კარგი და მშვენიერი, სახით ტურფა და ლამაზი, ზნე-საქციელი კარგი, საქმით სათუთი და წმიდა, სალდართა და მონასტერთ ამშენებელი და მრავლის შემწირავი, ბერთა და მოძღვართა და მღვდელთა მიმცემი, მრავალთ მომთმენი, არ გაჯავრებული, ყველას მმა-შვი-

ლურად მიმპყრობელი, დედათ დედურად გამწყო, დედამთილს მორჩილი და წამეტნავად მოშიშარი და ქმრის მოყვარული ყოფილა“.

არც მეფე არჩილი იშურებს საქებარ სიტყვებს ანა გურიელის მიმართ:

„ეს სოფელი ველარ შეიქს სხვას მისებრივ სულიერსა...“.

. . .

*„პირად-ბროლი, ბაგე-ძოწი, თვალეზია გიშრის ხოტბა,
ხმა – ბულბული, საფირონი შაქრისაგან უფრო მოტკბა,*

მე არ მითქვამს ნაათალი, ბრძენთა უხამს იქ შემოკრბა“.

პირველი ქორწინება სულ სამ წელიწადს გაგრძელებულა. 1607 წელს, როცა მათი ჯვარისწერა მოხდა, თეიმურაზი 16 წლის იყო. ზოგიერთის სიტყვით, ყმაწვილ მეფე-დედოფალს სამი თვე გაუტარებიათ ნადიმსა და ლხინში. ზოგიერთისა კი – ორმოცი დღე: „მუნ ორმოც დღემდის ზედა-ზედ სმა, ლხინი, არ მოსვენება, ბურთობა, ყაბახის სროლა, ვის რა ასპარეზს ენება“ (არჩილი), მაგრამ ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩენილა. 1610 წელს ანა გურიელი გარდაიცვალა. მან ორი შვილი დაუტოვა ობლად თეიმურაზს – ლევანი და ალექსანდრე. დედის სიკვდილის შემდგომ ათი წელიც არ იქნება გასული, რომ ამ ბიჭებს საშინელი უბედურება დაატყდება თავს. ირანის ხელმწიფის შაჰ-აბას პირველის განკარგულებით მათ დაასაჭურისებენ. უმცროსი ალექსანდრე ტანჯვა-გვემას ვერ გაუძლებს და ჯალათებს ხელში შემოაკვდებათ. უფროსი, ლევანი, კი შეიშლება. როგორც ჩანს, გონარეულ ლევანს დიდხანს უცოცხლია. კათოლიკოსი ანტონ პირველი ბრძანებს: დედაჩემს ახსოვდაო მოხუცი ლევანი.

თავდაპირველად ქართული ეკლესია წინააღმდეგი ყოფილა თეიმურაზისა და ხორეშანის ქორწინებისა. ამის საფუძველი ის გახლდათ, რომ ისინი სისხლით ნათესავები იყვნენ.

ქართლის მეფის სიმონ პირველის თანამეცხედრე ნესტან-დარეჯან (ამ ეპოქაში ქართულ სამეფო ოჯახებში ხშირია სახელი ნესტან-დარეჯან) კახეთის მეფის ლევანის ქალი იყო. ნესტან-დარეჯან ხორეშანის დიდედა იყო, ხოლო მისი ძმა, კახეთის მეფე ალექსანდრე – თეიმურაზის პაპა. ასე რომ, თეიმურაზი და დარეჯანი და-ძმის შვილიშვილები იყვნენ. ქართული საერო და საეკლესიო სამართალი ასე ახლო ნათესავების ჯვარისწერას კრძალავდა. მაგრამ ქართულმა ეკლესიამ დათმო და მათი ქორწინება მაინც მოხდა. რატომ დათმო? ნაირნაირ ვერსიებს გვიყვებიან.

ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით: ამ ქორწინებით საქრისტიანო (ე.ი. ქართლი და კახეთი) გაერთიანდებო და რჯულის კაცებმა ნება დართეს.

ვახუშტი ბატონიშვილი კი ამბობს: ეს ქორწინება შაჰ-აბასის ბრძანებით მოხდაო. შაჰი თეიმურაზს საიდუმლოდ ეტყოდაო: „შეირთევ დაჲ ლუარსაბ მეფისა და იქმენ ქუისლ ჩემდა და მოყვარე მისი, რათა არღარა იყოს თქუენ შორის შური“.

ლუარსაბ წამებულის მეორე დაი ლელა, ანუ ელენე (მუსლიმობაში ფათ-მან-სულთან-ბეგუმი) მართლაც ესვა ცოლად შაჰ-აბას პირველს. შეიძლება

იფიქრეს: ქვისლობამ დროებით მაინც ჩამოაგდოსო მშვიდობა ირანის ხელმწიფესა და კახეთის მეფეს შორის. თუმცა, თუ ვახუშტის ვერწმუნებით, შაჰი სხვა რასმეს ურჩევს თეიმურაზს: როცა სიძე-ცოლისძმა გახდებით, შენ და ლუარსაბ აღარ წაეკიდებითო ერთმანეთს.

პოლიტიკაში ყველას თავისი დილბანდი აქვს. ყველა თავის სასარგებლოდ ცდილობს წუთისოფლის დოლაბის დატრიალებას.

სულ სხვაა ის, რასაც იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი გვატყობინებს: ხორეშანი უტურფესი ქალი ყოფილა. ძალიან მოსწონდა თურმე იგი შაჰ-აბასს. მისი ცოლად შერთვა ეწადა. თეიმურაზს უკრძალავდა ხორეშანზე ქორწინებას. თეიმურაზი არ შეეპუა შაჰს და ხორეშანი მაინც შეირთო. სწორედ ამის გამო გადაეკიდაო შაჰ-აბასი თეიმურაზ პირველს სამკვდრო-სასიცოცხლოდ.

არქანჯელო ლამბერტი არ უნდა ცდებოდეს. მის ვერსიას კვერს უკრავს კასტელიც: „... თეიმურაზის მეუღლე, ყველაზე ულამაზესი არსება, რომლის სიმშვენიერე გახდა სამეფოს დაქვევის მიზეზი, ისე, რომ შეიძლება პირდაპირ ითქვას, იგი იყო ახალი ელენე ქვეყანაზე“. ერთგვარად ქართველი მწერლებიც ადასტურებენ ლამბერტისა და კასტელის ნათქვამს.

არჩილ მეფე:

„ჩემი არის თეიმურაზ ძველთაგანვე სისხლის მსმელი,

პაპა მისმა ქალი მამცა, რად წამართვა, რად მყო მელი?“

ბესარიონ კათალიკოსი: შაჰ-აბასმა არ იკმარაო, რომ ლუარსაბის ერთი დაი ცოლად ჰყავდა და „შემდგომად მცირედისა მეორისაცა დისა მისისა ხელყო მოთხოვნად, რომელსა ეწოდა ხუარანშა, იგიცა ცოლად, რომელი-ესე სასმენელადცა უცხო იყო ქრისტიანთა შორის... ხოლო ამან სანატრელმან (ლუარსაბმა – ა.ბ.) ესევეთარი უჯეროჲ ესე საქმე სმენადცა არა თავს-იდვა, არამედ მეყსეულად ემზახა კახთა მეფესა თეიმურაზს და მიათხოვა იგი ცოლად“.

ერთსა და იმავე ცნობას გვაწვდიან კათოლიკოსი ანტონ პირველი და იოანე ბატონიშვილი:

შაჰ-აბასს უკითხავს ერთხელ გიორგი სააკაძისათვის – თუ გურჯისტანში ვინმე კაცს ცოლს წაართმევს, თქვენი რჯული როგორ დასჯისო მას. გიორგი სააკაძეს უპასუხებია – ასეთი კაცი უნდა მოიკლას, მისი მამული უნდა მოხრდეს, საცხოვრებელი აკლებული და იავარყოფილი უნდა იქნესო. პასუხით კმაყოფილ შაჰს უთქვამს – სამართლიანად სჯი, თეიმურაზ მეფემ წამგვარაო ჩემი დანიშნული ლუარსაბ მეფის დაი...

აშკარაა, შაჰ-აბასს პირველს თვალი ეჭირა ხორეშანზე. ეიმედებოდა, რომ ამ ქალითაც დაამშვენიებდა მის ჰარემს. რა არის აქ მოულოდნელი და გასაკვირი? თუკი ირანის ხელმწიფის ყურმოჭრილ ყმას, გამუსლიმებულ ქართველს, იმამ-ყულიხან უნდილაძეს ორმოცდაათი ცოლი ჰყავდა, თან ყველა ქართველი,

თავად შაჰს რა ძალა დაუშლიდა ორი დაი შეერთო? ვინ დაძრახავდა, ვინ გაამტყუნებდა?

შაჰ-აბას პირველს უკვე ჰყავდა ოთხი ქართველი ქალი ცოლად:

თამარ ამილახვარი, დაი ანდუყაფარ ამილახვრისა,

ფახრიმ-ჯან-ბეგუმი, დაი მეფე სიმონისა,

ელენე, დაი თეიმურაზ პირველისა და

ლელა, დაი ლუარსაბ მეორისა.

ამათ მეხუთე ხორეშანიც რომ დამატებოდა, რა შეიცვლებოდა? მაგრამ ხორეშანი გადარჩა. მას არ გაუზიარებია ის მწარე ხვედრი, რაც მის დას ერგო.

ხორეშანი ხომ ყოფილა და ყოფილა მომაჯადოებელი მშვენიერების ქალი, გარეგნობით არც თეიმურაზი ჩამორჩებოდა თურმე.

რუსი ელჩები მოხიბლულან თეიმურაზის ხორციელი სილამაზით. დიდი, ცისფერი თვალები ჰქონია. წაბლისფერი თმა და წვერ-ულვაში უმშვენებდა სახეს. მაღალი ყოფილა, თხელი და გამხდარი. თუმცა ქონი როგორ მოეკიდებოდა. მთელი ცხოვრება ცხენზე იყო ამხედრებული და ხმალს იქნევდა. ან ომობდა ან ნადირობდა. როცა იძულებით შინ იჯდა უმოქმედოდ, ლექსებს წერდა. თან ღმერთს პატიებას ევედრებოდა.

*„ღმერთო, ნუ მიწყენ ამ ცუდსა ლაყაბსა, მიდმოდებასა,
ველარ გაუძელ შვიდ ზაფხულ მოწყენით ცუდად გდებასა“.*

ისე კი, პოეტი რომ იყო, ძალიან მოსწონდა. რუსთველს ეჯიბრებოდა. სწყენდა, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს რომ აძლევდნენ უპირატესობას. არც მალავდა ამას.

*„ლექსი ჩემი სჯობს გვარად და ტკბილად სასმენლად ყურისა,
მაინც რუსთველსა აქებენ, მე იმან გამაგულისა“.*

მარტო თვითონ არ იყო თავის პოეზიაზე მაღალი აზრის. სხვებიც უდასტურებდნენ.

*„ქართველთ ენითა მელექსე ვერ ედარების ამ ორსა,
რუსთველსა, ენა რიტორსა, მეფეს – ალვისა ნამორსა“
(არჩილი).*

ულამაზესი მშობლების შვილი თავადაც მომხიბვლელი ქალი ყოფილა ფერი-დარეჯან. ორჯერ ჰყავს იგი დახატული დონ ქრისტოფორო დე კასტელს – ერთხელ მარტო, მეორედ შიმუნვარებით გარემოცული. ორივე სურათიდან გიცქერით პირმშვენიერი დედოფალი, რომელმაც იცის თავისი ქალური ხიბლის ჯადო.

მეფე და პოეტი მამაც ვერ მალავს ღვიძლი შვილის გარეგნობით მოგვრილ აღტაცებას.

*„სიმენლე შავთა წამწამთა, სისხო, სიხშირე თმისანი,
ვთქვი: მისი შუქი მზეს მატობს წითლითა ათათ მისანი..*

...

*მელნისა ტბისა მორევსა უშენის მიჯრა წამისი...
ვარდისა ბაღსა ელვა კრთის, ზედან ციალი წარბისი...*

...

*თეთრსა ბროლისა ფიქალსა ინდოთა რაზმი უშენდა,
მელნის ტბისაგან ლახვარსა მჭვრეტელთა ისრად უშენდა“.*

პირველად ფერი-დარეჯან ზურაბ არაგვის-ერისთავს მიათხოვეს. ეს ქორწინება პოლიტიკური გარიგების შედეგი იყო.

დედას, დედოფალ ხორეშანს არ უნდოდა, რომ შვილი ზურაბ არაგვის-ერისთავის ცოლი გამხდარიყო. მას არ უყვარდა ეს თავხედი, თავნება და ყოყოჩი ერისთავი. ქართლის აოხრებასაც ზურაბ არაგვის-ერისთავს აბრალებდა კახეთის დედოფალი. ზურაბი ღრძო, გულბოროტი, შურისმგებელი კაცი იყო. როცა მამამისი ნუგზარ არაგვის-ერისთავი გარდაიცვალა, საერისთავო უფროს ძმას ბაადურს ერგო. ზურაბმა მანამ არ მოისვენა, სანამ ძმა არ ჩამოაგდო და საერისთავოს არ დაეუფლა. ამ საქმეში ზურაბს ირანის შაჰი და ქართლის მეფე სიმონი დახმარებია. ლტოლვილმა ბაადურმა თავი საჩინოს შეაფარა. აქ ახალი უბედურება დაატყდა თავს. ბაადურის ცოლს ვინმე საზვერელ ჩიჯავაძე ეტრფიალა. ქალმა და მისმა საყვარელმა პირი შეკრეს. ჩუმად მოკლეს ბაადური და იქორწინეს კიდევ. ეს რომ ზურაბმა შეიტყო, გადაირია, ძმა როგორ მომიკლესო (თითქოს სულ ცოტა ხნის წინათ, თავად მას არ წაერთმია ბაადურისათვის საერისთავო და ლტოლვილად არ ექცია იგი). საზვერელ ჩიჯავაძეს თავს დაესხა და სულ ნაკუწ-ნაკუწ დაჩეხა.

არც უმცროს ძმას გიორგის უყურებდა ნდობის თვალთ ზურაბი. სულ ეშინოდა – არ წამართვასო საერისთავო. ამით ენატანიები და მახეზღარები სარგებლობდნენ, ძმებს შორის მტრობას თესავდნენ. საკუთარ ეჭვსა და სხვების ბოროტ ენას ზურაბმა ვერ გაუძლო. ძმა დაიჭირა. თვალეზი დათხარა.

როცა ზურაბ არაგვის-ერისთავი ამქვეყნად აღარ იქნება, ხალხი იტყვის: ზურაბ ერისთავის დროსო, სისხლის წვიმების დროსაო.

ასეთი კაცი, ბუნებრივია, დედოფალ ხორეშანს თვალში არ მოსდიოდა, მაგრამ პოლიტიკური ვითარება ითხოვდა კახეთის მეფისა და არაგვის-ერისთავის დამოყვრებას. ასე თუ მოხდებოდა, თეიმურაზს მეტი შანსი ჰქონდა ქართლის პატრონიც გამხდარიყო.

ზურაბ არაგვის-ერისთავის პირველი ცოლი სპარსეთში დაიღუპა. სამწუხაროდ, ქართული მატიაწე არ იხსენიებს ამ უბედურ ქალის სახელს. როცა შაჰ-აბასმა ქართლის დასარბევად ლაშქარი გამოგზავნა, მძევლად, პაატა სააკაძესთან ერთად, ზურაბის თანამეცხედრეც დაიტოვა. ზურაბი პაატას ბიძა იყო, დედის ძმა. ბიცოლა და მულისშვილი ერთად შეეწირნენ 1623 წელს, მარტყოფში, სპარსელების ჯარის ამოწყვეტას და ქართველთა გამარჯვებას.

„დიდმოურავიანში“, იოსებ ტფილელის პირით, გიორგი სააკაძე გოდებს:

*„ქართლისათვის რა ძე დავსთმე, როგორ ტურფა, სასურველი,
ჩემთვის ვარდი მაისისა, აღარვინ ჰყავს მას იქ მშველი,
წასვლის ღონე არსით ჰქონდა, ბევრი ჰყვანდა ჯაშუშ-მცველი,
იქ პაატა დამიკარგავს, აქ არა მყავს გამკითხველი!*

...

*მან ცოლი დასთმო, ჩაიგდო სირცხვილად სრულად არათა!
ვჰკადრე: „უკეთესს შეირთავ შენთვის მწვე გასახარათა,
ხმაღლა და სახელს აქ ჰპოვებ, კვლავ მზე მოგფინო დარათა, –
ლუარსაბ მეფის დის შერთვა, შენთვის არს ეს საკმარათა!“*

მეფე არჩილიც ამასვე ამბობს: „ცოლს უკეთესსა გიმოვნი ბატონიშვილსა ლელასა“.

თუ იოსებ ტფილელი და არჩილი იმ ქალს, რომელიც ზურაბ არაგვის-ერისთავს ცოლად შეპირდნენ, ლუარსაბ მეფის დად მიიჩნევენ, ვახუშტი თვლის, რომ იგი ბაგრატ ქართლის მეფის დად იყო. მართლაც, როგორც ლუარსაბ მეორის, ისე ბაგრატ მეშვიდის დას ლელა ერქვა. აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე ფიქრობს, რომ ვახუშტი ცდება და მართალს იოსებ ტფილელი, არჩილ მეფე და ბერი ეგნატაშვილი ამბობენ. ვახეთის მმართველის ფეიქარ-ხანის ცოლი ლელა ბატონიშვილი იყო დად ლუარსაბ მეორისა და არა ბაგრატ მეშვიდისა. ეს ის ლელა ბატონიშვილია, რომელიც შაჰ-აბას პირველის ცოლი იყო. მაგრამ მას მერე, რაც ირანის მბრძანებლის განკარგულებით, 1622 წელს, შირაზის ციხეში ლუარსაბ მეორე მშვილდის საბლით დაახრჩვეს, შაჰი ველარ ენდობოდა ლელა ბატონიშვილს. ეშინოდა, ძმის მოკვლისათვის შური არ იძიოს, ღამით, სარეცელში, სატევრით მუცელი არ გამომიფატროსო. კ.კეკელიძეს დასაშვებად მიაჩნდა, რომ შაჰმა ლელა ბატონიშვილი ვახეთის მმართველს ფეიქარ-ხანს „აჩუქა“. ასეთი „ჩუქება“ ირანის სამეფო კარზე ჩვეულებრივი ამბავი იყო. „დასაჩუქრებული“ თავს დიდად ბედნიერად გრძნობდა. შაჰის მოწყალებით კმაყოფილებით იყო სავსე. რა თქმა უნდა, ქალს არავინ ეკითხებოდა, მოსწონდა თუ არა ნივთად რომ აქციეს.

ფეიქარ-ხანის თანამეცხედრე ლელა ბატონიშვილი ლუარსაბ მეორის დად იყო თუ ბაგრატ მეშვიდისა, ზუსტად უკვე ველარ დადგინდება ისტორიულ დოკუმენტთა უკმარობის გამო, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ის არის, რომ მარტყოფში გამარჯვებული ქართველები ფეიქარ-ხანს დადევნებით კი დაედევნენ, მაგრამ ვერ დაეწივნენ. ლელა ბატონიშვილი ვერ წაართვეს. ხანი მდევრებს გაუსხლტა და ლელაც თან წაიყვანა.

მაშინ დაიბადა აზრი ზურაბ არაგვის-ერისთავისათვის თეიმურაზ პირველის ასული ფერი-დარეჯან მიეთხოვებინათ, როგორც ვახუშტი ამბობს, „სათნოჩენითა მოურავისათა“.

იქორწინეს. თეიმურაზ პირველის პოლიტიკური ზრახვა თითქოს ასრულდა. მაგრამ არაგვის ერისთავი ზურაბ სრულებით არ აპირებდა ვინმესათვის პირველობა დაეთმო. ვისიმე მორჩილი ყოფილიყო. თუ ადრე მხარდამხარობდნენ, მარტყოფში გამარჯვების შემდეგ, სიძესა და ცოლისძმას, გიორგი სააკაძესა და ზურაბ არაგვის-ერისთავს შორის მტრობა-შუღლი თანდათან იზრდებოდა. სულ უფრო და უფრო საბედისწერო ხასიათს იძენდა.

მარტყოფში გამარჯვებამ გიორგი სააკაძე ქართლში პირველი კაცი გახადა. „ვინცავინ დიდი კაცნი იყუნენ ქართლისანი დიდს მოურავს ქეშიკში უწვევბოდნენ და ყმურად მონებდნენ მას“ (ბერი ეგნატაშვილი).

ეს არაფრად ეჭაშნიკებოდა ზურაბ არაგვის-ერისთავს. სრულებით არ უჯდებოდა ჭკუაში. „განდიდნა ზურაბ ერისთავი და არღარა უდებდა მოურავსათავსა და სიძეცა იყო ბატონის თეიმურაზისა, ამისთვინცა დიდობდა“ (ბერი ეგნატაშვილი).

მტრობის პატარა გუნდამ იგორა, იგორა და უზარმაზარ ზვავად იქცა. 1626 წელს, ბაზალეთში, დუშეთის ახლოს, ორადგაყოფილი საქართველო ერთმანეთს დაეჯახა.

ერთ მხარეს იყვნენ გიორგი სააკაძე, ქაიხოსრო მუხრანბატონი და სამუხრანო. მათ შემწეობას უწევდნენ ლიხთ-იმერეთის მეფე გიორგი და ახალციხის ფაშა, საფარ ჯაყელი.

მეორე მხარეს იდგნენ თეიმურაზ პირველი, ზურაბ არაგვის-ერისთავი და საამილახვრო.

ბრძოლა იყო სასტიკი და დაუნდობელი. დაუჭრელი არავინ დარჩენილა. დაიჭრნენ თეიმურაზ პირველიც, მოურავიც, არაგვის ერისთავიც (ვახუშტი). გამარჯვება თეიმურაზსა და მის რაზმს დარჩა. დამარცხდა გიორგი სააკაძე და მისი გუნდი.

*„ბაზალეთის ომი მოჰხდა, მეფეს მიხვდა გამარჯვება,
იმათ დიდი გახარება, ჩვენ ჭმუნვა და ბევრი ვება“
(იოსებ ტფილელი)*

დიდი მოურავი და ქაიხოსრო მუხრანბატონი ჯერ ახალციხეში გაიქცნენ და მერე ოსმალეთში გადაიხვეწნენ.

რასაც მოელოდა თეიმურაზი, ის ვერ მიიღო. ახლა ქართლის ბატონ-პატრონი ზურაბ არაგვის-ერისთავი გახდა. სპარსელების მიერ ქართლში მეფედ დასმული სიმონ მეორე ქართველებს არ უყვარდათ, ისევე, როგორც მამამისი ბაგრატ მეშვიდე და პაპამისი დავით მეთერთმეტე. ქართლის მეფეების ეს შტო გამუსლიმებული იყო. ისინი ირანისა თუ თურქეთის ხელისუფლების განკარგულებებს მუნჯად ასრულებდნენ. არც დავით მეთერთმეტე გავდა თავის ძმას სიმონ პირველს და არც ბაგრატ მეშვიდე ბიძის შვილიშვილს ლუარსაბ მეორეს. თუ სიმონ პირველი და ლუარსაბ მეორე ქართველობისა და ქრისტიანობისათვის თავშეწირული ადამიანები იყვნენ, ბაგრატ მეშვიდეც და სიმონ მეორეს არც

ქრისტიანობის ბედი აწუხებდათ და არც ქართველობის. მათთვის მთავარი ტახტი იყო. ოღონდ ტახტი არავის წაერთმია და სხვას არას დაგიდევდნენ. თუმცა დავითმა მერე პოლიტიკას თავი მიანება. სტამბოლს თავშეფარებული სპარსულ-თურქული მედიცინის შესწავლას შეუდგა. საყოველთაოდ ცნობილი სააქიმო წიგნი „იადგარ დაუდი“ დაწერა. თუ პოლიტიკაში მხოლოდ ავი ჰქნა (ვახუშტი: დავით „იყო კაცი ხორცთმოყვარე, მეძავ-განმცხრომელ და იქმნა გამცემელ ქვეყნისა...“), სამაგიეროდ, ქართული მედიცინის ისტორიაში უკვდავი კვალი გააგლო.

სიმონ მეორეს ტფილისის ციხე-სიმაგრიდან გამოსვლა ეშინოდა, სპარსელებით გარშემორტყმული სულ იქ იჯდა. რაკი ზურაბ არაგვის-ერისთავი დაეხმარა ქართლის ტახტის მოპოვებაში, „სიმონ მეორე მამასა ეძახდა ზურაბს და იყო მისი მორჩილი და არას იქმოდა მის გარდაუვალსა“ (ბერი ეგნატაშვილი). ეს ძალიან მოსწონდა ზურაბს. დიდად კმაყოფილი იყო. მას თავისი დილბანდი ჰქონდა: „ბატონი თეიმურაზ კახეთსა ზედან უფლობდეს და სვიმონ მეფე ქართლსა ზედა და თვითონ ორთავე ზედა კადრებდეს და ვერარს მოქმედებენ თვინიერ მისსა“ (ბერი ეგნატაშვილი).

თეიმურაზი ხედავდა სიძის ბნელ ზრახვას. მაგრამ აშკარად ბრძოლა ზურაბის წინააღმდეგ ძნელი იყო. თეიმურაზ თავს იკატუნებდა. როგორც სიმაძრი ამუნათებდა არაგვის ერისთავს: ჩემი სიძე ხარ და სიმონ მეფეს კი ერთგულობო: „შეუგვანებელ არს განწირვად სიძისაგან სიმაძრისა“...

არ ვიცით, რამ შეაცვლევინა ზურაბს აზრი – ამგვარმა საყვედურებმა თუ ფერი-დარეჯნის ზემოქმედებამ, მაგრამ ფაქტი კი ის გახლავთ, რომ არაგვის ერისთავმა მისთვის საბედისწერო შეცდომა დაუშვა. ამილახვრის მამულში, ცხვილოსის ციხეში, ზურაბი მეფის საწოლში შეიპარა, მძინარე სიმონ მეფე მოკლა და მოჭრილი თავი სიმაძრს თეიმურაზ პირველს გაუგზავნა.

თეიმურაზის ოცნება ასრულდა: ქართლიცა და კახეთიც მისი საპატრონო იყო. ლიხთ-ამერეთი განუყოფლად ეჭირა ხელში. მაგრამ ერთი ეჭვი მაინც უღრღნიდა ტვინს: იყო კი სანდო ზურაბ არაგვის-ერისთავი?

ამ კაცმა უფროს ძმას საერისთავო წაართვა. უმცროს ძმას თვალები ამოთხარა.

სიძეს, დის ქმარს, გიორგი სააკაძეს უორგულა და უმტრო.

ყურმოჭრილ ყმასავით მორჩილი სიმონ მეფე გაიმეტა და საწოლში დაკლა.

იქნება კი იგი თეიმურაზის ბოლომდე ერთგული? მერე რა, რომ სიძეა. ძმები და დაჲ არ დაინდო და სიმაძრს რატომ არ გასწირავს?

თეიმურაზმა მტკიცე დასკვნა გააკეთა: მშვიდად მაშინ იქნება, როცა ზურაბ არაგვის-ერისთავს იმქვეყნად გაისტუმრებს.

საფურცლეში სუფრას უსხედან სიძე-სიმაძრი. ნადიმობენ. არ ელის ზურაბ არაგვის-ერისთავი ორგულობას. არ იცის, რომ მისი ამქვეყნად ყოფნის წუთები დათვლილია. თეიმურაზის კაცები კი მზად არიან. მეფის პაწია ნიშანიც

და უთვალავ ბრძოლებს გადარჩენილი ერისთავის უზარმაზარი სხეული დაკეპილი ხორცის გროვად იქცევა.

უსახელო ქრონიკიორი დაწერს: „ქ კს: ტიზ: ბატონმა თეიმურაზ ზურაბ ერისთავი მოჰკლა“, ხოლო გაოცებული ბერი ეგნატაშვილი იტყვის – „არა რიდა სიყუარულსა სიძისასა და არც ქურობასა ასულისა თუისისსა დარეჯანისასა“.

თუ არჩილ მეფეს დაუჯერებთ, თეიმურაზ პირველს მწარედ უნანია თავისი საქციელი.

*„რადგან ეს ვიცი, რად ავჰყევ ენას ავისა მზობელსა,
ლობილისა გამსაღებელსა, ფოლადის დამადნობელსა,
უცებთა შეუტყობარსა, ბრძენთაცა ძლივ საცნობელსა,
ყელშიგან წამჭირებელსა, საბელსა დამარჩობელსა?“*

*. . . .
რას მიშველა, ვინანი და ღმერთს ვეაჯი მოტევენას,
მაგრამ ძნელად გაედლების ყმის პატრონზედ აზვავენას,
ორივ ერთად შემეყარა, ამაღ ვერ ვიქ ჯავრთა ვსებას,
ავი ენა, იგ ამაყი, ასრე შემიქს მე დავსებას“.*

თეიმურაზმა სანდო კაცები დუშეთს გაგზავნა. დაქვრივებული ასული ფერი-დარეჯან ჩამოაყვანინა. იგი ლიხთ-იმერეთის მეფის გიორგის ძეს ალექსანდრეს მიათხოვა. ჯვრისწერა სოფელ ქინძარის პატარა ეკლესიაში მოხდა.

არაგვის ერისთავის ქვრივი ქუთაისში ლიხთ-იმერეთის დედოფლად ჩავიდა. ფერ-დარეჯანს დედოფლობაში არასოდეს დავიწყებია, არაგვის ერისთავის ქვრივი რომ იყო. მიცემისა და მიღების, წყალობისა და შერისხვის სიგელს ხელს რომ აწერდა, „ჩვენ ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა, ოვსეთისა და დუალეთისა, სვანეთისა და ყაზარდოსა, ჯიქეთისა და აფხაზეთისა, დიდის ოდიშისა და გურიისა და სრულიად საქართველოს მპყრობელ-მქონებელმან დედოფალთ-დედოფალმან ნესტან-დარეჯან...“, ზოგჯერ დაამატებდა – „არაგვის ერისთავის ქვრივმან...“

რად სჭირდებოდა ლიხთიმერი საქართველოს პატრონს თავისი ქვრივობის გახსენება? ძნელია პასუხის გაცემა. იქნებ მის ქალურ გულს არასოდეს დავიწყებია ვერაგულად მოკლული ქმარი?

არც ქუთაისში ჰქონია მშვიდი ცხოვრება ფერი-დარეჯანს. დასავლეთ საქართველოშიც ერთმანეთს წაკიდებული მეფე-მთავრების შუღლი არ მთავრდებოდა. ოცდაერთი წელიწადი იმეფა ალექსანდრე მესამემ (1639-1660 წ.წ.), ფერი-დარეჯანის თანამეცხედრემ, და მთელი ცხოვრება შინააშლილობებსა და შინაომებში გაატარა. განსაკუთრებით ავიწროებდა ალექსანდრე მეფეს სამეგრელოს მთავარი ლევან მეორე დადიანი. ლევან დადიანი ნიჭიერი პოლიტიკოსი, გულადი მეომარი და გამოცდილი სარდალი იყო. უჭირდა ალექსანდრე მეფეს მასთან ბრძოლა. იყო ქუთაისში ჩაკეტილი და შიშით გარეთ ვერ ჰყოფდა

ცხვირს. მეფის წინააღმდეგ ლევან დადიანს გაბოროტებით აქეზებდა პაატა წულუკიძე. იგი კუტი იყო და თიკუნად „წუწკს“ ეძახდნენ. უბედურება ის გახლდათ, რომ მარტო ხორციელად არ ყოფილა ხეიბარი, სულიერადაც ხეიბარი იყო. „წუწკს“ ლევან დადიანზე რატომღაც დიდი გავლენა ჰქონდა. ცოლ-შვილიც პაატა წულუკიძის დასმენით დახოცა სამეგრელოს მთავარმა. ჩააცივდა, ცოლი ორგულობსო, და იმდენი უჩიჩინა, სანამ გამძვინვარებულმა ლევანმა თანამეცხედრეცა და შვილებიც ზარბაზანში არ ჩატენა და არ გაისროლა.

მეფე-მთავართა შორის ისედაც დამაბულ ურთიერთობას კიდევ უფრო მეტად წამლავდა პაატა წულუკიძე.

ალექსანდრეს სასარგებლოდ ნაწილობრივ მაშინ შეიცვალა ვითარება, როცა მეფის ძმა მამუკა ბატონიშვილი დავაჟკაცდა. მემატიაზე ნიკო დადიანის სიტყვით, მამუკა ყოფილა „ფრიად საქებელი, კისკასი და მარჯვედ მქცევი მხედრობასა შინა“. იგი არ ეპუებოდა ლევან დადიანს და ამარცხებდა კიდევ ზოგჯერ. მაგრამ ერთხელ ბედმა უმტყუნა. ლევან დადიანის ლაშქარი თავს დაესხა ალექსანდრე მეფეს. როგორც ყოველთვის მეფე ქუთაისში ჩაიკეტა. ბრძოლას არ აპირებდა. მამუკა კი პირიქით მოიქცა. ლაშქარი შეკრიბა და თავდამსხმელს შეეგება. ალექსანდრე ისე იყო შეშინებული, რომ განკარგულება გასცა – მამუკასათვის არ მიეცათ მისი საომარი ცხენი. ბატონიშვილი იმ ცხენს მოახტა, რომელიც სახელდახელოდ მოუყვანეს და ბრძოლად გაემართა. უკუაქცია კიდევ ლევან დადიანის კაცები, მაგრამ მოულოდნელად ომში გამოუცდელი ცხენი წაიქცა. როცა ლევან დადიანის მოლაშქრეებმა დაცემული მამუკა ბატონიშვილი დაინახეს, უკან შემობრუნდნენ და ალექსანდრე მეფის ძმა დაატყვევეს. ლევანს მიჰგვარეს. მთავარმა დიდად გაიხარა. ყველაზე შეუპოვარი მოწინააღმდეგე დაჭერილი ჰყავდა.

იმჟამად ქუთაისში სიძესთან სტუმრობდა თეიმურაზ პირველი. ლევან დადიანი თეიმურაზის მამიდაშვილი იყო. ერთმანეთი გულწრფელად უყვარდათ. ერთად იყვნენ ბავშვობაში გაზრდილნი, ალექსანდრე პაპის სახლში, გრემში. მამუკას დახსნის მიზნით თეიმურაზი ლევან დადიანს ესტუმრა. ლევანი ქართლ-კახეთის მეფესა და ბიძაშვილს გულდიად და ხელგაშლილი შეეგება. დიდი ნადიმი გაიმართა და მეტად მოილხინეს. თეიმურაზმა ლევანს მამუკა ბატონიშვილის განთავისუფლება სთხოვა. თავდაპირველად ლევანი არ იყო წინააღმდეგი. აპირებდა კიდევ თხოვნის შესრულებას, მაგრამ საქმეში ისევ „წუწკი“ ჩაერია. – არ ჰქნა, არ გაათავისუფლო მამუკა ბატონიშვილი, თორემ შინდაბრუნებული ისევ შეკრებს ჯარს და სისხლს გაგიშრობსო, – დააშინა ლევან დადიანი. ისევ დაუჯერა ლევანმა პაატა წულუკიძეს. გაწბილებული გამოისტუმრა ქუთაისში თეიმურაზ პირველი.

მამუკა ბატონიშვილს კი თვალები დათხარა და დილეგში ჩაკეტა, სადაც გარდაიცვალა კიდევ. ქრისტოფორო კასტელის ჰყავს დახატული თვალებდამწვარი მამუკა ბატონიშვილი, უსაჩინოესი ვაჟკაცი. „ესე ჰქმნა ლეონ დადიანმა საწყინელი ყოველთაგან და უჯერო და არა შესაშვენ გონიერთა“, – გულდაწყვეტილი წერს ნიკო დადიანი.

1657 წელს გარდაიცვალა ლევან დადიანი. მას შემკვიდრე არ დარჩენია, სამთავრო რომ ჩაებარებინა. როგორც ითქვა, ცოლ-შვილი თავად ამოწყვიტა. მეტი გზა არ იყო: სამეგრელოს მთავრად ლევანის ძმა ლიპარიტ დაჯდა.

ლევან დადიანი მოკვდაო, – გადაირია სიხარულით ალექსანდრე მეფე. ახლა კი ვიყრიო ჯავრს და ლიპარიტ დადიანს მიუხტა. ააოხრა სადადიანო, დიდძალი ალაფი იშოვნა, უამრავი ტყვე წამოასხა. ლიპარიტს სამთავრო წაართვა და სანდო კაცს მამია დადიანის ძეს ვამეყს მისცა.

ჩამოგდებული მთავარი ლიპარიტ დადიანი ახალციხეში გაიქცა. როსტომ-ფაშასა და როსტომ-ქართლის მეფეს ევედრა – ჯარი მომეცით, ალექსანდრე მეფეს სამაგიერო რომ გადავუხადოო. მისცეს ჯარი. ლიპარიტ დადიანს ქაიხოსრო გურიელიც მიემხრო. კიდევ ორმა თავადმა – ჭილაძემ და მიქელაძემ – დაუჭირა მხარი ლიპარიტს. ბანძაში შეება ერთმანეთს ორი ქართული ლაშქარი – ალექსანდრე მეფისა და დადიან-გურიელისა.

ოტია მიქელაძეს სძულდა მეფე ალექსანდრე და ბრძოლის წინ შეუთვალა – „მაცნობე ხვალისა კურტაკი და ცხენი შენი, არ თუ ხარ ჯაბან, და მეც ვაცადუნო შუბის წუერი ჩემი სათუალესა ზარადისა შენისასა“. ალექსანდრე მეფე რისკის კაცი არ იყო. სიფრთხილეს თავი არ სტკივავო, – იფიქრა და ლევან აბაშიძეს ჩააცვა თავისი ჯაჭვ-მუზარადი, თავის ცხენზე შესვა და ბრძოლის ველზე გაისტუმრა. ლევან აბაშიძე ოტია მიქელაძის სიძე იყო. ასული მისი ესვა ცოლად. მოტყუვდა სიმამრი. მეფის ცხენზე მჯდომი, მეფისავე საომარ ტანსაცმელში გამოწყობილი ლევან აბაშიძე მიქელაძეს ალექსანდრე მეფე ეგონა. ებგერა შუბით მიქელაძე აბაშიძეს. კეფა გაუხვრიტა და ტვინი გადმოანთხევინა. მეფე მოვკალიო, გახარებულმა მიქელაძემ დასძახა: „მე ვარ ოტიაო“. მომაკვდავმა ლევან აბაშიძემ ძლივს ამოილულლულა – „რას ეტყვი ასულსა შენსა, უკეთუ შენ ხარ ოტია“. თავზარდაცემული მიქელაძე მიხვდა საბედისწერო შეცდომას, მაგრამ უკვე გვიანდა იყო. გამარჯვებული მეფე ალექსანდრე უმოწყალოდ მუსრავდა ლიპარიტ დადიანისა და ქაიხოსრო გურიელის მეომრებს. არავის უშვებდნენ ცოცხალს.

დამარცხებულმა ლიპარიტ დადიანმა და ქაიხოსრო გურიელმა სტამბულში მოკურცხლეს. ლიპარიტ დადიანი სტამბულში მოკვდა, ხოლო ქაიხოსრო გურიელი ოსმალეთის ხონთქარმა ისევ დააბრუნა საქართველოში გურიის მთავრად. არ ეჭაშნიკა ეს ალექსანდრე მეფეს. ოსმალეთის სულთანს ვერაფერი გაუბედა, მაგრამ ქაიხოსრო გურიელს მკვლელი ვინმე მაჭუტაძე მიუგზავნა. პირნათლად შეასრულა მაჭუტაძემ მეფის დავალება: ქაიხოსრო გურიელი წუთისოფელს გამოასალმა.

იყო ასე გაუთავებელი მტრობა და შუღლი. მოედინებოდა სისხლის ღვართქაფი. ინგრეოდა და ნადგურდებოდა ქვეყანა. ჩვენ არ ვიცით რამდენად აქტიურად მონაწილეობდა ამ საქმეებში ფერი-დარეჯან. მატთანე დუმს. მაგრამ ის, რაც ალექსანდრე მეფის სიკვდილის შემდეგ მოხდა, გვაფიქრებინებს, რომ თეიმურაზ პირველის ასული არ იქნებოდა გულხელდაკრეფილი მოწმე მიმდინარე მოვლენებისა.

1660 წელს მიაბარა სული უფალს ალექსანდრე მეფემ. ვინ უნდა დაესვათ მეფედ დასავლეთ საქართველოს ტახტზე? ოცდაათი წელიწადი ეწეოდნენ ცოლ-ქმრობის უღელს ალექსანდრე და ფერი-დარეჯან, მაგრამ მათ შვილი არ ჰყავდათ. ჩანს, უნაყოფო ქალი იყო ფერი-დარეჯან. არც ზურაბ არაგვის-ერისთავის ხელში შესძენია მას შვილი. როცა გარდაუვლად დადგა ტახტის მემკვიდრის საკითხი, მაშინ ქუთაისში, სამეფო კარზე, გაახსენდათ, რომ ალექსანდრე მეფეს ჰყავდა შვილი ბაგრატ. იგი ოზურგეთში, გურიის მთავრის ოჯახში ცხოვრობდა.

ალექსანდრე მეფის პირველი ცოლი გურიის მთავრის მამია გურიელის ასული იყო. ორი წელიწადი გაგრძელებულა მათი ცოლ-ქმრობა. ორი წლის მერე, ალექსანდრე მეფეს მსტოვრებმა ამბავი მოუტანეს – დედოფალი ქუთათელ ვაჭარს ყვარობსო. არ აპატია მეფემ დედოფალს ვაჭარში გაცვლა. მამია გურიელის ასული სასახლიდან გააძევეს. უკან, გურიაში, მამის ოჯახში დააბრუნეს. შვილიც თან წაიყვანა მაშინ გაძევებულმა დედოფალმა. სანამ ალექსანდრე ცოცხალი იყო, არავის გახსენებია ბაგრატის არსებობა. მით უფრო, რომ ამასობაში გურიელების ოჯახში შემზარავი ამბები დატრიალდა. მამია გურიელი შვილმა სიმონ გურიელმა მოკლა და მთავრის ტახტს დაეუფლა. სიმონ გურიელი, ლევან დადიანის სიძე იყო, დის მარიამის ქმარი. მამა როგორ მოკლავ, – იუკადრისა ლევან დადიანმა სიმონ გურიელის საქციელი. ლაშქარი შეკრიბა და გურიას თავს დაესხა. ლანჩხუთში შეეხვეწნენ ერთმანეთს სიძე-ცოლისძმა. სიმონ გურიელი დამარცხდა. იგი დაიჭირეს. თვალები დათხარეს. ცოლი მარიამი წაართვეს და სამეგრელოში დააბრუნეს. გურიის მთავრად კი ქაიხოსრო გურიელი დასვეს (ის ქაიხოსრო, მერე მაჭუტაძეს რომ მოაკვლევინა ალექსანდრე მეფემ). ამ ამბების მოწმე და თვითმხილველი იყო ბაგრატ.

ფერი-დარეჯანს წინააღმდეგობა არ გაუწევია, როცა ქუთაისში სამეფო კარმა მეფედ ბაგრატი ისურვა. პირიქით, გერი გულთბილად მიიღო. ტახტი დაულოცა. ბაგრატი სიძედაც გაიხადა. ძმისწული დავითის ასული ქეთევანი შერთო ცოლად. ექვსი თვე სიამტკბილობით ცხოვრობდნენ დედინაცვალი და გერი. გარედან ისე ჩანდა, რომ მათ ურთიერთობას არაფერი ემუქრებოდა. საქმე მერე აირდაირია. უბედურების გამომწვევი მიზეზი არ ვიცით (ალბათ, ენატანიებმა და მბებუღრებმა აქაც შეასრულეს თავისი როლი). ვიცით მხოლოდ ფაქტი: ფერი-დარეჯანმა ბაგრატი ტახტიდან ჩამოაგდო. დააბრმავა და გააძევა. თავი მეფედ გამოაცხადა. ქმრად ვახტანგ ჭუჭუნაიშვილი დაისვა. მეფეთა ნათესავი იყო, ეს ვახტანგი, – გვატყობინებს მემატთანე. ეტყობათ, ბიჭად ბიჭი მომხიბლავი იყო ჭუჭუნაიშვილი ვახტანგ, რაკი უკვე ასაკიანი დედოფალი ეგ-ზომ ძლიერ ეტრფიალა.

არ მოეწონა სამეფო კარს დედოფლის თვითნებობა. განსაკუთრებით ჭუჭუნაიშვილის „მეფობა“ აღიზიანებდათ მათ. სანდო კაცები გაგზავნეს ახალციხეში ასლან-ფაშასთან. დიდი მექრთამე იყო ასლან-ფაშა ჯაყელი. გამუსლიმებულ ქართველს არც საქართველოს დარდი ჰკლავდა და არც ოსმალეთის. იმას მიემხრობოდა, ვინც მეტ ფულს ჩაუჩხრიალებდა ჯიბეში. პირამდე სავსე ქისე-

ბი ჩაუტანეს ასლანს ქუთაისიდან ახალციხეში. მარტო ჯარი კი არ გამოატანა ქუთათელ სტუმრებს, თავადაც გამოჰყვა. ასლან-ფაშამ ფერი-დარეჯან და ვახტანგ ჭუჭუნაიშვილი შეიპყრო. ოლთისში გაგზავნა ტყვეებად. ქუთაისში კი ისევ უსინათლო ბაგრატი გაამეფა.

არც ტყვეობაში მოისვენა ფერი-დარეჯანმა. თავად გადაწყვიტა მოექრთამა ასლან-ფაშა. ათასი მარჩილი შეაძლია. სიამოვნებით აიღო ეს ფული ასლანმა. კეხი შეაბრუნა და ახლა დარეჯან დედოფალს მიემხრო. უსინათლო ბაგრატი ისევ დაამხეს და ისევ ფერი-დარეჯან და ვახტანგ ჭუჭუნაიშვილი გაამეფეს.

ნებიერად მეფობდა ფერი-დარეჯან. მაგრამ დასავლელ ქართველ ფეოდალებს გულ-მუცელს უმღვრევდა ჭუჭუნაიშვილის „მეფობა“. ყველა ყველა და ეს აუტანელი იყო. მაშინ პირი შეკრეს და დედოფალს მკვლელი მიუგზავნეს.

ახალგათენებული იყო. დედოფალი დარეჯან სარკის წინ იდგა. უკვე სიბერეშეპარებულ სახეს აკვირდებოდა. ფერ-უმარილით ცდილობდა დროის ნაკვალების წაშლას. მკვლელი ფეხაკრეფით შეიპარა დედოფლის ოთახში. ქურდულად, უკნიდან დასცა შუბი. გული და მარცხენა ძუძუ გაუგლიჯა. ფერი-დარეჯან უხმოდ ჩაიკეცა და გათავდა.

ვახუშტი ამბობს – მკვლელი ხოსია ლაშხიშვილი იყო. ნიკო დადიანი კი მკვლელად სეხნია ჩხეიძეს ასახელებს.

გამძვინვარებულმა სასახლის კაცებმა ვახტანგ ჭუჭუნაიშვილი შეიპყრეს, ეზოში გამოათრიეს და საკალანდო ღორივით დაკლეს.

1996 წ., ივნისი

მეცხრამეტე საუკუნე

ილია ჭავჭავაძემ მიხეილ ლერმონტოვის „მწირი“ თარგმნა. თარგმნისას მოულოდნელი რამ ჩაიდინა: ფინალი შეცვალა.

რუსული „მწირი“ ასე მთავრდება:

*«И божья благодать сошла
На Грузию! Она цвела
С тех пор в тени своих садов,
Не опясяся врагов,
За гранью дружеских штыков»¹*

ქართულის უკანასკნელი სტრიქონები კი ასეთია:

*„მას აქეთ, რაც კურთხევა ღვთისა
მიეცა ტანჯულს ივერისი ერს,
რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა –
ღმერთმა იმ რუსსვე ასკეცად მისცეს“.*

ეს არ იყო „პოეტური თავხედობა“. ეს იყო ქართული სამეფო კარის მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკის უარყოფაც, რუსეთის იმედის გაცრეების აღიარებაც და XIX საუკუნეში შექმნილი ვითარების შეფასებაც.

ეს უარყოფა იმ ნიჰილიზმის უარყოფასაც ნიშნავდა, რომელიც ქართული ეროვნული ენერჯის მიმართ არსებობდა. თავად ის, რომ საუკუნეების მანძილზე ქართული სამეფო კარი თავშესაფარსა და მფარველობას ეძებდა, უკვე მოწმობდა ძვალსა და რბილში გამჯდარ ნიჰილიზმს. ეს ნიჰილიზმი შემთხვევით არ დაბოლოებულია გიორგი მეთორმეტისა (თუ მეცამეტის) სასოწარკვეთილი სიტყვებით. როცა საქართველოში რუსთა ბატონობის დამყარების საკითხი იხილებოდა, დავით ჩერქეზიშვილს უკითხავს მეფისათვის – „ბატონო მეფევ და კარისკაცნო დარბაისელნო: რომ ალებთ კავკასიის კარსა, შეიძლებთა თვისსა დროსა დახშვასა მისსა?“ – გიორგის უპასუხებია – „დახშვა კარისა ამის იქნება დახშვა ქრისტიანობისა კარისა; ამისათვის ჯვარი ქრისტესი, რომელსაცა ვესავთ, იქნება თვით მცველად კარისა, რომელსაცა თვით ჯვარცმული მასზედ დახშავს და განაღებს დასაცველად მეფობისა და მეფეთა, ოდეს თვით ჯერ იჩენს საჭიროდ“ (პ.იოსელიანი – „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“).

ქართველი ხალხი კი არ დაკეტავს დარიალის კარს. როცა ეს აუცილებელი გახდება, არამედ – უზენაესი. ამას ღვთის ანაზარად დარჩენა ჰქვია, რაც არა მარტო პიროვნების უძღურებას გამოხატავს, არამედ მთელი ერისას. არადა, სულხან-საბა ორბელიანს სხვა ანდერძი ჰქონდა დატოვებული. ის, წყალწაღებულ კაცს რომ ჩამოსძახა ღმერთმა, – ხელი გაანძრიე და გიშველიო.

როცა 1832 წელს ხელის განძრევა დააპირეს და სოლომონ დოდაშვილმა მგზნებარედ მოუწოდა ქართველებს – „...აწ ხედავთა დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა? ჰგრძნობათა შეიწროებასა ყოველისა კაცისასა? რადსთვის არის ესე ესრეთ? ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა?! მაშა რადსთვის ვცოცხალვართ?!“ – ნიჰილიზმის ქარმა ისევ დაბერა, რაც იონა ხალაშვილის გულისწყრომით გამოიხატა ნამოწაფარის მიმართ. ხელმწიფე-იმპერატორის ურჩობა როგორ გაბედაო, – ჩივის იონა. „ჰვსტირ კაცსა მას სოლომონ დოდაშვილს, რომელსა განუზრახავს ბოროტნი დიდნი“... ქართველობას კი აფრთხილებდა: „მცირე ერი ხარ და არ ძალგიძს თავისა თვისისა დაცვა თვინიერ მფარველისა“.

როცა ილია ჭავჭავაძე ოცნებობდა – „ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს, კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს, – და ეგ ფიქრია მთელ კავკასიის თავისუფლება!“ – გიორგი მუხრან-ბატონი სტამბავდა წიგნს – „ეროვნულ ინდივიდუალობათა არსისა და დიდ სახალხო ერთეულთა საგანმანათლებლო მნიშვნელობის შესახებ“, სადაც ქადაგებდა, რომ მცირერიცხოვანი ერების ენებს საგანმანათლებლო მნიშვნელობა არა აქვთ, მათ მარადიული ჩამორჩენილობა ელით, თუ არ დაივიწყებენ მშობლიურ ენას და არ ამეტყველდებიანო მრავალრიცხოვანი ხალხების ენებზე.

როცა ვაჟა-ფშაველა გვარწმუნებდა – „ელისებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა!“, – ივანე ჯაბადარი აქვეყნებდა „წერილებს საქართველოზე“,

რომელშიც ქართულ კულტურას განიხილავდა, როგორც სპარსული კულტურის ჩრდილსა და ანარეკლს. არაფერი ორიგინალური და თავისთავადი ქართველ ხალხს არ შეუქმნიაო, – აკეთებდა დასკვნას ივ.ჯაბადარი.

მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე ქართულ აზროვნებაში ორი ნაკადი ებრძოდა ერთმანეთს – იმედი და ნიჰილიზმი. ყველაზე უფრო მტკივნეული ის იყო, რომ ნიჰილისტები არ ყოფილან ქართველი ხალხის მტრები. მათ უყვარდათ საქართველო, მაგრამ არ სწამდათ მისი ეროვნული ენერგია. ამიტომ სხვის იმედად ყოფნა ერჩიათ. ურწმუნოება კი გამოწვეული იყო ხანგრძლივი ეროვნული ჩაგვრით. ეს მკაფიოდ განმარტა გენერალმა ივანე აფხაზმა გრიგოლ ორბელიანთან საუბარში.

„აწინდელი ჩვენი საზოგადოება არის მკვდარი მამულისათვის. ჰსცხოვნებენ უსაგნოდ, დაეხეტებიან უგზოდ... ყოველი ფიქრობს საკუთარი თავისასა სარგებლობისათვის, რომელისა მისაღებად არა მიხედვენ არცა სირცხვილსა, არცა უპატიურსა გზასა, ანგარება არის მათვის თაყვანსაცემი კერპი, რომლითაც გვეკარგება პატიოსნება. გარნა ნუ გგონია რომელ ესე იყოს ბუნებითი თვისება ქართველთა. არა! ესე არს მხოლოდ ნაყოფი ოცდაათის წლის მორჩილები-სა“.

მორჩილებას თავი შეიძლება დააღწიო მხოლოდ თავისუფლების მოპოვებით. ამიტომ იკითხა, ნიკოლოზ ბარათაშვილის პირით, გაგულისებულმა მე-19 საუკუნემ: „მაგრამ შენ, მეფე, ვინ მოგცა ნება – სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება, მისდევდე შენსა გულისკვეთებას და უთურგენიდე თავისუფლებას?“ კითხვა დაგვიანებული იყო. იგი, თუ უფრო ადრე არა, მე-18 საუკუნეში მაინც უნდა დასმულიყო. მაგრამ, რაც მოხდა, მოხდა: ისტორიის შემოზრუნება შეუძლებელია. მე-19 საუკუნეს ისღა დარჩენოდა, წარსულის შეცდომა მომავლისათვის გამოესწორებინა. განაცხადა კიდევ:

*„მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,*

ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...“

ილია ჭავჭავაძის ამ სიტყვებით მე-19 საუკუნე სახავდა იმ გზას, საითაც უნდა ევლო ქართველ ხალხს. მაგრამ ამ გზაზე მე-19 საუკუნეს ყოველთვის არ უვლია პირდაპირ, მტკიცედ, ურყევად. ხშირი იყო მერყეობაც, ორჭოფობაც და გაუბედაობაც. ამას არა მარტო ნიჰილისტთა საქმიანობა მოწმობს, არამედ სხვებისაც. ჩემი ნათქვამი რომ ლიტონ განცხადებდად არ დარჩეს, ყურადღებას მივაქცევ ზოგიერთ ისეთ მოტივს, რომელიც ცხადად გამოხატავს მე-19 საუკუნის საერთო სულიერ განწყობილებას.

დავიწყებ იმით, რომ გაგახსენებთ მზიას სიზმარს ვაჟას „გველისმჭამელში“

*„მოასქდა ღვარი ზენაით,
ლიბო მოჰგლიჯა ციხესა
და შეურია ისიცა
დაბლა არაგვის რიყესა,
სახლიც წაიღო ჭერხოთურ,
გაგვიყოლია ჩვენაცა...“*

მზიას სიზმარი, როგორც ვიცით, მოასწავებს მინდიას დაღუპვას. იგი იღუპება როგორც პიროვნება და როგორც იდეა.

სახლ-კარის დაქცევა სიმბოლურად ყოფიერების საფუძვლის მოშლას ნიშნავს. სახლ-კარი სამყაროა, ურომლისოდაც არ არსებობს ადამიანი, დიდი კოსმოსის პაწია ნაწილი. თუ ადამიანს იგი არ გააჩნია, ქონებრივად ბოგანო ხდება და სულიერად – ბეჩავი. იღუპება სახლ-კარი, იღუპება ადამიანიც. იღუპება ადამიანი, იღუპება სახლ-კარიც. ამის გამოა, რომ მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში სახლ-კარის პრობლემას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა: სამწუხაროდ, იგი ყოველთვის იქცევა, ან სოციალური, ან ეროვნული, ან სულიერი მოუწესრიგებლობის შედეგად.

დარღვეულია და მოშლილია ლუარსაბ თათქარიძის სახლ-კარი („კაცია-ადამიანი?!“). მოვლილი და ნაპატრონეია ოთარაანთ ქვრივის კარმიდამო („ოთარაანთ ქვრივი“), ავ თვალს რომ არ ენახვება, ისეა, მაგრამ ესეც დაიქცევა, რაკი გიორგიც დაიღუპა და ოთარაანთ ქვრივიც შვილის საფლავს დააკვდა. საბოლოოდ მშრომელისა და უქნარას, გამრჯესი და ზარმაცის ბედ-იღბლის რეზულტატი ერთნაირია.

ღარიბი გლეხის ბიჭმა ბახვა ფულავამ (გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯი“) რის ვაი-ვაგლახით ქონება შეიძინა, სახლ-კარი მოაწყო, ესმაც შეირთო. თითქოს მის ბედნიერებას არაფერი ემუქრება, მაგრამ ყველაფერი თავდაყირა დაემხო. გამოჩნდა იერემია წარბა, რომლის დაუოკებელმა ვნებამ ესმა შეიწირა, ბახვა ფულავას ოჯახი, სახლ-კარი განადგურდა, მოისპო თავადაც, როგორც პიროვნება.

სოციალურმა ძვრებმა მოუღო ბოლო თავად რევაზ ბაკურაძის სახლ-კარს. ყოფილი ყმის, გავაჭრებული პეტრიელა გაწერელიას ხელში ჩააგდო, მაგრამ ვერც მან იხეირა. მოურავმა შიუკამ ხანჯლით აჩეხა პეტრ ივანიჩად გამხდარი პეტრიელა (გიორგი წერეთელი – „გულქანი“). პეტრიელა გაწერელიას ცოლ-შვილი არ ჰყავდა, მთელი მისი ავლადიდება განიავდა.

ეგნატე ნინოშვილთანაც პიროვნების დაღუპვა და სახლ-კარის დაქცევა გადაჯაჭვულია ერთმანეთზე. ეგზეკუციამ დაარბია გოგია უიშვილის ოჯახი. ამას გოგიას თვითმკვლელობა მოჰყვა, მარინეს გაგიჟება და სახლ-კარის დაქცევა („გოგია უიშვილი“). ძალადობამ, დამცირებამ, ცოლის გაბახებამ ააღებინა თოფი ხელში სიმონა ძალაძეს. ყაჩაღად გავარდნილმა სიმონამ საკუთარი ოჯახიც დააქცია და დავით დროიძისაც, ვისაც, შურისძიების მიზნით, შვილები ამოუწყვიტა („სიმონა“). უსიყვარულო ცოლ-ქმრობამ არივ-დარია ჯეირან ტევ-

რიძის ოჯახი. ვერ იქნა და ვერა: ვერ შეეთვისნენ ერთმანეთს ჯეირანი და მე-
ლანია. მერე თავგზადაკარგულმა ქმარმა ცოლი მოჰკლა, რასაც კაცის გაციმბი-
რება მოჰყვა. ერთ დროს თითოთ საჩვენებელი სახლ-კარი და ოჯახი პარტახად
იქცა („პარტახი“).

ელგუჯას სახლ-კარს კაზაკ-რუსების რაზმი დაესხა. მათიაც მოჰკლეს,
მზალოც დაატყვევეს და მერე თავად ელგუჯაც მომხდურებთან ბრძოლას ემ-
სხვერპლა (ალექსანდრე ყაზბეგი – „ელგუჯა“). მოხვევის ოჯახის ლიბო მოიშა-
ლა. უზნეობამ და უნამუსობამ შეიწირა ელბერდის ოჯახიც. რუსმა ოფიცერმა
ელბერდის ცოლის ენდის გაუპატიურება მოისურვილა. ქმარმა ცოლის ღირსე-
ბა დაიცვა. ეს არ აპატიეს და საჯაროდ ჩამოახრჩვეს. ენდისა და ელბერდის პა-
ტარა ბიჭი სულთი კაზაკებმა

გაჰყლიტეს ჩხუბის დროს („ელბერდი“).

დავით კლდიაშვილის მოთხრობებში ხომ უმთავრესად და ძირითადად
სამირკველმორღვეული სახლ-კარი და ოჯახებია აღწერილი. გასახსენებლად
არისტო ქვაშავაძის მამიდის ელენეს სახლ-კარიც კმარა („სამანიშვილის დედი-
ნაცვალი“).

საილუსტრაციო მასალის მოხმობას აღარ გავაგრძელებ, ვისაც მე-19 საუ-
კუნის ქართული მწერლობა უკითხავს, ამგვარ სურათებს თავადაც ბევრს
აღიდგენს მეხსიერებაში.

განა შეიძლება ამ სურათების დავიწყება?

„კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი...“

იატაკი აგურისა არის. ეს არის ძნელი, რომ აგურები შიგა-და-შიგ ამოც-
ვივნულან; ამათი ალაგი ამოთხრილ ორმოებად დარჩენილა. თვალების ძალი-
ან გაფაციცება უნდა, თორემ, თუ ფეხი შიგ ჩაგივარდა, ვაი შენს მტერს! ან კისე-
რი მოსტყდება კაცსა, ან თითონვე ფეხი... ამ ხიფათს შეიძლება კაცი გადაურ-
ჩეს, თუ რომ ოთახი ნათელი იყოს. ვაი, რომ არც ეს არის. თუმცა ორი, სათოფე-
ზედ კარგა მოდიდო, ფანჯარა აქვს, მაგრამ ოთახი მაინც ბნელია, იმიტომ რომ
ფიჭვის ჩარჩოზედ მინის მაგიერად მეტად გამჭრიახ გონებას გაქონილი ქა-
ლალდი გაუკრავს... იმ თათქარიძის ოთახში იდგა ორი გრძელი ტახტი, ერთმა-
ნეთის პირისპირ... ორ ტახტ-შუა აღმოსავლეთის კედელზედ მოსჩანდა; კბი-
ლებჩამოცვივნულ ბებერ დედაკაცის დაღებულ პირსავით, ერთი ამოჭვარ-
ტლული გარედამ და შიგნიდამ, ერთი მწუხარე და დაღრეჯილი ბუხარი. აქა-
იქ ოთახის სამკაულად ეყარა სხვადასხვანაირი ნივთები, მაგალითებრ: ტალა-
ხიანი ყარაბაღული თეთრი წაღები, პირმოტეხილი სპილენძის თუნგი, ქონიანი
შანდალი, სპილენძის საჩაიეში მოხარშული მყრალა-ბალახი, ზურგიელის ნა-
ჭერი და სხვანი და სხვანი“ (ილია ჭავჭავაძე – „კაცია-ადამიანი!?“).

„ჩემი მასპინძლის სახლს პატარა აივანი ჰქონდა, მაგრამ რიკული კი ერ-
თიც აღარ ება, სულ ჩაცვენოდა ადამის წლის მოხუცებულივით. ხარიხაც ასეთ
რიგად ირწეოდა, რომ იმის ჩაქცევას ერთი ხელის კვრის მეტი არა უნდოდა
რა... სასტუმრო ოთახი ფიცრის იატაკით იყო მოგებული. ფიცარსა და ფიცარს
შუა იატაკს ასეთი ფარღალალები ჰქონდა დატანებული, რომ დიდი გაფრთხი-

ლება მართებდა კაცს, ფეხი არ ჩავარდნოდა... ჩვენს ოთახს ცალ გვერდზე ჩან-გრეული ბუხარი ეშენა. იმის წინ სამფეხა სკამი იდგა... სულ დანით იყო დაჩეხილი... ამის გარდა კიდევ იყო ორი სხვა ოთახი უჭერო და უიატაკო... ათი ქცევა ეზო სულ მოტლეკილი იყო. აქა-იქ გამხმარი ბალახის ღეროები ობლად ამოჩრილიყვნენ მიწიდან. უწვიმობისგან მიწა დამსკდარიყო..." (გიორგი წერეთელი – „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“).

„ტყით დაჩრდილული ფერდოს ძირში, რომელსაც პატარა ჩქრიალა მდინარე ჩაუვლის ახლო, დგას ფიცრული სახლი, რომლის სახურავი თითქმის სულ ჩანგრეულა, უსახურავოდ დარჩენილი კედლები სტიქიონთ ძალით გამავებულა, აქა-იქ ლოჯებში ცოტათი დამპალა კიდევ, ხავსი მოჰკიდია, სუროთი მობურდულა. დანარჩენი შენობები ზოგი, ეტყობა, წაუღიათ და ზოგი კი, მაგალითად, ფაცხა, საძროხე და მისთანა წვრილმანები დამპალა და დალეწილა. ჭიშკრიდან და ეზოს ღობიდან მხოლოდ აქეთ-იქით გადაზნექილ-გადმოზნექილ ურთხლის ბოძები და სარები დარჩენილა. ეზო ტევრად გადაქცეულა, ბარდ ეკალს მოუცავს, ნორჩი ხეხილები – ლედვი, ატამი, ბია და სხვა, საქონელს დაუმტვრევია და გაუფუჭებია. სულ მთლად აქაურობა სამარისებურ მყუდროებას მოუცავს“ (ეგნატე ნინოშვილი – „პარტახი“).

დიდ შეცდომას დავეუშვებდით, თუ ამ სურათებს მხოლოდ სოციალ-ეკონომიკური გასაჭირის ილუსტრაციად ჩავთვლიდით. მარტო სოციოლოგიური კუთხით განვიხილავდით. დაქცეული სახლ-კარი დაპატიმრებული თავისუფლების სიმბოლოც არის. თუ ქონებრივი სიდუხჭირე, ერთი მხრივ, ნიჰილისტთა წისქვილზე ასხამდა წყალს, მეორე მხრივ, ოპტიმისტთა ოცნებას ფრთებს აკვეცავდა. ბოჭავდა და ზღუდავდა მათ. სილატაკის სურათები იმ კაემანსა და სევდას გვიჩვენებენ, რომლითაც შეპყრობილია არა მარტო პროტაგონისტები ამ მოთხრობებისა და რომანებისა, არამედ მათი ავტორებიც, ამდენად, მთელი მე-19 საუკუნის მოაზროვნე საქართველოც. ამას ადასტურებს ის წერილიც, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილმა გაუგზავნა ბიძას, გრიგოლ ორბელიანს, 1843 წლის 21 აგვისტოს.

„ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არ მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს, და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზსა!“

წერილის თარიღს მნიშვნელობა არა აქვს. ეს მთელი მე-19 საუკუნის საქართველოს ოცნებაა. საქართველოსაც სჭირდებოდა კაცი, რომელიც გაიყვანდა მას ეროვნული მონობის ღრე-კლდიდან.

გათავისუფლების პრობლემა სხვადასხვა კუთხით ისმოდა: პიროვნული, ეროვნული და ორივე ერთად, რაკი მკვიდრდებოდა საქართველოში ახალი, უცნობი ზნე-ჩვეულება, ცხოვრებისა და აზროვნების წესი, ქართველს არა მარტო ქონებრივი რღვევა ემუქრებოდა, არამედ ცნობიერების დაშლაც.

თუ ალექსანდრე ორბელიანი გაუბედავად მაინც ფიქრობდა – „მე რუსები საქართველოში არ მიყვარან, მინდა აქედან ისე გადაიკარგნენ, რომ საქართველოს სუნიც იმათ ვეღარ მიედინოს და რუსეთში კი ბედნიერად იყვნენ“, – დიმიტრი ყიფიანი გულახდილად აღიარებდა, – „მე რუსი ვარ ჩემის სამსახურით, ლუკმა პურით, რომელსაც ვჭამ, და ჩემის აზრის მიმართულებით. მე ქართველი ვარ გვარტომობით და მოძმეთა ენით“.

ასე დაკავშირდა ერთმანეთთან ქონებრივი და სულიერი ვითარება: რუსი ვარ, რაკი რუსის ხელფასით ვიკვებები, ქართველი ვარ, რაკი ქართულად ვმეტყველებ. ჩამოყალიბდა ახალი ტიპი, რომლის არსი რუსთა პატივში მყოფმა გლახა ჭილაშვილმა (მეორე სახელითაც არის ცნობილი – გაბრიელ ჭილაძე) ასე გამოხატა: „რუსიცა ვარ და ქართველიც“. გაჩნდა ორბუნებიანი ქართველი, რომლის არსებობა დღესაც გრძელდება.

*„ქართულ ტანისამოსსა აბა რაღად იკადრებს:
სწავლული კაცი არის, ტანზედ ფრაკი აცვია;
ვინც რუსული არ იცის, მთის ნადირსა ადარებს, –
ვინც ამტყუნებს, მართალს ბრძანებს: ის სწავლული კაცია!
არ მოსწონს სალამური, არც თარი, არც ჩონგური,
ლეკური ეზიზღება, მოსწონს ტანცი-მანცია;
ვერ დავძრახავთ: ოპერისთვის მიუჩვევია ყური!
უჰ! რა შვილი დამდგარა! რა სწავლული კაცია!...
თუ რუსული არ იცი, ახლოს ნუ ეკარები,
მუსაიფი არ უყვარს, ქართულში ზარმაცია;
უსწავლელებთან, თურმე, მოსდის ზაფრის ქარები;
რა ჰქნას? არ გავამტყუნებ: ის სწავლული კაცია!...
გაბუტვით დადის, სიბრძნე აღარ ეტევა ყელში,
მთელს „ნაციას“ ის მოსწონს, მას სძულს მთელი „ნაცია“!
აი, სწავლული შვილი, სანატრი ამ სოფელში,
ქართველების შეხედვით ყოვლად კარგი კაცია!“...
(აკაკი წერეთელი)*

მიმდინარეობს დიდი სულიერი, შინაგანი კონფლიქტი. დრო აჩვენებს, რა დასძლევს – ქართული თუ რუსული ბუნება. დიმიტრი ყიფიანი ღონიერი კაცი იყო და, როცა ვითარებამ მოითხოვა, მასში ქართულმა ბუნებამ გაიმარჯვა. მართალია, ამ გამარჯვებას ხორციელად შეეწირა, მაგრამ სული მისი გადარჩა. ყველას არა აქვს დ.ყიფიანის ძალა, ამიტომ ბარე ორი საუკუნე მიმდინარეობს სულის რღვევა.

ენა სულის ნაწილია, თუ სული ირღვევა, ირყვნება ენაც და პირიქით – თუ ირყვნება ენა, ირღვევა სულიც. ეს გრიგოლ ორბელიანმა აფორიზმით გამოთქვა:

*„ერის ცხოვრება, მისი დიდება, მის ისტორია დაცულ არს ენით;
რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს... წაეცხოს ჩირქი ტაძარსა
წმინდას!...“*

ხოლო გიორგი ერისთავმა მთელი სურათი დახატა. მისი პერსონაჟები ამ-
ღვრეული ენით მეტყველებენ: ქართულ-რუსულ-სომხურად.

ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ, რომ ლავრენტი არდაზიანმა, გიორგი ერის-
თავმა, გიორგი წერეთელმა დაგვიხატეს ახალი, ვაჭართა კლასის გამოჩენის სურ-
რათი ქართულ სინამდვილეში. მაგრამ არაფერს ვამბობთ უმთავრესზე: როგორ
შემოვიდა ქართულ მწერლობაში ცნობიერების მთლიანობას მოკლებული ადა-
მიანები. განსაკუთრებით სრულად ეს გ.ერისთავის პიესებში გამოჩნდა.

ცნობიერების მთლიანობას მოკლებული ადამიანები სრულიად თავისე-
ბური მოვლენაა. ისინი არსებობენ მხოლოდ კოლონიურ ლიტერატურაში და
იბადებიან ორი კულტურის შეჯახების დროს. მით უმეტეს, თუ ერთი კულტურ-
ა მეორეს ჩაგრავს პოლიტიკურად, სამხედრო და სახელმწიფო ძლიერების
მხრივ.

ცნობიერების მთლიანობას მოკლებულ ადამიანების სამყაროში არ არსე-
ბობს ამაღლებული. მათი სულიერი მიდრეკილებანი შეზღუდულია და არ
სცილდება ქონებრივ ინტერესს. მათ სამყაროში იღუპებიან ისინი, ვისი სულიც
იღვიძებს. მათი მიდრეკილება მიბაძვაა ან უფლებრივად, ან წოდებრივად, ან
ქონებრივად უპირატესისა. ამდენად, უცხოა მათთვის თავისუფლების წყურვი-
ლი. სულერთია, გულით ამბობენ თუ ორპირობენ, ისინი ელაქუცებიან ძლი-
ერს, მბრძანებელს. ავლენენ ლაქიურ ერთგულებას. ივიწყებენ ეროვნულობას.

„ეხლა მე ვიცი, თქვენ ამ უბედურის-შვილს დააჭერინებთ, ციხეშიაც ჩა-
სომთ, მაგრამ იმას კი გეხვეწებით – ბევრს ნუ აცემინებთ: აზიზადა მყავს გაზ-
რდილი, მაგას – ერთი ორმოც-სამოცამდე რუსის წკეპლა ჭირადაც და ლხინა-
დაც თავსაყრელად ეყოფა. რა ვქნა? ჩემი გაზრდილია, მაინც მებრალება.
გთხოვთ უმორჩილესად, მაგაზედ მეტს კი ნუ დააკრევენებთ. რაც უნდა იყოს,
მე ეგენი, ეგ გველის წიწილები, მაინც ჩემად მეგულებიან, შვილებსავით დაგ-
ვიზრდია, დიდი სიბრალული მაქვს. ეგრე, გეთაყვანე, ბევრს ნუ აცემინებთ.
თუ სამოცი გეცოტავოთ, ერთი ოციოდე კიდევ მიუმატეთ, არა უშავს-რა. მაგა-
ზედ მეტს კი... აი, მუხლმოდრეკითა გთხოვთ – ნუ გადააჭარბებთ. ეს კია, რომ
რუსს უნდა დააკრევენოთ როზგები, თორემ ქართველი ხომ მოგეხსენებათ,
მაგისტანებშიაც ქალაჩუნა არის, ისე ვერ დაკრავს, როგორც ზაკონი და კანო-
ნია. ამასაც, თქვენმა მხემ, მაგისტავის ვამბობ, თორემ ცემა ცემად ჩაეთვლება
და ეგ კი ისევ-ისე ვირად დარჩება“ (ილია ჭავჭავაძე – „გლეხთა განთავისუფ-
ლების პირველ-დროების სცენები“).

„მე იმას, თუ ქალი ვარ, ქართველობას დავავიწყებ! რა ხალხია ქართველე-
ბი! სულმდაბალი, ღარიბი, გაუნათლებელი, ერთი ნემსის საღირალზე გაგყი-
დის... რა ენაა ქართული ენა? პოვრების და ლაქიების ენაა, განათლებულ საზო-
გადოებაში ვინ გაიგონებს მას? მე ჩემი შვილი ისე უნდა გავზარდო, რომ ქარ-

თული არ გავაგონო. ის კი არა, თუ ღმერთმა მომასწრო მისი გაზრდა, გვარსაც კი გამოუცვლი, რუსულ გვარს დავარქმევ, იმიტომ რომ რუსული გვარი ჩემი აზრით კეთილშობილების ნიშანია. რაც მალე გარუსდება ჩვენი ხალხი, ისე უფრო მალე შევა ბედნიერებაში“ (გიორგი წერეთელი – „გულქანი“).

ჩამოყალიბებულია საზოგადოება, რომელმაც სახე დაკარგა. გაითქვიფა და აირია. უარყო საკუთარი მე. დრო მიდიოდა, მაგრამ ვითარება არ იცვლებოდა. მდგომარეობა იგივე რჩებოდა. როცა დრო მდინარებს, მაგრამ ვითარებამდგომარეობა უცვლელი რჩება, ხალხს ეუფლება სასოწარკვეთილება. ყოველი ადამიანი დროის სვლასთან აკავშირებს ვითარება-მდგომარეობის ცვალებადობასაც. ეს ბუნებრივი სურვილია. ბუნებრივი კანონიც არის. ხალხი თუ პიროვნება, რომელიც ამ კანონზომიერებიდან ამოვარდება, განწირულია.

უნდა გადალახულიყო სასოწარკვეთილებისა და განწირულების განცდა. სასოწარკვეთილებასა და განწირულებას მე-19 საუკუნის ქართულმა მწერლობამ ოთხი მხრიდან შეუტია: ნიკოლოზ ბარათაშვილის ეროვნული და პიროვნული თავისუფლების ამბოხით, რაფიელ ერისთავის სოფლის ყოფის მშვენიერებით, ილია ჭავჭავაძის ეროვნული და სოციალური პროგრამით და აკაკი წერეთლის შემოქმედებითი არსებობის სიხარულით. ამ ოთხ დარტყმას უნდა დაენგრია რუტინა და ქართველი ერისათვის ისტორიის ასპარეზი გაეკაფა.

ნ.ბარათაშვილის რთულ და ნაირფეროვან პოეზიაში ბოხოქარი, მოუსვენარი, აჯანყებული სული ტრიალებს. მართალია, მარტოობის მძაფრი განცდა მას არასოდეს ტოვებდა, მაგრამ ამ სოფელზე უარის თქმა მას ადამიანის დამცირებად და უღონობად მიაჩნდა. აქარსებობას მომღერალ, ცრუსა და მუხთალ სოფელს ეძახდა, მაგრამ მის ხიბლსაც უტყუარად ხედავდა. მას არც საყვარელი ქალის საყურის თამაში დარჩენია შეუმჩნეველი და არც ყაბახით აღგზნებული კეკლუცის ფეფები. არც მიბნედილი თვალების მიმართ დარჩენილა გულგრილი და არც ნიავის მიერ მიშლილ-მოშლილი დალალებისა. მის ყურს ფორტე-პიანოზე მომღერალი მზეთუნახავიც ატკბობდა და ჩვილი ყრმის ტიკტიკიც. მას ფრიალო კლდეზე გადამდგარი ჩინარიც ხიბლავდა და მცინარი და ცრემლიანი მთაწმინდაც. მაგრამ გულში მაინც განუკურნებელ სევდას ატარებდა. სევდას, გამოწვეულს მამულისა და პიროვნების ბედით.

**„ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა!“**

თუმცა გულდახურულობისა და სოფლისმომდურაობის გამო არ გამხდარა იქარსებობის მონატრული. პირიქით, სხვა რამ ეოცნებებოდა – „მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი, რომ ჩემს აღმოსვლას ელოდენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი...“ უნდოდა მარადიულ კოსმოსურ კანონზომიერებას შერწყმოდან: „სალამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო“. იმასაც ნათლად ხედავდა, რომ მარადიული კოსმოსური კანონზომიერებისაკენ მიმა-

ვალი გზა იმ მუხთალ და ცრუ წუთისოფელზე გადიოდა, რომელსაც ყოველი კაცი უჩივის, მაგრამ არავის ეთმობა.

*„მაგრამ რადგანაც კაცნი გვექვიან – შვილნი სოფლისა,
უნდა კიდევ მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!“*

„მერანის“ ავტორი თავის ქვეყნის ღვიძლი შვილი იყო და მამულის ბედი – მისი ფიქრისა და ზრუნვის საგანი. მართალია, საქართველოს ბედი „დიდი ხანია გარდუწყვეტია გულს ირაკლისა“, მაგრამ ნ.ბარათაშვილი ვერ გახდებოდა მისი თანახმა. ის, რასაც „ბედი ქართლისაში“ სოფიო ამბობს, პოეტის გულის ამოძახილია.

*„უწინამც დღე კი დამელევა მე!
უცხოობაში რაა სიამე,
სადაცა ვერ ვის იკარებს სული
და არს უთვისო, დაობლებული?
რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბუღბული,
გალიაშია დატყვევებული!
და ველად იგი, ამხანავთ შორის,
ჭირსა, ვით ლხინსა, ერთგვარ დამღერის!
ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება?“*

ამას ის გულახდილი, დაუფარავი აღტაცება-შეძახილი ადასტურებს, რაც ნ.ბარათაშვილს არ შეუნიღბავს არატენდენციურობის ბურუსით: „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო, კურთხევა თქვენდა, ტკბილ-სახსოვარნო!“

როგორც პიროვნების, ისე ერის მონობა სამყაროს მთლიანობასა და ჰარმონიას არღვევდა. იმ უხილავ, მისტიკურ კავშირს წყვეტდა, რომლითაც ყველაფერი ერთმანეთს ებმის და ერთიანი ხდება. რა კავშირსაც ნ.ბარათაშვილი მთელი არსებით გრძნობდა და სულის თვალებით ხედავდა. „მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უსაკოთაც და უსულთ შორის, და უცხოელეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის!“ ამას საუკუნის დასასრულს მეორე ჯადოქარიც დაინახავს და წინაპარს „გველისმჭამელის“ დაწერით შეესიტყვება. საუკუნის სული გამთლიანდება. ნ.ბარათაშვილსაც ის ენა ესმის და ის კავშირი აქვს კოსმოსთან, რა ენაც ესმის და რა კავშირიც აქვს ვაჟა-ფშაველას. ქართული მე-19 საუკუნე 1783 წელს იწყება და 1907 წელს მთავრდება, მაგრამ იგი ერთიანია, რამეთუ მისი გამჭოლი ხაზი ნ.ბარათაშვილის მერანის ლტოლვაა თავისუფლებისაკენ. მე-20 ასწლეულში მას მესამე ჯადოქარი გამოეხმაურება „ლურჯა ცხენებით“. ნ.ბარათაშვილსა და ვაჟა-ფშაველას დარად მანაც იცოდა, რომ „სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს!“

გამოუცნობი ქიმერების წვდომა თავისუფალ სულს შეუძლია. მას ერიც უნდა მიწვდეს და პიროვნებაც. არ არსებობს თავისუფალი ერი თავისუფალი პიროვნების თვინიერ, და პირიქით: არ არსებობს თავისუფალი პიროვნება თავისუფალი ერის თვინიერ. თავისუფალი კაცობრიობა თავისუფალი ერებისა და პიროვნებებისაგან ყალიბდება.

*„სად დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო;
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა
მე საიდუმლო!“*

რა არის ეს გულის საიდუმლო?

*„რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის
განანათლებს!“*

ქართული მე-19 საუკუნე ამ მზიანი დილის მოლოდინი იყო.

ამბოხებულ სულის გვერდით, საქართველოში ის კაციც ცხოვრობდა, ვინც დღედაღამ მიწას დასცქეროდა და დაკოჟრილი ხელებით ხორცისა და სულის საზრდელს ქმნიდა. მას იმედი და სიხარული სჭირდებოდა. რაფიელ ერისთავი გლეხის ყოფის მძიმე სურათს ხატავდა, მაგრამ ამას გვერდით თან ახლდა რაღაც სილამაზე, რასაც სოფლური არსებობის იდილია და გლეხის დაუმორჩილებელი და გაუტეხელი ბუნება ქმნიდა.

ბატონის, მამასახლისის, გზირისა და მევახშის მიერ დაჩაგრულ მშრომელს აქარსებობის მაინც არ ეშინოდა.

*„მოხან, მოთესე, მოიმკე,
ბუნება მწყალობელია;
გამხნევდი, ძმაო, იმედი
არსად არ გაგიფრინდება,
ღმერთი დიდია, ღარიბო,
გული ნუ შეგიშინდება“.*

...

*„ვცხოვრობ ბეჩავი, ღვთის მადლით,
არ გამტეხია გულია
ნუ გეგონებათ, შევშინდე
ჯაფისგან მოქანცულია!“*

მიწას მიბმულ მაშვრალს აქარსებობის იმედს თავად ბუნების მშვენიერება აძლევდა. ყველაფერი გარემომცველი უთვალავ სილამაზეს შეიცავდა. ნუთუ შემოქმედი ამ მშვენიერებას ადამიანის აქყოფნის გასამწარებლად ქმნიდა? ძნელი დასაჯერებელი იყო ეს. ამიტომ ადამიანი ბუნებით ტკბობას უნდა მისცემოდა და სულის სიმშვიდე ეპოვნა.

რ.ერისთავს ყველაფერი ახარებდა – მზის ამოსვლა, მწიფე ყანის ბიბინი, შრომით დაქანცული გლეხის ხილვა, თოვლის მოსვლა, რთველი... ერთი სიტყვით, ბუნება, მთელი მისი ყოფიერებით.

*„მინდორი და ველი ჰყვავის,
ნამი ბზინავს ათასფერად,
მზემაც თვალი დააჭყიტა,
ამოვიდა მათ სამზერად...“*

...

*„ბიჭო, პური შემოსულა,
ღელავს, ბზინავს ოქროს ფერად,
უფლის თვალი შიგ ტრიალებს, –
მოდით, ნახეთ, თუ არ გჯერათ!...“*

...

*„თავზე წაუკრავს ნარმის ნახევი,
მოდის, ღიღინებს დაბალს ხმაზედა,
მოდის ამაყად, მჭრელი ნამგალი
გადაუდვია მოღლილს მკლავზედა...“*

...

*„მახსოვს, როცა ბაღლი ვიყავ,
მიხაროდა თოვლის მოსვლა.
თოვლის გუნდის გაკეთება,
სროლა, თოვლში გორვა, მოსვრა...“*

...

*„ყურძენი დამწიფებულა,
დახე, როგორ წითლად ღუის,
ჩქარა, ჩქარა რთველი, თორემ
კოლო-ბუზი თავს დაჰბზუის...“*

სიცოცხლე განუმეორებელი მშვენივით იყო სავსე. მის წინაშე ფერ-მკრთალდებოდა ყველა სოციალური გასაჭირი და უბედურება. აქარსებობის ჭიდილში ადამიანი მარტო არ იყო. მას ამხნევებდა და ძალას მატებდა ოჯახიც, მეზობელიც, ამხანაგ-მეგობარიც. ყოფის იდილიური სურათის ხილვაც კი მხნეობის მომგვრელი იყო.

*„ცხელა და ცხელა, პაპანებაა,
ქობის წინა ზის ყმაწვილი დედა,
პაწია ბიჭი, ჩჩვილი ფუნთუშა
ხელს უცაცუნებს ძუძუებზედა...“*

ოჯახის მამას, ამის მხილველს, ყველა ჭირ-ვარამი ავიწყდება. სიცხეც, გლეხის მძიმე შრომაც, ჩასაფრებული გზირ-მამასახლისიც, ვალიცა და ვახშიც. ყველაფერი წარმავალია. მარტო აქარსებობის მშვენიერებაა წარუდინებელი.

წუთისოფლის წისქვილი ყველასა და ყველაფერს ფქვავს, მაგრამ ვერას უშვრება სიცოცხლის მარადიულობას. იგი გრძელდება და ადამიანიც ყოველთვის პოულობს არსებობის წყაროს. ქვრივ-ოხერ ბეჩავ თინიას ღმერთი წყალობის თვალით უყურებს. ერთი მუჭა ხორბალი დათესა, მაგრამ „ზღვა გასკდა, შიგ დატრიალდა ღვთის თვალი“, არც მოსავლის აღება, ყანის მომკა გასჭირვებია, მამითადი დაეხმარა.

*„დილა-ადრიან მოადგნენ
კარზე რჩეული ბიჭები,
„ჰოოპუნათი“, კიჟინით
მოედგნენ ქვრივის ყანასა,
არ შევხვედრივარ მამითადს
მე არსად ამისთანასა!...“*

რაფიელ ერისთავის აზრით, გულგატეხილობისა და სასოწარკვეთილების უფლებას აქარსებობის მშვენიერება არ იძლევა. ბუნების, ყოფიერების, ადამიანის მშვენიერება ღმერთის ხილული გამოვლენაა და, ამდენად, იმედის საფუძველიც.

*„წყალია ჩვენი აწმყო დიდება,
ურჯულოება წყლით იწმინდება!
წყალი გზა არის ქრისტეს სჯულისა,
წყალი – განმწმენდი ჩვენი სულისა!
წყალი – წამალი სნეულებისა,
წყალი წყაროა უკვდავებისა!“*

არა მარტო რ.ერისთავს, არამედ მე-19 საუკუნის მთელ ქართულ მწერლობას სწამდა და სჯეროდა, რომ ქრისტეს მიერ მონათლული კაცობრიობა არ დაკმაყოფილდებოდა შრომის იდილით. შრომა გათავისუფლდებოდა და კაცობრიობაც შევებით ამოისუნთქებდა.

*„შრომისა ახსნა – ეგ არის ტვირთი
ძლევა მოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის...
შრომის სუფევა მოვა მაშინა
ჭეშმარიტების მის ძლიერებით
და განტკიცდება სოფელსა შინა
კაცთმოყვარების სახიერებით...“*

ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე ამ სიტყვებით რ.ერისთავის ოცნებასაც აგრძელებდა და საკუთარ მრწამსსაც ერს აცნობებდა.

შრომის გათავისუფლებაც ქართული მე-19 საუკუნის მოლოდინი იყო.

ალბათ, მეტად იშვიათად გამოსულა სამოღვაწეო ასპარეზზე ყმაწვილი კაცი ისეთი ნათელი და გარკვეული პროგრამით, როგორც ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“. და მართლაც, წინ უძღოდა, სანამ წიწამურში არ დაეცა განგმირული. ილიას პიროვნებისა და ცხოვრების წესის თავისებურება იყო ისიც, რომ თანაბრად მოახერხა შემოქმედებითი და პრაქტიკული საქმიანობის შერწყმა. დღეს უკვე გვიჭირს, გავარკვიოთ – ვინ უფრო დიდია, მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი) ილია ჭავჭავაძე, თუ ბანკირი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე. ვინ უფრო სჭირდებოდა მე-19 საუკუნის საქართველოს. უფრო მართალი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ილია ჭავჭავაძის ორივე ჰოპოსტასი თანაბრად აუცილებელი და საჭირო იყო. ადამიანური საქმიანობის ორივე მიმართულებას – მხატვრულ შემოქმედებასა და ეკონომიკურ-ფინანსურ პრაქტიკას – იგი ერთი მიზნისათვის იყენებდა: საქართველოს თავისუფლებისათვის. მაგრამ, ილიას აზრით, ვერც სოციალურად და ვერც ეროვნულად ვერ გათავისუფლდებოდა ქართველობა, თუ სამი პრინციპი არ განხორციელდებოდა რეალურად: შრომის უანგარო სიყვარული, იდეალის უდრეკი სამსახური და ეროვნული ერთიანობა.

ოთარაანთ ქვრივი და მისი გიორგი იდეალური მშრომელი ადამიანები არიან. გიორგისათვის ჩემი და სხვისი არ არსებობს. სხვისას იგი ისევე უვლის და პატრონობს, როგორც თავისას.

არჩილის მეჯინიბესაც გულიანად სცემა. რატომ? მეჯინიბეს არჩილის გაოფლიანებული ცხენი დაება. არ გაუტარ-გამოუტარებია, რომ ოფლი შემრობოდა. ცხოველს დახუთვა ემუქრებოდა. ეს უსულგულობა ვერ აიტანა გიორგიმ.

გიორგის ეს თვისება სოფელს უკვირს. „ეს კაცი ან გიჟია, ან ღვთისაგან მოგზავნილი“. გიორგი არც გიჟი იყო და არც ღვთისგან მოგზავნილი. იგი მშრომელი კაცის ის იდეალი იყო, რომელზეც ილია ოცნებობდა, მაგრამ გიორგისა და მისთანების სიცოცხლისათვის გარემო არ არსებობდა. იმისათვის, რომ ადამიანმა შემოქმედებითად იცოცხლოს, მარტო მისი თვისება არ კმარა. გარემოც უნდა უწყობდეს მას ხელს, მისი გაეგებოდეს და ესმოდეს. სამწუხაროდ, გიორგის გაგება, არა თუ გარემოს, არჩილსაცა და კესოსაც არ შეეძლოთ. არა იმიტომ, რომ ისინი სოციალურად იყვნენ განსხვავებული. ომარაანთ მოჯამაგირეც გლეხია და არჩილის მეჯინიბეც, მაგრამ იმათაც ვერა გაუგიათ რა გიორგისი. მათი გათიშვის საფუძველი ცნობიერების სხვადასხვაობა იყო. გიორგი იმ ცნობიერების ნაყოფი იყო, რაც ილიას ჰქონდა, რაც ახალი იყო და მომავლის იდეალი. არჩილიც, კესოც, ომარაანთ მოჯამაგირეც თუ არჩილის მეჯინიბეც ვერ ძველისაგან ვერ გათავისუფლებულიყვნენ. მათ ტრადიცია ბოჭავდა, ზღუდავდა. არჩილსა და კესოს გონება გიორგის სიკვდილმა გაუთავისუფლა, შიგნიდანმხედველი თვალები აუხილა. ამიტომ გაუხარდა არჩილს კესოს ტირილი. ამით დაინახა მან გაყოფილი ცნობიერების გამთლიანების იმედი, ძველი ირღვევოდა და იშლებოდა. შორეულ თვალსაწიერზე მოსჩანდა ახალი.

ცნობიერების გამთლიანება ეროვნული მასშტაბით უნდა მომხდარიყო. სხვაგვარად თავისუფლების მოპოვება არ მოხერხდებოდა. ცნობიერებადამოწმებული ხალხი მონობას თავს ვერ დააღწევდა.

*„აგერ ორ-სამს კაცს რაღაც უგრძენიათ,
ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან,
ერთის საქმისთვის გაუღვიძნიათ
და ერთმანეთს კი არ ენდობიან.
ერთმანეთისა მათ სიკეთე ჰმუროთ,
თუმც ერთისათვის თითქო იღვწიან;
თვით ამხოზენ მას, რის აღდგენაც ჰსურთ,
თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან...“*

ეს გაორება იმის ბრალიც იყო, რომ იდეალის სამსახურში ბევრი მერყეობდა. რაც დღეს სწამდა, იმისი ხვალ არ სჯეროდა. რასაც ხვალ იწამებდა, იმას ზეგ ეჭვის თვალით შეხედავდა. იდეალის წამდაუწუმ ცვლა მათ ზნეობრივ ტკივილს არ აყენებდა. სულის სიმტკიცე იშვიათი თვისება გამხდარიყო. როცა „განდეგილი“ იწერებოდა, ილიას სწორედ რწმენის სიმტკიცის პრობლემა აწუხებდა. ბეთლემს შეხიზნული ბერი მანამ მშვიდად და პირნათლად გრძნობდა თავს, სანამ მწყემსი ქალის სახით განგებამ ცდუნება არ მოუვლინა. განდეგილის რწმენის სიმტკიცე შეირყა.

*„– მაშ ვინც ქვეყნად ვართ, ყველა წავწყდებით,
ვეღარ დავიხსნით ვერაფრით სულსა?
– ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა
ესეთი მერგო მე... უბედურსა...“*

ეს უკვე მერყეობა აღარ იყო. ეს რწმენის უარყოფა იყო. განდეგილიც დამარცხდა.

იმ სამ პრინციპს, ილიამ რომ წამოაყენა – მამული, ენა, სარწმუნოება – განხორციელება მაშინ ეწერა, როცა ქართველი შრომის სიყვარულს ისწავლიდა, ეროვნულ ერთიანობას მიაღწევდა და იდეალის სამსახურში ვერავითარი ცდუნება ვერ დასძლევდა.

ეროვნული ცნობიერების გამთლიანებაც, შრომის სუფევაც, თავისუფლებაც ქართული მე-19 საუკუნის მოლოდინი იყო.

აღბათ, მე-19 საუკუნის არცერთ ქართველ მწერალს არ უთქვამს იმდენი მწარე სიტყვა საქართველოზე, რამდენიც აკაკი წერეთელს. ეს მან დაიკვნესა – „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოვ!“ ეს მან დაამუნათა ქართველი – „თუ გშია, პატრიოტობ, შენ მოძმესაც უწყრები; მაგრამ მაშინ კი სხვა ხარ, როდესაც გამოძლები; თავი ქონით გაქვს სავსე და ტვინით კი – ფეხები“. ეს მან უსაყვედურა ჩვენს ხალხს – „გამტანია ჩემი ერი, გარეგანად მშვენიერი... ისე უყვარს ქვრივ-ოხერი, რომ ჰსურს იყოს ჩვენში ბევრი...“ მაგრამ აკაკის შემოქმედებაში

არის ერთი თვისება, რომელიც მას რენესანსული ტიპის პოეტად ხდის. მრავალ ღირსებასთან ერთად, რენესანსულ ხელოვნებას ჰქონდა კიდევ ერთი თვისება – შემოქმედების სიხარული. რენესანსის ეპოქის ხელოვნება იქმნებოდა სიხარულით. თავად შემოქმედება იყო სიხარული. არა ძალდატანება, არა იძულება, არა შეკვეთა, არამედ სიყვარული. ტკივილი, ტანჯვა, მწუხარება, სიკვდილი, ყველაფერი წარმოიქმნებოდა იყო აქარსებობისა და შემოქმედების სიხარულის ნათელი. ასეთი სიხარულის ნათელით არის გამსჭვალული აკაკის პოეზიაც. ამ თვალსაზრისით არის იგი რენესანსული პოეტი. გესლიან სატირას წერს იგი თუ პათეტიკურ პოემებს, სევდით ევსება გული თუ ომახიანად ყიჟინებს, აწმყო გულს უკლავს თუ მომავალი ახარებს – ყველგან სიხარულის ნათელი სუფევს, რომელსაც მის შემოქმედებაში სიმბოლური ხატი აქვს – ცისარტყელა.

*„როგორც შვიდძალი ფერადი
ამშვენებს ცისარტყელასა,
ისე დაეტყო სახეზე
სიამოვნება ყველასა...“*

...

*„რომ გაათავეს თურმე ეს ლოცვა,
ზეცას შეხედეს სამთავემ ნელა
და დაინახეს, რომ ძველ ადგილზე
გამოესახათ მათ ცისარტყელა...“*

...

*„ეს რომ ბრძანა, ნათლის სვეტად
გადმოეშვა ცისარტყელა:
აიტაცა შუქმა შუქი
და მას გაჰყვა თანვე ყველა!“*

აკაკი წერეთლის შემოქმედების ამ თვისებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერისთვის. შემოქმედი მარტო ის კი არ არის, ვინც ქმნის, არამედ ისიც, ვისაც შემოქმედება ესმის და გაეგება. ქართველ ხალხს ესმოდა კიდევ და გაეგებოდა კიდევ აკაკის შემოქმედებაში არსებული სიხარულის ნათელი. ეს ნათელი თავად ქართველი ერის ბუნებიდან ამოდიოდა. გრიგოლ რობაქიძეს აქვს ნათქვამი – ქართველი ცხოვრობსო პრინციპით: გაიხარე – გამახარე. მართალია, აკაკი, ბევრად ადრე, მისებურად ენაკვიმატობდა და ხუმრობდა: ქართველების დევიზია – გატირებ და გიტირებო, მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ ქართველის ბუნების უმთავრესი თვისება სწორედ სიხარულია. სიხარულით ებრძოდა ქართველი ყველა ჭირ-ვარამს, რომელიც კი მას თავზე დასტეხია გრძელი საუკუნეების მანძილზე. ქართველის გონება არასოდეს არ ყოფილა ფანატიზმით დაბნელებული. არც რელიგიურ, არც პოლიტიკურ, არც სოციალურ, არც ფილოსოფიურ ფანატიზმს მისთვის საღი განსჯის უნარი არ წაუერთმევია. არც გამარჯვებას და არც დამარცხებას ქართველში არ ჩაუკლავს

ცხოვრების ხალისი. იგი ყველგან და ყველგან პოულობდა სიხარულის წყაროს. თუ ჩვენს ისტორიაში ბევრი შავი ფურცელია – ადამიანით ვაჭრობით დაწყებული, ღალატითა და დასმენით დამთავრებული, – ეს მაშინდელია, როცა ქართულ სულიერ სამყაროს უცხო ძალა თრგუნავდა. რაც ყოველთვის გვიჭირდა და დღესაც გვიჭირს, ეს არის უცხო სულიერი გავლენისათვის წინააღმდეგობის გაწევა. ხორციელ ბრძოლას უფრო იოლად ვახერხებთ, ვიდრე სულიერს. სულიერად დაბეჩავებული კი ადვილად ვემორჩილებით ბოროტებას. ყოველნაირ ბოროტებას აკაკი წერეთელი სიხარულის ნათელით ებრძოდა – „ვნახავ ქორწილს ბუნებისას, გავიგონებ მის მაყრულსა“. ანდერძად კი გვიტოვებდა:

*„მონას რად უნდა კრული სიცოცხლე?
ვისთვის ანთოს წმინდა ლამპარი?
სჯობს მონობაში გადიდკაცებულს
თავისუფლების ძებნაში მკვდარი!“*

მაგრამ ეს ანდერძი უკვე მე-20 საუკუნის საქართველოს ეკუთვნოდა.

სიხარულის ნათელის დადგომაც მე-19 საუკუნის მოლოდინი იყო.

მოლოდინი მოლოდინად, სურვილი სურვილად, ოცნება ოცნებად დარჩა. მე-19 საუკუნის ქართულმა მწერლობამ მაინც ვერ სძლია და დაამარცხა საბოლოოდ სასო და იმედწარკვეთილობა, ამიტომ დაიგმინა გრიგოლ ორბელიანმა: „ან ეს რაცა ვჰსთქვი, რადა ვჰსთქვი, თუ რაც მინდოდა ვერა ვჰსთქვი...“ თქმით, რაც სათქმელი იყო, კი ითქვა, მაგრამ პრაქტიკული შედეგი არ სჩანდა, ალბათ, ამის მიზეზი ისიც გახლავთ, რომ მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში ყოველი ზნეობრივად ამაღლებული და სპეტაკი პროტაგონისტი ილუპება.

ზვინიდან გადმოვარდნილი გიორგი ურმის ჭალს ზედ დაეგო და დაიღუპა. ოთარაანთ ქვრივი შვილის დარდს გადაჰყვა („ოთარაანთ ქვრივი“).

ჰაჯი-უსუბმა თავი მოიკლა, რაკი მისმა აღზრდილმა ზნეობასა და კეთილშობილებას უღალატა („გამზრდელი“).

ბეთლემს შეხიზნულმა ბერმა ცდუნებას ვერ გაუძლო და შეიშალა („განდეგილი“).

რაკი ონისემ მამის იმედი ვერ გაამართლა, გოჩამ შვილი მოჰკლა და საზარელი დანაშაულით შეძრწუნებული შეირყა („ხევისბერი გოჩა“).

ალუდა ქეთელაური, ვინც, მტრის ვაჟკაცობით აღტაცებულმა, მარჯვენის მოკვეთის ადათი არ შეასრულა და მოსისხლეს მსხვერპლიც შესწირა, თემმა მოკვეთა

და გააძევა („ალუდა ქეთელაური“).

მოდღვარი ონოფრე კატორღაში ჩაკვდა, რაკი უსამართლო და უკანონო ქვეყანაში უდანაშაულობა ვერ დაამტკიცა („მოდღვარი“).

ზებუნებრივი ნიჭი დაკარგა და გველისმჭამელმა მინდიამ თავი მოიკლა („გველისმჭამელი“).

ასე ტოვებენ აქარსებობის ასპარეზს ისინი, ვინც ღვთის მადლით არიან ცხებულნი. ერთი მხრივ, მორღვეულ-მოშლილი სახლ-კარი და, მეორე მხრივ, სიკვდილი აღარ ტოვებენ იმედისა და ნუგეშის ადგილს. ადამიანის სული შვე-ბასა და ვანს³ ზმანებებსა და ხილვებში ჰპოვებს.

აკაკის „თორნიკე ერისთავში“ ხილვაა:

*„ენახა: ქვეყნად ჩამოსულიყვნენ
ნინო, ქეთევან და თვით თამარი.
თამარს თავს ედგა ძლევის გვირგვინი
და ქეთევანსა – წმინდა მოწმობის.
ნინოს ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა,
ნიშანი დიდი ქრისტიანობის.
ზეცად აეპყროთ სამთავეს თვალნი,
საქართველოსკენ იშვერდენ ხელსა
და შეერთებით, ხმაშეწყობილად,
ჰგალობდენ ტკბილსა საგალობელსა:
– დედაო ღვთისავ! შენი ხვედრია
ეს საქართველო დიდჭირნახული,
შეუნდე ცოდვა!... ნუ ააღებ ხელს,
ლმობიერებით იბრუნე გული!...
მოიც კურთხევა ზეცით, მაღალო,
და გარდმოსახე ძლიერად ჯვარი,
რომ აღადგინო ქართველთა ერი,
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი!
მისსა მხნეობას, მისსა ზნეობას
განუმტკიცებდე აღმაფრენასა
და შენს საქებრად, სადიდებელად
ნუ დაავიწყებ იმ ტკბილ ენასა,
რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა,
ქეთევან მარად შენ გადიდებდა
და ნინო ძისა შენისა მცნებას
შენგან რჩეულ ერს უქადაგებდა!“*

ამ ხილვაში როგორც აკაკი წერეთლის, ისე მთელი ქართველი ერის ოცნე-ბაა გაცხადებული.

ვაჟა-ფშაველაც ზმანებაში ხედავდა საქართველოს თავისუფლებას. „ბახ-ტრიონში“ ამას არა მარტო კვირიას სიზმარი ადასტურებს, არამედ პოემის ფი-ნალიც, გველი რომ მკურნალობს ლუხუმს და ლაშარის გორზე შედგომის შე-სამღებლობას აძლევს. ვაჟას კვირიაც სიზმარში შავ ვეშაპს ხედავს, რომელსაც „პირითაც ცეცხლი სდიოდა, საზარელ იყო მეტადა“, აკაკის მოძღვარიც „ბაში-აჩუკში“ გველეშაპს ნახულობს სიზმრად, ალავერდის მონასტერს რომ შემოხვე-

ვია. აკაკისთანაც და ვაჟასთანაც გველემშაპის მოკვლა საქართველოს მტრების დამარცხებას ნიშნავს.

სოციალური თავისუფლება-სამართლიანობაც ხილვაში ცხადდება. ნიკოლოძის „გიგო ღრუბელაშვილში“ დიდებული მანდილოსნის სახით ჩვენებაში იბადება იმედი სოციალური სამართლიანობის დამყარებისა და თავისუფლებისა. მართალია, დიდებული მანდილოსანი მალე ქრება, მაგრამ იმედს მაინც ტოვებს. თან არ მიაქვს.

ზნეობრივი მანკიერების მგომბელი და გამკიცხველიც ხილვაში მოდის. ერისა და მოძმის ღალატს, პირშაობას, მზაკვრობას, მუხთლობას, სიცრუესა და ფლიდობას ის ქალი უთვლის წყევლა-კრულვას, რაფიელ ერისთავს ზმანებაში რომ მოეკლინება.

*„ვნახე, წარმოსდგა ბრწყინვალეობით მოცული ქალი,
ვერ მოვაცილე უცნაურსა ჩვენებას თვალი...“*

ხელნი აღაპყრა, მოიწოდა ზეცისა ძალი

და მყის წარმოსთქვა (მე ვუსმენდი გამშრალ-შემკრთალი“.

ქართული მე-19 საუკუნე ზმანებებისა და ხილვების საუკუნეც იყო.

მე-20 ასწლეულის დასაწყისში მათ გაქრობა ელოდათ, ის თაობა მოდიოდა, რომელიც წინამორბედთა იდეალებზე უარს იტყვოდა. პირველი საგანგაშო ზარი რუსი ნაროდნიკების ქართველმა მიმდევრებმა შემოჰკრეს, როცა ხალხოსანმა მიხეილ ასათიანმა თერგდალეულთა თაობას გამოუცხადა:

*„ის ჭია, რაიც თერგის ნაპირზედ
ილიას „მგ ზავრსა“ გულს უღირღნიდა,*

ეხლა სრულიად მე არ მაწუხებს,

ის დრო ჩემთვისა მანდვე წავიდა.

მე ეს კითხვები კარგა ხანია

დამიძლევია, გამომიხსნია!...“

ჩემ გულის ბოდმა, თქვენთან საკითხი,

სიტყვა სრულებით სხვანაირია...“

ქართული ეროვნული ნიჰილიზმის ნიადაგში სოციალიზმის ხე ირგვებოდა. იმათ, ვისაც საქართველოს ეროვნული ენერგია არ სწამდათ, ერთგული გამგრძელებლები ებადებოდათ ქართველი მარქსისტების სახით: „რის ქართველობა, რა ქართველობა! მითომ რას გვავენებს უცხო ტომობა?“ ნ.ბარათაშვილის ეჭვი რეალური საფრთხე ხდებოდა. „ჩვენი ხალხი ნაციონალიზმს დღესაც ისე უარყოფს, როგორც წინეთ და, რა მშვენიერი ხონჩითაც უნდა მიაწოდო – ის მას ხონჩიანა შორს აგდებს“, – ირწმუნებოდა ნოე ჟორდანიას და აღტაცებული დასძენდა: ქართველმა ხალხმა ნაციონალიზმის დროშა გადააგდო და ინტერნაციონალიზმის დროშა ააფრიალაო.

მართლაც, ქართველი აღარ მღეროდა – „მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი!... სიხარულით შეეცვლება იმდენი ხნის გასაჭირი!“ მას ხელში სოციალიზმის დროშა ეჭირა და ეჟენ პოტიეს „ინტერნაციონალს“ აქუხებდა.

*„მიწა გვეკუთვნის ჩვენ და ჩვენ მხოლოდ,
ვინცა ვართ მიწის, ქარხნის მუშები.
მუქთახორები უნდა ჩავქოლოთ.
იქნება ბრძოლა დაუნდობელი!
სასტიკი მეხი როს გავარდება,
როცა გაწყდება მუქთახორები,
მხეცი, ყორნები, ავი ქორები –
მზე სამუდამოდ აელვარდება!
ეს არის ბრძოლა უკანასკნელი.
გავერთიანდეთ! სიკვდილი ღალატს!
კაცობრიობა გახდება მთელი
სანატრელ ინტერნაციონალად!“
(ვ.გაფრინდაშვილის თარგმანი)*

გახდებოდა თუ არა კაცობრიობა მთლიანი, ინტერნაციონალური, ეს არავინ უწყოდა. ქვეყანას რომ დაანგრევდნენ და გაანადგურებდნენ, ეს ცხადი და ნათელი იყო, მაგრამ ისტორიის ჩარხი მაშინ მაინც მარქსიზმის სასარგებლოდ ბრუნავდა.

ილიას ეტლი წიწამურს უახლოვდებოდა.

მას წიწამურის ჯაგებში ჩასაფრებულ-ჩაცუცქული სოციალისტ-ინტერნაციონალისტები ელოდნენ.

დიდი ეპოქა მთავრდებოდა.

1991 წ.

თერგდალეულები

ცნება – „თერგდალეული“ – ორი მნიშვნელობით იხმარებოდა. ერთი, როგორც მეტსახელი (თიკუნი) იმ ახალგაზრდებისა, რომელნიც მე-19 საუკუნის 50-იან წლების მეორე ნახევარში რუსეთში წავიდნენ განათლების მისაღებად. რაკი მათ დარიალის ხეობაში საქართველოს საზღვარი და მდინარე თერგი გადალახეს, ხუმრობით, „თერგდალეული“ შეარქვეს. მეორე, რაც უფრო არსებითი და მნიშვნელოვანია, „თერგდალეული“ სახელია გარკვეული საზოგადოებრივი მოძრაობის წევრისა. ეს საზოგადოებრივი მოძრაობა არსებობდა მე-19 საუკუნის 60-იან წლებში.

„თერგდალეულები“ იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, სერგეი მესხი, ვახტანგ თულაშვილი, სამსონ აბაშიძე, პეტრე ნაკაშიძე...

„თერგდალეულთა“ წრის ჟურნალ-გაზეთები იყო: „საქართველოს მოამბე“, „დროება“, „კრებული“. „თერგდალეულობის“, როგორც საზოგადოებრივი მოძრაობის არსს, სწორედ ამ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი თხზულებანი გამოხატავდნენ.

თერგდალეულთა მოძრაობის დასაწყისად მიჩნეულია 1861 წელი, როცა ჟურნალ „ცისკრის“ მე-4 წიგნში გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის სტატია – „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კოზლოვის „შემლილის“ თარგმანზედა“. ამ სტატიას მაშინდელ ქართულ საზოგადოებაში ცხარე კამათი მოჰყვა. საზოგადოება ორად გაიყო. ახალგაზრდები მხარს უჭერდნენ ილია ჭავჭავაძეს, ხოლო ხანდაზმულები გულმხურვალედ ედავებოდნენ მას. შემდგომ ამ დავა-პაექრობას „მამათა და შვილთა ბრძოლა“ უწოდეს.

„თერგდალეულთა“ საერთო მიზანი საქართველოს საზოგადოებრივი ყოფის შეცვლა და განახლება იყო. ამ მიზნის მისაღწევად მათ ერთიანი, საერთო თვალთახედვა ჰქონდათ შემდეგი საკითხებისა:

პირველი:

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარია. მეცნიერება და ტექნიკა უკვე გაბატონებულია. თვინიერ მეცნიერებისა და ტექნიკისა, რაიმეს კეთება და რაიმე წინსვლა, რაიმე განახლება შეუძლებელია. ევროპა მომავლის ოცნებას – მეცნიერებისა და ტექნიკის ძალას უკავშირებს. მეცნიერებას და ტექნიკას რომ მტკიცედ დაეუფლო, აუცილებელია საყოველთაო განათლება.

„თერგდალეულებიც“ განათლების აპოლოგეტები არიან. ამას ისინი არა მარტო თეორიულად მოითხოვდნენ, არამედ პრაქტიკულადაც ახორციელებდნენ: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჩამოყალიბება, სკოლების გახსნა, იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა და სხვა ამდაგვარი საქმიანობა. მაგრამ განათლება რომ ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს, აუცილებელია, სალიტერატურო-სამეცნიერო მეტყველება დაუახლოვდეს ხალხის მეტყველებას. მათ შორის კედელი არ უნდა იყოს აღმართული. მეცნიერება—ხელოვნება არ უნდა მეტყველებდეს ხელოვნურად შექმნილი, საგანგებო, ძნელად გასაგები ენით. „თერგდალეულებმა“ სამეცნიერო-სალიტერატურო ენის ძირეული რეფორმა მოახდინეს. სამეცნიერო-სალიტერატურო ენა ხალხისათვის მისაწვდომი და იოლად გასაგები გახადეს.

ენის რეფორმასაც ცხარე სჯა-ბაასი, შეხლა-შემოხლა მოჰყვა, მაგრამ „თერგდალეულებმა“ ეს საქმე გამარჯვებით დააგვირგინეს.

მეორე:

„თერგდალეულები“ ხელოვნება-მწერლობას ხალხის, საზოგადოების მსახურად მიიჩნევდნენ. ხალხისა და ქვეყნის ჭირ-ვარამი, შვება-ლხენა, მწერლობა

– ხელოვნების ზრუნვის საგანი უნდა ყოფილიყო. ეს შეხედულება მკაფიოდ და ნათლად არის გამოთქმული ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის და სხვათა ნაწერებში. ყოველი მათგანი სიცოცხლის ბოლომდე ერთგული დარჩა ამ შეხედულების.

მესამე:

როგორც მთელი რუსეთის იმპერიის, ისე, კერძოდ, საქართველოს წინსვლა-განვითარებას ძალიან უშლიდა ხელს ბატონყმობა. ბატონყმობის გაუქმება გადაუდებელი საქმე იყო, მაგრამ ძნელად განსახორციელებელი. აუცილებელი

გახლდათ ხალხის ცნობიერების აღზრდა. ბატონყმობის გაუქმებას ეწინააღმდეგებოდა არა მარტო თავადაზნაურობა, არამედ ყმაგლეხობაც. რუსეთის იმპერიის ყმაგლეხობას ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა ეცხოვრა უბატონოდ. დღეს ეს სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ ასე არ ყოფილა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. ყმაგლეხობის გათვითცნობიერება, მათი დაჯერება უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე თავადაზნაურობის. როცა რუსეთში ბატონყმობა გაუქმდა, უამრავმა ადამიანმა მოიკლა თავი, უბატონოდ რა მეშველებათ. ხელისუფლება იძულებული იყო, სოფლებში ჯარი ჩაეყენებინა და თვითმკვლელობანი აღეკვეთა. შეხედულებათა შეცვლაში, ახალი ცნობიერების აღზრდაში განსაკუთრებული და გადამწყვეტი როლი შეასრულა მწერლობამ როგორც რუსეთში, ისე საქართველოში.

დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ გამოქვეყნების შემდეგ, ბატონყმობა, როგორც საზოგადოებრივი წეს-წყობილება, მკაცრად და დაუნდობლად სწორედ „თერგდალეულებმა“ გააკრიტიკეს. მათ მოამზადეს საზოგადოებრივი აზრი საქართველოში ამ დიდი რეფორმის ჩასატარებლად. ამ მხრივ არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის და სხვათა მხატვრულ-პუბლიცისტურ ნაშრომებს.

მეოთხე:

ბატონყმობის გადავარდნას და ახალი წეს-წყობილების თანდათან ჩამოყალიბებას შრომის განთავისუფლებაც უნდა მოჰყოლოდა. „შრომისა ახსნა – ეგ არის ტვირთი ძლევაძმოსილის ამ საუკუნის“ (ი. ჭავჭავაძე – „აჩრდილი“), მაგრამ „თერგდალეულთა“ აზრით, შრომის განთავისუფლება არ უნდა მომხდარიყო კლასობრივი ბრძოლის საშუალებით, როგორც ამას სოციალისტ-კომუნისტები ქადაგებდნენ. არც ერთი „თერგდალეული“ არ ყოფილა კლასობრივი ბრძოლის მომხრე. კლასობრივი ბრძოლა მათ უაღრესად საშიშ მოვლენად მიაჩნდათ, განსაკუთრებით, მცირერიცხოვანი ერებისათვის. კლასობრივი ბრძოლით ერი თვითგანადგურებას ეწევა. არავითარი კეთილი ნაყოფი ამ ბრძოლას არ მოაქვს. იგი აქცევს ქვეყანას, ხდება ადამიანთა უაზრო და უმიზნო ხოცვა-ჟლეტა, ამიტომ „თერგდალეულთა“ შეხედულებით, აუცილებელი იყო ერის, ხალხის

მთლიანობა-ერთიანობა. ახალი სამყარო ყველას ერთად უნდა ჩამოეყალიბებინა და ეშენებინა. თუ რაიმე მიზეზით ადამიანთა და წოდებათა შორის ხიდი ჩატეხილი იყო, იგი უნდა აღედგინათ. ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის ბრძოლა ერთიან ნიადაგს უნდა დაყრდნობოდა.

მეხუთე:

„თერგდალეულთა“ დაჟინებული ყურადღების საგანი იყო ეროვნული პრობლემა. საქართველო კოლონიური ქვეყანა იყო. იგი იურიდიულად აღარ არსებობდა. იურიდიულად საქართველო იყო ორი გუბერნია – თბილისისა და ქუთაისის და სამი ოლქი – სოხუმის, ბათუმისა და ზაქათალის. ამ ვითარებას, რა თქმა უნდა, ვერც ერთი საღად მოაზროვნე ქართველი ვერ შეეგუებოდა. ამიტომ „თერგდალეულთა“ ყურადღების ცენტრში მუდამ იდგა საქართველოს ბედ-იღბალი, მასზე ფიქრი და ზრუნვა. მოღვაწეობის დასაწყისშივე, ილია ჭავჭავაძის პირით, წამოაყენეს მათ მოღვაწეობის ძირითადი მიზანი – ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეკუთვნოდესო.

„თერგდალეულთა“ პოლიტიკური იდეალი იყო საქართველოს ავტონომია რუსეთის იმპერიის ფარგლებში. ავტონომიის საფეხურის გავლა მათ აუცილებლად მიაჩნდათ. მათი აზრით, ქვეყანა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში კოლონიას წარმოადგენდა, ცხოვრობდა უაღრესად ჩამორჩენილ ფეოდალურ წეს-წყობილებაში, ეკონომიკურად ღარიბ-ღატაკი იყო, განათლებით კუდში მისჩანჩალებდა იმდროინდელ მოწინავე ქვეყნებს, ერთბაშად ვერ მოიპოვებდა დამოუკიდებლობას. თუ შემთხვევით მოიპოვებდა დამოუკიდებლობას, ვერ გამოიყენებდა მას. დამოუკიდებლობისათვის ხანგრძლივი მომზადება იყო საჭირო. ამ მომზადებისათვის კარგ პირობებს შექმნიდა ავტონომია. რუსეთის იმპერიის ფარგლებში ავტონომიური საქართველო ყველა თვალსაზრისით – ეკონომიკურად, პოლიტიკურად, სოციალურად, კულტურულად, განათლებით, სამხედრო კუთხით – კარგად მოემზადებოდა. როცა ყველა თვალსაზრისით მომზადებული საქართველო სრულ დამოუკიდებლობას მოიპოვებდა, მერე მას ამ დამოუკიდებლობას ველარავინ წაართმევდა. თავდაცვაც შეეძლებოდა და მტრისათვის საკადრისი პასუხის გაცემაც.

მაგრამ „თერგდალეულთა“ ამ მისწრაფებას განხორციელება არ ეწერა, ქართველ სოციალ-დემოკრატთა, ანუ სოციალისტ-კომუნისტთა საქმიანობამ მათი ოცნება მოკლა.

ამ ერთიანი და საერთო შეხედულებათა მიუხედავად, „თერგდალეულობას“ მყარად ჩამოყალიბებული ორგანიზაციული სახე არ ჰქონია. მოგვიანებით ამას თავად იაკობ გოგებაშვილიც აღნიშნავდა.

„მართალია, ვერ შევექმენით მესამოცეებმა ორგანიზაცია და ეს იყო სუსტი მხარე ჩვენი მოქმედებისა, მაგრამ ვერც ჩვენმა უღმობელმა კრიტიკოსებმა ისახელეს ამ მხრივ თავი. მათაც არავითარი რეალური მოქმედი ორგანიზაცია არ შეუქმნიათ. მხოლოდ სოციალ-დემოკრატებმა დააარსეს და გაჩარხეს ძლიერი

ორგანიზაცია და აკი კიდევაც გაჰყავდათ და გაჰყავთ თავისი“ („რჩეული პედაგოგიური თხზულებანი“, 1977 წ., გვ. 130).

აღბათ, ამისი ბრალია, რომ „თერგდალეულობამ“, როგორც საზოგადოებრივმა მოძრაობამ, ცოტა ხანს იარსება და 70-იანი წლების დასაწყისში მოქმედება შეწყვიტა, მიუხედავად იმისა, რომ „თერგდალეულები“, როგორც პიროვნებანი, დიდხანს და აქტიურად მოღვაწეობდნენ მწერლობაშიც და საზოგადოებრივ ასპარეზზეც. მათ საქართველოს კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებას დიდი და წარუშლელი კვალი დაამჩნიეს.

თუ არავინ დავობს „თერგდალეულობის“, როგორც საზოგადოებრივი მოძრაობის დასაწყისზე, ქართულ მეცნიერებაში არ არსებობს ერთიანი აზრი მის დასასრულზე. სხვადასხვა თარიღი ივარაუდება. აქ უტყუარად იმის თქმა შეუძლებელია, რომ „თერგდალეულთა“ მოძრაობის დაშლას სხვადასხვა მოვლენამ შეუწყო ხელი.

პირველი: ილია ჭავჭავაძე, „საქართველოს მოამბის“ დახურვის (1863 წ.) მერე, დუშეთში მსახურობდა. მართალია, მაშინდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში აქტიურად თანამშრომლობდა, მაგრამ თბილისის, ანუ ცენტრს, საზოგადოებას მაინც მოწყვეტილი იყო.

მეორე: 60-იანი წლების ბოლოს ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი სწავლის გასაგრძელებლად ევროპაში გაემგზავრნენ. თერგდალეულთა მოძრაობისათვის ესეც ხელისშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდა. ევროპული სამყაროს გაცნობამ ნიკო ნიკოლაძისა და გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობაზე ძლიერი გავლენა მოახდინა. ისინი დარწმუნდნენ, რომ, თუ საქართველოს უნდოდა მარადიული ჩამორჩენისათვის თავი დაეღწია, იგი განვითარების ევროპულ გზას უნდა დადგომოდა. მართალია, ტერიტორიულად რუსეთი ევროპას ეკუთვნოდა, მაგრამ არც რუსულ კულტურას, არც რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას ევროპული ხასიათი და თვისება არ ჰქონდა. ფუჭად ჩაიარა პეტრე პირველისა და ეკატერინე მეორის თავგამეტებულმა მცდელობამ, ევროპულ სახელმწიფოდ ექციათ რუსეთი.

ევროპული კულტურა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება ჩამოყალიბდა ბერძნულ-რომაულ ანტიკურობასა და კათოლიკურ-პროტესტანტული ქრისტიანობის საფუძველზე. რუსული კულტურა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება კი შეიქმნა ბიზანტიურ-მონღოლური შუასაუკუნეებისა და მართლმადიდებლური ქრისტიანობის საძირკველზე. მათი მორიგება უაღრესად ძნელი იყო. საქართველოს არჩევანიც მომავლისათვის ამ ორ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-სახელმწიფოებრ სისტემათა შორის უნდა მომხდარიყო. ეს პრობლემა ცხარე კამათს იწვევდა თერგდალეულთა შორისაც.

მესამე: 1871 წელს კავკასიას იმპერატორი ალექსანდრე მეორე ეწვია. იგი საქართველოშიც გულღიად და ხელგაშლილი მიიღეს, მაშინაც დიდი კამათი ატყდა – რა შევევდროთ ხელმწიფეს, რა წყალობა გამოვთხოვოთ. ამ პაექრობამაც ქართული საზოგადოება ორად გაჰყო.

ერთი ნაწილი ფიქრობდა, ყველაზე მეტად უმაღლესი სასწავლებელია საქირო და იმპერატორს მისი დაარსება უნდა ეთხოვოსო. ეს აზრი პირველად გიორგი წერეთელმა გამოთქვა. ილია ჭავჭავაძემაც მას დაუჭირა მხარი.

მეორე წყება სამხედრო სასწავლებლის დაარსებას ამჯობინებდა. საერთოდ, კავკასიური და, კერძოდ, ქართული საზოგადოების უმრავლესობა (არისტოკრატიული წარმომავლობისაც კი) ღარიბ-დატაკი იყო. უნივერსიტეტში სწავლის ქირის გადახდა უჭირდა. სამხედრო სასწავლებელში სწავლა უფასო იყო, ხელისუფლების ხარჯზე მიმდინარეობდა. ამიტომ უმრავლესობას უნივერსიტეტს სამხედრო სასწავლებელი ერჩია.

ნიკო ნიკოლაძე არც პირველს მიემხრო და არც მეორეს. მან მესამე აზრი გამოთქვა: ხელმწიფეს კავკასიაში ერობის შემოღება ვთხოვოთო. ერობა თვითმმართველობის ფორმა იყო. იგი საკუთრივ რუსეთში არსებობდა. კოლონიებში ერობის შემოღება ხელისუფლებას მიზანშეწონილად არ მიაჩნდა. ნ.ნიკოლაძეს მხარი მხოლოდ ერთმა კაცმა დაუჭრა – სომეხმა მოღვაწემ ნაპოლეონ ამატუნძი.

ნიკოლაძეს ერობის შემოღება კავკასიაში იმიტომ უნდოდა. რომ ფიქრობდა: ერობის მეშვეობით ხალხი სახელმწიფო მართვას ისწავლის. როცა საქართველო და დანარჩენი კავკასია დამოუკიდებელი გახდება, ხალხს ახალი სახელმწიფოს აშენება არ გაუჭირდებაო. ეს შორსგაჭვრეტელი წინადადება იყო, მაგრამ მაშინ ამას ვერავინ მიხვდა.

70-იანი წლების დასაწყისში სამხედრო სასწავლებლის დაარსების იდეამ გაიმარჯვა. დაარსდა კიდევ.

მეთხეც: თერგდალეულთა შორის საადგილმამულო ბანკის დაარსების გამოც ატყდა კამათი. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ორი საადგილმამულო ბანკი უნდა დაარსებულიყო, ერთი თბილისში აღმოსავლეთ საქართველოსათვის და მეორე ქუთაისში დასავლეთ საქართველოსათვის. თბილისის საადგილმამულო ბანკისათვის ილია ჭავჭავაძის შედგენილი წესდება მიიღეს. ქუთაისის საადგილმამულო ბანკისათვის წესდება ბესარიონ ლოლობერიძეს უნდა დაეწერა. მას ილიას შედგენილი წესდება მოეწონა. ახალი აღარ დაუწერია, ქუთაისის ბანკიც იმ წესდების შესაბამისად აამოქმედა, რომლის საფუძველზეც თბილისის ბანკი მუშაობდა. ამის გამო ბესარიონ ლოლობერიძესა და ნიკო ნიკოლაძეს შორის ხანგრძლივი დავა გაიმართა. ნ.ნიკოლაძეს უნდოდა, რომ ქუთაისის საადგილმამულო ბანკს საკუთარი, თავისებური წესდებით ემუშავა. ამ დავაში ილია ჭავჭავაძემც ჩაება. იგი ბესარიონ ლოლობერიძეს მიემხრო.

ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძეს შორის უთანხმება ჩამოვარდა.

სხვადასხვა საკითხზე ამგვარმა იდეურმა დავამ თერგდალეულთა მოძრაობა შიგნიდან დაშალა. ამას დაემატა ისიც, რომ ნიკო ნიკოლაძემ და გიორგი წერეთელმა, 70-იანი წლების დასაწყისში, ახალ მიმართულებას ჩაუყარეს საფუძველი. იგი მე-19 საუკუნის საქართველოს ისტორიაში „მეორე დასის“ სახელით არის ცნობილი. ხოლო „პირველი დასის“ სახელი „თერგდალეულთა“ მოძრაობას დარჩა.

ლიტერატურა:

კიტა აბაშიძე – „ეტიუდები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“;

არჩილ ჯორჯაძე – „მასალები ქართული ინტელიგენტის ისტორიისათვის“;

ვახტანგ კოტეტიშვილი – „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ნაწილი II;

მიხეილ გაფრინდაშვილი – „ქართული საზოგადოებრივი ისტორიის ნარკვევები“, ტ. 2;

პროკოფი რატიანი – „თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან“

და სხვ.

„სურამის ციხის“ გამო

დიდი ხნის წინათ „სურამის ციხე“ ბატონყმობის წინააღმდეგ დაწერილ თხზულებად მიიჩნის და მის ძირითად ღირსებადაც ეს აღიარეს. თუმცა როცა „სურამის ციხე“ გამოქვეყნდა (როგორც ცნობილია, იგი დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკრის“ 1859 წლის მე-12 და 1860 წლის პირველ ნომერში), რუსეთის იმპერიაში ბატონყმობის გაუქმების საკითხი გადაწყვეტილი იყო. ქართული საზოგადოებაც კარგად იცნობდა იმპერატორ ალექსანდრე მეორის სიტყვას, რომელიც 1858 წელს გაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა და სადაც აღიარებული იყო ამ რეფორმის ჩატარების აუცილებლობა. მთელ სახელმწიფოში უკვე შექმნილი იყო სათანადო კომიტეტები, რომელნიც რეფორმის შინაარსსა და ხასიათს საბოლოოდ ამუშავებდნენ. ეს დ.ჭონქაძემ შესანიშნავად იცოდა. მას თავად ჰყავს გამოყვანილი „სურამის ციხეში“ იმ ახალგაზრდათა შორის, რომელნიც, დათქმული პირობის თანახმად, რიყეზე იკრიბებოდნენ და სხვადასხვა ამბავს ყვებოდნენ, ლიბერალი თავადი ლ.დ., ვისაც „დიდი გულმოდგინებით სურდა ყმების განთავისუფლება“. ასე რომ, „სურამის ციხის“ დასტამბვა დ.ჭონქაძეს არ შეიძლება სამოქალაქო გმირობად ჩაეთვალოს. ობიექტურნი თუ ვიქნებით, ეს უფრო იმდროინდელი კონიუნქტურა იყო. თუ მწერალს მაინც უპირებდნენ კუკიის ხიდიდან გადაადებას ან ცემას, ეს ქართველი თავადაზნაურობის ერთი ნაწილის გონებაჩლუნგობას მოწმობს და არა „სურამის ციხის“ ავტორის გამბედაობას. დ.ჭონქაძემ, უბრალოდ, კარგად აუღო ალღო დროის მოთხოვნილებას, კარგად დაინახა ისტორიული პროცესი. რა თქმა უნდა, ეს მწერლის აზროვნების პროგრესულობის დასტურია, მაგრამ არა უფრო მეტი. როცა გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს „სურამის ციხისადმი“ დამოკიდებულებას დღევანდელი თვალით ვუყურებთ, ქართული საზოგადოების ერთი ნაწილის უსაშველო ჩამორჩენილობამ უფრო უნდა გაგვაკვირვოს, ვიდრე დ.ჭონქაძის მოქალაქეობრივმა სიმამაცემ. თუ „სურამის ციხეს“ მივიჩნევდით მხოლოდ ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართულ პროტესტად, მაშინ უნდა გამოვტყდეთ და ვაღიაროთ, რომ იგი მეტად დაგვიანებული პროტესტია. „სურამის ციხის“, როგორც მხატ-

ვრული ნაწარმოების, ღირსება სხვა რამ არის და არა ოდენ ბატონყმობის მხილვა. თუმცა ფილიპე მახარაძით დაწყებული დღემდე მიწყვი ამას ვიმეორებთ და მეტი არაფრის დანახვა გვინდა. მართალია, ეს პროტესტი მოთხრობაში მძლავრად ჟღერს, მაგრამ, ვიმეორებ, ეს მაინც არ არის „სურამის ციხის“ აზრობრივი შინაარსი.

ძირითადი აზრობრივი შინაარსის ამოცნობის მიზნით, თვალი გავადევნოთ „სურამის ციხის“ პერსონაჟთა ცხოვრებას.

მოთხრობის პერსონაჟებიდან ყველაზე მწარედ და მწვავედ ნოდარმა, ანუ ოსმან-ალამ, განიცადა ბატონყმური უსამართლობის სისასტიკე. იგი გაყიდეს, დედა უღელტში პირუტყვივით შებმული მოუკლეს, მისი საცოლვე კი აიძულეს თავი დაეხრჩო.

ოსმან-ალა დაუნდობლად განიკითხავს ბატონყმურ უსამართლობას, ბატონებს, მათ გულქვაობას.

„იმათ (ბატონებს – ა.ბ.) ჰგონიათ, რო ჩვენ კაცნი არ ვიყვნეთ, ჩვენ არ შეგვეძლოს სიყვარული და სიძულე, იმათ ჰგონიათ, რო ჩვენ არა გვექონდეს გული და არ გვექონდეს სჯა“.

„ო, რა საზარელი იყო ის სიცილი დედაჩემის მწუხარებასთან! მე დარწმუნებული ვარ, რომ მასში არ იცინოდა კაცი, კაცში იცინოდა ეშმაკი; იმისთანა დროს მხოლოდ ეშმაკს შეუძლიან გაცინება“.

„...ეძებდა ჩემში ერთგულებას და დარწმუნებული იყო, რო მე ვიყავ იმისი ერთგული; ხა! ხა! ხა! ერთგულებას ეძებდა იმაში, რომელსაც დედა მოუკლა უღელში... საკვირველი არიან, შენმა გაზრდამ ეგ ხალხნი!“

მიუხედავად ბატონყმობის ამ მოურიდელები მხილებისა, ოსმან-ალა ყმის ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგი არსებითად არ არის. როცა ოსმან-ალამ გადაწყვიტა დურმიშხანისათვის მისი ნათლული მიეთხოვებინა, მაშინ იგი საპატარძლოს მშობლებს ყმა-მამულის ყიდვას დაჰპირდა.

„– აზნაური სხვა რამ არის, ჩემო ნათლია. ერთი გოგო-ბიჭი მაინც ეყოლება მოსამსახურეთ, წყალს მაინც თითონ არ მოიტანს, პურს მაინც თითონ არ გამოაცხობს.

– განა იმის ცოლი კი გამოაცხობს პურს? განა იმას კი არ შეუძლიან, რო იყოლიოს გოგო-ბიჭი?

– რატომ, მაგრამ იმან ფული უნდა აძლიოს, აზნაურს თავისი ეყოლება.

– **თუ აგრეა, ხვალვე უყიდი ყმებს!** (ხაზი ჩემია – ა.ბ.)

– უყიდე, ღმერთმა ხელი მოგიმართოს!“

განა ის ყმები, რომელთაც ოსმან-ალა იყიდის, ისევე არ დაიჩაგრებიან, დაიტანჯებიან, ეწამებიან, როგორც ნოდარი, როცა იგი ბატონმა კახეთიდან ჩამოსულ მღვდელს მიჰყიდა? აშკარაა ოსმან-ალა ისეთსავე დანაშაულს სჩადის, როგორც მისმა ბატონმა ჩაიდინა, მაგრამ ამის შეგნება ყოფილ ყმას არა აქვს. ამიტომ მცდარია აზრი, გამოთქმული ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში, თითქოს ნოდარი, ანუ ოსმან-ალა, ქართულ ლიტერატურაში ბატონყმობის წინააღმდეგ პირველი მებრძოლი პროტაგონისტი იყოს. ოსმან-ალა მხოლოდ შურის-

მგებელია და არა მებრძოლი. ნოდარმა დედის მკვლელობაც კი აპატია ბატონს. თავგასულ არაგველ ბატონს, ნოდარის ნანდაური ნატოც რომ არ გაეუბედურებინა, შურისძიება არ ემუქრებოდა. ყმა, ტკივილითა და ტანჯვით, მაინც შეეგუა ბატონთან ცხოვრებას. ვინ უწყის, ნოდარს ნატოს შერთვის ნებართვა რომ მიეღო, ცხოვრება ყმობაში უდრტვინველად დაემთავრებინა. მხოლოდ უზომო უსამართლობამ და ბოროტებამ დააკარგვინა ნოდარს წონასწორობა და ამოაწყვეტინა ბატონის ოჯახი. ამ დროს ჩაიდინა გონებადაბნელებულმა ყმამ ცოდვა – მოჰკლა უდანაშაულო ბავშვი, შვილი ბატონისა.

„– ნოდარჯან, მე მომკალ ჩემ გიგოს¹ ნუ მომიკლამ, არა დაუშავებია რა შენთვის. – მითხრა ქალბატონმა ხვეწნით. – მე ნუ მომკლამ, შენთვის არა დამიშავებია რა, – გაიმეორა ყმაწვილმა“.

ეს ცოდვა ნოდარს ყველგან თან დასდევს და სულსა და გულს უფორიქებს.

ღურმიშხანთან პირველი შეხვედრისთანავე უდანაშაულოდ მოკლული ბავშვი გაახსენდა.

„ღმერთო, ის ბავშვი არ მამლევს მე მოსვენებას, დღე და ღამე მიდგას თვალწინ და არ ვიცი, საით გავიქცე... ერთხელ მეც ვიყავ ბედნიერი, ერთხელ მეც შემემძლო შემეხედნა წმინდა სინდისით ცისათვის, მაგრამ ეხლა... კაცის მკვლელი, ქრისტეს ორგული, რა ცა შემირიგებს მე!“

ასე ტანჯავს და აწამებს ოსმან-ალას ჩადენილი ცოდვა.

„მოკვლა უბრალო ყმაწვილისა, და უმეტესად განდგომა ქრისტიანობისა (ამ სიტყვებს დააკვირდით – ა.ბ.), არ მამლევდნენ მე მოსვენებას და არც ეხლა მასვენებენ. მხიარულებაში, ძილში, ომში, ან თუ საცა გინდა, ყველგან სისხლში შესვრილი ყმაწვილი მიდგა წინ და მეუბნება სალმობით:

– მე რა დაგიშავე, რათ მომკალ?

რამტენჯერ მე ვეძიე ომში სიკვდილი, რამტენჯერ გიჟივით გადავარდი გახშირებულ ომში, რო ჩქარა გავსწორებულიყავ ცხოვრებას, მაგრამ მტრის ტყვია არა მპოულობდა მე, და სიკვდილის მაგიერ გამივარდა მამაცობის და გულადობის ხმა და იმან მაშოვნინა ასისთავობა. მაგრამ ამის შემდეგაც არ დამშვიდდა ჩემი სვინდისი, შემდეგ იმ ფიქრით რო გავიქარვო ეს აზრები, დავიწყე ვაჭრობა. ვაჭრობაში მოვიგე ფული, მაგრამ ჩემი სვინდისი არ დამშვიდდა.

– ღმერთო, მომეტევება როდისმე მე ჩემი შეცოდებანი? – სთქო ჩუმად ჩაფიქრებულმა და თითონვე დაატანა; – საიდუმლო ხმა მეუბნება, რო არაო.

– ღმერთი მრავალ-მოწყალეა, – უთხრა ღურმიშხანმა, – მე გამიგონია, რო არ არის ცოდვა, რომელიც არ მიეტევოსო, თუ წმინდა გულით მოინანიებს.

– არა, ჩემთვის არ არის მოტევება, – ჩაფიქრებით სთქო ოსმან-ალამ, – არა სჩანს მოტევება“.

ცოდვის გამოსყიდვის მიზნით მისცა ოსმან-ალამ ღურმიშხან წამალამეს ქონების ნახევარი.

„...— მე ვიცი რითაც, მე მივსცემ ჩემი ქონების ნახევარს.

– რათა?

– ის მე ვიცი! აკი გეუბნები, რო უნდა შეუდგე ღმერთსა: იქნება კიდევ მე-ღირსოს მოტევება“.

ცოდვის მონანიებისათვის დაუბრუნდა ოსმან-ალა ისევ ქრისტიანობას და ახალი ტანჯვა-გვემისათვის გასწირა თავი.

„რო მივიდნენ სტამბოლში, ოსმან-ალამ ნახევარი ქონება თავისი მართლა მისცა ღურმიშხანს, მეორე ნახევარი კი შესწირა ეკლესიას, თვითონ კი შემდგომ დალოცვისა პატრიარხიდგან, ცხადად აღიარა ქრისტე. მოგეხსენებათ რა წვალებას მიიღებდა ის მაჰმადიანთაგან? იმ აზრით, რო როგორმე მიექციათ ისევ მაჰმადიანთა სჯულზე, ოსმალთ მოლებმა და სხვათა იხმარეს ყოველი შესაძლო მათგან ცბიერება, მაგრამ, რო სიკეთით ვერ შემღეს იმისი მიქცევა, მემრე იხმარეს ძალა და ამისათვის მოღალეს იმაზე სხვადასხვა ტანჯვანი, მაგრამ იმითაც რო ვერა გახდნენ რა, შემდგომ კრეს შაყა, ესე იგი, გასჭრეს შუაზე“.

მკაფიოდ ვხედავთ, რომ ოსმან-ალას სამშვივნელის მოძრაობა მთლიანად განპირობებულია ცოდვით. მისი გამოსყიდვის დაუძლეველი სურვილი წარმართავს მის მოქმედებას.

სოციალურმა უსამართლობამ ჩაადენინა ოსმან-ალას ცოდვა. იგი არასოდეს გახდებოდა ცოდვილი, მისი ბატონი მხეცურად რომ არ მოქცეულიყო. მის პიროვნებაში თავს იყრის, ერთიანდება სოციალური და ზნეობრივი დანაშაულის შედეგი. ოსმან-ალა, ერთი მხრივ, მსხვერპლია ბატონის ბოროტმოქმედების და, მეორე მხრივ, – საკუთარი დანაშაულის. ამიტომ დაიშალა მისი პიროვნება, რაც მისი ფიზიკური დაღუპვით დამთავრდა.

ზნეობრივი დანაშაულის მთელი სიმძაფრე განსაკუთრებით ნათლად ჩანს ღურმიშხანის თავგადასავალში.

ღურმიშხანიც ბატონყმური უსამართლობით იყო დაჩაგრული, მაგრამ, როცა მან გულისვარდი მოატყუა, მაშინ მისი საქციელი მხოლოდ პიროვნული უზნეობით იყო განპირობებული და სოციალური უსამართლობა აქ არავითარ როლს არ ასრულებდა.

ღურმიშხან წამალადის მშვინივიერი მდგომარეობა უფრო მრავალპლანიანია, ვიდრე ოსმან-ალასი. იგი წერეთლის უხსნიერი შვილია. მოახლე გოგო აცდუნა ახალგაზრდა ბატონმა და ამის შედეგად გაჩნდა ღურმიშხანი. ბავშვობისას მას განსაკუთრებული ტანჯვა არ განუცდია და ბატონის სახლში შედარებით ნებიერად იზრდებოდა. მაგრამ ერთ დღეს მისი „კეთილდღეობა“ დაირღვა. წერეთელთან სტუმრად მოსულ მუხრანბატონს მოეწონა ღურმიშხანი და ბიჭიც სასწრაფოდ აჩუქეს მას. ამან ღურმიშხანის დედას თავზარი დასცა. „საწყალი დედაჩემი რანაირად იკლამდა თავს, უნდა გენახა, გულოჯან, მთელი ქვეყანა ზედ დაედო, მაგრამ ვერ დააყენეს“, არავის მიუქცევია მისი მწუხარებისათვის ყურადღება. საცოდავი ქალი გადაჰყვა შვილის დარდს. ღურმიშხანი ახალი ბატონის ოჯახში მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილა. „ვინც რასმეს დააშავებდა, ყველა ჩემი ბრალი იყო; ვინ რა მოიპარა? იმერელმა. ვინ რა გატეხა? იმერელმა. ვის დასცინიან? იმერლის ბიჭს. ვის სცემენ გაჯავრებულ გულზე?“

იმერლის ბიჭს... მე, ვარდო! ბევრჯელ მიგმია ღმერთი ჩემი გაჩენისათვის, ბევრჯელ მიტირნია მწარე ცრემლითა, მაგრამ ვინ იყო ჩემი ნუგეშისმცემელი? არავინ“.

მართალია, დურმიშხანი ბატონყმური ყოფის მძიმე სურათს ხატავს, მაგრამ მკითხველს უფლება აქვს მის გულწრფელობაში დაეჭვდეს. ამის საფუძველს იძლევა დურმიშხანის რეალური მდგომარეობა და მისი პიროვნება.

როგორც კი გულისვარდმა სთხოვა თავის ქალბატონს დურმიშხანის ყმობისაგან განთავისუფლება, წამალაძე მაშინვე გაააზრატეს. ყურადღება მისაქცევია ისიც, რომ ქალბატონის სახელი და გვარი – მარიამ წერეთელი – მოხსენიებულია მოთხრობაში. ეს ქალი ღვთისწიერი, კეთილი და მოწყალე პიროვნებაა. იგი სრულებით არ ჰგავს ოსმან-აღას ურჯუკ ბატონს. აბა, შეადარეთ: ბატონმა ოსმან-აღას ცოლის თხოვნის ნება არ მისცა, მერე კი ნატოს გაუპატიურებაც მოინდომა. დურმიშხანი კი პირველი თხოვნისთანავე გაათავისუფლეს ყმობისაგან. ასევე დაუყოვნებლივ გაააზრატა მარიამ წერეთელმა გულისვარდიც, როგორც კი ეს ითხოვა პირისფარეშმა.

„– რათა, გოგო, განა შეგძულდი? – ჰკითხა ქალბატონმა.

– არა, ქალბატონო, ღმერთმანი, არა, – უპასუხა ვარდომ არევით.

. . .

– მითხარი... რათ გინდა განთავისუფლება?

– იქნება უფრო კარგმა კაცმა შემირთოს...

– ჰო, თუ აგრეა, ხვალვე თავისუფალი იქნები, მაგისათვის რასა სტირი, ტუტუცო? ამაღამ ბატონი მოვა, ვეტყვი და ხვალვე წიგნს დაგიწერინებ!“

მარიამი არ უშლის ხელს თავის ყმას ეწიოს ოჯახსა და ბედნიერებას. მკითხველმა იცის, რომ ვარდოს ტყუილი ქალბატონმა არ უწყოდა.

როგორც ვხედავთ, დ.ჭონქაძეს ორი სრულიად სხვადასხვაგვარი ბატონის ტიპი ჰყავს მოთხრობაში: ოსმან-აღას ბატონი – დაუნდობელი და მხეცი; მარიამ წერეთელი – მზრუნველი, ყურადღებიანი და შემზრალეხელი.

დააკვირდით იმასაც, რომ უკვე ყმობისაგან თავისუფალი დურმიშხანი ვარდოს ეუბნება: „ღმერთი მომიმართავს ხელს, ჩემო ვარდო, წიგნი ვიცი, ენები და რამდენიმე ხელობა“. სად ისწავლა ესენი დაჩაგრულმა ყმამ? ცხადია, მუხრანბატონის სახლში, რაკი იგი სხვაგან არსად ყოფილა. მაშასადამე, ამ სახლში მას მარტო არ დასცინოდნენ, აბუჩად არ იგდებდნენ, – ასწავლიდნენ კიდევ, რაკი წერა-კითხვას დაუფლებია, ენებიც აუთვისებია და რამდენიმე ხელობაც შეუსწავლია.

როცა ყმობისაგან თავისუფალი დურმიშხანი წამალაძე ბედის საძებნელად გზას დაადგა, დ.ჭონქაძემ ასე აგვიწერა იგი: „მეორე დღეს დურმიშხანი ლამაზათ მორთული, ვერცხლის ყაწიმებით შევერცხლილი იარაღით შეკაზმული, კარგი შავი ცხენით გავიდა ქალაქითგან“. რაღაც არ ჰგავს ეს დაჩაგრული ყმის პორტრეტს. ამიტომ, დურმიშხანის წუწუნი გულისვარდთან უფრო თვალთმაქცობის შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე მისი რეალური მდგომარეობის ობიექტურ აღწერას. დურმიშხანი რომ მაშინ ვარდოსთან თვალთმაქცობდა, ამას

ადასტურებს მისი ფიქრიც, რომელიც მერე უკვე გამდიდრებულსა და გაზულუქებულს უტრიალებს თავში: „რო ის არა ყოფილიყო, ხომ არ განმათავისუფლებდა ბატონი. რა კარგად მოვიქეცე, რანაირად ვაჩვენე თავი, რო მითომ მიყვარდა, მაგრამ, ღმერთმანი, ღირდა სასიყვარულოთ, რამტენი ვატყუე საწყალი, რო მოვალ-მეთქი“.

მკაფიოდ ჩანს, რომ მზაკვრობა წინასწარ დაგეგმა დურმიშხანმა. იგი სპეკულაციას ეწევა საკუთარი თავგადასავალით და მას ვარდოს დასამინებლად იყენებს. მან შესანიშნავად იცის, რა დასცემს ქალს ყველაზე მეტად თავზარს და ამ გარემოება-განწყობილებით ოსტატურად სარგებლობს.

„–მემრე წავა დრო, გაგვიჩნდება შენსავით ლამაზი ბიჭი; შენ გაზრდი დიდი ამბით. განა გეყვარება ჩვენი შვილი, გულო?

– ძრიელ, ძრიელ! – საჩქაროდ სთქო ვარდომ.

– წარმოვიდგინოთ, რო ერთხელ მოვიდა ვინმე ჩვენს ბატონთა და სთხოვა ჩვენი შვილი, რა იქნება მაშინ?

ამ კითხვამ შეაკრთომა გულისვარდი: საწყალს არასოდეს არ წარმოედგინა, რომ შესაძლებელი იყო წაერთოთ იმისათვის შვილი.

– ეგ არ შეიძლება! ქალბატონი სადა მყავს, განა ჩემი ქალბატონი ისე დამივიწყებს? არა, ეგ არ იქნება! – რამდენსამე ხანს შემდეგ სთქო ვარდომ ჩაფიქრებით.

– წარმოვიდგინოთ, რო შენი ქალბატონი იმ დრომდინ მოკვდა, იმის ფეხს სულ არ უყვარხარ, მაშინ?

– ოი! ეგ არ შეიძლება, დურმიშხან, არა! უწინ დღე დამელიოს“.

ასე უნერგავს დურმიშხანი ვარდოს შიშს მოსალოდნელი ბედის წინაშე. იგი ყველა ხერხს ხმარობს, რომ ვარდომ არ დაზოგოს ენერგია და მიაღწიოს დურმიშხანის ყმობისაგან განთავისუფლებას.

ვარდოს დახმარებით, დურმიშხან წამალაძემ აზატობა მიიღო. მას უკვე აღარ სჭირდება ეს ქალი. ამიტომ, სრულიად უმტკივნეულოდ დაივიწყა იგი. ამით არ კმაყოფილდება დ.ჭონქაძე და თანდათანობით ავლენს დურმიშხანის ბუნებას.

დურმიშხანმა არა მარტო შეგნებულად მოატყუა და მიატოვა ვარდო, არამედ შეპირებული თანხაც არ გაუგზავნა, იმდენად ხარბი და გაუმაძღარი აღმოჩნდა იგი. „მართლა, ფული რო დავპირდი უკანასკნელ წიგნში, რატომ არ გაუგზავნე? ეჰ, რათ უნდა ფული, ჩემთვის უფრო საჭიროა“. ამის მეტად დურმიშხანს თავი აღარ შეუწუხებია ვარდოს ბედით. ამ ქალზე ფიქრი დამცინავი სიტყვებით მოიცვალა: „ვინ იცის, როგორ დაბერდა, როგორ გაფუჭდა! ნეტა მომიგონებს ხოლმე კიდევ? მომიგონებს კი არა და მგონია ერთმა ბიჭმა ვინმემ შეირთო და შვილებით აავსო. სად ეცლება ჩემ მოსაგონებლად...“

სიყვარულით არც სურამელი ავთანდილთან ქალი შეურთავს. აქაც ანგარება ამოდრავებდა დურმიშხანს. ამ ქორწინებას იგი იმიტომ დათანხმდა, რომ ამით ოსმან-აღას ქონების ნახევარს ეპატრონებოდა. „აი, დურმიშხანი დგას ეკ-

ლესიაში ღვთის ტაძრის წინ და აძლევს პირობას თავის მეუღლეს სიკვდილამდე სიყვარულისას, მაგრამ უყვარდა იმას თავის დანიშნული? არა, **იმას არ უყვარდა** არც ეხლანდელი თავის დანიშნული, არც გულისვარდი და არც ოსმან-ალა, ღირსი სიყვარულისა იმა კეთილთათვის, რომელიც უყო იმან დურმიშხანს და **არც ღმერთი, შემოქმედი მისი** (ყურადღება მიაქციეთ ხაზგასმულ სიტყვებს – ა.ბ.). იმას უყვარდა მხოლოდ სიმდიდრე და თავის პატივი და იმათ მოპოვებას შესწირა ყოველივე კეთილი გრძნობა გულისა“.

არც უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამგვარი ბუნების კაცი ვერაგულად მოექცა კეთილისმყოფელ ოსმან-ალასაც.

„საწყალი ოსმან-ალა! იმან მისცა დურმიშხანს ნახევარი თავისი ქონება იმ აზრით, რომ ის ერთხელ მოიგონებდა იმას და აუნთებდა ღმერთს ერთს სანთელს იმისი ცოდვების შესამსუბუქებლად და იმის საფლავზე ჩამოაგდებდა ერთს ერთგულს ცრემლს. საწყალო ოსმან-ალა! რა მწარედ მოსტყუვდი შენ ფიქრებში!“

ყოფილმა ყმამ ისევე არ დაინდო და გასწირა ხანდაზმული ოსმან-ალა, როგორც ახალგაზრდა ნოდარი გაიმეტა ბატონმა. დურმიშხანმა ბატონზე მეტი დანაშაულიც ჩაიდინა. მან არ დამარხა ნაწამები ოსმან-ალას გვამი. „დურმიშხანი კი იმ დროს, როდესაც იმას აწვალვებდნენ და შემდეგ ისე საშინლად მოკვლეს, არა ფიქრობდა არც ერთსა ღონისძიებას იმის შველისათვის და შემდეგ სიკვდილისა იმტენი ვერ შეიძლო, რომ გამოეთხოვნა სტამბოლის მართებულობისათვის იმისი დამარხვის ნება“. ამ უსულგულობისათვის დურმიშხანს სინდისი არ აწუხებს და სამშვინველი არ სტკივა. ხანდახან თუ გაიფიქრებს თავის საქციელზე, თავს ლიტონი სიტყვებით იწუგებებს: „საწყალი ოსმან-ალა, აბა თუ ერთი ვაწირვინე იმისათვის, აბა თუ ერთი სანთელი აუნთე! სირცხვილი შენთვის, ჩემო თავო! იმ საწყალმა ნახევარი თავის ქონება მოგცა, იმისი წყალობით ხარ ასე ბედნიერი!... რა ვქნა, ღმერთმანი, ფულები კი არ მშურს, მაგრამ მოცლა არ არის. რა უყო“.

დურმიშხანი თავის თავსაც ატყუებს, როცა ამბობს, ფულები არ მშურსო. ფული გახდა მისი კერპი და სალოცავი. ფულმა ამოაცალა სული და გული. ფულის გამო განუდგა მოყვასს. როცა ცოლმა უთხრა, ბავშვი ჩვენიანთ გოგიას მოვანათვლინოთო, კინადამ გაცოფდა: „გოგია კი არა, მოგია არ გინდა! უთხარი, რომ თავადიშვილს უნდა მოვანათვლინო-თქო“. გასოვდაგრებულმა ყმამ დაგმო საკუთარი კლასიც.

ასე გამოიკვეთა დურმიშხანის უზნეო ბუნება. იგი ყალბი და ცრუ პიროვნებაა.

დურმიშხანის ბუნებით განპირობებული ტყუილი და ღალატი უშედეგოდ არ დარჩენილა. ამ საქციელის რეზულტატად წარმოიშვა გულისვარდის შურისძიება.

ბევრჯერ გააფრთხილა მკითხავმა ვარდო: „შურისძიება ცოდვა არის, შვილო, ღმერთზედ მიანდე, ღმერთი ილოცე, რომ იმან გადაუხადოს მაგიერი“, მაგრამ მოტყუებულმა ქალმა თავისი მაინც არ დაიშალა. მთელი წელიწადი არ ას-

წავლიდა მარჩიელი თავის ხელობას ვარდოს. ცდილობდა ცოდვა აეცილებინა გაუბედურებული ქალისათვის, მაგრამ ამაოდ: გულისვარდი მაინც გახდა მკითხავი. როცა ვარდოს შურისგების ზარმა დარეკა, თავზარდამცემი რჩევა-დარიგება მისცა ვეზირს: თუ გსურთ სურამის ციხე აშენდეს, დურმიშხან წამალადის დედისერთა ვაჟი ზურაბი ჩაატანეთო კედელში ცოცხლად.

დურმიშხანის ზნეობრივმა დანაშაულმა დაშალა და დაარღვია ვარდოს პიროვნება. შურისგებაზე ოცნებამ და მისმა მოლოდინმა დააჭკნო, დააბერა და გადააგვარა გულისვარდი. შურისძიებას შეეწირა ზურაბი. იმსხვერპლა დედამისი. შვილის შემზარავი ბედის შემყურე, იგი გაგიჟდა. ქონებრივად მდიდარი, მაგრამ მშვიინვიერად ლატაკი დურმიშხანი ვარდოს სატევრით განიგმირა.

ცოდვას ბაღებს როგორც სოციალური უსამართლობა, ისე ზნეობრივი დანაშაული. თუ დედის უღელში მოკვლამ და საცოლის თვითმკვლელობამ აიძულა ოსმან-აღა მოეკლა უსუსური ბავშვი, დურმიშხანის ღალატმა და ტყუილმა დააყენა ვარდო შურისძიების გზაზე და ცოცხლად დასამარხად გაამეტებინა უმწიკვლო ზურაბი. ცოდვა იწვევს არა მარტო უდანაშაულო მსხვერპლს, არამედ ბოროტმოქმედებათა მთელ ჯაჭვს. არღვევსა და შლის შურისმგებლის პიროვნებას.

ახლა უკვე დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „სურამის ციხის“ პრობლემა ცოდვის პრობლემაა.

არ შეიძლება ყურად არ ვიღოთ „სურამის ციხეში“ ორი პარალელური ამბის არსებობა: ოსმან აღას თავგადასავალი და დურმიშხანის თავგადასავალი. თითქოს ორივე თავგადასავალში ბატონყმური უსამართლობაა მხილებული, მაგრამ ეს პარალელიზმი აჩენს კითხვას – ნუთუ ბატონყმობის სამხილებლად არ კმაროდა ნოდარის, ანუ ოსმან-აღას, ცხოვრება? რა თქმა უნდა, საკმარისიც არის და ბევრად უფრო მძაფრი და შთამბეჭდავია, ვიდრე დურმიშხანის ბედი. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ბატონყმური უსამართლობის ორ მსხვერპლს შორის არსებითი სხვაობაა. თუ ნოდარი მართლაც მსხვერპლია, დურმიშხანი არ არის ასეთი.

დურმიშხანი ეშმაკი და გაიძვერაა. მას ჩინებულად ესმის ბატონყმობის მჩაგვრელი და პიროვნების შემბოჭავი თვისება. იგი მართალს ეუბნება გულისვარდს: „სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენში ბედნიერება არ შეიძლება“, ანდა „სანამ ჩვენ ჩვენი იმდენი არ გვექნება საცხოვრებელი, რო სხვის თავდაუკვრელად ვიცხოვროთ, მანამ ჩვენი განთავისუფლება არ არის“. მაგრამ საკითხავია, რა მიზანს ემსახურება ეს სიმართლე? რა მიზნით სურს დურმიშხანს თავისუფლება? მისმა ცხოვრებამ ამ კითხვის მკაფიო პასუხი მოგვცა: მხოლოდ პირადი კეთილდღეობისათვის, მხოლოდ ეგოიზმის დასაკმაყოფილებლად. მაშასადამე, სიმართლე და თავისუფლება ყოველთვის არ ყოფილა კეთილის გამოვლენა. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ზნეობრივად როგორმა ადამიანმა მოიპოვა თავისუფლება. ამორალური ადამიანის თავისუფლება შესაძლებელია გახდეს სხვათა დამონების საფუძველი და უფრო მეტად ბოროტი დაამკვიდ-

როს, ვიდრე კეთილი. ასეც მოხდა „სურამის ციხეში“: განთავისუფლებული ყმა დურმიშხან წამალაძე თავად იქცა ბოროტებად.

შეიძლება გვეფიქრა, რომ დურმიშხანის პიროვნება დაამახინჯა ბატონყმურმა სინამდვილემ (ამგვარი აზრი გამოთქმულია ლიტერატურისმცოდნეობაში), მაგრამ რატომ ვერ მოერია იგივე პირობები ოსმან-აღას? როგორ შეინარჩუნა მან ზნეობრივი ღირსება? ეს დამოკიდებულია პიროვნების ბუნებასა და მშვიინვიერ სიმტკიცეზე. ეს თვისება აქვს ოსმან-აღას. დააკვირდით დ.ჭონქაძის შემდეგ ნაამბობს: ნოდარის უბედურების საბაბი ორჯერ იყო მღვდელი. ერთხელ, როცა იგი კახეთიდან ჩამოსულმა ხუცესმა იყიდა და მეორედ, როცა ქალაქს თავშეფარებული დედა-შვილი გასცა და დაასმინა თბილელმა მოძღვარმა. ამ ფაქტებს ქრისტიანული ზნეობისადმი ნოდარის რწმენა უნდა შეერყია, მაგრამ ასე არ მოხდა. პირიქით, ოსმან-აღა მწვავედ განიცდის ქრისტიანობისაგან განდგომას. ბოლოს იგი უბრუნდება ქრისტიანობის წიაღს, რაც მას სიცოცხლის ფასად უჯდება. ეს ამბავი ნათლად მეტყველებს, ერთი მხრივ, ნოდარის შინაგან უდრეკობას და, მეორე მხრივ, შეგნებულობას. იგი შეუმცდარად ხედავს განსხვავებას ქრისტიანულ ეთიკასა და მღვდლების ზნედაცემულობას შორის.

ადამიანისა და სოციალური სინამდვილის ურთიერთობა მძიმე და სასტიკი ბრძოლაა, მაგრამ პიროვნების მოვალეობაა დაიცვას საკუთარი ზნეობრივი ღირსება და არ გახდეს სათამაშო ტიკინა გარემოების ხელში. ამისათვის სჭირდება ადამიანს სულიერი სიმტკიცე. ადამიანს ყოველგვარ პირობებში შეუძლია იყოს კეთილი, მოწყალე, ღვთისნიერი და კაცთმოყვარე. შეიძლება ებრძოლოს ბოროტს, მაგრამ ეს რომ გააკეთოს, ამისათვის აუცილებელია ცხოვრობდეს და მოქმედებდეს სუფთა სინდისით. ოსმან-აღა ცხოვრობს სინდისით. ამიტომ განიცდის იგი მთელი სიცოცხლე უდანაშაულო ბავშვის მოკვლას. ცდილობს კეთილი საქმით გამოისყიდოს უნებლიეთ ჩადენილი ცოდვა. დურმიშხანი ცხოვრობს უნამუსოდ და ამიტომ არ აწუხებს არც ერთი ბოროტმოქმედება, ჩადენილი სრული შეგნებით.

ასე ძირეულად განსხვავდება ეს ორი პროტაგონისტი ერთმანეთისაგან.

ასევე განსხვავდებიან მარიამ წერეთელი და ოსმან-აღას ბატონი, თუმცა ერთივე ფეოდალია და მეორეც. მაგრამ პირველი ცხოვრობს ზნეობის, მეორე – უზნეობის კანონით.

გამოვლინდა „სურამის ციხის“ მეორე პრობლემაც – **პიროვნების პასუხისმგებლობის საკითხი**. როცა ადამიანი ცდილობს თავიდან მოიხსნას პასუხისმგებლობა და ყველაფერი სოციალურ სინამდვილეს, გარემო პირობებს დააბრალოს, იგი ან თვალთმაქცი და არამზადაა ან მშვიინვიერი ლაჩარი. ასეთი თვალთმაქცისა და მშვიინვიერი ლაჩრის გამოკვეთილი ტიპია დახატული „სურამის ციხეში“ დურმიშხანის სახით.

მკაფიოა სურამის ციხის ლეგენდის ალეგორიული შინაარსიც. ყოველი სოციალური სინამდვილე სისხლსა და ცრემლზეა აგებული, თუ მას მაღალი

ზნეობა არ უდევს საძირკვლად. ცოდვიანი სინდისით ვერც თავისუფლებას მოიპოვებ და ვერც ბედნიერებას ეღირსები.

ეს არის „სურამის ციხის“ აზრობრივი შინაარსი. ბატონყმური უსამართლობის მხილება, ზნეობრივი დანაშაულის გამოაშკარავება კი ძირითადი აზრობრივი შინაარსის ცალკეული მოტივებია. ამიტომ არ არის სწორი და მართალი ცალკეულ მოტივებზე ყურადღების გამახვილება და მოთხრობის ძირითადი აზრობრივი შინაარსის მთლიანობა-ერთიანობის მიფუჩეჩება.

სწორედ ამ აზრობრივ შინაარსს უნდა მივაქციოთ ყურადღება, თორემ დღეს არც ყმაწვილს და არც ხანდაზმულს ბატონყმური უსამართლობის დიდი ხნის წინათ მკვდარი პრობლემა აღარ აინტერესებს. „სურამის ციხის“ ღირსება მარტო ბატონყმობის მხილება რომ იყოს, იგი ქართველ მკითხველს კარგა ხნის დავიწყებული ექნებოდა. მაგრამ, თუ ჩვენი საზოგადოება სათუთად ინახავს ამ პაწია მოთხრობას, ეს იმიტომ, რომ მასში ხედავს ცოდვილი ადამიანის სამშვიკელის ტკივილის მარადიულ პრობლემას.

1980 წ.

არსებობის შიში

როცა გვიანი შემოდგომა ბუნებას გააშიშვლებს, სხივდაღლილი მზე გაკრეფილ ვენახებს, აჩაღულ ყანებს, ფოთოლგაცვივრულ ტყეებს გააშუქებს, მოახლოებული ზამთრის ქარი ყვითელ ფოთლებს ჰაერში ააფრიალებს, ხოლო კაცის გულს სევდა და კაემანი შემოაწვება, იმერეთის ორღობეებში ყველაზე დუბჭირი ფანტაზიის მქონე ადამიანიც კი დაინახავს ფერდებჩაცვივრულ, ჯაგლაგ ცხენზე ამხედრებულ პლატონ სამანიშვილს და მასთან მოსაუბრე ადვოკატ ივანე გვერდევანიძეს...

სოფელ-სოფელ ჯორით მოჯირითე სოლომან მორბელაძეს...

უკვე აღებულ ყანაში მოფუსფუსე ეფროსინე ქამუშაძეს, აქა-იქ შემორჩენილ ტაროებს რომ დაეძებს...

თავის დაქცეულ ქოხის წინ, ჯირკზე ჩამომჯდარ, დამუნჯებულსა და დაჩაჩანაკებულ ლევან ქამუშაძეს...

წმინდანის უყურადღებობითა და უსულგულობით გაოცებულ და გაოგნებულ კაცია საგუნაშვილს...

ხორციელად ლამაზსა და მოხდენილ, მაგრამ სიღარიბით დაბეჩავებულ და ცხოვრების ხალისწართმეულ კაროჭნა ქარსიძეს...

ღობესთან გაქვავებულ, დაღლილ-დაქანცულ, გაფითრებულ და პირგამეხებულ ფეფენას, რძალსა და აზნაურ დავით კარუგდელაძეს რომ მისჩერებია...

მოწნულ კარავთან მდგომარე უცნაურ ბერიკაცს მიქელა გიორგაძეს, სწულ შვილიშვილს გრძელ ჯოხზე ჩამოცმული ქოთნით რომ აწოდებს საზრდელს....

საიქიოდან დაბრუნებულ ვასილ კარიკაძეს, რომელიც პირდაპირნილ მეზობლებს უამბობს იმქვეყნად ხილულსა და გაგონილს...

ჯორჯე გადამჯდარ მხიარულ ხუცესს, ვისაც უკვე დავიწყებია, სად არის თეთრი ზღვა თუ პეჩორის ლავრა და გვარის იმედად, ათი-თერთმეტი წლის ბიჭი რომ მიჰყავს სასულიერო სასწავლებელში...

ეკლესიის ეზოში თავმოყრილ მრევლს, სინანულითა და საყვედურით სავსე სიტყვებით რომ ამუნათებს მღვდელი...

„- ერთობ უცნაური ხასიათის ვართ... ბუზს არ გადავიფრენთ ხან-და-ხან თავზედ... გულის-წყრომას ხომ საზღვარი არა აქვს ხშირად... თუ რამ დავიჯერეთ, იმის გადათქმას სიკვდილს ვარჩევთ, თუნდაც რომ მტყუანიც ვიყვეთ... უთუოდ ჩვენს ნებაზედ უნდა იქნეს ყოველისფერი და თუ ისე არ იქნა, საშუალებასაც აღარ გავარჩევთ, ოღონდ-კი სურვილი ავისრულოთ... დათმენა რა არის- ხშირად არც-კი გვინდა ვიცოდეთ. და აი, სადამდის მივყევართ ამნაირ ჩვენს ხასიათს... თვით ღმერთსაც-კი ვებრძობით... კაცი წმინდანს ებრძვის, რატომ ჩემს ნებაზედ არ გაიარეო, რატომ ჩემი ნება არ აასრულო... ამაზედ მეტი შეიძლება?! აი, სადამდის მივყევართ ჩვენს გულფიცხობას... აი, სადამდინ მიდის ჩვენი უგუნური გულის-წყრომა!.. დამშვიდდით, შვილებო, ისწავლეთ მოთმინება... რომ გულფიცხობაში ჩადენილი საქციელი შესანანებლად ისევ თქვენვე არ დაგირჩეთ!...“ („შერისხვა“).

რამ გამოიწვია ეს საყვედური? რა დანაშაულს მოჰყვა იგი?

ერთი საყანე ადგილი კაცია საგუნაშვილმა შესასვენებლად გაუშვა. მიწა მოღალული იყო და მოსავალს აღარ იძლეოდა. ამ შემთხვევით ისარგებლეს სოფლელებმა და შესვენებული ადგილი გზად გადააქციეს. თავდაპირველად კაცია საგუნაშვილს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ მერე, როცა გადაწყვიტა შესვენებული ადგილის ისევ ყანად დამუშავება, სოფელმა თემშარა აღარ დათმო. არც კაცია იხევდა უკან და არც სოფელი. საქმე სასამართლომდე მივიდა, მაგრამ წაგებული კაცია დარჩა. სოფელმა თავისი გაიტანა. ამან კაცია საშინლად გააბოროტა. განსაკუთრებით შეიძულა მეზობელი ანდრია ჭურაშვილი. დაბოღმილი კაცია ყველა აკვაცობას ანდრიას აბრალებდა. რაკი სამართალი ადამიანთა შორის ვერ ჰპოვა, საშველად კაცია საგუნაშვილმა წმინდა გიორგის ხატს მიმართა. ანდრია ჭურაშვილი დასწყევლა და ხატზე გადასცა. ასე ფიქრობდა: წმინდანი მიუკერძოებლად გაარჩევდა მტყუანსა და მართალს და ანდრია ჭურაშვილს უთუოდ დასჯიდა.

მიდიოდა დრო და წმ.გიორგის აზრად არ მოსდიოდა ანდრიას დასჯა. ჭურაშვილი ჩინებულად გრძნობდა თავს და მალე დაივიწყა ხატზე გადაცემაც და საგუნაშვილის მტრობაც.

ერთ დღეს, როცა წმ.გიორგის ხატი ეკლესიის ეზოში გამოასვენეს და მღვდელმა ვედრებით მიმართა, კაცია საგუნაშვილი ხატთან მიიჭრა და ჰგმო წმ.გიორგი:

„ესმის ახლა ვითომ მაგას რამე?... ძალი ვიყავი მე, ჩემი რომ არაფერი შეისმინა მაგან?!“

კაცის მკრეხელობამ თავზარი დასცა ხალხს. არც კაცისათვის დარჩენი-
ლა უშედეგოდ წმინდანის გმობა. ბერიკაცი თანდათან დასნეულდა, დაუძ-
ლურდა, განმარტოვდა და შეშლილს დაემსგავსა.

როცა კაცია საგუნაშვილი მოკვდა, სოფელმა იგი სასაფლაომდე არ მიაცი-
ლა. „ვერ ვიტყვით, ღმერთს ვაწყენიებთ, რომ მისი მგმობელი ვიტყვით“.

კაცია საგუნაშვილის ამ გულზვიადობამ გამოიწვია მღვდლის გულის-
ტკივილი.

„შერისხვაში“ მკაფიოდ ჩანს დავით კლდიაშვილის შემოქმედების ძირი-
თადი თემაც და და პრობლემაც – ამპარტავნება, გულზვიადობა, ცრუმორწმუ-
ნეობა.

როცა მწერალი გალატაკებული აზნაურების ცხოვრებას გვიამბობს, კაცებ-
რივ ამპარტავნებას ემატება კლასობრივი გულზვიადობაც.

მართალია, მშრომელი და მუშაკაცია ოტია ქამუშაძე, მაგრამ ძალიან ეთა-
კილება, თოხი რომ უჭირავს აზნაურს ხელში („ქამუშაძის გაჭირვება“).

ერთ დღეს ყანას ხნავდა ოტია. დედამ სადილით მიაკითხა. ეს ჩვეულებ-
რივი ამბავი იყო, მაგრამ ოტია სირცხვილით დაიწვა, როცა, ეკვირინეს გვერ-
დით, ცოლიც დაინახა, იგი არ ელოდა სონიას მოსვლას. არ უნდოდა ცოლს ენა-
ხა აზნაური ოტია ქამუშაძე ყანაში გლეხივით გუთანსმოკიდებული. სონია
ახალშერთული ჰყავდა და ქალმა ჯერ კიდევ არ იცოდა კარგად ქამუშაძეების
გასაჭირის სიღრმე-სიდიდე.

„შენ რამ ჩამოგიყვანა?! – ღიმილით უთხრა მან ცოლს, რომლის მიჩერე-
ბულ თვალების ქვეშაც უხერხულად გრძნობდა იგი თავის თავს; ოტიას სცხვე-
ნოდა, რომ სონია ხედავდა მას პერანგისა და მის ამხანაგის ამარა, ტიტველი
წვივები ტალახით აზელილ მიწით შეთითხნილი, ხელებ მოსვრილი“.

სონიასაც თავზარი დასცა ქმრის ამ მდგომარეობაში ნახვამ. ვერც ქალის
ამპარტავნება შეგუებოდა და შეჩვეოდა აზნაურის გლეხივით მუშაობას:

„როგორც იგი თავის თვალთ ხედავდა, ამ წამში, ამ ხანად მისი ქმარი, სა-
ხელად ოტია, გვარად ქამუშაძე, წოდებით აზნაური, იყო ნამდვილი გლეხი,
მუშა გლეხი, ყოვლის მხრით ისეთივე გლეხი, როგორც აი გადაღმა ყანაში
რომ მუშაობდა, მათი მეზობელი პეტრია დინარაძე, სრული მსგავსი მისი, გარ-
და ამისა, რომ აზნაურიშვილად იწოდებოდა, აზნაურობისათვის სასაცილო ხა-
სიათი ეძლეოდა და თითქმის უფრო ამცირებდა ოტიას ამ გარემოებაში. ამას
ხედავდა, ამას გრძნობდა სონია და შელახული მისი თავმოყვარეობა უცნაუ-
რად ამუშავებდა მის გონებას“.

სონია ჯინჭარაძე-ქამუშაძე კინალამ გაგიჟდა, როცა დედამთილმა უთხრა
– ბავშვი გლეხ სამადაძეს უნდა მოვანათლინოთო.

„ამათ უყურე, ამათ უყურე!.. შენი ჭირიმე!... ეს-ღა მაკლდა, რომ ყაზახს
მოვაკიდინო ხელი შვილისათვის?! ღმერთო ჩემო, რას მოვესწარი ამას, რას,
რას?! დედა, უთხარი რამე, ნუ გვარცხვენენ, ნუ ოხრობენ... საბოლოოდ ნუ
მუდრეგდებიან!.. მიშველე, შენ გენაცვალე!“

ამპარტავნება არც პელაგია ჯინჭარაძეს აკლია, მაგრამ იმის უნარი კიდევ შერჩენოდა, დაენახა ამ გარიგების სარგებლიანობა ქამუშაძეების ოჯახისათვის. შვილი დააშოშმინა და დაითანხმა, ყოფილიყო სამადაძე პაწია ქამუშაძის ნათლია. ხოლო ლაზღანდარა და შარახვეტია პორფირი ბიაშვილი ცინიკურად ხითხითებდა – „ნეტავი მეც მომნათლავდეს ის ოჯახ-დაქცეული, თუ-კი მართლა მდიდარია! ცოტა რამეს მაინც გამორჩებოდა კაცი!“

ნათლობის დღეს, როცა ღვინომ ყველას წაართვა განსჯისა და მორიდების უნარი, გლეხი სამადაძე და აზნაური ბესარიონ ქამუშაძე წაეჩხუბნენ ერთმანეთს, აქაც ამპარტავნებამ იჩინა თავი.

„– გაწყინა პატივისცემამ, ყაზახო?! – შეუბღვირა მან და მისკენ გამოწეულ სამადაძეს ისე ღონივრად წაჰკრა ბლიქვი გულ-მოსულმა, რომ ეს კაცი საცოდავად დაენარცხა მიწაზე.“

დაცემული უცბად წამოაყენეს, ამან იგი თითქო გამოაფხიზლაო, ათრთოლებული, გაბრაზებული, იგი მთელი სხეულით ცახცახებდა და თავდაპირველში სიტყვის წარმოთქმა არ ეხერხებოდა.

– ყაზახი ვარ! – შეჰყვირა მან, წელში გამართულმა, – ყაზახი ვარ, მარა შენისთანა შემოდგომის აზნოუშვილს კიდევ ვჯობივარ!... თუ ძალაზედაა, მობრძანდი, ახლა მობრძანდი, ისე დაგბუზნო, რომ ღობემდისაც ვერ მიგყვეს შენი დამშეული სული!... შენისთანა აზნოუშვილების რა მცდონია?!“

ატყდა ჩხუბი, ცემა-ტყეპა...

ასე გამომზეურდა, ერთი მხრივ, გვარიშვილობით გამოწვეული ამპარტავნება და, მეორე მხრივ, სიმდიდრით, ქონებრივი შეძლებით დაბადებული გულზვიადობა.

ეს ამპარტავნება-გულზვიადობა უშლის ხელს მათ დაამყარონ ერთმანეთში ადამიანური სათნოება და სიყვარული.

აზნაურს ფეხით სიარული არ შეშვენის და პლატონ სამანიშვილი მზად არის, მტრის თვალის მოსატყუებლად, ჯაგლაგი ცხენით იჩანჩალოს („სამანიშვილის დედინაცვალი“).

„– ამაზე შეჯდომა რავა შეგიძლია? – უთხრა მელანომ.

პლატონმა რომ ცხენს უნაგირი შეადგა, ცხენმა სულ კანკალი დაიწყო.

– აბა, ფეხით ვის მივადგე, შე ქალო?!“

– კი, მარა სულ არ მოგჯება ამ საცოდავს ზურგი?

– ფეხ-ფეხა მივყვები, ბატონო, ფეხ-ფეხა მივყვები!.. სირცხვილისათვის მიმყავს, თვარა რა!..“

მართლაც ფეხდაფეხ მიჰყვებოდა უკან პლატონი თავის „ბედაურს“, რომ გზად ადვოკატი ივანე გვერდევანიძე წამოეწია და იძულებული გახდა ამხედრებულიყო. მთელი ეს სურათი ნათლად ავლენს, კლასობრივი ამპარტავნების გამო, როგორი ვაინაჩრობით ცდილობენ შეინარჩუნონ აზნაურობის პეწი. თუმცა იგი დიდი ხანია

გახუნდა და მისგან აღარაფერი დარჩა.

ჯიმშერ სალობერიძის ოჯახში სტუმრობდენ. ღვინით გამტყვრალმა კირილე მიმინაშვილმა გასცა პლატონ სამანიშვილის მოგზაურობის მიზანი.

„– ერთ უშვილო დედაბერს დეემებს სადედინაცვლოდ და მითხარით, ჩემგან რა შეწუხება მიჰყენებია... დავსდევ უკან მეძებარივით!.. ეგებ, ბიძია, გეგულეობდეს სადმე უშვილო დედაბერი და ამ ყმაწვილს ეგებ გული დაუშომინო!..“

პლატონი გაშრა, სირცხვილისაგან ცოცხლებში აღარ ერია“.

დავით კლდიაშვილის პერსონაჟებისათვის მნიშვნელობა და ფასი ნამდვილს კი არა აქვს, არამედ – მოჩვენებითს. მთავარია მოჩვენებითი მხარე იქნეს შენარჩუნებული. თუ ეს ილუზია დაირღვა და სინამდვილე გაშიშვლდა, მაშინ მორბელაძეების, სამანიშვილების, ქამუშაძეების, ქარსიძეების ამპარტავნება და პატივმოყვარეობა შეურაცხყოფილი და დამცირებულია. ამის ატანა კი მათთვის მეტისმეტად ძნელია. მათი სული ბორგავს, ვერ ისვენებს. მწუხარება, დარდი, კაემანი გარდაუვალი ხდება. თითოეული მათგანი საკუთარი ამპარტავნების მსხვერპლად იქცევა. ზოგჯერ ეს სასაცილოდ გამოიყურება, ზოგჯერ – შემადრწუნებელ უბედურებად. მაგრამ ამას არავინ უწევს ანგარიშს. ამაზე არავინ ფიქრობს. კუდაბზიკობა ამარცხებს სიმართლეს.

სოლომან მორბელაძეს შინ ერთი ქოთანი ლობიოც არა აქვს, მაგრამ, როგორც გულუხვი და დარდიმანდი მასპინძელი, კალთას ახვეს სტუმარს, ვახშმად დარჩიო („სოლომან მორბელაძე“).

„შენ არ მომიკვდე, მე შენ არ გაგიშვა!.. ბიჭო! – დაიძახა სოლომანმა: – პლტონის ცხენს უნაგირი მოხადე!“

. . .

დაგაწვენ, დაგხურავ, დაგაძინებ... დილით ადრე ადგები და წახვალ, შეკაცო!.. – არ ეშვებოდა სოლომანი“.

სტუმარი არ დარჩა. შინშებრუნებულ სოლომანს ცოლი საყვედურით შეხვდა:

„აბა, რომ ეპატიჟებოდი იმ კაცს, რა გეგულეობდა სახლში მისატანად?! ნეტავი შენ კუდა-ბზიკობა არ გჭირდეს და სხვა არა მინდა რა!.. რომ დარჩენილიყო, რას აპირებდი?!“

თვითდაცინვით და ირონიით არის სავსე სოლომანის პასუხი:

„ერთი, ორი შეპატიჟებით რავა დარჩებოდა, შე ქალო!... გადამთიელი ხომ არ არი, ჩვენებური ჩვეულება არ იცოდეს... შევეპატიჟე, ვალი მოვიხადე... ისე ხომ ვერ გავუშობდი...“

თურმე ორივე მხარემ კარგად იცის, რას ნიშნავს ეს თავაზიანობა, სტუმართმოყვარეობა და ხელგაშლილობა. მოჩვენებითია ყველაფერი. თავიც ამის შესაბამისად უჭირავთ. ორივე მხარე ზუსტად თამაშობს. მოხდენილად ატარებს ნიღაბს. არაფერი ეშლებათ. მაგრამ ამპარტავნებით გამოღრღნილ მათ სულს თანდათანობით ემუქრება სრული დაშლა. ამპარტავნება აიძულებს მათ ჯერ იცრუონ, ტყუილი ილაპარაკონ, მერე კი თავმოყვარეობა დაკარგონ.

არაფერი გააჩნია დარისპან ქარსიძეს, მაგრამ პელაგია საბელაშვილს მაინც ატყუებს („დარისპანის გასაჭირი“):

„თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ კაი ოჯახები გვაქვს გვარში... თუ ყველას არა... ზოგიერთებს მაინც... ჩემს თავზედ მოგახსენებთ – რომ მობრძანდეთ ჩემს ოჯახში, თამამად შემძლია ვთქვა, რომ ვერაფერს დამიწუნებთ, თქვენ არ მომიკვდეთ!.. ერთობ გაწყობილი ოჯახი მაქვს!..“

ეკვირინე ქამუშაძეც ტყუილით ცდილობს ანუგეშოს რძალი. გაპარტახებული ოჯახი დოვლათითა და ბარაქით სავსედ წარმოუდგინოს („ქამუშაძის გაჭირვება“):

„აქნაი, შვილო, ჭურები გვაქვს... იცოცხლე, ამ ჭურებში შარშან ღვინოები ჩაისხა!.. საპანე რატომ ოცი მანეთიც არ ღირდა, ისეთი რამ შვენიერება იყო!.. აძლიეს კიდეც თექვსმეტი მანეთი, მეტსაც მისცემდნენ, მარა არ შეეღია!.. ძნელი შესაღვია, შვილო – კაი ღვინო ოჯახის დამამშვენებელია... წრეულსაც, იმედია, ღმერთი კიდეც უკეთესს მოგვცემს!.. ღვინის მაღლით, ვენახი კარგი გვაქვს, თუ არა შენი ლამაზი თვალებით ნახავ ეხლავე!.. ისეთი ტევნები ასხია, თითოსაგან რატომ ბოთლი ღვინო არ გამოიწურება!..“

ასევე უქებს დედამთილი რძალს ბაღ-ბოსტანს, სასიმინდეს, ეზო-კარს, მაგრამ სონია კარგად ხედავდა, რომ ეკვირინე ატყუებდა მას. ეს არ ყოფილა წინასწარ განზრახული სიცრუე, უბრალოდ მოხუცი ცდილობდა რძლისათვის რწმენა ჩაენერგა, იმედი მიეცა, დაღონების საფუძველი მოესპო. მაგრამ ეკვირინე ქამუშაძეს ერთი რამ ეშლებოდა: სიცრუის საძირკველზე იმედის სასახლე არ აშენდება. არც სოლომან მორბელაძემ იცის ეს. ისიც სიცრუით ცდილობს ცოლის გამხნევებას:

„იმის შეგეშინდა, რომ არაფერი გვაქვს?! თუ არ გვაქვს – გვექნება, გვექნება!.. იმისთანა ტკიცინა, წითელ-წითელ თუმნიანებს მოგიტან, რომ თვალები აგიჭრელოს... ექვსს ერთად... როგორც კაცი!.. შენ დარდი ნუ გვაქვს, გული არ გაიტეხო, მხიარულად იყავი... ჯერ ხომ არაფერი წამიხდენია?..“

კაცებრივი და კლასობრივი ამპარტავნება წარმოშობს ტყუილს. ტყუილი კი სპობს თავმოყვარეობას. როცა ამ პროცესს ადევნებთ თვალს, მკაფიოდ ხედავთ, როგორ იკვეთება დავით კლდიაშვილის შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი პერსონაჟი – თავმოყვარეობადაკარგული ამპარტავანი კაცი.

პირველად შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ შეუძლებელია ერთ ადამიანში ერთდროულად არსებობდეს ეს ორი, ერთმანეთის გამომრიცხავი, თვისება, მაგრამ მწერლის ყოვლისმხილველი თვალი წვდება ადამიანის ყოფის საიდუმლოს და ეს უცნაური მოვლენა დღის სინათლეზე გამოაქვს. დ.კლდიაშვილს არ ეპარება ადამიანის სულის მოძრაობის არც ერთი ნიუანსი. ზუსტად გადმოგვცემს მას და მკითხველს ექვის საფუძველი აღარა რჩება.

ამპარტავნება და უთავმოყვარეობა სწრაფად ენაცვლებიან ერთმანეთს. საკმარისია ტყუილის კოშკი დაინგრეს, რომ ისინი სასოწარკვეთილებას მიეცენ. ნისლივით ქრება ორივე – ამპარტავნებაც და თავმოყვარეობაც.

როცა სოლომან მორბელაძე გააცუცურაკეს და სამაშვლო არც ბესარიონ საქარაძემ მისცა და არც ქაიხოსრო ქათამაძემ, სვეგამწარებული მაჭანკალი სიძეს მივარდა და შეპირებული თანხა მოსთხოვა. ნიკო ქათამაძეც ჯიბეგამოფხეკილი იყო და სოლომანის დამშვიდება ტკბილი სიტყვით სცადა.

„– სოლომან, ენდე ჩემს ყმაწვილ-კაცობას, არ დაგიკარგავ შენს გასამრჯელოს... ერთ დღეს იქნება, გაგისწორდება... მედვას ვალად ეგ შენი სამსახური!

– ვალად გედვას? კუჭი მიხმება, ყმაწვილო, კუჭი მიხმება! ახლა მინდა საჭმელი... ვალად გედვას?... მაგის იმედი რას მომეშველება, როცა ეს არი ვკვდები კაცი?! მიზობე, თუ რამე გაქვს მაგ პორტმანეში!..“

ნიკომ საფულე მოჩხრიკა და შიგ ექვსი მანეთი და ორი აბაზი აღმოჩნდა. სოლომანმა მაშინვე გამოსტაცა ეს ფული და მადლობაც არ უთქვამს, ისე განშორდა ყმაწვილ კაცს.

სადღა არის გულზვიადი, ამპარტავანი აზნაური, რომელიც ტკიცინა თუმნიანებით ტრახახობდა. საცოდავი, მშიერი, შესაბრალისი კაცილა დარჩა.

უნამუსოდ და ურცხვად მოიქცა ბეგლარ ჯინჭარაძე. ჯერ დისწულის ნათლობაში ყველას დასანახად დანიშნა ნინო ქველიძე, მერე კი, როცა გაიგო ფულად მზითევს იმდენს არ მისცემდნენ, რასაც ითხოვდა, დაუყოვნებლივ მიატოვა ქალი („ქამუშაძის გაჭირვება“). არ შეუწუხებია იგი არც ქალის ბედს და არც საკუთარ სინდისს. არც ნინო ქველიძის საჯარო შეურაცხყოფა უდარდია და არც ღვიძლი დის ოჯახის უხერხულ მდგომარეობაში ჩაგდება.

ბეგლარის საქციელი არ უნდა გვიკვირდეს. უნამუსობა ამპარტავნების მედლის უკანა მხარეა.

აღბათ პლატონ სამანიშვილის აზნაურული ღირსება ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ ფეხმძიმე ქალს საცემრად გაიმეტებდა, მაგრამ, როცა ძმის გაჩენა მის ქონებრივ მდგომარეობას დაემუქრა, დედინაცვალი სასიკვდილოდ გასწირა. მართალია, მოკვლით ვერ მოკლა, მაგრამ, მამის გარდაცვალების მერე, დედინაცვალსაც და პატარა ძმასაც ცხოვრება გაუმწარა.

ეს დაუნდობლობაც თავმოყვარეობის დაკარგვის შედეგი იყო.

რამ შექმნა და ჩამოაყალიბა თავმოყვარეობადაკარგული ამპარტავანი კაცი? სოციალურად – უკიდურესმა ქონებრივმა სიღატაკემ, ზნეობრივად – ნამდვილი რწმენის შეცვლამ ცრუმორწმუნეობით.

სიღარიბის შემზარავი და უნუგემო სურათია დახატული „მრევლშიც“ და „ქამუშაძის გაჭირვებაშიც“.

„ეს წყვდიადი, რომელიც ამ სახლში დამყარებულიყო და რომელიც ისე უსიამოვნოდ მოხვდა გულზე პირველი ფეხის შემოდგმისთანავე, ეს სიღარიბე, ეს სიღატაკე, ამ სახლის ყოველი კუთხიდან რომ გამოსჭვივოდა, ეს საწყალი ავადმყოფები, რომელთა უსაშუალობაც თვალებში ეჩხირებოდა, ეს მუმისასავით შეფუთვნილი მოხუცებული დედაკაცი, ჩუმად რომ ცრემლებს ღვრიდა, თავისი უღონობა ამათი შეწევნისათვის, – ყოველივე ეს კიდევ უფრო ნალველს უმატებდა მის ისედაც დანადვლიანებულ გულს, მწუხარებას უმწვავებდა, უნუგემობაში აგდებდა, ამ ცხოვრებას ყოველსავე სინათლეს აკლებდა და ყო-

ველსავე სასოწარკვეთილებას უკვეთავდა. სევდით მოცული გული, ამღვრეული სული, შემოწოლილი გრძნობა გამოთქმას ითხოვდა, იწვევდა საღალატეობას, ხმა-მალა წარმოსათქმელად თავის უნუგემობისას, თავის სევდიანობისას“.

ანუსიას ოჯახის ხილვით მარტო ზოსიმე მღვდელი კი არ არის თავზარდაცემული, არამედ – მკითხველიც.

„ჩვენ რომ გვიყურო, ამას იტყვი, კაცის მჭამელს უნდა შეეცოდოსო და შვილმა მიგივიწყოს?! ვარჩევ გამხმარ სიმინდს ყანაში თითო ტარობით და მომაქვს, დავაკვლავ და ეგება ვინმემ სამოწყალოდ წამიღოს ეს ერთი კალათა წისქვილში დასაფქვავად. მრცხვენია, თავი მოვაწყინე ყველას დაფქულის თხოვნით... ჩვენთვის, შვილო, არც საჭმელია, არც სასმელი, არც წყალი, არც შესა... ცხელ საჭამადს ეგებ ორ-სამ დღეში ერთხელ ვედირსოთ, თუ არა და ცივ ჭადზე ვაგდივართ, ჩემო შვილო!“ – შესტირის ეფროსინე ქამუშაძე სონიას.

ოდესღაც თავმომწონე აზნაური როსტომ მანველაძე მარტოდმარტოა მიტოვებული. შვილებსაც აღარა სცალიათ ბერიკაცისათვის. ისინი სხვათა კარზე დახეტიალობენ. „თავათაც დროს ატარებენ და სხვებსაც ეხმარებიან დროს ტარებაში“. თუ ხანდახან შინ შემოიხედავენ, შეკრებენ, შეაგროვებენ შემორჩენილს და სასწრაფოდ ისევ ქალაქის გზას დაადგებიან. მოსამსახურე დათიას ამარად არის დაგებული როსტომ მანველაძე და ზანტ მთქნარებაში ჰკლავს წუთისოფლის უკანასკნელ დღეებს. იგი სულიერად უკვე კარგა ხანია მკვდარია. ამიტომაც „აღარც სახლთ-უხუცესის ჯავრი აქვს. აღარც მარშლების, აღარც ბანკისა, აღარც ოჯახისა, აღარც ცოლის ამბავს კითხულობს, აღარც შვილებისას, – კარგად არიან, ავად არიან, სად არიან, ვისთან არიან? თხოვდებიან თუ ისევ ქალიშვილობაშივე ბერდებიან“ („როსტომ მანველაძე“).

თუ დარისპან ქარსიმე ასულის გასათხოვრად მაინც დაწანწალებს, როსტომ მანველაძეს ამისი თავიც აღარ აქვს. იგი სრული უმოქმედობა და აპატიია.

თუ ხორცის უმოქმედობა წარმოშობს ქონებრივ სიღარიბეს, სულის უმოქმედება შობს გონებრივ სიღატაკეს. დ.კლდიაშვილი თანაბარი ძალით აღწერს ქონებრივი და სულიერი სიღუბნის თავზარდამცემ შედეგს.

რადაც სახადმა გაანადგურა მიქელა გიორგამის ოჯახი („მიქელა“). აღარც უფროსი შვილიშვილი სპიდონა შეარჩინა განგებამ. იგიც დასნეულდა. გულგახეთქილმა მაიამ, მიქელას რძალმა, შვილი, პატარა ნესტორა, დედულეთს გახიზნა. იქნებ იგი მაინც გადარჩენილიყო და სამუდამოდ არ ჩამქრალიყო მიქელას კერა.

თავგზადაკაგულ მიქელას სახლის გაწმენდა ურჩიეს: შეიძლება რაიმე მავნე შეგეპარათ სახლში და შიგ იყოსო დაბუდებული. ამ რჩევამ გამოაცოცხლა ბერიკაცი. სასწრაფოდ შეუდგა საქმეს. კარავი დაწნა, ეზოს კუთხეში დადგა და სნეული სპიდონა იქ გადაიყვანა. აღარ უნდოდა გაწმენდილ სახლში ავადმყოფი დაეტოვებინა. აღარც სპიდონას მორჩენის იმედი ჰქონდა. მით უმეტეს, რომ ერთ დილით, ავადმყოფმა თავად განაცხადა – საიქიოში ვიყავი; ერთი წლის ვადით გამომაბრუნეს. ერთი წლის მერე კი ისევ საიქიოში მიხმობენო. იყო მი-

ტოვებული სნეული სპიდონა, მხოლოდ საზრდელს თუ მიაწოდებდნენ ხანდა-ხან.

ერთ ღამეს საშინელი ლესტერი¹ დაატყდა თავს სოფელს. ყველაფერი წალეკა ნიაღვარმა. დილით სპიდონა ქვა-ლორღში არეული იპოვნა ბაბუამისმა. როცა მიქელამ რძალს უთხრა, სპიდონა მომკვდარაო, საშინლად გაიოცა მაიამ – „მომკვდარა?! წელიწადი რომ არ შესრულებულა?“ მიქელამ დაამშვიდა ქალი – „ალბათ შემცდარი იყო... კარგად ვერ გაუგია, რა ვადა დაუნიშნეს“.

როცა ამ სიტყვებს კითხულობთ, სული გეყინებათ: სადამდე შეიძლება იყოს ცრუმორწმუნეობით დაბნელებული ადამიანის გონება. რა საშინელი დანაშაული შეიძლება ჩაიდინოს მიამიტობამ და უმეცრებამ. ბუნებით კეთილი და სათნო ბერიკაცი არაცნობიერად მკვლეელი გახდა. და ეს ჩაიდინა „კეთილი მიზნით“ – ჯიშის, მოდგმის გადარჩენის სახელით.

მთელ სოფელს სჯერა, რომ ფეფენა კუდიანია („მსხვერპლი“). ყველას ეშინია მისი. ფეფენა კი ნამდვილად ერთი გაჭირვებული, გაუხარელი ქალია. იგი წუთისოფლის სიმძიმემ უკმეხ და პირქუშ ადამიანად აქცია. ასაკით და ცხოვრებით მოტეხილ ფეფენას ვერ აუტანია ახალგაზრდა რძლის მარინე ხმელაძის სიხალისე, სილაღე, მხიარულება. დედაბერს ეშინია ლამაზი და ცქრიალა მარინე ვინმემ არ აცდუნოს და ოჯახს თავი არ მოეჭრას. ეს შიში მას მერე გაუძლიერდა განსაკუთრებით, რაც აზნაურ დავით კარუგდელაძისა და რძლის მეგობრული ურთიერთობა შენიშნა.

სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა რძალ-დედამთილი ერთმანეთს. ფეფენამ სძლია მარინეს. სიცოცხლით სავსე ყმაწვილი ქალი ჩამოხმა, ჩამოდრა, გაყვითლდა და დაჭკნა. მძიმე სნეულს დაემსგავსა. სოფელში კი ხმა დაირხა, კუდიანმა დედამთილმა მარინეც კუდიანი გახადაო. მაშინ მარკოზა ხმელაძემ შვილის შინ წაყვანა გადაწყვიტა. მაგრამ მარინე იმდენად იყო დამფრთხალი და დაძაბუნებული, რომ მამას ემუდარებოდა: „გამიშვი, შენი ჭირიმე, ჩემო მამა... მომკლავენ, მამა!...“ სულიერმა ტერორმა სრულიად უნებისყოფო გახადა იგი.

მარკოზა ხმელაძეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი „ეხსნა“ შვილი კუდიანობისაგან. „საიქიოში ნამყოფმა“ ვასილა კარიკაძემ „გამოტეხა“ მარინე და ათქმევნა – ჩემმა დედამთილმა შემაცდინა და დამაჭერინაო კავშირი ეშმაკთან.

შვილის უბედურებით გადარეულმა მარკოზა ხმელაძემ გავარვარებული ნალით დადალა ფეფენა. ნაწამებმა, ღონემიხდილმა და დაოსებულმა მარინემ ვერ გაუძლო ამდენ საშინელებას და დედის ხელებში დალია სული.

შემზარავია მარინე ხმელაძის ბედი, მაგრამ უფრო შემადრწუნებელია სოფლის კმაყოფილება მარინეს ეშმაკისაგან „განთავისუფლებით“:

„გამოტეხილს რაღა აცოცხლებს?... არ გამოეტეხათ, უარესი ცოდვა იქნებოდა... იცოცხლებდა-კი, მარა რაღა სიცოცხლე იქნებოდა მისი... ბოლოს ხომ წარწყმედილი იქნებოდა მაინც...“

დიდად მადლიერი იყო ხალხი მარკოზასიც: კარგი მამობა გაუწიაო შვილს. „სვინდისიერი კაცი ბრძანებულხართ... შვილის კაი პატრონი... ღმერთმა გიწინამძღვროს!“

ვასილა კარიკაძით ხომ ყველა აღტაცებული დარჩა და დარჩა:

„– ძალიან საქმე ქნა იმ დალოცვილმა ადამიანმა!

– ღვთის კაცია, შე დალოცვილო... ვიგინდარა ვინმე ხომ არ არი!“

მართლაც არ არის კარიკაძე ვიგინდარა. მას გულწრფელად სჯერა იმისი, რასაც აკეთებს. ვასილამ დიდსულოვნად თქვა უაი ფულზე, რომელიც მარინეს „განკურნებისათვის“ შეაძლიეს. „ღმერთს ჩემთვის ეს ძალა ფულის საბოჭავათ კი არ მოუნიჭებია, შე კაცო!“ – უთხრა მან მარკოზას.

საშინელი და თავზარდამცემია სწორედ ის, რომ ბოროტებას სჩადიან გულწრფელი, მართალი და პატიოსანი ადამიანები, რამეთუ უმეცრების, სიბნელის, ცრუმორწმუნეობის გამო არ უწყიან, რას აკეთებენ. ბოროტების აქტი აღესრულება კეთილის სახელით. დ.კლდიაშვილი ხატავს სამყაროს, სადაც, საუბედუროდ, თავდაყირაა დაყენებული რწმენა, თავმოყვარეობა, მოყვასის სიყვარული. ამ სამყაროში რწმენად ცრუმორწმუნეობაა მიღებული, თავმოყვარეობად – ამპარტავნება, მოყვასის სიყვარულად – მოყვასის მოტყუება-გაცუცურაკება. ადამიანის ღირსება ხურდავდება ლუკმაპურად.

ომან ქამუშაძეს უყვარს ძმა, მაგრამ ცრუმორწმუნეობის გამო მასაც, სოფელთან ერთად, სჯერა, რომ მისი რძალი, ლევან ქამუშაძის ცოლი ეფროსინე კუდიანია. ომანი შვილის – კოწიას – ავადმყოფობას ეფროსინეს აბრალებს. კეტიტ მოსაკლავადაც მიუვარდება ომანი ძმასა და რძალს: „რა ვუქენით საამისო მაგ არა-წმინდას, ასე კბილი რომ ჩაასვა საწყალ ბავშვს!... მოვკლავ, მოვკლავ, ამ წუთში მოვკლავ, ჩემს ცოდვაში ფეხს ნუ იდგამს!..“ ვინ იცის, რა ცოდვას დაატრიალებდა ომანი, ოტია ქამუშაძეს რომ არ ეყოჩაღა და ბიძისთვის კეტი არ წაერთმია.

სოფელიც შედაღადებს ეფროსინეს:

„– გაანებე თავი, ეფროსინე... თუ მართლა შენგან არის, შენი მიზეზითაა ეს ბავშვი, მიუტოვე, აპატივე, ნუ ჩადგამ ფეხს ცოდვაში.

– ოუშვი, ეფროსინე, თუ რამე შენგანაა! ნუ შვრები მაგას!..“

ამ უსამართლო და უნიადაგო ბრალდებით გაოგნებული ეფროსინე დაბნეული უაზროდ ლულულავს:

„შენ მოჰკითხე, შენ მოჰკითხე, ჩემო გამჩენო, პასუხი, შენ მოჰკითხე პასუხი, ვინც მე ათასნაირ უბედურებას და უცნაურობას მახვევდეს და მიგონებდეს...“

გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა დავით კლდიაშვილის მეორე ძირითადი პერსონაჟიც – სიღარიბით და ცრუმორწმუნეობით დაბეჩავებული კაცი.

როცა დავით კლდიაშვილის პროტაგონისტების თავგადასავალს ვკითხულობთ, ზოგჯერ მათი ამპარტავნება ღიმილს გვგვრის და სიცილის გუნებაზე გვაყენებს, მაგრამ მათი სიღარიბე, სიბეჩავე, ცრუმორწმუნეობა და საცოდავობა

ყოველგვარი ხალისის სურვილს გვართმევს და იწვევს სიბრაღულს, თანაგრძნობას, თანალმობას. ღიმილი პირზე გვაშრება, როგორც კი მივხვდებით ორ ჭეშმარიტებას: პირველი ის, რომ გაჭირვებული ადამიანი შეუძლებელია იყოს დაცინვის საგანი და მეორეც ის, რომ როგორც არიან ადამიანები, ისეთია ქვეყანაც. თავის სამშობლოს სიბეჩავესა და გაჭირვებას კი არავინ დასცინის ამ ქვეყნად. ქართველი კაცის ჭაპანწყვეტას დ.კლდიაშვილი გამკილავი თვალით კი არ უყურებდა, არამედ – თანაგრძნობით, თანალმობითა და სიყვარულით სავსე გულით. და თუ ხანდახან მწერლის ჭკვიან და კაემნიან სახეს სევდიანი ღიმილი გაანათებს, ეს იმედია, ჩანერგილი იმათგან, ვინც, როგორც თავად ბრძანებს, გული სიყვარულით გაუთბო, ასწავლა ადამიანის პატივისცემა და ნდობა.

1982 წ.

ბუნების კანონზომიერება და უკვდავების მამიებელი კაცი

ქართულ პოეზიაში არის ორი ლექსი. ისინი შინაარსით ჰგვანან ერთმანეთს, ოღონდ სრულიად განსხვავებულია მათი დასკვნა. ერთი გახლავთ ვაჟა-ფშაველას „მოგონება“, ხოლო მეორე – გალაკტიონ ტაბიძის „მესაფლავე“.

ვაჟას ლექსში ქალი ფიცს აძლევს ნანდაურს –

*თუ შენ არ გხედავ ცოცხალსა,
არც მე ვარ ცოცხლად დამრჩომი,
ცოცხალი თან ჩამოგყვები,
საფლავში დაგეტანები...*

მოხდა უბედურება: ვაჟი გარდაიცვალა. გლოვამ მოიცვა სოფელი. ქალიც მდულარედ ატირდა. როცა ვაჟის კუბო საფლავში ჩაუშვეს, ქალს ფიცი გაახსენეს:

*– რა უყავ ფიცი, გოგონავ,
ჩაჰყევ, ვის მეელოდები?
– სად გავყვე, ძმაო, რას ვარგებ,
მკვდარს რა უშველო ამითა.
არა, მე სიცოცხლე მინდა,
უნდა ვიცოცხლო ჭირითა...*

მართალია, ფიცი გატყდა, მაგრამ ქალი თავს იმით იმართლებს, რომ ვაჟის ხსოვნას მოუვლის და შეინახავს. მართლაც, ერთი წელიწადი თავს დასტრიალებდა ქალი ვაჟის საფლავს, იგლოვდა, სანთელს უნთებდა. მაგრამ, მიდიოდა დრო და თანდათან იცვლებოდა ჭირისუფლის გუნება-განწყობილება.

*გოგოს სწადია იპოვნოს
პირველის მსგავსი გვამია;
მსგავსი პირველის მიჯნურის
თვალითა, ტანადობითა...*

გამოამკარავდა ქალის პირუმტკიცობა. თითქოს ამბის განვითარების ლო-
გიკა ითხოვს სასოწარკვეთილ დასკვნას. მოხდა ღალატი, არ უერთგულა ქალმა
ვაჟს. თითქოს ლექსში უნდა იყოს მამხილებელი პათოსი, მაგრამ სხვა დასკვნას
აკეთებს ვაჟა. იგი აღტაცებულია ბუნების კანონზომიერებით, რომელიც სი-
ცოცხლის აუცილებელ გამარჯვებას გულისხმობს.

*ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო,
სიცოცხლე შვენობს შენითა.
და შენც, სიკვდილო, ფასი გძე
სიცოცხლის ნაწყენობითა.
სიცოცხლე სიყვარულითა
და სიყვარული სიცოცხლით,
უერთურთისოდ ვერც ერთსა
ვერ ვიცნობთ, ვერც როს ვიცნობდით.*

ქალის საქციელი ვაჟას მიაჩნია არა ფიცის გატეხვად, არამედ სიცოცხლის
სიყვარულის გამოვლენად, სიცოცხლის უძლეველობის გამომჟღავნებად. იქ,
სადაც უგუნურება ქალის ორგულობას ხედავს, ნამდვილად ბუნების დიდი კა-
ნონზომიერება სუფევს. ეს იწვევს ვაჟას აღტაცებას. ცოცხალი რომ მიცვალე-
ბულს ემსხვერპლოს, ეს ერთგულება კი არ იქნება, არამედ სიკვდილის გამარ-
ჯვება და ამდენად ბოროტების ზეიმიც.

ახლა გალაკტიონის „მესაფლავეს“ დავაკვირდეთ.

ქალმა სამარეს მიაბარა მიჯნური. უსაზღვროა მისი მწუხარება, უნუგეშოა
მისი გლოვა. ვაჟის საფლავზე ფიცს დებს:

*გავქრე ისე, როგორც ნისლი, როგორც ღამის მოჩვენება.
არ მეღირსოს კვალარეულს სიმშვიდე და მოსვენება.
შენი სახე გულს კაწრავდეს, როგორც ვიყო, სადაც ვიყო,
თუ როდისმე არ მახსოვდე, აუ როდისმე დაგივიწყო.*

ყმაწვილმა კაცმა დაასაფლავა სატრფო. ისიც სასოწარკვეთილი ტირის).
ისიც იძლევა არდავიწყების ფიცს. მესაფლავეს არც ქალის სჯერა და არც ვაჟის.
იგი ღრმად არის დარმუნებული, რომ ორივე დაარღვევს ფიცს. ამიტომ მესაფ-
ლავე უნდოდ და ცინიკურად არის განწყობილი. პოეტს არ სჯერა მესაფლავე-
სი. იგი ჯერ რწმენით აცხადებს:

როცა ფიცით აცილებენ მიცვალებულს სამარემდე,
ფიცს არ სტეხენ...ფიცს არ სტეხენ უკანასკნელ ყოფნის დღემდე.

მაგრამ გამტყუნდა პოეტი. გამართლდა მესაფლავის სიტყვა. ქალ-ვაჟს ერთმანეთი შეუყვარდა. დაავიწყდათ გარდაცვლილნი.

*... დავივიწყოთ ის წარსული, სატირალი, სავალალო,
და ახალი შევქმნათ ყოფნა, გამომყევი ცოლად ქალო...
... თანახმა ვარ. ერთადერთი მომავალი მასულდგმულებს...
ჩვენ ერთი გვაქვს მწუხარება, ნუ ვიგონებთ დროს უბედურს,
მე შენი ვარ სამუდამოდ... წამიყვანე, სადაცა გსურს...*

როგორც ვხედავთ, ამბავი აქაც ისე ვითარდება, როგორც ვაჟას ლექსშია. ბუნების კანონზომიერებამ გაიმარჯვა. მაგრამ ეს არ ახარებს „მესაფლავის“ ავტორს. იგი გულდაწყვეტილი და გულგატეხილი მორჩილად ამბობს:

*მესაფლავე, ეხლა კი გაქვს ნება, რაც გსურს კვლავ იგი თქვა...
სამუდამოდ ასამარებს კაცთა ხსოვნას სამარის ქვა.*

. . .

*განისვენეთ, განისვენეთ, დავიწყებულ არსთა ძვლებო,
თქვენს ყოფნაში მე ბევრი მაქვს, მწუხარე ჟამს საოცნებო.*

ეს სევდა აღძრულია იმით, რომ ადამიანის საქციელის უკან გალაკტიონს არ სურს აღმოაჩინოს ბუნების კანონზომიერება. უფრო სწორად, მიიღოს, იწამოს ეს კანონზომიერება. დამორჩილდეს მას. ერთ ლექსში გალაკტიონი შეუპოვრად მოითხოვს:

*კვდომა ბუნების წესია,
მაგრამ ჩემს გულში ასეა:
ნუ კვდება, რაც უბრძნესია,
ნუ კვდება, რაც ლამაზია.
/, იმ სივრცეს, ჰაეროვანი“...)*

ვაჟა-ფშაველას აზრს იზიარებს ლეო ქიაჩელიც მოთხრობაში „მუხა და ტირიფი“.

... მთის კალთაზე ახალგაზრდა მუხა იდგა. ცოტა მოშორებით მდინარესთან ნაზი ტირიფი ამოსულიყო. მათ უყვარდათ ერთმანეთი და დიდი იყო მათი ბედნიერება. ერთ დღეს საზარელი გრიგალი ამოვარდა. ცა და მიწა შეაზანზარა. დამფრთხალი ტირიფი შიშით მიწას გაეკრა. მუხა კი აღიმართა, ტოტები გაშალა და ყოვლისწამლეკავ გრიგალს ეკვეთა. ქუხდა და ელავდა. ელვის ენები ისრებრ ერჭობოდა მიწას. ერთი მუხას დაეცა და ავარდა ალი. როცა გრიგალი ჩადგა, ყველაფერი დაწყნარდა და მზემ ისევ გამოანათა, ტირიფი წამოდგა და მიმოიხედა. იქ, სადაც წინათ დიდი ჭყონი იდგა, მხოლოდ დამწვარ-გარუჯული ტოტები ეყარა. სად არის?- იკითხა წნორმა შიშითა და ცახცახით. მაგრამ

ტირიფისათვის გარემოს არ ეცალა. პირდაბანილი მზე საზეიმოდ იწვევდა ქვეყანას.

ლ.ქიაჩელის დასკვნა: „ყველამ იცოდა, რომ ბედნიერებას ყოველთვის დიდი მსხვერპლი ეწირებოდა. ასეთი იყო ბუნების წესი. ხოლო ისიც იცოდა ყველამ, რომ ბუნების იგივე წესი მოითხოვდა მსხვერპლის დავიწყებას ყველაზე უფრო უდიდესი ბედნიერებისათვის, რომელიც იყო სიცოცხლე“.

თუ ვაჟა ბუნების კანონზომიერებაში სამართლიანობასა და ჰარმონიას ხედავს, გალაკტიონი უსამართლობასა და უკანონობას ჭვრეტს. ამიტომ თუ ეს კანონზომიერება ვაჟაში იმედიან, ოპტიმისტურ განწყობილებას წარმოშობს („ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა“), გალაკტიონში სევდასა და პროტესტის სურვილს ბადებს („ნუ კვდება, რაც უბრძნესია, ნუ კვდება რაც ლამაზია“).

ადამიანი ამა თუ იმ სახით, ამა თუ იმ ფორმით ხშირად უმხედრდება ბუნების კანონზომიერებას. ცდილობს დაარღვიოს იგი. თავს მოახვიოს ბუნებას კაცებრივი სურვილები. ამგვარი კონფლიქტი ბუნებასა და ადამიანს შორის ტრაგედიის საფუძველი ხდება. ადამიანს არ ძალუძს სძლიოს ბუნების კანონზომიერებას და იგი მარცხდება. დამარცხება კი იწვევს სკეპსის, დარდს, სასოწარკვეთილებას. გვინდა თუ არ გვინდა, ვეგუებით თუ ვერ ვეგუებით, კვდება ულამაზესიც და კვდება უბრძნესიც. ულამაზესის სიკვდილი აღწერილია ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტი“, უბრძნესის სიკვდილია დახატული ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელში“, ორივე ნაწარმოის პრობლემა ბუნების კანონზომიერების წინააღმდეგ ამბოხების პრობლემა.

დაბერება, ახალგაზრდობის დაჭკნობა ბუნების კანონზომიერებაა. რარიც არასასურველიც უნდა იყოს იგი, სულერთია, ადამიანი მაინც ვერსად გაექცევა. მიუხედავად ამ აუცილებლობისა, ადამიანი მაინც ებრძვის მას. თუ რეალურად ვერ ახორციელებს ამ სურვილს, ცდილობს ოცნებით მაინც იხილოს იგი.

დორიან გრეი ამგვარი ოცნების მსხვერპლია.

როცა ბეზილ ჰოლუორდმა დორიან გრეის პორტრეტი დახატა, სურათმა კიდევ უფრო ნათელი და მკაფიო გახადა ამ ყმაწვილი კაცის ხორციელი სილამაზე. თავად დორიანმაც მთელი სიღრმით შეიცნო საკუთარი მშვენიერების ფასი. მაშინ დაებადება მას სურვილი (გიჟურს უწოდებს ამ სურვილს ოსკარ უაილდი): მის მაგიერ დაბერებულიყო პორტრეტი, თვითონ კი დარჩენილიყო მარად ჭაბუკი. დორიან გრეის აღარ უნდოდა ცხოვრების მდინარებას კვალი დაეჩნია მის სილამაზეზე, გაეცრიცა და გაეფერმკრთალებინა იგი. მარტო თავად არ წუხდა მომავალი სიბერის გამო. ამ ყმაწვილის ყოველი მხილველი გულში ნანობა, რომ დადგება დღე, როცა დორიანის მშვენიერი სახე დაჭკნება და ნაოჭებით დაიღარება. წლები წაიღებს ოქროცურვილ თმებს, ალისფერი ბაგეების ხიბლს. მოიხრება და მოიკაკვება მისი შოლტივით ტანი. ჩაქრება და ჩაინაცრება თვალების ცეცხლი. იგი გახდება გონჯი, საცოდავი და ჩაჩანაკი.

დრო და ცხოვრება, რომელნიც მის სამშვიდველს ჩამოაყალიბებენ, დამ-
ლიან მის სხეულს.

ამ საშინელ მომავალს რომ თავი დააღწიოს, დორიან გრეი ნატრობს – თუ
სიბერისა და ბიწიერების დაღის დასმა გარდაუვალია, მაშინ დააჩნდეს იგი
პორტრეტს და არა ცოცხალ მოდელს. მის ნატვრას თითქოს უსმინა ღმერთმა.
მიდის დრო და იგი არ ბერდება. მისი სილამაზე ხელუხლებელია. პორტრეტი
კი თანდათან ბერდება. სურათზე აისახება ყველა ბიწიერება, რომელსაც, ნებით
თუ უნებლიეთ, სჩადის დორიან გრეი.

მარადიული ახალგაზრდობის შენარჩუნების აუხდენელ სურვილს ჩაჭი-
დებული დორიან გრეი თანდათანობით ბოროტმოქმედი ხდება. მისი გამოი-
სობით იკლავს თავს მსახიობი ქალი სიბილა ვეინ. თვითონ კლავს მისი პორ-
ტრეტის ავტორს მხატვარ ბეზილ ჰოლუორდს. უნებლიეთ შემოაკვდება სიბი-
ლა ვეინის ძმა ჯეიმსი.

ერთი სიტყვით, დორიან გრეი ყველგან და ყოველთვის ბოროტს თესავს.

მართალია, თვითონ უცვლელი და უბერებელი რჩება, მაგრამ ყველა ავკა-
ცობა, რასაც იგი აკეთებს, აისახება და აღიბეჭდება პორტრეტზე. სურათი შემ-
ზარავ სანახაობად იქცევა. დორიან გრეი ვეღარ უძლებს სურათის ყურებას.
პორტრეტი მისი ჭუჭყიანი სინდისისა და დაბერებული, ბიწიერი სულის სარ-
კეა.

დორიან გრეის აღარ სურს მარადიული ახალგაზრდობის შენარჩუნება.
იგი მტკიცედ და გადაწყვეტილად ეუბნება ლორდ ჰენრი უოტონს – უკეთესი
მინდა გავხდეთ. უბერებელი კი არა, უკეთესი. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი
დასკვნაა, მაგრამ უკვე დაგვიანებულია. აღარაფრის შეცვლა შეიძლება.

დორიან გრეი უკეთესად გახდომას მაშინ მოახერხებს, თუ მოიცილებს
თავიდან პორტრეტს, რომელიც მისი სინდისის ყივილად იქცა. ამიტომ გადაწყ-
ვეტს იგი პორტრეტის „მოკვლას“. დორიანი აიღებს იმ დანას, რომლითაც მან
მხატვარი ბეზილ ჰოლუორდი მოკლა, და სურათს გამეტებით ჩასცემს.

როცა მსახურებმა კარი შეამტვრიეს და ოთახში შეცვივდნენ, თვალწინ სა-
ოცარი სანახაობა წარმოუდგათ: კედელზე ეკიდა მათი პატრონის პორტრეტი,
სავსე მომაჯადოებელი მშვენიერებით და ახალგაზრდობით. იატაკზე კი ეგდო
გულში დანაგარჯობილი ბერიკაცი, რომლის დაღრეჯილი, დამჭკნარ-დაღარუ-
ლი მახინჯი სახე იწვევდა ზიზღს.

სიმბოლიკის აზრი ცხადი და ნათელია. ადამიანმა სცადა წინაღდგომოდა
ბუნების კანონზომიერებას. მის საპირისპიროდ შენარჩუნებინა მარადიული
ახალგაზრდობა. ამ სურვილმა დორიან გრეი ეგოიზმის უკიდურესი ფორმით
ნარცისიზმით დააავადა. ამან იგი ბოროტმოქმედად გადააქცია. შექმნილი
მდგომარეობიდან თავის დაღწევა კი მხოლოდ თვითმკვლელობით შეიძლებო-
და.

დორიან გრეის სურვილი – არ დაბერდეს, შეინარჩუნოს მარადიული
ახალგაზრდობა – გვახსენებს ქართულ ზღაპარს „მიწა თავისას მოითხოვს“. ეს

ზღაპარი ბუნებასა და ადამიანს შორის არსებულ კონფლიქტის არსის ამოცნობაში გვეხმარება.

ხელმწიფეს ერთი ვაჟი ჰყავდა. ისე ზრდიდა, არ უნდოდა სცოდნოდა – რა არის სიბერე და სიკვდილი. ერთხელ, უკვე დავაჟკაცებულმა, შემთხვევით ბერიკაცი დაინახა. გაოცებულმა იკითხა – ვინ არის? იძულებული გახდნენ აეხსნათ: მოხუცია, ოდესღაც თქვენებრ ახალგაზრდა იყო. ახლა დაბერდა, ალბათ მალე მოკვდება და მიწას მიაბარებენო. არ ისურვა უფლისწულმა არც სიბერე და არც სიკვდილი. გადაწყვიტა, ისეთი ქვეყანა მოემებნა, სადაც არც ერთი იცოდნენ და არც მეორე. იარა უფლისწულმა, ცხრა მთა და ცხრა ზღვა გადაიარა, მაგრამ ვერც იმ ქვეყანას მიაგნო, სადაც სიბერე და სიკვდილი უცნობი იყო და ვერც ისეთი კაცი იპოვნა, ვინც ასეთ ქვეყანას მიასწავლიდა. ბოლოს, ძებნით დაღლილ-დაქანცულმა ხის ქვეშ ნინველი ქალი დაინახა. ვაჟსაც მოეწონა ქალი და ასულსაც – ვაჟი. ქალმა დედას სთხოვა – გაიგე ეგ ყმაწვილი ვინ არის ან რა გასჭირვებიაო? ქალის დედამ უფლისწული იხმო და ჰკითხა – რას დაემებო. მეფის ძემ უპასუხა – ისეთი ქვეყანა მინდა ვიპოვნო, სადაც არ უწყიან, რა არის სიბერე და სიკვდილი. ამის გამგონე ქალი დედას შეეხვეწა: აქციე ეს ჭაბუკი ანგელოსად და აღარ მოკვდებო. დედა ჯერ უარზე იდგა – შეუძლებელია, მიწა თავისას მოითხოვს და მაგასაც სიკვდილი მოენატრებო. არ მოეშვა ქალიშვილი. მაშინ ქალის დედამ უფლისწული გააფრთხილა – თუ შენი მიწა-წყალი არ მოგენატრება, გაქცევ ანგელოსად და აღარც დაბერდები და აღარც მოკვდებიო. ბიჭი დათანხმდა და უკვდავება მოიპოვა.

გამოხდა ხანი. უფლისწულს სამშობლო მოენატრა. გადაწყვიტა, მამის სამეფო ენახა. ბევრი უშალეს დედა-შვილმა, მაგრამ უფლისწულმა მაინც არ დათმო სურვილი და მამულის სანახავად წავიდა. ქალის დედამ სამი ვაშლი გაატანა და თან დაარიგა: თუ სამივე ვაშლს უკან მოიტან, ისევ ახალგაზრდა დაბრუნდებიო. წავიდა უფლისწული და მამის სამეფოში მივიდა. სადღა იყო სამეფო. დროს ყველაფერი გაენადგურებინა. აღარც ხალხი იყო დარჩენილი და აღარც ცხოველ-ფრინველი. გულდაკოდილი უფლისწული უკან გამობრუნდა. დასევდიანებულსა და დადარდიანებულს გზაში ეშმაკი დაეწია და ერთი ვაშლი სთხოვა. მეფის ძემ ვერ გაუძლო ხვეწნას და მისცა ერთი ვაშლი. იგი უცხად დაბერდა. ცოტა ხნის მერე მეორე ვაშლიც გამოსტყუა ეშმაკმა. სულ დაჩაჩანაკდა უფლისწული. ასე მიხრწნილმა ბებერმა მიაღწია ქალის სამფლობელოს. ცოლმა ვერც იცნო და გაკვირვებულმა იკითხა – ეს ბერიკაცი ვინ არისო. დედამ მიუგო: აკი გითხარი, მიწა თავისას მოითხოვს და მას ვერავინ გაუსხლტება-მეთქი. მერე სიძეს მიუბრუნდა და მესამე ვაშლი მოიკითხა. სიტყვის უთქმელად გაუწოდა მესამე ვაშლი უფლისწულმა სიდედრს. ქალის დედამ ვაშლი გამოართვა და მეფის ძემ იქვე დალია სული.

თუ ზღაპრის ატრიბუტებს ჩამოვაცილებთ, დავინახავთ, რომ აქაც აუხდენელი სურვილია გამომჟღავნებული – არ დაბერდეს და არ მოკვდეს კაცი. ზღაპარშიც ბუნების საწინააღმდეგო სურვილად არის ეს მიჩნეული. ამიტომ უფლისწული მარცხდება. მიწა, ანუ ბუნება თავის კანონზომიერებას არ არღვევს.

ოსკარ უაილდის რომანსა და ქართულ ზღაპარს საერთო წყარო უნდა ჰქონდეს – „სიბრძნე ბალაჰვარისი“. როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქრისტიანი ხალხების ლიტერატურაში ბალავარიანი დიდად პოპულარული თხზულება იყო.

მეფე აბენესმა შვილი იოდასაფი აღსაზრდელად მიაბარა ზანდანს. თან დაავალა, რომ „ბერი კაცი, გინა სნეული არა ყოვლად უჩვენოს და არცა სიკვდილი უხსენოს“. უნდოდა უფლისწული შვებით და სიხარულით გაზრდილიყო და არ განეცადა მწუხარება სიბერის, უძლურების თუ სიკვდილის გამო. მართლაც, ისე გახდა სრულწლოვანი იოდასაფი, რომ არ იცოდა, რა იყო სიბერე, უძლურება და სიკვდილი. დავაჟკაცებულმა მეფის ძემ, ქვეყნის გაცნობის მიზნით, გადაწყვიტა ქალაქგარეთ წასვლა. მამის ნებართვა მიიღო და, ზანდან გამზრდელთან ერთად, ქვეყნის გაცნობას შეუდგა. ამო გამოდგა აბენესის ზრუნვა. იოდასაფმა ნახა და შეიცნო სიბერეც, უძლურებაც და სიკვდილიც. ამან მწარედ დააფიქრა ყმაწვილი და იკითხა – არსებობს თუ არა ქვეყანა, სადაც არ იციან, რა არის ტანჯვა, უძლურება, სიბერე, სიკვდილი. ზანდანმა უპასუხა – არ არსებობსო ასეთი ქვეყანა. იოდასაფმა მოისურვა გაეგო – „რაი იქმნებიან კაცნი შემდგომად სიკვდილისა“. ვერც ამ კითხვას უპასუხა გამზრდელმა, ოღონდ უთხრა: „მამის შენისა ფილოსოფოსნი ზოგნი მოკვდავად იტყვიან სულსა და ზოგნი უკვდავად“. იოდასაფმა შესთხოვა ღმერთს – მომივლინე კაცი, ვინც ჭეშმარიტების გზას მასწავლისო. მაშინ ეახლა უფლისწულს ვაჭრად გადაცმული ბალაჰვარი და დაიწყო შეგონება.

ბალაჰვარის წყალობით, იოდასაფმა ჭეშმარიტების გზა ქრისტიანობაში ჰპოვა.

როცა ოსკარ უაილდი დორიან გრეის ათქმევინებს – კეთილი მინდა ვქმნაო – ნაწილობრივ უახლოვდება ბალავარიანის კონცეფციას, რაც ნ.ბართაშვილმა ასე გამოთქვა – „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს“. მაგრამ უაილდის საერთო დასკვნა მაინც განსხვავებულია. იგი უკვდავად ხელოვნების მშვენიერს მიიჩნევს.

„ბალაჰვარის სიბრძნისა“ და ქართული ზღაპრის საფუძველზეა დაწერილი კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა „მშვენიერება“. ამ ნოველის შინაარსიც გავიხსენოთ.

დედოფალ მაგდანას ერთადერთი შვილი ჰყავს – მზექაბუკი. არ უნდა დედოფალს უფლისწულმა იცოდეს, რა არის სიბერე და სიკვდილი, ისე გაიზარდა მზექაბუკი, არც ბებერი უნახავს და არც მიცვალებული. ერთ დღეს ნაღვლიანობა შეამჩნიეს უფლისწულს. დაინტერესდნენ და გაიგეს ნაღვლიანობის მიზეზი. უმამობას დარდობდა მზექაბუკი. დედა იძულებული გახდა ეთქვა შვილისათვის – მოკვდაო მამაშენი. მაგრამ უფლისწულმა ვერ გაიგო სიტყვა „მოკვდას“ აზრი. მაშინ დედამ განუმარტა: „სიკვდილი მოგვდგამსო ყველას. მტვრად ვიქცევითო ერთხელაც იქნება, რადგან მიწის ვალი მართებსო სულიერთაგან ყოველს“. დააფიქრა უფლისწული ამან და ისეთი ქვეყნის მოძებნა მო-

ინდომა, სადაც არ ეცოდინებოდათ სიკვდილი. დატოვა თავისი საბრძანისი და უკვდავების საპოვნელად გაემგზავრა.

იარა უფლისწულმა. ვერ გაუძლო ამდენ სიარულს მისმა ცხენმა და გზაში მოკვდა. ცხოველის თვალეში დაინახა მზეჭაბუკმა სიკვდილი.

ისევ იარა, ქანცგაწყვეტილმა ხის ქვეშ შეისვენა. ბინულის წყალი დალია. წყაროში დაინახა, გასთეთრებოდა თმა-წვერი. და შეიცნო მზეჭაბუკმა სიბერე.

მაინც ჯიუტად დაემებდა უკვდავების ქვეყანას. ბოლოს სამყაროს კიდეს მიადგა. ციდან ჩამოშვებული ოქროს ჯაჭვი შეამჩნია. აჰყვა მას. სპილოსძვლის სასახლეში შევიდა. მზეთუნახავი იჯდა ტახტზე. გაუღიმა ქალმა უფლისწულს და უთხრა – „შენ თუ უკვდავებას ეძებდი, ჭაბუკო, ეს მე ვარო, – მშვენიერებაა ჩემი სახელი, რადგან ყველა ფერს, ყველა ხმას, ყოველივეს, ჩემს გარდა, წარხოცავს ჟამი“. შენც მოგანიჭებდიო უკვდავებას, მაგრამ ოდესმე სანატრელი გაგიბდებო სიკვდილი. განცვიფრდა უფლისწული – როგორ მომენატრებო სიკვდილი. მზეთუნახავმა განუმარტა: „სხეული შენი თიხისაგანაა შექმნილი და ამიტომაც ვალი გაწევსო დედამიწისა“. მაინც ისურვა უკვდავება უფლისწულმა და დარჩა მშვენიერებასთან.

ათასი წელი გავიდა. მოენატრა მზეჭაბუკს მიწა და მამის ქვეყანა. სთხოვა მშვენიერებას გაშვება. მზეთუნახავმა გაიცინა და უთხრა: „მე ხომ მცოდნია, რა ძალა აქვს მიწას. წა, შე საცოდავო და ეწიე ყოველი კაცისა და ყოველი არსის უცილო ხვედრს“. თან ორი ყვავილი მისცა – წითელი და თეთრი. ასწავლა – თუ შენს საბრძანებელში მისულს კვლავ მოგიხდეს სიცოცხლე, უსუნე წითელს, თუ სიკვდილი მოგესურვოს, დაყნოსე თეთრი.

მობრუნდა უფლისწული სამშობლო ქვეყანაში, მაგრამ აღარაფერი დახვდა მისი ბავშვობისა და ყმაწვილკაცობის დროინდელი. შეცვლილიყო და გადასხვაფერებულიყო ყველაფერი. ენაც სხვანაირი გამხდარიყო და არავის ესმოდა, რას ამბობდა იგი. შეიცნო მზეჭაბუკმა ჟამის მუხანათობა და ცხოვრების ამაოება. ამოიოხრა, დაყნოსა თეთრი ყვავილი და განუტევა სული.

ოსკარ უაილდის რომანს, ქართულ ზღაპარს და კონსტანტინე გამსახურდიას ნოველას ერთი საერთო ლაიტმოტივი აქვს – უბერებლობის სურვილი, მარადიული ახალგაზრდობის შენარჩუნების წყურვილი.

სამივეს დასკვნაც ერთნაირი აქვს: ამგვარი სურვილი ბუნების კანონზომიერების საწინააღმდეგოა და მარცხისათვის არის განწირული. მართალია, „დორიან გრეის პორტრეტში“ ამკარად არ წერია – ადამიანს მიწის ვალი მართებს და უკან უნდა დაუბრუნოსო – როგორც ეს ქართულ ზღაპარსა და „მშვენიერებაშია“ პირდაპირ ნათქვამი, მაგრამ ბუნებრივად და თავისთავად იგულისხმება ეს მოტივი ინგლისელი მწერლის რომანში.

ოსკარ უაილდი და კონსტანტინე გამსახურდია ერთნაირად მიიჩნევენ, რომ უბერებელი და უკვდავი მხოლოდ მშვენიერებაა. ეს აზრიც ძველია. ლათინური ანდაზა ამბობს – *Ars longa? Vita brevis* (გალაკტიონს ლექსიც აქვს ამ სათაურით). ამ აზრით რჩება დორიან გრეის პორტრეტი მარად მშვენიერი. ყველა სურათზე ადამიანის ცხოვრების რომელიღაც გაქვავებული წამია ფიქსირე-

ბული. რაკი იგი უმოძრაოა, ბუნებრივია, რომ უცვლელი რჩება. კ.გამსახურდი-
ას სპილოსძვლის კოშკი და შიგ დასახლებული მზეთუნახავიც ხელოვნების
მშვენიერია (ეს მოტივი ზღაპარში არ არის). ესეც უმოძრაობაა და გაქვავებაა.
ასეთი უმოძრაობა-უცვლელობა ან სპილოსძვლის მურყვამში ყოფნა ადამიანს
არ ძალუძს. იგი ემორჩილება ცვლილებისა და მოძრაობის კანონზომიერებას.
ამდენად ამაოა უბერებლობისა და უკვდავებისათვის ბრძოლა. მაშინ რატომ
არის ხალხურ ზღაპარ-თქმულებებში და პროფესიულ მწერლობაში უკვდავე-
ბისა თუ უბერებლობისათვის მებრძოლი ადამიანი ასახული? ვიდრე ამ კით-
ხვას ვუპასუხებდე, ბუნების კანონზომიერების დარღვევის კიდევ ერთი სახეო-
ბა გავიხსენოთ. ეს გახლავთ არაბუნებრივი ცოდნის, ყველაფრის წვდომის
პრობლემა.

ბუნების კანონზომიერების ამგვარი სახით დარღვევა ვაჟას „გველის მჭა-
მელშია“ აღწერილი.

ყველას ჩინებულად ახსოვს, როგორ შეჭამა მინდიამ გველის ხორცი და
შეიძინა ღვთაებრივი უნარი ჩაწვდეს ყველასა და ყველაფრის გულისთქმას.

*რაც კი რამ დაუბადია
უფალს სულიერ-უსულო,
ყველასაც თურმე ენა აქვს,
არა ყოფილა ურჯულო.*

მართალია, მინდიამ გველის ხორცი ჭამა, მაგრამ მის გულში ბოროტმა
ფეხი ვერ მოიკიდა. ეს მოხდა იმიტომ, რომ სიბრძნე აჩვენეს გველად. ქაჯებთან
ტყვედმყოფ მინდიას სიკვდილი უნდოდა. ამ მიზნით შეჭამა გველი, მაგრამ გა-
მოვიდა სხვაგვარად. იგი ყოვლისმხილველი და ყოვლისმწვდომელი ბრძენი
გახდა. მინდია მხოლოდ კეთილით ავლენს თავის არსს. ამ მხრივ მინდია სრუ-
ლიად განსხვავდება დორიან გრეისა, ქართული ზღაპრის პერსონაჟისა და
კ.გამსახურდიას მზეჭაბუკისაგან. თუ დორიან გრეი აბსოლუტური ბოროტია
(ზღაპრის პერსონაჟი და მზეჭაბუკი ბოროტებას არ ავლენენ, მაგრამ არც კე-
თილს ამჟღავნებენ), მინდია აბსოლუტური სიკეთეა. შეუძლია თუნდაც შუაზე
გაკვეთილი განკურნოს. იცის, რომელი ყვავილი რისი წამალია. ესმის და გაე-
გება მცენარეების, ცხოველების, ფრინველების. იქცევა ისე, როგორც ამას მისი
ცოდნა კარნახობს. მიუხედავად მხოლოდ კეთილისა, მინდიას ბევრს მაინც არ
სჯერა. საზოგადოებას არ სურს იმ წესით ცხოვრება, რასაც იგი ითხოვს.

*მაგრამ ნაგრძნობსა გულითა
გონებით კშველენ ვერასა:
ბალახსაც სთიბენ, ნადირს ჰკვლენ,
შეშით ანთებენ კერასა...
ქათმის ხორცს რა შეაძულებს,
თქვენვე მითხარით, მელასა?*

*ვინ ჩამოგდება ღველფზედა,
თუ ზედ არ ჰხედვენ ძელასა?...*

მინდიას ოჯახშიც კონფლიქტი აქვს. მზია ითხოვს ცხოვრებისათვის აუცილებელს – შეშას, ხორცს. მინდია ვეღარ უძლებს ოჯახისა და საზოგადოების მოთხოვნას და თანდათანობით ლალატობს თავის მრწამსს. მოჭრა ჭადარი, მოკლა ჯიხვი. ეს უშედეგოდ არ რჩება. ნელ-ნელა კარგავს ღვთაებრივ ცოდნას, რაც სასოწარკვეთილებაში აგდებს. გამწარებული მინდია ოჯახს ამუნათებს: თქვენს გამო დაკვარგეო „უფლისგან მომადლებული დიდი ცოდნა და ძალია“. მინდიასაგან სიბრძნის დაკარგვა საბოლოოდ მაშინ გამჟღავნდა, როცა ლაშქარს უგუნური რჩევა მისცა – მტერს მოწამლულს ხევაში დავუხვდეთო. ყველა მიხვდა, რომ ეს გადაწყვეტილება საბედისწერო იყო, მაგრამ ფიცი მაინც არ გატეხეს და მინდიას დამორჩილდნენ. ცუდად წარიმართა ომის საქმე. დამარცხდნენ. დანაშაულის გამოსყიდვას მინდია თავგანწირული ბრძოლით ცდილობდა, მაგრამ ტყუილად. იგი თანამოლაშქრეებმა ბრძოლის ველს განარიდეს და მყუდრო ადგილას ხელფეხშეკრული დატოვეს. მაინც მოახერხა მინდიამ თავის განთავისუფლება და, როცა სოფელში ცეცხლი დაინახა, რაც დამარცხების მაუწყებელი იყო, თავი მოიკლა.

როგორც დორიან გრეი არის არაბუნებრივი სურვილის მსხვერპლი, ასევეა მინდია არაბუნებრივი ცოდნის ტარიგი. ამას კარგად ადასტურებს მინდიას ცოლის მზიას სიზმარი. ქალმა სიზმარში ნახა, მინდია წყალს მიჰქონდა. ცოლს ეძუდარებოდა, ბალღებს მიმიხედეო. მერე წყალმა მზიაც წაიღო ბავშვებითურთ. თუ გავითვალისწინებთ, რომ მითოლოგიაში წყალი სიბრძნის სიმბოლოა, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ამ ძილიშორისით ქარაგმულად გაცხადებულია, როგორ გახდნენ მინდიაც, მზიაც და მათი შვილებიც, მერე მთელი სოფელი, აბსოლუტური ცოდნის ზვარაკი. მინდიამ ვერ გადალახა ის წინააღმდეგობა, რაც მის აბსოლუტურ ცოდნასა და სინამდვილეს შორის არსებობდა. დაარღვია ბუნების კანონზომიერება, მაგრამ ვერ შექმნა ახალი კანონზომიერება, რომელიც სხვებისთვისაც მისაღები იქნებოდა. ვაჟა ბრძანებს: „ნაგრძნობს გულითა, გონებით ჰშველენ ვერასა“. საზოგადოება მინდიას სიბრძნეს მაშინ მიწვდებოდა გონებით, თუ ისიც აბსოლუტური ცოდნის მქონე გახდებოდა. მაგრამ გველისმჭამელი ერთი იყო და სხვებისათვის ამ საიდუმლოს კლიტე ედო. ამიტომ ურთიერთგაგების ყველა საფუძველი გამორიცხული იყო. მინდიას ტრაგედია მაშინ კი არ დაიწყო, როცა ცოდნა დაკარგა, არამედ მაშინ, როცა ცოდნა შეიძინა, რამეთუ მისი ცოდნა არაბუნებრივი თვისებისა იყო.

გველისმჭამელი კაცის, ანუ აბსოლუტური ცოდნის მფლობელი ადამიანის, ამბის ვარიაციაა კონსტანტინე გამსახურდიას „ხოგაის მინდიაც“.

ტილები ესეოდა ხოგაის მინდიას და საშინლად იტანჯებოდა. სანადიროდ წასულ ხოგაის მინდიას, ერთხელ ღამით, ქვაბში ნადირთ ხელმწიფე ოჩონპინტე გამოეცხადა. ნადირთ ხელმწიფე ადამიანს საზღვარზე გადაყვანას და ტილებისაგან განთავისუფლებას დაჰპირდა. აუსრულა კიდეც. გუგულების

ქვეყანაში მიიყვანა მინდია. თეთრი გველები აჭამეს იქ ხოგაის ძეს. ტილები დასცვივდა, ლანდიც დაჰკარგა და არაბუნებრივი სიბრძნეც შეიძინა (ლანდის დაკარგვა უკვდავებას ნიშნავს. ეს მოტივი ვაჟას არა აქვს, მაგრამ იგი იგულისხმება, რაკი მინდიას შუაზე გაკვეთილის განკურნებაც შეუძლია). შინმოზრუნებულ მინდიას ყველასა და ყველაფრის ენა ესმოდა. მას არ უნდოდა არავის სიკვდილი. ჭიანჭველის მოკვლას გაურბოდა და კაცს როგორ გაიმეტებდა. მაგრამ დედა ტრადიციისამებრ მამის სისხლის აღებას ითხოვდა. ხოგაის მინდიაც ვერ აღუდგა წინ საზოგადოების კანონს. ჯიხვიც მოკლა და ქისტების წინააღმდეგ ამხედრებულ თანასოფლელებსაც გაჰყვა. თუმცა კი უნდოდა უსისხლოდ მოეგვარებინა საქმე. თანამებრძოლებს სთხოვა: ორი კაცი გამაყოლებო, აღდიძეს მოვიმხრობ და დილით დოლაის ციხეს ავიღებთო. აღდიძე მინდიას ძმადნაფიცი იყო ქისტეთში. თან მისი ქალი მზისფერი ხადიშათ უყვარდა ხოგაის ძეს. ქისტურ სოფელში მისულ სამ ხევსურს, თოვლიან ღამით, აღდიძის კოშკი შეეშალათ და დოლაის მურყვამს მიადგნენ. სტუმრები დოლაის ქალმა აღაზამ მიიღო. აღაზამ იცნო ისინი. კოშკის ზედა თვალში აიყვანა. ჯერ აქ მოისვენეთ და აღდიძეც მალე მოვაო, მოატყუა ქალმა ხევსურები. ოთახიდან გავიდა და კარები გარედან გადაკეტა. მაშინ მიხვდნენ შეცდომას ხოგაის მინდია და მისი მხლებლები. დოლაის ციხიდან გაპარვა ჯერ დათვიამ სცადა, მერე – კვირიკემ. კვირიკე მოკლეს, დაჭრილმა დათვიამ მაინც მიაღწია სოფლის გარეთ ჩასაფრებულ ხევსურებამდე და ამცნო ყოველივე. დაიწყო ხევსურთა შეტევა.

ციხეში დარჩენილმა ხოგაის მინდიამ ბჭე შიგნიდან გადარაზა. დიდხანს ვერ შეამტვრიეს კარები ქისტებმა. ბოლოს მაინც შელეწეს და ოთახში შეცვივდნენ. პირველად შემოვარდნილ ქისტს ტყვია შეაგება მინდიამ. როცა მოკლულს მუზარადი მოეხადა, ხოგაის ძემ იცნო მზისფერი ხადიშათ. იგი უკუიქცა და, როცა საკუთარ ლანდს მოჰკრა თვალი, სატევარი მარცხენა ძუძუში დაიცა.

„ხოგაის მინდიაში“ „გველის მჭამელისაგან“ ბევრი განსხვავებული მოტივი და ეპიზოდია, მაგრამ ერთნაირია ძირითადი ლაიტმოტივი – გველის ჭამით აბსოლუტური ცოდნის შეძენა, ანუ ბუნების კანონზომიერების დარღვევა. ამის გამო კონფლიქტი საზოგადოებასა და ოჯახთან. წინააღმდეგობის მოუგვარებლობა და მრწამსის ღალატი, რის გამოც პროტაგონისტი თავს იკლავს.

„დორიან გრეის პორტრეტისა“ და „გველის მჭამელის“ შედარებისას სამი გარემოება იპყრობს ყურადღებას.

პირველი: თუ დორიან გრეის სურვილი შეგნებული ამბოხებაა ბუნების კანონზომიერების წინააღმდეგ, მინდიას ჯანყი უნებლიეა (მან ხომ თავის მოკვლის მიზნით ჭამა გველის ხორცი). მაგრამ მათი ცხოვრების დასასრული ერთნაირია. ორივე თვითმკვლევლობით ამთავრებს არსებობას.

მეორე: თუ დორიან გრეი ნარცისიზმით არის დაავადებული, მინდია ალტრუისტია, მხოლოდ სხვათა ბედნიერებისთვის მზრუნველი. მაგრამ, მიუხედავად ამ ძირეული განსხვავებისა, ორივეს ცხოვრება მარცხით მთავრდება.

მესამე: როგორც დორიან გრეი, ისე მინდია ეთიშება საზოგადოებას. ვერც ერთი ვერ ახერხებს მოყვასთან ჰარმონიული კავშირის დამყარებას, თუმცა ერთი ბოროტს ემსახურება, მეორე – კეთილს. ისიც უნდა ითქვას, რომ მინდიას თვითგაუცხოება, თანამედროვე ცნებით თუ ვიტყვით, მიმდინარეობს შესაბამისად ფორმულისა – „სოფელსა შინა იყო და სოფელმან იგი ვერ იცნა“ (იოანეს სახარება, 1, 10). მაგრამ ამ ფორმულის ძირითადი ნაწილი – „სოფელი მის მიერ შეიქმნა“ – მინდიას არ ეხება, რამეთუ ვაჟა-ფშაველა ხატავს არა ღმერთს, არამედ უზენაესს ზიარებულ ადამიანს. ეს მოტივი ოსკარ უაილდს არ აქვს.

როგორც უკვე აღვნიშნე, ამაო ყოფილა უბერებლობისა და უკვდავებისათვის ბრძოლა. აღმოჩნდა, რომ ასეთივე ამოებაა აბსოლუტური ცოდნის მიღწევაც. მაგრამ ადამიანი მაინც არ იშლის თავისას და მაინც იბრძვის ორივესათვის – უკვდავებისათვისაც და აბსოლუტური ცოდნისათვისაც. თუმცა საბოლოო ანგარიშით ორივე წადილი ერთი და იგივეა. თუ ადამიანი უკვდავებას მიაღწევს, აბსოლუტური ცოდნის მფლობელიც გახდება და პირიქით – თუ აბსოლუტურ ცოდნას დაეპატრონება, უკვდავებასაც მოიპოვებს. ასე რომ, მიუხედავად ნარცისიზმისა, დორიან გრეიში არის მინდია, და, მიუხედავად ალტრუიზმისა, მინდიაში ზის დორიან გრეი. მათი ცხოვრების შედეგის ერთნაირობა უპირველესად ამით არის გამოწვეული.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ყველა თავს იკლავს – დორიან გრეიც, „მშვენიერების“ პროტაგონისტიც, მინდიაც, ხოგაის მეც და ქართული ზღაპრის პერსონაჟიც (მართალია, ეს აშკარად არ არის ნათქვამი, მაგრამ, როცა იგი უსიტყვოდ მისცემს მესამე ვაშლს ქალის დედას, ეს სიკვდილის ნებით მიღებაა). ამ მოვლენის აზრობრივი შინაარსის ამოცნობა რომ შევძლოთ, უნდა გავიხსენოთ, რომ უკვდავებისათვის ბრძოლამ, მისი მიღწევის სურვილმა წარმოშვა აღდგომის მითი, კვდომადი და აღორძინებადი ღმერთის იდეა (დიონისე, ოზირისი, ქრისტე). აქედან მომდინარეობს ქართული სიტყვით – გარდაცვალება – გამოხატული აზრიც, სიკვდილის გააზრება არა როგორც გაქრობა-არარსებობა, არამედ, როგორც ყოფნის სახეცვლილება. ამდენად სიბერის ან სიკვდილის წინააღმდეგ ამხედრება არა მარტო ბუნების კანონზომიერების დარღვევაა, არამედ აღდგომის იდეის უარყოფაც. რამეთუ უკვდავება კვდომად აღორძინებისაგან შედგება. ნებაყოფლობით სიკვდილის მოტივი ქრისტეს მითშიც არის. როცა იესო ჯვარს გააკრეს, ირგვლივ თავშეყრილი ბრბო დასცინოდა – თუ ქრისტეა, ღმერთის რჩეული, და სხვების ცხონება შეუძლია, გადაირჩინოს თავი. მაგრამ იესომ ყურად არ იღო ბრბოს მოთხოვნა. მან მხოლოდ უფალს მიმართა თხოვნით – გამიხსენე, როცა შენი სუფევით მოხვალო – და სიკვდილი ნებით მიიღო. ეს აუცილებელი იყო. აღსრულდა ფორმულა – სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი.

ამიტომ, როცა დორიან გრეი, მზექაბუკი, მინდია, ხოგაის ძე და ქართული ზღაპრის პერსონაჟი თვითმკვლელობით ამთავრებენ ცხოვრებას, ისინი ბუნების კანონზომიერებასაც აღიარებენ და აღდგომის იდეასაც. ეგუებიან დამარცხებას და უბრუნდებიან იმ სამყაროს, რომელსაც გაურბოდნენ. ისინი ამით

მორჩილებას აცხადებენ, მაგრამ მკითხველი მაინც არის მათით მოხიბლული და მაინც მოსწონს მათი ჯანყი. არც მომავალში შეწყდება ამგვარი ამბოხება და ბუნების კანონზომიერების დარღვევა. ამიტომ არის ეს საკითხი მწერლობის მუდმივი პრობლემა. მაგრამ სად პოულობს დამარცხებული ადამიანი ხელახალი ბრძოლისათვის ძალას? საკუთარ თვისება-ბუნებაში.

როცა ბიბლიური თქმულება გვიამბობს, რომ ღმერთმა ადამიანი თიხისაგან (მიწისაგან) გამოძერწაო, აქ იგავური ენით მეცნიერული ცოდნის გარკვეული დონეა გამოვლენილი, მართლაც, დღეს მეცნიერება უდავოდ აღიარებს, რომ ადამიანის სხეულში არის ჟანგბადი, ნახშირბადი, წყალბადი, აზოტი, კალიუმი, ფოსფორი, გოგირდი, ნატრიუმი, მაგნიუმი, რკინა, იოდი, ქლორი, მარგანეცი და ა.შ. ეს ის ელემენტებია, რომელიც მიწაში მოიპოვება. გამოდის, რომ მართლაც ადამიანი მიწისაგან არის მოხეული (დააკვირდით თქმას – მიწა ხარ და მიწად იქეც). ამიტომ ისიც ბუნებრივია, რომ მიწა ადამიანს ვალს სთხოვს და კაციც ვერ გაქცევია მას. მაგრამ ბიბლიურ თქმულებაში, ისევე იგავური ენით, მეცნიერული ცოდნის სხვა დონეც არის გამოჩვენებული. მიწისაგან გამოძერწილ ადამიანს ღმერთმა ზეციერი სული შთაბერა. დღევანდელი მეცნიერება ამასაც ადასტურებს (მართალია, არაერთხმად, მაგრამ ბევრი აღიარებს), რომ ადამიანის ცნობიერება სცილდება მეცნიერების საზღვრებს და შეუძლებელია მისი ახსნა ფიზიკო-ქიმიური პროცესებით. მაშასადამე, ადამიანში არის ორი საწყისი – ბუნებისეული და მეტაბუნებისეული. ადამიანის მეტაბუნებისეული საწყისია ის, რაც ბუნებისეულ კანონზომიერებას ებრძვის. ამიტომ გვიბლავს ჩვენ მინდიასა თუ დორიან გრეის მეტაბუნებისეული საწყისი, რომელიც ერკინება ბუნების კანონზომიერებას. თუმცა მათი ბრძოლა არა მარტო გარემომცველ სამყაროსთან მიმდინარეობს, არამედ საკუთარ გაორებულ მესთანაც. თუ საზოგადოება ასე თუ ისე წვდება ბუნების კანონზომიერებას, მისთვის სრულიად უცნობია მეტაბუნების კანონზომიერება. ამიტომ ვერ უგებს საზოგადოება იმ ადამიანს, ვინც თუნდაც გუმანით იგრძნო მეტაბუნების კანონზომიერება. როცა დადგება დრო და საზოგადოება მეტაბუნების კანონზომიერების ცოდნას მეტნაკლებად შეიძენს, მაშინ მინდიას, დორიან გრეის და მათ მსგავსთა ცხოვრება მარცხით აღარ დამთავრდება. ისიც უნდა ვიფიქროთ, რომ, თუ ბუნების კანონზომიერების შეცნობა და მიღება ადამიანს იმედით აღავსებს (ვაჟას – „ღმერთმა გიშველოს სიკვდილო...“), კიდევ მეტი ოპტიმიზმის საფუძველი გახდება მეტაბუნების კანონზომიერების შეცნობა-მიღება და გალაკტიონის შეძახილი – „ნუ კვდება, რაც უბრძნესია, ნუ კვდება, რაც ლამაზია“ – აღარ იქნება სასოწარკვეთილი ადამიანის აუხდენელი ოცნება.

1981 წ.

ვაჟას მრწამსი

მას მერე, რაც ვაჟას შემოქმედების კვლევა დაიწყო, რაგინდარა იზმი არ მიუწერიათ მისთვის – ჰილოძოიზმი, პანთეიზმი, პაგანიზმი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ათეიზმიც¹ კი. ისე გულახდილად რომ ვთქვათ, არც იყო ეს მოულოდნელი. იმ უცნაურ სამყაროში, ვაჟა-ფშაველამ რომ შექმნა, თავისუფლად იპოვნით საკვებს ყოველგვარი – იზმისათვის. პოეტის უკიდევანო ფანტაზია და ნიჭი თანაბარი ძალით ჭვრეტდა და გრძნობდა სულიერსა და უსულოს, ხორციელსა და უხორცოს, რეალურსა და ირეალურს, მიწიერსა და ზეციერს. ტყუილად ხომ არ ამბობდა კვებნანარევი სიამაყით:

*უსულო საგნებს სული ჩავბერე,
ავასაუბრე ლოდები კლდისა
და როგორც მეფე, გავათამამე
მწირი ბალახი, ის ქუჩი მთისა.
მადლი მფენია მარჯვენაზედა
იმ შემომქმედის, მაღალის ღვთისა!
/„ნუგეში მგოსნისა“)*

უკვე გამოჩნდა ვაჟას შეხედულების ორი მხარე: პირველი ის, რომ მიწიერი შემოქმედი, ანუ პოეტი, ზეციერი შემოქმედის, ანუ ღმერთის, წილნაყარია და მეორე – პოეტს ისევე ძალუმს უსულო საგნებს სული შთაბეროს, როგორც უზენაესს. პოეტის ღმერთთან ურთიერთობაზე ვაჟა ხშირად ლაპარაკობს.

*მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდევ
თვალთ წინ მეფინა ქვეყანა,
გულზე მესვენა მზე-მთვარე
ვლაპარაკობდი ღმერთთანა.
/„მთას ვიყავ“)*

ხოლო მოპაექრეებს, რომელთაც უჭირდათ მისი შემოქმედების არსის გაგება და მუნათს რასმეს სდებდნენ პოეტს, ვაჟა სრულიად დარწმუნებული პასუხობდა: „მაგრამ გაიგებთ, ერთხელაც, ვინ ახლოს ვდგავართ ღმერთთანა“ („მე რო ტირილი მეწადოს“). რაკი ორივე შემოქმედს, მიწიერსა და ზეციერს შორის მჭიდრო, უწყვეტი კავშირია, სრულებით არ არის მოულოდნელი, რომ მის მიერ შექმნილ პერსონაჟებს ვაჟა ისეთსავე რეალურ არსებებად მიიჩნევდა, როგორც ირგვლივ მყოფ ცოცხალ ადამიანებს. ამიტომ გამოგონილ პროტაგონისტებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას ავალეზდა. სასოწარკვეთის წუთებში, როცა ეჩვენებოდა, რომ ყურს არავინ უგდებდა და ამაოდ ააჟღერა ჩანგი, გაბრაზებული მიმართავდა საკუთარსავე პერსონაჟებს:

*თავში ვცემ გუშინდელს სატრფოს:
მთასა, წყაროს და იასა,
ალუდას, ზვიადაურსა,*

*ლელას, შუბითა აღჭურვილს,
კვირიას – კონკებიანსა,
ვემ და დავყვირი: „მე ჩემი
ყოველივე ვსთქვი სათქმელი;
ხმა ამოიღეთ, თქვენცა სთქვით,
მე დავიყბედე რამდენი.
თქვენ გაანათეთ სამყარო,
მე რომ გამიქრა სანთელი!*

/„სიმღერა“. ვაჟას ბევრი ლექსი აქვს სახელწოდებით „სიმღერა“. ეს იწყება სიტყვებით: „მე ჩონგურს აღარ ვაჟღერებ“).

ვაჟა თავისუფალია გარემომცველ სამყაროსადმი დამოკიდებულებაში. იგი ყველაფერს, როგორც მის საკუთრებას უყურებს. როგორც ღმერთს ეკუთვნის ყველაფერი, რაც არსებობს (მისი შექმნილია და იმიტომ), ასევე ეკუთვნის პოეტსაც (მასაც შემოქმედის უფლებით).

მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა:

*მთაში – მთა; ბარად – ბარია,
ზღვა და ხმელეთი ერთიან,
ცას – ვარსკვლავების ჯარია,
დილით მზე მანათობელი,
ღამის გუშავი მთვარია,*

/„სიმღერა“. იწყება სტრიქონით – „არცრა ტანთ მცვია...“)

თუკი ყველაფერი, მთელი ქვეყანა, პოეტის კუთვნილებაა, თუკი ნამდვილსა და გამოგონილს შორის არავითარი განსხვავება არ არის, მაშინ ისეთ პერსონაჟს, როგორც მინდიაა, ისევე თავისუფლად შეეძლო ეცხოვრა რეალურ სინამდვილეში, როგორც პოეტის ცნობიერებაში არსებობდა. ვაჟას ეს არც ექვევება, ოღონდ ადამიანი ფერისცვალების გზით უნდა მივიდეს მინდიას დონემდე (თუმცა მერე არც დაცემაა გამორიცხული). რომ წარმოვიდგინოთ, როგორ ხდება ეს, თვალი უნდა გავადევნოთ და დავაკვირდეთ ადამიანის კონცეფციას ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში.

ეს კონცეფცია ძნელი მისაგნები არ არის, რამეთუ ვაჟა ამაზე ხშირად და აშკარად ლაპარაკობს. დავიწყოთ ლექსით „ადამიანი“.

ზღვის პირად მდგარი ქალი სასოწარკვეთილი ჰკივის. აკვნიანად წაუღია ზღვას მისი ჩვილი. ცასა და მიწას მოუხმობს დედა მშველელად. ვიღაც თავგანწირული ტალღებში გადაეშვება. სტიქიონს ბავშვს გამოსტაცებს და დედას მიუყვანს. მაღლიერი დედა ხელფებს უკოცნის უცნობს და აღარ იცის, რით გადაუხადოს ამაგი, როგორ დააფასოს მისი ვაჟკაცობა და თავგამეტება. პასუხად ჩვილის გადამრჩენელი დედას ეუბნება:

ასწავლე მოყვასის შველა,

*როს სჭირდეს რამე სენია;
რჩევა მოყვასთა საშველად
ხშირ-ხშირად მიუძღვენია;
კეთილის ჩასაგონებლად
შენამც ნუ მოგიწყენია.
მხოლოდ ამით მცემთ პატივსა,
ჩემთვის ეს დიდი ძღვენია!*

ვაჟა აქ ზუსტად იმეორებს იმას, რასაც ქრისტიანული ზნეობა ქადაგებს: შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი (მეათე, XIX, 19). მაგრამ ამ იდეალის განხორციელებას ხელს უშლის ორი საწყისის – კაცისა და არაკაცის – არსებობა ადამიანში. ორივე საწყისს ვაჟა მკაფიოდ ახასიათებს ლექსში „კაი ყმა“, როცა სვამს კითხვას – „კარგ ყმად ვინა ვსთქვათ ვოჟებო, ნათქვამი არა გვრცხვენოდეს...“

კაცი უნდა იყოს
მეომარი, „პირველად ომის დამწყები, ბრძოლის ველს ბოლოს სწირავდეს“;

ბრძენი მრჩეველი, „სწორს ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს, ცდუნება არა სძირავდეს“;

სიმართლის მცველი, „იქ იდგეს ხმალამოწვდილი, საც ძალა აღმართს ჰკვალავდეს, გაბეჩავებულ სიმართლეს, უსამართლობა სძალავდეს“;

ნუგეშისმცემელი, „სიცხეში სიოდ დაჰბეროს, დაეთბოს, როცა ჰყინავდეს“;

უშიშარი და შეუდრეკელი, „თავზარსა სცემდეს სიკვდილსა, ედ ქორებულად ფრინავდეს“;

უანგარო, უხარბო, სახელის პატივისმცემელი და დამფასებელი, „სჯობ, მოკვდეს მშიერ-ტიტველი, კვდებოდეს, არა გმინავდეს; თავის სამარხად, სუდრადა, მარტო სახელსა სწირავდეს“.

სწორედ ამ კაცებრივ საწყისს უპირისპირდება და ებრძვის არა კაცებრივი საწყისი, რომელიც ვაჟასავე დახასიათებით ამგვარია:

*არა, თქვენ სადიაცენო,
რო ძროხებზევით სძლებითა;
ღამე მამღმრები დასწვებით,
დილით მშვივრები სდგებითა;
თავის ჯამს ჩასცქერთ, საქვეყნოდ
არც როს არ გამოსდგებითა.
თავისად სცოცხლობთ, მცონარედ
ლეში ალალოთ, ჰკვებდითა;
გაიგებთ კარგის გარჯასა,*

*გწყინსთ და შურით ხდებითა;
უქმად ჩაჰმალავთ სიცოცხლეს,
უქმად საფლავში სწვებითა.
დაჰკარგავთ სააქაოსა,
ვერც საიქიოს სწვდებითა,
არ იცით, დასჩნდით რისადა,
არ რისათვისა ჰკვდებითა!*

აქაც ქრისტიანული კონცეფციის შესაბამისად (ქრისტე და ანტიქრისტე) დაპირისპირებულია ორი ხატი – კაცი და არაკაცი. კაცებრივია ის, რაც ქრისტესეულია, არაკაცებრივია ის, რაც ანტიქრისტესეულია.

კაცისა და არაკაცის დაპირისპირება ვაჟას შემოქმედებაში ხშირად მეორდება. „კაი ყმაში“ გამოთქმულ აზრს ზუსტად ეხმიანება ის, რასაც ამბობს ლექსში – „ის კი არ არი ბიჭობა“. ბიჭი მაშინ ხარ, თუ სხვის დაუხმარებლად ვარგობ. როცა გშია და გწყურია, გული არ გაგიტყდება და მაინც გალობ. არ ყოყოჩობ და სხვაზე მეტად თავი არ მოგაქვს და, რაც მთავარია,

*არც ის მგონია ბიჭობა,
ვისაც ერევი, არჩობდე.
ბიჭს მაშინ დაგიძახებდი,
რომ სხვის დამრჩვალსა სწამლობდე.
მითხარ ვის უთქვამ ბიჭობად,
დამჩაგვრელებსა სწყალობდე?
აბა, ბიჭობა ის არი,*

დაჩაგრულთათვის სწვალობდე.

ამის სრული ანტიპოდია ის ხატი, რომელიც აღწერილია სატირულ ლექსში – „ვინ არის კაცი?“ ვაჟა მწარე ირონიით ამბობს, რომ „კაცი“ ის არის, ვინც მთელი ცხოვრება ჭამაში გაატარა და არსებობის დანიშნულება ამაში ჰპოვა. ვინც ქუჩაში შეხვედრისას სალამს არ მოგცემს, მაგრამ შინ თუ მიიპატიჟე სადილად, მაშინვე გამოგეკიდება. სიტყვით შენია, მაგრამ საქმით სხვისი. ვისი ოცნება ღვინო და სამიკიტნოა. ვისაც წიგნისათვის შაური ენანება, მაგრამ მუარღნისათვის მანეთს არ იშურებს. და ბოლოს, დასკვნა:

*კაცი ის არი, სიცოცხლე
ვინაც ატარა ტკბილადა, –
სიკვდილის შემდეგ იწოდა
დიდყურიანის შვილადა.*

არაკაცის ხატი სრული არ იქნებოდა, თუ არ მივუთითებდით მის კიდევ ერთ დამახასიათებელ ნიშანს: იგი სინდის-ნამუსისაგან გარეცხილია. თუ შეა-

წუხებს სინდისის ქენჯნა, შავ საქმეს ვერ გააკეთებს, ამიტომ ყოველი საშუალებით, რითაც შეუძლია, ნამუსს თავიდან იშორებს.

*მე ვუპასუხე: „გაჩუმდი,
გრცხვენოდეს საწყლის ღლეტაო,
ულუკმაპუროდ გასწირე
ოთხის წვრილშვილის დედაო!“
ადგა, წამიგდო წიხლს ქვეშა,
ჩამარტყა ზედი-ზედაო:
„ჩემთან მაგგვარად საუბარს,
შე წუწკო, როგორ ჰბედაო?!“
რამდენს სხვას ვუთხარ, ვინ მოსთვლის,
როგორ გაჰყიდე დედაო!...
სუყველამ წიხლით გამთელა, –
მაგას როგორა ჰბედაო?!
/„სვინდისის სიმღერა“)*

არაკაცის საპირისპიროდ (ისევ დაპირისპირება, ისევ ანტიდამოკიდებულება, ისევ ბრძოლა, ისევ ქმედება) მაშინვე ჩნდება კაცის იდეალი, რომელიც ითხოვს ბილწისა და ავის ჩამოშორებას, ანუ ნამუსიანობას, სინდისიერებას.

*რაც უნდა ჭირი მოკერძო,
ბილწით არ შევეკვრი ზავითა,
მცნებას ვერ შემაცვლევინებ
მოზღვავებულის ავითა!..
/„დამსეტყვე, ცაო“)*

არაკაცის დახასიათებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უქმობასა და უმოქმედობას (პირდაპირი კავშირია ლუარსაზ თათქარიძესთან). უქმობისა და უმოქმედობის ანტიცნებაა მეომრობა. მეომარი ვაჟას ლექსიკაში არ ნიშნავს მხოლოდ იარაღით მებრძოლეს, მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა მეომრის გარეგნულ ატრიბუტებსაც დიდად აფასებდა – „კაცისად იარაღისა აყრა სიკვდილთან სწორია“ („გოგოთურ და აფშინა“) – და თავადაც უყვარდა საჭურველის ტარება. მეომარს ვაჟასთან სხვა შინაარსიც აქვს. იგი გულისხმობს მოქმედსაც, შემოქმედსაც. „ვისაც რომ ქვეყანა უყვარს, სიცოცხლე მისთვის ომია!“ („ხმა მესმის...“). მეომარია იგი, ვინც ახლის შესაქმნელად იბრძვის, ვინც დამყაყებულ სინამდვილეს ანგრევს. მეომრისათვის მთავარია ქმნა. ამიტომ ადამიანის ვაჟასეულ კონცეფციაში შრომას, რაკი იგი ქმნაა, გამორჩეული ადგილი უჭირავს. შრომა საამაყო. იგი ღმრთის საამო საქმეა.

ღმერთმა დამზადა მუშადა,

*იმან მიკურთხა მარჯვენა,
უნდა ვხნა, ვთესო, ვიმრომო
და გამოვკვებო ქვეყანა.
/„გლეხის სიმღერა“)*

შრომა ამკვიდრებს ადამიანის სულში ჰარმონიას, სიმშვიდეს, იმედს. იგი უზენაესთან კავშირის გზაც არის, „რადგან, როგორც სხეულია მკვდარი სულის გარეშე, ასევე რწმენაა მკვდარი საქმეთა გარეშე“ (იაკობის ეპისტოლე, ||, 26). ადამიანის მუშა მარჯვენა და უფლის წყალობა აგვირგვინებს შრომას.

*გლეხის მარჯვენის ნაღვაწო
და გლეხის ოფლით მორწყულო,
ჯეჯილო ნაჭარმაგეო,
უფლის წყალობით მოსულო.
/„ჯეჯილი“)*

შრომა უშუალოდ უკავშირდება სამშობლოს სიყვარულს. ვაჟასათვის სამშობლოს სიყვარული სიტყვით არ შეიძლება: „დაგვეხმო ყურთა სმენანი: სისხლის დაღვრასთან სწორად გვჩანს ქალაქს ნათითხნი მელანი“ („1795 წლის სახსოვრად“). იგი შეიძლება ოდენ შრომით, მამულის საკეთილდღეოდ – „გაკეთებულის საქმითა მეც გამილადდეს თვალია“ („გუთნისდედის სიმღერა“) და ბრძოლით ქვეყნის თავისუფლებისათვის – „არ გვეშველება, თუ ერთ დროს სისხლად არ იქეც, მელანო!“ („საახალწლო“).

სამშობლოს სიყვარულშიც უპირისპირდება კაცს არაკაცი. რასაც კაცი ჰქმნის, არაკაცი იმის დანგრევას ცდილობს. თუ კაცი სამშობლოს ჯარისკაცად დგას – „ვერ მივცემ მტერსა მამულსა საჯიჯგნად, დასაზიანად“, („დამსეტყვე, ცაო“). არაკაცი „გადაამტერებს ერთმანეთს ქართლსა, იმერეთს, კახეთსა, საკუთარს ანბანს შეუდგენს სამეგრელოს და სვანეთსა“ („ვინ არის კაცი?“).

ვაჟას შემოქმედებაში სამშობლოს სიყვარული ნაწილია ღმერთის სიყვარულის. აგაპე იმისათვის არის სრული, „ვინაც თავისი სამშობლო თვით ღმერთზე მეტად იწამა“ („ილიას საღამო“).

გველსაც კი, „ბევრის ცოდვების მოქმედსა გადაუბრუნდა გუნება“, როცა სამშობლოს თავისუფლებისათვის მეზრძოლი ლუხუმი ნახა სასიკვდილოდ დაჭრილი, უმკურნალა და ფეხზე წამოაყენა.

„ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ და კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოს, მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარყოს თავისი თავი. ყველა ერთ თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თვითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარს ძალ-

ლონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა“ („კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“).

კაცი და არაკაცი სულიერი გარდაქმნა-ამაღლების, ანუ ფერისცვალების, ასპარეზზეც ებრძვიან ერთმანეთს. ვისაც ღმერთთან მიახლოვება სურს მან სულიერი სრულყოფით უნდა დაჰკმოს ხორცის მანკიერებანი.

*ხორცო, დაჰნელდი, დამჰლევიდი,
სულო, იხარე, ჰლაღობდე,
ღმერთმა დამკარგოს, თუ ამას
სიტყვის შნოსათვის ვამბობდე.
ხორცი რას მიშველს მარტოკა,
თუ სულით არა ვგალობდე.*

*სულო, აჰყვავდი, ამაღლდი,
დაე ლეშითა ვსწვალობდე!
/„ხორცი, დაჰზნელდი“)*

ფერისცვალებასაც ქმნა უნდა. მაგრამ ქმნა შეიძლება ღმერთის სახელითაც და სატანის სახელითაც. განსხვავება, რომელიც ამ ორ ქმნას შორის არის, ვლინდება გოგოთურისა და აფშინას ურთიერთობით. ხორციელად ისინი დიდად არ სხვაობენ ერთმანეთისაგან. ერთიც ვაჟკაცია და მეორეც. მაგრამ სულიერად შორიშორს დგანან. გოგოთური მოქმედებს ღმერთის სახელით, აფშინა – სატანისა. აფშინასათვის სულერთია ვის ძარცვავს – მდიდარს თუ ღარიბს. ეს კი ყველაზე მძიმე დანაშაულია. როგორც მთელი ჩვენი ხალხის აზრით – „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა?“ („არსენას ლექსი“ – , ისე ვაჟას შეხედულებით – „კაცი ბეჩავის მჩაგრავი სად გაგონილა გმირიო!“ – , ამბობს იგი ერთ უსათაურო ლექსში, რომელიც იწყება სიტყვებით – „მუტრუკი მიტომ მუტრუკობს...“ აფშინამ გოგოთურის წახდენა და დამცირება მოინდომა, მაგრამ მარცხი იწვნია. გოგოთურმა სულდიდობა გამოიჩინა. არ შეურაცხჰყო აფშინას ღირსება. პირიქით, ერთად პურიც ჭამეს და ღვინოცა სვეს. ცხენ-იარაღიც არ წაართვა. ძმებადაც შეიფიცნენ. გოგოთურის სულდიდობამ აფშინას სამშვინველი შეარყია. იგი მიხვდა თავის არაკაცობას და აფშინაში ფერისცვალება მოხდა. იგი მძიმედ განიცდის წარსულს.

*ამბობენ, ქვითინი მოდის
დამ-დამ ბლოს თავით კაცისა:
„ვაჰ, მკვდარო ვაჟკაცობაო,
ცოცხლად დამარხვავ თავისა!
/„გოგოთურ და აფშინა“)*

ვაჟას ძირითადი თხზულებების თითქმის ყველა პერსონაჟი განიცდის ფერისცვალებას.

ალუდა ქეთელაურის ფერისცვალება იწყება მაშინ, როცა მუცალის ვაჟკაცობა იხილა და გადაწყვიტა ხელი აღარ მოეჭრა მისთვის, თუმცა ამით თემის წესს არღვევდა და სოფელს ემიჯნებოდა.

ჯოჯოლას და ალაზას ფერისცვალება იწყება მაშინ, როცა სოფელმა სტუმარ-მასპინძლობის წმიდათა წმიდა კანონი დაარღვია და ზვიადაური დასასჯელად წაიყვანეს.

მინდიას ფერისცვალება იწყება მაშინ, როცა გველის ხორცი ჭამა და არაადამიანური სიბრძნე შეიძინა.

ვაჟასთან, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, ფერისცვალების საფუძველი დიდი სულიერი შერყევია, როცა ამოქმედდება ზეცნობიერი. ადამიანის გონებას სამი ასპექტი აქვს – ქვეცნობიერი, ცნობიერი და ზეცნობიერი (სარვაპალი რადჰაკრიშნანი). ზეცნობიერი ვაჟასთან სხვადასხვაგვარად ვლინდება. გამოვლენის ერთ-ერთი გზაა სიზმარიც. სიზმარში ვაჟას პერსონაჟები ხედავენ იმას, რაც უნდა მოხდეს. გავიხსენოთ უმთავრესი ნიმუშები.

როგორც კვირიას დაესიზმრება, სწორედ ისე მოხდება („ბახტრიონი“).

სიზმარში კვირიამ ტრიალი მინდორი იხილა. ცხენზე იჯდა და მიჰქროდა. ფრანგულის ტარზე სამი სანთელი ენთო. ფარზე ციური შუქი იყო ჯვრად გამოსახული. გაიხედა და დაინახა: ყვავილებით მოჩითულ ველზე ვეშაპი მოცურავდა. კვირიამ თავი გაუპო ვეშაპს, მაგრამ ურჩხულმა მაინც მოახერხა სისხლი შეენტხია მისთვის სახეზე. ცხენიც წაექცა კვირიას და თვითონაც მიწაზე დაეცა.

კვირიას სიზმრის აზრს მარტო ლუხუმი მიხვდა („ეწყინა ლუხუმს სიზმარი, ცრემლები მოსდის წყვილადა“), რადგან მასში ზეცნობიერი მოქმედებს.

მართლაც ახდება სიზმარი. ქართველებმა ბახტრიონის ბრძოლაში გაიმარჯვეს (ვეშაპს თავი გაუპეს. ცოტა მოგვიანებით აკაკის „ბაში-აჩუკშიც“ გამოჩნდება ვეშაპი. იქაც სიზმარში ვეშაპს ნახულობს მოძღვარი. გველეშაპი ალავერდის მონასტერს შემოხვეოდა სამკეცად), მაგრამ ომში კვირია დაიღუპა (ვეშაპმა სისხლი შეანთხია). აყვავებული მინდორი, სამი სანთელი და ჯვარი გამარჯვების სიმბოლოებია.

„გველისმჭამელშიც“ ისე მოხდება, როგორც მზიას დაესიზმრება.

უზარმაზარი ნიაღვრის მოვარდნა ნახა მზიამ სიზმარში. „თან მარღვევდნენ მთა-ბარსა, იდგა დგანდგარი, ღრიალი“. ილეწებოდნენ კლდეები. კუპრით შავ ცას ცეცხლის წვეთები სცვივოდა. ირღვევოდა ქავ-ციხეები. ხალხი შველას ითხოვდა. არავინ იყო გამკითხავი. ბოლოს მინდიას კარ-მიდამოსაც მოაწყდა ღვარცოფი. ციხეს ლიბო მოგლიჯა და სისხლი ჭერხოთურთ წაიღო. მზია ბალღებს გულში იკრავდა. მათი გადარჩენა უნდოდა, მაგრამ ხელი ჰკრეს და წყალში ჩააგდეს. ამ დროს ნიაღვარმა მინდიაც ჩამოატარა. იგი მზიას პატიებას ევედრებოდა.

ეს სიზმარი ზუსტი სურათია იმისა, რაც მერე მოხდება. სიბრძნე დაკარგული მინდია ჯარს ველარ უწინამძღვრებს. ქართველები დამარცხდებიან. მტერი ყველაფერს მიწასთან გაასწორებს. მინდია თავს მოიკლავს.

ალუდაც თავზარდამცემ სიზმარს ნახავს („ალუდა ქეთელაური“): ნატყვი-არ მკერდში ბრძამჩაფენილი მუცალი ეწვევა. სიკვდილი მინდა და არ ვკვდები, მომკალიო. – ევედრება. მერე ვიღაცამ ალუდას წინ წვნიანი ჯამი დაუდგა, კაცის თავ-ფეხით სავსე. თან აძალეზდა, ჭამეო. დასცინოდა კიდეც: „კიდეც მიმირთვით ალუდას წვენი-ხორცი გაცხელებული“.

მერე ეს სიზმარი ალუდას დასჯითა და მოკვეთით გაცხადდება. ალუდა და მისი სახლობა იძულებულია თოვლიან ქარბუქში, საქონელ-საყოლეი, ეზო-კარი მიატოვონ და გადაიხვეწონ. „ავაჰმე, ჩვენო სახ-კარო. ქვა-ქვაზე აღარ დგებო. ციხეზე, ჭერხოს ბოძებზე ეხლა ყოვები სხდებო“.

ზეცნობიერი ხილვით ადამიანი უახლოვდება ღმერთს. ხდება ისე, როგორც ვაჟა ამბობს, – „უფლისა მსგავსად იქცევა, მით უფალს გაუჩენია“ („გამამერია ჭადარა“) –, და რასაც ითხოვს მახარებელი – „იყავით სრულყოფილნი ისევე, როგორც თქვენი ზეციერი მამაა სრულყოფილი“ (მათე, VI, 48). მაგრამ ადამიანი ამ პროცესს მარტო ვერ აღასრულებს, იგი არსებობს ოჯახში, საზოგადოებაში, ბუნებაში.

ტრაგიკულია პიროვნებისა და ოჯახის ურთიერთობა „გველის მჭამელში“. მზიამ და მინდიამ ვერ გაუგეს ერთმანეთს. ეს გაუგებრობა მათი შეგნების ძირეული განსხვავების საფუძველზე იშვა. მინდია უზენაესი სიბრძნის მფლობელი გახდა. მან ბუნების ენა ისწავლა: „რაც კი რამ დაუბადია უფალს სულიერ-უსულო, ყველასაც თურმე ენა აქვს, არა ყოფილა ურჯულო“ (კავშირი ნ.ბარათაშვილთან: „მრწამს რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის, და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის“). ყველა ხედავს მინდიას უსაზღვრო სიბრძნეს, – „ჩვენა გვწამ, შენაც ხომ იცი, რომ ჰლაპარაკობ ღმერთთანა“. ყველა უზომო მოკრძალებითა და პატივისცემით არის მის მიმართ გამსჭვალული, მაგრამ გველისმჭამელის არ ესმის არც ოჯახს, არც სოფელს, ვერ გაურკვევიათ, თუ მინდია მტერს დაუზოგავად ხოცავს („მტრისას, ხმლით ნაჭერს, მინახავს მინდია სდგამდეს გორასა“), მაშინ რატომღა არ უნდა მოჭრან ხეები, არ ჭამონ ჯიხვისა თუ შვლის ხორცი? ამ კითხვას ვერ უპასუხებს ვერც სოფელი და ვერც მინდიას ცოლი მზია. რამეთუ მათ არ გააჩნიათ მინდიას ცოდნა. ამ ცოდნის თვინიერ კი დამაჯერებელი პასუხის გაცემა შეუძლებელია. ვერც პოემის მკითხველი უპასუხებს ამ კითხვას. არც მას აქვს მინდიას ცოდნა. ჩვენ ემოციურად გვზიზლავს მინდიას პიროვნება, გვაჯადოებს იგი, მაგრამ მისი გაგება, მისი წვდომა ჩვენთვის ისევე მიუღწეველია, როგორც მზიასთვის... ამიტომ ნაირნაირი ვარაუდების იქით ვერ მივდივართ. მართალია, როცა დაგვჭირდება წამდაუწუმ ვახსენებთ მინდიას, როცა მოგვეხალისება ყველა მეყვავილესა და მწყემს მინდიას ვეძახით, მაგრამ გველისმჭამელის პიროვნების არსი ვერ ამოგვიცვნია. ისე ვიქცევით, როგორც პოემაშია ნათქვამი:

*მაგრამ ნაგრძნობსა გულითა
გონებით ჰშველენ ვერასა:
ბალახსაც სთიბენ, ნადირს ჰკვლენ,
შეშით ანთებენ კერასა,
ქათმის ხორცს რა შეაძულეფს,
თქვენვე მითხარით, მელასა?!*

ამ შვიდი ბეჭდით დაბეჭდულ საიდუმლოში მხოლოდ ერთია ნათელი. თავის პოზიციის კუთხით მზია ისევე მართალია, როგორც მინდია. თუ მინდია თავის ღვთაებრივ სიბრძნეს უფროთხილდება და ეშინია მისი დაკარგვა, ასევე უფროთხილდება მზია ოჯახს, შვილებს და ეშინია მათი დამშევის. მზია რომ მართალი არ იყოს, მაშინ მინდიასა და ოჯახის კონფლიქტი არ იქნება მწვავე და ტრაგიკული. არც ვაჟა მიაქცევდა მას საგანგებო ყურადღებას. არც გოგოთურის საქციელი მოსწონს ცოლს.

*– რად გინდა დიდი სხეული,
თუკი ზღრუბლს არ გასცილდები,
როგორც სახადით სნეული?!*

*. . .
წადი, შენც ვინმე გაცარცვე,
არ გინდა სარჩო ნეტარა?
ქისტებს თავები გაჰბალთე,
ხევსურთ დაადევ ბეგარა.
ამბობენ, აფშინაის ცხენს
ტანი სრულ ვერცხლით ეფარა.*

აი, ეს ავკაცობისაკენ მოწოდებაა. არაფერი ამდაგვარი მზიას მინდიას-თვის არ უთქვამს. მზია გულწრფელი და მართალია, როცა ამბობს – „ის ცოდვა რად უნდა იყოს, ფიქრი რო მივეც გარჯისა“. ამდენად, მზია არ იმსახურებს იმ საყვედურს, რასაც გაბრაზებული მინდია მიახლის „ცხოვრების მაგალითადა ბრიყვები დამისახოდი“. არაკაცს ცხოვრების მაგალითად გოგოთურს უსახავს ცოლი. ამიტომ არ აქცევს მას ყურადღებას გოგოთური). „– რასაც შენა მთხოვ, იმისა, წავალ, ვიქნები მქნელიო. მოყვრებში გამაემართა ამის დაცანვით (ხაზი ჩემია – ა.ბ.) მთქმელიო“. მაგრამ მინდია მზიას ნათქვამს არ უყურებს დაცინვით. ის ხედავს რაღაც სიმართლეს ცოლის მოთხოვნაში. ამის გამოც დაარღვია აღთქმა, რაც საბედისწერო გახდა მისთვის.

თუ მინდიასა და მზიას პოზიციებს შევადარებთ ერთმანეთს, მივიღებთ ორ სიმართლეს: მიწიერ სიმართლეს, რომელსაც ადამიანის ჩვეულებრივი ცნობიერება ხედავს, და ზეციერ სიმართლეს, რომელსაც მხოლოდ ზეცნობიერება წვდება.

ამდენად მზიასა და მინდიას დაპირისპირებაში არ არის ბოროტისა და კეთილის კონფლიქტი. ეს არის ორი სიმართლის კონფლიქტი.

ვაჟას შემოქმედებაში ქალი შარავანდედით არის მოსილი და ეს დამოკიდებულებაც კი გამორიცხავს იმას, რომ მზია განასახიერებდეს ბოროტს, რომელმაც კეთილი უნდა აცდუნოს. საერთოდ, ისეთი ირონიული დამოკიდებულება ქალისადმი, რაც მჟღავნდება გოგოთურის ცოლის მიმართ, ძალიან იშვიათია ვაჟას პოეზიაში. თავი რომ დავანებოთ ლელასა და ალაზას, ვაჟასთვის ქალი ოდენ ალტაცების საგანია.

*თქვენ რომ არ გვევანდეთ, ქალებო,
რა იქნებოდა ქვეყანა?
ვისაც არ უნდა, ისა სთქვას,
მე კი გადარებთ მზესთანა.
/„ქალებს“)*

თუ ვაჟას შემოქმედებაში რაიმე საყვედური შეგხვდებათ ქალის მიმართ, ეს დაწუნებული მამაკაცის ჩივილია, რომელშიც უფრო მეტი სიყვარული ვლინდება,

*ვიდრე მუნათი.
არ დაინდობა დიაცი –
მიწვივ ორპირი, ფლიდია,
როგორც სავალად ბეწვისა,
ზღვას გადებული ხიდია, –*

წუწუნებს გაწბილებული ვაჟი. მაგრამ იქვე ჩანს – მაშინვე დაავიწყდება ყველაფერი, თუ ის გოგო გაუღიმებს, რომელმაც გაამწარა: „თუ მომკლავ, ისევ შენ მომკლავ, ქალავ, თავდახრით მცინარო...“

*წყეული იყოს ღვთისაგან
ის დღე, როდესაც ვნახეო
შენი ფოფინა თვალები
და მოელვარე სახეო!..*

შეიძლება ცოდნა არ მყოფნის და ეს მათქმევინებს, მაგრამ არა მგონია, რომელიმე პოეტს ქალის ნაწნავები შეედარებინოს იმ სანთლებისათვის, რომელთაც ქვესკნელში უნდა გაუნათონ გზა მამაკაცს.

*ქალს, თვალშალშავას უთხროდით,
მალე მაიჭრას თმანია,
შავეთში კელაპტრად მინდან
რო გავიკვლიო გ ზანია.*

/,მწყემსის ანდერძი“)

აღარ შევუდგები ვრცელი ამონაწერის მოტანას. ვინც ცოტად თუ ბევრად დაკვირვებია ვაჟას პოეზიას, ის უთუოდ დამეთანხმება, რომ „სტუმარ-მასპინძლის“ ავტორისათვის ქალი სამყაროს მშვენიერების ერთ-ერთი გამოვლენაა.

*თუნდ სრულად გასწყდნენ ვარსკვლავნი,
მზემ ტანთ ჩაიცვას შავები,
ისეც მზეობას მიზამენ
შენი ფოფინა თვალები!*
/,რამ გაგაჩინა, ქალაო“)

*ცოცხალს შენა მფენ გულზე ვარდს
თუ ავდარი, თუ დარია,
საფლავშიც შენზე ვიფიქრებ,
შენგნით ვიცოცხლებ მკვდარია!*
/,სიყვარული“)

ეროსი, ანუ სქესობრივი სიყვარული, ნაწილია აგაპესი, ანუ ღვთაებრივი სიყვარულისა. იგი საფუძველია ოჯახისა. ოჯახი კი ასევეა ღმერთის შემოქმედება. როგორც თავად ადამიანი. რასაც ოჯახის კეთილდღეობა ითხოვს, ის არ არის მხოლოდ ადამიანის სურვილი. იგი უზენაესის ნებაც არის. მზიას მოთხოვნაში ღვთაებრივიც ურევია. საზოგადოებას ხომ ესმის და ესმის ეს, მაგრამ ამას მინდიაც გრძნობს. ამიტომ აღმოჩნდა მისი სიბრძნისათვისაც კი შეუძლებელი იმ კონფლიქტის მოგვარება, რომელიც გაჩნდა მინდიასა და მის ოჯახს შორის. ამიტომ გადადგა გველისმჭამელმა საბედისწერო ნაბიჯი.

ორ სიმართლეს შორის მოქცეული ადამიანის ბედი ყოველთვის ტრაგიკულად მთავრდება. ამას მოწმობს, მინდიასთან ერთად, ჯოყოლასა და ალუდა ქეთელაუის თავგადასავალიც.

ჯოყოლამ ზვიადაური ისტუმრა... სტუმარ-მასპინძლობის წესის დაცვა დიდი სიქველეა. ამ ადათს პატივსცემს საზოგადოებაც და პიროვნებაც („ვის გაუყიდავ სტუმარი? ქისტეთს სად თქმულა ამბადა?“). ვინც მას დაარღვევს, ის გასაკიცხია. უფრო მეტიც, სასჯელის ღირსიც.

სტუმარ-მასპინძლობის წესის დაცვით ჯოყოლა აკეთებს იმას, რაც უნდა იმსახურებდეს საზოგადოების კმაყოფილებას, მოწონებას. ასეც იქნებოდა, რომ ზვიადაური არ ყოფილიყო ქისტების მტერი. რაკი ქისტების მტერია ზვიადაური, ამოქმედდა მეორე ადათ-წესი შურისგებისა („თავის მტანჯველის შემუსრვა ან კი ვის არა სწადიან?!..“ „მაგრამ მტერს მტრულად მოექე, თვითონ უფალმა ბრძანაო...“). საზოგადოებამ მოითხოვა ზვიადაურის გაცემა და დასჯა.

ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ზნეობრივი წესი – სტუმარ-მასპინძლობა და შურისძიება. ორივე, როგორც საზოგადოების, ისე პიროვნების მიერ თანაბრად არის აღიარებული, დადგენილი და პატივცემული. რა უნდა ჰქნას,

ერთი მხრივ, ჯოყოლამ და, მეორე მხრივ, საზოგადოებამ? ორივე ადათის დაცვა შეუძლებელი და გამორიცხულია. აუცილებლად უნდა მოხდეს არჩევანი. საქმე ასეც წარიმართა, მაგრამ არჩევანი სხვადასხვაგვარი აღმოჩნდა: ჯოყოლამ (პიროვნებამ) სტუმარ-მასპინძლობის წესის დაცვა ირჩია, საზოგადოებამ – შურისძიებისა. დაირღვა ჰარმონია. ორი სიმართლე დაეჯახა ერთმანეთს. მართალია ჯოყოლა, იგი იცავს სტუმარ-მასპინძლობის ადათს. მტყუანია ჯოყოლა. იგი არღვევს შურისგების ადათს. მართალია საზოგადოებაც. იგი იცავს შურისგების ადათს. მტყუანია საზოგადოებაც. იგი არღვევს სტუმარ-მასპინძლობის ადათს. ორი სიმართლის და ორი სიმტყუანის ბრძოლისას გაიმარჯვა საზოგადოებამ. დამარცხდა ჯოყოლა (პიროვნება): ზვიადაური წაიყვანეს და სასაფლაოზე დაკლეს. ეს შედეგი ბუნებრივი იყო. საზოგადოება ფიზიკურად ყოველთვის ძლიერია პიროვნებაზე („თემს რაც სწადია, მას იზამს თავის თემობის წესითა“).

აღუდა ქეთელაური ყოველთვის იცავდა საზოგადოების მიერ დადგენილ წესს: მმოკლულ მტერს მარჯვენა ხელი უნდა მოეჭრას („ბევრს ქისტს მარჯვენა მარჯვენა, სცადა ფრანგული ფხიანი“). მაგრამ, ერთხელ, მუცალის ვაჟკაცობით მოხიბლულ-მოჯადოებულმა აღუდამ დაარღვია ადათი. მართალია, მტერი მოჰკლა, მაგრამ მარჯვენა არ მოკვეთა („მარჯვენას არ ჭრის მუცალსა, იტყოდა: ცოდვა არიო; ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო, ღმერთმა გაცხოვნოს მკვდარიო“). ამ საქციელით პიროვნება (აღუდა) საზოგადოებას დაუპირისპირდა. ზნეობრივად აღუდა მართალია („ვაი ეგეთსა სამართალს, მონათლულს ცოდვა-ბრალითა!“), მაგრამ მართალია საზოგადოებაც. იგი იცავს მის მიერ დადგენილ წეს-ჩვეულებას. ეს წეს-ჩვეულება, გარკვეულ ისტორიულ პერიოდში, საზოგადოების ერთიანობის, სიმტკიცის და ძლიერების საფუძველია. ამიტომ საზოგადოება ვერ დაუშვებს, რომ ყოველი პიროვნება, რარიგ ვაჟკაცი და მართალიც უნდა იყოს იგი. იქცეოდეს ისე, როგორც მის გუნება-განწყობილებას მოესურვება. ამგვარი თავისუფლების დროს საზოგადოების ერთიანობა-მთლიანობა დაიშლება და ქაოსი გამეფდება. ქაოსი კი დაღუპვით დაემუქრება როგორც პიროვნებას, ისე მთელ საზოგადოებას. ამას კარგად ხედავს და გრძნობს თვითონ აღუდაც („ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ, ნუ გადიქცევით ცეტადა!“). მაგრამ მას აღარ ძალუძს მოერიოს თავისთავს და სულიერად დამორჩილდეს საზოგადოების მიერ მიღებულ წესს. მისი ჰიბრისი (დაუმორჩილებლობა) კიდევ უფრო გამომწვევი და გამაღიზიანებელი ხდება. აღუდა მუცალის ხსოვნას მოზვერს შესწირავს. ამის ატანა და მოთმენა საზოგადოებას აღარ შეეძლო. აღუდა მოკვეთეს.

აღუდა ქეთელაური, ოჯახითურთ, ტოვებს მშობლიურ მიწა-წყალს.

„აღუდა ქეთელაურშიც“ ორი სიმართლე უპირისპირდება ერთმანეთს – სიმართლე პიროვნებისა და სიმართლე საზოგადოებისა. აქაც საზოგადოება იმარჯვებს და პიროვნება მარცხდება („გადვიდნენ, ქედი გადავლეს, თხრილი აღარ ჩანს კვალისა. ერთი მაისმა შორითა მწარე ქვითინი ქალისა“).

მაგრამ აუცილებლად უნდა გავარკვიოთ, რა ხასიათს ატარებს ამ შემთხვევაში პიროვნების დამარცხება და საზოგადოების გამარჯვება. საზოგადოება იმარჯვებს ხორციელად, მაგრამ მარცხდება სულიერად. პიროვნება, მართალია, მარცხდება ხორციელად, მაგრამ იმარჯვებს სულიერად. საზოგადოებას შეუძლია ჯოყოლას წაართვას სტუმარი, მაგრამ არახელეწაფება მშვინვიერად გატეხოს ჯოყოლას სიმტკიცე. საზოგადოებას შეუძლია მოკლას ზვიადაური, მაგრამ არახელეწაფება მისი სულის მოდრეკა („გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა, გული გულადვე რჩებოდა“). საზოგადოებას შეუძლია მოკვეთოს, გააძევოს ალუდა ქეთელაური, მაგრამ არახელეწაფება მისი დამორჩილება, დამონება. საზოგადოებას შეუძლია წამიერად დაახევინოს უკან მინდიას, აიძულოს ხის მოჭრა თუ ნადირის მოკვლა, მაგრამ არახელეწაფება ხელი შეუშალოს მის თვითმკვლელობას, რაც შექმნილ ვითარებაში გველისმჭამელის მიერ წუთიერი სისუსტის გამოსყიდვას და ღვთაებრივი სიბრძნისადმი ერთგულებას მოასწავებს, ადასტურებს.

ამიტომ უყვარს მკითხველს ჯოყოლაც, ალუდაც, მინდიაც, იგი ყოველთვის იმის მხარეზეა, ვინც სულიერად იმარჯვებს, თუმცა კარგად ესმის საზოგადოების ქმედების აზრიც.

მიუხედავად ხორციელი დამარცხებისა და ტრაგიკულობისა, ჯოყოლაც, ალუდაც, მინდიაც პუბლიკუმს იმედიტა და რწმენით ავსებენ. მათი სულიერი გამარჯვება იმის მაუწყებელია, რომ დგება მომენტი, როცა პიროვნების ამბოხება, თუნდაც მარცხით დამთავრებული, იწყებს საზოგადოების გარდაქმნას, მის ამაღლებას. ჯოყოლას, ალუდას, მინდიას მოვლინების მერე საზოგადოება აუცილებლად იცვლება, თუმცა ეს გარეგნულად შეიძლება არც შეიმჩნეოდეს. ხდება შინაგანი, მშვინვიერი განწმენდა. მართალია, დღეს მინდიას სიბრძნის წვდომა არ ძალგვიძს, მაგრამ პუბლიკუმის ძალისხმევა ქვეცნობიერად მიმართულია მის შესაცნობად მომავალში. მინდია ორიენტირია, რომლისკენაც მიდის საზოგადოება, მართალია, ნელა და ტაატით, მაგრამ მაინც იქით ისწრაფვის. მიდის ამაღლებული და მშვენიერი პიროვნების ზნეობრივი სრულყოფისა და თავისუფლების გზით. იმ პიროვნების გზით მიდის, რომლის შეზღუდვადამორჩილება საზოგადოებას უკვე აღარ შეუძლია, თუნდაც რომ არსებულ ვითარებაში, საზოგადოების ქმედება თავის არსში მართალიც იყოს. ეს პროცესი ბუნებრივია, რადგან ახალი სიმართლე, რომელიც საზოგადოების ცნობიერებას ცვლის, პიროვნებას მოაქვს.

გამოდის, რომ ადამიანში არ არის სიმშვიდე. მასში ბრძოლაა, რაკი ორი ხატი – კაცი და არაკაცი – ებრძვის ერთმანეთს.

არც საზოგადოებაშია სიმშვიდე. იქაც ბრძოლაა, რაკი ორი სიმართლე ერკინება ერთი მეორეს და შუაში ადამიანია მოქცეული. როგორღაა საქმე ბუნებაში?

*ბუნება მბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა,*

*ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მქმნელია ავისა;
ერთფერად მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა;
საცა პირიმზეს ახარებს,
იქვე მთხრელია ზვავისა...
/„ღამე მთაში“)*

ანდა სხვანაირად, „მოკეთე თუმც ხარ თავისა (ბუნება – ა.ბ.), – მასთან თვისივე მტერია“ („ქებათა-ქება“).

ბუნებაშიც ბრძოლა ყოფილა. ამ საგრობაში ერთმანეთს პირისპირ უდგანან და ერკნებიან მბრძანებელი და მონა, სიკეთისმქმნელი და ავისმქმნელი. უფრო ფართოდ რომ ვთქვათ – ნათელი და ბნელი.

*ცა იქცეოდა და მიწა
თავისთვის სუდარს ჰკერავდა,
სამყაროს ნგრევას ეშმაკი
გახარებული ჰზვერავდა.
ღამის წყვდიადში კისკისი
მისი ჰზარავდა ყველასა...
/„როგორ საშინლად ბნელოდა“)*

სურათი ტრადიციულია: ნათელი ღვთაებრივის ემანაციაა, ბნელი – ეშმაურის. შავ ღრუბელს უნდა მზეს გადაეფაროს, დააბნელოს, მაგრამ არაფერი გამოსდის. მზე მაინც სძლევეს მას და „სხივს აფრქვევს დედამიწასა, ბუნებას აძლევს შვებასა“ („შავი ღრუბელი“). და მიუხედავად ამისა, ბუნება „მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ყვავისა“. მშვენიერება ბრძოლა ყოფილა, ქმნა და ქმედება ყოფილა. ამდენად ის, რაც ვაჟამ ბუნებაზე თქვა, თავისუფლად შეგვიძლია გავიმეოროთ ადამიანზეც და საზოგადოებაზეც:

მართალია, ადამიანში ერთმანეთს ებრძვის კაცი და არაკაცი, მაგრამ ადამიანი „მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ყვავისა“.

მართალია, საზოგადოებაში ერთმანეთს ებრძვის ორი სიმართლე, მაგრამ საზოგადოებაც „მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით ყვავისა“.

ადამიანის, საზოგადოების, ბუნების კავშირი მშვენიერებითაც არის გამოხატული.

რაკი არსებობის აზრი ბრძოლაა, ქმედებაა, ქმნაა, ვაჟა ბუნებითაც მაშინ არის აღტაცებული, როცა იგი (ბუნება) ბოლოქრობს.

*მაშინ კი უფრო მიყვარხართ,
როცა ჩამოგდისთ ღვარია,
ქოთობით, ვაი-ვაგლახით,*

*ისმის ბუნების ზარია.
/„თქვენი ჭირიმე, ჰოი, მთებო“)*

ადამიანიც მაშინ არის სიცოცხლის ღირსი, როცა მოუსვენარია, იტანჯება, მოქმედებს, იბრძვის. თავისუფლების, ბედნიერების შეგრძნება-გაგება შეუძლია ადამიანს ბრძოლისა და ქმედების დროს. უმოქმედობა არყოფნის გამოვლენაა.

*გონებას ფიქრი ტანჯავდეს,
გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი,
მშვიოდ-მწყუროდეს კეთილი,
ვერ გავძლე, მოვკვდე მშვიერი...
ნუ დამასვენებ ნურა დროს,
მამყოფე შეძრწუნებული,
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერი,
როცა ვარ შეწუხებული;
როცა გულს ცეცხლი მედება.
გონება მსჯელობს სალადა, –
მაშინ ვარ თავისუფალი,
თავს მაშინა ვგრძნობ ლალადა.
/„ჩემი ვედრება“)*

საზოგადოებაც მოქმედი და მებრძოლი უნდა იყოს. თორემ, თუ საზოგადოება უმოქმედოა, მთვლემარე, მცონარე და გულხელდაკრეფილია, ხალხი გადაიქცევა ბრბოდ. ხალხი და ბრბო სწორედ იმით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ ხალხი მოქმედი, ბრბო – უმოქმედო; ხალხი – მებრძოლია, ბრბო – მორჩილი; ხალხი – შემოქმედი, ბრბო – მომხმარებელი; ხალხი თავისუფლების ტრფიალია, ბრბო – მონობისა; ხალხი მოაზროვნეა, ბრბო – გონებაჩლუნგი; ხალხს რწმენა აქვს, ბრბო – ურწმუნოა; ხალხი იმედით არის სავსე, ბრბო – სასოწარკვეთილია; ხალხი მომავლის შექმნით ცოცხლობს, ბრბო – წუთისოფლის მოჭმით; ხალხი კეთილს ემსახურება, ბრბო – განჯგონებულია (საბას განმარტებით, განჯგონებული იმას ჰქვია, ვისაც ბოროტი კეთილი ჰგონია); ხალხი პიროვნებებისაგან შედგება, ბრბო უსახურია, მის წევრებს ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევ. თუ ხალხის ყოველი წევრის ოცნებაა

*ვვხიზლობდე, მუდამ მზად ვიყო
დაჩაგრულების მცველადა.
ბალახი ვიყო სათიბი,
არა მწადიან ცელობა;
ცხვრადვე მამყოფე ისევა,
ოღონდ ამშორდეს მგელობა;
არ წამიხდინო, მეუფევ,*

*ეს ჩემი წმინდა ხელობა,
მაშრომე საკეთილოდა,
თუნდ არ მოვიძვო ნაყოფი,
შვილთ საგმოდ არ გამიხადო
ჩემი მუდმივი სამყოფი.
გულს ნუ გამიქრობ ლამპარსა,
მნათობს ტრფობისა შეშითა,
ნუ მავლევ ქვეყანაზედა
გაცივებულის ლეშითა, –
თვალეებში მადლდაკარგულსა,
მუბლზე გაკრულის მეშითა.
/„ჩემი ვედრება“)*

ბრბოს არავითარი სურვილი და ოცნება არა აქვს. იგი უმოძრაო, გამეშვებული და გაყინულია.

*ბრბო მაინც არ გათეთრდება,
რაც უნდა ხეხო ქვიშითა,
იმის სიყვარულს მოიხვეჭ
მხოლოდ ძალით და შიშითა.
/„ქებათა-ქება“)*

თუ საზოგადოებას, საერთოდ და კერძოდ ქართულს, არ უნდა ამგვარი შემზარავი მეტამორფოზა განიცადოს ხალხიდან ბრბოსაკენ, მაშინ იგი უთუოდ და უთუმცაოდ უნდა იბრძოდეს, მოქმედებდეს, საკუთარი ნიჭის, ძალისა და უნარის იმედით.

*ძველთა თქვეს ძველი ქართული
თავის ძველებურს წესზედა:
„ხელებს ნუ იკრებთ გულზედა,
საქმეს ნუ აგდებთ ღმერთზედა“,
მტრედსაც მოჰქონდა ბარათი,
გადახვეული მხრებზედა:
„თვით უპატრონეთ თავის თავს,
ნუ იმედოვნებთ სხვებზედა.“
/„საახალწლო“)*

ადამიანის, საზოგადოების, ბუნების ურღვევი კავშირი, გარდა მშვენიერებისა, კიდევ ბრძოლით, ქმედებით, ქმნით არის გამოხატული.

ბუნება იმედია. იგი ადამიანს გინცით ალავსებს.

უპატრონოდ, უთვისტომოდ დარჩენილი ობოლი უნუგემოდ არ დატოვა ბუნებამ. ყველა მის საშველად დაირაზმა – პეპელა, ბაჭია, თავუნა, ქედანი, ტო-

როლა, მწერნი, ბალახ-ბულახნი, ირემი. ერთი სიტყვით, „მთელი ბუნება ხელეებს ჰშლის ჩაგრულის დასაცველადა“ („ობოლი“). როცა მარტოხელა მთვარემ დაიჩივლა – „მომწყინდა წყვდიადთან ბრძოლა, თავ-პირის მტვრევა ღამითა“, მთამ უსაყვედურა – „წესს რადა ჰმტყუნობ თავისას, ეშმაკს რად აძლევ სულსაო“ („მთა და მთვარე“). დაამშვიდა და ის კანონზომიერება აუხსნა, რის საფუძველზეც შენობს სამყარო:

*ყველა ეგრე ვართ შობილნი
ერთიმეორის მსახურად;
ერთურთს ვშველთ, ერთურთსა ვსწყალობთ
პირნათლად ჩამოხატულად.*

მარადიული განახლება, რაც ბუნების წესია, იმედის უტყუარი წყაროა. როცა გაქრება სუსხი, ყინვა, გაზაფხულის პირი გამოჩნდება, არემარე წვიმით განიბანება, ია აყვავდება და საფლავის ქვასაც კი დაამშვენებს ოფოფი, თავის-თავად მოეფინება ნათელი ადამიანის სევდიან გულს.

*გულო, ჩვენც სიცოცხლეს ვიგრძნობთ,
ლალს მოვისურვებთ მღერასა,
ჩვენც შევუფერებთ კიჟინით
ყოვლგნინგ ბუნების ლხენასა.
იმედი ბევრად სჯობია უაზრო ბედისწერასა!
/„გულო, რას დაჰლონებულხარ“)*

როცა ჩვენი ზეცნობიერება დახშულია, მაშინ არ გვეყურება ბუნების ენა, თორემ მიწდიას ესმის იგი და იცის, ვინ რას შესჩივის.

*„მინდიას გაუმარჯოსო“,
ერთხმად ასტეხენ ჟიჟინსა,
ხეები ფოთლებს არხევენ,
ბუნება იწყებს ბიბინსა,*

და მერე სათითაოდა

*ყველა მოჰყვება ტიტინსა:
„მე ვარო ამის წამალი“,
სხვა გაიძახის – „იმისა“;
. . .
თურმე ზნედა სჭირთ ყვავილთა:
ოღონდ ეწამლონ სნეულთა,
სიცოცხლით გაფუფუნებულს
არად აგდებენ სხეულთა:*

*სალხინოდ ჰსახვენ, კაცთ სარგოდ,
ძვალ-ხორცთა ჩამორღვეულთა.
/„გველის მჭამელი“)*

ადამიანის, საზოგადოების, ბუნების კავშირი იმედითა და ნუგეშითაც იხატება.

ბუნება თავისუფლებასაც ასწავლის ადამიანს. ვაჟა შეხარის ნისლს, რომელიც თავისუფლად მიმოდის ამქვეყნად. მისი თავისუფალი მოძრაობის შეფერხება არაფერს და არავის ძალუძს.

*შენ არ დაიშლი შენს წესსა,
თუმც ცრემლი ბევრი გდენია,
ვერ შეაფერხებს შენს სვლასა
მთელის ხმელეთის ძალია,
ვერც გვირგვინოსანთ ბრძანება,
ვერც ამოწვდილი ხმალია.
/„ნეტავი, შენა, შავ-ნისლო“)*

ბუნებამ არ იცის ჩაგვრა. ტყუილად არიან განაწყენებული ტურები ლომზე („სახალწლოდ“). ლომი მათ არ ჩაგრავდა. უბრალოდ ბუნების წესს ასრულებდა.

*ლომი რის დამნაშავეა,
ეს ხომ ბუნების წესია:
აბედი აბედი არის,
კვესი ხომ ვიცით კვესია.*

თავისუფლებითა და უჩაგვრელობით ადამიანი (და საზოგადოებაც) ბუნებას უნდა ჰგავდეს. უთანასწორობა, ჩაგვრა, არათავისუფლება, რომელიც საზოგადოებაში არსებობს, ადამიანის (უფრო ზუსტად: ადამიანში თავშეფარებული არაკაცის) მოგონილია და ანტიბუნებრივია. ამით ირღვევა ბუნების ჰარმონია. მართალია, არაკაცი და ბუნების ბნელი ერთიანდება და ებრძვის კაცსა და ნათელს, მაგრამ ეს საგრობა, როგორც უკვე ითქვა, აუცილებლობაა, რადგან განსხვავებული და დაპირისპირებული ძალების შერკინებისა თუ დავის შედეგად იბადება ახალი. ეს ისეთივე ბუნებრივი კანონზომიერებაა, როგორც ორი განსხვავებული სქესის ურთიერთობის ნიადაგზე ახალი სიცოცხლის აღმოცენება. ორი ერთნაირი სქესის ურთიერთობა კი გარყვნილებას, გახრწნას წარმოშობს და მეტს არაფერს. ასევე ბერწი იქნება საზოგადოების და ბუნების ცხოვრებაც თუ მათში ერთი, ანდა ერთსახოვანება-ერთფეროვნება იბატონებს.

მრავალსახეობის მოსკობის ყოველგვარი ცდა თანაბრად არის მიმართული ბუნებისა და ადამიანის წინააღმდეგ. ამას ადასტურებს მარადიული განახ-

ლების ბუნებაში არსებული წესი. წელიწადის დროთა მონაცვლეობა ავლენს განახლების იდუმალ სურათს.

*მაგრამ რა? ერთსახეობა
არ არის სიბრძნის დარგია,
ზაფხულის შემდეგ ზამთარი,
კაცმა იფიქროს, კარგია.
/„ბუნების სურათი“)*

*. . .
იამაც მომცა სალამი,
დამ კვლავ ძმა იცნო თავისა.
გვერდს უდგას დიაგონაი,
როგორ ამაყად ჰყვავისა!..
მონა ვარ, მონა ბუნების,
ღონე არა მაქვს დავისა!
/„გაზაფხული“)*

ყველანაირად, უთვალავი ძაფით ადამიანი უკავშირდება ბუნებას. იგი ისეთივე ნაწილია ბუნებისა, როგორც ყოველი ხილული და უხილავი საგანი. ბუნებისადმი მიყენებული ჭრილობა ადამიანის ჭრილობაა და პირიქით: ადამიანის ჭრილობა ბუნების ჭრილობაა. დღეს მეცნიერება იმ დასკვნამდე მივიდა, სადაც ვაჟას პოეტური გუმანი. ბუნებაში არაფრის დაშლა-დარღვევა არ შეიძლება. ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში ზედმეტი დნობა ყინულისა ზემოქმედებს აფრიკის უდაბნოებზე. საჰარაში ტემპერატურის მატება კი ტუნდრაში გამოიღებს მავნე ნაყოფს. ამაზონის ჯუნგლებში თუ ციმბირის ტაიგაში ტყეების გაჩეხვა შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს ევროპისათვის. ყოველივე ეს განსაზღვრავს ადამიანის ყისმათსა და მდგომარეობას. კაცის გონებისა და შორსმჭვრეტელობის დაკარგვამ კი, არავინ უწყის, რა უბედურება შეიძლება გამოიწვიოს ბუნებაში. მოსალოდნელია დაირღვეს ის თანხმობა, რასაც ციცირონი ბუნების ხმას (naturae vox) უწოდებდა. ადამიანის დაცემა გამოიწვევს ბუნების დაცემას და, შებრუნებით, ბუნების დაცემა – ადამიანის დაცემას. მათ შორის სრული ერთიანობაა. ბუნებაში ყოველი არსება ისევეა აღჭურვილი გონებითა და გრძნობით, როგორც ადამიანი. რა კანონზომიერებაც მთელშია, იგივე კანონზომიერებაა ნაწილშიც და პირუკუ – რა კანონზომიერებაც ნაწილშია, იგივეა მთელშიც. ოღონდ ამის გაგონება უნდა შეგეძლოს. ვაჟას ზეცნობიერს ეყურებოდა იგი. ამიტომ ფიქრობს, განიცდის, ესმის, სტკივა და უხარია, ეშინია და ეიმედება ყველაფერს – შვლის ნუკრი იქნება იგი თუ ხმელი წიფელი, ლურჯთვალა ია თუ ცანცარა კურდღელი, მოჩუხჩუხე წყარო თუ პიტალო კლდე, ცადაზიდული მთები თუ ბობოქარი მდინარეები, გოროზი არწივი თუ მფრთხალი წრუწუნა.

*ხევი მთას მონებს, მთა – ხევსა,
წყალი – ტყეს, ტყენი – მდინარეთ,
ყვავილი – მიწას და მიწა –
თავის აღზრდილთა მცინარეთ.
და მე ხომ ყველას მონა ვარ,
პირზე ოფლგადმომდინარედ!
/„ღამე მთაში“)*

თუ ცნებებს გერმანელ მისტიკოსებს დავესესხებოდით, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ვაჟას წარმოდგენაში ადამიანი მიკროკოსმოსია, ხოლო ბუნება – მაკროანთროპოსი.

ამ საყოველთაო თანხმობასა და ჰარმონიაში თითქოს მოუთმენლად და უცნაურად გაისმის ვაჟას სასოწარკვეთილი ხმა.

*იას უთხარით ტურფასა:
მოვა და შეგჭამს ჭიაო,
...
შენ თუ გგონია სიცოცხლე
სამოთხის კარი ღიაო;
ნუ მოხვალ, მიწას ეფარე,
მოსვლაში არა ყრიაო.
/„იას უთხარით ტურფასა...“)*

ამ სკეპსისში არაფერი იქნება უცნაური და მოულოდნელი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ვაჟა, რაკი პოეტი იყო, გარემომცველ სამყაროს გულით უყურებდა და არა გონებით. „გულს“ ბევრი უნდა ტიალსა – ხარია ალაღებული. ნუ მომთხოვთ, მაშინ არ ძალმიძს მსჯელობა დალაგებული“ (უსათაურო ლექსია. იწყება სიტყვებით: „ერთი რამ მინდა სათქმელად“...). ვაჟას სკეპსისში გულის ულოგიკობაა და კიდევ ის კანონზომიერება, რომელიც მან თავადვე ასე ჩამოაყალიბა – „საცა სიმართლე ჰღალადებს, იქვეა აზრთა ცდომაცა!“ („ჩვენს მხცოვან მოღვაწეებს“). თორემ თავად ვაჟა არ გვარწმუნებდა?

*მრწამს აზრი კაცთა სიცოცხლის,
მრწამს საიდუმლო სოფლისა;
მრწამს, რომ ანათებს ღვთის სადგურს
სანთლები მშრომელთ ოფლისა.
/„შემოგეხიზნეთ ქედებო“)*

გარდა ამისა, ადამიანს, რომელსაც გულწრფელად სჯეროდა, რომ სიკვდილი სიცოცხლის წყაროა, შეუძლებელია შინაგანად დაეჯერებინა – „მოსვლაში არა ყრიაო“.

*ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო,
სიცოცხლე შენობს შენითა,
და შენც სიკვდილო. ფასი გრე*

სიცოცხლის ნაწყენობითა.

/„მოგონება“)

ასეთი შეხედულება ძველთა ძველია. მას პლატონთანაც შეხვდებით – „ცოცხალნი მკვდრათაგან იბადებიან ისევე როგორც ცოცხალთაგან მკვდარნი“ („ფედონი“) და ჩვენს დავით გურამიძეშვილთანაც – „ცოცხალნი შობენ მკვდართა და მკვდარნი ცოცხალთა ჰბადებენ“. ვაჟას შეიძლება ერთიც სცოდნოდა და მეორეც, მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ იგი ჩვენი ხალხის რწმენას იზიარებდა. ამ რწმენით, სიკვდილსა და სიცოცხლეს თავი ერთად უდევთ.

*სიცოცხლეს სიცოცხლე უყვარს,
ეს მიტომ დადვა წესადა;*

სიკვდილი გაუჩენია

მას თავის გასაკვებადა.

/„სოფლისა წესი ასეა“)

მაგრამ, თითქოს თავის ნათქვამისა არა სჯერაო, ვაჟა იკითხავს:

რამ შემქმნა ადამიანად?

რატომ არ მოვედ წვიმადა...

გარდა იმისა, რომ სიცოცხლეს აგრძნობინებდა მომაკვდავ არემარეს, მთაბარს გაახარებდა, მინდორ-ველს მწვანედ ააბიბინებდა, ვაჟას წვიმოზა კიდევ იმიტომ უნდა, რომ

თოვლად ქცეულსა გულშია

ცეცხლად იმედი მრჩებოდა,

რომ ისევ ჩემი სიკვდილი

სიცოცხლედ გადიქცეოდა

და განახლებულ ბუნებას

ყელ-ყურზე მოეხვევოდა.

/„რამ შემქმნა ადამიანად“)

თუ ვაჟას არ სჯერა ადამიანის სიცოცხლის განახლებისა და მარტო ბუნების პროცესის გამეორების სწამს, მაშინ აღმოვჩნდებით თითქმის აუხსნელი საიდუმლოს წინაშე. ამგვარი ფიქრი კი შეიძლება გააჩინოს იმან, რომ წვიმად ქცევას განახლებისათვისაც ნატრობს („რომ ისევ ჩემი სიკვდილი სიცოცხლედ გადიქცეოდა...“). მაგრამ თავადვე ხომ ამბობს – სიკვდილი კვებავსო სიცოცხლეს.

ლოცავს კიდევ მას („ღმერთმა გიშველოს სიკვდილო...“). ეს ერთი, მაგრამ არის მეორე თავსატეხი კითხვაც. ვაჟას სძულს მკვლევლობა. სიკვდილი სხვაა, მკვლელობა სულ სხვა. სიკვდილი ბუნებრივი პროცესია, მკვლევლობა – ნაძალადევი და ანტიბუნებრივი. ვაჟას უკვირს –

*სიკვდილი ყველას გვაშინებს
სხვას თუ ჰკვლენ, ცქერა გვწადიან,
კაცნი ვერ ჰგრძნობენ ბევრჯერა,
როგორ დიდს ცოდვას სჩადიან.
/„სტუმარ-მასპინძელი“)*

შვლის ნუკრი ცას და მიწას შესტირის, დედა რომ მოუკლეს („შვლის ნუკრის ნაამბობი“). ია გულამოსკვნილი ქვითინებს იმის გამო, რომ ხე მოჭრეს. მერე დალილ-დაქანცული ქედანიც მოკლეს („ია“). ყველა თოფ-იარაღიანი კურდღელს დასდევს. ეს ისეთი თავზარდამცემი სანახაობაა, რომ გულგატეხილმა შეიძლება იკითხო – „წადი და შენ კაცს ღმერთი და სამართალი სთხოვე“ („კურდღელი“). კლდე გმინავს, როცა მკერდზე სისხლი დაეწვეთება („კლდე“). არა თუ მკვლელი, ხარის უდიერად მჩაგვრელი გლეხიც კი დასწეულდა: „წინათ მტანჯველი ხარისა ეხლა იტანჯვის თავადა. ცოდვიანია, ამდენს ხანს იმიტომ არის ავადა“ („ხარისთვის უდიერი“). რაღა ბევრი გავაგრძელო, ვაჟასთვის მკვლევლობა, სისხლის ღვრა გამოუსყიდავი დანაშაული და ცოდვაა. ამავე დროს იგი სრულებით არ წუხს, პირიქით აღტაცებულია და ხოტბას ასხამს მტრის სიკვდილს. „სიკვდილი თვითონ უფალსა გაუჩენია მტრისადა“ („ბახტრიონი“). ხმალი, რომელიც უხმარობით დაჟანგდა, იმ დღეს ნატრობს, როცა ისევ სისხლით შეიღებება („ხმლის ჩივილი“). როცა საქმე წახდა და ვაჟაკობა გაცუდდა, ბაკურმა საკუთარ ცოლ-შვილს დასჭრა თავები და მერე მომხვედური მტერი „თორმეტი მოჰკლა ციხის კარს, ერთურთზე დააწვინაო“ („ბაკური“). ჯარისკაცი სიამაყით და გამამხნეველად სწერს დედას:

*მშვიდობით! დაჰკრეს საყვირსა,
კვლავ მეძახიან ბრძოლაზე:
საჩხუბრად, სისხლის საღვრელად,
თოფის, ზარბაზნის სროლაზე.
მხნედ მივალ, ვერვინ დაგცინებს
ლაჩარის შვილის ყოლაზე.
/„ფშაველი ჯარისკაცის წერილი“)*

რა არის ეს – ვაჟა ზნეობრივ შეხედულებათა წინააღმდეგობაში მოექცა თუ დაჩაგრული ერის შვილში შურისგების გრძნობამ გაიმარჯვა? მოყვასის სიყვარულს ამჯობინა სამაგიეროს მიზღვა? ამ კითხვას, ალბათ, ორი პასუხი შეიძლება მოეძებნოს, პირველი ის, რომ სამშობლოს დაცვა, მისი თავისუფლებისათვის ბრძოლა ისევე წმიდათა წმიდა და დიადია, როგორც ღმერთის სიყვა-

რული, როგორც მოყვასის სიყვარული. „ხშირად სიკვდილში კაცი სიცოცხლეს პოულობს. ბუნებაც ამას ალბათ იმიტომ ჩაადენინებს კაცს, რომ იმისათვის სიკვდილი, რაც კაცს უყვარს და ებრალება იგივე სიცოცხლეა“ („ფიქრები“). ამიტომ, თუ საჭიროა, სამშობლოს კეთილდღეობისათვის დასაშვებია სისხლის ღვრა. ეს არ არის ცოდვა. იგი მადლია: „ვინაც მტერს მტრულად არ დაჰხვდეს, მისი სახელი კრულია“ („სისხლის ძიება“). ეს არ ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მორალს. თავად იესო ბრძანებს: „ყოველ ხეს, რომელიც კეთილ ნაყოფს არ მოისხამს, მოჭრიან და ცეცხლში ჩააგდებენ“ (მათე, |||, 10). თორემ რა ემართება შემოქმედს, მადლი თუ გამოელევა და ცოდვა მოჭარბდება, ეს ვაჟას მკაფიოდ აქვს აღწერილი:

სდუმს ჩანგი, გული ბნელია,

. . .

*იგივ მარჯვენა და კაცი,
იგივ კალამი მჭრელია
დაჩლუნგებულა, დამდგარა,
შემოხვევია გველია.*

რა თქმა უნდა, სულ სხვაგვარად არის საქმე, როცა ცოდვა იშვიათია და მადლი გამრავლებული.

*მხრები მესხმება, ვიზრდები,
ცად ვიწევ ასაფრენადა,
გაჩნდება სადღაც ნათელი,
გულს ჩამიდგება სვეტადა.
/„როს ვუკვირდები თავის თავს“)*

მეორე პასუხია ის, რომ ვაჟას სულის უკვდავება: „მწამს, მარად მიწამებია მუდმივ სიცოცხლე სულისა“... („მწამს, მარად მიწამებია“) ღმერთის ბოძებული სული ღმერთისავე წიაღში ბრუნდება... „...სული ღვთისაგან ჩადგმული, ღვთისგანვე წაგერთმევისა“ („მოწოდება“) და „სული ღმერთთანა, – იქ, სადაც ბრწყინავენ ციური ძალები“ („ხმა სამარადამ“). რაკი ასეა, სული უკვდავია და განახლება-აღორძინებასაც ემორჩილება. ღმერთის წიაღში იგი განიწმინდება, კათარსის გაივლის და ხელახლა მოგვევლინება. მიწაზე მტრობისა და ბოროტების დასჯა იმიტომ არის აუცილებელი, რომ ზეცაში დამნაშავეს და ბოროტ-მოქმედს მონანიების და განახლების საშუალება ჰქონდეს.

*სულთა სიკვდილი არ ითქმის,
დროდადრო აიშლებიან,
ხელს უკიდებენ ერთმანეთს,
მთა ველად გაიშლებიან...
/„ბნელეთი“)*

როცა ზვიადაურის, ჯოყოლას და ალაზას მიწიერ ვნებათაგან გაწმენდილი სულები მთაზე შეიკრიბებიან,

*ვაჟკაცობისას ამზობენ,
ერთ-ერთის დანდობისასა,
სტუმარ-მასპინძლის წესზედა
ცნობის და და-ძმობისასა.
/„სტუმარ-მასპინძელი“)*

მე არ ვიცი, რა –იზმი შეიძლება ეწოდოს იმას, რაც ზემოთ მოგახსენეთ და რაც ვაჟას ნააზრევში დავინახე. ვიცი მხოლოდ ის, რომ ვაჟას პოეტური ხილვების რომელიმე კონკრეტული –იზმის ჩარჩოში ჩასმა შეუძლებელია.

ნათელია ისიც, რომ ვაჟა მორწმუნე ქრისტიანის თვალით უყურებდა სამყაროს. მისთვის ღმერთი „ცა-დედამიწის გამჩენია“ („ქებათა-ქება“).

„ვიცანი, ღმერთო, სამყარო, – ეს შენი დანაბადები“ („ვიცანი, ღმერთო, სამყარო...“).

„ღმერთო, შენია ქვეყანა, შენი ნაღვაწი სრულადა“ („შემოდგომა მთაში“). მთელი სამყარო ერთმანეთს ღმერთისმიერი სიყვარულით უკავშირდება.

*ცოცხლებს უძგერებს კვლავ გულსა,
შიგ ია-ვარდის მრგველია,
იმისგან ჰყვირის ირემი,
მისით დაფრინავს შველია;
მისგანა გალობს ბულბული,
მისგანვე მწვანობს ველია,
იმისგან ხარობს ბუნება –
უკანასკნელი მწერია...
ზღვაში ილუპვის ჭაბუკი,
თავის სატრფოსთვის ხელია.
დიდება ქვეყნის შემოქმედს,
რა კარგად დაუწერია!...
/„სოფლისა წესი ასეა“)*

ამ უდიადესი ჰარმონიის ცენტრში დგას ადამიანი, რომელსაც, ზეცნობიერების საშუალებით, ყველაფერთან აქვს ურთიერთობა და შეუძლია ყოველი არსის ენა გაიგოს.

უზარმაზარი მითოლოგიური სამყარო, დახატული ვაჟას შემოქმედებაში, ორგანული ნაწილია იმ კუთხის მოსახლეობის ცნობიერებისა, რომელიც პოეტის დაკვირვებისა და ასახვის საგანი იყო. მითოსის თვინიერ ვაჟას პერსონაჟები, მათი ყოფა არასრული იქნებოდა. თორემ ვაჟა თავად განმარტავდა „ეთნოგ-

რაფიულ წერილებში“: „როგორც ყველა გაუნათლებელი კაცი, ფშაველი არის ცრუმორწმუნე: ეშმაკებით და დევებით სავსე ჰგონია ქვეყანა. თვითეულ ადგილს, მთას, გორას, ხევს, მისი წარმოდგენით, ჰყავს დედა, რომელსაც „ადგილის დედას“ ეძახის“.

ეს ერთი, მეორეც: მითოსური აზროვნების გარეშე, საერთოდ, პოეტური აზროვნება ნაკლებია. ვაჟას ღრმად სწამდა, რომ სამყაროს, ადამიანის არსებობას კეთილი წარმართავდა, მაგრამ ხანდახან მაინც ეჭვი ეწვეოდა და კითხვას სვამდა:

*რით დასრულდება სიტურფე
სიცოცხლის, მთისა, ბარისა?!
მზის ძალა მაცოცხლებელი,
მასთან ნათელი მთვარისა?
/„მთას ვუცქერ“)*

ამის პასუხი მას აღარ მიუცია.

1988 წ.

არსებობის მარადისობის რღვევა, ანუ შვილის მკვლელი მამა

დანაშაული მოხდა.

პატიოსნებას გულისთქმამ სძლია და საფარბეგმა („გამზრდელი“) ძიძიმვილის ცოლი გააუპატიურა.

სიყვარულის თავდავიწყებამ წაიღო და ონისემ („ხვეისბერი გოჩა“) გუშაგის მოვალეობა დაივიწყა. მტერი შემოეპარა.

უცხო ტომის ქალი შეუყვარდა და ანდრი („ტარას ბულბა“) დუშმანის მხარეს გადავიდა. ესეც არ იკმარა: თავისიანებს მედგარი ბრძოლა გაუმართა.

ბავშვურ სულწასულებას ვერ მოერია და ფორტუნატომ („მატეო ფალკონე“) ბანდიტი ჯანეტო სანპიერო გასცა.

არც ხვეისბერმა გოჩამ, არც ტარას ბულბამ, არც მატეო ფალკონემ შვილებს დანაშაული არ შეუზღვეს და სიკვდილით დასაჯეს. მხოლოდ ჰაჯი-უსუბი („გამზრდელი“) მოიქცა სხვანაირად: საფარ-ბეგის დანაშაული თავად ზღო – თავი მოიკლა.

თითოეულმა მათგანმა – საფარ-ბეგმა, ონისემ, ანდრიმ, ფორტუნატომ – ძიძიმე დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ მკითხველი მაინც არ არის მათ მიმართ უარყოფითად განწყობილი, ებრალება ისინი და მათდამი თანაგრძნობის ნაპერწკალიც უღვივის გულში. ეს გამოწვეულია იმით, რომ ისინი ბუნებით პატიოსანი, კეთილი, გულწრფელი ადამიანები არიან. ისინი მზად არიან სიცოცხლის დათმობით გამოისყიდონ დანაშაული. მხოლოდ პატარა ფორტუნატო

შედრკება სიკვდილის წინ. მამას შეევედრება, ნუ მომკლავო, მაგრამ ეს სრულიად გასაგებია – ფორტუნატო ათი წლის ბიჭი იყო.

საფარ-ბეგი, როგორც კი გონს მოეგო, მაშინვე მიხვდა დანაშაულის მთელ სისაძაგლეს. როცა დილით მძინარე საფარ-ბეგი ბათუმ გააღვიძა, პირველი, რამაც ბოროტმოქმედს გაუელვა თავში, იყო:

*არ უთქვამს ქალს, რაც შეგცოდე,
ჩანს, ნამუსი შეუნახავს.
ჩემს საქციელს სამარცხვინოს,
ვინ გაიგებს, ვინ დამძრახავს?*

ნაადრევი გამოდგა საფარ-ბეგის ცოდვილი სიხარული. ბათუმ ყველაფერი იცოდა. თუმცა ძუძუმტე სასიკვდილოდ არ გაიმეტა:

*– არა! შენ ვერ შეგეხება
სასიკვდილოდ ჩემი ტყვია,
დედიჩემის გაზრდილი ხარ,
მისი ძუძუ გიწოვია...*

ერთი შეხედვით, უმაღლესი ზნეობით აღჭურვილმა ბათუმ დაჯაბნა საფარ-ბეგი, მორალურად გაანადგურა იგი. მაგრამ აკაკი წერეთელი გვიამბობს არა სინდისიანისა და უნამუსოს ბრძოლაზე, არამედ ადამიანში აღორძინებული პატიოსნების ტრაგედიას. საფარ-ბეგი ტოლს არ უდებს ბათუს:

*... მართალი ხარ!
აღარა მაქვს მე სათქმელი!...
შემაცდინა თვით ეშმაკმა
და დამრია ცოდვის ხელი!...
შენი ტყვე ვარ!... ჰა, ხომ ხედავ,
იარალი დამიყრია..
სასიკვდილოდ ჩემი ნებით
შენ წინ თავი დამიხრია...
ჩემ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს,
მომკალ... ტანჯულს რამ მიშველე,
მაზღვევინე, რაც შეგცოდე,
სინდისი გამიმთელე!*

აქ ერთმანეთის პირისპირ ორი თანაბარი მშვიინვიერი ღირსების კაცი დგას, თუმცა ერთს დანაშაული აქვს ჩადენილი და მეორეს – არა. საფარ-ბეგმა გააცნობიერა თავისი დანაშაული და თავადვე გამოუტანა საკუთარ თავს განაჩენი: მან არა მარტო ბათუს წინაშე დახარა თავი მორჩილად, არამედ – გამ-

ზრდელისაც. საფარმა ჰაჯი-უსუბს ალაღად უამბო ყველაფერი, დაუმალავად და შეუღამაზებლად.

მორჩილებით გულ-მკერდს უშვებს

საფარ, მისი გამოზრდილი...

ასევე თავად აღიარა ონისემაც დანაშაული თემის სასამართლოს წინაშე. თუ ონისე გაჩუმდებოდა, სიმართლეს არ იტყობდა, დაისჯებოდა უდანაშაულო გუგუა. ამით კიდევ უფრო ცოდვილი გახდებოდა ონისეს სინდისი. იგი გამოუტყდა როგორც მამას, ისე საზოგადოებას.

„– შესდეგ, ხევისბერო. გუგუა მართალია! – დაიძახა ონისემ...“

.

– სთქვი, რას ამბობდი?

– გუგუა მართალია-მეთქი, ტყუილად ნუ დასჯით... გუგუას და მე მიზეზი გვაქვს ერთმანეთის მოსისხლენი შევქმნილიყავით... ეგ მთიდგან რომ მოდიოდა, ბილიკებზედ იმად დაემვა, რომ მე მოვეკალ... მაგრამ გზაში მტერს შეხვდა და მოღალატობას ტყუილად სწამობთ... მოძმეთ ცოდო მე მაძევს კისერზედა, ჩემი ბრალია მათი გაწყვეტა...“

ონისემ იცის, რაც ელის დანაშაულისათვის, მაგრამ მისთვის ჭემმარიტება უფრო ძვირფასია, ვიდრე საკუთარი სიცოცხლე.

არსებითად განსხვავდება ანდრი ბულბას საქციელი საფარ-ბეგისა და ონისეს ქმედებისაგან.

ანდრი ბულბა ბრძოლის დროს შეიპყრო მამამ. ანდრი პოლონელ ჰუსართა პოლკში იყო და კაზაკებს ებრძოდა. როცა ტარასმა შეამჩნია იგი, თავისიანებს სთხოვა, ტყეში შემოიტყუეთო. კაზაკმა გოლოვოპიტენკომ შეასრულა ტარასის დავალება. ის-ის იყო ანდრი გოლოვოპიტენკოს უნდა დასწეოდა, რომ ცხენის აღვირში უტაცა მამამ შვილს ხელი და გააჩერა. მამის დანახვაზე ანდრი გაფითრდა და აცახცახდა. ტარასმა ცხენიდან ჩამოსვლა უბრძანა. როგორც ბავშვი, მორჩილად ჩამოხტა იგი ცხენიდან და მკვდარ-ცოცხალი გაჩერდა ტარასის წინ. „იდექ, არ გაინძრე. მე გშობე, მევე უნდა მოგკლა!“ – თქვა ტარასმა, გადადგა ერთი ნაბიჯი უკან და მხრიდან თოფი გადმოიღო. ანდრის ნაცრისფერი დასდებოდა, ეტყობოდა, ჩუმად ტუჩებს ამოძრავებდა, ვიღაცის სახელს ახსენებდა, მაგრამ არ იყო იგი არც სამშობლოს, არც დედის, არც ძმების სახელი – არამედ ტურფა პოლონელი ქალისა. დასცალა თოფი ტარასმა“ (ა. და ი.ახალშენიშვილების თარგმანი).

ანდრიმ უდრტვინველად მიიღო სასჯელი, მაგრამ არ განუცდია ღალატის გამო სინდისის ქენჯნა. დანაშაულის გაცნობიერება არ მომხდარა. ისევე როგორც ანდრის პოლონელი ქალი, ონისესაც თავდავიწყებით უყვარდა ძიძია. მაგრამ ხევისბერის შვილმა მაინც მოახერხა სიყვარულის ბანგისაგან განთავისუფლება. ანდრიმ ეს ვერ შეძლო. სიკვდილის წინ იგი მაინც მიჯნურობის მონა იყო.

სამივე პროტაგონისტი – საფარ-ბეგი, ონისე, ანდრი – პატიოსანი ადამიანია, მაგრამ ეს პატიოსნება სხვადასხვაგვარია.

საფარ-ბეგისა და ონისეს პატიოსნებას, მართალია, დანაშაულის თავიდან აცილება არ შეუძლია. მაგრამ სამაგიეროდ ძალუმს დანაშაულის გაცნობიერება, მონანიება და სასჯელის მიღებაც, თუნდ იგი სიკვდილიც იყოს.

ანდრი ბუღბას პატიოსნება სხვაგვარად ფიქრობს: სიყვარულის ერთგულება უფრო მაღალ მოვალეობად მიაჩნია, ვიდრე – თანამომძმეებისა და თანამემამულეებისა. ანდრი არ ინანიებს თავის დანაშაულს. არც სასჯელს იღებს ნებაყოფლობით. ანდრი ბუღბასთვის მამის სასჯელი გარდაუვალი აუცილებლობაა, რომლისგან თავის დაღწევა გამორიცხულია.

როცა აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, გოგოლისა და პროსპერ მერიმეს პერსონაჟებს ვაკვირდებით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ დანაშაული არ უნდა მომხდარიყო, რამეთუ არც ერთს არ კლია არც პატიოსნება, არც ნებისყოფა, არც ვაჟკაცობა. მაგრამ ეს პირველი შთაბეჭდილებაა. მათი ხასიათის ღრმად შეცნობის დროს თანდათან გამოიკვეთება და გამომჟღავნდება მათი სულიერი სამყაროს ხარვეზი. ეს გახლავთ მორჩილება ვნებისადმი. საფარ-ბეგიც, ონისეც, ანდრიც ვნების მორჩილნი არიან, ფორტუნატო კი ბავშვური სიხარბის, უფრო სწორედ, სულწასულობის მსხვერპლია.

აკაკი წერეთელი მაშინვე მიუთითებს და აღნიშნავს საფარ-ბეგის ხასიათის სუსტ მხარეს. საფარ-ბეგი მოსვლისთანავე ატყობინებს ბათუს, რა მიზნით ეწვია ძიძიშვილს სტუმრად და რატომ გადაწყვიტა მოიპაროს ალმასხიტი ინალიფას ცხენი. საფარ-ბეგს მზეთუნახავი ზია-ხანუმი შეჰყვარებია. მართალია, საფარი იცნობს ამ ქალის მზაკვარ ბუნებას, მაგრამ მის სილამაზეს ვერსად გაქცევია. საფარ-ბეგი ნანობს კიდეც ზია-ხანუმთან ურთიერთობას, მაგრამ სინანულს უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, რადგან ვაჟი მთლიანად ემორჩილება ქალის ნება-სურვილს.

*მეც მომხიბლა ჯადოსანმა,
დამამარცხა, დამიმონა!..
და, თუ ქალი მაჯობებდა,
არ ვფიქრობდი, არ მეგონა...*

ამ შემთხვევაში საფარი მთლად მართალს არ ამბობს. შეიძლება ეს გამოწვეულია იმით, რომ მან ზუსტად და მტკიცედ არ იცის, მართლა უყვარს თუ არა ზია-ხანუმი. საფარ-ბეგი საერთოდ ვერ არის გულგრილი ქალის მშვენიერებისადმი, ამიტომ ვნება და სიყვარული ვერ განუსხვავებია ერთმანეთისაგან. სრულიად საკმარისი აღმოჩნდა მარტო დარჩენილიყო ნაზიბროლასთან, რომ დავიწყებოდა სიყვარულიცა და მორდულობის ადათიც. ვნებით დაბრმავებულმა და ცნობაწართმეულმა არ დაინდო ძიძიშვილის ცოლი და ნამუსი ახადა მას.

საფარ-ბეგის საქციელს წარმართავს დაუოკებელი ვნება და არა სიყვარული.

ონისესა და ანდრის საქციელს კი აპირობებს სიყვარული, თუმცა ტრფობისადმი მათი დამოკიდებულება სხვადასხვაგვარია.

ონისემ კარგად იცის, რომ არა აქვს ძიძიას სიყვარულის უფლება. ჯერ ერთი, ძიძია სხვისი ცოლია და, მეორეც, ონისე გუგუას ხელისმომკიდეა. ონისე ებრძვის გულში დაბუდებულ ტრფობას, ცდილობს გაექცეს, დაემალოს მას, მაგრამ ამაოდ. იგი ვერ ამართლებს მამის დარიგებასაც – „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ და კაცი კი ტანჯვისთვის არის გაჩენილი... ვინძლო ქვეყანა არ გააცივნო...“

ძიძიას სიყვარული ყველაფერზე ძლიერი აღმოჩნდა და ონისემ დანაშაული ჩაიდინა.

ასეთივე ყოვლისმომცველი და ძლიერია ანდრის სიყვარულიც. მასაც თავდავიწყებით უყვარს პოლონელი ვოევოდას ასული. როცა ანდრი ალყაშემორტყმულ დუბნოში შეიპარა და საყვარელი ქალის ოჯახს საზრდელი მიუტანა, უარი თქვა, უკან, კაზაკთა ბანაკში დაბრუნებულიყო. „სამშობლო ის არის, რასაც სული დაეძებს, რაც ყველაზე მეტად შეგყვარებია. ჩემი სამშობლო შენ ხარ“, – უთხრა ანდრიმ ნანდაურს. საერთოდ, რომანის კონცეფციით, სიყვარული უძლეველ ძალად არის მიჩნეული. ერთ-ერთი პერსონაჟი, ებრაელი იანკელი, ტარას ბულბას ეუბნება – როცა კაცს ქალი შეუყვარდება, იგი დაემსგავსება წყალში დამბალ ლანჩას, როგორც გინდა ისე მოლუნავ. ანდრის დანაშაულიც ამით არის გამოწვეული.

თუ ამ სამ პროტაგონისტს ერთმანეთს შევადარებთ, მკაფიოდ დავინახავთ, რომ მათ შორის ყველაზე ტრაგიკულია ონისე.

იგი საფარ-ბეგზე უფრო ღრმა პიროვნებაა იმით, რომ მას გულწრფელად და ალაღად უყვარს ძიძია. ონისეს სიყვარული ნამდვილია. ამიტომაც ვერ დააღწია თავი ამ ტრფობას.

საფარ-ბეგს კი ბრმა ვნება წარმართავდა მაშინ, როცა ნაზიბროლა გააუპატიურა.

ონისე ანდრი ბულბაზე ღრმა პიროვნებაა იმით, რომ მოვალეობას უფრო მეტად აფასებს, ვიდრე პირად გრძნობას. თანამემამულეთა მიმართ ჩადენილ დანაშაულს მძაფრად განიცდის და მზად არის ყოველგვარი სასჯელის მისაღებად. ანდრი ბულბა კი პირად გრძნობას ამჯობინებს სამშობლოს. სრულიად არ განიცდის თანამემამულეთა წინაშე ჩადენილ დანაშაულს. თუ, ბოლოს და ბოლოს, ონისეში მოყვასის სიყვარული იმარჯვებს, ანდრი სიკვდილამდეს სიყვარულით გამოწვეული ეგოიზმის ერთგული რჩება.

რა თქმა უნდა, პატარა ფორტუნატო ვნებათა ამ სიმძაფრემდე ვერ მიდის. იგი ბავშვური სულწასულობის მსხვერპლი ხდება. როცა მას სერჟანტი გამბა საათის ჩუქებას შეჰპირდა – თუ იგი იტყოდა, სად იმალებოდა ჯანეტო – ბიჭმა ცდუნებას ვერ გაუძლო და თივის ბულულში დამალული ბანდიტი გაყიდა. ამ დანაშაულის საფუძველი სიხარბეა. ფორტუნატოს სიხარბე გაუცნობიერებელია და, ამდენად, მისი დანაშაულიც უნებლიეა. სამაგიეროდ ასე არ არის „გამზრდელში“. ზია-ხანუმის სიხარბე გაცნობიერებულია. იგი გადამდებია და შე-

იძლება სხვასაც უბიძგოს ბოროტებისაკენ. ასე დაემართა საფარ-ბეგს. აღმას-ხიტ ინალიფას ცხენის მოპარვა ნაკარნახევია ზია-ხანუმის სიხარბით. ქალის სიხარბეს საფარმა ვერაფერი დაუპირისპირა. პირიქით, მან ზია-ხანუმის გულის მოგება სცადა არა ქალის სიხარბის უარყოფით, არამედ მისი დაკმაყოფილებით. გაჩნდა დანაშაული. ჯერ შედარებით უბრალო – ცხენის მოპარვა და შემდეგ უკვე უპატიებელი – ძუძუმტის ცოლის გაბახება.

სიხარბეა „ხევისბერ გოჩაშიც“ ბოროტმოქმედების საფუძველი. ამჯერად ფეოდალის გაუმადლობით ვლინდება იგი. ნუგზარ ერისთავს არ ჰყოფნის უკიდევანო მამული და თავისუფალი ხევის დაპყრობაც სურს. მზად არის ძმა ძმას გადაჰკიდოს და მეზობელს მეზობლის სისხლი აღვრევინოს, რათა სიხარბე დაიკმაყოფილოს, მტერ-მოყვარე დააშინოს და ყველა დაიმორჩილოს. მართალია, ნუგზარ ერისთავის მასშტაბისა არ არის, მაგრამ ზია-ხანუმსაც ძალაუფლებისმოყვარეობა აწამებს. ამ ქალს იმიტომ არ მოსწონს აღმასხიტ ინალიფა, რომ იცის, „სხვებსავით ის იმას ვერ იმსახურებს“. რაკი აღმასხიტი არ გახდება ზია-ხანუმის სიხარბის მსახური, ამიტომ ქალი სხვებს აქეზებს მის წინააღმდეგ. ცხადად ჩანს, რომ ზია-ხანუმის სიხარბე ადამიანთა ურთიერთობის იმ სახეობას ცნობს, რომელსაც მორჩილება ეწოდება. ასევეა ნუგზარ ერისთავიც. ოღონდ მისი სიხარბე გაცილებით დიდია და ვრცელი. მას ვერ დააკმაყოფილებს ცალკეულ პირთა მორჩილება. ნუგზარის მადა მთელი ხალხის მორჩილებას ითხოვს.

ნუგზარის უსაზღვრო სიხარბემ გამოიწვია ძმათამკვლელი ომი. ომმა კი გაამჟღავნა ყველა დამალული ტკივილი.

„ტარას ბულბაშიც“ სიხარბე ამოქმედებს კაზაკთა სპასაც. „აქ მუდამ ჰპოვებდნენ საქმეს ომის, ოქროს თასების, ძვირფასი ფარჩების, ბაჯალლო ოქროებისა და სხვა დიდების მოყვარულნი, – ყველა, გარდა ქალის თაყვანისმცემლებისა, რადგანაც ქალი სეჩის გარეუბანშიც კი ვერ გაბედავდა გამოჩენას“, – წერს გოგოლი. მართალია, ნათქვამია ისიც, რომ მართლმადიდებლობას იცავდნენ, ურჯულოებს – თურქებსა და თათრებს – ებრძოდნენო, მაგრამ ეს რომანში რიტორიკული განცხადებაა. საქმით კი ომის დამწყები კაზაკები არიან, ტარას ბულბას თავკაცობით.

მშვიდობიანობაა, კაზაკებს არავინ ემუქრება. ასე არ მოსწონდა ტარასს. „ამიტომაც მუდამ იმის ფიქრში იყო, როგორმე სეჩი სალაშქროდ აღედრა, სადაც ყველას შეეძლებოდა თავისი რაინდობა დაემტკიცებინა, საომარი ნიჭი გამოეჩინა. ბოლოს, ერთ დღეს მივიდა ტარასი კომევიოსთან და უთხრა პირდაპირ:

- რაო, კომევიო, განა დრო არ არის, გაინავარდონ საითმე ზაპოროჟიელებმა?
- საით მერე? – მიუგო კომევიომ, პირიდან პატარა ჩიბუხი გამოიღო და გვერდზე გააფურთხა.
- როგორც თუ საით? შეიძლება თურქებზე ან თათრებზე გავილაშქროთ.
- არ შეიძლება არც თურქებზე, არც თათრებზე, – უპასუხა კომევიომ და ისევ გულგრილად ჩაიდო პირში ჩიბუხი.

– როგორ თუ არ შეიძლება?
– ისე, სულთანს მშვიდობიანობის პირობა მივეცით.
– მერე ის ხომ ბუსურმანია: ღმერთიც და საღმრთო წერილიც გვიბრძანებს მათ ამოწყვეტას.

– უფლება არა გვაქვს. სარწმუნოებაზე რომ არ შეგვეფიცნა, იქნებ კიდევ მოხერხდებოდა, მაგრამ ახლა არ შეიძლება.

– როგორ თუ არ შეიძლება? როგორ ამბობ, უფლება არა გვაქვსო? აი, მე ორი შვილი მყავს, ორივე ახალგაზრდა. არც ერთი ჯერ ომში არ ყოფილა. შენ კი ამბობ: ვერსად წავალთ ზაპოროჟიელებიო.

– ჰოდა, ასე, არ შეიძლება.

– მაშ აგრე უქმად უნდა იყოს კაზაკის ძალ-ღონე მინებებული, რომ ძაღლივით გადიღრძოს კაცი და ერთი კეთილი საქმე არ გააკეთოს, სამშობლოსა და საქრისტიანოს არაფერი სარგებლობა არ მოუტანოს? (რბევა-აწიოკება ჰგონია ტარას ბუღბას სამშობლოსა და ქრისტიანობის სამსახური – ა.ბ.) მაშ, თუ აგრეა, მითხარი, რაღადა ვცოცხლობთ, სიცოცხლეს რა ეშმაკად ვაქნევთ?“

ამ კითხვას კომევიმ არ უპასუხა, მაგრამ ომის გაჩაღებაზე კი მტკიცე უარი მოახსენა. გაბოროტებულმა ტარასმა კაზაკები წააქეზა – ძველი კომევი გაღვაყენოთ და ახალი დავსვათო. ასეც გააკეთეს.

„მეორე დღეს ტარას ბუღბა უკვე მოელაპარაკა ახლადამორჩეულ კომევი-ის, ზაპოროჟიელნი როგორ უნდა ამხედრებულიყვნენ და ვის წინააღმდეგ. კომევი ჭკვიანი და ეშმაკი კაზაკი იყო, მასთან ზაპოროჟიელთა ზნე-ხასიათის მეტად კარგად მცოდნე: „არა უშავს რა, ვინძლო ფიცს არ დავარღვევთ, ისე რასმე მოვიმიზეზებთ; ოღონდ ხალხი შეიკრიბოს, მაგრამ ჩემი ბრძანებით კი არა, თავისით, – ეს თქვენ უკეთ იცით, როგორ მოახერხოთ, – მაშინ ჩვენც სტარშინებთან ერთად უცბათ იქ გავჩნდებით მოედანზე, ვითომ არა ვიცით რა“.

კაზაკობა მოედანზე შეიკრიბა. დაიწყო სჯა-ბაასი. მზაკვრულად ხლართავდა საქმის ვითარებას კომევი. თან ხალხს მშვიდობისაკენ მოუწოდებდა, თან ომისაკენ აქეზებდა. ამ დროს ტანსაცმელშემოფლეთილ კაზაკთა ერთი ჯგუფი გამოჩნდა. ამბავი მოიტანეს – შავ დღეში ჩაცვივდნენო გეტმანშჩინაში კაზაკები.

თურმე ურიებს იჯარით აუღიათ საყდრები და თუ წინასწარ ქრისტიანი ფულს არ გადაიხდის, წირვა-ლოცვას ვერ ჩაატარებს.

თურმე, თუ ურია პასქას ნიშანს არ დაასვამს, მისი კურთხევა არ შეიძლება.

თურმე ქსენძები ტარატაიკებით დადიან უკრაინაში და, ცხენების მაგიერ, შიგ მართლმადიდებელ ქრისტიანებს აბამენ.

თურმე ურიის ქალები ქვედა კაბებს მღვდლის ფილონებისაგან იკერავენ.

თურმე გეტმანი სპილენძის ქვაბში მოუხრავავთ და პოლკოვნიკებს მისი ხელ-ფეხი ბაზრობაზე დააქვთ.

ეს მტკნარი სიცრუეა ბრბოს ასაღელვებლად გამოგონილი. მაგრამ რაც ეშმაკურად მოიფიქრეს, ეშმაკურად განახორციელეს. კაზაკთა სპა ქალაქ დუბნოს შესია.

როგორც ვხედავთ, თუ „ხევისბერ გოჩაში“ მოხევეები თავს იცავენ მოძალადისაგან, „ტარას ბულბაში“ კაზაკები თავად პირველნი ესხმიან თავს მშვიდობიან ქალაქს.

თუ ნუგზარ ერისთავის სიხარბე სამფლობელოს გაფართოების სურვილით ვლინდება, ტარას ბულბასა და მისი ამხანაგების სიხარბე დავლის, ალაფის შოვნით გამოიხატება, რაც გარეგნულად ვაჟკაცობის სახელით არის შენიღბული.

როგორც ცნობილია, სიხარბე მხოლოდ ადამიანის თვისებაა. ბუნება ამ გრძნობას არ იცნობს, მან იცის მხოლოდ აუცილებელი. ადამიანი კი ყოველთვის ცდილობს აუცილებელს მიუმატოს სიხარბე და სწორედ აქ ჩნდება დანაშაული.

ყოველი ადამიანის მშვინვიერ სამყაროში არსებობს კონფლიქტი აუცილებელსა და სიხარბეს შორის. თუ ადამიანმა მოახერხა და სძლია სიხარბეს, დაკმაყოფილდა აუცილებლით, მაშინ იგი იძენს სულიერ წონასწორობას, ერწყმის ბუნების ჰარმონიას და მონოლითურად მთლიანია. მან ამ გზით უკვე მოკვეთა ბოროტი და, ბუნებრივია, გაემიჯნა დანაშაულს. თუ აუცილებლისა და სიხარბის კონფლიქტის დროს ადამიანმა დაუთმო სიხარბეს, ვერ დაჯაბნა იგი, მაშინ ბოროტი იმარჯვებს და დანაშაულიც გარდაუვალა.

აკაკის „გამზრდელის“ პერსონაჟს ბათუს იმიტომ აქვს შენდობის დიდი უნარი, რომ თავისუფალია სიხარბისა და ამოების გრძნობისაგან. აკაკი წერეთელი ასე ახასიათებს მას:

*ერთი ვინმე ახალგაზრდა
აფხაზია, ამ მთის შვილი,
რთულ ცხოვრების უარმყოფი,
მცირედითაც კმაყოფილი.
კარგი თოფი, კარგი ხმალი,
კარგი ცხენი და ნაბადი!..
რას ინატრებს სხვას, ამის მეტს,
კაცი მისებრ დანაბადი?*

როცა შინმოზრუნებულმა ბათუმ შერცხვენილი და გაბახებული ცოლი ნახა, თავზარი დაეცა, მაგრამ ეყო სულის სიმტკიცე, ნუგეში ეცა გაუბედურებული ქალისათვის:

*ყოველგვარი მოსავალი
კაცის თავზე უნებური,
ღვთის რისხვას და ტყვილად ბედს*

*რას უჩივი, რათ ემდური?
გადააგდე გულიდან ეგ
ცრუ ზღაპარი და სიზმარი!...
მე და შენი სიყვარული
წმინდა არის, ვით ლამპარი.*

შეიძლება ვინმემ გაიფიქროს (ყოველგვარი ზნეობის კაცი არსებობს ამ ქვეყნად), რომ ბათუ წინდაუხედავად მოიქცა, როცა მარტო დატოვა ნაზიბროლა და საფარ-ბეგი. ეს ფიქრი უსამართლო შეურაცხყოფა იქნება ბათუსი. ბათუმ ადამიანის უკეთილშობილესი თვისება გამოამჟღავნა. – ნდობა. აქ უპრიანი იქნება გავიხსენოთ თქმულება, რომელიც სწორედ იმ კუთხეშია შექმნილი, საიდანაც ნაზიბროლა იყო.

ერთ ჭაბუკს ბედაური ჰყოლია. მეორეს შესშურებია ეს და დაუკვებნია – ცხენი ჩემი იქნებაო. რანაირად – გაცეხულან ტრაბახის გამგონენი – იმ ბედაურს ვერც იყიდი და ვერც მოპარვას მოახერხებო. მაშინ შურიანს ხრიკი მოუგონია. შემოუხევიან ტანზე, დაუხოკავს სახე, ნაცემ-ნაგვემის გამომეტყველება მიუღია და იმ გზაზე გაწოლილა, სადაც ცხენის პატრონს უნდა გაეცლო. მართლაც გამოუვლია ჭაბუკს. დაუნახავს უბედურ დღეში ჩავარდნილი კაცი და მისაშველებლად გადმომხტარა ცხენიდან. შურიანს მოუსაწყლებია თავი: ვიგინდარები დამესხნენ, გამძარცვეს, მცემეს, ძლივს გადავრჩი. ვაგდივარ ასე უპატრონოდ, მშიერ-მწურვალი, იქნებ მიშველო და მახლობელ სოფელში მიმიყვანოო. აუყვანია ყმაწვილს, მატყუარა ცხენზე შეუსვამს და თავად ფეხით გაძლოლია წინ. სწორედ ეს უნდოდა ცრუსაც. ჰკრა თურმე ცხენს დეზი და გაქუსლა. თან ნიშნის მოგებით შემოჰყივლა თურმე ჭაბუკს – ხომ წაგართვიო ცხენი. გაოგნებული ყმაწვილი ერთხანს ჩუმიად მდგარა და მერე მატყუარასთვის უთხოვია – გემუდარები, არავის უამბო, როგორ მომტაცე ცხენი, თორემ ადამიანი ნდობას დაკარგავს. ყველა ყველას ეჭვის თვალით შეხედავს და უნდობლობა ქვეყანას დააქცევსო.

ადამიანთა ურთიერთობა ნდობის თვინიერ წარმოუდგენელია. თუ ადამიანი ძუძუმტესაც არ ენდო, როგორღა იცხოვროს მან? ან საზოგადოება როგორღა იარსებებს უნდობლად? ნდობის თვინიერ ადამიანთა საზოგადოება ბაკში შერევილ ჯოგს დაემსგავსება და თუ არ იფანტება, მხოლოდ იმიტომ, რომ ქალტა მაღალი მესრით არის შემორაგული.

ლამპარივით წმინდა სიყვარულმა და სიხარბისაგან თავისუფლებამ დაბადა ბათუს დიდბუნებოვანი საქციელი, მისი სულდიდობა. ალ.ყაზბეგის ელგუჯასაც ლამპარივით წმინდა სიყვარული შველის შეუნდოს მზალს „დანაშაული“. მზალმ ვერაფრით დაიხსნა თავი „ნაჩალნიკისაგან“. უფროსმა სძლია უღონო ქალს და ნამუსი ახადა. როცა განკურნებული ელგუჯა ისევ შეხვდა მზალს, ქალის პირველი სიტყვები იყო:

„– დამნაშავე ვარ... თავი უნდა მომეკლა, მაგრამ შენი ნახვის სურვილმა შემომალა ხელი...“

ამ სიტყვებზე ელგუჯა ხანჯალს მისწვდა, მაგრამ თავი შეიკავა, ისევ დაიკრიფა გულ-ხელი და ისე შექმუხვნილი უყურებდა.

– მითხარ, რაი ამბავია?

მზალო მოუყვა თავის გაწბილების ამბავს, რომელზედაც ლაპარაკი მთელ სიცოცხლედ უღირდა.

– ეხლაც არ დარწმუნდები, რომ შენი ღირსი აღარა ვარ?

– ბარემ, ბარემ მინდოდა, აგრე მეთქვა, მაგრამ რაი ვქნა, რომ მიყვარხარ, ჩემ თავზედ მეტად... მიყვარხარ... – ელგუჯამ ძალზედ მიიკრა გულზედ მზალო და დაუწყო გაშმაგებით კოცნა“.

ბათუსა და ელგუჯას საქციელი თანაბრად დიდსულოვანია. მაგრამ ყოველთვის არ ძალუმს მამაკაცს ამგვარი დამოკიდებულების გამოჩენა. უფრო ხშირად მას ექვი აწამებს და ამჟღავნებს მშვინვიერ სილატაკეს. ამგვარი სულიერი სიდუხჭირის გამოვლენა აქვს აღწერილი ალექსანდრე კუპრინს მოთხრობაში „ზღვის ავადმყოფობა“.

არც ელენე ტრავინა ყოფილა დამნაშავე. ისიც მოტყუებითა და ძალდატანებით დაამცირეს.

ელენე ტრავინა ოდესიდან იალტაში მიდიოდა გემით. ქალი ზღვის სენმა შეაწუხა. მგზავრებით გაჭედილ გემში მყუდრო ადგილისა და საწოლის შოვნა ვერაფრით მოახერხა. იძულებული გახდა გემბანზე, სკამზე ჩამომჯდარს გაეტარებინა რამდენიმე საათი. როცა ეს შეამჩნია კაპიტნის თანაშემწემ, სულგრძელად შესთავაზა თავისი კაიუტა. კაპიტნის თანაშემწე იმ ღამეს მორიგე იყო და კაიუტა არ სჭირდებოდა. ელენეს არ უნდოდა იქ შესვლა, მაგრამ იმდენად უჭირდა ზღვის ავადმყოფობასთან ბრძოლა, რომ დასთანხმდა. კაპიტნის თანაშემწეს მზაკვრული განზრახვა ედო თურმე გულში: როგორც კი ზღვის ავადმყოფობითა და მგზავრობით დაღლილ-დაქანცული ქალი კაიუტაში დაიგულა, შეუვარდა და გააუპატიურა.

უსაშველოდ აწამებდა ქალს მომხდარი ამბავი. შინდაბრუნებულმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ეთქვა თუ არა ქმრისათვის ყველაფერი. ბოლოს მაინც თქმა ამჯობინა და სერგეის უამბო, რაც შეემთხვა.

ქმარმა მშვიდად მოისმინა ნაამბობი. ცოლს მოუალერსა, ტკბილი სიტყვით ანუგეშა და გაუქარწყლა შიში და ტკივილი. მაგრამ სერგეის სიმშვიდე ცრუ და მოჩვენებითი აღმოჩნდა. იგი იტანჯებოდა. მთელი ღამე არ უძინია. უცბად ლოგინიდან წამოხტა და წამოიძახა: ბავშვი, ბავშვი რომ გაჩნდეს, ელენე? იქნებ ის მეზღვაური სნეულია? ალკოჰოლიზმი, სიფილისი? და კაცმა მოსვენება დაკარგა. იგი ეხვეწებოდა ცოლს ეთქვა, რომ ყველაფერი ტყუილია, მგონილია, მსგავსი არაფერი მომხდარა, რომ ამ ნაამბობით ქმრის გამოცდა ეწადა. ელენე მიხვდა, რომ სერგეის არ ეყოფოდა მხნეობა, სამშვინველის სიმტკიცე, სულდიდობა, მიეტევებინა ცოლისათვის უბედურება, რომელიც თავს დაატყდა.

დილით ელენე ტრავინა სახლიდან გაიპარა. სერგეის დაუტოვა წერილი, რომლითაც ატყობინებდა ქმარს: ჩვენი ერთად ცხოვრება შეუძლებელია. თუმ-

ცა შენ ერთადერთი მამაკაცი ხარ, რომელიც მიყვარდა. ნუ დამიწყებ ძებნას, ნუ შეეცდები შერიგებას. შენ იცი, რომ მე გადაწყვეტილებას არ შეეცვლი. ხოლო წუხელ რაც გიამბე, ის სიცრუეა, მე გამოვიგონე.

ლევ ტოლსტოის უთქვამს: „ადამიანი იტანს მიწისძვრებს, ეპიდემიებს, ავადმყოფობათა საშინელებებს და ყოველგვარ სულიერ წამებათ, მაგრამ ყოველ ხანაში მისთვის ყველაზე უმწვავესი ტრაგედია იყო, არის და იქნება – საწოლი ოთახის ტრაგედია“. ვისაც ძალუმს ამ ტრაგედიას შეგნებულად შეხედოს, ემოციას არ აჰყვეს და რუასით¹ განსაჯოს, მას აქვს პატიების ღვთაებრივი უნარი. ეს უნარი გამოავლინა ბათუმ ნაზიბროლას მიმართ, ელგუჯამ – მზალოსადმი. სერგეის კი იგი არ აღმოაჩნდა.

ნაზიბროლა მსხვერპლი იყო და ამდენად, თითქოს, ბათუს შედარებით იოლად შეეძლო მისი გაგებაც და პატიებაც. მაგრამ ეს რომ ადვილი არ არის, მკაფიოდ ჩანს ელენე ტრავინასა და სერგეის მაგალითით. ელენეც მსხვერპლი იყო, მაგრამ მის ქმარს ამის მიხედვრის ნიჭი არ გააჩნდა. ამიტომ ბათუს ადამიანური ბუნების სიღრმე განსაკუთრებით დასაფასებელია. ეს სიღრმე მოჩვენებითი და ცრუ კი არ არის, არამედ ნამდვილი, რადგან ბათუმ საფარ-ბეგის დანაშაულიც ასევე ბოლომდე შეიცნო. ბათუმ გამოძებნა სულიერი ძალა და არც საფარბეგი დასაჯა, რაკი დაინახა, რომ დამნაშავე ალაღად ნანობს დანაშაულს და ესმის მისი საქციელის არსი. საყურადღებოა ის, რომ ბათუ დანაშაულს არ ურიგდება. მას შეუძლია დააფასოს დამნაშავეს მონანიება, შეუძლია შეუნდოს, რაკი იგი თავად მიხვდა, რაც გააკეთა. დანაშაულთან შეურიგებლობამ გამოიწვია ის, რომ ბათუმ საფარ-ბეგი გამზრდელთან გაგზავნა.

დანაშაული შეგნებულია. შენდობის აქტიც აღსრულებულია, მაგრამ საფარ-ბეგის ბედი მაინც არ არის გადაწყვეტილი. იგი მოვალეა, ეახლოს გამზრდელს და შეულამაზებლად უამბოს ყველაფერი. ასეც მოიქცა საფარ-ბეგი.

როცა ჰაჯი-უსუბმა ნამბობი მოისმინა, მან ნათლად დაინახა, რომ დაირღვა მოყვასის მოყვასისადმი სიყვარულის ჰარმონია. იგი ისევ რომ აღდგეს, აუცილებელია სასჯელი, რაც დაუვიწყარ გაკთვეილად დარჩება არა მარტო საფარ-ბეგს, არამედ ყოველ ადამიანს. ამიტომ სასჯელი სამაგიეროს მიზღვა კი არ უნდა იყოს, არამედ ზნეობრიობის დემონსტრაცია. ცხადია, ჰაჯი-უსუბს შეეძლო დაესაჯა საფარი, მოეკლა იგი, მაგრამ ეს იქნებოდა მხოლოდ სამაგიეროს გადახდა, ერთი დანაშაულის შეცვლა მეორეთი, ბოროტების მოკვეთა ბოროტებით. სასჯელი მაშინ გახდებოდა ზნეობრივი აქტი, როცა იგი გამოიხატებოდა არა ახალი დანაშაულით, არა ძალდატანებით, არა ბოროტებით, არამედ იმის მაგალითის ჩვენებით, როგორი უნდა იყოს პატიოსანი ადამიანის დამოკიდებულება დანაშაულისადმი. ჭეშმარიტად პატიოსანია მხოლოდ ის ადამიანი, ვისაც მიაჩნია, რომ თავადაც აგებს პასუხს სხვისგან ჩადენილი ბოროტმოქმედების გამო.

ჩვეულებრივ, როცა ერთი ადამიანი სჩადის სიკეთეს, მას სხვებიც ეტმასნებიან და ყოველგვარად ცდილობენ ამა თუ იმ დოზით იყვნენ მისი თანაზიარი. კეთილის თანაზიარობაზე არავინ ამბობს უარს, დიდი თუ პატარა, მოხუცი

თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი კეთილის ქმედებას წარმოიდგენს კოლექტიურად, ერთიან საზოგადოებრივ აქტად. ბოროტის, დანაშაულის მიმართ ეს გრძნობა არ არსებობს. ბოროტი და დანაშაული ყოველთვის გვინდა წარმოვიდგინოთ, როგორც ინდივიდუალური ქმედება, გავემიჯნოთ მას. ჩავთვალოთ, რომ დანაშაულს სჩადის ერთი, ინდივიდი, სხვა ყველა კი უმწიკვლო ვართ. მთლად ასე არ არის. როგორც კეთილს ვერ მოიმოქმედებს ადამიანი მარტოდმარტო და მას მოყვასის თანადგომა სჭირდება, ასევე ბოროტიც. ვერც მას ჩაიდენს ინდივიდი მარტოდმარტო. მასაც სხვათა მხარდაჭერა სჭირდება. ამიტომ ბოროტების ქმედების თანაზიარი ყოველთვის არის საზოგადოება. მართალია, იურიდიულად სამართლის წინაშე ბოროტმოქმედი მარტო დგას, მაგრამ ზნეობრივი გასამართლების დროს, ინდივიდის გვერდით, საზოგადოებაც იგულისხმება. მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ ეს პიროვნების პასუხისმგებლობას ამცირებს და შეღავათს აძლევს. მართალია კონსტანტინე გამსახურდია, როცა ამბობს – „არის რაღაც საშინელი მოირა იმ გარემოებაში, რომ ათასების ტკივილი ერთმა უნდა გადაიტანოს, ათასების მაგივრად ერთია მლოცველი და ჯვარზე გამსვლელი, ათასების ვარამი ერთმა უნდა იგრძნოს, ასეთი იყო მოსე, ასეთი იყო ბუდა, ასეთი იყო ქრისტე“ (გაზ. „ლომისი“, 1922 წ., 3). რა თქმა უნდა, ყოველ პიროვნებას არ ძალუძს მოსეს, ბუდას ან ქრისტეს ძალა შეიძინოს, მაგრამ მათი ცეცხლის პაწია ნაპერწკალი მაინც უნდა უღვივოდეს სულში. სხვაგვარად პიროვნება ვერ იქნება. ვერ ზიდავს ზნეობრივი პასუხისმგებლობის ტვირთს. ამის შეგნება კი ყოველ ინდივიდს უნდა ჰქონდეს.

საფარ-ბეგის მონანიების დროს ჰაჯი-უსუბმა თავის თავი გაზრდილის დანაშაულის თანამონაწილედ მიიჩნია და, ერთი შეხედვით, უცნაური და მოულოდნელი განაჩენი გამოიტანა:

*შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!*

და ჰაჯი-უსუბმა თავი მოიკლა. როგორც კი გავითვალისწინებთ, რომ ჰაჯი-უსუბს გამოჰქონდა არა იურიდიული, არამედ ზნეობრივი განაჩენი, გასაგები გახდება მისი საქციელის სიმართლე და სისწორე. როგორც ვნახეთ, საფარ-ბეგის დანაშაულის საფუძველი ჰაჯი-უსუბმა თავის თავში მოძებნა. ეს განაპირობა არა მარტო იმან, რომ ჰაჯი-უსუბი საფარის გამზრდელი იყო, არამედ უფრო მეტად იმის შეგნებამ, რომ ადამიანები მისტიკური ერთიანობით არიან ერთმანეთზე გადაჯაჭვულნი. ერთის კეთილი მეორის კეთილიც არის და ერთის ბოროტი მეორის ბოროტიც არის.

ამრიგად, ჰაჯი-უსუბის პატიოსნება არის პატიოსნება, რომელსაც უნარი აქვს სხვისი დანაშაულის საფუძველი თავისთავში იპოვოს და თავად აგოს პასუხი.

არც ხევსბერ გოჩას, არც ტარას ბულბას, არც მატეო ფალკონეს ეს უნარი არ გააჩნია.

ხევსბერმა დააყვედრა კიდეც შვილს – „მამ ეგრე გაიგონე ჩემი დარიგება? წყეულიმც იყავ, ყველასაგან მოძულებული, დედმამის საფლავიდგან ამომგდებო!..“ ვერც თემის თხოვნამ – „შენს შვილს ხევი არ გაუყიდია. მხოლოდ ყმაწვილკაცობას გაუტაცნია და თავდავიწყებაში ჩაუგდია..“ – შეანელა გოჩას მძვინვარება. მამამ შვილი სატყევეთ განგმირა.

სრულიად გულგრილად, ისე, რომ ხელიც არ აკანკალებია, მოკლა შვილი ტარას ბულბამ. იგი დაჰყურებს მკვდარ ანდრის და ამბობს: „რით არ იქნებოდა კაზაკი?.. ტანი მაღალი, შავი წარბები, სახე ნაზი, კეთილშობილი, მკლავი მაგარი ბრძოლაში – და დაილუპა! ძაღლივით უსახელოდ დაილუპა!..“ ასე შვილზე კი არა, მტერზეც ვერ ილაპარაკებ. როცა ოსტაპმა ანდრის დამარხვა სთხოვა მამას, ტარასმა უპასუხა: „უჩვენოდაც დამარხავენ. ჭირისუფლები და ნუგეშისმცემელნი გამოუჩნდებიან!..“ მართალია, მერე ორიოდ წუთით კი დაფიქრდა – დაემარხა თუ არა შვილი, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება ვეღარ მოასწრო, რადგან მტერი უტევდა და იძულებული გახდა გაქცეულიყო.

როცა ანდრის ვადანაშაულებთ, ერთი რამ უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ: იგი შეადრწმუნა და შესძრა კაზაკების მიერ ალყაშემორტყმულ დუბნოში ნახულმა სურათმა.

„ანდრის სუსტი კვნესა შემოესმა თითქოს. მიმოავლო თვალი და შეამჩნია, რომ მოედნის მეორე მხარეს ორი თუ სამი ადამიანი იწვა მიწაზე, თითქმის სრულებით უძრავად. უფრო მიაშტერა თვალი ანდრიმ და ყურადღებით დაუწყო ცქერა, რათა გაერჩია, ეძინათ თუ მკვდრები იყვნენ, რომ ამ დროს რაღაც რბილს ფეხი წამოჰკრა. ეს იყო ალბათ ურიის ქალის გვამი. ეტყობოდა, ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო, თუმცა დაუძლურებულ და განაწამებ სახეზე ეს აღარ ემჩნეოდა. თავზე წითელი აბრეშუმის თავშალი ჰქონდა მოხვეული, ყურსაფარზე ორ რიგად უბრალო მძივი თუ მარგალიტი ჰქონდა შემოვლებული. ორი-სამი გრძელი ჩაწნული კულული გამხმარ, ძარღვებდაჭიმულ ყელზე გადმოშლოდა. გვერდით ეწვა ბავშვი, რომელსაც გამშრალ და გამხმარ – ძუძუსთვის წაევლო ხელი და უნებური ბრაზით მთლად მოეგრიხა თითებით, რახან რძე ვერ ეპოვნა. ბავშვი ახლა აღარ ტიროდა, აღარც ყვიროდა, მხოლოდ ოდნავ მფეთქავ მუცელზელა შეატყობდა ადამიანი, რომ ჯერ კიდეც არ მომკვდარიყო. სულსა ლევდა. ქუჩებში რომ შეუხვიეს, აქ უცებ ვიღაც შეშლილი დახვდათ, რომელმაც დაინახა თუ არა ძვირფასი ტვირთი, სტაცა გაშმაგებულმა ხელი და შეჰყვირა „პურიო“. მაგრამ ძალა აღარ ჰქონდა. ჰკრა ხელი ანდრიმ და შეშლილი მიწაზე გაიშლართა. შეებრაღა ანდრის გიჟი და ერთი პური გადაუგდო, რომელსაც იგი მაშინვე ცოფიანი ძაღლივით ეცა. დაღრღნა, დაკბინა პური გიჟმა და დაკრუნჩხულმა საშინელი ტანჯვით იქვე ქუჩაში დალია სული, რადგან საჭმელს უკვე გადაჩვეული იყო. თითქმის ყოველ ნაბიჯზე შიმშილის უბედურ მსხვერპლთ ხვდებოდნენ. თითქოს ტანჯვა სახლში ვეღარ აუტანიათო, ბევრი ქუჩაში გამოსულიყო: იქნება მასაზრდოებელი რამ ჰაერმა მაინც მოგვივლინო-

სო. ერთი სახლის კართან ბებერი დედაკაცი მიმჯდარიყო, მაგრამ ვერავინ შეატყობდა – ეძინა, მომკვდარიყო თუ თავდავიწყებას მისცემოდა; სმენით სრულიად აღარა ესმოდა რა და ვეღარას ხედავდა. ჩაეკიდა თავი და იჯდა უძრავად. მეორე სახლის ჩარდახიდან თოკი იყო ჩამოშვებული და ზედ ჩამომხრჩვალ კაცის ჩამომჭკნარი გვამი ეკიდა: საბრალოს შიმშილით ტანჯვა ვეღარ აეტანა და თვითმკვლელობა ემჯობინებინა. შიმშილობის ასეთი საზარლობა რომ ნახა, ვეღარ მოითმინა ანდრიმ და დაეკითხა თათრის ქალს:

– ნუთუ ვეღარაფრით მოახერხეთ თავის გატანა? კაცს რომ მეტისმეტად გაუჭირდება, ყველაფერი უნდა ჭამოს, რასაც წინათ იზიზღებდა, – შეუძლია სჯულით აკრძალული ცხოველებიც კი ჭამოს; ერთი სიტყვით, ყველაფერი გამოიყენოს საზრდოდ.

– ყველაფერი შევჭამეთ, – უპასუხა თათრის ქალმა, – ვერაფერ ცხოველს, ვერც ცხენს, ვერც ძაღლს, ვერც თავგს აქ ვეღარ იპოვით“.

ასეთსავე საზარელ მდგომარეობაშია ანდრის სატრფოს ოჯახიც.

ერთი მხრივ, ამ მძიმე მდგომარეობამ და მეორე მხრივ, პოლონელი ქალის სიყვარულმა ანდრი დააბნია. თავგზადაკარგულმა ჭაბუკმა საბედისწერო ნაბიჯი გადადგა: თავისიანების წინააღმდეგ აღმართა მახვილი.

ტარას ბუღბას კი არაფრის მხედველობაში მიღება არ სურს – არც იმის, რომ კაზაკები თავად იყვნენ თავდამსხმელნი, არც იმის, რომ ქალაქი საშიშროლოდ გაწირეს და იქ ჯოჯოხეთური პირობები შექმნეს, არც იმისა, რომ ანდრიმ დამშეული ადამიანები იხსნა.

ანდრი თავისი საქციელით უფრო კეთილშობილია, ვიდრე ტარასი. ტარასისათვის სრულიად უცნობია ადამიანის სამშვინველის რთული მოძრაობა. იგი კაზაკობის ბრმა ერთგულია და სხვისგანაც ამას მოითხოვს. ტარასის სჯერა, რომ, ვინც ამ ერთგულებას უღალატებს, იგი სიკვდილის ღირსია. შვილსაც ამიტომ კლავს.

არც მატეო ფალკონე უწევს ანგარიშს გარემოებას. მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ფორტუნატო ბავშვია, რომ ბალღი იოლად გააბრიყვა გამოცდილმა და გაქნილმა ჟანდარმმა. არც შვილის ვედრებამ იმოქმედა მატეო ფალკონეზე. მან სრულიად მშვიდად მოკლა ფორტუნატო და ასევე აუღელვებლად უთხრა ცოლს – „...ახლავე დავასაფლავებ, მოკვდა, როგორც ქრისტიანი, მღვდელს ვაწირვინებ. ჩვენს სიძეს ტეოდორო ბინკის უნდა შევუთვალოთ, ჩვენთან გადმოვიდეს საცხოვრებლად“ (გ.ქიქოძის თარგმანი).

შვილის მოკვლა მამის მიერ, რა პირობებშიც უნდა მოხდეს ეს, ანტიბუნებრივი მოვლენაა. ამგვარი პათოლოგიური შემთხვევა აღწერეს გოგოლმა, პროსპერ მერიმემ, ალ.ყაზბეგმა. თუმცა ყაზბეგი უფრო დამაჯერებლად ხატავს მამის მიერ შვილის მკვლელობის სურათს. ჯერ ერთი, ხევსბერი აფექტის დროს კლავს ონისეს. ე.ი. გოჩას საქციელი არაცნობიერია. ტარას ბუღბასა და მატეო ფალკონეს ქმედება კი ცნობიერია. ისინი ამას წინასწარმოფიქრებულად აკეთებენ. მეორეც, როგორც კი ხევსბერმა გააცნობიერა, რაც ჩაიდინა, იგი გაგიჟდა.

ბუნებრივია, ჩადენილი აქტის სიველურე თავზარდამცემია და ვერც ერთი ნორმალური გონება ვერ გაუძლებს მას.

თუ ზნეობრიობის თვალსაზრისით შევხედავთ ალ.ყაზბეგის, გოგოლის, პროსპერ მერიმეს აღწერილ შემთხვევებს, უნდა ვთქვათ, რომ არ არსებობს უფრო დიდი უზნეობა, ვიდრე მამის მიერ შვილის მოკვლაა (ან შვილის მიერ მამის მოკვლა). მაგრამ ხვესბერმა გოჩამ ზღო ეს დანაშაული, გამოწვეული ელდის დაცემით. მან გონება დაკარგა, თავადვე შეიქმნა თავისივე საქციელის მსხვერპლი. ტარას ბულბასა და მატეო ფალკონეს სულიერ სამყაროში შვილებისადმი თანაგრძნობის მისხალიც კი არ აღმოჩნდა.

ძველი აღთქმის დაბადების წიგნში (თავი 22) ნაამბობია: აბრაამს გამოეცხადა ღმერთი და უთხრა – წაიყვანე შვილი შენი ისააკი მაღალ ქვეყანას და შესწირე მსხვერპლად უფალს. ადგა ადრე დილით აბრაამი დააპო შეშა, შეკაზმა სახედარი, იახლა ორი მონა და, ისააკთან ერთად, გაემართა ღმერთის მითითებულ ადგილისაკენ. მესამე დღეს დაინახა აბრაამმა ადგილი, რომელიც უჩვენეს. იქვე დატოვა მონები და ვირი. დაუბარა მათ: წავალთ მე და ისააკი, თაყვანს ვცემთ და დავბრუნდებით, წაიღეს შეშა, ცეცხლი და დანა. ბიჭმა იკითხა – გვაქვს შეშა და ცეცხლი, მაგრამ სად არის სამსხვერპლო ცხვარი? მამამ უპასუხა: ღმერთმა თავად უწყის რომელია ტარიგი. მივიდნენ მინიშნებულ ადგილას. აბრაამმა გააკეთა საკურთხეველი, დააწყო ზედ შეშა, შეკრა ისააკი და დააწვინა სამსახვერპლოდ. აღმართა დანა შვილის დასაკლავად, მაგრამ უფლის ანგელოსმა მოუწოდა აბრაამს – ნუ მოკლავ ჭაბუკს. ვხედავ, როგორ გშინებია ღმერთის, რაკი არ შეიბრალე ერთადერთი ძეც. აღაპყრო თვალნი აბრაამმა და უკან დაინახა ვერძი, ჯაგნარში რქებით გაბმული. დაიჭირა იგი, შესწირა ღმერთს შვილის მაგიერ და უწოდა იმ ადგილს იეჰოვა-ირე, რაც ნიშნავს „უფალმა იხილა“.

ანდა ბერძნულ მითს დავაკვირდეთ.

ამბავი მაშინ მოხდა, როცა ბერძნები ტროაში მიდიოდნენ საომრად. ელინთა სარდალმა აგამემნონმა შველს ისარი ესროლა. შველი თურმე ქალღმერთ არტემიდეს ეკუთვნოდა. ატრევსის ძის თავხედობამ განარისხა ქალღმერთი. მან პირქარი მოუვლინა ბერძენთა ხომალდებსა და ტროასკენ წასვლის საშუალება მოუსპო. აგამემნონი იძულებული გახდა შევედრებოდა არტემიდეს და საშინელი ფიცი მიეცა. თუ ზურგქარს მოგვივლენ და ომშიაც დაგვეხმარები, ღვიძლ ქალიშვილს იფიგენიას შემოგწირავო ზვარაკად. მამამ ავლიდში ჩამოიტყუა შვილი დაპირებით – აქილევსს უნდა გაგაყოლოოო ცოლად. გათხოვების მაგიერ, აგამემნონმა არტემიდეს ბაგინზე გაგზავნა შვილი მსხვერპლად, მაგრამ ქალღმერთს შეებრალა უმანკო ასული და საკურთხეველზე შველით შეცვალა იგი. მერე იფიგენია ტავრიდში წაიყვანა ქალღმერთმა და ქურუმი გახადა.

სხვათა შორის, პომპეიში არსებობდა ანტიკური ფრესკო (ამჟამად ნეაპოლის ეროვნულ მუზეუმშია გადატანილი), რომელზეც ასახულია იფიგენიას ზვარაკად მიყვანა. იფიგენია ორ მონას უჭირავს ხელში და ბაგინისაკენ მიჰ-

ყავთ. მოშორებით, შვილისაკენ ზურგშექცეული დგას აგამემნონი. მას ხელი აქვს თვალზე აფარებული და სახე არ უჩანს. სპეციალისტები ამბობენ, რომ აგამემნონის ამგვარი გამოსახვა მხატვრის დიდ ნიჭიერებას მეტყველებსო. არავის ძალუძს გვიჩვენოს დამაჯერებლად მამის ტანჯვა, როცა იგი შვილის სიკვდილს უყურებს (მით უმეტეს, მკვლელობას). ამიტომ, როგორც უნდა დაეხატა მხატვარს აგამემნონის სახე, მაინც უკმარობის გრძნობას დაუტოვებდაო მაყურებელს. ახლა კი, როცა მის სახესა და თვალებს მნახველი ვერ ხედავს, თავად შეძლებისამებრ შეუძლია წარმოიდგინოს მამის ტანჯვა.

აღბათ, ამიტომ არის, რომ ყაზბეგმაც, გოგოლმაც, მერიმემაც მამების საქციელი აღწერეს, მაგრამ არ გადმოუციათ მათი სულის მოძრაობა შვილების მკვლელობის დროს. არც ერთი მათგანი არ შეეჭიდა შეუძლებელს.

დღესავით ნათელია ორივე მითის აზრი: მამის მიერ შვილის მოკვლა ღმერთისათვის არასასურველი საქციელია. არაფერს ცვლის ის გარემოება, რომ ისააკი და იფიგენია უდანაშაულონი იყვნენ. მართალია, ეს თითქოს აძლიერებს მამების უღმობელოებას, მაგრამ ახლა ხომ იმის გამო არ ვმსჯელობთ – რომელი მამა უფრო შეუბრალებელია, ის, ვინც უდანაშაულო შვილს იმეტებს მსხვერპლად, თუ ის, ვინც დამნაშავე შვილს ჰკლავს. უმთავრესად ის მიმაჩნია, რომ შვილის მოკვლით მამა არსებითად თვითმკვლელობას სჩადის, რამეთუ ანადგურებს საკუთარ მომავალს. ეს ნათლად იხატება ალ.ყაზბეგის მოთხრობაში, როცა ონისეს მოკვლის შემდეგ გოჩა გიჟდება. მართალია, „ტარას ბუღბასა“ და „მატეო ფალკონეში“ მომავლის განადგურების მოტივი უშუალოდ არ ვლინდება, მაგრამ თავისთავად იგულისხმება. ტარას ბუღბა მტრებს რომ არ დაეწვათ, სულერთია მაინც ძირამოგდებული, უმომავლო კაცია. იგი ქვეცნობიერად გრძნობს ამას, როცა ყველა ღონეს ხმარობს იხსნას მეორე შვილი. ასევეა დაქცეული მატეო ფალკონეს მომავალი. იგი იძულებულია სხვას მოუხმოს, ოჯახი რომ ჩააბაროს.

ამრიგად, მამამ, რომელმაც შვილი მოკლა, არსებითად ჩაიდინა თვითმკვლელობა (ე.ი. გაიმეორა ჰაჯი-უსუბის საქციელი), მოისპო მომავალი, დაარღვია ბუნების კანონი (მამა უნდა მოკვდეს, შვილი დარჩეს) და გაწყვიტა დროთა კავშირი.

ლიტერატურაში ამ პრობლემას ეწოდება ანტიდაბადება ან არსებობის მარადისობის დარღვევა.

აკაკი წერეთლის გამზრდელი სჯის დანაშაულს, მაგრამ არ არღვევს არსებობის მარადისობის კანონს. წარსულის სახელით არ ჰკლავს მომავალს.

თუ შვილების მიმართ ასე დაუნდობელი არიან ტარას ბუღბა და მატეო ფალკონე, როგორილა იქნება მათი დამოკიდებულება საერთოდ მოყვასისადმი?

მათ ქმედებას შეუბრალებლობა და დაუნდობლობა წარმართავს და არა სიყვარული. ორივე სრული უარყოფაა ზნეობრივი პრინციპისა – „უკეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუენმა მოგიტევნეს თქუენ შეცოდებანი თქუენნი“. უცოდველი კაცი კი ამქვეყნად არ არსებობს. გაიხსენეთ სახარების იგავი. ხალხს ერთი დედაკაცი შეეპყრო. ამ ქალს მრუშება ედე-

ბოდა ბრალად. იგი იესოს მიჰგვარეს და უთხრეს: მოძღვარო, ეს ქალი მეძავია. მოსეს სჯულის თანახმად იგი ქვით უნდა ჩაიქოლოს. რას იტყვით? იესომ თავი ჩაქინდრა. იგი თითოთ მიწაზე რაღაცას წერდა და დუმდა. მერე თავი ასწია და ხალხს უთხრა: თქვენს შორის ვინც უცოდველია, პირველად მან ესროლოს ამ დედაკაცს ქვა. და ისევ ჩაღუნა თავი. არავინ აღმოჩნდა უცოდველი. ყველა ჩუმად გაიპარა. დარჩნენ მარტონი ქრისტე და ქალი იგი. როცა იესომ ისევ ასწია თავი, მიმოიხედა და ვერავინ იხილა, ჰკითხა მან მეძავს: სადა არიან შემასმენელნი შენნი? არავინ განგიკითხა შენ? დედაკაცმა მიუგო: არავინ, უფალო. მაშინ იესომ ეს თქვა: არც მე განგიკითხავ შენ. წარვედ და ამიერიდან ნულარა სცოდავ (იოანე, VIII, 3-11).

თუ უფალიც კი ცდილობს არ განიკითხოს ცოდვილი, კაცს ვინ მისცა ამის უფლება? მაგრამ უსაზღვროა ადამიანის ამპარტავნება და მუდამ ცდილობს სხვათა მსაჯულის როლი იკისროს. ეს კი ხშირად ხდება დანაშაულის საფუძველი.

როგორც ონისეს მოკვლა არის ხევისბერის დასჯაც, ასევე იქნებოდა ჰაჯი-უსუბის დასჯაც საფარ-ბეგის მოკვლა. ამიტომაც ამჯობინა გამზრდელმა თვითმკვლელობა. აკაკი წერეთელი აქ ქრისტიანული მითის მოდელს იმეორებს. ადამიანთა ცოდვის გამოსყიდვის მიზნით მე ღმერთმა თავი გაწირა – ჯვარს ეცვა. საკუთარი სისხლითა და ხორციით ზღო სხვათა დანაშაული. ასევე საკუთარი სიცოცხლით გამოისყიდა ჰაჯი-უსუბმა საფარ-ბეგის დანაშაული. შეცდომა იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ ჰაჯი-უსუბის თვითმკვლელობა აორკეცებს საფარ-ბეგის დანაშაულს. ეს თვითმკვლელობა საფარ-ბეგის სამშვივნელის განწმენდას იწვევს. კაცი, რომელსაც დანაშაულის გაცნობიერება შეუძლია, ვერ დარჩება გულგრილი ჰაჯი-უსუბის საქციელისადმი. საფარ-ბეგს კი დანაშაულის გაცნობიერება ძალუძს. ამას მოწმობს ისიც, რომ იგი სასიკვდილოდ გამზადებული, თავდახრილი იდგა ბათუს წინაშე და ისიც, რომ გამოცხადდა გამზრდელთან და თავად უამბო ყველაფერი. ასეთი ადამიანი ჰაჯი-უსუბის სიკვდილის მერე სხვანაირად და სხვა ზნეობით იცხოვრებს. ჰაჯი-უსუბი მარტო სიცოცხლეში კი არ იყო საფარ-ბეგის მოძღვარი, არამედ –სიკვდილშიაც. მან სიკვდილით გაცილებით მეტი ასწავლა საფარ-ბეგს, ვიდრე ალბათ ცხოვრებით. წარსულმა (ბაჯი-უსუბმა) მომავალს (საფარ-ბეგს) პატიოსანი არსებობის უკვდავი გაკვეთილი მისცა.

ამ მოდელს დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ ვლინდება, რა პრინციპით ცხოვრობს ადამიანი – დანაშაულის გამოსყიდვისა თუ შურისგების? ცალკეული პიროვნება იქნება თუ მთელი საზოგადოება არ შეიძლება ცხოვრობდეს შურისგების პრინციპით. ასეთი პიროვნება და საზოგადოება უმომავლოა. დანაშაულის შენდობა-პატიებისა და გამოსყიდვის პრინციპი კი მეტყველებს მოყვასის სიყვარულზე. სიყვარულით შედუღებული საზოგადოება კი მტკიცეა და მომავალიანი.

„გამზრდელის“ პერსონაჟებისათვის პრინციპია შენდობა და დანაშაულის გამოსყიდვა. აკაკის აზრით, დანაშაულის ზნეობრივი გამოსყიდვა ადამიანს შე-

უძლია მონანიებითაც (საფარ-ბეგი), პატივითაც (ბათუ) და თვითდასჯითაც (ჰაჯი-უსუბი). შურისძიებით კი დანაშაული არ გამოისყიდება. როგორც ზემოთ ითქვა, მხოლოდ დანაშაულის ერთი სახეობა შეიცვლება მეორეთი. ამიტომ ჰაჯი-უსუბის ზნეობრივი პრინციპი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ხევისბერის, ტარას ბულბასა და მატეო ფალკონესი.

1981 წ.

ღმერთს ეწყინება

ქვეყანა ადამიანივით არის. ადამიანი ვერ გამდიდრდება მათხოვრობით, სხვისი გროშიანი მოწყალებით. ასევეა ქვეყანაც: ვერც ის შეიძენს დოვლათს სესხებით, სხვისი დახმარებით, სულერთია ვინ იქნება ეს დამხმარე – მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი, ევროპა თუ ამერიკა. გამდიდრება, დოვლათის დაგროვება მხოლოდ თავაუღებელი შრომით შეიძლება. შრომის გარდა სხვა გზა გამდიდრებისა კაცობრიობამ არ იცის. ამის მაგალითს ვერც წარსულში იპოვნით და ვერც აწმყოში.

ბახვა ფულავა ცოლს ესმას ეტრაბახება: „...ათი ათასი ქილა¹ სიმინდი დავიბევე. მოსავალს კარგი პირი არ უჩანს წლეულს. სიმინდი უნდა გაძვირდეს. ისე ვივაჭრე, რომ ბათმანი² სამ შაურად მიჯდება. ფუთში ვიგებ ხუთ შაურს. ათი ათასი ხუთი შაური იქნება ორი ათას ხუთასი მანეთი. წლეულს ესეც კმარა“. ამის გამგონე სალომე, ესმას დედა, სიძეს ალერსიანად ეუბნება: „გვეყოფა, რაც გვაქვს. მეტი ნულარ გვინდა, ღმერთს ეწყინება“.

გამდიდრება ღმერთს ეწყინება – როგორც ჩანს, ეს მარტო გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯის“ პერსონაჟის სალომეს აზრი არ უნდა იყოს. იგი ჩვენში საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებაა. ამ აზრს ქართული მწერლობაც იზიარებდა. გიორგი წერეთელიც ამ თვალსაზრისით წერს თავის რომანს.

ჯერ ერთი: გიორგი წერეთლის ირონიულ დამოკიდებულებას ბახვა ფულავასადმი პერსონაჟის გვარიც გამოხატავს: ფული – ფულავა. ამგვარ ხერხს საერთოდ იყენებს პროზაიკოსი. თავადი, რომელმაც თავის მამაპაპეულ მამულს ვერ უპატრონა, გაანიავა და გაფანტა, გვარად თავქვილაძეა. ყაჩაღის, მკვლელის, კონტრაბანდისტის იერემია წარბას ნამდვილი გვარი ფირალიძეა.

მეორეც: მუშაკაცის ცნობიერებაში ვაჭრობა, ვაჭრობით ქონების შეძენა შრომად არ არის მიჩნეული. სანამ ბახვა ესმას შეირთავდა, ქალმა მადამ სალის პარტნიორობა გადაწყვიტა. ფრანგის სამკერვალოს მენახევრე გახდა. ესმასთან სტუმრად მისულ ბახვას სალომემ სიამაყით შეატყობინა ეს ამბავი. ბახვამ შეიხხადა: „რას მელაპარაკები, სალომე?... კერვით უდროვით წელი უნდა მოიწყვიტოს, ხელები ნემსებით დაიჩხვლიტოს, თითებზე ბებერები გაუჩნდეს, უდროვით თვალების სინათლე დაიშრიტოს!... რას მეუბნები, ადამიანო!...“ ბახვას აღელვებით გაკვირვებულმა სალომემ უპასუხა ვაჭარს: „რატომ, გენაცვალე,

ბახვა! ჩვენ შრომის შვილები ვართ, შრომით უნდა დავრჩეთ“. ისეა ნათქვამი, თითქოს, ვაჭარი ბახვა ფულავა არ შრომობდა.

მესამეც: ღმერთს ეწყინება და ბახვა ფულავას გადადილღვამებული ოჯახი დაილუპა.

აბრაგსა და ავაზაკს იერემია წარბას ესმას სიყვარული ჩაუვარდა გულში. რომ ვერა გააწყო რა, ქალის მოტაცება სცადა. არც ეს გამოუვიდა. მაშინ დაბოღმილმა და გაბოროტებულმა ესმა მოკლა. მთელი ქონება და სიცოცხლე ბახვა ფულავამ სამართლის ძებნას და იერემია წარბას დასჯას შეაღია. ვერსად იპოვნა ბახვამ სამართლე და სამართალი. ყველა ცდილობდა ესარგებლა ბახვას მდგომარეობით. ფული დაეცინცლა, მისი ქონება მიეთვისებინა და საქმე კი არ გაეკეთებინა. ბახვა გაღარიბდა, გალოთდა და მაწანწალად იქცა. მაგრამ შურისძიების ცეცხლი არ ჩაქრობია გულში. საკუთარი ხელით დაკლა იერემია წარბა თავისავე ლოგინში. სამართალი კი გააჩინა, მაგრამ ბახვას მომავალი პირწმინდად დაიქცა.

ბახვა ფულავა ღარიბი და ლუტი გლეხის შვილი იყო. დიდი გაჭირვება გამოიარა, სანამ ფეხზე დადგებოდა. იგი თავისებურად სინდის-ნამუსიანი კაციც არის, მაგრამ სიმდიდრე მაინც თაღლითობით დააგროვა. ბახვა სოფლიდან ფოთელმა რუსმა ინჟინერმა წაიყვანა და შინამოსამსახურედ დაიყენა. რომ წამოიზარდა, იგი ინჟინერმა სამუშაოდ კანტორაში გადაიყვანა. ბახვას ნიჭი და ალღო აღმოაჩნდა. „ბახვა ფულავა მალე მიუხვდა ინჟინერს თავის განზრახვებს. როცა დღიურს ანგარიშს უწერდა, მუშების საანგარიშო წიგნში, დღიური მუშები ხან ოცი მუშით მეტი გამოჰყავდა, ხან ოცდაათით, ხან ორმოცით (როგორ ჰგავს ეს კომუნისტური რეჟიმის დროს და დღეს გავრცელებულ ხერხს ფულის მოპარვისას! – ა.ბ.). ყოველ შაბათობით ბახვა ადგენდა კვიტანციებს ამა-და-ამდენის მუშის ფასი ამდენი და ამდენი ფული მივიღეო; თითო კვიტანციაში იყო ხან ათი, ხან თხუთმეტი მიმატებული. ბახვა ყოველ შაბათობით წარმოადგენდა ხუთს თუ ექვს ამისთანა კვიტანციას. თითო კვიტანციაში ჰქონდა ინჟინრისაგან დანიშნული თითო მანეთი საჩუქრად, ჯამაგირის გარდა“.

ამასთან ერთად არც სხვისი გაჭირვებით სარგებლობა იყო ბახვასათვის უცხო. როცა ვიღაც პოლკოვნიკს რუსეთში დასაბრუნებლად ფული დასჭირდა, ბახვასთან ძვირფასი სამკაულები დაუგირავებია. „სამ ნივთში ბახვას უსესხებია მისთვის ოცდაათი თუმანი, თუმცა თითოეული ნივთი ღირდა ამ ფასათ“.

როგორც ხედავთ, ბახვა ფულავა არაკეთილსინდისიერი გზით აგროვებს ფულს და იძენს სიმდიდრეს.

გიორგი წერეთელს მეორე მდიდარი კაციც ჰყავს დახატული – პეტრ ივანოვი გაწერელია („გულქანი“).

პეტრ ივანოვი გაწერელია თავად რევაზ ბაკურაძის ყმაგლეხის დათია კვესაძის შვილი პეტრიელაა. პეტრიელა ასე 16-17 წლის თუ იქნებოდა, როცა ბატონთან შეხლა-შემოხლა მოუხდა.

ქართული ბატონყმობა გლეხს ბატონის მიმართ კონკრეტულად ვალდებულს ხდიდა. თუ გლეხი ვალდებული იყო ბატონისათვის ღვინის გადასახა-

დი მიერთმია, მას ბატონი ხორცის გადასახადს ვერ მოთხოვდა და ვერ გამოართმევდა. ხორცი სხვა გლახს ემართა. იგი იყო ვალდებული მიეცა ბატონისათვის ეს გადასახადი. ეს წეს-ჩვეულება წმიდათა წმიდა იყო. მას ვერც ბატონი დაარღვევდა და ვერც ყმა.

ბატონისა და ყმის ეს ურთიერთდამოკიდებულება ნათლად აქვს აღწერილი აკაკი წერეთელს „ჩემს თავგადასავალში“.

როცა რუსეთი დამკვიდრდა საქართველოში, ქართული წეს-ჩვეულება მოიშალა. გათავნებებული ბატონი როგორც მოისურვებდა, ისე იქცეოდა. ამის გამო ხშირად მომხდარა შეტაკება-შეჯახება ბატონსა და ყმას შორის, რაც არაიმვიათად უბედურებით დამთავრებულა...

პეტრიკელა კვესადესაც ძველი წეს-ჩვეულების დარღვევის გამო მოუვიდა ბატონთან უსიამოვნება. რევაზ ბაკურაძის ხაბაზი ავად გამხდარიყო. ბატონმა პეტრიკელა კვესადეს დაავალა პურის გამოცხობა. პეტრიკელამ ეს იუკადრისა: ჩემს გვარს ხაბაზობა არ მართებსო, და ბატონის დავალებაზე უარი თქვა. ახლა რევაზ ბაკურაძე განრისხდა, უარი როგორ გამიბედაო. ბატონმა პეტრიკელა დასაჯა. აგორდა მტრობა ბატონსა და ყმას შორის. იზარდა, იზარდა და ბოლოს საქმე იქამდისაც მივიდა, რომ პეტრიკელამ რევაზს ბელელ-საბძელი გადაუწვა და სოფლიდან გადაიხვეწა. სიბრაზით გონდაბნელებულმა რევაზ ბაკურაძემ ჯავრი პეტრიკელას დედასა და დაზე იყარა. ორივე დედა-შვილი, როდამიცა და გოგუცაც, გულქვაობასა და სირეგვნეს შეეწირა. პეტრიკელას ისედაც ჭირივით სძულდა რევაზ ბაკურაძე და დედისა და დის სიკვდილის მერე ხომ მთლად შურისძიების ცეცხლით აინთო.

ერთ დღეს ქალაქ ქვიანში მდიდარი ვაჭარი პეტრ ივანიჩ გაწერელია დასახლდა. იგი ძალიან დაუახლოვდა ბაკურაძეების ოჯახს. ბაკურაძეებს ხელგაშლილი ცხოვრება უყვარდათ. მართალია, ნივთიერი შესაძლებლობა ამის საშუალებას არ იძლეოდა, მაგრამ პეტრ ივანიჩ გაწერელიასაგან უხვად იღებდა სესხს და ნისიად მოჰქონდა საქონელი. არც ვაჭარი ეუბნებოდა უარს. თანდათანობით იზრდებოდა ვალი. როცა რევაზ ბაკურაძე ყელამდე ვალში ჩაფლული აღმოჩნდა, მას თავზე დაადგა პეტრ ივანიჩ გაწერელია და სასამართლოს ძალით დაისაკუთრა თავადის მთელი მამული – „სახლი თავისი ეზოთი, ვენახით, სახნავებით, ტყე-მინდვრით და საბალახოებით...“

კმაყოფილი და სიხარულით თავბრუდახვეული პეტრ ივანიჩ გაწერელია რევაზ ბაკურაძის ოდის აივანზე იდგა და ეზოში მოურავ შიუკას გადასძახოდა: მართლა გაწერელია ხომ არ გგონივარ, მე პეტრიკელა კვესადე ვარ... ხომ ვიძიე შური, ხომ დავსვი მშრალზე რევაზ ბაკურაძე!...

მოურავი შიუკა გაიქცა ქვიანში. გადატაკებულ ბატონს მოახსენა: ეს ვაჭარი პეტრ ივანიჩ გაწერელია თქვენს ყოფილი ყმა პეტრიკელა კვესადე ყოფილაო. მეხის დაცემას უფრო გაუძლებდა რევაზ ბაკურაძე, ვიდრე ამის გაგონებას. შიუკას შეევედრა: საფლავში ჯავრი არ ჩამატანო... ვაჭარი პეტრ ივანიჩ გაწერელია მოკალიო. ბატონის ერთგულმა მოურავმა სატევრით აჩეხა პეტრიკელა კვესადე.

დაილუპა ვაჭარი,
გაპარტახდა თავადის მამული და სახლ-კარი.

ამჯერადაც ღმერთს ეწყინა გამდიდრება. ვაჭრის ცხოვრება ტრაგიკულად დასრულდა.

არც პეტრ ივანიჩ გაწერელია იყო ალალმართალი გზით გამდიდრებული. ისიც ბნელ ხერხებს მიმართავდა ქონების შესაძენად. შინიდან რომ გაიქცა, ბევრი იხეტიალა პეტრიკელამ. მერე სოხუმის, ყულევის, ანაკლიის, ადღერის და სოჭის კონდრაბანდისტებს დაუახლოვდა. მაშინ „პეტრიკელა ძალიან გამოიცადა და სავაჭრო საქმეებში და ყოველი ვაჭარი, რომელიც ასალებდა კონტრაბანდას, მისი ხარჯის მძლეველი შეიქნა. ასეთი მოქმედებით პეტრიკელა მალე შეიქნა ფულიანი კაცი“. მერე კი, როგორც იცით, ქვიანში დასახლდა და მეორე გილდიის ვაჭარის სახელს გამოჰკრა ხელი.

არც პეტრ ივანიჩ გაწერელიას მიმართ არის მწერალი სიმპათიით განწყობილი. ასეთი ათვალწუნებული დამოკიდებულება ვაჭრისადმი დამახასიათებელია მე-19 საუკუნის ქართული მწერლობისათვის.

საეჭვოდ არის გამდიდრებული ეგნატე ნინოშვილის პერსონაჟი დავით დროიძეთ („სიმონა“). როგორც „ფულავაში“ ჩანს მდიდარი კაცისადმი გიორგი წერეთლის ირონია, ასევეა „დროიძეშიც“ გამოვლენილი ეგნატე ნინოშვილის გამკვილავი ღიმილი.

მართალია, ავტორი დარწმუნებით არ ამბობს, რომ დავითმა სხვისი ფული მიითვისა და ასე შეიძინაო ავლა-დიდება, მაგრამ ქარაგმულად მაინც მიაჩნებინებს, რომ იგი სუფთა კაცი არ არის.

„შთამომავლობით დროიძე გლეხი იყო, ერთის აზნაურის ნაკაცარი. ყმაწვილობისას დავით ვიღაც ნიგვზის ხეებით მოვაჭრე ბერძენთან იღგა, ჯერ მოჯამაგირედ და მერე „პრიკაშჩიკად“. შემდეგ, როცა ბერძენი თავის ქვეყანაში წავიდა, დავითმა თვითონ დაიწყო ნიგვზის ხის სყიდვა-გაყიდვა. ამბობდნენ, ვითომც ბერძენმა ფული დაუტოვა დავითს, – ხეები იყიდე ჩემს მოსვლამდე და დამახვედრეო; რადგან ბერძენი თავის ქვეყანაშივე მოკვდა, ბერძნის ფულები დავითს შერჩა და იმით გამდიდრდაო. მართალი იყო ეს, თუ არა, ამისი რა მოგახსენოთ. მართალია, ბერძენს დავითი სანდო კაცად მიაჩნდა და ამღევდა ფულს ხეების საყიდლად; ხშირად დავითს ათას მანეთობით ჰქონია ჯიბეში ბერძნის ფული და უყიდნია ბერძნისათვის ხეები სხვადასხვა სოფელში. ამას გარდა, როცა ბერძენი თავის ქვეყანაში წავიდა, დავითი ერთხანს კიდევ ბერძნის სახელით ყიდულობდა ხეებს. მხოლოდ რამდენსამე ხნის შემდეგ გაამხილა, რომ ბერძენი აღარ დაბრუნდებოდა, ყოველივე ანგარიში გაასწორა და ისე წავიდა, ხეებს საკუთრად ჩემთვის ვყიდულობო. ამის შემდეგ, რასაკვირველია, ხალხს საბუთი ჰქონდა ეთქვა – დავითს ბერძნის ფული შერჩაო. მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ დავითს თავის ჯამაგირიდან შეენახოს ფული და იმითი დაეწყოს ხეების ვაჭრობა, რომელშიაც ძლიერ გამოცდილი იყო“.

დავით დროიძე ფართო ვაჭრობას ეწევა, ჯერ ნიგვზის ხეებით და მერე სიმინდით. არც მევახშეობა ეთაკილება. ამით დიდძალი ქონება დააგროვა და

არსებითად სოფელ წაბლისერის ბატონ-პატრონი გახდა. გარეგნულად დავითს სოფლის კეთილისმყოფელის პოზა უჭრავს, მაგრამ არსებითად გლეხკაცობის მცვლეფელი და მჩაგვრელია. იგი სრულიად უსაფუძვლოდ გადაეკიდა ძალაძეების ოჯახს. სულის მოთქმის საშუალება არ მისცა. ჯერ იყო და სიმონას წვრილმანი ქურდობა დააბრალა, რის გამოც სიმონა ერთი დღე „ნაობახში“ აყურყუტეს. ეს სიმონამ დავითს არ აპატია. მათ შორის სამუდამო მტრობა ჩამოვარდა. მერე, როცა დავითს ცხენი მოპარეს, დროიძემ ისევ სიმონას დაადო ხელი. ახლა კი ხანგრძლივად, სამწელიწადნახევრით ჩასვეს სიმონა ძალაძე ციხეში. არც ეს სასჯელი იკმარა დავით დროიძემ. კიდევ ორი წლით გააგზავნინა იგი საპყრობილეში. უსამართლოდ დაატოვებინეს სიმონას უპატრონოდ ავადმყოფი დედა, ორსული ცოლი, გაუთოხნავი ყანები. ამით არ დასრულებულა ძალაძეების ოჯახის უბედურება. დავით დროიძის შვილმა ტიტკომ სიმონას ცოლი დარიკო გააუპატიურა. ქალმა გაბახება ვერ აიტანა და მდინარეში თავი დაიხრჩო.

დავით დროიძეს ყველა უსამართლობა შერჩა. რატომ! იმიტომ, რომ მდიდარია, ფული აქვს და ყველას მოსყიდვა და მოქრთამვა შეუძლია. იმ ქვეყანაში, სადაც დროიძეები ცხოვრობენ, სამართალს ვერ იპოვნი, შურისძიების აქტი თავად უნდა აღასრულო. ციხიდან გათავისუფლებული სიმონა ყაჩაღად გავარდა. დაუნდობლად გადაუხადა მან სამაგიერო დავით დროიძეს. ჯერ ორი შვილი – ტიტკო და ლევანი – მოუკლა, მერე კი, საერთოდ, უკულმა წავიდა დავით დროიძის ოჯახის საქმე. თანდათანობით დაიქცა იგი. „თითონ დავითი დაბერდა, წელში მოიხარა, ჩამოჰკნა. თავის დღეში უმუშეირი, ის ეხლა მოხუცებულობის და უძლურების დროს თავისი შრომით და თოხით ცხოვრობდა. ხვწეშა-ოხვრამი ატარებდა სიცოცხლეს“.

დავით დროიძის ცხოვრების მნახველმა ხალხმა თავისებური დასკვნა გააკეთა:

„– ძმავ, უსამართლო სიმდიდრეს ბოლო მწარე ექნებოდა, არ იცოდა? თუ უსამართლო არ იყო, საიდან გამდიდრდა? (ამ სიტყვებს დააკვირდით – ა.ბ.). ხელზე ტყავი არ მაქ ნამუშეირი და მაინც თავი ვერ ამიწევია. მას ერთი ოფლი არ გამოსდენია და სასახლე გამოჰკიმა!“

პატიოსანი შრომით გამდიდრება არ შეიძლება, თუნდაც მუშაობით ხელეზუტყავი გადაგძვრეს. ასეთია ლიანგის რწმენა.

იწანწალე ბაზარ-ბაზარ, აიტანე ყოველნაირი დამცირება, შეურაცხყოფა, მასხრადაგდება, კაპიკი კაპიკს მიაწებე, იარე ჩაუცმელ-დაუხურავმა, იმიმშილე და იმწყურვალე, არაფერი გამოგივა, ვერაფერს მიაღწევ. ქონებას ვერ დააგროვებ, სიმდიდრეს ვერ შეიძენ, თუ არ მიმართე ყალთაბანდობას, ხრიკებს, მაქინაციებს, ფანდებს, მზაკვრობასა და ვერაგობას.

„თოთხმეტი თვის განმავლობაში მშრალი პურის გარდა სხვა საქმელი და ნამეტნავად ღვინო არ მიყიდნია. არც დამხარჯვია ფული სანთელზე, საპონზე, აბანოზე, წყალზე, შეშაზე, ნახშირზე, არც ტანისამოსზე. მხოლოდ ვიყიდე საზამთროდ სალდათის ლურსმნებიანი ჩექმები და ერთი ოსური ჩოხა, ისიც ნახ-

მარი. ღამე ვიძინებდი ჩემს ქოხში. ფულს ვინახავდი ტახტის ქვეშ, თხრილი რო იყო, რომ არავის მიეგნო“, – გვიამბობს სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი. და მაინც, ლავრენტი არდაზიანის პროტაგონისტი ვერ გახდებოდა მდიდარი, ყველასაგან პატივცემული თბილელი ვაჭარი, თუ არ გამოიყენებდა ნაირნაირ ხრიკებსა და ფანდებს, ტყუილსა და მაქინაციებს. აღიარებს კიდევ ამას: „მთელი ჩემი მოქმედება ტყუილზედ იყო დაფუძნებული“.

სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი არც მოუკლავთ და არც გადატაკებულა, მაგრამ სულის ტკივილი მთელი ცხოვრება აწამებდა. თავი ცოდვილად მი-აჩნდა. შვილის, თამარის, სნეულებასაც იმ ცოდვას აბრალებდა, რომელიც მას ჰქონდა ჩადენილი, როგორც ვაჭარსა და მდიდარ კაცს. „მე მდევნიდა ცოდვა, ჩემი მტერი იყო ცოდვა, სხვა მტერი მე არ მყავდა“. გულსევდიანი შესჩივის იგი ნათლიმამას: „იმ დღიდან, როდესაც დავიწყე დიდებით ცხოვრება, ჩემს გულს ჰქენჯნიდა რაღაც განუსაზღვრელი ჭმუნვა და მე აღარა მესიამოვნებოდა-რა ქვეყანაზე“.

ღმერთს ეწყინა სოლომონ ისაკიჩის სიმდიდრე და სასჯელად სინდისის ქენჯნა და შვილის ავადმყოფობა მოუვლინა. ცხოვრების სიხარული წაართვა. ლავრენტი არდაზიანიც გამკიცხავი თვალით უყურებს მდიდარ კაცს.

სოლომონ ისაკიჩით, მილიონერს კი არადა, უბრალოდ დიჩინსაც¹კი თავისი მდგომარეობა ავკაცობით აქვს შექმნილი. გიგოლა გულიაშვილს (სოფ-რომ მაგლობლიშვილი – „წარსულიდან“) „ორი გუთნეული საქონელი ჰყავდა: მშვენიერი დარბაზი ჩადგა და ისეთი გვირგვინიანი ერდო ჩააკლავნა ზედ, რომ კაცი ყურებით ვერ გაძღებოდა; ქვიტკირის საბძელი წამოჭიმა და ზედ მოაბა დიდი თავლა...“ მაგრამ გიგოლა გულიაშვილი ალაღ-მართალი შრომით არ წამომდგარა ფეხზე. ისიც ძარცვა-გლეჯით გამდიდრდა. იგი ჯერ გზირად მუშაობდა და მერე – ჯვარისმამის მოურავად. გზირად რომ მსახურობდა, „გიგოლა გულქვად შეირბენდა, გამოიტანდა უკანასკნელ ქვაბს, წალდს, ცულს და ფოსტის ფულში გაუყიდოდა. სულს არ მოათქმევინებდა, თვალს არ დაახამხამებინებდა მეზობელს“. ჯვარისმამასთან რომ გადავიდა მოურავად, მაშინაც თავის სახლში ეზიდებოდა „ჩუმიად გადარჩუნებულს ღალასა და კულუხსა, თავის მეზობლების ნამარცვ-ნაგლეჯსა“. ამასაც არ სჯერდებოდა. „როცა ანეულის დროს ჯვარისმამის ხოდაბუნებს სერის გუთნისდედები გადმოატრიალებდნენ, გიგოლაც თავისთვის ერთს რვა-ცხრა დღის ნაჭერს მიწას წახხვნივინებდა, ჯვარისმამისავე სათესლე ხორბლით დასთესდა“.

არ შერჩა გიგოლა გულიაშვილს არმად ნაშოვნი. ჯერ სოფელი აუმხედრდა. საჯაროდ გაკიცხა. თავს ლაფი დაასხა. მერე, საკუთარი დანაშაული რომ გააცნობიერა, თავი მოიკლა.

თუ მოხმობილ ლიტერატურულ ნიმუშებს გიორგი ერისთავისა და ავქსენტო ცაგარლის კომედიებსაც დავუმატებთ, სადაც ვაჭარი, საერთოდ მდიდარი, ზენგილი კაცი, აშკარა დაცინვის საგანია, სურათი სრული და ნათელი იქნება. სიმდიდრე ზნეობრივად დასაგმობი მოვლენაა – ასეთია მთელი მე-19

საუკუნის მანძილზე ქართული მწერლობის პოზიცია. ეს შეხედულება უშუალოდ გამომდინარეობს სახარების იგავიდან.

ერთი ჭაბუკი მივიდა იესოსთან და ჰკითხა – რა სიკეთე ვქნა, რომ საუკუნო სიცოცხლე მქონდესო. იესომ მიუგო: თუ საუკუნო სიცოცხლე გსურს, დაიცავი მცნებანი და ჩამოუთვალა, რა მცნებებზე იყო ლაპარაკი. ჭაბუკს გაუხარდა: – სიყრმიდანვე ეს ყოველივე დამიცავს და რაღა მაკლია კიდევ? – თუ გინდა, რომ სრულქმნილი იყო, წადი გაყიდე, რაც გაბადია, მიეცი გლახაკთ და მოიპოვებ საუნჯეს ცაში, – უპასუხა იესომ. ეს რომ გაიგონა, ჭაბუკი ძალიან დალონდა. იგი ზენგილი იყო. გულდაწყვეტილი გაბრუნდა უკან. მაშინ იესომ მოწაფეებს ეს უთხრა: აქლემი უფრო ადვილად გამძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ცათა სასუფეველში (მათე, XIX, 16-24).

ქართული მწერლობა ამ სენტენციის ერთგული დარჩა. არისტოკრატი და რაინდი ავთანდილი მსუბუქი ირონიით უყურებს ვაჭართა შიშს, მეკობრეთაგან მოგვრილს: „თქვენ, ვაჭარნი ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი...“ საუკუნეები გაივლის და ვაჟა-ფშაველას ხმალიც გულმოკლული დაიჩვილებს:

*ებლა უშნოდ ვარ... დამკიდეს
ლაჩართ კედელზე უქმდა;
ვისლა სცალიან ჩემთვისა,
ქვეყანა იქცა დუქნადა.
გადამავდებენ გირაოდ...
და გზირ-ნაცვლების ხელითა,
ქვეყანა მხედავს მდებარეს
„არშინის“, „ჩოთქის“ გვერდითა.*

დიდი დრო გავიდა, მაგრამ ვაჭრისა და მისი ხელობისადმი ათვალწუნებული დამოკიდებულება არ შეცვლილა. არადა, რაიმე საფუძველი ამ ათვალწუნებას არ ჰქონდა, გარდა სიმდიდრის სიძულვილისა. ისტორია გვიდასტურებს, რომ ვაჭრები მხდალნი და ლაჩარნი არ ყოფილან. მარტო მარკო პოლოს გახსენებაც კმარა. იგი ვაჭარიც იყო, მეომარიც და უშიშარი მოგზაურიც. ქართული მატთანეც, სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქისა, იცნობს ამგვარი ვაჭრის სახელს. მართალია, გაკვრით და ორიოდე სიტყვით, მაგრამ მაინც იცნობს. ზანქან ზორაბაბელი იყო ის დიდვაჭარი, რომელმაც თამარის რუსი საქმრო ჩამოიყვანა. ძნელი იქნებოდა მაშინ ყივჩაღეთისა და სამხრეთ რუსეთის ავაზაკთა სათარეშოდ გადაქცეულ ტრამალებში მიმოსვლა, მაგრამ ზანქანს ამისი არ შეშინებია. სამეფო კარის დავალება პირნათლად შეასრულა.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებიც ვაჭართა სახელს უკავშირდება. ისინი არა მარტო აფინანსებდნენ მოგზაურთა ექსპედიციებს, არამედ უშუალოდაც მონაწილეობდნენ აღმოჩენებში. გეოგრაფიულ აღმოჩენებს სამი დიდი მიზანი ედო საფუძვლად: პოლიტიკური – სახელმწიფოს საზღვრების გაფართოება,

რელიგიური – კრიტიანობის გავრცელება, და **კომერციული** – ახალი ბაზრების შოვნა ყიდვა-გაყიდვისათვის.

სიმდიდრე ღმერთს ეწყინება – ეს შეგნება ღრმად ჩაიბეჭდა ქართველის ცნობიერებაში. მაგრამ ცხოვრება არ ემორჩილება ამა თუ იმ ზნეობრივ მცნებას. იგი თავის გზით მიდის. ადამიანები ვაჭრობდნენ და აგროვებდნენ სიმდიდრეს. თუმცა სახარების მუქარისაც ეშინოდათ. როგორმე გამდიდრების წყურვილისა და შიშის მორიგება უნდა მომხდარიყო. მათი დაპირისპირება-მოურჩეულობა საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლას უშლიდა ხელს. ქრისტიანობის დასავლურმა ფრთამ, რომის ეკლესიამ, შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი გამოძებნა. სამოთხესა და ჯოჯოხეთს შორის შუალედი სივრცე – სალხინებელი, ანუ განსაწმენდელი შემოიღო. ვინც სიმდიდრით ცოდვილი იყო, ინდულგენციას შეიძენდა (ლათინური ინდულგენცია ქართულად სასჯელიდან განთავისუფლებას, შეწყნარებას ნიშნავს), მისი მემკვიდრით სალხინებელში მოხვდებოდა. იქ განიწმიდებოდა და მერე სამოთხისაკენ გზა ხსნილი ჰქონდა.

ზნეობრივი გმირისათვის

ჩვენი ისტორიის საბედისწერო პერიოდებში, როცა საჭირო იყო, ზნეობრივი გმირი პატრონობდა საქართველოს. გააყოლეთ თვალი „ქართლის ცხოვრებას“ და დაინახავთ, რომ კატასტროფის წინაშე მდგარნი ყოველთვის ზნეობრივი გმირობის წყალობით გადავრჩენილვართ.

არაბთაგან დამარცხებული და დამონებული ქართველები „შიშითა განილევინა და ირყევინა, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“. ქვეყანა გადავარებულია: „რომელნიმე მძლავრობით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკუვარებით“. ამ დროს გამოჩნდა ყმაწვილი კაცი, რომელმაც არაფრით დათმო ერთხელ აღიარებული რწმენა და მთელ ერს უჩვენა, როგორ უნდა სულიერი ღირსებისათვის ბრძოლა. ჰაბოს ამ ზნეობრივი გმირობის მნიშვნელობა ზუსტად შეაფასეს სამოელ კათალიკოსმა და მწერალმა იოანე საბანის ძემ. ჰაბოს საქციელი საზოგადოების ყველა ფენას უნერგავდა მხნეობას, სულიერად აკაჟებდა.

როგორც ცნობილია, თბილელეებმა ჰაბოს გადარჩენილი ძვლები აკრიფეს, ცხვრის ტყავში გაახვიეს და, ხიდის თავში აღმართულ პატიოსანი ჯვრის ახლოს, მტკვარში ჩაყარეს. მერე ამ ადგილას ნიში გააკეთეს. 12 საუკუნე იდგა იგი და რატომღაც მეტეხის ახალი ხიდის მშენებლობისას დავანგრით. თუმცა მისი დანგრევის აუცილებლობა არ არსებობდა. ამით არა მარტო ძვირფასი ისტორიული რელიქვია გავაქრეთ, არამედ ზნეობრივი გმირობის წინაშეც ჩავიდინეთ დანაშაული. ჰაბო რიგითი ქრისტიანი წამებული კი არ იყო, არამედ პიროვნება, ვინც ხალხს ისტორიული ცხოვრების უმძიმეს დროს სიმტკიცისა და უდრეკობის მაგალითი უჩვენა. ჰაბომ ჩვენი ეროვნული თვითმყოფლობის გადარჩენად არანაკლები როლი შეასრულა, ვიდრე არაბთა წინააღმდეგ მებრძოლმა ქართულმა არმიებმა.

აღსანიშნავია, რომ წარსულის ზნეობრივ გმირობას იგი ივიწყებს, ვისაც აწმყოს წინაშე არსებული ზნეობრივი მოვალეობა ვერ გაუთვალისწინებია.

ახალი ქართული ლიტერატურაც დაინტერესდა ჰაბოს პიროვნებით. გიორგი შატბერაშვილმა ისტორიული რომანის „აბოს წამების“ წერა დაიწყო, მაგრამ, საუბედუროდ, არ დასცალდა. გიორგი შატბერაშვილი ისე განვიდა იმსოფლად, რომ რომანის დასრულება ვერ მოასწრო. ასე წაგვერთვა საშუალება გვენახა, როგორ შეხედავდა დღევანდელი ქართული მწერლობა წარსულის ამ ზნეობრივ გმირობას.

როცა არაბთა ბატონობა თანდათან შესუსტდა და ქართულმა სამეფო-სამთავროებმა თვალში გამოიხედეს, საქართველოს ერთიანობის აღდგენის საათმაც დარეკა. ბაგრატ მესამე წინამძღვრობდა ამ საქმეს. მაგრამ მაშინ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა კიდევ ერთი კაცი, რომელმაც ფეოდალური ეპოქისათვის გაუგონარი უანგარობა და ეროვნული შეგნება გამოაჟღავნა. ამ კაცს ივანე მარუშის-ძე ერქვა. იგი ქართლის ერისთავი იყო. მან, ქართლის თავისუფალმა ერისთავმა, საქართველოს ერთიანობის სახელით, უარი თქვა დამოუკიდებლობაზე და ქართლი ბაგრატს გადასცა. მერე მეფეს მხარში ამოუდგა და წმიდათაწმიდა ეროვნული მისიის ასრულებაში უშველა. როგორ არ ჰგავს ეს ქვაბულიძეების, ბალვივაშების, ვარდანიძეების და სხვათა საქციელს, ვინაც საქართველოს ეროვნულ ინტერესებს საკუთარი ბატონობის გამტკიცებას სწირავდა. არც სისხლს, არც ნგრევას, არც შიშშილს არას დაგიდევდნენ, ოღონდ პირადი სარგებელი ენახათ. დღეს ივანე მარუშის-ძეს მარტო ისტორიკოსები იცნობენ. ფართო საზოგადოებისათვის იგი სრულიად უცნობია. ცხადია, მწერლობა ერთბაშად ყველაფერს ვერ აღწერს. თანდათანობით გამოსწორდება ხარვეზები. მაგრამ ივანე მარუშის-ძის დავიწყება მაინც გაუმართლებელი და უპატიებელია. მით უმეტეს, რომ წარსულმა და აწმყომ თანაბრად დაგვარწმუნეს – ჩვენში, კარიერიზმისა და ანგარების თვალსაზრისით, ბალვივაშებს მეტი მიმდევარი და თაყვანისმცემელი აღმოაჩნდა, ვიდრე ივანე მარუშის-ძეს. ამიტომ წარსულში გამოჩენილი ზნეობრივი უანგარობა და კეთილშობილება დღესაც გაკვეთილად ივარგებდა.

ისტორიის გრძელსა და ოღროჩოღრო გზაზე საქართველო ბევრჯერ დაცემულა. მეცამეტე საუკუნეშიაც წაიქცა იგი. მონღოლთაგან ძლეული დიდხანს იყო ბრძოლის უნარწარმეული. თუ მას ბრძოლის უნარიც დაუბრუნდა, სულიერი მხნეობაც შეინარჩუნა და ბოლოს თავისუფლებაც დაიბრუნა, ეს ცოტნე დადიანის ზნეობრივი გმირობის წყალობითაც მოხდა.

ცოტნე დადიანს მონღოლებმა უზარმაზარი მამული არგუნეს: მთელი ლიხთიმირი საქართველო მას და რაჭის ერისთავს მისცეს. სრულიად უდრტვინველად შეეძლო სადმე ხობში ან მარტვილში მჯდარიყო და მშვიდად დაელამებინა თავისი წუთისოფელი პატივცემულს, განდიდებულს და გამდიდრებულს. მაგრამ კეთილ მონობას ბრძოლა არჩია. კოხტასთავის შეთქმულებაში მიიღო მონაწილეობა. გარნა, როცა შეთქმულება გაყიდეს და ხმლის ძალა გაცუდდა, ცოტნე დადიანმა ისეთი რამ ჩაიდინა, რომ აგერ ბარე შვიდი საუკუნეა,

მადლიერი საქართველო მოწიწებით ხრის თავს მის წინაშე. რკინის ჯვართან მისულმა ღალატის ამბავი შეიტყო. ლაშქარი შინ გააბრუნა, ორი კაცის თანხლებით ანისს გაემგზავრა ჩარმადან ნოინთან. ანისს მისულმა შემზარავი სურათი ნახა: ქართველი დიდებულები გაშიშვლებულნი და მხრებგაკრულნი ქალაქის მოედანზე, თავარა მზის გულზე ეყარნენ. უშქი და უშტარი მწერი ეხვია მათ და უზომოდ იტანჯებოდნენ. ეს თავის სიკვდილად და სირცხვილად შერაცხა. ტანთ გაიხადა და შიშველი მეგობრებს გვერდით მიუწვა. ამის მნახველი მონღოლები განცვიფრდნენ. ქართველთა სიქველე იწამეს და ტყვეები გაათავისუფლეს. გამარჯვებულს დამარცხებულმა სულის სისპეტაკითა და სიდიადით აჯობა. „უფროს ამისა სიყვარული არა არს, რათა დადვას კაცმან სული თვისი მოყუასისა თვისისათვისო“, დასძენს ჟამთააღმწერელი. ეს ზნეობრივი იდეალი ცოტნე დადიანისათვის ცარიელი სიტყვა კი არ იყო, არამედ ნაღდი საქმე. ეს იდეალი დღესაც იდეალად რჩება, ოღონდ ცოტნეს მასშტაბის განმხორციელებელი სჭირდება. სულმდაბალი კაცუნების ხელში კი ისე მოხდება, როგორც ილია ამბობს:

*„მერე როცა ეგ ჩურჩული
შეგვიტყვეს თუ შეგვამჩნიეს,
როცა ცხვრისა ფარასავით
მოგვკრიბეს და შეგვამწყვდიეს, –
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
– ფერმიხდილნი ბეზლობაში
ერთმანეთს ვეჯიბრებოდით“.*

არც ცოტნე დადიანის ზნეობრივი გმირობა გამორჩენია ქართულ მწერლობას. ამის დასტურია აკაკის „ნათელა“ და გრ.აბაშიძის ახალი რომანი.

ისტორია გვიდასტურებს, რომ გაჭირვება ერის საუკეთესო სულიერ თვისებებს ავლენს. ალბათ ამიტომ მონღოლთა ბატონობის ეპოქაში ცოტნე დადიანს მეორე ზნეობრივი გმირიც ამოუდგა გვერდით დემეტრე თავდადებულის სახით.

1288 წელს მონღოლთა ყაენის არღუნის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება გამომჟღავნდა. შეთქმულების თავკაცობა პირველ ვაზირს ბულა ნოინს დაბრალდა. ბულა სიკვდილით დასაჯეს. მისი ოჯახი, ახლობლები და მეგობრები უწყალოდ გაჟუჟეს. ბულა ნოინს დემეტრე მეორეც მეგობრობდა. ისიც შეთქმულად მიიჩნიეს. დემეტრე არღუნ ყაენმა დაიბარა. მეფეს მონღოლთა ყაენის კარზე გარდაუვალი სიკვდილი ელოდა: „უკეთუ წარვიდე ყაენის წინაშე, დასტურობით უწყი, მომკლავს“, უთქვამს თავად ხელმწიფეს. მიუხედავად ამისა, დემეტრემ მაინც გადაწყვიტა წასვლა. იცოდა, თუ თავად არ წავიდოდა, მართალია, გადარჩებოდა, მაგრამ მონღოლები საქართველოს უეჭველად მოთხრიდნენ. „რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთვის მრავალი სული მოკუდეს და მე ტვირთ-მძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისაგან“, მიუგია მეფეს დარბაზის ერისათვის, როცა ეპისკოპოსებს, მოძღვრებსა და მთავართ

ურჩევიათ, ნუ წახვალთ, მთიანეთს შეაფარეთო თავი. „მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისათვის ჩემისა“, უბრძანებია ხელმწიფეს და ურდოს გამგზავრებულა.

1289 წლის 12 მარტს დემეტრე მეორეს თავი მოჰკვეთეს. საქართველო აოხრებას გადარჩა.

არა მარტო ხელისუფლებას, არა მარტო ღირსებას და კეთილდღეობას, არამედ სიცოცხლესაც თმობს მეფე იმისათვის, რომ მისი სამეფოს უკანასკნელმა მეჯინებემ ან კირითხურომ მშვიდად იძინოს და არაფერი ემუქრებოდეს.

ქართულმა მწერლობამ ორჯერ სცადა დემეტრეს სულში ჩახედვა. ერთხელ მე-19 საუკუნეში, როცა ილიას პოემა „დიმიტრი თავდადებული“ დაიწერა და მეორედ ახლა, როცა პოლიკარპე კაკაბაძის ტრაგედია „მეფე დემეტრე მეორე“ შეიქმნა.

რა ძალა ჰქონდა ჰაბოს, ცოტნე დადიანისა თუ დემეტრე მეორის ზნეობრივ იდეალს, კარგად დასტურდება ქეთევან დედოფლის ცხოვრებითაც.

1624 წელს შაჰ-აბას პირველმა აწამა აშოთან მუხრანბატონის ასული, დავით მეფის თანამეცხედრე, დედა თეიმურაზ პირველისა ქეთევან.

მერე ერთგულმა ყმებმა მისი სხეულის ნაფლეთები საქართველოში ჩამოიტანეს და ალავერდის წმინდა გიორგის ტაძრის ტრაპეზქვეშ დაფლეს. მისი მოხსენიების დღედ დაწესებულია 13 სექტემბერი (ახალი სტილით 28 სექტემბერი).

რა არის ქეთევან დედოფლის საქციელი – მართლმორწმუნე ქრისტიანის ფანატიზმი თუ ერის წინაშე პასუხისმგებლობის შეგნება? პასუხი ერთია: ერის წინაშე პასუხისმგებლობის შეგნება. საზოგადოება, რომელსაც არ ყავს ქეთევანის მსგავსი პიროვნება, იშლება. გარეგნულად შეიძლება მას ჰქონდეს საზოგადოების ფორმა შენარჩუნებული, მაგრამ შინაგანად იგი ფუყე, ცარიელი და დაშლილია. ზნეობრივი კრიტერიუმები გამქრალია. ქეთევანის მსგავსი პიროვნება კი საზოგადოებას ამაღლებს, სულიერად ასპეტაკებს. უკიდურესად ზნედაცემული კაციც კი მოწიწებით შესცქერის მსხვერპლს. ზვარაკი იწვევს კათარზისს. თავის მხრივ კათარზისი საზოგადოების შემაკავშირებელი ფაქტორი ხდება.

განა ქეთევანს არ შეეძლო რჯულის შეცვლას დათანხმებოდა? საკმარისი იყო ერთი „ჰოც“ და სამშობლოში ისევ დედოფლად დაბრუნდებოდა. ახლობელიც და შორეულიც ბევრი ჰყავდა მაგალითის მიმცემი. მაჰმად-ყული-ხანისა თუ იმამ-ყული-ხანის სახელებით ისინი სვებედნიერად ცხოვრობდნენ. მათ კეთილდღეობას არც შინაური და არც გარეშე არ ემუქრებოდა. მაგრამ ერი იხრწნებოდა და შველა იყო საჭირო. ამ მშველელი მსხვერპლის როლი იკისრა ქეთევანმა ქვეყნის გადარჩენის მიზნით. როცა ერს ბრძოლისათვის ფიზიკური ძალა გამოეღევა, არსებობას ზნეობრივი ძალით ინარჩუნებს. შაჰ-აბას პირველის დროს საქართველოს უკვე აღარ ყოფნიდა ფიზიკური ძალა თავდასაცავად. ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა. ამ დროს ქეთევან დედოფალმა ერს ზნეობრივი ძალა ჩაუნერგა. ხელთ მისცა იარაღი, რითაც შეიძლებოდა გადარ-

ჩენა. ასეც მოხდა: ქეთევან წამებულის სისხლით შედუღებულმა ქართველმა ხალხმა კრიზისს გაუძლო.

ქეთევან დედოფალი ქართულ მწერლობას უყურადღებოდ არ დარჩენია. ჯერ კიდევ ღვიძლმა შვილმა თეიმურაზ პირველმა უძღვნა პოემა. მერე სხვებმაც. ჩვენს დროში ქეთევან ირემამე წერდა რომანს. სამწუხაროდ, არც მას დასცალდა ამ რომანის დასრულება. ხოლო სულ ახლახან გივი მალულარიამ გამოაქვეყნა მოთხრობა „და განიყვეს სამოსელი მისი“.

როგორც ხედავთ, ზოგიერთი ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტი გავიხსენეთ. ამ გახსენებას მიმოხილვის მიზანი არ ჰქონდა. აქ ბევრი რამ არის გამოტოვებული, რაც მიმოხილვას არ შეჰფერის. მიზანი იყო კიდევ ერთხელ მეთქვა შემდეგი: 1. საქართველოს ისტორია სავსეა ზნეობრივი გმირობით. 2. ქართული მწერლობა ყოველთვის სათანადო ყურადღებით ეპყრობოდა მას (იოანე საბანის ძე, თეიმურაზ პირველი და სხვანი). 3. როცა თანადროულობა არ შობდა ზნეობრივ გმირს, მწერლობა მიმართავდა წარსულს (ილია მიუბრუნდა დემეტრე მეორეს, აკაკი – ცოტნე დადიანს და ა.შ.). 4. დღევანდელმა ქართველმა ლიტერატურამაც ისტორიას მიმართა. ამის ზოგიერთი ნიმუში მოვიხსენიე კიდევ.

მაგრამ აქ ერთი სერიოზული საკითხი წამოიჭრება: მხოლოდ ისტორიით ცხოვრება არ შეიძლება. განსაკუთრებით ზნეობრივი თვალსაზრისით. ყოველ დროს თავისი ზნეობრივი გმირი სჭირდება – ან ნამდვილი ან შეთხზული. ასეც ხდება, როცა ნამდვილი არ არის, მწერლობა იგონებს მას. გამოგონილი პერსონაჟი ემოციურად და ზნეობრივად რეალურზე ნაკლებ ზეგავლენას არ ახდენს მკითხველ საზოგადოებაზე. ამის მკაფიო ნიმუშია ვიქტორ ჰიუგოს პერსონაჟები. ამ კატეგორიას ეკუთვნის აკაკის „გამზრდელიც“.

სამწუხაროდ, აკაკის „გამზრდელის“ ზნეობრივი ღირებულება ქართულ ლიტერატურათმცოდნეობასა და კრიტიკას შესაფერისად არ დაუფასებია. მიუხედავად იმისა, რომ მასზე ბევრია დაწერილი. შესადარებლად მარტო ის რად ღირს, რომ ვერც ალ. ყაზბეგის ხევისბერი გოჩა, ვერც პროსპერ მერიმეს მატეო ფალკონე, ვერც ნ. გოგოლის ტარას ბულბა ვერ ამაღლდნენ ჰაჯი-უსუფამდე. არცერთ მათგანს არ ეყო ძალა შვილების დანაშაულის მიზეზი საკუთარ თავში ეპოვნათ. თავისმართლება ყველას შეუძლია, სხვისი გასამართლება – მით უმეტეს. დანაშაულის აღიარებაც შედარებით იოლი საქმეა, მაგრამ სხვისი დანაშაულის მიზეზის საკუთარ თავში პოვნა და სხვისი დანაშაულის საკუთარი სისხლით გამოსყიდვა კი ღვთაებრივ ძალას მოითხოვს. ეს ძალა აქვს აკაკის ჰაჯი-უსუფს. ამით იგი უზომოდ მნიშვნელოვანია.

ახლა გახედეთ მეხსიერების თვალთ დღევანდელ ლიტერატურას და თქვით, ვის დააყენებდით ჰაჯი-უსუფის გვერდით? ვერავის. თუმცა ეს უარყოფითი პასუხი არ ნიშნავს იმას, რომ დღეს არ გვქონია ცდა ზნეობრივი გმირის დახატვისა. მაგალითად, ნოდარ წულუისკირის გიორგი კალანდარიას („თუთარჩელა“) აქვს ზნეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა. ამის გამო ეძებს იგი

თავისთავში ანინასა და გვაჩის დანაშაულის მიზეზს. ამიტომ ცდილობს თვით-გვემით მიაღწიოს როგორც საკუთარ, ისე მოყვასის – ანინასა და გვაჩის – განწმენდას.

ელიშერ ყიფიანის ზაალ ანჯაფარიძეც („ცაში ასროლილი ქუდები“) გრძნობს პასუხისმგებლობას სხვისი დანაშაულის გამო. იგი აღელვებული ფიქრობს: „დღეს ბავშვმა ეს (თვითმკვლელობა – ა.ბ.) არ უნდა ჩაიდინოს. როცა მე ვცხოვრობ ამ მიწაზე და დავდივარ ამ ქალაქში, ბავშვს ეს აზრად არ უნდა მოუვიდეს, თითქოს მაშინ მე ვიქნები დამნაშავე“. მაგრამ ეს მაინც უკმარია. უკმარია რაოდენობის თვალსაზრისითაც და მასშტაბურობითაც.

ქართული კრიტიკა ხშირად წერს და ითხოვს, შრომისა და ბრძოლის გმირები უნდა ასახოსო სიტყვაკაზმულმა ლიტერატურამ. მართალი და აუცილებელი მოთხოვნაა, მაგრამ რატომღაც უყურადღებოდ ვტოვებთ გმირობის კიდევ ერთ სახეობას – ზნეობრივ გმირობას. განა იგი უფრო მნიშვნელოვანი არ არის? უფრო მნიშვნელოვანიც არის და ძნელიც.

ზნეობრივი გმირის პოზიცია ყოველთვის არ არის საზოგადოებისათვის ნათელი. უფრო მეტიც, ძალიან ხშირად ზნეობრივმა გმირმა საზოგადოების შექმნილი ცრუ მორალი უნდა დაარღვიოს და ერთხელ გაბატონებული ეთიკური კატეგორიები ძირეულად შეცვალოს. სამწუხაროდ, საზოგადოებას შეჩვეული ჭირი ურჩევნია შეუჩვეველ ლხინს. ზნეობრივი გმირი კი ყოველთვის შეუჩვეველი ლხინის მედროშეა. ეს ბადებს წინააღმდეგობას საზოგადოებასა და ზნეობრივ გმირს შორის. ამ კონფლიქტის გამო ხშირად ზნეობრივ გმირს მტრობს იგი, ვისი კეთილდღეობისთვისაც იბრძოდა (გაიხსენეთ შეძახილი – „ჯუარს-ეცუნ, ჯუარს-ეცუნ!“). თუ ბრძოლის გმირი ყოველთვის შარავანდით მოსილი იღუპება, ზნეობრივი გმირი ხშირად შერცხვენილი და შეგინებული ტოვებს ასპარეზს. მერე წლები სჭირდება ზნეობრივი გმირის სისპეტაკის გამოვლენას. ერთია, სიამაყით თავაწეული სიკვდილი და მეორეა, თავლაფდასხმული (მით უმეტეს, უსამართლოდ) სიკვდილი. პირველი ბევრად იოლია მეორეზე. ასეთ წინააღმდეგობებში გახვეული ზნეობრივი გმირის ფსიქოლოგიური მდგომარეობა მეტად მძიმეა. ამის დაძლევა მხოლოდ რჩეულ სულებს შეუძლიათ. ამიტომაც არიან ზნეობრივი გმირები იშვიათნი.

როცა ბოლოს და ბოლოს ფარდა აიხდება და ეს რჩეული სული გამოვლინდება, საზოგადოება კეთილშობილდება. მწერლობის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანათაგანი კი სწორედ ერის გაკეთილშობილებაა. ამისათვის არის აუცილებელი ზნეობრივი გმირი.

1973 წ.

საით?

„ხელოვნებაში სულ უფრო მძლავრობს ირონიული ჟღერადობა, რაც საფუძველს აცლის რომანტიზმის მაღალ პოეტიკას, ტრადიციის ძალით ეგზოტ განმტკიცებულს.

ირონიის სული განსაკუთრებული სიციხადით ლირიკაში იგრძნობა. „ზემთაგონებული“ პოეტის, მგოსნის გვერდით ადგილს იკავებს პოეტი-არლეკინი, რომელიც თავგამოდებით იბრძვის თავისი უფლებების გამართლებისა და განმტკიცებისათვის. პოეტს თითქოს მოსწყინდა სიტყვათა მაგიის ძიება და ახლა მთელი გატაცებით „თამაშობს“, იცინის და გვაცინებს, იმ ღრმა რწმენით აღსავსე, რომ ჭეშმარიტება სილამაზეში კი არა, – სიცილშია. ჰამლეტს მეტისმეტად გაუჭიანურდა „ყოფნა-არყოფნის“ დილემის გადაწყვეტა და სცენა დატოვა. მისი ადგილი ხუმარამ დაიკავა, რომელიც „ბრძენისაგან“ ერთი ნიშნით განსხვავდება – ჭეშმარიტებას სიცილით ამბობს“.

ასე წერდა ირაკლი კენჭოშვილი წერილში „ჭეშმარიტება სიცილშია“ („ლიტერატურული გაზეთი“, 1981 წ. 25 დეკემბერი).

ფაქტის კონსტატაციას ვიზიარებ და სადავო არაფერი მაქვს, მაგრამ ერთი კითხვა მაწუხებს და მაშინებს – როგორი ჭეშმარიტებაა სიცილში?

პასუხად ერთი აღმოსავლური თქმულება მახსენდება.

რომელიღაც დამპყრობელს, მგონი თემურ-ლენგს, სოფელში ხარკის ასაკრევად ჩაფრები გაუგზავნია. იმათაც დავალება ზუსტად შეუსრულებიათ და ნამარცვ-ნადავლით დატვირთული მზრძანებელთან გამოცხადებულან.

– როცა სოფელს ტოვებდით, იქაურები რას შვრებოდნენ? – უკითხავს ხელმწიფეს.

– სოფლელები ტიროდნენო, – მიუგიათ ჩაფრებს.

–ოოო, ეს იმის ნიშანია, რომ სოფელში კიდევ დარჩენიათ საყოლელი და საქონელი. ახლავე უკან გაბრუნდით და, რაც გადაუმაღავთ, წაართვით და მომიტანეთო, – უბრძანებია უკმაყოფილო დამპყრობელს.

ისევ შესევიან ჩაფრები სოფელს. ისევ გაუძარცვავთ იქაურობა. ახალი ალაფით დახუნძლული მობრუნებულან უკან.

– ახლა რაღას აკეთებდნენო?

– ისევ ტიროდნენო...

– მაინც ვერ გაგიყვლევიათ ბოლომდე. ისევ შერჩენიათ ქონება. მოძებნეთ ის გადანახული და მომართვითო... – განრისხებულა კოჭლი თემური.

მესამედ მიბრუნებულან ჩაფრები სოფელში. ძირის ძირამდე მოუჩხრეკიათ კუთხე-კუნჭული. ძაფიც აღარ დაუტოვებიათ, ყველაფერი წამოულიათ.

– როგორ არიან, რას შვრებიანო, – დაინტერესებულა მზრძანებელი.

– მთელი სოფელი სიცილით კვდებოდაო, – უპასუხებიათ გაკვირვებულ ჩაფრებს.

– მაშასადამე, ახლა მართლაც აღარაფერი შერჩენიათ, კუდის რიკამდე გავიტყავებიათო, – უთქვამს უკმაყოფილო დამპყრობელს და ჩაფრები მეოთხედ აღარ შეუგზავნია სოფელში.

ამ ბრძნული თქმულებიდან ერთი ფრიად დამაფიქრებელი დასკვნა გამოდის – სიცილით სასოწარკვეთილი ჭეშმარიტება ითქმის.

რა თქმა უნდა, არის სხვაგვარი სიცილიც. კოლა ბრონიონისა და ბათა ქექიას სიცილი. რწმენა – „ისევ ცოცხალია მშაკაცი!“ – სიმტკიცითა და იმედით გავსებს. მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ არათუ არლეკინებს, არამედ არც კოლა ბრონიონებს და არც ბათა ქექიებს საზოგადოება წინ არ უტარებიათ. საზოგადოება ვერ შეჩერდება. იგი განუწყვეტლივ წინ უნდა მოძრაობდეს. ასეთია არსებობის ურყევი კანონი. ამას კი ახორციელებს ის ჭეშმარიტება, რომელსაც ბრძენი ამბობს და არა ის, რომელიც მასხარას უთქვამს. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ საზოგადოება თავის ჭკუაზე ხშირად აუცეკვებიათ ტირანებს, რომელთაც ხუმარები აცინებდნენ და ართობდნენ თავიანთი „ჭეშმარიტებით“. ამიტომ ძალიან საშიშია თუ ჰამლეტმა სცენა დატოვა და ადგილი არლეკინს დაუთმო. 20-იან წლებში გახარებული პეტრე სამსონიძე მეგობარ პოეტს მიმართავდა:

ჩემო იონა, მოწოდება ჩვენი დიდია!..

გავსწიოთ წინ და საქართველოს ცეცხლის პლაკატებს,

პოეზიაში ჩვენ გამოვჭრით და გავაკეთებთ...

ხედავ ჰამლეტებს? სამარეში როგორ მიდიან?!!

როგორც ჩანს, პ.სამსონიძემ არ იცოდა, რომ როცა ჰამლეტები წავლენ, მაშინ არამზადები მოვლენ. ჭეშმარიტების, კეთილის, პატიოსნების მაძიებელი კაცის ადგილს ქურდი, მექრთამე, კომბინატორი, ხალტურისტი დაიჭერს. ამას ადასტურებს მუხრან მაჭავარიანის სტრიქონებიც:

უბედურება რა გინდა მეტი?! –

რომ დაიძახო – ქურდს ქუდი ეწვის!..

არ მეგულება მამღრებში ერთიც,

რომ არ იტაცოს მყის ქუდზე ხელი.

უბედურება რა გინდა მეტი?!

უბედურებას სასოწარკვეთილებით და სკეფსისით ვერ შეებრძოლები. მას იმედითა და რწმენით უნდა გაუწიო წინააღმდეგობა. მაგრამ იმედი და რწმენა არც დოლის ბაგაბუგით იზადება და არც ბუკ-ნალარის ჭყვიტინით. იგი იზადება ადამიანის სამშვინველის ტკივილის წვდომით, გაგებით, ახსნით. თუ ამ კუთხით დავაკვირდებით დღევანდელ ქართულ მწერლობას, შეუძლებელია არ შეგვემჩნია, რომ ზოგიერთ მნიშვნელოვან პრობლემას იგი ჯერჯერობით გულგრილად ეკიდება.

ყურადღება მივაპყროთ მათ შორის რამდენიმეს.

მერანი თუ სახედარი?

ვინ უწყის, რამდენი საყვედური და მწარე სიტყვა მოუსმენია რაჟდენ გვეტამეს ლექსების ციკლისათვის – ვირების მესია. დღესაც, თუ ვინმე რაიმეს იტ-

ყვის რ.გვეტადის შემოქმედებაზე, ირონიით ახსენებენ ამ ციკლს. პოეტის ახალ-გაზრდულ კოკობზიკობასა და ორიგინალურობისადმი ტრფიალს მიაწერენ ამ-გვარი ლექსების დაწერას. არადა, ამ ციკლში საინტერესო და დამაფიქრებელ მოვლენასთან გვაქვს საქმე. მას გააზრება, ახსნა და ამოცნობა სჭირდება და არა მედიდური ღიმილით გვერდის ავლა. მართალია, „ვირების მესიის“ ციკლი, პოეტური ტექნიკის თვალსაზრისით, არ ეკუთვნის ქართული პოეზიის უკეთეს ნიმუშებს, მაგრამ ახლა მისი აზრობრივი შინაარსი იპყრობს ყურადღებას და არა მხატვრული ხარისხი.

სიმბოლიზმით გატაცებულმა ქართველმა პოეტებმა არა მარტო ახალი სა-ლექსო ფორმებით გაამდიდრეს ჩვენი მწერლობა, არამედ ახალი თემებითაც და ძველის ახლებური გააზრებითაც. მართალია, ქართული მწერლობა უძვე-ლეს ქრისტიანულ ლიტერატურათა ოჯახის წევრია, მაგრამ, მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა, ბევრი თემა, დამახასიათებელი ევროპული მწერლობისათ-ვის, არ დაუმუშავებია. ამას ყურადღების მიქცევა სჭირდებოდა და ამ მიმარ-თულებით გადადგეს კიდევ გარკვეული ნაბიჯი „ცისფერყანწელებმა“ და მათ-თან დაახლოებულმა პოეტებმა. ამ კუთხით მათი შემოქმედება ჯერ კიდევ ელის დაკვირვებულ შესწავლას. რ.გვეტადის ლექსებიც ძველი თემის ახლებუ-რი გააზრების საინტერესო ნიმუშია.

საქმე ის გახლავთ, რომ, ჩემი აზრით, რ.გვეტადის „ვირების მესია“ პოლე-მიკაა ნ.ბარათაშვილის „მერანთან“. რ.გვეტადის ვირი ნ.ბარათაშვილის მერნის დაკნინებაა, დამცრობაა. ვფიქრობ, რომ არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, წინასწარ გამიზნულად, შეგნებულად გააკეთა ეს რ.გვეტადემ, თუ შემოქმედე-ბით პროცესში უნებლიეთ, თავისთავად წარმოიშვა კამათი. არსებითია ფაქტი, შედეგი, რაც „ვირების მესიის“ შექმნით მივიღეთ.

როგორც ევროპულ, ისე რუსულ ლიტერატურისმცოდნეობაში კარგად არის დადგენილი და გარკვეული, რომ ვირი, სახედარი, კარაული სიმბოლოა დამცირებისა და მორჩილების (ზოგჯერ აღორძინებისაც). იგი ამაღლებულისა და თავისუფალის, ანუ, სიმბოლურად, მერანის საპირისპიროა. სწორედ მოთ-მინების, დამცირების, მორჩილების შინაარსი აქვს სახედარს რ.გვეტადის ლექ-სებში. სხვანაირად ვერც იქნებოდა სახედრის ხატი გააზრებული. იგი უშუა-ლოდ სიმბოლისტური პოეზიით არის შთაგონებული. ამას გარეგნული ფაქ-ტიც ადასტურებს. „ვირების მესიის“ ციკლის ყველა ლექსი ცისფერყანწელები-სადმია მიძღვნილი. არც ტიცინ ტაბიძე წერდა ტყუილად – „ქართულ პოეზია-ში უთუოდ დარჩება „ვირების“ ატირება ისე, როგორც ფრანგის ჟამმის ლოცვე-ბი სამოთხეში ვირებით შესვლაზე“. მართლაც, ფრანგის ჟამმის (1868-1938) ლექსში –*Prière Pour aller au Paradis avec les anes* შვიდის განსახიერებაა. გაგახსე-ნებთ ამ ლექსის ბოლო სტრიქონებს სიტყვასიტყვით თარგმანით: ღმერთო ჩე-მო, სასაწულჰყავი, რომ ამ ვირებთან ერთად გეწვიო, რომ ანგელოსებმა მშვი-დად წამოგვიყვანონ ხშირი ნაკადულებისაკენ, სადაც ალუბლები ისე ცახცახე-ბენ, როგორც ქალწულის სხეული, რომ სულების სამყაროში, დახრილი შენს

წმინდა წყლებზე, ვემსგავსო ვირებს, რომელთაც თავიანთი მოკრძალებული და კეთილი უბრალოება სურთ მარადიული სიყვარულის სინათლეს აზიარონ.

ასეთივე მოკრძალებული, მშვიდი, წყნარი, უბრალო და კეთილი არიან ვირები რ.გვეტაძის ლექსების ციკლშიც.

*ვირების მხრებზე დაფრინავენ სერაფიმები,
ისინი უხმოდ უცქერიან საფლავზე სოსანს,
მათი საისრე წამწამები, როგორც სიმები,
თითქოს მღერიან გარინდებით უცხო ოსანას.*

სახედართა განწყობილების დასახასიათებლად რ.გვეტაძე ყველაზე ხშირად ხმარობს სიტყვას – „სევდა“.

*მაგრამ დღეს მათ სულში სევდების აღხია.
/„ვირების მესია“).*

*ვირების სევდა სამრეკლოზე აისის ახლოს.
/„ვირები აღდგომა ღამეს სოფელში“)*

*და თუ სევდები თქვენს ამაყ სულს დაუდარაჯდნენ.
/„ბარათი ვირებს“).*

ამ სევდიან, თვინიერ და მორჩილ პირუტყვს ადარებს პოეტი თავის თავს. მაგრამ როდის გაუჩნდა მას ეს გრძნობა? დააკვირდით ლექსს – „მდაბიო ანუ სატირა საკუთარ თავზე“ (ნურც სიტყვა „სატირას“ დატოვებთ უყურადღებოდ).

*როცა ერთხელ ბოქაულმა მამაჩემი გალახა
და მე სამაგიერო ვერ გავუბედე,
/ეს მოგონება გულს აწევს ბარგად) –
როცა დედაჩემს ნავთი არ ჰქონდა ლამფაში
და მთვარეზე ვკითხულობდი აკაკის ლექსებს,
როცა ფუნაში ნახულ ჭიებს ვაგებდი ანკესებს
და მივდიოდი წყალწითელაზე,
რათა კვირას მაინც გვქონოდა თევზით ვახშამი.*

გაჭირვებამ, უქონლობამ, სიღარიბემ, ჩაგვრამ, უსამართლობამ, გაუბედობამ მიიყვანა პოეტი დასკვნამდე:

*მინდა ვიყო ერთი აზრის:
არ ავყვე ცხოვრებას ქარიანს
და მოვესწრო შესული ხანში*

*წვერულვაშიან ვაჟებს –
(ეს იმედი გულს მიკაჟებს)
რომლებიც ეხლა სოფელში არიან
და ბაბუას ეხმარებიან თოხნაში.
თუმცა სხვა შეხედულებისა ვარ ცხოვრებაზე
და მეზარება ყველა, ვისაც მუცელი აქვს ტიკის,
მაგრამ რადგან არაფერი მესმის მსოფლიო პოლიტიკის,
რასაც შეიძლება მოჰყვეს ახალი ომი,
გადავწყვიტე ვიცხოვრო ასე:
ვირივით წყნარათ და შრომით.*

არა ბრძოლა, არამედ მორჩილება, შრომა ვირივით წყნარად. მკაფიო კონცეფციაა შეგუების, მშვიდი ცხოვრების, მოთმინებისა, თუმცა პოეტს ეზიზღება ყველა ლუარსაბ თათქარიძე („ვისაც მუცელი აქვს ტიკის“). გამოდის, რომ ბოლმას, აჯანყების ცეცხლს იგი ძალით ახშობს. ამჯობინებს შეთვისება-შეგუებას. ალბათ იმიტომ, რომ აღარ აქვს გამარჯვების რწმენა.

ახლა რ.გვეტაძის ლექსი შევადაროთ ნ.ბარათაშვილის „მერანს“.

ერთის სურვილია – „არ აყვეს ცხოვრებას ქარიანს“, მეორის მოთხოვნილებაა – „ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა, ნუ შემობრალე დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!“

ერთის სურვილია – „მოესწროს შესული ხანში წვერულვაშიან ვაჟებს“. მეორის მოთხოვნილებაა – „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის; ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის“.

ერთის ოცნებაა იცხოვროს „ვირივით წყნარად და შრომით“, მეორისა – ამცნოს გულის საიდუმლო ვარსკვლავთა თანამავალთა, გაკაფოს გზა, რომ შემდგომად მოძმეს გზის სიძნელე გაუადვილდეს.

ორი კონცეფციის უმძაფრესი პოლემიკაა. ერთი აღიარებს შეგუებას, მორჩილებას, სიმშვიდეს, არსებითად კონფორმიზმს. მეორე უმღერის ურჩობას, ქარიშხალს, შეუგუებლობას, ამბოხს, არსებითად რევოლუციას.

20-იან წლებში ქართულ პოეზიაში ნ.ბარათაშვილთან კამათი იყო რ.გვეტაძის ლექსები და არა ალიო მირცხულავას (მაშაშვილის) „მე და ბარათაშვილი“. ეს უსაშველოდ გრძელი ლექსი გახლავთ „ბედი ქართლისას“ ავტორის გაბიაბრუების ცდა. იგი სრული მარცხით დამთავრდა. ეს თავად ა.მირცხულავამაც დაინახა მკაფიოდ. ამიტომ გადააკეთა ძირეულად „მე და ბარათაშვილი“. ამ ლექსში თანამედროვე მკითხველი უკვე ვეღარ წაიკითხავს, მაშინაც და დღესაც, ღიმილისმომგვრელ სტრიქონებს:

*რა იქნებოდა, რა სასაცილო
საქართველოში მერნით სირბილი?!*

...

*შენი მერანი? ჰო, არა უშავს,
იქნებ ჩალანდრათ კლდე გადმოვიდეს,
მაგრამ ტფილისში დღეს რომ გაუშვა,
სადმე პროსპექტზე კისერს მოიტეხს.*

ეს პოლემიკა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ლიტერატურული წარსულის ერთი ფურცელი. იგი ყოფნა-არყოფნის მარადიული პრობლემაა. თუ ამ კითხვას უპასუხებ „მერანით“, მაშინ ყოფნისათვის იბრძვი. თუ ამ კითხვას უპასუხებ „ვირების მესიით“, მაშინ ეთანხმები, ეგუები არყოფნას. რაკი ასე განსხვავებული და დაპირისპირებული ორი კონცეფცია შეიქმნა ჩვენს მწერლობაში, ბუნებრივია, ყოველმა ახალმა თაობამ უნდა გამოამჟღავნოს თავისი დამოკიდებულება.

ვისაც თვალი უდევნებია ლიტერატურული ცხოვრებისათვის, იცის ამ ორი კონცეფციის აშკარა თუ მალული ჭიდილი. იცის, საით და როგორ იხრებოდა დროდადრო სასწორი: მაგრამ საინტერესოა დღეს როგორი სახე აქვს ამ დავას. არა მგონია დიდად საეჭვო აზრი გამოვიდეს, თუ ვიტყვი, რომ დღეს მწერლობას უჭირავს პოზიცია, რომელიც ამ ორი კონცეფციის შუა მდებარეობს: არც „მერანი“ და არც „ვირების მესია“. რაღაც საშუალო. ეს გულდასაწყვეტი ნიმუშია იმისა, როგორ შეწყდა და შეჩერდა ქართულ მწერლობაში დამუშავება საკაცობრიო ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემისა. ალტერნატივა ბრძოლისა თუ მორჩილების, კონფორმიზმისა თუ ნონკონფორმიზმის ყოველთვის აწუხებდა და აწამებდა მოაზროვნე კაცობრიობას. რაღაც საშუალო არა მარტო გაურკვევლობას, უპოზიციობას მიუთითებს, არამედ სულერთია დამოკიდებულებასაც. სულერთია დამოკიდებულების დროს გულში დიდი სევდა და ტკივილი უდევს ადამიანს, მაგრამ ამაზე დუმს, რაკი კეთილის რწმენა დაუკარგავს. ამის უპირველესი დამადასტურებელი სწორედ პოეტი – არლეკინია.

ნუ დაგვავიწყდება, რომ არის ენერგია სიზიფისა და არის ენერგია პრომეთესი. ერთიც იხარჯება და მეორეც. მაგრამ ერთი უშედეგოდ შრომობს, მეორე კი ცეცხლის მომტანია, ე.ი. პროგრესის ფუძემდებელია. თუ სიზიფის ენერგია არყოფნის კაემნის წყაროა, პრომეთეს ენერგია ყოფნის სიხარულის საზრდელია. თუმცა პრომეთე მიჯაჭვულია, არწივი უკორტნის გულღვიძლს, მარადიულად იტანჯვის. სიზიფი კი არც მიჯაჭვულია, არც არავინ უგლეჯს სხეულს. თავისუფლად ეწევა თავის უაზრო და უმიზნო შრომას. მაგრამ უმიზნობა და უაზრობაა საფუძველი იმ ტრაგიკულობისა, რომელიც უფრო შემზარავია, ვიდრე პრომეთეს ტანჯვა.

ნ.ბარათაშვილის „მერანში“ პრომეთეს ენერგიაა, რ.გვეტაძის „ვირების მესიაში“ კი – სიზიფისა. როცა ადამიანს არც პრომეთეს ენერგია აქვს და არც სიზიფის, ცხადია, იგი შუაშია გაჩხერილი. ველარც წინ მიდის და ველარც უკან. ერთადერთი რაც დარჩენია – სიცილია. და ისიც იცინის. დასცინის თავის თავსაც და სხვასაც. ეს კი შენიღბული სასოწარკვეთილების გამოვლენაა. ამიტომ

არის მარად ცოცხალი და აქტუალური „მერანისა“ და „ვირების მესიის“ დავა. ყოველი კაცის წინაშე დგას ალტერნატივა: იცხოვრო ვირივით წყნარად და შრომით, თუ ყველა გასაჭირი გადალახო და მოყვასს სავალი გზა გაუადვილო. თუ არჩევანი ვერ მოახერხე, სასოწარკვეთილება შეგიპყრობს და ცხოვრება ცრემლიან გართობას დაემსგავსება, თუმცა შეიძლება არლეკინის ზომაზე მეტად გაგრძელებულ სახეზე ცრემლი ვერ შეამჩნიო. ეს შეუმჩნეველი ცრემლი არა მარტო სახეს ღარავს, არამედ გულშიც წვეთავს. იგი გულს უფრო მწვავედ და ულმობლად ღრღნის, ვიდრე პრომეთეს არწივი, არლეკინის ცრემლის სახელი უიმედობაა, ურწმუნობაა და იმიტომ. საშინელებაა თუ ეს გაცნობიერებულია, მაგრამ უფრო შემზარავია, თუ გაუცნობიერებულია და ისე ვლინდება.

მართალია, ჰამლეტს ყოფნა-არყოფნის საკითხის გადაწყვეტა გაუჭიანურდა, უფრო მეტიც, ვერც ვერასოდეს გადაწყვეტს, მაგრამ არლეკინის სიცილით ნათქვამ ჭეშმარიტებას მაინც დანიის პრინცის მაძიებელი გონება სჯობს. სჯობს იმიტომ, რომ ჰამლეტში იმედიანი კაცის სევდაა, არლეკინში კი – უგინცო ადამიანის მხიარულება.

თუ ორ კონცეფციას შორის არჩევანი არ მოხდა, მტკიცედ არ განისაზღვრა პოზიცია, არც იქით და არც აქეთ, შუა ადგილას ყოფნა გამოიწვევს მწერლობის გაფილისტერებას.

ფილისტერული ლიტერატურა კი საშიშია. იგი აბნევს მკითხველს. ბორკავს ლიტერატურის წინსვლას. მას არაფერი სტკივა, გვატყუებს კი ვიტანჯებიო.

ფილისტერი ყველაფრით კმაყოფილია. ყოფნა-არყოფნის პრობლემა მას საკუთარ კეთილდღეობად ესმის. როცა ამას მიაღწევს, მერე ხუმრობის გუნებაზე დგება და აღარც სხვების გართობას თაკილობს.

ფილისტერული ლიტერატურა ყოველთვის ცრუობს. სიცრუე კი წარმოშობს სასოწარკვეთილებას. ხოლო, თავის მხრივ, სასოწარკვეთილება მშობელია უენერგიობისა. აქედან მოდის ვნებაგაცლილი, მდორე, ერთსახოვანი და ერთფეროვანი მწერლობა, სადაც თითქოს ყველაფერი თავის ადგილას დგას, მაგრამ არ არის უმთავრესი – სიცოცხლე. არ ისმის არც გამარჯვებულის ყიჟინი და არც დამარცხებულის ქვითინი. არის მხოლოდ კმაყოფილება, რომელიც ერთ ხალხურ ლექსში ასეა გამოთქმული:

*კამეჩი წევს და იცოხნის,
თავის ამინდი ჰგონია,
ლაფში ჩაფლული ურემი
შინმიტანილი ჰგონია.*

ოთარაანთ გიორგი თუ კაც ზვამზაია?

მკითხველს კარგად ეხსომება:ოთარაანთ გიორგი ტყეში იყო ჭიგოს საჭრელად („ოთარაანთ ქვრივი“). ომარაშვილის მოჯამაგირე ნახა, ჩრდილში არხინად წამოწოლილი და მძინარე. ეს არაფერი. კამეჩები ურემზე მიება. იქვე ეყარნენ და უილაჯოდ იცოხნებოდნენ. გიორგი გააბრაზა მოჯამაგირის უნამუ-

სობამ, უსულგულობამ. გიორგიმ იგი ლაზათიანად მიბეგვა. როცა სოფლის სასამართლოში ჰკითხეს – შენ ვინ გეკითხებოდა, რა შენი საქმე იყო? – გიორგიმ უპასუხა: ჯერ ერთი, „მაგისთანა ნამუსახდილი კაცისაგან ქვეყანა დაღუპული. კაცი კაცს ველარა ნდობია“, მეორეც, „კამეჩებიც მიელრძო ურემზედ. იმათ საცოდაობამ დამწვა“.

მეორედ გიორგი ბეჟანიშვილის მოჯამაგირეს ეჩხუბა. ამას ურმით საფქვავი მიჰქონდა. ტვირთი თავმსუბუქად დაედო. კამეჩებს აპეურები ყელში უჭერდა და ისინი საცოდავად ხრიალებდნენ. გიორგი ურემზე შეხტა, ტვირთი გაასწორა. ცხოველებს სული მოათქმევინა. მოჯამაგირეს კი თავში წაუთაქა.

მეჯინიბესაც პირუტყვისადმი უგულო დამოკიდებულებისათვის ეჩხუბა გიორგი. მეჯინიბემ გაოფლიანებული ცხენი ისე დააბა, რომ არ გაუტარ-გამოუტარებია, არც წყალი გადაუვლია ზურგზე. ასეთი უპატრონობა ცხოველს დახუთავდა ან ზურგზე ჰავას აართმევდა. გიორგიმ მეჯინიბესაც ჭკუა ასწავლა.

სოფელს უკვირს ოთარაანთ გიორგის საქციელი და გლეხები ერთმანეთში ამბობენ – „ეს კაცი ან გიჟია, ან ღვთისაგან მოგზავნილი“.

ცხადია, ოთარაანთ გიორგი არც გიჟი იყო და არც ღვთისაგან მოგზავნილი. იგი იყო კაცი, რომელსაც გლეხად ყოფნის ფუნქცია ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. მან, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ზედმიწევნით იცოდა, რას ნიშნავს იყო გლეხი. როცა გიორგი პირუტყვს ექომაგებოდა, მარტო კაიკაცობას კი არ ამჟღავნებდა, არამედ თავის თავს იცავდა, საკუთარ არსებობას უფრთხილდებოდა. ისე როგორც მიწა, ისე როგორც ვენახი, ისე როგორც ბაღ-ბოსტანი, პირუტყვიც, კამეჩი იქნება, ცხენი, თხა თუ ცხვარი, გლეხის არსებობის ნაწილი და პირობაა, თუ მას არ მოუვლი, უპატრონებ, იზრუნებ, მამასადამე, არ უვლი საკუთარ თავს, არ ზრუნავ საკუთარ არსებობაზე, ამით კარგავ ფუნქციას. როცა ილია ოთარაანთ გიორგის სახეს ძერწავდა, უპირველეს ამოცანად მიაჩნია არა იმ პროტაგონისტის დახატვა, რომელიც მხოლოდ სოციალურად იყო გლეხი, არამედ იმ პიროვნებისა, ვინც მშვენიერი არსით ავლენდა გლეხობას. არც გიორგის სიკვდილია შემთხვევითი: თივის ზვინიდან ჩამოვარდა, ურმის ჭალს დაეცა და სასიკვდილოდ დამავდა. გლეხად ყოფნა (გლეხობა) იყო გიორგის სიცოცხლე და სიკვდილშიაც გლეხად უნდა დარჩენილიყო. ადამიანმა ფუნქცია სიკვდილშიაც არ უნდა დაკარგოს. როგორ შეიძლება ენა მოგიბრუნდეს და თქვა, რომ სიკვდილშიც არისო მშვენიერება, მაგრამ, როცა ისეთი მეცნიერი, როგორც ივანე ჯავახიშვილი იყო, ლექციის კითხვის დროს კვდება, გინდა თუ არა, უნდა აღიარო – ეს მშვენიერი სიკვდილია. მიუხედავად უღრმესი ტრაგიკულობისა, ოთარაანთ გიორგის სიკვდილიც მშვენიერია.

ყველა დროში იცოდნენ და მტკიცედ სჯეროდათ, რომ კაცობრიობა იმ ადამიანების მხრებზე დგას, ვინაც ზედმიწევნით იცის თავის ფუნქცია და ემსახურება მას. მაგრამ მარტო ამის სათქმელად არ გამიხსენებია ოთარაანთ გიორგი, გაივლის დრო და ფუნქციით ისეთივე გლეხი, როგორც გიორგია, ნაჯახს აიღებს და თავის საყოლეულს უღმობლად ამოჟლეტს. ამას გააკეთებს კაც ზვამბაია („მთვარის მოტაცება“).

„შემძრწუნებული გარბოდნენ კუდმოღერილი ხარები, დაფეთებული ფურკამეჩი ყროყინით ეხეთქებოდა ღობეებს, გარბოდა დაბორკილი თხაც, თანაც კიკინებდა საწყალობლად... თვალი მოიფშვნიტა ხათუნამ და სწორედ ამ წუთში ფურკამეჩს თავი გააგდებინა კაც ზვამზაიამ კაკლის ქვეშ.

...აივნის მაგიდაზე ეყარა პროხის, ფურკამეჩის და ხარების სისხლიანი თავები. და გამრჯელი ხარები, ლომა, წაბლა და ღვინიე, ქედმოდრეკილნი, ერთგულნი, უდრტვინველად შეგუებოდნენ თავიანთ მწარე ხვედრს.

„რა გიქნია, ბატონო, ეს?“

დაიკვნესა ხათუნამ, ორივე ხელი სახეზე აიფარა...

კაკლის ქვეშ ეკიდა თავწაჭრილი საქონელი პირქვე“.

ყველას ერთხმად აღუნიშნავს, რა შემამძრწუნებელი მხატვრული ენერგიით აქვს აღწერილი კ.გამსახურდიას კაც ზვამზაიას მიერ პირუტყვის გაჟუჟვა. მაგრამ, სამწუხაროდ, არავის უთქვამს, რას ნიშნავს ეს. კაც ზვამზაიას თავი რომ მოეკლა, არ იქნებოდა ისეთი თავზარდამცემი, როგორც საყოლელის ამოწყვეტაა. არ იქნებოდა იმიტომ, რომ თვითმკვლელი კაცი ზვამზაია მაინც დარჩებოდა გლეხად. ცოცხალი აღარ იქნებოდა, მაგრამ არ უღალატებდა არსებობის ფუნქციას. საქონელის დახოცვით კი კაც ზვამზაიამ უარი თქვა თავის გლეხოებაზე, თავის ფუნქციაზე. ცოცხალი დარჩა, მაგრამ არსებობა შეწყვიტა, როგორც გლეხმა. თავი გასწირა უფუნქციო სიცოცხლისათვის. ხორცი შეინარჩუნა, მაგრამ მოკლა სამშვივნელი. ეს იყო ყოფნა, რომელიც არყოფნაზე უარესია. ეს არ იყო მარტო კაც ზვამზაიას ტრაგედია. ეს იყო ქვეყნის დაქცევა. პროტესტის ნიშნად, გლეხი აუჯანყდა გლეხოებას. თავის ფუნქციის წინააღმდეგ ამბოხებული ადამიანი კი სოციალური და ეროვნული სიკვდილით იმუქრება. ეს თავსატეხი პრობლემა წამოჭრა კ.გამსახურდიამ კაც ზვამზაიას ბედიტ.

ისევე ალტერნატივული კითხვაა, დასმული ქართული მწერლობის მიერ. მაგრამ არც ამ მიმართულებით გაგრძელებულა ფიქრი. თუმცა სინამდვილე, ცხოვრება ნათლად გვეუბნება, რომ პრობლემა ცოცხალია. იგი არ გადაწყვეტილა. პრესაში არცთუ იშვიათად წაიკითხავთ დამთრგუნველ ამბავს: გლეხები ჩეხავენ ვაზს და მის მაგიერ საზამთოს თესავენ. ეს ხომ კაც ზვამზაიას საქციელის გაგრძელებაა. ეს ხომ ოთარაანთ გიორგის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა. და ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ქართველი გლეხი უარს ამბობს გლეხურ ფუნქციაზე. ნუ შევხედავთ ამ პრობლემას ზერელედ. ნუ გვგონია, რომ ეს ვიღაც უკეთურის სიხარბის შედეგია. საქმე უფრო რთულად არის. ეს უკვე კ.გამსახურდიამ გვითხრა კაც ზვამზაიას საქციელიტ. ეს უკვე რ.გვეტაძემ გვითხრა: „ჩვენც გვიპასუხე, თორემ ღმერთმანი სხვას მივცემ მამულს ან ავჭრი ძირზე“.. ხედავთ, როდის გაჩენილა პრობლემა? როდის დარეკილა გამაფრთხილებელი ზარი! მას მერე მოდის და თანადათან ღრმავდება. უყურებს ამას ჩვენი მწერლობა და დუმს. ნურავინ გაიღიმებს ირონიულად და იფიქრებს: პროპაგანდისტული თხზულების დაწერას ითხოვსო, რომლის პათოსი იქნება – არ გრცხვენია, ქართველო გლეხო, ვენახს ჩეხავ და საზამთროს თესავ?! ჭკუადაძმადარი მკითხველი მიხვდება, რომ სრულიად სხვა საკითხს ვსვამ: უნდა ამოვიცნოთ,

რა მოხდა ქართველი გლეხის (თუნდაც ერთი კაცის) მშვიდმხიერ სამყაროში ისეთი, რომ მან დაგმო ოთარაანთ გიორგის გზა და კაც ზვამბაიას გადაწყვეტილებას მიემხრო. თუ ეს არ ამოვიცანით, თუ სატკივარი მთელი სიგრძე-სიგანით-სიღრმით არ დავინახეთ და არ ვუმკურნალეთ, ერთ უბედურ დღეს ეს ეროვნული მე-ს უარყოფამდე მიგვიყვანს. ის ქართველი, ვინც ვაზისაგან გამოჭრილი და ქალის თმებით შეკრული ჯვრის ლეგენდა შექმნა, საქართველოს უკეთ იცავდა ვიდრე ხმალშემართული ჯარისკაცი. მან იცოდა, რომ არ არსებობს ძალა, რომელიც ქართველს ვაზის მოსაჭრელად წააქნის ადამართვინებს. ეს სიმართლე ისტორიამ დაამტკიცა. ამ ჭეშმარიტებას ეყრდნობოდა ისიც. მაგრამ, საუბედუროდ, მდგომარეობა შეიცვალა და გაჩნდნენ გლეხები, რომელნიც ვენახს ჩეხავენ. ეს არც სიხარბის შედეგია და არც გაჭირვების. ეს ნაყოფია გლეხური ფსიქიკის რღვევისა. ამ რღვევას უნდა აღუდგეს წინ მხატვრული სიტყვა.

ვისთან ვართ – ოთარაანთ გიორგისთან თუ კაც ზვამბაიასთან? უყოყმანო არჩევანი უნდა გაკეთდეს. დუმილი აქაც სასოწარკვეთილებას ნიშნავს.

მამა თუ შვილი?

ვერ აიცდინა ოიდიპოსმა ბედისწერის განაჩენი – მამა მოჰკლა და დედა შეირთო. გაჩნდა მწერლობაში მამისმკვლელი შვილის პრობლემა. ბუნებრივია, არსებობს იგი ქართულ ლიტერატურაშიც.

არზაყან ზვამბაია კლავს მამას („მთვარის მოტაცება“). მართალია, მერე ეს ავტორს შეაცვლევინეს, მაგრამ დღეს ცხადია, რომ ამის გაკეთება აზრობრივად ამახინჯებდა რომანს. შეცვლა ეწინააღმდეგებოდა ისტორიულ სინამდვილესაც და მხატვრულ სიმართლესაც. შვილის მიერ მამისმკვლელობა ისევ რჩება „მთვარის მოტაცებაში“. სხვანაირად რომანი გონჯდება.

გუდუ პერტიაც ჰკლავს მამას („დათა თუთაშხია“).

იქმნება სიტუაცია, როცა ადამიანი, ნებით თუ უნებლიეთ, უდიდეს და გამოუსყიდავ დანაშაულს სჩადის. ასეთია მამის მკვლელობაც. მაგრამ ბედისწერას ვერავინ გაქცევია. ერთადერთი რაც დაგვრჩენია გახლავთ ის, რომ დავაკვირდეთ, ვინ როგორ იქცევა ამ ურთულეს მდგომარეობაში და ამოვიცნოთ მკვლელის ზნეობრივი ღირებულება. რა თქმა უნდა, თუ დავუშვებთ, რომ მამისმკვლელს შეიძლება ჰქონდეს ზნეობა.

თუ ზემორე მოხსენიებულ პერსონაჟებს ერთმანეთს შევადარებთ, დავინახავთ, რომ ზნეობრივად ყველაზე მაღალი ოიდიპოსია. არა იმიტომ, რომ არ იცოდა, ვის ჰკლავდა, არამედ იმიტომ, რომ მან თავად გამოუტანა თავისთავს განაჩენი. თვალეები დაითხარა და უსინათლო არსებობისათვის გასწირა თავი. მან სრულიად გააცნობიერა დანაშაული და გამოძებნა, რამდენადაც შეიძლებოდა, სასტიკი სასჯელი. არსებობის უკანასკნელ დღემდე ტანჯვით უნდა ეცოცხლა. არც მას პირადად და არც სხვას, ვინც ამქვეყნად შეხვდებოდა, არ უნდა დავიწყებოდა, რა ცოდვა მიუძღოდა ოიდიპოსს. ოიდიპოსის სასჯელი არანაკლებ შემადრწუნებელია, ვიდრე დანაშაული. ოიდიპოსის ზნეობრივი ძალაც ეს შემდრწუნებაა.

ყველაზე სულმდაბალი და ზნეობრივად ლატაკი არზაყან ზვამბაიაა. იგი არა მარტო მამას ჰკლავს, არამედ ცრუობს კიდევ. ტარბებმა მოგვიკლესო მამა, ატყუებს თარაშ ემხვარს. იგი არ განიცდის სინდისის ქენჯნას. მშვიდად არის და არავითარი ძვრა არ ხდება მის სამშვინველში. გუდუ პერტიამ არ იცის, რომ მამას ჰკლავს. მისთვის უცნობია, რომ იგი დათას შვილია. მაგრამ მის ზნეობრივ სიმდაბლეს ის მეტყველებს, რომ კაცს სასიკვდილოდ დავალებით იმეტებს.

თუ ოიდიპოსი სულიერად გასპეტაკებს, არზაყან ზვამბაია და გუდუ პერტია გორგუნავენ. მათ სამშვინველში არ ჩანს გაღვიძებული სინდისი. მაგრამ ახლა ზნეობრივი განსხვავების დასადგენად არ გამიხსენებია ეს პროტაგონისტები. სხვა გარემოებამ დამაფიქრა. ბერძნულ ტრაგედიაში მამა ვერ სჯობს შვილს. მართალია, ოიდიპოსმა დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ სასჯელით გვიჩვენა, რომ იგი ზნეობით, თუ არ სჯობდა, არაფრით ჩამოუვარდებოდა მამამისს – ლაიოსს.

ქართულ რომანებში კი მამები უკეთესი არიან შვილებზე.

კაც ზვამბაია ზნეობრივად და მშვინვიერად უფრო ღრმა, მდიდარი და სუფთაა, ვიდრე არზაყანი. მას ნათლად ესმის პასუხისმგებლობა შვილის წინაშე და ემსახურება კიდევ ამას. არზაყანს კი არასოდეს უგრძნია ეს პასუხისმგებლობა მამის მიმართ.

დათა თუთაშხიაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. სად დათა და სად გუდუ? უპირატესობა სიკვდილის წინაშეც კი ცხადად გამოვლინდა. უპირველესი, რამაც დათას გაუელვა თავში, შვილის ღირსების გადარჩენა იყო. გააკეთა კიდევ ეს, ისე გაუჩინარდა, რომ მტერმა ვერც დათას გვამი იპოვნა და ვერც ის გაიგო, სად გაქრა იგი.

რით უპასუხეს მამებს შვილებმა? ვერაფრით. აჯობეს მამებმა შვილებს – ვაჟკაცობით, ზნეობით, სიმტკიცით. ერთი სიტყვით, ქართული მწერლობა, როცა იგი მამისა და შვილის კონფლიქტს ამუშავებს, სულიერად მამას უფრო დიდად წარმოგვიდგენს, ვიდრე – შვილს. ემოციურად მამის მხარეს ვართ და არა – შვილის. ემოციურადაც და ლოგიკურადაც მამები არიან მართალი და არა – შვილები.

საკითხის ამგვარი დასმით დაბნეულმა თუ შეცბუნებულმა მკითხველმა შეიძლება იკითხოს – რით არის ცუდი, თუ მამები აჯობებენ შვილებს? ზერელე შეხედვით, არაფრით. მწერლობა ხატავს ზნესრულ ადამიანს და რა მნიშვნელობა აქვს, მამა იქნება ეს თუ შვილი? მაგრამ საქმე არც ასე იოლად არის. მამა-შვილის კონფლიქტს თავისი ღრმა ქვეტექსტი აქვს. ეს არის ბრძოლა წარსულსა და მომავალს შორის. მამა წარსულია, შვილი – მომავალი. როცა ყოველთვის მამები სჯობიან შვილებს, ამის ქვეტექსტი იკითხება – წარსული სჯობს მომავალს. მაშინ გულის სიღრმეში სკეფსისი გვიზის. რარიგ დიდი წარსული უნდა ჰქონდეს ხალხს, იგი მაინც მომავლით უნდა ცხოვრობდეს. თუ ეს რწმენა არ ამოდრავებს საზოგადოებას, იგი წინსვლას ძნელად მოახერხებს. დიდ წარსულს მაშინ აქვს ფასი, თუ ღრმად და მტკიცედ სჯერა ხალხს, რომ უფრო დიდ მომა-

ვალს შექმნის. პიროვნებას თუ საზოგადოებას, რომელსაც ჰგონია, რომ ყველაფერი წარსულში იყო, გაუჭირდება აწმყოს სამსახურიც და მომავლის წარმოდგენაც. დიადი წარსული დიადი მომავლისათვის გვჭირდება. ძველ კვარცხლბეკზე მდგარი მომავალს უნდა ვუმზერდეთ.

როცა ჩვენს მწერლობაში მამებისა და შვილების კონფლიქტის სურათს დავაკვირდი, მომეჩვენა, რომ ჩვენ მამების მეტად გვწამს, ვიდრე – შვილების. ამან დამაფიქრა, რადგან ესეც სასოწარკვეთილების ელფერს ატარებს. ტრაგედია ტკივილს იწვევს და არა რწმენის დაკარგვას. როცა თვალეზდათხრილ ოიდიპოსს ვუყურებთ, უზომო ტკივილი ხლექს გულს, მაგრამ რწმენითაც ივსებით – ადამიანი ვერ დააძაბუნა ბედისწერამ. ოიდიპოსმა (ე.ი.შვილმა) ბედისწერას უსინათლო თვალი გაუსწორა და მომავალში შეაბიჯა. ტკივილითა და იმედით მიჰყავდა სოფოკლეს ბერძნული საზოგადოება წინ.

თუ არ ვცდები, მგონი გასაგებად ვთქვი, რომ ჩემთვის მწერალი-არლეკინის არსებობა გულისხმობს სასოწარკვეთილი განწყობილების არსებობასაც. თუ ასეა, ისიც გასაგებია, რატომ გამოვყავი ზემორემოხსენიებული სამი პრობლემა. მწერალი-არლეკინი ცრემლიანი ირონიით უყურებს მერანსაც და სახედარსაც, ანუ ნონკონფორმისტსაც და კონფორმისტსაც, ოთარაანთ გიორგისაც და კაც ზვამბაიასაც, ანუ ფუნქციის ერთგულსაც და ფუნქციადაკარგულსაც, მამასაც და შვილსაც, ანუ წარსულსაც და მომავალსაც. ამგვარი ირონია შეიძლება ზოგჯერ ეფექტურიც იყოს, მაგრამ იგი არსად მიდის. ერთ ადგილას დგას გაყინული. მისგან სიკვდილის სიცივე ჰქრის. არლეკინის კლასიკურ კოსტუმს ტყუილად არ ასხია ეჭვნები. ეს ნიშანდობლივი დეტალია. იგი სიტყვაჟღარუნა მწერლობით იმუქრება.

დიდი ხნის წინათ ალექსანდრე აბაშელმა იკითხა – „რას გავაწყობ ლექსის ბეჭდვითა, თუ გული ღველფი ამბოხების დამრჩა უხმარად?“ ამ კითხვას ვერც მწერალი-არლეკინი უპასუხებს და ვერც სიტყვაჟღარუნა ლიტერატურა.

არჩევანი აუცილებელია.

1983 წ.

ლექსი ილიასია

1974 წელს „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემულ „ქართულ ხალხურ პოეზიაში“ (გვ.39) შეტანილია და დასტამბული ლექსი

*წუთისოფელი ასეა, –
ღამე დღეს უთენებია,
რაც მტრობას დაუქცევია –
სიყვარულს უშენებია.*

ახლა ხშირად წაიკითხავთ და მოისმენთ ამ ლექსის ქებას, როგორც ხალხური პოეზიის საუკეთესო ნიმუშისას. იგი სიმღერად იქცა და აქაც ხალხურად არის მიჩნეული. რომელიღაც ქართველმა კონსულტანტმა აკად. დიმიტრი ლიხაჩოვიც კი შეაცდინა და დააწერინა, „წუთისოფელი ასეა...“ ხალხურიაო.

საინტერესოა, რომ ეს ლექსი არ არის შეტანილი არც პეტრე უმიკაშვილის შეკრებილ „ხალხურ სიტყვიერებაში“ (იხ. 1964 წლის ოთხტომიანი გამოცემა) და არც ვახტანგ კოტეტიშვილის „ხალხურ პოეზიაში“ (1934 წ. გამოცემა). ცხადია, იმიტომ, რომ ორივემ ზედმიწევნით ზუსტად იცოდა: „წუთისოფელი ასეა...“ ხალხური ლექსი არ არის. ეს ლექსი ილია ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის.

ი.ჭავჭავაძე „ივერიაში“ „დამაკვირდის“ საერთო სათაურით ბეჭდავდა აფორიზმებს, ბრძნულ გამონათქვამებს. ეს აფორიზმები ეკუთვნოდათ როგორც უცხოელ, ისე ქართველ მწერლებსა და მოაზროვნეებს (სენეკა, ვოლტერი, ბეკონი, მონტესკიე, შოთა რუსთაველი, ვახტანგ VI, ს.-ს. ორბელიანი, გრ. ორბელიანი, აკაკი წერეთელი და სხვა). „დამაკვირდის“ ამ ციკლში ილია აქვეყნებდა საკუთარ, ორიგინალურ აფორიზმებსაც, ლექსად დაწერილს. როგორც წესი, ყველა აფორიზმს ქვეშ მიწერილი ჰქონდა ავტორის სახელი და გვარი. მაგრამ აფორიზმებს ილია ბეჭდავდა ლარიძის ფსევდონიმით. „დამაკვირდის“ ციკლის ილიას ყველა ლექსი-აფორიზმი ამ ფსევდონიმით არის გამოქვეყნებული. ლარიძის ხელმოწერით არის დაბეჭდილი ლექსიც „წუთისოფელი ასეა...“ 1886 წლის „ივერიის“ ასმეცხრამეტე ნომერში.

ლარიძე რომ ილიას ფსევდონიმია, ეს სადავოდ არავის გაუხდია.

1892 წელს, ე.ი. ილიას სიცოცხლეში, „ქართველთა ამხანაგობამ“ გამოსცა ილიას თხზულებანი ორტომად. პირველ ტომში (გვ. 282) „დამაკვირდის“ ციკლში დაბეჭდილია „წუთისოფელი ასეა...“

მე მგონია, ზედმეტი და სასაცილოა იმაზე ლაპარაკი, რომ ილია სხვის ან ხალხურ ლექსს არ მიითვისებდა. თუ გამომცემელთ შეეშალათ, შეცდომას მწერალი მაშინვე გაასწორებდა.

„წუთისოფელი ასეა...“ შესულია და დაბეჭდილი მიხ. გედევანიშვილის მიერ გამოცემულ ილიას თხზულებებშიც.

რატომღაც ეს ლექსი არ არის შეტანილი ილიას ნაწერების ზოგიერთ საბჭოურ გამოცემაში. მაგრამ ილიას თხზულებათა ანტომეულის 1951 წელს გამოცემულ პირველ ტომში „წუთისოფელი ასეა...“ თავის ადგილას არის დასტამბული (გვ. 107).

სამწუხაროდ, „დამაკვირდის“ ციკლის ხელნაწერს ვერც ლიტერატურის მუზეუმში და ვერც ხელნაწერთა ინსტიტუტში ვერ მივაგენი. მაგრამ ეს ხელს არ უშლის იმ ჭეშმარიტებას, რომ, „წუთისოფელი ასეა...“ ილია ჭავჭავაძის ლექსია და არ არის ხალხური.

1981, აპრილი.

რაინდი მიამიტი და თავდადებული

ქართული მე-19 საუკუნე არ იცნობს დიმიტრი ყიფიანისებრ უცნაურ პიროვნებას. თუ მას რამდენიმე სიტყვით დავახასიათებთ, უნდა ვთქვათ, რომ მისი თვისება იყო ერთგულება, მუყაითობა, პატიოსნება, მიამიტობა, სიფიცხე და მეოცნებეობა. იგი ამართლებდა ქართველთა იმ დახასიათებას, რომელიც გიორგი მცირეს ეკუთვნის: „ნათესავი ჩვენი წრფელი იყო უმანკო“, ერთგულების, მუყაითობისა და პატიოსნების გამოისობით ყოველ მინდობილ საქმეს ჩინებულად უძღვებოდა და აკეთებდა. მიამიტობა, სიფიცხე და მეოცნებეობა ხშირად შეცდომას ადენინებდა, რასაც პირადად მისთვის წყენა და ტკივილი მოჰქონდა როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში. ცხოვრებამ, ჭირ-ვარამმა, გამოცდილებამ მას ხასიათი და თვისება ვერ შეუცვალა. სიკვდილამდე ისეთი დარჩა, როგორც ყმაწვილკაცობაში იყო. დიმიტრი ყიფიანი 1814 წლის 14 აპრილს დაიბადა¹ ქოჩო ყიფიანისა და ბარბარე ფურცელაძის ოჯახში.

იმდროინდელ თბილისში განათლების მიღება იოლი საქმე არ გახლდათ. ორად ორი სკოლა არსებობდა: საუკუნის დასაწყისში პავლე ციციანოვის (ანუ ციციშვილის) დაარსებული კეთილშობილთა სასწავლებელი და უფრო გვიან გახსნილი სასულიერო სემინარია. დიმიტრი ჯერ სასულიერო სემინარიაში შეუყვანიათ და მერე კეთილშობილთა სასწავლებელში გადასულა. ეს სასწავლებელი დაასრულა მან.

ჩანს, კეთილშობილთა სასწავლებელი თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა: იმ დროისათვის საფუძვლიან განათლებას იძლეოდა და იმპერიის ერთგულ მოქალაქეებს ზრდიდა. ამის საბუთად საკმარისია დავასახელოთ – ვასილ ბებუთოვი (ანუ ბებუთაშვილი), გენერალი. მან ბაშკადიკლარსა და ქიურაქდარში გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის რუსეთის ისტორიაში, პეტრე პირველის შემდეგ, გენერალ-ლეიტენანტის წოდების კაცმა უმაგალითო ჯილდო მიიღო – ანდრია პირველწოდებულის ორდენი.

მოსე არგუტინსკი-დოლგორუკოვი (ანუ არღუთაშვილ-მხარგრძელი), გენერალი, 1841 წლის გურიის აჯანყების ჩამქრობი, დაღესტნის ომში სახელმძღვანელო სარდალი.

ნიკოლოზ პალავანდოვი (ანუ ფალავანდიშვილი), თბილისის გუბერნატორი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ლიკვიდატორი (შეთქმულების გამცემი იასე ფალავანდიშვილი მისი ძმა იყო).

გრიგოლ ორბელიანი, პოეტი, გენერალი, კავკასიაში მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელი.

კეთილშობილთა სასწავლებლის დამთავრების მერე დიმიტრი ყიფიანს მაღალი სამხედლო კარიერა ელოდა. გარდა იმისა, რომ იგი ფლობდა ქართულ, რუსულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებს. შეცვლილი ჰქონდა მამის სახელიც. რაკი „ქოჩოვერი“ რუსულად ტკბილად არ ჟღერდა, დიმიტრი უკვე „ივანოვიჩი“ გამხდარიყო. მაგრამ საიმედოდ დაწყებული საქმე ერთმა გარემოებამ შეაფერხა: დიმიტრი 1832 წლის შეთქმულების მონაწილე აღმოჩნდა. მართალია, დაკით-

ხვის დროს იგი ამტკიცებდა, შეთქმულთა ზრახვებს არ ვიზიარებდიო, მაგრამ არ დაუჯერეს და მეოთხე კატეგორიის დამნაშავედ მიიჩნიეს. ეს კი მაშინდელი სამართლის ენით ნიშნავდა, რომ დ.ყიფიანი „განზრახვაზე თანხმდებოდა და მონაწილეობას იღებდა შეთქმულების არსებობის მანძილზე ერთ-ერთ წელს, ოღონდ არა ქმედითად, ხოლო აჯანყების განზრახვა იცოდა ნაწილობრივად“.

დიმიტრი ყიფიანი ვოლოგდაში გადაასახლეს. იქ, 1834-37 წლებში, საგუბერნიო სამმართველოს კანცელარიის მოხელედ მუშაობდა.

1837 წელს საქართველოში დაბრუნებული დ.ყიფიანი სამოხელეო სამსახურსაც ეწეოდა და შემოქმედებით შრომასაც. მსახურობდა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიაში. თარგმნიდა, პუბლიცისტურ წერილებს წერდა, სხვებთან ერთად იღვწოდა თბილისში პირველი ბიბლიოთეკის დაარსებისათვის. მალე ოჯახსაც მოეკიდა. 1845 წლის 22 იანვარს ცოლად შეირთო გიორგი ჭილაშვილის ასული ნინო. გიორგი ჭილაშვილი იაგორ გავრილოვიჩ ჩილაევის სახელით, კარგად არის ცნობილი მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიაში. იგი იყო საქართველოში რუსული მმართველობის ერთ-ერთი ბურჯი.

ნინო ჭილაშვილსა და დიმიტრი ყიფიანს ჰყავდათ შვილები – ნიკოლოზი, კონსტანტინე და ელენე. თითოეული მათგანი, მეტნაკლებად, საზოგადოებრივ ასპარეზზე იღვწოდა და ქართულ ეროვნულ საქმეს ემსახურებოდა.

როგორც მოხელე, დიმიტრი ყიფიანი სანიმუშო გულმოდგინებით მუშაობდა. მას გული სტკიოდა, რომ ახალგაზრდობის გამო, 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობდა და ხელმწიფე-იმპერატორის ორგულობა დაბრალდა. დიმიტრი ყიფიანს გულწრფელად სჯეროდა და სწამდა, რომ ქართველობა რუსეთის ერთგული უნდა ყოფილიყო, რაკი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსეთის „საზღვრებში ყოფნის პატივი აქვს საქართველოს თანახმად ჩვენი ღვთით ნაკურთხი მეფეების გადაწყვეტილებისა და თანახმად მის კეთილშობილ თითოეულ წევრის გრძნობა-სურვილისა“... მთელი სიცოცხლე მტკიცედ ფიქრობდა, რომ ქართველთა და რუსთა ურთიერთობას უნიჭო, უსინდისო და გონებაჩლუნგი მოხელეები აფუჭებდნენ, თორემ ხელმწიფე-იმპერატორს საქართველოს კეთილდღეობისათვის ფიქრსა და ზრუნვაში უთენდებ-უღამდებოდა.

როცა 1848 წელს ევროპაში რევოლუციამ იფეთქა და ნიკოლოზ პირველმა ამბოხებულთა დასამოშმინებლად არმია გაგზავნა, დ.ყიფიანი ალაღად მოუწოდებდა – ქართველი თავად-აზნაურობა უნდა შეიარაღდეს და მხარში ამოუდგესო რუსეთის მხედრობას. მისი აზრით, ქართველობას ეს უნდა გაეკეთებინა, რადგან „თუ მძიმე და ხანგრძლივი განსაცდელი ავიტანეთ და შევინარჩუნეთ სიმტკიცე სარწმუნოებისა, რომელიც გვიანდერძეს წინაპრებმა საქართველოს სამეფოს უკეთესი ხანის დროიდგანვე, თუ არ ვუღალატეთ ჩვენს მართლმადიდებლობას, თუ შევინარჩუნეთ ჩვენი კეთილშობილება და კარგი სახელი, ყველამ ვიცით, რომ ეს მოხდა რუსეთის თვითმყრობელობისა და ერთმთავრობის წყალობით...“

დ.ყიფიანის პატიოსნება თვლიდა, რომ მადლს მადლითვე უნდა მიეზღოსო, ხოლო დ.ყიფიანის გულუბრყვილობა ვერ ხედავდა, რომ ბოროტების მხარდამჭერად გამოდიოდა.

დ.ყიფიანის ამ სიტყვით აღტაცებული გრაფი მიხეილ ვორონცოვი, მეფისნაცვალ კავკასიაში, გენერალ ვასილ ბებუთოვს წერდა თემირხანშურიდან – „იმედი მაქვს, ყიფიანს ეტყვი, რა სიამოვნებით წავიკითხე მისი მშვენიერი სიტყვა და როგორი მადლობელი ვარ მისი“.

დ.ყიფიანის პატიოსნებას და მიამიტობას კარგად ადასტურებს ერთი ფაქტიც.

1857 წელს სამეგრელოში გლეხთა ჯანყმა იფეთქა. ამ დროს ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანი ეგრისში არ ყოფილა. იგი მოსკოვში¹ იყო მიპატიჟებული ალექსანდრე მეორის მეფედ კურთხევის დღესასწაულზე. ეკატერინეს უკითხავად, რუსეთის მთავრობამ, წესრიგის აღსადგენად, სამთავროში ჯარი შეიყვანა და დააწესა სამეგრელოს უმაღლესი მმართველობა. მმართველობის სათავეში გენერალი კოლუბიაკინი დააყენეს. ეკატერინეს კი სამეფო კარმა შესთავაზა – პეტერბურგში დასახლდით და აქ სათანადოდ აღზარდეთო სამეგრელოს მომავალი მთავარი, თქვენი მცირეწლოვანი ძე ნიკოლოზი. ეკატერინეს სხვა გზა აღარ ჰქონდა: წინადადების სახით გამოთქმულ ბრძანებას უნდა დამორჩილებოდა. სამეგრელოს მთავრის ქონებას კი დაუწესეს მეურვეობა, რათა დაეცვათ იგი ნაირნაირ პირთა ხელყოფისაგან. მეურვეობის დაწესების წინ ამ ქონების ინვენტარიზაცია მოხდა. იგი დ.ყიფიანს დაავალეს. მან პირნათლად შეასრულა დავალება. შეადგინა სამეგრელოს მთავრის ქონების სრული და ზუსტი აღწერილობა. ამ აღწერილობის მიხედვით, სამეგრელოს მთავრის წლიური შემოსავალი უდრიდა 80.000 მანეთს. ცოტა ხანში მეურვეობაც დაწესდა. ეკატერინემ მეურვეებად დანიშნა დავით ჭავჭავაძე (ღვიძლი ძმა) და ბარონი ალექსანდრე ნიკოლაი (სიძე, უმცროსი დის, სოფიოს, ქმარი). მეურვეებმა ვერ ივარგეს. მათ ატყუებდნენ ადგილობრივი აგენტები, რის გამოც 1858 წლის შემოსავალმა წელიწადში მხოლოდ 277 მანეთი შეადგინა. აუცილებელი გახდა მეურვეების შეცვლა. ეკატერინემ დიმიტრი ყიფიანს სთხოვა მეურვეობა. დიმიტრის კანდიდატურას მხარს უჭერდა ბარიატინსკიც, მეფისნაცვალ კავკასიაში. დიმიტრის არ უნდოდა მეურვეობა. სამთავროს საქმე არეული იყო: ემინოდა – რაც გაფუჭდება, ყველაფერი მე დამბრალდებაო. მაგრამ უარი აღარ გაუვიდა. იგი სამეგრელოს მთავრის ქონების მეურვე გახდა.

დიმიტრი ყიფიანი და გენერალი კოლუბიაკინი პირად ცხოვრებაში კარგი მეგობრები იყვნენ, მაგრამ სამეგრელოში ერთმანეთს ვერ შეეწყვნენ და შეხლაშემოხლა მოუვიდათ. სხვაგვარად ვერც მოხდებოდა.

კოლუბიაკინს საიდუმლო დავალება ჰქონდა: სამეგრელოს ისედაც აწეწილ-დაწეწილი საქმე კიდევ უფრო აეშალა, რომ დაბნეული ეკატერინე სამთავროს საბოლოო გაუქმებას დათანხმებულიყო.

დ.ყიფიანი კი თავგადასავალი ცდილობდა სამთავროს მოწესრიგებას. უნდოდა, როცა სრულწლოვანი ნიკო დადიანი დაბრუნდებოდა და სამეგრე-

ლოს ჩაიბარებდა, საქმე საათივით აწყობილი დახვედროდა. მან არ იცოდა, რომ ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი იყო: ნიკო მთავრად ვეღარ დაჯდებოდა. უფრო მეტიც, მას, დადიანობის მაგიერ, გამინგრელსკება მოუწევდა.

დიმიტრი ყიფიანი კოლუბიაკინს ხელს უშლიდა. საჭირო იყო დიმიტრის თავიდან მოცილება. იგი საქმის გასარკვევად პეტერბურგში გაიწვიეს. ეს გაუხარდა: იქ დავამტკიცებო ჩემს სიმართლეს. მართლაც, პეტერბურგში უზენაესმა ხელისუფლებამ დიმიტრი ყიფიანი გაამართლა. მისი მოქმედება კანონიერად სცნო. „გამარჯვებული“ დ.ყიფიანი საქართველოში დაბრუნდა.

მაგრამ უცნაური და მოულოდნელი იყო „გამარჯვების“ შედეგი: დ.ყიფიანს მეურვეობის უფლება ჩამოართვეს.

მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ საზღვარგარეთიდან შემოუთვალა გრიგოლ ორბელიანს: მეფისნაცვლის საბჭოდან ყიფიანი გამოეყვანათ და მის მაგიერ სტარიცკი შეიყვანეთო. ბრძანება შესრულდა. დ.ყიფიანი უსამსახუროდ დარჩა. ოღონდ პენსია და მუნდირი უბოძეს.

ნიკო დადიანმა სასამართლოში უჩივლა: ჩემი ქონების მეურვეობის დროს კუთვნილ თანხას სრულად არ მიგზავნიდაო. სასამართლომ დ.ყიფიანი გაამტყუნა და 50.000 მანეთის გადახდა მიუსაჯა მომჩივანის სასარგებლოდ.

ეს თანხა რომ გადაეხადა, დ.ყიფიანის ოჯახი გალატაკდებოდა და ულუკმაპუროდ დარჩებოდა. ნიკო დადიანს შეეცოდა და ფული არ გადაახდევინა. ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილი უკვე პეტერბურგში გაწაფული კაცი იყო და იცოდა, კომედია დ.ყიფიანის შესაშინებლად, ჭკუის სასწავლებლად და გამოსაფხიზლებლად თამაშდებოდა. მაინც ვერაფერმა უშველა. ვერ დაინახა დიმიტრიმ რუსეთის ხელისუფლების ორპირობა. უკმაყოფილება მხოლოდ იმით გამოთქვა, რომ ძველ მეგობარს და ახლა მტერს, გენერალ კოლუბიაკინს შეუთვალა: იმის მერე რაც მოხდა, მე ვეღარ დავტოვე ჩემს ფოტოსურათს თქვენს ოჯახში და აღარც მე შევინახავო თქვენს სურათს ჩემს სახლში. დამიბრუნეთ ჩემი სურათი და დაგიბრუნებთო თქვენსას. კოლუბიაკინმა სინანულის წერილით დაუბრუნა სურათი დიმიტრის.

დიმიტრი ყიფიანის დამოკიდებულება ყოველი მოვლენისა და ფაქტისადმი ერთი მრწამსით იყო გაპირობებული და განსაზღვრული: სამართლებრივი და ზნეობრივი კანონების მთლიანობის შეგნებით. მისი აზრით, ადამიანი კანონს უსიტყვოდ უნდა მორჩილებდეს. კანონის დარღვევას იგი ვერ იტანდა. მაგრამ კანონის ბოროტად გამოყენებაც უსაზღვროდ სძულდა. ასე სჯეროდა: სამართლებრივი კანონი ყოველთვის კაცთმოყვარეობისა და ზნეობრიობის გათვალისწინებით უნდა განხორციელდესო.

როცა ამას გავითვალისწინებთ, უცნაურად აღარ მოგვეჩვენება მისი დამოკიდებულება ბატონ-ყმობის გაუქმებისადმი. იგი ერთდროულად ბატონყმობის გაუქმების მომხრეც იყო და თავად-აზნაურთა ინტერესების თავგამეტებული დამცველიც. ბატონ-ყმობის გაუქმებას მხარს უჭერდა, რაკი ეს იმპერატორისა და სამეფო კარის გადაწყვეტილებით ხდებოდა, ე.ი. კანონიერი სახე ჰქონ-

და. ხოლო თავად-აზნაურობას იცავდა, რადგან კაცთმოყვარეობა მოითხოვდა არც გლეხობა დაზარალებულიყო და არც არისტოკრატია.

მას შეუთავსებლის შეთავსება შესაძლებლად მიაჩნდა. ეს მისი მეოცნებეობის ბრალი იყო.

დიმიტრი ყიფიანმა თავად-აზნაურობის კეთილდღეობის შესანარჩუნებლად მოიფიქრა საადგილმამულო ბანკის დაარსებაც. მაგრამ მას ისეთი ბანკი უნდოდა, სადაც დამგირავებელს მამულს არამც და არამც არ გაუყიდდნენ. ბანკის წესდების რამდენიმე პროექტი შეადგინა, მაგრამ ყველა დაიწუნა ბანკის დამაარსებელთა კრებამ. ფინანსურ საქმეებში ჩახედული ადამიანები უხსნიდნენ – თუ ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში დამგირავებელს მამულს არ გაუყიდიან და შემოსული თანხით ვალი არ დაიფარება, ბანკი მალე გაკოტრდება და დაიღუპებაო. მართალია, დიმიტრის პროექტი დამარცხდა და ბანკი სხვისი წესდების საფუძველზე დაარსდა, იგი მაინც შეუპოვრად იცავდა თავისას. 80-იან წლებშიც მწვავედ ეპაექრებოდა ილია ჭავჭავაძეს. ისევ დამგირავებლის მამულის გაუყიდაობის პრობლემა აწუხებდა. ისევ ამტკიცებდა, დამგირავებლის მამული არ უნდა გაიყიდოსო. ამის გამო არჩილ ჯორჯაძე წერს: „სურვილი მამულების გაუსყიდაობისა ისეთი დიდი ჰქონდა დიმიტრი ყიფიანს, ბანკის საშუაებით თავად-აზნაურობის შველის და განკურნების იმედი ისეთი ძლიერი ჰქონდა, რომ იგი ვერ ხედავდა ობიექტურ ეკონომიურ პირობებს, ეკონომიური ცხოვრების უღმობელ კანონს, რომელიც შეუძლებლად ჰყოფს ყოველგვარ ქველობას, ფილანტროპიას სოციალური ცხოვრების ფარგლებში. რომანტიკოსი პოლიტიკური რწმენით, იგი რომანტიკოსი აღმოჩნდა ეკონომიურ ნიადაგზედაც. მას სჯეროდა, რომ საქმის გაძლოა შესაძლებელი იყო ისე, რაც შეიძლება მეტი შეღავათი და სარგებლობა ჰქონოდა იმ წოდებას, რომელიც ეკონომიურად უმოქმედო და თითქმის უკვე მკვდარი იყო“.

ილიასთან კამათში დ.ყიფიანი გამტყუნდა. მაგრამ მის მარცხს ერთი თვისება ჰქონდა: ყოველთვის იწვევდა თანაგრძნობას. ყველამ იცოდა: არარეალური, მაგრამ ალალი და კეთილშობილი ოცნება ამოქმედებდა დ.ყიფიანს.

მე-19 საუკუნეში ქართველმა არისტოკრატებმა ორგვარი შეხედულებების ადამიანები წარმოშვა. ერთნი აღარ ქართველობდნენ და თავი საბოლოოდ რუსად მიაჩნდათ და მეორენი, რომელნიც ქართველობას იცავდნენ და რუსიფიკაციას ებრძოდნენ. დიმიტრი ყიფიანიც მედგრად ერკინებოდა ანტიეროვნულს, მაგრამ მაინც თავისებური პოზიცია ეჭრა. იგი ცდილობდა ყოფილიყო ქართველი პატრიოტიც და რუსი მოქალაქეც.

„მე რუსი ვარ ჩემის სამსახურით, ლუკმა პურით, რომელსაც ვსჭამ და ჩემის აზრის მიმართულებით. მე ქართველი ვარ გვარტომობით და მოძმეთა ენით. საჭიროა წაშლა იმ ლარისა, რომელიც ამ ორ სიტყვას შორის არის გადებული. საჭიროა ამ ორ სიტყვიდან – რუსი და ქართველი – ერთი სიტყვის შემუშავება, მათის მნიშვნელობის შედუღაბება ერთს ცნებაში სიტყვით და საქმით. საჭიროა ამ შედუღაბებულ სიტყვის აღბეჭდვა როგორც მთავრობის, ისე ჩვენი

ხალხის შემეცნებაში“, – ამბობდა დიმიტრი ყიფიანი თბილისის ბოტანიკურ ბაღში გამართულ მოხელეთა ნადიმზე.

დიმიტრი ყიფიანზე მკაფიოდ, მე-19 საუკუნეში, არავის გამოუხატავს ქართველთა ეროვნული ცნობიერების გაორება და დაბნეულობა.

1865 წლის ზაფხულში, თბილისში, შფოთი მოხდა. იგი გამოიწვია ახალი დიდი გადასახადების შემოღებამ. მუშა ხალხს მოთმინების ფიალა აევსო და უარი განაცხადა გაეღო გადასახადი. 27 ივნისს, კვირა დილით, ხალხი ქუჩაში გამოვიდა და თავი მოიყარა ერევნის მოედანზე. აღელვებული ხალხი ვერავინ დააშოშმინა, გრიგოლ ორბელიანმაც კი. არეულობას მსხვერპლიც მოჰყვა. გამაგებული დუნდგო სახლში შეუვარდა გადასახადების ამკრეფ ბაჟბეუქ-მელიქოვს. ბრბომ მისი ბინა დაარბია. თავად კი ფანჯრიდან გადმოაგდო და მოჰკლა. ამ ფაქტით მყისვე ისარგებლა კატკოვმა და „მოსკოვსკიე ვედომოსტიმ“ ქართველებს სეპარატიზმი და ნაციონალიზმი დააბრალა. ქართველებიც, პოლონელების მსგავსად, დამოუკიდებლობისათვის იბრძვიანო. (კარგად დააკვირდით: როგორ უნდა იყო დიდმპყრობელური შოვინიზმით ტვინგაწყალებული, რომ ხალხს ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა დანაშაულად ჩაუთვალო!).

დიმიტრი ყიფიანმა მყისვე უპასუხა კატკოვის ცილისწამებას. თბილისელების არეულობაში არაფერი ყოფილაო პოლიტიკური. „ვინც აქაურ ხალხში ახალ აზრებს დაემტკიცა, ეროვნული დამოუკიდებლობის აზრს, ან სხვა რაიმე პოლიტიკურ მისწრაფებას გარეშე იმ მისწრაფებისა, რომლისკენაც მიგვიძღვის თვით მთავრობა, ეს იმას ნიშნავს – ნებას ვაძლევ ჩემს თავს სასტიკი ჭეშმარიტება ვსთქვა – ნიშნავს ზოგიერთების სურვილს, რომ ამგვარი აზრის მიმართულება, თუ ჯერ არ არის, დაიბადოს ჩვენში...“

ამ აზრს დ.ყიფიანი 80-იან წლებშიც გაიმეორებს. მაშინ, როცა იანოვსკის ებრძვის.

„...იანოვსკი შემცდარი კი არა, შემცოდავი იქნება ორგვარად: რუსეთის წინაშე, რომ ერთი უერთგულესთაგანის ხალხის გაორგულება განუზრახავს, – და მერე მეცნიერების წინაშე, რომ პედაგოგიას ურღვევს დიდი მეცადინეობით შემუშავებულს კანონსა, რომელიც ბრძანებს: წულისა ყრმასა ჯერ საშინაო ენას ასწავებდეთ და მერე საქვეყნოსაო!“

განსაკუთრებით მწვავედ დიმიტრი ყიფიანი განიცდიდა ქართული ენის დევნას. იგი განრისხებული ეკითხებოდა ყველა კატკოვსა და ყველა იანოვსკის:

„სრული ნება გვექნება ვიკითხოთ, ქართული ენის ცოდნამ რა დაუშავა იმ გმირებს, რომელთაც ისახელეს თავი და ასახელეს რუსეთის მხედრობაც, და რუსეთის მმართველობაცა, როგორც ძველს დროებაში, ისე ჩვენს მახსოვრობაში? რა დაუშავა ქართველობამ და ქართულის ცოდნამ პავლე ციციანოვს, პეტრე ბაგრატიონს, დიმიტრი ორბელიანს, აბხაზს, სავარსამიძეს, გიორგი ერისთავს? ჯერ რომ ქართული იცოდნენ და მერე რუსული, ამით რუსეთს მტერს ვერ უმარცხებდნენ თუ, და ქვეყნებს ვერ უმორჩილებდნენ თუ? – მოსე არღუთაშვილი და ვასილ ბებუთოვი მტერსაც რომ საოცრად უმარცხებდნენ და ქვეყნებსაც

რომ სახელოვნად უმართავდნენ... ან გრ.ორბელიანი, ალ.ჭავჭავაძე, ლევან მელიქიშვილი ვითომ რა შემცოდველნი არიან რუსეთის წინაშე, რომ თავისი ქართველობა არა ჰგმეს და ჯერ ქართული ისწავლეს, მერე რუსული... რა შეგცოდეს თქვენ, ან მომავლინებელთა თქვენთა, იმ ქართველებმა, რომელნიც რუსებთან მძურად ხელი-ხელს გადაბმულნი, რუსეთის დიდებისათვის წმიდა სისხლს ერთად ანთხევდნენ და რუსეთის მხედრობას მიუხედავად მიუძღოდნენ, საითაც სამსახურის ვალი იწვევდა?...თუ ამას არ დაჰფიქრებინართ, რა მნიშვნელობა აქვს თქვენს ქადაგებას – ქართველობა ჰგმეთ და ქართული ენა დაივიწყეთ? მე გეტყვით: როგორც სამათემატიკო ჭეშმარიტება, ისეთი არის ეს ჭეშმარიტებაცა, რომ საქართველოს ხალხზედ უფრო ერთგული ტახტისა მთელს რუსეთს სხვა ხალხი არ ასხია...”

დიმიტრი ყიფიანს მეფის მოხელეების შემოტევა კიდევ უფრო იმიტომ აოცებდა, რომ ახსოვდა – თავის დროზე, მეფისნაცვალი ვორონცოვი სულ სხვა პოლიტიკას მიმართავდა. იმიერ და ამიერ კავკასიის სამოსწავლო ოლქების შეერთების დღეს გრაფი მიხეილი ამბობდა:

„ვიცი რა ხელმწიფის სურვილი, მე, თანახმად ამ სურვილისა და ჩემის რწმენისა, ვთხოვ ოლქის უფროსს – და მინდა კიდევაც რომ აასრულონ ჩემი თხოვნა – რომ უმთავრესი საგნები სწავლისა იყოს როგორც რუსული, ისე ადგილობრივი ენები, რათა ყოველი აქაური კარგად იყოს გავარჯიშებული რუსულში და ყოველს რუსს ჰქონდეს ცოდნა არა ნაკლებ ორის ადგილობრივ ენისა. მხოლოდ ამ შემთხვევაში გვეყოლება აფიცრები და მოხელენი, რომელნიც მართლაც სასარგებლოდ და თავიანთთვის სასიამოვნოდ გასწევენ სამსახურს სამხედრო და სამოქალაქო უწყებებში“.

დ. ყიფიანს, მისი უსაზღვრო გულწრფელობისა და სიმართლისმოყვარეობის გამო, უჭირდა მიმხვდარიყო, რომ ვორონცოვსა და კატკოვ-იანოვსკებს ერთი საერთო მიზანი ჰქონდათ. ოღონდ იყო სერიოზული განსხვავებაც. ვორონცოვი ინგლისურად აღზრდილი, ჭკვიანი და გაქნილი პოლიტიკოსი გახლდათ. იგი, ბაგირზე მოარულივით, ოსტატურად გადიოდა პოლიტიკის ბეწვის ხიდზე. ოპერაციას სკალპელით აკეთებდა ფაქიზად, რომ სწეულს ტკივილი ნაკლებ ეგრძნო. კატკოვ-იანოვსკები კი გონებაჩლოუნგი, ტვინდაბნელებული, უნამუსო მოხელეები იყვნენ. ისინი ნაჯახით ჩეხდნენ, კბილებით ღლეტდნენ და მიზნისაკენ ოღროჩლორო, ეკალ-ბარდიანი შარით მიბობლავდნენ.

დ. ყიფიანი მარტო კალმით არ იბრძოდა ქართული ენის დასაცავად და ქართველთა გასანათლებლად. იგი პრაქტიკულ საქმიანობასაც ეწეოდა ამ მიზნით. დიმიტრი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების თავკაცი, სულისჩამდგმელი და მისი პირველი თავმჯდომარე.

„არც ერთი ქართული დაწესებულება არ არის ჩვენში, რომ მეთაურობა ყიფიანს არ ეკუთვნოდეს: ბანკი, ქ.შ. წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოება, თეატრი თუ სხვანი, სულ მისი ინიციატორობით არის დაწყებული“, – გვეუბნება აკაკი წერეთელი.

მართლაც ასე იყო. მთელი ცხოვრება მოუსვენარ საქმიანობაში გაატარა. ხშირად ატყუებდნენ, მაგრამ კეთილისა და სამართლიანობის რწმენას მაინც არ კარგავდა. ერის სამსახურის ჭაპანს ქედმოუხრელად მიათრევდა. უთვალავი დავიდარაბის მიუხედავად, თითქოს მშვიდობიანად მოხუცდა და ხიფათი არსაიდან ელოდა, უცბად 1886 წლის 24 მაისს უბედურება დატრიალდა: ეროვნული შეურაცხყოფისა და დამცირების დაგროვილმა ბოლმამ ჯებირი გაარღვია და სემინარისტმა იოსებ ლალიაშვილმა სატევრით მოჰკლა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი პავლე ჩუდეცკი. ამ ამბით გაბოროტებულმა ეგზარქოსმა პავლემ დასწყევლა და შეაჩვენა იოსებ ლალიაშვილი და, მასთან ერთად, მთელი ქართველი ხალხი. იმ დროს დიმიტრი ყიფიანი თავის მამულში, ქვიშხეთში, ისვენებდა. იქ შეიტყო შემადრწუნებელი ამბავი ქართველი ხალხის შეჩვენებისა და წყევლისა. დიმიტრი ყიფიანი რის დიმიტრი ყიფიანი იქნებოდა, ეს რომ მოეთმინა და 8 ივნისს, ხაშურიდან დეპეშა გამოუგზავნა ეგზარქოს პავლეს. იგი იწერებოდა:

„თქვენო მაღალსამღვდელოებავ! მოიღეთ მწემსმთავრული მოწყალეობა და შემინდეთ ჩემი დიდი შეცოდება, თუ მე, აყოლილი დაუჯერებელ ხმებს, ვცოდავ თქვენს წინაშე. მაგრამ ეს ხმები მოგაწერენ თქვენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიც მოწოდებული ხართ სამწყსოდ და რომელიც ამის გამო მოელოდა თქვენგან, როგორც ქრისტეს პირველმსახურისა და წარმომადგენლისაგან, მარტოოდენ სიყვარულსა და სათნოებას.

იგივე ხმები არ კმაყოფილდებიან თქვენი ტახტის შეურაცხყოფით და მოგაწერენ აგრეთვე განზრახვას: მოიხადოთ ბოდიში სამწყსოს წინაშე თქვენგან წარმოთქმული სიტყვების უზომო ცოდვიანობის გამო.

თუ ეს ყველაფერი მართალია, მეუფეო, თქვენი ღირსების გადარჩენა შეიძლება მხოლოდ იმით, რომ შერცხვენილი დაუყოვნებლივ განიდევნოს შეჩვენებული ქვეყნიდან. კეთილი გულით და გულწრფელი სურვილით – თავიდან აიციდინოს ახალი უზომო შეცოდება, – ამას თქვენ გეუბნებათ ერთერთი წევრი თქვენი სამწყსოსი.

თუ ეს ყოველივე ტყუილია, შემინდეთ და მაკურთხეთ თქვენი მწემსმთავრული მარჯვენით.

თქვენი მაღალსამღვდელოების უმორჩილესი მონა დიმიტრი ყიფიანი“.

ამის პატიებას დ.ყიფიანისათვის არც ეგზარქოსი პავლე აპირებდა და არც კავკასიის მთავარმმართველი დონდუკოვ-კორსაკოვი. კავკასიის ხელისუფლება პეტერბურგს ევედრებოდა: დიმიტრი ყიფიანის სამაგალითო დასჯის უფლება მოგვეცითო. პეტერბურგი ერთხანს თავს იკავებდა. ითვალისწინებდა, რომ დიმიტრი ყიფიანი ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, სამი ორდენით¹ დაჯილდოებული ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი² იყო. ბოლოს, სახელმწიფოს უშიშროებისათვის, მაინც გაიმეტეს იგი. ჯერ თანამდებობიდან გადააყენეს და მერე სტავროპოლში გადაასახლეს.

გადასახლების წინ აკაკი წერეთელს უნახავს ქვიშხეთში. „მისმა მხიარულმა სახემ გამაოცა. ერთი იმ თავითო და მეორე ამ თავითო! – მომაყვირა სი-

ცილით, – პატიმრობით დავიწყე ცხოვრება და პატიმრობითვე ვათავებო!...“ დაღრეჯილობა რომ შემატყო, სიცილით მითხრა: „ნუ გშურს ჩემთვის ეს ღვთის წყალობაო! უკეთესს ჯილდოს მე ვერც-კი მოვიფიქრებდიო!... ეს ერთი საუკუნეა, რაც ქართველები ცუდკაცობისათვის იგზავნებიან ციმბირში და ჯერ იდეურად არავინ დასჯილათ და დეე პირველი მერცხალიც მე ვიყო!.. მართალია, პირველ მერცხალს ხანდახან სუსხი დაჰკრავს და გაზაფხულს ვედარ ესწრება, მაგრამ მაინც პირველი მახარობელია და გაზაფხული მაინც მოვაო!“ – სთქვა და ჩაფიქრდა!.

სტავროპოლში ყოფნა დიდხანს არ მოსწევია დიმიტრი ყიფიანსც 1887 წლის 24 ოქტომბერს, ღამით, მის საცხოვრებელში ჯალათი შეიპარა, თავში ურო ჩაარტყა და ქურდულად მოჰკლა. „ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ჰფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს... იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის სძგერდა, ცივი ხელები დააკრეფინეს“ (აკაკი წერეთელი).

თბილისში, მთაწმინდისაკენ, უკანასკნელ გზაზე მას მთელი საქართველო მიაცილებდა. ზღვა ხალხის ცრემლიანი თვალები დიმიტრი ყიფიანის სიტყვებით ეკითხებოდა უზენაესს: „განურჩევლად ყველას ეპყრობიან ასეთნაირა. თუ მხოლოდ ჩვენ, ქართველებსა? მართალი კია, ჩვენ უფრო მომთმენნი ვართ და ბევრ სხვაზე უფრო მორჩილნი...“

1984 წ. აგვისტო

1990 წლის დამატება:

დიმიტრი ყიფიანი უფრო საქმის კეთების კაცი იყო, ვიდრე წერის. მიუხედავად ამისა, მას მაინც დარჩა საკმაო მოცულობის ლიტერატურული მემკვიდრეობა. ჯერ კიდევ 1841 წელს ატყობინებდა ნიკოლოზ ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს – ჩვენმა მწერლობამ ორი კარგი თარგმანი შეიძინაო, დიმიტრი ყიფიანმა თარგმნა შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, მე კი ლაიზევიცის „იულიუს ტარანტელი“. მართალია, უწყვეტი ლიტერატურული საქმიანობისათვის მას დრო და საშუალება არ ჰქონდა, მაგრამ კალამი ხელიდან არ გაუფდია. დროდადრო იგი პუბლიცისტური წერილებითაც ეხმიანებოდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას და თარგმანებითაც. დ.ყიფიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა გაბნეულია მე-19 საუკუნის ქართულ და რუსულ პრესაში და ელის მზრუნველ ხელს ერთად თავმოყრას და გამოცემას. ალბათ ეს მომავალში გაკეთდება.

დიმიტრი ყიფიანმა დაგვიტოვა მემუარული ჩანაწერებიც. სწორედ ეს წიგნი, რომელიც ახლა თქვენს წინაშე დევს*.

მოგონებანი ყოველთვის ღრმად სუბიექტური განწყობილება-დამოკიდებულებების გამოძნატველია. ეს წესია და, ბუნებრივია, რომ ვერც დ.ყიფიანი ასცდა ამ სუბიექტივიზმს. ზოგჯერ იგი იმას იწონებს, რაც დღეს ჩვენ აღარ მოგ-

ვწონს და პირიქით – ის, რაც დღეს დადებითად მიგვაჩნია, მას უარყოფითად აქვს შეფასებული. და მაინც მისი მემუარები უაღრესად საინტერესოა: არა მარტო ფაქტის აღწერით, არამედ სწორედ ფაქტისადმი დ.ყიფიანისეული დამოკიდებულებით. ამა თუ იმ ეპოქის სულს ხშირად განწყობილება უფრო მკაფიოდ გადმოგვცემს, ვიდრე ფაქტი, ამიტომ განწყობილების დახატვას დიდი მნიშვნელობა აქვს.

დიმიტრი ყიფიანი მე-19 საუკუნის საქართველოს ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. იგი კარგად იცნობდა, როგორც ქართულ ზეპურ საზოგადოებას, ისე ჩვენი მოსახლეობის დაბალ ფენებსა და რუს მოხელეებს, რომელნიც თბილისსა და ქუთაისის გუბერნიებში მსახურობდნენ. ჩინებულად იყო გარკვეული მათ ურთიერთდამოკიდებულებაში.

დ.ყიფიანის მოგონებებით ვეცნობით, რითი სულდგმულობდა და ცხოვრობდა იმდროინდელი საზოგადოება, რა აწუხებდა, რა ახარებდა, რას აკეთებდა და რითი ერთობოდა, როგორ იზრდებოდნენ ქართველი ბავშვები მაშინდელ სკოლაში, როგორი იყო დამოკიდებულება ადგილობრივი მოხელეების მიმართ მეფისნაცვლის კანცელარიაში, რა განწყობილება სუფევდა ჩვენში ე.წ. ყირიმის ომის დროს, ანდა ბატონყმობის გაუქმებისათვის მზადების პერიოდში, კოლონიზაციის როგორ ხერხებსა და საშუალებებს მიმართავდნენ... ერთი სიტყვით, დროის ბურუსში ვხედავთ მე-19 საუკუნის საქართველოს ცხოვრების გაცრეცილ სურათს.

ამბების მოყოლისას დიმიტრი ყიფიანი ზოგჯერ მორცხვი და მორიდებულია, ზოგჯერ კი – გაავებული. ეს მემუარებს ემოციურობით ავსებს, რაც მკითხველსაც ეუფლება. მაგრამ უმჯობესია დ.ყიფიანის მოგონებები წაიკითხოთ, ვიდრე ჩემს დახასიათებას უგდოთ ყური. ოღონდ ერთს კი მაინც ვიტყვი: ვისაც წარსული უყვარს და მოგონებებში სულის საზრდოს პოულობს, იგი უთუოდ დიდი ნიაზით წაიკითხავს ამ წიგნს, ხოლო ის, ვისაც არც წარსული ადარდებს და არც მემუარების კითხვით იკლავს თავს, ცხადია, გულგრილად შეხვდება მას, მაგრამ ეს დიმიტრი ყიფიანის მოგონებებს ღირებულებას ოდნავადაც ვერ შეამცირებს.

1990 წ.

ს ქ ო ლ ი ო

და ბ ა დ ე ბ ი ს თ ა რ ი დ ი

1 როსტომ ლომინაშვილი – «თარიღის დადგენისათვის» («ლიტერატურული საქართველო», 1988 წლის 18 მარტი).

1 რაკი ინანიებს, ჩანს, «მეგის» სახით მას გამონაკლისი დაუშვია, თორემ 1937 წლის 2 აპრილს გ. რობაქიძე ჩეხ მეცნიერს, ქართველოლოგ იარომირ

იედლიჩკას წერდა: «მე ვწერ ჯერ ქართულად და შემდეგ ვთარგმნი» (გაზ. «თბილისი», 1988 წელი, 3 ნოემბერი).

1 ეს და სხვა წერილები, რომელიც ამ წიგნშია მოხმობილი, ინახება ავთანდილ ჩხიკვიშვილის არქივში. თუ ბარათი რომელიმე სხვა არქივიდან არის, ეს საგანგებოდ არის მითითებული.

პორტრეტი

1 როსტომ ჩხეიძე _ ბედი პავლე ინგოროყვასი, თბილისი, 1994წ.

1 გ. რობაქიძის ბარათები ქ. ამირეჯიბისადმი ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში

2 სურათი 1962 წლის ნოემბერშია ნაჩუქარი. რიცხვი არ არის მითითებული. 1962 წლის 19 ნოემბერს კი გ. რობაქიძე გარდაიცვალა.

1А. Белый- «Между двух революций», 1990г., стр.171

2 И.Перестиани – „75 лет жизни в искусстве“, 1962г., стр. 310-311

1 უფრო დაწვრილებით ნოდარ კაკაბაძის წერილში _ «გრიგოლ რობაქიძის გერმანული პორტრეტი» («ლიტერატურა და ხელოვნება», 1992წ., _5-6).

1 იხ. აგრეთვე «ლიტერატურული მატთანე» 1998 წ. წერილები ქართულად თარგმნა ქეთევან შერვაშიძემ.

2 ნიკოს კაზანძაკისისადმი მიწერილი ბარათები გრიგოლ რობაქიძისა გამოქვეყნებულია თამარ მესხის წიგნში «დიდი ხანძრის მეწამული ანარეკლი».

სწავლა

1 ამ კრებულში, საერთოდ, საყურადღებო მასალაა თავმოყრილი, მაგრამ ისეთი უხეში კორექტული შეცდომებით არის სავსე, რომ წიგნს ფასი ეკარგება.

1 გ. რობაქიძე _ «ჩემი ცხოვრება» («ლიტერატურული საქართველო», 1989წ.,

3 ნომბერი. ქართულად თარგმნა ლაშა ბაქრაძემ.).

1 გ. რობაქიძის ბარათები ეკატერინე გაბაშვილისადმი ინახება ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივში.

1 თავად განმარტავს: «ამ სენით ვგულისხმობ თანამედროვე სოციალურ უთანხმოებას და განხეთქილებას».

1 ჟურ. «განთიადი», 1991წ., _3: მიხ. ნიკოლეიშვილი – გრ. რობაქიძის წერილი გიორგი მაიაშვილისადმი

ო ჟ ა ხ ი

1 «ჩემთვის სიმართლე ყველაფერია», 1996წ., _13

1 გ. რობაქიძის წერილები აკაკი პაპავასადმი დაბეჭდილია ჟურნალ «კავკასიონის» მეათე წიგნში

1 «ბედი ქართლისა», 1964, _47

მ ო დ ი ს გ ი ლ ი ო ტ ი ნ ა

2 გაზ. «საქართველო», 1917 წ., _222

1 გაზ. «თემი», 1911წ. _28

1 «ლიტერატურა და ხელოვნება», 1991 წ., _2 და 1977 წლის «მწიგნობარი»

1 დავით კლდიაშვილი _ მემუარები, 1932წ., გვ. 320-322. «მემუარების» შემდგომ გამოცემებში ბოლშევიკურ-კომუნისტურმა ცენზურამ ეს სტრიქონები ამოშალა

1 ARS, 1918 წ., 11-111, გვ. 46

2 «ცისფერი ყანწები», 1916 წ., _1, გვ. 22,23

1 ARS, 1918 წ., 11-111, გვ. 47

2 იმჟამად, გრიგოლ რობაქიძისაგან განსხვავებით, ტიცვიან ტაბიძე ფიქრობდა, რომ სამყაროსა და ადამიანის შექმნაში დემონის ხელიც ერია.

3 გაზ. «თბილისი», 1988 წ., 13 სექტემბერი

1 გაზ. «საქართველო», 1917წ., _237. სტატია დაბეჭდილია «გივი გოლენდის» ფსევდონიმით

1 მიაი ჯალიაშვილი _ «თაობიდან თაობამდე», 1994წ., თბილისი

ო მ ი დ ა რ ე ვ ო ლ უ ც ი ა

1 გაჭირვება არ ცნობს წესს (კანონს)

2 წესი (კანონი) არ ცნობს გაჭირვებას

გ ზ ა ჯ ვ ა რ ე დ ი ნ ი

1 «ლიტერატურული საქართველო», 1999წ., _33

1 ალექსანდრე ფრონელი _ «მთიულეთი», 1804წ., 1896წ., გვ.29

1 კრებული «ჩემთვის სიმართლე ყველაფერია», 1996წ., გვ. 287

ა ხ ა ლ ი გ რ ა ა ლ ი

1 ფოციაკალი _ აჟიოტაჟი

1 ლაღა _ სწორი ჯოხია, რომლითაც მარცვლეულით სავსე ჭურჭელს, პირზე გადასმით, ზედმეტ მარცვალს გადააცლიან, გაასწორებენ. ლაღაგადასმულ საზოგადოებას ქმნიდნენ კომუნისტები სსრკ-ში

1 «შერისხულნის» (ტ.11) სერიით გამოქვეყნებული გრიგოლ რობაქიძის თხზულებანი, გვ. 272-3

მ ა რ ა დ ი უ ლ ი დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა

1 ლუიჯი მაგაროტო _ «ნიცშეს გავლენა გრიგოლ რობაქიძის ადრეულ შემოქმედებაზე» («ლიტერატურული საქართველო», 1989წ., _42)

მამუკა შელეგია _ «ნიცშეს აზროვნების დრამა. გ.რობაქიძისა და დ.კასრაძის ერთი პოლემიკის გახსენება» («ლიტერატურული საქართველო», 1997წ., _33)

1 ამირან გომართელი: «როცა არჩიბალდ მეკემს ტაბა ტაბამ გველის პერანგი შემოახვია ყელზე, ეს იყო კონკრეტული მინიშნება, რომლითაც მწერალმა დროის წრიულ აღქმაზე მიგვითითა. ამ მეტაფორასაც ნიცშესთან მივყავართ. «ზარატუსტრას წინასიტყვის» დასასრულს ფრინველთა მეფე არწივი ლაღად ხაზავს წრეებს ლაჟვარდ ცაში. გველი კი რკალად შემოხვევია კისერზე. არწივი და გველი აქ მარადიულ განმეორებაზე, დროის ბრუნვაზე მიგვანიშნებენ» («ქართული სიმბოლისტური პროზა»)

მაკო ჯინჯიბუხაშვილი – მარადისობის მისტერია («ლიტერატურული საქართველო», 1988წ., _41)

მიერობანი

1 ცვაიგს არ უთარგმნია «გველის პერანგი». იგი თარგმნეს რაინჰოლდ ჩაკერტმა და რიხარდ მეკელაინმა.

1 «მნათობი», 1928 წ., _8-9, 10. «ტოლსტოის დღეები».

მზის ნარქენი

1 ბ.არველაძე – გ.რობაქიძის ერთი პოლემიკის შესახებ («საუნჯე», 1990 წ., _3)

1 უპუ ექოს ქართული შესატყვისია (რაფიელ ერისთავი)

1 ჟურნალ «პოლილოგში» (1994 წ., _3) დაბეჭდილია ბესიკ ადგიშვილის მიერ თარგმნილი გერმანულად დაწერილი ლექსები გრიგოლ რობაქიძისა. ახლავს მთარგმნელის წინასიტყვაობაც. ლექსებთან დაკავშირებით იხილეთ აგრეთვე ნოდარ კაკაბაძის წერილი ჟურნალ «განთიადში», 1991წ., _3.

გარდატეხა

1 შ.სოსლანის ნამდვილი გვარია სოსელია. წერდა ლექსებს, მოთხრობებს, ნარკვევებს. ქართულიდან თარგმნიდა რუსულად. დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში.

1 «რუბიკონი», 1923 წ., 28 ოქტომბერი.
«ქართული სიტყვა», 1924 წ., 6 იანვარი.
2 გ.რობაქიძე – დრამები, 1926 წ.

1 «რუბიკონი», 1923 წ., _5.

1 «დიონისოს კულტი და საქართველო». «ლიტერატურული საქართველო», 1988 წ., _52

1 «ქართული სიტყვა», 1924წ., _22

ჰუნგერჰენგელ

1 კეტე იუნგის და სხვათა მოგონებანი ამოღებულია მანფრედ ბოშის წიგნიდან - „Marmor-und andere Klippen“ გამოცემულია 1996 წ.

ცდუნება

1 1997 წელს, პარიზში გამოიცა 848-გვერდიანი ნაშრომი «კომუნიზმის შავი წიგნი – დანაშაული, ტერორი, რეპრესია» („Le livre noir du communisme – Crimes? Terreur, répression“), აქ ნათქვამია, რომ 1917 წლიდან, 80 წლის მანძილზე სსრკ-ში, ჩინეთში, კამბოჯაში, ჩრდილოეთ კორეაში, ვიეტნამში კომუნისტებმა დახოცეს ასი მილიონი კაცი.

1 «ბედი ქართლისა», 1964 წ., _47, გვ.11.

ს ი მ ა რ თ ლ ე

1 აკაკი ბელიაშვილი, თხზულებანი, ტ.11, 1964 წ., გვ.327

1 კალისტრატე სალიაზეა ლაპარაკი

ს ხ ვ ა დ ჩ ე მ ი

1 «დამჭნარის» მაგიერ გ.რობაქიძის სტატიაში არის - «დამშრალნი». ეტყობა ციტატი ზეპირად მოჰქონდა და ამიტომ შეეშალა

1 გრ. რობაქიძე - „Портреты“, 1919 წ., თბილისი

1 Государственное политическое управление. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ძველი სახელი

1 სხვად ჩემის იდეა მთლიანად გამორიცხავს ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში გამოთქმულ აზრს – თითქოს «გველის პერანგში» ოიდიპოსის მითის გამოძახილი ისმოდეს: მანანა ხომერიკი _

«პიერატიული «გველის პერანგსა» და «ფალესტრაში» («განთიადი», 1990წ., _2); ამირან გომართელი – «ქართული სიმბოლოსტური პროზა»; დოდონა კიზირია – გრიგოლ რობაქიძის «გველის პერანგი» რუსულ-ევროპული სიმბოლოზმის კონტექსტში» («ლიტერატურული საქართველო», 1989წ., _22). არცერთი მოტივი ოიდიპოსის მითისა «გველის პერანგში» არ არის. მით უმეტეს, გაუგებრობაა და შეცდომა ინცესტის დანახვა ხსენებულ რომანში. ამ საკითხის გამო პოლემიკაც იყო გამართული დოდონა კიზირიასა და თენგიზ ჩხაიძეს შორის («ლიტერატურული საქართველო», 1989წ., _2; 1989წ., _51; 1990წ., _34).

ო ზ ო ლ ა ც ი ა

1 ობივატელი, მეშჩანინი გერმანულად არის der Spießbürger. სიტყვასიტყვით შპიეზბტრგერ ნიშნავს შამფურა-მოქალაქეს». Der Spieß-შამფური, der Bürger - მოქალაქე

1 «კავკასიონი», 1994 წ., 24 აგვისტო: ლ. ბაქრაძე – «მე საუკუნეებს ველაპარაკები...»

1 ზღვა დედრობითი სქესის სიტყვაა გერმანულში, ტბა - მამრობითის.

მ ი თ ო ლ ო გ ი უ რ ი ე ნ გ ა დ ი

პ ი რ ვ ე ლ თ ქ მ ა

1 Г. Гейне, Полное собрание сочинений, т. 9, 1900 г.

დ ი ო ნ ი ს ე ს თ ვ ი თ მ კ ვ ლ ე ლ ო ბ ა

1 კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. 2, 1959 წ., გვ. 92.

1 კ. გამსახურდია, „რჩეული თხზულებანი“, ტ. 5, 1961 წ., გვ. 768.

1 „рыба, образ Спасителя, пересекает подводный чертог“ – ამბობს ერთ ლექსში აპოლინერი (Аполлинер, Стихи, 1967 г., ст. 27)

1 ჩვილისა და გველის ურთიერთობის თვალსაზრისით, საყურადღებოა ხევესურული მითი, რომელიც ამბობს, რომ „ნახარელა ხთიშობელს ჰყავს გველისფერი... კარში უდგას ყარაულად. ეგიც ბაღლის აღით (სახით) ას, გველის აღითაც ეჩვენების კაცს“ (თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967 წ., გვ. 113).

1 სხვათა შორის, ჩვენი ხევესურები მიცვალებულის პატივსაცემად იხდიან სულის ცხენობას. წარმართი ხევესურის რწმენით, ვაჟკაცს სულეთში ცხენი აუცილებლად სჭირდება. სულის ცხენი სულეთში მიცვალებულს ეხმარება. ცხენს თუ რაიმე მოუვიდა, სულეთში მიცვალებულის სული დაღონდება. ამიტომ სულის ცხენს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ და უვლიან (ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები 1940 წ., გვ. 76).

მ თ ვ ა რ ი ს მ ო ტ ა ც ე ბ ა

1 კ. გამსახურდია, „მთვარის მოტაცება“, ტ. 3, 1936 წ., გვ. 51. ქვემოთ ყველა ციტატა მოტანილი იქნება „მთვარის მოტაცების“ 1936 წლის „ფედერაციისეული“ გამოცემიდან

მ ი თ ი რ ო მ ა ნ შ ი

1 შ. ნუცუბიძე, „ამირანი“, 1945 წ., გვ. 20-21.

2 ი. ქობალია, «Из мифической Колхиды», წიგნში: «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа» выпуск 32 და თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1956 წ.

3 თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1956 წ., გვ. 16.

1 ვ. ბარდაველიძე – „ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან“, წიგნში – „მომომხილველი“, ტ. 1, 1949 წ., გვ. 129.

2 იქვე, გვ. 129.

1 თ. სახოკია, „ეთნოგრაფიული წერილები“, 1956 წ., გვ. 23-39

” ხ ო გ ა ი ს მ ი ნ დ ი ა ” დ ა ” ტ ა ბ უ ”

1 კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. 2, 1959 წ., გვ. 178.

2 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, 1951 წ., გვ. 85-88.

1 გაზ. „Кавказ“, 1849 წ., _18, რ. ერისთავი – „Признаки весны, царство кукушек, происхождение сов“.

ალ. ხახანაშვილი, „Очерки по истории грузинской словесности“,вып. 1, 1895 г., ст. 108-109.

2 კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. 2, 1959 წ., გვ. 186.

1 ქართული ხალხური ზღაპრები, შეკრებილი თ. რაზიკაშვილის მიერ. წიგნი 1, 1951 წ.

2 ხალხური სიბრძნე, ტ. 2, 1964 წ.

3 იქვე.

1 კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. 2, 1959 წ., გვ. 188-191.

2 იქვე, გვ. 208.

1 ვ. ბარდაველიძე, Древнейшие религиозные верования и обрядов графическое искусство грузинских племен: 1957щ., гв. 49, 241-242.

1 კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. 2, 1959 წ., გვ. 102.

2 იქვე, გვ. 103.

1 თ. სახოკია, „ეთნოგრაფიული წერილები“, 1956 წ., გვ. 19.

2 ი. ყიფშიძე, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем , СПб, 1914 г., гв. 387-388.

1 კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. 2, 1959 წ., გვ. 105.

2 იქვე, გვ. 96.

3 ფრეზერი, Золотая ветвь, ტ. 1, გვ. 45.

” ს ა ნ ა ვ ა რ დ ო ”

1 დემნა შენგელაია, მოთხრობები, 1934 წ.

1 პ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერება“, ტ. 3, ზღაპრები: „ხელმწიფის შვილი და მეწისქვილის შვილი“, „დევის სანახევრო“, „ყარაბ-ოღლი და ალექსანდრე“, „თავის მიწა-წყალი მოითხოვს“ და სხვანი.

1 კ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. 3, ზღაპრები: „ცხრა ძმა და ზაყაყი“, „ხელმწიფის შვილი და ზაყაყი“, „ყმის ცოლი და ბატონი“.

1 დ. შენგელაიას წერილი „ამირანის გარშემო“, წიგნში – „წერილები“, 1955 წ.

2 ნ. მარის წერილი „იშთარი“ წიგნში – „Яфетический сборник“, ტ. 5, 1927 წელი.

3 ბ. ტურაევი, „Классический восток“, გვ. 222.

1 დ. შენგელაია, წერილები. 1955 წ., გვ. 188, 206, 207. „Яфетический сборник“. ტ. 5, 1927 წ., გვ. 157.

„ გ უ რ ა მ ბ ა რ ა მ ა ნ დ ი ა ”

2 „დარიალი“ _1, ტფილისი, 1925 წელი.

1 ი. ყიფშიძე Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, СПб, 1914 г., ст. 186.

ს. მაკალათია, „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“, 1941 წ., გვ. 314.

2 იქვე, გვ. 275.

1 დ. შენგელაია, წერილები, 1955 წ., გვ. 253, 278.

„ ა თ ე ნ ო ს ი ს ტ რ ა გ ე დ ი ა ”

1 დ. შენგელაია, თხზულებანი, ტ. 1, 1968 წ., გვ. 11, 12, 13.

2 აღმანახი „დარიალი“ _1, 1925 წ., გვ. 93.

3 აღმანახი „დარიალი“ _1, 1925 წ., გვ. 138.

1 დ. შენგელაია, თხზულებანი, ტ. 1, 1968 წ., გვ. 62.

„ ს ი ბ რ ძ ნ ე ს ი ც ი ლ ი ს ა “

1 დ. შენგელაია, თხზულებანი, ტ. 1, 1968 წ., გვ. 185.

2 იქვე, გვ. 138.

3 იქვე, გვ. 270.

1 ს. მაკალათია, ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, 1938 წ., გვ. 20. ს. მაკალათია, ახალწელიწადი საქართველოში, 1927 წ., გვ. 36, 42.

- 2 დ. შენგელაია, თხზულებანი, ტ. 1, 1968 წ., გვ. 269-70.
- 3 იქვე, გვ. 248.
- 4 იქვე, გვ. 249.
- 5 ს. მაკალათია, ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, 1938 წ., გვ. 17.
- ს. მაკალათია, ახალწელიწადი საქართველოში, 1927 წ., გვ. 43.

1 Христианский восток, IV, вып. I, 1915 г., Н. Марр, О религиозных верованиях абхазов, ст. 132, 136, 137.

- 2 „მოამბე“, 1898 წ., _6, თ. სახოკია, გურია-აჭარა, გვ. 14-15.
- 3 ალ. ხახანაშვილი, Очерки по истории грузинской словесности, вып. I, 1895 г., стр. 11.
- 4 თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, 1957 წ., გვ. 152-153.

1 იქვე, გვ. 125.

2 დ. შენგელაია, წერილები, 1955 წ., გვ. 211

3 დ. შენგელაია, თხზულებანი ტ. 1, 1968 წ., გვ. 137-38.

1 დ. შენგელაია, თხზულებანი ტ. 1, 1968 წ., გვ. 218.

2 იქვე, გვ. 326.

1 დ. შენგელაია, თხზულებანი ტ. 1, 1968 წ., გვ. 254-55.

1 დ. შენგელაია, თხზულებანი ტ. 1, 1968 წ., გვ. 141-142.

1 დ. შენგელაია, თხზულებანი, ტ. 1, 1968, გვ. 274.

2 იქვე, გვ. 276.

3 იქვე, გვ. 249.

4 იქვე, გვ. 139.

1 იქვე, გვ. 377-78

2 იქვე, გვ. 137.

1 დ. შენგელაია, თხზულებანი, ტ. 1, 1968 წ., გვ. 376-79.

1 იქვე, გვ. 362.

1 დ. შენგელაია, თხზულებანი, ტ. 1, 1968 წ., გვ. 449.

2 იქვე, გვ. 451.

3 იქვე, გვ. 276.

- 1 დ. შენგელაია, თხზულებანი, ტ. 1, 1968 წ., გვ. 343-44.
- 2 „მნათობი“, 1959 წ., _12, ვ. ბერიძე – ოდი, ოდიში და ოდოია.

- 1 დ. შენგელაია, თხზულებანი, ტ. 1, 1968 წ., გვ. 272.
- 2 იქვე, გვ. 151.
- 3 იქვე, გვ. 285.
- 4 გაზ. „Кавказ“, 1849 წ., _18. რ. ერისთავი – „Признаки весны, царство кукшек, происхождение сов.“.
- 1 დ. შენგელაია, თხზულებანი, ტ. 1, 1968 წ., გვ. 275.

ბ ო ლ ო თ ე ქ მ ა

- 1 „მოამბე“, 1897 წ., _VI, თ. სახოკია – სამურზაყანო.
- 2 კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. II, 1959 წ., გვ. 99.
- 3 „მოამბე“, 1896 წ., _VI, თ. სახოკია – სამურზაყანო, გვ. 8.
- 1 კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. 2, 1959 წ., გვ. 99.
- 2 კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. 1. 1958 წ., გვ. 80.
- 3 დუბროვინი, Истрия войны и владычества русских на Кавказе. Книга I том I, ст. 102.
- 4 კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 90.
- 1 თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, 1956 წ., გვ. 14.
- 2 არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, 1938 წ., გვ. 147.
- 3 კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. I, 1958 წ., გვ. 82.
- 1 ე. შამბა – „Сквозь грозы“, სოხუმი, 1961 წ., გვ. 35.
- 1 დ. შენგელაია, თხზულებანი, ტ. 1, 1968 წ., გვ. 83.
- 2 კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. 5, 1961 წ., გვ. 918.
- 1 კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, 1961 წ., ტ. 5, გვ. 954.
- 1 კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, 1961 წ., ტ. 5, გვ. 667-669.
- 2 აღმანახი „დარიალი“, _1, 1925 წ., გვ. 110-111.
- 1 დ. შენგელაია, თხზულებანი, ტ. 1, 1968 წ., გვ. 191-193.
- 2 აღმანახი „დარიალი“, _1, 1925 წ., გვ. 110.
- 1 კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. 5, 1961 წ., გვ. 658, 794.

- 2 იქვე, გვ. 667.
- 3 იქვე, გვ. 667.
- 4 დ. შენგელაია, თხზულებანი, ტ. 1, 1968 წ., გვ. 195.
- 5 იქვე, გვ. 193.

- 1 აღმანახი „დარიალი“, _1, 1925 წ., გვ. 121-122.
- 2 იქვე, გვ. 122.

- 1 კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. 2, 1959 წ., გვ. 109.
- 1 დ. შენგელაია, თხზულებანი, ტ. 1, 1968 წ., გვ. 203.

„გველის მჭამელი“

- 1 თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967 წ., გვ. 179.

- 2 იქვე, 187.

- 1 ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1934 წ., გვ. 343.

- 2 თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1967 წ., გვ. 187, 190.

- 3 თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, 1954 წ., გვ. 53.

- 1 თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები..., 1967 წ., გვ. 187, 188, 189, 190, 193, 194.

- 2 ა. გაჩეჩილაძე, გადმოცემა ხოგაის მინდიაზე და პოემა „გველისმჭამელი“, გვ. 27.

- 1 «С разрешения Мориге Гмерти туда могли являться и элые духи Кажди» (В. Бардавелидзе. Древнейшие Религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, 1957 г., стр. 11)

- 2 დ. შენგელაია, სამი სკნელი, წიგნში „წერილები“, 1955 წ.

- 1 ა. გაჩეჩილაძე, „გადმოცემა ხოგაის მინდიაზე და პოემა „გველის მჭამელი“.

- 2 დ. შენგელაია, „წერილები“, 1955 წ., გვ. 185.

- 1 ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1934 წ., გვ. 350.

- 2 დ. შენგელაია, „წერილები“, გვ. 279.

1 Б.А.Тураев, Классический восток, т. 1, 1924 г., стр. 218-219.

2 ეგ. ნინოშვილის თხზულებანი, ტ. II, 1950 წ., გვ. 295.

1 დ. შენგელაია, „წერილები“, 1955 წ., გვ. 278.

2 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, 1951 წ., გვ. 97.

1 თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, 1954 წ., გვ. 41. მისივე, მითოლოგიური გადმოცემები... 1967 წ., გვ. 187.

2, В. Бардавелидзе. Древнейшие Религиозные верования, 1957 წ., გვ. 105-106.

3 იქვე.

1 თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები... 1967 წ., გვ. 187-193.

2 იქვე.

3 В. Бардавелидзе. Древнейшие Религиозные верования , 1957 წ., გვ. 29.

4 თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები... 1967 წ., გვ. 187.

5 თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, 1954 წ., გვ. 54.

6 В. Бардавелидзе. Древнейшие Религиозные верования ..., გვ. 20-21.

7 ნ. მარი – იმთარი, წიგნში – „Яфетический сборник“, ტ. V, 1927 წ.

1 თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები... 1957 წ., გვ. 193, 194.

1 თ. ოჩიაური, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, 1954 წ., გვ. 45-47.

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, 1951., გვ. 50.

მ ა რ ა გ ი თ ზ რ ა ხ ვ ა

1 მარაგითზრახუა, საბას განმარტებით, არის: სიტყუა ესრე გვარად სთქვა ადვილ საცნაური არ იყოს, არამედ ვითარცა ღრუბელი რამ ემოსოს, ანუ ორ სამ რიგად გაისინჯოს.

და ვ ი წ ყ ე ბ უ ლ ი ი დ ე ა

ა წ მ ყ ო , შ ო ბ ი ლ ი წ ა რ ს უ ლ ი ს ა გ ა ნ

* სტატია დედანში დაუსათაურებელია. სახელწოდება შერჩეულია რედაქციის მიერ

ყოველი საიდუმლო

1 გინცი — იმედი

ოსევ „ქებაღს“ გამო

1 მითოსური კუთხით ეს განხილული აქვს ზ. კიკნაძეს წერილში — „თამარის ანდრეზული ხანა“ („მნათობი“, 1992 წ., _10).

1 დაწვრილებით ამის შესახებ შეგიძლიათ წაიკითხოთ რ. პატარიძის წერილში — „ქებაი ქართულისა ენისაი“ („მნათობი“, 1981 წ., _11, გვ. 153-154).

დავიწყებული იდეა

1 კომენტატორები აღნიშნავენ, რომ „град ,Петров“-ში პეტერბურგი არ იგულისხმება, არამედ რომი, რომელიც წმ. პეტრეს ქალაქად ითვლება.

2 „მოსკოვი, პეტრეს ქალაქი და კონსტანტინეს ქალაქი, აი, რუსთა სამეფოს აღთქმული დედაქალაქები. მაგრამ სად არის, მისი სამანი, სად საზღვარი — ჩრდილოეთში, აღმოსავლეთში, სამხრეთში თუ დასავლეთში? მომავალი დრონი შემოსავენ მათ ბედს... შვიდი შინა ზღვა, შვიდი დიდი მდინარე... ნილოსიდან ნევამდე, ელბიდან ჩინეთამდე, ვოლგიდან ევფრატამდე, განგიდან დუნაიმდე. აი, რუსთა სემეფო. და არასოდეს წარხდეს იგი, როგორც ეს განჭვრიტა სულმა და დანიელმა იწინასწარმეტყველა“.

1 გაგახსენებთ, რომ გიორგი მთაწმინდელს უთხრა ანტიოქიის პატრიარქმა: რაკი 12 მოციქულთაგან საქართველოში ქრისტიანობა არცერთს უქადაგია, არც ავტოკეფალიის, ანუ დამოუკიდებლობის, უფლება გაქვთო. ამაზე უპასუხა გიორგიმ — საქართველოში ქრისტიანობა ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა, თქვენთან კი მისმა ძმამ პეტრემ... ქრისტეს მოწაფედ პეტრე ანდრიამ გახადა. ამიტომ პეტრე ანდრიას უნდა ემორჩილებოდეს, ხოლო თქვენ, ე.ი. ანტიოქიის საპატრიარქო, — ჩვენო.

მეცხრამეტე საუკუნე

1 და ღვთის წყალობა მოევლინა საქართველოს, მას შემდეგ მშვიდად ჰყვოდა იგი საკუთარი ბაღების ჩრდილქვეშ, მტრების უშიშრად, მეგობრული ხიშტებით დაცული“. (პწკარედული თარგმ.-რედ.).

1 მამითადი/ნადი) — მეზობელ-ახლობელთა უსასყიდლო დახმარება მოსავლის აღებაში.

1 ვანი — სადგომი, სავანე.

„სურამის ციხის“ გამო

1 ამ ადგილას „სურამის ციხის“ ზოგიერთ გამოცემაში გოგო წერია, ზოგიერთში — გიგო.

არსებობის შიში

1 ლესტერი — დიდი წვიმა, თავსხმა.

ვაჟას მრწამსი

1 ვაჟა „სრულიად უარჰყოფს ღმერთს“ (ალ. ქუთელია — „ვაჟა ფშაველა“, 1947 წ., გვ.12)

არსებობის მარადისობის რღვევა, ანუ შვილის მკვლელი მამა

1 რუასი — გონი, ჭკუა.

ღმერთს ეწყინება

1 ქილა — მარცვლეულისა და ფქვილის საწყაოა. უდრის ერთ ფუტს, ანუ 16 კგ.

2 ბათმანი — ესეც საწყაოა. ირანული ბათმანი უდრის საშუალოდ 3 კგ, თურქული — 7,3 კგ. გ. წერეთელი თურქულ ბათმანს გულისხმობს თავად განმარტავს — ქილა ორ ბათმანს უდრისო.

1 დიჩინი — შეძლებული, მდიდარი გლეხი.

რაინდი მიამიტი და თავდადებული

1 ისტორიკოსი მაქსიმე ბერძენიშვილი დ. ყიფიანის დაბადების თარიღად 1811 წელს მიიჩნევს.

1 რუსეთის იმპერატორების კორონაცია ტრადიციულად მოსკოვში ხდებოდა.

1 წმ. სტანისლავის პირველი ხარისხის, წმ. ანას და წმ. ვლადიმირის მეორე ხარისხის ორდენებით.

2 რუსეთში ჩინოვნიკური იერარქიის 14 საფეხური არსებობდა. Действительный Статский советник-ს მე-4 ადგილი ეჭირა. ე.ი. იყო ერთობ მაღალი ჩინი. სამხედრო სამსახურში მას გენერალ-მაიორი შეესაბამებოდა.

* იგულისხმება ლეილა ნანიტაშვილის მიერ 1990 წელს გამოცემული წიგნი — დიმიტრი ყიფიანის „მემუარები“ (რედაქციისაგან)

ს ა რ ჩ ე ვ ი

კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის
ცხოვრება და ღვაწლი

დაბადების თარიღი.

პორტრეტი.

სწავლა.

ოჯახი.

მოდის გილიოტინა.

ომი და რევოლუცია.

გზაჯვარედინი.

ახალი გრაალი.

ახალი კერპი.

მარადიული დაბრუნება.

მიეროხანი.

მზის ნარქენი.

გარდატეხა.

„ჰუნგერჰაუგელ“.

ცდუნება.

სიმართლე.

სხვად ჩემი.

იზოლაცია.

მითოლოგიური ენგადი

პირველთქმა.

დიონისეს თვითმკვლევლობა.

„მთვარის მოტაცება“.

ეპოქის სიკვდილი.

მდგომარეობას მოკლებული კაცის ტრაგედია.

სიბნელისაგან თვალახელილი.

მითი რომანში.

„ხოგაის მინდია“ და „ტაბუ“.

„სანავარდო“.

„გურამ ბარამანდია“.

ანთეოსის ტრაგედია.

სიბრძნე სიცილისა.

ბოლოთქმა.

დამატება

ვაჟა-ფშაველა და მითოსი.

1. „გველის მჭამელი“.

2. „ბახტრიონი“.

მარაგითზრახვა.

დავიწყებული იდეა

აწმყო, შობილი წარსულისაგან.

ქება და დიდება.

ყოველი საიდუმლო.

ისევ „ქებას“ გამო.

„ქება“ ინტელექტის თამაში.

დავიწყებული იდეა.

დავითის ისტორიკოსი.

ფერი-დარეჯან.

მეცხრამეტე საუკუნე.

თერგდალეულები.

„სურამის ციხის“ გამო.

არსებობის შიში.

ბუნების კანონზომიერება და უკვდავებისმადიებელი კაცი.

ვაჟას მრწამსი.

არსებობის მარადისობის რღვევა, ანუ შვილის მკვლელი მამა.

ღმერთს ეწყინება.

ზნეობრივი გმირისათვის.

საით?.

ლექსი ილიასია.

რაინდი მიამიტი და თავდადებული.